გური ოტობაია

სიცოცხლეთისჯილები

II

როკი

ერთი

© ბელეტრისტის ტრიბუნა

გური ოტობაია

სიცოცხლემისჯილები

რომანი-ტრიადა

წიგნი

II

რ ო კ ი

თბილისი
2005

სონეტი როკის*

კირდეს გიმვორექ მერეხელი ვერეხი როკი,
გოხერჯეკელი, უფურცელე, ბორჯეფსუ ბჭყიშუნქ,
ჭარკინტგ ბორიეფს იანარსუ ნოცელით ბჭკვიშუნქ,
მივოტე ტყა დო გურგინგ-ტყვაცშა მალეხიროკი.

შქაბანია სერს გვერშაპიში იჭყაფგ ზილოკი,
გიმაკიროკუ, ბჯღვალიკანსუ, ბორზალსუ ბჯგვიშუნქ.
გესინთორებუნგ: ყვარიეფშე ნაბადებს იბშუნქ,
მაჩილამურუ — ნტერს ირგ შარა გეგნუსიროტი.

თაკარია დღას დუდიშ უფი მებთხოზ ნარჩასუ,
ბნატრულენქ წყურგილს, ვაბსუმარენს ზღოურგ მეშარე,
ქიმკობდვა თოლსუ — ეგებგ სისმარქ მალეხვარჩასუ,

მარა ლურიშგ ცა მურიცხეფიშგ ქაცუთ ეფშა რე,
დომზარზალუანს — თოლონჭესგ მითინგ ვეშარე,
გესერელიშა ქიანას ყინგი მიკუკვარჩხასუ.

როკი

antithesis

ლიმა პირველი

ტალკანი*. ბაზარი
076923

ჩრდილოურ სადღეგრძელოებში ტყუილად როდი შეწყვილებია ციმბირული ჯანმრთელობა კავკასიურ მზემრავლობას. ამით გასაოცარი ჰარმონიაა ნასურვები ადამიანთათვის სუფევის გზაზე — სვესიუხვე, როგორც აუცილებელი პირობა თვითდამკვიდრებისას და საღ-სალამათობა დასახულ მიზანთა სრულფასოვნად მობოჭვის წიაღ. ერთი ავსებს მეორეს და ეს უკანასკნელი ცხოველმყოფელი შინაარსით ალიპლიპებს პირველს; ჭიგო და ვაზივით გადახლართვიან ურთიერთს, მაგრამ დღის თორმეტი საათისთვის, როგორც კი ხაფი ხმით მიაძახეს ბურაველების საკანს:

— ოდიშელია, ნა ვიხოდ!*— როკის მუხლებში ზღვისხელა წყლები ჩაუგუბდა.

პატიმრებმა იციან შენი გასაჭირი — კრონოსის ისრებს უხილავი მავთულით უკან ექაჩება უჩინმაჩინი; უბასრესი ნემსებით გეჩხვლიტება მხართეძო, შხუილი მატულობს ყურებში და მარჯვენა თვალი კარმუშკასკენ* გებრიცება. ამიტომაც ალიონიდანვე მხიარულდება მთელი საძმო, ისინიც კი, ვისაც სერიოზულად დაჯახებიხარ, საქმე გარჩეულა, გადახვევიხართ ერთმანეთს, მაგრამ მოქიშპეს გულში კვლავაც ჩარჩენია ვერგადახდილი სამაგიეროს ჟანგარო, ჰოდა, სანამ მისჯილის ქვიშის საათი პირწმინდად ჩამოიმარცვლებოდეს, ხმიანებს გიტარა, იჭრება ტუზებით დამები და კაროლები, თავმოხსნილია ანეგდოტების გუდა.

აი, ზონის პერსონალი გასაღებების ასხმას აჩხარუნებს. შენ უკვე ფუთიანი ფეხებისგან აგეხსნება ყოველგვარი სიმძიმე. მეგობრების მოხვევისაგან ტკაცატკუცი გაუდით აქამდე რის ვაი-ვაგლახით გამრთელებულ ძვლებს. მხოლოდ გახვრეტილთეფშიანი ბინადრის ამოხაპული მზერა გეჭინჭრება შორიდან და დასაწყისიდან ყურთამდე გამოღებული სატუსაღოს ალაყაფის კარები მომუწული რომ იყო მთელი საუკუნე კანონის უმკაცრესი განჩინებით, ცის გახსნასავით იბრუნებს შემოსვლის დროინდელ მდგომარეობას — შენ ამიერიდან თავისუფლების მონა ხარ.

კვირაზე მეტია, რაც ათკილოგრამიანი ამანათი ჩამოგსვლია შინიდან, რომელშიც დედის ხელით საგანგებოდ შეფუთნული ტანსაცმელი ალაგია. გათვალისწინებულია ყოველი წვრილმანი შენი ადგილსამყოფლის ამინდიანობის კვალობაზე. გაკრული ხელით ნაწერი სამკუთხა ბარათიც ფხაკუნობს სადღაც, შარვალ-კოსტუმს შორის თუ შალის წინდების სიახლოვეს. სულმოუთქმელად ჩაიკითხავ, მშობელთან გულდინჯი საუბრისთვის გგონია მოგვიანებით მოიცლი. ამ ნეტარებისთვის თავზესაყრელად გამოგეჩითება დრო, საზიდარზე, მანქანაში, მატარებელსა თუ თვითმფრინავში. უთვალავჯერ ამოგყვება იგი გულისჯიბიდან ამოღებული ცხვირსახოცით დაოფლილი შუბლის მოწმენდისას, ხანაც სიგარეტის კოლოფს აეწებება მზაკვრულად, ხან კიდევ გაგილაღდება ხელიდან და ფაფუკ თოვლში ჩაენისკარტება, მაგრამ ჯერაც დამათრობლად, ეკლესიის ზარებივით გიგუგუნებს ყურთასმენაში დედამიწის მიზიდულობის კანონივით მარადიული ფრაზა: ,,პრაშაი, ვასია''* და ამის საპასუხოდ ათრთოლებული ხმით შელუღლუღება შენი: ,,ვსემ ჟელაიუ სვობოდუ, ბრატვა!''* ეს არის და ეს.

უკვე წენგოსმაგვარი კანი გაგვარდისფრებია. დანისლული სარკის ნატეხს ხელისგულს გადაუსვამ ერთხელაც. სამახსოვროდ შეათვალიერებ შენს ნებიერ გამომეტყველებას. ხანდაზმულ წვერს მკერდზე ჩამოივარცხნი თითებით. ელოლიავები ზეზეური მარტვილობის ჟამს უღლის ჯიგრულად გამწევს. მერმე მარცხენა ხელში მოიმწყდევ მერნის ფაფარსავით და სალოკის გასწვრივ მიჰ ყვები ფრიმალებს. უმტკივნეულოა სამართებლის კვლები ყბებზე, ნიკაპზე, ყანყრატოსთან. ისე შემოიტარებ აფხიანებულ ლითონს მთელს სახეზე, ბეწვიც არ დავარდება ძირს. შემდგომ არ იცი რა მოუხერხო ამ მფარველ ავგაროზს, პირსახოცში გაახვიო თუ ჩრდილოეთის მეწყრების ღრიანცელს გაატანო და გეღიმება, გეღიმება ბავშვური წუწურაქობის გამო.

ჭრაჭუნებს ახალთახალი ფეხსაცმელი. ხერხემალში გაგმართავს ყელზე ფერადოვანი ჰალსტუხის შენასკვა. მხრებამდე გცემს მაკრატელდაუკარებელი თმა, რომელსაც ვერცხლის ძაფებიც ჩაკინძვია აქა-იქ. ძველმანებს შეხვეულად გადასცემ ბადრაგს, თანაც გაუხსნელი სიგარეტის კოლოფებს უწვდი ასანთთან ერთად სათითაოდ და განთავისუფლების ცნობაზე ხელმოწერების თადარიგს შეუდგები.

შენ უამისოდაც გაქროლდებოდი თვალისმომჭრელი თოვლეთის ტრამალებში, მაგრამ აზატობის გუჯარმა ჩირაღდანივით უნდა გიმეგზუროს მთელი ოთხიათასი კილომეტრი მშობლიურ კერიამდე. ისაა შენი პირადობის ერთადერთი მოწმე, შენი არსებობის ერთადერთი უტყუარი დასტურ-ლამალი და იწყებ შემოვლას ლიფსიტებიდან. ბოლო სადგური, როგორც წესი, ზონის უფროსთანაა.

,,ადამიანის შექმნას უსირცხვილოდ იბრალებს მამაღმერთი. ეშმაკის ნაღვაწი უდრტვინველად მიუთვისებია. დიდი პლაგიატი ვინმეა. სხვის ნაოფლარს ისეთი უცოდველი გამომეტყველებით იმკის, ღამის ერწმუნო, ღამის

გაფიღვინებულ ყურთბალიშზე მიუსვენო ჭინკებითა და ალ-ქაჯებით გამოტენილი თავი, — ფიქრობდა გაორმაგებული კარცერიდან გუშინწინისწინ გამოღწეული ოდიშელია, — მისი ძეობილის მორალით ხომ მთლად მიმტევებლური თავაზიანობით უნდა მიადგე კარზე ახლა კაცუნას, რომელმაც ბურების რეკორდი მოგახსნევინა. ვერ მიართვეს! ასეთნაირმა ხეპრულმა სულგრძელობამაა ჯოჯოხეთური ცეცხლის ალში გაჰხვია დედამიწა სრული. ჰმ! თხუნელას თვალებს ზემოთ დამსახურებისამებრ დახეთქვია წარბი და გადაღუნვია ცხვირი უმაღლესი განათლების სამკერდე ნიშნის მხარეს".

ჩამოთვლილი ჯილდოების გამო როგორი ციებ-ცხელება მოუმრავლდა როკის, მთელი ქვეყნიერებისთვის იყო ცნობილი, მაგრამ ქაღალდებში ჩაფლული ზონის უფროსის ავადმყოფური სიძულვილის გამომჟღავნებას თავისუფლებანაბოძები მაინც რამდენადმე იოკებდა.

ფანჯრებზე შავი ფარდები ჩამოეფარებინა პოლკოვნიკ სტეპანცევს. შემომსვლელისთვის მაშუქით განათებული მაგიდაღა აღიქმებოდა თავდაპირველად და ამ ცრიატში სანთელივით დალეული კოლონიის უფროსის ნაკვთები ფოტოგრაფის გულმოდგინებას იმკიდა, რომელიც ეს-ეს არის მორჩენილა სურათების გამჟღავნებას და ფიქსაჟით ამაგრებს დატყვევნილ სახეებსო.

დამხდურმა წარმოსადეგ ახალგაზრდა კაცში ვეღარაფრით ამოიცნო მისი გაუგონარი სადიზმის ღირსეულად ამტანი ოდიშელია. მორჯული სკამიც კი შესთავაზა სტუმარს, მაგრამ როცა განთავისუფლების ცნობა მიაწოდეს და წყვილი სათვალით დააშტერდა ფარატინა ქაღალდს, გაოცებაშეცბუნებისგან ნაწიბურიანი წარბი აუთამაშდა.

— ხელმოწერისთვის გეახელით მოქალაქე-უფროსო, — თქვა ირონიულად ფეხზედგომელა როკიმ.

— რატომ პატიმრის ჟარგონით?! თქვენ ხომ თავისუფალი ხართ უკვე?! — გაიკვირვა პოლკოვნიკ სტეპანცევმა და შუბლი გაშლილ ხელისგულს დაუყრდნო.

— ჩვეულებისამებრ, მოქალაქე-უფროსო, ჩვეულება კი რჯულზე უმტკიცესიაო, ამბობენ ჩვენში.

— დაააა. ხელმოწერისთვის მოხველ, — ისე დაიწრიპინა სტეპანცევმა, თითქოს ვერ მიხვდა აგდებულ კილოს, — მთელი შვიდი წელიწადი სისხლისმწოველი კაცის დასტური აზატობაზე. ისე, ჩვენში დარჩეს და მიმადლოდე უნდა ცოტას.

— ეგ რომელი დამსახურებისთვის?! — სქელი წარბები შეყარა როკიმ.

— ჩემისთანა პრინციპული ჩინოვნიკი რომ არა, დიდი ხნის ჩამოწერილი იქნებოდი, ოდიშელია, სამოცდაათ კაპიკად. ოჩანის გაქრობას რაღა უნდა?! ან ნაჯახით წავათლევინებდი თავს, ან კიდევ საკანშივე მოვაშთობინებდი. ცოტა ხალხი მყავს იქ თუ რა, მაგრამ ჯიუტის, ურჩის მოთოკვის პროცესია ჩემთვის ხელოვნება, დავამატებდი — ერთგვარი აზარტი, ცხოვრება თავად მთელი სიგრძე-სიგანით.

— მამაზეციერი იფარავს ყველას, — როკიმ დიპლომატი სკამზე ჩამოდგა, — ალბათ, მეც მათ შორის.

— ოდიშელია, ადამიანის ამტანობის დიაპაზონი რა ხანია დადგენილია ჩვენში, — მაგიდაზე დადებულ განთავისუფლების ცნობას დასწვდა სტეპანცევი. გარიჟინებული თვალები ააყოლ-ჩააყოლა, ხელმოსაწერად მოიჩოჩა და განაგრძო, — ამ შვიდი წლის მანძილზე შენ ჩვენი მეთოდების არსენალის მესამედიც რომ გეწვნია, აქედან ზოგიერთივით ზოლებიანი ხალათით გახვიდოდი, მაგრამ მე ზურგი შევაქციე უკიდურესობებს. ადამიანი საკუთარ ასოზე მაღლა არ უნდა აახტუნო, უფრო სწორად, არ უნდა მოსთხოვო სალტომორტალე, თორემ თამაშის პირობები დაირღვევა; ჭადრაკის უღიმღამო პარტია შეგრჩება ხელთ, სადაც შიშველი მეფის წინააღმდეგ ერთდროულადაა დაძრული ორი მძიმე და სამიც მსუბუქი ფიგურა. ამისთანა შემთხვევას ყაიმი მოსდევს უპირატესად. მოკლედ, უმეტესი პარამეტრით გამოკვლეული ხარ უკვე. შენი ამტანობის შესაძლებლობათა ზღვარი, მართლაც რომ შესაშურია. ამას იქით ზებგერითობაა, ჩვენი სმენისთვის აღუქმელი, მიუწვდომელი ხმიანება. ყოჩაღ, ოდიშელია! მაგრამ მიკვირს, წმინდა სისხლის მუჟიკი, ქურდულ კანონებს რისთვის მისდევ?! სამართლიანობის სადარაჯოზე დგომა ყოველთვის როდი ემთხვევა ქურდულს. მოგვეპოვება ცნობები შენი ნაკითხობის თაობაზეც და ეს მიიოლებს საუბარს. იცი, რასკოლნიკობა გაგანია ცეცხლში საკუთარი ნებით შესვლაა. როდიონის გვარი შემთხვევით არ მომდინარეობს ხსენებული ვულკანიდან, მაგრამ აქ საინტერესო სხვა რამეა და ამის დამალვას არც ვაპირებ ჩიტივით თავისუფალი კაცის წინაშე, — ბოლო ოთხი სიტყვა ცინიკური ხაზგასმით წარმოთქვა პოლკოვნიკ სტეპანცევმა.

— რას გულისხმობთ? — დაინტერესდა საუბრის თემით როკი და ხელები სკამის საზურგეს ჩამოაყრდნო.

— დაბრძანდით, ოდიშელია. მაგალითისთვის ვყვები, უმიზეზოდ როდი მოწმდება პატიმრის პოტენციები მრავალი ასპექტითა და პარამეტრით. ვინ სირბილშია მაგარი, მაგრამ კოჭებამდე წყალი ახრჩობს. ვის ენა უჭრის სამართებელივით, ჭიანურია, თუმცა კი „პრავდის“ ნახევარი არ ჰყოფნის ჩეჩმის ოთხკედელშუა. მართალია, ბევრჯერ აკრძალული ილეთებით ვიჭვრიტებით უადგილო ალაგას, მაგრამ სამაგიეროდ ამით უზუსტესად განიზომება ტუსაღის სუსტი და ძლიერი მხარეები, რათა საჭიროების ჟამს მის სიახლოვეს სასურველ ნიავ-ქარს უხმო, და შემდგომ პატიმრის ყურები და თმა თავისით წაიღებენ ჭერისკენ გახუნებულ უშანკას. აქედან გამომდინარე სრულიად საკმარისია საკანში ერთი გრებენის* მოთავსება. ეს ერთეული დიახაც აკმაყოფილებს ხატას* მოთხოვნილებებს, როგორი მრავალწევრიანიც იყოს იგი, რამეთუ ბაითი* ამ აღნაგობით პოლიანდრიული წყობისაა, მრავალქმრიანი დინასტიისა, მატრიარქატის დროის მსგავსად. საკმარისია საკანში გაჩნდეს მეორე გრებენი, რომ ოჯახიც შაითანის ბაზარივით აირ-დაირევა.

დაესევიან ერთმანეთს ზვერები, დიკარები და ნენცები*, წყალში ჩაგეყრება წლების გარჯა და შრომა. მყისვე იფეთქებს კონკურენცია მოთხოვნილებასა და შესაძლებლობას შორის. როცა გრებენი ერთია, ქვეითდება პატიმრების სექსუალური მიდრეკილებანი, თანაც აქ ჩვენ დიდი რაოდენობით გვეზოგება ბრომი. მსგავს ექსპერიმენტს კი, ცხადია, სამხედრო შენაერთებში ვეღარ დანერგავ და გასაკვირია განა ჩვენი მეცადინეობით გამონთავისუფლებული პრეპარატი ასაზრდოებდეს დღეს ფაქტობრივად კავშირის შეიარაღებულ ძალებს?!

იგივე ითქმის კვებაზეც. ბოლო ათ წელიწადში ჩემის დიდი ძალისხმევით ბურავიკის* ულუფა ექვსასი გრამიდან ოთხასამდე ჩამოვიყვანე დღე-ღამეში და გაჩნდა მშვენიერი იდეა ტალკანისა, ანუ გამორჩევითობა ყოველდღიურ საზრდოსა და სადღესასწაულოს შორის, რაღაც იდეალის ილუზია, რომელიც ხელის ერთი მოსმით ავსებს კვირის მანძილზე, დეკადაში დაკარგულ კალორიებს ორგანიზმისას.

მაიორი გავხდი ამ გამოგონებისთვის. უძრავმა და დაქანავებულმა დღეებმა კი პოდპოლკოვნიკად მაქციეს. პოლკოვნიკად შენს გამო ვეკურთხე, ოდიშელია, როგორც უნიკალური შემთხვევის გონივრულად გამხსნელი. აგრეთვე ჩემი ექსპერიმენტებით სულდგმულობს დაბის მოსახლეობაცა და თვით ქარხანა-ფაბრიკების მრავალრიცხოვანი მუშა-პერსონალიც, რომელთა მეურვეობა ოსტატურად შემითავსებია ძირითადი საქმიანობისთვის.

— წუნს ვერ დაუდებ, — თქვა ისევ ირონიით როკიმ.

— დიახაც. აქაური პრობლემები კბილანებივითაა ერთმანეთში ჩამჯდარი, ურთიერთდამოკიდებული, როგორც საერთოდ სამყაროში ნებისმიერი მოვლენა, ნებისმიერი პროცესი. ეს ყველაფერი პირდაპირპროპორციულ მიმართებაშია ქვეყნის ეკონომიკასთან, მის ბელელთან, მაგრამ არის უფრო რთული მომენტები, სადაც თვალის მეტი დაცეცებაა საჭირო და ხშირ შემთხვევაში თავად მზერაგადმოკარკლული სიარულიც უმაქნისია.

სიცხადისთვის აქილევსის სინდრომზე მოგახსენებ. ნაკითხ კაცთან მიხდება საუბარი და დეტალებში ჩაწვრილმანება უადგილოდ მიმაჩნია. აქილევსის რისხვას მარტოოდენ ბრისეიდას წაგვრა რომ აპურებდეს, რამდენადმე ეშველებოდა საქმეს, მაგრამ, ოდიშელია, ეს მალემსრბოლი პელაზგი, ქალწულებრივად რომ იმოსებოდა მითოლოგიური დეზერტირის კვალობაზე და ყოველნაირად გაურბოდა ტროელების იავარქმნას, ილიონელთა ნათესაობით აიხსნება ლიტერატურათმცოდნეობაში, თუმცა როგორც მომავალ გენერალს გული მიგრძნობს, ძაღლის თავი სხვაგან მარხია, კონკრეტულად კი — აბჯარ-საჭურველში. აქილევსი არ ჰგავს იმ კაცს, რომელიც თუნდაც საფიცარი მეგობრის მოკვდინებისთვის თავზე ნაცარს დაიყრის, მაგრამ საგანგებოდ მისთვის გამოჭედილი ფარ-მუზარადი ჰექტორმა აართვა თუ არა ძლეულ პატროკლეს, ღმერთებმა ტროელებს ზურგი შეაქციეს. ილიონის ბურჯისა და ფეხმარდი აქილევსის შეტაკება პიროვნულ ინტერესებამდე კონ-

კრეტდება, კერძომიზნისეულია, შელახული ღირსების პირმშო. უფრო ძლიერისგან ქალის წართმევა დიდი ბედენა როდია შედარებით სუსტი ადამიანისათვის. სამშობლოს მიტაცებასაც ეგუება მასა და ინდივიდი, მაგრამ, აი, პიროვნულობის, თავისთავადობის, მეობის საზღვრების მოშლას — ნურას უკაცრავად და იწყება გლობალური ჯანყი, ყველა დამცავი მექანიზმის სასოწარკვეთილი თავგანწირვით ამოქმედებისათვის.

შენს გამძლეობათა წყებას ეს ფაქტორი ესაძირკვლებოდა, ოდიშელია. სწორედ ამ მომენტმა აიძულა რასკოლნიკოვი ციხის კედლებისთვის გადაებარებინა სულის გალავნების პირწმინდად ჩამომშლელი დანაშაული თვისი. მოკლედ, მომავალში ერთიასად გასათვალისწინებელია პატიმრებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდების სრულყოფა. კაცისმკვლელის დახვრეტა, ელექტროსკამზე დასმა თუ გილიოტინის ქვეშ დაყენება ვერ ახორციელებს ინდივიდში დანაშაულის ძირისძირამდე გაცნობიერების მომენტს, უფრორე იმიტომ, ბედოვლათი ცოდვილი გაორებულია, გასამებული და, ვინ იცის, რამდენად დაქუცმაცებული რელიგიათა თუ იდეოლოგიების მეოხებით, სახელმწიფო მანქანას რომ შეუმუშავებია საუკუნეების მანძილზე.

მოჭრილად თუ ვიტყვით, სიკვდილისჯილს შიშის იმპულსები იქობამდე გამოწურავს მძლავრი მარწუხებით, მას დროც კი არ რჩება ჩადენილი დანაშაულის ჯეროვნად გაანალიზებისთვის, რადგანაც მატერიალიზმი ეუბნება:

ვერასდროს მოხვალ ამ ცისქვეშეთშიო, წუთისოფელში აღესრულები ერთხელ და სამუდამოდ და ბაღლინჯოსხელა შანსიც არ არსებობს შენი გამეორებისაო.

თეოლოგიის ნაირსახეობანი: ზოროასტრიზმი, ბუდიზმი, ქრისტეს რჯული თუ მუჰამედის მოძღვრება ამსუბუქებენ თითქოს ამ გულისშემკუმშველ სურათს და უფლის ძალმოსილებით ნაწილდები მერე მარადუცვლელ ფენებში, ჯოჯოხეთისაა ეს თუ სალხინობელ-სამოთხისა, მაგრამ როგორი კოშმარულიც გახლდეს ადუღებულ კუპრში ყურყუმელაობა, მაინც სიცოცხლის სკალაზე ხარ, ღვანკალებ, არსებობ ბოლოს და ბოლოს და ამდენად, მოლოდინი გასულდგმულებს, ოდესმე, გნებავთ მილიარდი წელიწადის შემდეგ სასჯელის შემსუბუქებისა, დანაშაულის გამოსყიდვისა.

შეხედე, რანაირ გათიშულობაში ჩაგვიკვეხებია თურმე ეს უბედური ზვარაკი მეოცე საუკუნისა, ჰომო საპიენსი?! აქედან გამომდინარე, შენეული მრწამსი ბოროტებასთან უკომპრომისობის თვალსაზრისით, ერთდროულად ბორკილიცაა შენთვის და კვარცხლბეკიც. გმირის საპარადო მონუმენტიც განაღდებული გაქვს უბირი ბრბოსგან თაყვანისცემის შხეფების სახით და აქვე ოსტატურად გასანთლული თოკიც დაშვებულა შენს დაბეგვილ კისერთან სახელმწიფოს ხელით. მოჭრილად რომ ვთქვათ, ჩვენი ექსპერიმენტული ზონა ფასდაუდებელი აკადემია იყო შენთვის, რადგანაც აწი, ესოდენი კირთების საკუთარ სხეულზე გამომცდელი, შედარებით მოზომილი გახდები და ყოველი სულელური წვრილმანისთვის ქაჯი იქნები ჯოჯოხეთში დურთო თავი.

მოგეხსენება, სასჯელმოხდილი იშვიათად უბრუნდება სტატუს ქვოს*7 მორიგი დანაშაულის შემდეგ, აღმატებული სიმკაცრის ცენტრის კვლევის ობიექტი ხდება და დარწმუნებული ვარ, თუკი მსგავსი რეციდივი ცხოვრებაში შეგვემთხვა, უკვე გააზრებულად, აუცილებლობის შეგნებით შეუდგები ჯვარს შენსას, განსჯილად, აწონილ-დაწონილად და არა — ქუჩური ზერელობით, როცა ჯერ თავია მოკვეთილი და მერე თივაა ბოჩოლასთვის დაყრილი. ასე რომ, ოდიშელია, როდესაც გუშინწინ, გუშინ, ჯერაც გაუცნობიერებლად ხტებოდი ეტნაში,*ამიერიდან მიზანდასახული მიემართები გოლგოთისაკენ და უსამართლობაა მოკვდავმა ამაზე მეტი ჯილდო მოსთხოვო საწუთროს.

ერთსაც გაგიმხელ ჩიტივით თავისუფალს, ამ პროგრესმა შესაძლოა შენს პიროვნებას უფრორე გაუმძაფროს კატეგორიულობის სინდრომი — არა, იგივე არეგების, ტაბუდადებულია...

— ამისთანებს ჩვენში ვაშინერსს ეძახიან, მაადშიდს.

— ოჰ, კარგია, კარგი! ვაშინერს, მაადშიდ. დიახ, ამ ვაშინერს-მაადშიდ რუბიკონის წყალობით უკიდურესობამდე იხვეწება ინდივიდუუმის ზოგადად, ამჯერად კი შენი დამოკიდებულება გარემომცველ სამყაროსთან და მსგავს ვითარებაში, როგორც მოუთოკავ ტიპს, არასასურველს ერთდროულად, კამერის მბრძანებელთათვის, თუ ცხრაკლიტულთა ზედამხედველობისათვის, მშობლიური კოლონიები კინწისკვრით გამოგისვრიან კვლავაც ჩვენი ლაბორატორიების სასარგებლოდ. ასე რომ, მენდე, ოდიშელია, საშენო კოიკა8 უკვე ჭრაჭუნებს რომელიღაცა ზონაში, ჩვენს მეზობლად თუ ზემორე.

— მოქალაქე-უფროსო, — გაბზარული ხმით წამოიწყო როკიმ, — თქვენი მსჯელობანი ადამიანის ბედ-იღბალზე უფრო მეტად მზარავს, ვინემ ერთად აღებული შვიდი წლის ბურები და კარცერები. აქ შემოსვლამდე კაცს ეშმაკის შექმნილი ვუწოდე მე, რომელსაც ყოვლისმომცველი ღმერთი ეხარბება, მაგრამ რანაირი უთანასწორო ბრძოლებიც გველოდეს წინ, არაფრისდიდებით დავიშურებთ ჩვენ აჯანყებულ სხეულებს ჯიშ-ჯილაგის სიწმინდის გადასარჩენად.

— არის აქ კიდევ ერთი ნო, ოდიშელია. კარანტინის დღეებში შენი წელშიმოუხრელობა საკუთარი ნებით, რაც საერთოდ პროსტატიტის ჯირკვლის მდგომარეობის გამოსაკვლევადაა მოგონილი ჩვენს მიერ, ამოუხსნელი, ბურუსით მოცული დაგვრჩა. ჩვენ მის გამოსარკვევად ათასი საშუალება მოგვეპოვებოდა ვულგარული ბოთლიდან მოყოლებული, მაგრამ შენი ტიპაჟი ბოლომდე სრულყოფილი რომ შემენარჩუნებინა და თვითნაბადი ხასიათი ძირისძირამდე ამომეცნო, საქმე არ გაგირთულე.

როკი ზამბარასავით წამოიმართა კაცუნას თავსზემოთ.

— აი, ხომ ხედავ, შენი ჩიტივით თავისუფლება როგორ ნავარდობს ექსპერიმენტულ ზონასა და ზეექსპერიმენტულს შუა?! აქამდე, ოდიშელია, შე-

ნი წარმატებების საწინდარი უბადლო ალღოიანობა იყო: სანგვინიკისათვის ნიშანდობლივი სიტუაციის სწრაფი შეფასებისა და ელვისებური გადაწყვეტის უნარი. ეს იგივეა, რაც მაკედონელს საუკუნეში ვერგასახსნელი გორდიას ნასკვი რომ მიართვეს და მანაც კვანძების განთავისუფლების ნაცვლად თვალისდახამხამებაში აკუწა ქურუმების ნაჩხიბი წინალობა მსოფლიო ბატონობის გზაზე: ან კიდევ ბონაპარტეს კვერცხი რომ დაუდეს წინ წვეროზე შესაყენებლად და ნაპოლეონმაც უმალესად დააკოსა იგი ფიცხელი ბუნების წყალობით. შენც, ოდიშელია, ამგვარი უპირატესობების გამოისობით უსხლტებოდი ხოლმე ხელიდან საგანგებოდ დაგებულ ხაფანგებს, მაგრამ ვნახოთ, მომავალში როგორ მორიგდება წუთისოფლის „კი“ და შენი — „არა“.

ახლა ზონიდან რომ გადიხარ ჩიტივით თავისუფალი, მიპასუხე გულწრფელად, როგორ ახერხებდი სამიათასექვსასი პატიმრისათვის ბურის საკნიდან გეკარნახა?! რა ხანია ზონაში არ გიშვებდი. ბურში ქურდის პალაჟენიაში8 იმყოფებოდი, აქედან არჩევდი ზონაში მომხდარ კონფლიქტებს და ინცინდენტებს. რამდენი ქსივა* დავიჭირეთ შენი. ორმოცი ეროვნების ხალხი თვალებში რომ მოგჩერებოდა რუსული ენის თითქმის უცოდინარს, რა ჰიპნოზს უკეთებდი ისეთს, რა მალამოს უსვამდი?! შენამდე ქურდის პალაჟენიაში მყოფი ორი არესტანტი* დაბრიდეს*. მართალი გითხრა, წავუყრუე და მკვლელი ვერ მოიძებნა, რადგან ისეთი პარაზიტები მომაშორეს, პირიქით, კვალის მიჩქმალვაში მივეხმარე ძიებას. შენ სრულიად ახალგაზრდა მოხვედი ჩვენთან. შენს საბუთებს კარანტინში გასინჯვის დროს, მერეც მრავალგზის რომ გადამითვალიერებია, საქართველოს სამმართველოს ოპერ-ნაწილის დახასიათებაც ახლდა, რომელიც დღემდე დამამახსოვრდა:

საქართველოს უამრავ ციხესა და კოლონიაშია ნამყოფი, უკან არცერთი ღებულობსო. სამ ზონაში იყო ქურდის პალაჟენიაში და სამივეგან გადატრიალება მოახდინაო. გამოირჩეოდა სევეპეს* წევრების მიმართ სისასტიკითო. იყო მსხვერპლი და მატერიალური ზარალიო. ქურდული მასტიაო*, ფიზიკურად ძლიერი. ხელჩართულ ბრძოლაში შეუდარებელი და ჭკვიანიაო. მიდრეკილება აქვს მკვლელობისაკენო. შიშის გრძნობა საერთოდ არ გააჩნიაო.

გავიდა წლები და იქ, საბუთებში, რაც გეწერა, სრული ჭეშმარიტება აღმოჩნდა. მოგვიანებით იმ დახასიათებას ჩვენი მხრიდანაც წაემატა რაღაცრაღაცები. მოსვლა და ორ თვეში ზონა დაითრიე. ვინც ზონას უყურებდა გავარვარებული კაჩერკით8 დალეწე, ვითომცდა მე მეხმარებოდა, ჩემი კაცი იყო.

აქ როკიმ შეაწყვეტინა.

— შენი სტუკაჩი8 რომ არ ყოფილიყო, იმას ზონაში გააჩერებდი? შენი დავალებით ცემდნენ ხალხს სამუშაოზე გაუსვლელობის გამო და მიიღეს კიდეც თავიანთი. დაე, იმუშაონ დათვებმა და სპილოებმა. ოფლისღვრა რომ

მდომებოდა, გარეთ გავირჯებოდი ფულზე, სუფთა ჰაერზე, აქ რომ წელებზე ფეხი არ შევიდგა მუქთად. ჩემი ნაჯაფარ შენ ზონის გეგმა შეასრულო და წოდება რიგგარეშე დაირტყა?! არ გამოვა! ჩემისთანა ჭკუის კაცისგან შენ თავის ტკივილის გარდა ვერაფერს მიიღებ.

— ამიტომაც არ გიშვებდი ზონაში, რომ იქაც გადატრიალება არ მოგეხდინა, — ჩაერთო სტეპანცევი, — გაიხსენე რამდენჯერ მქონია შენთან საუბარი მოწმის თანდასწრებით. რა არ შემოგთავაზე:

დაანებე ამ უბედური ქურდული იდეით ცხოვრებას თავი-მეთქი. ზავხოზად* გიშვებდი. ზონის კომენდანტს ვხსნიდი, შენ მაგის ადგილს გთავაზობდი. ეს ხომ იგივე კოლონიის მეორე უფროსია?! ნარიადჩიკობა შემოგთავაზე, საუკეთესო თანამდებობა პატიმრობაში, სასადილოს გამგეობაც, მაგრამ შენ ხომ აკრძალული გაქვს ქურდული კანონით ადმინისტრაციის ნებისმიერ წინადადებაზე თანხმობა?! მაინც არ მიპასუხე შეკითხვაზე, როგორ ახერხებდი ბურის საკნიდან სამიათას ექვსასი პატიმრის კარნახს?!

— მიკვირს შენგან ასეთი გულუბრყვილობა. როგორ გგონია იესო ქრისტე იქნებოდა ესოდენ პოპულარული ხალხში, ჯვარზე რომ არ ეცვა პილატეს?! ფიზიკურად რამდენადაც ამდაბლებ ადამიანს, იმდენად მაღლდება იგი სულიერად. ცხადია, ეს ყველაზე არ ითქმის. საქართველოსა თუ თქვენთან, ჩრდილოეთში, ყოველი კარცერი, დაკეტილი და ბური მე ლეგენდებით მმოსავდა. ჩემი სახით ეს თქვენ და თქვენისთანებმა შეუქმენით პიროვნება არესტანტებს, რომლის ყოველ სიტყვას კანონის ძალა მიენიჭა.

— პანტერა ვიცი რატომ შეგარქვეს, მაგრამ როკი თუ ნიშნავს რამეს თქვენებურად?

— როგორ აგიხსნა, წარმოგიდგენია ხე, რომელიც ნაჯახს არ იკარებს, არც — დანას.

— ძელქვა?!

— კიდევ უფრო ფიცხი და მიუდგომელი. ახლა რაც შეეხება წელანდელ შემოთავაზებულ თანამდებობებს. მოქალაქე-უფროსი, ამისთანა თბილ ადგილზე თანხმდება კაცი, ვისაც ნებისყოფა, ამტანობა ღალატობს და კუჭის ჭკუაზე დადის. ოღონდ ახლა იცხოვროს და ხვალინდელ დღეზე არც ფიქრობს. იცი თუ არა აქიდან გასული თქვენი დაწინაურებული ხალხი რა დღეშია?! ქუჩაში ვერ გასულან შიშით. დაფეთებულებს მუდმივი ჰალუცინაციები სჭირთ. ყველა შემხვედრი, გამვლელი და გამომვლელი, მტერი ჰგონიათ. ღამით სახლში რომ დაუძახო, თვითონ ოთახში ჩაიკეტებიან და ცოლს გამოაგზავნიან. ასეთი კატეგორიის ხალხი ცოლს კი არა შვილსაც გასწირავენ, ოღონდ საკუთარი ტყავი გადაარჩინონ. იმდენი ცუდი აქვთ ზონაში გაკეთებული, სულ მიქელ-გაბრიელი ელანდებათ. მე კი კავშირის ნებისმიერ კუთხეში ლაღად ჩავდივარ. ყველგან მანქანებით და პურ-მარილით მხვდებიან. ქუჩაში რომ მივდივარ, აქეთ-იქით როდი ვაცეცებ თვალებს, რადგანაც ამისი მიზეზი არა მაქვს. რაც შეეხება ქურდულ კანონებს და იდე-

ებს, იმიტომ ვუჭერ მხარს, რომ ვაჟკაცურია, სამართლიანი და ალტერნატივა არ გააჩნია, თორემ სწორად რომ იცოდე ჩემი ნატურა, მე ის კაცი არა ვარ სხვას მივბაძო რამე არასწორ ქმედებაში. ჩემთვის სულ ერთია, ეს იქნება გლეხი, მუშა, ახალგაზრდობის გვერდში მყოფი ინტელიგენცია თუ ქურდი. აქ ჩამოთვლილ კატეგორიის ხალხს მე ყველას პატივს ვცემ. ჩემს თვალში ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი გზაზე გადამიდგება და შორსგამიზნული პირადი ინტერესით ჩემს დაჩაგვრას, ჩრდილის მოყენებას ეცდება, მე ვფიქრობ ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ უწერია, რადგანაც ვარ სუფთა კაცი, ყველას პატივმცემელი და დაუმსახურებელ საყვედურს მე არ ვღებულობ. იმწუთასვე სწრაფ ანალიზს ვუკეთებ ჩემს მიმართ ნათქვამ ყველა არასწორ სიტყვას, რასაც მოჰ ყვება სწრაფი რეაგირება. თავდაცვის ყველაზე კარგი მეთოდი შეტევაა, თქმულა, რასაც არასდროს უმტყუნია ჩემთვის. თავის ქება კიტრად არ ღირს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. რახან გახსნილი საუბარი გწადია, აქაც ბოლომდე წრფელი ვიქნები შენგან განსხვავებით. ხომ ვიცი საითკენ უმიზნებ. არც მეკითხები, მაგრამ სულით და გულით გინდა გაიგო, თუ რა აზრის ვარ თქვენს ექსპერიმენტულ ზონაზე. ჩემი პასუხი მკვეთრი და მარტივია, სტეპანცევ!

თქვენი ექსპერიმენტი ბლეფია, არაოფიციალური კონცლაგერი.ზედა ეშელონებში ცნობილი არ არის თქვენი თავნებობა, ან თუ არის, რაღაც გამორჩენის მიზნით წაგიყრუებენ. თქვენ ჩვენი კანონების მიხედვით ვინ მოგცათ უფლება დროებით იზოლირებულ ადამიანებზე ექსპერიმენტი ატაროთ?! პატიმარი თქვენ ბოცვერის დონეზე მიგიჩნევიათ, ცდებქვეშ რომ აყენებენ. ეს არაადამიანური თქვენი რეჟიმი ხელოვნურია და დასაღუპავად განწირული. თქვენებური მეთოდებით წამებანი პატიმრის წესდებაში არსად წერია, თქვენს სამმართველოს ფარგლებს არ სცილდება, ამიტომაც არის თქვენთან ფაციფუცი, როცა მოსკოვიდან კომისია ჩამოდის წელიწადში ერთხელ, ან ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გესტუმრებიან, დიდის ამბით გვაფრთხილებთ, არაფერი წამოგცდეთ, თორემ ისინი წავლენ, ერთ დღეში ხომ არ მოგვხსნიან და მერე გაგისწორდებით, ჩამოგწერთო და არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა ასეთი, თქვენი პრესხატის* ხალხის წყალობით. თქვენ სამმართველო წინასწარ გაცნობებთ კომისიის ჩამოსვლას, რადგანაც რაიმე გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში იმათაც მოხვდებათ ცხვირში. სამმართველოს ხალხი და თქვენ ერთი ოჯახის წევრები ხართ. ისინი წაუყრუებენ თქვენს ექსპერიმენტებს, რადგან ეს მაგათ წისქვილზე ასხამს წყალს. თქვენთან ზონაში წესრიგია, ვინაიდან ნებადართულია ნებისმიერი მეთოდით იმოქმედოთ. სამმართველოს ხალხი წოდებით წინ მიიწევა თქვენი ექსპერიმენტების წყალობით, მაგრამ თუ ფეხი დაგიცურდათ, გენერალი ლიახოვი ხელს არ შეგაშველებთ და ჩაიძირებით.

ის იტყვის: თურმე დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, არაკანონიერი მეთოდებითო. იტყვის: ნაღდი დასასჯელნი არიანო.

თქვენ თქვენი ექსპერიმენტებით ცეცხლს ეთამაშებით და ბეწვის ხიდზე მიდიხართ, სტეპანცევ! რაც დღეები გადის, მით უფრო შიშის გრძნობა გეპარებათ, მაგრამ თავს ძალას ატანთ. მიტომ არის დღეში სამჯერ თვრებით და პახმელიას ბურავიკებზე გამოდიხართ. თქვენს ამ სისუსტეებს, ჩვენ, პატიმრები, მშვენივრად ვატყობთ ხოლმე, როცა კომისია ჩამოდის რა დღეშიცა ხართ, როგორ გიკანკალებთ ხელები, შიშისგან როგორ აცეცებთ თვალებს. ბედი იმაში გწყალობთ, რომ აქ თქვენი ზონის სამიათას ექვსასი პატიმარი სეეპეს წევრია. ჩვენ თქვენი გვარის ხომ არა ვართ და თქვენს არაკაცურ ენაზე ხომ არ ვილაპარაკებთ?!

მოკლედ, მოვრჩეთ ბაზარს, მომიწერე ხელი! მეწყერს, მეწყერს-მეთქი თქვენცა და თქვენი ექსპერიმენტული ზონაც!

კოლონიის გასასვლელს ორი თეთრი და ერთიც შავი „ოცდაოთხი“ მოსდგომოდა. ნახევარ მეტროზე გამოღებულ რკინის ფურცლებისგან შეკრულ, ალაყაფის მძიმე კარებიდან როკის არ გაჰკვირვებია დამხდური შვიდეული. მისი რანგის პიროვნებისთვის ასეთ პატივს სულაც არ ეთქმოდა განსაკუთრებული. ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა ოდიშელიას როგორი სისწრაფით ვრცელდება ამა თუ იმ ასსის სუფთა ჰაერზე გამოსვლა.

ჯერ კიდევ თავისუფლების გუჯარის მოხელეთებამდე საკნის კედლები გულმოდგინედ აკაკუნდებიან და მორზეს ანბანივით შემოატარებენ წუთში სასჯელმოხდილის გაფრენის ამბავს ოთხიათასსულიან კოლონიაში. აქედან მოყოლებული ინფორმაცია ფიქრზე უსწრაფესად აედევნება ბოძებზე დაჭიმულ ტელეგრაფის მავთულებს, საზიდრებითა და „პოლტარატონკებით“ გაიკვლევს გზას დაბისკენ, ოლქის ცენტრისკენ; შთამომავლობის გადასარჩენად მდინარეთა სათავეებისკენ დაძრული ორაგულების ქარავანივით მიიკაფავს ბილიკებს დიდი ქალაქებისკენ და რაღაც დღე-ღამის განმავლობაში შენებურები უკვე ჯამჭურჭელს აჩხარუნებენ ჯურღმულიდან ამოღწეული შვილის ღირსეულად დახვედრისათვის.

აწონილ-დაწონილია ყოველი წვრილმანი. როგორც წესი, განსაკუთრებული შეფერილობის მანქანა შენს გამგებლობაშია, ოღონდ მგზავრობისას შუაში მოგიმწყდევენ და ასე, თავისუფალი საძმოს ხელებს მინებებული, მიქრიხარ დათოვლილი ნაძვის ხეების ღრმა კალაპოტში.

მუჭისხელა დაბის მღვრიე სასადილოს ზეიმის ხანა დასდგომია. ოფიციანტები ქათქათა ხალათებით შემოსილან. გამქრალა ჭუჭყი და მტვერი ფუნდუკის კედლებიდან, ჭერ-იატაკიდან. კრიალებენ თეფშები და ჩანგლები. პატარძლებივით მორთულან მაგიდები — რომელიღაცა ასსის აზატობის დღეა და ყოველი კაპიკი ხარს დატოლებულ გომბეშოსავით ათ მანეთამდე იბერება, ფაფხურობს, ფეხს გამოჰყოფს დასაჭედად, მეც ნახირ-ნახიროო. მაგრამ

აქ არ არსებობს დანახარჯის მოთხოვნები, არც საანგარიშოს კენჭები ჩხაკუნებენ ფოლადის ჩხირებზე, ჩარჩოს მარცხენა კედლის მიმართულებით. არავის წამოცდება დამრგვალებული ციფრი, წამატებული თუ წაბევრებული. აქ ყველაფერი წინდაწინვეა ნავარაუდევი, გნებავთ სულაც ჩაიფუშოს ასსის გამონთავისუფლება. ჩამოშვებულია ვიტრინებზე სქელი ფარდები. სასადილო სანიტარულ ორშაბათს გამოაცხადებს, გნებავთ პარასკევი იყოს თუ კვირა და სიურპრიზის მოლოდინში ცერზე ტრიალებს დიდ-პატარა.

აგერ, საძმო სუფრას უსხედან დოსტები. შემკვეთის სცენარით აფუსფუსდება ფუნდუკი და დამხვედრთა მეთაური ვასია ზატოჩნიკივით გამომგონებლური ნიჭით ცხებულიც თუა, თავისუფლებამოპოვებულს მრავალი ბედნიერი წუთი ელის კვლავაც.

პურ-მარილის უვერტიურა ბურის სიუჟეტისაა: ალუმინის ტოლჩები შემომწკრივებია სამაგონით* ავსებულ მომწვანო ფერის წაგრძელებულ სამლიტრიანს. ტანკენარ ოფიციანტს დიდრონი სინით შემოაქვს რაღაც განსაკუთრებული კერძი, რომელიც საგულდაგულოდაა დაფარული ქათქათა ხელსახოცით.

— რა უნდა იყოს პანტერ, ამ ლანგარზე? — გამომცდელად ეკითხება სუფრის თავში მოკალათებულ მეგობარს მრავალნაცადი ზატოჩნიკი და თითოეული ცნობისწადილით იძაბება.

თვალჟუჟუნა სვეტლანას არსებობაც გადავიწყნიათ. ძმაკაცს მიჩერებიან, უკეთ მის ინტუიციას, ალღოიანობას უსინჯავენ ფხას: ჯოჯოხეთიდან ამოღწეულს ხომ არ დაჰკარგვია ძველებური გეში; ხომ არ უმუხთლა მიხვედრილობამ. სხვა იარაღი მისთვის ისედაც აუყრია ბუნებას. თუკი ლანგრის ხელით მოსინჯვა მოიწადინე, უკვე სანახევროდ დაცემული ხარ, უკვე სანახევროდ გიწვნევია მარცხი და კერძის მოფათურების მერმე მისი ასავალ-დასავალი უზუსტესადაც რომ ამოიცნო, გულში სინანულის ჭავლები მოუმრავლდება ყველას, რადგანაც აშკარაზე აშკარაა — აუტანელმა შვიდმა წელიწადმა, ბურების მარწუხებმა თუ კარცერთა წნეხებმა, საკმაოზე მეტად გამოგაჟეჟჩეს, წაგრტაცეს თვითნაბადი გუმანის უცილობელი სიბასრე, განახევრებული ხარ სამომავლო საქმეთათვის და მშობლიურ კერასთან ჩამოქვეითებამდე რამდენიმე დღით ჩაგასწრებს მოტეხვის დასანანი საგა. ოდიშელიას გონებაში კი ელვის უსწრაფესად გაირბინეს საგნებმა და მოვლენებმა:

სტეპანცევის თავს ნამდვილად ვერ მოართმევდნენ მეგობრები, რადგანაც ის კვახი ჯერაც მკვიდრად ამშვენებდა კოლონიის უფროსის კაფანდარა ტანს. არც ქუჩაში დაჭერილი ნაგაზის რბილოვანების შემოთავაზებისთვის გაირჯებოდა ზატოჩნიკის მენცარული გონება, იქ, ტყისმჭრელებთან, გიგანტი ნაძვების კოჭებთან დანთებულ ცეცხლზე რომ ააშიშხინებდნენ წკირებზე წამოცმულს და მერმე მთელი ღამე ეკალშესეულ სიზმარში გეყმუილებოდა ან მარჯვენა ფეხი მესრისკენ გაგირბოდა წერასატანილ ქოფაკის

მსგავსად. ათი წამიც არ დახარჯულა როკის გონებაში ამ განსჯისათვის.

— ტალკანი, — თქვა მან და თოთხმეტწლიანი ჩვევის შესაფერისად წვერწართმეულ სახეზე ჩამოისვა ხელი.

ფეხზე წამოიშალა მასპინძელთა ექვსეული. გადაკოცნეს, მხარზე ეამბორნენ.

ზატოჩნიკმა ღიმილით შეავლო თვალი ტილოსგან შეკერილ ტოპრაკს. არც მაგრად შემოჭერილ ზონარს შეხებია კბილები. მაგიდაზე დადებული სინი ხელის მოძრაობით გაატანინა ოფიციანტს. რაღა დროს დღესასწაულებში სატკბარუნებელ ტალკანზე ფიქრია?!

ასსების განთავისუფლების ამბის გავრცელების შესახებ მეტნაკლებად მოგახსენეთ ზემორე. დაახლოებით იგივე ითქმის ზონაში მათ შემობრუნებაზეც, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ თუკი პირველ შემთხვევაში გამოღწევის ინფორმაცია ფართო მასშტაბისაა და ლამის მთელს შავ სამყაროს მოიცავს, ამჯერად მისი საზღვრები შედარებით ლოკალიზებულია და ოდესღაც ლაღი სადავეები ძირითადად მაკონტროლებელი ორგანოების ხელთაა. ცნობის გაჟონვა დასაშვებია ამ უკანასკნელთა დოყლაპიობის თუ მამონასმოყვარეობის წყალობით, ასევე იმ მსტოვართა მეოხებითაც, რომლებიც ქურდულ სამყაროს ანგარიშგასაწევი რაოდენობით ჩაუსვამს ფარაონთა რიგებში.

რაც შეეხება ემიგრანტი პატიმრების სავიზიტო ბარათების მუხტს, აქაც დიაპაზონი განაპირობებს ყოველივეს — ვეშაპებს ადეკვატური გაბარიტის ამბავი ჩაასწრებს ზონაში, ხოლო ლიფსიტებს თავად უხდებათ სამშობლოს ცხრაკლიტულებში რუდუნებით მოპოვებული სახელების სიზიფესავით მთის მწვერვალზე მერამდენედ აგორება.

ოდიშელიას ნაჯდომობა ჯერ კიდევ ძუძუმწოვრულად მიიჩნეოდა. ეს იგივე იყო, რაც გიჟმაჟი თერგის გადამცურავი ლენას დამდოვრებულ, მაგრამ უკიდეგანო მდინარებაში შეგაგდონ და შენც იძულებული ხარ ძალღონე გამოიზოგო, მკლავების მოძრაობა მის ბუნება-ხასიათს შეუსაბამო, მარათონელი ბრძოლისთვის განეწყო, რადგანაც სამშობლოს სატუსაღოებიდან შენი გამოძევებისა და ჩრდილოეთში განმწესების მოტივები ჯერაც არ ჩამოქანდაკებულა ლეგენდების დონეზე.

შენი შვიდწლიანი პატიმრობა, როგორი მშფოთვარეცაა იგი, ასსების კასტას სასაციოლოდაც არ ეყოფა. მოკლედ, უმეტეს შემთხვევაში ადგილმონაცვლეს წყალში ჩაგყრია პერიფერიული გმირობანი, ნულოვანი წერტილიდან გიხდება სახელის მოხვეჭა, მაგრამ ქუდბედი თუ ხარ, უფალს აქაც გაახსენდები და ისეთნაირად წარგიმართავს საქმეებს, შთამომავლობამ მართლაც მითების სიმაღლეზე აიტაცოს შენი წარმოთქმული ყოველი ფრაზა, წარბის თუ ხელის თითოეული მოძრაობა.

საკანი, რომლისკენაც ექვსდღიანი კარანტინის შემდეგ მაჯებდასივებულ ოდიშელიას უბიძგებენ, ბურავიკების იზოლატორადაა ცნობილი. ჯერ

აქ კარგად დაგამუშავებენ, ზონაში მხოლოდ მერმე გადაგიყვანენ. დერეფნის გაყოლებაზე ჩამწკრივებულ ბურავიკების სამფლობელოში, თხუთმეტამდე საკანში, სამასამდე ძნელადმოსარჯულებელი პატიმარია შექუჩებული, დაახლოებით რვა-ცხრა პროცენტი განსაკუთრებული ექსპერიმენტული ზონის მკვიდრისა და შენი ბუნების ევოლუციური გახსნისათვის დრო თითქმის ამოწურულია, რადგანაც მთუთქავი ცეცხლით დაზაფრული უფრორე გათარანებულ საკირეთში ენარცხები. ნაბრასლეტარი მაჯები დოლაბის ქვებივით დაგმძიმებია. დილის საუზმე მოსტუმრებულია. სამათხოვრო ოთხასი გრამი შავი პური შენთვისაც მოუჩეჩებიათ. შიმშილის გრძნობა ზედმიწევნით გადაუფარავს გარუმბული მაჯების კივილს და სანამ მისაყრდნობელ ნაპირს მიადგებოდე ოცი თავზეხელაღებული ბურავიკის საუფლოში, ,,პანტერ, ვალერიანოვიჩ''-ის ლუღლუღით ძმაკაცი ზატოჩნიკი გეხვევა და განჯღრევს, თავად კი საპირფარეშოსკენ მიექანები მოწყვეტით, რათა წყლის ცივი ნაკადით გაინელო გავარვარებული კიდურების ყმუილი. წყალი სანახევროდ ამცირებს აუტანელ ტკივილთა წყებას და შენი გუნება-ხასიათიც სწორედ ამდენით მოიცლის ბურავიკების ყოფა-ცხოვრების მოსახილველად. კარანტინის შემდეგ იზოლატორში გადმოფანა ეკლისგან განთავისუფლებული ქუსლებით მგზავრობის ტოლფასია. მართალია, საკნისგან განსხვავებით აქ ზამბარებიანი საწოლი არსად ჭაჭანებს, თუმცა სარეცლის მაგივრობას ბუშლატი გაგიწევს და კარცერში თექვსმეტი საათის ფეხზედგომისგან ქანცგაწყვეტილს ზედ გაგორება სამოთხე გგონია. ბურავიკების საკანთა კედლები თხელია და ხმაგამტარი. სამასკაციანი მათი სამყარო ექსტაზით მისცემია დაჯარიმებულ, მაგრამ ქედუდრეკელ ცხოვრებას. არის გადაძახილები:

— მეექვსე ხატა, ტარიანი* გაგვიჩალიჩე!

— ტრინადცატი, პადგანიტე ბაიან!*

— პანტერა პრილეტელ! მეცხრე, მეცხრე, ერთი მოდუღება ჩიხნარი!*

— როგორ? რანაირად? — ეხმიანებიან იქიდან და კვლავ პასუხად, — პადგონიმ განცა,* — ანგარიშგასაწევია იზოლატორის მოთხოვნები.

საპირფარეშოს მოშორებით ადუღებენ ზანგელა ჩიფირს* პანტერასათვის. მათ ხელმარჯვნივ ყომარბაზობენ სხვები, მიღმა კი სუსტად აღიქმება ვიწრო სარკმლებით ჩარუხებული საკნის სიღრმე.

ნახევარ საათზე მეტია მაჯები არ მოუცილებია მოშვებული ონკანის ნეტარი ჩხრიალისთვის ოდიშელიას, მაგრამ ალაგი, სადაც მრისხანე მეფენიც კი თავიანთი ფეხით დადიან, შესაძლოა სხვასაც მოესურვოს და ახალმოსახლეს კოლხური თავმოყვარეობა აიძულებს ცოტა ხნით მოაშოროს მასულდგმულებელ ოაზისს თაკარა უდაბნოს დიუნებისმაგვარი მაჯები.

პირველი, როკის მაჯათა მცხუნვარებით ვინც ინტერესდება, იზოლატორის ავტორიტეტი ვასია ზატოჩნიკია — სახენაიარევი, ქერათმიანი ახმა-

ხი შრატისფერი თვალებით. დახედავს მრავალნაცადი სვოიაკი*დალურჯებულ, გაუპატიოსნებელი ცხედარივით გაზიზინებულ ხელებს და კბილებში გამოსცრის:

— ტფუ, ტვარი!*

ამ მრავლობით ჯილდოში ზონის უფროსი, მაიორი სტეპანცევი იგულისხმება დამქაშებითურთ. მერმე მხარს ზემოთ მიატრიალებს თავს. ჰიპნოზური მზერა იპოვის სასურველ ბაქანს და მის ადგილსამყოფელს ლისი სამ ნაბიჯზე მოუახლოვდება.

— ნემსი! — დაავალებს და თვალს თვალში გაუყრის ნახევარი საათის წინ იზოლატორში შემოგდებულ მეგობარს.

— ძვალი თუა მთელი, პანტერ?! — თანაგრძნობა ეხატება სახეზე ზატოჩნიკს!

როკი გაყუჩებულია რამდენიმე წამს, მაგრამ არც უპასუხობა ივარგებს და ყრუდ ამოიხრიალებს:

— გამივლის, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება.

— დღეს ჩვენი რიგია, სტეპანცევის ხალხი გადაგვივლის.

— წიწილებს შემოდგომით ითვლიან, — ამბობს ოდიშელია და მასპინძლის ზურგს რადიატორთან დაგებული ბუშლატისკენ მიჰყვება.

— დოქტორს მიხმე! — ავალებს ზატოჩნიკი ადევნებულ ლისის და რამდენიმე წუთში ავადმყოფური სიგამხდრის წოწოლა კაციც მათ გვერდით გაჩნდება.

— დოკ! — ანამუსებს ახალმოსულს ზატოჩნიკი, — კარგად გასინჯე, სტეპანცევის ბრასლეტებისგანაა!* ძვლები საღსალამათი თუ შერჩენია, ეგერ ნემსი და დატრიალდი შენებურად!

დოქტორი ჩაიმუხლებს ბუშლატზე მოკალათებული როკის წინაშე, მაჯებზე წაავლებს ხელებს, სახსართან შეატრიალ-შემოატრიალებს. მავთულწაჭერილი ტოტის მსგავსია ოდიშელიას ზედა კიდურები, ოდესღაც თეთრეულის გასაფენად რომ გააჭიმვინა დიასახლისმა აივნის სვეტსა და შტოს შუა, მერე დროთა ვითარებაში ხემ იმოზვრა, შეიუჩინარა მავთული. როდისროდის მიასხიპეს ზედ, მაგრამ მისი ფარული მოქმედება ძალაში დარჩა და გადმოფოშფოშდა მერქანი, გადმოფუვდა ცომივით. როკის საქმეც დაახლოებით ასეა, იმ განსხვავებით, რომ ჩავიწროვებულ სივრცეს სულისმხუთავი რგოლი შემოცლია.

— მგრძნობელობა სავსებით დაუკარგავს, შესაძლოა გაუშეშდეს, — ეუბნება ზატოჩნიკს დასტაქარი.

— ნუ პროფესორობ! აიღე ნემსი და საქმეს შეუდექი! — ზატოჩნიკი კატეგორიულია.

დოკი მლოცველი ინდუსის პოზაში მკერდზე ხელებს მოაყრევინებს ოდიშელიას, დაწვდება ნემსს და ჯერ მარჯვენის ჩხვლეტას მიეძალება, მერე — მარცხენისა.

დასტაქრის საქმიანობას თითების მოძრაობითღა აღიქვამს როკი. ორმოცდაათჯერ დაეშვება მბზინავი ლითონი მარჯვენაზე და ამდენივეჯერ — მის მეზობლად, მაგრამ ასეული ნესტარი ერთხელაც ვერ შეატოკებს, თითქოს ცოცხალი ადამიანის ხელებს კი არა ადრეულ გაზაფხულზე მოჭრილი არყისხის მორს მსჭვალავენო.

ამასობაში დერეფნიდან ყრუდ ახმიანდება ნალებიანი ჩექმების მწყობრი ნაბიჯები. ტალანი ექოსავით უკუაგდებს ნაგაზების გამყივან ხაფხაფს, უკუაგდებს და ამრავლებს ერთიასად.

— მოდიან! — თავს ასწევს დოკი.

— მოდიან და მოვიდნენ! — კბილებში გამოსცრის ზატოჩნიკი.

ბუშლატზე წამოწოლილი ოდიშელია უნებურად წამოიმართება, მისი მდგომარეობის კაცისთვის მისატევებელია იზოლატორის თავადურ ლოგინზე ნებივრობა, მაგრამ როკი უკვე მეწინავეთა რიგებშია.

გაიღება კარმუშკა და მაიორ სტეპანცევის კვადრატული თავი გამოჩნდება ზურგსუკან ხელჯოხიანი ჯარისკაცების ოცეულით.

— გააღე! — უბრძანებს იგი მორიგეს. მალე იზოლატორის სიღრმეში მოიწევა.

ზედგამოჭრილი კაცუნაა. ოდიშელიას უკვე ჰქონდა ბედნიერება ახლოს გასცნობოდა ამ მაჯლაჯუნის ექვსდღიან მწვალებლობებს, მაგრამ მკითხველისთვის ნათელი რომ შეიქმნას ზონის უფროსის გარეგნობის ავლა-დიდება, მის აღმატებულებას კალმის ერთ მოსმას ვაკმარებთ:

სათვალეზე სათვალე წამოუკოსებია ქაჩალს და თვალები შეჭირხლული მინიდან მბჟუტავ ნათურებივით მოუჩანს. სიფიცხე-სიმკვირცხლე არ აკლია მის მოძრაობას, მაგრამ ჯარისკაცებით ზურგგამაგრებული ისეთი თავდაჯერებული ნაბიჯებით მიმოდის იზოლატორის ბინადართა შორის, ბოროდინოს ბრძოლების ქუდმოშვლეპილი გმირი გეგონება შორეული კორსიკიდან.

— ააა, შენც აქა ხარ, ოდიშელია?!

— და გრაჟდანინ-ნაჩალნიკ! — ზანტად პასუხობს როკი.

— მომახსენე, რამდენი კაცია საკანში, ვინ არის მორიგე?!

— რუსულად ვეღარ ვითვლი, — ვითომ ოხუნჯობს ოდიშელია, თუმცა ვაი, ასეთ ოხუნჯობას. გრძნობს ქოთებს ვეღარაფრით აიცდენს, არადა, ხომ აკადრა ბითურმა, მომახსენეო?! ამაზე მეტი შერცხვენა იქნება საპატიმროში?! რაღაც განსაკუთრებულს უკირკიტებს მისი გონება. ამ სამასკაციან ბურავიკებში და კიდევ ექსპერიმენტული ზონის სამიათასექვსასიან თხლეობაში არავინ უწყის მისი პიროვნების ავანჩავანისა. სამშობლოს სატუსაღოებში გარდახდილ კოშმარებსა და ფათერაკებზე რამდენიც იყბედოს თავად, ვინ მიუგდებს ყურს?! საკუთარი თმის მოქაჩვით ჭაობიდან ცხენიანად ამოხტუნებულ ბარონ მიუნჰაუზენის დონეს ვერაფრით გაცდება და ვიდრე ჯარისკაცები დუბინკებით დაერევიან საკნის ცენტრში თავმოყრილ ბურავიკებს, რაღაც გაუგონარს ეპოტინება. ჯერ ერთი, საარაკო ქმედებით ორ კურდღელს დაი-

ჭერს ერთდროულად: პირველ რიგში ჯავრს ამოიყრის მაიორ სტეპანცევის ექვსდღიან ექსპერიმენტებზე; მერმე მთელს ზონაში ლეგენდარულ სახელს დაიგდებს, მოკლედ, სანამ საპატიმროს უფროსი როკის განზრახულს იყნოსავდეს და ჯარისკაცების ალყას ტანზე ჯავშანივით მოირგებდეს, უგრძნობელი მარჯვენა გამეტებით ამოეკერება ყბაზე და მაიორ სტეპანცევიც აირით დატენილ ტიკინასავით წამოიწევა იატაკიდან; წამოიზრდება, მიჰყვება და მიჰყვება დარტყმის ტრაექტორიას, დამსხვრეული სათვალეები უკვე იატაკზეა ჩამოცვენილი. ის კი კვლავაც განაგრძობს ჰაერში ნავარდს, გაოგნებული ჯარისკაცების ხელჯოხებს ზემორე მიფრინავს და ვიდრე დამსჯელ რაზმს დუბინკების არსებობა გაახსენდებოდეს, ორმოცივე კაცი თვალნათლივ შენიშნავს დაჩუტული ბურთივით როგორ მიებღლატება ბებერი ლოსის შეფერილობის ხორკლიან კედელს, სველი ტილოს მიტყლაპუნების ხმას გაიღებს და წამით გაირინდება წაგრძელებული ტალანი, ბურავიკების სმენადქცეული საკნები თუ დენთთან ასანთმიტანილი იზოლატორიც თვალსისხლიან ქოფაკებიანად. მერმე რომელიღაცა ჯარისკაცის ხელიდან გავარდნილი დუბინკის ტყლაპანი თვალის დახამხამებაში ჯოჯოხეთს დაატრიალებს. სანახევროდ აშვებული ნაგაზები ზღაპრული მხეცებივით მიისწრაფვიან პატიმრების ბარძაყებისკენ, ხოლო ხელკეტების ბათქაბუთქი ბურავიკების თავ-კისერზე, ამრავლებს ყვირილს და კვნესას იზოლატორის კედლებში. თუნუქის ჭურჭლეულობა ხორხოცებს მეზობელი საკნებიდან. ოდიშელია ხუთიოდე წუთს ზამბარასავით იკუმშება და იშლება მოვლილი ჯარისკაცების გარემოცვაში. ვისაც კი გრძნობადაკარგულ მუშტებს მოუნაცვლებს მისრიალებენ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, მაგრამ თვალების დამნაპერწკლებელ დარტყმებს თვითონაც იგემებს ბოლოს და ბოლოს და გონს რომ მოეგება, ოფლის და საკნის სპეციფიკურ სუნთან შეზავებული საკუთარი სისხლის სურნელი უღიტინებს ცხვირში.

გათრეულია ცოცხალ-მკვდარი სტეპანცევი. როკი ბუშლატზე წევს სარკმლის სიახლოვეს. თავზე ადგანან ზატოჩნიკი და ნაკლებად დაზარალებულნი. დოკი გაფხრეწილი გიმნასტურათი უხვევს რამდენიმე ადგილას გახეთქილ კეფას, მაგრამ ამ ტკივილს წართმევია წამების ნიშნები, შვებისმომგვრელი უფრო ესადაგება, ვინაიდან „პანტერას აბერკოტსა“* და მაიორ სტეპანცევის ფრთააწურულ ფრენოლოგიაზე ბურის თხუთმეტივე საკნის კედლებმა გულიანად იჭორავეს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით.

გადართვაა საჭირო. აკანკალებული ხელით წრეში ჩამოატარებენ ტარიანს. როკის ბუშლატ-ლოგინის სიახლოვეს. ორი ბურავიკი ოთხასგრამიანი შავი პურის დამუშავებას შესდგომია. ეს სურათი ოდიშელიასთვის სიახლეა და ამიტომაც უმზერს ღიმილით. დაწნული სამფა ძაფისთვის ბოლოებში ფართო ფოლაქები გამოუბამთ, ასეთი გახლავთ ბურავიკების ხერხი. მსგავს ინსტრუმენტს თხილისგან ამზადებდნენ როკი და მისი თანატოლი

ერგეტელები, მაღურნაიას ეძახდნენ. თხილი ნაწიბურისკენ ორნახვრეტიანია. მეორე მხარეს — ერთნახვრეტიანი, შიგ გაყრილია გასანთლული ძაფი, დაახლოებით ბურავიკების ხერხის სისხოსი. გაწელავდი მაღურნაიას და დაიწყებდა ღუღუნს: ღუმ-ცვალი, ღუმ-ცვალიო. ბურავიკის დიდრონ ღილებიან ხერხთან მეორე პატიმარს გაშლილი გაზეთის პერპენდიკულარულად მიაქვს სარეცხი საპნისხელა შავი პურის კუბიკი. ეს უკანასკნელიც სამ ადგილას გადახერხავს ჩვენი არსობის სატანურ წყალობას. გაფვითლებულ ფურცელზე ცვივა ქვიშისხელა ნამცეცები, მერმე სამივე ნაჭერს რამდენჯერმე გაუხახუნებენ ერთმანეთს და ახლა შედარებით მეტი ნაფხვენი შეუერთდება ძმათა იმ სასაფლაოს. ნაფშვენისგან ნელინელ იფარება გაზეთის სივრცე. აქა-იქ მინიატურული გორაკივით დააჩნდება იგი მეოთხე ხელისუფლების ბაირაღს, თითქოს საჰარის უდაბნოს ქვიშნარები ფიცხელ ქარიშხალს წაუქარავნებიაო. ღიმილით უმზერს როკი თუ როგორი მონდომებით ჩაყრიან იმ მარცვლებს მიტკლის ტოპრაკში, რაფერ მიუმატებენ თითო ჩაის კოვზ შაქარს საკუთარი მარაგიდან, რანაირად ანჯღრევენ შემდეგ ზონრით თავმოკვანძულს და რარიგად ჩამოდებენ რადიატორზე მსგავსი ტოპრაკების გვერდით. დავიწყების ქარს გაატანს მოგვიანებით ტალკანი როკისთვის დიდედას მომზადებულ სატკბარუნებელ ნაზუქებს, გოზინაყს თუ ჩურჩხელებს, ტკბილისკვერს და ფელამუშს, რუსეთის შაქარყინულებს თუ აღმოსავლეთის რაჰათლუკუმს.

ტანკენარმა ოფიციანტმა ზატოჩნიკის ხელის აქნევაზე მსწრაფლ მოაშორა მაგიდას ტკბილ-მწარე ტალკანი, მთელი ევროპის კონდიტერიაზე უტკბესი, ნამცეც-ნამცეც ნაკოწიწები, ოდიშელიას თვალებში ნეტარების ნუგბარი ცრემლის ამტორტმანებელი.

სუფრა მალე აზვირთდა ზუთხეულით და სოკოს მწნილეულით, შებრაწული, ვაშლებშემოწყობილი ბატით, სახელგანთქმული ლაბათი; წითელი ღვინოები ჩამწკრივდა ხორბლის არყების გვერდით.

ქეიფის ეშხში შესულ ზატოჩნიკს გეგმაზომიერად შეახსენებდა დროს ის ტანკენარი ოფიციანტი:

— ოთხია უკვე;

— აჰა, ხუთი შესრულდა;

— ექვსი მიიწურება სადაც არის.

თვრამეტი საათის მოახლოებამ თანამეინახენი დააფაცურა. გულისამაჩუყებლად ჩაიარა დამშვიდობების ცერემონიალმა. მეგობრებმა მანქანებს მიაშურეს. შავ „ვოლგაში“ კვლავაც ოთხნი ისხდნენ. წინა სალონში ძველებურად ოდიშელია მოათავსეს. უკანაში — ზატოჩნიკი და სრულიად რუსეთის მშვენება, სიონაგრძნობი ვერხვის ფოთოლივით მკრთომარე სვეტლანა. მიადგნენ ქარბუქიან ბაქანს, უკაცრიელს, ათიოდე ნათურით განათებულს. მატარებელი არსად ჩანდა. სადგურის ბოლოს „ჩორნი ვორონები“* შემოეწყვნენ.

— ერთი, ორი, სამი... — ხმამაღლა ითვლიდა როკი.

— ალბათ, შემადგენლობაში სტოლიპინსკიც ყოფილა, — განმარტა ზატოჩნიკმა. — ვის ჩააბარე ზონა?

— შლანდორიკი და როსტოველი კაზბეკა, გაიგებდი, გახურებული კაჩერკით დავლეწე. თავს გავიდნენ, გვარცხვენდნენ ყველას აუტანელი აბიჟნიკობით. ლიოხა ნარილსკის.

— აჰ, ზალატაუსის დაკეტილიდან რომ მოვიდა? შლანდორიკს და კაზბეკას კარგა ხანია ვიცნობ. მომავალი უჭყოდათ შენ რომ არა, — იცინის, — მალე ფრთოსნები გახდებოდნენ.

მატარებელმა გაბმულად მოაკივლა ძვალკანა სადგურს და ფანტელების ფუტებით ჩამოდგა.

— ყველანი მეცხრე ვაგონისკენ, — ჩვეული ტონით წარმოთქვა მანქანიდან გამოსულმა ზატოჩნიკმა.

შეფიცრული, მოხვეტილი ბაქნისკენ დაიძრნენ.

საერთაშორისო ვაგონი თვალშისაცემია მთელს შემადგენლობაში, გნებავთ კილომეტრის სიგრძისა იყოს იგი. ორმოციოდე ნაბიჯის გადადგმაც არ დასჭირვებიათ იქ მისაღწევად. უკვე სიტყვებმა ფასი დაჰკარგეს, მდუმარედ ათვალიერებდნენ ერთმანეთს.

— ბილეთი! — გაახსენდა უცებ ზატოჩნიკს, საფულე ამოიღო, გულისჯიბეში ჩაუცურა მეგობარს, — სვეტლანას მანქანამ აწყინა. იმედია, დაიმგზავრებ, — თქვა, გადაეხვია ძმობილს, თან ყურში უჩურჩულა, — ვფიქრობ, გრევს* არ დაეწუნება! — მერე ხმას აუწია ვითომ სერიოზული გამომეტყველებით, — დაგვეხსნებით ბოლოს და ბოლოს?!

სვეტლანა და როკი ვაგონზე ავიდნენ.

— მატუშკა მოსკოვამდე, ბრატვა! — იძახდა ზატოჩნიკი ბორბლების რიტმულ ხმაურში და თითებგადაჭდობილ ხელებს თავსზემოთ გამალებით უქნევდა ქარბუქიანი ბურუსისკენ დაძრულ შემადგენლობას.

მიწის, საკუთარი კარ-მიდამოს მოვლა-პატრონობით ქართველი გლეხკაცი გამორჩეულია რომ მთელს დუნიაზე, ეს ეჭვს სრულებით არ უნდა იწვევდეს. რაც შეეხება ეზოს, მართლაც ცხენების სათარჩიო არე გაუჭენებია უფუნქციოდ, თვალის სალაღებლად, სადაც კოინდარი ხასხასებს უკიდურეს მიჯნებამდე, სამზადის ლაფარომდე თუ მამაპაპურ ოლაგემდე.

ალიონიდან მოყოლებული ორგზის მაინც იცოცხება, სუფთავდება, კოპწიავდება შემოგარენი ჩამოცვენილი ფოთლებისგან თუ უხეში ბალახბულახისგან. შეიხედავ კოლხის სამკვიდრობელში და თავი სამოთხეში დაგეგულვება. თქვა ამის თაობაზე ოდიშელიების უხუცესმა კაცმა, ძაკა პატენმა:

— ამხელა ეზოები, რომ გვაქვს, ბაბაგე, როკი, მთლად უჭკუობისა და უყაირათობის გამო როდია. წარმოიდგინე, სტუმარი მოადგა ჭიშკარს და გიხმობს მასპინძელს, ხოლო ოჯახის უფროსი რაღაც ფინთ ხასიათზე ხარ,

შინაურებისვე წყალობით. აი, სწორედ ამისთანა დროისთვისაა მისი გაშლილობა კურთხეული. ასი, ასორმოცდაათი ნაბიჯი მოგაწყნარებს გათარანებულს, საკუთარ თავს გაპოვნინებს. ასე რომ, ოჯახისგან გაუქმურებული შენი გუნება და მისგანვე წახდენილი განწყობილება, იშვიათად გადაედება უცხო ადამიანს.

ოდა-სახლი გაშლილი ხელებით შემოგაფრინდება, ვარდისფერი ფარდებითა და ქონგურებიანი აივნებით. დამახასიათებელი ისიც არის დასავლეთ საქართველოს არსებობისთვის, რომ საძინებლისგან მოშორებით ჩამწკრივებულა სამზადი, საჩეხი, საქათმე თუ ნალია, ხოლო ფეხის ალაგი, იგივე ჩეჩმა, ხომ სადღაც მივარდნილ, ყველაზე მიყრუებულ ადგილასაა მიყუჟული. ეს ყოველივე ქმნის ოდის, ადამიანის სამკვიდრებლის ეპიცენტრულობას, რომ ღვთისშვილია მთავარი ცისქვეშეთში და თავისი თავის უფალი ძეობილი მამაზეციერისა, ოქროს შუალედის პრინციპით მოვლენათა შუაგულში ტრიალებს სულ, საიდანაც თანაბრად მიუწვდება ხელი სტუმრისთვისაც და მომხდურისთვისაც, გუთნისთვისაც და საქონლისთვისაც.

ერგეტელი ძაკა ოდიშელიას კარ-მიდამო ბევრად როდი განსხვავდებოდა სხვა შეძლებული ოჯახების მამულისგან, თუმცა მის ნავთსაყუდელში განთავსებულ ყოველ ნაგებობას თუ ხეხილს მეურნე კაცის წინდახედულება ასაზრდოებდა.

ცხრა შვილის პატრონ ძაკას ქურახანაც კი მოეპოვებოდა. ყველაფერს ასწრებდა ეს მართლაცდა განუმეორებელი პიროვნება: საზამთროებისა და ნესვის ფართობებს ცალკე; თოხნიდა, სიმინდის ყანას — ცალკე. ჭისკენ მიმავალი ბილიკი არასდროს გადაიხლართებოდა ბოსტნისკენ გატკეპნილ სავალზე.

მცირემიწიანობის გამო შამგონიდან გადმოსახლებულ ოდიშელიების მრავალრიცხოვანი ოჯახი შეიძლება გაწონასწორებული ადამიანების სავანედ ჩაგეთვალათ. პირუტყვების სიმრავლე მათ სამოსახლოსთან, არასდროს შეინიშნებოდა გარეგნულად, მაგრამ საარყე ქვაბით ყოველ ცისმარე დუღდა რძე გაჭვარტლულ ნაჭაზე და ლეღვის მოხრილი ტოტი გამუდმებით მოიძებნებოდა მახლობლად იმ სიქათქათეში ჯვრის გამოსასახად.

გაიხსენებს მოგვიანებით ჩრდილოეთის საპატიმროებში განმწესებული როკი ყუბანელი გლეხების გაოცებას, როცა სამხედრო სამსახურს გამოქცეული ჭაბუკი ბოშათა ფორნების კვალდაკვალ ეხეტება შეყვარებულის პოვნის იმედით. იქაურები თურმე ჭერმით ადედებენ რძეს და მაწვნისგან მოხდილი ერბოთი დღვებავენ კარაქს. სწორედ ოდიშელია ასწავლის კოტიოლნიკოვებს მაჭიკის სასწაულმოქმედებას. როგორი საღი, მთვარისხელა ყველს ამოაყვანინებს ერთ ანკარა დილას, ასევე ჯიშიან, მკლავებდაკარწახებულ დუნიჩკას; ან მეორე თუ მესამე დღეს რანაირ ზორბა სულგუნს ჩამოაქნევინებს სულგანაბულ ჯალაბში. ხშირად გააღიმებს როკის ხოლმე კოტიოლნიკოვების შუბლზე დამსხდარი წარბების მოგონება, განსაკუთრებით, როცა ბაბილინა ბებიას კაღუიას მსგავსი, ლეღვის მოხრილი რტოთი, ჯვარს დაუსვამს

რძის ზედაპირს, თანაც დაიწრუწუნებს ორგზის, სწორედ იმგვარად, დაგეშილ მიმინოს რომ უხმობს პატრონი. დააფახულებენ თვალებს, მაგრამ რარიგად: ნორჩებიც, ჯეელებიც და ხანდაზმულებიც, თუმცა ეს თემა უფრორე განშტოებითია და უმჯობესია ჩვენ ოდიშელიების ჰარმონიული თანაარსებობის კენწეროს მოვუბრუნდეთ, რომელიც ადრე თუ გვიან, გარეგანი თუ შინაგანი მიზეზების წყალობით, მაინც უსათუოდ უნდა დარღვეულიყო.

ძაკა ოდიშელიას ხუთი ვაჟიშვილი უმისამართოდ შეიწირა დიდი სამამულო ომის გაგანიამ. მოტყდა ჯანმაგარი კაცი. ქუთუთოები ჩამოეზიდა, რომლებშიც დღემოსწრება სათითისხელა ცრემლი კამკამებდა.

ადრე სამუშაოზე სხვადასხვა ხელსაწყოს რომ წარიტანდა ძაკა ოდიშელია — თოხნით დაღლილი ბარვით ისვენებდა, თიბვით დამაშვრალი ღობვით იქარვებდა დაქანცულობას, უცებ მოეშვა. როკი თვალნათლივ აღადგენდა ბაბუას სახეს, მის ნალოლიავებ წვერს, გაღაჟღაჟებულ, ტლანქ ნაკვთებს, ძარღვებდამსხდარ ხელებს. რა უდრტვინველად შეისრუტა წუთისოფლის გულქვაობამ სანთელივით მართალი მისი ოჯახის იდილია? სიტყვები კი, ყალიონის პლაკუნში თქმული სიტყვები, სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში:

— ბაბაგე, როკი, მამაკაცის შესაცნობად ქალზე უკეთესი საზომი არ მოუგონია განგებას. დიახ, ქალით და მხოლოდ ქალთან ურთიერთობით განისაზღვრება ჭეშმარიტი ყაზაყის* ღირსება-კნინი. დედად საკადრისს თუ შესაფერისი ძეობა ვერ გაუწიე, გნებავთ სხვა ოჯახისას; თუ არ ჩათვალე, რომ შენი მშობელივით გაპურებდა დამჭკნარი მკერდით, გასულდგმულებდა დღემოსწრება, მისი სიზმრების ხალიჩებით გადაუვლიდი ათას დაბრკოლებას და ეკალღიჭით ჩანახშირებულ არეებს, მოკლედ, თუ იცოტავა განჩინებამ შენთვის დედაშვილობისთვის სამყოფი სითბო და მადლი, ვერასდროს შექმნი შთამომავლობისთვის სამახსოვრო რამეს, ვთქვათ, ძაძამიძეების ქამარ-ხანჯალი რომაა, პაჭკორიების — მალამო, ჯგერენაიების — ურმები, ჭანიების — ჩონგური თუ კვარაცხელიების მთვარისფერი ჯოგი;

და ვერც მაშინ, ბაბაგე, როკი როცა ძმის უბედურებით დამდუღრებულ დის ცრემლდაწვეთებულ ალაგას, ბალახი რომ ვერ ეკარება ცხრა წელიწადს, პირუტყვული საზომით მიუდგები, მორჩენილია საქმე. მგლოვიარე, როგორი ეშხიანიც უნდა იყოს იგი, ღმერთის საუფლოშია თავისი განცდების სიწრფელით და იქ ეშმაკის ჩლიქებისთვის კარები გადარაზულია;

და ვერც მაშინ, ბაბაგე, როკი, თუ ხელგახსნილ ოჯახში სტუმრად შესული მოგუგუნე ბუხართან ღომის ზელვაში გართული რძლის მოღეღილი მკერდის ნაცვლად სარკმელთან აჩურჩულებულ ალუბლის რტოებს არ გაესაუბრები, მაგრამ კალთამადლიანთან პირუკუ რომ მოიქცე, ისეთ საქირქილოს გაგივრცელებს ხალხში, კბილებით ტუჩების კვნეტა უსარგებლო იქნება ერთხელ შებარბაცებული სახელისათვის.

ამიტომაც, ბაბაგე, როკი ყოველი მოვლენა, ყოველი ადამიანი შესაფერის მიდგომას საჭიროებს. ცხენის ნალი კამეჩისთვის აღარ გამოგადგება და

არც რამდენიმეგზის დაყვედრებული ნაბადი — იმწუთიერ წვიმას გადარჩენილს, ვინაიდან უმჯობესია ამისთანა როყიოთა წინაშე პელაგონ ენგურში გადაეშვა და ათმაგად გაილუმპო, რათა მომავალ შეხვედრებისას ნაბდის პატრონს თავად დაეკარგოს მისი ჩაცმის სურვილი: გაიჯორება ერთხელ და სამუდამოდ, ვინაიდან ყურყუმ დინებაში ამოვლებული ხომ ვერასდროს დასველდები იმაზე მეტად?!

იშვიათი მეხსიერების პატრონს, რომელსაც თავიდან სიღარიბის გამო სულ დაძენძილი წიგნებით უხდებოდა გაკვეთილების შესწავლა, იმ გახუნებული ფურცლებიდან სიტყვების ჯოლოკეტით ამოთრევას მეცადინეობის დროს დახსომება ერჩია. ოდიშელია მაგნიტოფონის ფირივით ისრუტავდა მოსაუბრეთა ტემბრს და ინტონაციებს.

ფისო ქუჩულორიას შერჩეული წიგნები თუ გზადაგზა ხელში მოხვედრილი, უნებურად ამახსოვრდებოდა, და მეგობრებს ბევრჯერ გამოუცდიათ მისი გონების საკვირველი თვისება, როცა ,,ვეფხისტყაოსნის'' ოთხ თარგმანს — ნუცუბიძისეულს, ჟვანიასეულს, პეტრენკოსი თუ ზაბოლოცკისას, გნებავთ ორიგინალთან შეჯერებულს, მიყოლებით ჩამოაწიკწიკებდა.

კონკრეტული ადამიანისთვის, მისი უმწეობის გამო შევარდენივით გამუდმებით ცერზე შემდგარი როკი, ვერაფერმა მოთოკა და თანდაყოლილ სისუსტეებს შეძენილი მრისხანების სიმხურვალით შეიშრობდა, ვიდრე გულიდან წამოსული ცრემლი თვალთა გუგეებამდე მოაღწევდა. ასეთნაირად უდაბნოს მდინარეებს ემართებათ ხოლმე.

სადადიანოს ცენტრში სრულიად უწყინარი ბალღის იერით ჩამოსახლდა როკი მშობლებთან და ძმებთან ერთად.

ფუძეს გამოყოფილი ოდიშელიების ავლა-დიდება ურმეულზე ეტეოდა. ძროხებისა და კამეჩების კუთვნილი წილით ზუგდიდის ბაზარს მოახლებულებს სარფიანადაც უნდა გაეყიდათ საქონელი, რომ მორიგებული ოჯახის პატრონიც სანახევროდ გაესტუმრებინათ და საღამოსთვის უკვე საკუთარ ჭერქვეშ ეზეიმათ ახალმოსახლეობა.

დედ-მამას ნაბოლარასთან მოტიტინე რომ ეგონა შუათანა ბიჭი ბოშათა ფორნებივით ბრეზენტის ნაჭრით გადახურულში, მხოლოდ მაცხოვრის კარზე აღწეულებმა მოიკითხეს, მაგრამ როკი არსად ჩანდა ბოთურიათურთ.

ადუღებული ბაზრის ჭრელაჭრულათი თვალმიტაცებული ბავშვი წყალში შესულივით შეეტყუა ბზრიალასავით მოკვარკვანტე მის სხეულს. მხოლოდ გასასვლელის ბოლოს, პორტალს მიღმა, მოისაკლისა მშობლები მხარაქცეულმა მალხაზმა. ვიდრე გონს მოეგებოდა, საკმაო ხანიც გავიდა და ახლა სულ იმას დარდობდა, თავისიანები რანაირად მოეძებნა, თუმცა კი იცოდა, ვალერიანი ჭინჭრის მცხუნვარებას არ მოაკლებდა. ამასობაში პირმორღვეული ცით ერთიანად გაზუნზლული როკი ვეება ჭადრის გვერდით, ნათურაჩამტვრეულ ბოძს მიყრდნობოდა მხრით.

გაწუწული ძაღლი წკმუტუნებდა, გრძნობდა პატრონის შეჭირვებუ-

ლობას და ბიჭიც, როგორც წყალწაღებული ხავსს ისე ებღაუჭებოდა ბოთურიას უერთგულეს გამოხედვას.

— ნურაფრის გეშინია, ვიპოვით ჩვენებს, ცოტაც მოითმინე და ყველაფერი წესრიგში იქნება, — ამხნევებდა გზააბნეული გასაცოდავებულ მეგობარს.

ოდიშელიების ერგეტიდან აბარგებას კი ყლაწვართული გედის ისტორია დაედო საფუძვლად.

ზუგდიდში ჩამოსვლამდე წელიწადნახევრით ადრე ვალერიანმა სამხრეთისკენ დაძრული ღერღეტების ქარავანს ორლულიანი თოფი დაახალა.

ტალახში ეგდო ფრთამომსხვრეული ტყიური. მათი სამოსახლოს თავზე კი ფრინველები გულისდამთუთქავად ფუთფუთებდნენ. დროდადრო წრეებს უვლიდნენ. ლამის აცერებული ხეების კენწეროებს შეხებოდნენ მომრგვალებული მუცლებით. მერმე ისევ აიჭრებოდნენ ცაში საწყალობელი ყიპ-ყიპ-ჭყავილით.

როკის მონდომებამ თავისი გაიტანა და ბუნების უმშვენიერეს ქმნილებას სიცოცხლე შეუნარჩუნა, ჭრილობაც მოურჩინა. ყოველდღიურად თავისი ხელით აპურებდა. დაუძმაკაცდა. უკვე მყირალობის მეორე წელიწადი იწურებოდა, მათ ეზო-კარს ყარყატების რამდენიმე გუნდმა გადაუფრინა. დიდხანს უშხუოდა როკის ყურში გულსაკლავი გადაძახილები, მაგრამ ფრინველები საოდიშელიოს რატომღაც ვერ ელეოდნენ.

ბიჭუნა საოჯახო საქმეებს მოითავებდა თუ არა, თავის გედთან განმარტოვდებოდა, თავზე ხელს გადაუსვამდა, ნებიერ ყარყარა ყელზე უალერსებდა, კოცნიდა:

— აბა, აფრინდი, აფრინდი! — ეჩურჩულებოდა გამუდმებით, თუმცა ფრთოსანისთვის ეს ხმა-ჩიჩინი სრულიად უცხო იყო. როკიმ რამდენჯერმე მისი ძალისძალათი ცაში ატყორცნაც მოინდომა. ოდა-სახლის აივნიდან გედის სწორუპოვარი ტანი ვინ იცის, რამდენგზის მოუქნევია, რამდენგზის აუმჩატებია.

,,ალბათ, დაშინებულია ნაიარევით და ფრენას ამიტომაც ვერ ბედავსო‘‘, ფიქრობდა. მაგრამ ნელ-ნელა მიეჩვია გედი ჰაერში ნავარდს, ნისლისფერ ფრთებს გაშლიდა, ონავრის ოცნებებს შეისვამდა, იტრიალებდა ჰაერში, იფარფატებდა, გულის მოსაოხებლად სანუკვარ სივრცეს დაიურვებდა და უცნაური შარიშურით მალხაზის მუხლებს მოაშურებდა.

— აფრინდა ჩემი გედი, აფრინდა! — დასცხებდა ყიჟინას როკი და მისი უსაზღვრო სიხარული მთელს ერგეტას წვდებოდა.

ერთ ალიონზე კი აიჭრა ცაში ფრთაშრიალა გედი და აღარ დაბრუნებულა. მოიწყინეს კედლებმა. სადილ-ვახშამი ჩამწარდა ოჯახს. როკის ფანჯარასთან მიედგა სკამი და სრულებით გადავიწყნოდა საუზმის შემდეგ პირში ლუკმა რომ არ ჩასვლოდა.

კვირადღე იყო. სწავლა ჰქონოდათ, ცოტათი გაიქარვებდა წუხილს, მაგრამ გაუთავებელმა მოლოდინმა თვალები ამოუშრიტა პატარას. ეტირა მაინც, იჯდა კუშტად, ჭიშკრის ზემოთ, ალვის ხეების სვეტებში გახირულ სივრცეს მიშტერებული და ისე ჩააწვინეს ლოგინში, იქვე მითვლემილი სარკმელს არ მოსცილებია.

მომდევნო დილით სოფლის ცენტრში, საპარიკმახეროში, სამხედრო სამსახურიდან ახლახან დემობილიზებულმა ტაუ ადელუამ იმნაირი თავმომწონეობით წაიტრაბახა წუხანდელი ნადირობა, პეროვის გმირები ტოლს ვერ დაუდებნენ.

— ავწონეთ, ოცი კილოგრამი გამოდგა, — ამაყობდა ტაუ.

ვალერიანს გული გადაუქანდა, მაგრამ ვაჟიშვილის სადარდებელი უცებ არ გაუმჟღავნებია. ეგ იყო მხოლოდ, შეეჭვიანდა ცრუპენტელა მონადირის მონაჩმახში და როცა ყველანი ადელუებისკენ დაიძრნენ და ჩასაცივებას მორჩენილი ფრინველის ნახევარი დაანახეს სტუმრებს, ბუმბული ხომ არ გადაგიყრიათო, იკითხა ვალერიანმა.

— როგორ გეკადრებათ, — იწყინეს მასპინძლებმა, — გავრეცხეთ კარგად და ერთ სადედოფლო ბალიშს გამოტენის, — განაცხადეს, თან თვალსაჩინოებისთვის მისით გაფიფინებული კალათი დაუდგეს წინ და მაშინ შემოირტყა თავზე მარჯვენა ვალერიანმა.

— როკის გედი მოჰკალი, არაკაცო?! — სწვდა ყელში ტაუ ადელუას. ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან. მერე ბუხარს ეცა გადარეული ოდიშელია, საცივით სავსე ზორბა ქვაბი ამოატრიალა და სამზადის მიწატკეპნილ იატაკზე ატყდა ქალების თეძოებით ნავარდი.

ასეთი ფათერაკი პირველი არ გახლდათ ვალერიანისთვის.

— ღორივით დაგკლავ უბედურო! — კიდევ იქით ემუქრებოდა ნასალდათარს და ყველაფერი ძაკას ყურს რომ მისწვდა, ოჯახის უფროსმა დაუნდობლად ამოიბერტყა გული:

— შენ არ ესროლე პირველად იმ ფრინველს, არამზადავ?! რა იცოდა ჯოგოს ბიჭმა როკის გედი თუ იყო?! როდის აქეთ უსინჯავდა მონადირე ბუმბულს გარეულ ფრინველს, მოშინაურებულია თუ არაო?! მთვარიანი ღამით ესროლა ჯარიდან დაბრუნებულმა ჰაერში აშხუილებულ ტყიურს და ოჯახი გაახარა. მართალია, გული დაუკოდა ჩვენს ბიჭს, მაგრამ მოფიქრებულად ხომ არა?! რატომ გგონია ისინი არ ინანებდნენ ამ ამბავს, როცა შეიტყობდნენ?! უმჯობესი იყო გაგვეფრთხილებინა მთელი სოფელი:

არიქა, როკის გედია გაპარული შინიდან და ვინმეს თუ შემოგეფეთათ, ნუ დაუმიზნებთ, ბიჭის ჯავრს სამარეში ნუ ჩაიყოლებთო.

მხეცი! გედი იმდენად არ გადარდებდა შენ, ვინემ ხელების ქავილი. კარგი ხანია არ გიჩხუბია სოფელში და ხომ უნდა დაგერღვია ადრე დადებული ფიცი — უმიზეზოდ არ დაჩაგრავდი ერგეტელ კაცს. რა ფასი ექნება ამიერიდან ჩემს ნათქვამს, როცა სხვების გამმარიგებელს, შუამავლები იქით

მეყოლება ადელუებთან მისაგზავნი?! მოაქუჩე შენი ბაღაჭუჭები და თვალითაც არ დამენახო! — მიხვდა ძაკა ოდიშელია ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ გაქცეულ სიტყვას აწი უკან როგორ დაიბრუნებდა?!

სამი დღე ეზოში არ ჩამოსულა ვალერიანი. ცოლი მეორე დილით გაამგზავრა ზუგდიდს:

— მიდექ-მოდექი შენიანებთან, იქნებ სამოსახლო ნაკვეთი მოიძიოო. ქირიების მხარდაჭერით და ნაცნობობით აღმოეჩინა ასეთი ეზო-კარი მაცხოვრის კარის ეკლესიის სიახლოვეს ჟენიას, თანაც — ძალზე იაფად. ნახევარს ახლა ითხოვდა პატრონი და დანარჩენს — მომდევნო შემოდგომაზე. ზოგი ჭირი მარგებელიაო, თქმულა. უსიტყვოდ შეუდგნენ სამზადისს. უსაყვედუროდ მიდიოდა ოჯახიდან ვალერიან ოდიშელია. ძაკა ბაბუა იჯდა აივნის ტახტაზე, შვილიშვილები შემოესხა გარშემო. ჩამოზიდულ, აქამდეც ცრემლით ავსებულ ქუთუთოებს გუბურები ორმაგად მომრავლებოდა. ბავშვებს ბოლომდე ვერ გაეცნობიერებინათ უბედურებაგადატანილი ოჯახის უფრო მწარე საკვნესელი — გედის სიმღერა ძაკა ბაბუასაც მალე მოუღებდა ბოლოს. მაგრამ ყველაფერზე უმძიმესი ვალერიანის იდუმალი მიმოსვლა გახლდათ და მოუზომავი სიტყვების გამო მოსინანულე მოხუცს ლახვარივით ესობოდა გულზე შვილის თითოეული შეუბრალებელი ნაბიჯი.

ურმებს ხარ-კამეჩები შეუბეს, ჭალებზე მიაბაწრეს მეწველი ძროხა, ფურ-კამეჩი, ფაშატიანი ცხენი. დააწყვეს საწოლები, საბან-ლეიბი, ჟენიას მზითევი. ამას დაამატეს თხუთმეტწლიანი რძლობის პერიოდში შენაძენი ავლა-დიდება და უკანმოუხედავად აიბარგნენ.

ყველას რომ ეგონა, წუთისოფლისგან დაბეჩავებულ მამას ერთ სანუგეშო სიტყვას მაინც დაუტოვებს ვალერიანიო, ნურას უკაცრავად! უხმოდ გადაეხვია დიდს და პატარას: წვრილშვილ ძმა — დათიკოს, რძალს, დედას, მეზობლებს, დაბმულ ბოთურიასაც კი გადაუსვა თავზე ხელი, მაგრამ აივნის ტახტაზე მოკალათებულ მშობელს ერთი ძაღლუმადური ფრაზაც რომ არ აღირსა, მოხუცი მოიკუნტა, ხელებში ჩარგო თავი და ისე აყვლდნენ მამლები ტყვიისფერ ცაში მოახლოებული დილის სიხარულით, ვერავინ შეეხმიანა. მხოლოდ ბაბილინა ჭანხემ მოახურა ბეჭებზე დაბამბული ქურთუკი და იმნაირად ამოიოხრა, ვერავითარი ფრაზა დაანუგეშებდა უკეთესად სასოწარკვეთილ ბერიკაცს. აქვითინებული უმზერდა ბოთურიასგან აწყვეტილ ჯაჭვს, პირუტყვის ერთგულებას მისტიროდა.

ტროტუარიდან ნაბიჯი რომც არ წაედგა როკის, ახალგაზრდა მძღოლი ისედაც აპირებდა მანქანის გაჩერებას. ამ თავსხმა წვიმაში ადამიანის შუაგზაზე მიმტოვებელი ბუნების როდი გახლდათ პეტიკო თოდუა. ტაქსი ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო ზუგდიდის სინამდვილეში და საკუთარი მანქანით მოქალაქეებს თუ ემსახურებოდნენ, ამით თუ არჩენდნენ ოჯახს, ეს სათაკილოდ არ აღიქმებოდა იმდროინდელ ოდიშში; პირიქით, საზოგადოების პატივისცემად ჩამოერთმეოდათ ქალაქში აღმა-დაღმა ბორიალი.

— ჰე, ბიჭო, შემოლაგდით! თქვი, საით მივდივართ? ძაღლიღა მაკლდა, ამოღერღე-მეთქი, თორემ დასდო საააღდგომო კვერცხი ინდაურმა ბაგაჟნიაში8 და გამოჩეკა, ალბათ, კიდეც.

— ვალერიან ოდიშელიას სახლში მივდივარ, ძია, — თქვა გულწრფელობით ერთიანად დარცხვენილმა ბავშვმა, — ოღონდ ეგ არის, რომ მისამართი არ ვიცი.

— ბიჭო, ოდიშელიები იმდენია ზუგდიდში, ერთი ქვა რომ ააგდო, ორს დაეცემა თავზე. წვიმა რომ არა, მაძებარი ისეთი გყოლია, რას გაგიჭირვებდა? ბაბუაშენს რა ჰქვია?

— ძაკა. ძაკა ოდიშელია.

— ჩემზე ხუმარა თუ ვინმე იყო არ მეგონა. ერგეტაში გინდა დამატოვებინო ცინცხალი მანქანა? მერე თავში წავიშინო ბაბუაშენის აგურები?! ბუხარი კი ამოვაყანინე მისით, მაგრამ იმ რკინასავით აგურების სახლელად ეგ გოგრა ჯერ არ მომწიფებულა. კახათელი ქალი დღვაბაში როგორ გაჰყვა მამაშენს, მიკვირს! ძაღლის ბედი გქონია სწორედ. დედაჩემისიანია ჟენია, ჰოდა, ვიკატაოთ აწი კახათსა და ერგეტას შორის. ქოფაკს ხომ არ მომყიდდი?

— ბოთურია ჩემი გაზრდილია. მეორე მყავდეს გაჩუქებდი. ძია, სახლ-კარი ნაშოვნი გვაქვს, მაგრამ რად გინდა, მისამართი არ ვიცი.

— მიკბინა, — შეხტა განგებ პეტიკო თოდუა, — იმისთანა ბაბუის შვილიშვილს რწყილის წამალი გეცოდინება. არა?! დაფშვნილი აგურია. ფეხებით დაიჭერ რწყილს, თვალებში ჩააყრი და მორჩენილია მისი საქმეც. ესე იგი არ მაძლევ ბითურიას, ხომ? ამ დილით ჩამოხვედით ერგეტიდან?

— ხო. ურმებით. სათითურებით თამაშის ყურებამ შემიტყუა. რას ვიფიქრებდი ასე ჩქარა თუ გაყიდდნენ საქონელს. ვიცი, დამცხებენ, მაგრამ რომ არ მივიდე, დაიტანჯებიან ამაღამ. თან მამა გულითაა წამოსული ბაბუასგან. ორმაგად დაითუთქება. გეხვეწები, ძია, ჩემები მომაძებნინე!

— იქნებ ავტოინსპექციიდან დაგვეწყო?!

— იქ რა გვინდა?!

— იმხელა ტრანსპორტით ჩამოსულა მამაშენი, ეგებ ურმის სერია და ნომერი გაგვეგო?! კარგი, ხუმრობას მოვრჩეთ! ისე, ფაშატებთან რავა ხარ? უყურე შენ, თავსაც არ ხრის. ამბაკო ოდიშელიასთან წავიდეთ და იმაზე უკეთესად ვერავინ გვეტყვის თქვენების ასავალ-დასავალს.

ენგურის ღვიძლი დაიაა ჩხოუშია. მისი ჩაღრანტებული ნაპირები, ხავსმოკიდებული ლოდები და ლეკებმოძალებული დინება; ზუგდიდს ქვემორე წელში, მოტბორებულთან, თავხოტორა ბიჭების კალათებით იქიდან ამოკრეფილი კიბორჩხალების სხვარსხვალი, ისეთივე კოლორიტული გახლდათ როკის ბავშვობისდროინდელი კოლხეთისთვის, როგორც ეს ცა და მიწა, ერთ საღებავში ამოვლებული, ერთი ფერით შემკვრივებული; მაგრამ ხანდახან, რუხი ქედებიდან და კიდევ უფრო მაღლა, ნეტარი სიქათქათის გვირგვინებით რომ აქარავნებულა სამეფო კრებული კავკასიონისა, როსმე თუ შეჰყრის საავდრო ღრუბლებს, საღათას ძილით გათანგული

კაცივით წამოიმართება ჩხოუშია. ღობე-ყორეს წაებღოტება, აიკლებს აშხვართა-ლებულ ტირიფიონებს. უფრო ტანბრგე ხეებსაც გამოუთხრის ძირს, ქვა-ღორღით ჩახერგავს სასწრაფველს, გზისპირისკენ გადაიფაფრება; მოიტაცებს უდიერად მიყ-რილ საშენ მასალას, აქა-იქ ფრინველ-პირუტყვს წაატანს ხელს, მერმე ჯუმთან და ენგურთან ერთად შავი ზღვის ქვესკნელში ჩანთქავს უკლებლივ; დასასრულ, რო-დის-როდის, წკმუტუნ-წკავწკავით მიწყნარდება საგანთიადოდ.

იმ აპრილის ბუზღუნა ნაშუადღევს სწორედ ასეთი შემოეფეთათ მარ-ჯვენა სანაპიროს ქუჩისკენ მოტრიალებულ მგზავრებს ჩხოუშია: დაეფორი-აქებინა ღვართქაფ წვიმას და მალემქროლ ზენა ქარს ფოშფოშა ძეწნები. წა-მიწამ იზრდებოდა მდინარე — დადორბლილს გამოეხვეტა შლამი, ფიჩხიანი კორძები.

შემაღლებულისკენ გადაუხვია პეტიკო თოდუამ, იმ დამბის ზემორე მის-კუპებული მაღაზიისკენ, რომლის სიახლოვეს ტოტებმეჩხერი ხეების სილუ-ეტიც ირეკლებოდა ჩაკუპრებული ციდან.

— ხოთო შემომეფეთა დილაუთენია. არ მიშველა რბილში ზედიზედ ჩქმეტამ. ახლა რწყილებს დარჩათ ბურთი და მოედანი. შენ იცნობ ხოთოს?

— მე — საიდან? არა.

— ეეე, რამდენი სიამოვნება გელის წინ?! შენისთანა ძუნწი კი არ არის. ოღონდ სთხოვე და რაც კი მაწანწალა ძაღლებია ოდიშში, კარზე მოგაყე-ნებს. არც ჯოჯოს და სპირდოს?

— ეგენი ვინ არიან?

— აი, მე რომ გავხდები რამდენიმე წამში.

ამასობაში წვიმამ რამდენადმე გადაიკარა. ერთიანად ალეწილი როკი ჭმუნვით შეათვალიერებდა სალონის სარკიდან ქერა სახის, ახოვანი აღნაგო-ბის ახალგაზრდა მძღოლს.

ზღვაურმა აღმოსავლეთით გაირეკა შედედებული ღრუბლები. გამოჩ-ნდა ცის კუნწუხო. ჩხოუშია ბურტყუნით უკუდგა, დაიწრიტა დალამული ქუჩები. პეტიკო თოდუა გვერდს უქცევდა ფიჩხისა და ქვა-ღორღის გროვა-გორახებს. ამბაკო ოდიშელიასთან მიამუხრუჭა მანქანა. დინჯი ნაბიჯებით შე-ვიდა ჭიშკარში.

,,რამსიმაღლე ყოფილაო'', გაივლო გუნებაში როკიმ. თხუთმეტიოდე წუთში გამოვიდა იქიდან ჭოლოკივით მაღალი ბიჭის თანხლებით, რომელ-მაც ცნობისმოყვარედ შემოიხედა სალონში ,,მაძებარითურთ დატყვევებუ-ლი იაპონელი ჯაშუშის'' სანახავად.

— მანცხვარკარისკენ ჰერი-ჰერი, — არყის სუნი ამოჰყვა წაღიღინებას, — აწი წერა-კითხვა ეცოდინება შენისთანა ვერზილას8. ასი წლის შემდეგ და ბედნიერია შენი ჭირისუფალი. საზოგადო პიროვნების ნიშნები შუბლზე გა-წერია და ორ ნაბიჯზე ეყოლები ასაყვანი სანათესაოს პანთეონზე. მიმადლოდე, მამაშენის პატრონი! ძაღლის ბედი გაქვს-მეთქი, დაიხსომე ეგ!

ხო-ხო-ხო-ხო, რა სიამოვნება აცდა შენს ყურებს?! ამაღამ ხაზალიების გარმონი ვერ გაიწელებოდა უფრო.

დამწუხრებულ იერს გარეგნულად მოისადაგებდა სახეზე როკი, თორემ ურმის შვიდსაათიანი კომფორტის შემდეგ, დიახაც არ სულსწრაფობდა შინ მისვლას. მისი გზა ხომ ამიერიდან სამუდამოდ გადაეწვნებოდა სათაყვანებელი ზუგდიდის მაჯისცემას?!

ისრუტავდა პროსპექტს მალემსრბოლი ბორბლები.

გადაუხვიეს ერთგან, მეორეგან, აუყვნენ აღმართს და თითქოს ოდიშელიების სახლიკაცი ყოფილიყო, ხრეშის ჩხრიალით გააჩერა პარტახი ეზოს წინ, რომელსაც შორიდანვე ეტყობოდა მშრომელი კაცის ხელის უკმარისობა. მაღალი, ცემენტის სვეტებზე შეყენებული ორსართულიანი სახლი გამოუწყობელი ჩანდა. ფარღალალა იყო პირველი სართული.

ურმისა და ხარ-კამეჩების ნახვამ ოდიშელიას ენა დაუმძიმა. აცრემლებული დედა და ძმები ხის კიბეებზე ჩამობარგდნენ. ტიროდა ტანმორჩილი ჟენია ქირხე, თან წამდაუწუმ იხრებოდა წინდებისკენ, სადაც საიმედოდ ინახავენ ხოლმე გროშებს მეგრელი ქალები.

ამ მოძრაობის მნახველმა მძღოლმა, ოპ, შეჩერდიო, ასწია ორივე ხელი, ეგეთები არ იყოს, ინდაური მყავს დასმული კვერცხებზე, დავიღუპები, გამილაყდებაო.

— ჟენია, პეტიკო ვარ თოდუა. ვალერიანი, ალბათ, ამ ჭკვიანის საძებრადაა წასული. თქვენ კარგად გადამალეთ სანამ მომიყვანია, ნახევარ საათში დავბრუნდები და ვახშამი მზად იყოს! — ჩაიროხროხა და მოწყვიტა მანქანა ადგილიდან.

ოდიშელიების ოჯახის მეკვლე იმ საღამოს სწორედ პეტიკო თოდუა იყო, მაგრამ ფეხი რას უშველის ადამიანს თუკი ეშმაკი ამოიღებს თვალში?!

ქალაქურ ცხოვრებას ზუგდიდში ჩასვლისთანავე აუბა მხარი მთელი ბაზრის იწილო-ბიწილოს დახარბებით შემსრუტავმა როკიმ; დღე როგორ გავიდოდა ერთხელ მაინც არ მოხვედრილიყო მის სიახლოვეს, იქაური ყრუ გუგუნით არ დაეტკბო სმენა?! სწავლით სასაყვედურო არ იყო, დავალებებს თათული უწიკწიკებდა. ორი წლით უფროს გოგონას არაფრად უღირდა გავლილი მასალის მოკოხტავება. სამაგიეროდ რიგრიგობით მიეჩინა დამტარებლები მისი ათკილოიანი ჩანთისათვის. გამოსავალს ხელად იპოვიდა გამჭრიახი გონებით, ამიტომაც ევიწროვებოდა თანაკლასელების წრე. ასაკით უფროსებში ტრიალებდა სულ, მაგრამ ეს დაახლოება ძალდატანებული როდი გახლდათ. ის ბუნებრივად იმკვიდრებდა ადგილს უფროსკლასელებში, ზოგი ცნობისმოყვარე ღლაპისგან განსხვავებით უკვე დაკაცებული მოსწავლეების ნდობის მოხვეჭას ჯაგნარებში გადავარდნილი ბურთის მორბენინებით თუ სიგარეტზე წარგზავნით ახერხებდნენ.

ჯაგნარები წამოგვცდა და მაშინდელი ზუგდიდის შემოგარენში მრავა-

ლი მიუვალი ადგილი იძებნებოდა, საიდანაც ღამ-ღამობით ტურების ჩხავილიც კი ისმოდა ხოლმე. ეს მერე და მერე გაიშალა წელში ისტორიული სადადიანოს ცენტრი, თორემ როკის სიყმაწვილე-ჭაბუკობის ჟამს ზუგდიდ-ქალაქის ავტოსადგური დღევანდელი ხელისუფლების ადგილსამყოფელზე ფუთფუთებდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ასაკობრივ ბარიერებს ბიჭუნა ნახტომებით ძლევდა, როცა თანატოლები ზოზინით მიუყვებოდნენ ამ ციცაბო აღმართს. გამუდმებულ მოძრაობაში იყო, დღენიადაგ მშვილდივით მოჭიმული. აკი, უმარჩიელეს კიდეც: როგორც დაგორებული ქვა, ან კიდევ — ბოშათა ფორნების თვლები, ხავსს არ მოიკიდებს, ისე სულ ტრიალსა და თუხთუხში დაგაღამდებაო. და, მართლაც, ღამითაც კი იმდენს შფოთავდა, იმდენს ბორგავდა ლოგინში, წუხელ გატკიცინებულ ზეწარში შემძვრალს, მიტკლის გახამებული გადასაფარებელი თოკივით დაგრეხილი ხვდებოდა დილით.

ბოშათა ფორნები ვახსენეთ წეღან და ამ კოლორიტული ჯალაბობის გამოჩენა ლამის ოდიშელიების ზუგდიდში ჩამოსახლებას დაემთხვა. თითქოს წინასწარ დაუთქვამთ, შეთანხმებულანო, ჩხოუშიას მარჯვენა სანაპიროზე დამკვიდრდნენ, სადაც ახლა სვანების გარაჟია, და ბამბის საამქრო.

გასართობი დღეს რა მოეპოვება სადადიანოს მეთაურ ქალაქს, მაშინ, როკის ყმაწვილობის პერიოდში ჰქონოდა, და აი, ბოშათა ბანაკი, მათი ცხოვრების განსხვავებული ყაიდა და ნირი, ადგილობრივი წეს-ჩვეულებისგან გამორჩეული, დიახაც მაგნიტივით იზიდავდა განურჩევლად ყველას, დიდს და პატარას, ახალგაზრდას თუ მოხუცს. ოდიშელია ხომ დღე არ გაივლიდა რამენაირად არ შეხებოდა ამ მაცდუნებელ და აკრძალულ ხილს.

მამის შეგონებებისგან გადასვლა არასდროს უკადრია, ამიტომაც იმსახურებდა მშობლისგან ალერსიან სიტყვებს.

ვალერიანი კალატოზი გახლდათ, აწვართული კედლების ამართვა ემარჯვებოდა: თანაბარი სიკოხტავით აწყობდა ერთმანეთზე ბლოკსა თუ აგურს. ჯაფაც დიდი ადგა, მაგრამ ოჯახური პრობლემების სამყოფი არ იყო მათსას კერიიდან გამოსაჩხრეკი.

წამოასხამდა როკი ამხანაგებს და ზამთრის შეშას ერთ დღეში დახერხავდნენ, დაჩეხდნენ. ტვირთის ზიდვა კი უფროსი ძმისთვის გადაებარებინა. ბარგაკიდებული როკი არავის უნახავს სამეზობლოსა თუ სხვაგან. არც ჩანთებს და მისთანებს დააგრძელებინებდა კიდურებს: წიგნი ქამარში გაერჭო და სადმე შორს თუ გაემგზავრებოდა, მისი მთელი ავლა-დიდება სპორტულ ჩანთაში ეტეოდა — წინდები, ცხვირსახოცები, საცვლები. ეგ იყო და ეგ.

მოკლედ, მამის ჯილად მიაჩნდათ: საოჯახო საქმეები მას ებარა, მაგრამ არც ბლოკების თრევაში გამოდგომია ოდესმე მშობელს, სამაგიეროდ ჰანტელებით ვარჯიშობდა დღემოსწრება. ყოფილა შემთხვევა ძმაკაცებს გამოუვლიათ სათევზაოდ, ან საბანაოდ დაუძახნიათ, მას კი არასდროს დაურღვევია რეჟიმი, სანამდე ფიზიკური მეცადინეობისთვის განკუთვნილ დროს

ბოლომდე არ ჩაამთავრებდა. ჩამოსხდებოდნენ ბიჭები ჭიშკრის სიახლოვეს გამართულ სკამმერხზე და მოუთმენლობით დაელოდებოდნენ.

როკი დილაუთენია იწყებდა სირბილს მაცხოვრისკარის ფერდობზე, ხუთჯერ აივაკებდა მუხლს და ამდენივეჯერ ჩამოცოცდებოდა.

— შენი პური შენს ხელთაა, — უთქვამს მშობელს, — მუშტი და გონება. თვალებდალილავებული არ დამენახო, თორემ დაგიმატებ იცოდეო, — და კრივმა, ჭიდაობამ მთავარი ადგილი დაიკავა როკის ცხოვრებაში.

ერთხელ თავის მწვრთნელს, ცხადია, ამ უკანასკნელის წინადადებით, მოსწავლეების გარემოცვაში გაეჯიბრა. მასწავლებელს საჩვენებელი ორთაბრძოლის გამართვა სწადდა ახალგაზრდების მისაზიდად, მეტი შემოსავალი რომ ჰქონოდა, მაგრამ პირიქით გამოუვიდა, რადგანაც მოულოდნელი დარტყმისგან დარეტიანებული მოჯდა. გაცეცხლდა ასაკმოყრილი კაცი, ხელთათმანები დააგდო და შიშველი მუშტებით ლამობდა ჭკუაზე მოეყვანა „თამაშის წესის დამრღვევი თავხედი". წააყარა და წააყარა მუშტები, მაგრამ მუქარით გულშეკუმშული როკი არენიდან ფეხს არ იცვლიდა, მოხერხებულად იგერიებდა შემოტევას, ვიდრე მარცხენა თვალში მოხათქუნებით გაგულისებულმა გამეტებით არ მოსდო ყვრიმალში და დარეტიანებულს სახეზე არ მიათხლიშა გაოფლილი ხელებიდან მოშვლეპილი თათმანები.

კრივზე გულაცრუებულმა სკოლაც გამოიცვალა. საღამოს სწავლებაზე გადავიდა. ჭიდაობას მიჰყო ხელი, თუმცა იქაც არ დაყოვნებულა დიდხანს. ოფლიანი სხეულის გლასუნი მსწრაფლ მოყირჭდა და საკუთარ თავთან დარჩა, სადღაც გაზეთში ამოკითხულისამებრ კედელზე იატაკის ლურსმნით მიჭედებულ კალენდართან, რომელსაც შიშველ მუშტებს უხათქუნებდა როკი დილა-საღამოს. თითო ფურცელს მოახევდა ყოველი ვარჯიშის შემდეგ და ორ წელიწადში ოცდაოთხი კალენდარი გადაჰყვა მის მეცადინეობებს.

ისევ ბოშათა ბანაკს მიელტვოდა. იქ, გაჩაღებულ სამჭედლოში, ან ურაოს არახუნებდა გრდემლზე, ან საბურველს აქშინებდა, ან კიდევ ყურებაწურულ ცხენებს ბანდა კამკამა ჩხოუშიაში. ბოშებთან სადილობდა, მათთან აყღარუნებდა გიტარას, სულ ლურჯთვალება ილონას გვერდით მოირთხამდა ფეხს.

ბაზარშიც იმისთვის შეივლიდა, რამდენიმე წუთით გასაუბრებოდა ჭრელაჭრულა კაბაში გამოწყობილ, თოვლის გუნდასავით მკერდწამოჩიტულ გოგონას, რომელიც თამამი ეკალივით გამოიჭერდა სასურველ მგზავრს; მაგრამ ბოშათა ცხოვრებას განსხვავებული წესი და რიგი წარმართავდა, ვიდრე — კოლხის საწუთოროს: მათთვის სიყვარულის ამაღლებული სცენები, მით უფრო უცხოტომელთან, ლობიოს მისატანებელი მჭადივით უგემური შეჭამადი იყო — ნებისმიერი მათი ასული აკვანშია დაწინდული და წამოქალებისთანავე გვარიანად ასაკოვანი პატრონის ძალაუფლებაში ექცევა; ასე რომ, მათი ქალწულები იშვიათი გამონაკლისის გარდა, საეჭვოა

სხვათა კერიებს შეგუებოდნენ ბავშვების ონწეთა* დამრწევად. როკის და ილონას მეგობრობაც ვერ გაექცევა, ალბათ, ბოშათა ადათით დაკანონებულ ჩარჩოებს, ჯერ კი საფრთხე არ ემუქრებათ ძუძუმწოვრებს, მაგრამ ყმაწვილის არსებაში დაუოკებელი სწრაფვა ამოჩემებული გოგონასკენ გაორმაგებული ჟინით აწრიალებდა მის სულს.

აი, ამფსონებით საყიდლებისკენ წამოხეტებული როკი ბაზრის შესასვლელთან გასაგნდა: ილონას თამამმა, ყორნის ფრთასავით შავი წარბების აზიდვამ და ორი ფირუზის სიკამკამემ, ერთადგილს მიაჯაჭვა.

— გუშინ რატომ არ გამოიარე?! — უსაყვედურა ასულმა. მაჯები დაუჭირა გახევებულს, — სიზმარში გიხილე, ვიფიქრე გამოივლის, გავენდობი და გულზეც მომეშვება-მეთქი.

— მამა იყო ცუდად, — თავი იმართლა როკიმ, — ხარაჩოდან ჩამოვარდა, ერთიანად დაილეწა ნეკნები.

— მადლობა ღმერთს, უკეთ არის ახლა? — ეკითხებოდა ილონა და თან გაოფლილ, გაწვართულ თითებს არ აცილებდა.

— გააშუქეს რენდგენით, საშიში არაფერიაო დაგვანუგეშეს. ისეთი რა სიზმარი ნახე მაინც?!

— ჩვენებთან წავიდეთ, გზადაგზა მოგიყვები, — თქვა გოგონამ გამოცდილი ქალის დამაჯერებლობით და წინ წარუძღვა.

წითელი პარასკევი უმნიშვნელოვანესი ბაზრობის დღეა სადადიანოს სინამდვილეში. ერთბაშად გამდიდრების უბირი წარმოდგენით შეზღუდული გლეხი, ამ დღისთვის გადანახულ პროდუქტს თუ საქონელს, მოაყრის და მოაყრის ბაზრის არეებს.

ქორ-ვაჭრებიც სწორედ მაშინ დატრიალდებიან. დილით მოზღვავებული ჭარბი სანოვაგე ოხრად რჩება პატრონს ბინდისპირზე და სოფლელი კაციც იძულებულია კაპიკებზე გაყიდოს ხვალ-ზეგ გამოუსადეგარი დაკლული ბურვაკები თუ გაფუფქული, გაღვანდალებული გოჭები; ყვითლად მოზიმზიმე, ჩამრგვალებული დედლები თუ რძემოწკურწკურე სულუგუნები.

დილაბნელიდან გადატენილია ბაზრის მისადგომები. ყველა ვერ ასწრებს მოხერხებული ადგილის მოხელთებას. ვის სად უწევს მიკუჭვა, პერიფერიებში, და უმეტესად ასეთნაირად დაგვიანებულებს შერჩებათ მერმე გაუსაღებელი საქონელი.

წითელი პარასკევი მთელი სადადიანოს შემოდგომის მარაგის უკანასკნელი ამოსუნთქვაა. მეწამულ საღებავშია ამოგანგლული დიდი და პატარა, ყასბებიცა და მემწვანილეებიც, ხაბაზებიცა და ბაზრის ძარღვებაშლილი პერსონალიც.

— მესიზმრე, თითქოს ფორანზე დაყრილ თივაზე ვიწექით გვერდიგვერდ. ვარკვლავიანი ცა იყო. შენ ითვლიდი, ითვლიდი, მერე ეგერ ჩემი ბედის მფარველიო, დამანახე სადღაც ცის კიდეზე გამორჩევით მოკაშკაშე. გინდა გაჩუქებო, მეუბნებოდი, მე კი არ მჯეროდა შენი სიტყვებისა და აი, უცებ

ვარსკვლავმა თანდათან იწყო ვარდნა. შევშინდით ორივე და გატრუნულები ერთმანეთს მივეხუტეთ. მესმოდა შიშინი, გობში ჩაშვებულ, გავარვარებულმა რკინამ რომ იცის იმგვარი. ნელ-ნელა თვალისმომჭრელმა შუქმა იმატა, ვკანკალებდი, თუ დაგვეცა ორივეს დაგვფერფლავს-მეთქი, მაგრამ ჩემდა საკვირველად, ის ნათელი დაგწვდა, წამოგწია. მივხვდი, მართმევდა შენს თავს. მთელი სხეულით წაგებღაუჭე, თუმცა სავალალოდ ფორანზე დაგდებულ თოკში გავიხლართე. ვწიოდი, ვკიოდი, ცრემლად ვიღვრებოდი და ისე გაუჩინარდი წამში, მდინარის თეთრი ქვებით მოფენილი ფსკერივით გამჭვირვალეს ერთხელაც არ მოგიხედავს. ბიცოლაჩემი კაცებთანაა, აბანოსთან ყიდიან რკინეულს, იქნებ დავიყოლიო და კარტი გავაშლევინო, მითუმეტეს, რომ ეგ სიზმარიც გამხელილი მაქვს გულგადაქანებულს.

როკი გაბრუებული უსმენდა გოგონას მონაყოლს. მას ილონას სიტყვების მნიშვნელობაზე უფრო მომაჯადოებელი ხმა ატყვევებდა. მილეთ ხალხში მუჯლუგუნებით გაიკვლიეს გზა. ჩხოუშიას მარცხენა სანაპიროსკენ მიიჩქაროდნენ, სადაც აბანოს სიახლოვეს ბოშებს ფორნები მიეყენებინათ, მიწაში სარები ჩაესოთ, ჭოლოკი დაედოთ ზედ გარდიგარდმო და ჩამოეკონწიალებინათ ათასგვარი წვრილმანი — ცულები და წალდები, თოხები, ნაჭები, სამფეხანი, სხვანი და სხვანი.

მოშორებით მომცრო კოცონი გაეჩაღებინათ, ბურვაკის ხორცს ხარშავდნენ სამფეხზე შედგმული ქვაბით. ყუთზე გაზეთი გაეშალათ, ამოელაგათ თონის პური, ყველი, მწნილი და მწვანეულობა. არაყს ისხამდნენ მოზვერის ყანწში და უდარდელად მხიარულობდნენ.

დიდი ხნის უნახავივით მიესალმნენ როკის, მაგრამ მათ ხელების მხრებზე ტყაპუნს მალე გამოარიდა ილონამ ამხანაგი. ჯორკოზე მოკალათებულ ბიცოლას მიუჩოჩდნენ, რომელიც ერთიანად ამოთხვრილიყო წითელ საღებავში, პარკები ერთმანეთში ჩაეწყო, ტოპრაკი უკვე სანახევროდ დაეცალა.

გოგონა მიეჭრა ბიცოლას და ყურში რაღაცა უჩურჩულა. ქალმა ოდიშელიას შეხედა, თავი გააქნია და რუსულ-მეგრულის იშვიათი აჯაბსანდალით დაუცაცხანა მაზლიშვილს.

— მარჩიელობის დროა ახლა? გამოიაროს კარავში საღამოთი და ჩემი თავი გენაცვალოთ, — მაგრამ როცა შეატყო ილონა გაიბუსხაო, გაურკვეველი ფერის კაბაზე ხელები შეიხოცა, უშველებელი ჯიბიდან საკმაოზე მეტად გაცრეცილი ბანქო ამოაძვრინა და მის მუხლებთან ჩაცუცქულ ონავრებს თვალები დაუჭყიტა. გამოაძრო კარტი, როკის მიაწოდა, თანაც დააარიგა, ყველაზე მთავარი ჩაუთქვიო. ოდიშელიამ შეუსრულა საწადელი ფაშფაშა ბიცოლას და გულის ბაგაბუგით დაუცადა მოვლენების განვითარებას. დედაკაცი კალთაზე დადებულ ფიცრის ნაჭერზე შლიდა ბანქოს. ერთხელაც გამომცდელად შეხედა როკის. ზაფრანასავით ამოიწია მის ცხვირწინ ქალის სალოკი თითი, რამდენჯერმე შეტოკდა ყმაწვილის მისამართით, აქაოდა, ხომ მიგიხვდი ყველაფერს, ხომ ამოვიცანი შენი გულის ნადებიო. იმ თითზე არა-

ნაკლებ წამოჭარხლებულ ახალგაზრდას კი ეგონა მთელმა ზუგდიდმა შეიტყო მისი საიდუმლო, აქვე ბიჭს თავბრუს ახვევდა მუხლებზე იდაყვებით დაყრდნობილი ახტაჯანას ოფლის მძაფრი სურნელი.

— ილონა, ჩემო, კარგი ბიჭია შენი როკი, აი, პარენ, — შემართა სალოკზე მეტად გაღაჟღაჟებული ცერი მარჩიელმა, — კეთილი ბიჭია შენი როკი, ბედისწერის ქალბატონი გარკვევით მეუბნება, თქვენი ფორნების ბორბლებივით ერთადგილას ვერ დააოკებ მასო. დღეს ერთი უნდა, ხვალე — მეორეო. ეტლის ბორბალივითაა, ილონა, შენი როკი, რომელსაც ხავსი არ მოეკიდება ფერდობზე დაგორებულ ქვასავით. ისე, ბოშას გული აქვს ბეჩავს, მაგრამ სხვა ჭურჭელშია ჩასხმული, შაქარივით თეთრ ჭურჭელში, და როცა მალე ჩრდილოეთისკენ წავეხეტებით, არ აღმოაჩნდება მას არათუ დანა, მამლის ბიბილოსხელა ჯაჯვაც კი მშობლებთან მიბმული ძაფების გადასაჭრელად.

როკის გაეღიმა, მაგრამ ეს არ იყო წრფელი ღიმილი და კვლავ წამოჭარხლდა ყურებამდე. ნაძალადევი ეთქმოდა ამ ბაგეპობას, ნაძალადევზე მეტიც, მოვალეობის მოხდის მიზნით რომ ამრავლებს ნაოჭებს ტუჩების თუ შუბლის სიახლოვეს.

— ჩვენ, შენთან ერთად, მალე გავუჯვებით, ილონა, ჩრდილოეთის გზას, მაგრამ ჩვეულებისამებრ მოპარული პური ყელზე არ დაგადგება. წყაროები ყოველ ნაბიჯზე შეგხვდება ბოშა ქალის ყისმათის კვალობაზე. ვხედავ აკვნესებულ გიტარას. თავშალში გამოკრული ჩვილები შეგასხდებიან ზურგზე, მაგრამ სხვა მამაკაცისგანაა ისინი, როკის კი ფორნის ბორბალივით ხავსი არ ეკიდება.

გაფითრებულმა ილონამ გაშლილი თმები ცხენის ძუასავით გააქანა და მათმა გახახუნებამ ტუჩებზე, ცხვირის ნესტოებში, ელექტრონივით დაურბინა ძარღვებში ბიჭუნას.

— შენს როკის, ილონა, დედა ებრალება, მამა ებრალება, ძმა ებრალება. ვიდრე ბოშათა ფორნის ბორბალივით ხავსმოუკიდებელ სიარულს ამჯობინებდეს, შენ ორი მარგალიტი გეყოლება უკვე, — ქალმა კარტიანი ხელით ცხვირწინ დაუტრიალა გოგო-ბიჭს სალოკი და შუათითი, — სანამ შენი როკი მიხვდებოდეს, თუ რა უსარგებლოა გუბეში დამყაყებული წყალი, შენ, ე, საიდან იმზირები ნაღვლიანი თვალებით შენიანების წარსულივით მოჟამული?! შეხედე, შეხედე, ყვავის დამა ამოუვიდა. შენი როკი, ილონა, გაივლის ერთ კარს, გაივლის მეორეს, გაივლის მესამეს და არასდროს მოიხედავს უკან, არასდროს დაუბრუნდება გარდასულს, განცდილს.

— ასე ცხადად წერია ყველაფერი? — იკითხა ილონაზე არანაკლებ გაფითრებულმა ოდიშელიამ.

— აბა, რა გეგონა?! შენ შენი გზა ზედ შუბლზე გაწერია. ხედავ კუზმას ხელებში მოქანავე ჯაჭვს, ჰოდა, იმ ჯაჭვივითა ხარ შენც. დამთავრდება ერთი

რგოლი, წამოეცმევა მეორე, მესამე, ასე რგოლების გრძელზე გრძელი, უსასრულო ჯაჭვია შენი ცხოვრება. იქნებ შემეწყვიტა საუბარი?

— არა! გააგრძელე! გააგრძელე! — ერთდროულად შესძახა ორივემ.

— რახან ამოგიჩემებიათ, რაღა გაეწყობა, თქვენ მაიძულებთ, მე კი არა. ილონა, შენი სისხლი არ დამყყდება გუბეებში, არც როკი მოიკიდებს ხავსს ჩვენი ფორნების ბორბლებივით, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ერთი ალთასაა და მეორე — ბალთას, — მარჩიელმა მხრები აიჩეჩა, სულ ეს არისო, თანაც მისი აჩქარება წითელი საღებავისთვის შეგროვილი რამდენიმე დედაკაცის ჯუჯღუნმაც განსაზღვრა უფრორე.

გოგო-ბიჭი დაღონებული მოშორდა ბოშათა ადგილსამყოფელს. ბაზრისკენ შემოტრიალდნენ. დანა პირს არ უხსნიდათ, მერე ჭიშკართან წამით შეყოვნდნენ, თვალებით გაზომეს ერთმანეთი. ილონას ქვასავით გაყინვოდა გაწვართული თითები, როკის ბორგნეული მაჯა გრძნობდა ამას.

— რამე რომ იყოს, წამოხვიდოდი ჩვენთან?!

— სიკვდილის კარამდე, — თქვა ბიჭმა წრფელად. ილონას არ გაჭირვებია მის თვალებში უმანკო განცდის ამოკითხვა და ამან ერთბაშად შეცვალა აქამდე დაძმარებული ასული.

— ვიცი როგორი ვირისთავია ბიცოლაჩემი. დარწმუნებული ვარ ყველაფერი შებრუნებით თქვა, ერთმანეთზე გული რომ აგვიცრუოს. ჩემი ბრალია, სიზმარი რომ არ გამემხილა და ხვაშიადიც დამემალა, სხვანაირად იქეღურტულებდა. შურა დეიდას ვამარჩიელებინოთ ღამით კოცონზე. შურა დეიდა წესიერი ქალია. ამ მძორივით ცრუპენტელა როდია. საქმეებს მოვცდი, მაგრამ არას ვჩივი. ჯერ კაპიკიც არ მიშოვნია. ფული თუ გაქვს ცოტა?!

— მაქვს, — თავმომწონედ თქვა როკიმ.

დახლთან მიდგნენ. მაღალ ჭიქებში სიროფიანი წყალი ჩამოასხმევინეს. ცხელ ფუნჩულებს მადიანად ილუკმებოდნენ.

— შენი ილონა არავისთან დალევს გაზიან წყალს, არც პონჩიკს შეჭამს ვინმესთან. როკი ჩვენი სისხლის არისო, თეთრი ბოშა, ასე თქვა მამაჩემმა. შენ ჩვენი ფორნების ბორბლებივით არასდროს მოიკიდებ ხავსს, რადგანაც ჩვენი ფორნებით შემოივლი მთელს ქვეყანას. ხომ მართალი ვარ, როკი? — ტიტინებდა ამას ბოშა გოგონა და ახლა უკვე ხელიხელჩაჭიდებულნი მიიკვლევდნენ გზას სკასავით აზუზუნებული გასასვლელისკენ.

ახალგაზრდები დახურული ბაზრის უკანა მხარეს, ათ თუ თორმეტ ხარისხიან კიბის საფეხურზე მოკალათებულმა, ჟღალჩოხიანმა თეთრწვერა მოხუცმა მონუსხა, რომელიც მიტკლის ტომრებს ზონარს ხსნიდა მიყოლებით, კბილებსაც მიაშველებდა ხანდახან. ჩონგურის ყელს წვდებოდა, ამოაცოცებდა, თვალმოწკურული მომართავდა სიმებს და მუხლებში მოიმწყდევდა ძვირფას ნადავლივით.

ხალხს შესასვლელისკენ მიაქანებდა ხორხოცა მასა, მიაქანებდა ნაფოტივით ამჩატებულს, ან ყუნწშიმოსუსტებულ ფოთოლს რომ მოიხელთებს

ხოლმე ნაკადულის აკუნტრუშებული დინება, ისე. ბაქანიდან ხელისუგულობდა მოფუთფუთე სიჭრელე. მარჩიელი ქალის სიტყვებგადავიწყებულ, ბაზრის ქოთქოთში ნემსებივით ჩაკარგულ გოგო-ბიჭს აღარსაით ეჩქარებოდა და უნებურად წააბიჯეს მომხიბლავი ბერიკაციისკენ.

— მაშ, ოდიშელია ხარ? — ეუბნებოდა იგი გამოცნაურებულ როკის, — ძაკას მოთა, ჭანხეს შვილიშვილი? მესმოდა მე მისი ბიჭების უბედურების ამბავი, ომმა არავინ დაგვინდო, მაგრამ ისე აღესრულა ცხონებული, თვალისჩინწართმეულმა ვეღარ მივუსამძიმრე. ჩვენებური ყოფილხარ, ნათესავი. შამგონა, ერგეტა... ვალერიანი კალატოზობს ძველებურად?

— დიახ, ბაზრის გალავანს აშენებს. ხარაჩოდან ჩამოვარდა წეღან და ნეკნები დაემტვრა, მაგრამ ახლა უკეთესადაა.

— გოგოს ხმა რომ მესმის, რომელია?

— ამხანაგია ჩემი, ბოშათა ბანაკიდან.

— ცეუჰ! მედინაფე ბაღანა!* — თქვა და იქვე განაგრძო, — მომკიდე წვერზე ხელი!

როკი დაჰყვა მის ნებას, ფაფუკ წვერს ფრთხილად შეეხო.

— იმ ბოშამაც მომკიდოს. ჰო, მაგრე. ხომ ხედავთ როგორ ქათქათებს. მოხუცებულობა სულის გამონათებაა. საკმარისია ერთი ტყუილიც წამოგცდეთ, ეგრევე შავი გამომერევა და სიბერეში თავი მომეჭრება. აბა, ახლა ბრძანე ვინ არის ეს გოგონა შენი, ამხანაგი?!

— საცოლე, — თქვა გულის გამალებულ ძგერაში როკიმ.

— ამ წვერზე ყველას როდი ვაკიდებინებ ხელს. თვალისჩინი რომ არა მაქვს, მთლად ბრმა ნუ გეგონებით, სულიდან ვიჭვრიტები მე, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც წვერზე შემეხებიან. ამ გოგონას ყორანივით შავი თმა აქვს, ჭრელი კაბა აცვია, თვალები ვარსკვლავებივით უელავს. შენ კი მახუჭიან შარვალში გრძელსახელოებიანი პერანგი ჩაგიტნევია.

— გაიგონე, ილონა, თითქოს სარკიდან იყურებაო.

— შენი გოგო დანიშნულია, ალბათ. მერე როგორ გინდა იმ ბიჭს წაართვა?!

— მართალს ამბობს ბაბუა, აკვნიდანვე ვარ დანიშნული მე, მაგრამ მწვანე თვალებიანს უფლება აქვს საქმრო თვითონ ამოირჩიოს. კარლო ბიცოლაჩემის ნათესავია და იმიტომაც გვიმარჩიელა საძაგლურად, თითქოს მე ალთას წავალ და როკი — ბალთას.

— თვალების ფერის გამო თქვენს ხალხში ქალს, მითუმეტეს დანიშნულს, ახალი საქმროს არჩევის უფლება თუ ჰქონდა, ნამდვილად არ ვიცოდი. ნახეთ, აბა, წვერი ხომ არ გამიშავდა?!

— ჯერაც თოვლივით ქათქათაა, — თქვა როკიმ.

— მწვანე თვალებიანი ას წელიწადში ერთი იბადება ჩვენს ბანაკში. როცა უკუნეთი ღამე ჩამოწვება, დამსვამენ კარვის სიღრმეში და მეტყვიან: აბა, ილონა, გაგვინათეო და ჩემი თვალებიც თუ აენთო, მაშასადამე ყველაფერი

წესრიგშია, აბარგება არ არის საჭირო. მე მაგნიტივით ვარ: კოვზები, დანები, ნალები ტანზე მეწებება. ა, ხომ შევუშვი ხელი თქვენს წვერს და მაინც როგორ გამომეკიდა?!

— ოოო, ვერ არის ძაკას მოთას საქმე კარგად. ამისთანა გრძნეულს ვინ გაუშვებს ბოშათა ბანაკიდან. როგორც ჩანს, მოგიწევს ფორნებით ხეტიალი. ჰ ყავს შენს მეტი შვილი ვალერიანს?

— ორი, უფროსი და უმცროსი ბიჭი.

— მაგრამ ვთქვათ და არ გამოუშვეს მშობლებმა როკი, მაშინ? — დაინტერესდა ბრმა მეჩონგურე.

— მაშინ ჩვენი ბანაკი არსად წავა. იცის ეს ბიოლაჩემმა და იმიტომაც მშხამავს. ხეტიალის საღერღელი აშლია. ხავსი მოგვეკიდაო, წუწუნებს. მოგვეჩვია ხალხი, ყველა გვცნობს, ძველებურად ვერ ვიპარავთო. წვრილმანებზე ვაჭრობით კი როგორ გინდა აურაცხელი ოჯახი არჩინოო.

— საყიდლებზე გავიდა ჩემი რძალიც. ლადი ჭანიასთან კაცი არ მოიწყენს. სადაც არის მოვა. ეროვნებას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ადამიანობა. ახუბაა გვარად ჩემი ლილი, აფხაზი ასული. ისაა ჩემი დამტირებელი, ამიტომაც მთლად გესერელი* არ მეთქმის სამი ბოკვერა შვილიშვილის პატრონს. აგერ, ამათ ვთლი და ეგაა, თუმცა რა, მუხლები ვერ ავმართე დილაადრიან. პირველმა ავტობუსმა გაგვასწრო, ხეირიანი ადგილები დანაწილებულია, დატაცებული. ობიშხა ჭითას* ეხუმრები შენ?! მაინც რას ყიდულობს ასეთს, ჩემი დამტირებელი რძალი? **უმართსამართი**ს ზღაპარში რომ არის იმისთანა მარგუნა ილბალმა. თუ არსად გეჩქარებათ, ჩამოჯექით ცოტა ხანს, ნუ მიმატოვებთ ამ გაცოფებულ ბაზარში. მიტკლის ტომრებს კი მოვხსენი თავი, მაგრამ ამოაშიშვლებ ჩონგურს და აგწაპნიან ხელად. ისეთი კონცერტი გაგიმართოთ, მთელი ოდიში და სამურზაყანო აჭდოგაჭითθ აქეთკენ მოეშურებოდეს. ბაზარი ქვეყნისთვის იგივეა, რაც ადამიანისთვის — გული. აბა, კარგად მიაყურადეთ, გამოგაქვთ რამე აზრი ამ ყაყანიდან?! ერთდროულად ლაპარაკობს ათასი ადამიანი. უსმენ, უსმენ და შინაარსი ვერ გამოგიტანია. სული კი სიმღერაშია გახვეული ჩემო პატარებო! სიკვდილი ერთადერთს მაგას ვერ ერევა. გვესმის ჩხოუშიასპირიდან ბოჩოლების პეტელი, გოჭების ჭყვიტინი, ციკნების კიკინი, ამ ხმებიდან ერთიც არ დარჩება სახვალიოდ, და არც ეს ზიმოთი*, ჩვენს გარშემო რომ დასადგურებულა. ყველა თავის საქონელს აქებს, მყიდველს ფასის დაგდება სწყურია, მიდის ვაჭრობა. გესმით გადაძახილები დახლიდან დახლს შორის. ეს ხმებიც, ერთადშეკონილს ასი ურემიც რომ ვერ ზიდავს, განწირულია ზეგინდელი და მასზეგინდელი დავიწყებისთვის, მაგრამ ლადი ჭანიას ერთხელ დაკვნესებული ჟანგს არაფრით მოიკიდებს. ახლა მე თქვენთან უფრო მეტი მაერთებს, ვიდრე მთლიანად აღებულ ამ ცოფიან ბაზართან.

— ეგ რატომ? — იკითხა როკიმ.

— სრულიად უბრალოდ. სიყვარული და სიმღერა ღვიძლ დაძმასავითაა. უსიკვდილოა ერთიცა და მეორეც.

— აბა, ილონა და მე არ მოვკვდებით? — სძლია ცნობისწადილმა ბიჭს.

— მხოლოდ გარეგნულად, ხორცი შემოგეძარცვებათ მარტო, თქვენი გრძნობა კი სამარადისოდ დარჩება. სიმღერაც ასეა, მიწა შეჭამს ფილტვებს, საიდანაც იგი ამოფრინდა, მაგრამ გამუდმებით ისულდგმულებს ადამიანთა გულებში. უკვდავებაც ამას ჰქვია.

— მე კი მეგონა სიკვდილზე ძლიერი არავინ იყო დედამიწის ზურგზე.

— საიდან მოიტანე? მაგას ცხონებული ძაკა არ დაგასწავლიდა.

— შიშმა, მანცხვარკარის სასაფლაოზე არბენისას რომ მეუფლება ხოლმე და კიდევ — ტურნუს ჭარგავას ხსენებაზე გული რომ შემეკუმშებოდა უნებურად.

— ძაკას მოთა, კარგად დაიხსომე ჩემი ნათქვამი: ჯერ ერთი, საშიში ცოცხალი ადამიანი უფროა, ვინემ — მკვდარი. მერე ძალადობის წინაშე ყველაფერი უმწეოა სიყვარულისა და სიმღერის გარდა. ცხენს წაართმევ კაცს, ფულს წაგლეჯ, სიცოცხლესაც მოუსწრაფებ, მაგრამ სიყვარულისა და სიმღერის დამარცხება სად შეუძლია სიკვდილს, როცა ორივე ღმერთთან არის ჩახუტებული?! ტურუია ჭარგავას მოშიშარ ხალხთან მე საქმე არა მაქვს. მერე რა რომ ჯალათია ეგ შენი ტურუ?!. ქვასავით დაუხვდი შენი სიმართლით და სეტყვასავით შემოგეფშვნება. აქამდისაც ჩაძაღლდებოდა უკანონო ბუნებისა რა ვთქვა თორემ. ხუთი უმანკო ქალწულის ცოდვა ადევს კისერზე. ისე დაიჯგიმება, თითქოს დუყლა ანთარიას წისქვილში არ დაემარტოხელებინოს ძაუ ხუფაცარხე, გაღმელ ბეხრეკს, ძაგვა გერგედას რომ მიათხოვეს მერე ნათესავებმა. განა მან არ მოწამლა კიწა გეჯუახეს უმანკოება?! განა მან არ გათელა თონთო ღურჯიას სინორჩე?! დიახ, მას, ერთადერთს წაუბილწავს სულს დედა-შვილი აბლოთიების უბედურება. მიაწებებ შუბლზე ამისთანა გმირობებს შენს რისხვა ტურუიას და ეგრევე ხერხემალში გადაიმსხვრევა. ხომ არ შემოგფეთებია სადმე?

— ერთი კვირის წინ შეარიგეს მამა და ეგ. დედაჩემი რომ ვიშვიშებდა ისეთი არაფერი ყოფილა. დითა, დითა, დავიღუპეთო, ქოთქოთებდა და ტახტაზე უხმოდ თავქვეშ ხელამოდებულ მამას რომ გავხედავდი,შიშისგან ვიწურებოდი, მაგრამ ვნახე ახლოდან და გულზე უნებურად მომეშვა.

ხმა დაირხა ზუგდიდში:

— ტურნუს ჭარგავას ბანდა დაძრწის ქალაქში. ღამის ცხრა საათის შემდეგ ქუჩაში ნუ გამოხვალთო. მკვლელები და მძარცველები ჯერაც იზოლირებულნი არ არიან, ხიფათს არ გადაეყაროთო. გვიან კარი არავის გაუღოთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.

ვერგილიუსის გმირის სახელი მეგრელ გლეხუჭას ვინ დაანათლა ამისი მტკიცება საძნელო საქმეა, მაგრამ საკუთარი ხალხის აწიოკებით, თითქოს მტრის ბანაკში ყოფილიყო, რომაელ სეხნიას ერთიორად რომ გადაუსწრო, დღესავით ნათელია. ლაითურის კოლონიიდან გამოქცეულიყო. სანამ დაიჭერდნენ განაბი* გახლდა, ავტორიტეტი ზონაში მოიპოვა, მაგრამ ქურდებთან კონფლიქტის გამო ისევ გამოეცალა ხელიდან საყოველთაო პატივი და

ამით გამწარებულმა, როგორც შავ სამყაროში იტყვიან, ,,პაბეგი* აიღო. ჩამოაღწია ზუგდიდში და მთელს რაიონს შიშის ზარს სცემდა. საკვირველია, ამისთანა პიროვნებას ულამაზესი ცოლი ესვა და უფრორე გასაოცარი ის არის, მზეთუნახავი თანამეცხედრე საარაკო ერთგულებით ეტრფოდა თავის მბრძანებელს.

ამ დღეებში ტურუიას, როგორც ლადი ჭანიას შეერქმია მისთვის, ბაზრის მშენებლობიდან მომავალი ვალერიან ოდიშელია გადაეყარა მიმწუხრისას და გაძარცვა-შეყენება მოუნდომა. ვალერიანი მაშინ ოცდაათიოდე წლის თუ იქნებოდა, მთელს ქალაქში ცნობილი ალალ-მართლობით, პურმარილითა და მუშტი-კრივით. კალატოზმა კაცმა ხელად იყნოსა ყაჩაღის შესაძლებლობანი, ,,ერთი დარტყმით გავთიშავო'', გაივლო გულში და ალღომაც არ უმტყუნა. ცალი ხელით ჯიბეებს უქექავდა ტურნუსი ძაკას მემკვიდრეს, მეორეთი მიბჯენილი რევოლვერით აშინებდა ვითომ, მაგრამ როკის მამამ დრო უხელთა, გამეტებით ხია და მკვდარივით დააგდო მიწაზე, თუმცა მანამდე გააფრთხილა ხმამაღლა:

— ვალერიან ოდიშელია ვარ, ძაკას შვილი, ერთი ზუგდიდელი წესიერი კაცი, არ გინდა ასეთი ღლაბუცი, გადამთიელი ვიყო — სხვა ამბავიაო..

იმან კი ჩაიქირქილა და ამგვარად უპასუხა:

— ტურნუსი ვარ ჭარგავა, ზონიდან ახალგამოქცეული. ჯერ დაჯგუფება არა მყავს, მაგრამ მალე შევქმნი და მთელს ქალაქს ფეხქვეშ გავიგებო, — ეს იყო და პისტოლეტიც გაუვარდა. აიღო ვალერიანმა და სახლისკენ გასწია.

მეორე დღეს ვიღაც-ვიღაცეები მიუგზავნა ტურნუსმა ოდიშელიას:

დედაბუდიანად გადავბუგავ უბედურს, ბავშვებს ამოვუხოცავ იარაღს თუ არ დამიბრუნებსო. დარტყმას მაინც არ ვაპატიებ, ოღონდ მხოლოდ მასთან მექნება საქმე და არა ოჯახთანო და ქორით დაშინებულ კრუხივით აქოთქოთდა ჟენია ქირხეც.

ჭარგავასთან კონფლიქტში ოდიშელიებს ვინც პირველი გამოესარჩლა, ქვათია პაპასქირი იყო. იგი სრულებით არ იცნობდა ვალერიანს, მაგრამ ქვათიას უმცროსი ძმა თენგო, როკის თანაკლასელი გახლდათ და ალღოიანმა ბიჭმაც სთხოვა მეგობარს.

შენს ძმას უთხარი მამაჩემს ,,პადდერჟკა''* მისცეს, თორემ შეიძლება დამიჩაგრონო. ამხანაგმა თავი გამოიდო და შემდგომ ქვათიას თაოსნობით გამოჩნდნენ ავტორიტეტები, რომლებმაც შესძლეს ტურნუსისა და ვალერიანის შერიგება. ამისი დამაგვირგვინებელი კი ბრძანდებოდა ფველაზე სახელგანთქმული პიროვნება ოდიშში, ვახტანგ კოზმავა, რომელსაც მეტსახელად ვატალიას ეძახდნენ.

როკის არასდროს დაავიწყდება დედის ფაციფუცი საგანგებოდ გამზადებულ სუფრასთან.

გვიანი ღამით, ამფიბია მანქანითა და ორი ,,ზიმით'' მოადგნენ ისინი

ოდიშელიების ჭიშკარს. ერთმანეთისთვის ხელი ჩამოართმევინეს. ვალერიანმა პისტოლეტი გადასცა ჭარგავას, თან მეგობრული ტონით ურჩია:

— ყველა ჭაში არ უნდა ჩააფურთხო, ტურნუს, თორემ წყალს საიდან დალევ, ისიც „პაბეგში“ მყოფი კაცი?! ახლა, პირიქით ხალხის მხარდაჭერა გჭირდება შენ და არა — სიძულვილი. ერთი კაცის ნდობა და სიყვარული რომ დაიმსახურო, წლებია საჭირო, ხოლო მოგიძულონ — წუთიც კმარა, — ასე დამოძღვრა ვალერიანმა ჭარგავა. მიუჭახუნეს ერთმანეთს ჭიქები ფეხზემდგომელებმა და დასცალეს.

ისე ღირსეულად გამოუვიდა ნათქვამი ვალერიანს, რომ როკის გული სიამაყით აევსო.

სტუმრები არ დამსხდარან.

— დევნაშია კაცი, — თქვა ვატალიამ, — წავედით ახლა!—მოსჭრა და პურ-მარილისგან დაზნექილი სუფრა ლამის ხელუხლებელი დარჩა.

ვატალიას მოჰყვებოდა ზუგდიდელი კოლორიტული ვაჟკაცი, იმ დროისთვის პირველი დამრტყმელი, რაინდი ბიჭი ჰამლეტ მურუსიძე. დამშვიდობების წინ ჭარგავა მოუბრუნდა ვალერიანს და ასეთი სიტყვა ესროლა:

— ჰამლეტს და ვატალიას უმადლოდე ყველაფერს, თორემ აღარაფრით გაპატიებდი!

აქ კინაღამ გააფუჭა საათივით აწყობილი საქმე როკის წამონთებამ. კოსტუმში წვდა ძლივს შემორიგებულ ყაჩაღს, მოახედა და გაფიცხებულმა ასეთნაირად მიახალა:

— რომ გავიზრდები შენი პირველი მტერი ვიქნები. ისე გცემ, ერთი თვე კვარაცხელიების ძროხის რძით გაბრუნებდნენ.

გაიცინეს, ახარხარდნენ. ეს ხმაც დღემდე ყურში უგუგუნებს როკის.

ლადი ჭანია სკასავით აზუზუნებული ბაზრის სიღრმეს გაჰყურებდა უსინათლო თვალებით. სიყრმისდროინდელი სურათები მიცურავდნენ ამოშრეტილი მხედველობის გასწვრივ, ოქროთი მოვარაყებული და აბრეშუმის სილბომოკიდებული სურათები. ოდიშელიების ბიჭის სიახლოვე საკუთარ გულისცემასავით აცნობიერებდა სიყმაწვილის მამლაყინწური წლების ამოქარქაშებას. არა, ხელიდან არაფრისდიდებით გაუშვებდა ამ მაკვარანცხა ონავარს, სანამ საწუთროს უმთავრესი ამწვერვალებისა და ჩაქვესკნელების მიზეზებს არ დაასწავლიდა. მხოლოდ ახლა, ამ აუკინძავ გადაძახილსა და ჩოჩქოლღანჩალში, იგრძნო ლადი ჭანიამ ბაზრის რიტმი თუ დუღილი. აქამდე ყურთასმენის მომშლელი ყაყანი, სიამოვნებდა აწ ფეხზე წამომართულს და მარჯვენა ხელით როკის მხარზე დაყრდნობილს. დიახ, მთელი აზარტით შემოეჭრა მეჩონგურეს ბაზარი. მის ყოველ მიმოხვრაში, მოძრაობაში, ჟესტში იკითხებოდა ეს. ახლა ზემოურ ნიავს გაეყარა თითები უსინათლო მეჩონგურის წვერში, მაგრამ დაბინდება არც მისგან ელოდა საუკუნოვან სისპეტაკეს. განა მართლა სარგებლისთვის შემოივლიდა ბაზარში?! ძვლების საჭრაჭუნებლად სა-

კუთარ ეზო-არეში ფუსფუსიც ეყოფოდა, თუმცა სიმღერის ძახილი და კიდევ რაღაც, ენით გამოუთქმელი გრძნობა, მოასწრაფებდა ხოლმე ზუგდიდ-ქალაქისკენ.

,,მზეც ვერ ჩერდება თავის ბუნაგში, — ფიქრობდა მოხუცი მეჩონგურე, — მზეც კი შემოიმსხვრევს ღამის ასკეცა გალავნებს აქა-იქ, რათა თითოეულ ადამიანს დაუმტკიცოს თავისი სხივმოსილება. კი, ჩაიკეტები ოჯახში, მიყუჩდები ჭყონდიდის ძირას და მრავალ მოზარდს შეავლებინებ წვერზე ხელს, რომ მერე მათ სულებშიც დაისადგუროს სიმართლის მადლმა საუკუნოდ, მაგრამ ასაგასა თუ არ გყოფნის, უფრო სწორად, უსაზღვროებას მიელტვი თვალისჩინამორთმეული და ამ წუთისოფლის მიწურულს ერთხელაც გინდა დაახსომო შენი აღნაგობა, შენი სულის მზიანება შთამომავლობას, რას გააწყობ, ხომ უნდა გამოხვიდე გარეთ?!

სიმღერის წინაშე უძლურია ყოველი, თვით სიყვარულიც კი, რადგანაც სიმღერა უახლოესია სიტყვის მეშვეობით ღმერთთან, და რანაირად გინდა ამ პატარებს უცნობი ჭეშმარიტება უმტკიცო?! აქამდე თავად ცხოვრებამ უნდა მიიყვანოს თითოეული. ესეც ბედისწერაა. ყველას როდი დააბერტყავს უფალი თავზე ეჭვმიუტანელ საუნჯეს.

ვინ წააყვედრის ლადი ჭანიას მორჩილი ხმებით იბლაგვებდა სხეულს დღემოსწრებაო?! ტურნუსის სახელი ტურუიად მოისროლე ხალხში, რადგანაც მისთვის უკეთესი ჯილდო არ გამოუმეტებია განგებას, და დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგ ყურის ბიბილოსთან რომც აგიწივლდეს ტურუია დუდტურტურუს* ფიშტოს ცივსისხლიანი ტუჩი, მომავალი ვერასდროს წაგაყვედრის: უჯიგრო ხარ შენ სიმღერების მწყემსოო. და არც მაშინ მოხდება რამე საგანგაშო ელვისებურად აბოლდეს იგი და შენი ტვინი სახეში ეფეთქოს ცოფმორეულ წუთისოფელს. ხერხემალი ხომ მთელია?! შუბლის ძარღვი ხომ ჩასობილა შენს ნამუსში ფესვებგაფოთლილ სოლად?! ვეღარ შემოგეჭრება ბოროტება დანასავით! ჰოდა, თუნდაც ამ ყმაწვილის სულიდან შიშის ამოსაძირკვად ახმიანდი ლადი ჭანია! დაე, სხვებმა იხოხიალონ მიწაზე პირწავარდნილ მონასავით. სხვა ჯიშის და ჯილაგის ხარ შენ.

ძაკა ოდიშელია ბრძენკაცი იყო, მაგრამ ამდენს ვერ დაასწავლიდა შვილიშვილს. ადამიანობის საზღვარს ისიც ვეღარ გაცდა. შინაგანი ჭვრეტა მხოლოდ ჩემნაირთა ყისმათია. სად შერჩათ ადამიანებს ჭეშმარიტების შეცნობის ძალა?! მთელი დუნია კუჭს გამოკერებია. სიყვარული რამდენადმე გადაუქროლებს ამ ვაჭრუკანულ ბუნებას, მაგრამ ღმერთთან ზიარება მარტოოდენ სიმღერით, სიტყვით ეგების. ჰოდა, ვისაც აგური უწრთობია როკის ბაბუასავით ან რკინა გაუბრტყელებია ბოშა გოგონას ბანაკის ხალხივით, ჩვილის მსგავსად ფეხს იდგამენ ჯერეთ ნამდვილი ცხოვრების წინაშე, მაგრამ ამის გამო ვერ გავკილავთ მათ, რადგანაც მოციცქნულ ბედნიერებებს სჯერდებიან, მოჩვენებით ბედნიერებებს, რომელიც მხოლოდ და მხო-

ლოდ პირველი საფეხურია დაუსრულებელი კიბისა, მაცხოვრისკენ რომ მიემართება და უსასრულობაში ინთქმება.

შენ, შენ სად დგახარ ამ კიბეზე ლადი ჭანია? მიაღწიე კენწეროს თუ კვლავაც მრავალი საფეხურის აკალთავება გელის წინ?!"

იყიდებოდა ყველაფერი.

ყიდიდნენ გალაქულ ნარდს და ძაღლის ძვლის კამათლებს, მოჩუქურთმებულ აკვნებს, სამზითვო ქვეშაგებს, დალიანდაგებულ საბნებს, ფერად ბუშტებს, ჯოხზე წამოკოსებულ სატკბარუნებელ ალისფერ მამლებს;

მოშორებით მუშტარს უხმობდა მონჯღრეული „პობედები" თუ „მოსკვიჩები";

სიტყვა ესარფებოდა სიტყვას.

იყიდებოდა სახლ-კარი, ცხენის აღკაზმულობა თუ თავად სინიბები მოწკარუნე ნალებითა და აფუჩეჩებული ფაფრებით; იყიდებოდა საურმე ხარკამეჩები და ბოჩოლებიანი ძროხები;

მალულად იხვეჭდა პატრონს ღილაკიანი დანები თუ შავად მბზინავი შვიდვაზნიანი „ნაგანები";

იყიდებოდა სატევრები ვერცხლის მინანქრული ხაზებით.

ვიღაცას ცოლს ჰპირდებოდნენ ერთნაქმრევს;

ვიღაცას საქმროს აჩეჩებდნენ მდიდარს და კუზიანს;

იყიდებოდა ყველაფერი, რაც ენას და პირს შორის ითქმება, ლადი ჭანიას სიმღერის გარდა და მზის მაცოცხლებელი შუქის მობჯენამ მზერაამოგლეჯილ თვალთა გუგებში ოქროცურვილი ფერებით აავსო ბაზრის შავთეთრი სინამდვილე.

— ბაბაგე, როკი, შენ სანახევროდ დაგიძლევია შიში და მასთან ერთად — სიკვდილიც, როცა ტურუიას კოსტუმზე ჩამოქაჩე და კვარაცხელიას ძროხის რძით მოსაბრუნებელი გალახვა აღუთქვი მომავალში. ეს დიდზე დიდი ნაბიჯია, შვილო, შენს ასაკში. რა გინდა, ამართლებ სახელს. როკი დიახაც უდრეკელს ნიშნავს ჩვენებურად, მაგრამ გახსოვდეს, ადამიანი თვალებით იწყება და თვალებით მთავრდება. ხომ გაიგე, ილონა ანათებს და ამიტომაც გაუნაღდებია მეგზურის გვირგვინი თავის ხალხში. ორი ყვინჩილა როცა წაძიძგილავდება, იქ დეზს და ნისკარტს არსებითი ძალა არც გააჩნია, მთავარი თვალების ცეცხლოვანებაა. წონიან, ზომავენ ერთმანეთს. ვისაც მეტი ღადარი აღმოაჩნდება, მისი დეზიცა და ნისკარტიც უფრორე აფხიანდება. შიში ავიწროვებს თვალების გუგას. მათი გამოსხივებით ნუსხავს უხსენებელი ვასაკას. ასე რომ, ნურასდროს მოარიდებ თვალს ნებისმიერ წინააღმდეგობას! თავად სიკვდილსაც კი მზერა რომ გაუსწორო და გულის ფსკრამდე ჩახედო, ფარ-ხმალს დაყრის, იცოდე, რადგანაც მისი შენიღბული ყოველი კუთხე-კუნჭულ ხელისგულზე გადაგეშლება. მდინარეში შესვლის გეშინია?!

— არა, ბაბუამ მასწავლა ცურვა.

— შენისთანა ბიჭი, ალბათ, არც მუშტი-კრივის გამო შეიხრის წარბებს ტოლებში?!

— ჩემი ასაკის ბავშვებთან მე ჩხუბს კი არა სიარულსაც არ ვკადრულობ უკვე. შარშან ჟინი ანთარმა მანახა მე ჩვეულებრივი თვალისთვის უხილავი მოძრაობები: თავის სიმაღლიდან დაშვებულ ფოთოლს მიწაზე დაცემამდე როგორ უნდა წამოეწიო ხუთჯერ მაინც. წელიწადიც არ გასულა იმ გაკვეთილიდან და ოთხჯერ ვახერხებ ამას.

— ჯეგე ანთარია მენცარი კაცია, მაგრამ სიკვდილის დამარცხება იმასაც უჭირს. ეს უნარი ერთადერთს მე მომანიჭა უზენაესმა. სიკვდილი შენ მართლაც ცელიანი ჩონჩხი ხომ არ გგონია?! ისიც მდინარესავითაა, ქვათი. თუკი მასში ცურვას ისწავლი, ეჟვანშებმული გეყოლება დღენიადაგ, ატარე საითაც გნებავს.

— ვერ გავიგე, ლადი, ბაბუა.

— შენ ეგ უფრო ადრე გაიგე, ვიდრე ჩემთან მოხვიდოდი, ტურუიას რომ წვდი კოსტუმში მაშინ. მაგრამ ეს ნაპერწკალი იყო მხოლოდ. უფრო საშინელ სიკვდილს, რომელიც ასჯერ და ათასჯერ მრისხანეა ტურუიების დამბაჩაზე, სხვანაირად ებრძვიან, სხვანაირად გადასცურავენ: სიმღერით, მხოლოდ სიმღერით, როკი, ბაბაგე! ამიტომაც ეშინიათ ყველაზე გულბოროტ ხელმწიფეებს, მთელს დედამიწას რომ აზანზარებენ, მომღერალი კაცისა. შენ ისეთი იარაღით უპირისპირდები აურწყავ ბოროტებას, ყველაზე უბასრეს ხანჯალს პირი უჩლუნგდება. ერთხელ დამღერებულს ვერაფერი აკუწავს, გნებავს სამართებელზე აფხიანებული ხმლების ტყეში უხდებოდეს გზის გაკვალვა. გაიგე?

— მაგრამ თუ არ გემარჯვება სიმღერა საერთოდ?

— ტყუილია ეგ, გამორიცხულია კაცს სიმღერა არ შეეძლოს, საჯაროდ თუ ვერა, საკუთარ გულში დაღიღინება უძნელდებოდეს. ფიზიკურად ერთს მოერევი, ორსაც, სამსაც და ოთხსაც, მაგრამ ათასის დამარცხება როგორ გწადია?! ჰოდა, ამისთანა შემთხვევაშია სიმღერა უებარი საშუალება სწორედ. ძმასავით ამოგიდგება მხარში, წელში გაგმართავს. რას მიჰქვია შიში, კუდით ქვა უსროლია. აჩეხავენ, დაკეპავენ შენს ხორცს, მაგრამ სულს ბეწვისოდენასაც ვერ დააკლებენ. გინდა საოცრება განახო?! ხომ ამჩნევ რა ხალხმრავლობაა ჩვენს გარშემო?! ერთს დავიმღერებ ახლა მე და ეს წვერი შემირცხვეს, თუ ოც ნაბიჯზე ახლომახლო ვინმე დარჩა. იმიტომ კი არა, არ მოეწონებათ ჩემი ჰანგი, ან გულით არ ენდომებათ მოსმენა: შიში გაფანტავს ყველას, ტურუია ყაჩაღის შიში, ძაკას შვილიშვილო!

ლადი ჭანიამ მარცხენა ხელით უნებურად ჩონგური შეაციბრუტა. მერმე როკის მხარზე დადებული მარჯვენა გამოინთავისუფლა საყრდენისგან, ცერმა თავისით მიაგნო სიმებს. ლიბრგადაკრული თვალები სველი ნიჟარებივით უბრწყინავდა. უკვე არარსებული ოქტავის ტონალობით ელვისებურად თხზავდა მოტივს და ტექსტს:

თე ჭარგავა ტურუ, ჩალა რენ დო ცურუ,
კუჩხი სოდგა გედგუნ — ჯოღორქ ქიმიოცურუ,
მიდგაქ კარი გუნჯუნ, ლაფის ქიმშანჩურუ,
ოჭიშ ქურთინესუნ — დაჩხირ ქეთუტურუ.

გილექღილინ ტყვიათ, ქიანა გეგნოშურუ,
მოჯგირე დო კერზი ართათ გემინდურუ,
ყვაჯერღვი გოხარცქუ დო მეურს, მიპაღურუ,
კატუქ ქიმნაშქვიდ დო ჯოღორქ ქიმნაღურუ!*

,,გულთმისანი მოხუცია, — ფიქრობდა როკი, — სიმღერის მოსმენაც უნდათ, მაგრამ ეშინიათ, ვაითუ ტურნუსმა მოგვისწროსო და ფეხისათრევით გაეცლებიან. ან რა ადვილად გამახსოვრდება კაცს? ჩალა რენ დო ყურუ, ჩალა რენ დო ყურუ! წავიდოდი, აქამდეც რამდენჯერ მომიკითხავდა მამა, მაგრამ შეეშინდაო იტყვის. ტურუ დღისით ვერ ბედავს ქალაქში გამოჩენას. ღამ-ღამობით კი დათარეშობს, თუმცა წაიმტვრევს ფეხს მალე''.

სიმართლე ითქვას, ბედი სწყალობდა ტურნუს ჭარგავას. ვალერიანთან შერიგების მესამე დღეს უჩუმრად გამოსულიყო თავისი ბუნაგიდან და ჭადრების ხეივანში მოყუჩებულიყო საკბილოს მოხელთების იმედით.

შუაღამეა. მეეზოვენი ქალაქის ქუჩებს ცოცხავენ. სხვები მაწანწალა ძაღლებზე ნადირობენ. გავარდება თოფი მჭახე ხმით და აწკავწკავდება ქოფაკი.

მწარე ფიქრებს მისცემია ტურნუს ჭარგავა. მისი ცხოვრებაც ამ ძაღლებივითაა. მასაც ასე დაუნდობლად სდევნიან.

მოუტანეს ამბავი მოენეებმა: ბრმა მეჩონგურე ტურუიათი მოგიხსენიებს შუაგულ ბაზარშიო. ყაჩაღის სახელის გატეხვას რა უნდა?! ოლაგეზე გადაბიჯებისას ერთი ადგილი თუ ჩაეხა ვინმეს, იმასაც ტურნუს ჭარგავას აბრალებენ. სიკვდილის ვის არ ეშინია, მაგრამ მაჩვივით ტყეში ვერ დაიმალება, ნადირივით ხეზე ვეღარ გავა დასაძინებლად. სიკეთეც გაუკეთებია თითო-ოროლა, ვინ დაუმადლა თორემ?! მხოლოდ სიავე ჩამოართვეს. იმდენი თეთრი ურევია, რამდენი წამიც იცხოვრა. ჰოდა, აგერ, ბრმა მეჩონგურე ტურუიათი მოიხსენიებს თურმე შუაგულ ბაზარში. ამისთანა ფიქრებში გართულს თავზე წამოადგა მილიციის უფროსი ლეო გაგუა, რომელსაც ჩვევად ჰქონდა სამორიგეოში ღამ-ღამობით შევლა. ნახა სკვერში მდგომი ახალგაზრდა კაცი. წამოეპარა, მიაბჯინა ,,ტეტე'' და ხელები მაღლაო, ეუბნება. მიიყვანს მილიციაში და იქ გაირკვევა კურდღელივით დამფრთხალ ქალაქში ვინ არის, რომ ჭადრების ხეივანში ხეტიალს ბედავს?!

ტურნუს ჭარგავას ჩინური პლაშჩი სცმოდა. ერთი პატარა დამსკი ,,ნაგანი'' ხელში სჭეროდა და მკლავები რომ ააწევინა მილიციის უფროსმა, იარაღი სახელოში ჩაიცურა თურმე. მეორე, ქამარში გარჭობილი, გაგუამ

ოსტატურად ააცალა. ახლა ყველაფერი ნათელია, ნანატრი დამნაშავე თავისი ფეხით მოადგა კარზე მილიციის უფროსს. წაეწყო საქმე. მინისტრის მადლობა უეჭველი განაღდებული აქვს. ჩინსაც მოუმატებენ. შეიძლება დააწინაურონ კიდეც, დედაქალაქში გადაიყვანონ. უკვე მილიციის შენობას უახლოვდებიან. გაგუამ გააჩხაკუნა ასანთი და სიგარეტს მოუკიდა. ტურნუსმა ელვისებურად მოისაზრა:დამკავებელი გამორთულია წამით საბრძოლო მზადყოფნას. სახელოში მოყუჩებული იარაღი დაითრია, ფიცხლად შემოტრიალდა და მიაბჯინა შუბლზე.

— ტურნუს ჭარგავა ვარ, შენი დედა!

ჯერ სატაბელო იარაღი აართვა, მერე საკუთარიც ააღღლიზა ქამრიდან, ბოტანიკური ბაღისკენ გაიგდო.

— ირბინე შენი დედა, თორემ კეფას აგხდი! — დაემუქრა მილიციის უფროსს და ასაკმაყრილი კაცი გააჭენა მძლეოსნის სიმარდით.

დღეს კი წითელი პარასკევია. რამდენიმე თანამზრახველიც გვერდით ახლავს. აწი არც ისე იოლია ტურნუს ჭარგავას მოხელთება. პირველი დარტყმა სწორედ ბაზარმა უნდა იგემოს. ახლა რაც აქ ფული ტრიალებს, მთელი წელიწადი ეყოფა დევნილ ბანდას. ორი ამხანაგი ცენტრალურ შემოსასვლელთან დაუტოვებია, დანარჩენი ორით უკნიდან დააფრინდება დახლებს. დიდი მაყუთი ებრაელებში ყვინთავს. ოქრომჭედლების შეყენება უჩუმრად ჩაივლის. ასევე მოუსუფთავებენ სალაროებს ფართლეულის თუ რკინაკავეულის მაღაზიებსაც. მეშაქრეებთან შეკამათება ხალხს ააჩოჩქოლებს. ყური მოჰკრეს ტურნუს ჭარგავაა თავისი თავზეხელაღებული ძმაკაცებითო და თითქოს ალალს დაუქროლიაო, დიდ-პატარა თავ-პირის მტვრევით გავარდება ცენტრალური გასასვლელისკენ.

ქალები თბილ ადგილებში გახიზნავენ მთელი დღის ნავაჭრს. თითქოს შხამი ჩაეწვეთა ბაზრის ვეება ძარღვებსო, სისხლი გაეყინა ყველას. მხოლოდ დედაკაცები წამოიკივლებენ აქა-იქ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ფეხზე ფეხს დააბიჯებს აჩქარებულებს. ახლა უფრო მოსარკოვნდა ფონი მოხუცი მეჩონგურეს ბარიტონისთვის:

,,თე ჭარგავა ტურუ, ჩალა რენ დო ცურუ''.

გულის გამჭოლ ხანჯალზე უბასრესია ეგ სიტყვები. ტყვიას აიცდენ დევნილი, მაგრამ საკუთარი ცხოვრების — წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთდროულად გაცამტვერებას, შენი სახსენებლის დედაბუდიანად ამოძირკვას ადამიანთა გულიდან თურმე ვერაფერი გაუტოლდება. იარაღის ტარს კი უჭერს მარჯვენას ტურნუს ჭარგავა, მაგრამ ოფლად დაღვრილ ხელისგულში ისე უსხლტება, თითქოსდა თევზი კუდით მოუხელთებიაო. არც ამ ნაბიჯებს ჰქვია ქვეყნის ამკლების ფეხისხმა. ყველაფერი იბინდება გარშემო, წასართმევი ფულიც, შენს მადას ჯერაც ბლომად რომ ესაჭიროება; არც საყასბო გახსოვს, თვალდასისხლული მგელივით რომ უნდა დასცემოდი. წაგრთმევია გამოზოგილი დროის შეგრძნება, ოციოდე წუთში რომ უნდა აგეკ-

რიფა ალაფი. შენი წუთისოფელი, ეგერ, კიბეების თავზე აწონილია უზუსტესი სასწორით. ყოველი სიტყვა შემოდგომის ფოთლებივით მისხალ-მისხალ შემოგაძარცვავს ჯერაც აქა-იქ შემორჩენილ ადამიანურობის ფთილებს. ბრმა მეჩონგურის გულიდან ამოძახებულ განაჩენს იმდენად დაუბრმავებია ტურნუს ჭარგავა, უსინათლო მომღერლის მეტს ვერაფერს ამჩნევს; მისი თეთრი წვერი, მისი ჟღალი ჩოხა-ახალუხი და სიკვდილივით მალემსრბოლი სტრიქონი — ,,თე ჭარგავა ტურუ, ჩალა რენ დო ყურე'' — ბედისწერასავით აღმართულა ყაჩაღის წინაშე. არა, თვალდავსებული მოხუცის ცოდვას ვერ დაიდებს მთლად. კაცისკვლა არ არის ტურნუს ჭარგავას სტიქია, მაგრამ მაგ მოღრეცილ წვერს მაინც წარიტანს აურაცხელ ნადავლად. დაითვლის მერე იმ ფრიმულის თითოეულ ღერს და ყოველი თმის ძირი ნიკოიას ოქროზე მეტად გაძვირფასდება ყველასგან მოძულებული კაცისთვის. დაბრმავებულა სწორედ, რადგანაც ამ წვერს იქით ყველაფერს აზრი დაუკარგავს ტურნუს ჭარგავასთვის. აჰა, მიეჭრება კიდეც უჩინო ბერიკაცს, რომელიც აშკარად იგრძნობს მოახლოებულ რისხვას, თუმცა სანამ ,,ჯოღორქ ქიმნაღურუთი'' არ დაასრულებს აჩემებულ სტროფს, არაფრით დაცხრა, არაფრით გაეცლება ყაჩაღის გზა-სავალს.

სვეკურთხეული სერვანტესისა არ იყოს, ჩვენ რომ კალამი გვიჭრიდეს ზოგ-ზოგივით, ლადი ჭანიასთვის ოყიან მუშტს არ დავარტყმევინებდით ტურნუს ჭარგავას, არამედ რაღაც გულისამაჩუყებელ, ან სიბრძნითდატენილ დიალოგს გავამართვინებდით შუაგულ ბაზარში, ვთქვათ და დაახლოებით ასეთს:

— სახალხო მგოსნის ცოდვას როგორ დავიდებ, ბაბუის ტოლი კაცისას, თანაც უსინათლოსი, — კბილებში გამოსცრის ტურნუს ჭარგავა, — ოღონდ მუხლებსაც მომიხრი ხრონცო ბერიკაცო და ბამბასავით წვერსაც შეელევი.

— სიმღერას ვერ მოღუნავ, საწყალო მონავ! — აუღელვებლად იმზირება შორეთში ლადი ჭანია.

რატომაც არა, რანაირად შეამჩნევს ბრმა მეჩონგურე, ტურნუსის ხელში აცახცახებულ, მოზიმზიმე ,,ნაგანს'', რომლის ტარი ლამის თითებიდან გაუსხლტეს ყაჩაღის კუდით დაჭერილ თევზივით?!

— არც ახლა დაიჩოქებ შე ბრუციანო?! — შეუღრენს მხცოვანს ტურნუს ჭარგავა და საფეთქელზე რევოლვერის ლულას მიაბჯენს, — ჩქარა, თორემ წამოვიდა მეხი! — მაგრამ ,,ძაღლი მიგაკვდეს, ძაღლიო'', აუღელვებლად უმეორებს ლადი ჭანია და რადგანაც უკეთესი ვერაფერი მოუსაზრებია კისრისძარღვებდაბერილ პირატს, წაეჯაჯგურება ხანდაზმულს, რათა შემოატრიალოს და ბარაქიანი პანღურით რამდენადმე მოიფხანოს გული ხალხში გამოჭენების წილ; თუმცა უკვე ყველაფერი გვიანია — პისტოლეტიანი მარჯვენა ზურგს უკან ამოუგრეხიათ მილიციელებს მისთვის და ამ გაწამაწიაში, ამ ფორიაქსა და ღრიანცელში, არავის ენანება დანაფოტებულ ჩონგურების ყელს წაკონწიალებული, გაწეწილი სიმები; არც — აყირავებულ დახლებს შორის

ფეხქვეშ ახრიალებული თხილი და სიმინდის მარცვლები და აღარც ლაფში გაგორებული შებოლილი ყველი თუ ტალახში ამოლუფხული სანეფედედოფლო აბრეშუმის საბნები. თავად ტურუია კი ღვანკალებს ჯანიანი ხელებით გაქაჩული, ბორკილებგაყრილი, მაგრამ სულ ერთსა და იმავეს გაიძახის ჯერაც გაუცნობიერებელი მერმისით გათანგული:

— გიჩვენებ სეირს, ბრუციანო, ტურნუს ჭარგავა თუ ვარო, — თუმცა ამისთანა რეალობების დახატვა ჩვენი საყველპურო მწერლობის კორიფეთათვის დაგვითმია. რაც შეეხება დუჟმორეულ ყაჩაღს, უცერემონიოდ, გაუფრთხილებლად ხეთქავს საფეთქელში მოხუცს, დააგდებს მიწაზე და მის ქათქათა წვერს, ისე გადააბიჯებს, წარბსაც არ შეიხრის. დაჭერით კი მოგვიანებით შეიპყრობენ ჭარგავას. მერმე პიონერთა სახლში ოცდახუთ წელიწადს მიუსჯიან სახალხოდ და სანამ საპატიმროდან გამოაღწევდეს, ლადი ჭანიაც უპრობლემოდ გაუდგება უფლისკენ მიმავალ გზამართალს ადამიანისას. აი, როკი ოდიშელია კი ნამდვილად შეუსრულებს ტურნუსს სიტყვას თხუთმეტიოდე წლის შემდეგ — არც ბრმა მეჩონგურესთვის დარტყმულ ხელს შეარჩენს ავაზაკს, ოღონდ ეგეც არის, გულმოწყალე ტუსაღები ვეღარსად იშოვიან კვარაცხელიების ძროხის რძეს კბილებჩალეწილი ნახიშტარის მოსაბრუნებლად.

ლიმა მეორე

სტოლიპინსკი.
ბირჟა

153846

ბედისწერის ჯადო-თილისმა ოდიშელიამ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ირწმუნა, როდესაც სანუკვარ სამეგრელოში მატარებლით ბრუნდებოდა დედათბილისიდან და მოლითს მიტანებული უცნაურმა ბიძგმა წამოაგდო ლოგინიდან. არა, ეს არ გახლდათ ვაგონების ჯახუნისმიერი გამოღვიძება; არც — შემხვედრი შემადგენლობის გამალებული ქროლვა სარკმელთან, და ელმავლის ქალისმიერი ისტერიკული კივილი; არც — მტვრითა და შმორით გაჯერებული გამცილებლის ხაფი ხმით გაფრთხილება მგზავრისა, ჩამოსაქვეითებელი სადგურის მოახლოების გამო. ეს იყო შინაგანი ბიძგი, შინაგანი ხელისკვრა უჩინარი ძალისა, თითოეულ ადამიანში რომ დადარაჯებულა მიმინოსებური მზერით.

ჩამოფუცხუნდა ზედა საწოლიდან მაშინ უცნაურად შემკრთალი. ეძინათ კუპის თანამგზავრებს. ფანჯრიდან შემოღწეული რიბირაბოს შუქზე გაარკვია მაგიდაზე დაყრილი ბანქო, ნაარყალი ჭიქები, ლუდის გამოცარიელებული ბოთლები, სხვანი და სხვანი.

ზაფხულის სურნელება ვერ აღწევდა სმოგში, რომ ქეჩოში წვდომოდა იასამნის ტოტი და გათქვირულ მკერდში ჩაეხუტებინა. არც ტირიფების ძეწკვა რტოებს აქაოსებდა აშარი ქარი, საშველად რომ გამონთებოდნენ. უწყინარი გამთენია იდგა იმ თოთხმეტი წლის წინ შუაგულ იმერეთში. უფრო სწორად უშფოთველი ალიონის წიაღში, თხელი ნისლის საბურველში გახვეულიყო მატარებელი.

,,მატარებელი წევს როგორც ლავა'', ეს ფრაზა ამოუტივტივდა იმწუთას როკის, მაგრამ იმჟამად ჯერ კიდევ ბოლომდე არ ესმოდა მოფრენილ სტრიქონში ჩასხმული ტკივილისა. დიახ, იმ თოთხმეტიოდე წლის წინანდელი დილასისხამის შემადგენლობა მისთვის სულაც არ აღიქმებოდა რაიმე პოეტურ საგნად, ან — მითიურ არსებად საერთოდ. დუმბაძის გმირებისა არ იყოს, მატარებელი როკისთვისაც სამიმოსვლო საშუალება იყო მხოლოდრე, თუმცა ბიძგი, რომელმაც ნაარყალი თავი წამოაწევინა დაჩვარული ბალიშიდან და გარეთ გაუხმო, არაფრით უმჟღავნებდა ვინაობას. არც სიზმრისეულ გამოცხადებად ჩაითვლებოდა ჩვენება ესე, როცა ზენაარი მთელის ჟინიანობით ჩაგძახის რაღაც გარდუვალს, რაღაც ნიშანდობლივის მოახლოვებას; მაგრამ სრულიად კონკრეტულ მატარებელში, მატერიალურ ძალას, საღათასაც რომ ვეძახით ხშირად ხანმეტი ბრუალის გამო, უძრაობას სავსებით მინებებულ შემადგენლობაში, ვერავინ მოიხელთა ხორციელი, ვერც — მიღმეთის მოციქული, ასრერიგად რომ აბოჟირებდა მის არსებას და მთვარეულივით მიუხმობდა გარეთ ბაყაყებისა და ჭრიჭინების საქველმოქმედო კონცერტზე: არსაიდან ხმა, არსით ძახილი ძეუფლისა! რომელიღაცა, ღვთისგან თუ ადამიანისგან მივიწყებულ სადგურთან, თვლემდა მრავლისმომსწრე მატარებელი და პერანგისამარა, ფეხშიშველი, ჩამოწეულ სარკმელთან მახლობელ ნიავს მიყრდნობილი როკი იცრემლებოდა თავისთვის. ვეღარაფრით აეხსნა თუ რა აჟრუანტელებდა, რა უკანკალებდა ნიკაპს; რა სახელით მონათლულიყო ეს უმწიკვლო განცდა, შემოქმედის უზენაესი კარნახისგან იყო აღტკინება წინდებული, თუ სხვა რამ, უფრორე ძირმოლეული, უფრორე სიფრიფანა, ვინემ იანვრის ღელეებზე გადაკრული ყინულის სარკეებია, ჯერაც მფეთქავი, ჭავლის უჩინარი მდინარებით.

იცრემლებოდა მისდაუნებურად, ძალდაუტანებლად და მარტოოდენ ნეტარებისა თუ ეთქმოდა ამ ცახცახს, რადგანაც დაბეჯითებით სწამდა, არც ილონას ჩრდილოეთური სიშორე და მრავალტანჯული დედის ძილგატეხილი ღამეები ასაზრდოებდა იმ განწყობილებას, არცარა — მიწიერი, ხელშესახები რამ — შიგნიდან, შიგნიდან აჭანჭყარებდა მფარველი ანგელოსი თვისი თუ მოურჩენელი იარა კოლხეთის სანახებისა და ოდიშელიაც წყალდიდობის ცოფით ატივტივებულ ნაფოტივით ეხლებოდა სლიპინა ნაპირებს.

როკი ახლაღა აცნობიერებდა ყოველივეს, თოთხმეტიოდე წლის მერმე, როცა სამართლიანობის ქომაგობისთვის, სინდის-ნამუსის გამოსარჩლების წილ, მრავალგზის შერისხულა უკეთურთა ხროვისგან, და რაოდენი შვება გახ-

ლდათ მისთვის, ამწუთას, ჩრდილოეთის ქათქათა ტრამალებში გაქანებული მატარებლიდან რომ ეწეოდა თავის სიჭაბუკეს; რომ უნაზესი ფიქრისთვისაც პოულობდა მოცალეობას, იმ დაუსრულებელი სიკეთის კვალდაკვალ, რომელიც აკვნიდანვე დაებედა, ფხალის ფოთოლივით გადმოეფარა ნოტიო ხელისგულით თაკარა შუბლზე და რადგან ყოველ ნაპირს თავისებური მისასვლელი მოეძევება, თანაც თითოეულ ნაპირზე ხელაღებით როდი გადაისვლება, გაყურსულ თოვლეთში გახელებული მატარებლის ქროლვით ტკბებოდა.

„მატარებელი წევს როგორც ლავა. ნაჯახიანებს კარტოფილს უხარშავს გალაკტიონის ცოლი. საწყალი ოლოლი. ზატოჩნიკი განუმეორებელია. ეგ რომ არა, შესაძლოა პლაკკარტით, ან უკეთეს შემთხვევაში კუპირებული ვაგონით გეყურყუტა. მთლად ხელიდან წასულს არ ჰგავს. ტყიურივით ხომ არ დაეტაკები? ძაღლის ბედი გაქვს! უმჯობესია გამცილებელს შნაბსი მოატანინო. ასი გრამი საჭიროცაა სითამამისთვის, თან სტოლიპინსკის ბიჭებს გრევს გაუგზავნი, მადლია. ამჯერად „კოსმოსის“ ორი ბლოკიც იკმარებს. სვეტლანაც ლანგარით შემორთმეული ტალკანივითაა“.

— მართლაც ასე გწყინთ, მანქანა?! — შეაპარა როკიმ ქალიშვილს და სიგარეტი ხარბად გააბოლა.

— მანქანა? არც ისე.

— მოსვენება თუ გინდათ, ნუ მოგერიდებათ. ამხელა გზა გამოგივლიათ, ვის არ დაქანცავს?!

— არა, სულაც არა, — შეკრთა სვეტლანა და ნუკრის თვალებში კრთომა ჩაუდგა, ღაწვები აეფაკლა.

— მოშინაურდით. მე გავალ, ტამბურში მოვწევ, ისედაც გაიბუღა აქაურობა.

ქალიშვილს ხმა არ ამოუღია, რაც როკიმ თანხმობის ნიშნად ჩათვალა და პერანგისამარამ დერეფანში გააბიჯა. ჯანიან გამცილებელს თითით მოუხმო.

— ჩვენთან არ ეწევიან, — თქვა ქალმა ღიმილით.

— ვიცი, — სარკმელი ჩამოსწია როკიმ და სიგარეტი ქარბუქიან ტრამალში მოისროლა. შარვლის უკანა ჯიბიდან საფულე ამოიღო. ტკიცინა ორმოცდაათმანეთიანი ამოაცოცა. — დასალევი და რამე მისაყოლებელი გვინდა.

— არაყი მაქვს, — ისევ გაიღიმა ქალმა.

— ამჯერად შამპანური აჯობებს, — თვალით ანიშნა კუპეზე, — შორსაა ვაგონ-რესტორანი?!

— მეცამეტეში. რამდენი ბოთლი?

— რა ვიცი, სამი, ოთხი. შოკოლადიცა და ტკბილეულიც გამოაყოლე ხელს. თუ ხილიც იქნება, მთლად დიდებული, — მიაწოდა ტკიცინა ხუთთუმ-

ნიანი, — და კიდევ ერთიც, იქნებ სიგარეტი ჰქონდეთ იქ. ამჟამად ორი ბლოკიც ეყოფათ. სტოლიპინსკის ბადრაგი გეყოლებათ შესაკერი!

— ახლავე ავიბარგები, ოღონდ იმ პირობით, ჩემს დაბრუნებამდე ვაგონს უმეთვალყურებთ.

— მოდის!

გამცილებელი დაფაცურდა.

როკიმ კუპეს მიუკაკუნა.

— მობრძანდით, — გაისმა იქიდან და ოდიშელიამაც კარი თამამად შეაღო.

სვეტლანას სქელი სვიტრი გაეხადა. მაღალყელიანი ჩექმებიც გაეძრო. გიპიურიდან მოუჩანდა გათქვირული მკერდი. ერთიანად აყირმიზებული ჟურნალ „ნოვი მირს“ ჩაჰკირკიტებდა.

— 1966 წელი, — ხმამაღლა წარმოთქვა როკიმ, — საინტერესოა რამე?

— ძალიან. უკვე მესამედ ვკითხულობ.

— ისეთი რაა ნეტავ? რომანია?

— დიახ. „ქალი ქვიშაში“.

— ჩემისთანები დროს ფეხს ვერ უბამენ. იმას უნდა დასჯერდე, რაც შეგხვდება. ზოგჯერ საყურადღებოც გამოერევა. ავტორი ვინ არის?

— კობო აბე.

როკიმ ხელი გაუწოდა ჟურნალის გამოსართმევად. ქალიშვილმა მიაგება. ოდიშელია ფურცლავდა და თან საუბარსაც აგრძელებდა.

— იაპონელი ყოფილა. იაპონელებისგან მხოლოდ აკუტაგავას ვიცნობ. სულ ეს არის?

— ჰო.

— რომანი ჰქვია და მოთხრობას ჰგავს.

— რატომ, განა მარტო მოცულობაშია საქმე?!

— როგორ გითხრათ, რომანისთვის სივრცეს აქვს გარკვეული მნიშვნელობა. **„მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“.**

— გემოვნებაზე არ კამათობენ.

— სრული ჭეშმარიტებაა. ესე იგი სამჯერ რომ წაგაკითხათ თავი, მართლაც რაღაც არაჩვეულებრივი უნდა იყოს.

— მოყოლით ვერც მოჰყვები, მაგრამ რაც მეტჯერ კითხულობ, სულ ახალ-ახალ სიღრმეებს პოულობ. შინაარსი თითქოს უბრალოა: ერთი ნატურალისტის ბუნებაა გადმოცემული, ხოჭოებს აგროვებს ზღვისპირას. ერთხელ ქვიშის ორმოში ჩავარდება და ისე წაუვა საქმე, იქიდან ვეღარაფრით ამოაღწევს, სამუდამოდ დაიღუპება ცივილიზაციისთვის, რიგითი დედაკაცის ერთგულება გადასძალავს.

— და ამან მიგიტაცათ ასე?!

— მაგრამ უნდა ნახოთ, როგორი დამაჯერებლობითაა დახატული ნიკი ძიუმპეის ვნებათაღელვანი...

— ალბათ, სტუდენტი ხართ.

— ვიყავი, სამხატვრო ტექნიკუმის მოსწავლე. მამის პატიმრობამდე მატროშკებს ვაფერადებდი. მამა ახარატებდა, მე ფერებს ვუხამებდი და ვყიდდი მერე ტურისტებში გროშებად. შინ მოუბრუნებლად გარდაიცვალა. გადმოსვენებისთვის არც გვიფიქრია. მისი საფლავი სადღაც ვეტლაგშია. უბედურებამ დედას ხელ-ფეხი წაართვა. ძმაც მიმაგრებაშია და სწავლისთვის მოიცლი განა?! ზატოჩნიკი ჩვენი უბნელია, უფრო სწორად, მისი უმცროსი ძმაა ჩემი თანაკლასელი. ვანიას გამო ვთხოვე დამხმარებოდა ამხანაგი. ზატოჩნიკის გავლენის შესახებ დიდ-პატარამ იცის.

შეგახვედრებო, აღმითქვა იმანაც და შემისრულა კიდეც თხოვნა. ზატოჩნიკმა მომისმინა და იქვე მოსჭრა:

ვიცი მე ეგ ამბავიო, ბაბკებია* საჭირო. მთლად გამონთავისუფლება ზღაპარია, მაგრამ სროკის* შემსუბუქება მოხერხდებაო.

მე ავტირდი.

დაწყნარდით, გაგონილი მაქვს თქვენს ხელმოკლეობაზეო. იქნებ გამოსავალი ვიპოვოო. მერე მუხლზე დაირტყა მარჯვენა და უცებ, რა იქნება ლენკას მაგივრად ჩრდილოეთში წამომყვეო.

ჩრდილოეთში რისთვის-მეთქი.

რისთვის და ერთი ძმაკაცი ზვერი, პანტერ ვალერიანოვიჩი გამოდის ათ დღეში, გრევი მინდა გავუკეთო და რაც ლენკასთვის მეხარჯება შენი ძმის მდგომარეობის გაუმჯობესებას ლამის ეყოფაო.

ისევ ავტირდი. — ერთიანად წამოჭარხლებული სვეტლანა დადუმდა.

— განაგრძე, — სთხოვა როკიმ, თან იდაყვით ეყრდნობოდა დაკეცილ ჟურნალს. — მამა როდის გარდაგეცვალათ?!

— ოთხი წელიწადი შესრულდა უკვე.

— ხატვა ბავშვობიდან გყვარებია თურმე.

— მიყვარდა რომელია, ფუნჯი დღემდე არ გამიგდია ხელიდან, მაგრამ საღებავია ძვირი და ძირითადად ტუშით და აკვარელით ვმუშაობ. ვნახოთ მომავალში იქნებ ბედმა გამიღიმოს.

— აუცილებლად, სვეტლანა, მთავარია მონდომება. ძმა უფროსია?

— ორი წლით. მამას ბრონქიალური ასთმა აწუხებდა, მაგრამ კანონი შენს ჯანმრთელობას დაეძებს? ან რა მკვლელი ეგ იყო. სიმთვრალეში შელაპარაკდნენ მეგობრები და სახარატო დანა საძილე არტერიაზე გადაუსვა. გონზე მოსულმა ერთიანად დაიჩეხა სხეული, მაინც გადარჩა, თუმცა ადამიანის სიცოცხლე გამოისყიდება რაიმეთი განა?!

ოდიშელიამ იგრძნო გამცილებლის ვაგონში შემოსვლა. წამოდგა, კუპიდან გამოიხედა.

— მოხვედი? — თქვა აღელვებულმა.

— ყველაფერი რიგზეა. სიგარეტები შეგზავნილია უკვე.

ვისგანო მკითხეს. დავიბენი, არ ვიცოდი რა მეპასუხა.

თქვენებურისგან-მეთქი.

გამცილებელმა მაგიდაზე დადგა პოლიეთილენის პარკებით მოტანილი შამპანურები და მისაყოლებლები.

— ჩინებულად მოქცეულხარ.

— ჩაის ხომ არ ინებებთ?!

— მოგვიანებით აჯობებს, ოღონდ რაც შეიძლება მუქი და ნაკლებშაქრიანი. თქვენ, სვეტლანა?!

— ჩაიმ თავი მომაბეზრა.

— მაშინ ყავა.

— იყოს.

გამცილებელმა ძველებური ღიმილით ლურჯი ფორმის კალთები დაიბერტყა კუპიდან გასვლისთანავე. ოდიშელიამ კარი მოხურა.

— შორი გზა გამოგივლია ძმის გულისთვის. იცით, როგორი ფრთიანი გამოთქმაა ჩვენში დაძმურ სიყვარულზე?! ძმის უბედურების გამო, სადაც დის ცრემლი დაეწვეთება, იქ ცხრა წელიწადს მდელო ვერ ხარობსო.

ჟინი. „მაგრამ კალთამადლიანთან პირუკუ რომ მოიქცე, ისეთ საქირქილოს გაგივრცელებს ხალხში, კბილებით ტუჩების კვნეტა უსარგებლო იქნება ერთხელ შებარბაცებული სახელისათვის“. შამპანური ხომ არ მოგვეწრუპა?

— პრინციპში არ ვსვამ, მაგრამ ერთი ჭიქა შეიძლება.

დაუკაკუნეს. როკიმ კუპის კარი გამოაღო. გამცილებელმა ჩაი და ყავა მაგიდაზე დადგა. თხელი ჭიქებიც. კვლავ ღიმილი გაუკრთა თვალებში.

ოდიშელიამ ბოთლს ფოლგა შემოახია. არ ჩქარობდა შამპანურის გახსნას და როდესაც გამცილებელმა კარი მოხურა, დრეკადი მავთული ნელნელა აუშვა, უხმაუროდ უნდოდა საცობის მოძრაობა, მაგრამ ნაკადმა ამოხეთქა და კაბაზე გადაეღვარა ქალიშვილს.

სვეტლანას შეცხადებისმაგვარი სიცილი წასკდა.

— მაპატიეთ, გაგწუწეთ. გადავჩვიე შამპანურს.

სარკმელს მიმწყდარი ასული ხელსახოცით იწმენდდა კაბის კალთებს, თან კვლავაც წაიკისკისებდა შიგადაშიგ მიამიტი გამომეტყველებით.

კუპე ორსაწოლიანი იყო, მაგრამ ლოგინები ერთ კედელზე მოეთავსებინა ოსტატს, დაბლა და მაღლა. აქ დამატებით ასაკეცი სკამიც გახლდათ, თუმცა რატომღაც მაინც გვერდიგვერდ ისხდნენ.

ჭიქები დაყოვნებით შეავსო როკიმ, მერე აიღო სიფრიფანა სასმისი და მეორეს მიუჭახუნა.

— ჩვენ გაგვიმარჯოს, სვეტლანა.

— გაგვიმარჯოს, — თქვა ასულმა და მოწრუპა.

— დალიე, დალიე, გაგამხნევებს. მომწარო გემო კი აქვს ,,ბრიუტს'', სამაგიეროდ ვერც მშრალი შეედრება და ვეღარც — ტკბილი.

ოდიშელია გრძნობდა ქალიშვილის კანკალს, მაგრამ ატყობდა სიცივისგან არ უნდა ყოფილიყო ეგ. მარცხენა ხელი სველ კალთაზე დაადო. იგრძნო

მკვრივი ბარძაყები და წელანშემჩნეული ცახცახი ახლა უფრო ცხადი შეიქმნა მისთვის.

— შუქს ჩავაქრობ. მიმზიდველია თოვლის ნათელში სიარული. — როკიმ გამოცარიელებული ჭიქები ფანჯრისკენ მისწია, ბოთლებიც. პერანგი კაუჭზე ჩამოჰკიდა. შარვალსაც მიუჩინა ადგილი.

— მოდი! — უთხრა ხმაპარვით მერე სვეტლანას კუპის შემოსასვლელისკენ გაორმაგებული ბალიშით თავამომაღლებულმა, — ამაღამ ეს მატარებელი ჩვენია, — ეჩურჩულებოდა თვალებმიბნედილ ასულს და თან მისი გამოკვეთილი თრთოლვა ახლა ოდიშელიასაც გადასდებოდა. ,,საკმაო ხნით ნამარხულევს ჰგავს. არც მე მოვდივარ ბორდერიდან''.

ატმისბუსუსებიან კანზე ეფერებოდა ნელ-ნელა გაშიშვლებულს. არ ჩქარობდა როკი. ყურის ბიბილოსთან უმეორებდა საალერსო სიტყვებს, რომლებიც ,,ჩემოთი'' მთავრდებოდა სულ. მკვრივ ძუძუებზე ხელის შევლება ქალიშვილს წამოაკვნესებდა აქა-იქ, და ახლა შეწყვილებისთვის მომწიფებულად რომ ჩათვალა ფერია, მატარებლის რწევაში მოხერხებული პოზა შეურჩია პარტნიორს, მაგრამ ელდა ეცა. სვეტლანა არც ისე იოლად ასაღები ციხე აღმოჩნდა, როგორც თავიდან მოელოდა. ყრუდ კვნესოდა ასული, ოფლად იხვითქებოდა თვითონაც, თუმცა გადარაზული კარები არაფრისდიდებით იხსნებოდა. დაბოლოს, თავგადაკლული შტურმების შემდეგ, ქალწულს ქვითინი რომ წასკდა, ოდიშელია იავარქნილი ტროას ტალანებში ეხეტებოდა, მაგრამ სულიერი ნეტარება სინანულის გრძნობამ და სინდისის ქენჯნამ გადასძალა.

ასული უკვე მარჯვენა მკლავზე ეწვა, ნამტირალევ უპეებს თითებით უმშრალებდა როკი და თან ნათია ახსენდებოდა:

მატარებლიდან ჩამოსულმა ოდიშელიამ მშობლებთან ხეირიანი გასაუბრება ვერც კი მოასწრო, ისე ქორივით დაეცნენ მილიციელები ორი მანქანით. ჩამშვების მეტი ვინ ეყოლებოდა როკის, ვინაიდან როცა ერთს ესარჩლებოდა, ათს იმდურებდა. სამხედრო სამსახურისგან მერამდენედ თავისარიდების გამო, ოჯახს ვინღა ჩივის, ნათესავებიც აიკლეს. ამიტომაც გაიხიზნა დედაქალაქს, მაგრამ დიდი ხნით ვერც იქ დაუდო გული სტუდენტურ საძმოში ,,ალჟირულს'' მიძალებულმა. ახლა კი მშობლიურ კერას მონატრებულ ჭაბუკს შემოეწყვნენ ტურებივით, ისე რომ, ყელში ლუკმაგაჩხერილმა დამალვაც ვერ მოასწრო.

ოდიშელიებს სისხლი გაშრობოდათ. ხმას ვერავინ ძრავდა.

ლეიტენანტი მინჯორაია უნებართვოდ მიუჯდა სუფრას. იმედმოცემული მასპინძლები დაფაცურდნენ. ხელად მოურბენინეს სუფთა თეფშები, დანა-ჩანგალი. ჭიქა. სხვები გასასვლელ კარებს ორ-ორად იცავდნენ.

მინჯორაიას ცხელი ღომი მოართვეს, რომელსაც დაუპატიჟებელმა სტუმარმა შებოლილი ყველი მრავლად დაურთო. ახლადშემოტანილ შებრაწულ ქათამს ბარკალი ჩამოაგლიჯა.

— ჭიკორკული* არ ჰქონდა? — იკითხეს და ღვინო დაუსხა მას, — თქვენ აქ ბაჯაღლო ადესას შეექცევით, ჩვენ კი შიმშილით კუჭი გვიხმება დეზერტირის დევნაში. ერთი გაწვევა რომ გრძელდებოდეს, კიდევ ჰო, მაგრამ უკვე მესამე წელმა მოიყარა თავი და ვინ იცის, ამის ძებნაში რამდენი ჯიბის ფული დამიხარჯავს.

— ვალში არ დაგრჩებით, — თქვა ვალერიანმა.

— ვალში! ვალში! სამხედრო კომისარი ლოიალობას მაბრალებს, გულგრილობას. უფროს ლეიტენანტობაზე წარდგენილი ლამის ჩამომაქვეითონ, საქმის გულგრილობისა მეტყობა მე რამე? — ხუთიოდე წუთში ჩაპუტკუნებულ დედალს წირვა გამოუყვანა, სამფა ღომიც პირწმინდად მოასუფთავა. კვლავ დააყოლა ღვინო. — თქვენ რას უდგეხართ, — მიუბრუნდა მერმე გასასვლელ კარებთან ატუზულ, იარაღამოშიშვლებულ ხელქვეითთა წყვილეულებს, — ყველაფერი მე უნდა გასწავლოთ, — თითო-თითო დარჩით, დანარჩენმა შმონი* დაიწყეთ.

ლეიტენანტის ბრძანებამ ყველა დაამუნჯა. ფიქრობდნენ, ფულისთვის არის მოსულიო, შევუგროვებთ ათას მანეთამდე და დაგვეხსნებაო, მაგრამ მინჯორაიას ზურგს უკან სხვა ძალებიც მოქმედებდნენ და თხუთმეტიოდე წუთში, ,,ვიპოვეთ, ვიპოვეთო'', ხმაურით შემოცვივდნენ ეფრეიტორები.

მაგიდის კუთხე მოასუფთავა მინჯორაიამ, სუფრაც მისწია და გადმოაპირქვავეთო, ბრძანა.

პირველმა, რაც მაგიდაზე ბრაგვანი მოადინა, ზიმზიმა ,,მაკაროვი'' გახლდათ.

— ქაღალდი და კალმისტარი! — გასცა განკარგულება ლეიტენანტმა და მყისვე მოურბენინეს. — ასანთი! — გენერალივით გაიფხორა მთლად მინჯორაია და ბიჭებმაც ქარვისფერ მუშტუკზე წამოცმულ ,,პრიმას'' ცეცხლის ენები შემოუგზნეს.

ოქმს ადგენდა. ჩამოწერა სია ჩანთაში აღმოჩენილი ნივთებისა. წაიკითხა მერე ხმამაღლა დამსწრე საზოგადოების გასაგონად და კბილებიდან წაგრძელებული ფრჩხილით ჩიჩიას გამოტანას მიძალებულმა, თქვა:

— მოაწერეთ ხელი!

დეტალებს არ ჩავუწვრილმანდებით, რადგანაც სრულიად აშკარა იყო — როკის ჩამოშორებით ვიღაცები იღვწოდნენ, დეზერტირობას ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ ტარებით უმძიმებდნენ, თანაც ისეთით — ადამიანის ცოდვა რომ ედო კისერზე.

როკის დაპატიმრების დებიუტზე ვისაუბრებთ მოგვიანებით, რადგანაც სვეტლანას ნოტიო თვალებს თითებით მიძალებულს მაინცდამაინც დრანდის ციხის ეპიზოდი ამოუტივტივდა გონებიდან:

ბაბკების წყალობით ოდიშელიამ მოახერხა სანიტარულ ნაწილში განემწესებიათ, რომელიც ხის დერეფნიანი შენობა გახლდათ. მარ-

ჯვენა მხარეს მამაკაცები იწვნენ, მარცხივ — ქალები. როკიმ სწორედ აქ გაიცნო ცხრამეტი წლის სოხუმელი ნათია. მოძალადეს ხორცსაკეპი დანა გაუყარა თურმე მუცელში. უფროსებს, ზოგიერთი ავხორცის გამოკლებით, ებრალებოდათ შველივით ქალიშვილი. საკანში გამოსამწყვდევად ვერ იმეტებდნენ და სულ სანიტარულ ნაწილში აგზავნიდნენ. ისინი მალე დამეგობრდნენ. ქალწული ჯინსის შარვლით დადიოდა დერეფანში მიწყივ. მართლაც ალს ჰგავდა, მონადირეთა გონების ამრევს. როკის უდრეკლობისა და მოქნილობის ამბავი უკვე კარგა ხანია გაცდენოდა დრანდის ციხის კედლებს. მათ შორის განსაკუთრებით გახმაურებული ავაზასებური ნახტომი იყო.

ნათია გადელია დედ-მამით ქართველი კი გახლდათ, მაგრამ რუსულ სკოლაში გაზრდილს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა ეძნელებოდა. როკი ოდიშელიას კი პირიქით, რუსულად აზროვნება უჭირდა, განსაკუთრებით — მართლწერა.

მამა ადრე გარდაცვლოდა ნათიას და მასწავლებელ დედას საიდან აღმოაჩნდებოდა ცხრაკლიტულში ჩავარდნილი ქალიშვილის დასახსნელი ათასები?! როგორც თივაში ცეცხლს ვერ დამალავ და სიმთვრალეს — თავში, ასეა ციხეც, შენი ავანჩავანი ხელისგულზეა გაშლილი, ჰოდა, როკის საარაკო თავგადასავლებით მოხიბლული ნათიაც, რა გასაკვირია აქეთ წვეოდა მთელი სატუსაღოს უსაყვარლეს პიროვნებას.

ერთ მშვენიერ დღეს ოდიშელიას პალატის კარმუშკა გამოაღო ნათიამ, ჩაიკუზა, სიგარეტს ეწეოდა და თან ამბობდა:

— ბიჭებო, პანტერა რომელია, მინდა გავიცნო!

ამოიღო ხუთი ბაშო ანაშა* და როცა როკი წინ წარუდგა, უსწრაფესად გადასცა, მაგრამ ამ სიჩქარეში მაინც გაკვესა მათი ხელების შეხებამ.

— გავიცნოთ, მე ნათია გადელია, — თქვა ეს და სრულიად უადგილოდ გაიცინა, კრიალა, ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა პატარა, ალისფერი ტუჩებიდან.

— მე — პანტერა, იგივე როკი ოდიშელია, სუფთა სისხლის არიელი.

ამაზე კვლავ გაიცინა ნათიამ.

— მართლაც გადაახტით ოთხმეტრიან კედელს? — ჰკითხა უეცრად დასერიოზებულმა.

— ციხეში ტყუილს არ კადრულობენ.

ნათიამ ახედა სანიტარული ნაწილის ჭერს, მერე წარბები აზიდა.

— კი, მაგრამ როგორ, ოთხ მეტროზე გადავლება ყოვლად წარმოუდგენელია.

— სეირნობაზე გაგვიყვანეს. ციხეში ბევრი ზეკი* დებდა თავს ვაჟკაცობაზე, საკუთარი თავის დამკვიდრებაზე. უცებ ფისომ...

— ქუჩულორიამ?! — ჩაეძია ნათია.

— ხო, ფისო ქუჩულორიამ შეჯიბრი წამოაგორა.

ვნახოთ ვინ არის ჩვენში ფიზიკურად ყველაზე მომზადებულიო. ვინ გააკეთებს ყველაზე მაღალ ნახტომს და რომელი მიაწებებს გაზეთის ნაგლეჯს „პრაგულკის“ კედელზეო.

იყვნენ ტანმაღალი ბიჭები, გოგია ახალციხელი, მიტუშა ქუთაისელი, სხვანი და წავიდა ნახტომების სერია. კედელი ნელ-ნელა აჭრელდა გაზეთის ნაგლეჯებით. მე სულ ბოლომდე დავრჩი. ფისომ იცის გადმოცემით მუშტი-კრივში შეუდარებელი ვარ, არც სიმაღლეზე ხტომაში ვიქნები ჯაბანი, ეს ეიმედება.

თუ კედებს მათხოვებ, ყველას მოვუჯოკრავ-მეთქი, გავენდე.

ჯგვეჯგვი, პანტერას შერქმევამდე ასე მეძახდნენ, ოღონდ მასახელე და მაგაზე გადარდებო. გაიხადა კედები. „პრაგულკის“ ბარიერზე ჩამოჯდა. წინდებიანი ფეხები ქუსლებით ჩემს ფეხსაცმლებზე უდევს. ჩავიცვი. ახმახები ირონიულად მიმზერენ შედარებით ტანმორჩილს, მაგრამ მე იხტიბარს არ ვიტეხ. მზიანი დღეა. „პრაგულკის“ კედელი გახუნებულია მზისგან, ხორკლიანი, ხეშეში. ვაკეთებ შორეულ გარბენს, მეტრონახევარზე მივახტები კედელს, მერე ფეხს მოვუნაცვლებ, სუნთქვას ვიგუბებ, სხეულის წონადობას ვკარგავ, თითებით კედლის კიდეს ჩამოვებღაუჭები, შეკუმშული ზამბარასავით ვიშლები და ელვისებურად გადავევლები. ეგ არის და ეგ.

— ახლა მჯერა, — თქვა ნათიამ. — წერილს გამოგიგზავნი ამაღამ, თუ ფანქარი არა გაქვს, იმასაც.

ასე გაგრძელდა ქალ-ვაჟის მიმოწერა ორ კვირაზე მეტ ხანს. ნათიას ბატიფეხურ ქართულს არაფრით ჩამოუვარდება როკის ჩინური იეროგლიფებით შესრულებული რუსული. წრფელია გრძნობა, დაუოკებელია ჟინი. ბოლოს დათქვეს შეხვედრის დღე. კარგი ცვლაა. ქესი დაუადეს* ზედამხედველს. ნათია ჯინსების ნაცვლად კაბით მოვა, ვინაიდან ნაბოძები ხუთი წუთი მარტო შარვლის ჩახდას არ ეყოფა და შეიძლება სიამტკბილობა ჩამწარდეთ. სამორიგეო ოთახში, სადაც ერთი საწოლი და მაგიდა იდგა, ცალ-ცალკე შეიყვანეს ნათია და როკი. გარედან კარები ჩაუკეტეს. ორივე ჩქარობს, სულსწრაფობენ, ერთმანეთს კოცნიან, ხელები კი ტანსაცმელს აბრდღვნიან ამბოხებულ სხეულებს. წამის დაკარგვა საუკუნის წართმევის ტოლფასია.

— იცოდე, ქალიშვილი ვარ და გაგიჭირდება, — ეჩურჩულება ნათია, — ისე მიღრენენ, აქედან ცელკის გაღწევა შეუძლებელია. პირველი შენ მინდა იყო. — ხუთი წუთი ამოწურულია მაჯის საათზე, მაგრამ ქალი მაინც ებღაუჭება, — კიდევ, კიდევ! — ლამის ემუდარება და როკისაც ავიწყდება დროის არსებობა, ნურაფრის გეშინია, მეორე ხუთი წუთის ჩემგანაც მიღებული აქვთ...

ჩაცმულები ლასლასით მიეყრდნობიან სამორიგეოს საღებავა-

ქერცლილ კარს. სანამ ფულია, შეხვედრები კვლავაც გრძელდება, მაგრამ თავზესაყრელი დრო ორივე მხრიდან კატასტროფულად მცირდება, მერე სულ ამოიწურება, თანაც მათი შეხვედრების ამბავიც გაჟონავს სანიტარული ნაწილიდან და ნათია უკვე ხელიხელსაგოგმანებელი ხდება. უკანასკნელ პაემანზე ამჯერად თავად როკის შეუქცევია ზურგი. საბაბი უფულობაა, თუმცა სინამდვილეში უფრო არსებითი მოტივები ეძებნება მათ საუკუნო დაშორიშორებას.

სვეტლანა ხელისგულზე კოცნიდა ოდიშელიას.

— ბედნიერი ვარ! — ეჩურჩულება ქალი.

მატარებელი ირწეოდა. ახლა პირდაპირ ბოთლიდან ყლუპავდნენ შამპანურს. ჩამუხლებულიყვნენ. გამომწვევი გახლდათ ქალი. ბარძაყებზე დადებული როკის ხელები ძუძუებისკენ წაიღო.

— იცოდე გეტკინება, — მოფერებით უთხრა როკიმ.

— ეგ ჩემი პრობლემაა, — ჩურჩულებდა ქალი და ზურგზე გადაწვა.

მატარებლის ბორბლები თითისტარივით იხვევდა დედოფლის ნეტარებაგარეულ კვნესას. როკის გონება კი სხვაგან ქროდა.

თბილისის ციხიდან რუსეთში რომ მიჰყავდათ ოდიშელია, ეტაპი ორმოცდამეექვსე საკნიდან მოუწევს. მასთან ერთად მოდის ოთხი ახალგაზრდა ქურდი, რომლებიც პირველად გადასერავდნენ სამშობლოს საზღვრებს და საუბედუროდ არც საყველპურო რუსული იციან. ორმოცდამეექვსე საკანში რვა ქურდი ზის, აქედან ისეთი ცნობილი ასსები, როგორიცაა: ზურა ქართველიშვილი, პუშკინა, ჭიპია და მისი ძმა თემო, სხვანიც.

— პანტერა, შენ მეორედ მიდიხარ კამანდიროვკით*, — უთხრა ზურამ, — ესენი კი — პირველად, თან რუსულ ენასაც ვერ ფლობენ. გაუძნელდებათ. ანზორა ჩემი სიტყვიდან არის, მაგრამ ვიდრე შენთან იქნებიან, სადარდებელი არაფერი მექნება.

— აზიის მიმართულებით თუ წაგვიყვანეს, მხედველობაში მაქვს ბაქო, ასტრახანი, აქტიუბინსკი, — ეუბნება ძმაკაცს როკი, — ბაქოს პერესილკაში* თუ შეხვდები ქურდს, თორემ იქით ვერავის ნახავ. ხოლო ევროპის ნაწილით თუ წავედით: როსტოვი, რიაზანი, ტულა, ვოლოგდა, იაროსლავი, მაშინ გამოჩნდება პრობლემები. ენის უცოდინრობას ეშველება, მაგრამ მთავარი სულ სხვაა — ჟილკა, დუხი*, სისუფთავე და ის რუსული, რაც იციან საკმარისია ფონს გავიდნენ. ძირითადია თავიანთი მე შეინარჩუნონ და ვინმე შაკალმა* სახელი არ წაართვას. იციშენც, მთავარი მაინც გლოტკაა*. ორი რუსი განაბი რომ საუბრობს ერთმანეთში, სახელმოხვეჭილი ენათმეცნიერიც დააყენო თავზე, ვერაფერს გაუგებს იმათ ჟარგონებს და ფენიებს*. მოკლედ, თვითონ ნახავენ პა ვხოდუ დელო*.

თოთხმეტი პატიმარი წაიყვანეს თბილისის ციხიდან, აქედან ოთხი ქურდი იყო. ერთად გაიარეს როსტოვი, განვლეს რიაზანი, ტულა; გაცდნენ იაროსლავს. მირახრახებს შემადგენლობა სვერდოლვსკის პერესილკისკენ.

ჰასან ბაქოელთან და რაფიკა ერევნელთან გასარკვევი არაფერია, ორივეს რესპუბლიკური საავადმყოფოდან იცნობს როკი, როსტოვში შემოუერთდნენ ეტაპის დროს, მაგრამ აქ არიან სახელგანოქმული სხვა ქურდებიც: კოლია ბენდერი სამოცდაშვიდი წლისაა, ოცდათორმეტი წელი გამოუსვლელადაა ნაჯდომი, აქედან დაკეტილში — თვრამეტი, დანარჩენი — ბურებსა და იზოლატორებში. როცა ერთმანეთს გაეცვნენ, ჰკითხა ოდიშელიას ბენდერმა, ფისოს თუ იცნობდა ან გივი კნიაზს.

— ჩემი უფროსი ძმაკაცები არიან ფისო და გივი, — გაენდობა როკი, ერთად ვართ ნაჯდომები და პურსაც ერთად ვტეხდით.

ასეთი პასუხი სრულიად საკმარისია ბენდერისთვის ოდიშელიაზე გარკვეული წარმოდგენა იქონიოს. მისთვის ცხადია, რომ ამისთანებზე არ ხუმრობენ. ყალბის მიკერება გამორიცხულია.

დაუსახელა კოლია ბენდერმა კავშირში ყველაზე წონიანი ქურდი ვასია ბრილიანტი, რომლის თაობაზე ბევრი სმენოდა როკის, მაგრამ ჯერ არსად შეხვედროდა.

სვერდლოვსკის პერესილკაში მიმავლებს თან მიჰყვებოდათ ერთი მაგარი ავტორიტეტიანი ქურდული მუჟიკი*, გენკა პოდბოლოტოვი, რომელიც თავის სიტყვაზე იყო, რასაც ბეზ პიტი მინუტს* ეძახიან ქურდულ სამყაროში. შვიდი კვირა იჯაყჯაყეს ერთად. სტოლიპინსკის საკანი გადატვირთულია. ჯერ კაცები აიყვანეს, მერე — ქალები ყველა ასაკისა, უმეტესად სულ ახლად გაფურჩქნილი კოკრები, ნორჩები, მთლად გაუშლელი ვარდები. თვალი უკეთესს რას ნახავდა. შავი ვალენკები ეცვათ, მინი კაბების ქვეშ აწვართული ფეხები უბზინავდათ, მოკლე ტელოგრეიკები ზებრა მაისურებზე შემოეჭირათ. ყველას ზურგჩანთები ჰკიდია, აქა-იქ გიტარები ჩამოუკონწიალებით ყელზე. ჩასხეს თუ არა, ისეთი მხიარულებითა და სიხალისით აივსო სტალიპინსკი, თავისუფლება დაავიწყდათ. ქალიშვილებმა დაჭიმეს გიტარის სიმები და წავიდა განუმეორებელი ჩასტუშკებით სიმღერა. ბადრაგი ყვირის, გაჩუმდით, გაჩუმდითო, მაგრამ ვინ გიგდებს ყურს.?!

როკიმ დაუძახა ჯარისკაცს და შეახსენა, ბრასლეტის ახსნა არ დაგავიწყდესო. სალდათმაც ისმინა ტუსაღის მოთხოვნა და ხელბორკილისგან გაანთავისუფლა.

ოდიშელია ეტაპში სულ ბრასლეტებით გადაჰყავდათ, რადგანაც როგორც მოგვიანებით შეიტყობს, თურმე მისი საქმის გარეკანზე პატარა ფურცელი ყოფილიყო დაწებებული, სადაც კუმას — ოპერს ფან-

ქრით წაეწერა პატარა დახასიათება, იგივე, რაც ანოტაცია წიგნისთვის, ან უვერტიურა სიმფონიისთვის. თავად დახასიათება კი შემდეგი შინაარსისა გახლდათ თურმე: ხელჩართულ ჩხუბში შეუდარებელია. მიდრეკილება აქვს მკვლელობისკენ, ძალიან ჭკვიანიაო. ჯარისკაცი როკის ხელებიდან ბორკილს რომ ხსნიდა, ამ უკანასკნელმა ყურში უჩურჩულა ცხაურიდან:

— ქალებს პრიკოლი* რომ გავუკეთო, დათანხმდები?

— ბადრაგის უფროსს შევეკითხები, — თქვა იმან. ცოტა ხანში დაბრუნდა და მოსჭრა, — ფილკი იესტ?*

— რა თქმა უნდა, — მკვირცხლად მიუგო როკიმ.

— ბაბკი წინდაწინ! — უთხრა ბადრაგმა.

— მაშინ ტუალეტში უნდა გამიშვა, წამით შევხედავ მაგათ საკანს, ამოვარჩევ, ქსივით შევაბამ და ფულსაც მერე მოგცემ.

— კარგი, კარგი! — დაყაბულდა ბადრაგი.

აქ, ოდიშელიას ხატაში, ჩვენს გმირსა და გენკა პოდბოლოტოვს განუზრახავთ ქალების შებმა. ჰასან ბაქოელს, რაფიკა ერევნელს თუ კოლია ბენდერს უკვე დედაკაცებისთვის არ სცხელათ. მათ ჩიფირის მოხარშვის ნებართვა გამოუთხოვიათ ბადრაგისგან, პატიმრის დიდი ტოლჩისთვის კოვზის ტარი გაუყრიათ, გაუფხრეწიათ შარვლის ერთი ტოტი, მილივით მოურგიათ გაჩაღებული ცეცხლისთვის. ნახევარ საათში ჩიფირიც მზად ექნებათ. ამასობაში ვაყებს მოუვიდათ პასუხი თეთრონეთიდან.

ოხუნჯობანი, ჩასტუშკები და სიცილ-კისკისი კვლავაც გრძელდება. მამაკაცები ხარხარებენ სახუმარო შაირებზე. ზოგი ისე ჩაბჟირებულა, თვალებზე ცრემლი მოსწოლია.

მოვიდა დრო. გაიყვანეს ოდიშელია და ტუალეტში შეამწყვდიეს. რამდენიმე წამში თვრამეტი წლის ანგელოზიც შემოუგდეს. გადაურაზეს მერმე კარი.

— სამი წუთი! — გააფრთხილა ბადრაგმა.

— თითოც სხვა საჭიროებისთვის, — შეევაჭრა როკი.

— ოღონდ წამითაც მეტი არა.

— ქალური ავადმყოფობა მჭირს, ხომ არ დამიწუნებ?

— რა დროს ეგეთებზე ფიქრია, — უწყრება ოდიშელია, — ხელსაბანს ჩაეჭიდე, აი, ეგრე, მოეშვი, მოეშვი! — ვაგონი ქანაობს. ქალი კვნესის, დროდადრო ამღვრეული თვალებით მოხედავს...

ხატაში ბიჭები იცინიან.

— როგორ არის საქმე, პანტერა? — ეკითხებიან ხითხითით.

— ნიშტიაკ ბიკსა, ვაბშე ბაბა, ტო შტო ნადა.8

ახლა გენკა პოდბოლოტოვი გაჰყავთ, მაგრამ ორიოდე წუთში გაფიცხებული ბრუნდება. დუუმორეული შეუკურთხავს როკის. ოდი-

შელია ჩვეული სიმკვირცხლით წამოვარდება ზედა საწოლიდან. ყველანი ზემოთ წვანან, მხოლოდ პოდბოლოტოვია დაბლა.

— რაზე? — ეკითხება როკი.

— რატომ და იმ გოგოსთან მე მქონდა მიმოწერა.

— ამისთვის შემაგინე? — მგლისფერს დაიდებს ოდიშელია.

— დიახაც! — იტყვის პოდბოლოტოვი და კვლავ შეუკურთხებს.

იატაკზე ჩამოხტა როკი და თავი მოწყვეტით დაუქანავა. გენკა მოცელილივით ჩაიკეცა, ვერც წამოდგა. ოდიშელია ელვის სისწრაფით ახტა ზევით. იატაკზე ჭოლოკივით გაშოტილ პოდბოლოტოვს დაესიენენ მლიქვნელები. ცეცხლზე ნავთი დაუსხეს.

— ამდენი ქურდის თვალწინ, ამისთანა პიროვნებას ხელი როგორ დაგარტყა?

გენკა თვალებს გაახილა და მაშინვე მიღებას ითხოვს ქურდებისგან.

წავიდა საქმის გარჩევა.

— ქალის გულისთვის კარგ ბიჭს არ აგინებენ, ვინც უნდა იყოს იგი, — განმარტა როკიმ, — ქალი პატივსაცემია დედა და და, დანარჩენი, როგორც ქურდები იტყვიან, ნაჩნიე პასტელი.* ესეც რომ არა, საიდან მეცოდინებოდა გენკას გოგო რომელი იყო? ჩვენ ხომ ცალ-ცალკე გაგვიყვანეს ტუალეტში. ის სტერვა ორივეს გვამაიმუნებდა. რომელთან გამოუვიდოდა, პირველი სწორედ ის იქნებოდა.

— ძმას ძმის ხელი არ ეტკინება, — განაცხადა ბენდერმა, — პანტერა მართალი არის, მაგრამ არც ასეთნაირად გამეტება ივარგებს. ხელი ჩამოართვით და ერთმანეთი გადაკოცნეთ.

ვაგონი ირწეოდა. სვეტლანა მოთენთილობას დაეოსებინა და ნებიერად ფშვინავდა.

მიადგებიან სვერდლოვსკის პერესილკას. დაემშვიდობებიან ჰასან ბაქოელს, რაფიკა ერევნელს და კოლია ბენდერს. სვერდლოვსკის პერესილკამდე პანტერას ოთხი ნაცნობიღა შემორჩება, ოთხივე ქურდი.

სვერდოლვსკის პერესილკას კავშირში ბადალი არ ჰყავს. აქ დღეში რამდენი ათასი კაცი მოდის და რამდენი მიდის, ღმერთმა თუ უწყის მხოლოდ. ადმინისტრაცია ძლივს ასწრებს დაფიქსირებას და ულუფის გაცემას. სვერდლოვსკის ციხე „ისპოლნიტელადაა“* მიჩნეული. რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან მოაჩინდრიკებენ სიკვდილმისჯილ ხალხს და განაჩენი აქ მოჰყავთ სისრულეში, როგორც — როსტოვსა და თბილისში. ჰასანასა და რაფიკას რწმუნებით ბაქოსა და ერევნის სიკვდილმისჯილებს საქართველოს დედაქალაქში ხვრეტენ.

სვერდლოვსკში ჩამოსვლისთანავე შეიტყო ოდიშელიამ, რომ გზაზე სულ ათი ქურდია, ზოგი ეტაპს უცდის, ზოგს დაკეტილი დაუმთავრებია, წინა ზონა არ ღებულობს, ელოდება საით გაანაწილებენ; ზოგს კიდევ — კრიტი აქვს მისჯილი და ელის, როდის და საით განამწესებენ. ამასობაში გარბის სამი-ოთხი თვე.

მიადგნენ ციხეს, ჩამოიყვანეს და ხუთკაციან ბოქსებში შეჰყარეს. აქედან გამანაწილებელ საკანებში. აქ, როკისთან მყოფმა ოთხი ქურდიდან ორმა მტკიცე უარი მოხია:

კამერაში შევალთ, ოღონდ ქურდობას არ გამოვაცხადებთო. ჩვენ ამ ტვირთს რუსეთში თორმეტ-თხუთმეტ წელიწადს ვერ ვატარებთო. აი, აქეთ, აი, იქით, მაგრამ ოდიშელიას არაფერი გამოუვიდა. მაშინ კი გაწყრა როკი:

— თქვენი დედა... ახვრეტოს! საზამთროსა და შემწვარ გოჭს რომ ურტყამდით საქართველოში, მაშინ კი გინდოდათ ეს სახელი. ახლა მოისროლეთ უვარგისი ჩვარივით, ხომ?! იცით, რომ ეს სახელი აქ, რუსეთში, წამებისა და წვალების მეტს ვერაფერს მოგიტანთ, ან თქვენისთანა დოდიკებს, დედიკოს შვილებს, ვინ შეატოვებს ამ სახელს? თქვენ უნდა იყოთ სტუდენტები, ბაბოჩკებით იაროთ. ასეთი კატეგორია ხალხისა გვჭირდება ჩვენი ქვეყნის მომავალ ინტელეგენციად, ხოლო ქურდის სახელი თქვენთვის შეუფერებელია. სად გაქვთ თქვენ მისი ჟილკა, ვაჟკაცობა, ამტანიანობა. თქვენ პალაჟენიის სპეკულიანტები ხართ, მოკლედ, გასაწირები — უბრალოდ, ქართველობას რა ვუყო თორემ!

მეორე ორი მართლაც ბოლომდე მიმწოლი გამოდგა. ცოტა რუსულიც ეხერხებოდათ.

წინა ორსაც, ამათაც, გზაში ბევრი ნოტაცია წაუკითხა ოდიშელიამ. ახლაც ჩაუტარა ხუთწუთიანი გაკვეთილი:

— არსად წამოგცდეთ, რომ ის მომიდგა, იმან მომნათლა; ან იმის სიტყვიდან ვარ, სხოდკა იყო, ხალხი შევაგროვე და იქ გავხდი ქურდიო, გაიგეთ?! — მოძღვრავდა მიმწოლ წყვილს ქვეშგამოსულების თანდასწრებით როკი, — აქ, რუსეთში, სულ სხვანაირად უყურებენ, სხვანაირად ესმით. ახლა რომელია მართალი უმარჩიელე. აქ, ასეა: ახალგაზრდა ბიჭი, მომპარავი, რომელიც სვაბოდაზე ქურდებთან ტრიალებს, ობშიაკოვია*, იჭერენ, ქურდად შემოდის ზონაში თუ ციხეში და ვინმე, რუსები რომ იტყვიან, ზაიკნიოტ*?! ეს ყელზე წაუჭერს, სპროსს* მოსთხოვს. აი, აქ შეგროვდება ქურდობა და ის მიიღებს, გახეთქავს ნაკერავზე. მერე ქურდებს მიუბრუნდება და ეტყვის:

ქურდებო, მე ქურდი ვარ, თქვენი ოჯახის წევრი. ვის აქვს პრეტენზია? თუ ვინმე წამოვიდა წინააღმდეგი, იმასაც უმტკიცებს, რომ ქურდია და ცხვირს დაუნგრევს. თუ ვერ დაუმტკიცა და არ ეყო ჟილკა, დუხი, გლოტკა, და არც იცნობს ვინმე, როგორც თვითმარქვიას, ნაკერავზე გა-

ხეთქავენ. გასაგებია? არაფერია, აქაც ვიგრიმიტებთ! ოღონდ იქით კბენა არ გინდათ. აქაური ვზროსლი* ქურდები ოცი-ოცდახუთი წელი ზიან და წიგნს ხელიდან არ აგდებენ. მარქსის „კაპიტალი“ დაღეჭილი აქვთ. ამათთან კამათს ცოტა გვერდი აუარეთ. ესენი ისეთი ნაკითხი და ძლიერები არიან, ხუთ წუთში გააშავებენ თვით ზალატოი პიტიორკის* ნებისმიერ წევრს. მხედველობაში მყავს ადვოკატთა ხუთეული, რომლებიც კავშირში პირველნი არიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რამე დაუთმოთ. სრედი ვოროვ პოპა ნეტუ*. ქურდი ქურდია, მოხუცია თუ ახალგაზრდა. თქვენც იცით, ზოგჯერ ჩვენთან, დაკეტილში ან რეზბალნიცაშიც საერთო ფულებს ყველა ქურდს არ უტეხენ* ზონიდან რომ მოდის. მე რამდენჯერ მინახავს, ქურდები შეაგროვებენ კრიტის სხვადასხვა კამერიდან ფულს, რეზბალნიცაში გადააგზავნიან. მერე ვინმე ფისოსავით ავტორიტეტი, ამ ფულს მეოთხე ზონაში გადაისვრის. იქიდან წამალს გადმოსტყორცნიან, ხოლო განაწილების დროს თითქმის ყველა გადაგდებული რჩება. თუ ვინმე გაბედავს კრიტიდან* რეზბალნიცაში დაძახებას: ჩემი წილი წამალიო, აქედან ფისო აუხიპიშდება:

არ გადმომიყვანო მანდ, თორემ სარეანიმაციოდ გაგიხდი საქმესო. შენ პური ჭამე ბევრი, კარაქი წაუსვი, რა გეწამლებაო. მამაშენმა შენი თავი მე ჩამაბარაო. მორჩა ლაპარაკი. ან იმათ საერთო ფულს ვინ აღირსებს? აქ სულ სხვაგვარადაა. ის ახალგაზრდა ქურდი თავს მოაჭამს ნებისმიერ ასს, არაფერს დაუთმობს მიმწოლი თუა.

მოკლედ, ამდენ საუბარ-საუბარში ეტაპელებს შეიყვანენ ვეებერთელა საკანში, გნებავთ მოსაცდელი გვიწოდებია. ასეთი გრანდიოზული საკნები რამდენიმეა განლაგებული პირველ სართულზე. აქ ორ-სამ თვეს რჩები. საკანში ორმოცდაათ-სამოცი კაცია შეყრილი. სანამ სამმართველოდან არ მოგივა განაწილება ამა თუ იმ ოლქსა ან მხარეში, იხვანცალე ბადეშიმომწყვდეულ თევზივით. ჰოდა, რომ შევლენ როკი და მისი ბიჭები ამ უშველებელ, მაღალჭერიან სარკოფაგში და იხილავენ გვერდებზე ორსართულიანი, ერთმანეთზე მიტყუპებული რკინის საწოლების შემადგენლობას, ხოლო შუა მოედანზე მათზე გადაკერებულზოლებიან შალითებს, ჩახსნილი კალთებით, თავს ინდიელების ვიგვამებსა თუ შუაზიურ იურტებში დაიგულებენ, სადაც ათასი ტემპერამენტითა და ტემბრით ბაბილონის გოდოლისებური ბაბანება გამეფებულა. აქ ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, ლომიც რომ ლომია, საცოდავი კატის იერით გამოიყურები. შენს ომახიანობას, გამბედაობას და ფიზიკურ შესახედაობას წამში შთანთქავს ეს ვეება, დევივით ხახადაღებული აკლდამა. აქ მყოფთაგან სამოცი პროცენტი ასობნიაკები,ß პალასატებიß არიან. შვიდი, რვა, ცხრა, ათი ნაჯდომობა აქვს უმეტესს, ან ერთხელ შემოვა როკივით, ყურყუტებს ოცდახუთი

წელიწადი. ბავშვი დაიჭირეს, უკვე მოხუცია. აღარც დედა ჰყავს, აღარც — მამა და ძმა. გარეთ გასვლის ინტერესი დაჰკარგვია. ქალი ლოგინში თავის დღეში არ უნახავს. მარტო ეტაპის დროს პატიმარი კაბიანი თუ დაულანდავს შორიდან, ეგ არის და ეგ. ზოგი მაგათ ნაჩუქარ ლიპჩიკებს* დაატარებს, წლობით ინახავს, რათა წარმოსახვაში გაბრუვდეს ქალის სურნელით. ასეთ სიტუაციაში სწრაფი რეაგირების უნართან ერთად, გამჭრიახობაც უნდა გიწყობდეს ხელს, ელასტიკურობის მხარდამხარ უდრეკლობაც გიმაგრებდეს ხერხემალს, და ყოველივე ეს შერწყმულად თუ უბოძებია შენთვის განგებას ენამახვილობის ჩათვლით, ეჭვი არ არის, უმალვე მიიქცევ ყურადღებას — მთელს სამმართველოში სახელი გაგივარდება.

აქაურობა რენტგენივით გაშუქებს, მიკროსკოპივით გშლის და გაანალიზებს, ტელევიზორის ზესიმძლავრის ანტენებივით გაგტყორცნის კავშირის ყველა მიმართულებით ზონებსა და კრიტებში. შეუდარებელია სვერდლოვსკის პერესილკა.

შეაბიჯებს თუ არა ოდიშელია საკანში თავის ბიჭებთან ერთად, შესასვლელშივე, კარის მოხურვის უმალ ოთხი ასობნიაკი აესვეტებათ, რომლებიც ელვის სისწრაფით ჩექმების ყელიდან დანებს დააძვრენენ. ხალხით გადაჭედილ საკანში ესენი, ეტყობა, ყველაზე ჩაუქნი არიან.

— ანუკა მეშკი ნა პოლ!* — ბრძანებენ.

მთელი ხატა ახალშემოსულებს მიაჩერდა. კარვებიდანაც კი გამოიჭვრეტენ. დამხდურები ეტაპიდან ახალმოსულებზე ნადირობენ, როგორც მგელი — ცხვრებზე.

ოცი კაცი შემოვა საკანში, მათ შორის ხუთი ქართველი, ქურდობაზე თავდადებული ორი სულის ჩათვლით და ოდიშელიას გამოკლებით ცხრამეტივეს ფერი წასვლია. როკი ბევრის მომსწრეა, არ იბნევა და მაღალი ბოხი ხმით კითხულობს:

— ხატა ვარავსკოი?!*

ახლა დანიანები დაიბევიან. ამისთანებს აქ არ ახსენებენ. თავად რუსი ქურდებიც კი ჩუმად შემოდიან. ვინმე იცნობს და მერე გალაღდება, ცხადია, საკანი ქურდული თუა. მაგრამ დასაწყისიდანვე ვინაობის გამჟღავნება სარისკოა, შეიძლება ხატა ბოზური იყოს და წუთში დაგბრიდონ. ჰოდა, პასუხად ოთხეული დანებს დაკეცავს და კვლავ ჩექმის ყელში ჩააბრუნებს.

— და ბრატვა, ხატა ვარავსკოი.

— ა ჩევო ტი კრისა შურუდლივაია, ნოჟომ ბროდიშ, ვ ხატე რაზგულივაეშ?!* — ეუბნება როკიმ უახლოესს იმ ოთხიდან და ისეთს გლიჯავს, ადგილიდან მოწყვეტილი ბეტონის იატაკზე დაენარცხება და არ გაინძრევა.

— თქვენ, — მიუბრუნდება ახლა კურდღლებივით დამფრთხალ სამს

ოდიშელია, — ბლადსკაია ვაში ხარია, ვსეხ ატ ვას სპროს ბუდეტ!*

აქ იკადრებს ტულიაკი კუთხის კარვიდან გამოსვლას.

— ქურდები ხართ, ძმებო?! — იკითხავს სამოცს მიტანებული, საშუალო სიმაღლის, სიმპათიური, ქერა მამაკაცი, — მე იურკა ტულიაკი ვარ, ბასიაკი.

— კტო ეტი მახნოვშჩინი?* — ჩაეძიება როკი.

— და ნუ იხ, პოსლე აბიასნიუ. აქ არიან სანია მარდვინი, გივი კნიაზი, ვაშ ზემლიაკ, ზვერიუგა ტო შტო ნადა, — განაცხადებს ნახევრად იუმორით ტულიაკი, — ვასია ზატოჩნიკ, კოლია ასეტინ. ბრილიანტა აჟიდაეშ ნა დნიახ. ვსე ანი ურკი. პაიდიომ, პაზნაკომიმსია,* — ამბობს და თავის კარავში შეიყვანს. მიედევნებიან ბიჭებიც. გააღვიძებენ წამლის თუ კაიფის ქვეშ ნირვანაში წასულ ხალხს. წავა ჩიფირის ადუღება. ანაშის კასიაკების* აფეთქება. გიტარისტს დაუძახებენ, მოკლედ, უმაღლეს დონეზე მიიღებენ. ახალგაზრდა ქურდებს ბედი გაუღიმებთ. ამათი გაცნობის შემდეგ, შუქნიშანი მწვანედ აენთება. ამისთანა ასსებთან ორი თვე ჯდომის მერე ვინ გაუბედავდათ რამეს? აქ დაუძმაკაცდება როკი ზატოჩნიკს და იურკა ტულიაკს. გივი კნიაზს კი დრანდის ციხეში დაძმობილებია შვიდი წლის წინ. მთელი ექვსი წელიწადია არ უნახავს მეგობარი. გივი ოჩამჩირელია, გვარად ახალაია. შეხვდებიან ერთმანეთს, გადაეხვევიან ძმურად, გაიხსენებენ მთისას და ბარისას.

ორი დღის შემდეგ მოვა ვასია ბრილიანტი და ახალგაზრდა ჟენია ციგანი.

ბრილიანტი შემოსვლისთანავე ციგანს ქურდად მოიხსენიებს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, შვილივით ჰყვარებია. დიდი ხანი ერთად მსხდარან, მაგრამ გივი კნიაზი წინააღმდეგი წავა.

— მე მაგას ქურდად არ ვიცნობ! — გადაბასრავს სამართებელივით ასთაასის სიტყვა.

— ეს რაღაც გაუგებრობაა, — წარბებს აზიდავს ბრილიანტი.

— კიდევ შევგროვდით ჟენიაზე? — თავისას მიაწვება გივი კნიაზი, — მე შარშანაც წინააღმდეგი ვიყავი, ზატოჩნიკიც, ახლაც ამ აზრზე ვარ.

როგორც საუბრიდან გაირკვევა, ჟენიას ქსივა დაწვია* ხატაში, მარტოდმარტო რომ ყოფილა და სხვები სუფთა ჰაერზე სეირნობდნენ — ვლადიმირის კრიტში. ციგანი კინაღამ თავს შეაკლავს შმონზე შემოსულ ზედამხედველებს, მაგრამ ერთი რას გახდება ოცთან, თუმცა სამს კი მიაწვენს კუთხეში. გაქაჩავს ჩვიდმეტი და ქსივაც დაეწვა. სწორედ ამას წამოაძახებენ კორონაციის* დღეს. მართლაც

საქმიანი წერილი ყოფილიყო. ციგანს თხუთმეტი სუტკა* კარცერი მოახევინებენ, მაგრამ რატომ არ გადაყლაპა ფარატინა ქაღალდიო, წამოაყვედრიან.

იმის შემდეგ ჟენია ციგანი ორჯერ შეაგროვებს ქურდებს, მაგრამ ორივეჯერ გივი კნიაზი გადაეღობება. ქსივა გივის ეხება, სხვა ქურდებსაც. მოკლედ, ამაზე უკეთეს დროს ჟენია ვერც ინატრებს: დაამთავრებს ლაპარაკს გივისთან ღირსეულად ასსების წინაშე?! ხომ კარგი, არადა, სახელს ვერასოდეს ეღირსება.

ისევ ბრილიანტი ამოსწევს ამ ბაზარს და გივიც აპატიებს ჟენია ციგანს. რასხოდს მისცემს,* გადაკოცნის. ახლა ზატოჩნიკი მიაწვება. არ დაადგება საშველი ბრილიანტის შვილობილის კორონაციას. მერამდენედ წამოიწყებს თავის ძირმწარე ისტორიას. თორმეტი წლის ბავშვი ჩავარდნილა ციხეში. მის კედლებში გაიზრდება, გარეთ, სამუშაოზე გაყვანილი ძუძუმწოვრებში სამკლავურს რომ არ გაიკარებს, მოკიდებული სიგარეტებით ამოუწვავენ სხეულს. ჰ ყვება ბურის და კრიტების საშინელებებს.

კარცერი იყო ჩემი აკვანიო, რომ მოსჭრის, მრავალს ცრემლი მოადგება თვალებზე. არსად ჩაჭრილა, მუხლებამდე ტალახიდან სუფთად ამოსულა. მალალეტკების* ზონებს არ ახსოვს მოზარდი ასე კრისტალურად გამოსულიყოს ჯოჯოხეთის წიაღიდან. თვით აუმღვრეველ ზატოჩნიკსაც კი გული მოეთუთქება. რასხოდს მისცემს, გადაკოცნის და ჟენია ციგანიც ქურდად ეკურთხება.

სვერდლოვსკის პერესილკაში ოდიშელიას, სარკოფაგისმაგვარი კარვების სიამეებით დიდხანს დატკბობა ბედად არ უწერია. მესამე დღეს ზატოჩნიკთან ერთად დაუძახებენ ეტაპში. გამოემშვიდობება როკი ასსების თაიგულს. ბრილიანტი ამისთანა სიტყვას დააბარებს პანტერას:

— თუკი შეხვდი ჩვენს ძმებსა და მეგობრებს — ვახო დარსემლიძეს, ფისო ქუჩულორიას, ირაკლი იშხნელს, დიდი წვალება-წამება გამოუვლია თითოეულს, ჩვენი გულითადი მოკითხვა გადაეცი!

როკიმ ბალიში მიიჩოჩა სარკმლისკენ, მაშუქი აანთო და მაგიდაზე დადებულ ჟურნალს დაწვდა. რომანის კითხვამ ისე გაიტაცა, დედიშობილა სვეტლანას მხარი სამჯერაც არ შეუცვლია. ერთი ამოსუნთქვით ჩამთავრებულმა თხზულებამ ფანჯრიდან შემოღწეული იისფერი ნათების შუქზე ნებიერად გაშოტილ ქალის სხეულს მეცნიერის გულდინჯობით მიაჩერა ოდიშელია.

,,აი, თურმე რატომ ვერ ეხსნება ამ რომანს? — ფიქრობდა როკი, — მთელს ჩრდილოეთში თვრამეტი წლის ქალწული შესაძლოა თვრამეტიც ვერ მოფხიკო, თუმცა საკუთარი ძიუმპეის პოვნაში დრო ოჩოფეხებით გარბის. წუთისოფელიც იგივე ქვიშის ორმოა. დღედაღამე უნდა მოაშორო ტა-

ფობს სილა, რათა სიცოცხლე არ წაილეკოს. ნიკი ძიუმპეი. განსხვავდები კი მისგან?! ორი ცდის შემდეგ სამუდამოდ დაჰყარა ფარ-ხმალი და ქვიშის ქალის ჭიპს მიენასკვა მონური შემრიგებლობით, მაგრამ ოდიშელია სხვაა. ბედოვლათი კალათების ნაცვლად თვითონ რომ გამობმოდა იმ თოკს ხომ სამშვიდობოზე იქნებოდა?! მერე ძალად შიგ ჩაგდებას თუ გაუბედავდნენ, მოფამფალებული ბერიკაციისა და ორი ჩიტირეკია ბიჭის მიფერთხვას რა დიდი ღონე სჭირდებოდა, მაგრამ მონობის თესლი აკვნიდანვე დევს ძიუმპეიში, რომელიც ჩინებულად გაღვივდება ქვიშის ორმოში. იგი ქვიშის ორმოს პატიმარი კი არა საკუთარი თავის ტუსაღია. ნუ, დავუშვათ, ხოჭოების საძებრად ქალაქგარეთ წახეტებული ენტომოლოგი, იგივე მემწერე, უკვე გვარიანი მუტრუკი უსაგნო ცხოვრებას რომ შეალევს ღვთით ნაბოძებ სიცოცხლეს, გინდა გაქათქათებულ ლოგინში დაგიმწყდევია და გნებავს ქვიშის სარეცელზე. იგი ხომ წინდაწინვეა განწირული სულიერი მარტოობისთვის?! ქვიშის ქალი გაცილებით მებრძოლი გამოდის ნიკიზე; უსახელო კია, მაგრამ — დედაკაცის ნამდვილი განსახიერება. ორმოს იმიტომაც ვერ გაქცევია, ქმრის და შვილის საფლავების მოდარაჯეა და ამდენად, გამართლებულია ღმერთის თუ ადამიანების წინაშე, მაგრამ ნიკის, ნიკის რა ჯანდაბა სჭირს?! მეხუთედ, მეათედ რატომ არ შეეცდება ქვიშის ალყის გარღვევას?! მსგავსი მოთხრობა სადღაც წამიკითხავს. მგონი რეი ბრედბერისაა, მარსზე რომ მიდიან დედამიწის კატასტროფის შემდეგ, აპარატურა უფუჭდებათ, იერსახე ეცვლებათ და ერთი გამუდმებით იმ საფრენოსნო ხომალდის აგებაზე ოცნებობს: ჯიუტად აგროვებს ჭანჭიკებს და რკინის ნაჭრებს, თუმცა ბედისწერის რკალში მომწყდეულს ველარაფრით გაურღვევია დროისა და სივრცის ბარიერი. ის ტიპი სულ სხვა მასშტაბებითაა შეზღუდული, მაგრამ ვინ ოხერტიალია ნიკი ძიუმპეი, რომელსაც რამდენიმე ათეული მეტრის ქვიშის კედელი ვერ გადაულახავს და მართლაც ხოჭოსავით დაღოღავს ორმოს ფსკერზე?! თუმცა ვერ გამიგია რას ვერჩით ხოჭოს, ვითომ უკეთეს მდგომარეობაშია სამყაროს საშინელი განზომილებებით გარემოცული ადამიანი? მაინც რამ გაგაცეცხლა ასე, რატომ ამოიღე თვალში ბუნებით ეს უდღეური პიროვნება, რომელიც არაფრით განსხვავდება მილიონებისგან?! დიდი ამბავი, მის ადგილას მოხვედრილიყავი, შესაძლოა რამე ქმედითი საშუალება გამოგეძებნა, კალათის მაგივრად თოკზე ჩამოკონწიალების ვერსია ვახსენე, სხვა მრავალი ბილიკიც მოიძებნებოდა, ალბათ, იქიდან გასაღწევად. ამოხვედი, მერე? როგორ გინდა გაექცე ჩამომხობილ ზეცას, რომელიც ფაქტობრივად ქვიშის ორმოა ადამიანისთვის?! ყოჩაღ, კობო აბე! მწერალს სურს ასე, მწერალს უნდა ნიკი და მისი შთამომავლობა სამუდამოდ მიაჯაჭვოს მილიმეტრის მერვედი ქვიშის ულმობელ კანონს და თავს ზემოთ ძალა არ არის.

ქვიშის უნაყოფობა, როგორიცაა იგი ჩვეულებრივ, აიხსნება არა სიმშრალით, არამედ უწყვეტი მოძრაობით, რასაც ვერცერთი ცოცხალი არსება ვერ გაუძლებს. რარიგ ჰგავს ეს უხალისო ცხოვრებას ადამიანებისას, რო-

მელნიც განუწყვეტლივ ებღაუჭებიან ერთმანეთს. აქ შესადავებელი არაფერია. აქ ცხოვრება, ცხადია, ქვიშის ორმო იგულისხმება, ბუნებრივ ციხეში ყოფნას ნიშნავსო, გვაფრთხილებს მწერალი. მოძრაობაა მისი სიცოცხლე. ქვიშას, უბრალოდ, არ შეუძლია ერთადგილას გაჩერდესო; შეგვიძლია მას სისუფთავის განსახიერება ვუწოდოთო, და ამით თვალნათლივ დაიხატა, რომ შემოქმედისთვის, მთავარი თვითონ ქვიშაა, როგორც ულმობელი ცხოვრების სიმბოლო, თორემ ნიკისნაირების ბედ-იღბალი მისთვის არსებითს არც კი წარმოადგენს. ძიუმპეისნაირები ამ დიუნების უსასრულო შარიშურში თვალსა და ხელს შუა გარდაიქმნებიან, ბედისწერის ყურმოჭრილი მონები ხდებიან, რომ არა ერთი ნიშანდობლივი მომენტი: მემწერე ჯერ კიდევ ფაფხურობდა, ჯერ კიდევ გასაქცევ ხვრელებს და თოკებს ეძებდა, სანამ ქვიშის დედაკაცს მუცელში ნაყოფი არ ეძრა და აქედან მოყოლებული, ორმოს ფსკერზე დაშვებულია კიდეც თვეობით აკრეფილი თოკის კიბე; მაგრამ ძიუმპეი უფრო ძლიერი ორმოთია დაბმული ამ ქვიშის ღრმულში, უფრო მაცდუნებლითა და ფერდების მაამებლით — ჯოჯოხეთი ქალით, რომელიც, როგორც კი უმწეობას შეგატყობს, როგორც კი საიმედოდ მოხელთებულად ჩაგთვლის, ხმასაც აუწევს და ბედი შენი, ძიუმპეისავით ქოთებიც არ მიგაყოლონ. მანამდე გვერდები ნუ გეტკინება. ქვიშის თეორია დოგმა არ არის, არც — ფორმულა, ყველა ადამიანს თანაბრად მიუდგეს. ფისოს უმადლოდე უნდა! ციხეში მოხვედრილი უბირი, ტლუ, ლამის ქვეყნიერებას გაზიარა.

მუშტის სისწრაფეს ასგზის უსწრებს გონებისაო, უთქვამს. ის წლები არც შენ აგითრევია ფეხი და „აივენჰოდან“ მოყოლებული, იცის ქვეყანამ, ღამეები გითენებია დოსტოევსკებსა თუ სერვანტესებზე, რიუნოსკეებზე, ფოლკნერებზე. შენი სამყოფი კბილის ჯაგრისი ვერ მოიძებნა საქართველოში. პაიოკის პურს შემოაკრავდი ტარით ანთებულს და ახლის მოკიდების ჟამს ხელები გეთუთქებოდა გამლღვარი პლასტმასისგან, მაგრამ გონებაზე უსწრაფესი რომ არაფერი ყოფილა, მაინც ჩრდილოეთმა დაგარწმუნა“.

დუბინკებისგან თავგახეთქილ ოდიშელიას მომდევნო დღეს ბადრაგი მოადგება იზოლატორის კარებთან და კარცერის გზას გაუყენებენ, რომელიც სარდაფში მოუთავსებიათ. ჭუჭყიან დერეფანთან თვალებჩასისხლიანებული მაიორ სტეპანცევი ამოძვრება მიწიდან, მაგრამ სამაგიეროს გადახდას სულაც არ აპირებს. სათვალეებს მოიშორებს, ძველებზე სქელჩარჩოიანებს, რათა როკის ნამოქმედარი მეტი სიმკვეთრით გამოაჩინოს. გადატყაული ცხვირი საგრძნობლად მოღუნვია ზონის უფროსს. შუშებს ცხვირსახოცით წმენდს და მის მახლობლად შეჩერებულ ბადრაგს საშუალებას აძლევს პატიმრის ნაღვაწით დატკბნენ. მერე მორჩება თუ არა მათ გასუფთავებას, მიყოლებით მოირგებს და უბოროტო ხმით განაცხადებს რაზმის მისამართით:

— თუკი მომიბოდიშებს, იზოლატორში მიაბრუნეთ!

ოდიშელიას ბრაზისგან სისხლი მიაწვება სახეზე, ბორკილდადებული მაჯებით წვერს მოიქექავს.

— იქნებ ხელებიც დამეკოცნა, ჰა?! ტყუილად ირჯები! მომკლავთ? მოვკვდები!

— არა უშავს, მოვა დრო და სიფიცხე გაგივლის. შენ კარცერში კარანტინამდე და მერე ჩადენილი გმირობები გიშველის გგონია?

როკის ყურებში აუზუზუნდება სტალიპინსკიდან ექსპერიმენტულ ზონაში ჩამოსვლისას გარდახდილი სცენები.

ექვსთვიანი ვაგლახისა და ჩაქჩაქის შემდეგ, როგორც იქნა მოაღწევენ დანიშნულების საბოლოო პუნქტს. ნაგაზებით დახვდება იქ ორმოცდაათამდე ჯარისკაცი. ბადრაგის უფროსის სისასტიკეზე მისი აღნაგობა, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალები და ერთიანად დაღარული სახე მიუთითებს. წინათგრძნობა არც ახლა უმტყუნებს როკის. ბადრაგის უფროსი მყივანა ხმით ქოთქოთებს:

— ყურადღება, მისჯილებო! თქვენ გადადიხართ ბადრაგის უფლებამოსილებაში. ბადრაგის ყოველი მოთხოვნა-ბრძანება უსიტყვოდ სრულდება. ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ მიჩნეულია გაქცევად, ხოლო მეტროს ზემოთ ნახტომი — ბადრაგზე თავდასხმად. გაქცევის მცდელობისას თუ ბადრაგზე თავდასხმისას ვხმარობთ იარაღს. ტყვია ვერ დაგეწევათ?! ვაგდებ ავტომატს და დაგეწევით თვითონ!

ამ სიტყვების გაგონებაზე ოდიშელიას სიცილი აუტყდება. ეს იმდენად მოულოდნელია, რომ ჩამწკრივებულ პატიმრებს შიშის ფთილა გადაერბინათ სახეზე, მიტკლისფერი შეიქმნება მის გარშემო წონიანებიცა და წვრილმანებიც.

როკის უდარდელი ხარხარი, მისი გამომწვევი გარეგნობა, მკერდამდე ჩამოშვებული მუქწაბლისფერი წვერი თუ მხრებზე გაშლილი თმა ბადრაგის უფროსს ერთიანად ააცახცახებს.

— გამოდი მწკრივიდან! — უბრძანებს პატიმარს.

როკის მშვენივრად მოეხსენება, რასაც მოასწავებს მწკრივიდან გადადგმული ნაბიჯი, ისე გესვრიან, თვალსაც არ დაახამხამებენ. უჩივლებ თუ რა, თავდასხმაში ჩამოგართმევენ და მერე ვინ გამოესარჩლება შენს ცხედარს, რომელსაც ზონის შესასვლელთან დააგდებენ, როგორც შვიდი წლის მანძილზე მრავლად უხილავს.

— წადი, შენი! — მოხსნის გინებათა არსენალის გუდას თავს ოდიშელია და სხვა ტკბილ სიტყვებსაც მიაყოლებს.

ბადრაგის უფროსი გაშრება. ქუდს მოიხდის, ცხვირსახოცით საშუბლე ადგილს გულმოდგინედ ამოიწმინდავს, დაიხურავს უწინაფრო ბოხხს. ტუსაღების მწყობრის წინ გაიარ-გამოიარს ზურგზე ხელებდაწყობილი,

მერე „კერკეტი კაკალის“ საბუთებს მოითხოვს, რომელიც რიგით ბადრაგს სჭერია. გადასცემენ. პატიმრების წინაშე ბორიალში კითხულობს, ბოლოს ხმას აუწევს:

— ხედავთ, როგორ ახასიათებენ?! ყველაფერი ჩაწყობითაა. ვარავსკოი მასტ. კლონიტსია კ უბისტვუ. იმეეტ ნეაბიკნავენნოი სილ. ოჩენ მუდრი.ს არ მიუსაკუთრებია ყველა ჯილდო და წოდება? ნი ზამეტნო.ს

ტანადობით საამისო არაფერი ეტყობოდა როკის და ბადრაგის უფროსის დასკვნამ, „არ ეტყობაო“, მიახვედრა ოდიშელია განსაცდელს განსაცდელი მიმატებოდა, მაგრამ უმადლოდა სადღაც უნებლიეთ გაცხადებული საიდუმლოს გამო, რომელიც აქამდე გაოცებას იწვევდა მასში, განსაკუთრებით ეტაპის დროს, გამუდმებით ხელბორკილით რომ დაჰყავდათ. ბადრაგი დახედავდა თუ არა მის საბუთებს, მყისვე ფერფური მისდიოდა. „აი, რაში ყოფილა საქმეო“, დაასკვნა როკიმ და ახლა ბადრაგის უფროსის შეეჭვებაც ბუნებრივი გახდა მისთვის. ასამდე პატიმრის წინაშე მაიორის საჯარო გაბახება მალე შეიქმნებოდა მთელი ოლქის მითქმა-მოთქმის საგანი. ბატულინი კი საპირისპიროს ფიქრობდა: რაიმე ქმედითს თუ არ იღონებდა, ამ ოჩან პირუტყვს ტალახში ცხვირს თუ არ ჩააყოფინებდა, ვინ იცის, იქნებ მის კარიერაზეც ცუდად ემოქმედა, მოესრიალებინათ თანამდებობიდან? ჰოდა, პერესილკებიდან საკარანტინოდ შექუჩებულ დამნაშავეთა ასეულს სრულიად გარკვევით უბრძანა:

— ხუთი ნაბიჯი მარჯვნივ! შენ კი გმირო, ადგილზე დარჩი!

ოდიშელია სწორედ იმისი ჩიტია, გამხეცებული კაცის ორმოცდაათი უმართავის ლულის წინაშე სარგადაყლაპულივით გასაგნდეს, თუმცა მისდა საკვირველად, მისჯილთა ასთოკსგამომძვრალი ასეული ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის. მაშინ მთლად დაიდორბლა ბადრაგის უფროსი. ყურებაწურული უშანკა თოვლნარევ მიწაზე დაათხლიშა და ყვირილით ბრძანა:

— დაწექით ძუკნისშვილებო! ესროლეთ კაცის სიმაღლეზე.

ატყდება ავტომატების კაკანი, ნაგაზების ყეფა. ტალახიან თოვლში ჩაემხობა ახალგაზრდა თუ ბებერი, ზეკი თუ ასსი.

— ნუ შედრკებით, ძმებო! — იძახის მოკრივის პოზაში გადასული როკი, — მოდით, ბოლომდე გავუძლოთ! — მაგრამ მისი შეგონებისა უკვე ზატოჩნიკის მეტს არავის ესმის. ერთიანად აცახცახებულებს ხელები თავებზე შემოუჭდიათ და ასე ლამობენ განსაცდლისგან დასხლტომას. მერე მოცვივდებიან ეტლიანი მოტოციკლებით, ააყენებენ ხალხი ტალახიდან და ბადრაგის უფროს იმ მაიორსაც შემდგომ თვალითაც არავინ იხილავს.

აი, ეს გაუელვებს თავში კარცერისკენ მიმავალ როკის. როგორც მერე დარწმუნდება, სტეპანცევის მუქარასთან ბატულინის ხაფხაფი ახლოსაც ვერ მივა.

ექსპერიმენტული ზონის კარცერი, როგორც ითქვა, სარდაფშია მოთავსებული. ბეტონის იატაკზე წყალი დგას სამი თითის დადებაზე. კარცერი ერთი კაცისთვისაა გათვლილი, ბოთლივით წაგრძელებულია და ლორწოიანი. ხორკლიანი კედლები სამარესავით დაგმხობია თავზე. აქვეა რკინის ჩარჩოებში ჩამჯდარი ხის ლოგინი, რომელიც კედელზეა ბოქლომით მიმაგრებული. საღამოს ათ საათზე ბოქლომს ახსნიან და ლოგინზე მიესვენები. დილის ექვსი საათისთვის აკეცავენ, ისევ მიაჯაჭვავენ კედელზე და დარჩები შენი კიდურების ამარა, რომელსაც დღითი დღე ემატება კილოგრამები. ორი კვირის თავზე უკვე ფუთიანი გიხდება ფეხები და როკივით ზედიზედ კარცერის ვადას თუ გაიოთხმაგებ, ადვილი მისახვედრია, რა წონადობის ტვირთი წაბღაუჭებია ქანცგაწყვეტილობას შენსას.

კარცერი სიგრძეში ორჯერ მეტია სიგანეზე, სიმაღლე კი თავფშუტა მცენარესავით აფსიორებია. სულ ზევით, ჭერის სიახლოვეს ნათურა ბჟუტავს, მაგრამ იქამდე მისაღწევად ხუთი ოდიშელიაა საჭირო, ხოლო დერეფნის მხარეს მომცრო ცხაურია. მის მიღმა კი ჭერის ნათურის ტყუპისცალი კიანთებს. კუთხეში თავმოხდილი პარაშამ დგას, იგივე თუჯის კასრი, რომელიც კედლის გამჭოლ რკინის ფურცელზეა დადუღაბებული. ამ რკინის ღეროს მეორე ბოლო დიდი ქანჩითაა დამაგრებული. მოშარდვა თუ მოგინდება, იხარე გულო, გალიპლიპებამდე მთელი ხუთი თვის სივრცის მარაგია, სხვა საჭიროებისთვის კი დილა-საღამოს ტუალეტში გაჰყავხართ, იგივე წელის გასამართად. თუჯის კასრი კი ისეთი ზორბაა, ორი კაცი თუ დაძრავს ცარიელს. ზამთარში, გარეთ, როცა ორმოცი-ორმოცდახუთი გრადუსი ყინვა ჭახჭახებს, კარცერში განახევრებულია ეს ჯილდო. ქურთუკის ამარაღა ხარ, რადგან ჯუბაბამბულას გართმევენ, აქაოდა სიგარეტის მოსაკიდებელი ცეცხლი არ გაიჩინოსო.

უფროსობამ ნასეტკათა* წყალობით ზედმიწევნით იცის ტუსაღის ეშმაკობათა ანი და ჰოე. სწორედ იმ ჯუბადან ბამბას იღებენ მისჯილები, აძლევენ ფანქრის ფორმას, მეორე გაბრტყელებულ ბამბის ნაჭერში შეახვევენ მჭიდროდ, დააგდებენ იატაკზე და აკატავებენ, ანუ აგორავებენ ფეხით სამ-ოთხ წუთს აქეთ-იქით; მერე უცებ იღებენ, შუაში გახევენ, სულს უბერავენ მაგრად და ცეცხლიც ჩნდება.

კარცერგამოვლილმა იცის, რომ მისი წინამორბედი უთუოდ დატოვებდა ორი-სამი ნაფაზის თუთუნს. აქ ღალატი არ იქნება. მორჩენილ სიგარეტს არაფრისდიდებით გაიტანს პატიმარი იზოლატორსა თუ ბურის საკანში. სიგარეტს დაფშვნის, ხელისგულზე გაიშლის თამბაქოს და ლორწოიან კედელზე აპნევს სულის შებერვით. ქაღალდსაც სადმე მოხერხებულ ალაგას შეაკვეხებს. მოდის ახალი ტუსაღი, საცვალში შენახულ ნემსის ნახევარს მოიმარჯვებს, მიუჩოჩდება კედელს და შეუდგება თამ-

ბაქოს ფთილა-ფთილა შეკოწიწებას. ნემსის წვეროთი იგროვებს ხელისგულზე. ექვსი საათის გულმოდგინების შემდეგ ხუთნაფაზიანი პაპიროსი მოცოდვილდება. ქაღალდიც მოძებნილია, გამზადებულია ასაფეთქებლად, მაგრამ სად არის ცეცხლი?! აი, ასეთ ვითარებაში ჩავარდნილი როკის გონება გამოსავალს ეძებს. დერეფნის ნათურას მიაჩერდება. იცის ოდიშელიამ ვალჩოკიდანმ გაფაციცებით უთვალთვალებენ მის საქმიანობას, და უსაგნურ ბოლთასცემას, გნებავთ უშუდეგო ჩხირკედელაობა ურჩევნია, მოქმედებაში ჩაეთვლება.

კუთხეში მიგდებულ, დალეულ ცოცხს ღეროს აძრობს კონიდან. პირის ღრუში დამალული ლეზვიას ნახევარს წამოაცვამს და კარცერის სიგანეში ვიწრო კედლებს აღმა-აღმა მიუყვება. ხელებითა და ფეხებით მიიწევს დერეფნის ცხაურისკენ, მბჟუტავი ნათურისაკენ. კბილებში ლეზვიაწამოცმული ცოცხის ღერო გაუჩრია, რომელიც კურტაკიდან ამოღებული ძაფით საიმედოდაა დამაგრებული. ხელფეხგაშლილი მიელტვის ნათურას. ამისთანები როკის აქამდეც ეხერხებოდა და ემარჯვება კვლავაც. სულ ცოტა ათ წუთს შეუძლია მსგავს მდგომარეობაში სხეულის გაჩერება. უახლოვდება ნათურას. ცხაურიდან გამოჰყოფს ღეროს და სამართებლით მავთულის გახეხვას შეუდგება. გაშიშვლებულია ერთი, ახლა მეორეს ჩაუჯინიანდება, ამასაც მოატიტვლებს როგორღაც. მარცხენაში სიგარეტი უჭირავს, მარჯვენათი იმ გახეხილ მავთულებს დაადებს სამართებლის ნახევარს, მოკლე ჩართვის გამოწვევა უნდა და ბედზეც ისე იბუთქებს, ისე ანაპერწკლდება კარცერის შესასვლელი, ფეხები უმტყუნებს. ჩამობრაგვანდება გაწუწულ იატაკზე. მუხლისთავები გადაეყვლიფება. ამოზუნზლულია შმორიან წყალში. თვალებიდან სიმწრის ცრემლები სცვივა. გადატყავული იდაყვები ეწვის. ნაცოდვილარი პაპიროსი ცხაურიდან გადაუვარდება. წყალში ჩასცვენია ამდენი გარჯა და ამაგი, მაგრამ არაფერს ნაღვლობს, ვინაიდან, იცის, ვალჩოკმა ყველაფერი დააფიქსირა — ამაოდ არ ჩაივლის ეს მუშაკობა და საკვირველად გუმანი აქაც არ ღალატობს. ხმაურზე კარცერის კარი იღება. შემოდის ზედამხედველი.

— სათვალთვალოდან გიყურებდი, დამთუთქა შენმა სიგარეტის მოკიდებისთვის წვალებამ. ახლა მართლაც მეცოდები. რამდენი შრომა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ მე კაცი ვარ, მთლად რომ მომხსნას სტეპანცევმა და გამროზგოს კიდეც, უნდა მოგაწევინო, — ეუბნება, მოუკიდებს ერთს და მისცემს. ორსაც გამოუწვდის, დამალეო, ეტყვის, ასანთს ფოსფორიან ყუას მოახევს, რამდენიმე ღერსაც გამოიმეტებს.

— ლეგენდებს ჰყვებიან შენზე, გაზვიადებული მეგონა, მაგრამ რაც ჩემი თვალით ვნახე მას მერე, ეჭვიც არ მეპარება.

მოქაჩავს ოდიშელია მოკიდებულ სიგარეტს, ხარბად გააბოლებს და

მაშინ გაივლებს გუნებაში, სიგარეტის მოწევას მისდღემში არ მიატოვებს. ხოლო საღამოს ბუშლატს რომ მოგცემენ, სიგარეტის მოკიდება ადვილია, ან დააკატავებ ბამბას, ან კიდევ შარვლის მონახევ შავ ნაჭერს ნერწყვით დაასველებ, შიგ ბამბის ბღუჯას ჩადებ, ნათურაზე შემოდებ და ორ წუთში სანუკვარი ცეცხლიც მზადაა.

კარცერის მეთხუთმეტე სუტკა იწურება. თითქოს ზურგს უკან დარჩება ფრთოსანი და მდგრადი დღეები. მდგრადი მაშინ არის, როცა შემცირებულ ულუფას გაჭმევენ, მაგრამ ესეც დიდი შეღავათია. ამ დროს ენერგიას არ ზოგავ, ჭინჭებშემოხვეულ მუშტებს უხათქუნებ კედელს. სტეპანცევის ბრასლეტების კვალიც გამქრალა მაჯებისგან. ოფლში იხვითქები, მხნეობას იკრებ მომავალი დღისთვის, აქედანვე უყრი საფუძველს კარზემომდგარი ალიონის დასახვედრად, თადარიგს იჭერ. ექვსი საათიდან, ლოგინს რომ გამოგაცლიან ნეკნებიდან, თუ რამე არ იღონე, გული შეგიწუხდება, ვინაიდან ეს დღეჯოჯოხეთი მცირედი ულუფაც არ გეძლევა, სრულიად მშიერმა უნდა ათრიო საყორნე ხორცი თექვსმეტი საათი. ფრენას იწყებ ფიქრებში. კედლის ლაქები კოშმარულ ფიგურებად გარდაისახებიან, აიდგამენ ფეხს და საომარ ბატალიებს მართავენ. სილით დატენილ დუბინკებს გირახუნებენ კისრისა და თავის შეერთებასთან. სუნთქვა გეკვრის. მალიმალ გეშარდება. საფეთქლებში გაყრილია ნეკისსისხო მახათი. ყურის აპკები გომბეშოს მიმსგავსებით ლამის გარეთ გამოგებუშტოს, ტყავის ბურთის დაბერვამ რომ იცის, იმნაირად. და ფარფატებ მთელი თექვსმეტი საათი უწონადობაში, მაგრამ უძლეველია უდრეკლობის ჟინი.

ტანზე შემოხვეულ თოკს ამოაცოცებ, სიცივეს რამენაირად გაუძლებ და ამ ჯოჯოხეთურ უჰაერო სივრცეში ცურვას – ვერაფრით. სამართებლის მეორე ნახევრით წვრილად დაგისერავს გიმნასტურა, საცვლები ბარძაყს ქვემოთ, დაგიწნავს საგულდაგულოდ იმ ნარჩენებისგან ექვსფა თოკი, ძაკა ბაბუას რომ ემარჯვებოდა ლაფანის კანისგან მორების სათრევის დაბეჭვა, ისე. მოხერხებულად გამოაბამ ცხაურის ვერტიკალურ გისოსს, ყულფს გაკვანძავ და მოწყვეტილი სხეულით დაენდობი. საკნის კარი თუ აჩხაკუნდა, წამოიმართები, მიეყრდნობი კედელს და ნახევრადსიბნელეში შეუიარაღებელი თვალით უსაგნურია მარცხენა ბარძაყგაყრილი თოკის გამომზეურება, მაგრამ მაინცდამაინც თუ არ დაიშალეს და ზედ თავზე წამოგადგნენ, ჩამოხრჩობის როლის გათამაშებას რაღა უნდა?! სიკ-

ვდილის გამო ხომ არავინ გაგიბევრებს სასჯელს?! იქნებ სიბრალულის სიმებიც შეატოკოს ზოგიერთის ყიამეთ გულში!

ფრთოსანი დღით მთავრდება როკის საჯარიმო ვადა, მაგრამ სულ ერთი და იგივე უტრიალებს გონებაში: გავახსენდები თუ არა, გავახსენდები თუ არაო.

აჰა, გამოიღება კარიც და სინათლის თეთრონ ჩარჩოში სტეპანცევის დალეული სხეულიც გამოჩნდება ჯანიანი ფარაონების ფონზე. უნებურად მიაბიჯებ გასასვლელისკენ, თუმცა გული გიგრძნობს, ეს ფეხისმონაცვლეობანი ზედმეტია, დროის გაფლანგვაა, ენერგიის უადგილო გახარჯვა.

კარის წირთხლს მიეყრდნობა.

— არ დამვიწყნიხარ, — იცინის მაიორ სტეპანცევი, — ხომ ხედავ თავად გეახელ. ახლა ბოდიში მომიხადე და წადი მშვიდობით.

ოდიშელია ზურგს შეაქცევს. ისევ ოგმანება სივრცე, ისევ თავიდან ტრიალებს „ჰოს“ და „არას“ შორის ჭიდილი. სხეული ნელინელ ეგუება მარათონულ განსაცდელს. გადარჩენის ჟინი და ინსტინქტი მეორეულ სუნთქვას ჩართავს. კიდევ ორჯერ აილანძება შემოსასვლელთან სტეპანცევის სატანური ღიმილი. ორივეჯერ უკუიქცევა სალი კლდისგან ტალღათა გრაგნილები, ვიდრე ორმოცდამეთოთხმეტე დღეს გულაღმა არ გაიშოტები დაბლაგვებულ დირესთან გრძნობელობისგან პირწმინდად ამოშრეტილი ხორცი; ვინემ სანიტარული ნაწილისკენ საკაცეთი არ გააქანებენ.

,,ქვიშის ქალივით სძინავს თოვლის ფერიას, — მიჰყვა ფიქრის მდინარებას როკი, — აისი ალისფრად ეკიდება ფითქინა ტრამალებს, გალღვება სადაც არის, ბურუსივით გაიფანტება თვალსაწიერიდან, რადგანაც ნიკი ძიუმპეისნაირათა მხნეობის მოსაკრებადაა გაჩენილი ოდიშელია და არა — მათ რიგებში მისათვლელად, მომავლის რწმენა რომ არ წაერთვათ. თითოეული ადამიანი მილიმეტრის მერვედი მარცვალია. ერთსაც რომ ასწავლო ტკივილების დაურვება, მთელი უდაბნოეთია ნაშველები — უდაბნოსა და სოფელს შორის პირობითად გავლებული ხარო, რომელსაც დღენიადაგ ჭაპანწყვეტა სჭირდება, რათა დიუნებმა არ გადაუარონ კერიასთან დარწეულ აკვნებს. მივუტევოთ მემწერეს ავბედითი ორმოს ფსკერზე ღოღიალი. არ უნდა მოიშალოს ეს ჯებირი სტიქიასა და სიცოცხლეს შორის. განა ადამიანსა და წუთისოფელს შუა აღმართული საპყრობილეც იგივე არ არის? მთავრობებმა მიივიწყეს საწუთრო, საწუთრომ ადამიანი — მილიმეტრის მერვედი ქვიშის მარცვალი. თავი ასწიე, ნიკი ძიუმპეი! ხომ ხედავ საიდან მოვეშურები შენსკენ?!“

აღმოსავლეთის მანათობლის სხივოსნება ფეხდაფეხ მოსდევდა გადაბროლილ ტრამალებში გასრიალებულ შემადგენლობას. ლაჟვარდისფერ თვალებს ნებიერად აფახულებდა ნეტარი ზმანებისგან ლერწამივით დრეკადი სვეტლანას ხატება, მაგრამ ისე ჩააღწევდნენ მრავალსაათიანი ქროლვების

მერმე მოსკოვს, არც ქვეშაგებს დასჭირდებოდათ მომთაბარეობა და აღარც შამპანურებს ამოსძვრებოდა საცობი ჯინების გამოსახმობად.

ვაგონ-რესტორანშიც შეივლიდნენ, კუპეშიც იმასლაათებდნენ ბევრს, თუმცაკი არცერთი გაიხედავდა მარადიულ ბორბლებზე ამხედრებულ ძიუმპეის ქვიშის დიუნებისკენ.

როკი და მისი საძმო, ეს ის თაობა იყო სადადიანოს სინამდვილეში, სასწაულებრივად რომ გადაურჩა რევოლუციურ ნგრევებს, სოციალურ წნეხებს, რეპრესიებს, თვით სამამულო ომის მილიონების მცოხნავ ყბებს, მაგრამ როდესაც ცხოვრების არენაზე მოუხდათ გამოსვლა, ფორმით მშვენიერი ჭურჭელი ცარიელი აღმოჩნდა მიზანდასახულობის მაჭრისგან და რადგანაც უარაფრობას ათასი ჯურის ეშმაკეული ცთუნება აღავსებს ხოლმე, უმოქმედობის გასანეიტრალებლად კოლოსალური ენერგია ქუჩაში თვრამეტსაათიან ყურყუტს, სივრცეწართმეულ ქცევებს და ერთი ადგილის ტკეპნვას შეელია არსებითად.

მიზანი კი უმთავრესია ადამიანისათვის თვითდამკვიდრების გზაზე გარემომცველ სამყაროსთან. არ არსებობს უფრო დამანგრეველი ცდომილება, ვინემ უსაგნურობა და უგზოობაა. ჯვარს ეცმევა ქრისტიანი, კოცონ-კოცონ მიაბიჯებს მუგუზლებზე შიშველი ფეხებით, საკუთარი ხორცის ოხშივარში იხრუკება და მაინც ნეტარებით აღესრულება მიზანდასახულობის მეოხებით, თუმცა რა უნდა მოიმოქმედოს თაობამ, რომელიც ურწმუნოა, ალუდას ვოჟის კვალობაზე ეკლესიის ზარები დაუთოფავს მამა-პაპას მისას, სანაცვლოდ უხსოვრობისდროინდელი ბიბლიის ფურცლები შეუჩეჩებიათ ხელთ პალემსესტებივით დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრებებით გადაღებილი, ხოლო ამ იდეების სულისჩამდგმელი ბელადები პედესტალებზე შეუჯენებია ცერზე შემართულ ჩახმახივით. ერთი კერპი მეორეთი შეუცვლია, ეროვნული კოლორით შეფერილი, სინამდვილეში კი პატროფილური განცდები ცამცუმის მოჩვენებითი კოშკებია, ქვეყნისა ამათა ძლიერთა ნება-სურვილით რომ სულდგმულობს და ადვილმოსალოდნელია, სადადიანოს სკვერის მონუმენტების ბედიც კი გაიზიარონ. მაგრამ აქ ყურადსაღები რიგითობის პრინციპია — რას ვუწოდებთ ხერხემალს, როგორ მცნებას ჩავატევთ უმთავრესში. ასე რომ, ზუგდიდი აღმოსავლელ სტუმარს, უმეტესი დაბა-ქალაქისგან განსხვავებით, სტალინის ქუჩით შემოუძღვებოდა ცენტრალურ მოედანზე; სტალინის ძეგლი დახვდებოდა პირველ მასპინძლად, გოროზი სფინქსივით — პროლოგი ეგვიპტის პირამიდათა კომპლექსისა, ფარაონთა სულების გეომეტრიულ სიმეტრიებში მომბოჭავი ქვიშნარების ქალაქი. აქ კი, სრული ანაქრონიზმი გაბატონებულიყო მოვლენათა თანამიმდევრობის თვალსაზრისით — ევროპული ქალაქების ტრიუმფალური თაღების შინაარსით სწორედ სტალინის ძეგლი შემოგეგებებოდათ გრანდიოზული, კოლოსალური პარამეტრებით, მზის პირველი სხივის დამჭერი განზომილება, ზუგდიდის ძილსაც რომ დარაჯობდა შთაგონებული გამოხედვით და ღვი-

ძილსაც; თუმცა იმ ნაადრევ შემოდგომას ბედად არ ეწერა აზეითებულს გაეცილებინა ზენაქარებით დაძრული გულყვითელა ფოთოლთა ქარავნების წყება და წყება, და ვერც გაზაფხულზე მობრძანებული ფერების მწყემსად ივარგებდა მომავალ ფოთოლცვენამდე.

ასე და ამგავარად, როკის თაობის თვალწინ ჯერ რკინის ბელადის მუმიას კრემატორიუმის გეჰენიაში უკრეს თავი, რათა ქილაში მოემწყვდიათ იგი ჯინივით, მერმე კი სიმაღლეში დაყენებული დომინოს ქვების მიყოლებით წამქცევის ბიძგის წყალობით დედამიწა ააზანზარა მათმა გაუგონარმა ზღართანმა კვარცხლბეკებიდან. ამ სინდრომს ვერც ლენინის ლამის ტაბუდადებული სუფევა გადაურჩება ოცდაათიოდე წლის ხანგამოშვებით, ვინმე ანთიას ბიჭის სიფიცხის გამო, მაგრამ ჯერ რიგითობაზე წამოწყებული საუბარი მოვისტუმროთ.

დიახ, სტალინის ძლევამოსილებით ეგებებოდნენ ზუგდიდლები აღმოსავლელ სტუმრებს და აქ პროლეტარიატის უმთავრესი ბელადის ჩრდილში მიყენებას წაეყრუებოდა რამდენადმე, როგორც მასპინძელთაგან, ისე სტუმრებისაგანაც, რადგანაც ბოლოს და ბოლოს ამ ტანდემური რაინდების ადგილმონაცვლეობით ჯამი არ იცვლებოდა. მერედა, დიდი ამბავი თუ მდინარე ლენას მოსახელე მოძღვარი პარკის შუაგულში მოექცა, თუმცა ქართველთა პირველი პოეტის ქუჩის სიახლოვემ ერთგვარად გამოისყიდა ქალაქის მესვეურების სიძუნწე — რამდენიმე ათეული ფუთი თუჯის მოზოგვა ჭადრების ხეივნის ცენტრალური მოყურიადეს მხარ-ბეჭის სასარგებლოდ. და კიდევ ჩრდილოეთით, აწ ამ ორი ძეგლის მიმართ ზურგშექცეული, ზუგდიდის კარიბჭის მპყრობელი წლობით დადიანების გარდაგების მერმე, რაფიელ ერისთავის ბიუსტს აწაპნილი მასალა, სწორედ ლენინის შუალედურ საბრძანისსაც აპურებდა და თუ კარგად გავიაზრებთ ყოველივეს, დიახაც მოციცქნული ბიუსტის მინიატურულობა კვებავდა აღმოსავლეთის პირველი მასპინძლის სიზვიადესაც. ამით ყველაფერი მჟღავნდებოდა ქარაგმულად — ოდიშელების მსოფლგანცდით ეროვნული სულისკვეთების ნამცეცებს გაბუტვოდა სოსელოს კოსმოპოლიტური სიზულუქე თუ ულიანოვების მემკვიდრის მონღოლოიდური გამოხედვა, რითაც მამულიშვილობის განცდათათვის ალილუიაა დამღერებული ერთხელ და სამუდამოდ; მაგრამ რადგანაც შენი ჯიშ-ჯილაგის მეთაურობით შედიხარ დასახრჩობად დავიწყების და გაქრობის უკიდეგანო ოკეანეში, რამდენადმე გეიოლება სიკვდილი დასაწყისში გაცხადებული მიზანდასახულობის ძალისხმევით.

იმ უჟმური შემოდგომით კი სოციალისტური კვირაძალი მეთაური ძეგლის საჯარო დაცვა-მეურვეობის თვალსაზრისით უნაყოფო წყლის ნაყვა გამოადგათ ოდიშელებს. ნალიანმა ჩექმებმა ორწყება ცოცხალი კედელი შემოავლეს მოედანს, და როცა დაშინებული ხალხი გაცივებულ კერიებს მიუჩოჩდა ნაცრის მოსაჩხრეკად, ამოქმედდა მძიმე ტექნიკა.

რამდენიმე თანატოლთან ერთად ჭადარზე გადასულმა როკიმ გარკვევით დაინახა როგორი ღირსებით აღსავსე იყო წაყირავება ესე. ძეგლის საგულდაგულო გადამალვით ან უნაშთო გაქრობით დიდად არ შეუწუხებია თავი სპეცდანიშნულების ბატალიონს. ბულდოზერებით გაათრიეს გაოჩნებული მონუმენტი. თითქოსდა საჯიშე ბუღა სასაკლაოსკენ მიჰყავდათ, ხნულისმაგვარი ღრმა კვალი გაავლო მთელს მოედანზე მისმა კუთრმა წონამ, რომელიც დროთა ვითარებაში პირწმინდად წაშალა უდაბნოს ქვიშის ულმობელი მიმოსვლის რეალობამ; ხოლო თავად, პირქვე დამხობილი, აქამდე ოქროცურვილი, აწ შემოდგომურ ტალახში ამოლუფხული, პერსეფონეს გამგებლობაში გადასულიყო რაიონული საავადმყოფოს მიდამოებში, მაგრამ მთელს სადადიანოში ძნელად მოიძებნებოდა რეანიმაციული განყოფილება, რომელიც წამით მაინც მიაყურადებდა პატივაყრილი კერპის მისუსტებულ მაჯისცემას და ისე უდრტვინველად შეიწოვა მერმე იგი ჟამთატრიალმა, ისეთი ელვისებური სისწრაფით შეიცვალა ფირნიშები ჭიშკრებზე, როგორც ბამბუკის ოცდაოთხსაათიანი ამოხეთქვაა მიწის წიაღიდან მზისკენ.

როკის თაობამ ქუსლიდან ამოძრობილი ეკალივით მოიშუშა სათაყვანებელი ბელადის გაბახება და რადგანაც ზემოთქმული უმიზნობა წარმოშობს მახათის ტრაექტორიათა წინაპირობებს მეტად მტკივნეული ადგილისკენ, სწორედ ამ უძეგლო ხეივნისკენ იწყო ახალგაზრდობამ დენა.

ორმოცდაათიან-სამოციანი წლების ზუგდიდს ჰორიზონტალური ქალაქი ეთქმოდა. ვერტიკალური აზროვნება მას მოგვიანებით გაუჩნდა, ენგურჰესის კაშხალის მშენებლობასთან დაკავშირებით, უკეთ იმ ჰეროიკულ საქმეს აწაპნილი რკინა-ბეტონის წყალობით, მაგრამ ავტოკეფალური სამეგრელოს ფლაგმანობა მას რომ ბედად არ ეწერა, ისტორიამაც დაადასტურა.

საქმე ის არის, რომ ოცდაათიანი წლების სოციალისტურ თეორიაში ფეხი მოიკიდა ერთმა ფრიად საშიშმა ტენდენციამ: დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრების კლასიკური გაგების თანახმად ფართოდ გაეხსნა გზა ეჭვმიუტანელ მცნებას — ფორმით სოციალისტურ და შინაარსით ეროვნულ დოქტრინას, რომლის მიხედვით ბეღურა ჩიტსაც მიეზომა სამკვდრობელი არე-სივრცე, მაგრამ ავტონომიების სოკოსავით მომრავლება მხოლოდ გარეგნულად წარმოაჩენდა ეროვნულ უმცირესობათა სისხლხორცეულ მისწრაფებებს, ვინაიდან აფხაზებიცა და ოსებიც დაწყებით კლასებში ძლივს ლუღლუღებდნენ მშობლიურ ენებზე, რუსული სულისკვეთება ნელ-ნელა იპყრობდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებას.

ხალხური შემოქმედების დემონსტრირება საკავშირო ოლიმპიადებსა თუ ფორუმებზე ბუტაფორიული შინაარსისა გახლდათ სავალალოდ, რადგანაც სამუზეუმო ექსპონატებად იქცნენ ისინი დროთა მსვლელობაში — არ იქმნებოდა ახალი, გაფუჭებულ ფირფიტასავით ერთსა და იმავეს ილოღნებოდა, გაქრა პერსპექტივის შეგრძნება და ამისთანა ვითარებაში, როცა საბჭო-

ეთის ვრცელ მიწა-წყალზე გულუხვად დარიგდა თამასუქები პატარა ერების თვითმყოფადობის გადასარჩენად, კოლხეთშიც წამოჰყო თავი მაფალუიზმმა, ანუ იგივე აღორძინებამ, რენესანსმა აკადემიური გაგებით და ხელი გამოიღეს აშორდიებმა თუ ხეჩუებმა ეროვნული ერთიანი ფსიქიკის საწინააღმდეგოდ: თითქოს ნაწილს შეეძლო მთელის საზრუნავის გაძღოლა; და გამოჩნდნენ ისააკ ჟვანიას ფეხის ხმას აყოლილნი, რომელთაც საქართველოს აღორძინება სამეგრელოს ავტონომიის უქონლად ვეღარაფრით წარმოედგინათ. დელეგაციაც კი წარიგზავნა მოსკოვს პროლეტარიატის ბელადის ღირსეულ მემკვიდრესთან.

სტალინს თითქოს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, მისთვის რაიმე არსებითს არც წარმოადგენდა რუსეთის უსაზღვრო სხეულს როგორ მიეკერებოდა საქართველო, ავტონომიებად დაქუცმაცებული თუ მონოლითური, მთავარია იგი სათადარიგო სადაფივით დანამატი ხდებოდა უშველებელი ქურქის სარჩულზე; მაგრამ ბელადი ბელადია, და როდესაც დეპუტაციას დედაქალაქის პრობლემა ჩამოუგდო საკითხად, არც კი შეყოყმანებულა „ყაზაყიშ გაზეთის" რედაქტორი და მყისვე სადადიანოს ცენტრი, ზუგდიდი დაუსახელა, თუმცა ბესარიონის ძემ მეტი შორსმჭვრეტელობა გამოავლინა. არ მოუწონა მეგრელების თავკაცს არჩევანი, ვინაიდან მისი მტკიცებით, ზუგდიდს ცივილიზაციებთან მისასვლელი არც ტანუხვი მდინარე მოეპოვებოდა და აღარც — ბობოქარი ზღვა. ესეც რომ არა, მისგან სარკინიგზო მაგისტრალიც გვერდს უქცევდა ინგირთან და დედაქალაქისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებისგან განზე განდგომილად მოჩანდა მომავლის თვალსაწიერიდან. ამისთანა ქალაქს კი უპერსპექტივობა მოაშთობდა ადრე თუ გვიან, ვერც მძიმე ინდუსტრიას განავითარებდა, ვეღარც — მსუბუქ მრეწველობას. სტალინის რკინის ლოგიკა ხელის ერთი მოსმით აცამტვერებდა მეგრელების ლიდერის ურაპატრიოტულ ახირებას და როდესაც ისააკ ჟვანიამ მესამედ წარმოუჩინა ერთპიროვნულ მონარქს დადიანების სამკვიდრობლის ისტორიული ფასეულობანი, ბელადი უკვე ბოლთას ცემდა სახელგანთქმული ჩიბუხის ფუტებით.

განცხადება, მართალია, ვიზირებული იყო წითელი ფანქრით და როგორც კი ახალი ავტონომიური წარმონაქმნის დედაქალაქის საკითხს წერტილი დაესმებოდა, მშობლიური კუთხის აღორძინებისთვის თავგადაკლული რედაქტორის სანუკვარი ოცნებებიც ფრთებს შეისხამდა, მაგრამ სტალინს ფოლადის ნერვები მოუწიწკნა დადიანების კულტის გამორჩევითობამ და დიახაც უნიკალური ცოდნა გამოამჟღავნა ქართველი ერის შორეული წარსულისა:

— მაშ, ნახევრადველური დადიანების ხუშტურს უნდა გადაჰყვეს ფაზისის დიდებით მოსილი ეპოპეა?! — მოწაფესავით თავში ურაკუნებდა ბელა-

დის ყოველი ფრაზა ფრთაჩამოტეხილ რედაქტორს, — მაშ, არაფერი ყოფილა ოქროს ვერძის მოსატაცებლად აიეტის სამფლობელოს მომსდგარი არგონავტების ოცეული?! მაშ, ნიავ-ქარს უნდა გავატანოთ ანტიკური რიონი, რომელზეც ხოფებიანი ხომალდებით მიმოცურავდნენ დღევანდელ ქუთაისამდე, იგივე კვიტაიამდე?! მაშ, დავიწყებას გადავულოცოთ ჰეკატეს ბაღი, მედეას გრძნეულება, ფაზისის აკადემია, სადაც ათენას სიბრძნის ციტადელის მხარდამხარ, მთელი მცირე აზია ეუფლებოდა საბუნებისმეტყველო დისციპლინებს?! მოიფიქრეთ, კარგად აწონ-დაწონეთ, მე მალე დავბრუნდებიო, — ბრძანა და ასეთ ორჭოფულ მდგომარეობაში დასტოვა ქვეყნის გამგებელმა ავტონომიის გუჯარის მოსაპოვებლად მოსკოვს ჩამოხეტებული მეგრელების დესპანი, თუმცა საბედნიეროდ, იმ წითელი ფანქრის რეზოლუციას ცხოვრებაში განხორციელება არ ეწერა, რამეთუ დელეგაციის წევრების ლოდინი ჩრდილოეთურმა ნესტმა დასცადა, და ასე მშიერ-მწყურვალნი, მოცდით დაოსებულნი, მომდევნო დღეს თავის პოზიციაზე ჯიუტად მდგარნი რომ მიადგნენ კრემლის საშვების ბიუროს:

— თქვენ კიდევ აქ ხართო, — დაუცაცხანეს, — ბელადთან ერთი და იმავე საკითხისთვის ორჯერ როდი შედიანო, — სტკიცეს ხისტად და კუდამოძუების მეტი რაღა დარჩენოდათ?!

ავტონომიების პრობლემაზე მსჯელობისას შეუძლებელია ერთი საკითხიც არ ამოტივტივდეს ჩვენი ხსომიერებიდან.

საქმე ის არის, რომ ისტორიული ოდიში, რომლის ზეგავლენის სფეროში შემოდიოდა დღევანდელი სამურზაყანო ღალიძგამდე, უტმკივნეულოდ შეეგუა აფხაზეთის ავტონომიის შემადგენლობაში გადასვლას. ოდიშის საზღვრები ენგურსა და რიონს შუა მოექცა. სამრუზაყანო აფხაზებს დარჩათ ავტონომიის სტატუსის გასამართლებლად, ხოლო ფოთი, ლორთქიფანიძის ტყემალივით, ანუ არვეს ჩამორჩენილ კოჭლ ოჩაგასავით,* სამეგრელოს ფარგლებს მიღმა აღმოჩნდა, საარვისო შეიქმნა და აქ თითქოს სადავო არაფერი იყო, ვინაიდან სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მთავარი თეზა აინუნშიაც არ აგდებდა არათუ მეგრელთა, აფხაზთა, ოსებისა თუ აჭარლების ზრახვებს, არამედ — თავად სრულიად საქართველოს სისხლხორცეულ ინტერესებსაც.

გათიშე და იბატონეს კეისრისეული პრინციპი მთელი ძალმოსილებით ამოქმედდა გიგანტი საბჭოეთის აღსაზევებლად. უფრო მეტიც, სწორედ ეროვნული კომიკური ნიღბების ქვეშ თანდათან იძერწებოდა კოსმოპოლიტური ჰომო სოვიეტიკუსის* ტრაგიკული ასლების ჯგრო, და ამერიკული ნაჯახის თეორიის ნაცვლად, რომელმაც თვალის დახამხამებაში აღხოცა მიწის პირისაგან აბორიგენი ინდიელების ვიგვამები და მომავლის წინაშე თავი რომ ემართლებინა კაცთმოძულეობის ბრალდებისგან, რეზერვაციაში შეჰყარა მამასისხლად გადაკიდებული სიუს და კამანჩის შვილები, ხოლო სოციალიზმის თეორიულად დასაბუთებული პოლიტიკა ერთა შერწყმის მარათონულ

პროცესს მოიმარჯვებდა რელიგიურად თუ ანთროპოლოგიურად განსხვავებული ადამიანების შესადუღაბებლად; მაგრამ მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ და მოვუბრუნდეთ ჩვენი ჭადრების საუკუნოვან ხეივანს, რომელმაც მრავალი თაობა გამოზარდა თავისი უხვჩრდილიანი ტალანებით.

ლამის კილომეტრის სკვერს ორივე მხრიდან ფართე ქუჩები ჩაუდიოდა და ახლა სანთლით რომ არის საძებარი, ტრიფოლიატას ჯიშიანი კედლები აცალკევებდა ქალაქში შემოხეტებული პირუტყვისგან. მეტრონახევრის სისქის ცოცხალი ღობე ბულვარების მხარეს წელში ვეღარაფრით გაიშალა, ვერაფრით გამოტყორცნა ეკლიანი ტოტები, სიმაღლეში და სკვერის შიგნითკენ სწრაფვას დასჯერდა, რადგანაც ქუჩისპირისკენ ახალგაზრდების მიწოლისგან ერთიანად გადაიფხიკა, გახუნდა წინკართან დაგებულ ჯეჯიმივით. მოკლედ, ადამიანს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში სიარული რომ შეძლებოდა ფეხშიშველაც ინავარდებდა იმ დაბეგვილ კედელზე, მაგრამ რადგანაც ჯერაც დედამიწის მიზიდულობის კანონს ვექვემდებარებით, მამლაყინწათა ბეჭებით ხახუნს კმარობდა.

სკვერი რამდენიმე პრესტიჟულ ადგილად დაენაწილებინათ ახალგაზრდებს. ძეგლწართმეული პედესტალიდან მოყოლებული რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე, სადაც ამჟამად კინოთეატრი „საქართველოა“ და საცხოვრებელი კორპუსები, ადრე კი ჩომახიების სასადილო მდებარეობდა, პრესოვკელების სათავყრილობოდ მიაჩნდათ. ამ მონაკვეთს ჩიტიც ვერ ეკარებოდა დასახელებულთა უნებართვოდ.

მათ ადგილსამყოფელს მაცხოვრისკარელების ზონა ესაზღვრებოდა; იქვე იყო საჯვაროს უბნელთა პლაცდარმი. ეს სამი ძირითადი ფრთა ქალაქის ახალგაზრდობისა განწყობილებისდა მიხედვით ივსებოდა სხვადასხვა შენაკადით, მაგრამ ბირჟის ეპიცენტრად თავიდან ორი წერტილი ითვლებოდა მაინც — ავტოსადგურლებისა და ცენტრისტების.

ავტოსადგურში ყველაზე თავზეხელაღებული ბიჭები გროვდებოდნენ. ბაზრის საძმოსგან განსხვავებით აქ ვერ დალანდავდით პლანაქეშებს, იგივე ჩხიროებს, რაც ახალი ხილი იყო საერთოდ პროვინციული ქალაქისთვის. განსხვავებული ხასიათის გახლდათ ცენტრისტების საკრებულო, სადაც სადადიანოს ნაღები საზოგადოება იყრიდა თავს. მათ შორის ყველაზე კოლორიტულნი კაკა ჟვანია, გვანჯი ჩიქვანი და საშა ეგუტია იყვნენ. სამივეს განსაკუთრებული სიყვარულით ეხაფაციცებოდნენ ჯეელები. თავდადრეკით ესალმებოდნენ გამოჩენისას. სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეტაკებულებს მუშტები ჰაერში გაუშეშდებოდათ, წამით გულში ჩაიბრუნებდნენ ბოღმას და ახალგაზრდულ სიამაყეს. მიეფარებოდნენ თუ არა თვალს, ისევ დასცხებდნენ ერთმანეთს. საკმარისია ჯიბეში გროშები აჭყავლებულიყო, შეაკოწიწებდნენ და საქეიფოდაც იმის მიხედვით გასწევდნენ, თანხა რა რაოდენობით მოქუჩდებოდა. ორმოცდაათ მანეთზე მეტი ფული ჩომახიებისკენ ჩაახვევინებდათ, ნაკლები — გივის სალობიესკენ, და მთლად უარაფრობა-უსაშვე-

ლობა თუ სადგურებდა, ვალების ჟურნალების ბიბლიოთეკრად ქცეულ თინთუშას დუქნისკენ გასწევდნენ. ამ პიროვნებაზე პეტიკო თოდუას ანეგდოტები ეკერათ პირზე. საქმე ის არის, რომ თურმე ვალებით დაზურგულ ენაკვიმატ პეტიკოს მისასვლელი არსად დარჩენოდა და ისევ თინთუშასთან მიებედნა.

— სტუმრები მყავს, ფული არ გამომჭრა! — გაენდო წინასწარ, მაგრამ დახლიდარმა ულვაშზე მოისვა ხელი და შვილები დაიფიცა:

მეტი არ შემიძლია, ხომ ხედავ ვალების რვეული გავსებულიაო.

მაშინ პეტიკომ არც აცია და არც აცხელა, ამოიღო ორკაპიკიანი და დაბოხებული ხმით დააწყნარა:

— ბიძია, თინთუშა, ეს გადარდებს, აგერ ფული, იყიდე ახალი რვეულიო.

იმ დღიდან მოყოლებული ჩაიქნია ხელი თინთუშამ.

პეტიკოს ენამოსწრებულობაზე მომავალშიც მრავლად ვისაუბრებთ, აქ კი ერთ სინამდვილეზეც ვიტყვით:

ერთხელ საკმაოდ ხანდაზმული ვალისთვის მოაკითხეს პეტიკოს გივის სალობიეში.

— აუცილებლად მჭირდება პეტიკო, შვილი მიკვდება, რაიმე მომიხერხე. ასი მანეთი გმართებს ჩემი, მაგრამ სამოცდაათი დამიბრუნე, ოცდაათს არას ვჩივი.

— ხვალისთვის რამეს მოგიხერხებ, — დაანუგეშა პეტიკომ.

მოვიდა ის ,,ხვალეც'' და მევალეს ერთიანად შეწუხებული პეტიკო ეუბნება:

— მოგიკვდეს ჩემი თავი, ხომ ხედავ, ვერაფერი ვიღონე, ზეგ მომაკითხე.

მოაკითხეს ,,ზეგ'', ახლა უკვე სამოცი მანეთისთვის, მაგრამ ვერც ამჯერად გაისტუმრეს შვილის ავადმყოფობით ვითომ პეტიკოს გულის შემძვრელი კაცი. კვლავ სამი დღის მერე გამოვლა დააბარა და ამჟამად ორმოცდაათი მანეთისთვის სიარულში ლანჩაგამომძვრალმა მევალემ პეტიკოს უმოქმედობით ხმას რომ აუწია, ამ უკანასკნელმა ხელები გაასავსავა:

— რა გაფიცხებს, ბიძია, ხომ ხედავ, გისტუმრებ ნელ-ნელა, მეტი რაღა ვქნაო.

პეტიკოსნაირებს ზუგდიდში რა გამოლევდა, ჰოდა, ვერაფერმა უშველა თინთუშას, სანამ საციხედ არ გაიხადა საქმე, მაგრამ ოდიშელებმა ბოლო წამს მაინც იყოჩაღეს, სწორედ კაკა ჟვანიასა და გვანჯი ჩიქვანის ინიციატივით ქუდზე კაცი შეკრიბეს და ცხრაკლიტულში არ განამწესებინეს ქალაქელებისთვის ხელგაშლილი და დაუზარელი პიროვნება. ამ საქციელმა მთლად გადარია თინთუშა და ისე აღესრულა საცოდავი, მისი გასვენების დღეს მონჯღრეული სახლისთვის სახელდახელო ხის კიბე იქნა გასამართი; იატაკიც რამდენიმე ადგილას გაამაგრეს ძელებით სატირალში მოსული ხალხის სიმძიმისგან რომ არ ჩამტყდარიყო.

კაკა ჟვანიას „ვეფხისტყაოსნის“ მეგრული თარგმანისთვის აფასებდნენ ჯეელები, და ესეც რომ არა, იმ განუმეორებელი ენამოსწრებულობის წილ — მაღალი ღმერთი რომ დაანათლის ზოგჯერ მის ნებიერს.

ენაკვიმატობა სულ ქალების მიმართებაში წარმოაჩენდა კაკა ჟვანიას. აქ ზედმიწევნით კოლხური კაფიების თარგმანისგან უკბილო ანეგდოტი შეგვრჩება ხელთ, პროზაულად თქმულს თუ ვინებებთ, ასეთი შინაარსისაა:

ერთმა მიმზიდველმა ქალბატონმა საკმაოდ შეზარხოშებულ კაკას როცა ხვანჯარი შეხსნილი დაუნახა, განზე გაიხმო და ყურში უჩურჩულა:

— შეიბნიეთ შარვალი, კაკა, ბატონო.

— მიცვალებულის ჭიშკარს როდი კეტავენ, ქალბატონო, — დაფაცურდა შეწუხებული მოხუცი, თან დაუმატა, — ჭირისუფლად ოჯახში თუ მობრძანდებით, ჩემი თავი გენაცვალოთ!

კაკა ჟვანიას ელეგანტურობა ხელად იპყრობდა მნახველს. ქათქათა წვერი მკერდამდე სცემდა. ძაძამიძეების ქამარ-ხანჯალზე ეწყო ხელები გამუდმებით, თითქოს ნიადაგ მტრების თავდასხმის მოლოდინშიაო.

თეატრის დირექტორი საშა ეგუტია ნამდვილი ევროპელი ფრანტი გახლდათ, კაფე „როტონდას“ პერსონაჟი. რაც შეეხება გვანჯი ჩიქვანს, მისი წონადობისთვის სადაგი სკამი თითო-ოროლა თუ მოიძევებოდა მთელს სადიანოში. ორას კილოგრამს გადაცილებული გოლიათი ჩაფებით ნთქავდა ღვინოს და თანამეინახედ გულბაათ ჭავჭავაძე თუ ალექსანდრე დიუმა რომ ძლივს გამოადგებოდა, ცხვირმოუხოცელი ღლაპები რას აუბამდნენ მხარს და როდესაც საქეიფოდ დასძრავდნენ, სკამის ნაცვლად ხორცსაკეპ მორს მიუგორებდნენ მაგიდასთან. ზედ ბალიშს დაუფენდნენ და ლხინის ეშხს მიეცემოდნენ.

გაშლილ სუფრასთან დასაჯდომი ადგილი თავზესაყრელადაც რომ ყოფილიყო, ახალგაზრდები გვერდში მოსხდომას არაფრისდიდებით აკადრებდნენ ქალაქის მეტრებს. ფეხზედგომელანი უგდებდნენ ყურს. არ თაკილობდნენ ზეზეურად გამასპინძლებოდნენ სიტყვადაუნჯებულ პიროვნებებს.

კაკა ჟვანია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის კითხვას რომ დაიწყებდა, მთელი სასადილო გაისუსებოდა. ასეთ დროს კუჭუ ჩომახიას ხორცსაკეპი დანაც ჩერდებოდა. მეტი ეფექტურობისთვის კაკა მეგრულად ნათარგმნს დედნისეულ ტექსტს მიაყოლებდა და თუ აუცილებლობა მოითხოვდა, უორდროპისეულ ინგლისურსაც მოიშველიებდა.

ერთ-ერთი პურობის ჟამს ჯდომელა გვანჯ ჩიქვანის სიმაღლის როკიმ დაიქადნა:

— თუ მათხოვებთ, კაკა, პატენი, სამ თვეში ვისწავლი ზეპირად.

— თხოვნით კი გათხოვებ, ბაბუა, მაგრამ რუსთაველი ოკეანეა და ჩხოუშიას პირას მოჭყუმპალავე, მეშინია არ დაიხრჩო იმ პელაგონში, — იხუმრა მხცოვანმა და გადასცა ერთ ეგზემპლარად აკინძული, საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი წიგნი.

გამოართვა როკიმ და მაშინვე გაეცალა სუფრას. ის ორი თვე შინიდან არ გამოუხედავს და სექტემბრის დღეებში მორიგი ქეიფის ჟამს მოკრძალებით რომ დაუბრუნა პატრონს, გაიქილიკეს შეზარხოშებულებმა:

— სად ხარ ვალერიანის ბიჭო, ამდენ ხანს მაგელანი არ ცურავდა წყნარ ოკეანეში!

— დედანი და კაკა ბაბუასეული დავისწავლე, ახლა ნუცუბიძის ჯერია! — ამაყად განაცხადა როკიმ და ყველა გაისუსა.

საათზე მეტ ხანს გაგრძელდა გამოცდა ჩომახიების სასადილოში. კუჭუც აქ იყო თავისი მოლუფხული ხალათითა და განუყრელი ჩაჩით. აღტაცებას ვერ მალავდნენ. ბოლოს ფეხზე წამოდგა მხცოვანი კაკა ჟვანია, საგანგებოდ ადღეგრძელა ოდიშელიების შთამომავალი, და ასე დაასრულა დალოცვა:

— ხელისშეწყობა თუ ექნა ამ ბაღანას, მთელს საქართველოს ასახელებს. გასაკვირი რაა, კოლხის ჯიშისაა, კოლხური სისხლის, ვისში სორტ გრუზინ!8

იქიდან მოყოლებული როკი სასურველი წევრი გახდა, როგორც საჯვაროს უბნელების, ისე — ავტოსადგურლების, პრესოვკელების თუ ცენტრისტებისა. მაცხოვრისკარელების მესვეური ხომ ისედაც იყო და იყო, მაგრამ უმჯობესია ჩომახიების სასადილოს სცენებს მივყვეთ.

მეთერთმეტე კუპიდან პეტიკო თოდუა როხროხებდა ანეგდოტს, როკი რომ შემოვიდა სასადილოში. მის ვაჟიშვილს ყომარში ფული მოეგო მეპანაშვიდეებისთვის. თანხის უქონლებს ინსტრუმენტები ჩაებარებინათ და ერთხელ, იმ ბიჭის არყოფნის ჟამს, მოსულიყვნენ მუსიკოსები, აეხსნათ საქმის ვითარება:

— დავუკრავთ პეტიკო ბიძია, ვალსაც გავისტუმრებთ და ჩვენც მოგვრჩება შუშა ღვინის ფულიო.

— გაეტნია ინსტრუმენტები. ამასობაში ბიჭიც მოსულიყო.

— სად არის, პეტიკო, შენი დედა, ინსტრუმენტებიო, — გაცეცხლებულა შვილი.

— მოვიდნენ ისინი, ამიხსნეს საქმის ვითარება და გავატანეო, — თავი უმართლებია პეტიკოს.

— რატომ გაატანე, პეტიკო, შენი დედა, რისი დამბრუნებლები არიან აწიო, — გადარეულა ვაჟი.

— აბა, რა მექნა შე კაცო, ხერშვინით* ხომ არ შევიდოდნენ სატირალშიო.

ამ ანეგდოტის შემდეგ დატრიალდა როკის გამოცდის სცენა.

პეტიკოც ფეხზე იდგა ოდიშელიას სიახლოვეს. მთელი საათი ხმა არ ამოუღია, მაგრამ კაკა ჟვანიამ სადღეგრძელო რომ ჩაამთავრა, დაიხარა ეს მთასავით კაცი და შუბლში აკოცა როკის.

— მადლობელი ვარ, ბიძია! — თქვა სერიოზულად ცხოვრებაში პირველად, უსიტყვოდ დაცალა ჭიქა და წაუბარბაცებლად გავიდა სასადილოდან.

ღვინომ თავისი ქნა იმ დღესაც. ფეხზე მოქანავე ახალგაზრდებმა მოწიწებით გამოაცილეს სათაყვანებელი ადამიანები და წაეხეტნენ ნებადართული თუ აკრძალული ზონისკენ.

იმ საღამოს ველარაფრით გამოიძებნა საბაბი მკლავში ძალის მოსასინჯად. ვერც წრე შეიკრა, რათა ყოჩები დაეჭიდებინათ, გამოსაშვები სისხლი გამოდენილიყო, რომ მერმე მუშტების ხათქუნისგან არაქათგამოცლილნი, ძმურად გადახვეოდნენ ერთმანეთს.

წუთისოფელი კი მიჩონდრიკებდა აღმა და დაღმა.

კაკა ჟვანიასა და გვანჯი ჩიქვანის გამასპინძლება ყოველდღე როდი ხერხებოდა, გნებავთ საამისო ფული ფოთოლივით ჩამოსაწყვეტი ყოფილიყო ხიდან.

შაბათობით, როგორც წესი, ერთიც და მეორეც თამადებად იყვნენ მიწვეულნი ქორწილებში. ხუთშაბათობით ქელეხების გაძღოლა უხდებოდათ.

ჭირისუფლებს თუ მექორწილეთ თამადების დაწინდვასთან ერთად, დღემოსწრება ბაზრის შესასვლელთან მობორიალე გიჟების: ჯოჯოს, ხოთოსა და სპირდოს დაბევება უწევდათ და თუ ორივე ხასიათის თავყრილობა ერთდროულად იმართებოდა რამდენიმე ალაგას, მაშინ სამივე გიჟი ჩაერთვებოდა ერთდღიან სამსახურში; მათი მოვალეობა კი შინდის კეტის მომარჯვება და მასპინძლის ჭიშკრისგან მაწანწალათა ლაშქრის შორს გარეკვა გახლდათ, ჭილყვავივით რომ შემოსეოდნენ ზუგდიდს.

მართალია, სამამულო ომი გვარიანი ხნის გარდახდილი იყო, მაგრამ გაუბედურებული ადამიანების წყბას მაინცდამაინც საქართველოში გამორიყავდა ჩრდილოეთის ტრამალების უკიდეგანობა.

მილიციელები კვირაში ერთხელ „ჩორნი ვორონათი“ გამოივლიდნენ ბაზრის სიახლოვეს, შეაქუჩებდნენ სახეშეშუპებულ მაწანწალებს, დატვირთავდნენ სვედაქცეულებით საბარგო მანქანას და ბათუმის ან ქუთაისის გზას გაუყენებდნენ; თითქოს ამით საქმეს ეშველებოდა, მაგრამ იქაური სამართალდამცავი ორგანოები გულხელდაკრეფილნი როდი ისხდნენ და უკვე მომდევნო კვირის თავზე სამეზობლოდან გაორმაგებით აჯილდოებდნენ სადადიანოს; და ასე, ქალაქ-ქალაქ წანწალსა და ხეტიალში, ვინ იცის, როგორ და რანაირად მინავლდა მათი ძირმწარე ცხოვრება?! ჰოდა, იმას ვყვებოდით, სწორედ ჯოჯოს, ხოთოსა და სპირდოს ევალებოდათ ქელეხ-ქორწილების მადისმომგვრელი სურნელებისთვის ბუზებივით მოეგერიებინათ შიმშილით კუჭგამხმარი ბოგანოთა ჯარი.

ამ საქმეში შეუდარებელი ჯოჯო იყო. ტანმაღალისა და მკლავგრძელის ხელჯოხს იშვიათად თუ დასხლტომოდა ლუკმა-პურის მაძებარი უბედურიშვილის ზურგი და კეფა. ჯოჯოსი ამბოკარებს კი არა თავად კოლეგებსაც სიკვდილივით ეშინოდათ. როცა ეს უკანასკნელი ავადმყოფობდა, ან რაღაც მიზეზებით სხვა ქალაქში გადაიხვეწებოდა, პირველობა ხოთოს ძალმოსილებაში გადადიოდა; და თუ თვითონაც გაუჩინარდებოდა რამდენიმე კვირით სადმე, ცხადია, სპირდოს რჩებოდა ბურთი და მოედანი, დღემოსწრება კუდში დადევნებული რუსი დედაკაცითა და ყურებპანტყურა ფინიათი ეზო-ეზო, უბან-უბან მოხეტიალე სპირდოს.

ზაფხულის თაკარა დღეების მოახლოება სკვერის სიღრმეში ეპატიჟებოდა უსაქმურობის ცხენ-ჯოხზე ამხედრებულ ახალგაზრდობას.

იქ, ჭადრების ხეივნის შუაგულში, ღელე მიჩხრიალებდა. ჩააწყობდნენ ფეხებს ბიჭები იმ სიკამკამეში და ყურს უგდებდნენ ვალოდია სალომეშვილის პოეტურ აღმაფრენას. ორღობეს მგოსანი შეუდარებელი იყო კაფიაობაში. საკმარისია სახელი და გვარი მიგეწოდებინათ, ხელად გაგრითმავდათ. სანაცვლოდ იმდენ კაპიკსაც გამოგართმევდათ, რამდენი სტრიქონიც ყვანტალებდა ლექსში. მისი სახელდახელო შედევრებიდან თითო-ოროლა დღემდე შემორჩა ოდიშელების მეხსიერებას:

მთელ ქვეყანა მომივლია —
ჯვარი, წალენჯიხა, ლია,
სამეგრელოს პოეტი ვარ,
სალომეშვილ ვალოდია.

სიმართლეს ვერ დავმალავთ, ამაში ნამდვილად არ მოუთხოვია ოთხი კაპიკი ორღობის მგოსანს, რადგან კონკრეტული ადრესატი არ ჩანდა. ორჯერ მთავრობას უკბინა და არც იქიდან ერგო ჰონორარი:

ზუგდიდში ვინ შემოუშვა
იურიდიტელები,
ქიანა სინჩხეს ქიჭუნ დო
ვინ მოჭრა მუხა-ჯალეფი?*

ეს შედევრი დადიანის ბაღის უსულგულოდ გამკაფავებს აკრავდა სამარცხვინო ბოძზე.

მომდევნო ეტალონი ასეთი გახლდათ:

ვო, ზუგიდი სი ბედურა,
მუ დღასუ რე ურზუქუნი,
შხვასუ ჭვიშტარს უჭუნქუ დო,
სი ცხირასუ ურზუქუნი,
შხვასუ ღვინსუ არზენქუ დო
სი ჩხოუშის დურზუნქუნი.*

ამ მეგრულენოვან ტალანტში ზოგიერთს ზმნა „ურზუქუნი“ გაძლებად მოეჩვენა, ლამის პოეტური გენია დაუწუნეს, ის კი არ იცოდნენ, რომ მეორე შემთხვევაში რითმად გამოყენებული „ურზუქუნი“ შეგზნებასთან არის დაკავშირებული. ბედი არ გინდა?! ჰონორარი მაინც ვერ გაინაღდა. ამას ზედ დაერ-

თო პლაგიატის სახელიც, რადგან მამანტი კვირტიას ლექსი მიეთვისებინა თურმე ბედოვლათს. ოცი კაპიკი რომ ჩაიჯიბა როკისგან აქ არის რაღაც ხელჩასაჭიდი მომენტები. ჯერ ერთი, მახვილგონივრულობით გული აუჩუყა ყმაწვილს, მერედა, დასაბრუნებელი ხურდა არ აღმოაჩნდა. მთელი თორმეტი კაპიკი მიისაკუთრა. თავად განსაჯეთ:

ვალერიანის ბიჭი,
ოდიშელია როკი.
უტეხი არის ისე,
ვით დანე ფიფას „როკი“,
ვეღარ გაიგებ მართლა,
მუშტები აქვს თუ ტოკი,
ოხრავს, გაექცა რადგან,
ერთი ციგანი ძოკი.*

დიახ, ამ რვაკაპიკიან ლექსში აბაზი დაითრია სამეგრელოს პოეზიის უგვირგვინო მეფემ. თან ისეთ შაირში, გარკვეულ კომენტარებს რომ საჭიროებს.

აქ ნახსენები „ფიფა“ ფეხბურთთან დაკავშირებული ტერმინი არ გეგონოთ, დანიელ ფიფიაა ნაგულისხმევი; ზედმეტი მარცვალი სად წაეღო, აბა, პირზემომდგარ სიტყვისას?! „როკიც“ იმ სულმნათის ერთ-ერთი შედევრთაგანია, რომელსაც სალომეშვილები მთელი საუკუნე ვერ შეთხზავენ.

რაც შეეხება მეგრულ სიტყვა „ძოკის“ და ბარბარიზმ „ციგანს“, საქმის ვითარება შემდეგნაირია:

სწორედ იმ დღეებში აიყარა ბოშათა ბანაკი და ილონას ფორნით ჩრდილოეთისკენ წასწრაფებულ შეფყარებულ ყმაწვილს ზედ რუხის ციხესთან მიუსწრო გამეხებულმა ვალერიანმა გელოდი ჩიქოვანის ხოჭოსფერი „ზიმით“, მიუსწრო და დააშორიშორეს კიდეც ერთმანეთს ნაადრევად ჩაბაწრული წყვილი.

— როკი! — წიოდა ფორნიდან მწვანეთვალებიანი ასული.

— ილონა! — ყვიროდა მანქანიდან მამლაყინწური ხმით მამის იღლიაში მოქცეული ყმაწვილი.

მთელი თვე შინიდან არ გამოსულა ახუნტრუცებული ოდიშელია და მართლაც ჩინებულად შეასრულა ჩომახიების სასადილოში დაქადნებული სიტყვა — მალე „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეულ რუსულ თარგმანს ვისწავლიო. ტყუილად როდი თქმულა ზოგი ჭირი მარგებელიაო.

კვირაში ორჯერ თუ სამგზის ზეიმის წუთები ეწვეოდა მთელს ქალაქს.

ორშაბათობით და ხუთშაბათობით იცვლებოდა კინოთეატრში ფილმები. კინო-ლენტები ახალგაზრდობის სულისკვეთების ყაიდაზე გამოეჭრათ რეჟისორებს. მძაფრი სიუჟეტისა და სოციალური ნიუანსებით დატვირთული

ტილოები, გაუთავებელი ანალიზისა თუ მსჯელობის საგანი ხდებოდა სეანსის დასრულების მერმე: „ავარა“, „ტარზანი“, „სამი მუშკეტერი“, „შესანიშნავი შვიდეული“ ახალ-ახალი ფათერაკისკენ უბიძგებდა ოდიშის ჯეელობას და როცა სკვერის ორივე მხარე გასაყარი სკის გუგუნს ემსგავსებოდა, „ჩორნი ვორონათი“ ჩამოივლიდნენ მილიციელები, შეყრიდნენ სამორიგეოში, როკის გამოკლებით დაახელწერილებდნენ მერამდენედ და გამოისტუმრებდნენ იმ პირობით, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაში ჩაებმებოდნენ; მაგრამ გადიოდა დღეები და სამხრეებიანებსაც და ქუჩაში მოყიალეებსაც თანაბრად ავიწყდებოდათ ამასწინათ დადებული პირობა.

უფულოდ სეანსზე ვერავინ შევიდოდა. უკვდავების წამალიც რომ ყოფილიყო კინოთეატრის ფოიეში შეჭვრიტინებას, რუსი ალექსეი და აბიკო, ქარონივით უბილეთოს არაფრისდიდებით გაღირსებდნენ, და ხშირად ქესეტად მყოფი ბიჭები იძულებულნი იყვნენ ჩომახიების სასადილოს გასწვრივ ჩამწკრივებული დუქნებისთვის მიემართათ, სადაც ფართლეულის მაღაზიები აეკოკოლავებინათ ადგილობრივ ურიებს ხიხინაშვილებს, ბოთერაშვილებს თუ ხუნდიაშვილებს; ჰოდა, დაესესხებოდნენ ბილეთების ფულს, დილით ვიტრინები მთელი რომ დახვედროდათ. ალბათ, აქედან იღებს სათავეს პირველი ოდიშური რეკეტი. მერე გადიოდა დრო და ხან მევალეები პატიობდნენ ჯეელებს, ხანაც თვითონ შეირჩენდნენ გულმავიწყობის საბაბით.

სოფლის ახალგაზრდობა სათოფეზე არ ეკარებოდა ბირჟავიკების საუფლოდ გამოცხადებულ ტერიტორიებს. ვინმე უბირი თუ შემოეხეტებოდა აქეთკენ, დიდხანს გაახსენდებოდა მის ნესტოებს ოყიანი მუშტის სურნელი.

საბაბი ყოველთვის მოიძებნებოდა. ამისთანა სურათების გახსენება ბევრჯერ გააწითლებს მოგვიანებით როკის, მაშინ კი ეგზოტიკური ჩანდა სხვისი შევიწროვება და დაჯაბნვა, თითქოს ვაჟკაცობაში ზომავდნენ სოფლელებს. ვისაც თავის ჩაღუნვა ემარჯვებოდა, წაუთაქებდნენ თითოოროლას და ფეხების დაბაკუნებით გაათოხარიკებდნენ ავტოსადგურისკენ, მაგრამ ათასში ერთხელ თავაწეული ყოჩი თუ გამოერეოდა, ორთაბრძოლაც აიშლიდა ჯაგარს. მეტოქესაც შესაფერისს შეურჩევდნენ ცხრა ნომერ ტლუს. როკის ხალხში თუ მოხვდებოდა ის სვეკეთილი, გამარჯვების შემთხვევაში საღ-სალამათი გააღწევდა თანატოლების გარემოცვას, მაგრამ სხვა დაჯგუფებანი ახალ ორთაბრძოლას მოსთხოვდნენ, გნებავთ მეორეც დაეჯაბნა, მესამეს წარუყენებდნენ და არაქათგამოცლილი მეტოქე ბოლოს და ბოლოს თუკი მორიგ პაექრობაზე გასვლას იუარებდა, მისცხებდნენ კოლექტიურად. ამის გამო როკის არაერთი თანაბირჟავიკელისთვის უდენია ცხვირიდან ძმარი, და ძაკა ბაბუას ნათქვამი აცხადებული სიზმარივით განამდვილებია:

— ბაბაგე, როკი, ერთს როცა ექომაგები, ათს იმდურებ იცოდე, მაგრამ

ის ერთი ღირსეული თუ არის, ათის გასანაწყენებლად წარბს ნუ შეიხრი. ბოლოს და ბოლოს ათი ლუყუტია გულჟანგიანი დაეტოლება განა თუნდაც ფრჩხილისოდენა ნათელს?

მოკლედ, ოდიშელიას ნელინელ უგროვდებოდა მოშურნეთა წყებანი, ასაკით უფროსებთან, ულვაშდაგრეხილ ვაჟკაცებთან გამარჯვება დიდებით მოსავდა მის უწვერულ სიყმაწვილეს, ამიტომ შერკინებასაც ვერავინ უბედავდა.

— ჟინი ანთარის მოსწავლეაო, — ჩურჩულებდნენ.

ამ უკანასკნელისგან რა ბედი ეწია საჯვაროს ენატროყია ოცეულს, სათქმელად არც ღირს. აქედანვე ჩასაფრებულიყვნენ:

აბა, როდის ამოუტრიალდება ფეხი როკის, როდის წაიბორძიკებს, რათა უკუღმართმა ბედისწერამ ამთავითვე მოიქციოს კლანჭებშიო, მაგრამ განგება როდის დადიოდა ადამიანების უბადრუკი სურვილებით?!

საოჯახო პრობლემები კვლავაც მომჯობინებულ ვალერიანს აწვა კისერზე.

ჟენიაც გამუდმებით ფუსფუსებდა შინ თუ გარეთ, მაგრამ ძირითადი სარჩო-საბადებელი მაინც მშობლიურ ერგეტაში ახლობლების იმედით მიტოვებული მამულიდან მოსდიოდათ.

ქალაქს თავისი ხარჯი ჰქონდა: ქორწილები, სატირლები, ძეობები, დღეობები, ნათელ-მირონი, ჯარში გაწვევა, ახალმოსახლეობა, რაც სულ თითის წვერებზე დგომას მოითხოვდა. ივარაუდეთ ცალკე წამოჩიტული ბიჭების ჯიბის ფული და მათი ორსართულიანი ქვითკირის სახლის მშენებლობას საშველი არ დაადგა: უდანო მჭედლის არაკი ოდიშელიებზე ითქმოდა.

საშენი მასალა რა ხანია მოემარაგებინა ოქროსხელებიან ვალერიანს, მაგრამ ოთხი გადაბმული კვირა ვერაფრით გამონახა საქმის ბოლომდე გასასრულებლად.

ამას ზედ როკის ფათერაკიანობაც დაერთო:

ჯერ პირველ საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელთან ინცინდენტი და შოთა ხუბულავას მამობრივი რჩევით საღამოს სწავლებაზე გადაყვანა;

მერე ილონა, მისი მწვანე თვალებით მონუსხული ვაჟიშვილის კალაპოტიდან ამოვარდნა.

ამჯერად მათემატიკის მასწავლებელთან შეჯახება.

ეს პირმრგვალი და გვარიანად ჩაპუტკუნებული ბერბიჭა, ხოთოსავით რომ ჩაღუნცვოდა კისერი, ერთობ სარგებლობდა ლოგარითმული თავმომწონეობით, უსამხროდ სტოვებდა ბატისტვინა ქალიშვილებს და როგორც მერე გაირკვა, რამდენიმე ეცდუნებინა კიდეც. გათხოვებისთვის თვალდახელილ საღამოს სკოლის ასულებს ცალკე მშობლების შიში თანგავდათ, ცალკე კლასში ჩარჩენის განსაცდელი და როცა დამარტოხელებულს ხელების ფათურს დაუწყებდა, ზოგი მყისვე უკუაგდებდა და მშობლებთან არდაბეზღე-

ბისთვის ნიშნები განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ყველას როდი შეეძლო თავის მოზღუდვა; ასე რომ, დერეფანში აქვითინებული თათულის მნახველ როკის თავში სისხლთან ერთად აუფრიალდა მათემატიკის მასწავლებლის, ტუხა ფარფალიას სახე.

— ვინ გაწყენინა? — ჰკითხა ჯიქურ ქალიშვილს, თუმცა მათემატიკის კაბინეტის წინ მხრებაცახცახებულის დამჩაგრავის ვინაობის ამოცნობა რაღა ისეთი ორუცნობიანი განტოლება იყო?!

— პირველი მეოთხედიდანვე ამომიჩემა, დამაკმაყოფილებელი არ მაღირსა. მგონია აქაც ჩამტოვებს კლასში. მერე თავი სად გამოვაჩინო? საშველს არ მაძლევს. იცის უმამო ვარ და არავინ გამომესარჩლება.

— არავინ? — იფეთქა როკიმ, — ხომ არ შეგეხო?

თათულიმ თავი ჩაღუნა.

ტუხა ფარფალია სიმაღლეზე დაწყობილ საკონტროლო რვეულებს ასწორებდა, ყური კი დერეფნისკენ დაეცქვიტა.

თათულის ქვითინით გავარდნა მუხლებს უკანკალებდა.

ოდნავგამოღებულ კარში როკიმ წიხლისკვრით შეუფერხებლად შეაბიჯა. ტუხა ფარფალია გატრუნული იჯდა, მთელი ექსტაზით ჩაძირული ევერისტ გალუას საუფლოში.

თათული სუსტადგანათებული დერეფნიდან უთვალთვალებდა ლამპიონითა და მაშუქით გაჩირაღდნებულ სივრცეში მომწყდეულ მათემატიკის მასწავლებელს. ქალიშვილი ჩინებულად ხედავდა როგორ მიუახლოვდა თანაკლასელი ფარფალიას, რანაირად სტაცა უცებ ხელი მომცრო ყურზე და აბღავლებულმა ტუხამ წამოდგომა რომ სცადა, ისე ღონივრად დასწია ძირს, ხელად სკამზე მიალურსმნა.

გაუკვირდა ასულს რა სწრაფად დაიმორჩილა დევივით კაცის სიზულუქე გაწლიკული ამხანაგის შემართებამ.

— კიდევ მანდ უდგეხარ! — ბრძანებასავით გაისმა დერეფანში გახირული ქალიშვილის მისამართით და თათულისაც რა გზა ჰქონდა როკის ნებას გადასულიყო?!

ოდიშელიას გაგონილი ჰქონდა ტუხა ფარფალიას კუჭის სიმჟავე რომ აწუხებდა და ექიმის მითითებით შაქარივით ატკბარუნებდა ცარცს, ამიტომაც მთელი სკოლის ცარცის არსენალს მის კაბინეტში მოეყარა თავი.

— აიღე ყუთიდან! — ბრძანებდა კვლავაც როკი, — ნუ ძუნწობ, არ გაღარიბდეს ერთბაშად.

ქალიშვილმა ხელისგულით მოართვა ცარცის წაგრძელებული ნაჭერი, ასე ციდაზე ხუთიოდე სანტიმეტრით მოკლე.

ტუხა ფარფალია საარჯე ქვაბივით თუხთუხებდა. როკის მარჯვენას დაჰყვა ყურმოხელთებული, მარცხენა ხელი ყბებში მარწუხებივით გამოსდო, წაუჭირა და არშინზე დააფჩენინა.

— მიართვი ახლა დესერტი! — სიცილს ძლივს იკავებდა როკი, მაგრამ თათული ამის გამკეთებელს არ ჰგავდა. მაშინ ოდიშელიამ თვითონ დაავლო ხელი ცარცს და როდესაც მომუწულ პირს მიუახლოვა, წეღანდელი მარწუხების ხსოვნამ კრინის მომღერალსავით მოამრგვალებინა ტუჩები ფარფალიას. როკიმ ეგრევე გაუპირდაპირა ღრიჭოში. ცარცმა კბილებში გაიხლაკუნა და ყანყრატომდე მიღწეულმა თვალები გადმოუკარკლა მათემატიკის მასწავლებელს, ალბათ, მის ბისექტრისულ სწრაფვას მიადევნებდა გონების თვალს, თან კურცხლები ტკვარტკვალით გადმოუცვივდა წითელი ხაზებით აჭრელებულ საკონტროლო რვეულზე.

ვერ დაიმალა ეს ამბავი. როგორც ჩანს, ყოველივე ტუხა ფარფალიასგან მოდიოდა, თორემ თათული რისთვის გამოჭენდებოდა მილეთ ხალხში, ან როკის სად ეცალა მსგავსი წვრილმანისათვის?! მოკლედ, ცარცთან დაკავშირებული ელურბელური მალე მთელს ზუგდიდს მოედო.

ერთხელ ქალების რისხვად ცნობილმა შოთა ხუბულავამ თითით მოიხმო ყოფილი მოსწავლე და სიცილით ეუბნება:

— მართლა აჭამე ცარცი, ფარფალიას?

— მართლა, მასწ. — უთხრა წამოჭარხლებულმა როკიმ.

— მაკრონიას მუშტი აჭამე, ფარფალიას — ცარცი. ბერეშიასთვის არაფერი გაქვს შენახული? გადმოგიფანდი ისევ ჩვენსას, მაგრამ დაერევი კერუციასავით ამ ჩემს შინაბერა ქალებს და თავს საციხედ გაიხდი. ისევ, გარეთ, მოძებნიდე — დროა. დიდხანს თუ გინდა ნამდვილი მამაკაცი იყო, მოშარდვის დროსაც კი ნუ მოკიდებ ხელს იმ ერთ იარაღს! გაიგე? — თქვა და გაეცალა პირველი საშუალო სკოლის ხონთქარი.

რაც შეეხება ტუხა ფარფალიას, მესამე მეოთხედის შემდეგ საკუთარი განცხადების საფუძველზე დაემშვიდობა დაკავებულ თანამდებობას აქირქილებული დირექტორის, გუგუ გობეჩიას კაბინეტში, სამუშაო ადგილის გამოცვლის მოტივაციით და მეტჯერ ზუგდიდში არავის უნახავს.

შოთა ხუბულავას დარიგებამდე გვარიანად ადრე, გრეჩანკა როზას მონათლული როკი, კვლავინდებურად ბირჟაზე ტრიალებდა. ახლა იგი მაცხოვრისკარელების დაჯგუფებიდან პრესოვკელების საძმოში გადაბარგებულიყო, თუმცა ჯერაც მასპინძელი ლიდერების თანაბარი უფლებებით როდი სარგებლობდა. ოდიშელია კვლავაც უმაღლესი ლიგის „ბ“ ჯგუფიდან „ა“-ში გადმოსულ ფეხბურთელს ჰგავდა, ოღონდ განუსაზღვრელი ვადით სათადარიგო სკამზე მილურსმნულს, თუმცა ასპარეზმა აქეთ მოაგნო.

გაგანია ზაფხულის გულისწამღები ხვატი ჩრდილოვანებისკენ მიერეკებოდა სულიერს თუ უსულოს. ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, გაიკრიფნენ ბახმაროსაკენ თუ საირმისკენ, მაგრამ უფრო ხელმოკლენი შინ დარჩნენ, გავარვარებული ქალაქის ფსკერზე, და ათასში ერთხელ ანაკლიისკენ წასვლას თუ მოაბამდნენ თავს, ესეც დიდი შეღავათი იყო.

კვირის წინ სრულიად უსამართლოდ დაჩაგრეს ჯოტო ოდიშელიას მეზობელი კოდუას ბიჭი რკინიგზის სადგურის ბირჟავიკებმა.

შლაქსები ფეხს იკიდებდა ქალაქში, მუხლებთან შევიწროვებული და წვივებისკენ გაფოშფოშებული ტრაპეციები, მაგრამ ფარნა კოდუას მეოთხე ბიჭის, გულას, ოჯახაშენებულ თერძს ზომიერების გრძნობა მთლად დაკარგოდა და შარვლის თითოეული ტოტი სიგანეში ლამის ნახევარმეტროიანი გამოსვლოდა, თანაც კოვბოის ყაიდაზე შაურიანისხელა ღილებით დაემშვენებინა ბარძაყიდან მოყოლებული კანჭებამდე.

საკბილოს დადარაჯებულ ჯეელებს ოსტატურად გამოეჭირათ დარჩელელი ტეტია. ერთი მარჯვნივ მისდგომოდა, მეორე — მარცხნივ და დაეწყოთ დათვლა კვირის დღეების თანამიმდევრობით: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი... ითვლიდნენ თურმე რიგ-რიგობით წყვეტდნენ ღილს. დამთავრდა ერთი კვირაძალი. გადავიდნენ მეორეზე: ორშაბათი, სამშაბათი... მივიდნენ პარასკევამდე, ააგლიჯეს ისიც და გაძვალტყავებული შარვლის პატრონმა ხმა კვლავაც რომ არ გაიღო:

— შაბათი რატომ არ დააკერე შენი გოიმი დედაო, — და დაასიფათეს საკმარისზე მეტად. თანასოფლელების წინაშე დამცირებული გულა კოდუა ბაგეჩაკვნეტილი, უსიტყვო თავისქნევით გაჰყვა ავტობუსს.

მომდევნო დღეს ის ავტობუსი მებაზრე ქალების ნაცვლად, ბებუთებით, ფინური დანებითა და კასტეტებით შეიარაღებული ახალგაზრდებით დატვირთული მოადგა სახალტუროს.

რკინიგზის სადგურზე შემოსვლას, მით უფრო შურისძიების მიზნით, რომელი ჭკუათმყოფელი გაბედავდა?! ამიტომაც საქმის გასარჩევად რამდენიმე ყოჩი გააგზავნეს სადგურის ბირჟისკენ დარჩელელებმა და როდესაც ამ უკანასკნელთ დესპანები ცხვირპირჩამოლეწილები დაუბრუნდნენ, თანაც მთელი ქალაქის ახალგაზრდობა ავისმომასწავებლად წამოხორხოცდა ოთხივე კუთხით ჩხოუშიას მარჯვენა სანაპიროსკენ, მძღოლმა ყური დაუხშო უფრო თამამთა ბაქიბუქს. მას ცინცხალი ავტობუსის ბედ-იღბალი მეტადრე ადარდებდა, ვინემ კოდუას ბიჭის ართმეული ღილები თუ შუბლდახეთქილი შუაკაცები. მოსალოდნელი ორომტრიალისგან ქანჩი და ჭანჭიკი არ შერჩებოდა ბიგვავების ერთადერთ მარჩენალს და მძღოლმაც მანქანა ადგილს მოწყვიტა, სოფლისკენ გააქანა დაბოღმილი ქორ-შევარდნები.

იმ დღიდან მოყოლებული უკიდურესად დაიძაბა ვითარება, ვინაიდან დარჩელელებმა განურჩევლად დაუწყეს დევნა ზუგდიდელ მგზავრებს, მექორწილენი იყვნენ ისინი, მეპანაშვიდენი თუ ზღვაოსანნი. აბუჩად აგდებულებს და დამცირებულებს არაფრით გაატარებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ცხელი ქვიშის აბაზანებსა და ხავერდოვან ზღვაში ნებივრობას მონატრებული ქალაქელები დაზარალდნენ. დარჩელის ცენტრამდე კი მოაღწევდნენ ზღვაოსნები თუხთუხით, მაგრამ ხელკეტებით, და-

ნებითა და ორლულიანი თოფებით შეიარაღებულნი გზას გადაუღობავდნენ. გადმოუპირქვავებდნენ საგზალს; წაეღლაბუცებოდნენ მხარმოშიშვლებულ ასულებს; მოზვრისკისრიან ბიჭებს მანქანის ძარაზე არახუნებინებდნენ თავებს. სამაგიეროდ ვერც მათი მშობლები მიდიოდნენ ბაზარში გოჭების, სიმინდისა და თხილის გასაყიდად.

შეწუხდა ხალხი აქეთ-იქით. ზუგდიდელ კაცს დაუტირებელი რჩებოდა სისხლით ნათესავი; ვერც ქორწილში მიებედნათ მთლად თავზეხელაღებულთა მეტს, თუმცა დამხდურისგან კარგი დღე იმათაც არ ადგათ. საქმე იქამდე გართულდა ქალაქის საზოგადოებამ ქუჩაში მოყიალე ახალგაზრდობას საყვედური არ აკმარა შექმნილი ვითარების გამო და მალე ყოველივე ხელისუფლების ყურშიც ჩაეწვეთა.

ბირჟავიკების ღირსება სასწორზე იყო შეგდებული. აქ უკვე მილიცია და იარაღი უძლური გახლდათ. და სწორედ ამისთანა დროს, ამისთანა ვითარებაში ცენტრისტების სათავყრილობო ადგილისკენ მისდაუნებურად დაიძრა ყველა რანგისა და ღირსების ძმობა, თავიანთ ლიდერიან-წვრილფეხობიანად.

ახალგაზრდების ხივილს ცნობისმოყვარედ აყურადებდნენ მგზავრები. ბაზრის მთელი მაწანწალობა აქეთკენ დაძრულიყო და ხოთოს, ჯოჯოს და სპირდოს ცოტა მეცადინეობა როდი დასჭირდათ მათ გასაფანტად. საწყლები პეტიკო თოდუას ეცდუნებინა:

ქალაქის ცენტრში ფლავს არიგებენ უფასოდო, მოლა ნასრედინის დასესხებით, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ზუგდიდელ ჩაუქებს თავი ეჭრებოდათ მთელი ქალაქის წინაშე. აქამდე სადადიანოს რისხვად მიჩნეულებს ხელიდან ეცლებოდათ წლობით მოპოვებული სახელ-დიდება.

— ფერდინანდის მეტი ვერავინ მოაგვარებს ამ საქმეს, — თქვა გვანჯი ჩიქვანმა და საჩოთირო შუამავლობას მოხერხებულად დაუძვრა.

— ფერდინანდი და გოგი ყოლბაია! — დააკონკრეტა საშა ეგუტიამ.

— გოჩა ჩიქოვანს რას უწუნებთ? — წამოიძახეს აქა-იქ.

— კარგი იქნება ამ სამეულს როკი ოდიშელიასაც თუ გავაყოლებთ, — ჩაერია საუბარში კაკა ჟვანია, — ჩემი ბებერი ძვლები არასდროს დაზარებია საერთო საქმეს, მაგრამ ამჯერად ისეთი ხალხის შერჩევა აჯობებს, დარჩელელებთან ნათესაური კავშირი ან მეგობრული გრძნობა რომ აერთებთ. მერე და გვანჯის და ჩემი დრო ამოწურულა, ვნახოთ ვისი იმედით ვტოვებთ ქალაქს, — კაკა ჟვანიამ ქამარ-ხანჯალს დააყრდნო ხელები, — ამ საქმის გაძღოლას პეტიკო თოდუას თუ ჩავაბარებთ ერთიათად მოვიგებთ ყველა. მისი ენამოსწრებულობისა მოგეხსენებათ, თანაც დარჩელელების სიძეა. არც ანზორ ქაჯაიას უმისობა იქნება. რაც შეეხება ოდიშელიების ბიჭს, უფრო იმ მოსაზრებით დავასახელე, ბიძა ჰყავს იქაური, ჯოტო. მერედა, ძმაკაცობს კიდეც კოდუებთან, დაბოლოს, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არავის უჭრის ახ-

ლებისგან მასზე უკეთესად ენა და მუშტი. გახედეთ ერთი, აყენია თუ არა გივის სალობიესთან გელოდი ჩიქოვანის „ზიმი“?! აგაშენათ ღმერთმა! გვშველებია და ეგ არის!

ბულვარს თანდათან ემატებოდა ხალხი. მისდღემში ზღვა რომ არ ენახა, ისიც იქითკენ წაუსვლელობას ჩიოდა.

— ამოვიგუდებით ერთიანად ამ პაპანაქებაში, — წუხდნენ.

— იმისთანა საქმეს ნუ ააგორებთ, მერე თითზე კბენა გვიანი იყოს! — ჭკუას არიგებდნენ თავიანთ აღზრდილებს შოთა ხუბულავა, ამბაკო ოდიშელია და მირიანე ნარმანია. ქალთა სკოლის დირექტორი გოგოლა ჩხოლარიაც ამ აზრის გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ დამორცხვებულნი მისი პროფილისანი არ იყვნენ.

საზოგადოებრივი შრომის ფერხულში ჩაუბმელობის გამო არცხვენდნენ ჯეელებს. უმიზნობას მიიჩნევდნენ მათი უუნარობის სათავედ. სხვები ვაჟკაცობას ურცხვენდნენ.

— საკუთარ კედლებში ხართ მაგრები, თორემ ჭიშკრიდან გასულები კუდს ამოიძუებთ და სამასხროდ აქცევთ მთელს ქალაქსო, — ბედავდნენ და ყოჩები, ადრე მსგავსი სიტყვებისთვის მზად რომ იყვნენ სკვერის ტრიფოლიატაში ხვლიკივით გაეძვრინათ საკუთარი ბაბუის აჩრდილიც კი, თავჩაქინდრულები ითმენდნენ უფროსების გაკილვას.

ამასობაში ზოგი ჩომახიების სასადილოდან გამოიყვანეს, სხვები გოგის სალობიედან და ნახევარი საათიც არ გასულა იმ ბჭობიდან, რომ ზუგდიდლების დელეგაცია დარჩელისკენ მიქროდა გელოდი ჩიქოვანის გაკრიალებული „ზიმით“.

ლიმა მესამე

კარანტინი
230769

განგებას ყოველი ქვეყანა განუმეორებელი ხიბლით დაუჯილდოებია. გაცდები კოლხეთის დაბუშტულ ჭაობებს — ყვითელი, წითელი, ლურჯი, მწვანე... ეხლართება ფერი ფერს, გადაეწნება, ებრძვის, იმარჯვებს; ხანაც ქრება ვერსობით, კილომეტრობით, ისევ იფეთქებს ფერდობსა თუ ზეგანზე; არბის და მინავარდობს მთათა კალთებით, თითქოს ცას უნდა გამოეკვანძოს, თითქოს ეპოტინება უკვდავებას მარადიულს, დაუდგრომლობს დღენიადაგ, ლამაზდება და იფერფლება საკუთარ მეობაში, გაეხვევა თესლის საბურველში, ისევ გამოანგრევს ნისკარტით შემოშენებულ ნაჭუჭს მეასედ, მეათასედ, იმეორებს სამყაროს უდასასრულო სიმღერას ფერთა ორკესტრით, ჯადოქარი დირიჟორის ჯოხი მთვრალია, გაბრუებულია ამ კონცერტით; ზოგჯერ

თავბრუდამხვევია მეჯლისი ესე, ალეგრო და კონინადო, გენერალური პაუზა 43-42 კვადრატისა, უფლის ექვსდღიანი ოდისეა დე-ფაქტო—დე-იურე გეორგიაში, მაგრამ შეიძლება განა უკვდავების ხეზე გაიცვალოს მამაპაპური სალი კლდეები?!

დიადი რამ არის სამშობლოს შეგრძნება, მითუფრო, როცა მისი ჰაერით შვიდი წელიწადი არ გისუნთქია; როცა ნაყანარში შექუჩებული სიმინდის ღეროების კვამლით ახლაც გეწვის ერთფეროვნებით ამოღამებული თვალები; როცა ოცნებაში დაგუბებული სანახები დედულეთისა ბოლთას სცემენ ხელისგულისოდენა სარკმელთან. სწორედ მან დაგაჯილდოვა განსხვავებულის დანახვისა და დაფასების უნარით, მაგრამ ცხელი უდაბნოეთის ოაზისებიც კი უკუდგებიან შენი მამულის ხატაურების წინაშე, შენი ოდაბადეს ფერთა კარნავალის ძლევამოსილებით დატყვევებულნი, და ეს განცდა არასდროს წარმოშობს რაიმე უპირატესობის გრძნობას თუ ზომიერების საწყაოთი გისაზრდოებია პატროფილური მისწრაფებანი, საკუთარის გაღმერთება თუ არ გიცდია სხვათა გაარარავების ხარჯზე; თუკი მსოფლიო მოქალაქედ შემართულხარ და საჰარის ხორშაკ ქვიშნარებს, ტუნდრის ქონდრისკაცულ ბუჩქოვანებს, ციმბირული ჭოროომების ყინულის ხერგილებს, თუ ქალწული არყის ხეებს ევროპული რუსეთისა ისე იხუტებდი მკერდში და ეკონები კვლავაც, როგორც დაგრეხილ თხმელიანებს შენი დობადონასი.

ორთქმავლის შეკივლებამ და თანდათანობითმა დამუხრუჭებამ ოდიშელია ფიქრებიდან გამოარკვია.

ყაზანის ვაგზლის პირველი ბაქნის მეორე ლიანდაგზე შედიოდნენ. გამცილებელმა კუპეში შემოიხედა. ასაკეც სკამზე მოკალათებული სვეტლანა სარკის წინ ლამაზდებოდა. კაცი ლოგინზე წამოწოლილიყო ჯერაც.

— ბილეთები ხომ არ გინდათ? — თქვა ვაგონის დიასახლისმა და სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა ძველებურად.

— დაიტოვეთ სამახსოვროდ, — გაეხუმრა სასჯელმოხდილი, — ეგ შამპანურებიც თქვენია, გამოგადგებათ.

გამცილებელი მადლობის ნიშნად კვლავ გაიბადრა. დაკეცილი თეთრეული და ბოთლები გაიყოლა. ჩქარობდა. ყვითელი ალმით უნდა მისალმებოდა მატუშკა მოსკოვს.

როკი გარინდულ სვეტლანას ქურქის ჩაცმაში მიეშველა. თვითონაც მოირგო ტანზე ტყავის პალტო. სიგარეტი მოიძია ჯიბეში. მოუკიდა და ხარბად გააბოლა.

ქალიშვილს მარცხენა მხარზე შავი ჩანთა გადაეკიდა, იღლიაში ჟურნალი ამოეჩარა და სანამ ოდიშელია მოისაზრებდა, მარჯვენა ხელით დიპლომატს ჩააფრინდა.

როკის გულში რაღაც ჩაწყდა. ის სახელური ახლა წყალწაღებულისთვის ერთადერთ სანუგეშო ხავსს ჰგავდა, რომლის წართმევა ამწუთას დიდი ცოდვა-ბრალი იქნებოდა.

ბაქანზე ჩამოსულებს ფუმფულა თოვლით შემოეგება ქალაქი. სანამ მეგობრები მოაგნებდნენ ვასია ზატოჩნიკის ყავისფერი საფულე ამოაცოცა, ერთ-ერთი თვალიდან მთლიანად ამოიღო ტკიცინა ხუთთუმნიანები, ჩანთა უკითხავად გაუხსნა ასულს, ჩაუცურა, მერე დიპლომატიან მაჯაში წვდა, დაუჭირა ერთხანს, თვალი თვალში გაუსწორა. დაგუბებული ცრემლები რომ უნახა, სალოკი თითის გატოკებით აუკრძალა ცხვირის ჩამოშვება. გამოართვა დიპლომატი, „მშვიობითო", უთხრა ალერსიანად და ხელაწეული ბიჭებისკენ აუჩქარა ნაბიჯს.

სამი „მერსედესით" მოსულიყვნენ. ვასია ზატოჩნიკის მხარდამხარ ხელგაშლილი ვალერი გლატკოვი მოტორტმანებდა. ნახევარი წლის წინ გამონთავისუფლდა გლატკოვი ერთწლიანი ზედამხედველობითი რეჟიმით, მაგრამ ისე იკრავდა მეგობარს მკერდში, თითქოს საუკუნის უნახავი ეხილოს.

სვეტლანასაც უხმეს. ჩასხდნენ მანქანებში და გასრიალდნენ სასტუმრო „როსიასკენ".

ახმახი ვალერი გლატკოვი მოსკოვის ორგზის ჩემპიონი იყო კრივში. პატიმრობაში სამჯერ ჩავარდა ზედიზედ, სამივეჯერ მუშტი-კრივისთვის. სპორტის ოსტატის წოდება ჩამოართვეს, თუმცა არსად ტყუოდა, განსაკუთრებით ბოლო შემთხვევისას.

რესტორანიდან გამოღრიანცელებული ბიჭებით დამცირებულ ქალიშვილს გამოექომაგა. სანამ შეეძლო ითმინა ალიყურები, მერე გაცეცხლებული დაერია შფოთისთავებს და სულ ჰაერში აბურთავა. უბნის მილიციელები დაიფრინდნენ. ვიდრე საქმის არსში გაერკვეოდნენ, იმათაც მოსცხეს გვარიანად და მაშინ თვალთდაბნელებულმა არც პატრულები დაინდო და აღარც — ჩინოსნები. ოდიშელიას პირველი და უკანასკნელი პატიმრობის მოტივები გაუმეორეს, იარაღის უნებართვოდ ტარება და გამოყენება აჰკიდეს.

ტიპიური რუსი იყო აღნაგობით, ბუნებით — ნამდვილი ქართველი. სამი წელიწადი ერთი თეფშიდან ნაყრდებოდნენ ის და როკი. ხასიათით ნამდვილი ანგელოზი გახლდათ, არაფერს დაგიშავებდა, მაგრამ არც გაპატიებდა რამეს. ვასია ზატოჩნიკი დიდად აფასებდა ვალერი გლატკოვს, რადგანაც გაჭირვების ტალ-კვესი იყო, უებრო მხარდამჭერი.

ვალერკა ყველაზე გავლენიან დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა მოსკოვში. მათში შედიოდნენ ძირითადი გადამგდებლები, იგივე კიდალჩიკები, კრიშები.* სხვადასხვა ორგანიზაციას და რესტორანს პატრონობდნენ, იცავდნენ შემწერებისგან. ბრიგადაში სულ რჩეული ბიჭები ჰყავდა, მხარბეჭიანი, საზრიანები და უდრეკელნი. თავიანთი სამოქმედო არეალის ზედამხედველობა პატარიდან უფროსამდე დაბმული ჰყავდათ. ფულს იმდენს შოულობდა, რამდენიც აცვენილი ცხოვრებისთვისაა საჭირო. მთელს იუჟნი-პორტში მაგისი ხალხი საქმიანობდა. აგდებდნენ ნებისმიერ პიროვნებას, მანქანას, ოქროს, ბრილიანტს. მოკლედ, ორმოცდაათკაციანი სპორტსმენების ბრიგადა შეხმატკბილებული ოჯახივით ცხოვრობდა.

შეხედა თუ არა როკიმ ვალერი გლოტკოვის ხალხს, ერთადერთმა ფრაზამ გაუელვა გონებაში: „თავს ისე მოგაჭამენ, სახელსაც არ გკითხავენო“. ბრიგადის წევრებს ჩახსნილი პერანგებიდან მოუჩანდათ ვეება ჯვარგამობმული თითისსისხო ბაჯაღლოს ძეწკვები. ორივე ხელზე ბრილიანტისთვლებიანი ბეჭდები ეკეთათ. წარამარა გამოაჩენდნენ ოქროს საათებს ოქროსივე სამაჯურებით. მარჯვენა ხელზეც, როგორც წესი, ლამის ქამრის სიფართისა, სამფად დაწნული სამაჯურები ეკეთათ, რომლებიც ციფვივით იჭვრიტებოდნენ სახელოს ფუღუროდან ფიცხელი საუბრისას თუ გულდინჯი მოძრაობის დროს. ერთი სიტყვით, ტიპიური მკვლელების ამალა დაახვედრა ვასია ზატონჩიკმა როკის. ჩასხდნენ „მერსედესებში“ და ცენტრისკენ უტიეს. მეტროპოლიტენის სადგურ „კრაპოტინსკაიასთან“ დაემშვიდობნენ სვეტლანას.

ოლიმპიადის ციებ-ცხელებას გარკვეული დადებითი კვალი დაეტოვებინა მოსკოველებისთვის. ოთხი წლის წინ გაკრიალებულ ქალაქს ჯერაც შერჩენოდა ოქროცურვილი თუ ფაქიზი საღებავების გამა.

სასტუმრო „როსიაში“ ლუქსი აუღეს როკის. ჰაიასტნელი ადმინისტრატორი ქალი წარიძღოლიეს. აღმოსავლეთ ბლოკის მეოთხე სართულს მიადგნენ, 445 ნომერს, ლაღსა და ჰაეროვანს.

მთელი საძმო აქ შემობარგდა. ვინ სად მოკალათდა, ვინ — სად. ოცამდე მოგროვდნენ. როცა ადმინისტრატორმა ოქროს კბილების ღრეჭით კარი მიიხურა, ვასია ზატოჩნიკმა მეგობრებს სტუმარი წარუდგინა.

— პანტერ ვალერიანოვიჩ, — დააკონკრეტა გლატკოვმა, — ჩემი ძმა და მეგობარი, ზონაში პალაჟენიაში იყო, ზონას უყურებდა. ბევრი რამე ვისწავლე მისგან, რომელიც თავისუფლებაში ყოფნის დროს დიდად წამადგა ფულების შოვნაში, და რაც მთავარზე მთავარია — ადამიანებთან ურთიერთობაში.

— მე ხვალ უნდა მოვტყდე, — თქვა ოდიშელიამ, როცა ახალგაცნობილებმა ხელები ჩამოართვეს, — სამი ქსივა მომაქვს, იცის ამის თაობაზე ვასიამ, დანარჩენი თქვენზეა.

ზატოჩნიკმა გახსნა ქსივები, სწრაფად ჩაიკითხა, მერე სიტყვიერად აუხსნა მათი შინაარსი ვალერკას და იქ მყოფთ:

— ამოსაღებია გადაბარებული ფულები. ესენი ავტორიტეტიანი ბიჭებია. ყველა გადამხდელია. ფუფფულო არცერთს არა აქვს წაგებული. მოკლედ, ყველაფერი რიგზეა, რომ არა ერთი მაგრამ: ლუდოედის ფული საკამათოა, თანაც ძლიერი ბრიგადა ჰყავს, ასე იოლად არ დათმობს. საქმე საქმეზე თუ მიდგა თვით ქურდულ კანონებსაც არაფრად დაგიდევს.

ისინი მასტით ლომომპოდპოიასნი არიან. აქ საჭიროა მგლური კანონების მოშველიება. როცა მგლების ორი ხროვა ხვდება ერთმანეთს, წრეს შეკრავენ ცალ-ცალკე, ხოლო ატამანები ერთიერთზე გავლენ, რომელიც მოერევა ის აერთიანებს ორივე დაჯგუფებას და გამსხვილებული ოჯახი მერე იმ ერთი წინამძღოლის მონა-მორჩილია. გაიგე, ვალერკა, ეს უკვე შენი პროფი-

ლისაა. ლუდოედი ჩვენ ფეხებში გვებლანდება რა ხანია. თუ საჭიროებამ მოითხოვა მიაბრიდე! — ვასია ზატოჩნიკმა ბიჭებს თვალი მოავლო, თითქოს მათ გუნება-განწყობილებას არკვევდა, და როცა შეატყო ნათქვამს მსმენელებში წარბიც არ შეუტოკებიაო, განაგრძო, — არის პრობლემის მოგვარების მეორე გზაც. გეცოდინებათ, გსმენიათ, ალბათ, ველური ჯიშის ძაღლებისა, დინგოს ეძახიან. მსხვერპლს იშვიათად ესხმიან, ნადირობით ოფლს არ მოიდენენ. ძლიერი ცხოველის სიახლოვეს ტრიალებენ, უთვალთვალებენ, როდის ჩაუდგება კვალში ლომი ან ვეფხვი გარეულ კამეჩს თუ ხარ-ირემს. დანაყრდება ის ნადირთა მეფე, გაიზმორება ზანტად და ეწევა თავის სავალს. აი, მაშინ ნარჩენებს მიუცუცქდებიან დინგოები და ასე გააქვთ წუთისოფელი. მიმიხვდი?! იუჟნი პორტის მეორე ნახევარი მაგათია. იმ სივრცეში შემავალ რესტორანებს, ბარებს და კაზინოებს ლუდოედის ხალხი აკონტროლებს. მალე უბანში შემოგვივარდებიან, მერე ძნელია გამარჯვება. ყველაზე უტყუარი თავდაცვა — შეტევაა და დროულიც იქნება. მაგას, ვალერკა, შენი ეშინია, იცის შემყვანი და გამკეთებელი ხარ. ეს შენ ზურგს გიმაგრებს, რადგან ბაითში გულაობ. შიშიანი კაცი ყველაზე სახიფათოა, რადგანაც ცალი თვალით გელაქუცება, მეორეთი ჩასაფრებულია და ხელსაყრელ მომენტს ეძებს ყელში საბრდღვნელად. ღმერთმა უწყის, ფეხს როდის გამოგდებენ. ეს შანსი შენ ხელიდან არ უნდა გაუშვა.

ქსივაში სწერია, რომ ამოღებული ფულის ერთი მესამედი პანტერას მიეცეს, დარჩენილი თანხა შუაში გავყოთ, ნახევარი ვლადიმირში — ბრილიანტს და გივი კნიაზს გავუგზავნოთ პირადად და არა — ობშიაკში. რაც გადარჩება მე და შენ გავიყოთ. მართალია, ვლადიმირის დაკეტილი ახლა საათივითაა აწყობილი ბრილიანტის ძალისხმევით, მერე გივი კნიაზის ავტორიტეტითაც საკმარისზე მეტი გრევი შედის, წავიდა ცოტა გულიანკა,* მაგრამ ზალატაუსია ცუდ დღეში.

— იქ ვინ არიან? — ჰკითხა ვალერი გლატკოვმა.

— კოლია გრეკი, ქურთი ჭიპია, თბილისელი. მგონი ტულიაკსაც იქ უკრეს თავი. მეიმედება, რომ ტულიაკი ჩინებულად ააწყობს საქმეს, მაგრამ პირველ ხანებში მეტი თანადგომა მათ სჭირდებათ ახლა.

— ჯერ ბავშვი არ დაბადებულა და აბრაამს არქმევდნენო, — გაიცინა ოდიშელიამ, — საკითხავია, ამოვა კი ის მაყუთი საერთოდ? მერედა, ზალატაუსში ის ფული ვერ წავა, რადგან გადამბარებელს მითითებული აქვს ვლადიმირი, პირადად ბრილიანტს და გივი კნიაზსო. ფულის ადგილმონაცვლეობის საკითხი მათი გადასაწყვეტია. კი, ქურდს აქვს უფლება მისამართი უცვალოს თანხას, სადაც მეტი საჭიროებაა იქ გააგზავნოს, მაგრამ ერთს, ბრილიანტიც რომ ბრილიანტია, ამას არ აპატიებენ. ეს მასამ უნდა გადაწყვიტოს! — თქვა და ამით მორჩა საუბარი.

ბიჭებმა ამოიტანეს ნომერში შამპანურები, საჭმელი და ცოტათი გული შეიმაგრეს. რვა საათიდან კი ვარიეტე იწყებოდა რესტორანში.

ვალერკამ ხალხი გააგზავნა ლუდოედთან და სკარპიონთან, შეუთვალა:

ხვალ, დღის პირველ საათზე სასტუმრო „მოსკოვთან“ ვგროვდებითო და თან ქსივაც გაატანა. დანარჩენი ფული არ იყო საპრობლემო.

იმ საღამოს მართლაც ჩინებულად მოულხინეს. ესტრადა მთელი ღამე „პანტერ ვალერიანოვიჩის“ საპატივცემლოდ ქართულ სიმღერებს აგუგუნებდა. გადაურეკეს ქალებს და ლერწამივით ხუთი ასული აახლეს.

— პუტანკები8 არ გეგონოს, ესენი სუფთა გოგონები არიან, — ამბობდა შეზარხოშებული ვალერი გლატკოვი, — ჩემი პატივისცემით დარჩებიან შენთან, არჩევანი შენზეა, დაიტოვე რომელიც გენებოს, — თქვა და ჩამწკრივებულ ქალიშვილებს მუშტრის თვალით გადახედა.

— ხანჯალი ტომარაში არ გაისინჯება, — გაიცინა როკიმ. სხვებიც აჰ ყნენ ამ სიცილს, რომელიც მალე საერთო ხარხარში გადაიზარდა. მორცხვად კისკისებდნენ ასულებიც, მაგრამ ოდიშელია მეგობრების ნებართვით მეოთხე სართულისკენ მიეშურებოდა უკვე და დაბნეულმა გოგონებმაც ვალერი გლატკოვს რომ შეხედეს, ჩაბჟირებული ცხვირსახოცით იწმენდდა თვალებიდან გადმოცვენილ ცრემლს, თან ხუთივეს თავისუფალი ხელით ანიშნებდა: მიჰყევით, მიჰყევითო.

გელოდი ჩიქოვანის „ზიმით“ ანაკლიისკენ მიაქროლებს თათულის. საჭეს ქალიშვილი უზის, ერთთავად ტიკტიკებს და ტიკტიკებს.

ერგეტისკენ გადაუხვევენ. გაგანია ზაფხულით გადახრუკულ მინდვრებით მიდიოდა.

— წერილის გამოგზავნას მაინც რაღა უნდოდა? — ტიტინებს ქალიშვილი და სახეში შესციცინებს თანაკლასელს.

— ჟენიას მოსყიდული ჰყავს მთელი ფოსტა, ილონას წერილს ვინ მაღირსებს.

— ადგილობრივებთან გამოეგზავნა, ისინი გადმოგცემდნენ.

— ეჰ, თათული, ვალერიანმა რომ ამაგლიჯა მის სხეულს, მერე წერილის გამომგზავნია?! ვინმე ჩვენებური გომბიო ხომ არ გგონია?! დამცირებულია იგი ჩვენი ოჯახისგან, ხელნაკრავი. ამაყი ილონა არავის შეეტენება ძალად.

— მშობლები კარგი, მაგრამ შენს სიყვარულში ხომ არის დარწმუნებული?!

— საქმეც ეგ არის, მცდის, ალბათ, იქით მიმელის. აბა, რისი შემძლები ვარ.

თათული არც ორმოს დაგიდევს რამედ, და არც სხვა რამ ნიშანს. იქ თურმე არქეოლოგებს ექსპედიცია ჰქონიათ. ამოუთხრიათ მიწა და დაუტოვებიათ პირღიად. სარზე მიუკრავთ რაღაც მაჩვენებელი, მაგრამ თათულის ამისთანებისთვის სად სცალია და ეგრევე ოთხი მეტროს სიღრმის სამარხში გადაეშვებიან. მანქანა ისე ჩაფრინდება არქეოლოგიურ ორმოში, ისე გადაევლება წამში ათასწლეულებს, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებენ. ბედზე არც მგზავრები დაშავდებიან და მან-

ქანაც არ დაზიანდება მაინცდამაინც, მაგრამ ქალ-ვაჟი იხილავს თუ არა ხიფათი ზურგს უკან არისო, თანაც თავზე სამი მეტროს სიმაღლის ორმო ადგათ, რომლის მიღმა მზით გაჯერებული ულურჯესი ცის კვადრატული ნაჭერი ხასხასებს, ბედისწერად მიიჩნევენ ყოველივეს, შეხედავენ ერთმანეთს, ერთდროულად გაიცინებენ, თითები თითებს ჩაეხლართება და წარსული — დღევანდელობას.

ახსენდება როკის თანასოფლელები როგორ დაფაცურდებიან მერმე, რაფერ მოიყვანენ ტრაქტორებს, ურმებს, რარიგ შემოჯარდება მთელი ერგეტა ძაკა ოდიშელიას შვილიშვილს, მაგრამ ეს ყველაფერი გარდახდილია უკვე.

ისღა დაგვრჩენია დღის პირველ საათზე სასტუმრო „მოსკოვის“ ავტოსადგომთან თხუთმეტიოდე უცხოური მარკის მანქანის ნელ სვლას მივაყურადოთ.

ლუდოედს ოცდაათკაციანი ბრიგადა ახლდა, დაახლოებით იმდენივე, რამდენიც ვასია ზატოჩნიკს. საჩხუბრად მომზადებულ ვალერი გლატკოვს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ვინაიდან ლუდოედი და სკარპიონი დახვეწილი ინტელიგენტებივით მსჯელობდნენ.

— ფულს სუფთად ვაბარებ, — განაცხადა ლუდოედმა, — რადგანაც დათქმა გვქონდა, განთავისუფლების შემდეგ ჩავაბარებდი იმას, ვინც ქსივას მომიტანდა ზუსტი პაროლით. მე სუფთა მოთამაშე ვარ! — ხაზი გაუსვა სიტყვა „მოთამაშეს“.

დიპლომატი ამოიღო. გადაითვალა ტკიცინა ასმანეთიანების შეკვრები. ჩამოართვა ხელი ზატოჩნიკის, გლატკოვისა და ოდიშელიას სამეულს და ბიჭებიანად ავტოსადგომს გაეცალა.

როკიმ კუთვნილი წილი აიღო, მერე ქსივა დაწერა ლიოხა ნარილსკისთან, რომ ფული ამოღებულია.

— ძმებო, მოვიდა ჩემი წასვლის დრო, — თქვა ოდიშელიამ, — აბა, აეროპორტისკენ! — მოსჭრა და ნებიერად მიესვენა წინა სალონის სავარძლის საზურგეს.

ლუდოედის მეტსახელისთვის შეუფერებელი პიროვნება პირველად იხილა როკიმ.

კაციჭამიას პათოლოგიური სახისას, ველური აღნაგობის ურჩხულად წარმოაჩენენ ხოლმე სათავგადასავლო ფილმები. იმას კი კანიბალიზმის მიმდევრობისა არაფერი ეტყობოდა, არც — ფიზიონომიით და აღარც — ხასიათით. ასე ფიქრობდა ყოველშემთხვევისათვის იმ წუთას ოდიშელია, თორემ რა იცოდა, სულზე უსაფარლეს მეგობრებთან უკანასკნელად უხდებოდა ჩახუტება: ლუდოედი ზეგ თუ მასზეგ ზედმიწევნით გაამართლებდა მასზე დანათლულ მეტსახელს — ვასია ზატოჩნიკის გვამს ტბაში იპოვიდნენ სამართებლით ყელგამოღადრულს. ვალერი გლატკოვს გარეუბნის საბძელში აღმოაჩენდნენ ქამრიდან ამოშიშვლებული ძალაყინით კედელზე მიჭედებულს.

ამას ყველაფერს ვაჟიშვილის შეძენის შემდეგ შეიტყობდა როკი, როცა თვითონაც ბეწვის ხიდეებით უხდებოდა სიარული, თვეობით ვერ იცვლიდა ტანსაცმელს და იარაღი ამოესასთუმლებინა.

მეგობრები კი მთელის ამალით ხელს უქნევდნენ აეროპორტის გასასვლელიდან, გამოგონილი უამინდობის გამო ასტრონომიული საათნახევრით დაყოვნებული თვითმფრინავისკენ გასრიალებულ „მერსედესს“.

როკი გრძნობდა დაღლილობისმაგვარ შებოჭილობას, რაღაცნაირ სინანულს თუ სინდისის ქენჯნას, რომ მიღმეთში რჩებოდა ასსების მშფოთვარე სამყარო და არც კი იცოდა ოდესმე შეხვდებოდა თუ არა მათ. ახსენდებოდა ილონას ბიცოლას გაცრეცილი კარტით მარჩიელობა: **შენი როკი ილონა, გაივლის ერთ კარს, გაივლის მეორეს, გაივლის მესამეს და არასდროს მოიხედავს უკან, არასდროს დაუბრუნდება გარდასულს, განცდილს.** იგონებდა და ნაწილობრივ ეთანხმებოდა კიდეც ზონზროხა დედაკაცს, მაგრამ განა მარტო ხორციელი მობრუნებაა არსებითი, როცა შენი წარსული მოურჩენელ ჭრილობასავით თან გსდევს გამუდმებით, სადაც კი წამიერად ჩამოჯდები იზოლატორის ნარზე, ვთქვათ, მიესვენები კარცერის ბებერი ლოსისფერ კედელს, ბოლთას ცემისას, გნებავთ იმ ადგილას განმარტოებისას, სადაც მეფენიც კი საკუთარი ფეხით დადიან, საზიდრის თივაზე გდებისას, მატარებელსა თუ ლაინერში; თუმცა საქმეც ეგ არის, რომ ერთხელ გარდახდილის ხელმეორედ, ხელმესამედ დატრიალება რაიმე კანონზომიერებას არ ემორჩილება: მსგავსი სიტუაციები ამოატივტივებენ მათ მხოლოდ — ზოგს ყმაწვილობისდროინდელს, ზოგსაც — ჭაბუკობის თუ სიჭარმაგის პერიოდში გადატანილს; და ასეთ ადამიანზე თამამად ითქმის, რომ იგი წარსულის მონაა, უფრო მეტიც — წარსულით სულდგმულობს, რეალური დრო კი მარტოოდენ საშუალებაა ამ კრიალოსნის ასინქრონული ჩამომარცვლისა.

ახლაც, აგერ, თვითმფრინავის ილუმინატორთან მიმჯდარს, ორსაათნახევრიანი გზა უდევს წინ. დალაგებული ჭკუის კაცი მითვლემდა ცოტას, მაგრამ დახუჭავ თვალებს და ქუთუთოებით დახშულ სივრცეში ორლესულებივით გარბიან ხაზები. მათი სიმეტრიების დადგენა ზესიმძლავრის კომპიუტერსაც გაუჭირდება.

წინა მერხზე საკმაოდ შეზარხოშებული ორი ყვინჩილა ლაზღანდარობს გაუთავებლად. ილორელები ყოფილან. თხილი და ლიმონი სარფიანად გაუყიდიათ. ჩავლენ მშობლიურ სოფელში და კვლავ ახალ წყებას მოაყენებენ მოსკოვს.

სტიუარდესამ „ბორჯომი“ ჩამოატარა. სწრაფად დაცალეს ჭიქები და ბათქით გახსნილი შამპანური გადააწვიმეს სალონის მგზავრებს. არც კი ბოდიშობენ. სიგარეტს აფუტებენ. როკის ერთი სული აქვს თავებში წაუჭიროს ორივეს და დრანდამდე ხმა გააკმენდინოს, მაგრამ ებრალება, რამეთუ არა უწყიან რას მოიმოქმედებენ და მიუტევებს რამდენადმე.

ქამრების დამაგრებაც იუკადრისეს. დიდგულობენ, ტრაბახობენ, თითქოს კოსმონავტების სკოლა გამოევლოთ. არადა, ამჩნევს ოდიშელია, ყოველი საჰაერო ორმო ხმას აკმენდინებთ. როკი ხვდება, რომ ეს ფახიფუხი მოგონილია, დრანდამდე გზის შემოკლების ილორული მეთოდია.

მწეველი კაცისთვის სხვისი მობოლებული სამგზის მომაკვდინებელია, ძარღვების ამშლელი და უკანმოტრიალე სტიუარდესას ჭიქა რომ მიუბრუნა ოდიშელიამ, ხელით ანიშნა მოიწიეო. ქალიშვილი ოდნავ დაიხარა მგზავრის წინაშე და როკიმაც რამდენიმე წინადადება უჩურჩულა. სტიუარდესას გაეღიმა. სამიოდე წუთიც არ გასულა და სალონში ნისლივით ჩამოწვა კვამლი.

ოდიშელიამ სავარძლის საზურგეებს შორის თავი შეჰყო და დარდიმანდ ილორელებს დაბალი ხმით აუწყა:

— ბიჭებო, პანიკა არ ატეხოთ ისე, ქამარი შეიკარით. მე პირველი კლასის პილოტი ვარ და ყველაფერი მომეხსენება. მარჯვენა მოტორი გამოირთო, ღმერთმა უწყის, რანაირი რყევები წავა, და ვინიცობაა კატასტროფა მოხდეს, ნათესავებს თქვენი ცხედრები მაინც არ დაეკარგებათ. უბედური მშობლებისთვის ესეც დიდი შეღავათია, — თქვა და მოხერხებულად მიაწვა საზურგეს თვალებდახუჭული.

ილორელები ერთდროულად აღიმართნენ, შეხედეს ნისლით ავსებულ სალონს, შეათვალიერეს ქამრით საგულდაგულოდ დაბმული თვალდახუჭული „პილოტი", სახეზე ფერი არ ადევთ.

— არ ვიცით ჩვენ ქამრის გაკეთება. დაწყევლოს ღმერთმა, გამოვყოლოდით მატარებელს!

როკიმ ასწავლა, როგორ დაემაგრებინათ ქამარი, მერე ურჩია ძმურად:

— ამისთანა შემთხვევაში ყველაფერზე უკეთესია დახუჭოთ თვალები და ძილისთვის იფიქროთ. რაც მეტს შეხედავთ ილუმინატორს, ძვალ-რბილში უფრორე გაგიჯდებათ შიში, ზოგჯერ იქობამდე, შეიძლება თმაც გაგითეთრდეთ. — თქვა ეს და სალონში ძრავათა რიტმული გუგუნიც გამეფდა.

მეოთხე თვეა ქუთაისის ციხეში გადმოიყვანეს ოდიშელია. უცხო გარემოში საკუთარი მეობის დამკვიდრება იოლი საქმე როდია, მაგრამ ეს ყველაფერი პირველსავე დღეს თუ არ მოხდა, მერე გვიანია, მატარებელი გაგასწრებს და ფეხით მოგიწევს ჩანჩალი დანიშნულების ადგილამდე. საომარი ბატალიები გარდახდილია, მაგრამ როკის ახლა სულ სხვა სურათი წარმოუდგება თვალწინ, ილორელი მეთხილე-მელიმონე ბიჭების გატრუნვის ტოლ-ფასი.

ზაფხულის ჟინჟღლიანი ამინდია. დახუთულ საკანში წვიმას მაცოცხლებელი სიო და მინდვრის ბალახების სურნელი შემოაქვს ვიწრო სარკმლიდან. ხასიათიც ხალასია. რაღაც გამუდმებით გიღიტინებს სულში. გულიდან ნაღველი და სევდა გადაგყრია. გინდა ძმაკაცს მიუჩოჩდე და შენი ცხოვრების ყველაზე ამაღლებული წუთები გაანდო.

ამ დროს საკნის კარი იღება და ბარგი-ბარხანიანად შემოდის ფიცარივით თხელი ახმახი. არშინიანი ფეხსაცმლებით მოაბოტებს. რამდენიმე დღის მოუპარსავ სახეზე ჭაღარა გარევია. ოდესღაც გრუ-ზა თმა შეთხელებია, მაგრამ, როგორც ჩანს, ქოჩორს ვერ ელევა და ცხვირიც წაგრძელებული რომ ჰქონდეს, ზედგამოჭრილი ნინუაა. ობჩე-ლი ტლუა, თუმცა იმდენს იჭიმება, საფიჩხიელი ტოლს ვერ დაუ-დებს. გაგონილი აქვს რომ საკანში ვინმე ერთი ყოჩობს და იმისკენ მიეშურება სწორედ.

როკი, იაშა ჭიჭინაძე და ძმები ავიძბები მხიარულ გუნებაზე არიან. აცლიან საფრთხობელას დამსახურებათა წარმოჩენას. გმი-რობანი კი იცოცხლეთ, რაც ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე გა-დახდენია: დალევიდან მოყოლებული პირველია მთელს იმერეთში. კახეთსა და სამეგრელოში მოპასუხეებად დაჰყავთ და იქ მოგებული ჭედილებით გაავსო ობჩა. სამი ფარა დაუდის თურმე; მუშტი-კრივში შეუდარებელია მთლად. ერთ ვიწრობში ხულიგნებმა მოიხელთეს. იმდენი ურახუნა იმ საწყლებს, სულ შოკში ჩაყარა. მიმოიხედა, წყა-ლი არსადაა, არადა, დასაღუპავადაც ვერ იმეტებს საკუთარ ჯიშს და ჯილაგს. დაარტყა კლდეს მუშტი, თითქოს მოსეა, გადმოხეთქა წყარომ, ასხურა სათითაოდ. გამოფხიზლებულებს მოსცხო აბაშური პანღური, მაგრამ ზოგჯერ სიტუაცია უფრო რთულდება, როცა ტი-საკზე მიდგება საქმე. თურმე დანის ართმევის ოსტატია, ამოუგრეხს ხელებს საცოდავ მსხვერპლს, დაუსერავს დუნდულოებს მერმე სა-კუთარივე იარაღით და მიაყოლებს პანღურს.

მოსაუბრის ტრაბახი როკის პეტიკო თოდუას ანეგდოტს ახსენებს ორ მეთევზეზე. როცა ერთი მორჩება ქაქანს და მთელს ჯალაბობას პირს დააფჩენინებს, ახლა ოჯახის უფროსი დაიწყებს.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩემს ჭაბუკობის ჟამს იმისთა-ნა თევზს გადავეყარე ერთხელ, ცხრამეტმა კაცმა ძლივს გამოვათ-რიეთ ნაპირამდე. იქიდან კი ცხრამეტმაც ვერ დავძარით ადგილი-დან. ვაფრინეთ ბიჭი სოფელში ხერხისთვის. დავხერხეთ და ისე ჩა-მოვიტანეთ ოჯახებში. ხორცი ცხრამეტივემ თანაბრად გავიყავით. ჩემს წილს თვენახევარს ვლოღნიდით, ვიდრე მატლები არ დაესია. რაც შეეხება ძვლებს, გადასაყრელად ვერ გავიმეტე, დავაჭედე ჩელ-ტზე და ახლაც მისით ვფარცხავ ყანას.

— ეგრე იყოო, — კვერს დაუკრავს ცოლი.

— იქნებოდა, — დაეთანხმება სტუმარი.

— ეგ რა არის, — განაგრძობს მასპინძელი, — მივდივარ ერთ შებინდებულზე და რას ხედავენ ჩემი თვალები, ბოღაზის ვიწრო ყელში უშველებელი ჯირკი არ გახირულა?! ვიფიქრე შეშად გამოგ-ვადგება-მეთქი, თურმე თევზი არ ყოფილა?! არც კი ვიცი რა ჯიში-სა. ჯალამბრით ამოვათრიე ნაპირზე, იმხელა ფარფლები ჰქონდა,

მივაჭედე ნავს, დაუბერავს ქარი და ახლაც დამასრიალებს ზღვაში.

— ეგრე იყოო, — დაუდასტურებს ცოლმა.

— იქნებოდა, — დაეთანხმება სტუმარი.

საუბრისას ხელს იმოდენაზე შლიდა მასპინძელი, რომ სტუმარს გული მოუვიდა, რადგანაც მისი სათევზაო გმირობანი წყალში ცვიოდა. მოიხსნა ქამარი, შეუკრა მაჯები და ეუბნება:

— ილაპარაკე ახლა!

— იმხელა თევზი დავიჭირე, — თუხთუხებს ოჯახის პატრონი, მაგრამ ხელებს ვერ შლის, შებოჭილია და უცებ გააფიჩინებს მტევნებს, — აი, ამოდენა თვალები ჰქონდა.

დაახლოებით ამისთანა გახლავთ ობჩელი საბახტარაშვილის პერსონა. მყისვე შეატყობენ თანასაკნელები, რომ ცარიელი სიტყვებია უბედურიშვილი, თავს იზღვევს მოკლე ჭკუით, არიქა, ვინმემ არ დამჩაგროსო და ოდიშელია ბიჭებს გადაუჩურჩულებს:

— აკრძალული შუტკა!*

სიხარულისაგან მთელი საკანი გამოცოცხლდება. საუზმის დრო მოახლოებულია. ნომერი დიდი ხნის დამუშავებულია, დახვეწილია უკიდურესობამდე. ყველას თავ-თავისი როლი გაუნაწილებია. საკნის სიღრმეში მსხდომი ორი ცალი თვალის ახვევა მოასწრებს. ესენი პირწავარდნილი გალავარეზებია — ზეზეურად თავის გადამბალთველნი. ამათ კასოი პირველს და კასოი მეორეს ეძახის ოდიშელია. საბახტარაშვილი ამ სამზადისს ვერც ამჩნევს, ვინაიდან ერთი ენაწყლიანი ისეთ პრიკოლს გაუკეთებს, ისეთი საუბრის საბურველში გაჰხვევს, კამერის ფაციფუცისა არარა ესმის. პირველი მისჯილობა ჰქონია. ადრე მიმაგრებით გასულა ფონს, და ახლა ციხეში მობრძანებულმა აქაური ეშმაკობებისა არა უწყის რა.

როცა ყველაფერი მოწესრიგდება და თითოეული საკუთარ ფუნქციას და ადგილს დაიკავებს, როკი გასძახებს საუბარში ჩათრეულს:

— შენ, ეი, საბაია, შემოსვლის წინ პაიჭაძემ გითხრა თუ არა როგორ კამერაში შემოდიოდი?

— მე კარგი კაცი ვარ და აბა, ცუდ კამერაში შემოსვლას მაკადრებდნენ? — დაახეთქებს დიდის დამაჯერებლობით.

ამ დროს კარმუშკა იღება, ჩაის არიგებს მომსახურების ხალხი და უცებ ვითომ ქსივასაც შემოაგდებენ. კასოი კოჭლი მაშინვე ოდიშელიას მიურბენინებს. ის კიდევ გზადაგზა გააცნობს კასოი კოჭლსა და კასოი ცაციას ქსივას შინაარსს:

— მალიშიამ ამაღამ დასაბრედი! — ისეთ ხმაზე ამბობს საბახტარაშვილის სმენასაც მისწვდეს.

ტანმოსვირინგებული პატიმრები წელს ზემოთ გაშიშვლებულან და თავიანთ გულმხეცობას დაურიდლად წარმოაჩენენ.

— ესენიც მკვლელები არიან, გალავარეზები, — უხსნის როკი ყურდაცქვეტილ საბახტარაშვილს. ნიადაგს აფხვიერებს ახალშემოსულის ასაყვანად. აქვე სასხვათაშორისოდ ჩაეძიება, — გული ხომ არ გტკივა, გული როგორ გაქვს?

ამისი გადამოწმება აუცილებელია აკრძალული ხუმრობის დროს. ყველას როდი შეუძლია მისი ატანა.

— გული? — გაოცებით კითხულობს საბახტარაშვილი, — გული სტამბოლის კაჟივით. აბა, რა, ხარივით ჯანმრთელი ვარ.

„გალავარეზთაგან“ ერთი საბახტარაშვილის კოლეგაა — ალიმენტი დროზე ვერ გადაუხდია და აყურყუტებს ცოლყოფილი გვარიან ხანს; მეორე — წმინდა გიორგის მიმდევარია, ოღონდ — კამეჩების განხრით.

ზვარაკი ძნელი აღმოსაჩენი არ გახლავთ საკანში. იგი ცალკე ზის სასიკვდილოდ გამზადებულის იერით, მხრებჩამოყრილი, სასოწარკვეთილ ფიქრებში ჩაძირული, ულამაზესი შესახედაობის ყმაწვილი. ამ როლისთვის მალიში შეუდარებელია, ისე მიიყვანს მოქმედებას კულმინაციამდე, წარბიც არ შეუტოკდება. ხოლო, ვისაც შედარებით სუსტი ნერვები აქვს, და სიცილის შეკავებაც არ ეხერხება, საწოლებზე თავდაღმა დამხობილან, ბალიშებს კბილებით ჩაფრენიან და ასე იოკებენ ფილტვებში გამჯდარ ხითხითს.

ახლა კი იკადრებს საბახტარაშვილი საქმის ვითარებაში გარკვევას.

— ისეთი რა დააშავა? — ჩაუჟინდება საუბარში შემტყუებელს.

ოდიშელია უახლოვდება ობჩელს და თვალწინ უფრიალებს ქაღალდის სუფთა ნაგლეჯს.

— აი, რა სწერია ქსივაში. ამ ბავშვმა ჩაუშვა ორი პადდელნიკი, ორივეს დახვრეტა მიესაჯა და გუშინ განაჩენი სისრულეში მოუყვანიათ. ხოლო ეტაპი თბილისიდან ჩამოვიდა ამ დილით და ქსივაც მათი შემოგზავნილია.

— მოსაკლავი ყოფილა, — ამბობს ყრუდ საბაია, მაგრამ იქვე დაამატებს, — რა საცოდავად გამოიყურება, თანაც მთლად ბავშვი ყოფილა. ამაზე რა იქნება? — იკითხავს და გაისუსება.

— ისეთი არაფერი, დიდი-დიდი სამი-ხუთი წელიწადი დაგვიმატონ.

აწ დაჰკარგავს ფერს საბახტარაშვილი. ძველი ბაქიბუქი დაავიწყდება. გაფითრდება ერთიანად.

— არ შეიძლება კამერიდან გავაგდოთ, ან ამის მაგვარი რამ მოვიფიქროთ? კაცის მოკვლა არ არის მაინცდამაინც ქრისტიანული საქმე.

მოშორებით სიცილით იგუდებიან, მაგრამ ბრექია ვერაფერს ამჩნევს.

ახლახან სიგარეტი მივატოვეო, რომ ამბობდა, გამალებით ექაჩება მახორკას.* ხელები უკანკალებს.

— რაც ძროხები და კამეჩები გვყავდა, ერთიანად გაჰყიდეს ჩემიანებმა, რათა პატარა სროკი მოეცათ. ძლივს ჩავაწყვეთ საქმე და ახლა ვხედავ აქ ვიღუპები.

ამისი თქმა და წინ დაუსკუპდება კასოი ცაცია, სუფრის კოვზის ტარის ალესვას მიჰყოფს ხელს ბეტონის იატაკზე. ეს კოვზი დიდი ხანია ალესილი პურის საჭრელად, მაგრამ განგებ უფრო აფხიანებს, თან ცერით სიბასრეს უსინჯავს მალიმალ. ბოლოს როკის მიაჩერდება და ღიმილით ეუბნება:

— ისეთი ალესილია, წვერს ჩამოპარსავს.

ოდიშელია თვალებს დააბრიალებს.

— საქმეს რატომ აჯანჯლებთ?! ვინ იცის, საღამომდე რა ამბები დატრიალდება. ჯვარი სად არის, ჩქარა მოიტანეთ!

პურის კლეისტერისგან* დამზადებულ დიდ ჯვარს მოაწოდებს.

პატიმრები იწყებენ პირჯვარის გარდასახვას, თანაც რაღაცა გაურკვეველს ბუტბუტებენ თავიანთთვის. ბოლოს უკვე სრულიად გარკვევით დასძენენ, რომ საკანში რაც უნდა მოხდეს, ვისგანაც გაიცემა, თანახმა არიან დაიბრიდონ. ჯვართან მხოლოდ სიცილისგან გაგუდული ხალხი ვერ მისულა და კიდევ — ზეწრისფერი საბახტარაშვილი, მაგრამ მოხერხებული ტუსაღები იქით მიუჩოჩებენ და სრულიად აშკარა არის, რომ შემოსვლისას გაფხორილს თვალისჩინი წართმევია. ტუჩებთან მიტანილი ჯვარი შეამცივნებს. მუხლები ეკეცება. ქვედა საწოლზე ჩამოესვენება.

ამასობაში უნუგეშო იერის მშვენიერ ყმაწვილს ერთ-ერთი გალავარეზთაგანი და კოჭლი კასოი წამოეპარებიან, შალითას გადააფარებენ, გაახვევენ, ხელებში აიტაცებენ და მიყრუებულ კუთხეში მდგარი ორსართულიანი ლოგინისკენ შეათრევენ. აქვე წამხდარმა არიფმა რომ არ ნახოს სინამდვილეში რა ხდება, მეორე სართულის გაშლილ ლოგინს მოაყოლებენ შალითის ერთი ბოლოს ფარდასავით ჩამოუშვებენ. მსხვერპლი და ჯალათები შიგნით არიან, არაფერი ჩანს კულისებიდან. ახლა შევარდება იქითკენ კოვზისდანიანი კასოი ცაცია, აქეთ-იქით კომიკურად მიმოიხედავს. ხალხი ფეხზე ვეღარ დგას, სიცილისგან დავარდნილები იხოცებიან, ეს კი იმ წერტილს მისშტერებია, თვალს არ ახამხამებს, ფეხებს ვერ ამაგრებს იატაკზე, ცახცახებს, თითქოს ტიტლიკანა გაუგდიათ ქარბუქშიო.

შალითაჩამოფარებული სივრციდან კი ისმის ხრინწიანი ხმით ბღავილი, რომელიც ნელინელ გადადის გულისწამღებ ხროტინში. დამსწრეებმა იციან, რომ განწირული ყმაწვილი თვითონ იჭერს ხელებს ყელში და მშვენივრად ართმევს თავს სიკვდილით დასჯის ინსცენირებას. საცნაურია კუ-

ლისებში გაჩაღებული ულაყისმიერი ჭიხვინი, მაგრამ საბახტარაშვილის ყურებისთვის იმ ხროტინის გარდა აღმოცენებულ ხმიანებას ჟღერადობა დაჰკარგვია და უცებ გამოსწევს ერთ-ერთი ფარდას და გამჭოლი ხმით სჭექავს:

— ტაშტი, ტაშტი, ჩქარა!

ახლა ამ ჭურჭლის დანიშნულება საბახტარაშვილის გონებისთვისაც არ არის ძნელი ამოსაცნობი. მიაწოდებენ ჯალათთაგანს ერთ მესამედზე წყლით გავსებულ ტაშტს, იქ კი კლეისტერის წითლად შესაფერადებელი საღებავით გააჯერებენ. გამოვლენ ერთიანად სისხლში ამოთხვრილი ხელებით, თანაც ეს სითხე გზადაგზა ეღვრებათ, ჩააპირქვავებენ ტუალეტში. ხოლო მიცვალებულთან დარჩენილი მეორე წყვილი მკვდარს აპატიოსნებს. გამოღადრული ყელი შეუხვევიათ ზეწრის ნაჭრით, მაგრამ სისხლს იქაც გამოუჟონავს. ამავე ქსოვილით აუკრავთ ქვედა ყბა და კეფაზე გაუნასკვავთ. დახუჭულ თვალებზე შაურიანები დაუდვიათ. დაკრეფილ ხელებში ხუთმანეთიანი ჩაუჩრიათ. შარვლის მუხლისთავებს დაიბერტყავს ის ორიც და გულდინჯად იტყვიან:

— გავაპატიოსნეთ!

ახლა საბახტარაშვილს მიაშტერდება მთელი საკნობა. გადამწყვეტ სიტყვას როკისგან ელიან და იმიტომაც გატრუნულა ყველა.

კამერის თვალი ახალშემოსულს მიუბრუნდება:

— სხვა გზა არ არის, რომ არ გაგვყიდო, შენც მონაწილეობა უნდა მიიღო!

— რაში? — ამოიგმინებს ბრინჯივით დაბნეული საბახტარაშვილი.

— რაში და კვლაში.

— კი, მაგრამ მკვდარი ხომ არის? — გაოცებას ვერ მალავს ახმახი.

— ეგ თავისთვის და ჩვენთვისაა მკვდარი, მაგრამ შენთვის არა, შენ შენი წილი უნდა შეიტანო.

— რა გავაკეთო? — ამბობს მიკნავებულის ხმით.

— ჰმ, რა! მოიტანეთ ლეზვია.

აწვდიან წინასწარ მომზადებულს.

— დაბრედვა ხომ შენი პროფესიაა, გამომართვი ეგ, თამამად, თამამად! წადი ახლა ცხედართან და მოაჭერი ცოტა ყური!

— მიცვალებულის სიკვდილივით მეშინია, ახლოსაც ვერ ვეკარები, — თვალებს აცეცებს მშველელის საპოვნელად, მაგრამ საკნის ბიჭობა ღობესავით შემოჯარვია. საკუთარი ნებით საბახტარაშვილი ამის ჩამდენი არ არის, არცა აქვს საამისო ღონე. მაშინ ამოუდგებიან იღლიაში ფარული სიცილით მისავათებულნი და წაათრევენ ცხედართან. დაუჭერენ სამარ-

თებლიან ხელს და ძალად მიატანინებენ დაბრედილის ყურთან.

საბახტარაშვილი იგრიხება, იჯღანება, თავის დაღწევას ლამობს, ამ ჯოჯოხეთისგან. უცებ მკვდრის მარჯვენა ქუთუთოსგან ოქროსფერი შაურიანი გადასრიალდება, ჯერ ცალ თვალ აახელს მიცვალებული, მერე მეორე ხუთკაპიკიანი მოწყდება განკუთვნილ ადგილს. ახლა ის ქუთუთოც ახამხამდება, ნელ-ნელა იწევა მთელი კორპუსით, ხოლო დაკრეფილი ერთი ხელი წამოვა საბახტარაშვილის სახისკენ მისაცაცუნებლად და ქვეყნიერების ამკლები ობჩელიც უცებ გათავდება, მოწყვეტით წაიქცევა *იატაკზე, ყბა მოეღრიცება, ხროტინს ამოუშვებს. ხელისგულისოდენა კარ*მუშკასთან ერთი ჭყლეტაა, ზედამხედველობა სიცილით კვდება, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდით, მაგრამ საბახტარაშვილის საქმეა ცუდად, სამი წუთია ულაწუნებენ, წყალს ასხურებენ, ნემსს ჩხვლეტენ. გაგონილა, ჩამიჩუმიც არ არის.

— ექიმი, ექიმი! — ყვირიან ბიჭები.

შემორბის ხანდაზმული ქალი. ანგლობის გამო საკნელებს უცაცხანებს. მიაყრიან ნემსებს. რამდენიმე წუთში თვალებს აახელს საბაია. ხელად იმ ბიჭს მიჰვვრიან, ხუმრობა იყოო, უხსნიან. ხელით სინჯავს მიცვალებულის საღ-სალამათობას.

— სისხლი საიდან მოიტანეთ? — იჭვნეულობს კვლავაც.

გაარკვევენ ყველაფერში.

ორ დღეში მოკეთდება. კაცი უბედურია. მოგვიანებით ახალი პატიმარს რომ შემოიყვანენ, საბახტარაშვილი ყელგამოწეული შეეხვეწება ოდიშელიას, იმასაც გაუკეთეთ შუტკაო, მაგრამ ყოველთვის როდი არის ხუმრობის ხასიათი.

როკი ფიქრებიდან გამოერკვა. სალონი სიგარეტის კვამლისგან გაწმენდილა. ნისლიც ოდნავ გაკრეფილა, სამაგიეროდ ილორელები პირველკლასელებივით გასუსულან. წინ კიდევ საათნახევრის გზაა.

უკანა რიგში ჩოჩქოლი შეიქმნა, ერთ-ერთ ქალბატონს ნერვებმა უმტყუნა, წნევა ჰქონია საცოდავს, გული შეღონებოდა და სტიუარდესა ექიმით დასდგომოდა თავზე. ლაინერი გაჟღენთილია ვალერიანას წვეთების სურნელით.

ოდიშელიამ წამხდარ ბიჭებს გადაულაპარაკებს:

— კატასტროფის პირველი ნიშნები გამოჩნდა.

ახლა მთლად მხრებში ჩაძვრნენ ილორელები.

როკი ამიერიდან ექსპერიმენტული ზონის კარანტინის გამგებლობაშია. აქაურობა განთქმულია თავისი ჯურღმულებით. ომიანობის წლებში დიდი ჟამიანობა დატრიალებულა. მკვდრების დამარხვას ვერ აუდიოდნენ. შიმშილით მისავათებულ ხალხს ჭირიც დარევს ხელს. ლუდოედებიც იმ პერიოდში გამოიჩეკებიან. სანამ მიც-

ვალებულს საკნიდან გაიტანდნენ რბილ და ქორფა ადგილებს აათლიდნენ თურმე და ისე მომაგრდნენ წელში, კისერს ვერ აბრუნებდნენ. ყოფილა შემთხვევა: ჯერ კიდევ ცოცხალს თვალები დაუხელია უნებლიე კოსმეტიკური ოპერაციისგან. ვეღარაფერს უშველია სენის მძვინვარებასათვის, სანამ თავისით არ ჩამცხრალა. იქიდან მოყოლებული ადგილობრივი ხელმძღვანელობა დაშინებულია, რადგანაც ინფექციურ ავადმყოფობას მაშინ პატიმრებთან ერთად დაბის მშვიდობიანი მოსახლეობის ლამის მესამედი შეუწირია.

გაივლი ჭიშკარს, შლაგბაუმს და ეგრეთვე კარანტინის ბარაკში გამოგკეტავენ. აქ კვირაზე მეტ ხანს მიდის შენი დამუშავება. ადრე კარანტინი პატიმრის სიჯანმრთელის დადგენის ფუნქციით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მოვა სტეპანცევი და გამომგონებელი დამყაყებულ დაწესებულებას ახალ სულს შთაბერავს. ნაბიჯ-ნაბიჯ გამოიკვლევენ შენს პიროვნებას, რითი სუნთქავდი აქამდე, ვინ იყავი, რა მიდრეკილებები გახასიათებს, რა შესაძლებლობის ხარ, რისი ატანა შეგიძლია. მოკლედ, ბოლომდე შეივსება, დადგინდება შენი ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიური ანკეტა და ცხადია, ქურდი თუ არ ხარ, ახალ ტანსაცმელს მოგცემენ და ზონაში გადაგიყვანენ.

მოსტუმრებულია სისხლის, შარდისა და განავალის ანალიზები. ახლა ჯერი სხეულებრივი და სულიერი განზომილებების გამოცდისაა. როგორც ვახსენეთ, ქურდს აქ არ დაედგომება, ქურდი სასაცილოდ არ ჰყოფნით. თუ მაინცდამაინც მოვიდა, პირდაპირ ბურში მიჰყავთ, იქიდან — კრიტში, დაკეტილში, ამიტომაც საქმეს ქურდული მუჟიკები ჩარხავენ. ან რომელი ჭკუათმყოფელი მობედავს აქეთკენ, ზედამხედველები სამკლავურებით დააბოტებენ, ტანბრგენი, კაცისმკვლელები.

მორიგეობით მიდის ბურავიკებში ქოთი, ამას გადავლას ეძახიან პატიმრებიცა და უფროსობაც. ჰოდა, ამისთანა საზოგადოებაში შემსვლელი, ბუნებრივია, დაწვრილებით უნდა გამოიკვლიონ, რათა საათივით აწყობილი ცხოვრება არ აერ-დაერიოთ.

შეიყვანენ საგამომცდელო ოთახში ოდიშელიას ათიოდე პატიმართან ერთად.

ადამიანის ხასიათისა და მიდრეკილებების ამოცნობა ნახევარ საათს მაინც გასტანს. ამ ხნის მანძილზე უჭმელი აგდიხარ მერხზე. გაჩხრეკენ ერთ წყვილს, შეაგდებენ შხაპქვეშ, გამოაწყობენ ახლებში და მილენკი თუა ზონაში განაწესებენ, მაგრამ ბუნებით მეამბოხეს ბურავიკების იზოლატორში უკრავენ თავს და თუ იმანაც ვერ მოღუნა, ჩვენთვის ცნობილი კარცერიც ხომ იქვეა?!

ექვსი საათის ლოდინის შემდეგ უხმობენ ოდიშელიას და ჩია ტანის ჩუქჩას. ეს უკანასკნელი ოლქიდანაა. ლოსის მოკვლისთვის იხდის სასჯელს.

ოთახი განიერია და ნათელი. ორმაგი ფანჯრის მინები ამოგლესილია საგოზავით. წაგრძელებულ მაგიდას თხუთმეტამდე გამომცდელი უზის. ქალი ერთადერთია მათ შორის. ეს ზონის ექიმია, ჭორფლიანი სახითა და მუწუკებიანი ნიკაპით. ჯერ ტანზე გაგხდიან პირწმინდად. ოთახის ტემპერატურა ოცდახუთ გრადუსამდეა, მაგრამ კოლხისთვის, ქართველისთვის საზოგადოების წინაშე დედიშობილა ყოფნა არ არის იოლი საქმე, მითუფრო ლუპებით რომ გაკვირდებიან სხეულზე. ყურები წამოგითარანდება. ეხუმრები ტიტლიკანა მილეთ ხალხში გამოჭენებას?!

ჩუქჩა პირველსავე ბრძანებაზე სწრაფად გაიხდის ტანზე და უმტკივნეულოდ გამოაჩენს ჩხირივით აღნაგობას. ნეკნები დაეთვლება, ბალანი მარტო სარცხვენელთან მოუფრქვევია განგებას, ხოლო ასო გარმონივით დანაოჭებია.

ოდიშელიაც მიბაძავს წყვილეულს, დათბუნებულ ნიფხავსაც გაიძრობს, მაგრამ მუხლებამდე ჩამოფართხუნებულ ტრუსს ვეღარაფრით ელევა.

ჯერ ოპერის ხელში უნდა გაიარო. სვირინგი თუ არა გაქვს, ამ პროცედურას მალე მორჩები და წინ წაიწევი, მაგრამ როკის სამ ადგილას ამოუტვიფრავს სხეული უფალს სამეთვალყურეოდ სამოთხეში აყვანისას.

პირველი სვირინგი ყველაზე მომცროა, მარცხენა ხელზე, ნეკსა და სალოკს შუა, ორი ფანჯი, იგივე დუ ბეში. დააფიქსირებს ამას ოპერი და გარშემოუვლის პატიმრის სტატუეტს. მეორე მარჯვენა მხარზე, შედარებით მოზრდილი — „ნე ზაბუდუ ბრატა გივი“.* აღნიშნავს ამასაც საქმეში. მოგვიანებით ღვიძლის არეში, ნემსითა და ქიმიური ფანქრით ამოწიკწიკებული ხელისგულის სიფართის კიბორჩხალას დაუტრიალდება. ჩხოუშიასთვის დამახასიათებელი კიბოია დიდი ოსტატობით შეუსრულებია თვითნასწავლ მხატვარს. უზუსტესად, ლამის ნატურალისტურადაა გადმოტანილი საცეცები, კიდურები, მძლავრი ყბები. ჩაინიშნავს ამასაც და ახლა ჩამოშვლიპინებულ ტრუსზე მიაჩერდება.

— აქ არაფერია საეჭვო! — დაანუგეშებს როკი, მაგრამ ოპერს საქმე ბოლომდე არ მიუყვანია ჯერეთ. ამის გამო სტეპანცევი მთელი თვის პრემიას დაუქვითავს და ამისთანა დანაკარგი როგორ იქნება?! ვერც ძალის დატანებას ბედავს, რადგანაც გაგონილი აქვს ბადრაგის ამბები, სამი დღის წინ ზონაში ქურდად შემოსულ ზატოჩნიკთან ერთად ესღა დარჩა ფეხზე კაცისსიმაღლეზე აკაკანებული ავტომატების ტყვიების წივილში. კუდში მისდევს ლიუდმილა ევგენიევნასკენ მეზღვაურული ნაბიჯებით მიმავალს. ამ ქალის დათვალიერებას ვეღარაფრით გადაურჩება. წინიდანაც შეხედავს იგი და უკნიდანაც. აქ დროს იხელთებს და საქმეც მოუკვარახჭინდება.

ლიუდმილა ევგენიევნას მაგიდაზე მაშუქი უნთია. ყელზე ფონენდოსკოპი ჩამოუკიდია. მარჯვენა ხელში რეზინის მილი უჭირავს. ეს იმისთანა შემთხვევისათვის — ვინმეს ადრეკილი თუ აურიკინდა. ჩამოჰკრავს მსწრაფლ და პატრონს მერმე მთელი კვირა თავს არ შეახსენებს ფალოსური ავლა-დიდება. ოპერი ლიუდმილა ევგენიევნას ამოფარებია. ეს პოზა ყველაზე მომგებიანია მისთვის. აქ გამობრწყინდება პატიმრის ავი და კარგი. კალმისტარი და რვეული მოუმარჯვებია. ობიექტივიდან გამოსაფრენი ჩიტის მობოჭვის მოლოდინშია. ჩაწევინებს საცვალს ქალი როკის, მიუნათებს მაშუქს და ასოს გვირგვინს იმ რეზინის მილით ატრიალებს, ამოწმებს, ბურთულები ან ძუა ხომ არ დაუტანებია ჩუჩაზე. ამისთანებს ქალების ზეაღსაგზნებად მიმართავს ზოგი.

— კარონა ბეზ ცარაპენკი!* რამდენი წლისაა? — შეეკითხება ოპერს.

ისიც სულსწრაფად ფურცლავს დავთარს, ცალი თვალი ტრუსისკენ უჭირავს, არიქა, არ გამექცეს საჭირო პოზაო. სულმოუთქმელად პასუხობს:

— ოცდაათის.

— რედკოსტ. ჩელოვეკ ნე ზანიმაიუშჩი ანანიზმომ.* ვენერიული ავადმყოფობა ხომ არ გჭირდა, ან ახლა ხომ არ შეგყრია ეტაპში? ჩვენი ზონა საქართველო, უფლაგი ან ნოვოტროიცკი არ გეგონოს. სულ სტერილური ხალხი გვყავს, იცოდე.

შეტრიალება უნდა ოდიშელიასი, მაგრამ პატიმარი დაუცაცხანებს ზურგსუკან ატუზულს. ოპერი მიჩოჩდება სამიოდე ნაბიჯით ფანჯრისკენ, თითისწვერებზე შემდგარი ცდილობს ბოლომდე მიიყვანოს საქმე, დაბეჯითებით დააფიქსიროს სვირინგის არყოფნა, მაგრამ თავსზემოთ ძალა აღარ არის, ხელს ჩაიქნევს.

— ამდენი ბალანი საიდან მოაქვთ ამ ზვერებს?! — თავისთავს ეკითხება ლიუდმილა ევგენიევნა და თაბახის ფურცელზე რაღაცას ინიშნავს ლათინური ასოებით.

როკი გულხელდაკრეფილი უცდის როდის განამწესებს ძვალკანა ქალი სხვა გამომცდელისკენ.

ოპერი უკვე ზონის მოცქნაფულ უფროსის წინაშე წარმსდგარა. მაიორი სტეპანცევი ართმევს ფურცლებს და სქელ საქმეში ურთავს.

ახლა ლიუდმილა ევგენიევნა წინ მიუძღვის ოდიშელიას მთავარი განსაცდელისკენ. ქალს განსაკუთრებული სიმპათიები გასჩენია მისჯილის მიმართ, მაგრამ ეს შინაგანი ძაფებია, გარეგნულად ჩრდილოეთის ყინულის ხერგილივით გახდომია სახე.

წაგრძელებულ მაგიდასთან, რომლის შუაგულში მაიორი სტე-

პანცევი მოკალათებულა და გვერდით ადმინისტრაციის თორმეტიოდე თანამშრომელი მოჯდომია, ჩაის მიირთმევენ შესვენების გამოუცხადებლად მომუშავე კომისიის წევრები. კარაქწასმულ პურზე ზუთხის ხიზილალა წაუსვამთ თითის სისქეზე და მადიანად ილუკმებიან.

— ოდიშელიას ვახლავარ! — ცინიკურია მისი გამოხედვა ორმაგი სათვალიდან, — ჩვენ ასეთ მზრუნველობას ვიჩენთ თქვენთვის, წელებზე ფეხს ვიდგამთ, თავზე გევლებით და თქვენი მზიური რესპუბლიკიდან ნახერხს გვიგზავნიან ჩაის ნაცვლად.

— მუჭინა ტო ჩტო ნადა! — ამბობს ლიუდმილა ევგენიევნა, — არც ონანიზმს მისდევს, არც ქალებს ეკარება მის სიტყვებს თუ დაეჯერება და აღარც — გრეხენებს.

— ესეიგი ენერგიითაა სავსე, არ იცის სად გახარჯოს და წვრილშვილიან, საწყალ ბატულინს სამსახური დააკარგვინა. აქ თერძობა არ დამიწყო, ჭირიმე! პირი ნემსითა და ძაფით ამოიკერო კი არა, რომც ამოირჩილო, გულს ვერავის აუჩვილებ. ნალბანდობასაც დაემშვიდობე, ძმობილო! ფეხების დაჭედებით გინდოდა ფონს გასვლა?! ქრისტე ერთი მოგვევლინა ზეციდან, ისიც ოთხი ლურსმნით და არა — ორით. ჩვენთან ჩრდილოეთია, სიკვდილივით ლილისფერი. დაგვჭირდა? გავაქციეთ საიდანაც მობრძანდა. ჭკვიანად თუ არ იქნები, გამოგიბერტყავთ ჭარბ ენერგიას! დუ ბეში როდის ამოისვირინგე, თამაშობდი?

— ბავშვობისდროინდელი ცოდვაა, შულერობა მოდაში იყო იმ დროს, დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

— გასაგებია, მაგრამ მეგობარი როგორ ამჯობინე დედას ან სამშობლოს?!

— ეგ როდის? — გაიკვირვებს ოდიშელია.

— მარჯვენა მხარს რომ იმშვენებდი მაშინ. ზონაში ოთხი გვყავს შენებური. „ნე ზაბუდუ მატ რადნუიუ“, აწერია ერთს მარცხენა მკლავზე, „ნე ზაბუდუ მატუშკუ როდინუ“* — მეორეს მკერდის არეში. რომელია, კნიაზი თუ შრამიანი?

— ააა, — მიხვდა როკი, — გივი ჩემი უფროსი ძმაა.

— ძმა მისაღებია. შენებურები რომ გიხსენე, არ გეგონოს მათთან მასლაათით გულს გაჯერებინებ. ოთხიათასი კაცი მაბარია ჭირიმე და ხუთი ზვერის დაკენტება გამიძნელდება?! — მაიორ სტეპანცევი ისევ ჩაკბეჩს პურ-ხიზილალას. — შულერების პატივისცემა მესმის, ძმის თაყვანისცემაც გასაგებია, მაგრამ ამხელა კიბორჩხალა რომ მიგითხანია, რაღაცაშია საქმე. თქვენთან ჭამენ კიბორჩხალას?

— როგორ არა, გამოაცლიან კუდს, ნაწლავიც გაჰყვება თან, მოხარშავენ და ისე. ეს კიბორჩხალა კი იშვიათი ეგზემპლარი იყო, — ღვიძლზე მიიდებს ხელს ოდიშელია, — თავისიანებს ასჯერ აღემატე-

ბოდა ზომით. სახეობით იგივე გახლდათ, რაც დანარჩენები, მაგრამ ასეთი განსხვავების მიზეზები ვერაფრით დაადგინეს მეცნიერებმა.

— და შენც პატივისცემის ნიშნად ეგრევე მიიტყეპე, არა?! გასაგებია, გასაგები, კიდევ კარგი დინოზავრებს არ გადაყრიხარ, თორემ შენი სხეულიდან ფრჩხილისოდენა თეთრი ლუპით საძებარი გაუხდებოდა ლიუდმილა ევგენიევნას, უკაცრავად პასუხია, მოროჟკოს. საქმე იმხელა დაგიგროვებია რომანის მასალად გამოდგება. გავეცანი მე შენს ცხოვრებას ძირფესვიანად. ვიცი, რომ კამერაში შესვლისთანავე ისეთს მოიმოქმედებ, ხელად მიიქცევ ადგილობრივთა ყურადღებას. დასწრება შენი კოზირია. მუშტიც გიჭრის, როგორც გახასიათებენ და გონებაც. ვნახოთ. — სტეპანცევი ასანთის კოლოფს დააძრობს, გამოსწევს და ღერებს იატაკზე დაყრის, მერე ცარიელს მიაწოდებს და სასხვათაშორისოდ ეტყვის:

—აკრიფე, ისევ ჩაალაგე და მომართვი!

როკი მშვენივრად ხვდება რასაც ნიშნავს ყოველივე. შენი წელში მოღუნვა, გატეხვა სწადია. გამოსავალს ეძებს მისი გონება, ფიქრობს — იპოვა.

— მადლობთ, ასანთს არ ვხმარობ, მე სანთებელათი ვუკიდებ სიგარეტს, — ამბობს და ტრუსების ამარა წაიღებს ჯიბისკენ ხელს. ისე ოსტატურად გამოუვა, რომ სიცილისაგან თავს ვერ შეიკავებენ, იჭაჭება სტეპანცევიც.

— კარგი, ამისი ამკრეფი შემოვა, — მაიორი ქალივით ლამაზ ოფიცერს შეხედავს. ისიც თითქოს მიუხვდაო უფროსს, წამოდგება, თითიდან მოიძრობს ბეჭედს და წკარუნით მოისვრის ბეტონის იატაკზე.

იცის ოდიშელიამ ესეც ძუძუმწოვრული ილეთია შენს დასამდაბლებლად.

— როცა გათხოვებას დააპირებ, მაშინ დაგნიშნავ მაგ ბეჭდით, — დაეჯღანება ადრინდელი საქციელით ოდნავ შეთამამებული როკი, მაგრამ მყისვე მიხვდება, რომ ენამან მისმან უმტრო მას.

— ვის ეხუმრები, შე ველურო? — გაცეცხლდება ოფიცერი, რომელიც ოპერის მოადგილე ყოფილა. სკამს გამოსწევს და თავხედი პატიმრის ჭკუაზე მოყვანა უნდა.

ოდიშელია გრძნობს ცუდი ხუმრობა გამოუვიდა, რამენაირად ტანსაცმლის მორგებას მოახერხებდეს, იცხონებს სულს. მერე მოსდგნენ და ჯიჯგნონ რამდენიც ნებავთ. მიჩვეულია ამისთანებს. სკამზე დადებული სამოსელისკენ შეტრიალებულს ხუთიოდე ნაბიჯიც არ გადაედგამს, რომ მოაფრინდება უკნიდან გამხეცებული ლეიტენანტი. ცალი ხელით შემოატრიალებს, მეორე ყბაში მოსადებად გაუქანებს,

მაგრამ როკი ოსტატურად აიცდენს. წელში შეუვარდება თავდაღუნული. ხელებით აიტაცებს ჰაერში. ამჩნევს სამკერდე ნიშანს მოკრივის ხელთამანებით.

„აქაური დონის ოსტატი ყოფილაო“, გაუელვებს თავში, კომისიის მაგიდისკენ მიისწრაფვის. გაფხორილ მამლაყინწას გონზე მოსვლა ვერ მოუსწრია, ისე შეასრიალებს ადმინისტრაციის ჩაის ტრაპეზზე. მოპრიალებულ მაგიდაზე გადაფარებული სუფრას თან გაიყოლებს ოპერის მოადგილე, თითქოს უჩინარი ესკალატორი მიანარნარებსო, მჯდომარე პოზაში ჩაუქროლებს კოლეგებს, ლიუდმილა ევგენიევნას, გზადაგზა გაიტაცა უკვე შესწავლილ საქმეებს, გაუსწორდება სტეპანცევს, წარიტაცებს დაწუნებულ ჩაის ლამბაქ-ფინჯნიანად, ისე რომ კარაქ-ხიზილალიანი პურიღა შერჩება ზონის უფროსს ხელში. ჩაუქროლებს ოფიცრის სხეული წვრილფეხობას და კედელს ისე მიაწვება ზურგით, იმდენი ქაღალდი და ჭურჭლეულობა წაუხვეტავს, რომ წამოწვეს, ყურთბალიში მოსაძიებელი არ ექნება.

ოდიშელია სწრაფად ჩაიცვამს. ამასობაში მიაჭერენ ღილაკს და ოცამდე ტანბრგე, ველურსიფათიანი მცველი შემოვარდება. ტიტლიკანა ჩუქჩა მოიბუზება, მხრებში ჩაიკარგება. ძლივს გონზემოსული ლეიტენანტი მაგიდის თავში ზის ფაშასავით და ენის ბლუკუნით ამას იძახის:

— ვიზე აღმართე ხელი? ვის ეშუტკები? მოგკლავთ, ჩამოგწერთ!

როკიმ იცის, რომ უკვე ზღვაში შეცურდა და აქედან გამოღწევა არც ისე იოლი საქმეა, ამიტომაც სრულიად დინჯად, დამშვიდებით პასუხობს:

— საქმით დაამტკიცე!

— სანამ ბოდიშს არ მოიხდის, ნარუჩნიკებითმ კარზე ჩამოვკიდოთ! — ამბობს ფეხზე დამდგარი და სტეპანცევს უმზერს დასტურისათვის.

მაიორი ჩაამთავრებს მადიანი ლუკმას და ღიმილით დაუქნევს თავს.

ოდიშელიას მოარგებენ ბრასლეტებს მაჯებზე, ერთი ფეხს ჩამოჰკრავს იმ ხელბორკილს ღონივრად და კინაღამ ძვლებს გადაუმსხვრევს.

— პრაგულკის კარზე? — იკითხავს დამსჯელთა ბრიგადის უფროსი.

— არაფერიც, გმირად ხომ არ გადავაქცევთ?! — ამბობს და გაქონილ ტუჩებს ხელით მოიწმენდს, — აქვე, აქვე! ამისთანებისთვის საჯარო დასჯა ამაღლებაა. ზონაში უცებ გაუვარდება სახელი და ფადიშაჰივით დაჯდება მერე. ვერ მოართვეს!

ჩამოჰკიდებენ კარზე როკის. თვალებიდან ცრემლი წამოუცვივ-

დება უნებურად. უნდა იყვიროს, მაგრამ ამდენი ტანჯვაგამოვლილისთვის მეტი დამცირება იქნება?

„მიშველე, კაბადოკიელო ძმადნაფიცო! შენზე უკეთ რომელს მოეხსენება სხეულის ადამიანური ტკივილებისა?! უფლის რწმენამ გიშველა შენ, იმ რწმენამ, რომელიც შენში იყო, და სხვა არანაირი შემწეობა ციდან. ეს უკვე ორჯერ-ორივით დადასტურებულია. შენ ხომ შენი მოწამეობით უკვდავების გვირგვინი დაიდგი თავზე?! მასწავლე სხეულის დაურვების საიდუმლო, ამას გთხოვ, მეტს არაფერს. არ დამცალდა ჟინი ანთართან მეცადინეობა, თორემ იმისგანაც ბევრს შევიტყობდი. აკი, მითხრა ერთხელ, ადამიანი თუ მოინდომებს ცეცხლშიც გაივლის და წყალზეც ქრისტესავითო. შენ იმ წამებამდეც ბრწყინავდი სრული ძალმოსილებით. მახსოვს ლასია ერქვა ქალაქს, რომელსაც უკეთური კერპთმსახური სელინოსი მართავდა. ქალაქის სიახლოვეს უხვწყლიანი ტბა იყო, რომელიც მნახველს ზღვა ეგონებოდა. სწორედ ამ ტბაში დაიბუდა გულბოროტმა გველეშაპმა. ყოველდღე ამოათრევდა წყლიდან თავის ქერეჭიან სხეულს და მუსრს ავლებდა მოსახლეობას. ბევრი გულფიცხელი მეომარი შეიწირა იმ ურჩხულთან შერკინებამ. ბოლოს შეიკრიბნენ მოქალაქენი და ასეთნაირად შესჩივლეს მეფეს.

ჩვენი ქალაქი, მეფეო, ჩინებულ ალაგასაა გაშენებული, მაგრამ უწყლობით ვიხოცებით, შენ კი საამისოდ არაფერს მოიმოქმედებ სხვა ხელმწიფეთაგან განსხვავებითო. მაშინ გულნატკენმა და ერთიანად შეშინებულმა სელინოსმა მიუგო მათ:

დაწერეთ ხელწერილი და მიეცით თქვენი შვილები შესაწირავად, და როდესაც ყველა ოჯახიდან გავა თითო მსხვერპლი, ჩემს მხოლოდშობილ ასულსაც ჩავაბარებ იმ ურჯულოს, ოღონდ ქალაქიდან ნუ გაიქცევითო.

მოიწონეს მეფის ნათქვამი და დაიწყეს საკუთარი ნებით შვილების დაზვარაკება, და როდესაც მოაწია მეფის ასულის რიგმა, შეამოსვინა სელინოსმა ქალწული სადედოფლოდ, თანაც ეუბნება:

ვაიმე როგორ ქორწილში გაგზავნი სასურველოო.

მერე გონებაარეულმა ხალხს მიმართა ბოლო ნუგეშით:

მიიღეთ ყველაფერი, რაც მაბადია, ოქრო, ვერცხლი, სამეფო ჩემი, ოღონდ გაანთავისუფლეთ ჩემი ასულიო.

მაგრამ ბრძანება მეფისგან მოდიოდა და საკუთარი სიტყვის გადასვლას ვინ გაბატიებს, ღმერთი თუ ადამიანი?!

კაბადოკიელო, ძმობილო, უფალმა შენ იქ განგიმზადა პირველი გმირობის ასპარეზი.

რამდენადაც მახსოვს, დეოკლეტიანე მეფემ დაითხოვა ჯარი და შენც ლაზეთიდან გადახვეწილი მშობლებისკენ მიეშურებოდი, და

სწორედ მაცხოვრის განგებით იმ ალაგას მიაღწიე, რომლის ნაპირამდე ლასიას მკვიდრთ შვილები სამსხვერპლოდ მიჰყავდათ და ურჩხულის მადის დასაკმაყოფილებლად სტოვებდნენ.

მშვენიერი ტბის დანახვამ ნამგზავრი თეთრონის დამწყურვალება მოგაფიქრა, და იქ იხილე დიახაც ციური სათნოება, ულმობელი ბედის გამო ცრემლით ღაწვებგახაზული ასული და ჰკითხე გაოცებულმან:

რატომ სტირი ასე გულსაკლავად, ან რისთვის ზიხარ ასეთ უკაცრიელ ალაგასო.

ქალმა თავი აიღირა და ათრთოლებული ხმით გითხრა:

გხედავ, ბატონო, ჩემო, სახიერს და გულოვანს, საიდან გაჩნდი აქ სასიკვდილოდ? წადი, სწრაფად მოშორდი აქაურობასო.

შენ გულმა არ მოგითმინა და ჩაეძიე:

ვინ ხარ შენ, ან ვინ არიან შორიდან მაცქერალნი, ასე რომ გაუმეტებიხართო.

ასული კვლავ გეხვეწებოდა:

ჩემი ამბავი გრძელია, საამისო ჟამი ამოწურულა, გაიქეცი სანამ დრო არის, რათა შენც არ აღესრულო მწარე სიკვდილითო.

მაინც შენსას არ იშლიდი.

ნურაფერს დამიმალავ და მეც შენთან ერთად მოვკვდებიო, უმტკიცებდი წრფელად და როდესაც დაწვრილებით მოისმინე ლასიელების გასაჭირი, წელში ამაყად გაიმართე, თითქოს გალაღდი, რადგანაც სწრაფად გაიაზრე გადასალახი წინააღმდეგობა და ასეთნაირად მიუგე ასულს:

ამიერიდან ნურაფრის გეშინია ქალწულო, ოღონდ ისიც მითხარი, რომელ ღმერთს ემსახურებიან მამაშენი და მისი სამწყსოო.

დასამალი რა ჰქონდა ქალიშვილს და ყოველივე წვრილად გაგიმხილა.

ღმერთს კი არა, ღმერთებს, ბატონო, ჩემო, ჰერაკლეს, აპოლონს, ქალღმერთ არტემიდას და კიდევ მრავალსო.

აქ კი მიხვდა თქვენი ბრწყინვალება, რომ უფრო დიდი ურჩხული ნთქავდა თურმე მათ სიყრმითგანვე და არაფერიაო დაანუგეშე კვლავაც. მერე მიაპყარი თვალები ზეცას და შეწევნისათვის აღავლინე ვედრება უზენაესის მისამართით, რათა მერამდენედ სასწაული მოევლინა მას ადამიანთა გულში რწმენის განსამტკიცებლად და ხმა შემოგესმა ზეციდან:

გიორგი, შესმენილია შენი ვედრება, მოიმოქმედე რაც გენებოს, რადგან მე შენთან ვარო. ეს იყო და უეცრად შეირხა ლელიანი, ხელმწიფის ასული კიოდა:

გაიქეცი, გაიქეცი ბატონო! აგერ, გამოჩნდა წყეული გველეშაპიო.

ხოლო შენ მის შესახვედრად წარემართე, პირჯვარი გარდასახე ურჩხულს და ისევ შეეგედრე უფალს:

ღმერთო, დიდებულო, გადააქციე ეს მხეცი ჩემს მორჩილადო, და როგორც კი ვედრება დაასრულე, კაბადოკიელო ძმაო, ბოროტი ძალა შენს ფერხთით გაწვა. შემდგომ ამისა სარტყელი მოახსნევინე ქალწულს, შეჰკარი მისით ქვეყნის მაოხრებელი გველეშაპი, და როდესაც ლასიის მთელი მოსახლეობა შემოჯარდა შენს გარშემო, და როდესაც ისმინეს ვისი შემწეობით მომხდარიყო საკვირველება, იწამა ყველამ სამების ძლევამოსილება.

მაშინ იშიშვლე ხმალი და წაასხიპე თავი იმ მოთვინიერებულ ურჩხულს.

ღვთიური ძალები გმფარველობდნენ შენ, კაბადოკიელო ძმაო, მაგრამ მე, შენს მოიმედეს, მქონდეს კი რწმენა ტანჯვის გაქარწყლებისა?“

ტკივილზე ტკივილი დაემატება როკის, რადგანაც ახლა ის პირტიტველი ოფიცერი ფეხებზე ჩამოეკიდება, თითქოს საკუთარი სიმძიმე იოლი ასატანი იყოს დანასავით ბასრპირიანი ხელბორკილებს გამობმული ოდიშელიას სხეულისთვის.

— მოუბოდიშე უფროსს! — ამბობს ლეიტენანტი, ვიდრე სტეპანცევი კარზეჩამოკიდებულს მიუახლოვდება.

— ჟანგი არ ეკარება ქართველს! დილამდეც რომ ვეკიდო გავძლებ! — მოსჭრის როკი და თვალებიდან უნებლიეთ ცრემლი გადმოუცვივდება.

ამასობაში ორი სხეულის სიმძიმეს ვეღარ გაუძლებს კარის ანჯამა და ტყრზიალით ჩამოწვება ოთხ თითზე, თუმცა როკისთვის ვერანაირი ნუგეში მოაქვს, ეგ არის მხოლოდ რამდენადმე მინელდება კარის მიმორწევა.

სტეპანცევი გაცქვირინებული თვალებით ახედავს დაბლიდან სამაჯურებით ჩამოკონწიალებულს და ოდიშელიაც არ გაუშვებს მომენტი ხელიდან, ეგრევე მიაფურთხებს სიფათში.

— ჩამოხსენით! ფოლადისგანაა ეს შობელძაღლი?! ჩააცვით სმერიტელნი რუბაშკა,* — გამოსცრის კბილებში სტეპანცევი, კოჭებში წიხლს მიუხათქუნებს, ნაფურთხს ხელით მოიწმენდს კვლავაც, როგორც ცხიმს ტუჩებისგან, — ბევრმა ააქოთა აქაურობა მისი მარწუხებისგან.

კრივის ხელთათმანივით თავღია თვინიერების პერანგს მოარგებენ ტანზე როკის. როცა ხელბორკილს ხსნიან ყრუდ ამოიგმინებს ისევ. ახალი სატანჯველი ვაისგან თავდაღწეულის უისთან მისვლის ბადალი გამოდგება.

ვინ იცის, კიდევ საითკენ გაიტაცებდა ფიქრი ოდიშელიას ნაგვემ სხე-

ულს, მაგრამ ფარდებიდან სტიუარდესა გამოვიდა და მოღიმარი სახით განაცხადა:

— მოქალაქე-მგზავრებო, შეიკარით ქამრები, ვიწყებთ დაშვებას...

თვითმფრინავი მშვიდობიანად შეეხო დრანდის აეროპორტის ბეტონის სარბენ ბილიკს. სულშეგუბებულმა ილორელებმა საბურველივით ამოიქშინეს. ერთხანობას ამაოდ ეჯაჯგურნენ ქამრების მოხსნას, ბოლოს როგორღაც გაართვეს თავი.

როკიმ პალტო ჩაიცვა, დაწვდა დიპლომატს და ვიდრე ტრაპით დაეშვებოდა მშობლიურ მიწაზე, ახლა უკვე სრული სერიოზულობით უთხრა მეთხილე-მელიმონეებს:

— ძმებო, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა: წყალში პირველად თუ შედიხართ, უცებ ნუ შეტოპავთ ღრმა ადგილებისკენ, ჯერ ნაპირთან იჭყუმპალავეთ, სადაც ფეხქვეშ მიწა გეგულებათ. ყველაფერი სწავლებიდან მოდის და როცა სხვათა ინტერესებიც გათვალისწინებულია, თქვენი თვითმფრინავიც არასდროს გამოუშვებს სალონში დაღუპვის მაუწყებელ ყალბ კვამლს ხოლმე.

წუთისოფელი პარადოქსებითაა სავსე. ბუნებისგან განსხვავებით მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი გლობალური აფეთქებანი. ხანდახან ფარასავით მობრუნდება საწუთროს მიდრეკილებანი და კოჭლი ცხვარი სათავეში მოექცევა ვაგლახ.

ბუნება უჭკვიანესია საზოგადოებისგან გამორჩევით. ფუტკრის ნესტრით წვეთ-წვეთობით აკოწიწებს ფერებს, ფორმებს, სპირალის უსასრულო რგოლებით მიიგრაგნება უმარტივესიდან ურთულესისკენ, პრიმიტიულიდან სრულყოფილისკენ. ოფლსაც არ მოიდენს წამით, არსად აუჩქარებს ფეხს, არჩეულ გზას ნება-ნება მიუყვება, თითქოს ულმობელი დრო-ჟამისთვის პირში აღვირი ამოუდვია და საკუთარი გუნება-განწყობილებით მიაპროწიალებს საით, როგორ და რანაირად მოეპრიანებაო, და გასაოცარი უფრო ის არის, რომ ამ გრანდიოზული პროცესის უბადლო ნაყოფს, რომელსაც ბუნების გვირგვინსაც ვეძახით ხატოვნად, იგივე ადამიანს, ნემსის წვერით ასაწონი ჭკუაც არ უფაჩუნებს თავში შემოქმედებითად აიტაცოს სრულიად შეუნიღმავად, მზამზარეულად მორთმეული გენია მოვლენების წარმართვისა; და ვინძლო გონივრულად ვერ შეუთანაწყოს ფეხი სამყაროისეულ კანონზომიერებათა სიმწყობრეს, მიმბაძველობას მაინც დასჯერდეს, მთლად ნუ დაუპირისპირდება დამპურებელს თვისას, დამნაცრავი წავარნებით მაინც ნუ წათოხარიკდება, ნუ აფიქრებინებს ყოვლისმომცველ ზეგონიერს — არც თიხისგან გამოძერწილა იგი, და აღარც დიალექტიკის მემკვიდრეა სავალალოდ, არამედ რაღაც სხვა განზომილებიდანაა ჩამოთესლილი, რომლისთვის უცხოა თანდაყოლილი თანამიმდევრულობაო.

ავაჰმე, ნახტომებით მიელტვის სრულყოფილებას, ხეობებს იტოვებს

სულში, რომლის ამოკემსვას მერმე თაობათა მსხვერპლად მიტანა სჭირდება.

როდის-როდის გამრთლიანდება ჩახრამული ნაპირები უფსკრულისა და რაჟამს საღი თვალით მიმოიხედავს გარშემო, მიხვდება — სამჯერ მეტი დრო და ენერგია გახარჯულა მანძილის დასაძლევად, ტაატით მავალს უკვე გუშინწინისწინ გვარიანი ხნის მოტოვებული რომ ექნებოდა ზურგს უკან. პარადოქსია, აბა, არა?!

როკის დაპატიმრების თაობაზე გვითქვამს ზემორე. ჭადრების ხეივნის კალაპოტიდან ამოვარდნილი ჭაბუკი სამ წელიწადზე მეტს ხეტიალობდა სამშობლოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, და ახლა, როცა დრანდის ციხეში იხდიდა სასჯელს, ზუგდიდში რაღაც სხვანაირი სიო დაირხა. უფრო სწორად ამ ნიავს გასული საუკუნის მიწურულიდან უხმობდნენ ერის მამანი — ნიკო ნიკოლაძე თუ რაფიელ ერისთავი.

გამოითქმებოდა თამამი ჰიპოთეზები ჯვართან გიჟმაჟი ენგურის გადაკეტვის თაობაზე, და როცა გონების ხნულში თესლი ჩაწვეთებულია, მისი აღმოცენებისათვის შემაფერხებელი ბარიერი აღარ არსებობს.

ნემსის ყუნწში გაძვრება ადამიანი და საწადელს უთუოდ აისრულებს. აკი, ბრძანეს ერთხელ: ბრუნავსო და მთელი სამყარო წისქვილის დოლაბივით დაიტრიალა თავზე ძეხორციელმა.

უფრო მეტიც, ნატყორცნი ისრის კუდს გამოეკერა და საკუთარი ბიოგრაფიის ამოკითხვა მოიგუნება დაუსაბამო კოსმოსიდან, როცა ხელისგულზე აწერია წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც.

მოკლედ, ითქვა: ჯვართან, ვიწრობში მოქურუხებული ენგური ვიდრე ტაფობზე გაიშლებოდეს, ორასსამოცდათორმეტ მეტრიანი კედელი აღიმართოს დალეთის გაუხედნავი სტიქიის დასაოკებლადო და აწყობილი საათივით ატიკტიკდა სადადიანო სრული.

სამინისტროებმა საქმიანი ქაღალდები მოათადარიგიანეს.

ბანკში ფული დაბინავდა.

კვალიფიციური სპეციალისტების წყებას ჩამოჰყვა მძიმე ტექნიკა, ლაღუმი, მემაღაროელების ჩაჩქნები, არაყი, კალთამადლიანები ჩრდილოეთის ციალისა, რომლებიც მაგნიტივით იტაცებდნენ ჭადრების ხეივნის აზატი ბიჭების მიამიტ გულებს.

გაიშალა პროექტი სამუშაო მაგიდაზე, რომლის მიხედვით ენგურის წყლის მასა ელექტროენერგიის გამომუშავების შემდეგ, აფხაზეთში გადაისროლებოდა სადერივაციო გვირაბით.

მოკლედ, ოდიშში მოპოვებული სინათლე სამურზაყანოს ტერიტორიიდან განაწილდებოდა მთელს დუნიაზე.

ასეთი ხრიკები სიახლეს არ წარმოადგენდა წონასწორობას დადარაჯებული იმპერიის მესვეურთათვის: უჯართო საქართველო ფოლადს აწარმო-

ებდა და უვენახო ციმბირი — ღვინოს; აშხაბადურ ჭანჭიკს და ყარაგანდულ ქანჩს იქევსკში უხმატკბილებდნენ ერთმანეთს.

უთავბოლო ეკონომიკის მიღმა იდუმალებდა უფრორე არსებითი მიზანდასახულობა: რაც შეიძლება მეტად დაასაქმე ხმლით მოპოვებული პერიფერია, ოღონდაც საკუთარი არაფერი გააჩნდეს: ციტრუსს კრეფდეს, მაგრამ ყუთებს შენგან ღებულობდეს; ღვინოს წურავდეს და ბოთლებისთვის ხელებში შემოგციცინებდეს; მანქანას აწყობდეს, თუმცაღა ქვეყნის ოთხივე კუთხიდან მისდიოდეს, ჩარჩო, კაპოტი, საბურავები და ძრავა. და თუ ოდესმე მოაწევს ჟამი განზე მაცქერლობის, ან — მთლად უმწვავესი თვითგამორკვევისა, ხელად ძარღვებდაფატრულს დაემსგავსება მიწას მოწყვეტილ ანთეოსივით და სანამ სასიკვდილო იარებს უწამლებდეს სრულიად უმწეო, შენივე ხალხი ისე წაგიჭერს ყელში ხელებს, დასატუქსი ბავშვივით თვითვე ეახლები დამტყვევნელს შენსას, რამეთუ ნათქვამია: ყველა გზა რომისკენ მიდისო.

ოდიშელების ყისმათიც დაახლოებით ასეთი იყო.

ენგურჰესის ხელოვნურად გაბერილმა ხარჯთაღრიცხვამ მიიხედ-მოიხედა სადადიანოს ცენტრში და მოიხილა რა სრულიად უნიათო ყოფიერება, კუსავით გამოჰყო ფეხი სახარე ნალებისთვის.

შავზეშავი დღე ადგათ ქალაქის არქიტექტორებს.

კვირაში შვიდჯერ იცვლიდა იერ-სახეს ზუგდიდის გენერალური გეგმა.

მოდიოდნენ გავლენიანი ხალხის ხელდასხმული მამულიშვილები და ახალ-ახალი წინადადებით იპყრობდნენ ქალაქის მისადგომებს.

ზოგს საავიაციო ქარხნის პროექტი ჩამოჰქონდა, რომელიც თვითმფრინავის კუდის დეტალისთვის დაასაქმებდა ორიათას მუშახელს. სხვები უფრო დიდი მასშტაბის მშენებლობას მოუძღოდა, ,,ვექტორად'' რომ იყო ჩრდილოეთშივე მონათლული და სამიათასი კაცის ამოქმედებას ვარაუდობდა კომპიუტერული ქანჩის ასაბურტყუნებლად.

გაიზმორეს ჩაის ფაბრიკებმა სტეპანცევების გუნება-განწყობილების მოსაშხამად.

საღათას ძილიდან გამოერკვა ფაიფურის ქარხანა და ძაკა ოდიშელიას მიმდევრებს ხელიდან გამოაცალა საგურე თიხა.

ენგურქაღალდკომბინატმა ხომ სოკოებივით მოამრავლა მელნის პროფესიის ხალხი მარჯვენა და მარცხენის პროფილით.

ქალაქის მესვეურები სათამაშოებივით მიმოსწევდნენ სადადიანოს ცენტრში ჩომახიების, სიჭინავებისა და ჟვანიების სასადილოებს, ებრაელების ხუხულებს. ქალაქის გეგმილზე ქრებოდა ალექსეი რუსისა და აბიკოს კინოთეატრი ჭადრების ხეივნის დასავლეთით, სანაცვლოდ სიჭინავების სასადილოს სივრცეს ეუფლებოდა იგი უფრორე ზორბა და ჰაეროვანი. შარუხიას ფარდულების ადგილას მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები ამოიზარდა.

ვახსენეთ შემობრუნებული ფარას ფსიქოლოგია და აქამდე ლამის უსაქმურობას გადაგებული ახალგაზრდობა მოზღვავებული ფულის სურნელმა ზოგი ხარაჩოზე გაიყვანა და ზოგიც — ამწეთა კოშკურაზე.

ქალაქის მესვეურებმა თავდაპირველად სკვერს შემოვლებულ ტრიფოლიატას საუკუნოვან ცოცხალ ღობეს შეუტიეს. ფოლადის გვარლს გამოაბამდნენ დაღვარჭნილ ძირებში. გასწევდა მძიმე ტექნიკა და არშინიან ფესვებს მოუშიშვლებდა. დატვირთავდნენ მერმე მისით „კამაზებს" და სასაკლაოს ჭანჭყროვანების გზას გაუყენებდნენ. შულერების საყომარბაზოდ ჩაყურსული სკვერი მალე ხელისგულივით აკამკამდა.

ქალაქის ელვისებური გარდაქმნის გეგმამ თავგზა აუბნია, როგორც სიჭინავებისა და ჟვანიების, ისე — ჩომახიებისა და შარუხიების ქარვასლებს ხეივნის ხელმარჯვნივ თუ ხელმარცხნივ, მაგრამ გადასხვაფერების დაუოკებელი ჟინი ქარავნის პრინციპით მიემართებოდა ერთხელ ამორჩეული სვლა-გეზით და აქ მეწვრილმანეთა ბუზღუნი, წიწმატობა თუ მხრების აჩეჩვა, ძაღლების ღავღავისმაგვარი აკომპონიმენტიღა იყო გაუგონარი აღმშენებლობის ფონზე.

ქალაქს ორიოდე კვირით მოშორებულ პიროვნებას თვალები შუბლისკენ გაურბოდა. არნახული, არსმენილი ტემპით ინგრეოდა ძველი და თვალის დაფახულებასაც რომ ვერ ასწრებდი, ისე ენაცვლებოდა, ახალი, ასწილ ფაქიზი, ასწილ მიმზიდველი. მართალია, ამ გარდაქმნებს ვერადროს იხილავდა ზუგდიდის შემოსასვლელში ჯერ კიდევ როდის ჩამოყირავებული რკინის ბელადისა მონუმენტი, მაგრამ მისი მასწავლებელი ხომ თვალნათლივ აღიქვამდა ცენტრისტების ბირჟიდან ამ უმაგალითო მეტამორფოზას?!

ახლა მუშტი-კრივისთვის არავის სცხელოდა. ყველა საშოვრისთვის დატრიალებულიყო.

— ბლის ხეს კანი სანამ ძვრება, მანამ უნდა შემოაცალოო — უთქვამს კაკა ჟვანიას და თანამოსაუბრისთვის მრავალგზის დაუკრავს კვერი გვანჯი ჩიქვანს, თუმცა ისინიც გარიყულიყნენ ამ ორომტრიალისგან. მათ საფლავებზე ორისამი წლის ბალახი ბიბინებდა უკვე. ცენტრისტების სათავყრილობოც ქალაქის შესასვლელის უძეგლო პედესტალს დაემსგავსა, როგორც პოეტი იტყოდა: აწგარდახდილი ამბავი ჰაერსღა შეენახა და კიდევ ვინ იცის, რამდენხანს იკამკამებდნენ ეს ფერჭვირვალებანი თაობათა ხსომიერებაში, ვიდრე რიგისობისდა მიხედვით არ დაიბინდებოდნენ დავიწყების ულმობელი მტვრისგან, არ დაისილებოდნენ აწ და მარადის გულმავიწყობის ფსკერზე, მაგრამ როკის გონება სულაც არ ჰგავდა ჭირხლის ნება-სურვილზე მოსიარულე ფანჯრის მინებს, ლიბრი რომ გადაეკვრებათ ხოლმე გუგებზე მეჩონგურე ლადი ჭანიასავით.

ჭადრების ხეივანში კანტი-კუნტად შემოხეტებული ბიჭები უცილობლად გაიხსენებდნენ თავიანთ წინამძღოლს. რამდენი ორთაბრძოლა გამართულა აქ ერთი ერთზე, თბილისელებთან, ქუთაისელებთან, ბათუმელებთან თუ სოხუმელებთან, მაგრამ არაოფიციალური რესპუბლიკური მუშტიკრივის არენაზე ძელქვასავით შეურყვლად იდგა სულ როკი.

მიუწვევიათ მატჩ-რევანშზე და უსახელოდ არც იქიდან დაბრუნებულა ოდესმე. ეს ის დრო იყო, როცა კაცის სიმაღლიდან დაშვებულ ფოთოლს ხუთჯერ წამოეწეოდა გზაში. ჟინი ანთართან ურთიერთობა რომ დაცლოდა, ვინ იცის, იქნებ სეხნია მარჩიანოს დიდებაც დაეჩრდილა ოფიციალურ რინგზე მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ საწუთრომ სხვა ილბალი განუმზადა მას და გასაკვირი არაფერი იყო, კვლავაც გაუთავებელი მსჯელობის საგანი გახლდათ ოდიშელების ჯილას ყოველი გადაადგილება საქართველოს ერთი ციხიდან მეორეში; დაკეტილიდან გაქცევის მცდელობანი; ლაითურის ზონაში გარდახდილი ხელჩართული ომი; ქუთაისის იზოლატორის ფათერაკები თუ სხვანი და სხვანი.

უოდიშელიოდ ჩაესვენა კაკა ჟვანიასა და გვანჯი ჩიქვანის დროინდელი ზუგდიდის ეპოპეა; უოდიშელიოდ აღმოცენდა ვერტიკალური ზუგდიდის ხატება და უოდიშელიოდ იჯანსაღებდა ფესვებს ბირჟავიკობის ხანაში ემბრიონულ მდგომარეობაში მყოფი ქურდული ფსიქოლოგია.

ძლევამოსილი კუნთების ეპოქა დავიწყებას მიეცა. უმიზეზო მუშტიკრივი უკვე სირცხვილად მიიჩნეოდა, გამონაკლისებს რა გამოლევს, მითუფრო პურ-მარილით განთქმულ ქალაქში, როცა გონიერება გამოფერთხილია თავიდან, მუხლი კვლავაც გერჩის და აღარც მკლავებს წართმევია სადავიდარაბო ძალ-ღონე.

ახლა ზუგდიდის კულუარების საკითხებს ჩიტა ბეზუხა აგვარებდა, წარმოშობით აფხაზი, ერთ-ერთი ნამუსიანი ქურდი, შეძლებისდაგვარად რომ უერთგულა ოდესღაც არჩეულ გზას.

ფერდინანდ ჟღერია, გოგი ყოლბაია, გოჩა ჩიქოვანი თუ ანზორ ქაჯაია კვლავინდებურად თავიანთ ჭაპანს ეწეოდნენ: იმდენს იღონებდნენ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ ხალხს უცილობლად შეარიგებდნენ, ხელს ჩამოართმევინებდნენ ერთმანეთისთვის ძმათამკვლელებს.

ბაზარი კვლავინდებურად დუღდა და გადმოდუღდა, მაგრამ საერთო ცვლილებებს ვერც აქაურობა გადაურჩა. დაინგრა ვალერიანის აშენებული ყრუ კედელი და ისევ ვალერიანის ხელითვე აგურის დეკორატიული გალავანი შემოევლო. შესასვლელთან რკინის ჭიშკარი აღიმართა, საშენი მასალის მტვერი ბუღივით იდგა ჰაერში, მაგრამ წკირზე წამობადებულის ანდაზის კვალობაზე, სოფლის ქალები მაინც აქეთკენ მოეშურებოდნენ.

უმცროსი გენადის ამარა დარჩენილი ვალერიანი იხტიბარს მაინც არ იტეხდა.

ყოველი ადამიანი თვითონ ჭედავს საკუთარ ილბალსო, იტყოდა, თითქოს ამით თავს იმართლებდა შვილებს შეუდრეკლობას რომ ჩაუნერგავდა აკვნიდანვე; უკანდახევის, ხიფათებისგან განრიდების საიდუმლოებებს რომ არ აზიარა, მაგრამ გენებით რაც მოსდგამდა, მემკვიდრეებსაც იმას გადასცემდა ზედმიწევნით და აბა, მისი რა ბრალი იყო, ბედმა ასეთნაირად რომ დაუჩაგრა უფროსი ბიჭები?!

ბაბილინა ჭანხე ამის თაობაზე იტყოდა გარკვევით:

— ციხის აშენებაში ერთი აგური წმინდა გიორგისაც მიუძღვის, მაგრამ იმის კედლებს მთლად ჩემი შვილიშვილები თუ ამოიყვანდნენ, არ მოველოდიო.

კაფანდარა ჟენია კი სულ ილორელ მღვდელს აბრალებდა როკის არეულ ცხოვრებას.

— ვერ მომინათლა ბავშვი ხეირიანად, მირონის წაცხებისას წვერებში რომ ებრდღვნა როკი, ვერაფრით წავართვით.

მომაშორეთ ეს ეშმაკეულიო, ყვიროდა შეჩვენებული და ვართ კიდეც დიდებულ დღეში.

ენგურჰესის რკინა-ბეტონმა ჩხოუშიასაც დაატყო სასიკეთო ხელი. ადრე ბოშათა კარვების სამფლობელოდან მოყოლებული ქვითკირის პერანგში ჩაჯდა ორივე ნაპირი, ხოლო ხეტიალის მოყვარული ხალხის ნაწილმა ზუგდიდის მიწა-წყალზე ჩაუშვა სამუდამო ღუზა. მჭედლობა, წვრილმანებით ვაჭრობა, ცხენები და გათარანებული გიტარები კვლავინდებურად ასულდგმულებდა აზატთა ცხოვრებას. ბრეზენტის კარვები სამუდამოდ დაკეცეს და დატბევებული შთამომავალი აწ არასდროს მოიძიებდა მათ შორი გზების ნოსტალგიით.

მოკლედ, ილონას ფაშფაშა ბიცოლას მთლად ვერ გაუმართლა მარჩიელობამ, ვინაიდან ბოშათა ტომის მესამედი მკვიდრად დაფუძნდა საკონსერვო ქარხნის მიდამოებში. რაც შეეხება მწვანეთვალება მაზლიშვილს, აქ მჩხიბაობის მაგია ჯერაც ძალაში რჩებოდა, ჯერაც ფორნებით ეხეტებოდა ჩრდილოეთის უკიდეგანო ტრამალებში, თუმცა მალე კოვზი ნაცარში ჩაუვარდებოდა, ჩამობრუნდებოდა ოდიშში ოდიშელიას მაძებარი ილონა, მიაგნებდა კიდეც გულისწორის ასავალ-დასავალს თბილისის დაკეტილში, მაგრამ როკი ნაბიჯით გაასწრებდა ეტაპით, და ხელჩაქნეულ ასულს ორ ვაჟიშვილს აჩუქებდა დანიშნული კარლო.

მართალია, იმ ბოკვერებს თავშალში გამოხვეულებს როდი მოიკიდებდა ზურგზე ილონა ტრადიციისამებრ, ქართული აკვნით დაარწევდა თითოეულს და სასწავლებლადაც რუსულ სკოლაში შეიყვანდა წლების მერმე, მაგრამ უმჯობესია საუბარი არ გაგვექცეს და ქალაქის აღმშენებლობის ამბებს მოვუბრუნდეთ.

საოცარი გარდასახვის მსახვრალი ხელი ქუჩის მაწანწალებსაც მიწვდა ქეჩოში. ჯოჯომ, ხოთომ და სპირდომ ბოლოს და ბოლოს იმდენი იქნიეს ჯოხები თუ კეტები, მართლაც სამუდამოდ გაფანტეს ისინი ზუგდიდის სინამდვილიდან და ახლა სახეშეშუპებული მათხოვარი თუ ბოგანო სანთლით საძებარი იყო მთელს არემარეზე. ბაზრის ტერიტორიის განუყრელი ატრიბუტები — სამი ჩამოქანდაკებული გიჟი მამაკაცი და ორიც მანდილოსანი — სირმა და თამარა ჯორბენაძე, ძველებურად თვალში ეჩხირებოდა ზუგდიდელს, თუმცა არც უმათობა იქნებოდა. გიჟების ხუთეულს იმდღეებში შემოემატა ფრიად კოლორი-

ტული ჭოღო, რომელიც სექსუალური მანიაკი გახლდათ. ჭოღოს ფალიკურ შესაძლებლობაზე ლეგენდები დადიოდა. ამბობდნენ იმასაც, რომ აცვენილ ბიჭებს თარი ანთარიას მეთაურობით მოსკოვში ჩაჰყავდათ თურმე სმოკინგში გამოწკეპილი. იქ გამოუძებნიდნენ შესაფერის პარტნიორს და მიდიოდა ღადავი. ცალკე ოთახში მიუშვებდნენ. ქალს გული მისდიოდა უკვე კოიტუსისგან, ჭოღო კი ესესაა ექსტაზში შესვლას იწყებდა და როცა მანდილოსანს თვალები ამოუტრიალდებოდა ჭარბი ქაქუნისგან, ჭოღო გამოსძახებდა მოქეიფეებს:

— ბოჩიაევიჩ, იქნება თუ არა აწი დაზონარებულიო, — და დოსტების ხმიანება სახურავზე ჩამომსხდარ მტრედებს წამოშლიდა „როსიას“ მესამე სართულიდან.

ზონარი ვახსენეთ და ეს ტერმინი პეტიკო თოდუას შემოტანილი გახლდათ. ერთხელ ალექსეი რუსისა და ამბაკოს ნაკინოთეატრალთან თათული ბერეშია გამოეჩითა პეტიკოს. ამ გოგოს ფეხმსუბუქობის ამბავი უკვე მთელმა სადადიანომ იცოდა, მაგრამ გავიდა დრო, დამშვენებულიყო ძვალკანა, გავსებულიყო ხორცით, ჩაცმა-დახურვითაც ბანოვანს დამგვანებოდა უარაფრო მამითობოლი. ვიღაც კუშტსახიანი დედაკაცი ახლდა გვერდით. იაზრა თათულიმ, პეტიკოს მწარე ენა აქვს, არიქა, რაიმე არ წამომაყვედროსო და იქით დაასწრო:

— პეტიკო, ბიძია, ოჯახში როგორ ხართ, ხომ ჯანმრთელად? მე გავთხოვდი, გაიცანით, ჩემი დედამთილია!

მოკლედ, აგრძნობინა ყველაფერი, მაგრამ პეტიკომ ერთი ყურიდან მეორეში გამოუშვა ოდიშელი კურტიზანის გაფრთხილება და ეგრევე მიაროხროხა პახმელიაზე გამოსასვლედ ნაცნობის გამოჭერას დადარაჯებულმა:

— გოგო, რომ დამშვენებულხარ და გავსებულხარ, ეტყობა ზაგსიზ მოგხდომია, თორემ დაზონარება მანამდეც არ გაკლდაო.

ასე იყო თუ ისე, გიჟების სამოქმედო ასპარეზი რამდენადმე შეიზღუდა მათივე ხელკეტების დაუზარელი ტრიალით ქელეხ-ქორწილების მისადგომებთან. ბაზრის ტერიტორიაზე ჩირთიფირთობდნენ კვლავაც და ოთხივე ისე აღესრულებოდა, სასწრაფოები სწორედ რომ ბაზრიდან გაათრევდნენ წუთისოფლისგან ვნებულ მათ სხეულებს.

ჯოჯო ორი ჰყავდა ზუგდიდს — ჭკუათხელი და საღ-სალამათი, მაგრამ ერთ შებინდებულზე დალაგებული რამდენიმე საათით დაენათხოვრა აშლილობას მოსახელე გიჟს.

ბედი არ გინდა?! ამ დუჟმორეულობის ჟამს მაინცდამაინც მხარზე ხურჯინმოგდებული, ნაბოძები საჩუქრებით თუ აქა-იქ მიფხეკილ-მოფხეკილი ნადავლით დატვირთული ხოთო არ შერჩა ხელთ?!

ლუდხანიდან ამოხეტებულ ჯოჯო ჭკვიანყოფილს მოპაექრენი გაცლოდნენ, გვარიანად მიებერტყათ და ხორცსაკეპი დანით ტროტუარზე მოროქროქემ დაჯგიმული ნაბიჯებით მისკენ გამომართული ხოთო მტერში ვეღარ გა-

არჩია, ეგრევე მუცელში გაუქანა დანა. ხურჯინმა გვარიანად შეაფერხა სამართებელივით აფხიანებული ლითონის მოქმედება და სასწრაფო დახმარების ოპერატიულობა რომ არა, სისხლში და ნარჩენებში მცურავი კაცი იქვე დალევდა სულს.

— ვადოპილათ, თქვა ღურელეფი!* — იცრემლებოდა სვედაქცეული.

მთელმა ზუგდიდმა დაამტკიცა უბედური შვილისადმი ჭეშმარიტი სიყვარული. არავინ დაიშურა ხოთოსთვის სადილი თუ უხმარი ტანსაცმელი. თვით ქალაქის თავიც საკუთარი ფეხით ეახლა პალატაში. გამოკითხა ექიმებს სულითსნეულის ჯანმრთელობა.

— შემაწუხეთ, არაფერს დავიშურებთ მისი სიცოცხლისათვის, — თქვა და დასამტკიცებლად კოკორნასთვის აწაპნილი თუმნიანი ამოუდო გაქათქათებული ბალიშის ქვეშ, რომელსაც ორსაათიანი წოლისგან შუაგულში შავი აკვარელით შესრულებული წრე აჩნდა.

— პალადიევიჩ, გინმოსქილიდე, წიე!* — ხოთო ამ სიტყვებით წვდა მაჯაში როკის მოგვარეს.

დაანუგეშეს. სამართალდამცავ ორგანოებს მკაცრად მიუთითეს, გაორმაგებულად ეგებინებინათ პასუხი შეურაცხადის სასიკვდილოდ გამწირველისთვის. არადა, იმ ჭკუასაღ ჯოჯოსაც რაღა დასჯა უნდოდა, როცა გამოფხიზლების მერე იზოლატორის ნარზე დამხობილს და ქალივით აქვითინებულს ლუკმა ვერ გადააცდენინეს, სანამ ციხის ექიმმა გვარიანად არ გაჯორა:

— სასიკვდილო არაფერი სჭირს ხოთოს, უმჯობესია შენი შეჭირვებისთვის იფიქროო.

მობრუნებულ ფარაზე ორგზის გვითქვამს და ნავარჯიშები კუნთების ფსიქოლოგიას ელვისებურად შეენაცვლა ქურდული გაგება. ძალადობის უხეში ფორმა დახვეწილით შეიცვალა. ძველბიჭობის პერიოდში ქურდული მსოფლმხედველობა ჩირგვებში არ მჯდარა. მას ავტონომია მაშინაც ჰქონდა მოპოვებული ოდიშის სინამდვილეში, მაგრამ ენგურჰესური ქისების ჩხრიალმა ვულგარულ დებოშს წირვა რომ გამოუფვანა, მსწრაფლ ამოტივტივდა, მეტი გასაქანი მიეცა, ლაღი ასპარეზის დრო და სივრცე მიებოძა.

საზოგადოებისა და მით უფრო ახალგაზრდობის თვალში კანონიერი ქურდის მცნება ცალსახად უიგივდება სამართლიანობისთვის დამაშვრალის იდეალს. ნაწილობრივ ეს ასეც არის. ჭეშმარიტ ქურდს დაუწერელი კანონით არც პასპორტი უნდა გააჩნდეს და აღარც — სამხედრო ბილეთი. ცოლშვილი მისთვის სრულიად ზედმეტი ბარგია, მარტო საჟიტელნიცას8 უნდა კმარობდეს და იმასაც — ვარავაიკას.*

ტიპიური ქურდის აღკაზმულობა დარდიმანდულია, ბოჰემური, ყოველგვარ კოპწიაობასა და პეწენიკობას მოკლებული. ზედმეტია მისთვის გახამებული პერანგი, მითუფრო — ჰალსტუხი თუ ბაფთა. ქურდები, როგორც წესი, ნარკოტიკს არ ეკარებიან. ქურდი და მორფიუმი შეუთავსებელი მცნე-

ბებია, ვინაიდან კაცის ბედ-იღბალი ნაკაიფარმა, ნირვანაში წასულმა არ უნდა გადაწყვიტოს. გამოერეოდა მათში ჰაშიშის მოყვარული ან კიდევ ნემსის დამჭაშნიკებელი, ეგ იყო და ეგ.

ნაღდი ქურდი იპარავდა და იმით სულდგმულობდა. წასწრების შემთხვევაში შესაძლოა დაესიფათებინა დაზარალებულს და ამისთანა დროს იგი დანების ტრიალს კი არ მოჰყვებოდა — თავს ჩაღუნავდა სინდისის ქენჯნით და საქმე თუ არ გართულდებოდა, უხმოდ გაეცლებოდა მოპაექრეს. ქურდისთვის მოპარვა უმთავრესი პროფესიაა და სხვა საშუალებანი დროის მოტანილია მხოლოდრე.

ქურდობა და შულერობა განსხვავებული მცნებებია. რაც შეეხება ყაჩაღებს, ქურდებს მათთან დიდი კონფლიქტი ჰქონდათ გამუდმებით, როგორც ამას როკი გაანალიზებს მოგვიანებით. საქართველოშიც, რუსეთშიც ქურდებს და ყაჩაღებს შორის დაუსრულებელი შუღლი და ღრენა სუფევდა. ხშირად საქმე დანების ტრიალამდეც მისულა და ბევრჯერ დაუჩეხიათ ერთმანეთი, რადგანაც ქურდის ბუნება შორსაა, როგორც ღორული, ისე — მგლური სიხარბისგან.

ყაჩაღი ყველაფერს ართმევს მსხვერპლს. მიზნის მისაღწევად არაფერს დაერიდება. შეუძლია ბეჭდის ვერმოძრობის შემთხვევაში თითიც მოაჭრას პატრონს. არც ყელის გამოღადრვას ითაკილებს, თუკი იგი რაიმე ძვირადღირებული სამკაულით დამშვენებულა და კვალის მიჩქმალვაც აუცილებელია. ყაჩაღი ფულის გამოძალვის მიზნით მზად არის მეცხრე სართულის ფანჯრიდან ხელით გადაჰყოს ასხავლებული ბავშვი და თუ საჭიროებამ მოითხოვა თითებიც კი შეუშვას იმ უცოდველ ღვთის კრავს, ოღონდ სამშვიდობოს გააღწიოს. ყაჩაღის ბოლო სახრჩობელაა, გნებავთ — გილიოტინა — ცხრა გრამი ტყვია თუ ელექტროსკამი, მაგრამ ზონაში ყაჩაღები, მათთან ერთად ყველა კატეგორიის დამნაშავე, ქურდის დაკრულზე ცეკვავენ.

თავისუფლებაში ყოფნისას რამდენადაც იარაღი ათამამებს ყაჩაღს, იმდენად მოღუნავს ცხრაკლიტულის კედლები.

ზონასა თუ ციხეებში მხოლოდ ქურდები სუფევენ მასპინძლებად და როგორც თევზი წყალში ისე დაცურავენ იქაურ წეს-ჩვეულებებში. ასე რომ, ქურდები ყაჩაღებს მოსისხლე მტრებად მიიჩნევენ, თუმცა არც შულერებთან არიან მაინცდამაინც „შოკოლადნი ატნაშენიაში“.*

ქურდი თავისთავს ფუტკარს უწოდებს, რომელიც გამაბრუებელ კოკორს უჩუმრად დააფრინდება, მისთვის სამყოფს ამოსწუწნის და ჩაივლის. ყვავილი ისედაც განწირულია საღამოური ჭკნობისთვის და მისგან მიტაცებული ბეწო სურნელება საარსებო წყაროდ რომ გაუხდიათ ასსებს, ალბათ, უმცირესი ბოროტებაა დანაშაულებათა უკიდეგანო სამყაროში.

ძველბიჭობის ხანაში, მერეც, ჭადრების ხეივნის შუაგულში, როცა შულერები ყომარბაზობდნენ, წვივებზე იტყაპუნებდნენ ხელებს და ერთი საქმისთვის სადაგი ჩაყუნცვით ახსომებდნენ მოქალაქეებს თავს, ქურდის თვა-

ლები მახათივით წავიწროვებულიყო იღლიაში გაჩრილი საფულისკენ და შესაძლოა იმ ჯეირანს მთელი ოდიშის სამყოფი მკერდი მიაგელვებდა ტროტუარზე, მაგრამ ქურდის მზერა ჩარჩოებში ექცეოდა, მისი შუქის ნაკადი ამ ხელჩანთას გარემოიცავდა არსებითად და ოსტატობასაც თუ დაეუფლებოდა გამოხედვის სადარს, ხიდან ფოთლის ჩამოვარდნასავით უხმაურო და უმტკივნეულო იყო დარდიმანდული რეკვიზიტის აწაპნვა.

ასეთი და მხოლოდ ამნაირი დაამახსოვრდა როკის ოდიშელი ქურდები. ამიტომაც გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო მისი სიმპათიები დასახელებული კატეგორიის ხალხის მიმართ, საქართველოს სხვადასხვა საპატიმროსა თუ ჩრდილოეთის უკიდეგანო ტრამალებში, და კიდევ იმიტომაც, ზომიერების გრძნობა რომ არ ღალატობდათ, ადამიანის გაუბედურებაში ფეხს არ ჰყოფდნენ, ზღვარს არ გადადიოდნენ და რაც მთავარია, მათი სიტყვა ბეჭედდასმული თამასუქი გახლდათ ყველგან და ყოველთვის.

მოკლედ, როგორც ასსები იტყოდნენ და იტყვიან კვლავაც: ქურდული კანონი უცვლელი რჩება. ქურდები და ქურდობა ეკონომიკურად დაუძლურებული ქვეყნების პირმშოა — ინდოეთის, რუსეთის, გნებავთ საქართველოს სხეულზე აღმოცენებული, და ზოგ სახელმწიფოში ეს პროფესია ცოდვაბრალად თუ მიიჩნევა, მაგალითისთვის, პოლონეთში, ,,ეტო ნე ზაპოდლო‘‘;8 მაგრამ როგორც კი ქვეყნები მომძლავრდებიან, საბაზრო ეკონომიკა ფესვებს გაიჯანსაღებს, ვულკანივით ამოხეთქავს ყაჩაღობის დახვწილი ნაირსახეობა — მაფია, რეკეტი.

ჯუნგლების კანონი დედაბუდიანად მოშლის ნამცეცებს დაჯერებული უწყინარი ქურდის ბუნებას. აქ უკვე უძლიერესნიღა გააღწევენ სამშვიდობოს და ცხოვრების ნირი თუ არ შეიცვალე, უეჭველად გაიჭყლიტები.

როკის დაპატიმრებამდე დაახლოებით ასეთი იყო ოდიშის ქურდობის დიდი უმეტესობა, მაგრამ დროთა ვითარებამ მათ შეხედულებებშიც შეიტანა ცვლილებები აქა-იქ და კანონიერ ქურდთა გარკვეული ნაწილიც თანდათან დასცილდა საკუთარ პირვანდელ სახეს.

ოდიშელიას დროინდელ ზუგდიდში ქურდებს სახალტუროზე თუ ნახავდით, ან სადაც ავტობუსის მგზავრების სიმრავლეა, ან კიდევ ბაზრობებზე — ხალხის ფუტკარივით გნიასში, მაგრამ მერე და მერე ზოგმა მათგანმა რესტორანებში გადაინაცვლა. იწყეს ბანკეტების გამართვა. სმოკინგებში გამოიწკეპნენ, ყელზე ჰალსტუხი შეინასკვეს. ორსართულიან სახლებს დახარბდნენ. ცოლებად უმაღლესდამთავრებული ქალები დაისვეს, პრესტიჟული პროფესიისანი, ზოგი თვით იურისტსაც კი შეეწყვილა. შვილები უმაღლეს სასწავლებლებში განამწესეს დედის კვალიფიკაციით, ნემსებზე ,,დაჯდნენ‘‘.

როკის დროინდელ ქალაქში ხუთი მორფინისტი იყო სულ და მათ მილიციაში სპეციალური პუნქტიც კი გაუხსნეს, სადაც დილა-საღამოს ,,მკურნალობდნენ‘‘, რათა მოზარდი თაობა არ მოწამლულიყო კაცობრიო-

ბის უსაზიზღრესი ბაცილით, თუმცა ზუგდიდთან ოდიშელიას თოთხმეტწ-ლიანი დაშორიშორების პერიოდში ამ ხუთმა კაცმა იბარტყა, იმამლაყინწა და საქმე იქამდე მივიდა, მაღაზიებში პაპიროსი, იგივე ტარიანები აღარსად იშოვებოდა.

ახალგაზრდობის ნარკოტიკით მოშხამვას უკვე ზოგი ფსევდო-ქურდიც უწყობდა ხელს — ოპიუმით ბარიგობა დაიწყო. არც ამას დასჯერდა წესით უწყინარი ხელობის მავანი და ჯერ ყვავრების გატაცებას მიჰყო ხელი, მერმე — თანაქალაქელი ბავშვებისა თუ მოზრდილებისაც კი და პატრონები სანამ გამოსასყიდს არ გაუნაღდებდნენ, დღის ნათელს არ აღირსებდნენ ხმელი პურითა და წყლის ამარა კვირაობით ბნელში გამოკეტილებს.

წვიმის ჩამოსვლისგან საიმედოდ დაცულსახურავებიან დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რესტორანებს კრიშებად მოევლინენ სხვები, ან სასამარ-თლოს ფუნქციები შეითავსეს და საკამათო საქმეების გარჩევას მიეყრდნენ.

როკის კი ბრმად სწამდა ჭეშმარიტი ასსებისა და მათი სიტყვისა, რომ ქურდული კანონი უცვლელია.

რესტორანები რამდენიმეგზის ვახსენეთ და ამ თემაზე ღირს ცოტა ხნით შეჩერება.

სიჭინავების, ჟვანიებისა და ჩომახიების სასადილოების მიწის პირისგან აღგვის თაობაზე გესაუბრეთ, მგონია, რომლებიც ლოთობისა და დებოშის სათავედ ბოგინობდა ბარე მესამედი საუკუნე, მითუმეტეს დალევა თვითმიზ-ნური თუა, მაგრამ ოდიშში წასახემსებელი ვაკუუმის შექმნამ გაათმაგებუ-ლი ძალით დააჩქარა სამუშაოები ამ მიმართულებით.

პირველად ბაზრის მიმდებარე ოჯახების სარდაფებში მოკალათდნენ ად-გილწართმეული დახლიდრები. ჩაბნელებულ ჯურღმულებში მოაწყვეს „ზაბეგალოვკები“,* რომელთაც პეტიკო თოდუა ჩასუქებული ბუზივით მოჰ ყვა. დილიდან საღამომდე ქეიფობდნენ კასრების თავზე, მაგრამ სულ მალე მი-ყოლებით ამუშავდა რესტორანები ფუნიკულიორზე, სასტუმრო „ოდიშში“, ენ-გურჰაღალდკომბინატის ტერიტორიაზე „ეგრისის“ სახელწოდებით, ბაზრის წინ „თუთარჩელას“ მესამე სართულზე (ეს უკანასკნელი სტანდარტების დონეზე ზიმზიმებდა რამდენიმე თვეში, როცა პირველი ორი სართული ჯერაც მობათ-ქაშებული არ იყო) და დაიძრნენ ზუგდიდელი დოსტები ლამის სავანესდატო-ლებულ რესტორანებისკენ. ჟვანიების, სიჭინავებისა და ჩომახიების დანჯღრე-ული სასადილოები მალე დავიწყებას მიეცა.

პეტიკო თოდუა კვლავინდებურად ყელამდე ვალებში ტივტივებდა, თუმ-ცა დიდად არ იწუხებდა თავს მათი გასტუმრებით. იმასაც ამბობდნენ, სა-ერთო რვეულში სია ჩამოწერა და მოვალეებს რიგი დაუწესაო. მოაკითხავდ-ნენ ხანდაზმული ვალის პატრონები. პეტიკო გაშლიდა რვეულს:

— ხომ ხედავ, სად დაკარგულში ყოფილხარ, თუ პურ-მარილს იკისრებ, ცოტათი წაგწევ წინ, — ეტყოდა და რადგანაც ბევრს ეწადა რამდენიმე საფე-

ხურით ამაღლებულიყო პეტიკოს ბატალიონის სიაში, საარსებო საშუალება დიახაც გამოეჩითა, მაგრამ როდესაც ასეთებიც შემოეფანტნენ, მომთაბარეობა იწყო ერთი რესტორანიდან მეორეში.

ნიშანდობლივია, რესტორანების სტახანოვურ მშენებლობას პეტიკოს გონებამახვილურმა სადღეგრძელომაც შეუწყო ხელი.

სტუმრები წვეოდნენ ქუთაისიდან. რა ქნას? შინ სამზარეულო ცარიელია. სასადილოები — მინგრეულ-მონგრეული. ჰოდა, მოაფხეკვინა ბიჭებს ფული. მოიტანეს ბაზრიდან ბოსტნეული, ყველი, ლავაშები, ღვინო. მიაყენა ენაკვიმატმა ქუთათურები ჭადრების ხეივანს. შეარჩიეს მომცრო ხე, ავიდა და იქიდან თქვა პირველი სადღეგრძელო:

— ისეთი მთავრობის ხელში ვართ, ხეებზე გაგვიყვანა საპურმარილოდ, ძველი დაგვინგრიეს, ახალს არ გვიშენებენო. — თქვა და ტოტის რხევაში ხელუკულმა დაცალა ჭიქა.

იმ სადღეგრძელოს ქანური შეარქვეს მერე და სწორედ მისი წყალობით დაფაცურდა კიდეც ადგილობრივი ხელისუფლება რესტორანების მოსაკოპწიავებლად. აღნიშნული დამსახურების გამო რამდენიმეგზის უმასპინძლეს ბევრგან, მაგრამ პეტიკოს კვირაში დალევის ცხრა პარასკევი ჰქონდა და იწყეს ბუზღუნი. „ეგრისში“ პურ-მარილს რომ გამოუტანდნენ, ვინძლო მოვალბოთ და არ დაგვაღალატიანოსო, რამდენიმე ბოთლ ღვინოს და განსაკუთრებულ შეჭამადს მიართმევდნენ, თან დააყოლებდნენ:

— ეს ჩვენ ხარჯზე, პეტიკო, ბიძია.

პეტიკო არ დაიბნეოდა, ხელს შემოავლებდა სუფრას და დასძენდა:

— აბა, დანარჩენი ვის ხარჯზეა?!

„ოდიშში“ ანგარიშს მოითხოვდა გვარიანად შეზარხოშებული. ხელად მოურბენინებდნენ სიხარულით, ალბათ, უშოვია ფული სადღაცო. პეტიკო დახედავდა დამრგვალებულ ციფრს და სლოკინ-სლოკინით ეტყოდა დახლიდარს:

— დაუფარავად მითხარი, აქედან რამდენია სახელმწიფოსი და რამდენი — შენი?

გულაძგერებული მებუფეტე ალალმართლად გაანდობდა, რომ სახელმწიფოსი ორმოცდაათი იყო, მისი კი — თხუთმეტი. ჰოდა, პეტიკოც ამოაფხეკვინებდა თანამეინახეებს ჯიბეებს.

— აჰა, გამომართვი შენ თოთხმეტი მანეთი, ხვალ იმასაც შეგივსებ. შენ მყავდე ბიძიკო კარგად, თორემ სახელმწიფოს დედა ვატირე მე! — დაასრულებდა და ბოყინ-ბოყინით გაეცლებოდა სისხლგამშრალს.

მომდევნო კვირას „თუთარჩელასკენ“ გადაბარგდებოდა. მოაწევდა სუფრის გასტუმრების ჟამიც და იქით მიეახლებოდა პეტიკო დახლიდარს. ისიც ამოიღებდა საანგარიშოს და დაუწყებდა კენჭებს რაკარუკს.

— ხუთი ჩიჟიბიჟი — ათი, — კრავდა ბალანსს მასპინძელი, — ხუთი ყვე-

ლი — ხუთი, ხუთი მწვანილი — სამი, — ამატებდა და ამატებდა კენჭებს. პეტიკო გამომცდელად უმზერდა მის მეცადინეობას. მერე ზორბა მტევნით შეაჩერებდა საანგარიშოზე კენჭების მოძრაობას, გაშლიდა ხელისგულზე გასიფრიფანებულ, მისავთებულ მანეთიანებს.

— აგერ, ბიძიკო, ჩვიდმეტი. ახლა ეს იკმარე! გენდობი ყველაფერს დილამდეც რომ ურაკუნო!

მორჩა. უკვე აღარსად მიესვლება. კვლავ თომა ლოლუას ფუნიკულიორისკენ შეუყვებიან აღმართს. ამჯერად რაიონული საავადმყოფოს პრაქტიკანტი ბიჭები მოუპატიჟნია, თან გზადაგზა ზედმიწევნით დააკვალიანებს, როდის შემოვიდნენ, როგორ მიესალმონ სარკმელთან მიმსხდარ მეგობრებს, ვის მიმართონ და რანაირად.

მოუტანეს პეტიკოს და მის ძმაკაცებს ღვინოები, მისატანებლები. ეს წუთია და დაბარებულივით შემოლაგდნენ თეთრხალათიანი პრაქტიკანტებიც. გადაეხვივნენ დიდი ხნის უნახავ „ძმადნაფიცს“. მერე დახლიდარს მიადგნენ დაზუთხული მისიით.

მზარეულების შეფი ჩინებული ჰყავდა თომა ლულოუას, საკმაოზე მეტად ასაკმოყრილი ჯანჯა, რომელიც ცოლთან შესწრებული არშიყის დაბრედვისთვის შვიდ წელიწადს იჯდა წულუკიძის ზონაში, და რომელსაც მართლაც რომ სანიმუშოდ ბოლოებაპრეხილი, სქელი თეთრი ულვაშები ამშვენებდა.

ჯანჯას სამზარეულოში იდეალური სისუფთავე სუფევდა. ასეთი წესრიგითა და სიკოპწიავით დიდი ქალაქის რესტორანების სამზარეულოებიც ვერ დაიკვეხნიდნენ. კრიალებდა ჯამ-ჭურჭელი. მაცივარში ეწყო ხილ-ბოსტნეული, კიტრი და პომიდორი. დაჭრილი პურისთვის დოლბანდი გადაეფარებინათ. იჩხირკედელავე რამდენიც გინდა — ანტისანიტარია გამქრალია. მზარეულებს გახამებული ხალათები აცვიათ, თავზე ჩაჩები მოურგიათ. ერთადერთი ხელჩასაჭიდი პეტიკოს ნახსენები ულვაშია. კომედიაც მაშინ დატრიალდა.

— გაგონილა თქვენი თანამდებობის კაცი სამზარეულოში ულვაშით ტრიალებდეს? — უთხრეს პრაქტიკანტებმა.

— ვერ გავიგე, კარგად ამიხსენით, — დაიბნა შეფ-მზარეული.

— გაუგებარი რა არის აქ, უნდა მოიპარსოთ. თქვენ უკვე საკმაოდ ასაკოვანი ბრძანდებით. ხომ ხედავთ, ულვაში ერთიანად გაგთეთრებიათ. ეს კი იმისი მაუწყებელია, რომ თმის ინტენსიური ცვენაა დაწყებული. ხომ შეიძლება კერძში ჩავარდეს. მერედა, ულვაშის ღერო თაგვი ხომ არ არის უცებ შენიშნო? არ გჯერათ? ახლავე დაგიმტკიცებთ, — უთხრეს პრაქტიკანტებმა და წმინდაკბილა სავარცხელი ამოაძვრინეს ჯიბიდან, ილონას ხალხი ტიშმახინწალს მკბენარების გამქრობს რომ ეძახდა.

ერთმა ტანმაღალმა პრაქტიკანტმა ჯანჯას თეფშზე ნიკაპი დაადებინა, მე-

ორემ კი გულმოდგინედ უწყო ულვაშს ჩამოვარცხნა და რაღა გასაკვირი იყო მიჯრით მიწყობილ კბილებიან სავარცხელს ულვაშის ათასეულიდან ოცეული გამოეხშირა?! საგონებელში ჩავარდნილი შეფ-მზარეული ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

ხსენებული თაგვის ამბავსაც ბარემ აქვე ვიტყვით, უკეთეს მომენტს ვერც მოვუძებნით.

ის ოდინდელი ინცინდენტი ისტორიას ჩაბარებულიყო, მაგრამ პეტიკო თოდუას ცინცხალ გონებას რა დაავიწყებდა. ქალაქის მესვეურების სუფრაზე ერთ-ერთის სუპ-ხარჩოს თეფშიდან კუდი როგორ აიპრიხა თაგვმა?!

— ეს რა არის? — ანახეს ჯანჯას ბაწარივით ამოშვერილი უბედურება.

— რა უნდა იყოს, ჭირიმე, ბოლოკია, — თქვა, დაწვდა ჩანგალს, მიბრუნდა თეფშიანად ფანჯრისკენ და თვალის დაუხამხამებლად გადაუძახა. იმ წრუწუნამ ეტყობა იმდენად გაუმახვილა ყურადღება ჯანჯას სისუფთავის თვალსაზრისით, რომ საბაბის გამოძებნა წყლის ნაყვა იყო უკვე, მაგრამ ახლებს შეასმენ კაცი ანტისანიტარულ დამსახურებებს?!

— მოიპარსეთ და აქტს არ გავაფორმებთ, — ამბობდა იმ ხუთიდან სხვებზე მეტად ჭკუამოსაკითხი.

ჯანჯა ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდა. ორმოცდახუთი წლის ულვაშს რანაირად შელეოდა სიბერეში?! რას იტყოდა ხალხი?! ვინ დააწვეთებდა ცრემლს მის უულვაშო სახეს?! არადა, ის ოჯახკურთხეული ჯეელებიც დიეტურ მაგიდას მისხდომოდნენ და აშანშალებდნენ საჩივარს. დაიწერებოდა აქტი და თომა ლოლუა გაგაჩერებდა მერე ქალაქის პირველ რესტორანში?! და შეფ-მზარეულმაც იკადრა გაუბედავი ნაბიჯებით სვლა სიცილით გაგუდული პეტიკოს მაგიდისაკენ. უკან პურ-მარილით დატვირთული კოლეგები მოსდევენ.

— უნდა მიშველო, პეტიკო, — ეუბნება ფეხზეწამოშლილ მასპინძლებს ერთიანად გაფითრებული ჯანჯა, — შენს ნაცნობებს ჰგვანან ის ახალგაზრდები. იქნებ გადაათქმევინო აქტის გაფორმება. თომას ამბავი ხომ იცი, კინწისკვრით მისვრის აქედან. ოჯახი შიმშილით დამეხოცება. ან ულვაშის მოპარსვა იქნება ჩემს ასაკში?! მერე თავი სად გამოვაჩინო?! იქნებ მოიპატიჟო შენთან, ხარჯი ჩემზე იყოს, — ვედრებად იქცა წვრილშვილი კაცი და მომდევნო დღეს მთელი ზუგდიდი ხარხარებდა ჯანჯას ბეწვზე გადარჩენილი ულვაშის გამო.

იცვლებოდა ფელაფერ: ქუჩა, სკვერი, შენობა, უბანი, მოდა, მხოლოდ პეტიკო რჩებოდა იგივე.

იმ დღეებში პეტიკო თოდუამ ვინმე ჩიტირეკია გიორგი ხანთარიძის ღმერთად კურთხევაც მოასწრო.

დიდთოვლობის ჟამს დაჩი კეზუას ერთი ბედოვლათი ყმაწვილი გამოეჭირა. მასწავლებელზე არანაკლები მოხერხებულობით ცხებული შეგირდი

აქეთკენ შემოძღოლოდა. სულ ცამეტნი მოგროვებულიყვნენ შეერთებულ მაგიდებთან.

დაჩი კეზუა ამასწინათ დაბადებულ ცოცხალ ანეგდოტს ჰყვებოდა. ტუპდისპანსერიდან გამოწერილს თანაკლასელი ზოსი სონგულია შემოფეთებოდა ავტოსადგურში. მოეკითხათ ერთმანეთი. მოელოცა გადარჩენა თანამერხელს, მერე მიეპატიჟნა შინ, მაგრამ დაჩი კეზუას ქვა აეგდო და თავი შეეშვირა, ცივ უარზე დამდგარიყო. გაკვირვებოდა სკოლის ამხანაგს:

— როგორ, სმაზე უარი თქვი, კაცოო.

— სმაზე არა, ზოსის ჭირიმე, მაგრამ რა შუბლით მივიდე შენსას?! სკოლის დამთავრების შემდეგ მთელმა საუკუნემ ჩაიარა: უმაღლესში ჩაირიცხე და ვერ გინახულე; დაამთავრე და ვერც იმ სუფრაზე გეცი პატივი; კომკავშირის მეორე მდივნად დაგაწინაურეს და განზე დავრჩი; დაოჯახდი ბოლოს და ბოლოს და ზურგი ვერ მივათრიე თქვენსას უარაფრომ; ახალმოსახლეობა იზეიმე და კვლავაც უფულობამ შემბოჭა; მერე ერთი ძეობა, მეორე. არა, არა, არ მიმესვლება შენთან, სხვა დროისთვის იყოსო.

ზოსი ქეიფის ხასიათზე ყოფილა, თანაც ოჯახური მორჭმულობის წარმოჩენაც სწადდა სკოლაში ხელით სათრევს, უკვე ქალაქკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორს — რანაირად შეეძლო პოეტის გახუნებული საყელო, მისი თვითნაბადი ნიჭიერება მიწასთან არ გაესწორებინა? აეჩემებინა, დაეჟინა, ხელკავი გამოედო და ახალთახალ, შინდისფერ „ფიატში“ ლამის ძალად ჩაესვა.

— დიდი ამბავი ბიჭები არ გინახულებია, აგერ ფული, — უთხრა და ტკიცინა ოცდახუთმანეთიანები მიაწოდა, — შემოვა ერთი? ჩაუკუჭე ჯიბეში ცოლის დასანახად. შემოვა მეორე? იმასაც და ყველა დავალიანება ერთბაშად გამოისყიდება.

ზოსის ცოლს მშვენივრად მოეხსენებოდა დაჩი კეზუას ღვინოსთან სითამამე. ცხრა ტუპდისპანსერიც რომ გამოევლო, მაინც კუპრში მოელოდა ქშენა. მერედა, ერთხელ თუ ამოგიჩემებდა, მორჩენილი იყო საქმე. ამასთან მისი ქმრის მდგომარეობის ქალს რა ჭირად ენდომებოდა ლოთი პოეტის სიახლოვე? ხომ იტყოდნენ მეზობლები, მოშურნენი: დაჩისთან მეგობრობს ზოსიო და მეუღლის კარიერასაც წყალი შეუდგებოდა. ამიტომაც ისროდა სამზარეულოდან სასადილო მაგიდისკენ თეფშებს, სიტყვის ჰიპერბოლური მნიშვნელობით. დაჩი გრძნობდა დიასახლისის კეთილგანწყობილების კონდიტერიას. დალოცა ოჯახი და ის იყო მორიგი სასმისის შესავსებად გრაფინს დაწვდა დალეული თითებით, რომ ოთახში ბუთხუზა ბიჭი შემობუნჩულდა.

— რა გქვია ბიძიკო შენ? — ჩაეკითხა მოზარდს დაჩი კეზუა. დასაჩუქრების სცენა უნდა დიასახლისის შემოსვლას დაამთხვიოს.

— ლევანი. — უპასუხა ბიჭმა.

— რამდენი წლის ხარ, ბიძიკო? — იკვლევს დაჩი კეზუა ონავრის ავტობიოგრაფიას, მაგრამ ნურას უკაცრავად, დიასახლისი სამზარეულოდან არც ჩამიჩუმობს.

— შვიდის, — მიუგო პატარამ.

მაშინ დაჩიმ დიდის ამბით დააძვრინა ტკიცინა ოცდახუთმანეთიანი, გააჭრაჭუნა, ერთხელ, მეორედ.

— წიგნის ჰონორარი ავიღე. სახელმწიფო პრემიაზე წარმადგინეს. „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილეობა შემომთავაზეს, დავთანხმდი. ბევრი არ არის, ოცდახუთმანეთიანია, მაგრამ დედიკოს მიუტანე, მამას სადმე შემოეხარჯება! — თქვა და ზოსი სონგულიამ თვალები დააჭყიტა. დიასახლისი კი ჯარასავით ტრიალებს. მოაყარა სუფრას ხიზილალა და ზეთისხილი, სერვილატი და თევზეული.

არ გასულა ხუთიოდე წუთი, რომ მეორე ბიჭიც შემობუნთულდა ოთახში. ახლა ამასაც მიუჩოჩდა დაჩი კეზუა. ჯერ სახელი ჰკითხა.

— ზურაბი! — ამოღერღა ცეროდენამ.

აწ ასაკსაც ჩაეძია.

— ოთხი წლის, — დააზუსტა ანგელოზმა თითების მოშველიებით, და გაიკრა კვლავ ხელი ჯიბეზე, აატკაცუნა ისევ ოცდახუთმანეთიანი დიასახლისის წინაშე, მაგრამ მოაგონდა, ხვალინდელი საპახმელიო არაფერი აქვს.

— მაინც არ გაგახსენდება შენ ეგ, — უთხრა ღიმილით, მომცრო ბოლოკი ამოუყვანა თავზე და მადიანად ეძგერა სუფრას.

ამისთანა პიროვნება მოუძღოდა გიორგი ხანთარიძეს, რომელმაც მესამე სადღეგრძელოს შემდეგ: განმადიდეთ, განმადიდეთო, ამოიჩემა ერთი და იგივე, და მეორე ბოთლზე კისერი მოწყდა თუ არა, მიახრიგინეს ერთმანეთზე სკამები, დაასვენეს ზედ მაცხოვრის დიდებას გამოკიდებული ხანთარიძე, შეუმკეს შუბლი ბოსტნეულის გვირგვინით. მოკლედ, იანგლეს ზომაზე მეტად.

გიორგი ხანთარიძის ღვთიური ჩამომავლობის გამო არანაკლებ გაწურულან ოფლში ჩიტა ბეზუხა და ახალგამომცხვარი ქურდები. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ყმაწვილს, იგივე ბონდო ჰალიძონიას თუ ბუტუტი ანთარიას მშობელი მამა — ჟინი ანთარი გაექურდა. რესტორანებში ხუთთუმნიანების მფანტველს მალე დაცარიელებოდა ქისა. მერმე კირილე გოგოხიას შემნახველი სალაროდან ფულის გამოტანა ეცადა, მაგრამ ჩვიდმეტი წლის ყმაწვილისთვის უმშობლებოდ ფული არ გაუციათ. მოგვიანებით ბაზრის მილეთ ხალხში სპორტული ჩანთა დაჰკარგვოდა, წვრილფეხა ქურდებს აეწაპნათ. დაბოლოს, როცა შემსალაროს წიგნაკებს ჩიტა ბეზუხამდე მოეღწიათ, დუჩეს დაჟინებით ყალბი პასპორტი გაეჩალიჩებინათ, მაგრამ მოულოდნელად პატრონი გამომტყვრალა და საქმეც ერთიანად აიწეწა.

ახლები არ თმობდნენ, მსუჟე ლუკმის დაკარგვას ვერ ურიგდებოდნენ. ყმაწვილის ცხოვრებისეულ ტრაგედიას აინუნშიაც არ აგდებდნენ და რო-

დესაც ჩიტა ბეზუხა ჩამოშორდა მათ ყოვლად გაუმართლებელ განზრახვას, ვითარება უფრო დაიძაბა.

დაიწყს მოლაპარაკებანი. აშანტაჟებდნენ ბონდო ჰალიძონიას, დაიყოლიეს კიდეც გარკვეულ დათმობაზე — შემსალაროში გიორგი ხანთარიძის ანგარიშზე არსებულ ფულს თანაბრად გაიყოფდნენ, ნახევარს პატრონი წაიღებდა, ნახევარს — ყინჩილები, თუმცა მეანაბრემ სიტყვა გატეხა, მშრალზე დატოვა დათქმულ ადგილას მომლოდინენი და დევნაში მანქანა ამოუტრიალდა.

კარგა ხანს ქოთქოთებდა ის საქმე. ცალკე ხელისუფლებაც ჩაერია, ცალკე — პროკურატურაც, გვარიანი თანხის გაღება მოუხდათ მამლაყინწებს გამოძალვა რომ არ დაბრალებოდათ.

მერე ის ყმაწვილი გაქრა საერთოდ თვალსაწიერიდან, მაგრამ ამისთანა ტრივიალური ამბები ზუგდიდში როკის არყოფნის ჟამს ხდებოდა და ყოველივე ისე სწრაფად ჩაიფარცხებოდა, მის ყურთასმენას გიორგი ხანთარიძის სახსენებელი კარგახანს არ მისწვდებოდა.

— რაც არის სტალიპინსკის ამბებია, — დაიწყებდნენ ოდიშელიაზე საუბარს, — რკინის იატაკი გამოუხვრეტია თურმე და შპალებზე ჩამოსრიალებულა გაქანებული მატარებლიდან, მაგრამ ხელად აუყვანიათ, რადგან მართალ კაცს მტრებიც ბლომად ჰყავს.

ერთს ექომაგები?! ათს იმდურებო, ტყუილად როდი უყვარდა თქმა. აქამდე იმიტომაც ვერ გამოდის, ხან სისხლისმსმელ ზედამხედველებს უხათქუნებს მუშტს, ხანაც გამუდმებით გარბის ზონიდან და წლებზე წელს იმატებსო, — ამბობდნენ.

ეს დღეც წარსულს ჩაბარდებოდა, თუმცა ტრაგედია ის გახლდათ, რომ არ ჩანდა ხვალინდელი სივრცის პერსპექტივა, უფრო არსებითი მიზანი, მარადიული ცნებების ციცაბო ბილიკებით რომ დაიარება დღემოსწრება.

დაღუპული შეარქვეს ჰემინგუეის თაობას, რადგანაც კაფე „როტონდას“ იქით არსებული არე მზერაგაუღწეველ ბურუსს დაენისლა. დაიმსხვრა გმირის იდეალი. მხოლოდ წარსულით სულდგმულობდა იგი, თავად კი ვერაფერს ქმნიდა ახალს? ზოგადკაცობრიული მისიით ზეაღმტაცს.

იგივე სნებოვნება შეჰყროდა ოდიშელიას საძმოსაც: წარსულს აღმერთებდა, გარდახდილს განადიდებდა საკუთარი შესაძლებლობების უარყოფის ფასად.

დაახლოებით მსგავსმა განცდამ დააკნინა რომანტიკოსების პლეადა ბარათაშვილის მეთაურობით, ერი კი დიდხანს ვერ ისულდგმულებს წარსულის მონაპოვრებით. მას სისხლსავსე გადასახედი სწყურია. მისი გონება გამუდმებით ჩართულა მაძიებლობაში. საკმარისია გამოჩნდეს ვინმე ფიჩხის კონის ამწევი პიროვნება, რომ მაშინვე იმედნეულ თვალებს მიაპყრობს და სინამდვილეში ბუზის სადარს, აქლემად გადააქცევს, რადგანაც სხვანაირად ერს არსებობა არ შეუძლია; უკეთ, მოყირჭებია უგემური ყოველდღიურობის ლოღნა, ახალი განთიადებისაკენ მიაქანებს ათასწლეულობით დაგუბე-

ბულ-აშმორებული სული, რათა განიწმინდოს, განსპეტაკდეს მოძრაობაში. ამისთანა დროს სისხლის გამოშვებაც დასაშვებია, რამეთუ უძრაობაზე მომაკვდინებელი არაფერია ერის თვითმყოფადობისთვის.

როკის არყოფნის პერიოდში ქურდული ფსიქოლოგიის აღზევებაც აქედან იღებდა სათავეს. ეს იგივეა, რაც უძაღლო ქვეყანაში კატები აყფონ. მით უფრო, როცა ეროვნული იდეალებისთვის თავდადება აკვანშივეა მოშთობილი სუკ-ის უკიდურესობამდე დახვეწილი ინსტიტუტის მიერ.

ქვეყნის პატრიოტ შვილებს ათასი მოხერხებული ღონისძიებით ჩამოაშორებენ ერის თავისუფლებისთვის ბრძოლას. ყველაფერს იღონებენ, რათა სახელი გაუტეხონ; არაფერს დაერიდებიან, ბეწვს დირედ გამოაჩენენ საზოგადოების თვალში. ზოგჯერ სრულიად უხამს ჭორებს ააგორებენ, თანაც ამ კაკოფონიაში ხელისუფლების რუპორი პრესაც ჩაერთვება სრული აღვირახსნილობით და სინამდვილეში ჭეშმარიტ გმირს, იმდენს მოიმოქმედებენ, ან გიჟის ხალათს ჩააცმევენ ზოლებიანს, ან თვითვე აალოკვინებენ გადაფურთხებულს, და ლამის მკლავაკაპიწებულ ხალხს ერთხელაც ჩააქნევინებენ ხელს.

ამიტომაც სახელმწიფოს ფსონი სწორედ ქურდულ გაგებაზეა ჩამოსული. ეს ფენომენი შუალედურია ყაჩაღსა და დისიდენტს შორის. ქურდულ გაგებას გარკვეულწილად ხელი ამისთვის ემართება იმპერიული ყაიდის ქვეყნებში. თვითმპყრობელობას ორი ფენომენის ეშინია — ყაჩაღის, რომელიც ყელს ღადრავს სახელმწიფოს მოხელეთ და დისიდენტის — დედაბუდიანად მიწის პირისგან აღხოცვას რომ უქადის მის სახსენებელს.

ვინ იცის, რას არ ყვებოდნენ როკის ფათერაკებზე. ხალხი გმირის ძიებაში იყო. მართალია, ასეთი მესვეურები უკვე არსებობდნენ დროსა და სივრცეში მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სახით, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ისინი ან ცხრაკლიტულში გამომწყვდია ორთავიან არწივს, ან კიდევ კომპრომეტირებული ჰყავდა ერის ცნობიერებაში და ამისთანა ვითარებაში, მართალს თუ გამოგონილს, უდრეკელი ხასიათის როკის მიაწერდნენ გულღია ოდიშელები.

ეს საუბრები ცხრაას სამოცდათვრამეტიდან შეიმოსა მეტი ზღაპრული ელ-ფერით, როცა იმპერიამ ნიადაგი მოუსინჯა ქვეშევრდომი ხალხების მზადყოფნას საკუთარი ღირსების დასაცავად; როცა ენის წართმევით ეროვნული თვითმყოფადობის ამოძირკვა სცადა უკიდეგანო გამგებლობაში და რადგანაც სწორედ იმ დღეებში ოდიშელიამ ნარზე დაიჭედა ფეხები საკაკუტე ლურსმნებით, ხოლო პირი ნემსითა და ძაფით ამოიკერა პროტესტის ნიშნად, ხალხის ფანტაზიასაც სხვა არაფერი უნდოდა. სიყრმიდანვე სიმართლისთვის მებრძოლი ჭაბუკის არსებობა ლოგიკურად დაუკავშირა მისი საშვილიშვილო მიზნებისთვის მოვლენილ მესვეურს. როკის პორტრეტი ამიტომაც იხვეჭდა დღითი დღე მამულისთვის მოწამე მოყმის იერს.

საქართველოს გმირების მეტი ვინ ჰყოლია. ხალხისთვის უსაგნურია თანამდებობრივი პრივილეგიები თუკი ინდივიდუუმი მოწყვეტილია ეროვნულ მსოფლგანცდას. თვით ფრიად მორჭმული მეფეებიც იმიტომ შერჩებიან ხოლმე ქვეყნის ხსომიერებას, რომ იმ მონარქებს სკიპტრისა და გვირგვინის შენარჩუნების გარდა, მამულიშვილური საქმეებიც უკეთებიათ მეტნაკლებად. გმირები კი უმეტესწილად უშუალოდ საზოგადოების წიაღიდან აღმოცენებულან ყველგან და ყოველთვის: რობინ ჰუდები, გარიბალდები და პარნალები ხალხის სულიერი მოთხოვნილებისამებრ იძერწებიან. გვინდა თუ არა ყოფითი შტრიხები ნელინელ ჩამოშორდება მათ საკრალურობას და მოვა ჟამი, როცა ეს პიროვნებანი ერის სულიერ მესაჭეებად მოგვევლინებიან სანგვინიკური დაუდგრომლობით და მამული, რახან ერთხელ დაადგამს იდეალისთვის გადანახულ გვირგვინს მემკვიდრეს, მონომახის ქუდივით შესაძლოა ზორბა აღმოჩნდეს რჩეული თავისთვის საბურველი ესე, მაგრამ თვალს უხუჭავს იგი წინამძღოლად დასახულის ნებისმიერ ადამიანურ სისუსტეს; საბედისწერო შეცდომასაც მიუტევებს და მის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას საკუთარი ნებელობის ხელყოფად მიიჩნევს მერმე.

დიახ, ძვირფას საგანძურსავით, ამიტომაც ელოლიავება ერის ცნობიერება მათ სახელებს — უბრალო გუთნისდედებს, მჭედლებს: ბულათია ფიფიას, უტუ მიქავას, მართალია თოდუას, ცოტნე დადიანს, ბერ თევდორეს, მაია წყნეთელს, შალვა და ელიზბარ ჩოლოყაშვილებს, რადგან მათი გაიდეალებით უკვდავების წინაპირობას იქმნის უეჭველს.

მოკლედ, გამოღვიძება არ არის მხოლოდ ზედაპირული შინაარსისა, ის პოლიფონიური მოვლენაა. ლამაზი შენობები და ქუჩები, კამკამა სკვერები და კაფეები საზოგადოებასაც მშვენიერს აღმოაცენენ ადრე თუ გვიან. ამაღლებული სული კი საკუთარ რაობაში გაურკვევლად უდღეურია და მთლად ოდიშის ბაზრის შეურაცხადების ჯილაგისა თუ არ ხარ, მოვა დრო და ერთხელ მაინც შემოიხედავ სულში, ერთხელ მაინც უთუოდ შეეკითხები მეობას, სინდისს: შეგეძლო კი უკეთესად წარგემართა საწუთრო? რომელი ნაბიჯი იყო შეუფერებელი, სად გიმტყუნა ვაჟკაცობამ და რაჟამს მოიმოქმედე ქვენა?! ვერავინ გაექცევა ამ სამსჯავროს, და რადგანაც პიროვნების თვითსასამართლო დღეს თუ ხვალ გარდუვალია, ბედნიერია კაცი, რომელიც ამ მოთხოვნებს ძალების გაფურჩქვნის ხანაში ჩაუღრმავდება.

ოდიშის შემოგარენის ფერისცვალებამ შემთხვევით როდი გამოაღვიძა კოლხის ბუნებაში მთვლემარე მთავარი ძარღვი თვითმყოფადობისა, რომელიც დასაბამიდან ჟღერდა ჰოუნანას სევდიანი მოტივებით. ორ ზღვას შუა გაჭიმული ეს სიმი კვნესოდა და კვნესის განუწყვეტლივ უკუღმართ ბედიღბალზე. მან ვერასდროს მოიცალა ტკბილი ჰანგებისთვის მითოსური ეპოქებიდან მოყოლებული; კავკასიონის მთაგრეხილებს მიეჯაჭვა ქართველი კაცის ყოფიერება ათასწლეულების მანძილზე. გამეხებული ურდოები ბაწარაღებით მოეშურებოდნენ ამ ჯადოსნური სიმის გასაწყვეტად, მაგრამ იგი ყო-

ველთვის მოუხელთებელი იყო დუშმანისთვის, უწინარესად არამატერიალურობის გამო, უკეთ — უჩინმაჩინობის მეოხებით.

თითქოს გუშინწინ იყო მაყაშვილების ამაყი ასულის — მაროს სხეულზე ნალდაკრული ჩექმებით გადაჯირითება; თითქოს ახლახან მტკვრით განესპეტაკებინოს მაცილს ქართველი სტუდენტების ამბოხი. დაშოშმინდებოდა წამით იმ უკვდავ სიმზე გაფოთლილი აზატობის რტოები, დაილეწებოდა გრიგალების შემოტევით, და კვლავ ჩვეული სევდიანობით დაიწყებდა ჩივილს გაუტანელ წუთისოფელზე; მაგრამ ისევ იფეთქებდა კულისებში „ოქროს საწმისის“ სულისკვეთება, რომელიც დაურიდლად ამხელდა იმპერიის ამაზრზენ დემონურობას; არქიპელაგის გულაგის ჯურღმულებზე მოუთხრობდა მრევლს, დაუსურათხატებდა ცისფერ ქანაანს და ერის მიმნდობ გულსაც ბარე ნახევარი საუკუნე ჰყოფნიდა მერმე უსიკვდილო სიმზე აყვავებული ის მაჟორული აკორდები თავისუფლებისა.

მოუხელთებელ იანებს უბე-უბე დაჰქონდათ აკრძალული ფურცლები. თვალსაჩინოების ადგილას გამოაკრავდნენ მათ ყოველ ცისმარე და სანამ სუკის დოყლაპია აგენტები ჩამოფხეკდნენ კედლიდან, მთელი ქალაქი დახარბდებოდა მასულდგმულებელ ციდა ინფორმაციას.

ო, რაოდენ სვეკურთხეულია ერი, რომელსაც აღმოსავლეთით ფარნავაზივით შვილი დაებადება და დასავლეთით — ქუჯისმაგვარი მოყმე, მაგრამ ორგზისბედნიერია მამული, როცა ერთ-ერთი თავს დაუდრეკს მეორეს და ამ თავისდახრას პატივის აყრად კი არა, სამშობლოს კეთილდღეობისთვის ნაკარნახევ ქმედებად ჩათვლის.

მოკლედ, აქ შებრუნებითაა გაგებული აფხაზის წყევლა — შენითაც საკმარისზე მეტად მოგეხსენება ჭეშმარიტებისა, მაგრამ ჯერაც ნაკლული ცოდნის ფიალა ბოლომდე რომ გალიპლიპდეს, იმ მეორესაც უნდა დაესესხო, გნებავთ — კვნიტი მარილისხელა სიბრძნეს, რათა მერმე გაერთიანებული ძალით გაიოლდეს ურემივით ტალახში ჩარჩენილი მამულის სწორ გზაზე გამოყვანა. ამისი გამეორების შანსი ლამის ორიათას სამასი წლის შემდეგ ებოძათ ქართველებს; თითქმის დადასტურდა ჰეგელის ტრიადის ჭეშმარიტება ქართული სინამდვილით, მაგრამ, როგორც ჩანს, ამდენი ხნის მანძილზე პრობლემებიც აურაცხელი დაგროვებოდა ოდაბადეს ჩვენსას, რასაც უკვე მხოლოდ ქვეყნის ვიწრო ჩარჩოებში ვერ განიხილავდი მსოფლიოს სულისკვეთებიდან გამოცალკევებით.

კოლხეთ-იბერიის ტანდემური ყისმათი ერთი ხურჯინის ორი თვალია ზეკარის უღელტეხილზე გადმოკიდებული. მათი შერწყმით აღმოცენებული საქართველო ბინარული აღნაგობისაა ადამიანივით, და საერთოდ, ნებისმიერ მოვლენასავით, მიკროდან მოყოლებული, მაკრო განზომილებების ჩათვლით: მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროები ტვინისა, წყვილეული ზედა და ქვედა კიდურები, წყვილეული აპარატურა მხედველობა-სმენის, ტყუპი ჯირკვალი დიადი საქმის სამსახურში ჩამდგარი ერთი სასწრაფველით,

და როდესაც ცნობიერების პროდუქტიც მსგავსი შედეგისაა, ყოვლად უსაგნურია მტკიცება იმის შესახებ თუ, რომელია წარმმართველი და რომელი — დაქვემდებარებული, რადგანაც მათი ჰარმონიული თანამოსაქმეობით წრედი შეკრულა; მაცილისეულია ერთი თუ უფლისეულია მეორე, სანამ მოყვრულად არ ჩაებღაუჭებიან ერთმანეთს, მზე არ გაჩახჩახდება ცის კამარაზე; ფოთოლს არ მოისხამს ტყეების ფაფარი; მდინარეები არ დაქანდებიან ზღვისკენ მთათა იისფერი მწვერვალებიდან; ადამიანიც ვერაფრით წადგამს ნაბიჯს და მითუფრო ქვეყანა — სიდუხჭირის ძაძებით შემოსილი მტრებისგან ნაოხრებ-ნაპარტახალი. და რაჟამს ეს ეჭვმიუტანელი საიდუმლოება სამყაროისა ზედმიწევნით გაუცნობიერებია იმპერიასაც, საძნელოა განა ყველა სადავის მფლობელმა შენი მასულდგმულებელი მთლიანობა მზაკვრულად ხელყოს ათასი მეჩეჩ-ბარიერით?!

ადამიანი ფორმულაა უსასრულო სამყაროსი. გულთამხილავი კაცობრიობა ოდესმე გალაქტიკათა ჭვრეტით თვალებამოღამებულ ობსერვატორიებს ერთხელ იქნება და მიმართულებას შეუცვლის, სწორედ ადამიანისკენ მოატრიალებს არაფრისმთქმელ განზომიელებებს უმეცრებით გამოდევნებული და იმწამსვე, თვალის დაფახულების ბორჯალში იდუმალებით შებურვილი ყველა კითხვა ფარ-ხმალს დაყრის მის წინაშე; მაგრამ რაში ეპიტნავება ახლა ეს მოფილოსოფოსო ტირადები სამოცდაათიანი წლების შეურაცხად ტრიოს ადევნებულ ოდიშელებს?!

აკვირდებოდნენ გადაბრძანებული სამეულის ძირითად შემადგენლობაში საფუძვლიანად დამკვიდრებულ ჭოღოს. მთავარი შტრიხები განუყრელი რეკვიზიტებივით თან ახლდა პატრონს — ბალნიანობა, სხვათა გამონაცვალი ტანსაცმლით თავმომწონეობა, კაზანოვას ცხვირი. ხოლო რაც შეეხება ქცევებს და მანერებს, ისინი დროის შესაბამისად გარდაისახებოდნენ თანდათან პეტიკო თოდუასგან განსხვავებით.

ბაზრის კართან ატუზული ჭოღო გამოიჭერდა ნაცნობს და ორი თითით ყელგამოწეული დაზუთხული ფრაზით დაეღრიჯებოდა:

— სტალინ დო ბერია ქორწანსდა, ჭიჭე ფარა ქომუჩი!* — და ქვა უნდა გდებოდა მკერდში გულის ნაცვლად ოჯახური საჭიროებისთვის დაძრულს ჯიბე მანეთიანით მაინც არ შეგემსუბუქებინა.

მართალია, სოციალისტური ქვეყნის აღმშენებლობისთვის თავგადაკლული ბელადი და მისი მოწაფე დიდი ხანია ისტორიამ თვალის დაუხამხამებლად ჩამოაშორა სარბიელს, მაგრამ ხალხს კვლავაც უღვიოდა გულში მათი ნამყენი სიყვარული და ამიტომაც გიჟების სამეულში ჭოღო ყველაზე შემოსავლიანი გახლდათ. სახეშეშუპებული ქალების ჯოგიც ამიტომ გულშემატკივრობდა სხვა რამეებითაც გულუხვ მასპინძელს. ესეც რომ არა, აკამკამებული ჭადრების ხეივნის სიმყუდროვე ხომ მის განკარგულებაში იყო შუაღამიდან ალიონამდე?!

ლიმა მეოთხე

ლაზარე
307692

დრანდის აეროდრომში მომლოდინე მილეთ ხალხში ტანმორჩილი დედა იმთავითვე შენიშნა როკიმ, შენიშნა და აუთრთოლდა კიდეც ნიკაპი. მშობლის დიდი ხნის უნახაობა ნაკლებად ასაზრდოებდა ამ განცდას: ქირხეს გახუნებული ძაძები გადაეყარა და ქალიშვილობის შემდეგ პირველად შემოსილიყო ღია ფერის ტანსაცმლით.

ნათესავებისა და მეგობრების სახეები მოზაიკურად აღიქვა ოდიშელიამ და ამ მთლიანობაში კელაპტარივით ასინათდა დამბადებლის სხეული მრუმე ფონზე.

იცოდნენ დამხდურებმა უპირველესი ალერსი ჟენიას ეკუთვნოდა და თვალცრემლიანებმა ადროვეს დედა-შვილს ხვევნა-ფერებით გულის მოჯერება. მარცხენა ხელში აეტატებინა გამჩენელი ქარბუქგამოვლილ მემკვიდრეს. მარჯვენათი დიპლომატი ეჭირა, მაგრამ ვერავის წამოედგა ნაბიჯი იმ ტვირთის შესამსუბუქებლად.

— დამსვი, ნანაგე, არაფერი იტკინო! — ეჩურჩულებოდა სიხარულის ცრემლებისგან გაგუდული ქალი. და მაშინ გაახსენდა როკის სადღაც ამოკითხული იაპონური ლექსი, ხელში რომ აიტაცებს დიდი ხნის უნახავ მშობელს შვილი და სიმჩატისგან ვეღარ ზიდავს.

მომდევნო ჩახუტება მორდუს ხვდა წილად, ძუძუმტეებისა და ძმადნაფიცი ავიძბების დედას, ვერა მარშანხეს. მერე გაჭაღარავებული მამა ვალერიანი და ასევე ვერცხლმომრავლებული ინალ ავიძბა ჩაიკრა მკერდში სათითაოდ. შემდეგ აირია მწყობრი; კოცნიდნენ და ეხვეოდნენ მარჯვნიდან თუ მარცხნიდან: ნათესავები, მეგობრები, ძუძუმტეთა ცოლები, მათი შვილები. ყველაზე ბოლოს თექვსმეტი წლით უნახავი უფროსი ძმა გივი ჩაიკონა და მანქანებამდე ისე მივიდნენ, ერთმანეთს არ დაცილებიან. ყველასთან გაცვალა თითო ფრაზა.

გამოცდილია, ადამიანის გონება განსაკუთრებული ვითარებისთვის ერთიასად მომართულია.

მიცვალებულის გასვენების დღეს ჭირისუფალს სულ ცოტა ხუთი ათასი კაცისთვის უწევს ხელის ჩამორთმევა თუ კოცნა და წარმოიდგინეთ, წარუშლელად ამახსოვრდება მათი ჩაცმულობა, სიტყვები, გამოხედვა თუ მანერები.

ასევეა ზეიმის წუთებშიც, ოღონდ შედარებით ნაკლები შთამბეჭდაობით. ტყუილად როდი უთქვამს ებრაელს:

გაჭირვებული ქართველის ჭკუა მომცა, ქვეყანას გადავაბრუნდედიო. ეს

ყველაფერი სასხვათაშორისოდ, მაგრამ როკის მკლავზე ჩამოკიდებულ ჟენიას უკვე თადარიგი დაეჭირა ვაჟიშვილის დასატყვევებლად.

— მორჩა, მეტჯერ ვერავინ წამართმევს ცხვაბარით გამოზრდილს, — ეუბნებოდა ვერა მარშანიას ქირხე, — ვერც ქურდული კანონი და ვეღარც — რუსეთის საპატიმროები. მშვიდობით დამიბრუნა ღმერთმა და აწი მე ვიცი და ჩემმა ქალობამო, — იქადნებოდა მემკვიდრის გასაგონად, თუმცა ეს ქადილი ცარიელი სიტყვები როდი გახლდათ.

დეპეშა რომ მოუვიდა ზატოჩნიკისგან, ვაჟიშვილის ამხანაგები მოიხმო შინ და ყველა დააფაცურა. ზოგს აზოს და ფისოს გაფრთხილება დაავალა, სხვებს — ცინცხალი „ოცდაოთხის“ შოვნა.

მეზობლის ქალებს სახლის კედლები შეაწებვინა ფინური შპალერით.

გენადის ილორში გასამართი სუფრის მოკვარახჭინება დააკისრა.

ოჯახში ყველა საქმის კლიტე მის ჯიბეში იყო უკვე. იცოდა აღაიაზ ილონას ჩამოსვლის ამბავიც და როკის კვლავაც რომ არ არეოდა ცხოვრება, ნათესავი დედაკაცები დაატრიალა. ულამაზეს ქალიშვილს დაადგა თვალი სარძლოდ. მართალია, მემკვიდრეზე ფრიად უმცროსს, მაგრამ ცოლქმრული სიამტკბილობისთვის ასაკობრივი სხვაობა, პირიქით, აუცილებელიცაა, ამტკიცებდა.

იცნობდა ჟენია დამტირებელ პირმშოს. ქუჩაში გავლილ ქალიშვილს იგი ცოლად არ დაისვამდა, ამიტომაც მიაცივდა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეს, თურმანიძეების მხოლოდშობილ ასულს. შვილის სადავეების ერთბაშად დაუფლებას ლამობდა ტანმორჩილი დედა. ეს ყველაფერი ბიჭის მომავალზე მოჭარბებული ზრუნვით მოსდიოდა, მაგრამ ოდიშელია ჯერაც თვინიერად ითმენდა მშობლის მბრძანებლურ კილოს. მომავალში ხომ სულ ერთია, ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდებოდა და რისთვის ეტკინებინა გული მზრუნველი ქალისთვის?!

მანქანის ფული ძმაკაცებს შეეგროვებინათ როკისთვის. თოთხმეტ წელიწადში პირველად მიუჯდა ოდიშელია ტაოტიანი, ხოჭოსავით შავი „ოცდაოთხის“ საჭეს. გვერდით ჟენია ქირხე ენას არ აჩერებდა. უკან ვალერიანი და გივი მოკალათდნენ. მალე დაიურვა მანქანა როკიმ, მაგრამ არ ჩქარობდა. ოცამდე „ვოლგა“ ექსკორტივით გაიჭიმა სიმწვანეში ჩაფლულ გზატკეცილზე.

როკი მიჩვეულია მოულოდნელ გამოძახებებს — „ოდიშელია, ნა ვიხოდ“. სამართალი რომ იყოს, ეს ფრაზა ეპიგრაფად უნდა უძღოდეს ამ წიგნს. მიდიხარ, მაგრამ ჯერ არც კი იცი საითკენ გიკრავენ თავს. ადგილობრივ ადმინისტრაციას ყელში ამოსვლია შენი გაუთავებელი კონფლიქტები თანასაკნელებთან თუ ზედამხედველებთან. მიზანი ერთია, ოღონდ მოგიშორონ და ჯანდაბამდისაც გზა გქონია, ისინი ხომ მოისვენებენ ზედმეტი ხათაბალისაგან?! თურმე ზუგდიდის ციხე მწყობრში შესულა და როკიც ამიტომ გაიხსენეს. რას იღონებს იქ, როგორ აურევს დავთრებს ოდიშელ მართლმსაჯულებს,

დრანდელ ჩინოსნებს სულაც არ ადარდებთ და აჭა, მშობლიური ქალაქის ცხრაკლიტულს მოაყენებენ ცხაურიანი მანქანით. ბოქსში თითო-თითოდ მიუჩენენ ადგილს ყველას, მაგრამ ოდიშელიასთვის არავინ იცლის. თურმე ცვლას უცდიან და აი, როცა ორივე — წამსვლელიცა და მომსვლელიც გაერთიანებულია რამდენიმე წუთით, გააღებენ ბოქსის კარებს და ციხის უფროსი, პოლკოვნიკი ღებრანძე თავზე დააყენებს ურჩობის გამო ციხე-ციხე მოხეტიალეს.

ღებრანძე იმერელია წარმოშობით, მაღალი, ხმელ-ხმელი. გვარი პაპამისიდან მოყოლებული აქაურ ყაიდაზე გაუმართავს — ნარი ჩამატებია, ღებრაძე ღებრანძედ ქცეულა.

— ოდიშელია, — ხმას ჩაიბოხებს ციხის უფროსი, — შენ ამ სამ წელიწადში ხუთი ციხისა და ოთხი ზონის გამოცვლა მოასწარი. რასაც შენზე ჰყვებიან, ნახევარიც მართალი თუა, ათ კაცს ეყოფა საამაყოდ. მაგრამ ამიერიდან განსხვავებულ რეჟიმში მოდიხარ. როგორც ზუგდიდელს და კარგ ბიჭს, დიდ პატივს გცემ ნამდვილად, მაგრამ აქ ჩემი კანონი და სამართალია. დაიხსომე, აქ პირწმინდად აღკვეთილია გრევების მიგზავნ-მოგზავნა. აქ კაკუნებისა და გადაძახილ-გადმოძახილების მზე ჩასვენებულა ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენი ჭირი წაიღეს ქსივებმა და ზედმეტმა პერედაჩებმა.* გავა რამდენიმე დღე და მიხვდები, როგორ გავაძვრინე ნემსის ყუნწში ყველა. წურწინს არჩქილენა*, — ამბობს ძლივსშესამჩნევი აქცენტით ღებრანძე და ამით მიახვედრებს როკის, თქვენებური ენაც მშვენივრად მისწავლიაო, — ჩემი კანონი ულმობელია, ოდიშელია, მაგრამ — სამართლიანი. განსაკუთრებული არაფერი დამინერგია, რასაც წესდება მიკრძალავს. მიწასთან გავასწორე საკანში ხმამაღლა საუბრები. ძირფესვიანად აღვკვეთე კოიკებზე ჯდომა თუ წამოწოლა დო ატბოი.* ესე იგი ათ საათამდე მარტო ჩაბეტონებულ სკამებზე ჩამოსკუპდებით.

— ვიცი მე ეს კანონები, მაგრამ საჩემო რომ ჯერ არ გამოჭედილა?! ქეც გადავძახებ, ქეც ვილაზღანდრებ, ქეც წამოვჯდები და ქეც წამოვგორდები. რაც შეეხება პერედაჩს, არც შეგეხვეწები. მომცემ?! კარგი კაცი იქნები, არადა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

— ბევრმა წამოიწყო ასე, მაგრამ მოჭკვიანდნენ ბოლოს. არ შემისრულებენ ნადზორები ბრძანებას? იციან საერთო კამერაში შევყრი ყველას. მიჩივლონ მერე ინაურთან. კარგი დედის შვილები არიან ჩემს სიტყვას გადავიდნენ. ასე რომ, ოდიშელია, უმჯობესია გაჰყვე ამათ დალაქთან, თმაც გააკრეჭინო და წვერიც მოაპარსვინო.

— სამი წელიწადია უფროსო, მაკრატელი არ შეხებია ჩემს წვერს და თმას. აგერ არის თქვენი შანტრაპა, აგერ — მეც. სანამ ფეხზე ვიდგომები ცოცხალი თავით ამისი გამკეთებელი არა ვარ, მაგრამ

მაინტერესებს რომელი ერთი გადმოადგამს პირველ ნაბიჯს? ცვლა დამთავრებული არ იქნება, ისე ცეცხლს მიეცემა მისი სახლ-კარი.

— კარგი, დავშინდით! იარე ბეტარიკით.* მართალია, სასტიკად აკრძალული მაქვს ამისთანები, მაგრამ შენთვის ვუშვებ გამონაკლისს. როცა მკბენარები დაგესევა, აქეთ შემეხვეწები. მთავარი პრობლემა კიდევ წინ არის.

— მაინც რა? — ჰკითხავს როკი.

— ვინც მეურჩება ხოლმე მესამე კამერაში ვუშვებ ჯიბო საღორიელთან. ორმა ნადზორმა ძლივს ასწია ბუშლატი, რომლითაც საათობით ვარჯიშობდა თურმე. ამბობენ ოთხი ფუთი იქნებაო. ბამბა გამოუცვლევინებია ზეკებისთვის, მის მაგივრად ტყვიის ფურცლები ჩაუტნევინებია და საკერავი მანქანით დაულიანდაგებინებია. მეთორმეტე საუკუნის ჯვაროსანი რაინდივით ბუქნაობდა თურმე ამ ბუშლატით ზონებში. ვისაც მუშტს დააკარებდა კედელზე შპალერივით აწებებდა. ჩამოვართვით. წარმოიდგინე ახლა რა დღეში ჩაგაყენებს ენერგიაგამონთავისუფლებული ის ველური? მაგრამ ჭკვიანად თუ მოიქცევი, კამერების მეტი რა მაქვს!

— გამახარე რომ იცოდე! დიდად დამავალებ, პირდაპირ იქ თუ შემიშვებ.

ამით მორჩება ციხის უფროსსა და როკის შორის მოთელვითი საუბარი. გულდასმით გაჩხრეკენ. მარცხენა ფეხსაცმლის ლანჩასა და ქუსლს შორის ოდიშელიას ღილაკიანი დანა ისე ოსტატურად დაუმალავს, ნალდაკრული ქუსლიდან ამისი შემჩნევა გამოცდილ ხარაზსაც გაუძნელდება. ფული სარეცხი საპნით შემოაქვს. ოთხი ცალი შიშველი ლეზვია პირის ღრუში შეუუჩინარებია. ამისთანა ეშმაკობებისა ჩინებულად უწყის ციხის უფროსმა, იმიტომაც ალაპარაკებს დიდხანს, და როკიც მოხერხებულად ყლაპავს და ყლაპავს სისხლს.

— ერთი მექნება საოხოვარი, — ოდიშელია დიპლომატს ხელიდან ხელში გადაიტანს. თეთრ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი თავს ამაყად ასწევს, — ლოგინი ხოზაბსლუგისმ კაცმა წამომიღოს. დაგებულ ხაფანგში ქე მაინც ღირსეულად შემიშვი!

— კარგი, ამას გაგიკეთებ. ჩვენთან პასტელს ქურდები თვითონ დაათრევენ. გაბედონ პასუხისმგებელმა მორიგეებმა მიშველება! ეგრევე მივახსნი, თან კარცერშიც ვაყურყუტებ თხუთმეტ სუტკას!

მიდის თეთრებში გამოწყობილი როკი. უკან მიჰყვება დაგრაგნილი ლოგინით სამეურნეო სამსახურის კაცი. მიადგებიან მესამე საკანს. გაუღებენ კარს და ოდიშელიაც უყოყმანოდ შევა. მიესალმება ყველას, მაგრამ პასუხს არავინ იძლევა. აქ როკის კეთილმოსურნეებიც არიან, თუმცა ჯიბო საღორიელს ისე დაუბეჩავებია ისინი, არ იციან რა მოიმოქმედონ. ხელი ჩამოართვან, მიესალმონ ოდი-

შელიას, ეგერ ტახივით გაჯაგრული საღორიელი ქშინავს, არადა, გინდ მგელს შეუჭამიხარ, გინდ — მგლისფერ ძაღლს.

მოიხურება საკნის კარი. როკის გონება მსწრაფლ მოისაზრებს გამოსავალს. რკინის საწოლზე ახლახან დაგებულ ლოგინს ჩაუვლის, უფრო მოხერხებულზე წამოწვება, თან ოსტატურად ჯიბეში გადაიტანს პირის ღრუში დამალულ ლეზვიებს.

დუმილში ლამის ნახევარი საათი გაივლის. არავინ ბედავს ხმის ამოღებას.

ბოლოს ისევ ტრუსისამარა, გაბანჯგვლული ჯიბო საღორიელი დაიბუბუნებს:

— ძმობილო, ჯერ ერთი, ჩემს ლოგინზე წევხარ, მერედა, ტოლიკი არის დღეს მორიგე, სადისტი და მანიაკი, შემოაკვდები. არც ჩვენ დაგვადგება კარგი დღე!

ყველანი სკამებზე სხედან. გაშლილი ლოგინების კუთხეებზე შეიძლება თითი წაიჭრა.

უეცრად საკნის კარი აჩხარუნდება, გაიღება და უფროსი ლეიტენანტის ფორმაში გამოწყობილი მინჯორაია შემოეტევა. სამ წელიწადში ერთი ვარსკვლავი დაუთრევია. როგორც ჩანს გამომძიებლობას გამოქცევია და ქერის ორმოში ჩამხტარა. ციხის უფროსმა ყველაფერი იცის, სამართებელივით აფხიანებულ ყამასავითაა. იმდენი მოისაზრა ერთად შეყარა აბიჟნიკი და ზეკების ქომაგი, დამჭერი და დატყვევებული, ისე რომ, არც მინჯორაიამ უწყის ამის თაობაზე რამე და აღარც — ჯიბო საღორიელმა. ვნახოთ აბა, რა პანტერაცაა. ზის ახლა თავის წაგრძელებულ კაბინეტში ღებრანძე, სვამს ყავას და თვალებმოწკურული შიგადაშიგ ხითხითებს.

შუაგულ საკანში გაიჯგიმება მინჯორაია. წელზე დოინჯს შემოირტყამს, თითქოს საჭიდაოდ ემზადებაო.

— თქვენი დედა... — ძრავალსართულიანი გინებას მიაყოლებს ჩვეულებისამებრ, მერე იმ სამი წლის წინანდელზე მოგრძო გიშრის მუნდშტუკს ამოიღებს, დააძვრენს „პრიმას“. რამდენიმე სანთებელა იელვებს ზედამხედველთა ხელებში, მაგრამ ყველას იუკადრისებს, საკუთარით მოუკიდებს, — ამ ბიძას ვერ აუხსენით, რომ მე აქ კაცს ცემით ვამახინჯებ ლოგინზე წამოწოლის გულისთვის?!

ვახსენეთ, მინჯორაიამ არაფერი უწყის მსხვერპლის ვინაობის თაობაზე-თქო. თანაც წლებს თავისი გაუტანიათ. გვარიანად შეუცვლია როკისთვის სახე, ყველაფერს მოშვებულ თმას და ჯაგარა წვერს თუ მივუმატებთ, მისი სითამამე სრულიად გამართლებულია.

უფროს ლეიტენანტს წინადადება არც კი დაუმთავრებია რიგიანად, რომ როკი უკვე წამოფრენილია ლოგინიდან.

„ამ კამერაში გადაწყდება ჩემი ბედ-იღბალი. გავარღვევ მგლების გარემოცვას და მომავალში თვით სიკვდილიც ვერ მომჭამს ფეხებს.

ზურგს ნუ შემაქცევ, კაბადოკიელო, ძმაო!“ — გაიფიქრებს როკი და თვალების დაკვესებით ასეთნაირად მიაძახებს მინჯორაიას:

— მეც შემაგინე?!

— კარგი, დაუთმე, თორემ ყველას კატოკივით გადაგვივლიან, — აჩურჩულდებიან აქეთ-იქიდან.

— ბედისწერას ჰყავხარ აყვანილი, შენი დედა... გაათრიეთ გარეთ! — უბრძანებს ხელქვეითებს მინჯორაია, თან ხარბად გააფუტებს გიშრის წაგრძელებული მუნდშტუკიდან.

— იარაღი ხომ შემომიგდე?! ახლა დედასაც მაგინებ, ძუკნა ძაღლო, პანტერას?! — მიაყვირებს და სანამ ნათქვამს რიგიანად გაიაზრებს მინჯორაია, სანამ სამი წლის წინანდელ ოდიშელიას სახეს ავაზას მცნებას მოარგებს, ეროსავით წამოსული მუშტი ანთებულსიგარეტიან მუნდშტუკს პირში ჩასჩრის.

„ფარფალიას ცარცი“ — გაუელვებს გონებაში როკის. ამასობაში ლავიწზე მარცხენას ამოაკერებს, მარჯვენას ბადექონის არეში მოუნაცვლებს და ტოლიკიც ორჯერ შეტრიალდება ჰაერში, იატაკზე პირადმა დაენარცხება. ახროტინებულს ღია პირიდან მოუჩანს აბოლებული სიგარეტი.

— გაათრიეთ! — ბრძანებს როკი, მარჯვენა მაჯაზე ხელი წაუჭერია და თითებს ჩაჩხავს — ჩემი კამერის ნომერი დაივიწყეთ! კრახმა აქ შემოსვლა როგორ გაბედა?! — იღრინება ტყიურივით, მაგრამ ერთიანად დამფრთხალ შანტრაპას ცოცხალ-მკვდარი მეთაურის წასვენება ვერ გაუბედავს, რადგანაც როკის ჯერაც ვერ მოუფხანია გული, ჯერაც ჭაჭებში უგლაჯუნებს და უგლაჯუნებს წაწვეტებულ ფეხსაცმელს.

ახალთახალი შავი „ოცდაოთხი“ შეუფერხებლად მიქრის ტრასაზე. ტანმორჩილი დედა კვლავაც თავისას ჩასცივებია. არ უნდა გააწბილოს შვილმა, ერთხელ მაინც დაუჯეროს მშობელს: სარძლოს არაფერი დაეწუნება, პირიქით, ოდიშის პირველი მზეთუნახავია. რამდენიმე თვეში სკოლას დაამთავრებს. დედისერთაა, მდიდარი, წყნარი, სახიერი. შვილის უჩუმრად ყოფნა ქალის მიამიტ გულს თანხმობად ჩამოურთმევია და სიხარულისგან ლამის მეცხრე ცაზე აიჭრას.

მკლავებში წვდებიან მინჯორაიას ამფსონები და იატაკზე გააჩოჩიალებენ. დაიხურება საკნის კარი. როკი კვლავ ამორჩეულ ლოგინს დაუბრუნდება. პატიმრები ძველებურად სკამებზე სხედან, მხოლოდ ტრუსისამარა ჯიბო საღორიელი სცემს ბოლთას. სხეულზე ჯაგარივით ადგას ჭაღარაშეპარული ბალანი. ქუთაისის ციხიდანაა გადმოყვანილი. სასჯელს სულ რუსეთში იხდიდა. ბოლოს აქ ჩავარდნილა და გასამართლებას უცდის. ამ პიროვნებაზე სმენია ოდიშელიას. ჯიბო საღორიელი დიდი აბიჟნიკი ვინმეა. ხალხს ტანსაცმელს ართმევს. ერთი მოზრდილი ტო-

მარა ჯინსის შარვლებით, ველვეტის კოსტუმებით, დათრიმლული ტყავის ტუფლებით და მისთანანით გაუძეძგია. ყვებოდნენ იმის თაობაზეც, რომ ჭადრაკის თამაში ჰყვარებია ფრიად. თუ მოუგებს მოწინააღმდეგე, ცემით გახეთქავს, თუ არ ეთამაშები მთლად მიგასავათებს. აქაც დაამკვიდრა თავისი ჰობი. ალიმენტის გადაუხდელობის გამო სასჯელს უცდის როკის ძველი ნაცნობი დაზი ჩიქოვანი. გელოდის ნათესავია, ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში, მაგრამ სამჯერ დააქოთა უკვე საღორიელმა. მოუგებს — დასცხებენ, წააგებს — მაინც.

პროფესიონალის გამოჩენა ერთიანად გამოაცოცხლებს ჩვენს ჯაგარას. მესამე კამერაში დაზის განწესება ღებრანძეს ოინია, ხომ უნდა შეთხზას მრევლში სახითხითო?

გამოიწვევს საპაექროდ ოსტატობის კანდიატს საღორიელი. მისი ქოთების შესახებ გაგონილი აქვს დაზისაც, მაგრამ თავს ზემოთ ძალა აღარ არის. არ დათანხმდება, იცის მიბეთქავენ, არადა, პროფესიული სინდისიც გასაპამპულებლად არ ეთმობა. ამ გაწამაწიაში არის და უცებ ცვაიგის „საჭადრაკო ნოველა“ მოაგონდება ჩიქოვანს. რაღაც მანქანებით ჯიბოს ალიყურებისგან დაძვრენა განუზრახავს.

— მოგება ადვილია, — ამბობს პურის კლეისტერისგან დამზადებულ ჭადრაკის ოკრობოკრო ფიგურებს მიჩერებული დაზი, — აი, მთავარი მოფიქრებული წაგებაა.

— ეგ როგორ? — დააინტერესებს ჯიბოს ახალშემოსულის იდეა.

— აი, დამკაში რომ არის ისე, პადდავკი.*

გადააწყობენ ფიგურებს შაშის ყაიდაზე. ჯიქურ მიემართება ჯიბო, სწირავს და სწირავს პროფესიონალი. მალე ცარიელ-ტარიელი დარჩა. ჯიბოს უკვირს. ოთხი კენჭიც არ მოკვდომია, ისე დაიცარიელა ხელი ჭიაყელამ. ითამაშებენ მეორე, მესამე პარტიას. საღორიელის ფიგურები ლამის ხელუხლებელია, კანდიდატი კი — გალოკილი თითივითაა. გადავლენ ჭადრაკზე. პროფესიონალი დაიქოქება. ჩატურანჯას მთელ ისტორიას მოუძღვის. ქალღმერთი კაისა მუხლებზე დაუსკუპდება. მოჰყვება გოროზ რაჯასა და ხორბლის გაორმაგებულ მარცვალზე თითოეული უჯრის საფასურად. დაიფახულებს თვალებს ჯიბო საღორიელი. გზადაგზა ხატავს დაზი ჩიქოვანი ჩატრანჯის პრინციპებს, ოთხი კაცის საომარ ლელოს. ჰყვება რეფორმებზე, რომელსაც დროთა ვითარებაში განიცდიდა დღევანდელი ჭადრაკი. რამდენიმე ლამაზ ეტიუდს ელვისებურად გაითამაშებს და დამსწრე საზოგადოების აღტაცება ზღვარს უწევს. არც იტალიელი პიედრო და მისი ასუჯრიანი დაფა გამორჩება. ჰყვება კენტავრებსა და კამპიონებზე, მერე სიანცელებსაც გადაწვდება.

— მე გამომგონებელი ვარ, — ამბობს საკნის ბინადრებით გარ-

შემორტყმული ჩიქოვანი, — მე ოცდამეერთე საუკუნის საოცრება შევქმენი, ოთხმოცდაერთუჯრიანი სრულყოფილება, მარადიული მოძრაობის სიმბოლო, სიმეტრიული და მონოცენტრული ჭადრაკი.

— გააგრძელე, გააგრძელე! — მონუსხულია ჯიბო საღორიელი.

— ახლავე ყველაფერს აგიხსნით, — სულსწრაფობს დაზი ჩიქოვანი, — წარმოიდგინეთ, რომ ამ სამოცდაოთხ უჯრიან ჭადრაკის დაფას თითოს წავუმატებთ სიგანესა და სიმაღლეში, ანუ ჰორიზონტალ-ვერტიკალში, მაშინ ოთხმოცდაერთუჯრიანი დაფა გამოგვივა.

— კლეისტერი ჩქარა! — ბრძანებს ჯიბო და მოარბენინებენ პურს. იწყებენ გახეხვას, გაცრას. კლეისტერს ამზადებენ ჭადრაკის დაფის გალავნების გასავრცობად. ხელმარჯვე ოსტატებს თავიანთ შეუდარებელ ხელოვნებას გამოაჩნენ. თხუთმეტ წუთში ტრადიციული ჭადრაკი მთელი ჩვიდმეტი უჯრით გაიზარდება.

— ახლა ცარიელ ადგილებს რა ვუყოთ? — ამბობს ჯიბო.

— ორი პაიკია საჭირო, თეთრი და შავი.

— პაიკები, ჩქარა! — ბრძანებს საღორიელი. ძერწავენ კლეისტერისგან. ერთს ღებავენ. ხუთიოდე წუთში პაიკები ცარიელ ადგილებს დაიკავებენ.

— აწი? — ცნობისწადილი და ჟინი კლავს ჯიბო საღორიელს.

— თითო შავ-თეთრი ვეზირი გვჭირდება, ლაზიერის სიმაღლის, მაგრამ გუმბათიანი ქუდით.

საკნის სკულპტორები მთელ თავიანთ შემოქმედებით გაქანებას აქსოვენ დასახელებული შინაარსის ფიგურების გამოძერწვას. კვლავ დატუშავენ ერთს. პროფესიონალი ფიგურებს მეფის ხელმარჯვნივ ჩააჩოჩებს და ცარიელ უჯრებზე ვეზირებს დასვამს, როგორც ჯიბოს მხარეს, ისე თავისთანაც. მერე ორივე ფრონტზე ლაზიერის კუს და მხედარს ადგილებს შეუცვლის.

— ვეზირი ეტლის და მხედრის კომპოზიტია, — განმარტავს რეფორმატორი.

— აბა, თამაშს შევუდგეთ, — სულსწრაფობს ჯიბო.

დაიძრებიან თეთრები შავებისკენ. მიდის ჯახაჯუხი. ვეზირი თამამად შეიჭრება ცენტრში. ერთ ორომტრიალშია. ექსტაზში შესული კანდიდატი სტიქიას მიჰყვება, ფორსირებული ქიშით გამოედევნება შავების მეფეს, ნელ-ნელა ავიწროვებს მის საარსებო სივრცეს და უცებ მეხივით გაისმის საკანში გამომგონებლის აღტაცებული ხმა:

— შამათი!

ჯიბო გაოგნებულია. თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრო ისე დაუტყვევეს მეფე. უცებ გონს მოეგება. წამოიმართება. ჯერ კიდევ თამაშის ნეტარებით მთვრალ დაზი ჩიქოვანს ქორული მზერა ჰკიდებს.

— ჰაიტ, შენი გამომგონებელი დედა! — გაუქანებს ყუმბარასავით მუშტს და გადააფრენს საწოლებს.

იცის ამის თაობაზე როკიმ. ამჩნევს დაზი ჩიქოვანის, სხვათა წრიალს. აშკარად გრძნობს მათ ფარულ მხარდაჭერას.

პანტერას ხსენებაზე არესტანტების გარდასახვას საღორიელიც თვალნათლივ ხედავს. ბოლთას ცემს საკუთარი ლოგინის მიდამოებში. აქამდე გასუსულ საკანს გამოცოცხლება დაეტყობა. იციან შეჯახება გარდუვალია, თანაც საღორიელის გასაღიზიანებლად:

„როკია, პანტერაააო“, უჩურჩულებენ ერთმანეთს.

— გეყო ძამია, რაც ჩემს ლოგინზე ინებივრე! როკი! პანტერა! — კბილებში გამოცრის ცინიკურად, — არ დამემორჩილება და ავაყმუვლებ მურიასავით.

ოდიშელია ლოგინზე წამოჯდება. ჯიბო საღორიელს მოხერხებული პოზიცია უკავია. ამისთანა ტახისგან ყველაფერია მოსალოდნელი, შეიძლება წამოდგომისთანავე გეძგეროს და ეშვებით გაგფატროს, მაგრამ ვიდრე ლოგინზე მოკალათებულხარ, ახლოსაც ვერ მობედავს. ათასნაირად მოახერხებ თავდასხმის მოგერიებას: წიხლებით, თავურით, ბოლოს და ბოლოს გადახტები მეორე მხარეს, ის კი მშრალზე აღმოჩნდება. საკუთარ ბუნაგში ავაზა ტახს კი არა ლომსაც კუდით ასროლინებს ქვას.

როკის გონება გამჭრიახია, მუხლებზე ხელდადებულ ბარძაყებს გამომწვევად გაფარჩხავს, თან თითებით აჩვენებს:

მოდი, აბა, რა ტურასაც დაიჭერო.

ჯიბო საღორიელს ბრაზისგან ნესტოები დაბერვია. ზურგს უკან ესმის გათამამებული: „როკია! პანტერა!“ და ნადავლისთვის მიტყუებული ნადირიც შეჭყოფს თუ არა სიფათებს რკინის საწოლის სივრცეში, მთელი ძალით აჯახებს ცხვირ-პირში თავს ოდიშელიას. წკარუნით ჩამოცვივდება კბილები ბეტონის იატაკზე. გადაქანებულს მიჰყვება კვალდაკვალ როკი. ჯერ კიდევ ფეხზეა ჯიბო საღორიელი, თან კბილების ფურთხებით ფხლაკუნობს:

— დააძვრე მოიკა! ვიღაც ხულიგანი მკლავს ქურდს, თქვე ბოზებო!

მოიკა სამართებელს ნიშნავს ჟარგონით. კომიკი, ვინმე ცირდავას ბიჭი. ოღონდ მანქანის საჭეზე დაგესვა და ტალახში ამოვლებულ ავტომობილს ღიღინ-ღიღინით გააკრიალებდა ჩხოუშიაში. ამისთვის მიუბარებია იარაღი ჯიბო საღორიელს. ცირდავა ნელ-ნელა შეუდგება ძებნას, ხან ბალიშს მიადგება, ხანაც ლოგინის საფერხულს, რა ქნას არ იცის. ქურდად მიუჩნევია საღორიელი და ვინი-

ცობაა მეზობელი ორთაბრძოლაში დაუჯაბნონ, სად მიდიხარ მერე? ჯიბოს ქოთებს გაუძლებს კაცი?!

— ჩქარა მიეცი, ტუტუ! — დაუყვირებს როკი.

ისიც ჯიბიდან დააძრობს სამართებელს, თურმე ყურისძირას ჰ ქონია, ორღობეებს იქით რომ ეძებდა. წამსვე ააცლის ხელიდან.

— ჩემს დასაბრედად გინდოდა შენი ნასეტკა დედა... — შეუკურთხებს მოთმინებიდან გამოსული ოდიშელია. თავს თუ არ უშველის საღორიელი, ეს ისეთი გიჟი ჩანს დაუსვამს სახეზე ლეზვიას, გადახსნილი ჭრილობიდან ითქრიალებს სისხლი და იკადრებს ყვირილს ჯიბო საღორიელიც:

— ნაჩალსტვო,* მიშველეთ, მკლავენ, მკლავენ! — ღმუის და გამეტებით უბრახუნებს საკნის რკინის კარებს ხელ-ფეხს.

რახან უფროსებთან დაბეზღება იკადრა, მიხვდებიან ბიჭები, რომ უკვე ქურდი არ არის, დაესივიან გამწარებულნი და როკის მიერ გადმოყრილ კბილებს გაუორმაგებენ. გაიღო კარი და ახლა იქიდან მილიციელები დასცხებენ:

— რამდენი ხანია სისხლი გაგვიშრე შენი ქურდობითა და ტყვიის ბუშლატით!

წააქანებენ, განცალკევებით გამოკეტავენ საკანში. როგორც შემდეგ გაირკვევა, მართლაც ნასეტკა აღმოჩნდება.

ამასობაში დარცხვენილი ნაცნობები აწურული იერით ხელს არ-თმევენ ოდიშელიას, ზოგი გადაკოცნის კიდეც, ებოდიშებიან საკნის მეთაურს:

— შენ არ გესწავლება, ციხეა, ჯუნგლების კანონი, ქუჩა ხომ არ არისო.

ფიქრში როკი ტრანსპარანტებსაც აღიქვამდა გზადაგზა. გადასახვევთან მანქანა შეაყოვნა, მაგრამ ჟენია ქირხე გაწიწმატდა:

— წადი, წადი, იციან ავიძბებმა, ყველანი ილორში ვიკრიბებით, შენს უმცროს ძმასთან, შენს გენადისთან.

— აკი, შინ დარჩაო?!

— ეგ დილით. ახლა ჩვენს მოლოდინში ნერვიულობს, ალბათ, დედა ენაცვალოს!

აპრილის მიწურული იყო. ჩაევლო აღდგომის ციებ-ცხელებას. პარასკევის საღამოსპირია. მიქრიან გზატკეცილზე. ჟენიას დარიგებებს დასასრული არ უჩანს.

გამოიარეს ღალიძგას ხიდი. ჩაუხვია ხელმარჯვნივ და მთელი ესკორტიც რიყის ქვებისგან ამოყვანილ გალავნიან ეკლესიას მიადგა.

გენადიც აქვე დახვდათ. დავაჟკაცებულიყო ცხრა წლით უნახავი ძმა. ჩაეხუტნენ ძმისშვილები, გადაკოცნა რძალმა. მოკიდებულ სიგარეტს ზურგს უკან მალავდა ნაბოლარა მამის გამოჩენაზე. ისე წამოყვინჩილდნენ ბიჭები

ვალერიანთან ერთად სუფრაზეც არ დამსხდარან, პაპიროსის მოწევას კი მისი თანდასწრებით რომელი გაბედავდა?! ახლა ზეიმის წუთი აქვს ძაკაევიჩს და ყველაფერი ნებადართულია: დალიე, მოწიე, მოუსკუპდი გვერდით, ოღონდ ღირსებას ნუ დაკარგავ.

ტაძრის ეზოსკენ მიეშურება ოდიშელიების ამალა. იქ უშველებელი ცაცხვის ხის ძირას თეთრი ფერის ალაწოდარქებიანი ხარი მშვიდად იცოხნება თივას. მიწურულია დღე, მაგრამ მაინც ხალხმრავლობაა. შესაწირავი თეთრი ხარისთვის დია დამშვრალა უმცროსი ოდიშელია. რადი ჯოლოხავასთან მიუსწავლებიათ ილორელებს. მეჯოგეს ნახირი საძოვრებზე ჰყოლია გაშვებული, მაგრამ ფულმა თავისი გაიტანა და სახვალიო ქორწილისთვის შეპირებული გამოუყვანა ბაგადან, კუპატივით ჩამრგვალებული ჩელა. რადი ჯოლოხა ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა. სტუმარს სანამ საზვარაკედ ხარს დაუთმობდა, ელარჯით და იზაბელათი გაუმასპინძლდა. მის ქალ-ვაჟს ტკბილისკვერი და ჩურჩხელები მიართვეს. ხელისგულზე გადაუშალა ილორის ანი და განი.

წმინდა გიორგის სახელობის ეს ეკლესია მერვე საუკუნეში აუშენებიათ. მერე გამუდმებულ ომიანობას აქაურობაც გაუოხრებია. სამრეკლო ეკალ-ბარდს დაუფარავს. მეცხრამეტე საუკუნეში აღმოუჩენია იგი ვინმე ზვამბაიას, უსიერში შვლის სისხლიან ნაკვალევს მიდევნებულს. ადგილობრივი მოსახლეობის ოთხმოცდაცხრამეტი მთელი ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი, როგორც კომუნისტების არჩევნების მონაწილეთა მაჩვენებელი, ქართულია. აფხაზი ერთი ჰყოლიათ შემოკედლებული — ანდრუშკა ლაბახუა. ხორცის მიმღებად მუშაობს თურმე. მოკლედ, ნამაფჩუს მეცხოველეობის ფერმის ბატონ-პატრონია, თუ დასჭირდა მთელს ილორს იყიდის. კვარაცხელიებისგან ოჯახი შეუძენია და ცხოვრობს მეფესავით.

იპოდრომი ორია აფხაზეთში, გუდაუთასა და ილორში. სამი-ოთხი დღე გრძელდება აქ ყოველწლიურად დოღი, მარულა და თარჩია. არის პაექრობანი ცხენბურთში. იმ პერიოდში მილეთი ხალხი მოაწყდება ილორს. ბევრი საქონელი იკვლება და ჯოლოხავებსაც ამით გააქვთ თავი. როცა ნიკიტას დროს, ორი სული საქონლის მეტს ვერ იყოლიებდა მშრომელი კაცი, რადი ჯოლოხას თურმე ჯოგები დაუდიოდა მთაში ძიკი კვარაცხელიას მსგავსად. არც ახლაა ცარიელ-ტარიელი. ხვალამდე მექორწილეთათვის ახალს ჩამოაყვანინებს, აბა, კაცის დაღალატება როგორ იქნება?!

დღესასწაული უამრავია ილორში. მათ შორის საყურადღებოა ციმფაში ხვამა, რომელიც ქართველების ელიას უახლოვდება რამდენადმე. გვალვების პერიოდში სწირავენ საკლავს ამ ღვთაებას და როგორც წესი, მეორე დღეს ამინდიც უეჭველად წვიმიანი დადგება.

სოფელი დიდი არ არის. სულ სამიათას ექვსასი ჰექტარია. აქედან სამოსახლოებს ექვსასი ჰექტარი უკავია, დანარჩენი — ტყეებს და საძოვრებს; ამიტომაც ძირითადი მაცხოვრებელი რამდენიმე წამყვანი გვარისგან შესდ-

გება. ესენია: ნარდაიები და საბეკიები, ხოჯავები და ვაჰანიები, ჭკადუები და ღებრანძეები.

გასულ საუკუნეში აქ თურქები თურმე კერამიკულ საქმიანობას მისდევდნენ. აქედან გამომდინარე ზღვისპირამდე მთელს ჭაობიან სივრცეში გავლებულია ურმების სავალი გზა — ქვაფენილი, რომელიც სამ მდინარეს გადაივლიდა თაღოვანი ხიდით: ამცარხიას, სუკატიას და ცორკას. ახლა იქ ქვათა ნაშალია მხოლოდ, თვით როსტოშ ნასხაპასთანაც* კი, ცხენით რომ გადაშვებულა მდინარეში ალყაში მომწყდეული აბრაგი და ისე გაღწეულა ფონს.

ვინ იცის, რა არ მოუთხრო გენადი ოდიშელიას რადი ჯოლოხავამ: ნაგურუს გორაკზე კობახიას მიერ კოსტუმით ნადღეგრძელებ ნარდაიაზე, თუ გზისპირა ჭასთან ბანძელ გითოლენდიასა და ერმინე ჭკადუას დიალოგი:

მოაქვს თურმე აბაშელ გლეხს ილორში შესაწირავი. პაპანაქებაა. დამწყურვალდა ყინულივით ცივი წყლით. ჩამოისვენა სულის მოსაბრუნებლად. ერმინეც აქვეა თურმე, ჩეროში. ახლაღა ახსენდება გამარჯობა გითოლენდიას, მაგრამ დაგვიანებული სალმის გამო ვინ გაუკილავთ?

— ჯვარს თუ ხედავ, ბატონო, ჩემო? — ეუბნება მასპინძელს სტუმარი.

— როგორ არა, — პასუხობს შეცბუნებული ერმინე.

— ჩინებულია. მაშინ მარჯვენა ფრთაზე მჯდარ ბუზსაც ამჩნევ, ალბათ.

— კარაკანივით, მაგრამ ახლომხედველია უბედური შენსავით, თან ცალი თვალი ამოვარდნია საწყალს ხარების რჩოლის დროს.

ასეთ გამოცნაურება-მასლაათში მოიხელთა გენადმა როკის დასამწყალობნელი თეთრი ხარი.

— მამა ფრიდონი სწირავს დღეს, — უთხრა მხარზე ხელგადმოხვეულ ძმას ნაბოლარამ, — ჩემს მხრივ ყველაფერი მოგვარებულია ნათლობისთვის.

ოდიშელიას ეღიმება, ნიკაპი უთრთის, ასე ემართება გულშიჩამწვდომი ფილმის ყურებისას ან სულისშემძვრელი წიგნის კითხვისას. როხროხა სპილო მზად არის ნახევარკილოგრამიანი ოქროს ძეწკვითა და ჯვრით. არაფერი აფერხებს ჟენიას სურვილის ახდომას. ძვალკანა მამა ფრიდონიც მოჭიმულია ნათლისღებისთვის. როკი თეთრი გიორგის ურჩხულთან ორთაბრძოლას მისჩერებია.

ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში გაუმხელია მისთვის ძაკა ბაბუას წამინდა გიორგის კლეპტომანიური მიდრეკილებების შესახებ. იმის თაობაზეც — იესო მაცხოვრისგან ქურდი კურთხეულია.

— ჰოდა, როკი, ბაბაგე ქურდის წყალობით გადარჩა ჩვენი უფალი საუკუნო სიკვდილს, — უთხრა ერთხელ სააგურე თიხის შიშველი ფეხებით ზელვისას ბაბუამ, — ის მეხუთე ლურსმანი გულის ფიცარზე დასაჭედად გაემზადებინათ მტარვალებს და მოხერხებულ ქურდს რომ არ მოეპარა, შიგ კაკალ გულში გაუვლიდა მაცხოვარს ჩვენსას. მერე და, ლურსმნით გულგამსჭვალულმა კაცმა როგორ გინდა თავი მკვდრეთით აღიდგინო?!

წმინდა გიორგისა და იესო ქრისტეს მიერ ქურდების მფარველობის რა-

იმე ხელშესახებ საბუთს საიდან გამოჩხრეკდა ბიჭუნა, ან რატომ შეეჭვდებოდა მაგიური ძლევამოსილების მქონე ძაკა ბაბუას მათრახის ტარისხელა მონათხრობში, მაგრამ საქართველოს ციხეებსა და ზონებში მომთაბარეობისას (ეს უკანასკნელი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებისა არ იყოს, ყოველ ბორცვზე წამომართული), ზოგი რამ ასსებისგან შეიტყო, ზოგიც თვითონ წაიკითხა. წმინდა გიორგის ხარიპარიაობის ამბავი კი იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტისგან მოდიოდა.

წმინდა გიორგის მადა ამირანისას არ ჩამოუვარდებოდა, რომელიც სადილად ბუღა კამეჩს კმარობდა, ვახშმად კი სამიც არ ჰყოფნიდა. კამეჩის ხორცი მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა წმინდა გიორგის, მაგრამ ხარისას — სიამოვნებით შეექცეოდა, ისე რომ, ვერეხი კურატი ერთ ჯერობაზე ძლივს აკმაყოფილებდა.

იხილა ეს ყოველივე ერთხელ კაბადოკიელი ლაზის ასამაღლებლად გამოგზავნილმა ანგელოსმა და რადგანაც ასეთი მადის ქრისტიანის მიგვრისთვის შესაძლოა ზეციერი გაწყრომოდა კიდეც, ძილისას კუჭი ამოაცალა.

მომდევნო დღეს გიორგის კრიჭა შეეკრა.

,,წმინდა გიორგი და უმადობა?'' უკვირდა თვითონვე. მოკლედ კაბადოკიელი მზეჭაბუკის ხარიპარიაობის ფაქტს, ალბათ, მისი უმაგალითო აპეტიტი უდევს საფუძვლად. ხოლო გიორგობის დღესასწაულისთვის არქანჯელო ლამბერტს თუ ვერწმუნებით, მთავრის დაბეჭდილ ეკლესიის გალავნის კარებს მიღმა დილით, უთუოდ დაინახავდნენ ხარს შუაგულ ეზოში, რის გამოც ხალხი მოწიწებით მადლობას სწირავდა წმინდანს.

მაშინვე აგუგუნდებოდნენ ზარები, რათა ჯელას შეეტყო კაბადოკიელი მზეჭაბუკის მორიგი სასწაული. მადლიერი მრევლი ერთიორად აძლიერებდა მერმე თავიანთი მესიის სასწაულმოქმედების საზღვრებს და იტყოდნენ: მხოლოდ წმინდა გიორგის ძალუძდა ამ ხარის ზღვიდან მთამდი და პირუკუ სამგზის მიყვანა.

ზოგ უცხოელს, განსაკუთრებით განსხვავებული რელიგიის წარმომადგენელს, ეეჭვებოდა წმინდა გიორგის სასწაულმოქმედება.

— ამაღამვე, გნებავთ ხვალ დილით ჩემს ხარს ამ ეკლესიაში თუ მოიყვანს, მაშინვე უყოყმანოდ გადმოვალ თქვენს რწმენაზეო, — დაიქადნებდა ის უცხომიწელი და ვინ იცის, რამდენი მაჰმადიანი თუ მაზდეანი გაქრისტიანებულა წმინდა გიორგის სასწაულმოქმედების წყალობით.

ჯოლოხავების ჩელა კი სულაც მოსაპარი არ იყო, მისი ტყავის წონა ფული გადაეხადა გენადის. ჩამოსაფანადაც ორ ნაბიჯზე გახლდათ და ამაში გახარჯავდნენ წმინდა გიორგის ისედაც დამაშვრალ ენერგიას?! მერედა, როკი ურჯულო ხომ არ იყო?! ხელი თუ წაცდა მღვდლის გაქონილი წვერისკენ, ჩიჩილაკი ეგონა უთუოდ, ძაკა ბაბუა რომ ახუჭუჭებდა ბუთხუზა შვილიშვილებისთვის.

მოკლედ, საბოლოოდ მოქრისტიანებულ ოდიშელიას უზვარაკებდნენ ცაცხვის ხის ძირას უდარდელად მცოხვნელი ხარის უთვინიერეს ბუნებას, მაგრამ დაუოკებია ოდესმე დამბებს მთის მდინარის სიგიჟმაჟე?!

კოცონი დაენთოთ გალავნის სიახლოვეს. სამფეხზე კარდალა შეედგათ, და უკვე აკვარჩხალებულ წყალში იხარშებოდა ოდიშელიას ბორგნეული სულის დასაუარვებლად მამა ფრიდონის დამწყალობებული ჯოლოხავების კურატი.

როკი განერიდა უცოდველი სულიერის ჩამოკიდების სცენას. სიმღერა დიახაც უყვარდა ოდიშელიას და „აქეთ ჩელა, იქით ბუსკაო", რომ წამოიკვნესებდა ერგეტელი მეურმე ლაუ ჯოჯუა, მთელი სხეული ეჭინჭრებოდა ხოლმე.

„ჩელა" — თეთრუა კამეჩი ეგონა რუსთავის მესამე ზონაში მოხვედრამდე, მაგრამ იქ ჯეროვნად დაუსაბუთეს, რომ აკობიას ლექსის პერსონაჟი თურმე ხარი ყოფილა.

ოდიშელიას თვალში რასკოლნიკოვის წიგნისმიერ წარმოდგენებს შეთანაწყობილი მამა ფრიდონი და თვითონ ჩამავალ მზეს მიჩერებოდნენ ეკლესიის სანახევროდ მორღვეული გალავნიდან.

კვიტოულელი აფხაზები თავიანთი შეპირებული ერკემლით ანდრუშკა ლაბახუას ოჯახისკენ გაიკრიფნენ. იქ გაიმართებოდა უჟმურის გამოსალოცი სუფრა. იქ იმღერებდნენ შეწყობილად გადაპატიჟებული ძმები ავიძბები „ურაიდას" ილორელებთან ერთად როკის საპატივცემლოდ.

ჩელას წმინდა ნაწილები დიდრონი სინით გაეგზავნებოდა თოლეღალირგამოთვალულ კაფანდარა წვიჟბას, მაგრამ ამწუთას, ამ სინოტივეშეპარულ დაისში, უფლის სიდიადეს ჩააგონებდა ძე ცდომილს რასკოლნიკოვის სახის მამა ფრიდონი.

ოდიშელიას გონება კი სხვაგან ჰქროდა, საპატიმროთა ჯურღმულებს ვეღარაფრით იცილებდა და მოძღვრის შეგონებანი თუ მისიანების ფუსფუსი, იოტისოდენადაც ვერ მიიმხრობდნენ თანამეინახედ ხარის დარღვეულ, აოხშივრებულ სხეულთან.

კაცობრიობას ადამიანისთვის რომ არ ეცალა, ამას როკი ჩინებულად ხვდებოდა კობო აბეს ქვიშის ორმში ჩაშვებამდეც.

ცივილიზაცია გალაქტიკებში აფათურებდა ხელებს, ხსნას და საშველს უკიდეგანობაში ეძებდა და მისი ნამდვილი სათავე — ადამიანი, უნებლიეთ განზე რჩებოდა.

ოდიშელია რუსთავში შეიტყობს სწორედ, რომ მკვლელს, ბოროტმოქმედს საერთოდ, განსხვავებული, ანუ როგორც იქაური მეტრები იტყოდვიან, პათოლოგიური გენებისაა — ორმოცდაექვსის ნაცვლად ორმოცდახუთი ან ორმოცდაშვიდი ქრომოსომა გამოჰყოლია. ცხადია, ამისი განზოგადოება უმართებულოდ ეჩვენებოდა როკის, თითქოს დანაშაულს მხოლოდ ფიზიკური მანკიერება ასაზრდოებდა და არავითარ შემთხვევაში — სოციალური

სიდუხჭირე, მაგრამ მეცნიერს რომ შეედავო, ცოდნის სათანადო მარაგიც უნდა გაგაჩნდეს, თუნდაც — ზერელე და ასეთ ვითარებაში, ოდიშელია პირნათლად მისდევდა ძაკა ბაბუას დარიგებას — „სიმღერა თუ არ გემარჯვება, სინდისი მაინც იქონიე, სხვებს რომ ხელი არ შეუშალოო“, და დუმილით მიუგდებდა ყურს პროფესიონალთა კამათს, რომელიც ხშირად უუმწვავესად წარიმართებოდა ხოლმე და ზოგჯერ საქმეს ქურდი ასსების ჩარევა თუ უშველიდა.

მართალია, ავტორიტეტების ნაღები ფენა სამუდამო თავისუფლებაზე გასულიყო და მიწიერი პრობლემები აწ არასდროს შეაწუხებდა ჯოჯოხეთის თუ სამოთხის უკიდეგანობაში დანაწილებულ მათ სულებს. დიდი ხანია წუთისოფლის საზრუნავს მოშორებოდნენ კოლია სვანი და ნური კაკუბავა, სოსო ორთავა და ილო დევდარიანი; მოგვიანებით მათ ამალას შეუერთდნენ თამბეგა და ანზორ მერკვილაძე.

ჟამი კი რბოდა ულმობელი და მიუკერძოებელი.

კოლონიებიდან, რესპუბლიკური საავადმყოფოდან თუ დაკეტილიდან თითქმის ერთდროულად განთავისუფლდებიან ფისო ქუჩულორია და წიაგო, თამაზ ჯარიაშვილი და თაგუნა, ზურა ქართველიშვილი და ბაჭია, კუკური და ბონდო მუმლაძეები: ორი ანზორი — აღაიანი და ხუციშვილი, ბასმაჩა ხაშურელი და ბაბუად წოდებული აბესალომ მანჯგალაძე.

მიმწოლი ჯაბა — ყველაზე ავტორიტეტიანი ქურდი, თავისი ნებით დაეხსნება ასსების გუნდს და მეცნიერების აღმართს შეუდგება. შორეულში იხდიდიან კვლავაც სასჯელს ქურთი ნაჩე, ვახო დარსმელიძე; გივი კნიაზი ვლადიმირში გრიმიტობს ბრილიანტის მხარდამხარ, ხოლო თავისუფლებაში მისი სეხნია ბერაძე, იგივე შრამიანი, ლეგენდარულ სახელს დაიგდებს მთელს კავშირში.

ქვეყანას აზანზარებს სლავკა იაპონჩიკა, მალინა და ვალოდია ჩოკნუტი. აფხაზეთში ჩამობრძანებულ ასსთა ასსებს ხელგაშლილად მასპინძლობს იქაურობის მკვიდრი, შორეულიდან ახალგამონთავისუფლებული კაკო კოხია განუყრელ ძმაკაცთან, ნოდარ გრიგოლაიასთან ერთად.

წინამორბედთა ადგილს ღირსეულად იკავებენ ახალგაზრდა ქურდები: უშბა გუჯეჯიანი, დიმა ლორთქიფანიძე, გოგი ყურაშვილი, რაულ გოგილავა, ნუგზარ მახარაძე, დიმა ბარამიძე.

განსხვავებული ფსიქოლოგიითა და განწყობილებებით მოაბიჯებს უფროსი თაობის რევიზიონისტული ცვლა.

მათი ლოზუნგი ძირისძირშივე უარყოფს ავტორიტეტებს, განზე სწევს დამსახურებებს თუ სიმბოლურ ჩინ-მედლებს. სრედი ვოროვ პოპა ნეტუ, ამ სიტყვებით შემოდიან ჯიქურ ქურდთა ასსების ამქარში და დაურიდლად იკავებენ გამონთავისუფლებულ არეებს. ვორი ვსე რავნი, ხოტ მოლოდოი, ხოტ — სტარი,* გაიძახიან წარამარა.

ალბათ, ესეც განაპირობებს ალბათ აშოტ კრივოის სამარცხვინო მოს-

რიალებას სავარძლიდან ამ სიტყვის ყველაზე მძაფრი გაგებით.

ფეხებწართმეული ეს ინვალიდი ერთი სადისტი ვინმე გახლავთ. სულ რესპუბლიკურ საავადმყოფოში ისვენებს. მოუტანენ საჭმელს ქურდები და პირველ ლუკმას იმათ ასინჯებს, არიქა, არავინ მომწამლოსო.

ასსების ასსად წოდებული აშოტ კრივოი ჩარტყმის შემდეგ მთლად დაიძირება, განაძირალდება, მაგრამ გასამრჯელოს ხელს არ შეავლებს, გამოსწევს ტუმბოს უჯრას, ამოატანინებს იქიდან მოყუჩებულ ანაშის ბაშებს თუ კოდეინის ჩეკუშკებს და ფულსაც მათვე ჩაადებინებს, ვითომ ხელს არ იჭუჭყიანებს, თითქოსდა, ბარიგობა ეთაკილება.

რესპუბლიკური საავადმყოფოდან თბილისის დაკეტილი სამოც მეტრშია. გამოიხედავს ფანჯრიდან რომელიმე ქურდი, შეასწრებს თვალს კრივოი და გესლიანი ღიმილით გადასძახებს ლეგენდარული ბატიას მიმსგავსებით:

— ერთ საათში თუ არ გადმოხვალ, ქურდი არა ხარ!

ხელისგულისოდენა სარკმელთან გამოჭვრიტინების გამო ქურდი იძულებულია ყველაფერი იღონოს კრივოის წინაშე საკუთარი ღირსების გადასარჩენად. მუცელს გამოიფატრავს დანით და მყისვე ყურისძირა საავადმყოფოში გააქანებენ. იქ საოპერაციო მაგიდასთან ხელჯოხების რახარუხით როდის-როდის მიაკითხავს აშოტ კრივოი.

— ნამდვილი ქურდი ხარ! — დაისისინებს და ეს სიტყვა უკვე მილიციელის სამხრეებზე ვარსკვლავის წამატებას უდრის ქურდულ სამყაროში.

ბევრი ვერ მოზომავს სამართებლის სიბასრეს და გადაჰყვება კიდეც აშოტ კრივოის იპოქონდრიებს, მაგრამ ახლებური გაგება ბოლოს მოუღებს გულღრძო კაცის გესლიან ღიმილს. ერთხელ იგივე მეთოდით გამოუხმობს კრივოი ღირსების დასამტკიცებლად ბუხუ ქუთაისელს, რომელიც მოგიჟიანების წყალობით მოახერხებს რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმოსვლას და ასსების ასსი ვიდრე დაუდასტურებს ქურდების რიგში ყოფნის ამბავს, ხელიდან გამოგლეჯს ყავარჯნებს და თავზე გადაამსხვრევს. კრივოის უბედურებაც მაშინ დატრიალდება, ვინაიდან, როგორც ნამსხვრევები დაადასტურეს, თურმე ღრუში ფული ჰქონია გადამალული. აქამდე მას ებარა დაკეტილის ობშიაკის ფული, თანაც ისე, განუკითხავად. ახლა, ბუხუს როზგების შემდეგ კუდგამოქვიჩინებული მამონა ენას რომ ამოიდგამს, ისედაც თავპირჩამომტვრეულს ასსები ანგარიშის ჩაბარებას მოსთხოვენ.

— საიდან მოიტანე ფულები კრივოი, აზოვის ბანკიდან? — ეტყვიან და ამოუქექავენ დავთრებს. დასხდებიან, დაიანგარიშებენ და ობშიაკის ფულში დანაკლისს რომ აღმოუჩინენ, თანაც ყავარჯენში გადამალული ერთიორად გადაფარავს იმ სინაკლულეს, თავზე ტაბურეტებს დაალეწავენ.

როკიმ ჩინებულად გაითავისა ერთი ეჭვმიუტანელი რეალობა: ვისაც კი ხელი მოხვდა ციხეში თუ ზონაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მერე ფეხზე ვერაფრით დადგა, ვერანაირად აღიდგინა ადრინდელი მორჭმული მდგომარეობა.

მართალია, აშოტ კრივოიმ ქურდული მუჟიკების მეურვეობით გაამართლებს, საერთო თანხაში აღმოჩენილი ხარვეზებს, ყველაფერი მაგათგან შე-

მოგვდის და როგორ, უფლება არ მქონდა გაჭირვებაში ჩავარდნილებს მივხმარებოდიო.

ქურდული მუჟიკები დამნაშავეთა სამყაროში ხარკის ამკრეფნი უფრო არიან. მათი მეოხებით ივსება საერთო ყულაბა, რომელიც მერე ასსებში ნაწილდება დამსახურებისამებრ. ქურდული მუჟიკები წელებზე ფეხს იდგამენ, ათას ფათერაკში იგდებენ თავს, რათა ეს ჯადოსნური სკივრი ყოველთვის სავსე იყოს, ფული კი იგივე თავისუფლებაა. ოთხი კედელი ვერაფერს აკლებს პატიმარს, ქისაში ოქრო თუ უჩხრიალებს. ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, უთქვამთ, ამიტომაც მოილტვიან ქესეტა გამომძიებლები და მოსამართლეები ზონისკენ. ყოველი სურვილის განხორციელება გაათმაგებული ღირებულებისაა კოლონიაში ცხოვრებისეულთან შედარებით, და დიახაც ქერის ორმოა იგი სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთათვის, მაგრამ როგორც ვახსენეთ, ჯადოსნური ჭერხო ქურდული მუჟიკების მეცადინეობით დავლათიანდება. ეს უკანასკნელნი ამიტომაც არიან ხელდასხმულები ასსებისგან. გაჭირვების ჟამს არასდროს გასწირავენ ავტორიტეტები თავიანთი ჭირნახულის მოამაგე ბიჭებს.

სამოცდაათიანი წლების საქართველოს მთავრობა ფართომასშტაბიანი ფრონტით შეუტევს რესპუბლიკაში გაბატონებულ კორუფციას, აღვირს ამოსდებს კომბინატორების პარპაშს და ციხეები გაუმაძღარი მადის პიროვნებებით გაავსება. ათი-თორმეტი წელიწადს ჩამოურიგებს თითოეულს. უძრავ-მოძრავ ქონებას ჩამოართმევს, კონფისკაციას გაუკეთებს ხილულ სიმდიდრეებს, რომელიც რიგითი მშრომელების ნაოფლარისგან შეკოწიწდა არსებითად, მაგრამ ადამიანს, მითუფრო მდუღარეში ხელებჩაწყობილს, ყოველთვის გადაუნახავს შავი დღისთვის, ჰოდა, ამ გიგანტურ თანხას თავისებურად ამოქაჩავს სატუსაღოს ბინადართა სხვადასხვა ფენა. შულერები ყომარში ცინცლავდნენ ფულს კომბინატორებს; ზედამხედველები ათმაგად ახდევინებდნენ ჩვეული მიდრეკილებების დაკმაყოფილებისთვის. ქურდული მუჟიკები კი ფუთიანი მუშტებით დაადგებიან თავზე ქვეყნის მყლეფელებს და ბოლომდე ამოაბერტყვინებენ ჯიბეებს.

ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს რაღაც ქმედითი იარაღი დაუპირისპიროს ქურდების პარპაშს ცხრაკლიტულებში. ამიტომაც გეგმაზომიერად წითლდება ზონები. სამკლავურიანების სიმრავლე ერთობლივი ძალით უკუაგდებს ასსების ფეხმორთხმულ უზრუნველობას და სწორედ ამისთანა ვითარებებისთვის გახლავთ ზედგამოჭრილი ოდიშელიას კატეგორიის ხალხი.

ასსები ჩააწყობენ უფროსებში საქმეებს და მთელ ბრიგადას აგზავნიან გაწითლებული ზონის გასაშავებლად, იგივე ქურდული კანონების აღსადგენად. ნარუჯაში ორი კვირა დასჭირდება როკის ზონის მოსარჯულებლად, ლაითურში — თვენახევარი, წულუკიძეში — მთელი ნახევარი წელიწადი, მაგრამ ყოველივე ამას ოდიშელია ჯერაც გაუცნობიერებლად მოიმოქმედებს. ასსების ბრწყინვალება მისთანების ოფლის და სისხლის კვარცხლბეკზე რომ აღმართუ-

ლა, მოგვიანებით გაითავისებს შორეულ უდაბნოეთსა და ყინულეთში.

საკანში, რომელიც დამნაშავეთა სამყაროს უმცირესი უჯრედია, ასსების კანონმდებლობა თუ არ სუფევს, იქ ქურდული მანერები ზედმეტი ბარგია, შესაძლოა საზიანოც, ამიტომაც ბაითის ხელში ასაყვანად საბაბი უცებ გამოგეჩითება, მთავარია უდრეკელი და მიმწოლი იყო.

ჩრდილოეთში ეტაპამდე ორი წლით ადრე, ერთ-ერთი პერესილკის გავლის დროს, აქტიუბინსკში, როკის ძარღვებს აუშლის საკნის აუტანელ ანტისანიტარიას. ტუალეტი გაჭედილა და ფეკალური მასა დანტეს ჯოჯოხეთისეული ყროლებით შემოედინება საცხოვრისში. შუაგული აგვისტო თანთანებს გარეთ. სიო არ იძვრის. ჭერის კუთხეები ობობათა ქსელს დაუბანღავს. რწყილები ბარდის ეკლებივით იკბინებიან. წითელი და შავი ტარაკანების მეჯლისია ავგიას თავლაში, ჰერაკლე კი არა და არ ჩანს. კოჭებამდეა წყალი საკანში. ზედა საწოლებზე არხეინად მოკალათებულან. თვალები დაუყვლეპიათ, ტუჩები გადმოვარდნიათ ყაყაჩოს ბაშებისგან. არც იქით აწუხებენ ვინმეს და აღარც აქეთ აკლავენ თავს. ჰოდა, შეიყვანეს როკი ამისთანა სანეხვეში. ეგრევე პირზე აიფარებს ცხვირსახოცს. კარებს არ სცილდება, რადგანაც ამაზრზენი მასა კოჭებამდე უნდა გატოპო საწოლამდე მისაღწევად.

— ყველა ხაროშნიკი რომ შეყრილხართ, ვინმემ ხომ უნდა გახვეტოს ხატა, სხვა ხომ არ შემოვა თქვენს მაგივრად, სხვა ხომ არ დაგილაგებთ კამერას? — ამბობს ოდიშელია მოგუდულის ხმით.

აქაურობას ქურდული მუჟიკი მიშკა სლეპოი აკონტროლებს. გამოქომაგების ნაცვლად აქეთ მოსდებს შარს.

— ჯერ შენ გვანახე მაგალითი და მერე არც ჩვენ დავიზარებთო.

— მაგას მე შერცხვენად არ მივიჩნევ, არც — ღირსების აყრად, ოღონდ კამერაში, ამ ორმოც კაცში ერთი გრეხიანი8 თუ გამოერია, რომელსაც ოცდაოთხი საათი ცოცხი უნდა ეკავოს ხელში წესით, მაშინ ცხვირ-პირს დაგინაყავ! — გაცეცხლდება როკი.

მიშკას ჩინებულად მოეხსენება გრეხი რაც არის. ტანდაბალია, მელოტი, გაბურძგნილი. სულ იღლიებში იქექება. ღიპი გადმოვარდნია. მოშვებულობის განსახიერებაა. თავს იკატუნებს, ამიტომაც ეკითხება გამოთაყვანებული იერით:

— რა გაქვს მხედველობაში? — კოჭებამდე წუნწუხოში მოტყლაპუნობს მიშკა სლეპოი. გამოაღწევს მშრალზე. წინ უჩერდება.

— გრეხი ხომ იცი რაც არის, თუ თავს ისულელებ?! თვალის ერთი გადავლებითაც საკმარისია გაერკვე, ვინ როგორ სუნთქავთ. ზოგი ფუფულოჩნიკია, ზოგი ბუგორი, მალალეტკებში ნასეტკაც და პრესხატის ტვარებიც ბლომად გირევიათ.

— ვიცი.

— მაშინ მოეთრიე აქ და მომიხადე ბოდიში! — თვალების წნეხში ატარებს ოდიშელია სლეპოის. — „ეს თვალებგადმობრეცილი ათასჯერ ბრმაა.

ვინემ ლადი ჭანია“. ჰიგიენის მაგალითის ჩვენებისკენ მომიწოდებდი ამ ახვრების წინაშე? შენ მე შნირშიგ ან ზავხოზში ხომ არ გეშლები?

აწრიალებული მიშკა იღლიებს მოიქექავს და ამოღერღავს ბოლოს და ბოლოს:

— ბოდიშს ვერ მოგიხდი.

— როცა მექანიკურად აშავებ და არა შეგნებულად, ბოდიშის მოხდა სათაკილო როდია. ეს პირიქით, შენს ღირსებაზე მიუთითებს. მაგრამ ამდენ ახვარს იატაკი გაუხვეტეო, რომ მასაქმებ, თან არც ბოდიშის მოხდა გინდა, გგონია გაპატიებ?!

— რა მოხდა, ვიხუმრე, — დაიჯღანება სლეპოი.

— ახ, იხუმრე?! — თვალებს მოწკურავს როკი, და გაუქანებს მუშტს დრუნჩებში. დავარდება. აშმორებული წყლის შხეფი გაიფანტვს საკნის ხელმარჯვნივ, საწოლების მიმართულებით. ტუსაღები ბაყაყებივით გამოყოფენ თავებს, ოღონდ ეგ არის, ყიყინი არსაიდან ისმის. წამოდგება თუ არა მიშკა წინ გაუჩერდა როკის და მიმაღებინეო, ითხოვს.

რადგანაც საკანში ასსთაგანი არავინ ზის, ზეკს კი არ შეუძლია გადაწყვიტოს მიაღებინოს თუ არა დაზარალებულს, ამაოდ იკამათებენ ლოგინებზე წამოსკუპებულები. ვერაფერს დაადგენენ, და როცა სლეპოიმ ერთხელაც ითხოვს მიღებინებას, ოდიშელია მთლად მგლისფერს დაიდებს.

— კიდევ არ შეიგნე შენი სიმტყუვნე? დაგბრიდავ საერთოდ! — დაემუქრება და მიშკა სამუდამოდ გაიკმინდავს ხმას. — უმჯობესია ჩამოყარე კოიკებიდან შენი ხალხი. აიღეთ კრუჟკები და მისცხეთ კარებს, კედლებს, ჭერს, იატაკს, შნირისა და ხოზაბსლუგის ძახილით! — მოსჭრის და ორი წუთიც არ გავა, რომ გამაყრუებული ხმაური გიურზას შხამივით დაუვლის ძარღვებში ყაზახეთის ხვატით გათანგულ ციხეს.

ორმოც ამბოხებულ პატიმარს თექვსმეტი კვადრატული მეტრის ოთახში ჩაკეტავენ. განრისხებული ადმინისტრაცია გაგანია ზაფხულში გათბობას ჩართავს და ოთხივე რადიატორს გაათარანებს. როკი კუთხეში მიმჯდარ მომცრო სარკმლის სიახლოვეს. ბეტონის იატაკზე უნდათ გაგორება, რომელიც შედარებით გრილია ამ გავარვარებულ საკირეთში, მაგრამ ხეში გაკვეხებული სოლივითაა თითოეული. მოსაფხანად ხელი ვერ მიუტანიათ იღლიასთან. გაიშვიათდება ჰაერი. საორთქლეში შეგდებულებს ჰგვანან ოფლში გახვითქულები. დაფჩენილ პირებს მაღლა სწევენ ღელეამღვრეულ ღორჯოებსავით. ნახევარი საათი ძლივს ჩაზოზინდება და იწყებს გულყრები. უჟანგბადობაა. გაიტანენ ერთს, მეორეს. მიშკა სლეპოიც გულშეწუხებულთა სამეულშია. ორიოდე საათში განახევრდება ტუსაღთა რაოდენობა. ატბოისთვის ერთადერთი როკიღა რჩება კუთხეში ჩაყუნცული ჩაჟამულის თვალებით, მაგრამ მეხანძრეების შლანგებით გაკრიალებულია სლეპოის საკანი და ჯანდაბას, ღირს ეს ყველაფერი თავის გადადებად.

ასეთიც შეემთხვა ოდიშელიას, ოღონდ უკვე ჩრდილოეთში, ექსპერი-

მენტული ზონაში ყოფნისას. ვიდრე იქ ზატოჩნიკი იხდის სასჯელს, სიმშვიდე სუფევს, შეხლა-შემოხლა ძირითადად ადმინისტრაციასთანაა, მაგრამ გამოუძახებენ ვასიას ბარგიანად და სიტუაცია მყისვე დაიძაბება. კაზბეკა და შლანდორიკი გვიხსენებია. ამ უკანასკნელის კლიკუხა8 ტკბილეულის თაიგულს ნიშნავს. ზატოჩნიკის მოსვლამდე ეგენი კარნახობდნენ ზონას. წავა და მოინდომებენ ჩამორთმეული რეგალიების აღდგენას, არადა, წინ პანტერას ავტორიტეტი გადაეღობებათ, რომელსაც ზურგს ვალერი გლატკოვის თანადგომაც უმაგრებს. ამ სამეულის გამოჩენას ქურდულ მუჟიკებისთვის რა ხანია საზრდო წაურთმევია. გასარჩევად სიარული მიუტოვებია მათთან მასას, რაც ცხადია, შურით აღავსებს ორივეს და ახლა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა კვანტი გამოსდონ როკის და ვალერი გლატკოვს. აღმართზე მიმავალს ქვა რომ მოეწევა ამაზე ითქმის. სიტყვიერი პაექრობა მალე მწვავე ხასიათს მიიღებს. ოდიშელია დაურიდლად აშიშვლებს მათი საქციელის უხამსობას, რომ მაგათი ჩადენილი ქმედებანი ქვენაა. ნაძირლობაა პატიმრებისთვის გზავნილობების ართმევა. სამუშაოზე გაუსვლელობისთვის ხალხის ცემა და შანტაჟი ფაქტობრივად სტეპანცევის მიმხრობაა, და არაფრით განსხვავდება დანარჩენი ბოზური საქმისგან.

ერთ მშვენიერ დღეს სანდო ბიჭებს შეაგროვებს ოდიშელია ვალერკას მეთაურობით და შლანდორიკს და კაზბეკას თავის ხატაში უხმობს. გაღვივებულ ღუმელთან წევს როკი. ვინ იცის, მერამდენე კარცერის სულიერ ტრამვებს იშუშებს. შემოვილენ თუ არა, არც კი დააყოვნებს, ღუმელიდან ეგრევე გამოიღებს ერთმეტროიანი საცეცხლურს, რომელიც ორმოც სანტიმეტრზე მაინც ზაფრანასავით გავარვარებულა და მეორე ხელში დანაამოშიშვლებულმა უხათქუნებს და უხათქუნებს თავ-პირზე ორივეს. კბილები ხომ დასძვრებათ ზომაზე მეტად, არც მძიმე კატეგორიის სიდამწვრისგან იხეირებენ. დაემტვრევათ ხელები. სანიტარულ ნაწილში წაასვენებენ ცოცხალ-მკვდრებს.

ერთ საათში შემოცვივდებიან ზედამხედველები და კარცერიდან კვირის წინ გამოსულს ბურის იზოლატორში გააქანებენ ისევ, მაგრამ როგორც მოგვიანებით შეიტყობს ოდიშელია დაზარალებულები ჩვენებას არ იძლევიან. მაშასადამე ძიება ვერაფერს დაუმტკიცებს და ცილისწამებისთვის, უკანონოდ დასჯისთვის შიმშილობას გამოაცხადებს. ორმოცდაშვიდი დღე უთვალთვალებს მის გამძლეობას პოდპოლკოვნიკი სტეპანცევი, მაგრამ ბოლოს კვლავ ლიუდმილა ევგენიევნას მეცადინეობით სანიტარულ ნაწილში გადაიყვანენ, როგორც სიკვდილის ზღვრამდე მიღწეულს.

ეს ყველაფერი ქურდული მუჟიკის ხასიათის გასახსნელად მოვიშველიეთ. დიახ, მათი შეუპოვრობითა და გამჭრიახობით სულდგმულებენ ასსები.

საქართველოს ხელისუფლება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალნაირ ხრიკს მიმართავდა საპატიმროებში ქურდული გაგების მოსაშლელად. რუსთავის მესამე ზონა ამ თვალსაზრისით ფრიად ნოყიერი ნიადაგი გამოდ-

გება. ექსპერიმენტებს აქედან ჩაუყრიან საფუძველს. რამდენიმე თვეში მას თითით საჩვენებელ, სამაგალითო ზონად აქცევენ. გამეფდება მკაცრი რეჟიმი, სისუფთავე. ორიათასი პატიმრიდან ათასხუთასამდე უკვე სევეპეს წევრია. აქ ქურდი ვერ გაიჭაჭანებს. თუ მაინცდამაინც გამოამწესებენ, პირდაპირ პეკეტეში* ხვდება, რომელიც ჩვენთვის ცნობილი ბურავიკების ქართული მოდიფიკაციაა. სევეპეს მესვეურობა აფხაზეთის საპასპორტო მაგიდის ყოფილ უფროსს, ვინმე კვეკვესკირს მიანდობენ. იმპერიის მიერ გააფხაზებულმა, წარმოშობით ქართველი კაცი მთელს ზონას ხელში აიყვანს პიკეტელების გამოკლებით. ყველას შიშის ზარს სცემს, მათაც, ხელები მუხლჩაუხრელი შრომით რომ გადაყვლეფიათ. საქმე ისაა, რომ თუ ვინმე სამკლავურს იუკადრისებს, კვეკვესკირი არ დაუდასტურებს ხელმოწერით სევეპეს წევრობას, ეს კი ნიშნავს, ყოველგვარი შეღავათი მოხსნილია მის მიმართ, პატიმარს ადრე გამონთავისუფლებას არ ღირსებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით ზარალდებიან პეკეტეში მოხვედრილი „ნევრედნიე მუჟიკები“,* რომლებიც თავს არავის დააჩაგვრინებენ, არც ვინმეს ერჩიან მაინცდამაინც, შრომა მოთხოვნილებად გადაქცევიათ და მიწას ცხვირით ხნავენ, მაგრამ ამავდროულად სამკლავურს არაფრისდიდებით გაიკეთებენ, და პეკეტეში მოთავსებული როკი და აზო სწორედ ამისთანებს დაეყრდნენ ზონის გადატრიალების საქმეში. იქიდან აწვდიან ქსივებს სანდო ხალხთან, ინსტრუქციებს უგზავნიან როგორ მოუღონ ბოლო ზონის ურჩხულს.

მთელი კვირა დასჭირდება აჯანყების მომზადებას. დალეწავენ ლოგინებს, რკინებს შუბებივით ააფხიანებენ. სევეპეს ალამდარს მოხერხებულ დროს სტაცებენ ხელს, თავს წაათლიან და ზონის ჭიშკრის წაწვეტებულ ბოძზე წამოაცვამენ.

ხალხი საკნებში გამაგრდება. საათივით აწყობილ კოლონიას რამდენიმე კვირაში წირვას გამოუფვანენ. ფეხზე დადგება მთელი სამინისტრო. მოაწყდებიან აქაურობას ჯარისკაცები ჯავშანტრანსპორტიორებითა და ნაგაზებით, მაგრამ საქმე დიდ მსხვერპლამდე არ მისვლა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შეთქმულების ორგანიზატორების გამოვლენას მოითხოვს. ყველას პეკეტესკენ ეჭირა თვალი, სადაც ოდიშელია გამოუმწყდევიათ. ახლა მას სერიოზულზე სერიოზული ბრალი ედება — მასობრივი შფოთის ორგანიზება, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა. მართალია, ადმინისტრაციას რაიმე სამხილი მასალა არ მოეპოვება, არც — სიტყვიერი, აღარც — საბუთიერი, მაგრამ გუმანით ხვდებიან, რომ ამისი ამწეწავი როკის მეტი ვერავინ იქნება.

წარუყენებენ კიდეც ბრალდებას უცერემონიოდ. საკნიდან გაყვანას მოუნდომებენ — თბილისის საგამომძიებლო იზოლატორში, მაგრამ მეგობრები კარს ნარიდან აგლეჯილი ფიცრებით ამოხერგავენ. დაძაბულობა რიკზეა მისული, როგორც ქურდულ სამყაროში, ისე — პოლიტიკურ არენაზე.

ქვეყნის მმართველი თორმეტი ბერი უკვე მიხრწნილი და მოფამფალებული ლეონიდის მეთაურობით მთელი საბჭოეთის შეუნიღბავი გარუსების პოლიტიკას დასდგომია. შემუშავდება კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს მშობლიურ ენად რუსულს სთავაზობს საკუთარის უგულვებელყოფის ხარჯზე. დედაქალაქში მღელვარება პიკს მიაღწევს. პირველად აღიმართება მთავრობათა სახლის წინ ეროვნული შინდისფერი დროშები, წმინდა გიორგის ხატები, გაშლიან აღმაშენებლისდროინდელ ბაირაღებს.

რესპუბლიკის ხელისუფლება ხალხს დაჰპირდება, რომ ქართული ენა იყო, არის და იქნება ჩვენი სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ატრიბუტიო. თოთხმეტი აპრილის მღელვარებანი ჩხეიძეების ასულის თაოსნობით უკვე დაშოშმინებული გახლავთ, რადგანაც გიგანტი ქვეყნის გამგებლებს დამაჯერებლად დაარწმუნებენ, რომ მშობლიური ენების წართმევა კატასტროფად მოევლინება მთელს საბჭოეთს. რუსული ისედაც მიღებულია სახელმწიფო ენის დონეზე. ფირნიშები ბილინგვურად მეტყველებენ რუსულ-რომელიღაცურად. აეროპორტებში თვითმფრინავების აფრენა და დაშვება ჩრდილოეთის ენაზე სრულდება. სავალდებულო სასწავლებელ დისციპლინად შემოიტანენ რუსულს საშუალო სკოლებში, უნივერსიტეტებში. მეტი რაღა უნდათ?! საზღვარგარეთ წარგზავნილ ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებს რუსეთისად ნათლავენ უცხოელები, გნებავთ საქართველოდან ყოფილან ისინი და გნებავთ — იაკუტიიდან. მანქანების სერიები კირილიცას შრიფტით იკითხება მხოლოდ.

მოკლედ, როგორც ჩანს, დასაბუთებული მოსაზრება გასჭრის და გამთენიიდან აბობოქრებული თბილისი უკვე საღამოსპირზე აღტკინებული ზეიმობს მშობლიური ენის გადარჩენას.

იმ წუთებში დაიბადება ცოცხალი ანეგდოტი ოდიშში.

— თქვენ იკითხეთ თორემ, ჩვენ კი გვაქვს ზაპასნოი,* — გაეოხუნჯება პეტიკო თოდუა საგასტროლოდ ჩამოსულ თბილისელ თეატრალებს. ასე გადაარჩენს იუმორის უგვირგვინო მეფე ოცდაოთხსაუკუნოვან ქართულ ენას.

ცისქვეშეთი დაშოშმინდება თავსხმა წვიმისგან მოდიდებულ მდინარესავით; მაგრამ რუსთავის მესამე ზონაში ჯერ კიდევ მძვინვარებს პატიმრების რისხვა. პეკეტელები საგანგებოდ მოვლინებულ მამულოვს დოკუმენტურად უმტკიცებენ კვეკვესკირის არაადამიანურ ქმედებებს — თუ როგორ ავიწროვებდა „ნევრედნი მუჟიკებს“, გამოგონილი ბრალდებებით რანაირად უმძიმებდა საქმეებს, რათა ოჯახს მონატრებულ კაცს მთავრობის გამოცხადებული ამნისტიები არ ღირსებოდა. მასალა იმდენი დაგროვებულა, კვეკვესკირი ბაყბაყდევიც ყოფილიყო, ცხრა თავიდან ერთიც არ შერჩებოდა მხრებზე, მაგრამ მამულოვმა დაბეჯითებით იცის, რომ ამგვარი ამბოხებანი სტიქიურად ფაქტობრივად არ ხდება. მას ჰყავს უეჭველი, უცილობელი სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი. ასეთებს კი რატომღაც არავინ ასახელებს, თვით საგულდაგულოდ შენიღბული ნასეტკებიც.

არჩევანი ისევ და ისევ ოდიშელიაზე შეჩერდება. გენერლებიდან მოყოლებული, ეფრეიტორების ჩათვლით ამ დავიდარაბის შემოქმედად როკის მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ იგი საერთოდ არ გაჰკარებია პატიმრების ბობოქრობას. რკინის წაწვეტებულ ბოძზე კვეკვესკირის თავის წამოცმის პერიოდში ოდიშელია პეკეტეს შენობაში გამოემწყდიათ და რადგანაც განტევების ვაცი აუცილებელია, ხელისუფლების წინაშე მეტი მხარგაშლილობით რომ წარსდგნენ, პანტერაზე უკეთეს კანდიდატურას ვერც დაასახელებენ.

დავუშვათ, რომ რუსთავის ამბებში უცოდველი გახლავთ იგი, მამა აბრაამის ბატკანი, მაგრამ ერთი და ორი ზონის სანიმუშო წესრიგი გაუყოლებია ჩაილურის წყლებისთვის?!

ნარდაიებმა და საბეკიებმა გასაშლელი მაგიდები შემოიტანეს ილორის ეზოში. თან მოაყოლეს ხელს ჯამ-ჭურჭელი. ცაცხვის ხის ძირას ასკაციანი სუფრა გაიშალა.

ვთქვით, პურ-მარილის თადარიგი დროულად დაეჭირათ ოდიშელიებს, საზეიმო ელ-ფერი წვიჟბების გადმოპატიჟებამაც დაამშვენა და სუფრა მალე ქეიფის ეშხში შევიდა, როკის გონება კი კვლავინდებურად რუსთავის მესამე ზონის ორომტრიალს დაჰფოფინებდა.

ორმოცამდე პატიმარი ცოცხალი თავით არ აპირებს ოდიშელიას დათმობას. როგორც ვახსენეთ, შესასვლელ კარებთან როკის თანასაკნელები ბარიკადებს აღმართავენ და მოლაპარაკებისთვის წარმოგზავნილებს პირში ჩალაგამოვლებულებს ისტუმრებენ. მხოლოდ შებინდების მერე, დედაქალაქში ამბოხებული სტუდენტების დაშოშმინების შემდეგ, დაცხრა რამდენადმე ზედამხედველების მუქარებით დატუმბული შემოტევანი.

ყველაფერ ამას დროებით წუთშესვენებად მიიჩნევენ საკნის ავტორიტეტები, ამიტომაც მთელი ღამე თვალს არავინ მოხუჭავს. ოდიშელია კი თავისი გოლგოთის სამზადისს შეუდგება. მოუტანენ თხოვნისამებრ ნემსს, ათ ნომერ შავ ძაფს, ნიორს, ასანთს, საკაკუტე ლურსმნებს. შეტყუპებული მუშტების სისხო ქვას სამიოდე დღის წინ შემოატანინებს ზედამხედველს ათ მანეთად.

საკანს სავსე მთვარე ასინათებს, მრავლისმომსწრე, ხალებიანი და მიბნედილი, სრულიად საქართველოს სათაყვანებელი ღვთაება თუთა, მამრს რომ განასახიერებს კოლხურ ხალხურ ლექსში.

— სანამ საქართველო შინაგანად არ შეიკვრება ერთ სხეულად, ერთი სულისკვეთებით არ აჟღერდება ყველა სიმი, ჩვენი საშველი არ იქნება, — წამოიწყებს საუბარს გიორგი ნუნისელი. წვერებიან ამ ძვალკანა ყმაწვილკაცს ქუთაისის ციხიდან გადმოიყვანენ რამდენიმე კვირის წინ. სინდისის პატიმარია. პეკეტეში კვეკვესკირის სამკლავურების მიფურთხებისთვის დაუმწყდევიათ, — დასაბამისეულ აღმოჩენამდე მიმიყვანა პარადოქსებით აღსავსე ჩვენს ისტორიაში ჩაღრმავებამ. ნუნისის ქვათა კომპლექსი მსოფლიოს მერვე საოცრებაა.

— მართალია, — სიტყვას ჩამოართმევს ძვალმსხვილი, შემელოტებული კაცი, — ჩვენი ისტორია გაუკულმართებული რომ არ იყოს, მთელი ცივილიზაციის სურათის აღდგენას შევძლებდით მისით, მაგრამ გაურკვეველია ჩემთვის, რისთვის ვამახინჯებთ ეჭვმიუტანელ ფაქტებს? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა არსებობდეს მეცნიერული სინდისი? — ვლადიმირ ჩუბინიძე გამომცდელად შეხედავს პატიმართა მთვარის შუქით გაყვითლებულ სახეებს. იატაკზე სხედან. ლოგინები ისედაც დალეწილია და შემოსასვლელსაა მიხერგილი.

— ყველაფერი ლაზარესთანაა თავმოყრილი, — ჩაერთვება საუბარში მამა იონა, — შეჭაღარავებული წვერს ნებიერად მოივარცხნის თითებით, — უფლის ადათ-წესს რომ გავემიჯნეთ, იმიტომაც ვიმკით კბილების ღრჭენას. მომავალში უარესია მოსალოდნელი, რადგანაც დავარღვიეთ წმინდა წიგნის თავდაპირველი გაგება. ლაზარე კი საყვირია ჩვენი მიძინებული სულების გამოსაღვიძებლად.

— დილამდე კი გვაქვს თავზესაყრელი დრო, მაგრამ ვატყობ ჩვენი საუბარი ერთი კალაპოტით ვეღარ მიმდინარეობს. ამდენად, შემიძლია დავასკვნა: ალთა-ბალთას გამოკიდებით ჭეშმარიტების დადგენა სრულიად უსაგნურია. მე რომ კაცმა მკითხოს, ქრისტე, როგორც ღმერთი, არც კი არსებულა. კი, ბატონებო, იგი ყველა ჩვენგანივით დიახაც ბინადრობდა დროსა და სივრცეში დაახლოებით ოცი საუკუნის მიღმა, მაგრამ სამყაროს შექმნის მამაღმერთისეული ექვსდღიანი ოდისეა კაცობრიობის ინფანტილიზმის დამადასტურებელია მხოლოდ, სხვა არაფერი. მოვა დრო და ჩვენს შთამომავლობას სასაცილოდაც არ ეყოფა ჩვენი წარმოდგენები ღმერთზე საერთოდ, როგორც სამყაროს მამოძრავებელ ძალაზე, — ჩუბინიძეს სიტყვის გაგრძელება უნდა, მაგრამ მამა იონა არ დააცლის:

— გეშინოდეს უფლის რისხვისა, შვილო, ჩემო!

— კი, ბატონო, გამისკდა შიშისგან გული! ამაზე მე ვაგებ პასუხს ჯოჯოხეთის კუპრში ყურყუმელაობით, თორემ შენ ხომ არა?! — ვლადიმირი თავმომწონედ მიიხედ-მოიხედავს პატიმრებში. როცა შეატყობს ოცდაცხრამეტივე მამაკაცი გასუსულია, განაგრძობს, — ბოლოს და ბოლოს გამოვკვეთოთ ჩვენი პოზიციები. თუკი მამაღმერთი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, გეკითხებით, რაში დასჭირდა მას საკუთარ ხატად და სახედ უბადრუკი ადამიანის ტალახისგან მოცოდვილება?! ან თუ შეთითხნა იგი, რატომ ვერ უპატრონა ბოლომდე?! რატომ დაუშვა სათანაელის ზეგავლენები მასზე?! განა თავიდან არ უწყოდა, რომ მისი შექმნილი ასლია მხოლოდ სრულყოფილებისა და დედნის ტოლფასი ვერასოდეს იქნებოდა?! რა თამაშებია, რა აბუჩად აგდება! ამოაცალა ნეკნი ადამს და მოწყენის გასაქარვებლად ქალი მიართვა. ტალახის მეტი რა ჰქონდა?! მოეზილა თიხა სვებედნიერს ხელმეორედ და ბარემ ევაც მსგავსი მასალისგან გამოეძერწა. ახლა ქალი ორნახადი არაყივითაა.

— ეჰ, დალევდა კაცი, — აღმოხდება სამურზაყანოელ ნოდარ ქარდავას.

— დიახ, ორნახადი არაყივითაა ქალი, ამიტომაც იხვეჭს დღითი დღე პრივილეგიებს. რაც დაბეჩავებული იყო საუკუნეების მანძილზე, და დღემდე კნინდება კვლავაც მუჰამედის სჯულის წყალობით თუ ჩვენეული ცხოვრების ნირით, მერწმუნეთ, ერთიასად აინაზღაურებს მომავალში. მოკლედ, ეს თემა გინოკოლოგებისთვის დაგვითმია, ჩვენ კი უმჯობესია დავუბრუნდეთ უფლის სუბსტანციურობის საკითხს.

რომელ ერთს არ გაგეღიმებათ ახლა, თქვენი მასუდგმულებელი ღმერთი, აი, ეს გაფიშქვინებული მთვარეაო, რომ გითხრათ? გავიძახოდით ძველკოლხები: მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, გაბადრული ვარსკვლავები, და და ძმაა ჩემიო, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ პოეტიზებული სინამდვილეა, ბატონებო, და არავითარ შემთხვევაში თუნდაც რეალობასთან ნემსისყუნწისხელად მიახლოებული ჭეშმარიტება.

ნემსის ხსენებაზე ოცდაცხრამეტი მამაკაცი როკისკენ იბრუნებს პირი, მაგრამ იგი თავისი საქმით გართულა, ძაფს პოხავს ნივრის გაფცქვნილი კბილით. გაწამაწიაში აწყვეტილ ღილებს აკერებსო, იფიქრებენ.

— მაინც როგორ წარმოგიდგენიათ ღმერთი, შვილო ჩემო, ვლადიმირ? — სცდის მღელვარების დაფარვას მამა იონა, — ვის გავყვეთ, დიალექტიკურ მატერიალიზმს, ჩიხში რომ მოამწყდია ადამიანი? იქნებ ბუდას, რომელიც კეთილისა და ბოროტის ჯამია? ან იეღოვას, რომელიც 144 ათას ებრაელსღა აღუთქვამს ცად ამაღლებას? იქნებ ალაჰს მუჰამედისეულს, რომელიც უარყოფს ქრისტეს უბიწო ჩასახვას, ჯვარცმას და ცად ამაღლებას? თუ სამებას უზენაესს — მამაღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმინდის ურღვევ კავშირს?!

— აღარცერთს მამაო, იონა, არანაირს, — გაიღიმებს ჩუბინიძე, — ღმერთი მოკვდაო, გამოაცხადა ნიცშეს ზარატუსტრამ და არ არის ეს კომუნისტების ურჯუკელი ათეიზმი. ღმერთი ჩემი შეხედულებით ცნობიერისა და არაცნობიერის ერთობლიობაა, ოღონდ აქ პირველი დაქვემდებარებულია მეორეს. ღმერთი ჩემეული გაგებით მატერიაა დროსა და სივრცეში.

— მოძრავი მატერია, — შეუსწორა მსხვილულვაშიანი მელოტი ჯემალ გეგეჭკორი.

— მართალს ბრძანებთ, მოძრავი მატერიაა დროსა და სივრცეში, ოთხი განზომილება, რომელიც საკუთარ თავს შეიცნობს ამ შემადგენელი ნაწილების თანამშრომლობის ნიადაგზე, იგივე ადამიანის მეშვეობით. ადამიანი მთელი სამყაროს მოდელია, ამიტომაც მისთვის ნიშანდობლივი, წესით, სამყაროსაც უნდა ახასიათებდეს გრანდიოზულ მასშტაბებში. კონკრეტული ადამიანი მოკვდავია, მაგრამ კაცობრიობა — დაუსაბამო, ერთეულების მაგალითი აქ არ გამოგვადგება. მარტივად თუ ვიტყვით, სამყაროს დაშლის უკიდურესი წერტილი ადამიანია. ჯერჯერობით მატერიისთვის ამისთანა ერთეულად ატომია დასახელებული, რომელიც ჩემის ღრმა რწმენით კვლავაც განიყოფა მრავალ ნაწილებად, — ეტყობა ჩუბინიძეს განათლება რუსეთში მიეღო, კრებით ნაც-

ვალსახელს მრავლობითში უთანხმებდა არსებით სახელს მხოლობითის ნაცვლად, — ასე რომ, მაკრო განზომილებებისკენ და მიკრო სიდიდეებისკენ სირბილი ჭეშმარიტების საზღვრებამდე ვერ მიგვიყვანს. ბატონებო, სამყარო ჰგავს ბოლომორღვეულ ცილინდრს, რომელიც აბსტრაქციის მოშველიებით დაუსრულებლად იზრდება და მცირდება ერთდროულად, და რადგან ნაპოვნია სამყაროს ჭეშმარიტი მოდელი, რომელიც ზედმიწევნით იმეორებს გლობალურს მინიატურაში, უმჯობესი არ არის განა მისი აღზევებისკენ, მისი მეცნიერულად შესწავლისკენ მივმართოთ მთელი ცივილიზაციის მატერიალური თუ სულიერი ფასეულობანი?

— სქემე, — წამოცდება ნოდარ ქარდავას.

— ააა? — ჩაეკითხა ჩუბინიძე, — რა თქვი?

— მეგრულად ჩავილაპარაკე ჩემთვის, არც კი ვიცი როგორ ვთარგმნო.

— დაახლოებით, დიახაც, უფრო ზუსტად კი, ამას რა სჯობია, — განუმარტავს ,,კომუნისტების ურჯუკელი ათეიზმით'' გაღიზიანებული ჯემალ გეგეჭკორი.

— დედამიწის მაცხოვრებელი ოდესღაც ღმერთის ბადალი რომ ყოფილა, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ჩვენ მაიმუნის ევოლუციის კი არა, ღმერთის დეგენერაციის შედეგი უფრო ვართ. ვიძენდით კი არა, პირიქით, ვკარგავდით კოლოსალურ ცოდნას, რომელიც ღვთიური ძალმოსილებით გადააგვაადგილებდა სივრცეში სინათლის სიჩქარით წამში. რაღაც გრანდიოზულმა კატასტროფამ ადამიანი ერთხელ და სამუდამოდ მიაჯაჭვა დედამიწას, წაერთვა შორეულ ცივილიზაციებთან კონტაქტები, და დროთა ვითარებაში გადავჯიშდით, გადავშენდით. შეხედეთ, ჰომო საპიენსის ტვინის მხოლოდ სამი პროცენტი უჯრედია ჩართული აქტიურ მოძრაობაში, დანარჩენი ყამირია, რუდიმენტია ბრმა ნაწლავივით. ამ უმცირესით რამდენს ახერხებს, ბატონებო, და წარმოიდგინეთ ახლა რისი შემძლებელია პოტენციაში?! თუკი ადამიანის პრობლემები ისევ არ წამოიწევა წინა პლანზე, შეიძლება ის შემორჩენილი სამი პროცენტიც განახევრდეს და საბოლოოდ პირუტყვის დონემდე დავიდეს.

— ანტიმეცნიერულია ასეთი მსჯელობანი, — ამბობს ტანად მომცრო, მაგრამ მკვრივი აგებულებისა და მკვეთრი მოძრაობების ჯემალ გეგეჭკორი, — სპირალი რეგრესის გზით არასდროს წავა. თქვენი მტკიცებანი ადამიანის ბედ-იღბალზე, არაფერს ცვლის გენეზისის თვალსაზრისით. დავუშვათ ღმერთების შესაძლებლობისანი დამკვიდრდნენ უცხოპლანეტელები დედამიწაზე, მაგრამ საკითხავია, როგორ მიაღწიეს მათ უფლისეულ მდგომარეობას?! თუ ისინი გარეშე ხელს არ შეუქმნია, მაშინ ხომ უნდა ვაღიაროთ განვითარების სპირალური გზა?! აქ ყოყმანი თავის მოტყუებაა.

— რატომ, კონკრეტულ ადამიანს თუ მოვწყვეტთ განვითარების ბუნებრივ პროცესს და ახალ სიტუაციაში ჩავაგდებთ, სადაც მის ცოდნას კვლავწარმოება არ უწერია, ასეთი ადამიანების ცხოვრება არ წავა ვითომ რეგრე-

სის გზით? ახალს ვერ ქმნიან, ძველი კი ავიწყდებათ — ჩაეკითხება ვლადიმირ ჩუბინიძე.

— ასეთი პირობითობა ხელოვნურია და იმიტომ. ღმერთის შექმნილად თუ დავუშვებთ ადამიანს, რომლისთვის ყველა საჭირო თვისება მზამზარეულადაა მოცემული, აქ დავისთვის ადგილიც კი არ რჩება, მაგრამ ადამიანი იყო, არის და იქნება იგივური პარამეტრის, ფრიად უმნიშვნელო ცვლილებებით გარემომცველ პირობებთან მიმართებაში, თუმცა დიალექტიკის მეთოდით თუ ვიხელმძღვანელებთ, მაშინ უნდა შევეგუოთ ერთ არასასურველ რეალობას, რომ იმ მილიარდი პრიმიტივიდან, ოკეანეში ჩასახულს ვგულისხმობ, მხოლოდ და მხოლოდ ერთი განშტოებაღა აღმოჩნდა მართებულზე მართებული გაადამიანების პროცესში. მომქანცველი მარათონული ევოლუცია უარყოფდა გამოუსადეგარს, ითვისებდა საჭიროს და ასე მისხალ-მისხალ მიიწეოდა წინ. ვლაპარაკობ თუ არა გასაგები ენით, გესმით თუ არა ჩემი?!

— გასაგები ენით კი საუბრობთ, შვილონო ჩემნო, მაგრამ — საზიანოდ. მერედა, სად მიიყვანს თქვენი ევოლუცია ადამიანს? — არ ცხრება მამა იონა, — უზნეობამდე, ხომ კი?!

— არაფერიც მამაო, უკლასო საზოგადოებისკენ მიემართება მთელი ცივილიზაცია. კომუნისტური იდეოლოგიის მტრებმა გაამრუდეს ეს მოძღვრება. მათ სპირალის მეთოდი რევოლუციურიით შეცვალეს. ადამიანი ნახტომებით ვერასდროს მივა აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე. ასეთი გზა უტოპიურია, ანტიმეცნიერული. მთელი კაცობრიობა უზნეობაში იხრჩობოდა თავისი არსებობის მანძილზე, და გვარიან ხანს იყურყუტებს კიდეც ამ უხამსობის ჭაობში, სანამ ცივილიზაცია ადამიანს არ წამოსწევს წინა პლანზე. დღეს კი ყველაფერი მის საწინააღმდეგოდაა მიმართული: იშხამება სიგარეტით და ალკოჰოლით, ანაშითა და მორფიუმით; მოწამლულია გარემო მანქანების, ქარხნების გამონაბოლქვით; კვდება მარჩენალი მიწა-წყალი პესტიციებით; გავანადგურეთ ტყეების საფარველი, გავაუდაბნოვეთ ერთადერთი სამკვიდრობელი ჩვენი — დედამიწა. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რადგანაც კერძო საკუთრება მოგების გარდა არაფერს დაგიდევს. სოციალიზმმა წესით ძირშივე უნდა აღკვეთოს ანტიადამიანური საქმიანობა ნებისმიერი ქვეყნისა თუ დაწესებულებისა. კომუნისტების წესდება და პროგრამა ადამიანებზე ზრუნვის ეტალონია მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ადრე თუ გვიან მას ზურგს შეაქცევენ იმპერიალიზმის დამქაშების წყალობით თავგზააბნეული ერები. როცა ჩასახედი სარკე არ გაგაჩნია, ანუ მოწინააღმდეგე ძალა ხელიდან გამოგცლია, ბოლოს და ბოლოს უეჭველად დამყაყდები, უცილობლად აშმორდები, ვეღარ გაუძლებ დროის გამოცდას, მაგრამ მოგვიანებით ისევ აღზევდება იგი, ამასთან ერთად ზედმიწევნით გაითვალისწინებს წინაპრების სასიკვდილო შეცდომებს: ნახტომებით კი არ ივლის, არამედ — ნაბიჯ-ნაბიჯ; სულსწრაფობით კი არ იმოქმედებს, არამედ — გულმოდგინებით.

— აქ საკამათო თითქოს არაფერია, — სიტყვას ჩამოარმევ პოლიტეკო-

ნომიის კურსის რევიზიისთვის რუსთავში მობრძანებულ გეგეჭკორს ჩუბინიძე, — ვიცით, მარქსისტული ევოლუციური თეორია ლენინმა გაამრუდა რევოლუციური მომენტების შემოტანით, პროცესების დაჩქარების მიზნით, — ხელით გააჩუმებს ვლადიმირი შემოკამათებისთვის დაქოქილ ჯემალს, — ვახსენე, გარკვეული ხნის წინ ადამიანი ღვთიურ მდგომარეობაში იყო-მეთქი. ჩვენს პლანეტაზე მომხდარმა კოლოსალურმა კატასტროფამ იგი ჩამოაშორა ჭეშმარიტების სათავეს, მიაჯაჭვა დედამიწას, დავსძენდი ახლა. მის ხელთ არსებული ცოდნა კი თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მაგრამ — სულ გამუდმებული შემცირებებით, ასე რომ, ბატონებო, აპარატურაწართმეულ ადამიანს უსაზღვრო გამოცდილება სად უნდა შეენახა, თუ არა მეტყველებაში, ენაში, ყველაფერზე მეტად ცეცხლგამძლე ქურაში?! ხოლო ზიარებულნი დღითი დღე საკრალურ ხასიათს ანიჭებდნენ მას, ვინაიდან წარღვნისშემდგომ საზოგადოებას სწორედ ღვთიური ცოდნა მოევლინა ნამდვილ კატასტროფად: იგი რჩეულთა არსებობის იარაღად იქცა და დროთა ვითარებაში იქამდე შეივიწროვა საზღვრები, საბოლოოდ დაეკარგა კაცობრიობას, თავისივე ეგოისტური ბუნების წყალობით, თუმცა ადამიანი ხელახლა აღმოაჩენს მას და საერთო ძალისხმევით უეჭველად აღიდგენს უფლისეულ მდგომარეობას.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მხოლოდ საკუთარი ცოდნის გამომზეურებით ვიყოთ დაინტერესებულნი; ამიტომაც არის, რომ ჩვენს დიალოგს ლოგიკური კავშირი არ გააჩნია, — ხმას ამოიღებს აქამდე გაჩუმებული მერაბ მამარდაშვილი. ისიც მელოტია, ქარდაკრული სახის, სათვალებიანი შუახნის მამაკაცი, — ადამიანმა არასოდეს იცის აზროვნებს იგი თუ არა. აზროვნება თითქმის ზეადამიანურ ძალაზეა დამოკიდებული და იგი ბუნებრივად არ გვეძლევა. ის შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ერთგვარი გამოღვიძება ან წინარე მოგონება ადამიანისა და სიმბოლოს შორის დაჭიმულ ველში. ჩვენ ამჟამად განსაკუთრებულ მომენტში ვცხოვრობთ — აზრთან მჭიდროდ დაკავშირებულ მომენტში, რომელშიც ამ უშველებელ ქვეყანას, საბჭოთა კავშირი რომ ჰქვია, სურს ან უნდა დაუბრუნდეს ცხოვრებას, ისტორიის, დროისა და ცხოვრების ხანგრძლივი უქონლობის შემდეგ. იმას, რაც მოხდა ჩვიდმეტი წლის ოქტომბრის რევოლუციის მწვერვალზე, ჩემთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ეს იყო სესერიკას გასვლა დროიდან, ისტორიიდან და ცხოვრებიდან; გასვლა იმ მეტეორივით, გრავიტაციის ველიდან რომ ვარდება და ჩათრეულია უტოპიით, რომლის დამახასიათებელი ნიშანია, ისევე როგორც ყველა უტოპიისთვის, საკუთარი თავის რეალიზაცია. რევოლუციის შემდეგ ყველაფერი არანორმალური გახდა; ეს იყო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთგვარი კოლექტიური თვითმკვლელობა. ქვეყანა აღმოჩნდა „ცხოვრების მიღმა“ და ყოველივე ამან დაღი დაასვა ლიტერატურას, სოციალურ მოვლენებს, ყველაფერს და ყველას. ჩვენ ახლა ისეთ ვითარებაში ვიმყოფებით, რომ ვინც ცხოვრებისადმი გემო დაჰკარგა, კვლავ უნდა იპოვოს იგი, ხოლო ის, ვისაც შერჩენილი ჰქონდა, მაგრამ ტოტალიტა-

რულმა რეჟიმმა დააბეჩავა, როგორც აზროვნებაში, ისე — მეტყველებაში, ტოტალიტარიზმი ხომ უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტური დაბეჩავებაა, ასეთმა ადამიანმა ხელმეორედ უნდა ისწავლოს ცხოვრება. დღეს ჩვენ ვსწავლობთ, რადგან ადვილი როდია ცხოვრებას დაუბრუნდე. ჩემთვის, როგორც მოაზროვნესთვის, თვითგამორკვევა ყოველთვის განისაზღვრებოდა ცხოვრების არქონის მიმართ დაპირისპირებით, დაპირისპირებით იმ შავი გვირაბის მიმართ, რომელშიც მოგვივით იძულებული ვიყავი მეარსება ცხოვრების გარეშე, და ჩემთვის ახალგაზრდობა წარმოადგენდა ტრადიციის აღდგენას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: საქმე რომელიღაც კონკრეტულ ტრადიციას კი არ ეხებოდა, არამედ უკვდავების ტრადიციას, — მამარდაშვილი იცინის, — ეს, ალბათ, უცნაურად ჟღერს, რადგან კონფესიონალურიზ აზრით მორწმუნე არა ვარ, მე ფილოსოფოსი ვარ. ფილოსოფია სულ სხვა რამ არის, ვიდრე თეოლოგია თუ პოლიტიკური ეკონომია, მაგრამ ხშირად მივმართავ რელიგიურ სიმბოლოებს, რადგან ისინი უფრო მეტყველნი მეჩვენებიან, ვიდრე მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგია, იმდენად — გაუგებარი. ადამიანის ტვინს საერთო არაფერი აქვს მასთან. ერთი სიტყვით, ადამიანური სულის შესაძლებლობათა, პოტენციათა და კონსტანტების ჩამოყალიბებით რელიგიური სიმბოლოები უფრო გასაგებს და ამოსაცნობს ხდიან ამ კრიტერიუმებს. ამიტომაც ხანდახან სასარგებლოა ამ სიმბოლოების გამოყენება.

— იდეალიზმის ნიჰილიზმი მატერიალიზმს აქამდეც ბევრი უწვნევია, და იწვნევს, ალბათ, მომავალშიც, მაგრამ ძაღლების ყეფა ვერ შეაჩერებს ქარავნის მოძრაობას, — გაცხარდება ჯემალ გეგეჭკორი.

— ფარისევლობას ხომ არ დავიწყებ, ვამბობ ისე, როგორც ვაზროვნებ. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შესწავლა აზროვნებით, გონებით შეუძლებელია, რადგან სიტყვები მნიშვნელობას ჰკარგაენ. იგივე სიტუაციაა რელიგიასთანაც: კი არ უნდა შეიმეცნო, არამედ ერწმუნო ბრმად, გაუცნობიერებლად. ფილოსოფიის ენაზე კი უკვდავება ეს არის სიტყვა, ანუ ადამიანში მკვდარი დროის აღდგენის ნაპერწკალი. ეს არის ფაქტი და აქტი, რომელიც დღემდე გრძელდება. სიტყვა არის მარადიულობის აქტი, რომელშიც ჩვენ ვმონაწილეობთ, ვითარცა ადამიანები. რას ვგულისხმობ გამოთქმაში „ვითარცა ადამიანი?“ მე ვცდილობ გამოვხატო არსება, რომელიც ბუნების პროდუქტი არ არის: ბუნება არ ქმნის ადამიანებს. ნამდვილად ჩვენ მხოლოდ მეორე დაბადებისას ვიბადებით. ეს დაბადება კი იმყოფება იმ ველში, რომელშიც შესაძლო ადამიანი სიმბოლოს უერთდება და ამ შეერთების დაძაბულობისგან იბადება. დანტემ ერთ ლამაზ გამოთქმაში ბრძანა, რომ დაბადებულს, როგორც ასეთს, სული არ აქვსო. სულს ერთადერთი, სიტყვა იძლევა მხოლოდ. მოკლედ, ადამიანი არის არსება, რომელიც შორიდან მოდის. ადამიანი არის ძალიან „გრძელი“ არსება, ანუ ადამიანი თავის თავს დროში სჭედავს; ცხოვრება არის დროში განხორციელებული ძალისხმევა. ძალისხმევა კი თავად — თავი შეიმაგრო ისტორიულ, ადამიანურ წერტილში, რაც უძრავ

წერტილს წარმოადგენს მრუდზე, რომელიც გაგიჟდა. იესო ქრისტე შეიძლება ათასჯერ დაბადებულიყო, მაგრამ თუ ის ერთ დღეს შენში არ გამოჩნდა, შენ დაიღუპები. ეს არის ტრადიციული ხატი. იცით, ასე თუ ისე, სიცოცხლის მოკვლა არ შეიძლება. ყველაზე საშინელი რეჟიმი, ყველაზე ტოტალიტარულიც კი, როგორც საბჭოთა რეჟიმია, თავისი საშინელებით ნაცისტური რეჟიმიც რომ ვერ შეედრება, მასაც არ ძალუძს სიცოცხლის განადგურება, რადგან სიცოცხლე ტროტუარს ამოხეთქავს ხოლმე, როგორც ზოგიერთი ყვავილი. რა მიმზიდველი და დამარწმუნებელია ტოტალიტარული აზროვნების სიმარტივე. ის თხევადი საწამლავივითაა, ბევრად უფრო ეფექტურად რომ მოქმედებს, ვიდრე ცენზურა თუ ავტორების დევნა. ის შიგნიდან გღრღნის. ის შიგნიდან იჭრება ტვინში და ეს ძალზე მომხიბვლელია. რეალურად გიზიდავს. საიდან მოდის ეს ხიბლი?! იქიდან, რომ ასეთი აზროვნება ნებას იძლევა თავი ჭკვიანი გეგონოს, დაიჯერო; რომ ყველაფერი გესმის. ამ ცდუნებამ კარგი ნაყოფი გამოიღო ჩვენში, რასაც თქვენი მსჯელობებიც ადასტურებს, ბატონებო, ამიტომაც თავს უფლებას ვაძლევ საუბარს გამოვეთიშო. — მერაბ მამარდაშვილი დადუმდება და მართლაც მერე მთელი პაექრობის მანძილზე სიტყვას არ ამოუღებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ ირონიულ ღიმილს, რომელიც მეტი ძალმოსილებისაა ხოლმე, ვიდრე შიშველი სიტყვა.

— დასაბამისეული აღმოჩენა გავაკეთე-მეთქი დავიწყე თავიდან, — ისარგებლებს ჩამოვარდნილი სიჩუმით გიორგი ნუნისელი, — მაგრამ ვინ დამაცალა. გინახავთ თუ არა თქვენ ოდესმე ბერთა კლდე, ნუნისის ქვათა კომპლექსი?! რა თქმა უნდა, არა! მე კი დაბეჯითებით შემიძლია დავამტკიცო, ბატონებო, რომ ნოეს კიდობანი შუაგულ საქართველოშია, იმერეთში.

— აკი, არარატის მთებს გვითითებს ბიბლია, — ჩაერევა მამა იონა.

— ბიბლიის დღევანდელი ტექსტი იქობამდეა შერყნილი, ათას შესწორებას მოითხოვს, ბატონებო, უკეთ ძველქართული ტექსტის მიხედვით აღდგენას. ჩუბინიძის მიხვედრილობა მისაღებია ჩემთვის. სწორედ ქართულ ენაშია მიძინებული მთელი სამყაროისეული საიდუმლოებანი. სამაგალითოდ ანბანი გამოდგება. ჩვენმა რეფორმატორმა მამებმა რამდენიმე ასო-ნიშანი ამოაგდეს ქართული ალფაბეტიდან, მიმაჩნია სრულიად წინდაუხედავად. ჰე მერვე ღვთიურობის გამომხატველი სიმბოლიკაა. სადაც იგი გაერევა სიტყვაში, იქ უზენაესობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ დავუბრუნდეთ ნუნისის ქვათა კომპლექსს, რომელიც ხელოვნურია, ბატონებო, ხელოვნური. დაიხსომეთ ეს სიტყვა!

ნუნისში ყველაფერი ადამიანის ხელითაა შექმნილი, მისი დაგმანული კარების გახსნა საოცრებებს გვიქადის მომავალში. შვიდი მთისგან შესდგება იგი და ერთი ჭისგან, სადაც გვირაბით უკიდეგანო სიცარიელეში ორი სპირალური კიბე ეშვება. ხედავთ, გიჟს არაფერი მიგავს, ნურც ზღაპრად ჩამომართმევთ ნათქვამს. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც 43-42 კვადრატში მდებარეობს. დიახაც ამ კვადრატში პროექცირდება ჩრდლოეთის კოსმო-

სური ციალი, რომელიც განსხვავებულია მზის ან მთვარის ნათებისგან. იმ ნუნისის ჭაში გონიოს პრინციპით და სპირალური ხვეული კიბეებით ჩაჰ ყავდათ ჩვენს წინაპრებს ის კოსმოსური სხივი და სწორედ იქ, იმ დაუსაბამო სიცარიელეში არსებობდა ედემის ბაღი, სვეტი ცხოვლის, იგივე ოქროს საწ-მისის, იგივე სამოთხის ხის შემწეობით. იქ მცხოვრები ადამიანები შედარებით ელასტიურნი იყვნენ, მხოლოდ ხმელეთზე ამოსვლის შემდეგ გახდნენ მყიფენი, მაგრამ როდესაც ნუნისის მიწისქვეშა სიცარიელე ნელ-ნელა წყლებით აივ-სო, კოსმოსური ველიც გარდაიქმნა და ადრე ადამიანების დადებითი ემოცი-ებით დამმუხტველი აწ უარყოფითი ძალის მომნიჭებელი გახდა. ამიტომაც გა-დაწყვიტეს ჩვენმა ძველებმა დედამიწის მოძრაობის შეჩერება.

— დედამიწის შეჩერება? — გადაიხარხარებს ჯემალ გეგეჭკორი, — გეს-მით რას ამბობთ?!

— გთხოვთ ბოლომდე მათქმევინოთ. როცა თქვენ საუბრობდით ვიყავი ჩემთვის, არავის ვუშლიდი ხელს. მაინც რატომ მიგაჩნიათ დედამიწის შეჩე-რება უტოპიად, განუხორციელებლად?! მე ფიზიკის მოშველიებით შემიძლია დავამტკიცო, რომ ამისთანა საქმის განხორციელება პრაქტიკულად შესაძლე-ბელია ახლაც კი, ჩვენს პირობებში. ადამიანი, როდესაც ხმელეთზე ამოვიდა ედემის ბაღიდან, ამოვიდა უარყოფითი ენერგიით დამუხტული და საჭირო იყო მისი ლუციფერული ცოდნის წაშლა. დედამიწას მოძრაობის მიმართუ-ლებაც ამიტომ უცვალეს, და გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ — არა, ეს ყოვე-ლივე ნოემ მოიმოქმედა თავისი კიდობნით, რომელიც ხის ხომალდი სულაც არ ყოფილა. გეხსომებათ ნოეს კიდობნის პარამეტრები: სიგრძით 144 მეტ-რია, სიგანით — 24 და სიმაღლით — 14,4 მეტრი. აი, ამ მოცულობის კიდო-ბანი ხის კი არა ქვის ნაგებობა გახლდათ, სწორედ იმ ჭის თავზე დაშენებუ-ლი.

— ვერაფერი გავიგე, — ამოიოხრავს მამა იონა.

— ზღაპრების ასაკიდან გამოვედით მგონია, — კვლავ გაიცინებს გეგეჭ-კორი.

— ვაცალოთ კაცს, — გამოესარჩლება ჩუბინიძე, — ბარემ წესიერად ჩა-მოაყალიბოს თავისი კონცეფცია.

— არა, ადვილი გასაგები რომ არ არის, მეც ვიცი. მთელ მონოგრაფი-ას ორი სიტყვით როგორ მოვყვები?! მე ძირითადი შტრიხების გადმოცემას ვლამობ, ზოგადი წარმოდგენა რომ შეგექმნათ ჩემს აღმოჩენაზე. დარწმუ-ნებული ვარ ქართული ალფაბეტი შიფრია ამ საიდუმლოებათა. ყოველი სიტ-ყვის კაბალისტური ჯამი, ვთქვათ, აბრაამის, ლაზარესი 144-ია, ანუ ნოეს კი-დობნის სიგრძის შესატყვისია. ეს შემთხვევით არ უნდა იყოს, მაგრამ საუ-ბარს ვაგრძელებ ქვის კიდობანზე. ბიბლიის ძველ ტექსტში გარკვევითაა ნაჩ-ვენები ნოეს კიდობნის აშენების სურათი. იქ შავით თეთრზე სწერია მოკირ-წყლვა. კირი და ხე ერთმანეთს ვერ ჰგუობენ, მაშასადამე საძიებელია სხვა მა-სალა, ასეთი კი ქვაა, ბატონებო. კიდობნის აშენება იმისთვის დასჭირდათ

ჩვენს წინაპრებს, რომ დედამიწის მოძრაობა შეეცვალათ, რათა კაცობრიობის გონებისგან წაშლილიყო მისი უკუღმართი ცოდნა. ეს უშველებელი ჭურჭელი ნუნისის ქვათა კომპლექსისა ჰერმეტიულია, რომელსაც ხვრელი მხოლოდ ქვემოდან გააჩნია და დედამიწის შეჩერების პროცესში მსოფლიო წყლებიც ნაპირზე გადმოიღვარა, როგორც სითხეში ჩაშვებულ ჭიქაში წყალი ვერ შედის ჰერმეტიულობისა და იქ არსებული ჰაერის გამო. ამისთანა ჭურჭელში ნოეს ჯალაბს მშვენივრად შეეძლო არათუ ასორმოცდაათ დღეღამეს, არამედ რამდენიმე წელიწადსაც ეცხოვრა.

— ჩვენ კონსტრუქციულად თუ ვიმსჯელებთ ამაღამ ბევრი რამის გამორკვევას შევძლებთ, — ჩამოართმევს სიტყვას ჩუბინიძე, — გულზე მომხვდა ახლა გიორგის ჰიპოთეზები. წარმოგიდგენიათ რა გასაოცარი სისტემა აღმოვაჩინე ამასწინათ? ყოველთვის მაფიქრებდა რიცხვი 13-ის თარსიანობა. რატომღაც არავის ეჭაშნიკება იგი; სადაც შეგხვდება, სასტუმროს ნომერია თუ კინოთეატრის დარბაზის სკამი, რატომღაც გეხამუშება. საქმე კი სხვანაირად ყოფილა. ცამეტ რიცხვში დასინთეზებულია მათემატიკაში არსებული ყველა სიდიდე. ნუ გეცინებათ, ბატონო, მერაბ. ერთხელ ავიღე ნატურალური რიცხვები და გავყავი ცამეტზე. იცით რა სასწაული ვიხილე? ერთის გაყოფისას მივიღე 0,076923, ორისას — 0,153846, სამისას — 0,230769, ოთხისას — 0,307692, ხუთისას — 0,384615, ექვსისას — 0,461538, შვიდისას — 0,537461.

— დილამდე ხომ არ აპირებ გაგრძელებას? — გაცხარდება ჯემალ გეგეჭკორი.

— მოთმინება იქონიეთ, ბატონებო, სად გეჩქარებათ, საით სულსწრაფობთ? თქვენთვის ვყვები, თორემ მე ისედაც ჩინებულად მომეხსენება. რვისას — 0,615384, ცხრისას — 0,692307, ათისას — 0,769230, თერთმეტისას — 0,846153, თორმეტისას — 0,923076, ცამეტისას — ჩვეულებრივი ერთი და ნოლები ექვსნიშნა პერიოდის ნაცვლად მძიმის ხელმარჯვნივ. მორჩა, გაწყდით წელში?! აი, ამ თორმეტ ათწილადშია მოქცეული, ბატონებო, მთელი კოსმოსის საიდუმლოება. გასაგები რომ იყოს რამდენიმე მაგალითს დაგისახელებთ. ერთის ცამეტზე გაყოფისას ხომ ვღებულობთ 0,076 923?! იცით, აქ როგორ არის საქმე?! ექვსნიშნა პერიოდის პირველი სამეული მომდევნო სამეულში საკლები ცხრიანების ნაშთია, თუ გვაქვს 076 მომდევნო სამეულის პირველი წევრი, როგორც წესი, უნდა იყოს 9, მეორე — 2, მესამე — 3, რადგან ნულს ცხრამდე აკლია ცხრა, შვიდს — ორი და ექვსს — სამი. მიგდეთ ყური და თქვენვე შეგავსებინებთ. ვთქვათ, რვიანის ცამეტზე განაყოფის პირველი სამეულია 615. მითხარით, ბატონო, ჯემალ, რამდენი იქნება მეორე სამეული?

— პირველი რამდენი თქვით?

— არ მისმენთ გულისყურით, 615.

— თქვენი სწავლების მიხედვით მეორე სამეული უნდა იყოს 384.

— ხომ ხედავთ წამში მიითვისა ჩემი აღმოჩენა! ჩაუღრმავდებით, ბატო-

ნებო, ამას და თვითონ მიხვდებით რამდენი საოცრებაა ჩამარხული შიგნით. ცნობისთვის კიდევ გაგიმხელთ დამატებით, რომ ერთის ცამეტზე განაყოფი შეესაბამება თორმეტის ცამეტზე განაყოფს, ოღონდ აქ სამეულები ადგილგადანაცვლებულია, ერთის 0,076923 თორმეტთან შებრუნებითაა 0,923076. ასეთ მიმართებაშია ორი და თერთმეტი, სამი და ათი, ოთხი და ცხრა, ხუთი და რვა, ექვსი და შვიდი.

დააკვირდები ამ სისტემას და უნებლიეთ ჯვარს ვღებულობთ. აი, რა ცოდნას უმალავდნენ შთამომავლობას ჩვენი წინაპრები. ვინ იცის, ასეთი რამდენი ათასეული დაკარგულა, რამდენი განადგურებულა რელიგიების მახვილითა და ცეცხლით. ქრისტეც ზიარებული პიროვნება იყო უთუოდ, ცამეტის საიდუმლოებას ზიარებული პიროვნება, რომელიც გამორიცხული არ არის, იქნებ სწორედ ნუნისში ეუფლებოდა ამ ცოდნას. ჰოდა, ბატონებო, ზიარებულებმა მკაცრად გააფრთხილეს თანამზრახველნი ქრისტეს ჯვარზე გაკვრით: ვინც ამ საიდუმლოებას გასცემდა, იესოს ბედს ეწეოდა. ქრისტეს ყოფიერება, მისი უბიწო ჩასახვა, მისი ინკოგნიტო ცხოვრება ოცდაათი წლის მანძილზე, მისი ქადაგებანი, დარწმუნებული ვარ თავიდან ბოლომდე მოგვების, იგივე საკაცობრიო ცოდნის შემნახველი კასტის მიერ იყო ინსცენირებული. ალბათ, შემთხვევითი არ არის ქრისტეს საძმო თორმეტ მოწაფესთან ერთად ცამეტს რომ უტოლდება; ახლა მინათდება გონება: შვიდი პურითა და ორი თევზით რომ დაანაყრებს ხუთიათას კაცს. იქნებ აქ ეზოთერიულად სწორედ ნუნისია მინიშნებული?! გიორგი, შენ ხომ ამბობ ნუნისის ქვათა კომპლექსი შვიდი მთისგან და ჭაში ჩამავალი ორი სპირალური კიბისგან შესდგებაო?! აქ ცოდნით დაპურებაზეა საუბარი უეჭველად.

— გამაოცეთ პირდაპირ, ბატონო, ვლადიმირ.

— ამხელა ამბებს ერთი გონება ვერ გაწვდება. ცხადია, მთავრობას უნდა ვუმადლოდეთ ხანდახან ასეთი გულღია საუბრისთვის დროს და სივრცეს რომ მოგვაშავებს ხოლმე, მაგრამ ბარემ ქრისტეზე საუბარს მოვრჩეთ. ზიარებულებს, იგივე მოგვებს, ქურუმებს, თავიანთი მრევლის დასასჯელად, ყურადსაღებად სჭირდებოდათ იესოს სამაგალითოდ გაჯორვა. ჯვარზე კი გააკრეს, მაგრამ კიდურები ისეთი ადგილებით მიულურსმნეს, სულაც არ იყო სასიკვდილო. ამით ადამიანებს სამუდამოდ წაართვეს ცამეტისა და ჯვრის სიბრძნე. რამდენადაც ცნობილია, ყველაზე ჭეშმარიტი დებულებანი თვალწინ გვიდევს, ხელისგაწვდენაზე, თუმცა ათასწლეულობით ვერ მიგვიგნია შორეთში ბოდიალის გამო. ამიტომაც ჭკვიანი ხალხი ქვებს ქვიშაში კი არა, ქვებშივე მალავენ. დიახ, ჯვარცმის სცენას ამოეფარა ცამეტისა და მარადიული მოძრაობის სიმბოლო.

ლურსმნების ხსენებაზე ისევ მიხედავენ ოდიშელიას, მაგრამ იგი გარინდული ზის თავისთვის, განცალკევებული. ვერ გაარკვევთ ყურს მიუგდებს ამ საუბარს თუ გულდარდიანი ფიქრს მისცემია.

,,კი, ბატონო, შენი ძალისხმევით გადატრიალდა რუსთავის მესამე ზონა. სატანა კვეკვესკირს თავი მოაჭრეს და სარზე წამოაცვეს, მაგრამ რა სიკეთეს მოიტანს მომავალში ეს ყოველივე?! ძლივს გამოაღწიე დაკეტილიდან ექვსთვიანი წნეხების შემდეგ. ძლივს ეღირსე დღის ნათელს და ისევ ყულფში შეჰყავი თავი. ვითარებას დიახაც სერიოზული სუნი ასდის. არც ისე გულუბრყვილონი არიან მამულოვი და მისი შანტრაპა, შეთქმულების ორგანიზატორი ვერ დაადგინონ. შვიდწლიანი ციხე-ციხე, ზონა-ზონა წანწალი შეიძლება სანატრელი გაგიხდეს. ხოდა, მშვიდობით სიცოცხლით სავსე სიჭაბუკევ, მშვიდობით მწვანეთვალება ილონავ, მშვიდობით ჭადრების ხეივნის ტალანებო! — როკი შინაგანად გრძნობს ამ გარდუვალ განსაცდელს, — აბა, გაპატიებენ ძაკას შვილიშვილს კვეკვესკირის თავის გაგორებას, ათეულათასობით მანეთის ზარალს. შედეგი, შედეგი რა მოჰყვება ყოველივეს?! ყოჩებს რქებს ჩამოამტვრევენ, მიმოფანტავენ მთელს კავშირში, დაკენტავენ, დააშორიშორებენ ერთმანეთს სასჯელით დამძიმებულებს. რუსთავის მესამე ზონაში ახალ კვეკვესკირს გამოამწესებენ, რომელიც უფრო მოქნილი მეთოდებით, მეტი სიფრთხილითა და ქვეშქვეშობით მაინც გააწითლებს აქაურობას. პატიმრების სამი მეოთხედი მაინც მოირგებს იმ ავადსახსენებელ ,,პავიაზკას". პეკეტესთვის ისევ მოიძებნება ერთი მეოთხედი ურჩი და ამ უცვლელ კანონთან ჭიდილის გამო ვინ დაგიმადლის, მთავრობა თუ სასჯელწამატებული საძმო?!

აგერ, ფილოსოფოსობენ თანასაკნელი მეტრები. ჩაგესმის ყურში ცალკეული სიტყვები, ფრაზები, წინადადებანი, მაგრამ შინაარსის გამოტანა გიჭირს და არც იმტვრევ თავს საამისოდ. ისე მადლიერი უნდა იყო თითოეულის, თანადგომას რომ გიცხადებენ. განსაკუთრებით ნოდარ ქარდავასი, ვეფხვივით რომ დგას შენი სიცოცხლის სადარაჯოზე. პატიმრებმა სწორედ მისი თაოსნობით აყარეს ნარი და ამოხერგეს კამერის შემოსასვლელი. მეორე სუტკა სრულდება, რაც თვალი არ მოუხუჭავთ. წყალს იზოგავენ, პურს მოციცქნიან. კი, მაგრამ როდემდე გასტანს ყოველივე?! მთავარი ბატალიები უკვე ჩავლილია. შუასაუკუნეობრივი სისასტიკით წარკვეთილი კვეკვესკირის თავი სევდიანად იმზირება რკინის ბოძიდან და მისი მოჭრილი კისერი კაცთმოძულეობის უმაღლესი ბარბაროსობით ღაღადებს. არა, საფილოსოფოსად არ სცხელა შენს გონებას. თავად ჯანდაბას, მაგრამ რამდენ ძმაკაცს გაუმწარდება სიცოცხლე. რომელ ერთს გადაუვარცხნიან ქოჩორს, ქუთაისელ შიპლიტიას, სენაკელ ვისო სანაიას თუ ზესტაფონელ იურა ჩირკვილაძეს?! ისინი ხომ ერთი სულისკვეთებით აღანთებდნენ სევეპეს ლერწამივით მერყევ ხალხს? კი, ბატონო, გაშავდა ზონა, თუმცა ამ სანთელივით ბიჭების ცოდვაც ხომ შენზეა?! რომ არა შენი მიმწოლობა ორ-სამ თვეში სუფთა ჰაერზე იქნებოდნენ. ან ნოდარ ქარდავას რა ბედი ელის?! განა ყველას შეუძლია შენსავით ჯურღმულების დოლაბთა თავზე დატრიალება?! ბევრი ამნისტიას უცდიდა, ახლა კი ვინ იცის რამდენი წლით გაიხანგრძლივებენ ჯოჯოხეთის არ-

ტახებს?! იქნებ მოხდეს ისეც, რომ სულაც ვერ გამოაღწიონ სატუსაღოს კედლებიდან ბებრებმა?! ნუნისის ჭისთვის მცალია დიახაც, ან თარსი ცამეტის აბდაუბდასთვის! აგერ, ჭკვიანი კაცი, მიჯდა კუთხეში და ფიქრებში ჩაიძირა, ესენი კი ქაქანებენ და ქოთქოთებენ კვერცხისმდებელი ქათმებივით, — აქ მეორე ხმა იმძლავრებს ოდიშელიას არსებაში, — მაშ, ეპარპაშა კვეკვესკირს? — ეკითხება ის იდუმალი თანამოსაუბრეს, — შესაძლოა ამ გადატრიალებით ოცმა აიბურდა სვე-ბედი, სამაგიეროდ ასეულები გაიხარებენ. დროზე მიუვლენ თავიანთ კერიებს, დროულად ჩაიხუტებენ თვალებამოღამებულ მეუღლეებს და უმამოდ გაზრდილ შვილებს. ოჯახს მშრომელი კაცის ხელი დაეტყობა, ჭერს სტუმარი მოუმრავლდება, ჟანგმოკიდებულ გუთანს სახნისი და ფრთა აულაპლაპდება. კიდევ რამდენი გაიხარებს ერთი გულბოროტის სამაგალითო დასჯით?! არა, სადაც როკია, იქ უსამართლობა ვერ იბოგინებს. გათხოვდება ბოლოს და ბოლოს შენი ილონა, შენი გულის ლახვარი! ცას ხომ არ შეაბერდება კენტად, ოდიშელიას ფუჭი იმედით?! დანიშნული კარლო წაიყვანს, სათადარიგო კავალერი გამზადებულია მისთვის აკვნიდანვე, ოღონდ ბედნიერი იყოს და არაფერს ვჩივი. მე ჯანდაბას, გაჯახირებულ ცხოვრებას რამენაირად მივასიკვდილებ. სანანებელი რა მრჩება წუთისოფელში მშობლების გარდა?! გივიც სადღაც მოუსავლეთ ნოვოტროიცკშია, მაგრამ გენადი არაფერს მოაკლებს დედ-მამას. გენკა ყოჩაღი ბიჭია, უფროს ძმებზე ნაკლებად არც მუშტი უჭრის და აღარც — გონება. განსხვავებული იღბლისაა, ღმერთმა სულ ბედნიერი გზით ატაროს! ჩვენი მოუზომავი საქციელი წინ უდევს ჩატეხილ კიბესავით, არ უნდა ჩავარდეს შიგ. დაოჯახდება კიდეც და მისი ფესვი იგივე ოდიშელია არ იქნება განა?! გულჩვილობას მოეშვი, ბალღო! რა დროს ცხვირის ჩამოშვებაა?! ხომ ხედავ, რამხელა მთვარე შემოტეულა შენს სარკმელში, ნესვისფერი თუთა, განურჩევლად რომ ანაღვლიანებს დიდს და პატარას. ბოლომდე უნდა მიიყვანო ღირსების საქმე. თქვა რუსთველმა, სახელი ყოველ მოსახვეჭელს სჯობიაო, ხოდა, შეუპოვრად უნდა დაეჭიდო შენს წილ ბოროტებას. წარბის შეხრა რას მიქვია, ხომ არ დაგვიწყნია ვინ ხარ ბოლოს და ბოლოს?! შენ ხომ პანტერა ხარ, ფისო ქუჩულორიას მონათლული ავაზა, კაცის სიმაღიდან დაშვებულ ჭადრის ფოთლოს ხუთჯერ რომ წამოეწევი გზაში?! შენ ხომ ოდიშელია ხარ, ყოველთვის ცერზე შემართული დაბეჩავებული ადამიანების ნუგეშისმცემლად, ნაპირზე იმ შუქურასავით ანთებული, დამსხვრეული ხომალდის მგზავრებს მძლავრ ხელს რომ უწვდის შორეთიდან?!

დაე, იფილოსოფოსონ ფილოსოფოსებმა, იმატრაბაზონ მსახიობებმა, აჭარტალონ ენა მწერლებმა. შენი მოვალეობა ქმედებაა! შენ ხომ ნაღდი ცხოვრება ხარ — როკი, იგივე ძელქვა, როგორც ამას ბაბუა ძაკა გეძახდა?!

თერთმეტი წლისაც არ იყავი უცბად რომ მიიცვალა ცხონებული. აივნის ტახტაზე მოკალათებული ჭიშკარს უმზერდა თურმე. ხელები მოაჯირზე დაეყრდნო. ძაღლს რომ არ ეყმუვლა, ვერავინ იფიქრებდა მკვდარიაო. ტანით

ეგრძნო ბაბილინა ბებიას ქმრის აღსასრული. როცა ლოგინიდან აპარული ნახა, ისეთი შეუცხადებია თურმე, ფეხზე წამოცვენილა დიდ-პატარა. ბებია სულ შიშობდა:

არიქა, მოხუცმა რაიმე უბედურება არ აუხიროს თავისთავს, ვალერიანისგან გულდაკოდილმაო.

გახარებია სადღაც თოკზე ჩამოკონწიალებულის ნაცვლად ბუნებრივი სიკვდილით გათოშილი რომ უხილავს.

ავიძბების უშველებელი გვირგვინი გახსოვს შავი ლენტებით მოფრიალე. ასამდე დამტირებელს წინ მოუძღოდა ალვერი ძაკა ბაბუას გადიდებული პორტრეტით ხელში. შენს კბილა დაურს და ანატოლს კი გვირგვინი მოჰქონდათ. მათ მოსდევდა ორი დედაკაცით ხელებგაკავებული, ღაწვებდახოკილი მორდუ, კივილით ცის გამფხრეწავი შაოსანი ქალები და ორივე ხელისგულის შუბლში მოტყლაშუნე კაცები. ბაბუას სიკვდილმა გედის დაღუპვა გადაგავიწყა. მართლაც რომ განუმეორებელი მოხუცი იყო. მისი ჩითის პერანგის სუნი ახლაც გიღიტინებს ცხვირის ნესტოებში, თამბაქოს ახალაკინძული ფოთლების სრუნელით გაჯერებული, სააგურე მიწის ოხშივრით გაჟღენთილი“.

— ქრისტე იგივე ზიარებულებმა კულისებში მოაკვდინეს მოგვიანებით, — აგრძელებს კვლავაც ვლადიმირ ჩუბინიძე, — როცა თავიანთი საქმე ბოლომდე მიიყვანეს, როდესაც საგულდაგულოდ შენიღბეს მასზე გაკრული მაცხოვრის სხეულით ჯვრის მარადიული მოძრაობის საიდუმლოებაცა და ცამეტის კოსმოგონიური იდუმალებაც.

— ამისთანა საუბრების გამო უფალი დაგსჯით, შვილნო, ჩემნო, მაგრამ ამაღამ თქვენთან დავა კედელზე ცერცვის შეყრაა, — აუმღვრეველია მამა იონა, — ისე კი, გვაქვს შეხების წერტილები. მართალია, ინტერპრეტაციები განსხვავებულია, მაგრამ მაინც ერთ რეალობას ვუკირკიტებთ. მე ჩემს რწმენაზე ვრჩები კვლავაც და მამაღმერთის შექმნილს ვერასდროს ვაღიარებ მატერიალისტური მსოფლმხედველობის ნაღლაბუცევად, თუმცა ჩვენი კამათის საფუძველთა საფუძველი ლაზარესთან რომ იყრის თავს, ეჭვსგარეშეა, და აი რატომ: გახსოვთ ზეპირად ვინმეს ასორმოცდაათ სიტყვიანი ,,ქებაის“ ტექსტი?!

— ზეპირად არა, მაგრამ წაგვიკითხავს, — შვებით ამოისუნთქავს ჩუბინიძე.

— შეგახსენებთ მაშინ. აი, რას სწერს მეათე საუკუნეში ბერი იოანე ზოსიმე:

,,ქებაი და დიდებაი ქართულისაი ენისაი

დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა, საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან; ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაი. და მეგობრობაი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან: „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი“.

და სახარებასა შინა ქართულსა თავსსა ხოლო მათეისსა წილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხიათასსა მარაგსა.

და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხისა დღისა მკუდარი. ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებითა მამისაითა.

და ესე ენაი შემკული და კუთრხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა.

და სასწაულად ესე აქუს ოთხმოეც-და-ათოთხმეტი წელი უმეტესი სხვათა ენათა ქრისტეის მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაი“.

ეს ტექსტი, ბატონებო, ერთხელაც ადასტურებს ჩვენს საერთო სულისკვეთებას: ლაზარე იგივე საქართველოა, რომელიც ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა, ოთხი დღის მკვდარი, ანუ ოთხიათასი წლის მიძინებული ჩვენი ენა, მოდგმა. ძეგლი მეათე საუკუნეშია შექმნილი. სამიათასი წელიწადი ქრისტეს იქით და ორიათასიც აქეთ ხუთიათასი გამოდის უბრალო არითმეტიკით, რაც სავსებით ეთანხმება ბიბლიურ წარმოდგენებს წარღვნის თაობაზე.

— რა მიძინება, რისი მიძინება, როცა ეგერ რუსთაველზე კინაღამ მარწუხებით ამოგვზლიტეს ენა და ძაღლებს გადაუგდეს საჯიჯგნად, — გაცხარდება ნოდარ ქარდავა, — პატარა ერი განწირულია დიდის ჩასაყლაპავად. ძალადობით თუ არ მოხდება ეს, აგერ გეგეჭკორის სწავლების შესაბამისად უკლასო საზოგადოებაში, კომუნიზმსაც რომ ეძახიან, ერთი გვექნება ენა, და არც მარწუხები დაგვჭირდება პირის ღრუდან მათ დასაძრობად, აღარც — სხვა რამ მოწყობილებანი. ჩვენივე ნებით უარვყოფთ თურმე დროთა ვითარებაში. რა თავში ვიხლი ახლა მე ამისთანა საზოგადოებას, როცა სათაყვანებელი დედა-ენა ჩემივე ნებით დასათმობი თუ გამიხდება?!

— ამხანაგებო, ბატონებო, — არ აცლის ნოდარ ქარდავას აზრის დამთავრებას ჯემალ გეგეჭკორი, — ჯერ ერთი კომუნიზმზე გადასვლა ნაძალადევად, ძალდატანებით როდი მოხდება. ახლანდელი მესვეურების გზით ჩვენ იქ ვერასდროს მივალთ. ამის თაობაზე მოგახსენეთ და ამიტომაც ვზივარ ახლა ამ მთვარიან ღამეში თქვენს გვერდით, მაგრამ ეს პროცესი რომ გარდაუვალია, კოჭებზედვე ეტყობა კაცობრიობის ისტორიას. ის ოდესღაც იყო ასეთ მდგომარეობაში, ოღონდ მაშინ — პრიმიტიული ურთიერთობით, პირველყოფილ თემურ წყობილებასაც რომ ვეძახით პოლიტეკონომიის ენაზე. ნიკიტას და ბრეჟნევის მაგალითით ნუ შევალთ ჩვენ კომუნიზმში. ეს ურთულესი და უხანგრძლივესი პროცესია. ოთხი თვეა ვზივარ აქ, და მოდით, ჩვენი საკნის მაგალითზე ვიმსჯელოთ, რაა კომუნიზმი.

ვთქვათ, მოხდა ისე, რომ მთელი კაცობრიობა ეს ორმოცი კაცია და ამ-

დენივე ქალიც. არავითარი კონტაქტი სევეპელებთან და კვეკვესკირის წყეულ თავთან. მთელი ზონა სავსეა არსებობისთვის აუცილებელი პროდუქტებით. შეზღუდული არავინაა, ვისაც რამდენი ენებება იმდენს შეჭამს, იმდენს დალევს, მაგრამ ჩვენი შეგნება ამისთანა შემთხვევაში სხვანაირი იქნება, არა ისეთი მხეცური, როგორც დღეს გაგვაჩნია.

აქ ასსების პრიმატია გამეფებული, მაშინ კი მათ თვითონ შერცხვებათ თავიანთი პრივილეგიებისა, ისინი თავად იტყვიან უარს რაიმე უპირატესობაზე. ყველა საკითხი შეგნებულად გადაწყდება, მაგალითისთვის, პანტერა თავის მუშტებს სხვათა ცხვირ-პირის ჩამოსანგრევად კი არ აამოქმედებს, არამედ შრომის საერთო ფერხულში დაასაქმებს. არც ბეტონის იატაკის გამოხვეტას იუკადრისებს. მოვა ჩემი ჯერი?! დიდის მონდმებით გამოვცოცხავ აქაურობას. ასე მოიქცევა ნოდარიც, ჩუბინიძეც, მამარდაშვილიც, მამა იონაც, გიორგი ნუნისელიც, ნოდარ ქარდავაც. აქ არ იქნება ძალადობა, არამედ შეგნებული აუცილებლობა გვიკარნახებს თითოეულს ვიზრუნოთ ერთმანეთისთვის და არა იმისთვის ვიმტვრიოთ თავი, როდის გვეცემიან ყელში ტოტიასავით. კასრში ჩაგდებული ჭონია სულ ბოლოს შეიჭამა, მაგრამ კომუნიზმის დროს ამისთანები გამოირიცხება, ვინაიდან ადამიანის გონებას ჩამოშორდება კუჭზე ფიქრი და ზრუნვა. ისე კი, სანამ სტომაქის პრობლემები მოუგვარებელია, უკლასო საზოგადოებაზე ოცნებაც კი ზედმეტია. ამიტომაც ამბობდა მარქსი: სოციალიზმი ყველა ქვეყანაში როცა გაიმარჯვებს, მხოლოდ მერე შეიძლება ვიფიქროთ კომუნიზმზეო.

ლენინმა შეავიწროვა მისი საზღვრები, ცალკე აღებული ქვეყნის მაგალითზე სცადა ფონს გასვლა, იექსპერიმენტა, ის კი ვერ გაითვალა, რომ დანარჩენი მსოფლიო როდესაც ბოგანოა, ან კერძო ინტერესებს გამოდევნებული, მას ორ მტერთან უწევს ბრძოლა, აშკარა გარეგნულთან იმპერიალიზმის სახით და ფარულ შინაგანთან, კერძომესაკუთრულ შინაურთან. ორ ფრონტზე ომი კი ყოველთვის მარცხით მთავრდება. ამირეჯიბმა ვერ დაგვიხატა იდეალი. ერთი შეხედვით ზნეობრივად სრულყოფილი მისი გმირი ვერ არის სამაგალითო, რადგანაც თუთაშხიას ჩაურევლობის ფსიქოლოგია ანტიადამიანურია თავისი არსით. ეს ყველაფერი შეიძლება გამართლებული იყოს ტიპაჟის შენარჩუნებისათვის, მაგრამ საზოგადოებას მისაბაძი პიროვნებები სჭირდება. ასეთი გმირი ჯერ არ დახატულა ჰომეროსიდან მოყოლებული.

ვის გაჰყვეს ახალგაზრდობა? აქილევსს, რომელიც ილიონის პირველი დამაქცევარია?! განა ელენესთვის, თუნდაც მშვენიერისთვის, ღირდა კი ათასების სიცოცხლის სამსხვერპლოზე მიტანა?! არა, აქილევსი გამოუსადეგარია ჩვენი ახალგაზრდობის ეტალონად. ვინ დავსახოთ მომავალი თაობის იდეალად? ჰამლეტი? ფაუსტი? დონ კიხოტი? ქრისტე? მითხარით, რომელი, რო-

მელი განზომილება, ყველა ერის ინტერესს, თითოეული პიროვნების მისწრაფებებს რომ დააკმაყოფილებდა ზედმიწევნით?!

— წმინდა გიორგი, — თქვა ნოდარ ქარდავამ.

— კი, წმინდა გიორგიც, მომავლის გმირის შტრიხები აქ დასახელებულ პიროვნებებთანაც მოიძევება მეტად თუ ნაკლებად, მაგრამ ერთ პიროვნებაში თავმოყრილი იდეალი ჯერ არ დახატულა, ამხანაგებო, ბატონებო, ასეთი მწერალი ჯერ არ მოვლენია სამყაროს. ამისთანა შემოქმედის გაჩენა იოლი საქმე არ არის. ათასწლეულების ბელეტრისტულ გამოცდილებას ვინც ვერ შეაჯვარებს საბუნებისმეტყველო დისციპლინების ღრმა ცოდნასთან, ყოველთვის ცალმხრივი იქნება. მთავარი კრიტერიუმი ცოდნაა, უწინარესად ბუნების საიდუმლოებათა შემსწავლელი მეცნიერებისა.

გოეთე მიუახლოვდა ცოტათი ჭეშმარიტების კარიბჭეებს, მაგრამ შიგნით შესვლა ვეღარ მოახერხა.

ესთეტიკოსები ჰეგელის მეთაურობით ხელოვნებისგან გამორიცხავენ ცოდნის მომენტს, მშვენიერის, ამაღლებულისა და ტრაგიკულის კატეგორიებს უქვემდებარებენ მის სამოქმედო ასპარეზს, მაგრამ უცდომელი არავინაა, გნებავთ თვით დიალექტიკის მამაც. ვიმეორებ, ვინც ვერ დააჯამებს დღემდე არსებულ ლიტერატურულ და შემეცნებით ფასეულობებს და ვერ მოახდენს სახეებით აზროვნების სინთეზს კატეგორიებით ასასახ სინამდვილესთან, განწირულია ეფემერული სიცოცხლისათვის. არადა, ამისთანა წიგნის შექმნა სრულებით შესაძლებელია ჩვენს ეპოქაში. საამისოდ ყველა პირობა მოცემულია, განსაკუთრებით საქართველოში: სოციალური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ბელეტრისტული ტრადიციები.

დარწმუნებული ვარ ასეთი პიროვნება უკვე დაბადებულია, მაგრამ აკვანში როდი ჭყლოპინებს, არამედ ფუტკარივით ნესტარ-ნესტარ აგროვებს მასალებს, სვენებ-სვენებით მიუყვება თავის აღმართს, არსაითკენ ეჩქარება, არ უსწრებს მოვლენებს დედის წინ მორბენალი კვიცივით, და მამა იონა, რომ მოიშველიებ ზოსიმეს სიტყვებს, ყოველ ერს უფალმან ამ ენით, ანუ ქართული სინამდვილით ამხილოს, ამცნოს ქვეყნიერების ავანჩავანიო, იქნებ ასეთი მწერლის მოვლინებაზეა საუბარი?!

— „ქებაის“ ათასნაირი ინტერპრეტაცია შეიძლება, მაგრამ აქ უფრო რთულად არის საქმე, უფლის მიერ კაცობრიობის მხილება აპოკალიფსისისა და თეოლოგიური კათარზისის მაუწყებელია, ალბათ, ჩვენი ათასწლეულის მიწურულისთვის.

— ყველა შეხედულება პატივსაცემია, მამა იონა. ბუნებრივია, თქვენსაც აქვს უფლება არსებობისა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ მაინც ვერ დავსახეთ ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური მოქმედების პროგრამა, — მელოტ თავზე ხელს გადაისვამს ჩუბინიძე, — როცა მე ვამტკიცებდი, რომ კაცობრიობა ღვთიური წარმომავლობის საზოგადოების დეგრადაციის შედეგია-მეთქი,

არსებით ძარღვს წაუყრუეთ ნებით თუ უნებლიეთ. ამით ფაქტობრივად მივანიშნე გარემო პირობების ბაზისობა და ცნობიერების ზედნაშენობა: მართალია, შენაძენია ადამიანის სხეულებრივი აღნაგობა; შენაძენია შემეცნებითი მწვერვალებიც, მაგრამ ერთიც და მეორეც ჩვენი სურვილების უნებართვოდ ზედმიწევნით ექვემდებარებიან ცვალებადობებს, როგორც პროგრესულისკენ, ისე რეგრესულისკენ.

რა ვთქვი აქ გაუგებარი, ბატონო, ჯემალ?! განა თქვენს წისქვილზე არ ასხამს წყალს ჩემი მოსაზრებანი?! განა მეც ადამიანის წარმოშობის საკითხი არ წამომიწევია წინა პლანზე?! ჩვენ იგი ღვთაებრივ მდგომარეობაში ვიხილეთ დედამიწაზე, როცა ეს ენა, როგორც სამეტყველო საშუალება, არც კი სჭირდებოდა. როგორ ვივარაუდოთ ჩვენ ტვინის ოთხმოცდაჩვიდმეტი პროცენტის შესაძლებლობანი, რომელიც ახლა გიორგი ნუნისელის ვერსიით წაშლილია დედამიწის უკუღმა დატრიალებით, თუ დროთა ვითარებაში უმოქმედობის გამო დახურულია შებინდებისდროინდელ ყვავილის მსგავსად, მაგრამ ხომ არ გამოგვირიცხავს იმ უჯრედების სიკვდილი, გაქრობა საერთოდ?!

ჩვენ უსაზღვრო ცოდნის შევიწროვებაზე გვქონდა მსჯელობა. ეს პროცესი არ არის ცალმხრივი. ადამიანი როგორც კი კაცობრიობის ნომერ პირველ პრობლემად გადაიქცევა, ეჭვი არ მეპარება, დაიწყება დინების უკუმოქცევა და ის დანისლული უჯრედები ტვინისა, ხელახლა გაიხსნება. ენის უფუნქციობაზე ვთქვით ზემოთ. ღვთიური მდგომარეობის ადამიანს სამეტყველო ენა არათუ სჭირდება, არც მოეპოვება. ჩემის ღრმა რწმენით ენა ხელოვნურადაა შექმნილი კოლოსალური ცოდნის შესანახად, თორემ ღვთიური მდგომარეობის ადამიანები ცნებებით, კატეგორიებით მსჯელობენ და აზროვნებენ, თანაც უსიტყვოდ კითხულობენ ისინი ერთმანეთის ნააზრევს. აქ ჩინელისა და ქართველის ურთიერთობა გრამატიკული ფორმით კი არ ხდება, არამედ — ხატობრივად, სიმბოლოებით. ენის შექმნამ, სამეტყველოსი თუ დამწერლობითის, წარმოშვა უამრავი დიფერენციაცია ეროვნებების სახით. ღმერთს ინგლისელმა „გოდ“ უწოდა, სიტყვის ბუნებამ, აკუსტიკურად სხვაგვარად გააფორმა ერთი და იგივე შინაარსი ქართველთან, ინდოელთან, და აქედან გამომდინარე, ეროვნულობაც იმ გლობალური კატასტროფის შედეგია უცილობლად, თორემ ღვთიური მდგომარეობის ადამიანისათვის აღარ არსებობს ვერბალური განსხვავებანი: ყველაფერი გონებით შეიმეცნება; გონებით მიმოიცვლება ინფორმაციები, სადაც „ილიადა“ თუ „ფაუსტი“ რამდენიმე წამში გაიაზრება პიროვნებებს შორის. ეს გზა გარდაუვალია კაცობრიობისათვის, ღმერთი...

ყრუ გმინვა ჩუბინიძესაც შეაკრთობს და მასთან ერთად საკნის ოცდაცხრამეტივე წევრსაც. ჯერ ამოხერგილ შემოსასვლელს მიაჩერდებიან უნებლიეთ, მერე — კუთხეში მიმჯდარ როკის.

მთვარე გაცლია ხელისგულისოდენა სარკმელს, მაგრამ მისი ალმაცერი

შუქის ფონზე გარკვევით იკითხება ოდიშელიას ტანჯვაგამოვლილი სახე.

წამოცვივდებიან. შემოეხვევევიან. როკი ახლა მარცხენა ტერფზე დაიბჯენს ლურსმანს და გამეტებით გაუქანებს რიყის ქვას. კვლავ აღმოსკდება გულმკერდის სიღრმიდან დახშული გმინვა. გაოგნებულები უმზერენ. ოდიშელია არ ცხრება, ძაფგაყრილ ნემსს ჭმუნვით გაატარებს ტუჩში, ყოველი ნაკერი გულსაკლავად ამოაგმინებს მის უდრეკელ სხეულს. გახევებულნი ვერაფერს ამბობენ, ვერც შველიან მათ თვალწინ საკუთარი ნებით ტანჯვის მორევში შეცურებულ ადამიანს. ახლა კი ხვდებიან ოდიშელიას ორდღიან თადარიგს ამ უკიდურესი ნაბიჯისკენ, თუმცა დაბეჯითებით ვერავინ გიპასუხებთ, მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის გამო მოიმოქმედებს ყოველივეს, თუ მათი საუბრებით ეგზალტირებული თვითჯვარცმას მისცემია მაღალფარდოვნად აძრახებული მეგობრების გამოსაფხიზლებლად. იქნებ ენადგაკრეფილ თანასაკნელებს ოდიშელია კონკრეტული თავგანწირვით თვალნათლივ ანახებს მათი ბერწი ქაქანის უნაყოფობას, რომ ათას სიტყვას, მამარდაშვილისა არ იყოს, ერთი ქმედება სჯობს, გადამწყვეტი და აუცილებელი.

ტუჩებიდან წამოსულ სისხლს სუფთა ნაჭრით უწმენდენ ძმაკაცები. თეთრი პერანგი ერთიანად მოთხვრია, ზოლ-ზოლად და მისი გიმნასტურაც სამ ფერში გადაწყვეტილ უჯრებიან ქსოვილს ჰგავს. როკის მიზანი კი სრულიად კონკრეტულია: ყველაფერს აკეთებს, რათა ძმაკაცებს სასჯელი ააშოროს, ზონის გადატრიალებისათვის ორგანიზებულის კვალიფიკაცია ჩამოაშოროს ადმინისტრაციის თვალში, სტიქიური მიმართულება მიანიჭოს.

დილის ექვსი საათიც არ იქნება, რომ დერეფანში იმატებს მწყობრი ნაბიჯების ხმა. საკნის კართან მოგროვდებიან ზედამხედველები და გუშინ შეწყვეტილ საუბრებს განაახლებენ.

— ვიდრე შემოგვინგრევია, ერთხელაც გაფრთხილებთ, ბუნტისთავი ოდიშელია გამოვიდეს თავისივე ფეხით.

დერეფანი გაისუსება პასუხის მოლოდინში. მაშინ, იდეალურ სიჩუმეში ნოდარ ქარდავა დაიბუბუნებს:

— კი, მაგრამ რანაირად, ძაღლიშვილებო? როგორ წამოვიდეს, როცა საკაკუტე ლურსმნებით ნარზე ფეხები დაუჭედია?!

— ხუმრობას მოეშვით! სახუმროდ გაქვთ საქმე კაცისმკვლელებს?! თვითონ გაგვცეს პასუხი, თანახმაა თუ არა თავისი ნებით ჩაგვბარდეს?!

— ასეთი ცალტვინები საიდან შეიყარენით? — ცხარობს ნოდარ ქარდავა, — რანაირად გიპასუხებთ ოჯახქორებო, როცა პირი ათი ნომერი ძაფითა და ნემსით ამოუკერია?! ან რანაირად უპირებთ კამერიდან გათრევას?! თქვენ, ჩვენ სევეპელები ხომ არ გგონივართ?! ოცდაცხრამეტივე მამაკაცი მზად არის თავი გასწიროს პანტერასთვის. ეგეც რომ არა, საძილე არტერიასთან გადამსხვრეული ბოთლი მიუტანია და საკმარისია კარებს მოაწვეთ, რომ მაშინვე სიცოცხ-

ლეს მოისწრაფებს. ხომ გამოღებულია კარმუშკა, დააკვირდით, კარგად დააკვირდით! ბრტყელ-ბრტყელ საუბრებს გიჯობთ საჩქაროდ დაუძახოთ მამულოვს. ლოგინში ნებივრობს ახლა, ალბათ, ეგ მკვდარძაღლი! მოეთრეს აქ და სანამ პანტერას და სხვებს ბრალდებებს არ მოუხსნის კლდესავით ვიდგომებით.

ზედამხედველების უფროსს ფერი ეცვლება. საქმის ზედმეტ გამწვავებას შეიძლება უფრო უარესი შედეგი მოჰყვეს, ვინემ კვეკვესკირის თავის გაგორებაა. სამასი პეკეტელი არც ისე სახუმარო ძალაა. აფრენენ უფროს მამულოვთან. ისიც ვირთხასავით დამფრთხალი მოცუნცულდება მეოთხე საკნის წინ. ყველაფერი მოუხსენებია ზემდგომისთვის, და როდესაც უგერგილობისთვის გაჯორილია და გათათხული გვარიანად, აბა, რას იზამს?!

კარმუშკიდან პირველად შინაგან საქმეთა მინისტრის ხელმოწერილ ქაღალდს შემოაგდებენ, რომელიც ბრალდებას უხსნის ოდიშელიას და რადგანაც მთავარი ბასტიონი აღებულია, მოაშორებენ ბარიკადებს საკნის კარებს. ახლა თვითონ ბიჭები ჩქარობენ, რათა რამენაირად შეუმსუბუქონ როკის ტანჯვის წუთები. პირველ რიგში საკაკუტე ლურსმნებს ამოაძრობენ ტერფებიდან. ექიმები ასხურებენ სისხლის მოწამვლის საწინააღმდეგო შრატებს. მოგვიანებით მაკრატლით გაუჭრიან შავი ძაფით აბანდულ ტუჩებს. საკაცეზე დასვენებულს სპირტიანი ბინტით წმენდენ სისხლს ტერფებზე, ტუჩებზე. ჯანიანი სანიტრები სასწრაფო მანქანისკენ მიარბენინებენ ომგადახდილი კაცის სხეულს. თბილისისკენ მიიჩქარიან. უკან რჩება ტროასავით დალეწილი ზონა, მაგრამ ნამდვილი ბრძოლა თურმე ახლა იწყება.

ლიმა მეხუთე

ალერტი
384615

ლადი ჭანიას სიმღერად ქცეულ ბალადას თუ ვერწმუნებით, მონადირე კარგი ძაღლი ჰყავდა კოლი იზორიას, რომლის სადარს მთელი დუნიაც რომ შემოგეარათ, ვეღარსად იპოვიდით თურმე. სამი დღისა და ღამის სავალს სამ საათში გაირბენდა და მწერიც რომ გაბზუილებულიყო ახლომახლო, თვალს უცილობლად მიუწვდენდა ფიცხელი ბუნების წყალობით. მელექსე არაფერს ამბობს იმ ძაღლის ჯიშის თაობაზე, ვინ ეწინაპრებოდა დედის თუ მამის ხაზით, დოგები თუ სენბერნარები; საიდან მომდინარეობდა მისი სახსენებელი, სეტერებიდან თუ კავკასიური ნაგაზებისგან; მგელთან იყო შენაწყვილები თუ დინგოსთან, რა-

ნაირი შეჯვარებისა გახლდათ, ჰიბრიდული თუ წმინდა სისხლისა; საიდან გაჩნდა სამეგრელოში, შარდენს ჩამოჰყვა ბაბუამისი საფრანგეთიდან თუ ლამბერტს — დედამისი იტალიიდან, მაგრამ მთავარი ის არის, კოლი იზორიას ძაღლის ტოლი და ბადალი, არათუ ოდიშში, მთელს ცისქვეშეთში არ იძებნებოდა.

ბასკერვილების ძაღლზე წაგვიკითხავს, ველურ დინგოზეც და ბუნის ლომაზეც; გვიხილავს ტელევიზორის ცისფერი ეკრანიდან შავყურა ბიმი; გვსმენია ლაიკას და ბელკას კოსმოსურ ოდისეაზე, ბრინჯაოში ჩამოქანდაკებული ქოფაკის გმირობაზეც მოგვიკრავს ყური რომელიღაც კერძო საუბარში; ღვიძლდაკორტნილი ამირანის ბორკილების ლოკვით გამთხელებელ ყურშაც გაგვიცოცხლებია უხსოვრობისდროინდელი მითებიდან, მაგრამ ჭეშმარიტი ძაღლის ყველა საუკეთესო თვისებას ერთ სხეულში რომ კრებდა, განუმეორებელი ალერტი გახლდათ.

კისერზე ხარის ტყავის თასმა ეკეთა წვეტიანი ლურსმნებით დაჩორჩხილი. ხბოსტოლა ალერტის ნაფეხურებს თავისუფლად ცნობდნენ ოდიშის გაუვალ გზებზე გამოცდილი მწყემსები.

პატრონადაც ჩინებული მონადირე შეახვედრა განგებამ. კოლი იზორიას პაპას, ქუთას, დადიანისგან ნაბოძები ჰქონოდა თავისუფლების ფარატინა ქაღალდი, ოღონდ მისი შთამომავალი ორჯერ უსათუოდ უნდა ხლებოდა მთავარს ეშვებიანი ტახით თუ შვლით, მაგრამ დაევიწყებინა ეს პირობა ჩაუქ შვილიშვილს და ალერტის საარაკო ამბები ჩაეწვეთა თუ არა ყურში ოდიშის მბრძანებელს, მაშინვე ფეხების დაბრახუნებით გააგდო ურჩ ყმასთან მეძაღლე ძოღო.

სამეგრელოს გამგებელს ერთობ გულზვიად მესვეურად გვისურათხატებენ მისი თანამედროვენი. დედით ბაგრატიონების შთამომავალი ნაღდ ქართველებთან, კახელებთან, იზრდებოდა ბავშვობაში ქიზიყს. ადრე გაუგო მუღამი ნადირობას, ღვინოს და ქალებს. გვირგვინიც უწვერულს დაადგეს თავზე. საერო წიგნების კითხვა ჰყვარებია ლევან დადიანს. ეკლესიაში წირვა-ლოცვას არ აკლდებოდა. ოდიშის შემოგარენში ანკარა წყაროებთან ოქროს ფიალები კონწიალებდა ოქროსვე ძეწკვებით, ხოლო პერიფერიაში — ვერცხლისა, თუმცა მათ მოპარვას რომელი ჭკუათმპყრობელი გაბედავდა?!

თურქეთის ხონთქარის მიერ ხარკისთვის წარმოგზავნილ დესპანებს ისე დაუძლურებულად, ისე ღატაკად მოაჩვენებდა თავის კუთხეს, ისეთნაირად გაისტუმრებდა ფხალეულითა და წყალწყალა ღვინით კუჭდაძმარებულებს, რაიმე სარგებელზე საუბრის წამოწყების საფუძველს გამოაცლიდა.

ლევან დადიანი მხარეში პირველ მონადირედ მიაჩნდათ. ცოლად სანამ შერვაშიძეების ასულს შეირთავდა, სასიმამროს ოსტატურად მოუგო ნარდში ენგურსგაღმა სოფლები: განმუხური, ხურჩა, ჭალე თუ ფახულანი, მაგრამ უკვე სიძედმოკიდებულმა, დედოფლის ქერქეტობის შემსწრემ, ცხვირმოჭრილი მიუგზავნა მამამისს მანდილშერცხვენილი ქალიშვილი და სამურზაყანოში როგორც კი იარაღი აჟღარუნდა, გოროზმა მთავარმა ოდიშის საზღ-

ვრები მდინარე ღალიძგამდე, ილორის მონასტრამდე გასწია.

ბიძას ახალგაზრდა ცოლი წაართვა და ბიცოლა ურცხვად გაადედოფლა.

იმერეთსა და გურიაში ლაშქრობდა, ალაფობდა მოძმეებთან, მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ლამობდა მახვილითა და ცეცხლით. დაუდგრომლობდა გაზაფხულის მდინარესავით და ახლა ამ აზვავებულ სიჭარმაგეში, ვიღაც გლეხუჭა იზორიას სანაქებო ძაღლის გაგონებამ, ყურით რომ იჭერდა თურმე გარეულ ტახებს და მისი შიშით დათვებს ბუნაგიდან ვერ გამოეხედათ, ფერი დააკარგვინა. ჯერ თავად უკადრის იზორიაზე მრისხანებდა: ქუთას ნაადრევი სიკვდილის შემდეგ ნანადირევის მოტანა გამოავიწყეს, ჯერ — შვილმა, მოგვიანებით — მოთამ. მერე ბაზიერთუხუცეს ძოღოზე აპოპორდა, ყურთბალიშზე რომ ეძინა დღემოსწრება.

ძოღოს წინაპრები კავკასიონის მთიდან დაშვებულან ლევან დადიანის პაპის ზეობის ჟამს. მას აქეთ მთავრის კარზე ტრიალებდნენ ბაზიერების, მარეკებისა და მწევარ-მაძებართა ფარეშების ზედამხედველებად. დაკისრებულ მოვალეობას აქამდე ჩინებულად ართმევდნენ თავს. გაიგონებდნენ ასეთი და ასეთი ძაღლი ჰყავს გურიელს, იმერეთის მეფეს თუ რაჭის ერისთავსო და მყისვე შეუჩიჩხნებდნენ გამგებელს, ვინმე თვალშიამოღებული ყმისთვის მცონარობის ბრალდებით გუდა-ნაბადს ააკრეფინებდნენ იმ ძაღლის საფასურად. დადიანის მწევრების ბრწყინვალება და სიმრავლე თვით ბრიტების ხელმწიფესაც შეშურდებოდა. ახლა კი, აგერ, ღვთის რისხვა დასტყდომოდა ძოღოს, კვერცხისპარია ქოფაკივით გააგდეს წინკარიდან.

მხოლოდ ნაშუადღევს ჩააღწია ერგეტაში ბაზიერთუხუცესმა. ჯუღუ კვარაცხელიას მწყემსებმა მიასწავლეს კოლი იზორიას ადგილსამყოფელი. აზატი ჩუბინი ახლახან დაბრუნებულიყო ნადირობიდან. შვიდი-რვა ფუთის გარეული ტახი გაეტყავებინა, სამწვადე ხორცი აექნა, წკირზე წამოეცვა და გაჩაღებული კერიისთვის მიეფიცხებინა. უნაგირმოხდილი ცხენისთვის თივა დაეყარა და სადაც არის სულიერ მეგობართან, ალერტისთან ვახშამსაც შედგებოდა, რომ როყიოდ მოაძახეს ლაბახასთან:

— კოლიი, გამოგვხედე! დადიას ხალხი გეწვია!

კოლი იზორია ჯარგვალიდან გამოვიდა. ქამარშიჩატანებული ჩოხის გახუნებული კალთები ჩამოუშვა. ხელსახოცით ხელებს იმშრალებდა. წელწვრილი იყო, მხარბეჭიან-აშოლტილი, წაბლისფერი კულულებით.

ფეხდაფეხ მოსდევდა ხბოსტოლა ალერტი, რომელსაც შექუჩებული სტუმრების გამო ერთხელაც არ დაუბოხებია ხმა, არც ძაღლების სიმრავლე ჩაუგდია სათვალავში.

— სტუმარი ღვთისაა! — მიეგება მასპინძელი დადიას მეძაღლეთ, — მობრძანდით, მობრძანდით! — მიიპატიჟა მწვადის მადისაღმძვრელი სუნით გაბრუებულ ქოხში, მაგრამ ძოღოს აშიშხინებული სუკისთვის ეცალა სწორედ. დღესვე თუ არ მიჰგვრიდა ბატონს მთელს ოდიშში სახელგანთქმულ ალერტს,

სამუდამოდ დაემშვიდობებოდა სარფიან თანამდებობას და უცერემონიოდ საქმეზე გადავიდა.

— გაუგია დადიას შენი ძაღლის ამბავი და შემოგითვალა: რაც ეს წლები თავს მარიდებენ იზორიები, მიპატიებია, იმ პირობით სანაქებო ალერტს ჩემი დავარდნილი ძაღლების ფეხზე დასაყენებლად რამდენიმე კვირით თუ გამომიგზავნისო.

კოლი იზორიამ მყისვე იაზრა წინდაუხედავი საქციელი, ჭიშკართან უიარაღოდ რომ გაეგება მოხდომილთ. ახლა მისი გათარანება არაფრით იქნებოდა, ვინაიდან კბილებამდე აღჭურვილი თორმეტი მეძაღლე ბდღვირს ადენდა აქაურობას.

— ეგ არის სულ? — გაიღიმა, — ამისთვის შეწუხდით ამ სიშორეზე? შემოგეთვალათ და თავად გაახლებდით. ბაბუა ქუთას გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდა მამა ტახმა დამიგლიჯა. სამი წელიწადია მშვილდი არ ამეღო ხელში. ცარიელ-ტარიელი სტუმრობაც რა ბედენაა. ძაღლისთვის თვითონ გეახლოთ თუ აქეთ ჩამომიყვანთ? — თქვა მეტი დამაჯერებლობისათვის.

— მაგის დარდი ნუ გექნება, მაგაზე გაგრჯით, ბიჭების მეტი რა მყავს, — გაუხარდა მასპინძლის უცაბედი დაყოლიება ძოღოს. ,,დააშინა ძღვენის მიუგზავნებლობამ'', გაივლო გუნებაში.

— მობრძანდით, — საბელში ჩაავლო ხელი ალერტს კოლი იზორიამ, — ტყავის ბუდეს ამოვდებ პირში. ისეთი ავია, ტურები სათქმელადაც არ ღირს, მგლებიც კი გადაიხვეწნენ ჩვენი არემარედან მისი შიშით.

ჩამოქვეითებულმა სტუმრებმა ლაბახაზე მიაბეს ცხენები სადავეთი. ქოფაკების ხროვა ფეხდაფეხ მიჰყვა ბაზიერთუხუცესის ამალას. გადათლილ ძელზე ჩამოსხდნენ. ახლა ძაღლი რომ განაღდებული ჰყავდათ შიმშილიც აწკავწკავდა: ძოღო, მისი ხაბაზი ცოლისძმა ძაღვა და მათი ნაშიერი საშუალო ტანისანი იყვნენ, რკინისფერი სახისანი, შავთმიანები. ტანზე მდიდრულად ეცვათ ფარეშების კვალობაზე. წელი ქამარ-ხანჯლით დაემშვენებინათ, თეთრი ყაბალახები მოეგდოთ ზურგზე შავჩოხიანებს.

კოლი იზორია ჯარგვალში შეუჩინარდა, ალერტი კი კარებთან გაჩერდა სტუმრებს გამჭოლი მზერით დადარაჯებული. ორიოდე წუთში გამეხებული გამოვარდა ქუთას შვილიშვილი კონდახიანი მშვილდით. ერთი ისარი აფრინა ძაღვას ლაჯებისკენ და ხვანჯარით ძელს მიაჭედა.

ძოღოს ცოლისძმა სხვებზე ახოვანი გახლდათ. ისარმა კანი აუწვა, შარვლის ფართხუნა ზედატოტი წარსტაცა. კიდევ კარგი სხვა რამ ავლადიდებაც არ გაიყოლია თან.

— დაწექით თქვენი მეძაღლე დედა! ხელი არ გაატოკოთ თორემ გაგიხვრიტეთ შუბლი და ეგ არის, — იძახდა კოლი იზორია, თვალსაჩინოებისთვის ააწუილა მეორე ისარი და ახლა ძოღოს მარჯვენა მხარზე ამოწეულ ჩოხაში გაიქროლა ნიავივით. გოჯისხელა ნახვრეტი და ბატის ფრთა დაუტოვა პატრონს.

კოლი იზორიას გაბრაზება დაინახა თუ არა ალერტმა, ისეთი დაიბუ-ხუნა, ისეთი დაიმჭექარა, დადიას ამალა ეგრევე მიწას გაართხა. შიშით სულ-გამძვრალი ძაღლები მათ გვერდით გაიტრუნნენ. ვიდრე მბრძანებელი საცხოვრისიდან ერბოთი სავსე ქილას გამოიტანდა, მეძაღლეთა ყურებთან მეხივით მქუხარებდა ალერტი და ვერხვის ფოთოლივით ათრთოლებდა ერთ სხეულადქცეულ მწევარს, ფარეშს თუ მეპურეს, მაგრამ, აგერ, გამომრისხანდა ჯარგვალიდან კოლი იზორია ფუთიანი ქილით და ალერტიმაც მყისვე დაიდუმა ხმა.

გადათლილ ძელთან შემჭიდროებული სტუმრების თავზე გადასაღვრელად წვეთი ერბოც არ შეინანა აზატმა მონადირემ. ისევ მოჭიმულ მშვილდს სტაცა ხელი. აქამდე შიშისგან მისასტიკებულმა მწევრებმა ყურები ცქვიტეს. ჯერ საკუთარი სხეულები მოილოკეს, მოიპრიალეს გულ-მკერდი, ლაშები, მერმე მისდგნენ და მისდგნენ პატრონებს, გაუღვანდალეს, გაუკამკამეს ზურგები, ხელისგულები, ცხვირ-პირი.

— დაეკარგეთ ჩემს თვალს, სანამ მთლად არ გადავრეულვარ?! — მისძახოდა კოლი იზორია წამხდარ მეძაღლეებს, — ქვაბის ჩამოკიდება არ დაავიწყდეს დადიას! სანამ ნანადირევს მივართმევდე, გვერდები ნუ ეტკინება! — მიჰყიოდა მექოფაკეთ, რომელთაც ძლივს აითრიეს ცხენებზე დაფორაჯებული მხარ-ბეჭი და ალერტის აწყვეტილ ბოხბოხში, გაწლიკული მწევრების წკმუტუნ-წკავწკავში გაათქარუნეს ცხენები საქონლის ჩლიქებისგან ატალახებულ შუკაში.

აქ წყდება ლადი ჭანიას ლექსი. არაფერს იტყვის მერე რა ბედი ეწია ძოღოს და ძაღვას თავიანთ მემკვიდრეებთან ერთად. გააგდო თუ არა სამსახურიდან ლევან დადიანმა ძაღლებისგან ზურგატლეკილი ამალა, თუ დაიტოვა კარზე ქეციანი მაძებრების მომვლელ-ფარეშად. აღარც კოლი იზორიას მერმინდელ ცხოვრებაზე მოგვითხრობს რამეს. ამბობენ, რომ იმ გულფოლადი მონადირის ხსოვნის საპატივცემლოდ უფროს ვაჟიშვილს კოლი დაარქვა სახელად ლადი ჭანიამო. ესეც რომ არა, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია თქმულებები უშიშარ იზორიაზე, როცა სიბერით გარდაცვლილ ალერტს მართლაც რომ გაუგონარ პარაკლისს გადაუხდის მდინარე ენგურის ხრიოკ კუნძულზე, ახლა შამგონად რომ მოიხსენიება ხალხში, უდაბადედ — ჩვენებურად. იქვე დაუკრძალავს დიდის პატივით. ხარი დააკლა თურმე საფლავზე და რაჟამს მძორის სუნმა მდინარის სანაპიროებს უწია, მთელი ოდიშის საძაღლეთი იმ კუნძულს მიუჩოჩდა გამაოგნებლის ყმუილით.

ასე და ამგვარად დაატირებინა კოლი იზორიამ თავის ჯიშ-ჯილაგს შეუდარებელი ალერტი, მაგრამ რადგანაც ლადი ჭანიამ საჭიროდ არ ცნო მსგავსი ამბების ბალადაში მოხმობა, მაინცდამაინც ნურც ჩვენ ავყვებით ორღობეს ჭორების ფეხის ხმას.

ძაღლების საგა ნელინელ ჩაცხრა კოლხეთში.

ეკონომიკის დაქვეითებას ძაღლური ცხოვრება მოსდევს ყველგან და ყოველთვის. ამ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებას ვერც სადადიანო გადაურჩა.

ხუნდებით გაქაჩული მშრომელი კაცი ქოფაკივით დაჰყმუოდა თავის უკუღმართ ბედ-იღბალს, ამსხვრევდა ბორკილებს აქა-იქ და გარბოდა ანგარიშმიუცემლად; გარბოდა გურიისკენ თუ იმერეთისკენ, გარბოდა სამურზაყანოში, საითკენაც გული უკარნახებდა, გნებავთ ჯოჯოხეთის ადუღებულ კუპრში გადაეშვებოდა, ოღონდ დადიანების გაუმაძღარ მადას გაქცეოდა.

ოდიშს არ ჰყოლია თავისი ჯუანშერი, არც ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის ბადალი ძეგლი შემონახულა იავარქმნილ წიგნთსაცავებში. ასე რომ, მის ჟამთააღმწერელს დიახაც მოუწევს ტვინის ჭყლეტა სადადიანოს წარსულის აღდგენა-რესტავრაციის გზაზე.

დადიას რეზიდენცია ყველა მოვლენის ეპიცენტრი გახლდათ სამეგრელოში. აქაური კარის ეკლესია ნელინელ სტაცებდა მრევლს მარტვილის, ხობის, ილორის მონასტრებს. ზუგდიდის სახელის წარმოშობაც ისეთივე ბურუსითაა მოცული, როგორც — ენგური აგვისტოს სისხამ დილით.

ამბობენ, დიდი სუკი, დიდი ზეგანი იყო სადადიანოს ცენტრშიო. ჩინებულად იციან ყასბებმა სუკი უკიდურესი სიმაღლე რომაა საქონლის ზურგზე. მსაზღვრელად დიდის მოშველიება ჩვეულებრივი მოვლენაა მეგრულში. ახლაც საამურად ჟღერს ყურში: ჭყონდიდი, დიდნეი, დიდგვიმარონი. ალბათ, ამათ კვალობაზე აიდგა ფეხი სუკდიდმაც, რომელიც დროთა მსვლელობაში გაკეთილხმოვნდა, ზუგდიდად ჩამოქანდაკდა, თუმცა ჩვენთვის უფრო არსებითი ის გახლავთ, რომ ოდიშის სამთავროს შუაგულში არათუ ყმა, თვით დადიანის კარზე მიღებული აზნაურიცა და თავადიც ვერ ბედავდა დასახელებას.

დიდბაზრობები იმართებოდა გიჟმაჟი ჩხოუშიას სანაპიროს. დაიძრებოდნენ დიდვაჭარნი სამურზაყანოდან თუ გურიიდან, კულაშის ებრაელობა, იმერეთის აზატი შემოდგომის აზნაურობა, უბატონო სვანეთი, მთა და ბარი მოგროვდებოდა აქოჩრილი ჩხოუშიას პირას. ზმუოდა საქონელი, მოჭრიალებდნენ კამეჩშებმული ურმები, თვალს იტაცებდა ცხენების რემა. დიდვაჭრად სწორედ ის მიაჩნდათ, ვინც ბაზრობაზე გაყვანამდე ჯოგის რჩეულ ეგზემპლარს დადიას უფეშქაშებდა. ამისთანები ბაკს არ იხდიდნენ, და თავიანთი საქონლის გაუსაღებლობის შემთხვევაში კარვების გაშლის უფლებითაც სარგებლობდნენ. პირველი ქარვასლები ნაღდად მათი მოხერხებულობისგან მოდის, რომლებიც ფაცხებიდან და ჯარგვალებიდან ნელ-ნელა ქვითკირის შენობებად გარდაისახნენ. ბაზრობები უფრო ხელსაყრელი შეიქმნა დადიასთვის. ადრე მახლობელი თუ შორეული სოფლები რიგისობისდა მიხედვით კვებავდნენ მთავრის მრავალრიცხოვან კარს, თანაც ყოველთვის ფეხათრეულად გაიღებდა თითოეული თემი მისთვის დაწესებულ ბეგარას, ჩხოუშიას ნაპირას გაჩაღებულმა აღებ-მიცემობამ დადიას საჯინიბოს დარახტული მერნები მოუმრავლა, აგვარას, ბაკს — მთვარისფერი ხარები არშინიანი ყანწებით, მარაკას — ალისფერთვალებიანი თხები, რინტუებსაც რომ ეძახდნენ ადგილობრივნი, საქათმეს — ყიყლიყოს ომახიანად გამჩაღებელი მამლები, ალიონიდანვე ხშირხშირად მოკაკანე თავიანთი დედლებით, საღორეს —

თორმეტ-თორმეტი გოჭის დამყრელი ქუბები და ციდაეშვა ტახები შავ-თეთრი ქათიბებით.

ვაჭრობის განვითარებას დიახაც უმართავდა ხელს დავით დადიანი. ჭავ-ჭავაძეების ულამაზესი ასული კატერინა ფრანგულ ყაიდაზე უზრდიდა შვილებს. ეკატერინე დიდის ნათლული ცოლი ქმრის მხარდამხარ აღაშენებდა სამკვიდრობელს თვისას. სასახლის შემოგარენში იშვიათი ბაღი აშრიალდა. მართალია, დიდთურქობისას ლამის მიწის პირისგან აღიგავა იგი, მაგრამ დაქვრივებულმა დედოფალმა უტუ მიქავას ლაშქართან ერთად, კუდით ქვა რომ ასროლინა ასკერებს ნალიმასთან, სოფელ კოკთან, კვლავ მოიცალეს მისი განახლებისთვის.

სოფელ ოდიშთან თორმეტი წყარო ერთ კალაპოტში მოაქციეს და იმ ზღაპრულ ბაღში შემოუშვეს. წალკოტის შუაგულში ტბევდებოდა მთიდან ჩამონაკადებული ჩქერი, მერმე გეზს იცვლიდა დასავლეთით, სასახლის პირდაპირ გაშენებულ ჭადრების ხეივანს გადასერავდა კუნტრუშ-კუნტრუშით და სადღაც ჭითაწყარის მიდამოებში განიბნეოდა აურაცხელ თვალ-მარგალიტად.

თითოეული ბუჩქი სამეგრელოს პირველი ბანოვანის თვალის გასახარად შარიშურობდა ოდიშში. ვინ იფიქრებდა ჩხოუშიას ნაპირზე ახუხულავებული ძელურები ოდესმე მთავრის სამოსახლოს მიმართულებით წამოცოცდებოდა, წვიმიან ტყეში ამოფეთქილი სოკოებივით გამრავლდებოდა გზადაგზა, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, დასავლეთით თუ აღმოსავლეთით?!

დადიანების ოდიში და ოდიშელების ზუგდიდი ყოველ ცისმარე, ყოველ შებინდებულზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა ერთმანეთს, ექიშპებოდნენ საარსებო დრო და სივრცის მოსაპოვებლად.

დადიანების კარს ევროპისკენ ეჭირა თვალი, დიდი იმპერატორის შთამომავლებს შეურევდა სისხლს, არ ჰყოფნიდა ლაჟვარდოვანი სივრცენი სამეგრელოისა და ბონაპარტეების შტო ზედსიძედ მოიკიდა, აშილ მიურატს მიათხოვა კალმით ნახატი თავისი სალომე.

ომერ ფაშას იავარქმნილი წალკოტი და ნაგებობანი სამარადჟამოდ შეიწოვა ოდიშის მიწამ, მაგრამ მათ ნაცვლად ისევ აღიმართა, ისევ აჩეროვდა ახალი. თითქოს ოდიშს, მის სისხლ-ხორცეულ მემკვიდრე ზუგდიდს, ბედად ეწერა გამუდმებული შენება და ნგრევა, დაუსაბამო გაცამტვერება და კვლავ ფენიქსივით აღდგომა საკუთარი ნაცრისგან თუ ლანდისგან.

წმინდა ელენეს კუნძულზე ფრანჩესკო ანტომარკის მიერ თაბაშირში ჩამოსხმული ნაპოლეონის ნიღაბი, მერმე ბრინჯაოში რომ ჰპოვებს უკვდავებას, მზითვად ჩამოჰყვა დადიანების ზედსიძე ბონაპარტეს დისშვილს. ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევის ეპიზოდით ღაღადებდა ამპერის სტილის მაგიდა. ბონაპარტეს ბავშვობას აფუჩეჩებდა ლარნაკები და ფინჯან-ლამბაქი. მონარქის უკვდავების სიმბოლო-ღერბი სფინქსივით ამოუცნობ სულს შთაბერავდა სა-

დადიანოს არე-კიდეს, მაგრამ ზუგდიდის შემოგარენი, მთიანი თუ ზენი სოფლებისა, ნელინელ მოჩოჩავდნენ ოდიშის ცენტრისკენ, ნელინელ ვიწროვდებოდა რკალი სამეგრელოს ამაყი ქალბატონის ძალაუფლების გარშემო.

რუსეთმა საძირკველი გამოაცალა კატერინას წყალშეუვალ დედოფლობას, ზღაპრული პენსია დაუნიშნა ორთავიან არწივის ფრთებს უკანასკნელად შეყუჟული სამთავროს მბრძანებელ დედაკაცს.

ქარს არ ეშლებოდა მისამართები, ფოთლებივით მიფანტავდა დადიანების სახეებს, მიმოაბნევდა გზადაგზა მათ ცისფერ სისხლს; ამყურდოვებდა, აჩუმათებდა ოდიშის ერთპიროვნულ გამგებელთა გვაროვნულ რეგალიებს.

ნელ-ნელა იკეცებოდა ოდიშის დროშა, უბლაგვდებოდა ჯაგარაშლილ ტახს ეშვები, ხოხობსაც ჭრელი პერანგი უხუნდებოდა.

კამათლებივით ტრიალებდნენ დღეები. ახალი დროება მორიგ ულუფას ჩამოაჭრიდა მკვდრეთით აღდგენილ ბოტანიკურ ბაღს. თითქოს გმირობაში ერთმეოდათ ზუგდიდის მესვეურებს, თუ რამდენს ჩამოათლიდნენ იმ სხეულს, რაოდენ შეავიწროვებდნენ სამეგრელოს მთავართა ბატონკაცურ კონცხს, თითქოს დადიანთა საბრძანისის შეზღუდვით აღზევებულ პროლეტარიატის დიქტატურას უკვდავების გარანტიებს მიუბოძებდნენ.

სტადიონმა ორი ჰექტარი მიწა ჩამოაკბიჩა ჯვარცმულ ბოტანიკურ ბაღს; ინდუსტრიულმა ტექნიკუმმა — მისი ნახევარი; ქალთა სკოლამ — მეოთხედი.

განიბნენ ოდიშიდან დადიანები და დაიძრნენ ზუგდიდის აღსაშენებლად ოდიშელები. ჩამოივაკეს ფერდობ და ფერდობ ახალსოფლელებმა: მოსიებმა, ჭაჭუებმა თუ როგავებმა.

ოდაბადე-შამგონის მოსახლეობაც თავპირისმტვრევით წამოქანდა ზუგდიდისკენ, მიხა ჯიჭონაიას ეზო-კარით გამავალ წყაროს აედევნენ, გადასერეს ბოტანიკური ბაღი, ხელოვნური ტბა, ჩაჩიბაიას გაჩეხილი წალკოტი, გაჯირითდნენ სტადიონზე, გაშპნენ ჭადრების ხეივნით და ზოგი ქობალია მაცხოვრის კარისკენ დასახლდა და ზოგი ანთარია — ავტოსადგურისკენ.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის იავარქმნასა და აღორძინების შესახებ მოგახსენეთ. კიდევ კარგი ფელიქს ედმონდის ძის მოკითხული სექვოია მტილოვანის სიღრმეში ირწეოდა, მავანთა სალაცენტო არეში არ მოხვედრილა, თორემ ლადი ზაქარაიას რომ გაუძნელდა მისი პოვნა ოცდაათიან წლებში, საერთოდ სანთლითაც ვერ აღმოაჩენდნენ.

— ხომ არ ვიჩქარე „პარაბელუმის“ ჩუქება? — გაეხუმრა სადადიანოს უშიშროების სამსახურის უფროსს რკინის კომისარი. ამოიღო ბლოკნოტი, გადაათვალიერა რუქა და თვალდახუჭული მიადგა იმ გიგანტ ხეს.

ბედი სწყალობდათ ოდიშის ერთპიროვნულ გამგებლებს უარაფროთა ფრთიდან, რადგანაც დადიანების ბაღის საოცრება ხეების განმკითხავი არავინ იყო. ნება დაგერთოთ, სამ დღე-ღამეში ძირში მოსხეპდნენ უნიკალურ ჯიშებს და ფიცრებად დააგებდნენ მიწატკეპნილ ძელურებში.

უკვე არავის ახსოვდა ზუგდიდ-ქალაქის ეტიმოლოგიური წარმომავლობა. თვალსა და ხელს შუა გაქრა მისი შინაარსიდან ტერმინი სუკი, ზეგანი,

ზენი და ოსტატურად დაუკავშირდა ხერხემლის გაყოლებაზე არსებულ სივრცეს ადამიანის სხეულისას — ზურგს, შესაძლებლობას, დავლათიანობას.

ჯერ მეზობელი რაიონებიდან შემოეწყვნენ ზუგდიდ-ქალაქს უპოვარი ყმა-გლეხები — ფიფიები და კვარაცხელიები წალენჯიხიდან, სიჭინავები და ჯალაღონიები — ჩხოროწყუდან, გაბისონიები და ჯოჯუები — მარტვილიდან; მოგვიანებით აცაბაცათი წამოცოცდნენ სადადიანოს ცენტრისკენ ინგირელები და ოდიშელები, ლამის რუსთაველის პროსპექტს გადაეხლართნენ, ჩამოფუძნდნენ ქარჩავები სართანიების და ანთიების მხარდამხარ;

რუხიდან შეროზიები და ნარმანიები აიბარგნენ, ჭკადუაშიდან — მორგოშიები და ანთელავები, ჭაქვინჯიდან — ჯიქიები და ტიბუები, ნარაზენიდან — თოდუები და ლომაიები.

ალყაში მოაქციეს დადიას მიჩუმათებული კორტოხი. გასრიალდა ქალაქის სიგრძივ რუსთაველის გამზირი მოხასხასე გაზონებითა და პალმათა მარაოებით.

ენგურქაღალდკომბინატი ხომ ისედაც არავის უთმობდა პირველობას. ქალაქი ქალაქში გუნდავდებოდა ამბაკო ფაცაციას ვაჟის გამჭრიახობით. ასე მტკაველ-მტკაველ, ნაბიჯ-ნაბიჯ ფესვს იმაგრებდა სადადიანოს ცენტრში, როგორც მიმდებარე თუ მახლობელი სოფლების, ისე — სხვა რაიონის მოსახლეობა.

განუხრელი შენება და დანგრევა სურამის ციხესავით აკვნიდანვე დაეხედა ზუგდიდ-ქალაქს.

მართალია, მისი კედლები აბსტრაქციაში აღიქმებოდა და არც ზურაბი ჩანდა თვალსაწიერზე წარმოსახვითი ბურჯის გასამაგრებლად, მაგრამ გასაოცარი ის გახლდათ, რომ ათწლეულობით ჩაქვიტკირებულს თვალის დახამხამებაში გამოუფანდა წირვას ახალი დროებისა და გუნება-განწყობილების ხალხი.

ნარაზენში რის ვაი-ვაგლახით დაფუძნებულ პორცერის სპირტის ქარხანას ბოლშევიკების ფეხის მოკიდებამ საძირკველი მოურყია. სწორედ იმ ტალღამ გაასწორა მიწასთან ჭითაშვილის აგურის ქარხანა, ცაიშის კირსაწვავი.

ხეთიდან ნარაზენის სპირტის ქარხნისკენ მიმავალი რკინიგზის შტო ცამ ჩაყლაპა. მათი მეპატრონენი, კომერსანტებად რომ იწოდებოდნენ მაშინ, რამდენიმე ნაბიჯით გაასწრებენ რკინის ნიაღვარს; მხოლოდ გერმანელი ინჟინერი ლუდუკ გაბანი ჩამორჩება ამ სრბოლას. საკუთარი პროექტით წამოწყებული სასტუმრო ,,ოდიშის'' მშენებლობას ვერ ელევა. მართალია, მის სიცოცხლეში სამსართულიან ქარვასლას დასრულება არ ეწერა და არც მკლავს მოაჭრიდა ვინმე გუთების ტომის შთამომავალს: რატომ დროზე ვერ ააგეო, მაგრამ ტრაქტირის მოპირდაპირე, ღვინო-კონიაკის მეურნეობა ,,კოლხიდა'', დღევანდელი კავშირგაბმულობის სივრცეს რომ დაუფლებოდა, სრულიად ზუგდიდის სათავყრილობო ადგილად იქცა.

ლადი ტუსქიას დაწესებულებამ და ვართანოვის ცეცხლოვანმა წყალმა ღვიძლი დაუცეროზა გერმანელ არქიტექტორს. შვილის ალერსს რომ ვერ

ელირსა ისე, მხრებზე შერჩენილი ორივე მკლავით მიაბარეს ჭითაწყარის სასაფლაოს. აბა, რა იქნებოდა, სადადიანოს მოსაშთობად გაჩაღებული წარმოება, სადაც მარტო ბუღალტრად ორმოცდაოთხი კაცი ურაკუნებდა საანგარიშოს და თითოეულ მუშას ყოველკვირა გასამრჯელოსთან ერთად დეკალიტრ ღვინოს და ორ ბოთლ კონიაკს უსახსოვრებდნენ ტოტოშა ჯიჭონაიასთან თუ პატივისცემისთვის გაფორმებულ გვანჯი ჩიქვანის მხარდამხარ.

ღვინო-კონიაკი იპყრობდა ყველას და ყველაფერს. რუსთაველის ქუჩის დასაწყისიდან ბოლომდე სპირტის სუნი ტრიალებდა. დამთვრალი ძაღლები ქუჩა-ქუჩა დაბანცალებდნენ. ბუზები ადგილიდან ვერ გატოკებულიყვნენ. მოქალაქეთა კოსტუმები რომ გაგეწურათ, ტუსქიას და ვართანოვის სპირტი წკურწკურით წამოვიდოდა. პურ-ღვინო, პურ-მარილი იმ თაობის უზუსტეს სინონიმად გამოდგებოდა. ოღონდ სასმელი ყოფილიყო და მისატანებლებს არაფრად დაგიდევდნენ. ფოსტალიონები პურის ყუაზე ქეიფობდნენ, პროვიზორები — გლუკოზის აბებზე, ფეხბურთელები ცარიელი ხახვით გადიოდნენ ფონს საპასუხისმგებლო მატჩის წინ.

ტუსქიას და ვართანოვის ჯადოქრულმა ხელოვნებამ კონვეიერული სისტემით გაისტუმრა ოდიშის ჭარმაგობა მარმარილოთა საუფლოსკენ.

სიტყვამ მოიტანა და სასაფლაო ორი ჰქონდა ზუგდიდ-ქალაქს — სასაფლაოთი იწყებოდა და მისით მთავრდებოდა.

სტუმარს ზედ კარიბჭესთან ხვდებოდნენ ზუგდიდლები. ვიდრე რესტორანში შეიპატიჟებდნენ, ჯერ განსვენებულ მეგობარს მოინახულებდნენ, ჭიქას გადაუწევდნენ, უდღეგრძელებდნენ სამარადისო საბრძანისს. მერმე მდიდრულ სუფრას შემომსხდარნი აუხსნიდნენ უცხოს ზუგდიდური სასაფლაოების თავისებურებებს.

— ამდენ სტუმრიანობას ვეღარ გაუძლეს ცხონებულებმა, ღვინო ხომ ტუსქიას კასრებს ხეთქავს და ადრე წავიდნენ. ამიტომაც დაკრძალულან ქალაქის შემოსასვლელში; ამიტომაც მივაგებთ უწინარეს პატივს შორეული ქვეყნის ბინადრებსო. რაც შეეხება გასასვლელთან მდებარე სასაფლაოს, ვინც მტრულად შემოგვეპარება, მათი სამარადისო სავანეაო.

ისე ნუ გავიგებთ, თითქოს ქალაქის წინკართან ზუგდიდის მხოლოდ ერთგული შვილები ემარხა, ხოლო ბოლოში — მარტოკა მტრები, მაგრამ ეს ლამაზი თქმულება ჭკუის მოსახმობად უფრო შეეთხზათ, ხოლო ვისი გამონათქვამი იყო, ამისი დადგენა უკვე ძნელია, მითუმეტეს ვახსენეთ, ზუგდიდს თავისი ჯუანშერები არ ჰყოლია-მეთქი.

სოფელ ცაიშთან რომ ჩამოქვეითდა დიდი ილია მეუნარგიებისას და სამეგრელოში ჩამოსტუმრებულმა მთელი საქართველო მოიხილა, როგორც რკოში მუხა იგულისხმება და წვეთში — ოკეანე, ეჭვმიუტანელი სინამდვილეა, მაგრამ ჭირს გარკვევა, მართლაც დაალევინეს თუ არა კატერინას მოგვარეს ზუგდიდ-ქალაქის ნამუსიანი ბიჭების სადღეგრძელო, ანკი არსებობდა საერთოდ მაშინ ის სასაფლაო ჭითაწყარის კიდესთან?!

იმ დროს ოდიშს ხომ რაფიელ ერისთავი მეთავეობდა, სალი კლდეების

უკვდავების ხეზედ არგამცვლელი ბერმუხა?! ესეც რომ არა, ქალაქისთავი, როგორც სანდო წყაროები მოწმობენ, ჭადრის ხეივნის გაშენებით ყოფილა დაკავებული. ტრიფოლიატს კბენია ძირებს რგავდნენ გაჭიმული ბაწრის გაყოლებაზე. რა ბედი ეწევა მოგვიანებით ამ ეკლიან, მარადმწვანე მცენარეს, ისედაც ნათელია ჩვენთვის, ჰოდა, ვერც იმისი განსაზღვრა ხერხდება — დიდმა ილიამ შეაბიჯა თუ არა საერთოდ ახალშობილ სკვერში. ისიც არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს უგვირგვინო მეფეს ძირისძირამდე მოესწრო მშენებარე ქალაქის დათვალიერება. ანდა რა საჩვენებელი იქნებოდა ჭადრების ხეივნის გასწვრივ ტრიფოლიატას ძირების ჩაყრა დაჭიმული ბაწრის კვალდაკვალ?! ალბათ, მომავალი სტუმრიანობისთვის ინახავდნენ ზუგდიდ-ქალაქის მესვეურნი აღმშენებლობის გზაზე დამდგარი სადადიანოს ცენტრის წარდგინებას, მაგრამ ისიც ჩინებულად მოგეხსენებათ, წიწამურის მიდამოებში ასვეტებულ ბერბიჭაშვილს როგორ დაემქუხარა ერის მამა:

— ილია ვარ! — და რანაირად იწივლა იმ ხმაზე დაქირავებულმა ბერდანკამ. მოვიდა სამეგრელოში, მოიხილა სრულიად საქართველო და ამაზე უკეთესი სიცხადით რანაირად ამაღლებულიყო სულმნათი ცად?! სჩვევია უფალს მისიანების სამოთხის არეებში შემომჭიდროვება.

ასე, წვეთ-წვეთობით აღმოცენებული ზუგდიდის იავარქმნისა და ხელახალი აღმოცენების თაობაზე, ვფიქრობთ, მოგითხრეთ რამდენადმე.

ჰორიზონტალური ქალაქის ეპოქაში სიმაღლეს ესწრაფვოდა ადამიანის სხეულებრივი აღნაგობა, მაგრამ გაჩნდა ვერტიკალური ცნება: ლიფტი, ტელეფონი, ფაფუკი სავარძლები და ქამარიც ნელინელ მოხალვათდა; ჯერ ორი ნახვრეტით მოეშვა წელზე, მერე — ხუთით, რვით და მალე ლოტოს კოჭს დაემსგავსა ლერწამი ტანი. უკვე მძლავრ ტურბინებს ატრიალებდა ენგურის გიჟმაჟი დინება. პირველი მშობლიური ნათება გამოკრთა ოდიშელების შუშაბანდებიდან. მოსახლეობამ ნებიერად გაიზმორა. გუშინწინ ფაცხებისა და ძელურების ბინადარი ქვითკირის ორსართულიან სახლებში გადაბარგდა. ენერგეტიკული სიმძლავრეების მოზღვავებამ მუშაობის საღერღელი აუშალა ფაბრიკა-ქარხნებს. დაიწყო ჩაის პლანტაციების გამალებული გაშენება, ისე რომ, არავინ დაინტერესებულა, იყო კი საერთოდ მიზანშეწონილი ეს კულტურა დაკავებული ფართობისათვის.

ფულის შოვნის მანიაკურმა მიდრეკილებებმა მამაპაპური კერიიდან გამოაძევა მდედრი. წესით შვილების აღზრდაში გასალევი მისი ხელები გაუხეშა დუყების გლეჯვამ. თამარა ყუფუნიას ათასეულში შემყუდროვდა როკის ტანმორჩილი დედა ჟენია ქირხეც. მუყაით ოჯახს დღეში ორას კილოგრამამდე ზომიერი ხარისხის ჩაის მოკრეფვა შეეძლო, რაც ყველაზე ზერელე გაანგარიშებითაც კი ერთი ტომარა შაქრის საფასურია და გამოუვიდა ჭიანჭველასაც ფრთები. მეზობელი მეზობელს გაეჯიბრა „შეშლილი მსოფლიოს“ კინოლენტის პერსონაჟების კვალობაზე, ქუჩა ქუჩას დაემეტოქა და უბანი — უბანს. სამამულო წარმოების ავეჯი ჩამობრძანდა

სამზადში და ზუგდიდისკენ კონტეინერებით წამოდინდა არაბული თუ ფინური გარნიტური, იტალიური თუ იაპონური სანტექნიკა, გერმანული თუ ამერიკული აპარატურა. მომძლავრებულმა ენერგიამ ნედლეულიც შესაბამისი მოითხოვა, რამაც წირვა გამოუყვანა ხარისხს, თუმცა სტეპანცევის ექსპერიმენტული ზონის მაგვარ დაწესებულებებს ჩრდილოეთს რა გამოულევდა და ნახერხად მონათლულმა ჩაიმ დაბლა დახარა საქართველოს ღირსების დროშა.

ფულის სიჭარბემ ერთი მოუნელებელი სენიც შეჰყარა აქაურებს. ცხრაპირა კანს გაიძრობდა ოდიშელი, პირზე ოფლს გადაიდენდა და შვილს უუმაღლესოდ არაფრისდიდებით დატოვებდა. მთავარი იყო დიპლომი. ყველაზე პრესტიჟულად სამედიცინო სასწავლებელი მიიჩნეოდა. ამას მოსდევდა იურისპრუდენციული და ჰუმანიტარული განათლება (პარტიული მუშაკები ძირითადად ამ კატეგორიის ხალხზე მოდიოდა), დანარჩენი არჩევანზე იყო. ოღონდ უმაღლესდამთავრებულის დამადასტურებელი საბუთი მოეხელთებინა ოჯახს და არას ჩიოდა რა პროფესიისა იქნებოდა მისი ასული თუ ძე. ჰოდა, იმას ვამბობთ, დატრიალდნენ რეპეტიტორები.

საქვეყნოდ ცნობილია შოთა შამათავას ფათერაკი. ოდიშელ აფთიაქარს სამედიცინო ინსტიტუტიდან ჩამობრძანებული სტუმრები მიეპატიჟნა შინ. ისინი ბიოლოგიის კათედრიდან იყვნენ, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში იშვიათი ხეების მდგომარეობას იკვლევდნენ.

გავიდა ერთი დღე, მეორე, მესამე, მაგრამ ნურას უკაცრავად, სტუმრები ძვრასაც არ შვრებიან, ჰოდა, რა ქნას შოთა შამათავამაც?! წირვა გამოუყვანეს გოჭებს და ქათმებს. შეიმუსრა ყვინჩილები და მამლაყინწები. მოკუხებული ინდაურები გააქანეს აგუგუნებული ბუხრისკენ. მიწყნარდა ხბოს კუნტრუში ეზოში. ამისთანა ვითარებაა და ერთ დილამშვენიერზე მასპინძელმა მაცხოვრისკარის სასაფლაოზე აიყვანა სტუმრები. ეკლესიაში სანთლები აანთეს. დატკბნენ თბილისელები ოდიშის შემოგარენის სიმშვენიერით, თითქოს ფუნიკულიორიდან გადმოეხედოთ საქართველოსთვის.

— მართლაც სამოთხეა, — თქვეს ბიოლოგებმა, — რამდენი ფერი ერწყმის ერმანეთს?!

— კი, დიდებულია, — თავი მოისაწყლა შოთა შამათავამ, — მაგრამ ზედმეტად ახლოს ვცხოვრობთ სასაფლაოსთან.

— მერე ეგ რა შუაშია? — ჰკითხა შუახნის დოცენტმა.

— როგორ თუ რა?! მიცვალებულთა ცხიმი მოჰყვება გრუნტს და წყალი აუდუღებლად ვერ დაგვილევია.

— მართლა? — შეწუხდა მხცოვანი პროფესორი.

— წამობრძანდით, თავად ნახეთ ჩვენი გასაჭირი! — თქვა დაღვრემილი სახის შამათავამ და მეცნიერები მიაყენა ჭას, რომელშიც მთელი ჩაის ჭიქა საჭმელი ზეთია ჩაღვრილი საღამოთივე. თან უხსნის შეცბუნებულ ხალხს:

— დედაჩემი ამ ცხიმს ვედროთი გაფანტავს ხოლმე, სიღრმეში ჩაუშვებს, იქ წყალი შედარებით სუფთაა. მერე სწრაფად ამოიღებს ვედროს, მაგრამ მო-

დუღება მაინც აუცილებელია, — ჩაამთავრა და თავი სინანულით გააქნია.

აქამდე ლაღად დამკვიდრებული სტუმრები რატომღაც დაფაცურდნენ, ბარგი-ბარხანა შეკრეს, გაურბიან გულღიად მორთმეულ საუზმეს. არც წყალს აკარებენ პირს და აღარც — ღვინოს.

— ჩაი მაინც ინებეთ, — წუხს პროვიზორი შამათავას მოხუცი დედა, მაგრამ გაგონილა! დატოვეს მეცნიერებმა ხელუხლებელი სუფრა და გადაბარგდნენ სასტუმრო „ოდიშში“.

უტრაბახია ამის გამო შოთა შამათავას სამედიცინო ინსტიტუტის რექტორთან. იმას თავის მხრივ საჯაროდ გაუმასხრებია ექსპედიციის წევრი ხელქვეითები, და აი, მედალოსანი გოგო გამოცდაზე რომ გაიყვანა, გვარმა და მამის სახელმა უმტრო ქალიშვილს, დამაკმაყოფილებელი შეფასება სტკიცეს ფენომენალური ნიჭის ასულს. ცუდი ხუმრობა გამოუვიდა შოთას.

მისაღები გამოცდების საგნების მომზადება რეპეტიტორებთან აუცილებელ პირობად დამკვიდრდა, მაგრამ გამოჩნდნენ უფრო ფხიანებიც, რომლებიც საკლასო ჟურნალებს მიუჩოჩდნენ და გონებაგახსნილი ბავშვების სიების შედგენას მიჰყვეს ხელი. ამ მხრივ ოდიშის სინამდვილეში შეუდარებელი გამოდგა ჩვენთვის საკმაოდ ცნობილი დაჩი კეზუა. მისი გემოვნება ძირითადად სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტს ეთანაწყობოდა. აბიტურიენტებს მშობლებთან ერთად გელშემატკივრობდა კაფანდარა მგოსანი. გააღწევდა ფონს საკუთარი ძალებით ახალგაზრდა?! გაზეთში გახვეულ ფულს გულისჯიბიდან შარვლისკენ გადაიტანდა, მაგრამ როდესაც ყისმათი უმუხთლებდა სწავლისთვის შეღერილ ჭაბუკს თუ ქალიშვილს, სინანულიანი თავისკანტურით დაუბრუნებდა პატრონს. ამ გზით ყოველი ათიდან ხუთი მაინც უმართლებდა დაჩი კეზუას, თუმცა იმ გაგანია ზაფხულში უკუღმართად დაუტრიალდა ბედის ბორბალი.

უიღბლო ცხრა კლიენტმა პირველი გამოცდიდანვე უმტყუნა და ყველა იმედი ახლა ჩხარჩხალიების ასულზე ეკიდა. ისიც ყელში დანას თუ გამოუსვამდა, ოდიშში არ დაედგომებოდა დაჩი კეზუას. წინასწარ განაღდებული ათი ათასი მანეთი კარგა ხანია თომა ლოლუას რესტორანში დაამღერა პეტიკო თოდუასთან ერთად და სულში სანთლებს უნთებდა წმინდა გიორგის.

აგერ კიბეებზე ეშვება ჩხარჩხალიების ცირა, მაგრამ ქალიშვილის მხრების ცახცახი თვალნათლივ მიახვედრებდა მშობლებსაც და რეპეტიტორსაც საქმის სიდუხჭირეს.

— ჩამჭრეს, ძალად ჩამჭრეს! — ქვითინებდა ცისფერთვალება ჩხარჩხალხე.

— რაღაცაშია საქმე, — ფერი ეცვალა დაჩი კეზუას, — ახლავე გავარკვევ! — თქვა და რექტორატისკენ გაუპირდაპირა, მაგრამ მეგონა ჩხარჩხალია მთლად ცხრა ნომერი გლეხი როდი გახლდათ, წვდა მაშინვე ყანყრატოში.

— მოიტანე ფული, აფერისტო, თორემ დაგახრჩვე და ეგ არის!

გაფითრებულ დაჩი კეზუას მხრების აჩეჩვის მეტი რაღა დარჩენოდა.

— მომავალ სეზონში ორმაგად გადაგიხდი! — ამოიხრიალა, მაგრამ ვინ იყო ამისი გამგონე?! ჩატენეს მანქანაში და ცაიშის გზას გაუყენეს.

— სანამ იმ ათას მანეთს არ გამომიმუშავებ, მეყოლები პატიმრობაში, — დაექადნა და წაეწყო დღეები დღეებს.

დილით ჭიქა არაყს გადაკრავდნენ დამტუსაღებელ-პატიმარი. გავიდოდნენ სიმინდის ყანაში. დაგვიანებულია გამოროდება, მიწას შემოაყრიან ძირებს, საგზალს ამოაცოცებენ მერე, უხვჩრდილიან ალაგას მოხერხებით მოკალათდებიან და დოქ ღვინოს მიაყოლებენ.

დაჩი კეზუა განუმეორებელი დეკლამატორია. მთელი ქართული პოეზია ხელისგულზე ულაგია. დაიწყებს და არ გამორთავს. მეგონა ჩხარჩხალია გადარეულია მისი მეხსიერების გასაოცარი უნარიანობით. ფეხარეულნი ბრუნდებიან შინ. იქ ვახშამზე კვლავ დაუმატებენ თითო შუშას. ამობრდღვიალდება მორიგი დილა, ისევ ას-ასი გრამით გამოიხედავენ თვალებში. გაემართებიან აკოკრილი ყანისკენ. შეიტანენ სასუქს, მიმყუდროვდებიან ჩეროში, მოაძრობენ დოქს სიმინდის ნაქურჩალს. კვლავ ახალ ლექსებს დააკვესებს დაჩი კეზუა.

მეგონა ჩხარჩხალია უკვე იპროშნება. ძმობას ეფიცება ოჯახის დამაქცევარს. ცრემლიანი თვალებით მომდევნოთა წაკითხვას სთხოვს.

იფერფლებიან მცხუნვარე მზეზე ალან პოები და ბერნსები, უიტმენები და მიცკევიჩები, რემბოები და ვერლენები, თაგორები და ხაიამები.

ხელიხელგადახვეულნი ბრუნდებიან შინ. ერთხელაც შეივსებენ ნაკლული ღვინის მარაგს და ასეა მთელი კვირა.

დიასახლისს ძარღვები დაწყდომია. კერასთან ფუსფუსს ვერაფრით შორდება. ჩაის სეზონი თვალსა და ხელს შუა გაურბის. ოქროდ ღირებული დრო ეკარგება. აქეთ უწყინარი ქმარი გალოთებია. ქათმებს და ინდაურებს მუსრი გაავლეს. ქალიშვილმა შეპრენტილი ლექსების წერა დაიწყო. ჭყინტი ფელი ვერ ასწრებს სულუგუნად ჩამოქნას და ვიდრე სისხამზე წამოიშლებოდნენ, გამბედაობამოკრებილი შეაღებს მოშინაურებული სტუმრის ოთახის კარს. ნაღვინევს უზიდებია გაქათქათებულ ბალიშზე. უცხო მამაკაცთან განმარტოებული არნანხე მოკრძალებას არაფრად დაგიდევს, ქეჩოში წვდება და გამოაჩინდრიკებს ბრუალიდან.

— ოღონდ დაგვეხსენი, — ემუდარება ცრემლად დაღვრილი, — აგერ, კიდევ ოცდაათი მანეთი. სანამ ქმარს გაუღვიძნია წადი შენი გზით. ავტობუსი ნახევარ საათში ჩამოივლის. გადაშენდი ჩემი ოჯახიდან!

შეფუცხუნებული დაჩი კეზუა გამალებით იმოსება.

— გული მიფანცქალებს, იქნებ ასი გრამი დამალევინო! — იღმინჭება.

სამზარეულოსკენ მიჰყვება დიასახლისს. ძაღლები ელაქუცებიან გასახლიკაცებულ რეპეტიტორს. ჩაცეცხლავს არაყს ერთხელ, მეორედ. მესამე სირჩას სანახევროდღა ჰყოფნის გამჭვირვალე გრაფინიდან გადმოწურული სით-

ხე, მაგრამ იმასაც გადაუძახებს, ფუმფულა პურს შეუორთქლებს, მაჯას იყნოსავს. ცქნაფ-ცქნაფით მიდის ჭიშკრისკენ. ოჯახის უფროსთან დაუმშვიდობებლად წასვლა ეხამუშება, მაგრამ არნანხე მსუბუქად უბიძგებს ზურგში და გამოღებულ კუტიკარს მანამდე დარაჯობს, ვიდრე სოფლის ავტობუსი შესქელებული მტვრით მოსახვევში არ მიიმალება.

— ვისაც ფული ჰქონდა ბაბუა დაიტირა და ვისაც არა — მამა წელში-მოხრილმა გააცილაო, — იტყვიან ოდიშელები და ახლა სრულიად საქართველოს თუ საბჭოეთის ანგარიშგასაწევი შემოქმედებითი ინტელიგენცია ზუგდიდში ტრიალებს.

კონცერტებს კონცერტები ენაცვლება, პოეზიის საღამოებს — პერსონალური გამოფენები სამხატვრო გალერეაში. გადაიჭედება ლამაზყდიანი წიგნებით ძვირფასი თაროები.

ამჯერად დიდი და პატარა ხელოვანი, სპილოს სტუმარია. ფუნქციონერებს ორი კინკილა ლექსი ვერ დაუზუთხებიათ სკოლინდელი ,,თხა და ვენახის'' შემდეგ, ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ ოდიშელია კი პოეზიის განუმეორებელი ტრფიალია, სწორუპოვარი თამადა, თითქოს გვანჯი ჩიქვანის შთამომავალი ყოფილიყოს პალადის ძე. ახოვანია და ბოხხმიანი. ორსართულიანი სახლი კი აიშენა მაცხოვრის კარზე, მაგრამ ბოლომდე ვერაფრით გამოაწყო. სხვებისგან გამორჩევით ქრთამს არ იღებს, თუმცა ხელი სულ ბენზინისთვის გაუწვდია. გამოვა ქალაქში და სტუმრებიც გამოანათებენ. ვიდრე გვირგვინოსანი იყო მოძღუნკული კოკორნა დაატარებდა შავი ,,ოცდაოთხით''. ერთხელ თბილისისკენ აბარგებულს ეჩქარება. კოკორნა შეუდარებელი მძღოლია, ელვისებურად ჩაუქროლებს გამაფრთხილებელ საგზაო ნიშნებს, ავტოინსპექციათა ჯიხურებს. ოცდაათჯერ გააჩერეს სამასოცდაათ კილომეტრში. ხუთგზის მაინც გაუხვრიტეს ტალონი.

— კოკორნა, შე პე...ო არ გეცოდება ტალონი, მატროსოვივით რომ გახადე?

— აი, დარდი, ჩემი ხომ არ არის, შენია, — იკრიჭება კოკორნა.

არა, მთლად აიშვა მძღოლმა. მობრუნდებიან სამსახურში და ანახებს თავისას.

— ჩვენი ერთად მუშაობა არ იქნება! — ფიქრობს ხმამაღლა.

— მერედა, დაწერე განცხადება, პატენი! — ქირქილებს კოკორნა.

მიდი და გასძელი ამისთანა ხალხში.

ამ დღეებში მკვიდრდება მოარულ ანდაზასავით პეტიკო თოდუას სიტყვები:

— ზუგდიდელი კაცი მუხლებში უყურებს ადამიანს. თუ ფეხზე მაგრად დგახარ, იცოცხლე, ფიანდაზად გაგეგებიან, მაგრამ საკმარისია სავარძელი გაგიქანავდეს, გაგეცლებიან მუნიანსავით.

ლუდხანების გაღებამდე მთელ ქალაქს შემოივლის პეტიკო თოდუა. ფრანტივით გამოწკეპილი დადის. აგერ, ავტოსადგურიდან მოუყვება ტროტუარს. წინ მამაკაცების ჯგუფი შემოეყრება. ხელად იყნოსავს აქაურები რომ არ არი-

ან. შეყოვნდება წამით. მიაყურადებს მათ საუბარს. შავი სამუშაოს მაძებარი ლეჩხუმელნი და რაჭველები შერჩება ხელთ. ერთი ახოვანი ჭარმაგი წინ უჩერდება და ეკითხება:

— აღმასკომს ხომ ვერ მიგვასწავლით?

— ქალაქის ცენტრშია. ხომ არაფერი გაგჭირვებიათ?! — ჩაეძიება პეტიკო.

— გაჭირვებით არაფერი, მაგრამ სამუშაოს საძებრად ჩამოვსულვართ და აღმასკომიც ამიტომ ვიკითხეთ.

— ბედი გქონიათ, — გამომეტყველებას ისერიოზულებს პეტიკო, — მე ვარ თავმჯდომარის პირველი მოადგილე. რითი შემიძლია გემსახუროთ?

— ბარი და მისი ჯანია ჩვენი საქმე.

— დიდებული, — ამბობს სახელმწიფო მოღვაწე, — სწორედ ამისთანა ხალხს ვეძებდით. დადიანების ბაღი ხომ გაგიგონიათ? კი?! მით უკეთესი. აგერ თქვენს თვალწინაა. მეტრო და ოცი სანტიმეტრის სიგანისა და ოთხმოცი სანტიმეტრის სიღრმის თხრილია შემოსავლები მთელი ტერიტორიისთვის ზაბორს შიგნით. სამუშაო დიდია, მაგრამ არც იზარალებთ. ყოველ მეტროში სამ მანეთს გადაგიხდით. ოთხს გამოვწერთ, თითო ბიუჯეტს დარჩება.

დაარტყეს ხელი ხელს. გავიდა თხუთმეტი დღე და ერთ მშვენიერ დილას მოადგა აღმასკომს ოცდაათკაციანი ბრიგადა. პირველ მოადგილეს ეძებენ, ვერ პოულობენ. მერე თავმჯდომარე ოდიშელიას მიუკაკუნებენ კარზე, შრომის ანაზღაურებას ითხოვენ.

— გამაგებინეთ, რა ანაზღაურება, რისი? — კითხულობს სპილო.

— როგორ, ხომ შემოვავლეთ თხრილი დადიანების ბაღს?

— ეგ როდის? ხუმრობთ?! ამოავსეთ ახლავე თორემ ციმბირი უკან დაგრჩებათ!

— თქვენს პირველ მოადგილეს მოვურიგდით, — არ ცხრებიან მუშები.

უხმობენ მურთაზ ყალიჩავას. შემოტორტმანდება დევივით კაცი.

— არა, ის უფრო თხელი იყო, — განმარტავენ.

— ჰოდა, მიხედეთ ახლავე თქვენს საქმეს! — იცის სპილომ ვისი ოინებია ყოველივე. მიუგზავნიდა სასტუმრო „ოდიშის“ რესტორანში სადღეგრძელოებში გახლართულ პეტიკოს, შენ იტყვი და საფლავი გასათხრელი იქნება თუ რა, მაგრამ არც უიუმორო ოდიში ივარგებს და წაეწყობა დღეები დღეებს.

ფული იმდენი დაგროვილა ზუგდიდში, ჩხოუშიას კალაპოტში რომ მიუშვა, ბეტონის ჯებირებს გადმოვა და მოსახლეობის ბაღ-ბოსტანს დატბორავს.

იმ დღეებში ააფორიაქა ოდიშელები გალის რაიონში, ნაბაკევში, ატომური სადგურის მშენებლობის პროექტმა. ორთავიან არწივს ენგურჰესი არ ყოფნის და ახლა სადადიანოს ყურისძირას აეს-ის გამართვა განუზრახავს.

სპილოსთან იკრიბებიან გავლენიანი პირები ყოველდღე. ამოქექეს ბლოკნოტებიდან ტელეფონების შვიდციფრიანი ნომრები. რაიკომის მდივან შარან-

გიას ცეცხლს შეუნთებენ. მოსახლეობაში გაბერილი ხმები ვრცელდება, რომ ოთხი სოფლის გლეხობის გადასახლებაა გათვალისწინებული. ატომური სადგური ენდომება ახლა ლაფაროსთან ზუგდიდს.

აფრენენ წარმომადგენლებს მოსკოვს. ჩარევენ საქმეში გივი შრამიანიდან მოყოლებულ ნაღებ ინტელეგენციას მთლად პოლიტბიუროს წევრების ჩათვლით. არაფერს დაიშურებენ, ქრთამს — ქრთამად, პურ-მარილს — პურ-მარილად. მიმართულებას შეუცვლიან ბოთლში დამწყდეულ ჯინს, მაგრამ საქართველოდან ასე ხელაღებით მისი გადაშენება ჯერჯერობით არც ისე იოლია. რამდენიმე წელიწადში ჩერნობილის აპოკალიფსური კატასტროფა წერტილს დაუსვამს რეაქციული კლანების შორსმიმავალ მიზნებს, თუმცა კარზე მომდგარი უბედურების მეხამრიდ ორგანიზატორებს ჯერხანობით ალმაცერად უმზერენ.

მერამდენე წელიწადია სოფელ რუხთან საერთო ზეიმია. საუკუნის გარიჟრაჟიდან მოჯუჯღუნე აფხაზები მეტნაკლებად დაშოშმინებულან. კულტურული ავტონომია მათ აქამდეც განაღდებული ჰქონდათ, როგორც საკუთარი, ისე საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ ამიერიდან თავიანთ უნივერსიტეტში ივლიან, თავიანთ თეატრში იმსახიობებენ, თავიანთი მწერლობით იამაყებენ, თავიანთი ტელევიზიითა და რადიომაუწყებლობით იხმატკბილებენ საქართველოს აღსასრულზე.

ავტონომიური აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ჩვიდმეტი პროცენტი აფსუა ნომენკლატურულ თანამდებობებზეა გამწესებული. ჰოდა, ჰაჯი უსუბის მოსწავლეების — საფარ ბეგისა და ბათუს შთამომავლები ჭიქაზე ჭიქას უჭახუნებენ სოფელ რუხის „მეგობრობის“ კომპლექსთან.

მოდიან პოეტები ორივე მხრიდან და სახელდახელო ლექსებით განადიდებენ ხალხთა ურღვევ ძმობას.

ომის ვეტერანები და შრომის გმირები გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს. გამოყოფილი ოცდაათი კუბური მეტრის მასალისგან ძლივს სამი ნაბდის გაშლაზე მოცოდვილებული სცენა აგუგუნებს „ლილეოსა“ და „ვოისარადას“, „ოდოიას“ და „შიშნანს“.

გაგანია მზეში ჰალსტუხწაჭერილი კომკავშირლები შემოწკეპილი კოსტუმებით თვალებში შესციცინებენ იდეურ მამებს.

— ერთი დღე ჯანდაბას, ვარა, ვიპურმარილებთ სულელ ქართველებთან და წავალთ ჩვენსას, — ეხუმრებიან ერთმანეთს აფსუურად ჩვენი ოდინდელი მორდუები. ყალბია თავყრილობის პათოსი, მაგრამ გარეგნულად ყველაფერი ისე ზიმზიმებდა, ბრჭყვიალებდა, საქმის არსში ჩაუხედავმა ფაუსტს ლამის ენატრა, წამო, შეჩერდიო.

სადადიანოს მხედრები მარულაში ეჯიბრებოდნენ საქართველოსკენ გულმობრუნებულ ჭირვეულ ძმებს. ყალყზე დგებოდნენ, თარჩიაობდნენ ქურანები. ისინდს ცხენბურთი ცვლიდა, დოღს — საჩვენებელი თამაშობები. ოფ-

ლშიგახვითქული მერნების ჩოხოსან მხედრებს ასაჩუქრებდნენ პროლეტარიატის ბელადის ძვირფას ჩარჩოში ჩასმული სურათებით. ასეთი ჯილდოები პირველ ადგილზე გასულებისთვის იყო გამიზნული. კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე მოხვედრილებს კედლის საათებს ჩამოურიგებდნენ, გახსნის დღიდან უმოძრაოდ რომ ეკიდნენ უნივერმაღ „თუთარჩელას“ კედელზე. პედესტალის მესამე სიმაღლეს დაუფლებულებს ას-ას მანეთს უსახსოვრებდნენ და ამოსაცნობად თქვენთვის მიგვინდვია, გახარებული ვინ უფრო გახლდათ, დაწინაურებულები თუ ორი ნაბიჯით ჩამორჩენილნი.

ღონისძიება ჯაჭვური რეაქციით გალის რაიონში გადაინაცვლებდა, მერე ილორის იპოდრომზე იმართებოდა მარათონული მარუსა.

ახლა ჭკუანასწავლი მხედრები არ ჩქარობდნენ ფინიშის ალმისკენ, სინიბებისთვის სადავეები დაემოკლებინათ, გულუბრყვილოებს უთმობდნენ პირველობას. ზეიმი, როგორც წესი, გუდაუთაში მთავრდებოდა. იქაც იმართებოდა დოღი, ტაშ-ფანდურები და უგულო მტყლაშამტყლუში. დაიტუმბებოდა ქართულ-აფხაზური ნაძალადევი მეგობრობა, დაიმუხტებოდა აკუმულატორივით და მომავალ შემოდგომამდე დოპინგივით მიღებული ურთიერთპატივისცემისთვის აუცილებელი ენერგია დააროტროტებდა დიდს და პატარას ძმადნაფიცობის ხელოვნურ გზაზე.

ცხოვრება კი მაინც თავისი ოკრობოკრო თემშარათი მიკელენაობდა. ქალაქკომი ენგურჰესით თავმომწონეობდა, რაიკომი — მეჩაიეობით. პრიორიტეტი კვლავინდებურად ქალაქელების მხარეს იყო. დიდი შეხლა-შემოხლის მიუხედავად არათუ ცენტრში, პერიფერიაშიც კი ვეღარაფრით გამოიძებნა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებელი ადგილი ზუგდიდ-ქალაქში.

მშობლიურ ოდიშში საქმიანობდნენ და თითქოს შავ კატას გაურბენია მათ შორისო, ერთი ალთას იყო, მეორე — ბალთას. კოლმეურნეობათა ჯიბესქელ თავმჯდომარეებს თუ საბჭოთა მეურნეობების დირექტორთ დედაქალქში შეეძინათ ფეშენებლური ბინები და ღვიძლ ზუგდიდში ვერ მოეხერხებინათ, ყოველ შემთხვევისათვის შავი დღისთვის გამოსადეგარი საცხოვრისების აშენება. და რადგანაც სადადიანოს ცენტრისკენ იზღუდებოდა მათი ლტოლვა კერძო, პიროვნული ინტერესებით, ჭარბტენიანი მიწების ასათვისებლად პარტიზნულად დაიძრნენ ზღვისპირა ჭაობნარისკენ. მავთულ-ბადით შემოაკავებდნენ ფართობებს ასეული ჰექტრობით. დაქირავებული მწყემსები თოხნიდნენ მერმე იმ ყანებს, წველიდნენ ბუზანკალით გაწამებულ ძროხებს. ოჯინჯალეზე შეიბოლებოდა ზომიერი სიმსუქნის შაშხები და მთვარისხელა სულუგუნები. გორებად ხვავდებოდა ნესვი და საზამთრო, გოგრა და კვახი, რომელთაც საკუთარი ბეღლებისკენ წარიტანდნენ მოგვიანებით მესვეურნი ამა სოფლისანი.

იფარებოდა ხრეშის გრუნტით ამომაღლებული გზები. ათმეტროიანი სიგანის არხები გაავლეს ჭურიის წყლებისკენ. ჩამოამწკრივეს ახალშენებში

ოდა-სახლები, სამზადები და ფარეხები, ნალიები და საქათმეები. შეიძინეს ავტონომიური კვების მანქანა-დანადგარები, მოტორიანი ნავები, პონტონები.

ათიბვინებდნენ ნორჩ ხაიას წყლის მოშიშარ, პეტიკო თოდუას გარიგებულ ლეჩხუმლებს და რაჭველებს.

დამხმარე მეურნეობას ეძახდნენ ათვისებულ სავარგულებს, რომლის ანგარიშგასაწევი ჭირნახული აღარსად აღირიცხებოდა და ღმერთმა უწყის, ვის საშველად მიედინებოდა.

სატანჯოში დატრიალებულ უბედურებამდე ახალშენის მწყემსები: ნუგო ბიჭია, ვალიკო ფიფია, იპო ფაჟავა, ჩარნაზ გაბისონია, ჭაჭია ქობალია თუ კოლი ჭანია ათასში ერთხელ უეჭველად მოიკითხავდნენ წუთისოფლისგან განდეგილ შამგონლებს, მაგრამ მათი გულისშემძვრელი აღსასრულის შემდეგ, როცა კუნძულის წალდმიუკარებელი ჯაგნარები და ეკალ-ბარდები გველთსაშენიდან თავდაღწეული უნასების სისინით გაივსო, იქაურობაში ფეხი ამოიკვეთეს.

სათევზაოდ და სანადიროდ ჯერ კიდევ ორმოცდაათიან-სამოციან წლებში აკითხავდნენ ჭურიის სანახებს ოდიშის მკვიდრნი, მაგრამ ცხოვრების გალაღებამ და ჭაობნარ ადგილებში ზუგდიდლების მასობრივმა მოსაქმეობამ, ხალხს ავადმყოფურად აუშალა ნადირობის საღერღელი.

მთელი სადადიანო მოიცვა თევზაობა-ნადირობის ციებ-ცხელებამ. ვინ „ტულისა“ და „ზაუერის“ ორლულიანი თოფებით აღიჭურვა, ვინ — „ვინჩერსტერებით“ და „გოლან-გოლანით“.

პატრონტაშები და ბრჭყვიალა ჰილზები ჩამოჰქონდათ უცხოეთში საქმიანი ვიზიტებით წამგზავრებულებს. პოინტერისა და სეტერის ლეკვები ბიზნესის ერთგვარ წყაროდ იქცა. მეტამორფოზულად წარმოჩინდა ლევან დადიანის საუკუნეებს მიღმელი მონადირული ჟინი.

მზიანი ამინდებია ოდიშში. აგვისტოს დამდეგია. მწიფე ნესვიფერი მისძალებია მხარეს. ბინდდება ნელიად. ზენა ქარი ეჩურჩულება ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს. შრიალებენ შეტაროებული სიმინდის ყანები. მწყრების სეზონი დასდგომია სადადიანოს. მერცხლების ყვითელნისკარტა ბარტყები დაფრთიანებულან, მაგრამ ჯერ ადრეა შორეული თბილი ქვეყნებისკენ აბარგება. უზრუნველი ცხოვრება გრილ ჩეროებში ეპატიჟება გულარხეინ ადამიანებს. ეწევიან, ხუმრობენ, პეროვის პერსონაჟების მსგავსად ჰყვებიან ნადირობის ეპიზოდებზე, თავმომწონეობენ მაღალყელიანი იმპორტული რეზინის ჩექმებით.

მონკავშირის მაღაზიის ცალთვალა გამგე ბაბუშ როგავა ენის წვერზე აკერია მთელს ოდიშს. სანამ სადილზე მიიპატიჟებდნენ, ჩხრიალებს კამათლები და ჭახაჭუხი გაუდის ნარდის კენჭებს.

ღაბაბიანი სტუმარი თბილისიდანაა. როგორც ქალაქში გამოკრული აფიშები იუწყებიან, ფრიად საპატიო მისიით ჩამობრძანებულა. სპორტის სამინისტროსა და რესპუბლიკური მონადირეთა კავშირის ინიციატივით ხვალ

კომკავშირის პარკში სრულიად სამეგრელოს ძაღლების გამოფენა-დათვალიერება გაიმართება. ხვალ გამოჩნდება ვინ უკეთესი მონადირეა, რომელი შეიმოსება უმჯობესად, ვის ამოურჩევია სამეგობროდ უფრო ხალასი ჯიშისა და აღნაგობის ძაღლი.

კომისიის წევრებიც აქ გახლავან — ძაღლების მომთვინიერებელი ქალბატონი სახელმწიფო ცირკიდან, თითო პასუხისმგებელი მუშაკი სპორტის სამინისტროდან და მონადირეთა კავშირიდან.

მდიდრული პურ-მარილი გვარიანობამდე გასტანს ანთარიებისას.

ნაძლევი ასეთია: ათი ხელიდან ერთს თუ მოუგებს სტუმარი პეტიკო თოდუას, მატარებლით ჩამობრძანებულებს შავი ,,ოცდაოთხით'' მიაბრუნებენ დედაქალაქში ხორაგიანი მისაბმელითურთ, არადა, ჩემპიონი ოჯახის ქოფაკი უნდა გახდეს.

ასეთი სითამამისა და პრეტენზიულობის საფუძველი დიახაც გააჩნიათ მასპინძლებს.

კომისიის თავმჯდომარე ლარბი კობალაძე შამგონელი ნირგა ქობალიას ნაშიერია, დედით კირცხელი ჯიქიაა და თავისი საქმის ჩინებულ ოსტატადაა მიჩნეული მთელს რესპუბლიკაში, ტრადიციით ხომ არის და არის ორივე მხრიდან.

წმინდა სისხლის პოინტერი თვალებში შესიციცინებს ენაკვიმატ მეზობელს, თითქოს სასწორზე შეგდებულ საკუთარ ბედ-იღბალს მისჩერებიაო. მატჩის დასრულებას არ დააცლიან მონარდეებს. მართალია, ცხრა ხელის წაგებაღა მოასწრო ხელმწიფის ტოლმა კობალაძემ, მაგრამ ცხრა მაინც არ არის ათი.

ოდიშური ხავერდოვანი კვირაძალია. დილიდანვე მთელი ქალაქი აიყრება კომკავშირის პარკისკენ სეირის სანახავად. ქალაქის მესვეურები ერთგვარ ანგარიშს აბარებენ მოსახლეობას ამ ღონისძიებით. ძაღლების გამოფენით იხსნება ახალი სპორტული კერა.

ვაჭრობის მუშაკებს დახლებზე დაუწყვიათ სპორტული საქონელი.

აქეთკენ გამოშურებულა წვრილმანებით მოვაჭრე ილონას ხალხი.

კომპლექსის შესასვლელთან მანქანების ტევა არ არის. რეგიონის სხვადასხვა რაიონიდან ავტობუსებით ჩამობრძანებულან ბედის მაძიებელი მონადირეები თავიანთი ძაღლებითა და გულშემატკივრებით.

ტრანსპარანტებისა და დროშების ფრიალია ყოველ ნაბიჯზე. გამარჯვებული სამი ძაღლი მონაწილეობას მიიღებს პატრონითურთ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე. სოლიდური ჯილდო იქ გამორჩეული სამეულისთვისაა განკუთვნილი თურმე. წინ საგულისხმო პერსპექტივებია.

შემაღლებულ ავანსცენაზე, მიკროფონის წინ ლარბი კობალაძე მოკალათებულა. ლუდს ნება-ნება წრუპავს ბოთლიდან. იგივე დღეშია მისი ორი კოლეგაც და ორგანიზაციის მთელი სიმძიმე ცირკის მომთვინიერებელს დასწოლია მხრებზე.

მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდასთან ზის ალისფერთმიანი ის ქალ-

ბატონი და დათვალიერებაში მონაწილე ძაღლების სიას ადგენს. ხელს უმართავენ ცქრიალა ასულები კომკავშირის რაიკომიდან და ქალაქკომიდან. ივსება გრაფები ქოფაკების პასპორტული მონაცემებით. ირკვევა ჯიში, დგინდება ასაკი, დასტურდება პატრონის ვინაობა.

გაუგონია სპირდოს, გამარჯვებულს დიდი საჩუქარი ელისო და თავის ფინიასთან თუ განუყრელ სახეშეშუპებულ დიაცთან ერთად ზეიმისთვის მოუშურებია.

დღევანდელი ღონისძიება ძირითადად ზედაპირული დათვალიერებით ამოიწურებოდა, რათა კურიოზული შემთხვევითობა გამორიცხულიყო რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიებისათვის, რომელიც დამატებით რამდენიმე ნომინაციას მოიცავდა. ამის თაობაზე შემდგომში დაწვრილებით დააკვალიანებდნენ გამარჯვებულებს. ჯერ კი ზერელე მოთელვა გახლდათ.

ჭუჭყსა და მტვერში, ბირკავასა და ბაძგში, ტალახსა და ჭაობში ნათრევი ძაღლებს ბეწვი ნაირფერად ბზინავდა. შამპუნმა თავისი ჯადოქრობა ერთხელაც დაამოწმა. მეწყერს გაატანეს ილონას ხალხისგან შეძენილმა სავარცხლებმა რწყილები და ბაღლინჯოები.

ბედნიერების წუთი დასდგომოდა სადადიანოს ნაგაზებს. პატრონები ძეხვეულით და შემწვარ-მოხრაკულით უმასპინძლდებოდნენ ადრე საწიხლედ გამეტებულთ.

საზეიმოდ შემოსილიყო პეტიკო თოდუა. მეზობელი ანთარიების პოინტერის საბელი უმცროსი ვაჟიშვილისთვის გადაელოცა. ეს მეთოდი სიახლე არ არის ღონისძიების მონაწილეთათვის. წარმოება-დაწესებულებათა დირექტორებს ეხამუშებათ ელეფანსური სხეულების საჯაროდ გამოჭენება და პეტიკოს მიმსგავსებით თავიანთი მწევრების დემონსტრირების უფლება მემკვიდრეებისთვის გადაუბარებიათ.

მხოლოდ ჭეშმარიტ მონადირეებს არ უღალატნიათ საკუთარი ჰობისთვის, ელეგანტურად შემოსილან, მოხდენილად აღჭურვილან და ძაღლებსაც შემწყნარებლური ღიმილით დაასეირნებენ სარბენ ბილიკებზე.

ლარბი კობალაძეს ერთი ბოთლი გამოუცლია და ახლა ეტიკეტმოძრობილ მეორეს წრუპავს ნება-ნება, ვითომ ლიმონათია. კოლეგები ოსტატურად მიარაკრაკებენ გვალვიანი სტომაქისკენ გერმანული წარმოების ლუდს.

ელენე ქალბატონს უკვე გულდასმით აღუნუსხავს დათვალიერებაში მონაწილე თითოეული ძაღლი, მაგრამ სანამ მთავრობა არ მოვა, ღონისძიების დაწყება უხერხულია. ხმის გამაძლიერებლებში გაისმის ეროვნული სიმღერები, რომლებსაც შიგადაშიგ მარშები ენაცვლება.

დათვალიერება უფასოა, ღონისძიების ხარჯებს ქალაქის ბიუჯეტიდან გაიღებენ.

დიდი გაწამაწია აქვთ ფოტოგრაფებს. ვეღარ აუდიან ჯგუფური სურათების გადაღებას. მონადირული იერი, მარცხენა იღლიაში გაჩრილი თოფი და ჩაცუცქული მწევრის თავზე დასვენებული მარჯვენა, კლასიკური ტრა-

ფარეტული პოზაა, თუმცა ახლა, დაშაქრული ღვინისგან შელახულ, ძაღლების გამოფენის კომისიის თავმჯდომარეს და მის კოლეგებს ყველაფერს ღონისძიების სასხვათაშორისო მოხლაფორთება ერჩივნათ, ვინაიდან აწეული წნევა და გულის არითმია ნაკლებად ემორჩილებოდა ქოფაკების თვალთვალით გამოწვეული სიხარულს; და როგორც კი სპორტულ კომპლექსში შავი „ოცდაოთხებით“ შემოსრიალდნენ ქალაქის მესვეურები თუ რაიონის გამგებელნი, ლარბი კობალაძემ და მისმა საძმომ შვებით ამოისუნთქა. აწი დიდ-დიდი საათნახევარს გაწელილიყო ძაღლების დათვალიერება. კიდევ ორმოცწუთიანი იწილო-ბიწილო და სასურველ სუფრაზე ჯირითი აშლილ ძარღვებს უსწრაფესად მოალმობიერებდა.

კომისიის თავმჯდომარე ფრიად ენამჭევრი გახლდათ. თამადობაშიც გვარიანად გაწაფული და ჩაიგდო თუ არა ხელში ხმადაბარჭყნილი მიკროფონი, არაფრისდიდებით გამორთო.

ჯერ ოდიშის ხელმძღვანელობის ქება-დიდება აღავლინა ცად. მათ თავდაუზოგავ საქმიანობას თუ მამულიშვილობის წარმოჩენას ხუთ წუთზე მეტი შეალია. მერმე დღევანდელი ღონისძიების მნიშვნელობაზე იმდენად წვრილად დაფქვა, ფრჩხილისხელა ღერღილი არ გაურია. სადღაც ამოკითხული იგავ-არაკიც მოიშველია ძაღლსა და მის წინაპარზე გამოთქმული:

ერთხელ სიცივისგან გათოშილმა და შიმშილისგან ფერდებშელეწილმა მგელმა ჩათქვირული ნათესავი რომ მოიხილა, ჰკითხა გაოცებულმა:

— ძმობილო, მასწავლე ამისთანა ყიამეთ ამინდში რანაირად ახერხებ ამგვარი ღაბაბის შენარჩუნებასო.

— ყველაფერი ჩემი პატრონის ძალისხმევითაა, — უპასუხა ძაღლმა, — ქურდებისგან ვიცავ მის სარჩო-საბადებელს და ისიც მადლიერების ნიშნად, ალერსს და მზრუნველობას არ მაკლებსო.

ყველაფერი მოუწონა მგელმა, მაგრამ კისერზე გაცვენილი ბალანი რომ დაუნახა, კვლავ ჩაეძია:

— ეს რა მოურჩენელი ავადმყოფობა დაგმართნია?

ქოფაკი გააცინა მგლის მიუხვედრელობამ და აუწყა ხელად:

— რა ავადმყოფობა, რისი ავადმყოფობა, ეს ბალანი საბელისგან გამცვენია. პატრონი თოკს შემაბამს კისერზე ხოლმე და მხოლოდ ასეთნაირად დამაოკებს დღისით ეზო-კართან ჩამოვლილ მხედრებს გამონთებულსო.

მგელმა სინანულით გააქნია თავი ხელიდან წასული ნათესავის გამო.

— არა, ძმობილო, ტყეობაში ნაბოძები უზრუნველი სალაფავი ვერასდროს შემიცვლის თავისუფლებაში მოპოვებულ მწირ, მაგრამ გემრიელ ლუკმასო; — დაასრულა და წაუღრინა ერთი მისი ჯიშ-ჯილაგისთვის დამახასიათებელი კბილების დაბზინებით.

ამისთანა გამონათქვამის შემდეგ ლარბი კობალაძემ ზედმიწევნით დაახასიათა გამოფენაში მონაწილე ძაღლების რაოდენობრივი მაჩვენებლები ცალკე რაიონების მიხედვით და ცალკე — ჯიშ-სახეობის მხრივ. ისე შეჰყვა, ისე გაუტკბა საუბარი, თითქოს ნაბახუსევ ხასიათს და მასთან დაკავშირე-

ბულ ჭინთვებს ლაპარაკით იქარვებსო.

— ამხანაგებო, — აგრძელებდა ლარბი კობალაძე, — ელენე მიხაილოვნას მონაცემებით დღევანდელ საზონათაშორისო გამოფენა-დათვალიერებაში სულ მონაწილეობს ასორმოცდათერთმეტი ძაღლი. რაიონებს შორის ყველაზე შთამბეჭდავი წარმომადგენლობაა ზუგდიდში — ორმოცდასამი ძაღლი. მეორე ადგილზეა ხობი — ოცდაორი; მესამეზეა — გალი. მართალია, სამურზაყანოელები ჩვენს ზონაში არ შემოდიან, მაგრამ თავს იკლავენ შეჯიბრში დაგვიშვითო. ვითათბირეთ და სურვილი შევუსრულეთ. ვფიქრობთ, აფხაზეთის მთავრობა სწორად გაგვიგებს და ჩვენს გადაწყვეტილებას არ გადაიქცევს კიდევ ერთი დავის საგნად — თხუთმეტი. სენაკელებმა და ფოთელებმა ცხრა-ცხრა ქოფაკი ჩამოიყვანეს, წალენჯიხამ — ხუთი, ჩხოროწყუმ და აბაშამ — სამ-სამი, მარტვილმა — ორი.

ტრიბუნაზე ყველა მონაცემს იწერდა ღონისძიების სწორად მიმდინარეობას დადარაჯებული ზოგი გულშემატკივარი და ერთ-ერთმა როცა დაარჯამა, ელენე მიხაილოვნას ანგარიშში შეცდომა აღმოუჩინა: რაიონების მიხედვით ძაღლების საერთო ჯამი ასორმოცდაერთია, როცა კომისიის მიერ ასორმოცდათერთმეტი დასახელდა. ან სია ტყუის, ან — ძაღლების რაოდენობა და დაიწყეს ტრიბუნებიდან სტვენა, ფეხების ბრახუნი.

— ჯერ დათვლა ისწავლეთ და ძაღლები მერე შეაჯიბრეთ ერთმანეთს! — ხითხითებენ.

რეპლიკებმა ლარბი კობალაძე დააბნია, მაგრამ პეტიკო თოდუამ ხელები გაშალა და ღიმილით ბრძანა:

— ისეთი ცქვიტები არიან სამეგრელოს ძაღლები, ერთი ორად მოეჩვენება კაცს.

დათვლით კი მართლაც დაითვალეს. ცალკე ანგარიშითაც შეამოწმეს. ძაღლების რაოდენობა სპირდოს ფინიას ჩათვლით მართლაც ასორმოცდაერთი აღმოჩნდა. შეკრების დროს შეშლოდა ცირკის მომთვინიერებელ ქალბატონს.

სანამ ჭეშმარიტების დადგენის გაწამაწიაში გართულიყო კომისია, პეტიკო თოდუამ მიყოლებით რამდენიმე ანეგდოტი მოჰყვა ძაღლებზე და მთავრობის ლოჟის გვარიანი გამხიარულება მოახერხა:

— ძაღლების დათვალიერებაში მონაწილეობს ძუკუ, — ხელებით ლაპარაკობს ხმადაბოხებული პეტიკო თოდუა, — მთელი მსოფლიოს საძაღლეთი პარიზში შეყრილა. ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან ძუკუს ქოფაკმა დორბლიანი ბულდოგები და კბილებალესილი ნაგაზები. ბოლოს ეკითხებიან ჟიურის წევრები გამარჯვებულს:

კი, მაგრამ გვითხარი რა ჯიშისაა თქვენი ძაღლიო.

რა ჯიშის უნდა იყოს პატენი, ამბობს დამორცხვებით ძუკუ, ვერ ატყობთ კისერზე, გაკრეჭილი ლომია.

აქა-იქ გაიცინეს.

პეტიკო თოდუამ ახლა მორიგი ანეგდოტი წამოიწყო.

— საკონცენტრაციო ბანაკში მოუთავსებიათ გერმანელებს სამხედრო ტყვეები: ინგლისელი, ფრანგი, რუსი და ძუკუ. ცდას ატარებენ, ვინც ძაღლს ერთ წინადადებას ვერ დაასწავლის, დახვრეტენ კვირის თავზე. დაურიგეს ტომრებით სასისკები. გავიდა კვირა. მოდის შიმშილისგან მილეული ინგლისელი. ძაღლი გათვითვინებულია, კისერს ვერ აბრუნებს.

ჰელოუ, ეძახის მერე ქოფაკს და ისიც ჰელოუო, პასუხობს, მაგრამ ჰელოუ არ არის ერთი წინადადება და გაუყენებენ შორ გზას. ახლა ფრანგის ჯერია. ძლივს მოღვანკალებს, მილასლასდება ჟიურისთან და გაჩიღვინებულ ძაღლს ეუბნება:

ბონჟურ.

ბონჟურო, ბუხუნებს ნაგაზი, მაგრამ ბონჟურ არ არის წინადადება და მიიღებს მიქელ-გაბრიელი. რუსიც ამათ დღეშია. ისიც მიკნავებულა, ძაღლი კი მოგეცა ლხენა, კანში ვერ ეტევა.

და ზდრავსტვუიტე, ეუბნება და ძაღლიც ჩაბოხებული ხმით:

და ვზდრავსტვუეიტეო, იმეორებს, მაგრამ არც ეს არის წინადადება და წავა მარილზე. ბოლოს გამოჩნდება ძუკუ. ერთიანად ჩაკურატებულია, ექვსი დღის ღიპი გამოსვლია ყუათიანი სასისკებისგან, პერანგი რიგიანად ვერ შეუკრავს. უკან ბანცალით მოსდევს მისავათებული ბულდოგი, მარჯვენა თათს ხელივით წევს, ერთი თითი წინ გაუშვერია.

ქოფჩი ძუკუ ართი სასისკი, სქან დიდაშ მუნც ჯამპიშ ფსალინ,* ეხვეწება, მაგრამ ვინ არის გამგონე. ჯერ ჟიურამდე ვერ მიღწეულან, მისვლაც და იქვე განუტევებს სულს. სტაცებენ ძუკუს ხელს და უკრავენ თავს გაზის კამერაში. ბედი არ გინდა?!

დაიწყო ძაღლების დათვალიერება. სათითაოდ მიჰყავთ პატრონებს კომისიის თავმჯდომარესთან. ეს უკანასკნელი კბილებს უსინჯავს, თვალებში აცქერდება, ბალანს აუშლის. ძაღლები პირველ ეტაპზე ორი სიტყვით ხარისხდება — „გაიყვანეთ!“ „დატოვეთ!“ ზედაპირული გასინჯვის შემდეგ ქოფაკების ამალა ორი მესამედით შემცირდება. ავანსცენაზე ახლა იშვიათი აღნაგობის პოინტერები და სეტერები, სენბერნარები და პუდელები, კავკასიური და გერმანული ნაგაზები დარჩენილან. დაწუნებულთა რიგში აღმოჩნდება სპირდოს ფინიაც და ამის გამო გაუთავებლად ჯუჯღუნებს ბაზრის გაქანებული გიჟი. სხვები შერიგებიან თავიანთ იღბალს, ძაღლებიანად შეერთებიან გულშემატკივრებს ტრიბუნებზე და ათასნაირი უხამსი შეძახილით ცდილობენ კომისიის თავმჯდომარის წონასწორობიდან გამოყვანას.

იწყება მეორე ტური.

თითოეული ძაღლის პატრონი გავლენიანი თანამდებობის პირია. იცის ამის თაობაზე ლარბი კობალაძემ. ათბალიანი სისტემით აფასებს ყოველი ქოფაკის მოხდენილობას, ვარცხნილობას, გალოპით*სიარულს, მიმოხვრას, კორპუსს, რეაქციას.

— რა ჩაცმულობაა? რა კბილები აქვს, ან როგორი შემართული გამო-

ხედვა? — ელენე მიხაილოვნას ჰკიდებს თვალს, — შვიდი ქულა მეცხრეს! — იტყვის და ახალ მწევარს მიუბრუნდება. არად დაგიდევს ბაცაცა ყურაშვილის განაწყენებას. რვა ქულას ვეღარაფრით გადასცილდნენ ნადირობაში ჭიპმოჭრილი ბოჩია თოფურიასა და ფაფუს და-ძმა სენბერნარები.

ეს ოქროსბალნიანი სეტერი ჯღვამა ქუხილავასია, ზუგდიდლების საფარელი ფეხბურთელისა. სიჭარმაგეში ნადირობით ერთობა. ნაღდი პირველი ადგილის კანდიდატურაა. წამოზნექილი, ამაყი მკერდი ისე გაჭედვია ჯინჯილებით, ლეონიდს შეშურდება, მაგრამ რიგითი ნომერი თარსი შეხვედრია — ცამეტი, თანაც კომისიის წევრები რაღაცას უჩურჩულებენ ლარბი კობალაძეს.

თავმჯდომარეს საქებარი სიტყვა პირში შეაშრება. მისი ძაღლის შვილიშვილი კი არის ოქროცურვილი სეტერი, მაგრამ რეალობას სად წაუხვალ?! გადაუწევენ კუდს. ხელზე ხელს დაარტყამს წყრომით ბახუსიდან საბოლოოდ გამოსული კობალაძე. უკვე ჩიმჩას იმპორტულ ლუდს აინუნშიაც არ აგდებს.

— ამხანაგო, ჯღვამა, რატომ შეგყავთ ჟიური შეცდომაში?! დაკოდილ ძაღლს დათვალიერებაზე რა უნდა?!

— გამყიდეთ თხასავით, ხომ? — დორბლს ყრის გაცეცხლებული ჯღვამა ქუხილავა, — რას უწუნებთ, რას? ფერი აკლია თუ ხორცი?!

— კაკალი აკლია, ამხანაგო, ჯღვამა!

— კაკალი ბევრს აკლია ამ ტრიბუნაზე, მაგრამ ქე არიან თავიანთთვის მოყუჩებულნი! ნადირობისას გარეულ ტახს გამოდევნებულს ეკალი წამოედო და გარეთ გამოუვარდა, თუმცა მის სიფიცხეს ამ ცალი კაკლის გამო არაფერი დაკლებია!

— გვაცალეთ მუშაობა, ამხანაგო, ჯღვამა!

— ამ ამბავს ისე არ დავტოვებ! ბოჩიაევიჩის ქეციანი პოინტერის გაფანა გინდათ ხომ პირველ ადგილზე? გახეთქეს არა ანთარიებმა დაშაქრული ღვინო?!

ლარბი კობალაძე წაუყრუებს ცალკაკლიანი ძაღლის განრისხებულ პატრონს.

— ცხრა ქულა თერთმეტს! შვიდი ქულა სამოცდაექვსს. რვა ქულა ოცდაოთხს! ათი ქულა ორმოცდათორმეტს.

მორჩა. ენგურქაღალდკომბინატელები საგრძნობლად დაწინაურებულან. პეტიკო თოდუას შეპირებულ „ოცდაოთხით“ გამგზავრებას ისევ კუპირებული ვაგონით წასვლა ურჩევნია ლარბი კობალაძეს, რადგანაც ძაღლებზე წიგნი აქვს გამოსაცემი და შეიძლება საბეჭდი ქაღალდი გააჩალიჩოს შეღავათიან ფასში. სამეულში რომ მოხვდეს ანთარიების პოინტერი, ცოტა საქმეა?! თანაც ის ნიძლავი ბოლომდე არც კი დამთავრებულა.

მესამე ტურისთვის ათი ძაღლიღა რჩება. დაძაბულია შემაჯამებელი

აკორდები. ტრიბუნა გუგუნებს, ქოთქოთებს. ცნობისწადილი გადახლართვია მოთენთილობას.

ეს წუთია და სპორტიულ კომპლექსში ორხიდიანი მანქანა შემოთუხთუხდება. ბრეზენტის საფარველი გადაუხდიათ. ზედ ავანსცენასთან ჭრიალით იღება კაბინის კარი და ოთხმოცს გადაცილებული ყირმიზი სახის, საშუალო ტანის მოხუცი გადმოაბიჯებს.

ტრიბუნიდან პარტიული მუშაკები წამოცვივდებიან და ჩამოეგებებიან მხცოვან ადამიანს.

— მობრძანდით, ამბროს, ბატონო, — მკლავს გამოსდებენ ქალაქკომის და რაიკომის მდივნები.

ახალგაზრდა მძღოლს კი, რომელსაც კომისიისთვის ძაღლის წარდგინება შეუთავსებია ძირითად პროფესიასთან, ვერაფრით გადმოუყვანია მანქანიდან დამფრთხალი ქოფაკი. ქათიბი ბღუჯა-ბღუჯა ამოსძვრომია ფერდიდან და ზურგიდან, სწორედ რომ ძუკუს ანეგდოტის პერსონაჟია. ექაჩება კობალაძისკენ მაძებარს ბიჭი, მაგრამ ამდენი ნათესავის და ადამიანის ერთად მნახველ ოთხფეხს შიშისგან ლამის სული გასძვრეს.

— მოაშორე, კაცო აქაურობას! — უწყრება კომისიის თავმჯდომარე მძღოლს, — ქეცი არ გადასდოს ძაღლებს. ან ჩაწითლებულ თვალებს რანაირად აბრიალებს, ცოფიანი ხომ არ არის ნეტავ?!

ჯერ ელენე მიხაილოვნას უჩურჩულებენ ყურში დიდადმნიშვნელოვან ამბავს, მერე ისიც მიმსგავსებული პოზით გადასცემს დანაბარებს ლარბი კობალაძეს.

— ლუკიანოვიჩ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოდიშელიას მამაა, — ეუბნება და ძაღლების გამოფენის სულისჩამდგმელიც ნელინელ წამოიმართება ფეხზე:

— ნუ უჯიუტდები, ბიჭო, — მიეგებება ახალმოსულთ ლარბი კობალაძე, — ხომ ხედავ, ადაპტაცია ვერ მოასწრო, დაბნეულია. სული მოათქმევინე. — ძეხვის ბარაქიან ნაჭერს მიაწოდებს და უმალ მოიპოვებს ნაგაზის ნდობას, — რა ჩაცმულობა აქვს, კაცო, როგორი თვალები, რა მძლავრ ფეხებზე დგას?!

— ბრიჯიტ ბარდოა პირდაპირ! არსად დაგეკარგოთ! — იღვარძლება ჯღვამა ქუხილავა.

— მიხაილოვნა, ათი ბალი მაგას! — თან იქვე ხმაპარვით გადაულაპარაკებს სცენისკენ შეტრიალებული, — სანამ თბილისის რესპუბლიკური დათვალიერება დაიწყებოდეს, სამჯერ ამოხდება სული ოხერ-ტიალს და ხელმწიფის ტოლი კაცის მამა რისთვის გადავიმტეროთ?!

ასე და ამგვარად დასასრულს უახლოვდება ძაღლების დათვალიერება კომკავშირული პარკის ჩინებულ კომპლექსში.

კოოპერატორებს უკვე აუკეცავთ ჭრელა-ჭრელა ქოლგები. არც ილონას ხალხი ჩანს სადმე. ნაყინის ქაღალდებით მოფენილია სარბენი ბილიკები.

ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: მთავარი პრიზი დათვალიერების წკიპზე მოღწეულ ქოფაკს მიეკუთვნა. მეორე ადგილი — ენგურქაღალდკომბინატელებს. მესამე — ანთარიების პოინტერს. რა დროს ტონანახევარ საბეჭდ ქაღალდზე ფიქრი იყო, როცა შეიძლება წიგნი გამომცემლობის გეგმაში ჩაესვათ დიდი ტირაჟით, თანაც წელსვე და სასტამბო მასალებისთვის კაპიკიც არ დახარჯვოდა?!

ჯღვამა ქუხილავას რამდენიც უნდა ემქუხარა, როდის იყო კაკალგამოგდებული ძაღლი საგამოფენოდ დაჰყავდათ?! ოჯახაშენებულმა ვერ დამალა კაცობაწართმეული პირუტყვი?! გაასაჩივრებს და კარგ ტურასაც დაიჭერს, ეგერ ჯღვამა და ეგერ — ოდიშელია.

საერთო განწყობილებას მაინც საზეიმო ეთქმოდა.

ქალაქის მესვეურებს მადლობას უხდიდნენ ჩინებული ღონისძიების ორგანიზატორ სტუმრებს და ჰპირდებოდნენ, რომ მომავალში უფრო მასშტაბური ხასიათი მიეცემოდა ოდიშში ძაღლების გამოფენა-დათვალიერებას.

— სადგურში დაგიჭერ, უბედურო! დანით გამოგღადრავ ყელს! — იმუქრებოდა ჯღვამა ქუხილავა.

სპირდო ღონისძიების დახურვამდე შემტყდარა იყო მოწკუმპული ფინიათი და სახეშეშუპებული ქალბატონით.

კოლი იზორიას ალერტი ხომ ისედაც ულმობელი დროს მიეკუთრებინა და რომ არა ლადი ჭანიას ბალადა, ვერასდროს შემობრძანდებოდა ჩვენს ცნობიერებაში გოროზი და განუმეორებელი იერით.

ბევრი არ დაულევია გამოლოცვის სუფრაზე როკის, მაგრამ ენა სწრაფად დაებრგვილა, თავი აუბრუალდა და არ დაუცადა მეგობარ-ნათესაობა როდის ჩაამთავრებდა ქეიფს. შავი ,,ოცდაოთხის'' უკანა სალონში მოკალათდა. დედაც ფეხდაფეხ მიჰყვა.

— აქეთ მომესვენე, — უთხრა მშობელმა ალერსიანად.

— არა, დედი, გაწვალდები, — გამხდარ სახეზე მიეფერა ხელით მშობელს ოდიშელია. საზურგეს მიაწვა. ძილმა სწრაფად წაიღო.

გრძნობდა, სადღაც სულის კუნჭულში გრძნობდა დამბადებლის თითების სრიალს შუბლზე, გულ-მკერდის არეში. უფრო დიდი ნეტარება არსებობს?! მერე — დამშვიდობება ავიმბებთან, კვიტოულელ წვიჟებთან, ილორელ მასპინძლებთან, რასკოლნიკოვის შესახედაობის მამა ფრიდონთან.

მორდუ, აცრემლებული მორდუ. მანქანის რწევაზე ისევ ჩასთვლიმა როკის. როცა გამოეღვიძა, ენგურის ხიდს მომდგარიყვნენ. კილომეტრზე მეტია მისი სიგრძე. ომიანობის წლებში თვალის დახამხამებაში აშენდა, მაგრამ თანამედროვე მოთხოვნილებათათვის ვიწროა უკვე ამ სიტყვის ფართო გაგებით.

რიბირაბოა.

სქელი ნისლი თეთრი ნაბადივით მოეგდო მხრებზე ენგურს.

ოდიშელიების ესკორტი ხიდის თავთან შეფერხებულიყო. ინსპექცი-

ის ხალხს მშვიდად ებაასებოდნენ როკის მეგობრები. ეწეოდნენ სიგარეტს. წამოიწია ნაჯურღმულარი და დედამაც მოთენთილი ქუთუთოები მყისვე აახილა.

— გაიღვიძე, ნანა? — ჰკითხა ალერსიანად ქალმა.

— ჰო. აქ რას ვუდგევართ?

— მორებით დატვირთულ მანქანას საბურავები დაშვებია ზედ შუახიდზე. ნახევარ საათზე მეტია ვუცდით. გვანუგეშებენ, მალე გავმართავთო. შენ იძინე, ნანა. დედა მოგიკვდეს, როგორ გაგჭაღარავებია თმა? არა უშავს, შენსკენაც მოიხედავს ღმერთი.

როკის სიგარეტის მოწევა მოუნდა, მაგრამ რატომღაც მშობლის მოეხათრა და კვლავ საზურგეს მიესვენა. დაძინება სცადა. არ გამოუვიდა. შემპარავად მოჟონავდა გულში ენგურის ნისლოვანები. ცრემლიანი თვალებისთვის უკეთესი ნიღაბი არ მოუგონია განგებას. აჰა, ამ გაურკვევლობიდან ხელებს უწვდიდა ბავშვობის მეგობარი ილონა.

„როკიი“, მატარებლის ბორბლებივით მიხრიგინებდა ყურთასმენაში ეს ერთადერთი სიტყვა.

„როკიი“, მოიგდეს მოლაპლაპე ბორბლებმა ქვეშ ილონას სასოწარკვეთილი კივილი.

„როკიი“ უმოწყალოდ წარიტაცებს შემადგენლობა ნაჯოჯოხეთარის სულის უმწეობას.

თანდათან ცრიატდება აღმოსავლეთი. წითელი ზოლი გადაეკვრება მთელს ცისკიდურს და სისხლი ჩამოეღვრება ჩამოქუფრულ რუხის ციხეს. ახლა გარკვევით ხედავს ოდიშელია უშველებელ ბაქანზე მიყენებულ, ვეება მორებით დატვირთულ „კამაზებს“. კაცისხელა ბორბლებზე შემდგარან. ხიდის სიღრმეში შეიმჩნევა ადამიანთა მოძრაობა. მოედანი მაღალია, ენგურის ხიდი კი — მთელი ორი მეტრით ჩავარდნილი. ბოშათა ფორნების ადგილსამყოფელთან შეუჩერებიათ „ოცდაოთხი“ და ახლა მამის იღლიაში მომწყდეული, სიყმაწვილის წლებიდან უმზერს ილონას სიფრიფანა ხელებს, რომლებიც ნელ-ნელა მკრთალდება და ხუნდება. აგერ, ყურისძირასაა თავის ოდიშთან, უანკარეს წამებთან, რაღაც თოთხმეტიოდე კილომეტრისა და წელიწადის დაშორებით, მაგრამ მორების ქარავანი ეღობება წინ, მორების ტყე კვლავაც მოჰყმუის მოურჩენელ ჭრილობასავით.

მოულოდნელად საკნის კარი გაიღება, შემოცქნაფუნდება მაიორი სტეპანცევი და ჩახრინწული ხმით დაიძახებს:

— ოდიშელია, მეოთხე ბური გიმთავრდება. წადი ზონაში. იქ ჩვენი ხალხი სამუშაოდ გაგამწესებს. მათი ნებაა სად გაგიშვებენ მერე, ლესოპავალზე თუ ბირჟაზე.

ექსპერიმენტული ზონის ენაზე აქაური ბირჟა რამდენადმე განსხვავდე-

ბა ოდიშური ბირჟისგან. ეს ის ადგილია, სადაც მორებს ექვს, ოთხ და ერთ მეტროიანებად გადახერხავენ. ერთმეტროიანებს შახტებისთვის ამზადებენ, დანარჩენი ფაბრიკაში მიაქვთ სამამულო ავეჯისთვის. გაგონილი აქვს ოდიშელიას სტეპანცევისაგან და სხვებისგანაც, რომ ზონაში ოთხი ქართველია. მათთან შეხვედრა თუ ეღირსება კიდევ ოთხ ბურს გამოივლის ზედიზედ. უკვე დაუსწრებლად იცნობს მთელი ზონა პანტერას. ლამის გმირად შერაცხონ. კულტი ყველგანაა, პოლიტიკაშიც, სცენაზეც, ფეხბურთშიც, ციხეშიც. თავიანთი ღმერთი ჰყავთ კოსმონავტებს, მოკრივეებს, მეძავებს, თვით ჯალათებსაც კი.

მეორე დღესვე ჩასწერენ ოდიშელიას პირველ წამყვან ბრიგადაში. მუშები უშველებელი ტყემზიდით დაჰყავთ ულრანებში. კაბინიდან ორი მეტროს მოშორებით ხის ბარიერია. მგზავრობისას ეს არის არსებითი გამყოფი ბადრაგისა და პატიმრებისა. ჯარისკაცები კაბინასთან დგანან ნაგაზებით. ტუსაღები კი ძარაზე ჩამომსხდარნი მიდიან ოცდაათი კილომეტრის მანძილზე. მათ აქ უბრალო გატოკების უფლებაც კი არა აქვთ ბარიერისკენ. იოტისოდენა წამოჩოჩება ბადრაგზე თავდასხმის მცდელობადაა მონათლული და ვინ იცის, საქმე როგორ დამთავრდება. გამორიცხული არ არის თავდაცვის მიზნით ტყვიებიც მოგაყარონ.

მიდიან დათოვლილი ნაძვების სიღრმეში. როკისთვის ცნობილი გამოთქმა ,,იოლკი პალკის'' კვალობაზე აღიქმება წიწვოვანი ტყეების მრავალსახეობა. იგი დღემდე ვერ არკვევს ფიჭვს ნაძვისგან და ნაძვს — სოჭისგან. მისთვის იოლკაა ყველა, ფიფქისფერი წამწამებით თუ ზღარბის ეკლებივით წამახული.

როდის იქნება მანქანაც გაჩერდება.

— მოვედით! — დაიძახებენ ბოლოს და შენც ხელ-ფეხი შეგეხსნება.

ორმოცდაათი ჰექტარი ტყე მავთულ-ხლართითაა შემოკავებული, რომლისთვისაც ვეება ხის ჭიშკარი შეუბამთ, სამეგრელოში ლაბახას რომ ეძახიან, ისეთი.

შესასვლელთან საკმაოდ ზორბა ორთვლიანი ძელური დგას, რომლისგანაც ოცდაოთხი საათი კვამლი მიიფუტება, შეშა გამოაკლდება თუ რა?!

სალდათები შეგრეკავენ შემოკავებულში და იბოდიალე მერე რამდენიც გენებოს. შენს განკარგულებაშია თვალუწვდენელი სივრცე. ბურავიკების კარცერს მიჩვეულისთვის ასეთი გაშლილობა იგივეა, რაც წლობით სიბნელეში დახანებული უცებ დღის ნათელზე გამოგიყვანონ. უსაქმურობა არც სამხედროებს ხიბლავთ მაინცდამაინც. თხილამურებით შემოუვლიან შემორაგვულ ტერიტორიას.

შუადღეზე უფროსობა ჩამოჯგროვდება. გულდასმით ამოწმებენ ყოველ წვრილმანს და როცა საქმე მშვიდობიანადაა, ყვითელ მაშხალას ისვრიან, რაც უსიტყვო ნიშანია ჯიხურთან მოგროვებისა.

თხუთმეტ-ოცკაციან ბრიგადებად დაყოფილი ორასი პატიმარი იმ ძე-

ლურთან მოიყრის თავს. გადაითვლიან ხუთ-ხუთად და თუ პატიმარი დააკ-ლდათ, წითელ მაშხალას ააგიზგიზებენ ცაში. ეს უკვე გაქცევის მაუწყებელი ნათებაა და ზამბარასავით დაიჭიმება მთელი ზონა. შეატყობინებენ სამმართ-ველოს. მძლავრი ვერტალიოტები ჩამოეკიდება ჰაერში. ნიკი ძიუმპეის ქვი-შის ორმო ბალღოსნური თამაშობებია აქაურ ჯურღმულებთან შედარებით. მართალია, ეს ხრამ-ხეობა აბსტრაქტულია, გარშემო თოვლი ქათქათებს თითქოს, ფიჭვების ხერხემალი ლარივით გასდევს გაკაფულ ზოლს, თვალის-მიმტაცებელი სილამაზეა ვითომცდა ირგვლივ, მაგრამ ისეთი შინაარსია ჩაქ-სოვილი ტყისმჭრელი ტუსაღის მოჩვენებით თავისუფლებაში, ლამის გაგს-რისოს თეთრმა ნათებამ.

,,უსასრულო თოვლის ორმო. კანონების თვალუწვდენელი ხრამი.

ადამიანს რკინის ჭიშკარი, ყრუ კედლები კი არა, კარებში გაკეთებული პატარა საჭვრეტი აგრძნობინებს ყველაზე მეტად, რომ საპატიმროშია. ფორ-მის მქონე ყველა საგანი არარეალურია, რეალურია მხოლოდ მოძ-რაობა ქვიშისა, რომელიც ყოველგვარ ფორმას უარყოფს".

დაბის ძირითადი მაცხოვრებელი სასჯელმოხდილი ხალხია, იგივე ძიუმ-პეივით თოკის კიბედაშვებული ნატუსაღარნი, იგივე ბიზონები კრამერის ფილმიდან, თავისუფლებას რომ მიუბოძებენ სკოლა-ინტერნატის აღსაზრ-დელები, მაგრამ იქამდე შეგუებიან საკუთარ სისხლში ჭყუმპალაობას, გაქცე-ვა უაზროა.

ნაპატიმრალების საზოგადოება დროთა ვითარებაში მშვენივრად ეთა-ნაწყობა ოფიცრების ოჯახებს. ოთხთვლიანი ძელურები წამოჭიმულა მათ საცხოვრისებად. დაბა დაახლოებით კილომეტრ ნახევარზეა გალარული ქუ-ჩის ორივე მხარეს. თავად პროსპექტისმაგვარი ქუჩა ფართე ფიცრებითაა დაბოგილი და რკინის სოლებით დამაგრებული ჭაობიან მიწაზე. აქ დილის შვიდი საათიდან ბირჟისკენ მიმავალი სამიათას ექვსასი პატიმარი ჩაივლის ხუთ-ხუთ კაცად დაწყობილი. საღამოს რვა საათზე იგივე მწყობრით ბრუნ-დებიან უკან, ხოლო როკის ოცკაციანი ბრიგადა ტყემზიდით უსიერისკენ მიემართება.

იცის ოდიშელიამ ბურების შემდეგ პირდაპირ ზონაში გამოშვება სასიკე-თოს არაფერს უქადის, სტეპანცევს რაღაც ხაფანგები დაუგია მისთვის, მაგრამ კონკრეტულად რანაირი, ძვლების რარიგად შემმუსვრელი, ჯერაც ვერ გაურ-კვევია.

,,ალბათ ჰგონია გაქცევას მოვიწადინებ და სულელურად თავს წავაგებ, — ფიქრობს როკი, — ეგ სტეპანცევი მთლად უჭკუო არ არის, მაგრამ ტყუ-ილად მერკინება, ჩემთან არაფერი გამოუვა!"

ხე-ტყის დამზადებიდან იღბლიანი გაქცევა ექსპერიმენტულ ზონაში ჯე-რეთ არ სმენილა და ოდიშელია რაღა იმდენად გულუბრყილო გახლავთ, თვალები საკუთარი ხელებით დაითხაროს?! ვისაც უცდია მავთულხლართის-

გან თავდაღწევა ყველა დაუჭერიათ. ორმოცი, ოცდაათი, ოცი კილომეტრი ფეხით უტარებიათ. კოლონიამდე კილომეტრით მოახლოებულ მდევარს დაუხვრეტია ის არაქათგამოცლილი უბედურიშვილი, რათა ცხედრის თრევით დიდად არ შეწუხდნენ. არც პატიმრების თვალწინ მათი მოკვდინება ივარგებს, რადგანაც ასეთი ქმედებები ერთიასად ამხეცებს ტუსაღს, ბრძოლის უნარიანობას და ჟინს ჰმატებს, უფრო ენერგიულს ხდის, ჰოდა, დაყრიდა დაცხრილულებს, რათა ბრიგადამ შემოსვლის წინ ნახოს, თუ როგორი იღბლისაა თითოეული პაბეგუშნიკი.

აქედან გაქცევა კი არის თეორიულად შესაძლებელი, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ადგილობრივია, ციმბირის კლიმატურ პირობებს შეგუებული, თანაც წინასწარ მოითადარიგებს კომპასს, რუკას, პროდუქტს, ნოყიერ შოკოლადებს, მაგრამ ჯერეთ გაქცეული ცოცხალი არავის უნახავს. ყველა დახვრიტეს, ზონის შესასვლელთან დაადგეს სხვათა დასაშინებლად, ჭკუის სასწავლებლად და ისე ჩაფლეს მიწაში, ხელისშესავლებლად არ აღირსეს მშობლებს.

კოლონიები ისე განულაგებიათ ჭადრაკისებურად, ერთიდან გაქცეული მეორეს მიადგები, მეორედან გაღწეული — მესამეს და ასე შემდეგ — მორიგ შემოკავებულს, მოკლედ, საბოლოოდ მაინც ულმობელი ტყვიის წერა ხარ.

ტყისმჭრელებად ვინც დაჰყავთ, ყველა ჩათბუნებულია, დაბამბული შარვლები და ტელოგრეიკები აცვიათ, დამატებით ზედ მოისხამენ ბუშლატებს. ფეხებზე რუსულ, თექის ყავისფერ ჩექმებს მოირგებენ — ზეკოვსკებს.

გალაღებულებს რიგითებისგან აღკაზმულობით გამოარჩევ — სამოქალაქო შავი თექის ჩექმებითა და ბეწვის ყურებიანი ქუდებით — უშანკებით. რაც საუკეთესო ჩასაცმელი მოიძებნება ექსპერიმენტულ ზონაში ყველაფერი როკის აუსხამს ტანზე.

ახლა თავად ზონასაც შევხედოთ ორიოდე წუთით. ოცამდე ორ-ორ სართულიანი ბარაკი ლოკალური სისტემითაა განლაგებული. სათითაოდ შემოკავებულია მავთულ-ბადით. შესასვლელი თავ-თავისი აქვს ყოველს, სამორიგეოც, სადაც, ქარონისმაგვარი სევეპელი ზის. შვილი რომ მოუნათლო მეზობელ ბარაკში არ გადაგიშვებს. შესაძლოა ავად გახდე, ორმოცი გრადუსი სიცხე გწეწდეს და გგლეჯდეს, მაგრამ სანამ არ ჩაეწერები სანიტარულ ნაწილში წამსვლელთა სიაში და ვიდრე ის ხალხი ოცამდე არ მოგროვდება, ითმინე შენი ოფლდენანი თუ ციებ-ცხელება. სამკურნალო ხალხს ზონის ზავხოზი გაჰყვება. ეს უკანასკნელი პატიმარია, სევეპეს წევრი, ხელმძღვანელობის სანდო პირი, რვაგზის ნაჯდომი, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ გაფუჭებული სტეპანცევის ექსპერიმენტებით.

შვილებს ეძახის მათ ზონის უფროსი, მიუხედავად იმისა ასაკით შესაძლოა ბაბუად ერგებოდეს აქეთ და მის სიტყვას თუ მივუგდებთ ყურს, ისეთი მრავალშვილიანი მამაა, ტროელი პრიამოსი ახლოსაც ვერ მივა.

ესენი აჯენენ ტუსაღებს კარცერში, იზოლატორში, თუ მოინდომეს ბურსაც გაგიჩალიჩებენ.

ატრიადნიკს ეტყვიან: ჩავწერე სამუშაოზე, მაგრამ არ იკადრა ვაჟბატონმაო და ფეხქვეშ მიწა გამოგცლია, ეგრევე თხუთმეტდღიან კარცერში ენარცხები. ხდება ხანდახან, რომ შეაბამ, შენს ნაცვლად სხვას გაგზავნი სამუშაოზე. ამას ნახერხად წოდებული ჩაის ორი შეკვრა სჭირდება. თუ მწეველია თამბაქოს უშოვი ან ფულს მიაშავებ. მაშინ ჩაგითვლის სამუშაოზე გასვლას. გაისტუმრებ მერე შენს მაგივრად სათადარიგოს, იმასაც ერთი კოლოფი ჩაით მოალმობიერებ და მთელი დღე ფუფუნებაში ხარ. ბარაკში მის განკარგულებაშია სამოცამდე პატიმარი.

გამოელევა ჩაი? განგაწესებს კარტოფილის საფცქვნელად. ერთდღიან დამამცირებელ შიდასამუშაოს ზოგი ექვსთვიან ბურს ამჯობინებს. სამასი ბურაველიც უმეტესად ამის გამო ჩამჯდარა პეკეტეს დახუთულ საკნებში. ერთი სიტყვით, არ მისცემ და მინიმუმ იზოლატორი განაღდებული გაქვს. ყველაზე თბილი თანამდებობა სამეურნეო ნაწილისაა ზნეობრივად დაცემული კაცისთვის, მაგრამ დავუბრუნდეთ ციმბირის ცასმიბჯენილ ტყეებს.

დაინახავენ თუ არა სამოქალაქო სათბუნებლებში შემძვრალ ოდიშელიას, ჯარისკაცები მყისვე მიხვდებიან, რომ დანიშნულების ადგილზე არაფრის გამკეთებელია, მუშაობით ოფლს არ მოიდენს და წინასწარ გააფრთხილებდნენ:

— ნუ იყიალებ იქ, ჩვენს თვალწინ იტრიალე, თორემ ბარათზე წითელ ზოლს დაგისვამთო.

ეს ჯანდაბაჯარხანა გაქცევის მცდელობის მაუწყებელია და მომდევნო დღეს სამუშაოზე არ გამოგიშვებენ. დაემშვიდობე სუფთა ჰაერზე ნავარდს. ზედიზედ ოთხი ბურის შემდეგ როკის ფილტვები მუჭივითაა შეკუმშული, სიგარეტიც თავისას მიითლის და ციმბირულ წყლულამდე რამდენიმე ნაბიჯი დარჩენილა.

— გარეთ ყოფნა შენთვის აუცილებელიაო, — აგულიანებენ ბიჭები და ოდიშელიაც ყურად იღებს მათ დარიგებას.

ამ ორასი ტყისმჭრელი პატიმრიდან გამოერევა ორი-სამი ოდიშელიასავით ნაწამები. ისინი დაკეტილიდან მოსულან. ოც წელიწადზე მეტი ჯდომა აქვს თითოეულს. უჟლაგიდანაა ერთი, მეორე ვეტლაგიდან, მესამე — ორლაგიდან.

— თავზე არც იქ გვისვამდნენ ხელს, მაგრამ აქ მთლად ჯოჯოხეთი ყოფილა! — ამბობენ და რა ჩარაა აღარ ერწმუნო?!

შევლენ პატიმრები შემოკავებულში სამუშაოდ. სანამ წელში გაიშლებიან ჰკითხავს როკი ბიჭებს:

— მანახეთ ერთი, ნაჯახით რა ილეთებს აკეთებთო.

მოგვიანებით იხილავს ოდიშელია, როგორ იპარსავენ ტყისმჭრელები უშველებელი ნაჯახით წვერს; მოგვიანებით გასინჯავს ძაღლის ხორცსაც, რო-

მელიც ჯარისკაცებს მოაქვთ ყოველდღე და პატიმრებზე ჰყიდიან.

ისმინენ რა ნაჯახების ხელოვნების წარმოჩენას, პატიმრებს სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდებათ.

აიღებს ერთი ახმახი მეტროზე გრძელტარიან ნაჯახს, ხუთი წუთი ატრიალებს ჰაერში თავს ზემოთ. ხან ფეხებსშუა გაიტარებს, ხან — იღლიებში, ლამის თოკივით დაიხვევს ტანზე, გაუქანებს მერე ოცი მეტროს მოშორებით ხეზე მიმაგრებულ ასანთის კოლოფს და შუაზე გაჭრიის.

ახლა მეორე ჩექმის ყელიდან ამოაძვრენს ორმტკავლიან ხარაზის დანასავით აფხიანებულ რკინის ნაჭრებს. მარჯვენა ხელით მკერდის სიმაღლეზე დაიჭერს წვერით, ტარით მიწისკენ ჩამოკიდებულს, გაუშვებს თითები, მიუახლოვდება მიწას თუ არა დაუქანავებს მარჯვენა ფეხს და იგივე მანძილიდან მერქანზე ამოჭრილ კაცის გულს გაურჭობს, მაგრამ პირველი დანა ჯერ კიდევ მიზანში არ არის მიღწეული, ისე უკან მისდევს მეორე, მესამე, მეოთხე. ათიოდე წამში ყველა დანა ხელისგულისოდენა სივრცეშია თავმოყრილი.

მესამე იშიშვლებს რასკოლნიკოვის იარაღს, ახალგაზრდა, თხუთმეტმეტროიანი ფიჭვის ძირას დადგება, ტარს წვერზე წაავლებს ხელს, აბასრული პირი ზემოთკენაა მიქცეული. ერთი ახედვით გააქანებს და მოსხიპავს ტოტს ხეს, რომელსაც ხუთი-ექვსი მეტრიდან ეწყება ვარჯი. ტრიალით წამოსული ნაჯახს დაიჭერს ტარის წვერით, ასტყორცნის ისევ ელვის სისწრაფით და ამჯერად მეორეს გადაბასრავს, ზღართანით ცვივა და და ცვივა ტოტები. სანახევროდ აჩხონტილი ხე შოთა ოდიშელიას პოლბოქსით გაკრეჭილ ყმაწვილს ჰგავს.

მიხვდება როკი სად გამოუგზავნია სტეპანცევს. ,,დრუჟბით'' ისე უზუსტესად წააქცევენ ხეს, დასობილ სარს მიწაში აქრობენ.

გაიფიქრებს, მეც ვუჩვენებ რაიმეს მათთვის უცხოს და მიუწვდომელსო. ახლობელს ყურში უჩურჩულებს, ხუთი-ექვსი მეტრის მაჯისისხო ჭოლოკი მომიჭერი, ტოტებისგან გამისუფთავეო. მოურბენინებენ დავალებულ ჯოხს. გაიხდის როკი ჯუბაჩას, დაბამბულს ავტორიტეტები მაინც არ იცვამენ. გაიძრობს თექის ჩექმებს და ახლა შალის ხელნაქსოვი წინდებით მიაბიჯებს გაყინულ თოვლზე. შეარჩევს ზომიერი ხეს, ექვსი-შვიდი მეტრიდან რომ ეწყება ტოტები, გამოირბენს ჭოლოკიანად, აიწევა ჰაერში, აქეთ ბარჯს ეყრდნობა და ხეზე ვერტიკალურად არბის, გასცდება პირველ ტოტს, დაახტება ფეხებით, ისკუპებს მეორისკენ ზურგით, არხეინად ჩამოჯდება, ამოიღებს სიგარეტს, გაჰკრავს ასანთს, მოუკიდებს და გააბოლებს ხარბად. მუხლი მუხლზე გადაუდვია, თითქოს სავარძელში მოკალათებულიყოს.

— ამიტომაც შემარქვეს პანტერა, — ჩამოსძახებს დაბლამყოფებს.

ეს ამბავი მთელს ზონას მოედება იმავე ღამეს. წავა ლეგენდები. ჯოხით დაძლეული ექვსი მეტრის სიმაღლე ჯერ რვამდე გაიზრდება, შემდეგ — ათამდე და თხუთმეტამდე.

აქეთ ჯარისკაცები იწყებენ ბუზღუნს:

— მაგ ქართველის წამყვანი არა ვართ ზონიდან. ჩიტივით გადაევლება შემოკავებულს, ერთს, მეორეს, მესამეს და სდიე მერე კუდში ფუთიანი თხილამურებითო.

ასეთი საუბარია და საიდან არის მაიორი სტეპანცევიც მოცქაფუნდება.

— ოდიშელია, სად ისწავლე შენ ასეთი ხტომები?

— ყმაწვილობისას ობოხუებით, იგივე ოჩოფეხებით დავდიოდი მოქალაქე-უფროსო. ჭაობნარი ადგილებია ჩვენთან. ხოდა, ფეხი რომ არ დამესველებინა, მათი დახმარებით არათუ დავდიოდი, დავრბოდი კიდეც. მერე და მერე გავიწაფე. სამი-ოთხი მეტრის ღელეებს გადავახტებოდი იმ ობოხუებით. ერთით — იქით და მეორეთი — აქეთ.

— ჩემო კარგო, ობოხუები არ ვიცი მე, დღეიდან ბირჟაზე ივლი, იხტუნავე რამდენიც გინდა, ოღონდ — სიგრძეში და არა — სიმაღლეზე.

მხერხავთა ბრიგადას მალე შეეწყობა როკი. სულ თხუთმეტი კაცია. ოთხს ელექტროხერხი მოუმარჯვებია, რომლებზეც ორმოცი მეტრის კაბელია გამობმული. აქ „დრუჟბა“ უმაქნისია. ოთხი პატიმარი მზომელია. უკან ელექტროხერხიანები მოსდევენ, მოუნიშნავენ ადგილს, ოდნავი დაკარება და არშინიანი დიამეტრის მორიც გადაფატრულია ექვს, ოთხ და ერთ მეტროიანებად. მესამე ოთხეული წაიღებს იმ მორებს. ოდიშელია მუშაობით ოფლს არ მოიდენს. ადუღებენ მერე ჩიფირს. დალევენ. მორფი აქ არ გულაობს. მისი შემცვლელი კი, იცოცხლე — მოხარშავენ „სიმპლექს კონსკის“* და როკის გამოკლებით თოთხმეტივე გაიკეთებს ხუთ გრამს, იგივე კუბს. დააყოლებენ ჩიფირს. გაიხდიან ტანსაცმელს. გარეთ ორმოცდახუთი გრადუსია ცელსიუსის ნულს ქვევით. თხელი შარვლისამარა გავლენ. გრძელსახელოიანი პერანგებით. შლემივით ქუდს დაიხურავენ და ეძგერებიან სამუშაოს. ოთხი ზომავს, ოთხი ხერხავს, ოთხი მორებს დაათრევს, ორიც კაუჭებით აგორებს. სამი საათი შეუსვენებლივ საქმიანობენ. ოფლში გაწურულები შევლენ ჯიხურში, დალევენ ჩიფირს, დაამატებენ „სიმპლექსს“, ისევ ეტაკებიან სამუშაოს და ასეთნაირად გრძელდება საღამოს რვა საათამდე. ოდიშელია ფეხმორთხმულია, როგორც ავტორიტეტი. არაფერი დაემალება. ერთადერთი მასღა შეუძლია ელექტროხერხის პირბასრი ჯაჭვის გაშანსვა ჩაით. დედის ჯაფა შორეულ ჩრდილოეთშიც სწყალობს.

ამ ბრიგადას როკი სულზე არ გაცვლის. ბიჭებიც ასე არიან. საჭმელს ერთი მზარეული აცოდვილებს. წინასწარ მიმაგრებულია მათთან. ზონის სასადილოს გამგესთან დილაადრიან მივა, გამოართმევს №3 ბრიგადის ულუფას: კარტოფილს, ხახვს, ტომატს, ხორცს, პურს; ჩაალაგებს ჩანთაში და ბირჟაზე გადმოვა. ჯიხურში ჩართულია მძლავრი ელექტროღუმელი — ზეკოვსკი. ჩაყრის ვედროში ხუთ ფიწალ თოვლს წყლის მაგივრად, დაადგამს ზედ, გათლის კარტოფილს, გაფცქვნის ხახვს, დაჭრის ხორცს, ჩაუშვებს ვედროში, დაამატებს ტომატს, პილპილ-მარილს და ილხინე სულო. შეექცევი მადიანად, მაგრამ სახელი არ იცი, სოუსია, სალიანკა, ჩიხირთმა თუ ბოზბაში. გა-

მაძღრიანდები ამ უსახელო ელურბელურით. წამიერ თვლემას მიეცემი და ისევ სამუშაო, ისევ იგივე მოძრაობები, ისევ იგივე ხმები და შეძახილები.

მზარეული თოვლით გარეცხავს ალუმინის ჯამებს და კოვზებს. თურმე როგორც ძიუმპეისთვისაა ნაბოძები ქვიშა ჯამ-ჭურჭელის გასასუფთავებლად, ასევეა ჩრდილოეთში თოვლი.

სწრაფად შეეთვისება აქაურობას როკი. გადავლენ ღამის ცვლაზე. ღამე ჰქვია თორემ ყველაფერი ქათქათებს. სად არის გაზეთი, თორემ თავისუფლად წაიკითხავს კაცი. არაფერი სჯობია ჩრდილოეთის ბროლისწვივება შებინდებას.

დამნაწილებელთა ბრიგადა ოთხია სტეპანცევის ზონაში. მათი სამუშაო მოედნები ერთმანეთის მიყოლებითაა ჩამწკრივებული, ჯიხურებიც შესაბამისად განუთავსებიათ.

ერთხელ მეზობელ ჯიხურში გადაიპატიჟებენ ოდიშელიას, რომელიც ათი მეტროთი მოშორებია მათ სადგომს. სუფრას გაშლილს დაახვედრებენ მასპინძლები. საკმაოდ დიდი ძაღლი უყიდიათ სალდათებისგან, შეუკმაზიათ კარტოფილით, ხახვით და პილპილ-მარილით. ისეთი გამაღიზიანებელი სუნი ტრიალებს, პირში ნერწყვი არ გიჩერდება. მაგიდაზე ოთხი ბოთლი ეთილის სპირტი დგას, სამედიცინოსგან ფრიად განსხვავებული. დალევის წესი თუ არ იცი, შეიძლება მოგკლას კიდეც. განასინჯი აქვს როკის, გადაჰკრავს ნახევარ ჩაის ჭიქას, ჩაიორთქლებს ჰაერს და რამდენიმე წამში პირში რაღაც აპკისმაგვარ სხეულს შეიგრძნობს. ენას კანი მოძვრომია. სირჩები რომ იციან ჩვენში, იმისმაგვარი იყო სწორედ. ვარდისფერი, წვეროსკენ წავიწროვებული. ჯერ წყალს თუ ჩაიგუბებ და მერე გადახუხავ, ამისთანებს გადაურჩები. კუჭი კი ისეთია ბუნებისგან ბოძებული, ჯადოსნური დოლაბებივით ფქვავს და ინელებს ნებისმიერ წურწუბალას, დაწურავს, დაანჯღრევს, რამდენიმე წამში ოფლად გამოადენს სხეულიდან.

ის-ის არის შეუდგებიან ჭამას. ჯერ სადღეგრძელოც არ უთქვამთ და მეოთხე ბრიგადის უფროსი სალიკა ბასტანოვი საუბარს ჩამოაგდებს შლანდორიკზე და კაზბეკაზე.

— შენ, პანტერა, მაგრად მიცემე ძმაკაცები, — სალიკა ბრიგადირი, მართალია, წითელ სამკლავურს არ კადრულობს, მაგრამ სტეპანცევის მარჯვენა ხელია, მისი შვილობილი და სამუშაოზე გამოუსვლელობის გამო ბევრი პატიმარი ჰყავს მინასიკვდილები. მეტრომდე მხარბეჭი და მორივით ჩასქელებული კისერი შემზარავ იერს ანიჭებს. საქონელს ტვირთავდა სადგურზე თურმე. მხრით შეუდგებოდა ოთხასკილოგრამიან ხარს, ასწევდა, მანქანის ძარაზე შეადგმევინებდა წინა ფეხებს, მერე მიაწვებოდა უკან და შუაგულამდე მიასრიალებდა.

ღონე დიახაც ერჩის სალიკას და ყარაჩაელის კვალობაზე ხომ ერთობ უდრეკელია.

ოდიშელია მყისვე იყნოსებს, რომ მისი გაქრობა განუზრახავთ. ესეც სტეპანცევის ექსპერიმენტის ნაწილია. ალბათ — თვითონ არ გჭრის ნაჯა-

ხით თავს, მაგრამ იმნაირ სიტუაციებში ჩაგაგდებს, ძნელია მშვიდობიანად ნაპირზე გაღწევა. გამადიდებელი შუშით აკვირდება შენს მოხერხებულობას, დაუძვრები თუ არა აშკარა სიკვდილს. გადარჩები? ესიამოვნება სადღაც, რადგან ახალი განსაცდელი ჩაუფიქრებია, უფრო შენიღბული, უფრო ორგანიზებული. გათამაშებს ასე, როგორც კატა თაგვს. გადარჩები? ბედი შენი, ალღოიანობას უმადლოდე. არადა, ჩამოგწერენ სამოცდაათ კაპიკად.

ადგილს კარის მოპირდაპირე მხარეს დაუთმობენ როკის, წაგრძელებული მაგიდის კუთხეში. ჯიხურები უფანჯროა. მორებისგან შეკრული. თხუთმეტ პატიმარს ბუშლატქვეშ ნაჯახები ამოუდვია სკამზე და საჭიროების შემთხვევაში ამ საცოდავ ძაღლივით დაგანაკუწებენ.

— ასეთნაირად არ უნდა გაგემეტებინა, სამუდამოდ დამისახიჩრე და დამიხეიბრე ძმაკაცები. ამგვარად ბოზებს ექცევიან.

— მართალი ხარ, — იღიმის როკი, — ისინი საცემი კი არა დასაბრედები იყვნენ, — ამბობს ამას, თან მარჯვენას დაბჯენილი მაგიდას გადაევლება, მეორე ხელით არყის მისაყოლებელი წყლით სავსე ბოთლს დასწვდება, ჩამოჰკრავს მაგიდის ძგიდეს და სალიკას ზურგს უკან მოქცეული გადაწეულ ნიკაპქვეშ მთელი ძალით მიაბჯენს ყელზე. იფეთქებს სისხლი.

— გადით ჯიხურიდან, ბოზებო! — ყვირის როკი. ბრიგადის ბიჭები ჰყავდეს გვერდით, იცხონებს ძაკა ბაბუას სულს, მაგრამ ისინი მორებს ეჯაჯგურებიან. ახლა მშველელი საკუთარი მოხერხებისა და გამჭრიახობის მეტი არავინაა.

— ბუშლატებს არ დახედოთ, ტვარებო! თორემ წავაცალე თავი და ეგ არის.

— გადით, გადით! — ხრიალებს სალიკა. პირში ლუკმაგაჩხერილები უკუსვლით მიიწევიან კარისკენ, პერანგისამარანი. გარეთ კი ორმოცდახუთ გრადუსიანი ყინვა ჭახჭახებს. ერთიანად დამფრთხალან და შეშინებულან მოულოდნელად შეტრიალებული ვითარებისგან.

წაკუზული ბასტანოვს კარამდე მიათრევს ოდიშელია, მსხვერპლი თვითონაც შეაშველებს აქა-იქ სანახევროდ წართმეულ მუხლებს, მერე მიწატკეპნილ აივანზე გამეტებით ჩასცემს ბოთლის ნამტვრევს თავში. კინკრიხოზე კათოლიკეს ქუდივით შერჩება ისლამის მიმდევარს ის ნამსხვრევი და გავარდება ბიჭებისკენ:

— რებიატა, ნა პომოშ! — ეძახის მშველელს როკი.

აჰა, ისინიც გამორბიან ამუშავებული ელექტროხერხებით. ეძგერებიან ძელურს, წამში მოიცელება სვეტები, აივანი. ცვილივით იჭრება კედლები და საღუმელე შეშად ცვივა მორები. რამდენიმე წუთში ჯარგვალი ხუხულასავით დაიშლება.

ყინვისგან გულხელდაკრეფილ მეოთხე ბრიგადის წევრებს დაერევიან მერმე, სადაც წაასწრებენ, დაუმტვრევენ წვივებს. მომდევნო დილით ოდიშელიას ისევ ბურში განაწესებენ.

ცა შემტრედისფრებულა. ახლა გარკვევით მოჩანს ხიდთან დაფაცურე-

ბული ადამიანები. ვერაფერს უხერხებენ დაშვებულ ბორბლებს. მოღრუბლულა გივი, გათარანებულია გენადი. ვალერიანიც ჯუჯღუნებს. უნდა რამენაირად გაეცალოს აქაურობას.

როკისა და ბოშა გოგონას დაშორიშორება დაუსკუპდა თვალწინ. რცხვენია ვაჟიშვილის შეხედვის, როგორ შეულახა მაშინ თავმოყვარეობა შეყვარებულის წინაშე. სად დაიკარგებოდა ნაპერწკალივით როკი?! მოიჭამდა გულს და მობრუნდებოდა. გაიგებს ახლა ორი ბოჩოლათი ზუგდიდში ჩამობრუნებული სატრფოს ამბავს და ხომ მოეშხამება გუნება?!

ოდიშელიას კვლავაც მისთვლემია საზურგეს მისვენებულს, ამიტომაც ჟენია რუსული ჟესმაგვარი თითებით აჩუმებს სამივეს.

— რა ხდება ვალერიან ძაკაევიჩ? — ეხუმრება მამას თავის აუწევლად ძე.

— რა და დასწყევლოს ღმერთმა, გავიჩხირეთ ორი საათია. სანამ მორებს არ ჩამოტვირთავენ, დანკრატი ვერ ასწევსო.

— გენადი, გავარდი შენებურად და უთხარი იმ უჯიგროებს, დაქოქონ აქეთა „კამაზი“, მიუყენონ უკუსვლით, გამოაბან ტროსზე და გამოათრიონ სანამ არ ამიფეთქებია.

— დაწყნარდი, ნანაგე!

— ცუდი სიზმარი ვნახე.

— სქან ჯგირობუაში,* ნანა!

— უბედურიშვილი დურუ ჰალიძონია მესიზმრა. სისხლი არ სდიოდა, მაგრამ ბუდეებიდან თვალებამოვარდნილი წაკვეთილი თავი კისერზე ვერაფრით მოერგო.

— ფუი, ეშმაკს! — თქვა ვალერიანმა.

— იყო ერთხელ ჩვენთან მისი ჯიმაყონერი. კვეკვე ერქვა თუ არ მეშლება. ჩიტა ბეზუხასთან შუამდგომლობას მთხოვდა შენი სახელით, მაგრამ მე ვისი საქმის გამრჩევი ვარ, ნანაგე!

— დახვრიტეს ბოლოს და ბოლოს? — ვალერიანმა სიგარეტს მოუკიდა.

— ააქოთა აქაურობა. სუფთა ჰაერზე მოწიე კაცო. საკუთარისგან იხრჩობა და ახლა შენც დაუმატე რამეფრად.

— ამ დედაკაცთან ნორმალურ სიკვდილსაც ვერ ეღირსები! ხეირიანად არ დაგალაპარაკებს შვილთან. — გაგულისებული ვალერიანი მანქანიდან ჩამოვიდა.

— დაიძინე, ნანა, დაიძინე. ახალი ლეიბები და საბნები შევკერე შენთვის, სულ ფუმფულა-ფუმფულა. საბატონიშ სისმარი, კაკალ გურსუ — ლისმარი!* — ჩაიჩურჩულა თავისთვის.

დურუ რამდენიმეა ოდიშში. ჰალიძონიაზე მოგვიანებით მოგითხრობთ, ახლა კი ბარემ ხორგავაზე მოგახსენებთ. როკის სიყმაწვილის ჟამს დამკვიდრდება ზუგდიდში გამოთქმა — თუ არ შემისრულებ, დურუ ხორგავა იყავიო. ამაზე მეტი სალანძღავი სიტყვა არც კი მოიპოვება სადადიანოში.

ჩინით ეფრეიტორი გახლავთ დურუ, მაგრამ მის დაჭერილ დამნაშავეს მილიციის უფროსიც ვერ გაათავისუფლებს, თავად კი აქვს ამისი გავლენა და ავტორიტეტი. განსაკუთრებით ომიანობის წლებში გაუვარდება სახელი. დეზერტირების რისხვად მოევლინება ოდიშს. ცოცხალი დარჩენილიყო, ვინ იცის, მის ხელში როკისაც რა ბედი ელოდა?! გამოუცდელს დაუყვავებს:

— გაიქეცი, ბაბაია, ოღონდ არსად წამოგცდეს მე რომ გიშვებ, — და ვინც დურუს გმირობებში გაურკვეველია, დაუჯერებს, ჯერ წაძუნძულდება, მერე მოკურცხლავს და ვიდრე მოსახვევამდე მიატანს, ხორგავას მაუზერისგან თავგახვრეტილი გდია მიწაზე.

— მიყვარს როცა ფართხალებს თავწაჭრილი ქათამი, ღორი, დამნაშავე! — იტყვის შეზარხოშებული, როცა ენა კბილებში არ უჩერდება. რამდენი ვინმე გამოუსალმებია წუთისოფლისთვის ცოლ-შვილის წინაშე. მტრებით დახუნძლული ღამეებს მილიციაში ათენებს. ოჯახში მელიასავით დაძვრება. ერთხელ ბაზარში შესულს ნათესავი სამართებელს გადაუსვამს კისერზე. ჩამოვარდნილ თავს ნიკაპით იმაგრებს დურუ ხორგავა, თან ამოშიშვლებული მაუზერიდან ორ ტყვიას მიაყოლებს გაქცეულს, მაგრამ — უშედეგოდ.

— ხედავ, დავბერებულვარ, ჩემი დროც მოსულა! — იტყვის და იქვე განუტევებს სულს.

სიმაღლით მეტრონახევარი იქნება, ჩაჯიკვინებული, კაუჭიანი ცხვირით, ვიწრო შუბლითა და წყავისხელა თვალებით. კოტიტა თითები სულ ფართე ქამარში გაუჩრია, რომელზეც მაუზერი ჰკიდია გახუნებული ბუდით.

ცრემლს არავინ დააწვეთებს ოდიშში დურუს. სასაფლაოზე წასასვენებლად ჭირისუფლები მანქანასაც ვერ იშოვიან და სენაკიდან ჩამოიყვანენ მძღოლს, მაგრამ შოფერი სიტუაციას შეხედავს თუ არა, ხელად იყნოსავს საქმე ვერ არის რიგზე და გამარჯვების ქუჩაზე შემოსული ისე გააქანებს მანქანას, კატაფალკა კი არა რაალის მონაწილე გეგონებათ. შვიდი ნათესავი ჩასჭიდებია ძარას. გამოჩნდება სენაკელი მძღოლის საბარგო და ბირჟაზე მოგროვილი ბიჭები იმნაირ ტაშს და გამაყრუებელ სტვენას დასცხებენ, უსამართლო პენალტის დამნიშნავ მსაჯს მუხლებს მოჰკვეთავს სტადიონზე. ჩააქვესკნელებენ ჭითაწყარის სასაფლაოზე, მაგრამ მტრები იმავე ღამეს ამოჩიჩქნიან მიწიდან, გადაბასრულ კისერს ყელის მხრიდანაც გამოსდებენ სამართებელს, განაცალკევებენ თავს და ტანს, მოაჭრიან ასოს, ჩასჩრიან ძალადდაკრეჭილ კბილებში და საკუთარი სამარხის დარაჯად სარზე წამოაგებენ საფლავის თავსასთუმალთან.

არავინ იცის რომელი დურუს პატივისცემის გამო შეარქვემენ ჰალიძონიები თავიანთ პატარას ამ ავადსახსენებელ სახელს, ხორგავასი თუ სხვათა, სინდის-ნამუსით მაინცდამაინც რომ ვერ ბრწყინავენ, ჰოდა, ფრიდონ ქარცხიაც დურუ ხორგავას დაპატიმრებულია. გვიხსენებია ზემორე, რომ კავშირში სამ ადგილას მოჰყავთ დანაშაული სისრულეში, თბილისის დაკეტილში, კიდევ — როსტოვსა და სვერდლოვსკში.

ფრიდონ ქარცხიას დასახვრეტად აქვს საქმე. მოსამართლეს გამოუტანია უკვე პრიმა მუხლი, მაგრამ საკნიდან ვეღარაფრით გაათრევენ. ვერც შიგ-

ნით შესვლას ბედავენ სპეცზედამხედველები. ეს იგივეა, რაც ბუნაგში შეუვარდე დაკოდილ დათვს. სარკმლის ცხაურებს ჩამოგლეჯენ მანქანასგამობმული გვარლით. ძალყინებითა და კაუჭებით წვდებიან მომწყდეულ მსხვერპლს. სახანძრო მანქანის შლანგს მიუშვირენ მერმე და აბურთავებენ კუთხიდან კუთხეში. დაჯიჯგნიან, დაანაფლეთებენ პატიმრების თვალწინ. ამისი მსგავსი სიმხეცე თავად სიკვდილმისჯილს არ ჩაუდენია. სამი კაცის მკვლელობა ბრალდება, რომელთაგან ორი ყალბია, საქმის ჩამოსაწერად შემოცურებული. ასეთი მეთოდებით პრემიებს ინაღდებენ, ხოლმე, თუმცა ქარცხიას ამაზრზენი დასჯის საბაბი აქვთ ციხის ზედამხედველებს. სიკვდილმისჯილის საკნიდან გამოყვანის წინ ქარცხია ექიმ შავიშვილს მოითხოვს.

— ერთადერთი ნორმალური ადამიანი ეგ გირევიათ, თუ მომგვრით, გავალ, არადა, მობრძანდით და გამათრიეთ აქედანო.

დავიდარაბას შავიშვილის მოყვანას ამჯობინებენ. ნორმალური ადამიანისა არაფერი სცხია, სიკვდილმისჯილს გაუსინჯავად ისტუმრებს სასულეთში. მოკლედ, გაიღება საკნის კარმუშკა, შემოჰყოფს სიფათს უსულგულო ხელმოწერებით ცნობილი ექიმი და ქარცხიაც, დღეების წინ ცხაურისთვის აძრობილი, მახათივით წამახულ რკინას გაუქანებს და თვალს კეფიდან გაახედვინებს. დიახ, ზედამხედველების სისასტიკეს შურისძიებისმაგვარი გრძნობა ასაზრდოებს, მაგრამ გაუგონარი სადიზმი ხუთიათას პატიმარს ჯაგარს აუშლის. ის ოთხი დღე როკიც ლეწავს საკნის ლოგინებს. ტუსაღები სამართლიანად მოითხოვენ რესპუბლიკის ხელმძღვანელობისგან ადამიანთა უფლებების დაცვას; მოითხოვენ საარსებო პირობების გაუმჯობესებას. იმ ოთხდღიან ბობოქრობას პოლიტიკური სუნი ასდის და მთავრობაც სწრაფად აუღებს ალღოს. ბევრი რამ შეიცვლება თბილისის დაკეტილში, უწინარესად უფროსობა განთავისუფლდება. სხვების მიმართაც განხორციელდება ადმინისტრაციული ღონისძიებები, გააუმჯობესებენ კვებას, სამედიცინო მომსახურებას, მაგრამ ძაღლის კუდის გასწორება სად თქმულა და რამდენიმე თვეში ყველაფერი ჩვეული კალაპოტით წარიმართება.

პეკეტელების კორპუსიდან გამოყვანილი, ტუჩებამონაკერი და ფეხებდანალურსმნი როკის თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში განამწესებენ. ნოდარ ქარდავას ძმა მიეშველება და რუსთავის პირველ ზონაში გადაიყვანენ საკუთარი წონის ფულის ფასად, იქიდან კი რუსეთში გადაისვრიან.

ქუთაისელი შიპლეტია, სენაკელი ვისო სანაია, ზესტაფონელი იურა ჩირკვილაძე და კიდევ ოცდახუთი შფოთისთავს თბილისის საგამომძიებლო იზოლატორში ჩაკეტავენ. მათ მიაყოლებენ სამასამდე ეჭვმიტანილით გაჭედილ ოც „ჩორნი ვორონას“. წავა ძიება. შიპლიტიას, იურას და ვისოს თხუთმეტ-თხუთმეტი წელს დაურიგებენ. ასობებში, იგივე პალასატებში გაგზავნიან რუსეთს, რადგანაც განსაკუთრებული რეჟიმი საქართველოში არ არსებობს. აჯანყებულ ოცდახუთ ტუსაღს ათი-თორმეტ წელს ჩამოუწიკწიკებენ, ხოლო დანარჩენ სამასეულს რესპუბლიკის სხვადასხვა ზონაში გადა-

ანაწილებენ. კვეკვესკირის თავი დამატებით ხუთი სევეპელის სიცოცხლეს შეიწირავს. თითქოს მოუსავლეთში, დარლასი არ იყოს, უხელქვეითოდ ვერ იბოგინებს.

როკის ძიება ვერაფერს უმტკიცებს, რადგან ამბოხების დროს ზონისგან იზოლირებულ ბურში ზის, იგივე პეკეტში — საკნისმაგვარ ტიპის შენობაში. სამხილი მასალა ვერ მოუხელთებიათ, მაგრამ ჯანყის ორგანიზატორის ვაკანტური ადგილი კვლავაც თავისუფალია და მოსვენება ეკარგებათ. ქუთაისელი შიპლიტია, ვისო სანაია და იურა ჩირკვილაძე ოდიშელიას ძმაკაცები გახლავან, ერთად ტეხენ პურს, მაგრამ უფროს-უმცროსობა თითებსაც ეტყობა და როცა ნეკათითი კოლონიას ლეწავს და კვეკვესკირის თავს აბურთავებს, რაღა გასაკვირია პასუხი ცერსაც მოთხოვონ?!

როკის სასამართლოზე არც გაიყვანენ, ისე, დაუსწრებლად შეუფარდებენ შვიდ წელს. ზუგდიდური პროცესი მეორდება, როდესაც კაცისმკვლელი ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ ტარებით უმძიმებენ დანაშაულს. პირდაფჩენილი ღლავების ამოსავსები ფული ვალერიანს არ აღმოაჩნდება. პროკურორი თავგადაკლული მოითხოვს „მაკაროვის“ პატრონის ვინაობის ამოთქმევინებას. კედლისთვის ცერცვის შეყრა მობეზრდება ბრალდებულს და ოდიშელიაც პროტესტის ნიშნად წელსზევით გაშიშვლდება, ზურგს შეაქცევს ოდიშურ სამართალს და კანონიერების დარაჯებს ასეთნაირად მიახლის:

— ზანგებს ამნაირად ასამართლებენ თეთრკანიანები!

შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯიან მაშინ, ახლა კი, მოახლოებული აზატობის წკიპზე, იგივე ბორბალი დაუტრიალდება. ასხელება უსამართლობას ებრძვის ასფად გათოკილი. არ აღიარებს ამბოხებაში მონაწილეობას, თორემ თავი ცამდე მართალი მიაჩნია უფლის და სინდისის წინაშე.

რესპუბლიკური საავადმყოფოს გიჟების განყოფილებაში გამომძიებელი სცდის როკისთვის ჩვენების ჩამორთმევას. ოდიშელია ერთ წერტილს მიშტერებული უსმენს დასაკითხად წვეულ კაპიტანს, მერე წამოუვლის მოულოდნელმა აშლილობა, გადამსხვრეული ბოთლით მაჯას გადაიფატრავს ძიებისთვის განკუთვნილ პატარა ოთახში, საღი მარცხენათი ქეჩოში ჩააფრინდება ერთიანად ფერწასულ გრუზათმიან კაპიტანს და სახეზე შადრევანივით მიუშვერს სისხლს.

— დალიე მამი, კარგად გაძეხი. შენ ხომ დიდი ხანია სწოვ დედაჩემს სისხლს, ესეც იმ აუზიდანაა, — აბრიალებს თვალებს ოდიშელია.

მორთავს ბღავილს გამომძიებელი. მოვარდება რეჟიმის უფროსი ბართაია.

— პანტერა, მეცი პატივი, გაუშვი! — ეხვეწება მამისტოლა კაცი.

— ნე?! მამაჩემის გამასპინძლებას მიკრძალავთ?! ნახევარი ჭიქა გინდ იქით იყოს და გინდ აქეთ, დაათრობს თუ რა?! — არაადამიანურად ხარხარებს როკი, მაგრამ ბართაიას დიდი ხათრის გამო გამომძიებლის ქეჩოს შეეშვება, — წა-

დი, მამილო, — ეუბნება მხარზე სისხლაჩქაფუნებული მაჯის ტყაპუნით, — ამიერიდან ალიმენტი არ გამომიგზავნო, მე ავლიპას შვილი ვარ უკვე, გესმის? კომბოსტოში მიპოვა.

იმის შემდეგ კვეკვესკირის გამო არავის გაჰკარებია. დაუსწრებლად ძიებული საქმის ბრალდება წარუყენებენ.

ტუჩებსა და ტერფებზე კი მოუშუშდება იარა ოდიშელიას, მაგრამ ახლა მაჯა გაუჭირვეულდება.

როკის პალატაში ზოლებიანი ხალათის მაძიებელი კიდევ სამი პატიმარი წევს — დურუ ჰალიძონია, გოგია ახალციხელი და შაურა შარვაშიძე. ელოდებიან ვის რა განაჩენს გამოუტანს კომისია, ზოგს — სიმულიანტობას, ზოგს — აქტიროვკას.*

ორ დღეში ერთხელ უსათუოდ უჟმური წამოუვლის როკის და მაშინ ყველაფერს პირწმინდად დალეწავს. აშლილობის პერიოდში უაზრო ფრაზებს ისვრის. ვთქვათ, მაგალითისთვის, ასეთებს: ,,კარგად აურიეთ კვეკვესკირის თავები, ვარით გამოსულია, დუბეში'', ან ,,მომაშორე ფეხი, ვირთხავ, ნალისთვის კუზმას მიაკითხე!'' ან კიდევ ,,ნუ იცინი ჩაფლა ლეღვივით, თამარა, ადამიანი შებრუნებული ზღარბივითაა''.

დაწყნარდება ორმოციოდე წუთის შემდეგ და ჩვეულებრივად გააგრძელებს წიგნის კითხვას, ან მასლაათს, თითქოს არაფერი მომხდარა. იმ ფრაზებს მერე გულდასმით იკვლევენ საავადმყოფოში მოწვეული ფსიქიატრები ასათიანის ქუჩიდან. გამოიძიებენ ვინ არის კუზმა, თამარა. კვეკვესკირს რა ამოცნობა უნდა. ამის შესახებ პირზე ლეგენდები აკერია მთელს რესპუბლიკას, მაგრამ ილონას ბიძისა და ზუგდიდის ბაზრის გიჟის თაობაზე ცოტამ თუ იცის, და ვიდრე საკითხს ზუსტი პასუხი არ დაეძებნება, არაფრისდიდებით მოეშვებიან. როკის უკვე მყარად გადაუწყვიტია ზოლებიანი ხალათის ჩაცმა, თუკი სასჯელს გაუხანგრძლივებენ.

მომდევნო კვირის თავზე, ამჯერად სხვა დროს ისევ იფეთქებს, გნებავთ, უმნიშვნელო დეტალი რომ არის თითქოს — წითელი სამკლავურის გამოჩენა. კვლავ მიაპარტახებს იქაურობას, დამშვიდდება როდის-როდის. ეს მეთოდი ღირსეულიც არის და უფრო ჭრის ფსიქიატრებთან, რადგანაც ბობოქრობებისა და გიჟობების თვალთვალის საშუალება მათ არ აქვთ. როკის წამოსროლილი ფრაზები, იმდენად ჭკვიანურადაა გათვლილი, იმდენად ალოგიკური, პარადოქსული გახლავთ პალატას ყურმიდებული პერსონალისთვის, შიზოფრენიის ნიშნები თვალშისაცემია, ხოლო რაც შეეხება კომისიის წევრებთან გამოსაუბრებას, აქ ოდიშელია, პირიქით, უკადრისობს შეკითხვებს რაიმე ფსიქოპათურ გამოვლინებაზე, ხარივით ჯანმრთელად წარმოსახავს საკუთარ თავს ობჩელი საბახტარაშვილის მიმსგავსებით — არც გენეტიკით მოსდგამს თურმე პათოლოგიური გადახრები, არც უძილობას უჩივის და აღარც — უმადობას. გარდახდომილი ამბავი კი, როგორც წესი, იოტისო-

დენადაც არ ახსოვს. ამიტომაც მიიჩნევდნენ ფსიქიატრები მსგავს პიროვნებას ყველაზე სახიფათოდ, ვინაიდან არვინ იცოდა, როდის, რანაირ ვითარებაში, ვისთან წამოუვლის იჭიკიები, როგორც ჟენია იტყოდა ხოლმე როკის ანცობებზე პატარაობისას და შესაძლოა ნაკუწ-ნაკუწ აქციოს ადამიანი, ისე რომ პასუხსაც ვერ მოსთხოვ, რადგანაც სამართალი თუ იგი მეცნიერებაზეა დაფუძნებული, აფექტში მყოფ ამისთანა ინდივიდუუმებს ვერ დასჯის.

საავადმყოფოს პალატაში, როგორც აღვნიშნეთ, როკისთან ერთად კიდევ სამი კაცისმკვლელი პატიმარი უცდის კომისიას — გოლიათი გოგია ახალციხელი, მკერდამდე რომ სცემს წვერი, შაურა შარვაშიძე, კავკასიელებივით მუდამ თავგადაპარსული, მოხდენილი იერის ახალგაზრდა კაცი, და დურუ ჰალიძონია — ხუთიოდე გოჯით დაბალი ახალციხელზე, მაგრამ რომ დასჭირდეს, თავად ჰერაკლესაც კი თოკივით დაგრეხს.

წულუკიძის მეოთხე ზონაში ყოფნის შემდეგ დურუს უფრო და უფრო გაურთულდება მდგომარეობა. სულ გაქცევისკენ უჭირავს თვალი, ათასნაირ გეგმას აწყობს და უკვე არდაშელის წაუხმარებლად წლებზე წლებს იმატებს. ამას ზედ დაერთვება ერთ-ერთი გაქცევის მცდელობისას ზედამხედველის კედელზე მიხეთქება, რომელსაც თავი კვახივით გაუსკდება და სული ადგილზევე განუტევებს. ცხოვრებას ისიც გაუსასტიკებს დურუს, რომ დრანდის ციხეში აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრს შემოვლა აქვს, იხილავს წვერებიან ჰალიძონიას თუ არა ზედამხედველობას დაავალებს თხასავით გაეპარსონ. ამის გამო დურუმ შვიდი მეტრიდან ოსტატურად მიაფურთხებს მინისტრს მკერდზე, უმაღლესგანათლების ნიშნის გვერდით და კინაღამ გინესის წიგნში გაუკვდავდება.

მაშინ დაექადნება მინისტრი:

— ახლა ყაზანში გაგგზავნი და თუ იქიდანაც წვერებიანი დაბრუნდები, არ დაგხვრეტო.

თბილისის დაკეტილში ჩამოვაკებულ დურუს წვერი კოჭებამდე სცემს. მერე ივაგლახებს ზონიდან ზონაში. დრანდაში ჩამოხსნილი რკინის კარები დიდებით მოსავს, მაგრამ შემოაკვდება ზედამხედველი და საპატიმროდან გაღწევის ყველა იმედს წერტილი დაესმება. მის ჭირად აშბაც დედაქალაქში გადმოუყვანიათ. ახალწლის ღამეა. ჩვეულებისამებრ იწყებს შემოვლას, ბოლოს დურუ ჰალიძონიას მონახულებასაც მოიგუნებს. საკნის კარი ღია დაუხვდება. ყველა პატიმარი ადგილზეა ჰალიძონიას გამოკლებით. დურუ არყების ჩამოსარიგებლადაა გასული. უკანმობრუნებული ხედავს, აშბას მისი საკნელებისთვის პურ-მარილი წაურთმევია, ზოგი ზედამხედველი ბოცებს მოათრევს, ზოგიც — შემწვარ-მოხრაკულს, სხვას მოციცქნული ნაძვის ხე ამოუიღლიავებია. გახევდებიან ფარაონები. წინ წყალია, უკან — მეწყერი, ჰოდა, დათირავს დურუმაც მოალაფე ამალას თუ არა, დააძრობს ღილაკიან დანას და მიაბრძანებს უკან უფროს-უმცროსს.

— აფხაზეთში გამიშრე სისხლი და ახლა ქართშიც არ მაყენებ? —

ამბობს და კედელთან მიჯღვლებილ აშბას სათითაოდ ააჭრის ღილებს, სამხრეებს. გენერალს შარვალი რომ არ ჩასძვრეს ხელით დასაკავებელი გაუხდება. ამ ამბავს წაეწყობა გაქცევის მცდელობა და ზედამხედველის კედელზე მიხეთქება. მაგრამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში დურუ კაცის შემოკვდომამდე მოხვდება. ყველანაირად ცდილობს აშბას კლანჭებისგან დაღწევას. თავს იგიჟიანებს. სხეულს იჩეხავს. ჩამოიჭრის სამართლებლით მუჭით სავსე ხორცს, ითქრიალებს სისხლი, დაიყრის მარილს დაბეტონებულ მაგიდაზე მდგარი ჯამიდან. ერთხელ საკნის კარს თავითაც დაეჯახება და შუაზე გადაიფლითავს, როცა კარმუშკასთან ატუზული აშბა უწმაწურად აგინებს. იმდენს მაინც მოახერხებს კატასთან ერთად რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანონ. ადრე ყორანი ჰყავდა საკანში დურუს, საკვირველად გაწრთვნილი. ვირთხები რომ იმრავლებს კატასაც მაშინ მოიშინაურებს და სწორედ ის ციბა სათაგვეთის მუსრის გავლების შემდეგ ყორანსაც მოუღებს ბოლოს. ეშმაკურად მოიქცევა. პურის ნატეხს ჩამოაგდებს თაროდან. ცხაურზე შემომჯდარი ყორანი ცდუნდება, დაეტაკება სატყუარას და ბედიც იმწამს უმტყუნებს, ხელად ბდღვირს გაადენენ. ბევრს იდარდებს დურუ, მაგრამ რას გააწყობდს. შერჩება კატა, ნებიერი, გამუდმებით ულვაშების და თათების მლოკველი. აი, ამ კატათი დაახსომდება როკის მთელს საქართველოში მანიაკის თუ ჯალათის სახელდაგდებული დურუ ჰალიძონია. სინამდვილეში იგი ერთი ტლუ ვინმეა, სადაც შეუძლია, ცალკე საკანში ამჯობინებს ყოფნას, რადგანაც ქურდებთან კონტაქტში შესვლას გაურბის. ახლა კი, აგერ, რესპუბლიკურ საავადმყოფოში გამოსაკვლევად მიყვანილი საერთო წესს დაქვემდებარებია, ანდა სადაა ამდენი საკანი, თითოეულ ტუსაღის განმარტოებული საცხოვრისი მიართვან?!

ერთ-ერთი მოგიჟიანების შემდეგ, ჩაკირული აღნაგობის დურუ მიუახლოვდება როკის და მორიდებით ჰკითხავს:

— საუბრისთვის გცალია?

— შენთვის ყოველთვის, — ეტყვის ოდიშელია და ლოგინზე ჩაიჩოჩებს.

— ჩემი საქმე ცუდად მიდის, პანტერა. ვთქვა, არ მეშინია სიკვდილისმეთქი, სულელი ვიქნები, მაგრამ როგორც ვგრძნობ, ეს გარდაუვალია. ჩვენი ხიტრობების ყველაფერი იციან იმათ. გიჟობები ათი წლის წინ რომ დამეწყო, სხვა ამბავია, მაგრამ ახლა, ამ სიბერეში, თავის დაძვრენის მიზნით ათას ღონისძიებას მიმართავს ადამიანი თურმე, და ათასივე ფუჭია. ისმენდეს უფალი, სიკვდილის იმდენად არ მეშინია, რამდენადაც ორი ჯავრისა, თან რომ ჩავიტან სამუდამოდ. რაღაცა რომ გთხოვო, შემისრულებ?

— მითხარი, წინასწარ როგორ შეგპირდე?!

— ზუგდიდელი რომ ხარ, ერგეტელი, აქამდეც ვიცოდი შენი უფროსი ძმისგან. ერთად ვტეხდით პურს წულუკიძის მეოთხე ზონაში, მაგრამ შამგონელი რომ ყოფილხარ ბაბუით, ამასწინათ შევიტყვე ჩიტა ბუზუხასგან. იქ, ჩემს სოფელში ერთი უნამუსო კაცი ცხოვრობს, რომელმაც ამ დღეში ჩამაგდო. არდაშელ ჰალიძონიაა მისი სახელი და გვარი. რძალი არ დაინდო სინდისგა-

რეცხილმა, თუმცა ის ბოზანდარაც მაგის ჯიშისა იყო. კაცს არ უნდა გაგიწყდეს შუბლის ძარღვი. მოკლედ, სწორედ მასთან შეხლა-შემოხლას გადავყევი მგონია. დარწმუნებული ვარ გაიხარებს ჩემი სიკვდილით, ვინაიდან მისი ავხორცობის მომკითხავი არავინ დარჩება ქვეყანაზე.

სამარიდან დაგლოცავ, ერთს შენებურად თუ დალეწავ. შესაძლოა ამის გამო მდგომარეობა გაგირთულდეს კიდეც, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს ბოლოს და ბოლოს სამართალი?!

და კიდევ მეორეც, უმცროსი ჯიმაყონერი მყავს სატანჯოში. ერგეტიდან იქამდე ათიოდე კილომეტრია. ბევრის მოყოლით არ შეგაწყენ. ეს ის ბიჭია ჭკუა რომ დაარიგე გივის თხოვნით ექვსი წლის წინ. გეხსომება, ბიძაშვილის სიყვარულს ვუკრძალავდი, თუმცა ისინი მხოლოდ საბუთით იყენენ ნათესავები. ეტყობა ტვინში სისხლი ჩაექცა, ავარიაში მოჰყვა და ამას იქით მისი ასავალ-დასავლისა ვერაფერი შემიტყვია. ცოცხალი თუ ნახო, გადაეცი, ეგ ერთადერთი მიყვარს დედამიწის ზურგზე. მხრებზე შემოჯენილი ბევრი მირბენინებია ბავშვობაში, სულში ჩასასმელი ბაღანა იყო, და ვინიცობაა, გარდაცვლილია, შენისთანა ოქრო გულის კაცს, პანტერა, მის საფლავზე ყვავილების მიტანა არ გაუჭირდება. — თქვა ეს და შემოსძახეს კარმუშკიდან:

— სიმულიანტები კომისიაზე!

ყველანი აქტიროვკას ელიან, განსაკუთრებით დურუ ჰალიძონია. ახლა სულით ავადმყოფობა თუ დაუდასტურეს, დახვრეტას გადაურჩება. როდონაიამ ტომრებით ჩამოიტანა ფული და როგორც ამბობენ დურუს არაფერს გაუჭირვებენ. ასევე პატრონობენ გოგია ახალციხელს და შაურა შარვაშიძეს, მაგრამ ძაკას აგურები ვის რად უნდა, თავში ხომ არ იხლიან და არის ოდიშელია ბედის ანაბარად მიტოვებული.

კომისიის თეთრხალათიანი წევრები მაგიდას მისხდომიან. ოთხივე პაციენტს ერთდროულად შემოიყვანენ უშველებელ ოთახში. კუთხეებში ადამიანის ჩონჩხები დგანან. კედელზე ჩამოკიდებულია პლაკატები და ტაბულები ანატომიაზე, ბიოლოგიაზე. კომისიის შემადგენლობიდან ყველაზე ტიტულიანი ზურაბაშვილის მოადგილე კაკაშვილია, მაგრამ შვიდკაციანი ექსპერტის თავმჯდომარე მერი ივანოვნაა, სანდომიანი სახის, სწორი ნაკვთების, მეტისური წარმოშობის ჭაღარაშერეული ქერათმიანი ქალბატონი. ყველა ტომარა მასთან იკეცება.

ბადრაგი ფეხდაფეხ მოჰყვება სიმულიანტებს, როგორც დაუფარავად ეძახის ზედამხედველობა ოთხეულს. გოგია ახალციხელი, შაურა შარვაშიძე და როკი კედელთან მიდგმულ სკამმერხზე ჩამოსხდებიან, სპორტულებში გამოწკეპილი დურუ ჰალიძონია კი ტაატით მიემართება კომისიის წევრებისკენ. როცა მერი ივანოვნას კალთაში ოქრო აჩხრიალდება, იქ აქტიროვკა განაღდებულია, მაგრამ დურუ ჰალიძონია სხვის იმედზე ვერ იქნება, მან უზუსტესად უნდა გაითამაშოს თავისი როლი ბოლომდე. მიაბიჯებს და თან მარცხენა ხელით მკერდზემიხუტებულ კატას მარჯვენათი ეფერება.

— ეს არის ჰალიძონია? — ეკითხება ბადრაგს მერი ივანოვნა და თვითვე პასუხობს, — გიჟს რა უგავს? თავადივით ბიჭი ყოფილა.

ოცდაათგრადუსიანი კუთხით მოსჩანს როკისთვის საგამომცდელო მაგიდა და მასთან შეჩერებული დურუ.

ჰალიძონიას კომისიის შუაგულში მოკალათებული ქალბატონის მხარს ზემოთ ერთი წერტილისთვის გაუშტერებია მზერა. პლაკატზე დატყვევებული გული ჰკიდია იქ. თან ნებიერად ეალერსება მოკრუტუნე კატას. ქალი მიხედავს პაციენტის მზერის მიმართულებას, შემოტრიალდება კვლავ, სათვალეებს ზემოდან მისცივებია გამოსაცდელს და ლინზებიანი ჩარჩოც მისდაუნებურად მაღლა-მაღლა მიიწევს შუბლისკენ, ვინაიდან გარკვევით ამჩნევს მარჯვენა ხელი როგორ მოუჭირა პატიმარმა ცხოველს თავში. კი დაიკნავლა ყორნის შეფერილობის ციბამ, მაგრამ ვინ არის გამგონე?! მარცხენა და მარჯვენა ხელებს შუა ხაზალიების გარმონივით იწელება ფისუნიას მოქნილი სხეული. თავი წააწყდება ჩხავილით. სისხლი ითქრიალებს. ესეც არაფერი, ამასაც გაუძლებს კომისიის წევრების, გამოსაცდელებისა თუ ბადრაგის გულები, მაგრამ სახეზე ხელაფარებული ქალი დაბრილიანტებულ თითებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანიდან გარკვევით ამჩნევს როგორ მიიტანს პირთან დურუ კატის გაგლეჯილი ტანს, რანაირად მოკბეჩს ერთხელ, მეორედ, მესამედ, მერე ღომს მიტანებული ყველივით რაფერ მოციცქნავს შუშასავით თვალებგაცივებულ ციცას თავს. პირი სისხლით და ბალნით ამოგლესვია. ამას ზედ ერთვის ჰალიძონიას გაბადრული იერით გაღიმილება, რადგანაც ხინჯად ჩარჩენილი ყორნის ჯავრი ამოყრილია ბოლოს და ბოლოს. გული უღონდება მერი ივანოვნას, თუმცა უკეთეს დღეში არც დამსწრე საზოგადოებაა.

— მომაშორეთ ეს გიჟი! — ახლაც უწივის ყურში როკის მერი ივანოვნას სასოწარკვეთილი კივილი.

ამაზრზენი ეს სცენა სამუდამოდ დაუკარგავს სურვილს ოდიშელიას ითამაშოს როლი, რომელიც მისთვის უცხოა, არაბუნებრივი, თან დურუს აქტიორულ მონაცემებთან შედარებით ნაკლებადეფექტური. მერმე სტალინსკით ჩრდილოეთისკენ შვიდი წლით გამწესებულს გზაში წამოეწევა უბედურიშვილი ჰალიძონიას დაბრედვის ამბავი.

კი დაუდასტურებენ შიზოფრენიას დურუს, მაგრამ ეშბას არაფერი ეშველება, ისევ თბილისის დაკეტილში მიაბრუნებენ. ამას მოჰყვება გაქცევის მცდელობისას ზედამხედველის კვახივით კედელს მიხეთქება და გამოამწყდევენ კიდეც საგანგებოდ მისთვის მომზადებულ საკანში.

ორი თვის შემდეგ დაუსწრებლად მიუსჯიან დახვრეტას. მთელი ეს პერიოდი მშრალ ულუფაზე ამყოფებენ. ყოველგვარი გრევს მოუსპობს ეშბა. დაასუსტებენ ფიზიკურად. აბანოში არ დაჰყავთ. დააჩაჩანაკებენ. მკბენარებისგან შეწუხებული მართლაც გიჟივით იქექავს სხეულს.

ერთხელ გამოუღებენ კარმუშკა და ეუბნებიან:

— ჰალიძონია, გამოჰყავი ხელები, აბანოში უნდა წაგიყვანოთ.

ძნელი სათქმელია ცდუნდება თუ არა ამ საკენკით დურუ, მაგრამ მაჯები რომ გამოიშვერს კარმუშკიდან უეჭველი ფაქტია. მაშინ ერთის ნაცვლად ორ ხელბორკილს დაადებენ. მერე გააღებენ საკნის კარს და როდესაც სიკვდილმისჯილი დერეფანში გამოვა, კედელსაკრული, სპეცზედამხედველობის ტანბრგე ბიჭები დასცხებენ ურროებს თავში, სახეზე. ამბობენ, ორივე თვალი ამოუხტუნდა ბუდიდანო, მკერდამდე ჩამოკიდებია მუხლებზე დავარდნილს, აქვე სულ ამას იხვეწება თურმე, დროზე გამათავეთო.

„კამაზის“ ხმაურმა იმატა. მძიმედ ჩაიარა როკის თვალწინ მორებით დატვირთულმა მანქანამ, რომელიც ძლივძლივობით მოათრევდა გვარლით გამობმულ საბურავებდაშვებულ მეორეს.

გივის არ დასჭირვებია „ოცდაოთხის“ დაქოქვის შეხსენება. უკვე გაბარჩხალებული დილის წიაღში, ნისლშეთხელებული ენგურს ზემორე შეუფერხებლად მისრიალებდა შავი „ვოლგა“ და მისი ამალა სრული შემადგენლობით.

ᲚᲘᲛᲐ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ

ᲪᲝᲢᲜᲔ

461538

ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეაო, უთქვამთ ბრიტებს და ეს ჭეშმარიტება სრული მნიშვნელობით სწორედ ახლა, ამდენი ჭირთათმენის შემდეგ, შეიტკბო როკი ოდიშელიამ.

ფავილების ათასფერადი ჩირაღდნებით შემოეგება მშობლიური ზუგდიდქალაქი. ბალღური გაოცებით ეკითხებოდა უფროს ძმას, მამას, დედას ჭადრების ხეივნის სახეცვლილებებზე. ხუხულები დატოვა სიჭაბუკის ჟამს და მისთვის უკულმართ თოთხმეტ წელიწადში წარმოუდგენლად შეცვლილიყო ფელაფერი: დავიწყების ქარს წარეხვეტა ტრიფოლიატას ოკრობოკრო ძირები. მათ ნაცვლად მარადმწვანე ლუგუსტუმები ჩაეყარათ, კოხტად გაკრეჭილი და ხასხასა.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სიუხვემ ენითუთქმელი სიამაყით აღავსო.

თვალისმიმტაცებელი გაზონები და ბულვარები ხელებგაშლილნი გამორბოდნენ ოდიშურ დროს ჩამორჩენილი როკის მეხსიერების შესავსებად, გამორბოდნენ ვარდისფერფარდებიანი ფანჯრები, გამორბოდნენ აივნები, სადარბაზოები, თითქოს სადღაც უნდა წარეტაცათ, მისთვის სრულიად უცხო სინამდვილისკენ.

ხარბად ისრუტავდა ოდიშელიას სული ამ დაუჯერებელ ცვლილებებს. უკვე მერამდენედ გარშემოუვლიდნენ ჭადრების ხეივანს. სტალინის ძეგლის პოსტა-

მენტი კვლავაც გაბეზრებული მოლოდინით უცდიდა პატრონს, და სახლიკაცის არყოფნით ესარგებლათ მაცარქალა*სარეველა მცენარეებს — აფშუტუნებულიყვნენ ნაცარქექიასავით ბაყბაყდევის მხრებზე.

ახარებდა ტროლეიბუსების სრიალი პარალელურ, პრიალა სპილენძის მავთულებზე. ჯერ კიდევ უამრავი გულისგასახარი სიახლე ელოდა ოდიშელიას ღრუბელივით ტევად ცნობისმოყვარეობას.

ზოგ მეგობარს ეზოში შეეყვანა მანქანა, მაგრამ იქ რომ ვერ დატეულიყვნენ, ჭიშკართან მიჯგროვდნენ.

მეზობლებს, ნათესავებს თადარიგი დაეჭირათ ,,საუკუნით გადაკარგული შვილის'' პატივსაცემად.

დავაჟკაცებულ ხეებს წარმოსახვით გულში იკრავდა შუათანა მემკვიდრე. ნიკაპს უთრთოლებდა ღვიძლი ეზო-კარის ყოველი გამორჩეული მოულოდნელობა. ახალი კიბე მიედგათ, მარმარილოსავით პრიალა. კარ-ფანჯრები გამოეცვალა ვალერიანს. მოებათქაშებინა გარეთა კედლები. შვილის ჩამოსვლის მოლოდინს, როგორც ჩანს, თავისი გაეტანა და ბოლოს და ბოლოს ხელი გამოეღო.

როკის ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ ძმები, თმაჭაღარა მამა.

სამზადში გუგუნებდა ვეება ბუხარი. ნალიის გვერდით სამფეხზე ქვაბით ღომი იხარშებოდა, რომელსაც შეშის ცეცხლის ნაცვლად გაზის ალმურები შენთებოდა. ხაჭაპურებს და გოჭ-ინდაურებს მეზობლები ბრაწავდნენ თავთავიანთ კერიასთან.

აბიბინებულ ვენახში ოჯახის სიმძლავრე სრულფასოვნად შეიგრძნო. სიგარეტს მიტანებულ ძმებს და მამას ხელებს გადახვევდა მხრებზე მადლობის ნიშნად, ეს წლები უსაქმურად რომ არ მსხდარან. ძე ცთომილის თავისდახრა სრულებით არ სჭირდებოდა მის იერს. როკის ხომ წამითაც არ გადაუხვევია მშობლის დარიგებისთვის?! როგორც ვალერიანი ასწავლიდა და აკვალიანებდა, ისე გალია მთელი სიჭაბუკე. მუშტით იცავდა საკუთარ ღირსებას, მაგრამ დრომ აგრძნობინა ოდიშელიას, რომ უკვე სხვანაირი ქმედებები იყო საჭირო, კუნთებით ვერ გაასწორებდა კუზიან ქვეყანას, საქმის ელვისებური გადაწყვეტისას მეტი მოქნილობა უკეთესად წაადგებოდა.

როკიმ მკლავი გამოსდო მამას და ძმებს აგრძნობინა, ცოტა ხანს მშობელთან დამტოვეთო. ფეხი არ აუთრევიათ ღვიძლებს, სტუმრებში გაერივნენ.

— ძაკაევიჩ, მივხვდი რუხის ციხესთან სიგარეტს სიგარეტზე რატომ ეწეოდი. სანერვიულო არაფერი გაქვს. შენს ადგილას, ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი. ვინ იცის, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება ბოშათა ბანაკს რომ ავდევნებოდი?! ქალი ბევრი მინახავს, მაგრამ წარუშლელი მხოლოდ ეგ სახე დარჩა ჩემში. ჩვენ კაცები ვართ და ტკივილებს ვაჟკაცურად უნდა გავუმკლავდეთ. მისი ხომ არაფერი გსმენია?!

— ეჰ, შვილო, როკი, ორმა რამემ მომინელა.

პირველი ის არის, რომ მე, სამიწე, ბაბუაშენს დაუმშვიდობებლად გავ-

ცილდი. ისე მოკვდა ერთხელ არ მინახულებია. ის კი არა თქვენც არ გიშვებდით ერგეტაში. დღე და ღამ აივნიდან გვიმზერდა ამოშრეტილი თვალებით და იმნაირად ამოხდა სული, საალერსო სიტყვა არ ვაღირსე. მაპატიებს უფალი ამისთანა ცოდვას?!

მერე — შენი და ილონას ამბავი. ციგანი სარძლოდ ვიუკადრისე. დაბრუნდებოდით ადრე იქნებოდა თუ გვიან, არც ამდენს გაწამდებოდი, შვილო, ჩემო! ახლა ის გოგო სხვისია, ორ ბიჭუნას ზრდის და ბოშათა დასახლებაში ცხოვრობს საკონსერვოსთან.

ილონას გათხოვების ცნობამ როკის გული შეუკუმშა, მაგრამ მამის წინაშე არაფერი დაიტყო. დედა კი იჯდა აივანზე და ფხიზელი თვალით აკონტროლებდა ოჯახში დასაქმებულ ადამიანებს. ალერსიანი მზერა პოულობდა შუათანა ვაჟიშვილს, და სხვა ნეტარება არსებობს ქალისთვის, როემლსაც სამივე პირმშო თავზე დასდგომია?! თვითონ ჯანდაბას, გასამკეცებით იშრომებდა კვლავაც, ოღონდაც ეს მთლიანობა აწი მაინც ნუ დაირღვეოდა.

ჟენიას დაუფასდა ამაგი, ჩაის პლანტაციაში შეუსვენებელი გარჯის საფასურად მაცხოვრის კარის სიახლოვეს სამოსახლო მიწის ნაკვეთი გამოუყვეს. გაიჭირვებდნენ ცოტას და სახლსაც აუშენებდა მემკვიდრეს. ზალაში კი ოდიშელიას ძმაკაცები ნარდს აჟღარუნებდნენ, საუბრობდნენ მთისას და ბარისას. როკის განახლებულ ცხოვრებას მალე შეიგუებდა ზუგდიდ-ქალაქი. დღეს კი ეზიემებოდათ ოდიშელიებს. ყველაფერი ამ სიხარულს მოეცვა: ქათმების კრიახია ეს თუ მამლების გადაყივლებანი, ბოჩოლების კუნტრუში მოლით გადახასხასებულ ეზოში, თითის წვერებზე შემდგარი გადაფითქინებული ხეები...

სტუმრები თუ მასპინძლები უკვე საზეიმო ტრაპეზს მისხდომოდნენ. კიდევ ორიოდე დღეს ქალაქის საზოგადოებაში არ გაერეოდა როკი, ვინემ ბუერებში გამოვლილ კოშმარებს ერთიანად არ გამოიბერტყავდა სხეულიდან. დედა ბევრს იზრუნებდა შვილის გამოსაკაჟებლად, ფუმფულა ლოგინში აწვენდა. კარცერების და იზოლატორების სალაფავით დამძიმებული კუჭი ნელ-ნელა შეეთვისებოდა ცხარე შეჭამადებს. ამ ორი დღე-ღამის მანძილზე მრავალი ნაცნობი და მეგობარი მოაკითხავდა როკის, მაგრამ, ძინავს, შვილებოო, იტყოდა ჟენია და შეუვალი არგუმენტით მიიწევდა აგუგუნებული ბუხრის სიახლოვეს გაშლილ სუფრასთან.

მიულოცავდნენ შვილის დაბრუნებას, ბედნიერებას და სიკეთეს უსურვებდნენ როკის. არ შეჰყვებოდნენ ქეიფს.

გამოვივლით ზეგ, მაზეგო, ამ სიტყვებით დაემშვიდობებოდნენ გულღია მასპინძლებს.

სამეგრელოს თვალ-მარგალიტი თურმანიძეების ასულის ფოტოსაც შეაპარებდა მშობელი ილონაზე ფიქრით გასენილს და ეს დაუსწრებელი გაცნობა სრულიად საკმარისი აღმოჩნდებოდა ნახევარ წელიწადში საქორწილოდ დაეწკაპა ხელები ოჯახს.

როკი დაიწყებდა ქალაქში სიარულს, მაგრამ მისი თაობის ბიჭები გაკრეფილიყვნენ.

ბირჟის მცნება სამუდამოდ ჩასამარებულიყო მეხსიერების ძვალთშესალაგებში, ასე რომ, ვერასდროს აღიდგენდა ოდინდელ ძალმოსილებას.

ოდიშელია უფროსი მეგობრების საფლავებსაც მოინახულებდა მაცხოვრის კარზე, ჭითაწყართან, ინგირსა თუ ოთუთუმეს ტერიტორიაზე. ჭიქა ღვინოს წაუქცევდა მარმარილოებზე გახუნებულ სახეებს.

მივიწყებული დიდება ისევ იკრებდა ძალას, ისევ მის გარშემო ირაზმებოდა ოდიში თავმომწონე ახალგაზრდობა.

წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები არაფერს დაიშურებდნენ როკის სამოსხლოს გასამართავად. ზოგი იქაურობას რკინის ჭიშკარს უსახსოვრებდა, ზოგი საშენ მასალას მოაყრიდა, სხვები — საიატაკე ფიცრებს თუ ალუმინის ფურცლებს სახურავისთვის.

ვალერიანის ამხანაგები გვარიანად გაირჯებოდნენ და დაეწყობოდა ბლოკი ბლოკს. ქორწილის წუთებისთვის ამ ორსართულიან შენობას მარმარილოს კიბეებიც კი დაამშვენებდა, თუმცა ჯერ კიდევ დაუსრულებელი სასახლე ვერ შეიტკბობდა გადმოტრიალებული თეფშის თურმანიძეების ასულის ქუსლების დამსხვრევას.

პატიმრობიდან დაბრუნებულ როკის დახვედრილი თაობა სულ სხვა გაგების მოეჩვენა, განსაკუთრებით — ქალიშვილები. დღევანდელობას თოთხმეტი წლით დაშორებული მისი სიჭაბუკე გარიყულივით ჩანდა დროის მდინარებისგან.

წინათ, შეძლებული ოჯახის თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ასული ქალაქში გამოსულ ბიჭს, მითუმეტეს ნაჯდომს, გნებავთ ქურდს, ცოლად თუ გაჰყვებოდა, ატყდებოდა წივილ-კივილი. მეზობლები და ნათესავები მილოცვის მაგივრად მიუსამძიმრებდნენ ,,ჭირის უფლებს''. ზოგი ,,ტრაურსაც'' გამოფენდა გლოვის ნიშნად. მათი შვილიშვილები უკვე ფეხბურთს დასდევდნენ, დამდურებულნი კი კვლავაც არაფრისდიდები ელეოდნენ შავსატინს, კიდეებჩამორღვეულს, გახუნებულს, პოეტის სიტყვებით, ძლეული ლაშქრის დროშასავით უსაგნურს.

გავლენიანი ხალხის ასულებს აცვენილი ბიჭები უზრუნველი ცხოვრებისათვის იტაცებდნენ ხოლმე, და თუ ტკბილი წუთები მოისყიდიდნენ ქალიშვილის გულს, ამისთანა შემთხვევაში მშობლები არაფერს დაერიდებოდნენ, დაბადების მოწმობას გადაუკეთებდნენ, გაარასრულწლოვანებდნენ და რადგანაც ასეთ დროს ბოლო სიტყვა გოგოს დედ-მამას ეკუთვნოდა, არასასურველ სიძეს შვიდ წელიწადს მიაკერებდნენ; თუმცა ასულის მოთოკვასაც არაფერი ეშველებოდა, ვეღარაფერი მოიყვანდა მშობლების ჭკუაზე და თაფლობის თვიდან გამოტაცებულს, სანახევროდ ნირვანის ბურუსში შეცურებულს, თოკითაც ვერ დაბამდნენ შინ.

რას არ შეჰპირდებოდნენ, უნივერსიტეტში მოწყობას, საარაკო საქმროს და წელმაგარ ოჯახს, ოქრო-ბრილიანტს, თუმცა ამაოდ, ფანჯრიდან გადაიპა-

რებოდა და სანამ გულს არ იჯერებდა შეწყვეტილი თაფლობის თვის დაგვირგვინებით, გადაიკარგებოდა უმისამართოდ. სად არ უნახავთ მერმე ნაცნობებს, ლენინგრადში, მოსკოვში, ტაშკენტსა თუ ბაქოში. ბოლოს თაფლი კოწახურად რომ გადაიქცეოდა, შინ მობრუნდებოდა ჯინსის კაბის პაწუკა ჯიბეში სიგარეტგაჩხერილი, ისიც ,,დატენილებით''. ადრე დედილოს რომ ეძახდა დედას, ,,ჟუჩკად'' მონათლა, მამას პაპუჩით რომ ეფერებოდა,,,სიმონად'' და ,,ვასიად'' აქცია. კი ირტყამდნენ მშობლები თავში ხელს, მაგრამ რაღა დროსი იყო, წავიდა ანკარა ქალიშვილობის მატარებელი.

დიახ, სხვა გაგების ახალგაზრდობა დახვდა როკის. ადრე ღირსებას თვალისჩინივით რომ უფრთხილდებოდა ქალწულეთის ოთხმოცდაათი პროცენტი, სწავლა-განათლების მანიაკურმა მოდამ, ტრადიციებით გარკვეულწილად მობოჭილი ქალიშვილები მიყოლებით გააფეხმსუბუქა და საქმე იქამდე მივიდა, თავმოყვარე ბიჭებს სკოლის ჭიშკრიდან მიჰყავდათ ცხოვრების თანამგზავრებად ფორმიანი და ბაბთიანი ასულები.

უცოლო ოდიშელიას მართლაც ავაზისებური ნახტომი მართებდა, თოთხმეტი წლის უნებლიე ხრამი უმტკივნეულოდ გადაელახა, მაგრამ ყველაფერი მანერებით, ჩაცმულობით იწყება და მთავრდება, და უჩვეულო რაა საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე გოგონები თუ სტუდენტი ქალიშვილები მასზე საუბრით აღამებდნენ და ათენებდნენ?!

— როკის ილონა ჰყვარებია, — წამოიწყებდნენ საუბარს ერთნი, — რა შანსი გაუშვია ხელიდან იმ ციგანკას?

— აბა? — კვერს უკრავდნენ მეორენი, — ვერ დაუცადა, სულელმა ასეთ ანგელოზს თოთხმეტი წელიწადი?! ღირსებითაა სავსე. გინახავთ ჯერ ქუჩაში მოკლესახელოებიანი პერანგით გამოსული?! პაპანაქება ზაფხულში, როცა პლაჟზე გამოშლილივით სეირნობს ბულვარზე ჩვენი ახალგაზრდობა, თეთრ კოსტუმში გამოწკეპილი აუჩქარებელი ნაბიჯებით გამოჩნდება ტროტუარზე და მერე ადექი და გული ნუ აგიძგერდება. ფულიანების მეტი რაა ზუგდიში, მაგრამ სადღაა გემოვნება?! დაცერცეტებენ, ჭრელაჭრულათი იმოსებიან თათრებივით, როკი კი ნაღდი დენდია, არისტოკრატიზმი სისხლში გასჯდომია კალატოზის შვილს.

— ჩიქოვანების გვარის ნამდვილად არ არის, მაგრამ, რამდენადაც გამოგონია უფროსებისაგან, პირველი ოდიშელია ლევან დადიანის მწიგნობართუხუცესი ყოფილა, არქანჯელო ლამბერტის მოწაფე, — გააგრძელებდნენ სხვები, — შეულამაზებლად რომ აღწერდა სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებას, იმიტომაც გააძევეს თურმე მთავრის კარიდან. იქიდან მოყოლებული სულ დევნაშია მათი საგვარეულო. მაინც ქედუხრელად დგანან.

— დადიას კარზე ოდიშარიებიც მსახურობდნენ, — შემოაგდებდა საკამათო თემას ვინმე ინტრიგანი, — საინტერესოა, ხომ არ ენათესავებოდნენ ერთმანეთს?!

— სად ჯოღორია და სად — როკი, — ხმას ამოიღებდნენ აქამდე გაჩუმებულნი, — ჯოღორია ხალხის სისხლს წოვდა, ხოლო როკი უტეხი წინაპრები-

ვით ადამიანების ქომაგობის გამო თოთხმეტი წელიწადი ციხე-ციხე დაეხეტებოდა. მაინც ჩვიდმეტი წლის ბიჭივითაა. ცხვირჩამოშვებულს ვერ ნახავ. მისი სიტყვა-პასუხი ყოველთვის იუმორითაა შეზავებული. მართალია, ოხუნჯობებში მთლად პეტიკო თოდუას ვერ დაეტოლება, მაგრამ ეგ უკანასკნელი პროფესიონალი იუმორისტია, ხოლო როკის ხუმრობა გაძაღლებული ცხოვრების ასამსუბუქებლად სჭირდება.

— ამ ბოლო დროს პირველ საშუალო სკოლაში სიარულს მოუხშირა, — ბანზე აუგდებდა სიტყვას რომელიმე, — თურმანიძეების ასულის ხათრით რვაცხრა გოგონას ჩაისვამს მანქანაში და ბოტანიკური ბაღისკენ გაქროლდებიან. მარინასავით ყველაფრით შემკული ქალიშვილი დღევანდელი ზუგდიდის სინამდვილეში იშვიათობაა, მაგრამ არც როკია მდარე საჩუქარი. რა ჯადო აქვს ისეთი, დიდთან ბრძენია და პატარასთან — გულუბრყვილო.

— ო, მარინა მართლაც ოდიშის მშვენებაა, ლერწამივი ტანაშოლტილი, ბოშა ქალის მომაჯადოებელი იერით. დიდია ასაკობრივი სხვაობა, მაგრამ ვინც ბიჭუშკებს გაჰყვა ცოლად, ცხოვრებისეული სიამტკბილობა ვერავინ იგემა. სად ქალებში გამოცდილი მამაკაცი და სად — ტუჩებზე რძეშეუმშრალი ყვინჩილა?!

— იმასაც ამბობენ, ახლაც უყვარსო ილონა, მაგრამ მარინს სინორჩეს როგორ დაეტოლება ორი შვილის დედა? თურმანიძეები სამედიცინოზე შესაყვანად ამზადებენ თურმე თავიანთ ქალიშვილს. საგვარეულო წამლებს ერთადერთ ასულს უმტკიცებდა ნიკოლოზი, მეცნიერების დიდ გზაზე უნდა დაეყენებინა, მაგრამ უეცრად გარდაიცვალა და ახლა დედის ანაბარა დარჩენილს გათხოვების მეტი რა დარჩენია?! ესეც რომ არა, როკიმაც უკლო რესტორანებში სიარულს, თავქარიანი ქალებით გული მოიყირჭა და ალბათ, ამ შემოდგომას ცოლის თხოვას არ გადააცილებს.

— მშობლებიც აუჯუჯღუნდნენ თურმე, განსაკუთრებით კაფანდარა ქენიას არაფერი შველის.

მოვხუცდი, სამი მამაკაცის მოვლა აღარ შემიძლიაო, წიწმატობს დილიდან საღამომდე. თურმანიძეებთან უნახავთ ამასწინათ თამარა ყუფანიასთან ერთად. ჩაის კრეფის გამოცდილების გასაზიარებლად არ მიადგებოდნენ კარზე გასათხოვარი ქალიშვილის ოჯახს, — ჭორიკანობდნენ ბედისმაძიებელი ოდიშელი ასულები და ნოემბრის მიწურულს მოჰკრეს თუ არა ყური: როკი და მარინა ლენინგრადში გაფრენილან საქორწილო მოგზაურობაშიო, ათასმა გოგონამ ერთბაშად ამოიოხრა და ათასი აუხდენელი ოცნება მალემქროლ ნიავქარს სამუდამოდ გაჰყვა დავიწყების ბნელხვეულებისაკენ.

დეკემბრის შუა რიცხვებამდე ნევისპირა ქალაქის სასტუმპრო „ასტორიაში“ ნებივრობდა ოდიშელი წყვილი. სამი კვირის მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ დაათვალიერეს საქვეყნოდ სახელგანთქმული ერმიტაჟის ღირსშესანიშნაობანი, ხოლო ქრისტეშობისთვის უკვე სოხუმში ჩამოფრენილებს აძიუბჟელმა ძუძუმტეებმა უმასპინძლეს ორ-სამ დღეს.

ამასობაში როკის მეგობრებს, თეიმურაზ დარასელსა და უჩა ხეციას ბიჭებისთვის ტაშკენტიდან ჩამოტნეევინებინათ ბუნების ყველა საჩუქარი, რაც დაზამთრებულ საქართველოში არ იშოვებოდა.

სოფელ ერგეტიდან ჯიმადმა გერონტი ქირიამ დისწულს ხუთი წლის ხარი გამოუგზავნა ქორწილის წინადღეს საჩუქრად, მაგრამ მანქანიდან ვერავით ჩამოიყვანა ნესტოებდაბერილი, მძლავრქედიანი ის ნახევრადტყიური არსება. თვალების ბრდღვიალი და ჩლიქების იატაკზე ცემით უშველებელ ,,კოლხიდას'' ნავივით მიმოფერდავდა.

ღია ჭიშკარში უკუსვლით შეიყვანეს მანქანა. ძარა გადმოხსნეს, ჯოხებით შეუჩიჩხინეს ველური რქებიდან თოკახსნილ პირუტყვს და აიძულეს ეზოში ჩატორტმანებულიყო. ბავშვები მეორე სართულის აივანზე აიკრიფნენ. ქალები პირველი სართულის ფანჯრებიდან იჭვრიტებოდნენ. გულფოლად კაცებსაც კი ფეხი ვერ წაედგა მისკენ. კვერცხი რომ დაგეგოთ ზურგზე არ გადმოგორდებოდა. მკრდი მუხლებამდე სცემდა. თავის მობრუნებისას ხაზალიების გარმონივით ეკეცებოდა ტყავი. საჯიშე აღკაზმულობა მის ნესვისფერ სხეულს რაღაც უხსოვრობისდროინდელ, წარმართულ სიზვიადეს ანიჭებდა. ილორის საზვარაკო ხარი ამასთან შედარებით მოზვერად მოგეჩვენებოდათ.

— დავრჩით მშივრები და ეგ არის, — იხუმრა პეტიკო თოდუამ, — ამას თოფით თუ წააქცევ თორემ დანით ვინ მიბედავს?!ამოგკრავს იმ უშველებელ რქებს და ეგრევე მანცხვარკარისკენ გაგაქანებს.

— იქნებ უროები დაგვეცხო?! — თქვა სახელგანთქმული ყასაბის შვილმა ჯემალ აბულაძემ.

— პროფესორობას მოეშვი, — დაუცაცხანა ძმაკაცს როკიმ, — შენ ბატონი შოთა მომგვარე აქ და იმან უკეთესად იცის უროს დარტყმა სჯობია თუ მუშტისა.

მოაგრიალეს მანქანით შოთა აბულაძე, ტანდაბალი ჭარმაგი, მაგრამ საზვარაკო ბუღასავით ჩასხმულ-ჩაჯიკვინებული.

შემოაბიჯა ეზოში ყასაბმა და გაუსწორა თუ არა მზერა ოთხფეხს, ხარი უმალ მოთვინიერდა.მარცხენა ხელი თავზე გადაუსვა თვალსა და ხელს შუა მოლმობიერებულ პირუტყვს, ხოლო მარჯვენათი ელვისებურად დაჰკრა გოროზ ქედზე შავტარიანი, პრიალა დანა და წამში მიწაზე დააგდო.

მეზობლები სეფის გადახურვას ამთავრებდნენ მტკაველულვაშიანი მახარბეგის ხელმძღვანელობით. ამისთანა საქმეებში შეუდარებელი იყო ეროვნებით ალანი ოდიშელი. ზუგდიდელ კაცს მისი ანტენებით ხელისგულზე გაეშალა მთელი მსიფლიოს ავ-კარგი. ჩხოუშიას პირას გამართული ცირკის შენობაც მახარბეგის ხელმა მორკალა, თუმცა ის უკვე დავიწყების მტვერს მიესილა აქაური მაცხოვრებლებისთვის და ახლა დიხამინჯიას ლაბირინთებს დაეპყრო არლეკინოთა ოდინელი ტერიტორია.

რვაას კაცს დაიტევდა სეფა, ისე რომ მოპატიჟებულ სტუმრებს სუფრაზე იდაყვის ჩამოყრდნობა არ გაძნელებოდა.

შუაში დაბოგეს სცენა მუსიკოსებისათვის და ახალგაზრდათათვის საცეკვაოდ.

ნეფე-დედოფლისათვის გაკუთვნილ ადგილას ვეება საახალწლო ხე აღმართეს, რომელიც მალე აბრჭყვიალდებოდა ათასი ფერითა და ციაგით. ოთხი შესასვლელი ჰქონდა სეფას. სათამადო დასავლეთ ალაგას ნეკისისხო ჯაჭვი ეშვებოდა ლარტყებიდან, სადაც სახვალიოდ ანაკლიელი მეთევზის, ფილიპე სტაროვერის დაჭერილი ორმეტრიანი ზუთხი ჩამოეკიდებოდა ვერცხლშინაცურები სხეულით.

ბოლო არ უჩანდა მოზღვავებულ სტუმრებს. ჩამოსულიყვნენ როკის ნაცადი ძმაკაცები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, როსტოვიდან, ოდესიდან, თბილისიდან თუ ქუთაისიდან. თავისუფლებაში მყოფი ასთასსები ოდიშელლიებთან იზეიმებდნენ ახალი წლის მობრძანებას. პომპეზური ეთქმოდა პატარძლისთვის მორთმეულ საჩუქრებს — ნუტრიას ქურქებს და სიასამურის ჯუბაჩებს, ძვირფასი თვლებით მოოჭვილ გულქანებს, მრავალკარატიანი ბრილიანტის ბეჭდებს თუ ჯადოქრის ხელით ნაოსტატარ დაღესტნური ვერცხლის სამაჯურებს. ისედაც აურაცხელ განძს ხვალ და ზეგ ოდიშური ენის ქავილი გაათასკეცებდა კაეშნიანი ოხვრით.

სტუმრების მიგებებაში ვერავინ ეცილებოდა ზუგდიდის კოლორიტულ პიროვნებებს, როკის სულის თანაზიარ ძმებს: გოჩა ჩიქოვანს, ფერდინანდ ქღერიას, ჯემალ გულუას და გოგი ყოლბაიას.

თითქოს ჩრდილოელ სტუმრებს თან მოჰყვათო თავიანთი არე-მიდამოს განუმეორებელი ზამთრის ზანზალაკები, საღამოს ათი საათისთვის ნანატრი თოვლის ფანტელები დაუშვა ზეცამ. ოციოდე წუთში უსიფრიფანესი ქიტონით შეიბურა სადადიანოს შემოგარენი. მხოლოდ ოდიშელიების ეზოში ვერ მოიკიდა ფეხი მიღმეთიდან გამოგზავნილმა საახალწლო ნობათმა, ხეები, ღობეები უმალ შემოსა საპატარძლო კაბით. აი გამალებული მიმოსვლებით ატალახებულ ეზოს კი ვერაფერი მოუხერხა.

როკის ძმები სუფრის მომსახურე ორმოც გოგო-ბიჭს დამოძღვრავდნენ, სამფეხზე ათუხთუხებულ ქვაბებსაც შეასწრებდნენ მზერას და სტუმრებისთვის ხელის მოკრძალებით ჩამოსართმევადაც რჩებოდათ დრო.

გახშირებით ყიოდნენ მამლები. საათის ისრები გამალებით მიისწრაფვოდნენ ძველი და ახალი წლის გზასაყარისკენ.

მექორწილენი უკვე მისხდომოდნენ ტრაპეზს. სადაც არის თორმეტი საათიც ჩამოჰკრავდა ზარებს. სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოყვანილი დამკვრელები ერთმანეთს უთანხმდებოდნენ სარგებლობის ქრონომეტრაჟს, და სანამ ბოლომდე გადაწყვეტდნენ თავიანთ პრობლემებს, მუსიკოსების დიალოგით ისარგებლა ოჯახის უფროსმა, რამდენიმე წუთით დაეპატრონა მხიარულების დავის საგანს.

— ძვირფასო, სტუმრებო, — გაუბზარავი ხმით ჩასძახა მიკროფონს ვალერიანმა, — ძვირფასო ნათესავებო და მეგობრებო, ნება მიბოძეთ ჩემი ოჯახის

სახელით მადლობა მოგახსენოთ იმ დიდი ყურადღებისათვის, რაც ახალი წლის დამდეგს ჩვენთან მობრძანებით გამოხატეთ. სიკეთე და ბედნიერება თქვენს ჭერს და ფუძეს, თქვენს ჯიშს და ჯილაგს. იმედია, ახალგაზრდები ქარს არ გაატანენ ესოდენ დაფასებას და ახლა, ვიდრე ახალი წელი არ გაგვქცევია , ჩვენი საქორწილო სუფრის ხელმძღვანელად მინდა წარმოგიდგინოთ როკის ნათლია, ოდიშის საამაყო შვილი, ოთარ პალადის ძე ოდიშელია. მივულოცოთ მეგობრებო! — თქვა და იგრიალა ტაშმაც.

ქორწილი დიდა თუ პატარა, შინაარსით ტყუპისცალივით ჰგვანან ერთმანეთს მთელს საქართველოში, ეთნოგრაფიული შორეთიდან მოყოლებული, ოდიშელიების ზეიმით დამთავრებული. მეტნაკლებობა დასაშვებია მასპინძელთა შესაძლებლობებისა და ფანტაზიის კვალობაზე, მაგრამ როდესაც ჯვრისწერა ნათესაურ და ახალმეგობრულ საზღვრებს გასცდება, სრულიად ქალაქის ლხინად იქცევა, ამით ყველაფერია ნათქვამი და ჩვენც ჩაწვრილმანების ანკესზე ნუ წამოვეგებით; მითუფრო, როდესაც თამადის ომახიანი ხმა სეფაზე გადაჭიმული ბრეზენტის კალთებს ატკაცუნებდა, როცა ახოვანი ტოლუმბაში, ,,ამსერ ჩქინი მოჭყუდუს, მუშ სისქვამე გოჭყუდუნსია'',8 ამოაელვარებდა სტრიქონებს ხალხური საუნჯიდან, ხოლო მხიარული სუფრა ფეხზე წამოუდგებოდა თოვლეთიდან შემობრძანებულ სიძე-პატარძალს. ამასობაში საათის მოუღლელი ისრები წამით შეეტყუპდებოდნენ ერთმანეთს ციფერბლატის ჩრდილოეთ პოლუსზე და ოდიშის აფანტელებულ ცას ზათქით და ბათქით შეუერთდებოდა სადადიანო სრული. კუდიანი ვარსკვლავებივით გადასერავდნენ თვალსაწიერს იასამნისფერი მაშხალები. ხოლო ვალერიანის თვალების დაბრიალებამდე მექორწილენი იმდენჯერ დაცლიდნენ ,,ნაგანებს'' და ,,ტეტეებს'', გამქირავებელი პუნქტის უფროსი თოთი ესაბუა არაფრისდიდებით ჩაიბარებდა საცერივით დაცხრილულ ბრეზენტს, თუმცა ამაღამდელ მხიარულებას ორი ფაქტი განსაკუთრებულ ელვარებას მიანიჭებდა:

პირველი დაუპატიჟებელი სტუმრების ზინზილაკებიანი ეტლებით, გიტარების ჟღრიალითა და ბოშა ილონას ცეცხლოვანი ასულებით მოჯირითება გახლდათ. არ დასჭირდებოდათ იმათ დამკვრელებთან მოლაპარაკება მიკროფონის მოსახელთებლად, ვინაიდან აწეული ხმიანობითა და ლაჟვარდი სინარნარით სულ სხვა კალაპოტით წააქანებდნენ მუსიკოსების დაგეგმილ კონცერტს, პირიდან გამოაცლიდნენ ლუკმას და აქსაკამათო არაფერი იყო, რადგან მექორწილენი ესტრადის გამაყრუებელ ჯაგაჯუგს ბოშათა მცხუნვარე ცეკვა-სიმღერებს ამჯობინებდნენ, სანამ ნასმურევ თავებში გონიერების ნატამალი ქარქატებდა.

სამჯერ გამოიწვია ილონამ საცეკვოდ როკი და სამჯერვე საწადელი გაუცუდდა. არ შეუმჩნევია წყენა ლამპიონების ჩახჩახში გაუფერულებული მისი მწვანე თვალების კაშკაშს. მიუდგომელი აღმოჩნდა ოდიშელიას ნაპირი ილონას სურვილების აბორგებული ოჩხომელისთვის. ხოლო წუთშესვენების ჟამს, იმ აურაცხელი დეპეშიდან ორის საჯაროდ წაკითხვა აუცილებლად ჩათვალა

ენამჭევრმა თამადამ, რომელთაც ათასობით კილომეტრი გადმოელახათ, ვიდრე საქორწილო თავყრილობამდე მოაღწევდნენ, ათასი ხევ-ხუვი ჩამოეტოვებინათ ზურგს უკან, ათასი გრძედი და განედი, დროის მდინარებისთვისაც კი გამოესწროთ ზოგან და ბედნიერების მოლოცვის უმარტივესი ტექსტით მოფრენილიყვნენ ვლადიმირის დაკეტილიდან ვასია ბრილიანტისა და გივი კნიაზის ხელმოწერებით თუ მოსკოვის იუჟნი პორტიდან ვასია ზატოჩნიკისა და ვალერკა გლატკოვის მობოდიშებული შეხმიანებით, და რაჟამ ჩრდილოეთის გულაგი თუ მექა ოდიშელიების პურობის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ, ბახუსმაც მალემსრბოლ მერნებს მოზიდული სათავეები მიუშვა.

ასე და ამგვარად, ახალმა წელმა გათოშილი ხელები მიუფიცხა აგუგუნებულ ბუხარს და ერთი ოჯახიც უშურველად შეუდგა ოკრობოკრო აღმართს წუთისოფლის გზაზე. მაგრამ ოდიშელიების ჭიშკართან საქმიან შეხვედრათა წყებათაწყებას ძველებურად დასასრული არ უჩანდა.

ყოფილა შემთხვევა, ათი, თხუთმეტი მანქანა ერთდროულა მოსდგომია კარზე როკის, სხვადასხვა სიშორიდან, სხვადასხვა სათხოვარით. ვის უსამართლოდ დაპატიმრებული მეუღლის გამონთავისუფლება ეწადა კანონის გულქვა აღმსრულებლების კლანჭებისაგან, ვინ წართმეულ მანქანის თუ შეწერილი თანხის გამოხსნას ლამობდა პანტერას ავტორიტეტთ, ზოგი მოტაცებული შვილის გამოსასყიდი ფულის მიტევების გამო მოსულიყო, სხვები ღმერთმა უწყის, რისთვის და რისთვის. დღეები კი კამათელებივით ტრიალებდნენ.

ახლა ყველანი ხოთოს სატირალისკენ დავიძრათ.

ზუგდიდელ ქირურგებს თავიანთი ნიჭი და უნარი არ დაუშურებიათ შეურაცხადის გამოსაჯანმრთელებლად, მაგრამ ჭრილობამ ხურჯინიან გიჟს ერთბაშად გამოაცალა გამორჩეული დაუდგრომლობა. როცა ქუჩაში გამოჩნდებოდა ხოლმე და მისი სიბერისჟამამდელი ფათერაკის უცოდინარი ვინმე ,,დრრრ, ხოთო, ტინტილაო'',* შესძახებდა, ადრინდელივით როდი გადაირეოდა, არც დუჟი მოერეოდა და აღარც ქუჩის მტვერში დაიწყებდა გორაობა-კოტრიალს. სინანულით გახედავდა გამომჯავრებელს და მოღვენთილი, უნიათო ნაბიჯებით გაეშურებოდა ბაზრის შესასვლელისკენ.

— ხოთო მოჭკვიანებულა, ხოთო დაბრძენებულა, — ქირქილებდნენ ოდიშელები. გაქანებული გიჟის გონებადაუნჯებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ლამის დაუჯერებელი გარდასახვით ყველას აოცებდა. აქამდე ბობოქარი ხოთო გამოწმენდილი ხარივით გაუწყინარდა და ნიშანდობლივი ისიც არის, რომ ბაზრის გაცხოველებულ ჩქაფანში, საზამთროებისაგან აღმართულ გორაკის მახლობლად ყუთზე ჩამომჯდარი, მაწანწალა ძაღლების ალერსში სრულიად უჩუმრად მიიცვალა. ბაზრის დამლაგებელს ცოცხის ტარი რომ არ ეძგერებინა და არ გადაყირავებულიყო, მთელი ღამე უპატრონო ქოფაკების გარემოცვაში მოუწევდა ყურყუტი, მაგრამ უთვისტომოდ აღსრულებული ხოთო მთელმა სადადიანომ დიდი პატივით გააცილა სამუდამო გზაზე; და როდესაც დაკრძალვის დღეს, ხელჯოხებით შეიარაღებული ჯოჯო, სპირდო და ჭოღო მორყეულ ჭიშ-

კართან სამთა თათბირზე ბჭობდნენ, თუმცა დასაფრენი მაწანწალები აღარსად ჩანდნენ და ნაძვის ტოტებით დამშვენებულ ფანჩატურს ქალაქის ხელისუფლებაც ესტუმრა გვარიანი ამალით, მთლად ვარსკვლავები ჩამოწვიტა ციდან მისმა უბედურმა ცოლმა, თანაც სულ ერთსა და იმავეს დაქვითქვითებდა:

— რას გაჩუმებულხარ, წიე, ქიდიბურჯე სქანობრათ, თოლეფი გაგვირინე!8 ვერ ხედავ ძმაკაცები გესტუმრნენო, — დაატირა და ხალხით გავსებულ ეზოსაც სიცილის მსუბუქმა სიომ გადაუქროლა.

— როკი ოდიშელიაა, როკი ოდიშელიაა, — აჩურჩულდნენ ქალები ჩვენი გმირის გამოჩენაზე, — ცოლიც შესაფერისი შეურთავს, — ჩუმათობდნენ დედაკაცები.

— ციხიდანაც არ მოკლებია ზუგდიდის ქორწილს თუ ქელეხს, — ამბობდნენ ასაკმოყრილი ოდიშელები სიგარეტის ფუტებით, — ვინ მიუსამძიმრა დრანდიდან გვანჯი ჩიქვანის ოჯახს, ან იქნებ კაკა ჟვანიას ჯალაბის დანუგეშება ვერ მოახერხა ლაითურიდან?! როკი — როკია. ჯოჯოხეთშიც რომ დაამწყდიო, იქაც იპოვის გამოსავალს. გამონთავისუფლებული რომ არ ყოფილიყო, ლობიოთი და მჟავეთი დაგვძმარავდნენ შენგელიები, მაგრამ არაფერი შეინანა ხოთოსთვის, თევზეული და ქიშმიშიანი ბრინჯი მოაყრევინა ჭირის სუფრისათვის. საწყალი ხოთო მობუზული არ ჩააშვებინა მიწაში შვილებს.

უკვე გამოსათხოვარი წუთიც დადგა. წაიკითხეს თითო-ოროლა დეპეშა და პროცესიაც დაადგა სასფლაოს გზას, საუბარი კი კვლავაც როკი ოდიშელიაზე გრძელდებოდა.

— საქმის გამკეთებელი არავინ დარჩა მისი მოხერხების, — სიტყვა ჩამოართვა იმ ორს სხვამ, — ფულს მისი ხრიკებით შოულობდნენ ბიჭები, მაგრამ როკი წილს არავისგან იღებდა, ავხორცის დასჯა ეხალისებოდა უბრალოდ. ჩემი ყურით მაქვს გაგონილი მისი უახლოესი მეგობრებისაგან. ერთი სენაკელი კომბინატორი, ვინმე დავითაია, ქუთაისში წაეყვანათ მის ძმაკაცებს რაღაც სარფიანი საქმისათვის. ის კაცი მთელი კვირით მივლინებაში გააგზავნეს თურმე, გაუჭირდებოდათ თუ რა?! ჰოდა, უკანმობრუნებულებმა საპურმარილოდ „წარსულის ღიმილი“ შეარჩიეს ხობში, რადგანაც ფაცხები ტერიტორიის სიღრმეშია მიმალული და სროლის თუ სხვა დავიდარაბის შემთხვევაში, ნაკლებად სახიფათო ადგილს წარმოადგენდა. დასხდნენ პურის საჭმელად სამნი, თანაც ერთერთი შემწერთაგანი მთელის ამბით აცნობს დახლიდარს და ოფიციანტებს კომბინატორის წარმომალობას. წარმატებულად წარმოაჩენის მის კაცურკაცობას, ხელგაშლილობას, გამოგონილი ღირსებით მარკას უწევს დამსწრე საზოგადოებაში, აქვე წარამარა უხსენებს გაჩუმებული მეორეს მიმალვაში ყოფნას. ამისი საჭიროება ფინალში გამოჩნდება. შუა ქეიფში არიან და ასეთ დროს მათივე თანაგუნდელი შემოდის მთვრალის იერით. გადაეხვევა გადამგდებლებს, ხოლო კომბინატორზე უშვერ სიტყვებს ამოუშვებს.

ამ კრახთან როგორ სხედხართო და მოწოდებულ ჭიქა ღვინოს სახეზე შეასხამს. ახლა გაჯიქდება შემწერი, დამუშავებული ნორიდან პირველ ვარიანტს ირჩევს, „ნაგანს“ იშიშვლებს ღილაკიანი დანის მაგივრად და ოთხჯერ ესვრის

თანაგუნდელს თანამეინახეს შეურაცხყოფის გამო. ტყვიები ხალასტოებია. წაქ-ცეული შეურაცხმყოფელი თვითონვე გახევს ტანზემიკრულ, ცხელი უთოთი თავმოწებილ პოლიეთილენის პარკს, რომელში სასაკლაოდან წამოღებული, წყალში გახსნილი კამეჩის სისხლი ასხია. გაოგნებულია ყველა. აქამდე ხშირ-ხშირად რომ უხსენებდა კომბინატოს შემწერი, შენი გულისთვის კაცსაც კი დავბრიდავო, დაუმტკიცა კიდეც საქმით, მაგრამ ახლა თავად კომბინატორმა არ იცის რა ქნას. ხათაბალაში გახვეულა ცოლ-შვილით დახუნძლული დავი-თაია. მომაკვდავს გააქანებენ ქუთაისის საავადმყოფოში, რადგანაც შორი მან-ძილი ამათთვის მუშაობს და აქედან მოყოლებული იწყება ფსიქოლოგიური შემოტევები გამოჭერილ არიფზე. ჯერ ოპერაციის ფოსტას გამოვლენ. მერე მომაკვდავის მამა მილიციის თადარიგის პოლკოვნიკი აღმოაჩნდება, რომე-ლიც თურმე არაფრით თმობს შვილის ასე არაადამიანურად გაწირვას. გაჩუ-მებისთვის იმდენ თანხას ითხოვენ შემწერი მზადაა ციხეში მიბრუნდეს. კომბი-ნატორი ყოველ შემთხვევისათვის თავიანთთან ჰყავთ მოყუჩებული. ჩინებულად უმასპინძლდებიან კრიჭაშეკრულს, ოჯახს ტელეფონით აკავშირებენ. ჯერ მისი ხელიდან გაშვება არაფრით იქნება. დაბოლოს, როცა ყველაფერი გაირკვევა და დასახელდება ხუთნულიანი ციფრი, კი ჩავარდება საგონებელში კომბინატორი დავითაია, მაგრამ ამისი ამოქაჩვა სეზონის ამბავია და მდგომარეობიდან გამო-სასვლელად არაფერს შეინანებს, ქისას სანახევროდ ამოფერთხავს და დავიწყე-ბას მიეცემა ყოველი.

— გჯეროდეს, — საუბარში ჩაერია პირველი, — ის დაბრედილი კაცი სენა-კის ბირჟაზე გამოჭენდა მომდევნო დღეებში და იხილა თუ არა მკვდრეთით აღ-მსდგარი კაცი დავითაიამ, შემოირტყა თავში ხელები. მილიციაში გაცხადების შეე შინდა, ისევ როკისთან მოსვლა ამჯობინა ზუგდიდში. აუხსნა საქმის ვითა-რება, რომ აფიორა მოუწყვეს და ასიათასიდან ორმოცდაათი გამოითხოვა უკან.

თუ ფული ამოვიდა, ნახევარი შენი იყოსო, შეაბა თავის ჭკუით, მაგრამ როკი რა როკი იქნებოდა ფულს დახარბებოდა.

მიდიან ქალაქის ცენტრში. კომბინატორი დავითაია როკის „ოცდაოთ-ხში“ ზის, თეთრით უკან მოსდევს დაზარალებულის მძღოლი. გაუსწორდნენ ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან აღმართულ ორსართულიან საბავშვო ბა-ღის შენობას. უცებ მკვეთრად წაამუხრუჭა პანტერამ.

ის ორსართულიანი შენობა თუ იცი რა დაწესებულებაა, ჰკითხა.

საიდან მეცოდინებაო, მხრები აიჩეჩა კომბინატორმა.

რუსულ-ქართული საბავშვო ბაღია, აუხსნა სენაკელს როკიმ. რამდენი ხანია ფაბრიკის დირექტორად მუშაობო, ჩაეძია კვლავ.

ოცი წელიწადიო, იმან.

ჰოდა, ამდენი ხნის მანძილზე ასი მანეთის სათამაშოები თუ გიყიდია, იქ, შენთან, სენაკში, თქვენი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვისო.

მე ვარემონტებს სულო, დავითაიამ.

ისე რომ რემონტისგანაც ორმაგად მოგებული რჩები, ხომ? გაჭირვებული ბლომად გეყოლება მეზობელი, მოკეთე, ერთი ცალი პური თუ მიგიცია ვინმესთ-

ვის შენი ლუკმიდან, ან ქალაქელი მოქეიფე ბიჭების სუფრა თუ გიკისრიაო.

რა ვიცი, მე ერთი მორიდებული კაცი ვარ, იქით არავის ვეტენები ხახაშიო.

იაფფასიანი ეშმაკობით ფონს გინდა გახვიდეო, დაუნდობელია როკი, ამას გასწავლიდნენ პიონერობის პერიოდიდან, დაუთოებული ყელსახვევის ბოლოებს რომ დააფრიალებდი, ხოლო კომკავშირში გაირანდე და პარტიაში დალპიო. შენ ფიქრობ მაგარი ხარ, მაგრამ ღლაპივით სულელს ხომ ხედავ როგორ გათოხლეს, ასიათასი შეგაწერეს. ამ შემთხვევაში ისინი მართლები არიან, რადგან შენ ნახევარ სეზონში იშოვი ორჯერ მეტს. შენს ობმოდებულ ფულს დიდი ხნის სტაჟის მქონე ცხრა ბუღალტერი ვერ დათვლის ერთი სუტკა, გაჭირვებული კაცი კი ხუთი მანეთის სასესხებლად რომ მოგადგეს კარზე, შვილებს კუბოში ჩააწვენ, კაპიკი არ მაქვსო და. ასე რომ, მოხარშულს გიცნობთ შენ და შენი მასტის ხალხსო. ის ფული მაგათ ხელში რომ იყოს მირჩევნიაო, მოძრაობაში მაინც იქნება, ქალაქელ ბიჭებს დაპატიჟებენ, სტუმრებთან თავს არ შეირცხვენენ, ფულსაც ობი მოშორდებაო. არ ვიკადრებ თორემ ჩავიწერდი შენს მონაყოლს, მოგასმენინებდი და მეორე იმდენს მე შეგაწერდი. გამოგადგება ვითომ გაკვეთილადო, უთხრა და უპრაგონოდ დაემშვიდობა.

— უფრო საკვირველი მსმენია ჩხოროწყუელ ჩალიგავაზე, — ჩაერია საუბარში მეორე, — ადგილობრივი რაიკომის მდივანი კრიჭაში ჩაუდგა. მხედველობაში მაქვს მორალური განადგურება. მდივანი გვარად აბურჯანია იყო. ჩალიგავა გულხელდაკრეფილი როდი მჯდარა, გულგრილად როდი უცდიდა მოვლენების შემდგომ განვითარებას. დაიწყო კონტრშეტევა იატაკქვეშეთიდან. იპოვა სათანადო პიროვნება ჩვენში, რომელსაც დიდძალი თანხა აღუთქვა, ოღონდ მდივანი მოესპო. იმანაც არც აცია და არც აცხელა, ბომბი შეუდო აბურჯანიას სახლს და ნახევარი შენობა ჰაერში აიტანა, ხოლო იმ მხრივ, სადაც მდივანი იწვა ცოლშვილთან ერთად, უვნებელი დარჩა. ჩალიგავამ ფული არ მისცა შემსრულებელს, საბუთად მდივნის საღ-სალამათობა მოიშველია.

მე სახლის დანგრევა კი არ მითხოვია შენთვის, არამედ — მისი სიკვდილიო და ეს უკანასკნელიც გაცამტვერებით რომ დაემუქრა, გულგადაქანებული კომბინატორი სოხუმელ როდონაიას მიადგა კარზე დახმარებისათვის. თან შიშისაგან გული უკანკალებს, სახუმარო საქმეა ბომბიანი კაცის დაქადნება?!

როდონაია მთელს კავშირში განთქმული აფერისტი იყო, შანტაჟისტი, ქურდულ სამყაროში მაგრად გაჩითული. მოკლედ, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. რაც შეეხება აფხაზეთის ადგილობრივ მთავრობას, ემვედეს,8 სულ მის დუდუკზე ცეკვავდნენ. ნათლიმამად სამამულო ომის გმირი ანთარია ჰყავდა. გვერდიდან არ იშორებდა. მილიონერი იყო. შვილებს ასწავლა უმაღლესში და მერე ასპირანტურაზე მოაწყო ყველა. თანამედროვე აფიორაში თავისი ნომრები შეიტანა. ორმოცდათხუთმეტი წლის გახლდათ, ორას კილოგრამს იწონიდა. მაინც ულამაზესი მამაკაცი ეთქმოდა. დიდ შლაპას ატარებდა. მანქანაზე მძღოლი ეჯდა. ყელზე, თითებზე, მაჯებზე ბაჯაღლო-ბრილიანტების ბრჭყვიალით აბრმავებდა არიფებს. ჰოდა, ამისთანა ზვიგენისკბილება ვშაპს მიუკაკუნა ჩალიგავამ კარზე. მოახსენეს გვარი, ჩხოროწყუდან მოვიდა საქმეზეო. ამ პიროვნების თაობაზე წი-

ნასწარ იცოდა ყველაფერი როდონაიამ. ისე მოამზადა ნიადაგი, მაინცდამაინც მის კაკანათში მოხვედრილიყო.

შემოვიდესო, უბრძანა მოსამსახურეს. ამისთანა ხუთი ჰყავდა სახლში. შემოაბიჯა ჩალიგავამ და მორიდებით გამეცნაურა როდონაიას. ამ უკანასკნელს წინასწარ დაუდგამს დრამა შუა ზალაში. დიდ მაგიდას უზის გოლიათი კაცი. ორი ვეფხვივით ბიჭი გვერდით უდგას. კოსტუმ-ჰალსტუხში გამოწყობილი, შლიაპებით თავზე. ერთ წერტილს მისჩერებიან გაჭიმულნი გაყინულის გამოხედვით, თვალს არ ახამხამებენ. ვითომ პირადი დაცვაა. ჩალიგავა გაფაციცებით უმზერს აქაურობას, ფეხზედგომელა ტიპებს, თავად როდონაიას. ამ დროს კარი იღება და ოთხი პერსონა შემოდის, თავზე ცილინდრები აახურავთ, ხელებში დიპლომატები უკავიათ. მიხურეს კარი, შეჩერდნენ და ესენიც გაშშდნენ. ბრძანებას უცდიან. როდონაია არ ჩქარობს. დიდი ვერცხლის ლანგარი უდევს წინ ხილით დახუნძლული. იხარე სულო, ატამი, ყურძენი, ბროწეული, ვაშლი. აიღო ატამი როდონაიამ, ვერცხლის დანა ხელსახოცით გაწმინდა, გათალა. მერე შამპანური ხმაურით გახსნა. ფუჟერში ჩამოასხა, ატამი ჩაითალა, ორი კუმპალი ,,დამსკი პალეცი'' 8 შიგ ჩადო. სტუმარსაც ანიშნა შენც ასე შეკმაზე შამპანური და ომახიანად წარმოთქვამს სადღეგრძელოს.

ჩვენს ჯიშს და ჯილაგს გაუმარჯოსო, თვალი გადაავლო ახალმოსულ მეგობრებს, მერე ისევ განაგრძო, მე მხედველობაში მყავს ვეფხვები, ლომები და არა — ტურები და მელიები, ჩვენს წინაპრებს გაუმარჯოს მეგობრებოო.

ჩალიგავას ჰგონია ბებია-ბაბუას ადღეგრძელებენ, მაგრამ იმედი უცრუვდება. როდონაიამ ლაკი ლუჩიანოს და ალ კაპონეს მოგონებაო. ია-ვარდმა იხაროს მათ მუდმივ სამყოფელშიო.ჩვენ გვიყვარს ჩვენი პროფესია, კვლა, ძარცვა, შანტაჟი, აფიორა, პერესტრელკები, საერთოდ ხმაურიანი ცხოვრება. ნახევრად მკვდარი ჩალიგავა ჭიქას თითებს უჭერს ხელიდან რომ არ გაუვარდეს.

გაუმარჯოსო, ამასღა ამოღერღავს და დაცლის ფუჟერს.

როდონაიაც ერთი ყლუპით გადაუძახებს ხახაში შამპანურს, მერე ბრძანებს დიპლომატი გახსნან და გადმოაყირავონ ლანგარზე. ცარიელი ლანგარი რამდენიმეა წაგრძელებულ მაგიდაზე. სწრაფად ასრულებენ ბრძანებას. გადმოცვივდება დიპლომატიდან ასიანების შეკვრები — სულ კუკლები.* მერე — მეორისგან, მესამისგან. თავისუფალ მეოთხე ლანგარზე როდონაიას ოჯახის წევრების ძვირფასეულობა — ბეჭდები, ძეწკვები, გულქანები და სამაჯურები იპნევა და იპნევა, ბოლოს ნიკოლოზის გამოსახულების შვიდი ცალი ოქროს მონეტაც რომ ჩამოწკრიალდება, ჩალიგავას რეტი დაესხმება.

ოქრო-ბრილიანტი მეტი არ არის? ყვირის როდონაია და ლანგარზე დაყრილ განძეულობას კუთხეში მოისერის, თან თვალს გააყოლებს. არიქა, სადმე არ შეგორდეს და არ დავიღუპოო. აქვე ჩალიგავას ორიოდე სიტყვასაც გადაუგდებს:

ერთი უმნიშვნელო საქმე გავუკეთე არიფს და იმის საფასურია ეს ყველაფერიო. ჩალიგავა ფიქრობს, უმნიშვნელო პატარა საქმეზე ამდენ ფულს თუ იღებს,

დავღუპულვარ და ეგ არის, სახლ-კარს გამაყიდინებსო. რა ქნას, იქით ყველა გზა მოჭრილია.

მოჰყვი რაზე შეწუხებულხარო, ეუბნება როდონაია და ჩალიგავაც თავს მოუხსნის საკუთარ გასაჭირს:

საქმე ბოლომდე არ მიუყვანია, კაცი მკვდარი არ არის, მარტო სახლია დანგრეული, ფულს კი უკლებლივ ითხოვსო.

ჯერ თავიდან დაიწყე რაზე მოგვიდა აბურჯანიასთან კონფლიქტი, რატომ მოგხსნა, მერე ვინ დაქირავე, რამდენს აძლევდი და ახლა რაზე ვერ მორიგდითო; ან მე რას მთავაზობ გაწეული სამსახურისათვისო და ჩალიგავაც დაიქოქება, ჰყვება და ჰყვება, მაგიდის უჯრაში შეცურებული როდონაიას მარჯვენა ჩამწერის ღილაკს დააჭერს. როგორც იქნა ჩაამთავრა კომბინატორმა თავისი საკვნესელი.

რომ არ მოვკლათ რა იქნება?! ცხვირს დავაჭრით, ყურებსო, როდონაიამ.

არა, არა, ის უნდა მომაშოროთო, უნდა დაიბრიდოსო, ჯიუტობს ჩალიგავა.

ოოო, შენ რა დაუნდობელი ვინმე ყოფილხარ, გულქვა. მგონია ჩვენი ჯილაგის სისხლის გიჩქეფს ძარღვებში. საღოლ, ასე უნდაო, აქებს ყასიდად. თან იქედნურად გადახედავს თავის ხალხს. ისინიც მოწიწებით უმოწმებენ. ჩალიგავა გაოფლიანებული შეჰყურებს როდონაიას. მისი ბედი ახლა ამ ბაყბაყდევის ხელშია.

შენ ვინ მოგასწავლა ჩემთანო. თვალს თვალში გაუყრის კომბინატორს როდონაია.გავიკითხე, გამოვიკითხე, ბატონო და ისე მოვედიო, დაუკონკრეტებს ჩალიგავა.

ოოო, ცუდად გაგიკითხავს და გამოგიკითხავს, მე აფხაზეთის ერთ-ერთი მოქალაქე ვარ, სამი შვილის მამა. შვილები წითელდიპლომიანები მყავს, პლუს ასპირანტები. ჩემი ჯიში და ჯილაგი გლეხკაცი იყო ოდითგანვე, პატიოსანი, ალალმართალი ხალხი, ხოლო შენი — ალბათ, ვეფხვები და ლომები, ასე რომ ისვრი ფულის პაჭკებს*ადამიანების გასანადგურებლად, ასაფეთქებლადო. აქვე ბიჭებს ჩაულაპარაკებს:

აიღეთ ის ოქროულობა, ცოლმა არ მოგვისწროსო.

ხო, შენ კიდევ ეძებ გამოსავალს ჩალიგავას ბიჭოო. ახლა ფიქრობ პატალოკი იპოვო, რომელიც მე მომიჯოკრავს და გამაჩუმებს. ისიც შენ შეგაწერს, აბა, ჩემგან რას მიიღებს შუბლში ტყვიის მეტს; ან იმ გაქცეული შემსრულებლისგან,ვინც ააფეთქა შენი დავალებით. კიდევ შენ ხარ ბეჭი, მე დანით ვდგავარ, მოვაჭრი იმდენს, რამდენიც გამიხარდება. ახლა მოუსმინე შენს ჭუკჭუკსმო, ეუბნება, ამოიღებს მაგიდიდან პატარა ჩამწერს და ჩაურთავს. ჩალიგავას ჟღურტულს ერთხელაც მოუსმენენ, მერე მკვეთრად მოსჭრის როდონაია: ორმოცდაათი ათასი მანეთი კვირას აქ არ მექნება და შეიძლება საგინაძეს ჩაუვარდეს ხელშიო. მაშინ თხუთმეწლიანი არ აგცდება, ვინ იცის, იქნებ რუსთავის კოლონიას გამოჰკრა კბილიო. ჩალიგავას ნერვები უმტყუნებს და წაიქცევა. წყალს ასხურებენ.

კარგი, გამაგრდი, სად მიდიხარ, ცოლ-შვილს ვის უტოვებ, ან ჩვენ რისთვის გვაკვარგვინებ ამდენ შემოსავალსო. ფულს კვირას მოიტან, მანამდე მთელი სამი დღეა, სახლი იცი ჩემი, კასეტას მერე ჩაგაბარებ. რაც შეეხება შემსრულებელს, ტყვიით რომ გემუქრება, ჩვენ ვნახავთ, თითო პანღურს ამოვკრავთ და გაჩუმდებაო.

მოკლედ, მოატანინეს ფული. ჩალიგავას კასეტა ჩააბარეს. გაიარა ორმა თვემ და ახლა იქით მიაკითხეს კომბინატორს. კასეტა კიდევ დაგვრჩენია თურმე სახლში და ორიათასს თუ არ მოიტან შესაძლოა საგინაძეს შემთხვევით ჩაუვარდესო. მაშინ ჩალიგავამ როკის მიაშურა, რომელიც ახალგამოსული იყო და მთელს სამეგრელოში გრიმიტობდა. ყველაფერი მოუყვა ჩალიგავამ პანტერას .

უნდა მიხსნა როდონაიას მუდმივი შეწერვისაგან თორემ თავს მოვიკლავო, უთხრა და დასძინა, მაგარ საფულო საქმეს მოგცემო. აგერ მყავს კლიენტი. ორი ვაგონი ლისტევოიθ ალუმინის საქმეაო. როკიმ მოუსმინა. მერე — ვინც მოჰყვებოდა ჩალიგავას, იმასაც, რაიკავშირის თავმჯდომარე ყოფილიყო. ეს უკანასკნელი აღმასკომის თავმჯდომარეს დაებარებინა და ეთქვა:

ორი ვაგონი ალუმინი მივიღეთ ჩხოროწყუს სახელზე. ჩაიბარე და გაანაწილე რაიონშიო. აღმასკომის თავმჯდომარე უშველებელ სახლს აშენებდა და სულზე მოუსწრო ნანატრმა სახურავმა. უფულოდ, შინ მიტანით მიართვა. მილიციის უფროსსაც უფეშქაშა. ეეშტით*ჰქონოდა გადახურული. სასწრაფოდ გადააძრო და იქაურობა ალუმინით გადააცისკროვნა. ესეც მუქთი. ბევრი გაასაჩუქრა მთავრობაში და დანარჩენი გაყიდა. ეს ხომ წყლის მოტანილი იყო, ღმერთის ნაბოძები. ასე ფიქრობდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ცეკავშირის თავმჯდომარე მიადგა კარზე, ჩაისვა მანქანაში და წინა კბილები სულ ჩაუმტვრია რევოლვერის ტარით, მერე ქვაყინულ ხობწყალში კისრამდე აყურყმელავა.

შენი დედა, სხვის ქონებას რომ ყიდდი და არიგებდი, ნახევარი ჩხოროწყუ რომ გადახურე ჩემი ალუმინით, ფული ჩამაბარე თორემ ასი პროცენტი დაგბრიდავო. ასეთი იყო საქმის ვითარება. დაიწყო როკის წინაშე იმ სიჭინავამ თავის მართლება.

მე რა ვიცოდი ვისი იყო, აღმასკომმა დამიბრაა, ჩაიბარეო, ჩხოროწყუს სახელზეა მოსულიო.

როკიმ გააწყვეტინა.

შე ახვარო, ვაჭრობაში დაბერდი და იმდენი ვერ გისწავლია, რომ ეს ავეჯი ან მანქანა არ არის განაწილებით მოგცეენო. რა შრომის გმირი შენ მყვეხარ ანგარიში გაგიწიონ. ეს რუსეთიდან მოდის, ბაბა, დეფიციტი საქონელია. რატომ არ იაზრე ჩაწყობილი საქმე რომ იყოო, რამდენი სირბილით, თვითმფრინავით და მატარებლით, ჩაითა და კონიაკით, ფულებით და კიდევ ფულებით აწყობენ ასეთ დიდ ოპერაციებს, თუ თავს ისულელებო. სანამ უკანა კბილები შეგრჩენია დაუბრუნე ფული პატრონს თორემ ის კაცი შენ ასიანში დაგბრიდავს და მე კი არა, ცხრა ნომერი გლეხიც. ობიანი თოხის მეტი რომ არაფერი უნახავს, ისიც შენ გაგამტყუნებსო.

ჩალიგავას ფერი ეცვალა. ეგონა სხვანაირი ლაპარაკი წავიდოდა. მოყვანილი კლიენტის ფულით აპირებდა როკის გასტუმრებას, და მერე ოდიშელიას შემოშველებით ჯერ როდონაიას ჩამოშორებას და შემდგომ — შემუქრებული ჯაბუას გაჩუმებას. შემოტრიალებული საქმს ვითარებიდან კი ხედავად, რომ გეგმები წყალში უცვიოდა.

შენ გგონია ჩემს მეტი ხალხი არ არისო, საბუარი გაუგრძელა როკიმ. მე რომ ის ალალ-მართალი კაცი დავჩაგრო, სხვასთან მივა, მასას შეაგროვებს, არ მეტყვიან:

რას აბიჟნიკეობ, ფულის იქით ვერ იხედებიო, თუ შენ და შენს კლიენტს ეს ქვეყანა ჩალით დახურული გგონიათო.

სახელის გატეხვას თავისგატეხვა სჯობიაო, არის ნათქვამი. მტყუანი კაცი უდუხოა, უზურგო, ჟილკა ეკარგება. მართალი რომ ხარ, ტანკს დაუდგები წინ. ბავშვობაში არ შევმცდარვარ, სიბერეში რომ წავიფორხილოო, ეს უკვე შეგნებული ნაბიჯი იქნება ჩემგანო. რაც მე ვეწვალე ჩემი განვლილი ცხოვრებით ყველაფერი წყალში ჩამეყრება და იმ ფულსაც არავინ შემარჩენს, იმასაც ჰყავს თავისი ხალხი, აი, შენი კლიენტი ხობწყალში რომ აყურყმელავეს ქვაგამობმულიო. რომც შემრჩეს ღმერთი არ მაპატიებსო, მოკლედ, პართენოვიჩს მე ვეტყვი, მოგეშვას, კასეტა გაანადგუროს, რათა შენ თავი არ მოიკლა და ბავშვები არ დაორბლდნენ, თორემ შესაცოდი ნამდვილად არ ხარო. ცოლ-შვილს რომ უხოცავდი იმ მდივანს, ისიც შენისთანა პრეზერვატივია, ალბათ, მაგრამ ბავშვებმა რა დაგიშავეს, ან რამ გაგამწარა ასე საცივზე გაზრდილი კაციო. ჯეკ ლონდონის ერთ გმირს დიდი ხნის შიმშილის შემდეგ, სამშვიდობოზე გაღწეულს, მოურჩენელი ავადმყოფობა დასჩემდა, სულ პური ელანდებოდა. სასთუმალქვეშ მალავდა, ასე გემართებათო. თქვენ მთელ ღამეს თეთრად ათენებთ იმის ფიქრში, თუ როგორ და რანაირად იშოვოთ რაც შეიძლება მეტი ფული, ხოლო არის კატეგორია ხალხისა, რომლებიც თქვენზე აწყობს გეგმებს თუ რარიგად შეგაწერონ ფული და გაწერენ კიდეც, რადგან თქვენზე განვითარებული და ჭკვიანები არიან, თანაც უშიშრებიც ამავდროულადო. ხოლო მე იმ კაცს ვნახავ და შენგან მაგ ფულს ამოვაღებინებო, ეუბნება უკვე ჩალიგავას კლიენტს როკი. შენით აჯობებს მოემზადო და შეაწუხო ყველა, ვისთვისაც პატივი გიცია, შეაგროვე ის თანხა და მისცეო. მე არ გიმალავ, მაგრამ თუ ამოვაღებინებ შენგან, მაშინ ავიღებ ჩემს წილს, რადგან მართალი კაცის მხარეს მდგარი ტანკს დაუდგები წინო.

მოგვიანებით ისე წარიმართა საქმე, რომ როდონაიამ ერთხელაც მიაკითხა ჩალიგავას და კუდის რიკამდე გატყავებულ კომბინატორს მართლაც აევსო მოთმინების ფიალა და ზაპრეტკა გახია.* იფიქრა, ციხეში ვიჯდე უკეთესია, ვიდრე როდონაიას საჯიჯგნი ვიყო მთელი სიცოცხლეო და თვითონ ესტუმრა საგინიძეს. კომბინატორს შვიდი წლით თავის უფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ხოლო კვადრატში ახარისხებულ ბენდერს თავის დამქაშებიანად ხუთ-ხუთი. არც რო-

კი დავიწყნიათ. ერთ მშვენიერ დღეს, ეს უკვე ჩემი თვალით მინახავს, ორი შავი, ,,ოცდათერთმეტი'' მარკის მანქანა მიადგა ოდიშელიების სამოსახლოს, რომლებსაც მთავრობის ანტენები ამშვენებდა სახურავებზე.

ზამმინისტრი* გიბარებს სენაკშიო, უთხრეს. ჩაუჯდა, ვერც გაიქცეოდა, ისეთ უხერხულ მომენტში დაადგნენ თავზე. თანაც იმნაირი არაფერი დაეშავებინა მართლმსაჯულებას მორიდებოდა. სენაკის უშიროების სამსახურის შენობაში მიიყვანეს, რადგან ჩხოროწყუს და სენაკს ერთი უშიშრობა ჰქონოდა. სხედან ჩალიგავა, როდონაია თავისი ტელოხრანიტელებით,* რაიკავშირის და ცეკავშირის თავმჯდომარეები, ზამმინისტრიც აქ არის დედაქალაქიდან ჩამოყვანილი ოცი ქორ-შევარდნის მაგვარი თანამშრომლით.

იცნობ, ოდიშლია, ამ ხალხსო, ეკითხება ზამმინისტრი.

არა, ბატონო, ვინ არიან და საიდან, რომელი რაიონიდანო, როკიმ.

ოოო, რა მალე გავიწყდება კლიენტები, ორასი ათასი მოგცა კაცმა და ოთხ თვეში დაგავიწყდა შე კარგი დედმამიშვილო? ბავშვობაში ერთმა უცნობმა ბიძამ ათი მანეთი რომ მაჩუქა, გავიზარდე, ოჯახით გაიცანი უკვე ხანდაზმული და მერე ბავშვიც კი მოვანათვლინე; შენ კი ორასი ათასი მოგცა და ენაც გიბრუნდება, არ მინახიაოო.

ეს რომელი ორასია, სენაკი, ბათუმი, ქუთაისი, ამერია ანგარიში და მისამართებიო, გაეშაყირა როკი.

ეს ჩხოროწყუა, კარგად გაიხსენე, იმიტომ კი არ გეუბნები რაიმე დანაშაულია კოდექსით და ქვეყანა დაქცეულა. ესენი მთლად უნდა გაატყაოს კაცმა. ამათთვის ბოლო კაპიკიც წასაღლეტიაო, თქვა და სიგარეტი მოქაჩა ზამმინისტრმა. კვამლი რგოლებად გამოუშვა თვალმოჭუტულმა, უბრალოდ მინდა გავიგო, ჩხოროწყუც შენთან შემოდის, იქაც წვდებიო.

წარმოიდგინეთო, ეუბნება ახლა ნამდვილად დარცხვენილი როკი, ამ ხნის კაცი ვარ, რიმ-კრიმი* მოვიარე და ჩხოროწყუში არ ვყოფილვარ, ჩვენი კუთხის ულამაზეს რაიონში. ვფიქრობ, გამოვასწორებ ამ თვეში დაკავებული თუ არ ვარო.

შენ დაკავებული არ ხარ, ოდიშელია, ერთ საათში ისევ ჩემი მანქანით დაგსვამენ საკუთარ ოჯახში, ოღონდ ჩხოროწყუში სიარულს არ გირჩევ, დაივიწყე ის რაიონი და იყავი ჭკვიანად. შენ კარგად დაგახასიათა ზუგდიდის მილიციამ. — არასდროს მოუპარიაო, წამალს არ ეკარებაო, პურ-მარილიანი სუფრის ბიჭიაო, ოღონდ ხშირად მოსდის ჩხუბი, თუმცა ისიც უსამართლობით არა, ადამიანის დაჩაგვრას ვერ ურიგდებაო. ამისთანა ხალხს ჩვენ პატივს ვცემთ. ვაჟკაცი ყველას უყვარს, მაგრამ რა დროს შენი მუშტი-კრივია. ამდენი წვალება გამოგივლია, იცხოვრე ბედნიერად და ასეთი ქაჯუნიები ღირსია შეაწერო, ოღონდ რაზბორკებს* თავი დაანებე. ასე აჯობებს შენთვისაც და ჩვენთვისაცო, უთხრა და გამოაცილა შინისაკენ.

როგორც იქნა მორჩა საუბარს ხოთოს ჭირისუფალი, თუმცა უკვე სასაფლაოს უახლოვდებოდნენ ისედაც.

წლინახევრის იყო ნიკა, როცა ოდიშელიამ აბურდული საქმეებისათვის მის ჭიშკართან გამოჩენა განურჩევლად ყველას აუკრძალა, მაგრამ ამისი მიზეზი მთლად უშიშროების მინისტრის მოადგილის თითის დაქნევა როდი გახლდათ. ქალაქში დატრიალებული უბედურების შემდეგ. არათუ შუამავლობებს მოეშვა, ქუჩაში სიარულიც შეჯავრდა. შავი სატინის პერანგს არ იხდიდა მთელი ორი წელიწადი.

ერთ გაჩახჩახებულ კვირაძალს ნაბირჟალზე გამოსულ როკის მთელი ზუგდიდი უჩვეულო რიტმით შეეგება. რაღაც ისეთი მომხდარიყო, ისეთი საშინელი და ამაზრზენი, დარღვეულიყო სადადიანოს ცენტრის ბუნებრივი მაჯისცემა. დაფეთებულ-დარეტიანებული ხალხი უბედური სტიქიის დროს პანიკით მოცულის მსგავსად ეკითხებოდა ერთმანეთს.

— მართალია? როგორ მოხდა? რანაირად? — და უპასუხებდნენ თუ არა, თავზე შემოირტყამდნენ ხელს.

ათბალიანი მიწისძვრით დაფორიაქებულებს მიუგავდათ სახეები. რაღაც ისეთი ძლიერი დარტყმა ეგემა მთელს ოდიშს, რომ წელში მოხრილიყო უმწეო გამომეტყველებით. ისე გამოიყურებოდნენ ზუგდიდებელბი, თითქოს ოჯახის მარჩენალი მამები დაკარგოდათ მიყოლებით და ობლად დარჩენილი უმწეო პატარებივით შველას ითხოვდნენ თავზარდამცემი გასაჭირისაგან გამოსაყვანად, მაგრამ გამქრალიყო მეოხი, აღარსად ჩანდა ნუგეშისმცემელი ქომაგი.

როკი ეცა ერთს, მეორეს.

— რაშია საქმე გამაგებინეთ. ამ დილაადრიან ყველა რომ ტირის, დიდი, პატარა, ქალი თუ კაცი, ისეთი რა უბედურება დატრიალდა? ან ამდენი მანქანის ქარავანი უწყვეტი სიგნალის ყურისწამღები ხმაურით საით მიდის, საითკენ მიემართება?!

ბოლოს გოგი ყოლბაიას ეძგერა როკი, გულხელდაკრეფილს ცრემლის ნაკადი ღვარად რომ ჩამოსდიოდა. მეგობრის დანახვაზე უფრო აუცახცახდა მხრები გულამომჯდარს.

— ფერდინანდია მკვდარი, როკი. ჩვენი ფერდი. წუხელ საირმეში, რესტორნიდან მობრუნებული კლდიდან გადაჩეხილა.

ამის გაგონება და ოდიშელიას წაბარბაცებაც ერთი იყო. ხელები შეაშველეს გაფითრებულს, მუხლებწართმეულს. ტროტუარის ბორდიურზე ჩამოეშვა უდრეკელი კაცი.

ფერდინანდ ჟღერია როკის უსაყვარლესი მეგობარი გახლდათ. ყოფილა შემთხვევა, ჩხუბი მოსვლია ქალაქში, ხოლო შესარიგებლად ვერავის გადმოუდგამს ნაბიჯი ხუთეულიდან ფერდინანდის მეტს. საირმეში წასვლის წინ რამდენი ეხვეწა, ერთად დავისვენოთ ოჯახებითო, საგზურები აღებული მაქვს, რატომ ახრჩობ ცოლ-შვილს ამ პაპანაქებაშიო. მაგრამ არ გაჰყვა, საქმეები მოიმიზეზა.

დაიძრა სადადიანოს მანქანების კოლონა საირმისაკენ და უწყვეტი სიგნალითა და ანთებული ფარებით ჩამოასვენეს ფერდინანდის ცხედარი. როკი, გოგი ყოლბაიას მანქანით მიდიოდა. ფერდინანდის პირველი ძმაკაცი, ილაჯწართ-

მეული გოჩა ჩიქოვანი მათ გვერდით მისვენებულიყო საზურგეს. თორმეტი დღე ესვენა ფერდი თავის ოჯახში. მთელმა საქართველომ დააპკურა ალალ-მართალი ცრემლი სტუმრის პირველ ოდიშელ მასპინძელს.

ზუგდიდის ახალგაზრდობა ძაძებით შეიმოსა. გამორთეს რადიო. ტელევიზორებს ტილოები ჩამოაფარეს. ეს პირველი დარტყმა იგემეს ზუგდიდელებმა.

ფერდის დასაფლავების ცერემონიალს ოციათასამდე ადამიანი ესწრებოდა. ქალაქში ორწყებად მიმავალ კოლონას ფერდის მარჯვენაგაწვდილი სურათი მიუძღოდა, რომელ პოზაშიც სადღეგრძელოს დაწყებამდე საფარელ ფრაზას წამოისროდა:

ძირს ნიკოლოზ, მაღლა — მუშა, იქნება? არ იქნება.

თავის მხრიდან ზეაღმართულ ცხედარს ვეფხვივით ბიჭების ხელში მედიდური იერი ერთი წუთითაც არ შეუცვლია. ფერდი ბოლო დღეს მთელ ქალაქს გადმოჰყურებდა. ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდა, თითქოს კი არ ასაფლავებდნენ, არამედ უკვდავების ტაძრისაკენ მიაცილებდნენ. მიუკერძოებლად ეკუთვნოდა ეს ადგილი ფერდის ზუგდიდელი კაცის გულის საკურთხეველთან, რომელმაც ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე იმდენი მეგობრის შეძენა, იმდენი ხალხის გაცნობა და დამოყვრება შეძლო, რასაც ერთად აღებული მთელი ოდიში ვერ მოახერხებდა.

ჭითაწყაროს სასაფლოას შესასვლელთანვე მიუჩინეს სამუდამო ბინა ხელაწეული, მომღიმარი სურათით. სასაფლაოს გალავნის დასაწყისიდან კარიბჭემდე ასორმოცდაათ მეტრზე მეტია და ეს მანძილი ფერდინანდის სასახლემ დაჩოქილი ჯეელების აწეული ხელების ტყეში გადაიარა უკანასკნელ სადგურამდე. არავინ მორიდებია ტალახს. ყველამ მუხლი მოიყარა მისი განუმეორებელი ბუნების წინაშე.

ხალხი შოკიდან არც იყო გამოსული, რომ უფერდინანდობა ვერ აიტანა მისმა ძმადნაფიცმა გოჩა ჩიქოვანმა, ადამიანმა რომელმაც მეგობრის ხიდი გასდო ზუგდიდსა და საქართველოს თითქმის ყველა ქალაქს შორის. მაგრამ ფერდინანდის სიკვდილის შემდეგ, თვით თავადური სიზვიადით შემოსილი ჩიქოვანისთვისაც კი არ აღმოაჩნდა ზუგდიდს სათანადო ცრემლი. რაღაც თვენახევარში ისევ თალხით შეიმოსა ქალაქი.

მალე ფერდის და გოჩას გზას გაუდგა ახალგაზრდობის მესვეური გოგი ყოლბაია. კვლავ დახარა თავი ზუგდიდმა, და ახლა კუთვნილის მესამედი ცრემლ ძლივს ერგო ორმოცდარვა წლის ასაკში სიცოცხლის ხიდჩამტყდარ რჩეულ შვილს.

მიჰყვა ნაკვალევს მათსას უცოლშვილო ჯემალ გოლუა და ფერდინანდის მიტაცებულმა ცრემლმა ოთხჯერ მაინც შეუმცირა საზოგადო მწუხარება ყოველი გაჭირვების ქომაგ რაინდს.

თითქოს ერთ ნავში მსხდარიყვნენ, ნაღები ოდიშელების საუკუნო ბილიკს დაადგა პიროვნება, რომლის ნაფეხურებს ძალყინითაც ვერ ამოძირკვავდა დრო-

ჟამი ზუგდიდელი კაცის მეხსიერებიდან; პიროვნება, რომლის გამონათქვამი იუმორი თუ სხარტულა მთელ ტომად აიკინძებოდა ვინმე ჟამთააღმწერლის ხელში. ორივე ვაჟიშვილის გარდაცვალების შემდეგ მორალურად და ფიზიკურად დაცემულმა, ლოთობის მორევში შეტოპა. ბედმა ესეც არ აკმარა. ცოლი გაექცა და სახლში გამოყრუებულმა, ვიღაც მაწანწალა, სახეშეშუპებული რუსი დაისვა კახპად.

იუმორის გრძნობას ბოლომდე არ უღალატნია პეტიკო თოდუასთვის. რესტორან ,,ოდიშში'' შეხვდნენ უკანასკნელად ის და როკი. მიუხედავად დაბარბაცებული ცხოვრებისა, ძველებური სიზვიადე მაინც გამოკრთებოდა აქაიქ მის მიმოხვრაში. თავის კნეინასთან ერთად შემოუარა დოსტეს. ჩახლეჩილი, ბოხი ხმით დაუფცა სუფრებს. თორმეტი ჭიქა ინება ოდიშელიამდე მოღწეულმა. პურიც კი არ მოუციცქნია სადმე. აქ კი, შორეულ ნათესავთან და უმცროს მეგობართან, შედარებით მეტხანს შეყოვნდა. ჯერ ქალბატონი წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას:

— სახელგანთქმული ხახოლი ფეხბურთელის, ოლეგ ბლოხინის ღვიძლი დაა. სასმელ-საჭმელი არ შესთავაზოთ, დიეტაზეა, ლუკმას ვერ გადააცდენთ. ამ დღეებში ლონდონის ქალთა სილამაზის საერთაშორისო კონკურსზე მიემგზავრება. იმედია, კარალევას* გვირგვინით დაგვიბრუნდება, — ამ ლაპარაკში პეტიკოს დამა ახალაშლილ სუფრას მისდგომოდა, ღვინის ნარჩენებს ჭიქებიდან აგროვებდა, სვამდა და ცარიელი პურის ილუკმებოდა. მერე ბარბაც-ბარბაცით წამოსული ღირსეულ კავალერს დაუდგა გვერდით ცალთვალმოჭუტული და მეინახენიც დაწყდნენ სიცილით.

პეტიკო თოდუამ გამოსული ვაჟკაცის სახელი დიდხანს ატარა სამაგალითოდ ზუგდიდში. მაგრამ ბოლოს არ დაინდო ბუნებამ თუ განგებამ, ორშვილმკვდარი, ოჯახდანგრეული, ძირფესვიანად ამოგდებული გათელა წუთისოფელმა და ნაღვლიანი ღიმილით მიაბარეს ფერდინანდის წლისთავის დღეებში გაჭრილ ძმათა სასაფლაოს.

ასე უმოწყალოდ, ხელის ერთი მოსმით დაირღვა მუშტით შეკრული როკის სამეგობრო და ერთხელ და სამუდამოდ შეაქცია ზურგი ქვეყნის ოთხივე კუთხიდან ოდიშელიების ჭიშკრისაკენ დაძრულ, წუთისოფლის მომდურავი ადამიანების წყებას. ქალაქში ხეტიალსაც უკლო. ბუხართან სავარძელი მიიჩოჩა და ბორკილდადებული თოთხმეტი წლის განუყრელ მეგობარს — ძე ხორციელის ფურცლებად აკინძულ სულის შემაძრწუნებელ ისტორიებში ჩაეფლო.

ამ ნაშუადღევსაც, ქვეითი ახალგაზრდების ჯგუფმა რომ მოაკითხა ოდიშელიების ჭიშკარს, გაბრიელ გარსია მარკესის გახმაურებულ რომანს კითხულობდა.

აუწყა მეუღლემ სტუმრების გამოჩენა და ბოშათა კარვიდან, არკადიოს ნათლობიდან გამოღწეული როკი, აუღელვებლად გაემართა ჭაბუკებისაკენ.

ადრე, როცა საქმის გასარჩევად ეწვეოდა ხალხი ხოლმე, ჩვევად ჰქონდა როკის, სადავიდარაბო ამბავს ოჯახში არაფრისდიდებით შემოიტანდა. რესტორან-

ში, ან უშუალოდ მანქანაში განსჯიდნენ აწეწილ რეალობებს, მაგრამ ამდენი ახალგაზრდის მნახველმა, რატომღაც ტრადიცია დაარღვია, ეზოში შემოიპატიჟა შეღერებული ყმაწვილები. ეს ჯეელები ოდიშელიასათვის სრულიად უცნობნი იყვნენ, თუმცა გამოლაპარაკების შემდეგ, უმეტესი ნაბიჯით უფროსი თაობის შთამომავლობა აღმოჩნდა.

ბიჭები ერთიანად აფორიაქებულნი და უკიდურესობამდე აღელვებულნი ჩანდნენ. ერთმანეთს საუბრის წამოწყებას არ აცლიდნენ.

— თქვენს იქით გზა არ გვაქვს, — ჩაიგდო საუბრის სადავე თორი ფიფიამ, რომელიც ყველაზე თამამი და გამოსული ჩანდა.

— ისეთი რა გაგჭირვებიათ? — ჩაეძია როკი ბეტონის წაგრძელებულ მაგიდას შემოწყობილ სკამმერხზე ჩამწკრივებულ ახალგაზრდებს.

— არა, დრო არ ითმენს, — თქვა ფეხზედარჩენილმა ბულათიას შთამომავალმა, — ახლა პირდაპირ ქალაქკომიდან მოვდითართ. ვერავის ვუმტკიცებთ ჩვენს სიმართლეს. საზოგადოების უკან სამარცხვინო ძეგლი ჩამოუსხამთ. ამ დღეებში მანცხვარკარზე უპირებენ აღმართვას. ამ ამბავს შევეწირებით. თუ რაიმე გადამჭრელ ღონისძიებას არ მიიღებენ, ჩვენ მზად ვართ ავაფეთქოთ იგი.

— ძეგლი სად არის? — იკითხა როკიმ, თან მეუღლეს გასძახა, ტანსაცმელი მომიმზადეო.

— კიევში, — უპასუხეს ერთხმად.

მარინა მიხვდა სერიოზულ საქმეზე მიდიოდა მისი თანამეცხედრე და ჩასაცმელიც შესაფერისი უნდა გაეხაზირებინა.

— ბიჭებო, მე ორ წუთში ჩამოვალ. ყველას ვერ წაგიყვანთ და ვინც საქმეში უკეთ გარკვეულხართ, დარჩით. სასტუმრო ,,ოდიშში'' შევიკრიბოთ, იქ ავწონდავწონოთ, როგორ, რანაირად აჯობებს.

ცოტაც და შავი ,,ოცდაოთხით'' ქალაქის ცენტრისკენ მიაქროლებდა ოთხეულს.

აჰა, ყველანი ერთად არიან, რესტორნის წაგრძელებულ კუპეში განმარტოებულან. დაწყებულ საუბარს კვლავ თორი ფიფია აგრძელებს:

— თქვენთან იმიტომ მოვედით, როკი, ბატონო, ვიცით სხვანაირად შეგტკივათ გული ჩვენს ქალაქზე. ცოტნეს ძეგლი დიდი ხნის წინ უნდა დამდგარიყო არამარტო ზუგდიდში— მთელს საქართველოში. არ გესწავლებათ, ცოტნე ნამუსია ჩვენი ერთიანი სამშობლოსი და როცა ამისთანა გმირს დაგიჩოქებენ, მიგვიხვდებით, ალაბთ, რა კატეგორიის ხალხთან გვიხდება ბრძოლა. ოთხასი ათასი მანეთი გამოუყვიათ მის განსახორციელებლად. ამაშუკელებისა და ბერძენიშვილების ქვეყანაში, ისეთი რა გაგვჭირვებია, მალიარებს მივანდოთ ჩვენი სულის აღზევების პერსპექტივები?! იმ ბედოვლათს, თურმე გოგეგბაშვილთან ამოკითხული ამბავი, ვითომ პლასტიკის ენით აუმეტყველებია და მზეზე დაყრილი, თაფლწასმული მამული შვილები, დაჩოქილნი ჩამოუქანდაკებია. ძნელია გაარკვიო კაცმა, თუ ცოტნე დადიანის დაჩოქება რაში დასჭირდა იმ ქრისტეს ფეხის მკვნეტელს? ცოტნე ,,ქართლის ცხოვრების'' მიხედვით

ჩაჯდა თანამზრახველებს შორის, თორემ არ დაჩოქილა;, დაჩოქება იმ გენიოსის შემოქმედებაა.

— ავტორის გვარ გახსოვთ? — იკითხა როკიმ?

— ვინმე ბიბლიაშვილია, ლენინის პორტრეტის გადამრავლებით ირჩენდა თურმე თავს, — თქვა გეგე თოდუამ.

— გასაგებია. კონკრეტულად ვისთან იყავით?

— ქალაქკომის პირველ მდივანთან. მაისის თვეში განუხილავთ პროექტი, ოღონდ — არაპროფესიონალებთან. სკულპტორები და არქიტექტორები არც ჩვენ ვართ, მაგრამ ღვთის შეწევნით, ვარჩევთ შავს თეთრისგან. ერთი ცხენი ვერ გამოიმეტეს რაინდისთვის. რა ვქნათ, როკი? — კითხვით მიაჩერდა გუძა სოსელია.

— ბიჭებო, თქვენი გაფიცხებისა მესმის მე, ან როგორ არ გაფიცხდები კაცი, როცა სულში გაფურთხებენ?! ძეგლი არ უნდა დაიდგას, თორემ მერე აფეთქებები და მისთანანი საქმეს ვერ უშველის. დაჩოქილი ცოტნე მარტო ოდიშის კი არა მთელი საქართველოს შერცხვენაა. ვნახავ მე მდივანს. ვფიქრობ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება. ჩემი ბიოგრაფიის კაცს ახლა პოლიტიკურიც ემატება, მაგრამ როდესაც გარემოება მოითხოვს, უკანდახევა მიუტევებელია. კარგი იქნება თუ პროფესიონალურ წერილს მოვამზადებთ სამხატვრო აკადემიის სახელზე. უნდა შევაწრიალოთ დიდი და პატარა. მუზეუმის ხალხი არ გამოდგება საამისოდ?

— მაგათ პირიქით, ტაში დაუკრეს პროექტს, — ჩაიცინა ცალყბად გაბო მიქავამ.

— დაუკრეს კი არა, დააკვრევინეს. დიხამინჯიას მოწონებულს რომელი აღუდგებოდა წინ? — ხმა ამოიღო აქამდე გაჩუმებულმა ბადრი ქობალიამ.

ქალაქკომის პირველი მდივანი როლანდ დიხამანჯია წარმოშობით ოდიშელი იყო, მაგრამ ბავშვობიდანვე დედაქალაქში იზრდებოდა. იქ ეზიარა საზოგადოებრივ მეცნიერებებს. მეგობრების წრეც იქაური ჰყავდა. მამამისი სუძ-ის სამსახურის წამყვანი თანამშრომელი გახლდათ და ადამიანის სულში ჩხირკედელაობა მემკვიდრეობით ერგო.

როკის შესახებ მას საკმაოდ მდიდარი მასალა წარმოუდგინეს სათანადო სამსახურებმა ჯერ კიდევ, როცა წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა საშენი მასალა მიაყარეს ოდიშელიას ცარიელ-ტარიელ სამოსახლო მიწის ნაკვეთს. არ გახარებია დიხამინჯიას როკისთანა კაცის სუფთა ჰაერზე გამოსვლა. ლომის ფიტული მიმზიდველია ჭერქვეშ, მაგრამ ბრჭყალებალესილი და კბილებამახული, მისახვედრია რამდენად მოითმინება. და ახლა, მოახსენა თუ არა ტექნიკურმა მდივანმა:

როკი ოდიშელია ითხოვს შემოსვლას, თან ის ბიჭები ახლავან, წელან ცოტნეს ძეგლის გამო რომ მამლაყინწობდნენო, ერთხანს ორჭოფულ მდგომარეო-

ბაში ჩავარდა ქალაქის მესვეური. მოუცლელობა მოემიზეზებინა, ვინ იცის, როგორ დაუბრუნდებოდა ეს საქციელი, არადა, ცოტნეს ძეგლზე საუბრის ჩამოგდება ამწუთას მისთვის წამგებიანი იყო.

სკულპტურა მაინცდამაინც არც როლანდ დიხამინჯიას მოსწონდა, მაგრამ რაც მთავარია, იყო იმ მონუმენტში ხელჩასაჭიდებელი მომენტები: ფაქტის ლამის ნატურალისტური გადმოცემა და რაც არსებითია, ცოტნეს შეუპოვრობა, ეგვიპტური ძეგლისთვის დამახასიათებელი სტატიკურობა, რომელიც განათებულია შინაგანი დრამატიზმით.

ეს შეფასებანი ბიბლიაშვილის ესთეტიკური არსენალიდან გახლდათ. ძეგლის განხორციელების იდეს დიხამინჯიაგან მოდიოდა და რადგანაც ბიბლიაშვილი სახლიკაცად ერგებოდა, უკეთეს ხორცშემსხმელს ვის იპოვიდა?

ვანკა-სტანკასავით მოგვანგვალე ქალაქკომის მდივანი დიდი პრაქტიკული ნიჭით გამოირჩეოდა. მარტო საპირველმაისო და საშვიდნოემრო ზეიმებზე ორისამი წლის სარჩოს ახვავებდა. ქალაქის გამშვენებაში ენერგიულად ჩაერთო და აღმასკომს ფაქტობრივად ლუკმა პირიდან გამოაცალა.

მართალია, ცოტნეს ძეგლის პროექტი კი განიხილეს ქალაქკომის საგანგებო სხდომაზე, მაგრამ იმ ღონისძიებაში არც რაიკომელები მიუწვევიათ, აღარც — ოთარ ოდიშელია თუ ქალაქის სხვა გონებადაუნჯებული ხალხი. საშა ეგუტიაც რატომღაც გამოივიწყეს. დიხამინჯიასა და თეატრის დირექტორს შორის კონფლიქტი კი ჩხოუშიას მარჯვენა სანაპიროსა და ავტოსადგურის წინ აღმართული სტელას გამო წარმოიშვა. სხვათა შორის იმ პროექტების ავტორიც ბიბლიაშვილი იყო. ხარჯთაღრიცხვა დასახელებული ნაგებობებისა ერთიანთად აღემატებოდა რეალურს, და ბუნებრივია, საშა ეგუტია, ოთარ ოდიშელია თუ მისთანანი ამნაირ შემთხვევაში არ წაადგებოდნენ.

როდესაც ქალაქკომის პირველი მდივნის მისაღებში შევიდა როკი ოთხი ყმაწვილითურთ, რამდენიმე მანდილოსანი და კიდევ ერთიც, ხელჯოხიანი მხცოვანი კაციც დაუხვდა იქ.

ტექნიკური მდივანი კოკორგაუხსნელ ვარდებს ასუფთავებდა ზედმეტი ფოთლებისაგან, ბროლის უშველებალ ლარნაკში აწყობდა სათითაოდ. ამ შავტუხა გოგომ აღნიშნულ თანამდებობაზე ბარემ ოთხი თუ ხუთი უფროსი გამოიცვალა და საქმეს ყოველთვის ჩინებულად ართმევდა თავს.

დიხამინჯიას სიგიჟემდე უყვარდა ვარდები. ხვალ ბიურო ჰქონდათ და დილის თერთმეტი საათისთვის ყვავილები უმშვენიერესად გაიფურჩქნებოდა.

როკი ტექნიკურ მდივანს ნანახი ჰყავდა ქალაქში გამართულ დებოშებში, ამიტომაც შემოვიდა თუ არა შავ კოსტუმსა და პერანგში გამოწკეპილი, უნებურად სავარძლიდან წამოიმართა.

ოდიშელიამ იკითხა, ბრძანდებოდა თუ არა დიხამინჯია ადგილზე და როცა დაუდასტურეს, სთხოვა, მისი ვიზიტი მოეხსენებინა.

ისე დაიბნა კვიკვინიას ასული, ვერც კი მოასწრო გამოეკვლია დიხამინჯი-

ასთან რა მიზნით აპირებდა შესვლას, თუმცა თანმხლებ ყმაწვილთა ოთხეული ყველაფერს თავისით ამბობდა.

როლანდ დიხამინჯიას როგორც კი აუწყეს:

როკი ოდიშელიაა მისაღებში, ბიჭები რომ იყვნე იმ საკითხზეო, გვარიანი ყოყმანის შემდეგ, ხვალინდელი ბიურო მოიმიზეზა.

დღეს თავის მოსაფხანად არ მცალია, ზეგ გამომიაროსო, დაბარა სელექტორით.

როკის ცხვირის ნესტოები დაუბერა დიხამინჯიას შემონათვალმა პასუხმა. შეურაცხყოფად მიიღო მისი უკადრისობა, თან ამ ჯოჯოხეთის მაშხალას ქვეშ-ქვეშობას აცოფებდა. კვიკვინხე ვარდებს დასტრიალებდა ყასიდად კვლავინდებური გულმოდგინებით, მაგრამ ოდიშელიას მომნუსხველ მზერას რომ შეეფეთა, ცხვირი ჩამოუშვა, თან მომცრო ცხვირსახოცით თვალები მოიწმინდა ლეგენდად ქცეული კაცის განსაიარაღებლად, თუმცა განზრახულს ვეღარაფერი გადააფიქრებინებდა როკის. მიუახლოვდა ქალიშვილის სამუშაო მაგიდას, აიღო ყურმილი, დაუცადა შეხმიანებას და როდესაც დიხამინჯია ხაზზე გამოვიდა, აუმღვრევლად წამოიწყო საუბარი:

— როკი ოდიშელია ვარ მე. ხვალვე თქვენითვე უარყოფთ ცოტნეს სამარცხვინო ძეგლს, გაიგეთ?! ამ საკითხზე სიტყვით მომსვლელი მე მეტჯერ არა ვარ. — თქვა და პასუხს არ დალოდებია, ეგრევე დადო ყურმილი. მერე გამოართვა კვინკვიხეს საკმაოდ მოზრდილი მაკრატელი, ჯერ ერთ ვარდს წააცალა თავი, მერე — მეორეს, მესამეს... ტექნიკური მდივანი მაკრატლის ყოველს გაწკაპუნებაზე გველნაკბენივით კრთოდა, სახეზე ხელებაფარებული, აქვე მშვენივრად ამჩნევდა ჭუჭრუტანიდან, როგორ დააგდო მაგიდაზე უხეშმა ხელმა პრიალა ლითონი თუ ტკიცინა ოცდახუთმანეთიანი.

ბიჭები და როკი კიბეებზე დაეშვნენ. ჩასხდნენ მანქანაში და კვლავ სასტუმრო „ოდიშს“ მიუბრუნდნენ.

— ვხედავთ, შარში გხვევთ, — ებოდიშებოდნენ ისინი გზადაგზა ოდიშელიას, — მაგრამ გაჩუმებაც რომ არ ივარგებს?!

— სასწრაფოდ თბილისშია წასასვლელი. მისდღემში არ შემიწუხებია ჩემი მოგვარე. დარწმუნებული ვარ მხარს დაგვიჭერს. გომბეშოსავით კი იბერება ეგ თქვენი დიხამინჯია, მაგრამ ვნახოთ როდემდის!

— წერილზე რას ვშვრებით? — იკითხა გეგე თოდუამ.

— მე ვიცნობ ერთ მწერალს, — თქვა ბადრი ქობალიამ, ყირმიზსახიანმა და გვარიანად გაძვალკანებულმა ამავდროულად, — ვიკითხავ ადმინისტრატორთან, ადგილზე თუ არის. უკეთესად ვერავინ დაგვეხმარება. ჭურიაში წერს რომანს ჟინი ანთარზე. ჯოტო გუგუჩიას სტუმარია. ქალაქშიც შემოივლის ზოგჯერ. ბატონ საშა ეგუტიასთან მეგობრობს, საბეჭდი მანქანა უსახსოვრა ამასწინათ. გაგანია ცეცხლში შეაგდებ და წამში მეორე მხარეს გააღ-

წევს, მაგრამ სმას თუ შეჰყვა, მერე ქუჩებში, ათი ცხენოსნითაც რომ ეძებდე, ვერ იპოვნი.

ბედზე კვეკვე ანთარია ადგილზე აღმოჩნდა. გუშინდელ ნაბახუსევს სახე შეშუპებოდა. ბარდი ქობალიამ მიიპატიჟა რესტორანში ჭაღარა წვერგაბურძგნილი უფროსი მეგობარი. სუფრა გაშლილი დაუხვდათ. გამოეცნაურნენ ერთმანეთს. ძმაკაცების გარდაცვალების შემდეგ სათამადო ჭიქას პირვლად ჰკიდებდა ხელს როკი. სათითაოდ აცხონეს ყველა. მერე ჩამოწოლილი დუმილი ისევ ბადრი ქობალიამ დაარღვია.

— შენი დახმარება გვჭირდება, ბატონო, კვეკვე, წერილია გასამზადებელი მხატვართა კავშირის თავჯდომარის სახელზე. დაჩოქილი ცოტნეს ძეგლს გვიდგამს დიხამინჯია.

— ამიხსენით უფრო წვრილად, — ამბობდა ოთხი ჭიქისგან უკვე თვალში გამოხედებული ანთარია, — ქალაქის ცხოვრებას მომწყდარი ვარ არსებითად. ცხრა თვეა ჭურიაში ვყურყუტებ, კახეთელ მწყემსებთან. აქეთკენ გაზეთებისთვის და აბანოსთვის გამოვეშურები ხოლმე. საშა ბატონა იცის ამის თაობაზე?!

— ვერაფერს გეტყვით, — უპასუხა ბადრი ქობალიამ.

— კარგი იქნებოდა ბატონ საშას ჩავკითხებოდით. მას უკეთ ესმის სად და როგორ. ისე წერილის სათაური ხელად მოვიფიქრე: ,,ცოტნე და დაჩოქილი?!"

საღამოს პირზე საშა ეგუტიასგან დაკვალიანებული ახალგაზრდები და როკი, კვეკვე ანთარიას ნომერში შელაგდნენ. მწერალი ლუდს წრუპავდა და საბეჭდ მანქანაზე პროტესტის წერილს არაკუნებდა.

ხელოვნებათმცოდნეობაში ფრიად გათვიცნობიერებულმა ანთარიამ ცოდნის მთელი არსენალი მაგიდაზე დაახვავა. სკულპტურის მიზანდასახულობით დაიწყო, გადაწვდა ეგვიპტურ სტილს, მის შინაგან ჭვრეტას, ფიდიასის ზევსს, მიქელანჯელოს მოსეს. ლამის თაბახნახევრიანი წიაღსვლა ცხენის კულტით დააგვირგვინა. აკადემიური ტონს სატირული კილო შეუნაცვლა — აქილიკებდა ბიბღიაშვილის ჰიპოფობიას. ხელზე დაიხვია ეს მომენტი და ცრემლების გადმოცვენამდე ახარხარა ბიჭები. დასკვნით ნაწილში, მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს თხოვნით მიმართავდა, განეხილათ სამარცხვინო სკულპტურის ვარგისიანობის საკითხი, და თუ მაინცდამაინც გაძნელდებოდა მტვერში ჩაჩოქილი ცოტნეს ძეგლის ფეხზე წამოყენება, ოდიშის ახალგაზრდობა მზად იყო დარახტული მერნებით მიუსავლეთისკენ გაექანებინათ ბიბღიაშვილის ავადმყოფური გონების ნაცოდვილარი.

კითხულობდა ანთარია ხმამღლა მერამდენედ, გზადაგზა სტილისტურად ხვეწდა, უმატებდა სიტყვებს, აკლებდა. ხელმეორედ გადაბეჭდილი ტექსტი მეოთხე გვერდზე გადადიოდა. იქ კი, ერთი მესამედით ცარიელ სივრცეში ოდიშის მთელი ინტელიგენცია მოაწერდა ხელს.

როკი ფიქრებს წაეღო. ამათი ასაკის ოდიშელია ყუმბარასავით იქნევდა

მუშტებს კონკრეტული ადამიანი დასაცავად, ესენი კი ამთავითვე საქვეყნო ჭირს ეჭიდებოდნენ ჭიანჭველებივით. კოლოსალური იყო სხვაობა პოზიციაში, მასშტაბებში.

ახსენდებოდა კარანტინში გაჩხრეკვისას სტეპანცევისგან იატაკზე დაყრილი ასანთის ღერები.

,,ეროვნული თავმოყვარეობა უფლებას არ მაძლევს დავიხაროო'', ამნაირი პასუხი მოადგა პირზე მაშინ პირველად, მაგრამ მყისვე სანთებელასთვის გაიკრა ხელი ტრუსზე. ის წინადადება სხვა მოსაზრებით დაამუხრუჭა მისმა გონება, რადგანაც მსწრაფლ გაახსენდა ადრინდელი ნათქვამი: ,,ქურდს სამშობლო არ გააჩნია და არც — ნაციონალობა''. მაშ რაღაა ქურდი? უსამშობლო კოსმოპოლიტი? აკი, ოდიშელიას სტეპანცევმაც ესაყვედურა გაორებული პოზიციის გამო. მერედა ვინ?! — პირწავარდნილმა ვირთხამ.

„სტეპანცევი: თუკი სამშობლოსათვის თავის დადება არ შეგიძლია, მარტო საკუთარი ტყავის გადასარჩენად იზრუნებ, რაღა აზრი აქვს წმინდა გიორგის ნათელმოსილება გმფარველობდეს დღემოსწრება?

ესე იგი ჯერ კიდევ ამოწურული არ არის შენი მისია, შენი დანიშნულება, როკი, — ეხმიანებოდა თავისთავს ოდიშელია, — რაღაც უფრო მნიშვნელოვანს გიმზადებს განგება. იქნებ ამ ახალგაზრდების სულისკვეთებაა ყოველივე, მათი გაუბზარავი რწმენა ჩემს მიმართ?!

როკის თიქრები უნებურად გადაება ექსპერიმენტული ზონის ბირჟას.

ელექტროხერხებით ძელურის დანაფოტების შემდენ, ოდიშელიას კვლავ ბურში განამწესებენ სამი თვით და როგორც კი სტეპანცევის ბრძანებას ვადა გაუვა, კოლონიის უფროსისვე მითითები ავეჯის ფაბრიკაში უკრავენ თავს.

როკის არასდროს დაავიწყდება ,,ტყის საძმოს'' ბრიგადაში ტრიალი. ეს ჯგუფი ძირითადად ბალტიისპირელი პატიმრებითაა დაკომპლექტებული. ოსტატურად ახარატებდნენ ისინი ავეჯის დეტალებს და ოდიშელიაც რაღაცნაირად შეეთვისება მათ. წითელ სამკლავურს არც ,,ტყის საძმოს'' ხალხი იკეთებს. ისინი ხომ უმეტესწილად პოლიტიკური მოსაზრების გამო იხდიან სასჯელს. მათი მეამბოხე ბუნებისთვის განაჩენიც ორიგინალური შეუფარდებიათ — ,,დვადცატპიატ, პიატ ი პიატ''.

კომუნისტური რეჟიმი ადამიანს პოლიტიკურის მოტივაციით იშვიათად განამწესებს სატუსაღოში, აუცილებლად გამოუძებნის სხვა დანაშაულებრივ სარჩულს. როცა მსჯავრდებულის განთავისუფლების ჟამი მოაწევს ეტფიან:

— შენ კიდევ ხუთი წელიწადი მოგისაჯეთ!

— რისთვის? — გაიკვირვებდა პატიმარი.

— ბანკი რომ გატეხე, იმიტომ, — განუმარტავენ.

— რომელი ბანკი, მე ხომ ათი წელიწადია კოლონიიდან არ გავსულვარ? — გაიოცებს ეს უკანასკნელი და მაშინვე გაიცინებენ:

— ვიცით, ვიცით, მაგრამ აი, თუ დაწერ, რომ ჩვენს ქვეყანას არაფერში ემარ-თლები, რომ ჩინებულ სისტემაში ვცხოვრობთ; თუ მოინანიებ შენს წარსულს, ჩიტივით თავისუფალი ხარო, — და საწყალი ტუსაღიც კვლავ დაიმატებს ხუთ წელიწადს.

ახლა მოაწევს განთავისუფლების მორიგი ჟამი, მაგრამ კვლავინდებურად იგივე სცენა გათამაშდება და ისევ ხუთი წლით დაასაჩუქრებენ, ვიდრე ოცდახუ-თი არ შეუსრულდება. ამას იქით კუზიანი სამარეა ციხეში დაბერებული კაცის-თვის, მაგრამ რადგანაც მეტის მისჯას საბჭოური კანონმდებლობა არ ითვა-ლისწინებს, ხუთ წელიწადს ზონის სიახლოვეს აყურყუტებენ და კიდევ მომდევ-ნო ხუთს ჭიტლაყს ამოჰკრავენ, მოისვრიან კავშირის უკიდეგანობაში, ოღონდ ეს პერიოდი სამშობლოს არ უნდა გაეკაროს.

ოცდათხუთმეტი წლის დამანგრეველი სტრესის შემდეგ მართლაც სამა-რეში მისაბარებლადღა თუ ჩაიტანს მამულში გამოფიტულ ძვლებს. დიახ, ოც-დახუთწლიანი მისჯილობა ჭერია საბჭოური სინამდვილისათვის, მაგრამ ამ დრა-კონულ კანონებს, ნიანგის ცრემლებისა არ იყოს, ახლავს ჰუმანურობის ბარ-ბუშელებიც — ადამიანს სასიკვდილოდ არ იმეტებენ. ოცდახუთიანების ამა-ლაში პოლიტიკურთა გვერდით მძიმე ჭაპანს ეწევიან კანონიერი ქურდებიც, თუკი ეს უკანასკნელნი თავიანთი მრწამსის ღალატს ხელწერილით არ დაა-დასტურებენ. ისე კი, ერთსაც და მეორესაც ეძლევათ უეჭველი შანსი ტუსა-ღობის მეოთხედი საუკუნე გაინახევრონ, გაიმესამედონ მუყაითი შრომით. გა-მოიმუშავებ ორმაგ ნორმას?! პატიმრობის ეკლებზე გამოვლილი ერთი დღე ორად გეთვლება, სამმაგზე — სამად, შენს ხელთაა შენი ბორკილების სიგრძოვნება თუ სიმოკლე.

სტალინის კულტის გაცამტვერებასთან ერთად ეს წესიც მოიშლება. მის-ჯილობის უმაღლეს ქრონომეტრაჟად თხუთმეტ წელიწადს დააკანონებენ, სა-მაგიეროდ იმ ზღუდეს იქით დახვრეტით გაჯილდოვებენ თბილისში, როსტოვ-სა თუ სვერდლოვსკში.

ეს ჯელაფერი ,,ტყის საძმოს'' ხალხთან როკის ურთიერთობის ფონისათ-ვის. იგივე სახელი არ ერქვა განა შერვუდის უღრანების მკვიდრთ რობინ ჰუდე-ბის თუ აივენჰოების მეთაურობით?! პირველად სკოტის რომანს წააკითხებს ფისო ქუჩულორიას. კბილის ჯაგრისის შუქზე, ვინ იცის, მერამდენედ ჩაამთავ-რებს რაინდული სულისკვეთების წიგნს. იმდროინდელი ჰეროიკული და ამაღ-ლებული განცდები, მამულისთვის თავდადებას ფეხქვეშ რომ ეგება ფიანდაზად, მიძინებული სიმივით ახმოვანდება როკის სულში და უხარია, ალალ-მართლად უხარია ეროვნული გმირის უკადრისი მონუმენტის გადასაშენებლად ხათაბა-ლაში რომ იხვევს თავს. ამ გადასახედიდან განსხვავებული ელფერით იმოსება შანთივით გავარვარებული მისი წარსული, გაურკვეველი აწმყო და მომავალი — ბურუსით მოცული მთლად.

,,ტყის საძმოს'' ბრიგადიდან ორი პიროვნება სამუდამო დაახსომდება რო-კის — ბარდავეიტე და ვიატკაუტე.

ბარდავეიტე ყოველთვის ამაყობს მითიური სამშობლოთი. პაპისგან ხსომებია იქაური ფერები და სახეები. მერმე სადაც კი ხელი მიუწვდება, ნათარგმანები ქართული წიგნების კითხვაში აღამებს. ,,ვეფხისტყაოსანი'', ვაჟას პოემები, ,,დიდოსტატის მარჯვენა'', ,,გმირთა ვარამი'', სხვანი და სხვანი, მისი თაკარა სულის დამმაწყურვალებელ წყაროდ იქცევა.

— ჩვენი გმირული ისტორია ბევრს აღანთებს ბრძოლის ჟინით, — ეუბნება გალიტველებული ბარდაველიძე, — აღანთებს და იმავდროულად აქცევს კიდეც, ვინაიდან სტალინის სატანურმა გონებამ სახელმწიფოებს, ღმერთმა უწყის, როდემდე დაადო საბჭოური ხუნდები. კონსტიტუციაში კი გიწერია თვითგამორკვევის, დამოუკიდებლობის უფლება, მაგრამ მიდი და გაბედე! ქართული ხასიათი დოდან დომდე უნიკალურია. მარტო პროფესორ ჟორდანიას მაგალითი რად ღირს, ზან გოგონას მაშველი რომ დაუთმო. კი, ბატონო, გასაგებია, თევდორე ბერივით თვალისდაუხამხამებლად დაძირავ მტარვალებს საკუთარ თავთან ერთად ჭაობში, ქვეყნის გადასარჩენად, მაგრამ როგორი უმაგალითო ფაქტია?! ვინ იცის, რანაირად სჭირდება შენი სიცოცხლე სამშობლოს, მის მერმისს და ამ დროს, თითქოს უმიზნოდ გაასაჩუქრებ არსებობას შენსას. სული უდრეკელია მიზანი თუ გაგჩნია, პანტერ. შიში სწორედ უცოდინარობიდან მომდინარეობს, თორემ როდესაც დანამდვილებით გჯერა, რომ შენი საქმეები უკვდავია კაცობრიობის ხსომიერებაში, ამისთანა შემთხვევაში, ჯალათის ნაჯახი და სახრჩობელა უსუსურია. ჩვენ ამაწინათ ვნახეთ დიდებული ფილმი ,,ამაღლება''. დამავიწყდა იმ რეჟისორი ქალის გვარი, იიიი, ჯანდაბას! ყველა დავრწმუნდით, გარეგნულად სუსტში რაოდენი ძალა შეიძლება განავითაროს ზეციერმა. გვსმენია ჩვენ შენს გმირობებზეც, მაგრამ ეს ყველაფერი ზედაპირული, მოჩვენებითი ფასეულობებია, აისბერგის ზედა ნაწილია, რომლის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მასა წყლითაა დაფარული. სანამ იმ სიღრმეებს არ ჩაეჭიდები, თანამემამულევ ჩემო, დამერწმუნე, უსაგნურია მხოლოდ საკუთარი ტყავისთვაის წვალება. გაიხსენე რუსთაველი რასაც ამბობს:

საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაკაცისგანო და იქვე: სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა. ააა, რას იტყვი, ვაიტკაუტე, ხომ არ შემოგახუცდა მეგობარი ცამეტ წელიწადში-

— ამ საკითხის გადაწყვეტა არც ისე იოლია ჩემო ბარდა. უმეტესწილად იმიტომ, ადამიანს ერთი სიცოცხლე უბოძა უფალთუფალმა და ნებისმიერი წვრილმანისათვის მართლაც ცოდვაა მისი უმოწყალოდ გაფლანგვა. შევხედოთ ქრისტეს ცხოვრებას: მე არ მაინტერესებს საკრალური მხარე ამ ფენომენისა. წამით რეალურ პლანში განვიხილოთ მისი ყოფიერების შტრიხები, ხალხისა და პიროვნების ურთიერთმიმართების ჭრილში. ებრაელმა ერმა ქრისტე უკუაგდო არა იმისთვის, ვერ ამჩნევდა მასში ბუმბერაზ პიროვნებას, სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანს; პირიქით, ხედავდა, მაგრამ თავად ებრაელიების წუთისოფელი იქამდე დაეღრღნა ფარისევლობას, კერპთაყვანისცემას, იაფი ფასეულობების განდიდებას, გაფეტიშებას, იესო-მაცხოვრისთვის ადგილი არ

დარჩენილიყო მათ გულებში. ამიტომაც შესძახეს არჩევანისას: ბარაბა! ბარაბაო. მისტიკურ საბურველში გახვეული ქრისტეს ცადამაღლებისა თუ მისი ცხოვრების სათავე, ასევე არანაკლებ ზღაპრული ელფერით შეკაზმული, დიდი ხანია დავის საგანია თეოლოგებსა და ათეისტებს შორის. მაგრამ ჩვენ მოვუბრუნდეთ ადამიანურ პარამეტრებს.

ნაზარეველმა ჯვარზე გაიკრა თავისი სხეული და ამით ბიბლიური დაბადება წრეში მოაქცია. ადამიანი ქრისტეს მეშვეობით დაუბრუნდა სამოთხეს, ანუ სამარადისო სასუფეველს. დავუშვათ, ყველაფერი ასეა, ბარდა, დავხუჭოთ თვალი ქრისტეს ყოყმანს პილატესთან საუბარში თუ თავად ჯვარზე გასვლი პერიოდში, როცა: ელი, ელი, ლამა საბათქანიო, ააპყრობს მზერას მამზეციერისკენ?! საკმარისია კი ეს სულიერი საზრდო ადამიანისთვის?! ან განა ვინც სამშობლოსათვის იბრძვის და მისი სიძლიერისათვის იფერფლება, არ არის განა სხვისი ინტერესების ხელმყოფელი?! ხომ გახსოვს გრიუბერის ,,მაინ კამპფი''?! ჰიტლერი რუსეთზე მეტად ანტისემიტიზმმა გაანადგურა. რასობრივი მოძღვრებიდან ერთი ნაბიჯია ნაციონალისტურ მსოფლმხედველობამდე და კიდევ ოთხი — პატრიოტიზმამდე. ჯერ ვერ მოიძებნა ისეთი ჯანსაღი კონცეფცია, რომელიც ერებს შეკრავდა საერთო სულისკვეთებით, მოშურნეებად კი არა, პარტნიორებად გადააქცევდა.

რელიგიამ ვერ იტვირთა ეს მისია: როკი მართლმადიდებელია, ჩვენ — კათოლიკენი. პირჯვრისწერაც ათასში ერთხელ რომ მოგვაგონდება, განსხვავებული გვაქვს. გამოთაყვანებული სალიკა მუსულმანია, სტეპანცევი — იუდეისტი. ვერ შეიკრიბა ჩვენი ოჯახი ერთ ტკბილ საძმოდ. აქ ქურდების პრიმატი ნაკლებია, ვინაიდან ექსპერიმენტული ზონა განწმენდილია მათი პრივილეგიებისაგან, მაგრამ სამასამდე ბურავიკი, რომელც სტეპანცევის ურჩთა ბუნაგია, ფაქტობრივად დანარჩენი სამიათას ექვსასი კაცის კისერზე ჯდომაა. რომელი კანონმდებლობით გავამართლოდ ახლა ეს? რომელი რელიგიით ან მსოფლმხედველობით? კაცი კაცისთვის მგელი თუა, ხელია ჩასაქნევი მის მოკეთილშობილებაზე კოსმეტიკით, რადგანაც საკმარისია თუთა შხიას კასრში ჩააგდო, მაშინვე ერთ ძლიერამდე დავა მთელი ვირთხობა. არ შეეწინააღმდეგები?! აქეთ შეიჭმევი. სამგვარად შეიძლება ხიფათისგან თავის გადარჩენა. გმბრძანებლობენ?! თავს დაუხრი.

გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო, ფიქრობს სუსტი.

მეორე თანაბარი ძალით დაუპირისპირდება და ერთმანეთის ძიძგილჯუჯღუნში გამოუშვებენ დამშვიდებისათვის სამყოფ სისხლს;

მესამე კი ყოველთვის მზადაა დასასწრებლად, და ამ სამ განზომილებაში იჭყლიტება ათასი ტემპერამენტისა და ინტელექტის პიროვნება.

რომელ უფლისეულ პერსპექტივებზეა საუბარი, როცა სული ამოგრთმევია და უსაგნური ჭურჭელი ხარ, შანსი რომ არ არსებობს ხელმეორედ აღივსო, ხელმეორედ იშვა, გნებავს — სხვათა საკეთილდღეოდ. რას ვეძახით ამას, ალტ-

რეიზმს, ხომ-კი?! ჰოდა, ვიყოთ ალტრუისტები და ტოლერანტები, ხოლო, როცა ყველა ასეთი სულისკვეთებით დაიმუხტება, ბოროტებისთვის ადგილი დარჩება საერთოდ?! მაგრამ შეხედე, აქეთ შენი ეროვნული ძაფები გბოჭავს, გექაჩება უკან ზოგადი ფასეულობებისაკენ მსწრაფველს. რადგანაც ერი მოითხოვს საარსებო დროსა და სივრცეს, რომელთათვის მეზობელს დაუდგამს თვალი. რა უნდა მოიმოქმედო?! უნდა აისხა იარაღი, აისხამ და გაიწირები კიდეც მამულისთვის, მაგრამ ჭეშმარიტებისთვის მაინც ნაომარი არ ხარ, იცოდე. ჭეშმარიტების საზღვრები იოლი დასახატი რომ იყოს, არ გვექნებოდა ამდენი სხვადასხვაობანი რელიგიაში, ფილოსოფიაში, ესთეტიკურ განზომილებებში, და რადგანაც თითოეული ერი, ლიტველია თუ ქართველი, როცა ჯერ საკუთარი ტყავის გასალამაზებლად იფიქრებს, მერე კი — სხვათა, ათასკეცად დავშორდით, ბარდა, ჭეშმარიტების ნაპირს, დავსცილდით და ვერც მივუბრუნდებით ოდესმე. მაშ, სად უნდა ვეძიოთ იგი?! ან რატომ უკვირს კანტს მაღლა ცაზე ვარსკვლავები და მის მეობაში მოცემული მორალი? ეს ყველაფერი ხომ არსებულისა და შეძენილის ერთობლიობაა, მაგრამ თავად ჭეშმარიტება რაა?! ვინ გაგვცემს ამაზე მართებულ პასუხს?! ვერაფერს გვშველიან თვით ცნობიერების ბუმბერაზი მკვლევარები: არისტოტელეები, პლატონები, ჰეგელები და მარქსები, რადგანაც საკუთარის შიგნიდან განივრცო და მოიხილო გარემომცველი სიდიდეები, რომელსაც ღმერთსაც კი ვუწოდებთ ხშირად, აბსურდულია, უფრო მეტიც, მიუღწეველი და აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ხარისხის გმირობა პიროვნების თუ სახელმწიფოს გადასარჩენად, ბალღური თვითკმაყოფილებაა, იმგვარი სწრაფვაა, როგორც ე, იმ ბუზის გაღწევის მცდელობა საამქროს კედლებიდან. მას მეტი შესაძლებლობა გააჩნია საამისო, ხომ დასაშვებია ჩაიმტვრეს მინა, ან რაღაც მისმაგვარი მოხდეს და გააღწიოს ამ რგოლს, მაგრამ მყისვე ახალი ბარიერი აღმოცენდება და ასე დაუსრულებლად, რამეთუ ჭეშმარიტებასთან მიახლოება ჩვენითაა ზღვარდებული, და რადგანაც ფარდობითია ნებისმიერი სიდიდე დროის თუ სივრცის თვალსაზრისით, პანტერას სიჩაუქით დაწყებული, ჩვენი ყბედობით დამთავრებული, მაინც უნდა გახარჯო შენი ძალების მაქსიმუმი ადამიანისთვის, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, რამეთუ იგი უეროვნო, უკლასო ფენომენია იგი ჭეშმარიტების თვალსაწიერით.

— მაშ, სად ჯანდაბაში უნდა წავიდნენ ეროვნებანი, უპიროვნო ადამიანს ემსხვერპლონ? — იკითხავს როკი და სმენად გადაქცეული, ზონის გასწვრივ აბოლებულ ჯიხურებს მიაჩერდება.

— სად?! — ვაიტკაუტე სახარატო დანას მაგიდაზე დადებს, — ძნელია ამაზე ცალსახა პასუხის გაცემა, რადგანაც საითკენაც გასწევს ყველგან ჩიხს წააწყდება, ყრუ რტოსავით უმომავლოა. ადამიანი კი სულ სხვა მცნებაა. რელიგია თავისას! მიითლის კაცისგან, ფილოსოფია — თავისას, სამშობლო, შენი წუხილის საგანი — თავისას, საკუთარი კეთილდღეობისთვის თუ იცხოვრე, მარტოკაცად მოგნათლავენ, ეგოისტად, რომელსაც ადრე თუ გვიან მაინც წაგერთმევა

ყველა უნარი და ღირსება. დარჩები ცარიელ-ტარიელი, გალოკილი თითივით, ასე რომ, პიროვნულისთვის გადაგებას სხვათათვის წვა სჯობია. ქე მაინც დავალებული იქნებიან შენგან, და ეს ჯილდო სულის დამამშვიდებელ მალამოდ წარგყვება საუკუნოდ, სადაც ალან პოს თქმისა არ იყოს, სიბნელეა, სხვა არაფერი.

— აბა, ნათელი? — ჩაეძიება როკი.

— ნათელი არის დიახაც და ადამიანის წარმოშობაც უთუოდ დაკავშირებულია ამ სიდიდესთან, მაგრამ იმდენად არა, ბნელი არ მონაწილეობდეს მის გაჩენაში. ადამიანი ბნელიდან ნათელში გარდამავალი განზომილებაა, ალბათ, მატერიალურ ფასეულობებშია გამოხატული.

— ეს ყველაფერი ზოგადია, მე კონკრეტული პასუხი მჭირდება, ამ სულს მიმართულებას რომ მისცემს. წმინდა გიორგიმ იცოდა ვისთვის ეწამა, რისთვის: მის უკან იესო ქრისტე დგას სრული აღმატებულებით. მიზანი ცხადია — სამების ყაიდაზეა მოსარჯულებელი მთელი კაცობრიობა, და მიჰყვებიან კიდეც კაბადოკიელი მზეჭაბუკის რაინდულ ბუნებას ათასები, თუმცა რა ქნას სხვა ათასმა, რომელიც განზე იხედება, მორიგი წინასწარმეტყველის სხივმოსილებითაა გარემოცული?! გადავყაროთ ყველა ჯოჯოხეთში?! არადა, რაც მეტად უახლოვდები დასასრულს, დღითი დღე სევდა გთანგავს. მანცდამაინც ღვინოსა და ბაშებში უნდა ჩაიხრჩო თავი, რომ დაივიწყო ყოველივე?! სამყაროს აღსასრულის აპოკალიფსურობა, იერემიას გოდებანი, ადამიანისთვის შიშის ზღვა არის მხოლოდ. შეცურდები ამ ზვირთებში და მორჩენილია საქმე, ვერაფერი გამოგიხსნის მორევიდან. ამისთანა შემთხვევაში მე უფრო კონკრეტული ვარ, მარტივი ჭეშმარიტებანი ძაკა ბაბუამ ჩამინერგა ყმაწვილობიდანვე. გლეხური ფილოსოფიაა, მაგრამ წარმოიდგინეთ, შეურყველი. თავად განსაჯეთ, აგურებს აწრთობდა იგი და ყველაფერს მიწას უკავშირებდა, მიწით ხსნიდა, მიწით აზროვნებდა. ვერ ეგუებოდა ადამიანის მიერ ადამიანის დაჩაგვრას. შვილებს და შვილიშვილებს ამას ჩაგვინერგავდა. რაც ასაკში შედის პიროვნება თურმე, ნელ-ნელა უახლოვდება კაცის სამყაროსეულ მოვალეობებს, ობლებისთვის ლუკმა-პურის მიწოდებაა ეს, ბოგანოსთვის ხელის გამართვა, ნაყოფით დაზნექილი ტოტისთვის ბიჯების მიშველიება, მომხდურის წინაშე თავაწეული გასვლა, თუ ჯიშ-ჯილაგის გაგრძელებისთვის გამუდმებული ზრუნვა, მაგრამ ერთს ემხრობი და ათს იმდურებ.

— მოიცა, მოიცა, მერე ცოტაა კაცისთვის განა იმ ერთი მოყვასის მადლიერებამ გაგაცილოს სამუდამო გზაზე?! — ბარდავეიტე ნიკაპს ეჭიდება მარჯვენათი და უკან გადაზნექილი გამომცდელად მიაჩერდებოდა ხან ერთ, ხან მეორე მოსაუბრეს — მდინარის ნაპირს რომ ამაგრაბ ჯებირით შენი მხრიდან, ამით სხვისკენ უბიძგებ ტალღების თავნებობას, მაგრამ ეს ქმედება იმ მეორესაც ადრე თუ გვიან ხომ აიძულებს ადეკვატურ ღონისძიებას მიმართოს და საბოლოო ჯამში, მდინარის სწრავა-ბობოქრობა, ცხოვრების სიმბოლოდ რომ დავსახეთ ამ შემთხვევაში, მართვადი გახდება.

— მერე ატომური ომის საშიშროებამდე არ მიგვიყვანა ამ ჯებირების ორმხრივმა აშენებამ?! — თავაწეულად ამბობს როკი.

— მაშინ ვიწვნიოთ გულხელდაკრეფილებმა მდინარის ტალღის დარტყმები?

— ტყუილუბრალოდ ვიჭაჭებით მსოფლიო წარღვნის შიშით, — ვაიკაუტემ დაზგა აამუშავა, — დედამიწას ჯერაც უამრავი რესურსი გააჩნია ჩვენი ცივილიზაციის სარჩენად ათასწლეულების მანძილზე, მაგრამ საუბედურო ადამიანი არ მიდის ამ გზით — ჯუნგლების კანონი, სატანური საწყისი ამჯობინა ღვითურს და ჩაგვაგდო კიდეც მოუნელებელ გეჰენიაში.

— ადამიანს რას ერჩი, უტე, იმპერიებმა, იმპერიებმა, — ამბობს დამარცვლით ბარდავეიტე.

როკის აქ გაუწყდა ფიქრი,

წერილი უკვე გადაებეჭდა კვეკვე ანთარიას და თანახმა იყო ხვალ-ზეგ თბილისში ჩაეტანა, მაგრამ მომდევნო დღეს მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთმა ახლობელმა ჟურნალისტმა დაწებილი კონვერტი მოართვა.

— დიხამინჯიამ გამოგიგზავნაო, — დააყოლა თან. — ყველაფერი დაწვრილებით იცის თქვნი წერილის შესახებ. გთხოვათ წინდახედულება გამოიჩინოს და მისი დაბეჭდვისგან თავი შეიკავოსო.

— კარგი! — შეპირდა მწერალი და იმავე საღამოს ძეგლის ლიკვიდაციის მოთავეებთან ერთად მატარებლით უტია დედაქალაქს.

გადაიღეს ქსეროასლები. ერთი ეგზემპლარი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ჩააბარეს, დედანი მხატვართა კავშირში მდივანს რეგისტრაციაში გაატარებინეს. შემოინახეს თავიანთთვისაც. ბევრი იხარხარეს დიხამინჯიას ხუთას მანეთზე, რომელიც ქესეტა მგზავრებს ფრიად წაადგათ სამდღიანი გასტროლების ჟამს.

კვირის თავზე ქალაქკომის პირველმა მდივანმა ტიტულიანი წერილი მიიღო მხატვართა კავშირიდან, რომელიც კომისიის დასკვნამდე, მენტორული ტონით მოითხოვდა მათი გვერდის ავლით შექმნილი საეჭვო რეპუტაციის ძეგლის განხორციელების შეჩერებას.

დიხამინჯია გალიაში მომწყდეული ნადირივით აწრიალდა. ოთხასი ათასი მანეთი, რომლის ნახევარი უკვე ათვისებული ჰქონდა ბიბლიაშვილის დახმარებით, ხათაბალას უქმნიდა.

კომისიას ეშველებოდა, მოუქონავდა თავს, გიჟპოეტა ანთარიასაც ხელად მოუგრეხდე კისერს, მაგრამ მთავარი წინაღობა როკი ოდიშელია გახლდათ, რომელსაც გავლენიანი ნათესავიც უმაგრებდა ზურგს.

ცოტნეს ძეგლის შეჩერების ამბავი საარაკოდ დაჰქონდა მთელს ზუგდიდს. ოდიშელიაც ცხოვრებაში პირველად ზეიმობდა საერთო სიხარულით. ერთობლივი გამარჯვება, რომელშიც როკის მცირედი წვლილიც ერია, ყმაწვლკაცურად უჩქროლებდა სისხლს. და რაც მთავარია, სამარცხვინო სკულპტურით არ შეიბღალებოდა ქართული სული, ეროვნული თავმოყვარეობა.

ახალფეხადგმული ჩვილის ნაბიჯებს ჰგავდა ყოველივე როკის ნარ-ეკლიანი

საწუთროს გზაზე. პიროვნულ ღირსებას დარაჯად რომ ედგა აქამდე და არაქათის გამოცცლამდე უბაგუნებდა მუშტებს მოწინააღმდეგეს, გამოჩნდა უფრო ნათელი ასპარეზი, რომლის ნაყოფიც ასჯერ და ათასგზის ეგემრიელა საკუთარი ხელებით გადარჩენილ სიცოცხლეზე.

მთელს ოდიშში შავი ფერის ,,ოცდაოთხი'' ერთადერთს, როკისღა, ჰყავდა კერძო მფლობელობაში. ელეგანტურად ჩაცმას კვლავაც ახერხებდა. დაოჯახებამ, შვილის შეძენამ თუ ძვირფასი მეგობრების დაღუპვამ, მისი გაუთავებელი დროსტარებანი არსებითად შეზღუდა. ოდიშელიას სახელი დღითი დღე იზრდებოდა, დღითი დღე მეტი გაჭირვებული აკითხავდა საქმის გასარჩევად. ზოგს მანქანას ართმევდნენ, ზოგისთვის ფული აეწკაპნათ, მოკლედ, დაჩაგრულს რა გამოლევს ქვეყანაზე, მაგრამ როკი ერთხელ რომ განუდგა მედიატორობას, ბოლომდე მიჰყვა გულის კარნახს. მთხოვნელებს დელიკატურად ჩამოიშორებდა. შევეშვი ამისთანებსო, სხვასთან მიასწავლიდა, დააკვალიანებდა კარზემომდგარს. ისინი კი მაინც არ ცხრებოდნენ, ამბროზ ოდიშელიას იმეგზურებდნენ. ძაკა ბაბუას სულს აფიცებდნენ. იცოდნენ როკის უანგარობა და უკანასკნელ იმედს ხელიდან არ უშვებდნენ. ამისთანებთან არც ტკბილი სიტყვა ჭრიდა და აღარც — დაცაცხანება. კაცებმა ჭკუა იხმარეს და ცოლები შემოუსიეს. ისარგებლებდნენ მანდილოსნები ოდიშელიას არყოფნით. ბეტონის მაგიდას მიუსხდებოდნენ ეზოში, იყვნენ ასე დილიდან საღამომდე მშიერ-მწყურვალნი. ჟენიას თუ მარინას გამოტანილ კერძეულობას პირს არ დააკარებდნენ. როკი შუამავლობას რამდენადაც გაურბოდა, იმდენად უმრავლდებოდა დაზარალებული მის ეზო-კარს.

ოდიშელიას განთავისუფლებით დიხამინჯიას ძალა-უფლება რომ შეუმცირდა, ცოტნეს ძეგლის ჩაფუშვითაც დადასტურდა, მაგრამ იყო კიდევ უამრავი წვრილმანი, სადაც ქალაქკომის პირველ მდივანს როკი ყელში ეჩხირებოდა. ოდიშელიათი გულმოცემულებმა ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებმა წილი შეუმცირეს როლანდს. ზოგმა საერთოდ მიუტოვა ფულის გადახდა. ამიტომაც დაიბარა ქალაქის აცვენილი ახალგაზრდობა თავკაცმა, რომლებიც როკისთან ძმურ დამოკიდებულებაში არ იყვნენ მაინცდამაინც. ოდიშელიას გული უგრძნობდა, დიხამინჯია რაიმეს უმზაკვრებდა, ყველაფერს იღონებდა მის ჩამოსაშორებლად, მაგრამ ისევ და ისევ შავი სამყაროს ხალხს თუ აუმხედრება, არ მოელოდა.

საათზე მეტხანს გაგრძელდა მდივანთან მათი თათბირი. ათასი კუთხით გამოიკვლიეს როკის სუსტი მხარეები. დაშინებით წარბსაც ვერ შეახრევინებდნენ, დაბრედვის შემთხვევაში კი ციხეში მოუწევდათ შესვლა და იქ, უსამართლობის ჩამდენნი მიიღებდნენ თავისას; ამიტომაც გადაწყვიტეს ქურდული გაგებით მისწოლოდნენ.

დაუკავშირდნენ ახალგანთავისუფლებულ კატუკიას, რომელსაც როკის საქმეები ზერელედ წარმოუდგინეს; არც თავიანთი ქვენა ზრახვები და დიხამინჯიასთან კავშირები გაუმხელიათ.

განხეთქილების ვაშლი საქმეების გარჩევა იყო. გაუმაძღრობას აბრალებდნენ, რომ მათი ზეგავლენის სფეროში ოდიშელიას შეჭრამ ფაქტობრივად მშრალზე დასვა ოდიშის აცვენილი ბიჭები.

მდივანმა მოკავშირეებს, ბოლომდე მხარდაჭერა აღუთქვა. სარესტორანო ფულიც უფეშქაშა პარტნიორებს, ოღონდ მათი საუბრის თაობაზე არავის უნდა შეეტყო; მაგრამ ოდიშელიასაც ჰყავდნენ კეთილმოსურნენი და ბიჭბუჭების დიხამინჯიასთან ვიზიტზე სათანადოდ რომ დააკვალიანეს, ჩვეულებისამებრ მოფრთხილდა.

გამოსავალი ყველგან არის, თვით უკიდურესი სასოწარკვეთილების ჟამსაც კი, როცა საშველი არსაიდან ჩანს. შათითეს და ჩიტა ბეზუხას უნუგეშო ამბავი მოაგონდა რატომღაც.

ყველაფერი ობშიაკის ფულის გადამოწმებას მოჰყვება. მამედ ფაშა და სხვები იუკადრისებენ ჩიტას და შათითეს კრიჭაში ჩადგომას. წააქეზებენ ბიჭებს და კბილების დაცვენამდე სცემენ. ისე რომ საავადმყოფოშიც ვერ შევლენ, რადგანაც გარედან აგულიანებენ იქაურებს:

ბითურები არიან და არ გაიკაროთო. რას იზამენ, ბოტკინებიანებში გადავლენ და იქ სიყვითლეს აიკიდებენ. მთელი თვე ეწამებიან. არ გავა ხუთი კვირა, რომ შათითეს დედა მოინახულებს თავის ექვსთითა შვილს. დაზარალებულები მისცემენ ქურდების გვარებს და თხუთმეტიოდე დღეში ოცდაათამდე რამკიანი მოიყრის თავს. ჩიტა ხელით დაუწერს ძმაკაცებს რესპუბლიკური საავადმყოფოდან დაკეტილში:

სხოდკაზე მივდივარ დღეს, თავის უფლების ქურდები არიან ჩამოსულები, ოცდაშვიდი სული და თუ გამამართლეს, ალიურას დავიძახებო.

როკი და მისი საძმო გისოსებს მიაწყდება. სამი საათი გაგრძელდება სხოდკა, მერე ბეზუხა ისეთი ხმით დასჭექებს ,,ალიურას'', მთელი დაკეტილისა და რესპუბლიკური საავადმყოფოს ხალხი ერთხმად აჰყვება: ,,ალიურა, ალიურა!''

მოგვიანებით შეიტყობს ამ სიტყვის მნიშვნელობას ოდიშელია. ირემშებმულ მარხილს ასეთი შეძახილით დასძრავს თურმე ადგილიდან ჩუქჩა, ხანტი თუ ნენცი. მოკლედ, ქურდულ სამყაროში სამართალი უფრო ხშირად იმარჯვებს, ვიდრე მარცხდება. მთავარია, თავად იყო ცოცხალი, თორემ საქიოს გამგზავრებულისთვის თავს არავინ შეიწუხებს.

ითქვა, ეროვნული თვითშეგნება ნაკლებია ქურდულ საყაროშიო, მაგრამ ამისთანა განცხადებას აქვს ობიექტური საფეძვლები.

ეროვნული გრძნობა ციხეშიც იმიტომაც არის გადაწეული მეორე პლანზე, ყველა პატიმარი საერთო გაჭირვების პირმშოა, როგორც უდაბნოს ოაზისის მუჭა წყალთან თავმოყრილი მხეცები. თავის უფლების აღკვეთა და მასთან დაკავშირებული სიძნელეები არესტანტს აიძულებს ინტერნაციონალისტად

გამოაცხადოს თავი; ეროვნულობის ნიშნით კი არ გაარჩიოს მართალ-ცთომილი, არამედ — საკუთარი სიმართლის მიხედვით.

სიმღერას აჰყოლოდნენ. ზონის რადიოში,,მიმინოს'' ჩიტო-გვრიტო გაისმა. მთელი ხალხი სიყვარულით მიაჩერდა, ამდროს მამედ ფაშამ ბაიათზე გადართო. ეს ყველაფერი ჩიტა ბეზუხას და შათითეს ფათერაკამდე გვარიანი ხნით ადრე მოხდა. სენაკელმა ბიჭმა ისევ ,,მიმინოზე'' გადათიშა, მიუხედავად იმისა, მამედ ფაშასი სიკვდილივით ეშინოდა. იგი შუახანს გადაცილებული ავტორიტეტიანი მუჟიკი გახლდათ, წარმოშობით ზაქათალადან, მარნეულის მკვიდრი. ოთხი ცოლი ჰყავდა, მათ შორის ნაბოლარა ინგილოელი მზეთუნახავი.

შაჰ-აბასისა არ იყოს, მის წინაპარს ეტყობა ქართული სისხლი უჩქეფდა ძარღვებში. ნამდვილი გოლიათია, ხორბლისფერი, ხუჭუჭთმიანი. სანამ არ გაიცინებს თანამემამულეთაგან ვერ გაარჩევ, მაგრამ დააღებს პირს და მის წარმომავლობას ხელად გასცემს ოქროთი შემოსილი ჯანსაღი ოცდათორმეტივე კბილი. და აი, ბაიათების მოტრფიალეც არ დააყოვნებს, ისე სცემს, ისე მიასავათებს როკის კუთხის შვილს, თბილი წყლით მოსაბრუნებელი შეიქმნება. ყველა ტრასიდან მობრუნებულ ოდიშელიას მიაჩერდება. მასზეა დამოკიდებული შერჩება თუ არა მამედ ფაშას ამდენი თავგასულობა. ნამდვილ პოდპოიასნის ზურგს ჩეჩქვივით ფული და სამჯერ მეტი ძალგულოვნება უმაგრებს. პირისპირ შებმა ვერ იქნება როკისთვის მაინცდამაინც სახეირო, ამიტომაც ქურდებთან შეთანხმებით ორთაბრძოლაში გამოიწვევს.

საცხოვრებლიდან სამუშაო ზონაში გადავიდეთ, თუ ნაღდი შერკინებაა, ბარემ სუფთა ჰაერზე იყოსო და აქ მამედ ფაშა ცოტათი ყლაპავს.

მიდიან. უკან მისდევთ ორასამდე პატიმარი. წინ კუტიკარია. ოდიშელია დაასწრებს შესვლას. მამედ ფაშა სანახევროდ შემოეტევა თუ არა, მოწყვეტით გაუქანავებს თავს და დევივით კაცი ეგრევე ჩაკეცება. იქვეა მომცრო აუზი, რომელშიც სულ ცივი წყალი კამკამებს. ზაფხულობით აქ საზამთროებს ყრიან და რომ არ შეეშალოთ, ინიციალებს ამოფხაჭნიან. ეს არის და როკი ერთ უშველებელ საზამთროს დაადგამს თვალს. ამოათრევს აუზიდან, გამოუმიზნებს დარეტიანებულს და დააფშვნის სახეზე მეტოქეს. ამ შეხლა-შემოხლის გამო ოდიშელია კინაღამ თავს წააგებს, მაგრამ ისევ საქმის გარჩევა უშველის.

— აბიჟნიკს საკუთარი მეთოდებით თუ გაუსწორდებიან, ქვეყანა არ დაიქცევაო, — დაასკვნიან და მამედ ფაშა პირში ჩალაგამოვლებული დარჩება მამედ არბუზის სახელით.

აქ კი საქმე სხვანაირად აეწყო.

დიხამინჯიას ხალხი როკის სუსტ ნაპირებს ეძებდა, სადაც უფრო თამამად გადაისვლებოდა. საბაბიც მალე გამოიჩითა. მისი კარის მეზობელი, ყველაფერში რომ ოდიშელიას ბაძავდა და მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა, აცვენილ დიხამინჯიელებს ბირჟაზე გამოეჭირათ; უკეთ, ლუდხანაში აუგად მოეხსენიები-

ნათ თურმე მის გასაგონად როკი. ჯიშკარიანის ვაჟს თავის გამოედო და ხუთმა თუ ექვსმა კაცმა დაუნდობლად სცემა. ძლივს მოასულიერეს საავადმყოფოში.

ოდიშელიამ ყველაფერი ხელად იყნოსა და დიდების მაძიებლებს უცერემონიოდ შეუთვალა:

— ან სათითაოდ მუხლს მოუყრიან ტრამვატოლოგიურში, ან საერთოდ ზუგდიდიდან გადაიკარგნონო. ვნახოთ დიხამინჯიას იმედით სანამდის ივლიანო!

დამჩოქებელნი ისინი არ იყვნენ, ვინაიდან ქალაქკომის მდივნის დავალებით მილიციის ფხიზელი თვალი მეურვეობდა თითოეულს. მაინც მოიხელთა. „ტეტეს“ ტარით დაუხეთქა წარბები რიგ-რიგობით. ესეც არ აკმარა, ქალაქის საზოგადოებრივი საპირფარეშოსკენ გაირეკა ხუთივე, შელალა ტუალეტში, სადაც მაწანწალა ძაღლები და მესოფლია ღორები ერიდებოდნენ შესვლამ. გვარიან ხანს აყურყუტა მუხლებამდე ლაფში.

საქმეც აგორდა. წამსვე კატუკიასთან გავარდნენ გამოსარჩლებისათვის, თანაც ათასნაირად წამლავდნენ როკის წინააღმდეგ:

— ყველა განაწყენებული პანტერასთან დადის საქმის გასარჩევად. წარმოება-დაწესებულებათა დირექტორებთან რომ მივალთ, მაშინვე მის სახელს იშიშვლებენ, მისით გვაშინებენ და ახლა იმათ კაპიკიანსაც ვერ გააგდებინებ ხელიდანო. კავშირიდან თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წონიანი ქურდები ჩამოსდის, ყველა მისი სტუმარია. თქვენ არავით გცნობთ, ჭიანჭველადაც არ გაგდებენ როკის წყალობით. ჩვენ გვქონდა მასთან ადრე ლაპარაკი, მაგრამ მასხრად აგვიგდო.

გვითხრა, თუ მომპარავები ხართ, იპარეთ ბიძიკოებო, ხოლო შეწერვა, შანტაჟი, აფიორა, ეს ქურდის საქმე არ არისო და ირონიული სიცილით გაგვეცალა. აბა, ჩვენ რა დაგვრჩენია, მაიცდამაინც ჯიბეზე უნდა ვირბინოთ? რა გიპნოზი გაუკეთა ამ ხალხს ვერ გაგვიგია. ჩამოსვლისთანავე მონუსხა დიდ და პატარა, ყველა მასთან დარბის, ყველა კუდში დასდევს. განგებ გარჩევებზე უარი განაცხადა ფერდინანდის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ იქიდან მოყოლებული, ხალხი მთლად ფუტკარივით დაესია. ვითომ მართალი კაცის სახელით სარგებლობს. გარჩევის ფულს უკადრისობს. მილიონიც იყოს, ხელს არ ახლებს, ვითომ თვალის ჩინივით უფრთხილდება სახელს, სინამდვილეში კი სახლს უშენებენ, მანქანებს ჩუქნიან, იმპორტული ავეჯითა და ფერადი ტელევიზორებით გაავსო ოჯახი. რაც მაგას დამკვრელებისთვის გადაუყრია „თუთარჩელაში“ ერთ ჯერობაზე, ჩვენ თვეობით ვერ ვშოულობთ. კი, მაგრამ საიდან?! ფულებს ჭრის?! კიოა?!

ამას წინათ ორმოც კაცამდე შევგროვდით ბოტანიკურ ბაღში და ერთ გადამგდებს სამოც ათას მანეთს ვაწერდით. უკვე ბაზერი მორჩენილი იყო, მაგრამ მოვიდა თავისი შავი „ოცდაოთხით“ და საქმის თავიდან მოსმენა ითხოვა. გვათქმევინა ორივე მხარეს და უცებ ამისთანა მოხია:

თქვენ შანტაჟიორობთ, არაფერი გერგებათო.

ჩვენ გავიხმეთ და იმ თანხის ნახევარი შევაძლიეთ, თან ვეუბნებით:

ეს ხომ გადამგდებია-თქო. იმან კი არ დაიშალა თავისი.

ვიცნობ კარგად, ცუდი ბიჭი არ არის, ათ ქურდზე აქვს მანქანა გაკეთებული. მერედა ფულის ნახევარს რომ მპირდებით, ვინმეში ხომ არ გეშლებით, ახვრებოო, იარაღისკენ წაიღო ხელი და თავს ზემოთ ძალა ხომ არ იყო?!

ორი თავის დამჭერი მე არა ვარო, ამოუჩემებია. რატომღაც იმ ორ თავში ჩვენი ყოველთვის ზედმეტია. ამბობენ, იმ გადამგდებლისაგან კაპიკი არ აუღია, მაგრამ ისიც ითქვა, ,,ცხრიანი'' ჩამოუყვანია მოგვიანებით, ,,ბელიე ნოჩის'' რომ ეძახიან. ფინალი ესაა ძმაო. რამდენადაც ვიცით, ვერც თქვენ უჯოკრავთ მაგის ავტორიტეტს ჯერჯერობით. რამეს თუ არ ვიღონებთ ერთობლივად, წამხდარია საქმე, ზუგდიდიდან გადასახლება მოგვიწევს.

ციხიდან ახალგამოსული კატუკია, როკიზე ბევრად უმცროსი იყო, მაგრამ როგორც შლანდორიკსა და კაზბეკაზე ბრძანა ვასია ზატოჩნიკმა, მომავალი უჭყოოდა. საკუთარი ხელწერა ჰქონდა, წონაც — ადგილობრივებში, მიმწოლიც გახლდათ, წარბშეუხრელიც, ოღონდ ეს არის, როკი შორიდან ესალმებოდა, როგორც რიგით ოდიშელს და არა — ქურდს, მოვლენათა წარმართველს.

მიუტანეს ამბავი კატუკიას: ,,ეგრისში'' ქეიფობს პანტერა თბილისელ სტუმრებთან, უკეთეს მომენტს ვერ შეურჩევო და საკმაოდ შეზარხოშებული ამფსონებით ფუნიკულიორიდან ენგურქაღალდკომბინატისკენ დაეშვა.

რესტორანის ცენტრალურ დარბაზში პურმარილობდა როკი დედაქალაქის ნაღებ მუსიკალურ საზოგადოებასთან. ოცამდე ქალი და კაცი ლხინის ეშხში შესულიყო ესენი რომ შემოვიდნენ და ფანჯარასთან, მიდგმულ მაგიდას მეორე მიუმატეს.

ოდიშელიას ტანმა უგრძნო ფათერაკი წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით იძაბებოდა.

შეზარხოშებული კატუკია დაურიდებლად მივიდა მეზობელ სუფრასთან, როკის თითი მიაშვირა და უსალმოდ იხმო:

— ერთ წუთს მჭირდები.

თანამეინახეებს ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ფრიადმნიშვნელოვანი დეტალისათვის, რადგანაც ოდიშელიას ირგვლივ მათ ორი საათია ესმოდათ მითები მოროხროხე სპილოსაგან, თუმცა კი, თითით მოხმობა ქურდულ სამყაროში აკრძალულია საერთოდ; ქურდულ მასტებს ასეთი ჟესტით საუბარს ვერ უბედავენ და როდესაც თავად მოიმოქმედებ აკრძალულს, ესე იგი ნიშნავს — ჭერი ვარო.

როკი ხელად მიჰყვა ძალადსტუმრის ვიზიტს, რადგანაც ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო, ესწავლა ძაკა ბაბუასგან.

— პანტერა, — დაიწყო საკმაოდ სპორტული აღნაგობის ოცდაათამდე წლის ჭაბუკმა, — სწორედ შენის წყალობით დაიკარგა სამოცი ათასი მანეთი, სადაც ჩემი წილიც ერია. შენ გადაეფარე არიფს. ასე არ გამოვა.

— თქვენ უკვე შეწერვებზეც გადახვედით, კატუკია? თან კანონიერ ქურდადაც მოგაქვთ თავი. სად არის აქ ლოგიკა?

— პანტერა, მე ქურდი ვარ! შენ, როგორც მესმის, ავტორიტეტიანი პირველი მუჟიკი მთელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. ბევრი კარგი საქმე გაგიკეთებია თურმე ჩვენი ხალხისათვის, მაგრამ ზუგდიდში შენი სახელი მთლად ბრილიანტივით ბრწყინავს, ჩემი კი — არსად. სამართალია?!

კატუკიას თანამეინახენი გაჩუმებულნი უსმენდნენ, არ უნდოდათ უადგილო ჩარევით საქმე გაერთულებინათ. მით უფრო იცოდნენ როკის ხასიათისა და მდუმარებდნენ ამიტომაც.

— შენი აზრით რა უნდა გავაკეთო, კატუკია, რომ ამოტივტივდე? — ოდიშელიას თვალები დაუვიწროვდა ცნობისწადილისაგან.

— უნდა დამითმო ზოგჯერ. მე ვაწერ?! შენ არ უნდა ჩაერიო. მე წილებში გავდივარ?! შენ — „ნივიჟუ“*გააკეთე.

— ქურდი ქურდული ილეთით და კანონებით უნდა იპარავდეს, კატუკია, არ უნდა აწერდეს ვინმეს, არც წილში მიდიოდეს, გაიგე? მარტო უნდა ქურდობდეს, ქურ-დობ-დეს!

— ახლა სხვა დროა, პანტერა, ქურდებში ბევრი რამე შეიცვალა. როგორც ჩანს, დროს ჩამორჩი, ძველო! გაიხედე რა ხდება თბილისში, ლენინგრადში, მოსკოვში!

— ქურდული დაუწერელი იდეაა, დაუწერელი კანონია, მაგრამ — უცვლელი. რასაც შენ ქადაგებ, ასეთ საქმეებს რეკეტები და განგსტერები აკეთებენ. ფულის შოვნა აბიჟნიკობითა და შეწერვებით თუ გნებავს, კეთილი, კატუკია, მაგრამ მაშინ ქურდის სახელითაც ნუ სარგებლობ. ქურდული კანონები მე არ მესწავლება, — როკიმ ელვისებური მზერა ჰკიდა მიტოვებულ სუფრას, თამადობა სპილოს ჩაეგდო ხელში და მომხიბვლელი ბარიტონით სადღეგრძელოს ამბობდა ფეხზეწამომდგარი, მარჯვენას დათმობდა ოდიშელია, ოღონდ დედაქალაქელი სტუმრები არ ჰყოლოდა. ამწუთას, თუმცა შეხლა-შემოხლა მსგავსი სიტაუციისთვის გახლდათ გათვლილი, — მაგათში გამოვიზარდე და წოდებას რომ იძლეოდნენ ქურდული კანონების ცოდნაში, მარშალი ვიქნებოდი.

კატუკია წამოყირმიზდა. ის ექვსეულიც შეიშმუშნა.

— პანტერა, იცი, რა გითხრა?! შენ ჩემთან ბრძოლას წააგებ, რადგანაც მთელი ახალგაზრდობა ქურდული გაგებისაა და მე მომსდევს.

როკის გაეცინა.

— ერთიც რომ დავრჩე, მაინც ვერაფერს დამაკლებთ. საქართველოს და კავშირის ქურდობა ჩემთან ჩამოდის, აქ, ზუგდიდში, ხოლო შენ არავინ გცნობს, როგორც ქურდს. კი, ბატონო, ჩინებული ყმაწვილკაცი ბრძანდებით, თანაქალაქელი ჩემი, მაგრამ მე ვერაფერი მაიძულებს პატივი გცე როგორც ქურდს, რადგანაც იგი არა ხარ! გაიგე, კატუკია?! ჩემი სიტყვები შენი საქციელითაც დასტურდება, მოხვედი სუფრასთან ჩემზე დაქოქილი და სრულიად სამეგრელოს სტუმრებს უსალმოდ ჩაუარე. არის დედამიწის ზურგზე ქურდი, რომელიც ასე ხეპრულად მოიქცეოდა?

კატუკია გაფითრდა, აძაგძაგდა, მკერდზე მიადო ორივე ხელი როკის, თითქოს შეყოვნებას უპირებსო, სინამდვილეში რაც ძალი და ღონე ჰქონდა უბიძგა. ოდიშელია შებარბაცდა, გადაიზნიქა, მაგრამ მაინც უწვდინა მუშტი უკუქცეულმა და კატუკიაც მოწყვეტით დაეცა იატაკზე. ექვსეული სწრაფად შემოეხვია თავის ლიდერს. ააყენეს და იქაურობას გაეცალნენ, ისე რომ ბუფეტიდან გამოსულ მომტანს მხარს ზემოთ გაუშეშდა მისაყოლებლით სავსე ლანგარი.

მეორე დილით აივანზე ჰანტელებით მოვარჯიშე როკის ავტორიტეტიანი ხალხი მოადგა.

— ვალერიანოვიჩ, — მორიდებით უთხრეს ჭიშკართან გამოგებებულ მასპინძელს სტუმრებმა, — კატუკია და მისი საძმო სხოდკაზე გიწვევს ზეგ ცაიშში, პაპაშ დოხორესთან*, დღის თორმეტ საათზე.

— ასე გადაეცით იმ ჩემისას, ქურდად არ გცნობს-თქო. ახლა ადგება და მიღებას მომთხოვს, მაგრამ ამისი იმედი ნუ ექნება. და რადგანაც მართლა გადაუწყვეტია ქურდების შეგროვება, ვიცი, მაგი რისი გამკეთებელიცაა, ორ დღეში კი არა, ოცდაორში ვერ მოახერხებს ამას. სხოდკას არქმევს და სხვა რაღაც განუზრახავს. უმჯობესია მე თვითონ ჩამოვიყვანო ქურდები პარასკევისთვის, იგივე დროზე, ოღონდ არა პაპაშ დოხორესთან, არამედ — პაპანწყილთან, ხობის რაიონში, მჟავანაძის დაჩაზ რომ იყო, ახლა პიონერთა ბანაკია. აქვე ვაფრთხილებ, სხოტკა არ გასკდეს! ნება მისი, დაე, იქ გაირკვეს ვისი სიტყვიდან გახდა სახელიანი. რახან ცილისმწამებლად გამომაცხადა, დაამტკიცოს თავის სიმართლე, ვინ აჩუქა ეს წოდება, ვისგან ეკურთხა.

ჯერ კიდევ ლევან დადიანის მამის, მანუჩარის, მთავრობის დროს, სადაც ახლა უმშვენიერესზე უმშვენიერესი, ათასიოდე კვადრატული მეტრის სარკის ტბა კამკამებს ფირუზის თვალივით, კლდე ყოფილა ამოშვერილი, კირ-ქვიანი, ბზისა და შქერის ხშირი ჯაგებით დაფარული, რომლის წვეროზე კოხტა ეკლესია მდგარა, წმინდა გიორგის სახელობისა.

ჩვენი საუბარიც ამ მიმართულებითაა.

შუადღეა. აღმართს ორნი მიუყვებიან, მღვდელი სიდო და მისი დიაკონი ცახუჯი. ამ უკანასკნელს ხურჯინი ჰკიდია მხარზე. მეწინავე უფროსია ასაკით, ჩამორჩენილი კი სრულიად ახალგაზრდა. ზომაზე მეტად გამხდრებს ეტყობა გვარიანი მანძილი გაუვლიათ, ვინაიდან ხშირ-ხშირად ისვენებენ ფერდობზე წაკლაკნილი ბილიკით ამაღლებისას.

— საინტერესოა მოვიდნენ თუ არა? — კითხულობს დაწინაურებული და ისევ გააგრძელებს მომქანცველ სიარულს.

ეკლესია ხელისგაწვდენაზეა თითქოს, მანძილი კი არა და არ ილევა.

პაპა სიდო და ცახუჯი თავად ჯილაიას კარის ეკლესიის მსახურნი გახლავან. ჯილაძეების ეკლესიაში დიდი ხანია ზარების რეკვა შემწყდარა, ვინაიდან თურქებიც სწორედ წირვების ჟამს გამოჩნდებიან ხოლმე დაბარებულივით და

დიდ-პატარას სტამბოლში წაასხამენ. ყურუმსაღები ვაჟებს დაითრევენ. ყურსალები — ქალებს და საერთო ვაება-გოდებაში ჩამოაშორებენ უბადრუკ კერიებს.

ახლა ჯილაძეს ოქრო გამოლევია ქისაში და ათას ხრიკს მიმართავს საკმაოზე მეტად ალაგმული მადა ძველებურად იცხონოს.

შეიკრიბებიან მღვდელმსახურნი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში სათათბიროდ. ერთად გადაწყვეტენ საბოლოოდ, როგორ აჯობებს მათთვის: კვლავაც უკაცრიელ მონასტრებში დარჩნენ თუ იღონონ სხვა რამ.

ისევ აღმართს მისდევე პაპა სიდო და მისი დიაკონი.

— პირველად მაინც შენ უნდა გაგკრიჭო, — ეუბნება პაპა სიდო ცახუჯიას, — მისაბაძი მაგალითი ხომ იცი, დიდი მნიშვნელობისაა.

მოსალაპარაკებლად მოსასვლელი მღვდლები კუთხით მეგრელები არიან — ოდიშარნი და ძველქართული სახარებისა თუ საეკლესიო წიგნებისა არაფერი უწყიან. უფრო სწორად. დაუზუთხებიათ, მაგრამ შინაარსს კი ვერ მოგიყვებიან.

უშველებელი ცაცხვის ძირას, კანაცლილ ძელზე თერთმეტი ბერი დახვდებათ ახლმოსულებს, ახალგაზრდები, ჭარმაგნიც, ყირმიზი სახისანი, კოლხური აღნაგობითა და გამოხედვით.

მიესალმებიან, ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს.

მზე აცხუნებს, მაგრამ ცაცხვის ჩრდილი საამურია. მორეულ მაგიდაზე ალაგია გახუნებული აბგები და ხურჯინები, ყოველივე, რაც შორეული მგზავრობისთვის სჭირდებაკაცს. იტალიელი მისიონერის გემს უნდა გაჰყვნენ რომისკენ. იქ წვეროსნებს ეკლესიაში არ უშვებენ თურმე. ამიტომაც უმჯობესია აქედანვე დაიჭირონ თადარიგი.

ღუღუნებს მაკრატელი. კოჭებთან ცვივა შავტუხა თუ ქერა, სრიალა თუ ხუჭუჭა წვერი. რომის პაპი აკურთხებთ. იქ ლათინურს ისწავლიან, საფუძვლიანად დაეუფლებიან ღვთისმეტყველებას. ჩააცმევენ და დაახურავენ, აჭმევენ და ასმევენ. სამი წლის შემდეგ, ვინც უკან დაბრუნებას მოინდომებს, სამშობლოში გამოისტუმრებენ. ასეთია სიდო პაპას გეგმა.

თმასაც მოკლეზე დაუყენებს თითოეულს.

— ახლა ვილოცოთ შვილნო, ჩემნო, მამაღმერთისთვის, ძე ღმერთისთვის და სულიწმინდის უკვდავსაყოფად.

პაპა სიდო კაბის კალთას გადაიბერტყავს. მაკრატელს აბგაში ჩააცურებს. კისრიდან მოიხსნის თასმაზე გამობმულ გასაღებს და ეკლესიის რკინის კარებისკენ მიერმართება. ღრჭიალით გახსნის ბოქლომს. ჭრიალ-ჭრიალით გამოაღებენ ეკლესიის შესასვლელ კარებს.

პაპა სიდო ხვნეშის. კარიბჭესთან დაყუდებულ ლოდზე წამოჯდება. საკურთხევლისკენ მიეშურებიან ღვთისმსახურნი.

ქონგურებიდან ძლივს აღწევს დღის ნათელი, რადგანაც გარშემო ტანმაღალ ხეებს ერთიანად დაუჩრდილავს შუქის ისედაც შევიწროვებული წყარო.

ახლების დაყოლიება არ ყოფილა საძნელო საქმე პაპა სიდოსათვის, ვინაიდან

დავრდომილ ოდიშში ისე უკულმართად წარიმართა ცხოვრება თავაშვებული მანუჩარის წყალობით, ხალხი მშიერი იხოცება. მათ შორის — სამღვდელოების წარმომადგენელნიც, რადგანაც ამ უკანასკნელთ უნდობლობას გამოუცხადებს მრევლი და ეკლესიებს შესაწირავი არ შემოსდის, რომლითაც სულდგმულობდა ბევრ-მონაზვნობა აქამდე. ჰოდა, წმინდა გიორგის საკურთხეველთან ლოცვაში გართულ ახალგაზრდა თუ ხანდაზმულ ბერებს თანდათან გადაავიწყდათ პაპა სიდოს სახსენებელი.

ხვნეშის პაპა სიდო, ოხრავს. ასე, ნელ-ნელა მომუწავს კარებს. ანჯამებში რკინის მძიმე ურდულს გაუყრის და ნახვრეტებში ბოქლომს დაადებს. გასაღებს ისევ ყელზე ჩამოიკიდებს უშველებელი ჯვრის გვერდით. კვლავ გახურებულ ლოდზე ჩამოჯდება.

გვარიანი ხანი ეკლესიიდან ჩამიჩუმი არ ისმის. ახლა პაპა სიდო ხუმრობის ხასიათზე მოსულა. რკინის კარზე მუშტს ურახუნებს და აქეთკენ იწვევს გასაკათოლიკებლად გამზადებულ მართლმადიდებლებს.

— შვილნო, ჩემნო, გეყოფათ აწი ლოცვა-კურთხევა, მერეც მოასწრებთ, სამი წლის მანძილზე სხვა რა უნდა აკეთოთ?! აქეთ მოიჩოჩეთ ჩემსკენ. კართან მოჯარდით. კარი კი მოვხურე, მაგრამ ეს იმიტომ, გამოგცადოთ წასვლის წინ. თქვენს შორის უცოდველი რომელიც იყოს, მოვიდეს და შეეხოს ამ წმიდა შესასვლელს. ვიმეორებ, უცოდველი რომელიც იყოს-მეთქი. წინააღმდეგ შემთხვევაში ღვთის რისხვა არ აგცდებათ და უფალმა უწყის, გაშლილ ზღვაში რა ხიფათს შეგამთხვევთ მამაზეციარი? უნდა განიწმინდოთ, შვილნო, ჩემნო. წარმოიდგინეთ, თითქოს აღსარების ზღურბლთან დგახართ. თუ იცრუებთ, კარი სამუდამოდ ჩაიქოლება, მაგრამ გულებს თუ გადაუხსნით მაცხოვარს, თავისით განიხვნება იგი, როგორც მოწყალება, მიტევება თქვენი მიწიერი ცოდვებისათვის. აბა, აბა, რომელი გადმოდგამს პირველ ნაბიჯს?!

ზედ კართან ისმის ჩურჩული, მაგრამ შეხება ვერავის გაუბედავს.

— კარგი, შვილნო, ჩემნო, ვიდრემდის რომც გაჰყოლიხართ მისიონერს, იქნებ აღსარება უთხრათ პაპა სიდოს. რა, განწმენდაზე უარს ხომ არ აცხადებთ?! წარწყმედილნი ცოტაა იტალიაში, თქვენც რომ არ მიემატოთ?! მეც მომიკრავს ყური ზოგი რამ თქვენს ბიწიერებაზე, მაგრამ აღსარება შვებაა. ის გვიიოლებს უფლისკენ მიმავალ გზას. ცახუჯი, შენგან მინდა დავიწყო. შენ მისაბაძი უნდა იყო ყველგან და ყველაფერში.

— პაპა სიდო, ამდენ ხალხში აღსარება გამართლებულია?

— რატომაც არა ცახუჯი, შვილო! თქვენ უფლის სხეულიდან საუბრობთ ახლა. თქვენ იქ თორმეტი კი არა, ერთი ხართ, მაცხოვრის სულითა და სხეულით შეკრულ-შეკავშირებული. მერედა, რა მნიშვნელობა აქვს. ხუთს ეცოდინება შენი ცოდვა, ათს თუ ერგასს, როცა ღმერთი კრებს მათ სათითაოდ, საკუთარ წიაღში იტევს სრულიად?! ნუ აყოვნებ, ცახუჯი, შვილო, თქვი ბარემ შენი ძმის შვილის ამბავი.

— ცოდვილი ვარ პაპა სიდო, მე, ცოდვილი, როგორც უფლის, ისე — ოჯახისა და გვარის წინაშე. ძმა ადრე დამეღუპა. შეშით სავსე ურემი დაუგორდა უბედურს და ასე საწყლად განუტევა სული. დამრჩა სარჩენად რძალი და სამი ძმის შვილი. ბიჭები ოთხი წლის წინათ თურქებმა მოიტაცეს. მამისეულ ქოხში ვცხოვრობდით რძალი, ძმის შვილი გოგონა და მე. ერთ ჭერქვეშ ვიყოფდით სიცივეს და შიმშილს. ერთი გვქონდა ტაბაკი, ლოგინიც... გოგონა თერთმეტი წლის ძლივს იქნებოდა და როგორც კი დაიძინებდა, რძალი მზრუნველობით დამიწყებდა ფერებას. კერიაზე ინავლებოდა ფიჩხი, ის კი ვნებიანად მეჩურჩულებოდა ყურში, თავისი ცხელი სხეულით მაწვებოდა და ვეღარ გავუძელი ცდუნებას, ავყევი მის ფეხის ხმას. ხალხის რისხვის მეშინოდა. ვეუბნებოდი კიდეც ამას, მაგრამ მამშვიდებდა:

ვინ რა გაგვიგებს, როცა ღმერთი ჩვენთან არისო.

გადიოდა თვეები, წელი, ქალი კი უფრო და უფრო შმაგდებოდა. უკვე ჩემი ალერსი არ ჰყოფნიდა, ვერ ვუმკლავდებოდი მის გაუთავებელ მოთხოვნებს და ამ დროს ახალი საშინელება გამოიგონა მართლაც შეჩვენებულმა: გვარიანად წამოჩიტული ძმის შვილი დაქოქა ჩემს აღსაგზნებლად.

მოდი, ნანა, მოვეფეროთ, გავათბოთ ბიძიაო, იტყოდა.

ჩვენ ერთმანეთს ვიყავით ჩახუტებულნი, ის გოგონაც ხელებს შემომხვევდა, ზურგიდან და ვეყარნეთ ასე ტიტლიკანანი ლოგინში. ერთ სხეულად გადაქცეულნი. ტიტველი ზურგით ვგრძნობდი ძმის შვილის პაწაწინა ძუძუებს, მის ოხშივარს, რომელიც თავიდან მზარავდა, მშთანთავდა, მაგრამ ნელ-ნელა მივეჩიე, მივეჩვიე კი არა მოთხოვნილებად მექცა და ასე გაგრძელდა მთელ წელიწადს. მომდევნო შემოდგომაზე, ქალი უფრო ვნებიანი შეიქმნა. ახლა დაურიდლად ამბობდა: ჩვენი მამაკაციო, ჩვენი ბიძიას მაგივრა. გოგონა უკვე ცამეტი წლისა იყო, მკერდი ქვასავით გახდომოდა, მკვრივი, წელი — კატასავით მოქნილი. რამდენადაც დაფეხვილი იყო დედამისი, იმდენად დრეკადი გახლდათ გოგონა. ვიდრე დედას ვეალერსებოდი, მთელი წელიწადი კვნესოდა, იკრუნჩხებოდა, მაგრამ უკვე მისი ჩია თითები ჩემი სხეულისკენ გამორბოდნენ, დედის მოთენთილ ხელებს გზადაგზა იცილებდნენ სავნებო ადგილებიდან. როდესაც ნეტარებისგან მთვრალი რძალი ლოგინისპირისკენ მიტრიალდებოდა და მამაკაცურ ხვრინვას ამოუშვებდა, ახლა თავისკენ მიმათრევდა ეს თავბრუდამხვევი მორევი, მიმათრევდა და მძირავდა უკიდეგანო სივრცეში. მე თვალს ვხუჭავდი, მინდოდა გავქცეოდი ამ ბინძურ ლოგინს, დამეცვა ჩემი სისხლის ღირსება, მოვალეობა, მაგრამ კატასავით სხარტ გოგონას ვერაფერი აოკებდა. სადაც კი ბრჭყალს ჩამავლებდა, ლურსმნებივით მსჭვალავდა. ძვლებამდე აღწევდა ის ჭანგები, თითქოს საკუთარი სისხლის ამორთმევას ლამობდა. დამაწვებოდა ზემოდან და სულის მოთქმის საშუალებას არ მაძლევდა. პირის დაღებას რომ დავაპირებდი, ხელს დამაფარებდა და თავისით აღასრულებდა საჩემო საქმეს. არ ცხრებოდა ერთი ჯერობით. კვლავ ახალი მორევისაკენ სწადდა ჩემი ჩათრევა, დაწყნარდებოდა როდის-როდის. ისიც ნაზ ფშვინვას ამოუშვებდა და მამაკაცურ ხვრინვასა და უფაქიზეს სუნთქვას შორის

გახეშილი, ვინ იცის, როდის ჩავთვლემდი. დამაპურებდნენ დილაუთენია. საგზალს კი არაფრისდიდებით გამატანდნენ, იმის შიშით, ვაითუ ღამე არ დაბრუნდესო, ის კი არა ცოტათი თუ შევაგვიანებდი, აქეთ მომაკითხავდნენ. მეგონა მთელი ქვეყანა ჩვენზე ხარხარებდა. საკირეთი ტრიალებდა ჩემს სულში, თანაც ვერაფრით განმედევნა ეშმაკეული. გაშლიდნენ ღარიბულ შეჭამადს, დამანაყრებდნენ და კვლავ ჩვენი ძელურისკენ გამოვეშურებოდით. ხმის ამოღების მეშინოდა, უფრო სწორად, მერცხვინებოდა საკუთარი ხმისა, რათა ამით მთლად ჯოჯოხეთში არ მოვესროლე უფალს. ვნატრობდი რამე თავდასახსნელი საშუალება მოემზადებინა, გნებავთ თოკი ყოფლიყო იგი თუ კლდიდან გადაჩეხვა. კოშმარული ღამე ძველებურად მეორდებოდა. ამოუშვებდა ხვრინვას რძალი და ამიერიდან სიფარულში გაწაფული ქალიშვილი ცეცხლს შემომიგიზგიზებდა.

ნუ გეშინიაო, მეჩურჩულებოდა, ასული, არაფერი მაცხია თქვენი. მთლად დედა ვარ, დედის გვარისა და ჯილაგის. ვიცი, შენ ნათესაობის შიში გაღონებს, მაგრამ დამიჯერე, სხვადასხვანი ვართ ჩვენო, მიმტკიცებდა და ასე მნაცრავდა ლამის თხუთმეტი თვე. მერმე შევნიშნე, ნელ-ნელა ერთსაც დაუმრგვალდა მუცელი და მეორესაც. ახლა კი შიშობდნენ, ეკლესიაში მოკითხვას ვერ ბედავდნენ, მაგრამ დახანებას მეც ვერიდებოდი და ერთ საღამოს, როცა საფიქრალით გართულმა ქალმა ზურგი გვაქცია, გოგონამ ხმაპარვით მითხრა:

მოვკლათო.

მეგონა ქვეყანა დაიქცეოდა, მიწაში ჩამიტანდა სატანა. დავუჯერე მეც, ცოდვილმან და ისე, ქალს თვალი რომ არ დაუხამხამებია, წავახრჩვეთ წყეულ ლოგინში. მიწატკეპნილზე ეგდო რძალი. ეს პატარა მეძავი კი კვლავ სასიფარულო ალერსით მეხვეოდა. ერთხელაც აისრულა საწადელი ჩემგან და მაშინ გადავუწიე ლამაზი ყელი. ვკოცნიდი, თან ვუჭერდი, ვკოცნიდი და თან ვახრჩობდი. ო, როგორ იბრძოდა, როგორ მიძალიანდებოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დავიურვე. ვეფერებოდი საკუთარ სხეულს, საკუთარ სულს, აქვე მწარე ცრემლი მახრჩობდა. ჯერ კიდევ ნელთბილს დავაყარე საზამთროდ მოზიდული ფიჩხი, გავაღვივე კერია და იქაურობა ცეცხლს მივეცი. ფეხი არ მომიცვლია, სანამ ბოლო მუგუზალიც არ ჩაიწვა. დიდხანს გიზგიზებდა ჩვენი უკაცრიელი არე-მარე, მაგრამ ვინ უნდა მოგვშველებოდა ცეცხლის ჩასაქრობად დაცარიელებულ სოფელში?! ძვლებიც კი დაიფერფლნენ. სახსენებელი არ დარჩენილა თითქოს მათგან, მაგრამ ამ სულში ჩარჩენილ გარდახდილს ვერაფერი მოვუხერხე და ამიტომაც გავრბივარ უცხოეთში, პაპა სიდო. იქნებ იქაურობამ მიშველოს რამე, იქნებ ოდნავ მაინც შემიმსუბუქოს თვითგვემა-მეთქი, — ცახუჯი გაჩუმდა კარს მიღმა.

— ხომ მოგეშვა გულზე, შვილო, ჩემო?! ამხელა მძიმე ქვას მიატარებდი რომისკენ? რას ერჩოდი ხომალდს? შენ, შენ რას მეტყვი, ათანასე? საინტერესოა, რისთვის გამოგაჯავრებენ ბავშვები დღემოსწრება:

ათანასე, ათანასე, ცხვირი გიგავს ზაფრანაზეო?! ალბათ, მთლად უსაფუძვლოდ არ აიწურები ხოლმე მათი ანგლობისას, განსაკუთრებით ქალები რომ ატკარცალდებიან ერთიანად და ამას ზედ მამაკაცების ქირქილიც დაერთვის ხოლმე.

— მე რა ვთქვა, პაპა სიდო?

— შენი სულისთვის ვზრუნავ, უბედურო, თორემ მე მიწის გულში რა დევს ზეპირად ვიცი.

— ჯილაიას კარზე ვმსახურობდი მწდედ. დედა-მამა არ მახსოვს. შვილივით მზრდიდნენ, მზრუნველობას არ მაკლებდნენ. მოხუცმა ნაიამ მითხრა ერთხელ:

თურქებს მიჰყიდა შენი მშობლებიო. გავუმხილე მთავარს და მომდევნო დღეს ის ამაყი მანდილოსანი სადღაც გაქრა. ამითვალწუნეს შინაყმებმა. ჩემს გამოჩენაზე საუბარს წყვეტდნენ. დიდვაჭრები როცა ჰყავდა სტუმრად, სულ მე მიხმობდა გოროზი ჯილაძე:

ნასე, ჩქარა ღვინოო, მეძახდა. ნასე, ჩქარა ხორციო. წაღმა-უკუღმა მატრიალებდა. დედ-მამის ამბის გამოძიების შემდეგ იმანაც ამრეზით დამიწყო ყურება. ერთხელ ირანელები ესტუმრნენე ჯორ-აქლემებით. მცველები ქარავანთან დანთებულ კოცონს შემოუსხდნენ. ხოლო ის ოთხი დიდებული სასტუმროში აიპატიჟეს. რაღაცას ელაპარაკებოდა წვეროსნებს მათებურად. ღიმილით გამოართვა თითოეულს ბეჭედი. აბრეშუმის ქსოვილები და ხალიჩები მოატანინეს მსახურებს. სანაცვლოდ ფოხალით ღვინო უფეშქაშა, შებრაწულმოხარშულ დედლებს და ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს დავარბენინებ. ჭილოფზე სხედან ფეხმორთხმით. წელში გამოყვანილი ჭიქებით ოჯალეშს შეექცევიან, თან ნარდს აჭახუნებენ. მეც გამასინჯეს ღვინო. გავმხიარულდი, თავზე მეფერებიან, ლოყაზე ხელებს მიცაცუნებენ. მამობრივმა მზრუნველობამ ლამის გული ამიჩუყოს. თუქსუსს მეძახიან. მე ვიღიმი.

ათანასე მქვია-მეთქი. ენას ვუკიდებ.

არა, არა, შენ ნაღდი თუქსუსი ხარო, მისწორებენ.

ამასობაში ჩამობნელდა. ჭრაქები ავანთე. ნარდის თამაშს შეეშვნენ. ტახტებზე წამოგორდნენ.

თუქსუს ღვინო დამისხითო, მიხმობენ რიგ-რიგობით. ბრძანებას ვემორჩილება, ვუვსებ ჭიქებს სათითაოდ. ერთ-ერთი მაჯაში მტაცებს ხელს და გაქონილი ტუჩებით მლოშნის. შიშისგან გული გადამიქანდება. წვერში ვებრდღვნები, ავაღმუვლებ ნადირივით. გარეთ გავვარდები. აცრემლებული მივეშურები თავადისკენ, რომელსაც მოჩიტული გოგონები დაუსვამს მუხლებზე და ატკარცალებს იღლიაში შეღიტინებით.

შენ აქ რა გინდაო, მიბღვერს შეზარხოშებული ჯილაძე. ჩქარა მიდი სტუმრებთან, პატიოსან ხალხთან თავი არ მომჭრაო, მიყვირის.

გაიგონე რასაც გეუბნებიანო, კაპასობს ერთი ასული.

გამოჩნდა წმინდანი, არაფერი დაგიშავდებაო, ანჩხლობს მეორე.

ქვითინით მივეშურები სამზადებისკენ. ჩემი კბილა ჩამოღლეტილი სამი ბიჭი შემომეჩეხება. აოხშივრებული ფელამუში მიაქვთ სტუმრებისთვის გობებით.

მეკითხებიან, მართლა იძლევიან შაქარ-ყინულსო.

თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ. მწკრივად მიაბიჯებენ კიბეებისკენ ოქროსთმიანები.

შეჩერდით-მეთქი, მინდა დავიყვირო, მაგრამ ყელში სიტყვა გამჩხერვია.

ძაღლები ყმუიან. ფრუტუნებენ ცხენები. კაკლის ძირას ისმის გოგონების კრუსუნი, კვნესა. ეს წუთია და ყმაწვილების განწირული ხმა გადაბასრავს კუნაპეტ ღამეს. თავპირისმტვრევით მივექანები უღრანებისკენ, მინდა სადმე ხრამში ჩავიჩეხო. თვითონვე გამოვუსვი სისხლ-ხორცს ყელში დანა, ვერ მოვარიდე განსაცდელს.

ათანასეც მათთან ერთად კოტრიალობდაო, უთქვანს ჯილაძეს, ამიტომაც დამიმგვანეს ცხვირი ზაფრანას. დაცინვას გაუძლებს კაცი, მაგრამ საკუთარზე უფრო სხვისი მოფიქრებული გაუბედურება ყოფილა.

— ესაა სოდომი და გომორი, მიწასთან რომ გაასწორა წამში ზეციერმა. კიდევ რომელი ხარ მანდ, ხმა რომ დაგიდუმებია და ვერც ნაბიჯი გადმოგიდგამს კარისკენ? რატომ არაფერს იტყვი, მათე, შვილო?!

— ამ საშინელების შემდეგ?!

— შენი ცოდვები ნაკლებია ვითომ? გაიხსენე, რამდენჯერ ასულხარ სამრეკლოზე ხალხის მოსახმობად, როცა მონასტერში თურქი ყურსალები იმალებოდნენ. გულზე ხელი დაიდევი და ყველაფერი ამოიბერტყე სულიდან, შვილო, ჩემო! შენი და ბაიაც მაშინ არ გაიტაცეს ურჯულოებმა? თუმცა რა, ტყუილად ვეძახით იმათ ურჯულოებს, ზნედაცემულობა ჩვენ რომ გვჭირს, იმაზე მეტი იქნება?!

— ათჯერ მაინც, პაპა სიდო.

— მოგეცა ლხენა, მთელი ოდიში ამას გაურეკავს თურქეთში და რანაირად წამოადგამდა კარისკენ ფეხს?! შენ როდის ამოიღებ ხმას თეოფილე, ბიჭობაში ტუტუ?!

— მეც ამათგანი ვარ, პაპა სიდო, გამწყდომია შუბლის ძარღვი.

— ახალი ამბავი! შუბლის ძარღვი ასი ჰქონოდა, აღარცერთი შერჩებოდა თავად ჯილაიას, მაგრამ მაინც დაეთრევა დუნიაზე.

— ჯილაია თავადია, პაპა სიდო, მას ეპატიება, მე კი გლეხი ვარ. გლეხი და ისიც — უშუბლისძარღვო?! ამისთანისთვის სიკვდილიც ვერ იცლის. სამი წელიწადია მაჰმადიანი გავმხდარვარ და ასე კარდაკარ, ჯაშუშურად დავდივარ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. აქეთ ალაჰს ვუკმევ გუნდრუკს და იქით ქრისტე ღმერთის მოძღვრებებს ვაზიარებ ხალხს. უფრო მეტი მკრეხელობა იქნება, პაპა სიდო?

— ალბათ, იქნება, შვილო, ჩემო, თეოფილე, ბიჭობაში ტუტუ, თუმცა მოიცა, მოიცა, მგონი მოდიან. არ გამოცვივდეთ ახლა ერთბაშად. ცოდვათა მონანიებას მოასწრებთ რომის პაპთან.

პაპა სიდო ლოდიდან წამოდგა, ქათმის გაძვალული ბარკალი გალავნისკენ მოისროლა, ქოცოდან წითელი ღვინო მოყლუპა, ისევ დაუცო თავი სიმინდის დაგორგლილი ფუჩეჩით.

— ეჰ, რაც დამწყდეულხარ შვილნო, ჩემნო, ერთად, აგერ არ გყავართ, გარეთ? — ჩაილაპარაკა ყრუდ პაპა სიდომ და ჭურჭელი აბგაში ჩააბრუნა.

ამომაღლებულებს წინ თავადი ჯილაძე მოუძღოდათ. უკან მოსდევდა ოც-

ზე მეტი კბილებამდე შეიარაღებული თურქი. ყულევიდან წამოსულიყვნენ. ხოფასთან დახვედროდა ჯილაძე.

ახოვანი იყო, სახეღაჟღაჟა, აწკეპილი ულვაშებით. წვერი სუფთად მოეპარსა. დატალღული ჭაღარა თმა ვერცხლის ვარაყივით მოსავდა მის ბრწყინვალებას. ფული წინასწარ გამოერთმია ყურსალებისთვის, ცამეტი კაცისა. უკაცრიელი ბილიკებით ევლოთ:

არიქა, სადმე მანუჩარის ხალხს არ გადავეყაროთო, თუმცა რა, ტრიალ მინდვრებსაც რომ მოდებოდნენ, ვინ იყო შემაფერხებელი?! ხალხი ბარიდან დიდი ხანია მთებისკენ აიყარა, ხოლო ნადირი საკმაოზე ფრთხილია თავისი უბოროტო ბუნების წყალობით. ის გახიზნული სოფლელები მხოლოდ ზამთრობით თუ ჩამოივაკებდნენ. მეგრელი კაცის სახლი ორი ურმეული ძელისგან შესდგებოდა, რომელსაც დააწყობდნენ ერთმანეთზე სასურველ ალაგას, გადახურავდნენ ისლის სქელი საფარველით და აიმართებოდა საკუთარი თვისტომისგან განწირულის კერიის კვამლი მოაჯეთათვის გადახვეწილი ცისკენ.

— პაპა სიდო, როგორ არის საქმე? — თქვა ჯილაძემ, როცა მღვდელმა ცხენის სადავე დაუჭირა.

— ჩინებულად, — ცერი ზეაღმართა დამხდურმა, — აგერ გასაღები, თორმეტივე ეკლესიაშია გამომწყდეული.

— რატომ თორმეტი და არა ცამეტი? — წარბები აზიდა თავადმა ჯილაძემ.

— ასე არ შევთანხმდით?

— შევთანხმდით, შევთანხმდით! ახლა ადამიანი ამათთან გაიაფებულა, განსაკუთრებით კაცები. ცამეტში იმდენს მიხდიან, რამდენიც თორმეტში უნდა ამეღო წესით, — ჯილაძემ თვალით ანიშნა ყურსალს და პაპა სიდოც ხელად გაქაჩეს.

— დიდი, თავადო...

— ხმა, კრინტი! თავი არ მომჭრა ამ წესიერ ხალხში, თორემ მართლაც წაგაცლი მაგ გოგრას, უბედურო! ხომ გეუბნები ცამეტში იმდენს მინაღდებენ, რამდენს ადრე — თორმეტში მაძლევდნენ-მეთქი?! ანგარიში — ანგარიშია. თანაც ამიერიდან არაფერში მჭირდები, რადგანაც დავამთავრე ყურსალებთან ურთიერთობა. თორმეტი სოფელი გამოვიარეთ და ერთი სულიერი არ შეგვხვედრია. მორჩა, პაპა სიდო, დღეიდან არც შენი ხელობა გამოგადგება რამეში. შიმშილით სიკვდილი გელის. შენთვის ვზრუნავ, უბედურო! იქ კი ორიოდე წელს კიდევ გახეხავ რამენაირად. პურსა და წყალს ხომ მაინც მოგცემენ, ეგეც როდია ცოტა?! თავის მოკვეთას ყველაფერი სჯობს. ესეც რომ არა, შენისთანა ტროყია მღვდელი მჭირდება სწორედ სახელის გამბახებლად ჩემი აბარგების შემდეგ! ქრისტეს თორმეტი მოციქული ჰყავდა. მართალია, შენ ისე ხარ იესო, როგორც ეგენი — მაცხოვრის მოწაფენი, მაგრამ ხომ გაგიგონია: ფერი ფერს, მადლი ღმერთო. აწი ჩემი გადაკარგვა სჯობია ოდიშიდან. მანჩა დადიას მამულები მივყიდე. სანამ ლევან ბატონიშვილი წამოყვინჩილდება და აქაურობას რძეში ამოავლებდეს, მანამდე გვერდები ნუ გვეტკინება, პაპა სიდო, — თავადმა

ჯილაძემ მოსირმული ჩოხის კალთები დაიფერთხა, მერე ყურსალს ეკლესიის გასაღები გადაუგდო, თან მათებურად მიაყოლა:

თითო-თითოდ გამოლალეთ, ისე რომ ხელების გაკოჭვა არ დაგავიწყდეთო.

გამოჰყავდათ ოდნავგამოღებული კარიდან გაკრეჭილი ღვთისმსახურნი. სიბნელიდან მზეზე გამოღწეულები მაჯებს აიფარებდნენ თვალებზე, რომელთაც წამსვე გამოაცლიდნენ და ზურგს უკან შეუკრავდნენ.

თურქები ჩქარობდნენ, რადგანაც ამინდი სწრაფად შეიცვალა. ზღვიდან ამოყრილი ღრუბლები ტაძრის გუმბათს და ტანაყრილ ცაცხვის კენწეროს შეხებოდა ლამის. სწრაფად მოვარდა კოკისპირული წვიმაც. ერთბაშად მოერღვა ცას პირი, თითქოს რაც წყალი შეუსრუტავს დილიდან, იჩქითად აქ უნდა გადმოანთხიოსო. იძალა მერეხმა და გვრგვინვამ. სჭექა გამაყრუებლად და ცაცხვის კენწეროზე ავარდა ალი. შეშინდნენ თავადიცა, თურქებიცა და ზურგსუკან მკლავგაკოჭილი ცამეტივე მღველმსახურიც.

ცხენები ყოველ დამჭექარებაზე თვალებს საზარლად აბრიალებდნენ, ყალყზე დგებოდნენ.

მოსკდა ნიაღვარი. ახლა კი იკადრეს ქრისტიანებმა ღმერთის სახელის ხსენება და თავად მუჰამედის რჯულის ხალხმაც ალაჰის შეწუხება. ილოცებოდნენ თავთავიანთთვის. ესენი — პირჯვრისწერით, იქეთურები — ქვის იატაკზე თავდამხობით, მაგრამ აჰა, დაიბზარა აღმოსავლეთის მხრიდან კედელი და ქონგურისხელა ღრიჭოდან მოქურუხებულმა ცამ შემოანათა. მერე ყველამ შეიგრძნო ზღვაზე ნავით ტორტმანისმაგვარი რწევა და სასოწარკვეთით შეხედეს ერთმანეთს ქრისტიანებმაც და მუსულმანებმაც.

ათანასემ უბეში ჩაიყო ხელი და მაჯაზე დახვეული ჩხრიალა ცხვირწინ აუსისინა თავად ჯილაძეს, წაუჭირა მერმა და მარჯვენა ნესტოზე აკბენინა უნასს თვალებგადმოკარკლული არაკაცისათვის.

ცა გამაყრუებლად გრუხუნებდა. კედლებიდან ზათქით ცვიოდნენ ლოდები და თითქოს ფეხქვეშ მიწა მოერღვათო, ჰაერს გამოეკიდნენ ეკლესიასთან ერთად. დიახ, ნამდვილად მიფრინავდნენ, ოღონდ — ქვეშეთისკენ, სადაც მიწას უშველებელი პირი დაეფჩინა; დიახ, მიისწრაფვოდა იმ სიშავეში ქათქათა ეკლესია თავის გაკრეჭილ მრევლიანად, ქვის იატაკზე დამხობილ ყურსალებიანად, საკურთხეველთან გაშხლართულ ჯილაძიანად, რომელიც უხსენებელივით იკლაკნებოდა მოგლეჯილი გუმბათიდან შემოღწეული ნათლის სვეტის ფონზე, მისრიალებდა მღვდლის ხარხარში:

ათანასე, ათანასე, ცხვირი გიგავს ზაფრანაზე, და თან იმ მორევისმაგვარ ძაბრში მაყრიონივით მოჰყვებოდა კოინდარიანი ეზო, ყელყზე შემდგარი ცხენები, ნამეხარი ცაცხვი, მორყეული მაგიდა თუ აბგა ბარკალნაკლული ქათმით.

მიწის ზემორე უშველებელი ღრმული დარჩენილა, რომელიც ერგასი წელიწადი სიკვდილივით მღვრიე წყლით ყოფილა სავსე ზამთარ-ზაფხულ. მხოლოდ დროთა ვითარებაში დაწდევებულა იგი და ასე, პეშვისხელა კამკამა ტბად დამდგარა,

ერთი შეხედვით ცქნაფად, მაგრამ ჯერ სულიერს მისი ფსკერისთვის ფეხი რომ ვერ მიუწვდენია.

აქ ვასილ პავლოვიჩს აგარაკი აუშენებია თავისი ზეობის ჟამს, თუმცა მალევე ჩამოართვეს და პიონერთა ბანაკად გადააკეთეს.

სხოდკის ადგილად პაპანწყვილი იმისთვისაც დაასახელა როკიმ, რომ ძაკა ბაბუას ნასწავლისა არ იყოს, თეთრ ქვებს ქვიშაში კი არა, თეთრ ქვებშივე მალავენ. მარტივად რომ ვთქვათ, პაპანწყვილის ხალხმრავლობისთვის სრულიად შეუმჩნეველი იქნებოდა აურაცხელი მანქანის გამოჩენა, ვინაიდან ზაფხულობით აქაურობას უამრავი დამსვენებელი ეტანებოდა.

პაპანწყვილის ჩრიდილოეთით საკმაოდ ვრცელი ბიბინა მინდორია, ტბისკენ ოდნავდაქანებული. იქიდან მართლაც უსათნოესად მოსჩანს მთელი არემიდამო, თითქოს ხელისგულზე ფირუზის თვალი გიკამკამებდეს განუმეორებელი ხიბლით. და აი, ამ ზეტაფობზე დღის თორმეტი საათისთვის უცხოური თუ საბჭოური მარკის ასამდე მანქანამ მოიყარა თავი. გულშემატკივრები მოშორებით განლაგდნენ, ხოლო სხოდკის უშუალო მონაწილეებმა ავტომობილებით წრე შეკრეა მინდვრის ცენტრში.

ქურდების მთელი კოპორტა აქმოგროვილა, თბილისიდან, ქუთაისიდან, სამტრედიიდან, ბათუმიდან თუ სოხუმიდან. მობრძანებულან დაძახებაზე აბესალომ მანჯგალაძე, აზო გოგიტიშვილი, წოწი სანაძე, ვაჟა ბარკალაია, მოლა, კაკო კოხია, ნოდარ გრიგოლაია, გოგი ყურაშვილი, კუკური მუმლაძე, სხვანი და სხვანი. კატუკიას მხრიდანაც მოსულან თანამზრახველნი, მაგრამ პროპორცია ასეთია: ნემსი — ზვინში.

საუბარი უხუცესმა აბესალომმა წამოიწყო:

— ძმებო, აქ დამსწრეთაგან ყველა ქურდია. არიფი თუ გვირევია დღეს საბოლოო სიტყვა არ უნდა ითქვას, — ბაბუად წოდებული მანჯგალაძე ხელ-ჯოხს ეყრდნობა. მართალია, აქ ერთადერთი სკამი კი არის ბამბუკისა, უზურგო, დასაკეცი, მაგრამ აბესალომი მისით არ სარგებლობს, კვლავ პროტეზიან ფეხზე დგომას ამჯობინებს და ამით ხაზს უსვამ ქურდებისადმი პატივისცემას, — უბრალოდ ვალაპარაკოთ ორივე მოწინააღმდეგე მხარე, რომ სიტუაციაში გავერკვეთ. მერე დავთქვათ დღე და იქ გადაწყდეს ისე, როგორც ქურდები ჩათვლიან საჭიროდ.

აქ ჯმუხი ვაჟა ბარკალაია ჩაერია ლაპარაკში:

— სხოდკაზე ბევრი კარგი ბიჭია მოსული, ჩვენი საერთო მეგობრები, კარგი ვაჟკაცები, მაგრამ წესი — წესია: სხოდკაზე მარტო ქურდები ესწრებიან, თუმცა დღეს ეს ხალხი საჭიროა, რადგან კონფლიქტი მათ თვალწინ მოხდა. ამათგან უნდა გავიგოთ სიმართლე. ეს ის ხალხია, ყველა რომ ვიცნობთ და ეჭვიც არ გვეპარება, ძმა რომ ძმაა, მიუკერძოებლად იტყვიან მათზე სიმართლეს. ქურდებო, შეიძლება ჩვენი ოჯახის ზოგიერთი წევრი არ იცნობდეს ამ ხალხს. ესენი ზუგდიდის კოლორიტები გახლავან: ჯუმბერ ქვარაია, რეზო ჟვანია, გელოდი ჩიქოვანი, გერო შეროზია და სხვები.

— ვიცნობთ რომელია — თქვა წოწი სანაძემ, — ყველა ჩვენგანს გაგვიტეხია ლუკმაპური ამ ხალხთან, ჩვენი საერთო მეგობრებია, მაგრამ აქ მთავარი სულ სხვაა. პანტერას მოწინააღმდეგეებს ჩვენგან არავინ იცნობს. ისინი თუ ქურდები არ არიან, მაშინ შეიძლება ამათი დასწრებით საბოლოო სიტყვა ითქვას. თუ ქურდებია, დღეს სიმართლე გავიგოთ და სხოდკა გადავდოთ. თქვენც ხედავთ, ასი მანქანა ხალხი დგას ორმოცდაათ მეტრში, ჩვენგან მოშორებით. სიტყვები არ ესმით, მაგრამ მოქმედებას ხომ ხედავენ? ასე რომ, დღეს ბოლო სიტყვა არ ითქმის.

აბესალომ მანჯგალაძე იმ ხუთეულიდან წინწამდგარ ათლეტურ დუჩეს მიუბრუნდა:

— შენ ვინ გიცნობს, რომელ ქურდებთან გქონდა აბშენიე?* ვინ აგკიდა ეს ტვირთი. ან ეს ოთხი ახალგაზრდა ვინ არის, ესენიც ქურდებია?

— კი, ძმაო, ესენი ჩვნი ოჯახის წევრებია ყველა, — მიუგო რიხიანად დუჩემ, — რაც შეეხება ჩემს პიროვნებას, მე ქურდი ვარ. ჩიტასთან დავრბოდი ბავშვობიდან. პიტერსკი ახლა სროკზეა, საქმის კურსშია. ეს ახალგაზრდები ჩემთან დარბიან, მომპარავი ხალხია. ჩვენ, ქურდებს, მაგათ მიმართ პრეტენზია არ გაგვაჩნია. ჩვენს თვალში ეგენი ქურდებია.

— ჩვენო, რომ ამბობ, ვინ გყავს მხედველობაში, — დაასწრო ყველას ფიცხი ხასიათის მოლამ, წითურმა ქუთაისელმა, — შენ და ჩიტა?!

— დიახ! დაუდასტურა დუჩემ თავაწეულად.

— ხომ გეუბნებოდით, ინტერნატის ვიპუსკი* იქნებიან-მეთქი, — ბრძანა ირონიული ღიმილით აბესალომმა და საერთო დაძაბულობას გულიანმა სიცილმა გადაურბინა.

პაპანწყვილის მხრიდა თოლიები წამოიშალნენ. ერთობლივმა მხიარულებამ მობანავე ბიჭების ყურადღებაც მიიპყრო.

— ქურდებო, — განაგრძო ისევ მანჯგალაძემ, როცა ხალხი რამდენადმე დაწყნარდა, — ოცდათორმეტი სულიდან, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულიდან რომ შეყრილხართ, რომელიმე თუ იცნობთ ამ ხუთს? ჩვენს პანტერას ედავებიან, არაქურდი რატომ გვიწოდაო.

ქურდებმა მხრები აიჩეჩეს, ხელები შეატრიალ-შემოატრიალეს.

— დანები ხომ არა გაქვთ ჯიბეში? — გამჭოლი მზერით შეათვალიერა ხუთეული ბაბუამ, — ჩვენ ძაღლები როდი ვართ გაგჩითოთ.

კატუკიას ერთ-ერთმა ძმაკაცმა, ჭინკამ, ჯინსის უკანა ჯიბიდან ამოიღო ღილაკიანი დანა და უხერხულად დაუწყო თითებში ტრიალი.

აბესალომმა გამოართვა, გახსნა, გადაამტვრია და მოისროლა პაპანწყვილისკენ.

— აი, სად არის ამათი ქურდული გაგება, — ამბობდა მხცოვანი ასთაასსი ქურდი, — სხოდკაზე დანებით მომსვლელებს ცხვირ-პირს უნაყავენ, მაგრამ

წვრილმანებას არ გამოვეკიდებით.თქვენ როგორ ცნობთ პანტერას? — მიმართა ახლა ხუთეულს განურჩევლად, — რა კაცია თქვენს თვალში?

— ჩვენი უფროსი ძმაა, — ისარგებლა გაფითრებული ძმაკაცების სიჩუმით თავღიამ, გაწლიკულმა, ყანყრატოგამოწეულმა ახალგაზრდამ, — მთელი ოდიშის საამაყო შვილია.

— პანტერას ბევრი გაუკეთებია ჩვენი ხალხისთვის, მაგრამ ამ სამი დღის წინ ხულიგნურად ცემა კატუკია, — ამოღერღა როგორც იქნა თავმსხვილმა რუბენამ, — ხელი დაარტყა ქურდს.

— შე ჩემის გადანგრეულო, თუ ქურდად არ ცნობს ეს კაცი, ძალა ხომ არ არის? — გაცეცხლდა აზო გოგიტიშვილი. მერე როკის შეეკითხა, — შენ ამათგან რომელს იცნობ, პანტერ?

— ხუთივეს, — მკვირცხლად მიუგო ოდიშელიამ, — ოღონდ, როგორც ქალაქელ ახალგაზრდებს და არა — ქურდებს. ესენი ქურდობას კი ჩემულობენ, მაგრამ სინამდვილეში შემწერები უფრო არიან.

— თქვენ კარგად თუ გესმით სხოდკა რას ნიშნავს? — თვალები დაიფართოვა მოლამ.

ხუთეული ხმას ვერ იღებს, დატუქსული ბავშვებივით არიან. მაშინ ქუთათურის კითხვას გაეპასუხა ყველაზე წონიანი ქურდი, ელეგანტური კაკო კოხია:

— სხოდკაზე წყდება ადამიანის ბედ-იღბალი, ან — კარგად, ან — ავად. მარტო სხოდკაზე იძლევიან თხუთმეტ წელიწადს თუ სამ სულზე მეტი კანონიერი ქურდი ესწრება.

— აქ კი ოცდათორმეტია, — ჩაიგდო კვლავ საუბრის სადავე აბესალომ მანჯგალაძემ, — თქვენი ბედი დღესვე გადაწყდებოდა და არავითარ შემთხვევაში — ზეგ თუ მასზეგ, მაგრამ რადგანაც ჩიტა და პიტერსკი სახეზე არ იმყოფებიან, მოცდა მოგვიწევს. გავიგებთ ისინი მართლაც არიან თუ არა საქმის კურსში, გცნობენ თუ არა ქურდებად და იქით მოგძებნით.

— დაიხსომეთ, — მიუბრუნდა ხუთეულს აზო, — პანტერასავით ხალხი საჩუქარი არ არის. ამდენი დამსახურების მქონე და ვაჟკაცი ყველა ქალაქს თითოორლა რომ ჰყავდეს, უკეთესად წაგვივიდოდა საქმე. თქვნ რა იცით მაგას როგორი ეკლიანი გზები, როგორი პრესები და პრაჟარკები გამოუვლია და მიუხედავად ამისა, მაინც კრისტალად დარჩა. თქვენ, გოგლი-მოგლით გაზრდილებს, რა უფლება გაქვთ მაგას ებლატაოთ? — მღელვარებას ვერ ფარავდა გოგიტიშვილი, — ჩვენ, ყველა, პანტერასთან თანაბრად ვლაპარაკობთ. არის საკითხები, სადაც მარტო ქურდებს მიესვლებათ, მაგრამ საბოლოო ჯამში პანტერა ჩვენი ძმაა და მეგობარი. მე ამისი ხმამაღლა თქმის არ მერიდება, ჩვენი ოჯახის წევრია იგი.

— მართალია, პანტერას არა აქვს ქურდის სახელი, — კვლავ დელიკატურად ჩაერთო საუბარში კაკო კოხია, — მაგრამ ესეც მისი ნებითაა; იცით თუ არა თქვენ, რომ პანტერა რამოდენიმე წელია თავის სიტყვაზეა?!

— ორჯერ შევგროვდით ქურდები რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დაკე-

ტილ ში, — კვლავ ხელთ იგდო საჭე აბესალომ მანჯგალაძემ, — ყოველთვის თვითონ მოგვცა აცილება. ამდენ ქურდში იტყვის ქურდი ვარო და ვინ, რომელი აღუდგება წინ? არცერთი! სტუპენკა ვიშე, სტუპენკა ნიჟე, ნი კაკოი როლ ნე იგრაეტ*.

— მე მიღებას ვითხოვდი! — გაბედა ბოლოს და ბოლოს კაკუტიამ.

— გითხარით, გავარკვევთ მაგ საკითხს-თქო, — აბესალომი მთელი სიმძიმით დააწვა ხელჯოხს, — იქნება დუჩე ქურდი?! შემდგომ შენს ყისმათსაც გადავწყვეტთ. მიღებაზე მერე ვილაპარაკოთ. ძმას ძმის ხელი არ ეტკინება. არადა, რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთ. ჩვენს პასუხამდე იყავით თქვენთვის. ვინც პირველი გადავა ამ დათქმას, ოცდათორმეტი ქურდის გადაწყვეტილების ფეხის გადამბიჯებლად ჩავთვლით.

როკიმ თავი ასწია და მანჯგალაძეს მიაჩერდა.

— ვთქვათ და პირველნი შემეხნენ, როგორ მოვიქცე?!

— მეგონა ყველაფერი დავაზუსტეთ, — ხუთეულის თვას ზემოთ იცქირებოდა აბესალომი, ბზითა და შქერით ახასხასებული ფერდობისკენ, — ჩვენს პასუხამდე თუ შეგეხო, იმოქმედე დამოუკიდებლად, როგორც გონებამ გიკარნახოს. მოკლედ, ამით მორჩა სხოდკა! — მოსჭრა და საუბარს წერტილი დაუსვა.

თავიდან პერიფერიული მანქანები გაიკრიფნენ პაპნწყილის მისადგომებიდან მიყოლებით. მათ მიჰყვა ხუთეული თავიანთი გულშემატკივრებით. ბოლოს პანტერას საძმოც დაეშვა დაქანებული მინდვრებიდან.

ტბის კამკამა ტალღებში მობანავე ბიჭებმა ჟრიამული მიადევნეს მტვრის სქელ საბურველში გახვეულ მანქანებს.

კატუკია მზად იყო კბილები დაეგლიჯა დიხამინჯიას ლაფშინათრევი ხალხი: ცხოფო ეხვაია, ბებთო კონტუაძე, კოჭოჭა კულესკირი, ადო ფიჩხაია თუ ცხვირნისკარტა ქურსუა, მაგრამ ამ ბედნიერებას იგი ვერაფრით ეღირსებოდა, ვინაიდან მალე ახალ სასჯელს აიკიდებდა და ეგრევე ჩრდილოეთში განამწესებდნენ.

ქალაქკომის პირველი მდივანი დიდად ჩააფიქრა ოდიშელიას უვნებლობამ. ძილი გაუკრთა. მართალია, გააძლიერებინა დაცვა კაბინეტის მისაღებსა თუ სახაზინო ბინასთან, მაგრამ შიშს დიდ თვალები აქვს და ქუჩებში ძველებური სიარული აღიკვეთა. თავზესაყრელი საქმეების მომიზეზებით სამსახურში ჩაიკეტა.

ამასობაში ათაშანგიანივით ერღვეოდა სახსრები საბჭოეთს:

გერმანელები ორივე მხრიდან უტევდნენ ბერლინის კედელს;

ბალტიისპირეთში აიწყვიტა სამშობლოსმოღწეულმა „ტყის საძმომ“; საქართველოში სამზეოზე გამოსული დისიდენტები გამალებით ქმნიდნენ ახალ-ახალ პოლიტიკურ პარტიებს, ტყუპისცალივით ერთმანეთს მიმსგავსებული პროგრამა-წესდებით.

ოდიშში ხმა დაირხა, დიხამინჯია მოსრიალებულია უკვე და მის ადგილს ორი პიროვნება ეცილება ერთმანეთს — როკის მოგვარე პალადიევიჩი და ცეკას

ინსტრუქტორი ვახტანგ კაკაჩიაო. ერთ მშვენიერ დღეს ქალაქკომის ვაკანტური პოსტის თბილისელ კანდიდატურას ეზოში ნაღმები აუფეთქეს.

ზუგდიდი რაღაც სიახლის მოლოდინში გაიტრუნა. ოდიშური ჭორები მალე დედაქალაქსაც მისწვდა. ძნელი სათქმელია თუ ვისგან მოდიოდა ეს ხმები, მაგრამ მთავრობაშიც რომ იმსჯელეს იმ ტერაქტზე, ცხადზე უცხადესია. სადღაც როკის გვარიც ამოტივტივდა მისდაუნებურად, თითქოს ნათესავისთვის კონკურენტის ჩამოშორების მიზნით ბომბებით დაშლიგინებდა ქალაქში. ოდიშელიასაც ჩაეწვეთა ყურში ეს მითქმა-მოთქმა, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?!

თაკარა აგვისტოს დაესადგურა ზუგდიდში. ოდიშელიები სააგარაკოდ ემზადებოდნენ, ოლონდ ვერ გაერკვიათ, პატარა ნიკას მთის ჰაერი უფრო მოუხდებოდა თუ ზღვისა. პეტია უბერის ბიჭის დასკვნას უცდიდნენ. ლენინგრადული თაფლობის თვის კვირების შემდეგ მარინას შინიდან ფეხი არ მოეცვალა.

როკის რა უჭირდა, თავს არ იზარალებდა, ქალაქის ცენტრში გაისეირნებდა შავი „ოცდაოთხით“. ჩაციებული ლუდისთვის ააკითხავდნენ ფუნიკულიორზე ჯანჯას, ან სადმე მდინარისპირას მისხდებოდნენ და ღიღინ-ღიღინით მოვიდოდა წუთისოფლის ნუგბარეულით გალაღებული.

იმ დღეს მუსიკალურ სკოლასთან შემოჯარულ მეგობრებში საუბრობდა ოდიშელია. უცებ კიბეებზე ჩამომავალი შხვართი სხეული დალანდა, უფრო სწორად ზღაპრულმა ფერიამ შემოაბიჯა ჭადრების ჩრდილოვანში. ორი მალხაზი მოკუნტრუშებდა მის გვერდით. შავი კულულები წელამდე სცემდა. შილიფად ეცვა ქალს და მთელი ავლა-დიდება — ატმის რტოსავით აყვავებული გავაზივით მოქნეული სხეულისა — ნუსხავდა, ატყვევებდა ბირჟაზე გამოშლილ მამაკაცებს. დიდრონი მწვანე თვალები კაეშნით იმზირებოდნენ ხორბლიფერი ქუთუთოებიდან. ჩამოსხმული სახე, დახვეწილი ნაკვთები ერთიანად აკაშკაშებდა სიმწიფეში შესულ მის ქალურობას.

ჩაიარეს დედა-შვილებმა და თან გაიყოლეს ჭარმაგოვანთა ვნებიანი მზერა. ბანოვანი გრძნობდა თავის სიმაღლეს, ღირსებას, რაღაც ველურისა და არისტოკრატიულის ნაჯვარ კდემამოსილებას, რომელიც წილნაყარია არტისტიზმთან და ამავდროულად, სადღაც სული კუნჭულში ყოველთვის მოიძებნება დაბურული ეკლები გზააბნეული მგზავრისათვის. მიდიოდნენ რუსთაველის გამზირზე. მზის შუქზე თვალნათლივ გამოიკვეთა ბოშა ქალის ჩამოძერწილი ფეხების კონტურები მუხლებს ზემორე. კი არ მიდიოდა, მიცურავდა ხვატით გათანგულ ქალაქში და უნებურად ყველა როკის მიაჩერდა.

— შეუდარებელია ილონა, — თქვა თეიმურაზ დარასელმა.

— მაგისთანა სახიერი ზუგდიდში მეორე არ დაიარება, — სიტყვა ჩამოართვა ჯუმბერ ქვარაიამ, ალალ-მართალი ბუნების კაცმა, საძმოში „დოხტურის“ მეტსახელით ცნობილმა.

— ოჯახი ჩვენს ყაიდაზე მოაწყო, — აჰყვა საუბარს ჯემალ აბულაძე. — ქელეხებს და ქორწილებს ეგენი არ აკლდებიან. ბაზრის ბოშების არაფერი სცხია

მაგას. ქართველებისგან ვერ გაარჩევ. შვილებს მუსიკაზე დაატარებს. უაქცენტო მეგრულით ლაპარაკობს. ამბობენ, მდინარის პირას იპოვესო ჭინჭებში გახვეული.

— აჰყევით ახლა ჭორებს, — ჩაერთო დიალოგში ედი ჯიქია, — მზეთუნახავის მეტი რა არის ბოშებში?! ზოგი ისეთი კალმახაა, ჩვენი დედაკაცები ახლოსაც ვერ მივლენ. განსაკუთრებით ერთგულებაში არიან განუმეორებელნი. ბევრი ჩვენებური თხასავით გაგყიდის, ეგენი კი — ნურას უკაცრავად.

საუბრის თემას მალე ცხელ-ცხელი ანეგდოტები შეენაცვლა მოღალატე ცოლებზე, მაროსა და მიხოზე, გოდორზე, გარდერობში დამალულ ფელიქს ედმონდოვიჩზე, ილიჩი ხელს რომ ართმევს და კვლავ განაგრძობს ნადეჟდას შესამოსელის ძებნას, შლანგს გამოდევნებულ დედაკაცზე, გემის კაპიტნის ქალიშვილზე და ვინ მოსთვლის.

როკიმ თავის ტკივილი მოიმიზეზა, დაემშვიდობა მეგობრებს და პროსპექტს ნელი სვლით გაუყვა. რკინიგზის სადგურთან წამოეწია დედას და შვილებს. მიამუხრუჭა მანქანა ტროტუართან და ორივე კარი გამოაღო. ილონამ თავის მოუბრუნებლად ჩაუარა ,,ვოლგას'', მაგრამ მოჰკრა თუ არა ყური საკუთარ სახელს,ელდანაკრავივით მიეყინა ერთადგილს.

მგზავრები უკანა სალონში ჩასხდნენ. ოდიშელიამ მოხურა წინა კარი და ,,ოცდაოთხი'' ადგილიდან მოწყვიტა.

ხუთიოდე წინადადების გაცვლაღა მოასწრეს საკონსერვო ქარხნამდე. ზედ ჭიშკართან გაუჩერა როკიმ. ბიჭები ჩაცვივდნენ მანქანიდან. ოდიშელიამ მაჯა დაუჭირა ქალს ჩასვლის წინ და გულღიად უთხრა:

— მომენატრა, ილონა, თქვენებური კოცონი და გიტარები. მომენატრა ფორნით ჯაყჯაყი. მომენატრა ცხენების ბანაობა ჩხოუშიას პირას. რამდენი გეძებე. ყველაფერი, ყველფერი მომენატრა, ილონა.

— შემობრძანდით ჩვენსას, — თქვა კისკისით მანქანიდან ჩამოსულმა ქალბატონმა, — ჩემი კარლოც მალე შემოგვიერთდება. ცოტა არეულად კივართ, რამდენი ხანია ვარემონტებთ სახლს, და მაინც პარკეტის ,,ციკლოვკამდე''8 ძლივს მივედით. სტუმარი ღვთისაა.

— იქნებ ქალაქგარეთ გავსულიყავით თქვენებითურთ?!

— არ არის ეგ საძნელო საქმე.

— მაშინ ხვალ ერთად გეპატიჟებით ყველას. ქორწილის დღეს ვერ მოვიცალე გამასპინძლებისათვის და იქნებ დაგვიანებით მაინც გამოვისყიდო უნებლიე დანაშაული.

— ნება თქვენი, ბატონო, პანტერა, — არ დაიშურა ირონია ილონამ.

ზუგდიდიდან წისქვილარამდე ორმოციოდე კილომეტრია. თვალწარმტაც კუთხეს საქართველოს რა გამოულევს, მაგრამ მთიანეთი მაინც მშვენებაა ჩვენი ხატაური სამშობლოსი, და მათ შორის წისქვილარა სამოთხეა კვადრატში ახარისხებული.

ოდიშის ცენტრში ხვითქი რომ ასდის ასფალტს და კაკლის ჩეროში ცელსიუსი ორმოცს ურაკუნებს ნოლს ზევით, წისქვილარაში ნაქსოვი ჯემპრი თუ არ გაცვია, სიცივისგან კბილები აგიკაწკაწდება. ამის თაობაზე გააფრთხილა კიდეც სტუმრები როკიმ:

— ღამისთევით მივდივართ და სათბუნებლების წამოძღოლიებას ნუ ითაკილდებთო.

ნაშუადღევს დაიძრნენ წისქვილარისაკენ ცხრა მანქანით. კვალში მისდევდნენ ოდიშელიას გაოდიშელებული ბოშებით თეიმურაზ დარასელი და უჩა ხეცია, ჯემალ აბულაძე და ჯუმბერ ქვარაია, გელოდი ჩიქოვანი და ედი ჯიქია; განუმეორებელი ძმები სოსელიები — გივი და სოსო.

მიირწევიან სავანისკენ და ზუგდიდური პაპანაქება თანდათან ცხრებოდა, თანდათან უკან იხევდა. ღია სარკმლებს ნელ-ნელა ხურავდნენ.

გაიარეს ხის მომცრო ხიდი და ასიოდე მეტრში წისქვილარსაც მიადგნენ.

მდინარე ათი-თორმეტი მეტრის სიგანის თუ იქნება — კირქვიან კალაპოტში მომწყდეული საოცრება, გამჭვირვალე და კამკამა, როგორც შეყვარებული ასულის სული. მოჩქაფუნებს, მოკუნტრუშებს უშველებელ ლოდებზე, რომელთაც ორმოცდაათი მამაკაციც ვერ დაძრავს ადგილიდან. დაკბილული ჩარუხებული ლოდები ზოგან წყლითაა დაფარული, თითქოს ერთხელ რომ ჩაყინთეს წისქვილარას დაუსრულებელ ალერსში, მერე ვეღარაფრით ასწიეს თავი ახორხოცებული წუთისოფლის მოსახილველადო. ან რას მოიმკი საწუთროსგან ამაზე ფასეულს?! წისქვილარას სათავეში რომ ჩაყურყმელავდე შესართავამდე კარაკანივით მოჩანს მისი განუმეორებელი საუფლო. ფსკერი მოოჭვილია კენჭების მოზაიკით. ჭერი ზედ ნაპირამდე ორმხრივად მოჯარებული უშველებელი ხეების ტოტებითაა დახლართულ-გადახურული. თითქოს ილონას თვალების მწვანე გვირაბში მიიტყორცნება ბუნების ანკარა მაჯისცემა. გახელებული მზე ამაოდ ცდილობს მთელი არსებით შეიჭრას ბროლისწვივება ასულის დაუსაბამო როკვაში, და თუ ვინმეზე ითქმის მზეთუნახავი, ალბათ — ერთადერთი წისქვილარაზე, ვინაიდან მილიონი სხივიდან, თითო-ოროლას თუ გაუმსჭვალავს ხეების ხშირი ფაფარი მის ზემორე და ჯადოსნური სავარცხელივით ჩაკინძვია ანკარა დალალების შხვართალს.

უფრო ზორბა ლოდები გულწრფელად მისტირიან თავიანთ მოუხეშავობას, სავსებით რომ ვერ დანთქმულან წისქვილარას ხვარჩალში, და ამის გამო ნაფავილარი სახეც მიტკლისფერი გახდომიათ. აქა-იქ ქვიშასაც წამოყრის მდინარის სიგიჟმაჟე, გარიყავს, მისილავს ძიუმპეის მილიმეტრის მერვედ ნაწილაკს, და, ბუნებრივ პლაჟს ქმნის ორივე ნაპირზე ქარის თუ ადამიანების საკოტრიალებლად.

წისქვილარა ჩქერალები კი ისეთი ყინულოვანია, ისეთი გამთოშავი, სადაც მოგეკარება, შოთა აბულაძის საყასბო ნაჯახივით გადაგბასრავს და გვარი-

ანი ჯაფა დასჭირდება მერმე დათბუნებულ ტანსაცმელს, მოგიზგიზე კოცონს განცალკევებული მთლიანობის აღსადგენად.

გიჟმაჟობდა, თავნებობდა წისქვილარა. შეგუბებული სიმწვანე სულს აცისკროვნებდა, საკინძეგაღეღილი გამორბოდა ადამიანებისაკენ, რომლებიც გვარიანი ხანია ჩამოქვეითებულიყვნენ, მაგრამ პირველყოფილი მშვენიერებით დამუნჯებულებს ნაბიჯი ვერსაით წაედგათ.

დამსვენებლები გაკრეფილიყვენენ უკვე. არც პლაჟზე ჩანდა სუფრას შემორჩენილი მესმურენი. სრული უკაცრიელობა დასადგურებულიყო გარშემო.

უსტვენდნენ ტყეთა იღლიაში შემყუდროვებული ჩიტები. ჭახჭახებდა კურკანტელას მიტანებული შაშვი. უმზერდნენ მომაჯადოებელ ბინდბუნდს, ნაადრევად რომ უყვარს მთაში მოხეტება და ნეტარებით მთვრალნი, ულამაზეს წუთებთან ჯეროვნად დახანებულნი, ნელინელ აღწევდნენ თავს უნებლიე გარინდებას.

როკის თადარიგი დროულად დაეჭირა. ყველაფერი მოემარაგებინა, რაც ოცდაათი-ორმოცი კაცის გამასპინძლებისთვის იყო საჭირო.

ჯერ ფიჩხი და შეშა გამოფხიკეს ტყიდან. მდინარის ორივე ნაპირას დაანთეს უშველებელი ლოდების გასწვრივ. ხასხასა მოლზე დაფენილ პოლიეთილენის სუფრაზე ჩინებული ტრაპეზი გაიშალა. საზამთროები, ნესვები და ბოთლის ღვინო ყინულივით ნაკადში ჩაყარეს სასროლი ბადით. ფუსფუსებდა დიდი და პატარა.

პურ-მარილი მდინარის მარჯვენა ნაპირას გაიმართებოდა, უშველებელი ცეცხლის სიახლოვეს. მარცხენა მხარეს აგიზგიზებული კოცონი კი უკაცრიელი იყო ჯერეთ, დეკორაციის როლსღა განასახიერებდა.

ილონამ უბადლო ოდიშური დიასახლისობა თვალსა და ხელს შუა დაუმტკიცა როკის საძმოს. დაცვივდა სუფრაზე კიტრი და პამიდორი, ძეხვი და შაშხი, მწვანილი და ხილი; დაისერა შავტარიანი დანით მთვარისხელა სულგუნები; აშიშხინდა წკირზეწამოცმული სამწვადე ხორცი და კალმახი; ჩამონაწილდა მრგვლად მოხარშული დედლები, შოთი პურები, დაშაქრული მარწყვი თუ მწნილები პოლიეთილენის პარკებით.

როკის და ილონას ურთიერთობაზე კარლომ ჩინებულად უწყოდა ყოველივე. განა გვერდიგვერდ არ უბანავებიათ თვინიერი ცხენები ჩხოუშიაში, ან საბერველის აქლუშტუნებაში არ გაჯიბრებიან ერთმანეთს?! შემოხედავდა ოდიშელია და მაშინვე ფარ-ხმალს დააყრევინებდა, ხელად ააწაპნიდა დანიშნულს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა ხომ არ იყო. ილონა თვითონ დასდევდა როკის კუდში. ზედიზედ ორი დღე რომ არ გამოჩენილიყო ბანაკში, ბზიკივით კბენდა უფროსს და უმცროსს. ძნელია მოსათმენად, მაგრამ წაუყრუებდა მათ წრფელ განცდას. უხამსი წამოთაც არ გაუვლია გონებაში. განა ზურგი შეაქცია ილონას დასს, როცა როკის ქორწილში მიუწვეველმა, მოულოდნელად ეტლებით

მიგრიალება მოიგუნება და მთელი ღამე ექვსსიმიანი გიტარების ჟღრიალით იკლებდნენ იქაურობას?!

კეთილშობილი და უბოროტოა ბოშას გული, მიამიტიც, სახინჯოს არასდროს ეძებს ხალასსა და თვითნაბადში, მაგრამ თუ ასეთი რამ გამოერია, დანებით გამოენთება შეურაცხმყოფელს, გამოშიგნავს საშობაო ბურვაკივით.

ტომის ბელადიც აქ იყო, არშინულვაშიანი კუზმა. ვისაც კი ოდნავად შესტკიოდა გული ოდიშელიაზე, ყველა წამოსულიყო. დეიდა შურაც ილონას გვერდით საქმიანობდა და გამუდმებულად ეჩურჩულებოდა რაღაცას.

მთლად მიხრწნილები, ცხადია, შინიდან ვერ გამოეტიენ, ბევრი მოუცლელობამ შეაფერხა, მაგრამ სიყრმისდროიდნელი ძირითადი სახეები აქ შემოჯარვოდნენ როკის, წისქვილარას მჩქეფარებაში. მართალია, საგრძნობზე მეტად გადასხვაფერებულიყვნენ ისინი, დროს თავისი ლელო გაეტანა, თუმცა ოდინდელი ცეცხლოვანება და სიყაშაშე, კვლავაც უჩქროლებდათ მობოშებულ გულს და ჯეელებმა გადმოიღეს თუ არა გიტარები მანქანიდან, თავად მორატრატე წისქვილარაც კი გაილურსა.

ილხენდა მთისძირა არემარე.

ორი კოცონი გიზგიზებდა ხელისგაწვდენაზე, ერთმანეთის პირისპირ, მაგრამ მათი ალმური ქვაყინული წისქვილარათი გამიჯნულიყო.

იცლებოდა შამპანურები და წუწელე ადესა. ილონასაც არ მოუზღუდავს თავსი საჭიროებისამებრ. კარლოსთან ყველაფერი გარკვეული ჰქონდა. განა მისი თანხლებით არ ეძებდა როკის თბილისის დაკეტილში?! დღევანდელ საღამოს სიყრმის მეგობარს სწირავდა ილონა და ეჭვისთვის იოტისოდენა ნაპრალიც რომ გაფაჩუნებულიყო, იცოდა ქმარმა, ამაყი ქალი შვილი სამუდამოდ გამოეცლებოდა ხელიდან; ამიტომაც უკრავდა კიდეც, ცეკვავდა, სვამდა და ყირაზეც გადადიოდა ბოკვერა შვილებთურთ.

ბოშური სიმღერების მთელი ეშხი და ხიბლი ის გახლავთ, რომ ყოველ ტაქტს, ყოველ ამონასუნთქს ,,ნენე'' მიედევნება რეფრენად, თითქოს მაჟორული ხმები დატყვევებულია სევდის აურწყავი ლაშქრით. შეუძლებელია განსხვავებული სისხლისა და ეთნოსის ხალხს უფრო მეტი შეხების წერტილები აღმოაჩნდეთ მუსიკაში, როგორც ბოშასა და მეგრელს: ერთი ნენეს უკვნესის, მეორე ჰოუ ნანაო, ქვითქვითებს გულის შემძვრელად და საერთო ჯამში, ეს ორი სხვადასხვა ფენომენის ტომი ერთი ოჯახის შვილად მოგეჩვენება; პირველი შინ რომ ტრიალებს ნიადაგ, თავის კერიასთან, თავის სიდუხჭირესთან, ხოლო მეორე აგორებულ ქვასავით ხავსს არ მოიკიდებს, აღმართ-დაღმართ დაებღოტება, ეძებს რაღაცას, არარსებულ საუკვდავო კაბადონს თუ ფაფადქცეულ ზეუცხადეს შარებს და ამ უთავბოლო მოძრაობაში სამისდღემშიოდ ილევა კიდეც მისი ანიაგანი.

ქეიფის ეშხში შესულმა მესმურეებმა აცეკვება მოიწადინეს. ოთხი მამაკაცი გიტარას აჟღარუნებდა უკვე. კუზმასა და როკის შუა მოკალათებულ ქალს დაადგნენ თავზე. აბრიალებულ ორ კოცონს შორის სცენასავით ანათებდა წისქვილარას ტალღებს მტკავლით აცდენილი ბაყბაყდევი ლოდი. ილონას თავპა-

ტიჟი არ დაუწყია, ლიტრამდე დაელია და ღვინო გვარიანად ეუჟმურებოდა ძარღვებში.

გიტარები გუგუნებდნენ. სუფრის წევრები შეწყობილად უკრავდნენ ტაშს. წისქვილარასკენ მიერმართებოდა ილონა, იმ მოკამკამე სცენისკენ. ფეხისწვერით შეეხო წყალს და გველნაკბენივით უკუიქცა. ქალის განზრახვა ცხადი იყო, მაგრამ ვერავის მოეფიქრებინა როგორ მიეღწია მწვანეთვალებიანს ტაბაკონა ლოდამდე. მოხედა ჯეირანმა როკის და ოდიშელიაც უნებლიეთ აჰყვა გამომწვევ მზერას. არ ცხრებოდა ტაში, შეძახილები. გიტარები კვლავინდებურად გრიალებდნენ და აიტაცა პანტერამაც დედალი ავაზა, წელსქვემოთ წისქვილარა სუსხავდა, წელსზემოთ — ორი შვილის დედა. შეცბუნებული მუსიკოსები ფეხდაფეს მისდევდნენ, ისე რომ საცეკვაო მელოდიის ტემპი იოტიოდენადაც არ ნელდებოდა. ლოდზე გადასვა ილონა როკიმ და ერთიანად აგზნებულმა ბოშა ქალმაც იწყო იმპროვიზირებულ როკვა; თრთოდა, იწვოდა, იდაგვოდა... აჰა, დაეცემა მუხლებზე, ორმაგი კოცონით გასხივოსნებული შავი კულულები წარტაცა წისქვილარას ფეხათრეულმა დინებამ. გაღმა ნაპირზე გასული ოდიშელია ობოლი კოცონის ლამუნიდან უმზერდა ყელგადაგდებული შეშის ჩაფერფვლის ბოლო აკორდებს და ასე ეგონა, წისქვილარას ბრჭყიალება-ვარვალი ნაფოტები გახლდა, უზალთუნები ილონას სულიდან დაცვენილი.

დადუმდა კვარტეტი, მაგრამ სოლოს მკერდი ინერციით განაგრძობდა წისქვილარას აკომპანიმენტზე ჯინჯილების ჟღარუნს. ნელ-ნელა სუსტდებოდა ეს ხმა, იღვენთებოდა, იშრიტებოდა, ბოლოს სრულიად მინავლდა და ბეჭებზე გაწოლილი მოცეკვავის დალალების სავსებით მიისკუთრა მდინარის ცოფმორეულმა სრბოლა-ხივილმა. მეგიტარენი უცდიდნენ ილონას წამოდგომას, წამოყელყლავებას, რათა კვლავ დაუსველებლად მიაბრუნონ ნაპირზე, მაგრამ ქალი გამოთიშულია გარემომცველ რეალობას, ჩამოსრიალდება ლოდიდან და ეული კოცონისკენ მიემართება. ფეხზე წამოშლილი გოგო-ბიჭები ვინ ქათმის ბარკალს წამოავლებს ხელს, ვინ გაუხსნელ შამპანურს თუ აშიშხინებულ მწვადს და ხორხოცით შეცვივდებიან წისქვილარას მოჯუჯღუნე ტალღებში, მიისწრაფვიან თავიანთი დედოფლისკენ. ახლა სხვებიც მიჰბაძავენ ახლებს და მალე სუფრასთან მტკაველულვაშებიანი კუზმა, დეიდა შურა და კიდევ ორიოდე ხანდაზმულიღა რჩება.

ბოკვერა შვილებიც იმ ნაპირისკენ გადაუფანია მამას. მოაქვთ ახალი ტოტები, უმატებენ და უმატებენ გაპარანებულ კოცონს. იცინიან, ხაფხაფებენ, ბოთლიდან ყლუპავენ შამპანურს, ილუკმებიან აოხშივრებული მწვადით.

ილონა თვალის დახამხამებაში გადაიბერტყავს მხრებიდან ბარე ორ ათეულ წელიწადს. ისევ ის ცქრიალა გოგონაა, მაჯებში რომ ეჭიდებოდა გულისწორს. გაცუდებულა ფაშფაშა ბიცოლას მარჩიელობანი, რომ თითქოს მისი კოლხი მიჯნური ერთხელ შევა კარში, გაივლის მეორეს, მესამეს და არასდროს მიუბრუნდება გარახდილს, განცდილს.

ამასობაში მტკაველულვაშიანი კუზმა აროხროხდება. ჭიქით ხელში ად-

ღეგრძელებს ამ კურთხეულ ცას და მიწას, წისქვილარას გამეტებულ სწრაფვას, გოლიათ ლოდებს და გათარანებულ კოცონებს, ხეს შეყუჟბულ თითოეულ ბუდეს, ცხენის ფლოქვებით ყლგამოღადრულ ყაყაჩოებს და მაწანწალა ძაღლების წკმუტუნს მოქნეული წიხლისას; ყოველივეს, რაც ჯაჭვივითაა ერთმანეთზე რგოლებად ასხმული: მზეს და მთვარეს, ცას და მიწას, ქალსა და კაცს, სიკეთეს და ბოროტებას, სიკვდილს თუ სიცოცხლეს.

ღვინოსმოწყურებულნი ისევ შემოჯირითდებიან საყინულე წისქვილნარში, ისევ დაიტვირთავენ ზურგს ბურძგლების ლაშქრით. მერე წამოვა და წამოვა ნისლი. ჟინჟღლგარეული, ძვალრბილში ნემსებივით მსტოვარი. წაღმაუკუღმა ტრიალებენ კოცონის გარშემო. ბუღი ნელ-ნელა ქრება ტანსაცმლიდან. გაღმითა უპატრონო კოცონი თანდათან იძარცვება. პურ-მარილს პოლიეთილენს გადააფარებენ, ქვებს დაადებენ კუთხეებზე, ქარმა რომ არ გადააფრიალოს და მანქანებში შელაგდებიან, თვლემას მიეცემიან, რათა ამობრწყინდება თუ არა ცისკარი აღსავლეთიდან, კვლავაც წამოიშალონ ფეხზე, კვლავაც მოიძიონ ტყეში ფიჩხი და შეშა.

ამჟამად ორის ნაცვლად ერთ კოცონს დააგუზგუზებენ. ისევ აჩქამდებიან გიტარები წისქვილარას მიდამოებში. ადგილობრივნიც ამოაკითხავენ სულისმოსაბრუნებელ სავანეს. ჩხოროწყუელები და წალენჯხიხელები მოგვიანებით შემოუერთდებიან. როინ კალანდიას და გერო შეროზიას აქ მოიხილავენ ხელგაშლილი მასპინძლების ამპლუაში მთელი ღამის უძინარი როკი, თეიმურაზ დარასელი და უჩა ხეცია, ამ ხელუხლებელი ბუნების წიაღში დანთქმის ჟამს.

ორკაპა სარებზე ხარიხას გასდებენ და ზედ გატყავებულ ციკნებს ჩამოჰკიდებენ. დიდრონ ქვაბებს მოათრევენ ცირამუებისაგან კაცის სიმაღლეზე წელვადი ელარჯისა და ხოზოზ კვერების მოსახარშად.

ოჯალეშიანი ბოცებითა და ჭყინტი სიმინდებით გამოჩნდებიან გახარიები კაპიტონის მოლექსე ბიჭს, ლაშას, მეთაურობით.

კვლავ აბრიალდება სული მითაჟამინჟდელი ცეცხლისაგან, მაგრამ ერთხელ დანაცრულს ძნელია ხელმეორედ წაუკიდო და წუხანდელი გიჟობების მერმე მოზომილი ხდება გეტმანების ასული, საკუთარ თავს იპოვის, მეტ მზრუნველობას გამოიჩენს შვილებისთვის და გამგები მეუღისათვის.

შურა დეიდა ქათმის ფხას მიიდებს თვალთან ილონას თხოვნით, როგორც მზის დაბნელებას უმზერენ ხოლმე, ისე გახედავს ცეცხლის მოთამაშე ენებს. დიდხანს იბუტბუტებს მჩხიბავი დედაკაცი, მერე თავის ქნევით ერთადერთ წინადადებას იტყვის ოდიშელიას გასაგონად:

— ვხედავ წაყირავებულ ბოცას, საიდანაც სისხლისფერი ღვინო იღვრება; ვხედავ გზას, მოლიპულს და დაუსრულებელს; ვხედავ ერთმანეთისაკენ გაწვდილ ხელებს, რომელთაც სულ ციდისხელა უკლიათ შეკავშირებამდე, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით წასწრაფებული ფორნების გათანასწორების მომენტშია ეს სიახლოვე. გასაგებია?

ეს დღეს უმალესად შემოადნებათ და აუხდენელ სურვილების ვერმოხელ-

თების ჟინით ბოლომდე ჩაფერფლილნი, როცა ზუგდიდ-ქალაქისაკენ მობრუნ-დებიან, მზე გვარიანად დაშავებულა დასალიერით. როკის აშკარად არ ეთმობა ბოშები თავიანთი დედოფლითურთ, ამიტომაც ეპატიჟება ,,თუთარჩელასკენ''. იქ თითო ჭიქა შამპანურით განიქარვებენ სევდით გასენილ გულს და აღარც ილონა იუკადრისებს მიწვევას. შვილებს მეუღლეს გააყოლებს ბებიასთან, გიტა-რიან ქალ-ვაჟებს დაიტოვებს. აივნის ქვემოთ მიაფენებს შავ ,,ოცდაოთხს'' როკი და გაჩირაღდნებული დარბაზისკენ მიუძღვის სტუმრებს, სადაც ვარიეტე გრგვინავს და ერთიანად აზანზარებს ფანჯრის მინებს, მაგრამ ოცდარვა საათი ცოტა როდია მოვლენების წარსამართად.

როკიმ არაფერი უწყის წუხანდელი ამბისა. მეზობელი სუფრიდან წვე-ულმა მეგობრებმა აუხსნეს საქმის ვითარება.

დიხამინჯიას დავალებით ქალაქის პროკურორს სანქცია გაუცია ოდიშე-ლიების გასაჩხრეკად. მილიციელების ჯგუფს მეზობლებისთვის მოუხმია. რო-კის არყოფნით უსარგებლიათ. ბედზე გივი და გენადი ქალაქში ყოფილან წასუ-ლები და მთელი სახლ-კარი გადაუქოთებიათ. სტილი იგივე იყო. სახლში რომ ვეღარაფერი აღმოაჩინეს, ახლა საბძელს და ნალიას მიადგნენ. დიდი მუშაობისა და ქოთქოთის შემდეგ დაფშვნილ სიმინდში სამი ხელყუმბარა იპოვეს, სწორედ ისეთი, ქალაქკომის მდივნობის პოსტზე დასახელებული კაკაჩიას ეზოში რომ აფეთქდა ამასწინათ ზედიზედ. მართალია, მეზობლებმა ხელი არ მოუწერეს ოქმ-ზე, ვინაიდან ჩხრეკის პროცესში ნალიაში მილიციელების მეტი არავინ იმყოფე-ბოდა. ვალერიანმა რკინისფერი დაიდო და დაურიდლად მიახალა პირში ჯგუ-ფის ხელმძღვანელ მაიორს:

— სხვა ვერაფერი მოიფიქრეთ უკეთესი, ოჯახ-ქორებო! ადრე პისტოლეტი შემოუგდეთ ჩემს ბიჭს, ახლა ბომბები აღმოუჩინეთ, ხომ?! სანამ გვიან არ არის, უმჯობესია თქვენივე ხელით ჩაფარცხოთ ეს ბინძური საქმე, თორემ ღმერთმანი, სანანებლად გაგიხდებათ ყოველივე! — აბრიალებდა თვალებს, მაგრამ ყურისმ-გდებელი ვინ იყო?!

მიხვდა ოდიშელია ცოტნე დადიანის ძეგლი მსხვერპლს მოითხოვდა მის-გან, მაგრამ არაფერს ნანობდა. დარწმუნებული იყო, თავის სიმართლეს უცი-ლობლად გაიტანდა. დიხამინჯია ამ უკანასკნელ სისაძაგლეს ვეღარაფრით გა-დაურჩებოდა, რამეთუ სავარძელი ზომაზე მეტად უყანყალებდა. სუფრაზე დი-დი ხნის დარჩენაც არ ივარგებდა, რადგანაც ოფიციანტების ნაწილი შეკრუ-ლია მილიციასთან და როკის ადგილ-სამყოფელი შესაძლოა განყოფილებაში უკვე იცოდნენ კიდეც.

ვარიეტე კი ქოთქოთებდა, ქაქანებდა. დარბაზის გაყოლებაზე ორმწკრი-ვად შეერთებული მაგიდების რიგთან პურმარილობდნენ ინდუსტრიული ტექ-ნიკუმის კურსდამთავრებულნი თავიანთ პედაგოგებთან ერთად.

სუფრის ბოლოს დიხამინჯიას ხალხი ქეიფობდა. ძმის მეგობრებს მთაკაცი ჯოლი ქურსუა თამადობდა. როცა იგი საუბრობდა, შედარებით ახალგაზრდე-ბი ფეხზე წამოიმართებოდნენ, თითქოს ამით ხაზს უსვამდნენ უფროსი თაობის

წარმომადგენლის პატივისცემას. თამადის ადგილიდან დაძვრა არც ისე იოლი საქმე იყო. როცა ესტრადა დაიქოქებოდა, მხოლოდ მაშინ ათონთლავდებოდა ურემზე გადმოჩანჩურებული თივის ზვინივით. ვინმე კურსდამთავრებულს გაიწვევდა საცეკვაოდ. ჩაბღუჯავდა მოცქნაფულ გოგონას და ღიპზე ისე მიიწებებდა, თითქოს მისი სხეულის დანამატი ყოფილიყო.

საჭირო ოთახში გასვლისას ქურსუამ თვალი ჰკიდა, შემოსასვლელთან, მაგიდის მეორე ბოლოში მოკალათებულ ოდიშელიას ბოშათა გარემოცვაში და აიმღვრა. მეორე სუფრას იცვლიდა დღეს, ესეც ათამამებდა ფრიად. მერე განსაკუთრებით ძმის დამჩაგრავის დასაკავებლად პროკურორის გაცემული სანქციაც ასხამდა ფრთებს და აქეთობისას, როცა მუსიკას ყირაზე გადაჰყავდა ოდიშის ახალგაზრდობა, საცეკვაოდ გაიწვია ერთ-ერთი ბოშათაგანი ილონას სანათესაოდან. ბევრი ჭმუჭნა და ჩქმიტა მოხელთებული ასული ჯოლი ქურსუამ, მხოლოდ მუსიკის შეწყვეტამ უშველა მსხვერპლის წამებას. არც კი მოუცილებია სუფრასთან. ზრდილობა და გვარიშვილობა თავისი გაბარიტის შესაფერისი გამოავლინა.

მოღიავებული მინის კარიდან, საპირფარეშოსკენ რომ გადიოდა, ჩინებულად აირეკლებოდა კიბეები. წესით იქიდან წუთი-წუთზე მილიციელები უნდა გამოჩენილიყვნენ.

ყურში უჩურჩულა ილონას, მანქანაში დამიცადეო, თან გასაღებიც მიაწოდა. გულის მოუფხანავად არ უნდოდა წასვლა. იცოდა ოდიშელიამ, ქურსუა ისევ გამოჩნდებოდა, კვლავ მოუნდებოდა ცეკვა, ოღონდ ახლა — ილონასთან. ამ მომენტს იყო დადარაჯებული როკი, თანაც ცალი თვალი გასასვლელი კარებისაკენ გაურბოდა, ვარდისფერი ფარდიდან ეკრანივით რომ ამზეურებდა ამოსასვლელ კიბეებს. უკვე ჩაიარა ილონამ. მიიმალა მისი სხეული. აქეთ ესტრადამაც დასცხო და წამოცვივდნენ ახალგაზრდებიც. ნადირის ალღომ არც ახლა უმტყუნა ოდიშელიას. ხედავდა გოლიათი კაცი ისევ წამოიმართა. ისევ გამოარღვია ქალ-ვაჟების ტყე. მათი მაგიდისკენ მოეშურებოდა. ახალ პარტნიორს ეძებდა ღიპის დასაყრდნობლად. წვდა კიდეც მაჯაში დაურიდლად სუფრის კიდესთან მოკალათებულ გრუზათმიან ქალიშვილს.

— არ დამეხსნებით ძმები ქურსუები?! — იფეთქა როკიმ და გაუხსნელი შამპანიურის ბოთლი თავზე გადაამსხვრია. ერთი დარტყმა საკმარისი არ აღმოჩნდა ვეშაპის წასაქცევად და ოდიშელიამაც მეორე მოუნაცვლა. ჩამოჰყვა ღაბაბიან სახეზე სისხლის ზოლები მომეჯლისეს. ატყდა წივილ-კივილი. ჯოლი ქურსუა ჩაშვავდა იატაკზე.

— წადით, დროზე წადით! — ეუბნება როკი სტუმრებს, — მე ამათ მარტოც გავუმკლავდები.

უსიტყვოდ უსრულებენ ბრძანებას. ახლა დიხამინჯიას ხუთეული გამოქანდა მისკენ. ვარდისფერი ფარდებიდან ირეკლება პირველი სართულიდან როგორი თავპირისმტვრევით გამორბიან იარაღამოშიშვლებული მილიციელები.

აჰა, მეორე სართულს გაუსწორდნენ, სადაც არის დარბაზში შემოცვივდებიან. ეს წუთია და ოდიშელიამაც ზედიზედ სჭექა ამოპრიალებული „ტეტედან“. ხუთივე იატაკს გაერთხა. ასე მოსდით შემოსასვლელთან შეჯგუფებულ მილიციელებსაც. თავად კი მესამე სართულის აივნიდან მიფრინავს, ავაზასავით ეშვება ასფალტზე. წამში საჭესთანაა და ვიდრე რესტორანის წინ შექუჩებული მანქანების ვაი-ვუი ატყდებოდეს, როკი საკონსერვო ქარხნის გადასახვევს ჩაუქროლებს.

ილონას ორივე ხელი მიუბჯენია „ბარდაჩოკისთვის“. „ჟიგული“‘‘ „ვოლგაზე“ სწრაფი და მოხერხებულია ოდიშის გზებზე. უმალესად მცირდება მანძილი დევნილსა და მდევრებს შორის. სარკმლებით ისხიპება ჭადრები, ოდა-სახლები, ბოძები. ინგირის კოლმეურნეობის დაღმართზე ჩაქანდნენ. აგერ, ლამის ზედ შემოაფრინდნენ.

— დაიჭირე საჭე! — ეუბნება ილონას როკი, — ნურაფრის გეშინია!

მთელი ნახევარი ტანით გამოვა ფანჯრიდან და ორივე ხელით ბოლომდე დაცლის „ტეტეს“.

მდევრები სალონში ყვინთავენ, ყურყმელაობენ. საქარე მინა დაეფშვნათ. ცოტათი ჩამორჩნენ დაწინაურებულებს, მაგრამ „კანარეიკების“ მწკრივი აშკარად მოჩანს ზურგს უკან; მოქრიან ევკალიპტების ხეივანში. წინ მანქანების სიმრავლეა. შლაგბაუმი ჩაუკეტავს მეისრეს.

— მიმიშვი, — ამბობს ოდიშელია, — „ტეტეს“ კალთაში უგდებს. ხელმარჯვნივ მოსჩანს ლოკომოტივის სამთვალიანი თავი: გამალებით მოექანება ჩქარი მატარებელი — „მოსკოვი-წყალტუბო“, მაგრამ დაყოვნების დრო ამოწურულა. ელვისებურად აუქცევს მხარს მანქანების რიგს, მარჯვენა ფანრით გამოედება შლაგბაუმის ბიგს, გაითრევს. თვალის მიდევნებას ვერ მოასწრებენ. მეისრეს ტარზედახვეული ალამი ჰაერში გაეყინება. გაოგნებულან ორმხრივად მომლოდინე მძღოლებიც. მხოლოდ მანქანის ფერზე ცნობს ზოგიერთი ოდიშელიას.

— როკიაო, — ჩაილაპარაკებენ და სინანულით თავს გააქნევენ, რადგანაც აქა-იქ უკვე შეუტყვით მისი ხელოვნური გასაჭირისა. ეგ არის და შემადგენლობაც ისტერიული კივილით გაიწელება მეისრის კოკროჭინა ჯიხურთან. სამიოდე წუთში ჩაიქროლებს მატარებელი, რომელიც სოხუმიდან მხოლოდ სამტრედიაში ჩერდება. ილონა თვალს არ აცილებს როკის დაძაბულ, დაღარულ სახეს, მის დაღვინებულ ნაკვთებს, სქელ წარბებს, ფართე შუბლს და რაც მთავარია, უდრეკელ პოზას. როგორ შეცვლილა, როგორ გამოჯანდაკებულა რუხის ციხესთან მშობლის წინაშე უმწეო ყმაწვილი, რომელიც მთელის ძალმოსილებით ყვირის ახოებზე გადმომდგარი ხარ-ირემივით თავისი ფურისთვის.

ზურგს უკან კი, შლაგბაუმზე როკის ნაცნობები მოხერხებულად ჩაგმანავენ გასასვლელს, ამტყდარა მძღოლებს შორის ყასიდი დავა. განგებ ექაქანებიან

ერთმანეთს. არის ზუგდიდის მხრიდან მილიციელების ხაფხაფი, გინება, სიგნალების გამაყრუებელი ხმაური და წეწვა-გლეჯა, მაგრამ ოდიშელია უკვე კახათს გამცდარა და იქიდან მის საძმომდეც ხომ მხოლოდ ცხრა ნაბიჯია.

ლიმა მეშვიდე

ანატორი
538461

ჩემნაშკართან, სოფელ კოკის გადასახვევთან, ოცდაათამდე ენგურგაღმელ მგზავრს მოეყარა თავი. როკიმ სასხვათაშორისოდ იკითხა ნაკარღალის გზა. წამოცვივდნენ ბავშვებიანი ქალები: წაგვიყვანეთ, წაგვიყვანეთო. ორი მანდილოსანი და კიდევ სამი მალხაზი დაიმგზავრა ოდიშელიამ ბარგიბარხანიანად.

დაეშვნენ მდინარის მიმართულებით. ხანდახან თვალს შეავლებდა ილონას, მაგრამ დადუმებული ქალი ფიქრებს მისცემოდა. არც როკი იყო მაინცდამაინც საუბრის ხასიათზე.

,,სიბრალულის გრძნობა დაკარგული გაქვს შენ! ხედავ, თვალსა და ხელს შუა უნგრევ საათივით აწყობილ ცხოვრებას და მაინც დევნის საბაბით დაგიღლიავებია. სანაცვლოდ?! სანაცვლოდ რას ჰპირდები სულზე უსაყვარლესს?! კარდაკარ ხეტიალს, შიმშილს და სიცივეს, შერცხვენას ნათესავებში, საზოგადოებაში; შვილების სიძულვილს. ბედისწერას არქმევ ლამის წინასწარ მოფიქრებულ სიტუაციას, რომელმაც ის ოდინდელი უმწიკვლო სიყვარული შესაძლოა უკვე კიდეც შეიწირა. ოთხი წელიწადია გაურბიხარ და უცებ რა ჯანდაბა გეტაკა? ან ,,თუთარჩელაში'' საერთოდ რა გინდოდა?! კასკადიორებით მაგას ვერ გააკვირვებ. ვითომ რა მოიმოქმედე, გმირობის მოწმე მოიხელთე თუ წინასწარ ძვალ-რბილში გაგჯდომოდა მისი დაუფლების ჟინი და შენც აჰყევი ცხოველური სურვილების ფეხის ხმას?! ერთი ჭა ხომ მაინუ უნდა დაგრჩეს წმინდა, შეუბღალავი?! მაგრამ თვითონ რომ დაიწყო ზანზალაკებიანი ეტლებითა და ცეცხლოვანი გიტარებით თავბრუს დახვევა?! ოჯახის შექმნაც აქეთ დაგესწრო. მოკლედ, ბარიბარში ხართ. მიხვალ ოდიშელიებთან და ყველაფერს იღონებ მის დასაბრუნებლად! რატომ უნდა ზიდოს სანთელივით სუფთამ შენი ცოფიანი დღეები?! რა თვალით შეხედავ მერე უფალს განსაცდელისას?! დიახ, ჩასვამ ლევთერის მანქანაში და შინ გაისტუმრებ! ასე აჯობებს ორივესთვის! ხომ გიმარჩიელა ფაშფაშა ბიცოლამისმა:

გაივლის ერთ კარს, გაივლის მეორეს, გაივლის მესამეს და უკან არასდროს არ მობრუნდებაო?! რატომ ეურჩები იღბალს?! განა იგივე არ გითხრა დედამისმა შურამაც?

სხვადასხვა მიმართულებით გაქანებული ეტლებიდან ეპოტინებით ერთმანეთსო.

ბავშვობაში კიდევ ხო, მაგრამ მარჩიელის ზღაპრებს ვერწმუნები მე ახლა, ცხრა თოკგამოვლილი კაცი?! თუმცა აქ არის ერთი ნიშანდობლივი მომენტი, კერძოდ ის, რომ მკითხავი თავის გულისნადებს, საზოგადოების აზრს შენზე, პიროვნულ სიმპათია-ანტიპათიებს, აჯაბსანდალივით შეკმაზავს და გვარიანი ყეყჩი თუ ხარ, დაგაფჩენინებს პირასაც. ჩემი და ილონას მომავლის გარკვევას რა დიდი გულთმისნობა უნდა?! ის პირწავარდნილი ბოშაა, დაუსრულებელი ხეტიალის მუღამის ხალხის შვილი, მომთაბარული სისხლის და გაგებისძალად რომ დაება, დაეჯაჭვა ზუგდიდს ჰელიუმით დატუმბულ აეროსტატივით და ქვიშით სავსე ტოპრაკები თუ ჩამოაშორე, ვინ იცის, საითკენ გადაისვრის ბორიაყის ნება-სურვილი?! ის აუცილებელი სიმძიმე, ძიუმპეის ქვიშით სავსე ტოპრაკებს რომ შევადარე, მისი ჩემდამი სიყვარულია — აუხდენელი, მიუღწეველი, აკრძალული ხილი ათასი ცხოვრებისეული რეალობით: ქმრისადმი, შვილებისადმი ერთგულებით, თავმოყვარეობით, ზნეობრივი ფასეულობებით და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამით; გადააბიჯებს ამ ზღვარს, გადალახავს რუბიკონს, გახარჯავს აეროსტატის დამაკავებელ სიყვარულს, მერე, მერე რას შვება?! ან უნდა გამოუშვა ჰაერი იმ აეროსტატიდან, ან კიდევ მართვად დირიჟაბლად იქცე, მაგრამ ეს ხომ იოლი არ არის?! არსებითად საკუთარი თავის გადახტომაა.

შენთვის კი პირიქით, ბორიალი, მიმოსვლები და მისთანანია ბორკილი, დაბნეულობა. შენ მყარად მკვიდრობ ხელისგულისოდენა მიწაზე. მშობლიური ხეებივით ფესვები ღრმად გაგიდგამს მის წიაღში და რადგანაც შენი ხორცი თიხის ნაწილია, შეზრდილა მასთან, მოცალეობის ჟამს იწყებ ოცნებით ხეტიალს. გამოდის, იგივე ბოშა ხარ თავადაც. ის სრულფასოვანი მომთაბარეა, შენ — სანახევროდ განხორციელებული, სანახევროდ რეალიზებული. მართალია, ყმაწვილკაცობისას ბევრი ეძებე ილონა. გეპოვა, ალბათ, სხვანაირად წარიმართებოდა შენი წუთისოფელიც. მაგრამ აწი აღადგენს განა რამე გარდასულ განცდებს?! გენიალური კრონოსის კუთვნილებაა უკვე.

ბორჯი, ირფელ სი გობარ, ულირ, რენ დო მუმაალი, სო რე ბორჯი სი ვაცოფექ, სო ვემიოხე სქანი ნალი, მარსიოლუქ უმუხარცქო, ირო ართინერო მალი, სი გიჩქ სო მი ჩილათე დო , სო მის უღუ ნაინალი. სი რშუ თინა მუთი ვაშუ, მითინც ცა დო დიხა შქასუ, სი უჯინედ სარიკოსუ, ბჟაშე დიხაშ მოხარცქასუ, სი ვარენო გიჯინუნი დიხაშ პირველ დორთაფაშა, სი გიჯინუ პირველ სერშა, პირველ დღაში გოთანაშა. სი მოთინცუ პატის ვაცე, სამართალი გიღუ თინუ, ხვალე ართი — სქანი წკალა, ხანდა მითინც ვაუდინუ, კოჩი მუში მოჯგირესუ, ჯა დო ქუას ოცოთანცუ, უბადოში ცქვაფა უჩქუ, ჯგირს თხოზუ დო ოგორანცუ, არძა ფირქენს მუ ორთუნი, შხვა კოჩიში უჯგუშისუ, ბორჯის ვაუჩქ მეფერაფა, ირკოს არძენს მუშუშისუ.*

რა გენია მოსპეს ასერებმა?! კოლხი ბაირონი. დანიელ ფიფია. დანე.

ესე იგი, რომ გდევნიან, არის შენშიც რაღაც ღვთიურობის ნაპერწკალი''.

როკიმ ხიდისთავთან ჩამოსხა მგზავრები. ფერმკრთალი მთვარე ასინათდება ტრიფოლიატას ღობეებს, აქოჩრილი თხილის ბუჩქებს. ძაღლები ღავღავებდნენ. აქაურ ოღროჩოღრო შარებს ოდიშელია ხუთი თითივით იცნობდა. ორი ათეული წელიწადია არაფერი შეცვლილიყო სოფელში: იგივე ტლაპოები და მინდვრები, იგივე ღელეები. სამკაო ხანს აფარებდა თავს ოდიშელია მოგვარეებთან, ვიდრე თვითონ არ მობეზრდა უსაქმურობა, ვინემ სულის ყივილმა არ უხმო, ახალ სივრცეებს არ გამოანთო ილონას საძებრად.

— მაპატიე, — უთხრა ქალს მოულოდნელად, — ყველაფერი ჩაგამწარე.

— სიმართლე მითხარი, — დიდრონი მწვანე თვალები მოანათა ილონამ, — მანექანის გასაღებს რომ მაძლევდი, იცოდი გეძებდნენ თუ არა?!

— კი. გახსოვს ერთმა რომ გამიხმო, სწორედ იმან მითხრა.

— გამოდის, რომ მომიტაცე.

— დაახლოებით, მაგრამ ამაღამვე მიგაბრუნებ შინ. საამისოდ ჩემიანები იზრუნებენ.

— მე კი მეგონა მართლა მომიტაცე. ,,პირი ხომ არ შეკრეს ამათ?! ჯერ ბიცოლა-ჩემის სიტყვებმა მომინელა: უკან არასდროს მობრუნდებაო. ახლა დეიდაჩემიც ზედ არ დაემატა?! კარლო გამიგებს, კარგი ბიჭია. არც სხვების მითქმა-მოთქმის მეშინია. ბოლოს და ბოლოს მე ბოშავარ და არა — მეგრელი''. ჩვენს უნებურად მეორე მამაკაცი არ იქნება, როკი, მაგრამ საკითხავია, ვინ არის პირველი: ის პატარა ბიჭუნა, კაბის კალთაზე რომ მებღაუჭებოდა თუ ჩემი ჯიშ-ჯილაგისა, ორი ვაჟი შვილის მამა?! წამოყვანა შენინება იყო, დაბრუნება — ჩემზეა, თვითონ გადავწყვეტ, როგორ და რანაირად აჯობებს, შენთვისაც, ჩემთვისაც, ტყვიით რომ არ მოგსდევდნენ, გაგეცლებოდი ხელად, მაგრამ ახლა ჩემი წასვლა ღალატი იქნება. მაღალ ღმერთს რაც სწადია იმას ადამიანი ვერ შეცვლის.

ოდიშელია თავდახრილი უსმენდა ილონას. სახეზე ალმური ეკიდებოდა. სინდისის ქეჯნასაგანაც იყო ეს წამოფაკლვა და სულის კუნჭულში მიმალული მსუნაგი სურვილისგანაც, რომელიც ილონას გამაღიზიანებელ ოფლის სუნს მოჰქონდა.

ენგურის მარცხენა ნაპირს მისდევდნენ. მიმცხრალი მთვარის შუქზე მივალალებდა დაკნინებული მდინარე, დაგვალული შუკებით მიიკვლევდნენ გზას ოდიშელიებისკენ.

მოსახლეობა კერიებს მიჩოჩებოდა. ადამიანი შვილი არსაიდან ჭაჭანებდა. ჩაუარეს კამეჩების ჯოგს, ცხენების რემას, კიდევ რამდენიმე მინდორი გადაიარეს, ჩაუხვიეს ხელმარცხნივ და მოხრეშილ თემშარაზე გავიდნენ.

— მთლად ბავშვი მოგიყვანია ცოლად, — წამოიწყო ისევ ილონამ, — ისე კი შეუდარებელია თურმანიძეების ასული, მდიდარი, კარგი წრის, ხორბლისფერი ჩემსავით.

— ჰო, ბევრად უფროსი ვარ.

— ჩვენს ამბავს რომ გაიგებს, გაგეყრება, ალბათ, — გადაიკისკისა უცებ.

— გამორიცხული არ არის.

— ნუ ჯავრობ, დამშვიდებული იყავი. მეგრელი ქალი ბოშა როდია. არსად გაგექცევა. ბიჭისთვის ნიკა დაგირქმევია.

— ჰო, მარინას მამის ხსოვნის საპატივცემლოდ. შენები კარლოს ჰგვანან უფრო.

— დიახ, მისი ალი-კვალია ორივე. საოცარი მუსიკალური მონაცემები აქვთ ჩემს გიჟელებს. კარლოსთანა გიტარისტი კავშირში თითითაა საძებარი. ნამდვილი ვირტუოზია.

როკის გაეცინა.

— რა იყო, გეეჭვება? — ეწყინა ილონას.

— ჩვენი ენა მაგრად გისწავლია, ლამის უაქცენტოდ ლაპარაკობ, მაგრამ ლაფსუსები მაინც მოგდის. ჩვენში თითით საჩვენებელი კაციაო იტყვიან, მაგრამ საძებარს თუ ახსენებ, მაშინ სანთლით უნდა დაამატო, სანთლით საძებარი. ისე, ბიჭები მამას ემგვანებიან უფრო, სახითაც და ზნეობითაც.

— უფროსი შვილი წლისაა უკვე. უმცროსს ექვსი შეუსრულდება ნოემბერში. დამიჯერე, მოცარტები მეზრდება. საუბედუროდ დაგვავიწყდა ვიოლინოს წამოღება, თორემ სასწაულს განახებდი.

— როცა პირველი შვილი გაგჩენია, ჩრდილოეთში ვიყავი, მეორის დროსაც.

— ვიცი. სამმართველოში მითხრეს. ეტაპირებულია სვერდლოვსკის მიმართულებითო. საკმაო ხანს კი გიცადე, როკი, მაგრამ აქეთ ჩემების შემოტევას ველარ გავუძელი; იქით — უქმრო ქალი, გნებავს ბოშა იყოს იგი, გნებავს — მეგრელი, უპატრონო ცხვარს ჰგავს, მგლების სათარეშოდ მიშვებულს. კარლო კი ნამდვილი მამაკაცია, კბილებით დამიცავს თუ დამჭირდა.

— მგონი მოვედით, — როკიმ ფარნები გამორთო და მთვარის უსუსურ შუქზე მიუყვებოდა შუკას, — შენ უფრო მეტ ხანს მომიცადე ილონა, ვიდრე მე გეძებდი. მოკლედ, ვალში ვარ. თითქოს ღარიბულად ცხოვრობენ, მაგრამ აი, ნახავ, სართულებით რომ არ იზომება ოჯახის შესაძლებლობა. ჯოტო ოდიშელიას რკინა-ბეტონს ვერ უხსენებ. დურგალია თვითონ, ხუროობს, ოღონდ გასამრჯელოსათვის კი არა, თავისთვის ჩხირკედელაობს! ცეცხლზე შემოსადგმელის გარდა ოდიშელიებთან ყველაფერი ხისაა, ყოველშემთხვევისათვის ასე იყო ჩემს დაპატიმრებამდე.

— ამ ხნის მანძილზე რაღაც შეიცვლებოდა.

— შესაძლოა. რძალს სიახლე შემოაქვს ოჯახში. თან თვითონაც სამოცდაათს გადაცილებულია უკვე. არშინიანი მხრებით დავტოვე და ვნახოთ, წუთისოფელს რამდენად გაუმკლავდა. ცოლად აზნაური შვილი ჰყავს, ჩხოლორაიების ქალი, საოცრად ენამოსწრებული და სანდომიანი. ჰმ! ძაღლები აუშვიათ. მისიგნალებისაც მერიდება, — აანთო ფანრები, ისევ ჩააქრო და ასე გაიმეორა რამდენჯერმე.

აივანზე გამოსულმა კაცმა როხროხით დაუცაცხანა ნაგაზებს.

— რომელი ხარ მანდ, თვალებს რომ აპაჭუნებ უწესო ქალივით? — მერე შინაურებს გადაულაპარაკა ჩაწეული ხმით, — გითხარი თუ არა, ბაბაგე, ძაღლებს ჯერ ნუ აუშვებ-მეთქი?! მგონი სტუმარია.

სამზადიდან გამოსული დედაკაცები დაფაცურდნენ. უხმეს გააფთრებულ ქოფაკებს. აქეთ ოჯახის უფროსის გაწყრომამაც ნაგაზები მასპინძლებისკენ გაძურშა. როკი ამჩნევდა ნათურის შუქზე როგორ ჩააფრინდნენ საფლურში და მსუქ ლუკმით რანაირად წაიტყუეს ოდის მოფარებულისაკენ.

— გამარჯობა, ჯოტო ბიძია, — მიესალმა მასპინძელს მანქანიდან გადმოსული ოდიშელია.

— რომელი ხარ კაცო, მობრძანდით, ხმაზე მეცნაურები თითქოს.

— ძაკას შვილიშვილი ვარ, ჯოტო ბიძია, როკი.

— ჰაიტ, შეგირცხვეს ნამუსი! შენ კიდევ ბედავ აქ მოსვლას?! რა ხანია განთავისუფლდი და მოხუცი ჯოტო ერთხელ არ ინახულე. გაიხარე, დედაკაცო! როკი მოვიდა თავისი ფეხით! — მასპინძელმა კუტიკარი გამოაღო, გადაეხვივნენ ერთმანეთს. იმხელა გოლიათი იყო ჯოტო, ნიკაპამდე ძლივს წვდებოდა როკი. დევის ტორებით ბღუჯავდა სტუმარს და ისე ანჯღრევდა, გეგონებოდათ, ნაგალა მსხლის ხეს საარყდ არხევსო. მართლაც ბაყბაყდევს ჰგავდა ჯოტო ოდიშელია, ერთიანად გაბანჯგლული. გადაპარსული თავი ნიკელივით უბზინავდა. მსხვილი, დაგრეხილი წარბები გასთეთრებოდა გვარიანად. თერთმეტ წელიწადს ბევრი ვერაფერი დაეციცქნა მისი ახოვნობისათვის. იგივე ნეკათითის სისხო ძარღვები, იგივე დათვის ტორები. თვალწინ გაუელვა როკის უკანა ფეხით როგორ მიათრევდა მოზვერს კარის მეზობელთან გამართულ საუბარში. ცოტა ვერცხლი მიმატებოდა დევკაცს, თორემ სხვამხრივ დიახაც ძველებური ჯოტო ოდიშელია გახლდათ — როხროხა, ძვალმსხვილი, ფართე სახის, საკუთარ თავში დაჯერებული და გამუდმებით სტუმარს დადარაჯებული.

ოთხივე შვილი დააბინავა გამრჯე ადამიანმა. ორი ქალიშვილი დაასახლა. გაამზივთა. უფროს ვაჟიშვილსაც თავისი ხელით მოუკოპწიავა ოდა-სახლი. პირუტყვი, ფრინველი ერთი ჩლიქითა და ფრთით ზედმეტი არ დაუტოვებია ოჯახში. ფუძე უმცროსს ეკუთვნოდა წესით. ლევთერი როკის კბილა იყო, მაგრამ ულვაშაღინღლული ბიჭები ჰყავდა უკვე. ლევთერი ძალ-ღონით მამამისს მიმსგავსებოდა, მასავით მოუხეშავი და ვეება, ნებისმიერ მსუბუქ მანქანას მარტოკა წამოსწევდა ძრავის მხრიდან. დიასახლისები ოცდაოთი საათი ფუსფუსებდნენ გაშლილ სუფრასთან. მათ ოჯახს ი შვიათად თუ შეედრებოდა ვინმე სტუმრობით.

დეზერტირობის ჟამს როკი ისე შეეთვისა მათ სამკვიდრებელს, აცრემლებულებმა გამოაცილეს სოფლის ცენტრამდე. იქ სანდო ხალტურისტი დაუქირავეს: ვინ იცის, სად დაგჭირდებაო და ფულიც ჩაუკუჭეს ჯიბეში.

ოდიშელიამ გამოღებულ რკინის ჭიშკარში მანქანა შეიყვანა. ილონა სამზადთან ჩამოსვა, თვითონ ოდას შემოუარა და ძაღლების სიახლოვეს ძრავა გამორთო. ქოფაკები ერთმანეთის ჯიბრით ჯაჭვის აწყვეტამდე გათარანდნენ. შო-

რიდან შეემუქრა ძაღლებს ჯოგი ოდიშელია და ისევ გააკმენდინა ხმა.

ქალებმა გადაკოცნეს როკი და მისი თანამგზავრი.

— დატრიალდი შენებურად, ჩხოლარხე! ამას ვახშამი არც ეკუთვნის, მაგრამ თქვენთვის მიპატიებია, ქალბატონო. გავიგე დაოჯახებულხართ. გავიხარე, ჯოტო ბიძია კი რატომღაც არ გაგახსენდათ!

ქალები სამზადში შევიდნენ. კაცები არ ჩქარობდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ და აგრძელებდნენ საუბარს.

— ბევრი გამომრჩა ჯოტო, ბიძია, მაპატიე! რვაასი კაცი მყავდა დაპატიჟებული და მიუხედავად ამისა, მეორე რვაასი მაინც მემდურის. რა ვქნა, ვერ გავწვდი. რაც შეეხება ამ გოგოს, — ხმას დაუწია როკიმ, — ჩემი მეუღლე არ არის. უფრო მოგვიანებით გეტყვი რა მაკავშირებს მასთან და რანაირად მოხვდა თქვენსას.

— რაში მაინტერესებს ჩაძიება, — ბანზე აუგდო სიტყვა ოჯახის თავკაცმა, — ეტყობა რაღაც გაგჭირვებია, ჯოტო ბიძია რომ გაგახსენდა.

— ხომ იცი, ძაღლის ბედი მაქვს, — ამბობდა როკი და ეზოს შუაგულისაკენ მიაბიჯებდა მკვლავზე ხელგამოდებული მასპინძლითურთ, — ტყუილად ირჯებიან, უდანაშაულოს სასჯელს ვერ ამკიდებენ. ციხეში შებრუნება მაინცდამაინც დიდი უბედურება არ არის ჩემი ბიოგრაფიის კაცისათვის, მაგრამ უკვე ცოლშვილიანი ვარ, ასაკითაც გვარიანად დაგრუზული.

— ძაღლის ბედი ახსენე, როკი, მხედველობაში რა გაქვს?!

— ყოჩაღ, ჯოტო ბიძია, ვერაფერს გამოგაპარებს კაცი. იმიტომაც მიყვარდი და მეყვარები მუდამ. შენზე დრო არ მოქმედებს. რა წამალს გიკეთებს ისეთს ჩხოლარხე?! ჩემს ცოლსაც ასწავლოს იქნება, ბიჭივით გამოიყურები.

— ქათინაურებს მოეშვი, საქმეზე ისაუბრე.

— ჯოტო ბიძია, ერთ წელიწადში, ჰა და ჰა ორში, კომუნისტების ჭაჭანება არ იქნება ჩვენსას. ნუ გეცინება, სერიოზულად გეუბნები. ისე ჭრაჭუნებს მათი სკამები ახლა, მკვეთრი სიახლეები გარდაუვალია. სულ მალე სხვა ხალხი მოვა მათ ადგილას.

— ჭირს წაუღია ამათი ნიაბაგი*, მაგრამ ვაის გაყრილის და უისთან მისულის ანდაზა არ გამოგვივიდეს. კანონები დიდებული აქვთ კომუნისტებს, შესრულება იკითხე შენ თორემ. ბევრს მოვსწრებივარ მე: ნეპს, ოცდაჩვიდემეტს, სამამულო ომს, ორმოცდათექვსმეტს, სამოცდათორმეტს. სარკე რომ ჰქონოდათ, სოციალიზმი მთლად ხელწამოსაკრავი როდია.

— გადაა შენე ერთი!

— რამდენი წელია არ მინახიხარ, შეცვლილი მეჩვენები, თუმცა მაშინ ბავშვი იყავი. კიდევ კარგი ახლა მაინც ვერ იტყვი მეჩქარებაო.

— კომუნისტები ხავსს ეჭიდებიან, ჯოტო ბიძია, — აუჩემა როკიმ ძლივს ბანზეგადებული თემა, — მორჩენილია ამათი საქმე, როცა საკუთარი სკამის შესანარჩუნებლად ლიმონკების აფეთქებასაც გაბედავენ დიხამინჯიასავით, დამთავრებულია ბაზარი. ასე რომ, ჯოხითაც მაგდებდე წამსვლელი აღარსად ვარ.

ციხის მე არ მეშინია, იცი შენ ეგ, მაგრამ სისულელეა უდანაშაულომ ოთხ კედელს შუა ვიყურყუტო, უფრო სწორედ იმიტომ, ვიღაც კრეტინს ხელს ვუშლი, დაჩოქილი ცოტნეს ძეგლს არ ვადგმევინებ ზუგდიდში. მთელი არსებით ვგრძნობ ჯოტო ბიძია, სულ სხვა დრო მოახლოვდა. კომუნისტების სიძულვილი არ მალაპარაკებს ამას, თვითონ სისტემა დამყაყდა: გამადიდებელი შუშით უმზერენ შენს ნაბიჯებს, შენს მიმოხვრას, შენს სიტყვას. კი, მაგრამ როდემდე?! როდემდე გინდა ცხრაკლიტულში გამოამწყდიო მართალი აზრი?! ციხე ვახსენე და იქ არ დავბადებულვარ, თორემ დავაჟკაცებით მოგეცა ლხენა. დათვლილი მაქვს ჩემი თითებივით: ორმოცდასამი ციხე და პერესილკა გამომივლია. ორი დაკეტილი, თვრამეტი ზონა, ათი ბური და ერთი ზური. იზოლატორებს და კარცერებს ვინ მოსთვლის. რომელ შორეულში არ ვყოფილვარ, ჯოტო ბიძია, ყმაწვილკაცი ჩავვარდი და ჭაღარა იქ მომერია. რუსული ენის უცოდინარი ოთხიათას კაცს ვკარნახობდი ბურის საკნიდან. მეორე არასდროს ვყოფილვარ. ჭირივით მეჯავრება გამოთქმა:

ხუთეულში გულაობსო, ათეულში შედისო.

ყველაფერში პირველი უნდა იყო, ჯოტო ბიძია, რა სიტუაციაშიც უნდა ჩავარდე. ზონებს დავანებოთ თავი, სამოქალაქო საქმეებშიც თუ გინდა. ხურო ხარ?! ბადალი არ უნდა მოგეძევებოდეს. შენი ხელეჩო-ნაჯახის ზღაპრებს შვილიშვილებს უნდა უყვებოდნენ. სხვანაირად რაღა აზრი აქვს სიცოცხლეს?! ჯერ არ ყოფილა შემთხვევა კაცის შემშინებოდეს. არასდროს მიფიქრია მოწინააღმდეგე მაღალია, მხარბეჭიანი, დუხიანი, მკვლელი; ემხვარია, დადიანი, ბაგოატიონი თუ რომანოვი. ყველას პატივს ვცემდი და ვცემ კვლავაც. არც ცოდნით და შეძლებით გამოვარჩევ ვინმეს, აღარც — ხელობით. მე კაცს ფრჩხილისოდენას არ დავუშვებ; გლეხია ეს, მუშა, ქურდი თუ ინტელიგენტი, ნებისმიერი პიროვნება მეგობრად გამიხდია, გარდა გაფუჭებული კაცისა, მაგრამ ვინც ჩამოგითვალე ამათგან რომელიმემ ჩემი დაჩაგვრა და გასწრება თუ მოინდომა, სირბილის მადას დაუკარგავ სამუდამოდ. შენ ხურო ხარ, და ასსართულიანი სახლის წარმოდგენა არ გაგიძნელდება. დავუშვათ ამისთანა სახლის სახურავზე ფეხმორთხმით ზიხარ. ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკაველ-მტკაველ აგიგია ეს ქარვასლა, ხოდა, ტკბები შენი ხელებით მოპოვებული სიმაღლიდან სამყაროს თვალთვალით. რამდენი ოფლი და ენერგია შეგილევია ამ შენობისათვის. ჯამრთელობა შეგიწირავს სართულ და სართულ ზეაწევისას. ამისთანა დროს, ვინმე ხეჩუას გვერდით გინდა მომისკუპდე, ოფლის დაუღვრელად; ჰარიჰარად გინდა საჩემო სუფთა ჰაერი ყლაპო; ამ სიმაღლეზე ამოსვლასაც არ კადრულობ, მცოცავი ამწეთი გინდა ამოგასეირნონ და ისე დამიმშვენო მხარი. არ გამოვა. ამხელა ცათამბჯენის აშენება თუ არ ძალძიგს, კეთილი ინებე და მის შემოქმედს პატივი ეცი. ამოირბინე ქე მაინც მის სიმაღლემდე, ცოტათი მაინც გაიზიარე მისი ტვირთი, ოფლი მოიდინე ბეწო, წელში გაწყდები თუ რა?!

რაც მე სიყმაწვილიდან სიჭარმაგემდე გაჭირვება გამომივლია, ზოგს რომ დაასიზმრო, ერთ თვეს ლოგინს არ გაეკარება: არიქა, კიდევ არ დამესიზმროს ის

საშინელებაო. ღმერთმა სუყველას თავისი გზით გაუმარჯოს, მაგრამ სადაც არ გეკუთვნის, ცხვირს ნუ ჰყოფ. ბავშვობაში ოქტომბრელების ხაზზე იყენენ გაჭიმულები. წამოიზარდნენ, პიონერები გახდნენ, დაუთოებული წითელი ყელსახვევით პატაკობდნენ ერთმანეთს. წამოყვინჩილდნენ, კომკავშირლებად მოგვევლინენ, დამკვრელურ საქმეებში გაიჩითნენ. მერე წავიდა ჩალიჩი კომუნისტურ პარტიაში შესაღწევად. მე ეს ყველაფერი დიდი ხანია გაგებული მაქვს.

— ათი ათასი ყოფილა ტაქსა, — ბრძანა ჯოტო ოდიშელიამ.

— შეიძლება ცოტა ნაკლებიც, მაგრამ წყალში ჩაყრილი ფულია, დაეკარგებათ დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგ. სულ მალე ისეთ გასაჭირში ჩაცვივდებიან, იმ ბილეთის დასამარხავ ადგილს ვერ იპოვნიან, გნებავთ ხუთი ჰექტარი მამული ჰქონდეთ. ესენი უკვე ენერგიადაკარგული ხალხია, ჯოტო ბიძია, მაგრამ ამ მომენტში თუ მოგიხელთეს, შენზე გადაამტვრევენ ჯოხს. ასეთია განწირული კაცის თვისება. მერე რას მიშველის მე სხვა ხელისუფლება, სხვა პარტია.

იტყვიან: დაუშავებია და იჯდესო.

ყოფილა ჯერეთ მართალი კაცის ქომაგი მთავრობა?! ხალხის სატკივარზე ლაქლაქი ნებისმიერი მმართველი ძალის სენია. თავიანთი შვილებისათვის ქერის ორმოს იმზადებენ, შენთვის კი სამარეს თხრიან. ღმერთმა ქნას, ჩვენს ქვეყანაშიც მოსულიყოს უბრალო ადამიანების ინტერესების გამოხატული ხელისუფლება, მაგრამ გული მიგრძნობს, ყვავის ანდაზისებურად მოგვიხდება ცუნცული.

— ეგ როგორ? — ჰკითხა მასპინძელმა და უშველებელ ლეღვის ხესთან ბალახის მწიწკნავ ცხენს ფაფარში წვდა. მერანმა დაიფრუტუნა პატრონის მიალერსებაზე.

— არ მოუყოლია ძაკა ბაბუას შენთვის, ყვავს მელია რომ შეხვდება?

— რაღაც არ მახსოვს.

— კარგი.

საით მიფრინავ ყვავო, ჰკითხა ერთხელ მელაკუდამ ყვინჩილას.

სად ჩემო, ბატონო და რომ არ სკინტლავენ, იქო.

მერედა, უკანალი თუ მიგაქვსო, მელიამ.

იმან, კიო, დაუდასტურა.

მაშინ, იქაც მოსკინტლავ შე უბედუროო. საქართველოს წარსულსა თუ დღევანდელობაში, ი შვიათი გამონაკლისის გარდა, მე ვერ ვნახე ვერც მთავარი და ერისთავი, ვეღარც — მეფე, რაიკომის მდივნები და აღმასკომის თავმჯდომარეები ხომ სალაპარაკოდაც ზედმეტია, რომლებიც ხელეჩოთი არ მიითლიდნენ სახალხო დოვლათს.

— ამას რა ცოდნა უნდა, მშრომელი კაცის კისერზე ზის ხელმწიფეც, მილიციაც და არმიაც, მაგრამ ვთქვათ და გამაგრდნენ ის კომუნისტები, მერე რას შვრები, სულ ხომ არ დაიმალები?!

— უნდა ვეძებო გამოსავალი. მერიდება, მაგრამ შეიძლება ჩვენი დიდი ნათესავის შეწუხებამაც მომიწიოს. ასე რომ, ამიტანოთ უნდა დროებით. ზოგჯერ აფხაზეთშიც გადავალ.

გიშერივით მბზინავ რაშს მიაჩერდა როკი, რომელსაც ახალმოთიბული ბალახი მოეთავებინა და კოინდარს მისძალებოდა. ფანქარივით წვრილ და სწორ ფეხებზე იდგა. ჯოტოს არ გამოპარვია მოგვარის მზერის მიმართულება. იქით დაასწრო სტუმარს.

— ცხენზე უარს როგორ გეტყვი, ბაბაგე. თუ გაიმეტებ, რომელი ტრანსპორტი მიუვა ტყეში. შვიდი წლისაა, ფიცხელი და მოუთოკავი. არ იცის დაღლა რაა. მათრახს არ დაირტყამს ჩემი საღარა.

— ცხენი ერთი გყავს, ჯოტო ბიძია?!

— ვინ თქვა ეგ?! ერთი ცხენი გინდა გყოლია და გინდა — არა. რვა, მაგრამ ეს ამორჩეულია. შარშანდელ მეგობრობის ზეიმზე რუხში პირველი ადგილი არავის დაუთმო, მთელი ნახევარი კილომეტრით ჩამოიტოვა აფხაზების ყაბარდულები და არაბულები. უმცროსი შვილიშვილი იჯდა, ხუნტული. უფროსი მეორე ადგილზე გავიდა, კოჭოია. წარბია ათიოდე ნაბიჯით ჩამორჩა საღარას. აფხაზები კუდში დაგვდევდნენ: მოგვყიდეთ, მოგვყიდეთო, მაგრამ ცხენი ძროხა ხომ არ არის გავყიდო? ამათი ჯიშის კვიცი ვაჩუქე აგუ-ბედიელ ლაცუზბაიას. სანაცვლოდ იცი, რა ქნეს?! სამოცდაჩვიდმეტი წლის გამოშვება „ნოლტრი“ დატოვეს, წითელი ფერის, კვერცხივით შეკრული. ქალაქში არიან ახლა მისით ლევთერი და ბიჭები. იგვიანებენ რაცხა. შენ იცი, როკი, ცხენზე ჯდომა?

— მთლად ჭინკა ვარ, ჯოტო ბიძია. ბავშვობაში იპოდრომზე დავდიოდით. ჯიშიანი, უშველებელი სპორტული ცხენები ჰყავდათ. ორმოცდაათამდე მოზარდი გამოვაფანინებდით პავლუშა ჟოკეის და ჩხოუშიანში ვბანდით. შემდეგ ბოშები ჩამობანაკდნენ ჩვენსას და ახლა მათ მერნებს დავუწყეთ ფერება, ვარცხნა და სეირნობა. ცხენოსნობა ყველაზე ჯენტლმენურ სპორტადაა მიჩნეული უცხოეთში. ნებიმიერი პრეზიდენტი, დაწყებული რეიგანიდან, ცხენზე ჯდომით იმშვიდებს ნერვებს.

— პრეზიდენტებისა რა მოგახსენო, მაგრამ მე შენს „ოცდაოთხში“ არ გაგიცვლიდი ჩემს საღარას და წარბიას. ის ქალიც ბოშათა ცხენებს ხომ არ ჩამოჰყოლია?

— ჰო. ნუ იცინი, ილონა სხვაა.

— ააა, კინაღამ რომ მოგიტაცა?! ხომ შეტრიალდებოდა საფლავში ბაბუაშენი ძაკა?! ბიჭო, ვინ მოგვცა ჩვენ გასაციგნებელი ოდიშელია?! სხვა გვარის წარმომადგენლებისაგან გამორჩეულები იმითაც ვართ, ოდიშელიები არც იმერლებს ჰყავთ, აღარც — გურულებს და მითუმეტეს — აფხაზებს. ესე იგი მაგრად ჩაუჭერიხარ.

— ქალების მეტი რა მინახავს, ჯოტო ბიძია, მაგრამ ეგ ერთადერთია და განსაკუთრებული. მეზობლები ხომ არ გაგვყიდიან?

— გაგიჟდი?! მეორედ არ წამოგცდეს. ფარნა კოდუას, გულას ოჯახი?! იცი,

მეზობელი ერთი მყავს, ხუთი შვილის მამა, ნაღდი, დოგაფილი*მეგრელი. ეზო დიდი მაქვს, სამი ჰექტარი. იმასაც ამდენივე. სახლები ეზოს შუაგულში გვიდგას. ასე რომ, ერთმანეთს თითქმის კილომეტრით ვართ დაშორებულნი. დღისით უცხო ვინმე თუ გვესტუმრა, სხვა ოთახში გახვალთ. ნუ შეეფეთებით მაინცდამაინც. ღამით გებენს და ლანდუშს რომ ავუშვებ, მეყოლე ვარდივით, იძინე ტკბილად მთელი ღამე. სადმე დააპირებ წასვლას? — ღამის ორ საათზე გადადი ცხენით. ჩემი შავი ნაბადი და ბოხოხი ატარე. წვერი მოუშვი. დაბრუნებითაც შუაღამეზე ადრე ნუ მოხვალ. დღე დათქმული უნდა გვქონდეს, ძაღლები რომ არ ავუშვა იმ ღამეს.

— ბერიკაცო, ნუ შეიკალი სტუმარი, სიგრილემ არ დასცადოს, ენგურისპირია ბოლოს და ბოლოს, — გამოსძახა სამზადიდან თეთრი მანდილით შუბლწაკრულმა მეუღლემ.

სამზადი ერქვა ორთვლიან ნაგებობას, თორემ უკეთეს საცხოვრისას ვერც ინატრებდით. სივრცე იმხელა ჰქონდა, საღარა და წარბია ერთდროულად გაჭენდებოდა. ოდაში საძინებლად თუ ადიოდნენ, ან — განსაკუთრებული სტუმარი როა ეწვეოდათ, მაშინ. ერთ მხარეს მიწატკეპნილი იყო, მეორეგან — დაფიცრული. შეუწებავი კედლები ოქროსფრად ანათებდნენ. ორივე თვალში უშველებელი ბუხარი გიზგიზებდა.

ილონა ჯორკოზე იჯდა მუხლებმოკეცილი. ოჯახის რძალს ემუსაიფებოდა. სკამით ტკბილეული მოეჩოჩებინა ჩხოლარხეს, ჩირი, ჩურჩხელები. წაგრძელებული მაგიდისთვის ქათქათა სუფრა გადაეფარებინა. თეფშები ჩამოერიგებინა რვაკაცზე. კეცზე გამოცხობილი ფუმფულა პური სამ ადგილას ჩაედგა. ყველიან კვერებს ოხშივარი ასდიოდა. თხილი და არაყი მომცრო გრაფინით გამოეტანა უკვე და ერთი სასმისი ილონასთვის შეევსო.

ნაჭაზე ჩამოკიდებულ ქვაბში ღომი შუშდებოდა. რძალი წკირზე წამოცმულ ორ ქათამს ატრიალებდა, აყრმიზებული სახით სტუმარს ესაუბრებოდა და თან გულისყური ჭიშკრისკენ ჰქონდა, ქმარ-შვილ როდის დაუბრუნდებოდა.

,,ჩემზე ორი წლით უმცროსია, მაგრამ ქალიშვილისგან ვერ გაარჩევ, — ფიქრობდა ანთელახე, — ნამდვილი მზეთუნახავია''.

ილონას მუხლებზე დაედო მაჯები და წამახვილებული, უმშვენიერესი თითებით გუდიაშვილის ტილოდან გადმოსულს ჰგავდა.

— ნახევარი ზუგდიდი შენი ნაჩუქარი იარაღით დადის, — იღიმოდა ჯოტო ოდიშელია და ხელებით ეპატიჟებოდა როკის სუფრისკენ, — და უსამართლო კანონს შეჯარებულთან ერთად გამოქცეული, შემოინახავდი შენთვის ერთ-ხუთს.

— ჰო, მართლა, — შუბლზე იტკიცა ხელი როკიმ, — სულ გამომავიწყდა. შეხედე, შეხედე! — ,,ბერეტა'' ამოაცოცა ჯიბიდან, მჭდე გამოიღო, ტყვიები სათითაოდ ამოყარა და გასაგნებულ ჯოტოს მიაწოდა, — ეს ჩემგან საჩუქრად. შვილიშვილების ქორწილში დაგეცალოს!

— ახლა მართლაც გამახარე მოხუცი კაცი, — გული აუჩივლდა ოჯახის უფროსს, — ჯერ ნათესავს აკოცა, მერე — იარაღს, — ასეთ საჩუქარს ვინ მოგართმევს თუ არა ძაკას მოთა, ოდიშელია?! მთლად ახალი ყოფილა, ზეთში ცურავს.

— რად გინდა ბებერს იარაღი, საიქიოში ხომ არ წაიღებ?! — ამბობდა ჩხოლარხე, ახალ-ახალ კერძეულს უმატებდა სუფრას, თან მოზიმზიმე პისტოლეტს თვალს ვერ წყვეტდა, — გამიშრობს აწი სისხლს. რამდენჯერაც დათვრება, სულ მე მიმიზნებდეს იქნება; ხოლო შეულამაზებლად თუ ვიტყვი, ჩემი ყაზაყი დღეში ხუთჯერ თვრება და გამოდის მთელი დღე შეყენებული ვეყოლები.

ყველას სიცილი წასკდა. გადაიკისკისა ილონამაც და ალისფერი ტუჩებიდან ჩაწიკწიკებული ბროლის კბილები გამოაჩინა.

— შვილო, როკი, შენ მგონი აბრაგობას იწყებ ქვეყნიერების დასასრულს. — ჩხოლარხემ მაჯები დააყრდნო მხრებზე სტუმარს,

— ,,ოცდაოთხიდან'' ცხენზე გადასვლა არაა სახუმარო საქმე, თუმცაღა ცხენი სჯობია დღეს მანქანას. აგერ, კოდუებს სათვალავში ჰყავთ, თორემ დაქოქილი ნახევარი წელია არავის უნახავს. სად არის ბენზინის ფული. ავტობუსით დადის მთელი ოჯახი.

— მერე კიტრი და პომიდორი ხომ არ დაგიბარებია მათთვის?! დაჭრილი არ დამანახო, მრგვლად მოიტანე. კამეჩის მაწონიც გაიხსენო იქნება, თიხის დორაში რომ არის, მაცივარივით ინახავს. ჭირივით მეჯავრება შუშის ქილა. ყველი სიგრძეზე დასერე! ძარღვები მეშლება, როცა დაასიფრიფანებენ. გახედავ და მთვარე მოჩანს იქიდან. გაუმასპინძლდნენ ასათნაირად ერთ სვანს. მასპინძელი ატყობს ქაღალდივით თხელი გამოსვლია დიასახლისს ყველი. რა ქნას, დედაკაცის სიძუნწე მორთმეულია სუფრაზე მთელი სიგრძე-სიგანით და ოდნავ დარცხვენილი ამბობს:

ყველი ცოტა თხლად დაუჭრია ჩემს ცოლსო. სტუმარმა აინუშშიც არ ჩააგდო ოჯახის უფროსის დამორცხვება:

არა უშავს ორ-ორად შევჭამო.

ღვინო რომელი გინდა, შვილო, წითელი, თეთრი? მგონი ლევთერი მოვიდა თავისი ბოკვრებით. ამაღამ ეს ვიკმაროთ, ხვალისათვის ხბოს ჩამოვკიდებ.

მანქანამ ზედ სამზადს მოანათა. გადმობარგდნენ ,,ჟიგულიდან'' ოდიშელიები, ახოვნები, ტოლის-ტოლები, ზანტი მიმოხვრით. გადმოიტანეს პარკები და ჩანთები. აიშალა სუფრა. გადაეხვივნენ ერთმანეთს დიდი ხნს უნახავი ძმები. ბიჭებს ქოჩრები აუჩეჩა როკიმ. კვლავ თავთავიანთ ადგილებს მიუბრუნდნენ. მაღალი ღმერთი ახსენეს პირველი ჭიქით, მერე ლევთერმა წამოიწყო საუბარი:

— ხუთჯერ გაგვაჩერეს გზაში. ყველას ჩხრეკენ. გვარი როცა გაიგეს ჩემი, მკითხეს:

პანტიერა თუ გაგიგონიაო.

დიახ-მეთქი.

მერე მაიორთან მიმიყვანეს, ბატონო ტოლიკით რომ მიმართავდნენ. კითხულობს ჩემს მოწმობას, და უცებ მეუბნება:

ვიცნობთ ჯოტოს, ნაღდი მეგრელია. ისიც ვიცით, ერთ დროს თქვენთან იმალებოდაო.

მაშინ მე ჯარში ვმსახურობდი-მეთქი.

შენ კი, მაგრამ ის გაურბოდაო. ეგ ისეთი ეშმაკია ერთხელ ნამყოფ ადგილს არაფრით გაეკარებაო. გავიგეთ, აფხაზეთშია გადასული, მაგრამ იქაც მივწვდებით. ვინცობაა, თქვენსკენ გამოუწიოს გულმა, დაარწმუნეთ, თავისი ფეხით გამოცხადდეს სჯობია. ეს წანწალი უფრო და უფრო დაუმძიმებს საქმესო. „თუთარჩელაში" რომ ჩაგვბარებოდა, ხომ არ დაემატებოდა ოფიცრის სიცოცხლის ხელყოფა. ორმა ტყვიამ მკერდი გაუგლიჯა და ღმერთმა უწყის, გადარჩება თუ არაო.

შევპირდი, მასე ვიზამ-მეთქი.

მთელს ქალაქს შენი ამბავი აკერია პირზე. დიხამინჯია ცოფებს ყრის თურმე. სახლი გაუჩხრეკიათ და საძინებელში ყუმბარები აღმოუჩენიათ. ჟენია დეიდამ მითხრა ეს. განერვიანებულ ვალერიან ბიძიასათვის დამბლას დაურტყამს. საშიში არაფერია. დროულად წაუყვანიათ საავადმყოფოში. მარჯვენა ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებს რიგიანად, ეგ არის და ეგ, მაგრამ თეიმურაზ დარასელმა და უჩა ხეციამ მოაყარეს თურმე წამლები.ჭითაწყაროს საავადმყოფოშია. თვითონ მხნედ გრძნოს თავს, შენ ედარდები თორემ.

მალე წამოდგებაო, ექიმებმა.

— თუ რამე მოუვიდა მამას, ღორივით დავკლავ უბედურს, — გაცხარდა როკი.

— ამბობენ ბოშა ქალი მოიტაცაო და ცალკე იმათგან ელიან თავდასხმას, მაგრამ გენადი ხომ იცი, როგორი შიშიტიგინია*, გივი — უარესი და არაფერს გაუჭირებენ შენს ცოლ-შვილს. აქაც საიმედოდ დაიგულე თავი. ხუთი თავზე ხელაღებული ოდიშელია სახუმარო ამბავი არ არის. მოვლენ და კაი ტურასაც დაიჭერენ! ა, მამაჩემო, როგორ ფიქრობ, ცოცხალი თავით გავატანთ დიხამინჯიას ხალხს ოდიშელიები ჩვენს სისხლსა და ხორცს?!

— ვამბობდი, ჩემი ჯილაა-მეთქი. ოდიშელიების ცხელი თვალები მაგათ არც კი უნახავთ ჯერეთ. თქვენ არ მოსწრებიხართ კაუტიას, არც — ბიდას და ჯაჯუს. სულ დევნაშია ჩვენი გვარის შვილები. ამიტომაც დავფანტულვართ მთელს სამეგრელოში: ძაკას ნაშიერი — ერგეტაში, ჯოტოსი — დარჩელში, ქუთარის — ჭკადუაშში, ბაჯასი — კორცხელში, კუკუიასი — შამგონაში, ბურდასი — რუხში, ჩეფესი — ორულში, ჯუღუსი — განმუხურში. ყუჰ, შორს წამიყვანს, ჩამოთვლა. ერთად რომ დაასახლო ესენი, მტრისას! ჩვენს სტუმარს ხომ ესმის მეგრული? ძალიან კარგი! — თქვა ჯოტომ, ილონამ თავი რომ დაუქნია თანხმობის ნიშნად, — როდინდელ ამბავს ვყვები. დარჩელელებს თვალში რომ ჩაუვარდეთ როკი, ხელს არ ამოისვამენ. ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილის სიტყ-

ვებს მთელი სოფელი ენდობოდა და ახლა რაღა იქნება, თავად განსაჯეთ, ბაბაგე!

გულა რომ სცემეს უღმერთოდ სადგურის ბირჟავიკებმა, ავფორიაქდით ყველა. საქმის გარკვევა სცადეს ჩვენებმა, მაგრამ თავპირდასისხლიანებულები დაგვიბრუნდნენ ეგენიც და გავჯიქდით დიდ-პატარა.

ვეღარ მოუბედავთ ზუგდიდელებს დაბალ ზონაში ჭირსა თუ ლხინში; ჩვენ ვეღარც ჩავსულვართ ბაზრობებზე. ჰოდა, ამისთანა გაწამაწიაში, ვალერიან ოდიშელიას ბღარტი, საძმო ფიცით არ შეკრავს მამასახლისად გადაკიდებულ სოფელს და ქალაქს?! გაგიხანგრძლივებს სიცოცხლეს ეგეთი შვილი, აბა, არა?!

უფრო მეტს გეტყვით, თამადად ვარ მიწვეული ბიგვავებისას. ხუფუნია დისშვილს საკუთარ ოჯახში უხდის ქორწილს თარაში. გოგო თოთხმეტი წლისაა, მოტაცებული. მშობლები თავ-პირს იხოკავენ. მილიცია და პროკურატურა ფეხზე დააყენეს, მაგრამ რავარი საქმეა დარჩელში იარაღით მოშლიგინება, თანაც პატარძლის წართმევა?! ასეა ბატონო ჩემო და სეფაში ხალხი ჯერ კიდევ რომ არ დამსხდარა, არ შემოგრიალდება ეზოში ხოჭოსავით შავი ,,ზიმით'' როკი?! ეხვევიან, კოცნიან მეგობრები, თუმცა ეტყობა საქეიფოდ არ სცალია. ოჯახის უფროსს განზე გაიხმობს სასაუბროდ. აქ არიან ნეფე-დედოფალი, ბიჭის მშობლები, ხელისმომკიდეები, გოგოს მომტაცებლები, მეცა და კიდევ ათიოდე ასაკმოყრილი დარჩელელი.

ნეფე-პატარძალი უნდა გამაყოლოთ ორი საათითო, ამბობს მოჭრილად.

დიდუ, დიდუ, თავზე ხელს იშენს სიძის დედა. დეიდებმა, ბიცოლებმა წიოკობა ატეხეს.

გაჩუმდითო, აწყნარებს კაბიანებს თარაშ ბიგვა. როკი ოდიშელია ჩვენი სოფლის შვილივითაა, უკადრის გზაზე ფეხს არ მოინაცვლებდაო.

მიხა ზარანდია იყო წელან ჩემთანო, წამოიწყო როკიმ, ქალაქის პროკურორზე მოგახსენებთო. მისი ბიჭი ჩემი თანაკლასელია, თან გაგონილი ჰქონია ზუგდიდელებსა და დარჩელელებს შორის მშვიდობა მე რომ ჩამოვაგდე. უნდა გადამარჩინო უკურნელი ჭირისაგანო, უთქვამს თურმე ზარანდიას. ლომაიები საგვარეულო კაბინეტში ჩამისახლდაო. იციან ქორწილია დღეს, კანონის ამოქმედებას მოითხოვენ ჩემგანო. თავად ვერ მიუბედავთ არასრულწლოვანი შვილის წასართმევად და მე მაწვებიანოო. დაპირისპირება უნდა გოგოსთან. თუკი ქალიშვილი თანახმა იქნება, ხმის ამომღები არ არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები ყველა ღონე ვიხმარო და იქნებ მიშველო რამეო, შეხვეწებია პროკურორი. აქვე დაამატა, მიხა ზარანდია პირმტკიცე კაცია, შემპირდა: ხელწერილს ჩამოართმევს ქალ-ვაჟს და უკან გამომატანსო.

ატყდა ყაყანი. ზოგან უნდობლობის სიტყვებიც გაისმა. მთლად აშკარად ვერა, მაგრამ გულის გასაკენწლად სრულიად საკმარისია ეს ჯუჯღუნი. ისევ თარაშ ბიგვამ დააჩუმა აჩოჩქოლებული ხალხი:

შვილო, როკი, დარწმუნებული ხარ, რომ გოგოს ნამდვილად გამოგატანენო.

საკუთარი სიცოცხლით ვაგებ პასუხს, თარაშ ბიძიაო, ამან.

ჩქარა, დროს ნუ ვკარგავთო. მოსჭრა ბიგვავების მეფემ. როკი ოდიშელიას სიტყვა ოქროა ჩვენთვის. უკეთესი გამოსავალი რომ არ არსებობს, იმიტომაც მოსულა ეგ ყმაწვილი. რაღა აზრი ექნება ქორწილს, თუკი მილიცია დაგადგა თავზე და იარაღის ძალით პატარძლის წართმევა შემოგკადრაო. მოგერიებას ეცდები და სულ ცოტა, ორი-სამი კაცი შეეწირება ამ ამბავსო. თვალის ჩინივით გაბარებ, შვილო, როკი, დროზე დაბრუნდით და ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო მერე დალიეო.

არა და არ დამთავრდა ის ორი საათი. კუს ფეხები გამოიბა დრომ. დიდ-პატარა შუკის თავშია შეჯგუფებული. ქალები ჩუმ-ჩუმად ლოყებს იპწკენენ. მამაკაცების ნაბიჯებსაც მოუსვენრობა დაეტყო. სიგარეტს ეჭაჩებიან წუთი წუთზე, მხოლოდ მე და თარაში დავრჩენილვართ აივანზე. განყენებულ თემაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ორივეს გული გვიკანკალებს. ვიცით, როკი პირუტეხი კი არის, მაგრამ თანამდებობის ხალხი რას გიხიმანდრებს, ღმერთმა უწყის. მერედა, იქნებ გოგო შედრკეს, ვეღარ გაუძლოს მშობლების დაწოლას? რას აპირებ შემდეგ, როგორ გინდა იცხოვრო?! ასეთი ფიქრი არ მშორდება მეც და ალბათ თარაშსაც. ეს არის და ატყდება იარაღის დაკადუკი.

ბავშვები გამორბიან. შუკის თავიდან ბრდღვიალებს მანქანის შუქ-ფარები. ზედ სეფასთან მიაგებებენ როკის არშინიან ყანწს.

მიხა ზარანდიას თავისი სიტყვა ვაჟკაცურად შეუსრულებია თურმე. როცა ყველა დარწმუნებულა გოგო ნებით მიჰყვება ბიჭსო, ჩამოურთმევიათ ხელწერილი ქალ-ვაჟისთვის. ახლა მშობლები დაუსხამთ თანხმობის დასადასტურებლად. ამასობაში სათადარიგო კარით გაუპარებია პროკურორს შუამავალი ოდშელია თავისი სიძე-პატარძლით.

დიხამინჯიას ხალხი დარჩელში ვერ მობედავს, ბაბაგე, შორ-შორ კი იღრინონ რამდენიც უნდათ. დედაკაცო, ჩამოასხი ღვინო, თორემ გაშრა ყელი!

— ჯოტო, ბიძია, ძმაო, ლევთერ, მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, მაგრამ ჩემი ჯვარი მე თვითონ უნდა ვზიდო. ეგენი ახლა ისე არიან დაქოქილები, არაფერს დაერიდებიან. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, აფხაზეთში გადავალ. შენ კი, — მიუბრუნდა ლევთერს, — ილონა მშვიდობიანად მიმიყვანე შინ. სიტუაციამ მოიტანა ასე, თორემ კანონისგან დევნილი კაცის გვერდით რა ესაქმება კრისტალური ოჯახის დიასახლისს?! ჯოტო ბიძიამ და მე ვიცით ჩვენი საქმისა, ცხენი ვთხოვე და იმედია, არ დამაღალატებს.

— ცხენი თუ ცხენები? — იკითხა ილონამ და თვალი თვალში გაუყარა როკის.

— გვეყოფა ახლა ამდენი ლათაიები! ცხენებიც იქნება დილისათვის და უნაგირებიც.

მართალი კაცი ქვაზე მაგარიაო, უყვარდა თქმა ცხონებულ ძაკას და შენი სიმართლე წმინდა გიორგის ლოცვა-კურთხევით გაგძღოლოდეს წინ, როკი, შვილო! — ამბობდა ფეხზე წამომდგარი დევკაცი, მარცხენა ხელით მკერდში

იკრავდა მოგვარეს და მარჯვენათი ნება-ნება წრუპავდა სისხლისფერი იზაბელათი სავსე გრაფინს.

რიბირაბოა. ზღვიდან მონაქროლი ნელი სიო ძლივს შესამჩნევად არხევდა დაცვარულ ფოთლებს. მინდორ-მინდორ მითოხარიკაობდნენ შავი და ქვიშისფერი ცხენებით როკი და ილონა. ჯინსის შარვლები ეცვათ მხედრებს. ოდიშელიას — ჯინსისვე კურტაკი. ფართეფარფლიანი შავი ცილინდრი ეხურა, ნიკაპთან ზონრით შეკრული. უნაგირის კეხზე ორივეს ფუთა მიემაგრებინა. საათნახევარი შეუსვენებლივ მოდიოდნენ. გვერდი აუქციეს ერგეტის ცენტრს, ცვანეს. შაშმანის ფარეხისკენ მიეშურებოდნენ. ერთხანობას დაყოვნდეთ იქ, თვალწარმტაცი ბუნების გარემოცვაში. მერე ნაპირ-ნაპირ ივლიდნენ, გადატოპავდნენ ენგურს და აფხაზეთსაც მოითარეშებდნენ მოყირჭებამდე.

ოდიშელიას დაღვრემილი ილონას გამხიარულება ეწადა. ცოცხალ ანეგდოტს უყვებოდა დაჩი კეზუას თავზე გარდახდილს.

— ილონა, თქვენი ბიჭები ჯარში რომ არ მიჰყავთ, ბედნიერებაა. ვყოფილიყავი ბოშა, აღარ მომიწევდა დეზერტირობა ოციოდე წლის წინ და აღარც ამდენ ხათაბალაში გავეხვეოდი, მაგრამ ეგ იქით იყოს. ერთ პარასკევ დილით ვხედავ ხალხით სავსე ავტობუსი მომსდგომია ჭიშკარზე. ყაყანებენ. გავეგებე. მუხლებში ჩამივარდა შავოსანი დედაკაცი.

როკი, შვილო, შემომქვითინებს ჩხიკვი-მამიდის ნათესავი, შენს იქით გზა აღარ მაქვსო.

წამოყენება ვცადე, მაგრამ გაგონილა? ტკიპასავით მომკრობია მუხლებზე.

დაჩი კეზუამ დამიღუპა შვილიო, იცრემლება და იწყევლება ქვეყნის აფერისტის მისამართით. თბილ ადგილას გავანაწილებინებ შენს ბიჭსო, შეჰპირებია. კომისრისთვის წილი არ მიუცია და ავღანისტანში უკრეს თავი თურმე მის ლობუტს. პირობა გადაჭარბებით შეუსრულა, უფრო მეტი ცხელი წერტილი იქნებოდა?

რას გავაწყობდი. სახლ-კარს გადაუწვავდნენ უბედურს. წავყევი. წახურიები მოფამფალებულ ჭიშკართან დავტოვე. ოდაში ჩაკეტილი დაჩი კეზუა თხუნელასავით წკურავს თვალებს. ყველაფერი მორყვაზეა მათსას, ხის კიბეებიდან მოყოლებული, ქონგურებიანი აივნით დამთავრებული. ქარ-წვიმას ფანჯრის ჩარჩოები დაუღრღნია. ზოგან მინების ადგილას ფანერია ჩასმული. ზალაში მობრანცალე მრგვალ მაგიდასთან ნაომარ სავარძელს მითმობს. ალმაცერი თვალებით მიღიმის, თან თითებით ყველს გამომიწევს და მეღრიჯება:

ჯერ ბოლომდე მომისმინე და მერე გამასამართლეო.

დროზე, თორემ გადაგვბუგეს დაეგარის-მეთქი.

პეტიკო თოდუა ხომ ვიცით ყველამ რა ოხერიცაა, მაგრამ ჩემზე გაქნილი თუ იქნებოდა, ნამდვილად არ მოველოდიო. წამოვიყვანე ერთ შაბათს. მაგი-

დაზე მსოფლიოს პოლიტიკური ჭრელაჭრელა რუკა მაქვს გაშლილი. ლექსებით გატენილი საქაღალდეები სიმაღლეზე აწყვია. თითქოს წვევამდელების საბუთებითაა სავსე. შენ რომ ზიხარ იმ სავარძელში მოვათავსე, თან ჭკუას ვარიგებ: თუ კაცი ხარ, კარგად გაიხსენე ჯარისკაცის მამა შვილს რომ ნახულობს საავადმყოფოში. პალატაში არ უშვებენ და ქირურგი გამოდის საოპერაციოდან-მეთქი. ასეთი და ასეთი ჩემი შვილი აქ წევსო, უყვება, ის კი ძილ-ბურანშია, დაღლილ-დაქანცულს ჩასთვლემს. აი, სწორედ ეგ სცენა გაითამაშე-მეთქიო, მელაქუცება დაჩიკეზუა.

საუბარმა კოლორიტი რომ არ დაჰკარგოს, აქედან ისე მოვყვები, თითქოს ყალთაბანდის მონათხრობს ერთად მივუგდებდეთ ყურს. ეს წუთია და ტაქსიც მოადგება ჭიშკარს.

ვინ არიანო, მეკითხება პეტიკო თოდუა, სადაურლებიო.

ურთიდან გახლავან. სკოლაში მეგრულად სწავლობენ-მეთქი.

ჯერ სტალინის სიკვდილის ამბავი არ გაუგიათ. არ წამოგცდეს, თორემ შეიცხადებენ. რა ვქნა, პირში ძალად მახტებიან. მიდი და ნუ გადაყლაპავ-მეთქი. გაუგიათ ბესონოვთან მაგრად რომ ვარ. სამჯერ მომიგზავნეს ნათესავი. არიქა, გივშველოს რამე, სადმე ახლომახლო განამწესებინოსო. ღმერთმა ააშენა ავღანისტანის ომის გამჩაღებელი. რაც იქითკენ გაწვევა დაიწყო, სული მოვითქვი, ვალები პირწმინდად გავისტუმრე, ჩავიცვი, კაცს დავემსგავსე. ერთი ორი წელიწადი თუ გაგრძელდა ორომტრიალი, სახლსაც ავიშენებ და მანქანასაც დავირტყამ-მეთქი.

აივანზე გადმომდგარი ვუმზერ ჭიშკარს. ილონა, ხომ ხვდები, რომ ამას ყველაფერს დაჩიკეზუა ჰყვება?!

— განაგრძე, განაგრძე!

— ჯერ კაცი ჩამოვიდა, მერე — შავოსანი და აყლაყუდა წვევამდელი. გადაპარსული თავი უბზინავს. ბიჭს დამოკლებული შარვალი კოჭებამდე ძლივს წვდება. კისერზე სამ რგოლად ჩამოუკიდია წიწაკის ასხმა, ცოფიანი ძაღლის თვალებზე უფრო წითლები. წელამდე სცემს თითოეული რგოლი. დუშმანი ბოევიკი გეგონება. განსხვავება ისაა, იმათ ტყვიებით გაჭედილი მასრები მოუგდიათ გარდიგარდმო, ამას — მტკაველისხელა წიწაკების ასხმა.

ტაქსის საბარგული გააღეს. იცლება ქრთამად მორთმეული ძღვენი. აივნიდან ფეხს არ ვიცვლი. აქედან ვმბრძანებლობ, ხელს ვუქნევ, თან ნახევარხმაზე ვეძახი:

შემოდით, შემოდით-მეთქი. ძვალმსხვილი მამა თავმონასკვულ ხუთფუთიან ტომარას მოაქარქატებს. ქალს ხურჯინივით გადაუკიდია მხარზე ჟიგულის საბურავისტოლა შებოლილი სულუგუნები. ბიჭი ერთმანეთზე გადაბმულ, ბოლოგაფიჩინებულ მამალ ინდაურებს მოალოპლოპებს. მიდი და სიცილი შეიკავე.

ინდაურები საქათმეში! მთავარსარდალივით გავცემ განკარგულებას.

ტომარა და ყველი იყოს პირველ სართულზე, ოღონდ კარი მაგრა მიხუ-

რეთ, ჩაკეტვაც არ დაივიწყოთ. ამდენ გაუთავებელ ძღვენს ვინ აუვა და ისე მოგვეჩვია კატები, კისერს ვერ აბრუნებენ, ალბათ. ინდაურები სამ წელზე ნაკლების არ იქნება-მეთქი, წლოვანებას ვუზუსტებ დაბინავებულ ფრინველს. გაგონილი მაქვს ხნიერი ინდაური საცივისთვის მისწრებაა.

ზუსტად ასეაო, მიმოწმებს მორჯულ კიბეებზე ძლივსძლივობით ამოღწეული მანდილოსანი.

ფეხაკრეფით შემოდით, ვეუბნები წახურიებს. კომისარი თვალს ატყუებს. გადაღლილია. ეს-ეს არის ავღანისტანიდან ჩამოფრინდა საკუთარი ვერტალიოტით. ამ შემთხვევაში რუსული უფრო ეფექტურია.

ამხანაგო, კომისარო, მივუბრუნდები სავარძელში მითვლემილ პეტიკო თოდუას, რომ გთხოვეთ, ის ხალხი გეახლათ-მეთქი.

ნელ-ნელა დაახელს თვალებს ჯოჯოხეთიდან გამოღწეული კაცი. არ ინძრევა, ეშინია იატაკზე არ ჩაშვავდეს.

ამ ჯეელს მოსკოვში თუ გავანაწილებთ, მადლია მშობლებისათვის, მაგრამ მოსკოვი უცებ არ აშენებულა, უშველებელი ქალაქია. დაიწყებს თეატრში სიარულს ჩვენი წვევამდელი. ბალეტებს და ოპერებს მიუჩოჩდება. ფეხებზე დაიკიდებს ყაზარმულ ცხოვრებას, ბალანდას და სამხედრო წესრიგს. შეიძლება სონცევოს რეკეტთა დაჯგუფებაშიც მოხვდეს. იქედან მურამდე კი ერთი ნაბიჯია-მეთქი.

მური რაღააო, მამამ.

მოსკოვური ციხის სახელწოდებაა შემოკლებითო, დაუკონკრეტა პეტიკომ, სადაც კაცებს კლამენო.

კლავენ? ღმერთმა დაგვიფაროსო.

ვაკირდები წვევამდელს. კვლავაც თავჩაღუნულია. მართალია, ინდაურებისგან გამონთავისუფლებულა, მაგრამ წიწაკების ასხმათა რგოლებს ვეღარაფრით დაღწეულა. ხრრრრჰ, ამოუშვებს ხმას და ნესტოდან წამოსულ ცინგლს ტვინამდე აიფანს.

იქნებ ლენინგრადში გაგვემწესებინაო, შემოგვთავაზებს აქეთ პეტიკო თოდუა.

არა, არა, ცივ წყალს გადავუსხამ მე, ბუმბერაზი ქალაქია თავისი განუმეორებელი კულტურით. ამისი ამბავი რომ ვიცი, დაიწყებს ერმიტაჟში სირბილს. შეიძლება რომელიმე ფასდაუდებელი ტილოც მოიპაროს, გეყურებათ-მეთქი.

რას ამბობთ, ჩემმა ლობუტმა ქურდობისა არა უწყის რაო. მეზობლის სახლიდან ვაშლი რომ ვაშლია, ისიც არ მოუწყვეტია მისდღემშიო.

ვუმზერთ წვევამდელს მე და პეტიკო. ფეხით იატაკზე წრეებს ხაზავს. ეტყობა ამათზე ამოსდის მზე და მთვარე.

მაინცდამაინც მოპარვაა აუცილებელიო, ამაგრებს ჩემს მოსაზრებას პეტიკო. ვთქვათ და ივან გროზნოს პორტრეტს შეეჩეხა. ამისი განათლებს და ემოციების შემხედვარე, რას არ დაუშვებ კაცი?! იხილავს შუაზე გაჭრილ პორტრეტს, თავში სისხლი აუვარდება. შეიძლება მთლად ნაკუწებად აქციოს. მერე ნახევარი

ოდიში ვერ აუვა იმის საფასურს. მართალია, დედამისი გაყიდის კამეჩს, ინდაურს და ისევ დაახატვინებს ფითულ ქვანიას, მაგრამ ამას დრო ჭირდებაო.

არა უშავს, სიტყვას ჩამოვართმევ მე, ორი-სამი დღე მოითმენენ დამთვალიერებლები. თქვენი შეწუხება, თორემ ერმიტაჟის დირექტორს გადაურეკავთ და ბოლოს და ბოლოს ერთ კვირას სანიტარულად გამოაცხადებენ, თუმცა რა გაჭირვებაა შარში ჩავიგდოთ თავი-მეთქი.

აქ მამა ჩაერევა ისევ, ცოლს დაუცაცხანა.

ლენინგრადში ჩვენი წაყვანა არ გამოვაო. დაგავიწყდა პიონერთა ოთახში ლენინის სურათს მელანი რომ შეასხა და მთელი თვე გაგდებული იყო სკოლიდან. დირექტორისთვის უშობელი რომ მიგვიყვანა, ამ პატიოსანი ხალხის შეწუხება არც მოგვიწევდაო.

ხომ გეუბნებოდით ამხანაგო, კომისარო, აგრესიულია სურათების მიმართ-მეთქი. მერე წვევამდელის მამას მივუბრუნდები, ეს რომელ ლენინს შეასხა მელანი, ჩვენს პროლეტარიატის ბელადს, სტალინის უფროს ძმას და მეგობარსო. რანაირ პოზაში გამოიყურებოდა, კეპკა ეხურა თუ ხელში ჩაებღუჯა ის ქუდი-მეთქი.

ოქტომბრელების ზნაჩოკზე რომ არის გამოსახული, თმააფუჩეჩებული ონავარი, იმის გადიდებულ სურათსო, დამირტყა პენალტი მამამ ეფექტურობის თვალსაზრისით.

ამხანაგო, კომისარო, ეგ ბავშვი ჯარში კი არა, პირდაპირ მურშია გასაგზავნი-მეთქი.

ხუმრობას მოეშვიო, გამოწყრა პეტიკო. აფრიკაში რომ გავამწესო, რა აზრის იქნებითო, ჩაეკითხა მოულოდნელად მშობლებს და წვევამდელის ბედიღბალი კონტინენტს იქით მოისროლა.

ოოო, მოგეცა ლხენა-მეთქი, არ დავიბენი მეც. კაიფერას მიჩვეული რომ დაერევა იქაურ ბანანებს, ანანსს და ზედ მანგოს წვენს დააყოლებს, კი იცხონებს სულს, თანაც ძმაკაცებიც ამოსარჩევად ეყოლება-მეთქი.

მამა ვერ მოითმენს და ეგ რა ხალხიაო.

გორილები, შიმპანზეები, სულ ბანანის ხეებზე არიან ასკუპებულნიო, დაანუგეშებს დიდის ამბით პეტიკო და კინაღამ გავიგუდები, უფრორე იმიტომ, ჩემს წამოწყებულ საუბარს უზუსტესი მიმართულებით ავითარებს.

არა უშავსო, დედამ.

ზუგდიდელ ახალგაზრდებს იქ უკვე აღარ ვაგზავნით-მეთქი. ხუთი მოდღლეზილი ჭაბუკი დაგვიგლიჯა ვეფხვებმა და ლომებმა. მართალია, ანაზღაურება დიდზე დიდია, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე შხამიანი გველები და ოცმეტროიანი მახრჩობელები რომ შემოგეფეთება, ალბათ, ბანანების მადა დაგეკარგებამეთქი. და ისეთ შეიცხადებს ქალი, მგონი აფრიკულ მიდრეკილებებს სამუდამოდ დავუკარგავ.

აქეთ, სადმე ახლოსო, თავს მოისაწყლებს მამა, კრასნოდარის მხარე გვირჩევნიაო.

კრასნოდარი? გაოცებული შევათვალიერებ წახურიებს, გადავხედავ ქირურგისმაგვარ თვლემაში წასულ კომისარს და იქვე დავსძენ, კრასნოდარი კი, ბატონო-თქო.

ქალი ფეხებშუა ხელს შეიცურებს, ხუთ კაბას გადაქექავს, გამოიღებს ჭრელ ჭინჭში გახვეულ ტაქსას — ათას მანეთს.

სამი კამეჩი გავყიდეთო, სლუკუნებს, მაგრამ მე უკვე ამისთანებზე ნაკლებად მიჩვილდება გული. თვალით ვანიშნებ ქალს, ჭინჭი მოაშორე, ისე მოაწოდე ამხანაგ კომისარს-მეთქი.

სამაგიეროდ ბიჭი ყურისძირას გეყოლებათო, იტყვის პეტიკო და გააქანებს გულისჯიბეში იმ ფულს. ერთ კამეჩსაც გაყიდით, კიდეც ვაჟიშვილს ინახულებთ, კიდეც ოჯახისთვის საჭირო ათას წვრილმანს გამოაყოლებთ ხელსო. ჩემი სახელმწიფო მანქანა იგვიანებს, ქალაქში ხომ ვერ დამსვამდითო, მიახლის უეცრად წახურიებს.

დედა, მობრძანდით ბატონოო, გაიხარებენ ისინი. ხელკავს გამოსდებს ქალს, თითქოს მოფამფალებულ კიბეებზე ჩასვლაში ეხმარება. აივნის კიდესთან დავეწევი, ყურს მომიშვერს.

ჩვენი ლობუტი ასი პროცენტი ავღანისტანში მოხვდება-მეთქი, ვეჩურჩულები, ვინაიდან ამჯერად ბესონოვს არაფერს ვაძლევ, ფულს შენ და მე ვიყოფთ. ამ უპატრონოს კი უეჭველად იქითკენ უკრავენ თავს ჩემს გასამწარებლად-მეთქი. მოკლედ, ბევრი მაცინა იმ ოხერმა, ილონა, მაგრამ გამახსენდა მგზავრებით სავსე ავტობუსი და წარბები შევიყარე.

ვერაფერი შეღავათია-მეთქი, ვეუბნები დასერიოზულებული ხმით. ბენზინითა და ასანთით მოდიან. ცეცხლს წავუკიდებთ და ამოვბუგავთ შიგო, იმუქრებიან. სახლი დაზღვეულიც არ გაქვს უბედურო და შენს შედევრებთან ერთად გაგიყენებენ გზას. ფული რამდენი დაგრჩა-მეთქი.

რა ფული, რის ფული, ხომ გითხარი, პეტიკომ ჩაიდო გულისჯიბეში-თქოო. მეორე გზობა მთლიანად შენზე ვიმუშაოთო, დამამშვიდა, ჩაუჯდა ტაქსში და უსირცხვილოდ გამეცალაო.

წამსკდა სიცილი, მაგრამ მოლოდინით დაქანცული ხალხი ეზოში შემოსულა, ხმაური მატულობს. ვწვდი მკლავში დაჩი კეზუას და მივაფრიალე აივანთან.

იმართლე თავი პატიოსანი ხალხის წინაშე — მეთქი, ვუწყრები წარბშეკრული, ან ფულს დაუბრუნებ მშობლებს, ან გადმოაყვანინებ ამათ ბიჭს ბესონოვს უფრო მშვიდობიან ადგილას! გაიგე, უბედურო, თორემ გაგიმრთლიანე ძვალ-რბილი და ეგ არის-მეთქი.

მორყეულ კიბეზე ზის. ჩია, დალეული მარჯვენა მკერდზე მიუსვენებია.

მიჩივლეთ არა ხელმწიფის ტოლ კაცთან? გაუკეთე ახლა ამისთანებს სიკეთეო. უხ, გულიო, დაემანჭა სახე, გავარდეს ვინმე და ლუდი მომირბენინოს თორემ მიმიღებს უფალი. იხტუნეთ მერე, სამზარეულოს ნაცვლად აკოპში

რომ უკრავენ თავს თქვენს ლობუტსო. რაო, რას იწერებაო, ჩასძახის დაბლამყოფ წახურიებს, ცოცხალს ვეღარ მნახავთო, ყოველ წუთს სიკვდილს ვუყურებ თვალებშიო და მშვიდობითოო, არა? ეუბნება და გულიდან ხელს არ იცილებს.

სწორედ ეგრეაო, ამბობს შეცბუნებული დედა.

ამისთანა მეთხუთმეტე წერილი ჩამოვიდა ზუგდიდში წეღან, მაგრამ ქვებით და ბენზინით არავინ გამომნთებიაო, გადაუგდებს ანკესს დაჩი კეზუა წახურიებს. ჯერ ერთი, თქვენი თვალით ნახეთ კომისარმა როგორ ჩაიდო გულისჯიბეში ის ფული. მე ხელიც არ მიხლია. მერედა, თქვენ მოემსახურეთ ბოლომდე. იმასთან რატომ არ მიხვედით, დაბალი ღობე მნახეთოო. ეგეც რომ არა, ჩემო საყვარლებო, კრასნოდარი რომ აიჩემეთ, რატომ გონებას ჭკუას არ ატანთო, შეუტევს მოიერიშეებს. ვინ მეტყვის რამდენ კილომეტრშია კრასნოდარი ჩერნობილიდანო. ატომური ელექტროსადგური ყურისძირას აუფეთქდათ უკრაინელებს. რადიაცია, გამოსხივება სისხლს უთეთრებს ადამიანებს. გამეგზავნა იქ, ყურს მტკაველისხელას გაუხდიდა, ცხვირს — არშინიანს, გავარდებოდა სიმაღლეში, იმის ზომის ფეხსაცმელს ვერსად იშოვიდით, ჰოდა, სიკეთის მაგიერიაო. მზარეულად გავამწესებინე ავღანისტანში, იმოტოლა პილპილებით მოგვადგა კარზე, ვიფიქრე, უკეთესი სამსახური ამისთვის გამორიცხულია-მეთქი. მომწყდით თავიდან, დღევანდელი კვერცხი გირჩევნიათ თქვენ ხვალინდელ ქათამსო. აიწყვეტს დაჩი კეზუა. ვიფიქრე ჯარის დამთავრების შემდეგ შეღავათი ექნება, როგორც ომგამოვლილს უმაღლესში უგამოცდოდ ჩარიცხავენ, ბინებს მისცემენ, შეიძლება გმირობაც მიანიჭონ საომარ ვითარებაში გაწეული მზარეულობსთვის, მანქანას აჩუქებენ-მეთქი. ეეჰ, რამდენი მიზრუნვია თქვენთის ტყუილუბრალოდო.

ვხედავ, დაუჯდებათ ჭკუაში წახურიებს დაჩი კეზუას სიტყვები. მოუბოდიშებენ. გაღმუვლდებიან ავტობუსით. მოსკოვურ ლუდს მოურბენინებენ ხუთ თუ ექვს ბოთლს.

წერილის გამო ავღელდითო, ეუბნებიან. ოღონდ ჩვენ ლობუტს არაფერი გაუჭირდეს და კამეჩს კიდევ გავყიდითო. ვატყობ, ამათთან არაფერი მესაქმება. ჭიშკრისკენ მივემართები. ფერი — ფერს, მადლი — ღმერთსო, ამათზე თქმულა. მანქანაში ჩაჯდომამდე მესმის დაჩი კეზუას ხმამაღლა, ჩემს გასაგონად თქმული.

ბედი თქვენი, პანტერა გიმეგზურებიათ, თორემ გადავურეკავდი ბესონოვს ერთს და სამზარეულოდან პირდაპირ აკოპში ამოვაყოფინებდი თავსოო. ილონა, გაგონილა ძაღლის კუდის გასწორება?!

სიცილისგან თავლებზე ცრემლმორეულმა ქალმა უზანგიდან გადაიწია და სიყრმის მეგობარს მხარზე თავი მიაყრდნო.

კავკასიონზე გადმომდგარი იყო, მაგრამ ნისლის სქელი კარვები ჯერეთ

ველარ აიკრიფა. თხმელიანში მიიწევოდნენ წინ. საურმე გზაზე გადავიდნენ. აქედან თვალნათლივ მოჩანდა წაგრძელებული ფარეხი. აშვებული ძაღლები გააფთრებული ყეფით გამორბოდნენ სტუმრებისკენ. მასპინძელი ფეხდაფეხ მოსდევდა ნაგაზებს წკნელის ზუზუნით.

ორმოცს მიტანებული იყო შაშმან თირქია, მაგრამ ორმოცდაათს გადაცილებულად ჩააგდებთ. წარმოშობით ყულიშკარიდან გახლდათ. მისი წინაპრები იქაური ეკლესიის მღვდელმსახურები იყვნენ, თუმცა შაშმანი ურწმუნო თაობის ერთ-ერთი ტიპიური წარმომადგენელი იყო. სიცოცხლის დაღმართიდან გამხდარა ღვთისმოსავი. ქალაქელი ბიჭების დიდი სიყვარულით სარგებლობდა. რასაც იშოვიდა ყველაფერს ბირჟავიკებთან ხარჯავდა. ტყვიასავით სწრაფ, ტანმორჩილ ვანო მესხიასთან მეგობრობდა. კაკა ჟვანას ენათესავებოდა დედის მხრიდან. მკლავიც უჭრიდა და ღონეც.

უბედურება ქალის გამო ეწვია. თანაკლასელებს ერთი გოგო შეჰყვარებოდათ. ის მეტოქეც აცვენილი ვინმე გახლდათ, გვარად ტიბუა. ჭაქვინჯის სკოლიდან გამოეგდოთ და ყულიშკარში მამიდასთან დამკვიდრდა, თირქიების მეზობლად. თავიდან ძმაკაცობდნენ კიდეც, ვიდრე ორივემ ქვარაიების ქალიშვილს არ დაადგა თვალი. ჰოდა, შავმა კატამ დასჩხავლა თანაკლასელების ძმადნაფიცობას.

კვირა არ გავიდოდა მუშტი-კრივში არ გაეწვიათ ერთმანეთი. ჩხუბში მაშმან თირქია ჯაბნიდა ყოველთვის ტიბუას, მაგრამ როგორც ამისთანა შემთხვევაში ხდება ხოლმე, ქვარაიხემ დაზარალებულს მიაყრდნო თავი და შაშმანიც გადაიხვეწა სოფლიდან.

მისი უბედურება როკის ძველბიჭობის პერიოდს დაემთხვა, როცა უკვე ყველა ბირჟის ერთპიროვნულ ლიდერად იქცა.

რკინიგზის სადგურთან შეფეთებოდნენ ერთმანეთს ის და დაცოლშვილებული ტიბუა. გადაეკოცნათ ერთურთი. სასადილოში არყები და ლუდი ესვათ. უთანხმოებას მაინც ეჩინა თავი. ბილწი სიტყვა უკადრებია ტიბუას თირქიასათვის. მიულეწ-მოულეწიათ იქაურობა. თან სულ ერთსა და იმავეს გაჰკიოდა თურმე წერასატანილი ჭაქვინჯელი:

— ღონე დაკოდილ ხარსაც აქვს, აბა, ჩუთუს ცოლს ვინ გაგატანდაო და მაშინ სამართებელივით აბასრებული სამზარეულოს დანით მუცელი გამოუფატრა შაშმანმა მეტოქეს მეუღლისა და სამი-ოთხი წლის ბიჭუნას თვალწინ.

შვიდი წელიწადი იჯდა ამის გამო თირქია. სახლ-კარი გადაუწვეს ტიბუებმა. მოხუცი დედა ჯავრს გადაჰყა და შვილის დაუტირებლად დაკრძალეს.

როკი და შაშმანი ჯერ ზუგდიდის კაპეზეში მოხვდნენ ერთ საკანში რამდენიმე დღით. ოდიშელია ქუთაისში ეტაპს უცდიდა, თირქია — პროკურორის სანქციას. მოგვიანებით ლაითურის შრომა-გასწორების კოლონიაში იხდიდნენ სასჯელს, სადაც როკი ძველებურად გრიმიტობდა, კაცშემოკვდომილი შაშმანი კი ერთობ დაებეჩავებინა უბედურ შემთხვევას: არაფრად დაგიდევდა წვრილმან ღირსებას: არც იატაკის გამოცოცხვას თაკილობდა საკუთარი ინიციატი-

ვით, ჩაისაც კრეფდა, მაგრამ სამკლავურს თუ უხსენებდი, ან აბუჩად აიგდებდი, კვერცხივით შეგასკდებოდა. სასჯელის სრულად მოხდის შემდეგ საზოგადოებას გაერიდა, ჭურიაში გადაბარგდა მწყემსად. ცალი ყური და თვალი ტიბუას წამოჩიტული ბიჭისკენ ჰქონდა. სულ იმას შიშობდა, ჩამისაფრდება სადმე და შურს იძიებსო.

ოდიშელიას ნახვამ დიდად გაახარა შაშმან თირქია. არ იცოდა ხელები სად წაეღო, რა შეეთავაზებინა სტუმრებისთვის. მოშვებული ჭაღარა წვერი მკერდამდე სცემდა, თმა კი სრულებით გასცვენოდა, დატალღული და ოქროსფერი ოდესღაც. ყმაწვილობისდროინდელი ყირმიზი სახე მზეზე გამუდმებულ ტრიალს გაერუჯა. ძარღვიანი ხელები ალაგ-ალაგ გასკდომოდა და ეკალ-ჯაგისგან დაღლეტილი, მურში ამოვლებულს უგავდა. ჭურიის მწყემსობა იყო მისი სათვისტომო. კახეთელებს სტუმრობდა უფროორე, რადგანაც ზღვისპირეთში ტელევიზორი ერთადერთს, იმათ ჰქონდათ. სწორედ გუგჩიას ფარეხში დაუძმობილდა გრუზათმიანი ყმაწვილი თირქიას. ის ბიჭი სანადიროდა დაჰყვებოდა თურმე გავლენიან პირებს ბოლო ორი სეზონი. შუაგულ ზამთარში წყალში შესვლა არ ეზარებოდა. სადაც მონადირე ძაღლი ვერ შებედავდა, იქიდან გამოიტანდა მოკლულ იხვს. კომბინატორები ფულს ჩუქნიდნენ დედ-მამით ობოლ სარაქონელ სოსელიას. შეეთვისა აქაურობას და ეს ზაფხული მთლად შაშმანთან გადმობარგდა. ახლა ძველ მასპინძლებთან წასულიყო სიგარეტისთვის. შესაძლოა დასალევიც გამოეტნიათ კახათელებს.

გაოფლილ ცხენებს უნაგირები მოხადა შაშმან თირქიამ. ბამბაზიის ნაჭრით გულ-მკერდი შეუმშრალა მერნებს. ჯვალოები გადააფარა ზურგზე. აგვარაში მიუშვა, სადაც ლორთქო ბალახი მუხლებამდე ბიბინებდა.

ფარეხი ორთვლიანი იყო, ჯოტო ოდიშელიას სამზადის უბადრუკი ორეული. ღრიჭოიანი ოთახი საძინებლად მოეწყოთ. მიწატკეპნილში თუჯის ღუმელზე წუკალათი ღომი თუხთუხებდა.

მკლავებდაკაპიწებული შაშმანი სიხარულიგან ფრინავდა. ცოტათი ფქვილი მიუმატა ღერღილს, ოდნავ დაასქელა, მერე მთელი გობი ჭყიტი ყველი ჩათალა იმ მომცრო ქვაბში და შებოლილტარიანი ჩოგანით ელარჯი დაგრაგნა.

ილონა საძინებელში ისვენებდა. ცხენზე მამაკაცურმა ჯდომამ აწყინა. ისედაც უქეიფოდ გრძნობდა თავს. ტახტაზე იდაყვს თავდაყრდნობით წამოწოლილი როკი სიგარეტს ეწეოდა და თანაც შაშმანის შესაშურ ფუსფუსს ღიმილით უთვალთვალებდა. უმნიშვნელო ფრაზებს ცვლიდნენ ამინდზე, ყოველდღიურ გაჭირვებაზე. ხანდახან ზუგდიდის ციხის და ლაითურის ზონის გარდახდილი რეალობებიც ამოტივტივდებოდა იმ საუბარში.

თეფშების ნაკლებობის გამო ტაბაკზე სიგრძივ დააგო. შაშმანმა ელარჯი. თიხის ქოთნებით კამეჩის მაწონი ჩამოდგა მასპინძელმა. თაფლიც შემოჰმატა სუფრას ჯოტო ოდიშელიას დაწუნებული შუშის ქილებითა და სუფრის კოვზებით. ეს იყო და ატყდა ძაღლების წკმუტუნი.

— მგონი ლადოა, — თქვა შაშმანმა და შებოლილი ყველი ოჯინჯალედან

ჩამოიღო, წვალება-წვალებით ჩამოთალა უბასრესი, უშველებელი დანით.

სქელი, შავი წარბები ჰქონდა ახალმოსულს. საშუალო ტანისა იყო, ჩაფსკვნილ -ჩახვეული. თმა ეთიოპელივით დახუჭუჭებოდა. აბიბინებული წვერი თხლად ადგა სახეზე. შემკრთალი თვალებით მიესალმა სტუმარს. დანაშაულზე წასწრებულსავით მხრებაწურული იდგა ერთხანს, მერე მოხსნა რუკზაკს თასი. ამოალაგა მაგიდაზე ათიოდე კოლოფი ,,პრიმა'', გაზეთები, თავმოხუთული იზაბელა სამლიტრიანი ქილით, ორ კილოგრამამდე ზღვაში დაჭერილი კეფალი, ასანთის კოლოფები, ლამპის შუშა და მთავარზე მთავარი — ორი შეკვრა მარილი.

შაშმანმა დიდის ამბით წარუდგინა სტუმარი ახალგაზრდას:

— სახელითა და გვარით როკი ოდიშელიაა, მაგრამ შავ სამყაროში პანტერათი იცნობენ. ხუთმეტრიან კედელსაა გადანახტომი.

— ოთხს, — შეუსწორა როკიმ.

შაშმანმა ყურადღება არ მიაქცია, უკბილო ფრაზეოლოგიით გადმოსცემდა საფვარელი ადამიანის ღირსებებს. გრძელი სიტყვის მოკლედთქმას ლამობდა ჩლოფინა მეტყველებით. ლაითურის ბობოქრობაში მოხვედრილს კბილები დასცვივდა და მას აქეთ ჩასასმელად ვერ მოიცალა, ამიტომაც თირქიას რაციონში მთავარი ადგილი ღომს ეკავა, რომელსაც დაღეჭვა არ სჭირდება, ჭყინტი ყველიც ამ მიზნით შემოენახა ყოველთვის.

სოსელიას ბიჭი რუკზაკიდან კახათელების ძღვენს რომ ამოალაგებდა, ასანთის კოლოფების გაჩხაკუნებამ როკისაც და შაშმანსაც ერთი და იგივე ამბავი მოაგონა, შეხედეს ერთმანეთს და მოულოდგელად სიცილი წასკდათ.

ლადომ დაბნევით მიმოიხედა, ხვანჯარზე მოივლო ხელი.

ამ მოძრაობამ ორმაგად გადააფიჩინა მეგობრები. სოსელიას დასაწყნარებლად ჰყვებოდა თირქია ასანთის ღეროებით ხერხვის იმიტაციის ამბავს. ვიდრე ფრაზას დაასრულებდა, ნახევარი წინადადება პირის ღრუში ეკარგებოდა და უნიჭო მთხრობელობასაც თუ წავუმატებთ, მსმენელამდე გარდასული სინამდვილის მეოთხედი ძლივს აღწევდა. თავად კი იგუდებოდა სიცილით, თან აცვენილ კბილებზე ხელს მიიფარებდა მალიმალ ნაკლის შესანიღბავად.

აოხშივრებულ ელარჯს ახლა ილონაც მისჯდომოდა, მაგრამ რაღაცნაირად მოღვენთილს კრიჭა შეკვროდა. ორ დღეში თვალსა და ხელს შუა ჩამოდნა. შთაგონება დაეტყო ამასწინებზე გედივით მოღერებულ მის ყელს.

დიახ, უკბილოდ ხუმრობდა შაშმანი და აქვე გასუფთავებულ თევზს გამურულ ტაფაზე ა შიშხინებდა. ხან რას მიართმევდა ქალბატონს, ხანაც — რას.

ყველაფერი სუფთადაა გაკეთებულიო, უხსნიდა, მაგრამ ილონამ პირი ვერაფერს დააკარა.

— ოდიშელიებთანაც მჟავე კიტრის მეტი არაფერი გაუსინჯავს, ასე რომ, უსუფთაობის შიშით როდი მოსდის, უგუნებოდაა, — გაამართლა ილონას უმადობა როკიმ.

— ლობიო მაქვს წუხანდელი, სიგრილეში შენახული. ლაგვანიდან დამჟავებულ კანამხალს ამოვიღებ, მკვდარს გააცოცხლებს. ლადო, შენ ბოსტანში გავარდი, ბოდორია, ხახვი და შუშა კიტრები დაკრიფე. ქინძიც მოაყოლე, ქინძიც, ახალი ტყემალი შევკმაზოთ.

შაშმანის ფაცურზე მანდილოსანს გაეღიმა და მარჯვენა ლოყაზე ფოსო გამოუჩნდა. ამის დანახვაზე გიჟდებოდა როკი საერთოდ.

იზაბელათი შეავსეს ჭიქები, ილონასაც მიართვეს. ჯერ დაღუპული მეგობრები ახსენეს, მერე — ოთხ კედელს შორის გამომწყდეული ხალხი.

შაშმანი ისევ აგრძელებდა ასანთის ღეროებით ხერხვის როდის დაწყებულ ამბავს და რადგანაც თირქიას ფიზიონომიისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით იმ მონათხრობიდან შინაარსის გამოტანა არც ისე იოლი საქმეა, მოდით, თავად ჩვენ მივხედოთ საქმეს:

როკი რომ დააკავებს მინჯორია და შემოცურებული პისტოლეტით მდგომარეობას დაუმძიმებს ჭაბუკს, ოდიშელიამ ციხის ეშმაკობებისა არაფერი უწყის, როგორც ზემორე ავღნიშნეთ, იმ პერიოდში ზუგდიდის ციხეს არემონტებენ და დაპატიმრებული დეზერტირ დროებით წალენჯიხის მილიციის იზოლატორში განამწესებენ.

ნაშუადღევსღა გამოუძახებენ გამომძიებელთან. მეორე სართულზე აიყვანენ. ბათქაშჩამოცვენილ ოთახში ტანდაბალი, მორგვივით კისრიანი და უფრო თავმსხვილა, კვანტალიანის ორეული უფროსი ლეიტენანტი ფეხზე წამოუდგება დამნაშავეს. სკამს გამოუჩოჩებს.

— მოდი, შვილო, დაჯექი აქ, — ეუბნება მშობლიური კილოთი ახალგაზრდას, — თქვენ კარი მოკეტეთ და წადით, — დაუცაცხანებს მილიციელებს, — შვილო, აქ არაფერი წამოგცდეს. ესენი დიდი გაფუჭებული ხალხია, ხოლო ჩვენ ზუგდიდელები ვართ, ოდიშელები. რამეს თუ გამომხელ, სამარე ვარ იცოდე! აბა, საიდუმლოს თქმა იქნება ამათთან? გაგყიდიან თხასავით, — ამბობს, თან ოსტატურად მალავს დაზვერვის ხალხის ჩამწერს. მიკროფონი რვეულებით შეუნიღბავს. მიხვდება როკი რა ბედენაცაა ზუგდიდელი ძაღლთავი. დამაჯერებლობისათვის გადაიხრება ცაქვა შედანიასკენ და ლამის ჩურჩულით ეუბნება:

— პისტოლეტი შემომიგდეს ჩხრეკვისას. მკვლელობაა ჩადენილი თურმე მისით და უნდათ მე ამკიდონ. ვერ მიართვეს, — თვალწინ დაუყენებს სამი თითის კომბინაციას, თან უწრფელესი გამომეტყველებით დაუმატებს, — ჩემი ყოფილიყო, ზუგდიდელ კაცს როგორ დაგიმალავდით?!

მიხვდება ცაქვა შედანია უფრო დამპალთან ჰქონია საქმე.

— სიგარეტს არ ეწევი, შვილო? — ეკითხება ლმობიერებით.

— როგორ არა, — უპასუხებს როკი.

— მოწიე მერე, ვინ გიშლის?!

— სად მაქვს სიგარეტი? — ეტყვის გაოცებით ოდიშელია.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, შენ ფეხი არ მოიცვალო აქედან, ეხლავე მოგიტან, — ამბობს და გაგორდება კარისკენ. წუთიც არ გავა და ოთხი მოდღლეზილი ეფრეიტორი შემოლაგდება.

— ვისია იარაღი, შემოგაკვდა თუ განგებ მოჰკალი აბრალავა? — ამბობენ რეზინის ხელკეტების ტრიალით და მწყობრი ნაბიჯებით უახლოვდებიან.

როკი განგებ მხრებში ჩაძვრება. დარტყმის მოლოდინში რომ იცის დაძაბვა ზოგიერთმა ლაჩარმა, ისე. მიუახლოვდებიან მეტროზე და ეს ეს არის უნდა დასცხონ, რომ ოდიშელია მოულოდნელად ტაბურეტს აიტაცებს, რომელზეც მოკალათებულა და პირდაპირ ცხვირ-პირში გაუქანებს ოთხეულს. ორი ეგრევე კედელს მიაწყდება. სკამის ღონიერი ოთხკუთხა ფეხები შერჩება ხელთ. აქეთ ხელკეტებს უგლაჯუნებენ მილიციელები, იქით სკამის წახნაგოვანი ფეხების ყოველი ტრაექტორია მხეცივით აყმუვლებს თითოეულს.

შემოვარდება ცაქვა შედანია. აყირავებულია მაგიდა. ქაღალდები გათელილია ფეხით. ხმის ჩამწერს გადმოუფარშევანგებია კუდი, მაგრამ დალეწილია ისიც. ფანჯარაში ერთი მინაც არ დარჩენილა დაუმსხვრეველი. დაიწყებს მოჩვენებით ყვირილს უფროსი ლეიტენანტი:

— ეს რას ჰგავს თქვენი დედა და მამა. ერთი წუთით დავტოვე ბავშვი და დასევიხართ მხეცებივით. ბანდიტები! საციხედ გაგიხდით საქმეს! გაეთრიეთ, თქვენი ბურდღა არ მანახოთ! — უტიფრად მიაჩერდება სახეზე როკის, უსირცხვილოდ უსწორებს თევზივით გაყინულ თვალებს, დაჩი კეზუასავით ეფექტურად თუ ვიტყვით, რუსები ამისთანა გამოხედვას ,,ატმაროჟენნის‘‘* ეძახიან. მორგვივით ფეხებზე დგას, რადგან დასაჯდომი ყველაფერი დალეწილა. ხელები ზურგს უკან უწყვია.

— სად არის სიგარეტი? სიამოვნებით მოვწევდი, — ამოღერღავს ოდიშელია ყასიდად. უკვე მიხვედრილია ცაქვა შედანიას ოინებს: სიგარეტი განგებ მოუგონებია, მხარბეჭიანთა შემოსაშვებლად.

— ხმაურზე შენსკენ გამოვქანდი, ხომ არაფერი გასჭირვებია-მეთქი. სიგარეტი სულ გადამავიწყდა. კიდევ არ მენდობი, შვილო?! მითხარი როგორ მოხდა ის მკვლელობა?

— რომელი მკვლელობა, მე რომ გინდათ შემომტენოთ? — გამოსცრის კბილებში ოდიშელია.

— კარგი, წავალ სიგარეტზე, ახლავე მოვბრუნდები, — მოსჭრის ცაქვა შედანია და კარისკენ წააბიჯებს, მაგრამ ქორივით მიაფრინდება როკი, ღაბაბიან ყელში წვდება.

— დადექი, შენი აფერისტი დედა! საერთოდ არ ვეწევი მე სიგარეტს! — მიახლის და წაუჭერს თვალების გადმოკარკვლამდე.

ასე დამთავრდება ოდიშელიას და ცაქვა შედანიას ნაცნობობა.

ზუგდიდის ციხეში მინჯორიასა და ჯიბო საღორიელის გაბედითება მთელს ქალაქს ელვისებურად მოედება. ყველას, დიდსა და პატარასია, როკის გმირობა

აკერია პირზე. აივსება ღებრანძის ჭერხო ოდიშელიას ,,პერედაჩებით'', ჰოდა, რაღა გასაკვირია ამისთანა კაცის ამბავი წალენჯიხიდან ზუგდიდის კაპეზეს პასუხისმგებელ მორიგედ დაწინაურებულ ცაქვა შედანიასაც ჩაწვეთებოდა ყურში?! მართალია, საკუთარი თვალით არ უხილავს საკნიდან ტრუსისამარა გაღრიალებული ჯიბო საღორიელი თუ პირში მუნდშტუკჩაჩრილი ტოლიკ მინჯორიას გათრევა, მაგრამ ენაკაჭკაჭა მთხრობელის მეტი რაა მილიციაში, სარდაფიდან დაწყებული ჭერამდე, მომხდარ ამბავს სურათივით რომ დაგიყენებს თვალწინ?!

მოკლედ, ცაქვასაც მშვენივრად მოეხსენება როკის ვაჟკაცურ საქციელზე, მაგრამ მთლად მის გამგებლობაში თუ იხილავს ოდესმე, ნამდვილის არ მოელოდა. აგერ, მოსულა მისი მორიგეობის ჯერიც. უთხრეს ოდიშელიაა ჩვენთან, ეტაპს უცდისო და შედანიაც ხელად ჩაგვანგვალდება როკის საკნის კარმუშაკთან. შეხვდებიან, მიესალმებიან ერთმანეთს, გაიხსენებენ მთისას და ბარისას.

— თვინიერი და უწყინარი იერის ყმაწვილკაცს არამხუტუს ღონე თუ აღმოგაჩნდებოდა, რას ვიფიქრებდი, თორემ დაკითხვისას საკუთარ კაბინეტში კი არა სპეცგანყოფილებაში შეგიყვანდი, სადაც ყველაფერი ჩაბეტონებულია. არც ის ბიჭები დაილეწებოდნენ და რაც მთავარია, ავეჯი ჩემი ჯიბის ფულით საყიდელი არ გამოხდებოდა. ახალგაზრდა ვიყავი მაშინ, გამოუცდელი, — მოისაწყლებს თავს პენსიაზე ნახევარ წელიწადში გასასვლელი ცაქვა შედანია, — ცოდვას ჩავდიოდი მილიციის უფროსის ბრძანებით, მკვლელობის ჩამოწერა უნდოდა. კიდევ კარგი, არ გამოგვივიდა, — თავს იკატუნებს ქვეშქვეშურად.

— ეგ როდინდელია, ვის ახსოვს. ღმერთმა მომივლინა შენი თავი, რაღაც უნდა გითხრა, — გაენდობა როკი.

ამათი საკნის ხალხი აპრავკაზეა გაყვანილი, წელში გასაშლელად.

— რა იყო? — ყურებს ცქვეტს ცაქვა შედანია.

— უნდა გავიქცე ამაღამ, ან ხვალ დილით უეჭველად, სანამ ეტაპით ქუთაისის ციხეში გადამაგზავნიან, — ოდიშელიას სულში ეხითხითება, იცის სისხლს გაუთეთრებს, — როგორც ძველ ნაცნობს, ჯიგრულ კაცს, შენ გენდობი ერთადერთს, — იტყვის და დაიდუმებს ბაგე.

თვალთა გუგები უფართოვდება ცაქვა შედანიას.

— შენ მე მანჯორია ხომ არ გგონივარ, ბიძიკო, ან ჯიბო საღორიელი, თავი სამუშტედ მოგიშვირო?! ვიცი, ვინც მკლავის იმედზეა, ვერავინ გაიხარებს შენთან, მაგრამ მე ცაქვა ვარ, შედანია. მე ჩემს მორიგეობაზე, თავად დამემოწმები ამ დღეებში, რამდენი ბაღლინჯოა აქ და ერთი ცალიც არ მაკლდება. ბაღლინჯოებსაც თქვენთან ერთად ვითვლი და ცვლის გადაბარებისას თქვენთან ერთად გადავიბარებ იმათაც, — იქედურად ჩაიცინა. ამ სამ წელიწადში ქონი უფრო მოსძალებია, თმა სრულებით გასთეთრებია. მისი მხრები ძველებურად ვარსკვლავთა სამაიას შესიციცინებს.

კაპეზეს საკანი ვიწრო და წაგრძელებულია. აქაურთაგან ორს ეხერხება

მაღალ ჭერზე ასვლა, როკის და კიპა ჯორჯიკიას. ხელებითა და ფეხებით კედელ-კედელ აუყვებიან, მაღლა ცხაურთან ნათურა რომ ჰკიდია, იქამდე. ოდიშელიას რვა-ათი წუთი შეუძლია გაჩერება, ჯორჯიკიას — ამის ნახევარ. ასეთ ვითარებაში საკანში მორიგე თუ შემოიხედავს, ცხადია, გადათვლის შემდეგ ხან ერთი პატიმარი დააკლდება, ხანაც — ორი.

მოკლედ, დამთავრდება საპირფარეშოში წელშიგამართვის ვადა. შემოიყვანენ ტუსაღებს საკანში, მოხურავენ კარს და ცაქვა შედანია მორიგეს უჩურჩულებს:

— ოდიშელია დიდი ყურუმსაღი ვინმეა, თვალი გეჭიროს ყოველ წუთს. არ გაგექცეს. უჩემოდ კარი არ გაუღო, თორემ იცოდე, რაღაცას გიხიმანდრებს. უმჯობესია გამუდმებით უთვალთვალო გლაზოკიდან და წარამარა ამოწმო თუ რას ჩხირკედელაობენ, რითი სუნთქავენ, რითი ერთობიან.

წავა ცაქვა შედანია. დიდხანს დგომა არ შეუძლია, ფეხები უსივდება. სკამს დაათრევდა დერეფანში, მაგრამ ნახა მილიციის უფროსმა ყორშიამ და ისეთი უღრიალა ახალდანიშნულმა კაცმა, კინაღამ ნემსის ყუნწში გააძვრინა.

— ვაშაყირებთ მაგ სულელს, — ეტყვის როკი მორიგეს, — ვინ არის გამქცევი. აი, შენ ათი მანეთი. ამ ოცით კი არაყი მოიტანე, როცა სადილობისას დრო გამოგეჩითება.

— არ გავკარი ცაქვა შედანიას, იმ სულელის ერთს, — შეუკურთხებს მორიგე. ზედამხედველის კვალობაზე ჩინებული ბიჭია.

— ოღონდ არ გამყიდო, — სთხოვს ოდიშელია, — მაგრამ უნდა ავიყვანო დღეს. შენ მიხვალ ცაქვასთან და ეტყვი: უფროსო, პანტერას საკნიდან ხერხვის ხმა მომესმა-თქოო.

მორიგეს გულით გაეხარდება.

ბიჭები დახელოვნებულნი არიან ამისთანა ეშმაკობებში. ტყავის ლანჩიანი ფეხსაცმელებს ჩაიცვამს ორი. დაყრიან იატაკზე ასანთის ოთხ-ოთხი ღეროს. დააბიჯებენ ფეხს და დაუწყებენ კატავს. ვერაფრით გაარჩევ ხერხის ხმისაგან.

მორიგე ყველფერს ამჩნევს გლაზოკიდან, ჩაბჟირდება სიცილით და ფიცხლად გავარდება ცაქვა შედანიასთან. ისე წამოგოგმანდება უფროსი ლეიტენანტი, გაზიზინებული ფეხებიდან გაძრობილი ტუფლების ჩაცმას ვერც კი იხსენებენ. ფლოსტებით მოტყაპუნებს. ნაღდი ლუარსაბ თათქარიძეა, ფორმა რომ მოაშორო. ვითომ სხვათა შორის მოინახულებს საკნებს. ხელების მოძრაობით ანიშნებს, მიაყურადე, ხომ გესმის, აშკარად ხერხვის ხმაო. ცაქვა გაიტრუნება ერთხანს. ზედ რკინის კარსაა აწებებული. საკანში კი ორი პატიმარი გამალებით ხერხავს. ვეღარ გაუძლებს შედანია ცდუნებას, კარმუშკას გამოაღებს, ძლივს შემოატევს სიფათი და დაიწყებს გადათვლას:

— ერთი, ორი, სამი... ყველა ადგილზეა, — ბურტყუნებს თავისთვის. დალახვროს ეშმაკმა ამათი თავი და ბოლო.

— რაშია ბიძია, ცაქვა, საქმე? — ეუბნება ლოგინზე წამოწოლილი როკი.

— არაფერი, ისე მოგიკითხე, — ხვნეშით ამბობს ცაქვა შედანია, — დამავიწყდა ამ დილით მეთქვა შენთვის, რომ ეშმაკზე ერთი დღით ადრე ვარ გაჩენილი.

კარმუშკას მოხურავს და ფლოსტების ტყაპატყუპით გაეცლება ვითომ საკანს. გაიძრობს მერე, ხელებში უჭირავს ცალ-ცალად და შალის წინდებით თითისწვერებზე მოიპარება საკნის კარისკენ. უჩუმარია ფეხისხმა, მაგრამ მისი ქონით გაპოხილი ფილტვების ქშუილი დერეფნის ბოლოში გაისმის. სუროსავით აწებებულია კარებს.

ოდიშელია ნახევარხმაზე მბრძანებლობს:

— აბა, ბიჭებო, დასცხეთ ორივე ხერხით!

ის ორი ხმის გასაძლიერებლად ასნთის ღეროებს ოთხიდან ექვსამდე გაზრდის. დაკატავება სხვადასხვა დროს წამოიწყებენ. თავი მართლაც სამხერხაოში გეგონება.

ცაქვა შედანია უსმენს, უსმენს, ბოლოს გული ვეღარ გაუძლებს და რაც ძალ-ღონე აქვს მიაყვირებს დერეფანს:

— ტრივოგა, თქვენი დედა! ხედავთ ხერხებით გისოსებს დაესია მთელი საკანი. ერთ საათში კაციშვილი არ დარჩება.

მისცემენ განგაშის სიგნალს.

დერეფანი მილიციელებით გაივსება. რკინისებური წესრიგის ყორშიაც ინებებს მოსვლას მოადგილეებითურთ. ასეთი რამ წელიწადში ერთხელ ხდება და წაყრუების დროა?! ხის ჩაქუჩებით შეცვივდებიან საკანში. პატიმრებს გაჩხრეკენ ტანფეხიანად და მეზობლად გადაიყვანებენ დროებით. აყრიან ლოგინებს, გადააქოთებენ ყველაფერს, მაგრამ გაქცევის ნიშნები იოტისოდენადაც არ იძებნება. ისევ უკან დააბრუნებენ.

— რა ხდება ოდიშელია? — ეუბნება პოლკოვნიკი ყორშია. მინჯორიას დასიფათების შემდეგ ძალიან ესიმპათიურება. სიტყვის შემობრუნება გაუბედა თურმე ღებრანძესთან ზედამხედველის ადგილმოგულვებულმა.

— რა ვიცი, ბატონო უფროსო, — ამბობს ღიმილით როკი, — ამას მგონი კლიმაქსი აწუხებს, ჰალუცინაციები სჭირს, რაღაცები ელანდება, ფეხები უსივდება დგომისაგან, ჩამოსაწერია, დროა სახლში ეგდოს. რა პაბეგი, რის პაბეგი.

წავლენ. ცაქვა შედანიას წნევა აუწევს. დიდი პირსახოცით შუბლი შეუხვევია ისეთნაირად, როგორც დუშმან ბოევიკებს სჩვევიათ თავზე ბენდენის მოგდება, ოღონდ ამას განსხვავებით მოტვლეპილი კინკრიხოც არ უჩანს. როკის საკნის მოპირდაპირე კედელს მიყუდებულა. ტუფლები ყორშიას შიშით აცვია, სანახევროდ, დაჭყლეტილი ქუსლებით. გულზე ხელები დაუკრეფია, ათი-თხუთმეტი წუთი და მისი ფეხზედგომის გამძლეობას წირვა გამოუვა. ჩასაფრებულია როდის დაიწყება ხერხვა. საკნიდან განგებ წელავენ დროს. იჭვრიტებიან კარმუშკას ჭუჭრუტანიდან. საცოდავი ცაქვა შედანია ომწაგებუ-

ლი ბოევიკივით დგას კედელთან და ერთი სული აქვს, როდის დაიძახებს „ტრე-ვოგას“.

ახლა ოთხი პატიმარი ასანთის შვიდ-შვიდი ღერით სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილიდან დაიწყებს გამალებულ ხერხვას. ოდიშელია კვლავინ-დებურად გასცემს განკარგულებას:

— გადავრჩით ბიჭებო, ვერაფერი იპოვეს. ცოტაც და გისოსები მთლიანად გამოვარდება. ჯგუფ-ჯგუფად, შექუჩებულად ნუ გაიქცევით, გაიფანტენით ხო-ხობის წიწილებივით. ვინიცობაა გამოგვეკიდონ, ორი-სამი მაინც გადარჩება და ესეც დიდი მონაპოვარი იქნება ჩვენთვის, — თან შემართული ცერით ანიშ-ნებს კიპა ჯორჯიკიას, აძვერი მაღლაო. ისიც გაწაფული ჯამბაზივით ელვისე-ბურად ავარდება ჭერამდე გაფარჩხული ხელებითა და ფეხებით.

— კიპა, გაეტევი თუ არა ბოლოს და ბოლოს?! ასე თუ ვიჯანჯლებთ, საათნა-ხევარი მოვუნდებით გაძვრომას. ჰოპ, კარგია! ახლა მე მოგყვები! — ამბობს როკი, ხერხვა კი შეუსვენელად გრძელდება. კარმუშკას და საჭვრეტელას ზურგით აფა-რებია ორი.

ცაქვა შედანია აწებებია რკინის კარებს, ისმის მისი ფილტვების საბერვე-ლივით ქშენა, მაგრამ ამოგმანულია სათვალთვალო სივრცე.

— გაიწიე ვალჩოკიდან შენი დედა! მღუპავთ? ნახევარი წელიღა დამრჩა პენსიამდე, გაიწიეთ-მეთქი. მორიგე, ტრივოგა!* — ყვირის არაადამიანურად.

ბიჭები ჩამოშორდებიან საჭვრეტელას, როკი კი ცაქვა შედანიას გასაგო-ნად უცაცხანებს თანასაკნელებს:

— თქვენი ბრალია, დაგხოცავთ! ატასზე* უფრო ყურადღებით უნდა ყო-ფილიყავით, ძლივსღა მოასწრო გაქცევა ერთმა! იფშვნიტეთ აწი ხელები. ყო-ველთვის შედანია ხომ არ გეყოლებათ მორიგედ?!

— როგორ თუ გაქცეულა? — იღრიალებს მთელის ხმით ცაქვა შედანია, — დამღუპეთ თქვენი დედა?! — კარის გაღებას ვერ ბედავს, კარმუშკას ჩამოგლეჯს. წამოჭარხლებულ სიფათს შემოანათებს.

— რა იყო ცაქვა, ბიძია? აგრე რამ აგაღელვათ? — ეკითხება როკი.

— წადი, თქვენი ბიცოლებიცა და ბიძებიც, ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუ-თი... — ითვლის. ჩაამთავრებს ბოლომდე, — ერთი აკლია, ერთი აკლია, — იღ-რიალებს ტყიურივით. — ტრივოგა თქვენი ბიცოლები! — გაისმის ანჯამებისა და საკეტების ჩხარუნი. უფროს-უმცროსობა დერეფანშია თავმოყრილი. გა-აღებენ საკნის კარს. პატიმრებს ჩაამწკრივებენ კედელთან. მუხლებწართმეუ-ლი ცაქვა შედანია შესასვლელთან ჩაშვავებულა. თავი საკანში შემოუყვია. ამით ყორშიას აგულჩვილებს: მართალია, ტუსაღი კი გამექცა, მაგრამ ხომ ხედავ, რა დღეში ვარ, იქნებ შემიწყალო და ზედ პენსიაზე გასვლის წინ სამსახურიდან არ გამანთავისულოო.

კიპა ჯორჯია ყველა რეკორდს მოხსნის. უკვე თერთმეტი წუთია ჭერს მიკო-სებია.

როკი კუთხეში მიდგება და ყორშიას ჭერზეაკრულ პატიმარს ანახვებს,

თანაც ბიჭებს უბრძანებს: აბა, ხერხვას შეუდექითო. ისინიც დაყრიან იატაკზე ასანთის ღერებს და საკანი ნამდვილ სამხერხაოს დაემსგავსება.

იფხრიწებიან სიცილით ტუსაღებიცა და მილიციელებიც. ყორშია თვალებიდან ჩამოცვენილ ცრემლს უშველებელი ცხვირსახოცით იწმენდს. მხოლოდ შაშმან თირქია მიმჯდარა კუთხეში ნაღვლიანი ღიმილით. ამასობაში ჭერზე მიკრულ ჯორჯიკიასაც გადაედება საერთო მხიარულება, დაძაბული სხეულიც მოეშვება და გამობენტერებული ცაქვას თავზე მოადენს ზღართანს.

შედანია გამოთიშულია რეალობას.

— ხედავთ, უფროსო, კრიშაც გაუნგრევიათ! — ამოიკნავლებს ცაქვა და ჩაიკეცება დიდ-პატარა, უფროს-უმცროსი. შაშმანსაც გადაავიწყდება თავისი უბედურება და ერთიან ხორხოცს აჰყვა.

— რა თქვა, კაცო, კრიშა გაუნგრევიათო? — ყორშია მეორე ცხვირსახოცს ამოიღებს, — კრიშაო? — იგუდება სიცილით.

საღამოს აპრავკაზე უკვე ტაბურეტზე ზის ცაქვა შედანია, როგორც იქნა დართავს ამის ნებას მილიციის უფროსი: იმდენი ინერვიანა, შეიძლება ინფარქტმა დაარტყასო.

ჩაუვლიან ბიჭები თავჩაქინდრულს. როკი წამით შეყოვნდება და ამასღა ეტყვის:

— შენ ხომ ეშმაკზე ერთი დღით ადრე ხარ გაჩენილი?

— თუ კაცი ხარ დამანებე თავი, დაიწვა ის დღე, მე რომ დავიბადე.

— ბედი შენი, ქუთაისში გადავყავართ მალე, თორემ გაგიშვებდი სამუდამო პენსიაზე.

ნაღვლიანი თვალებს გააყოლებს პატიმრებს ცაქვა შედანია. მომდევნო ცვლაზე სამსახურში არ გამოცხადდება. დაურეკავენ, მიუგზავნიან კაცს, მაგრამ ფეხებზე დაიკიდებს ყორშიას ბრძანებასაც და კარზე მომდგარ პენსიასაც.

მზე ბარჩხალებდა ჭურიაში. აკოკრილი სიმინდის ყანები შრიალებდნენ ტყეების ფაფარის გასწვრივ. ხელმარცხნივ ნესვი და საზამთროები დაეთესათ ბუდობრივად კახათელების ახალშენის მკვიდრთ. ფართობ-ფართობ, არხის გაყოლებაზე, მავთულბადის სიახლოვეს, მძიმე ტექნიკისათვის დატოვებული ზოლით მიაგელვებდნენ ცხენებს როკი და ილონა.

— კიდევ ორი ამისთანა ზურმუხტი კვირა და დაბეჯითებით მეცოდინება შენთან დავრჩები სამუდამოდ თუ ოჯახისკენ გამიწევს გული, — ეუბნებოდა ქალი მამაკაცს.

— ჩემი პური მწარეა, ილონა, — პასუხობდა ოდიშელია გაქანებულ სწრაფვაში, — ვერც გელევი და კიდეც მენანები სახიფათო ხეტიალისთვის. ქალი უამრავი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ცხოველურ ჟინს მოვიკლავდი და შემზარდებოდა წამში. ერთადერთი ხარ, ვის წინაშეც ბალღივით ვკრთი. ხომ გჯერა, სათვალთმაქცო არაფერი მჭირს. ნებისმიერი ქალის სიახლოვისას, ადრე

მეტად და ახლაც საკმაოდ, მუხლები ამიკანკალდება ხოლმე. ერთი სული მაქვს, როდის შევუცურდები იღლიაში, როდის ჩავქანდები თავდავიწყების მორევში. მივქრივართ ახლა ჯოტოს ბედაურებით გვერდიგვერდ. კი ვგრძნობ შენს სურნელს ცხენების ოფლთან ერთად, მაგრამ აყვავებული ხეების სურნელის სადარია ეგ. საკუთარ თავს ვეღარ ვცნობ, განიარაღებული ვარ თითქოს.

— ჩათვალე რომ ტუჩებში გაკოცე. მეგონა სამუდამოდ დაგკარგე. ბიცოლაჩმის მარჩიელობამ მომინელა, ჯოჯოხეთად მექცა ორად ორი სიტყვა: უკან არასდროს მობრუნდებაო. მადლობა უფალს, ეგ ავი ნიშანი წარმეხოცა სულიდან. არაფერს ვინატრებდი, მხოლოდ ერთი ღამით ვიყო ისეთი ილონა, როგორიც ათი წლის წინ.

— ჯერ ერთი, ეგ სიტყვა ორად ორი კი არა სამად სამია, ილონა ჩემო. მეორედა, ცრუმორწმუნეობის ფეხის ხმას თუ ავყვებით, ბიცოლას თქმულს არაფრით ჩამოუვარდება დეიდაშენი შურა წინასწარმეტყველება. თავად განსაჯე:

ვხედავ წაყირავებულ ბოცას, საიდანაც სისხლისფერი ღვინო იღვრება; ვხედავ გზას, მოლიპულს და დაუსრულებელს; ვხედავ ერთმანეთისკენ გაწვდილ ხელებს, რომელთაც სულ ციდისხელა უკლიათ შეკავშირებამდე, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით წასწრაფებული ფორნების გათანასწორების მომენტშია ეს სიახლოვე.

არავითარი მაგია, ერთმაც და მეორემაც თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს ჩვენს ურთიერთობაზე; პირველმა — სიყმაწვილეში, მეორემ — ჭარმაგობის ჟამს. აქ ქარაგმების შინაარსი ჩვენებურ ენაზე ასეთია: შეიგნეთ, განსხვავებულნი ხართ ადათ-წესით, ტრადიციებით, მდგომარეობით და დაეხსენით ერთმანეთსო; მესამე და, ილონა, ძვირფასო, სიყვარულისთვის არ არსებობს შემბოჭავი ზღუდეები და რაც დედამიწის ზურგზე ბარიერია, ერთად რომ დაუხვედრო წინ ჭაბუკ როკის, ვერაფრით გადააფიქრებინებს შენს ძებნას კრასნოდარიდან როსტოვში, როსტოვიდან კიევში, კიევიდან დონეცკში, დონეცკიდან ოდესაში, ოდესიდან სიმფეროპოლში, სიმფეროპოლიდან ისევ როსტოვში თავბრუს დახვევამდე. ილონას სახელით ეძებს გოგონას, რომლის არც გვარი იცის, არც — ბანაკის და ტომის ბელადის რაიმე ხელჩასაჭიდებელი ნიშანი.

ზუგდიდელი ბოშებიო, დაუღია პირი და ჯარასავით ტრიალებს ცოფიანი სიზმრების გარშემო და იგი ჰგავს ზვინს, რომელშიც ნემსივით ჩაეკარგე და შენი ფორნების ხავსმოუკიდებელი ბორბლები თელავენ გზადაგზა.

შენ ეხეტებოდი, ის კი დარჭობილი ბოძივით ეყუდა, ქარების გამოკიდება რომ აღარ ძალუძს. მერე ფეხი აიდგა თითქოს და ამ დროს შენც წისქვილის დოლაბივით დადექი. გვიპოვნია ერთმანეთი, მაგრამ ახლა ჩვენს შორის მოგუგუნე ოკეანეა და მე შინია დაყვირების, ვაითუ ხმა ვერ მივაწვდინო-მეთქი. წეღანდელი გულწრფელობით ასეული კილომეტრის მომიახლოვე ის შემზარავი ნაპირი, ილონა.

სიყრმისდროინდელ დღეებზე გიყვები. ბარისახომდე ავაღწიე. არაბულების სტუმარი ვარ. მანადირეს კურდღლებზე. მაჭამეს ოცდაცამეტნაოჭიანი ხინ-

კალი და მასვეს ქაფქაფა ლუდი. უშენობა ვეღარაფრით გადავიგდე გულიდან. მერე ანატორებისაკენ წარმიძღვნენ. ამაზე სულის შემძვრელი არაფერი მინახავს. განა რაიმე ტაძარია თვალი რომ წარგტაცოს მისმა სილამაზემ თუ სიზვიადემ?! ერთი ჩანახშირებული აკლდამების წყებაა, ფილებით ამოყვანილი. რუხი მონაცისფერო გადასდებია ყველაფერს. ცაც ტყვიისფერია ნოემბრის მიწურულს. წარმიძღვნენ და მაბღოტიალეს იმ სამარხებში, ილონა. ადამიანის ჩონჩხებითაა სავსე. იმ ძვლების სიმრავლიდან ოთხად ოთხმა შემიტოკა გულში ძარღვი.

ჟამიანობის დროს თურმე აქეთკენ მოეშურებოდნენ ტიფიანები თუ ჭლექიანები. სოფელს მოარიდებდნენ პირს, ჩასხდებოდნენ აკლდამებში და დაიწყებდნენ უთანასწორო ბოძოლას ყოვლის შემძლე სიკვდილთან. ზოგი გამარჯვებული გამოდიოდა ამ შერკინებიდან, გადალახავდა, სძლევდა ღურუს8 უკიდეგანო ბჭეებს და ნაყვავილარი სახით თუ ჩაღამებული თვალებით მოლასლასდებოდა სოფელში, როგორც საომარი ველიდან გამოღწეული რაინდი, მაგრამ უკვდავებას ჩემის ღრმა რწმენით სამადსამი პიროვნება ეზიარა იქ: ღუდუშაურების რძალი, აკვნიანად რომ ჩაჯდა ანატორის აკლდამაში, და სიცხისაგან გათარანებულ ჩვილს გადაეფარა სიკვდილის კლანჭებისაგან დასახსნელად. ვეღარაფერს გახდა დედის შეძრწუნებული სული, არტახებში ჩაკრული გამოუღრღნა წარბშეუხრელმა სიკვდილმა. ის აკვანი ხელუხლებლად დგას იქ. ვეღარაფერი დააკლო თოვლმა და ქარ-წვიმამ. ზეზეურად ჩამომხმარი დედა გადამხობია, მაგრამ მიქელ-გაბრიელს ღუდუშაურების რძლისთვის წარუტაცნია პირმშო, და უბედური მშობელი ცოცხალი ძეგლივით ჩარჩენილა ანატორის აკლდამაში. იშვიათია ისეთი თავგანწირვა. დედა-შვილურ სიყვარულს ვეღარ მოერია სიკვდილის ძლევამოსილება, თუმცაკი გაძიძგნა ხორცი ძვლისგან.

ასევე წარუშლელია მეორე აკლდამაც. დედაშვილობა ხომ მაინც ერთი სხეულის ამბოხია, რადგანაც ახალშობილს ცნობიერება არ გააჩნია, ამდენად, დიახაც ერთი სხეულის შეკივლებაა სიკვდილ-სიცოცხლის გზაზე. ის მეორე აკლდამა კი ორი ზრდასრული ადამიანის უკვდავებას ღაღადებს. ანატორიებისკენ აბარგებულ ლიქოკელების ვაჟს, ერთად ერთი მიჯნურიღა გამოედევნა ნაბიჯ და ნაბიჯ, წიკლაურების ხორბლისფერი ასული მზექალა. იქ, იმ პირქუშ აკლდამებში სამი დღე და ღამე ებრძოდნენ თურმე სიკვდილს შეყვარებულები, სამი დღე და ღამე იხრუკებოდნენ ცეცხლით. ცრემლისმომგვრელია, ილონა ჩემო, ერთმანეთში ჩაბაწრული ჩონჩხების ხილვა. საუკუნეზე მეტია ქარს არ გაუტოკებია მათი ძვლები. ვერც მიწისძვრა თუ მეწყერი არღვევს სამარადისო ხვევნა-ალერსს და ძნელია ბოლომდე განსაზღვრო, რომელი გრძნობაა უფრო ჭკეშმარიტი, რომელი გაახლოებს უფრო ღმერთთან, ღუდუშაურების რძლის აკვანს გადაფარება თუ წიკლაურების გოგოს სამარეში ჩადევნება გულისწორის გადასარჩენად?! ბოლოს და ბოლოს საითკენ მიდის ადამიანი, რანაირად ეზიარება უკვდავებას, დედაშვილური სიყვარულით თუ რუსთველური მიჯ-

ნურობით?! აქ ზღვარის გავლება ძნელია, მაგრამ ხარისხში განსხვავება არსებობს უთუოდ. გახსოვს ბაზარში მოხუცი მეჩონგურე და მისი სიტყვები?

— ბუნდოვნად, სიზმარივით, — თქვა როკის საუბრით გაბრუებულმა ილონამ.

— მე კი ახლაც თვალწინ მიდგას ის თეთწვერება მოხუცი, მისი სიტვებიც დღემდე მიგუგუნებს ყურში.

სიყვარული და სიმღერა ღვიძლ და-ძმასავითაა. უსიკვდილოა ერთიცა და მეორეც. სიყვარულისა და სიმღერის დამარცხება სად შეუძლია სიკვდილს, როცა ორივე ღმერთთან არის ჩახუტებულიო.

აბა, ილონა და მე არ მოვკვდებით-მეთქი, რომ ვკითხე;

მხოლოდ გარეგნულადო, მიპასუხა, ხორცი შემოგეძარცვებათ მარტო, თქვენი გრძნობა სამარადისოდ დარჩება. უკვდავებაც ამას ჰქვიაო.

ვაგლახ, პატარა ვიყავი მაშინ და ნამდვილი ბრმა, ჩოხის კალთაში არ ჩავეჭიდე თვალხილულ ჭეშმარიტ უფალს. იმას ყველა კითხვის პასუხად მზად ჰქონდა, ჩვენი ურთიერთობისაც. გასაღები კი მომცა ხელში, მაგრამ მილიონი ნახვრეტი ჰქონია ჭეშმარიტების კარს. სანამ საკუთარ ჭრილში არ მოარგებ, არაფრისდიდებით გაიღება. ქადაგად დავდექი, ენად გავიკრიფე.

— გეხვეწები, ილაპარაკე, როკი! — თითებით ყელი გამოუწია ილონამ.

— ხოდა, იმას ვამბობდი, შენს არსებაში ერთდროულადაა მოცემული ღუდუშაურების რძალიცა და წიკლაურების გოგოც. და ორმაგად დატანჯული იმიტომაც ხარ, აკვნითა და შეყვარებულით ზიხარ, ერთდროულად იმ აკლდამაში.

ქალს მხრები აუთრთოლდა, აუცახცახდა. თვალებიდან თქრიალით წამოუვიდა ცრემლი.

— ვხედავ რა ჯოჯოხეთიც გიტროიალებს სულში. არ მინდოდა შევხებოდი თითქოსდა მიძინებულ სიმებს, მაგრამ როდემდის მოვიტყუოთ თავი?! ან როგორ მოინათლება, რა დაერქმევა ხანტურის და ბონდოს განცდებს, რომელთა საფლავებზე ყვავილების მისატანად მივე შურებით ახლა?!

უსიყვარულოდ გაუჩენია ის ბიჭი ჟინი ანთარს, ხელოვნურად, პირუტყვებს რომ ამრავლებენ, ისე. წესით გვარად ანთარიას, საბუთებით კი ჰალდიძონიას, ბიძაშვილი შეყვარებია, ცხადია, გარეგნულად, ხალხისთვის, საზოგადოების თვალში, იგივე — და, თორემ სინამდვილეში იურიდიულად, სრულიად უცხონი არიან ერთმანეთისთვის, მაგრამ მთავარი ჩვენთვის ის არის, რომ ავტოკატასტროფაში მოყოლილმა ყმაწვილმა ფუძის მოტეხილობა მიიღო, და რადგანაც გადარჩენის შანსი გადაეწურა შეყვარებულს მისას, ჰალიძონიებს ასულს, აქეთკენ წამოიყვანა, რათა მშობლიური გარემოს ხილვით ერთხელაც დაატკბოს მისი სული. არაფერი იციან მერე მათი სიცოცხლის ბოლო წუთებზე. აბრეშუმის თოკით მაჯებგადანასკვული გამოერიყა ზღვას ჭურიის შესართავთან და აქაურმა მწყემსებმაც ასე გვერდიგვერდ, ერთმანეთში სულიერად და ხორციელად გადაბაწრულნი მიაბარეს თურმე სატანჯოს მიწას.

ერთსაც გეტყვი, თუ გნებავს, ბაბუაჩემი ძაკას მონაყოლს. დადიანების პირველი ღამის უფლება მემატიანეთა მოგონილი არ არის. ვინმე ხუმუ ანთარიას, ერთი საროსტანა ასული, გიმი წყაროზია შეჰყვარებია და უთხოვია მთავრისთვის ჯვრისწერის ნებართვა. ეს უკანასკნელი დიდი მექალთანე ყოფილა, აღვირახსნილი მუსუსი. და იხილა რა შვლის ნუკრივით სახიერი წყაროზია, მოიწადინა მისი დაუფლება. ადათითაც ასე ერგებოდა ოდითგანვე, მერე და მერე ფორმალურად მისდევდნენ ამ წეს-ჩვეულებას. ლოგინზე დაწოლილ ქალიშვილს გადააბიჯებდა და სიმბოლურად გაითამაშებდა უკულმართ ტრადიციას, მაგრამ გადალაჯუნება არ იკმარა თურმე დადიამ და ზედ სასიძოს წინაშე აღისრულა საწადელი. აკი, ვთქვი, სიყვარულისათვის არ არსებობს შემბოჭავი ზღუდე-მეთქი. წაიყვანა ხუმუ ანთარიამ თავისი ქალწულობაწართმეული საცოლე, მაგრამ იმავე ღამით მიეჭრა მთავარს სასახლეში, გაკოჭა ბატონი, ცოლი თვალწინ გაუბახა, მერე ყამა გამოუსვა ყელში და სამურზაყანოს ტყეებს მისცა თავი. თხუთმეტ წელიწადს ტყე-ტყე დაწანწალებებნენ თურმე. ხუთი შვილი გზადაგზა ჩამოურიგებია დევნილ ცოლ-ქმარს. ბოლოს დღევანდელი ხუმუშქურის ტერიტორიაზე, მწყემსების ფარეხში მოუმწყდევიათ დადაიანებისა და შერვაშიძეების ხალხს.

ქალი მეექვსე ბავშვზეა ფეხმძიმე.

გამოელიათ ტყვიები. საშველიც არსაიდან ჩანს და მაშინ მუგუზალს დაავლო თურმე ხელი ხუმუ ანთარიამ, ცეცხლი შეუნთო ისლის სახურავს, ჩაეკონნენ ერთმანეთს და გაძნელებიათ მერე ნაცარში მათი ძვლების პოვნა. ასე რომ, არჩევანი შენზეა ილონა. საინტერესოა, რომელს უფრო ამჯობინებდი: ტყვიას, თოკს, წყალს თუ ცეცხლს? — როკიმ გაიცინა, მაგრამ ქალს სულაც არ ეხუმრებოდა.

ცაცხვის ჩრდილში მოკალათებულმა მასპინძლებმა ცხენების სადავეები ჩამოართვეს სტუმრებს.

შაშმან თირქიმას ხუხულას შემდეგ აქაურობა ნამდვილ დასახლებას ჰგავდა. ჩეროსთან გათხრილ ჭას კერამიკის გვამი ედგა. აქვე იყო წაგრძელებული მაგიდა მერხებითურთ. თვალებში შემოგაფრინდებოდათ ბოკონებზე შეჯენებული ოდა-სახლი, ქონგურებიანი აივნით. მოშორებით სამზადის ალიბჭედან კვამლი ამოდიოდა, რომლის იქით მიყოლებით ჩაემწკრივებინათ საბძელი, საქათმეები, საღორე.

არხში იხვები ყიპყიპებდნენ. მომცრო ნავსადგური ოთხივე მხრიდან ჩარჩოებზე დაჭედებული მავთულ-ბადით შემოეკავებინათ, გადაეხურათ შიფერით. ორი მოტორიანი ნავი და ერთიც ტვირთმზიდი კატარღა ეყენა იქ.

პონტონზე ახალმოთიბული ბალახით ეზვინა.

არხის ხელმარჯვნივ ხის გრძელი შენობა აღმართულიყო, ოლმელშიც ძროხებს და კამეჩებს აბინავებდნენ. სიბერეში ახალდაოჯახებული ანთარიაც აქ დახვდათ მეუღლითურთ.

კვეკვემ და როკიმ გადაკოცნეს ერთმანეთი. გააცნეს ქალები ურთიერთს. ოდიშელიას გამოჩენა დიდად გაეხარდა მწერალს. კვირაობით არ გამოდიოდა ოთახიდან. დილა-საღამო საბეჭდ მანქანას არაკუნებდა, საბოლოოდ ათეთრებდა რომანს. ცოლიც შეკლული ჰყავდა ხელში. ხავერდოვანი თაფლობის თვე ზღვაზე სიარულის ნაცვლად ლუპით ამოსაკითხი ხელნაწერების კარნახში გაუფლანგა. ახლა კი, გაიგონა თუ არა ოდიშელიას ხმა, საქმე განზე გადადო, თანამეცხადრესთან ერთად ჩამობრძანდა ოდიდან. ჯოტო გუგუჩიას სტაჟიანი სტუმარი პურ-მარილისთვის ათადარიგიანებდა მწყემსებს, ვალიკო ფიფიას, იპო ფაჟავას თუ ნუგო ბიჭიას, სხვადასხვა ასაკისა და აღნაგობა-ხასიათის ადამიანებს.

კახათელები კვეკვე ანთარიას საპურმარილო განკარგულებას ისე მიუგდებდნენ ყურს, თითქოს ამის სწავლებას ისინი მართლაც საჭიროებდნენ.

— სატანჯოში მივდივარ, იქნებ მოტორიანი ნავით გაგვიყვანო? — თქვა როკიმ და ანთარიამაც ყურები ჩამოყარა.

საქმე ის არის, რომ ამ თერთმეტ თვეში საათივით გამართულ ორ ნავს წირვა გამოუყვანა. საღ-სალამათად დარჩენილ ერთად ერთს კი ჯოტო გუგუჩიას უნებართვოდ ხელს ვერავინ ახლებდა. შეიძლება ქურდულად გესარგებლა მისით, მაგრამ ეგ რა კაცობაა, როცა პატრონი საგანგებოდ გთხოვს: ამას მაინც ნუ გამიფუჭებო, შენ კი ადგები და სიტყვას გადახვალ?!

ისევ მწყემსებმა შეაგულიანეს კვეკვე ანთარია.

— ერთი მგზავრობით რა უნდა მოუვიდეს, ოღონდ ძრავას ნუ გაუძალიანდებიო.

ცდუნდა ანთარია. გახსნეს ნავსაყუდლის ჭიშკარი, ჩაასხეს ბენზინი, დაქოქეს, წაიძღოლიეს საგზალი და ნელი სვლით წაათუხთუხა ნავმა ოთხეული ლარივით გაჭიმული არხით.

ჭურიაში ვინც არ ყოფილა, ტყუილად იკვეხნის სამეგრელო მოვინახულეო.

ტყეების მუქ-მწვანე გალავანი მოჩანს თვალსაწიერზე, შიგნით კი, ამ უღრანების შუაგულში მოშრიალე ლერწმოვნებისა და ისლიანების კორომებია. ხასხასებს საია. ყვითელი ფერი მძლავრობს უსიერიდან უსიერამდე. ზღვაურით დანაოჭებული წყალი კუპრისფერია. წკვარამ ღამესავით მრუმე ზღვიდან შემოსული კეფალები ამოხტუნდებიან აქა-იქ.

კამეჩების ჯოგი მიზოზინობს ბოღაზის გასწვრივ.

მალიმალ წამოფრინდებიან ყანჩები და წეროები.

თოლიების ფუთფუთი თვალს გიჭრელებს. მერცხლები დასრიალებენ წყლის ზედაპირზე. მტკავლის სიახლოვეს. მიიკლაკნება ანკარა თავთხელისკენ. იქით თახვმა გაუტია.

ზღვის ხმაური არც კი ისმის. შეერთებულია ცა, წყალი და მიწა.

აქოჩრილ ჭურიაზე გავიდნენ, რომელიც კილომეტრზე უფართოესია ნაპირიდან ნაპირამდე. მარცხნივ ხრიოკი კუნძულებია. ხელმარჯვნივ — პირველყოფილი ტყე.

დადუ და ილონა ნავის ჭვინტზე სხედან. როკი შუა ალაგას მოკალათებულა. ანთარია კუდიდან მართავს საჭეს ოსტატურად. ბოლოს და ბოლოს ორი ნავი გაუბედითებია. ნელი სვლით ჩაუვლიან ოზორმეხეს და თორსას, ჭყონკაკუტსა და დიდგვიმარონს.

ჭურიის ვრცეულობა თანდათან ვიწროვდება. დაგრეხილი მუხები და მურყანები კოჭებამდე წყალში დგანან. გვიმრები, გვიმრები ყოველ ნაბიჯზე ფარშავანგისბოლოსმაგვარი ფოთლებით. ოდესღაც გიგანტები, კოლხეთის ოქროცურვილი წარსულივით მინავლულან, ძარღვებში სისხლი გაყინვიათ, ჩამქრალი ჟინი აზეითებისა, მისტირიან ოდინდელ ძლევამოსილებას, როცა ახოვანი მუხები წვივებამდე ძლივს წვდებოდნენ. სწორედ გიმრას ეთაყვანებოდა კოლხი, ქოლგასავით გაშლილ მის ჩეროს, ნახევარ ქცევა მიწას რომ აფორაჯებდა სატაური ჩრდილებით. ამასაც იტყვიან აქაურები: გვიმრის ხეზე ეკიდა კირბებიო, იგივე ოქროს საწმისი, რკინის გამოდნობის საიდუმლოებებს, მედიცინის გულთმისნობებს, ოქროს მოპოვების წესებს, ვარსკვლავთმრიცხველობის ტრადიციებს, ანბანს დასაბამიერს და ვინ მოთვლის, კიდევ რას, მოიცავდა თავისთავში, ჰოდა, წარიტაცეს არგონავტებმა კოლხეთის ძლიერება, აკაფეს სალოცავი გვიმრები და იქიდან მოყოლებული ვეღარაფრით გაიმართნენ წელში, ვეღარაფრით გაუტოლეს მზერა კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ მძლეთამძლე ამირანს, მაგრამ შრიალებდნენ კვლავაც მოთენთილი, მთვლემარე ბუნებით; თუმცა ერთი ლექსისა არ იყოს, როსმე ძველებური სიამაყით წამოიწევიან, კვლავინდებურად. ისევ და ისევ მოიკრიბენ ძალას საშთამომავლოს, კვლავაც წამოხეთქავენ მოჟამული ფესვებიდან, ვულკანივით ამოიტყორცნებიან უდრეკელი კენწეროებივით ცისკენ და გაქვადებიან იქ დობადონას სამარადისო მონუმენტივით.

კვეკვე ანთარიას სტრიქონებმა ოდიშლიას გულზე მოაბჯინა მამულის საადარდელი ზღვიდან ზღვამდე.

სამწლიანი ოტების ჟამს სამშობლოს რომელ კუნჭულში არ შეუჭვრეტია როკის?! ნაღდკახელებთან ყურძენი უთრევია გოდრებით. აკარწახებული შარვლის ტოტებით ჩამდგარა საწნახელში და თავხოტორა მიხოსთან ერთად ხორუმის ილეთებით ჩაუწურავს ქვევრში სამყაროს სისხლი. გახედავდი ჭიქიდან გათარანებულ მზეს და ლილისფერდებოდა ბადაგის ლინზიდან ქვეყნის მანათობელი.

მირზაანელი ნატროშვილების გვერდით ფუთობით უსვამს ნამუსიანი ღვინო. გამხმარი თონის პური ჩაუფშვნია დილით სახელდახელო ხაშში და ჭიქა არყით გაუხსნია მადა.

ხორნაბუხჯის სიხე-სიმაგრეს სწვევია და ალაზნის ველის განუმეორებლობით დამტკბარა.

გაგაძეების სამასი წლის აკვნის სადღეგრძელო დაულევია.

სოკოები უკრეფია წინანდლის ტყეში. წიწამურიდან საგურამომდე ფე-

ხით უვლია ილიას ნათელი შუბლისკენ.

კახეთში ჩამოვედი და ქვეყნიერება ვნახეო, გასაუბრებია ფიქრებში ერის მამას.

ელიას ტბაზე იხვებზე უნადირია.

შირაქის ზამთრის საძოვრებზე მუხლებამდე თოვლში გამონთებია კავკასიური ნაგაზით კურდღლებს. სულშეგუბებულს უჭამია ფუთი ხახვით განელებული ცხვრის ხორცი.

სარქალის ყელისკავათი კრავებისათვის თავიანთი ადგილი მიუჩენია აბღავლებული დედების ცურთან. გუდაში რძე ჩაუწურავს მაჭიკმიმატებული და გარუმბული ყველით დაუტვირთავს „პოლტარანტოკები“.

კოლხური სევდიანი სიმღერების ტრფიალს „მრავალჟამიერი“ დაუგუგუნებია თანამეინახეთა მხარდამხარ.

ვენახის ძირივით დაგრეხილი ცხოვრება ერთბაშად მოაწვა გულზე როკის.

იმერეთის ლურჯთვალება სოფლებში ჭიაკოკონების ბარბანჯში ალები გამოუბერტყავს სხეულიდან.

უბელო თეთრონები უჭენებია ქვილშორის ღარტაფთებში.

წყლის წისქვილში მოხუცი თედორეს ჩიფჩიფში ტომრები ჩაუცლია ხვიმარაში.

წისქვალში შეღწეულა გიგანტი კლდეებით.

ადგილობრივ ბიჭებს ლოდების აწევაში გაჯიბრებია, ქარი გაუტარებია კლდის უშველებელი ნასხლეტისთვის.

ღვედივით დაუხვევია ხელზე მუხუდოგარეული სიფრიფანა მჭადი, ყოველთვის უხეში რომ გამოსდიოდათ ჯანჯას მზარეულებს.

ობჩას ეკლესიაში მაყრად ხლებია დოლაბერიძეების ნეფეს. ოთარ მამფორიას ხუმრობებზე პეტიკო თოდუა გახსენებია რატომღაც, თუმცა ის ახმახიც არანაკლებ ენაბასრი იყო. ახლაც ეღიმება იმდროინდელ ანეგდოტზე, ყასაბთან საუბარში რომ გაიჩარხა.

— გულ-ღვიძი გაქვს? — ეკითხება ოთარი მეხორცეს.

— არა, — პასუხობს დახლიდარი.

— ფილტვები? — ჩააცივდება მყიდველი.

— არც ის.

— თირკმელები?

— არა, ბატონო.

— გული? ჯიგარი?

— არა, არა, — ბუყბუყებს გაღიზიანებული ყასაბი და უცებ გაოცებული მიაცივდება მეხორცეს.

— აბა, ოჯახქორო, ჩვენი რაიკომის მდივანი ხომ არ დაგიკლავთ წუხელ?

მესხეთში თუთის არაყი უსვამს ოქრომელიძეების ჯალაბში. ფანდურზე ამღერებულ, ოჯახის ალისფერთმიან ასულს მოღეღილი მკერდი მიუნათებია

მიმზიდველი სტუმრისთვის, მაგრამ ძაკა ბაბუას დარიგების კვალობაზე თმოგვის ციხეს მისჩერებია ოდიშელიების ბიჭი.

ხერთვისზე ასულა.

სათაფლიაში ღამე უთენებია მთისძირა კოცონთან.

ჭყინტი სიმინდის ტაროები შეუბრაწავთ იაძეების ვაჟებთან.

ფეხით მოუვლია ურაველი, კუმურდო, მუსხი.

გულზე დაუფენია თუთის ხიების ჩრდილი. ფარავნის გრილ ტალღებში უბანავია. ჭინჭილები დაუცლია რაიონული გაზეთის თანამშრომელთან, კორცხელელ გოლიათთან კუკური თორდიასთან და ზურაბ ქაფიანიძის ბიძაშვილს ბანცალ-ბანცალით მიუცილებია სასტუმრომდე.

ასპინძიდან ახალქალაქში გადასულა. გავერანებული ეკლესია-მონასტრებისთვის ლოყა მიუხუტებია ამოჩიჩქნილი ჩუქურთმების ადგილას. ჰაიასტნელი ყმაწვილის მიმტყუპავს, მაინცდამაინც უფლის სასახლეში რომ ისტუმრებდა ერთ სამეფო საქმეს, მთელი სოფელი გამოკიდებია ფიწალითა და წალდ-ნაჯახით, დარჩელელების მსგავსად, მაგრამ დაუცლია ნათხოვარი ,,ტეტე'' ბრბოს თავს ზემოთ და აჩქარებული ნაბიჯებით გასცლია იქაურობას.

სანთელი დაუნთია სვეტიცხოვლის ტაძარსა და ჯვრის მონასტერში მოკვეთილი მარჯვენის თუ სულის სადიდებლად.

შიომღვიმისაკენ კლდე-კლდე აცოცებულა.

ჯუღაშვილის ქოხიდან გაუხედავს გორის ციხესთვის და გალაკტიონის სტრიქონები გახსენებია უმალ.

მათრობელა ,,ქებათა ქებას'' შემდეგ უბადრუკად მოჩვენებია ნიკორწმინდა, მხოლოდ მოგვიანებით შეუგრძვნია მისი შინაგანი უკიდეგანობა.

შაორის ტბაზე თევზი დაუჭერია. ლორი დაუმზადებია ავთოია ფონაძის ოჯახში. ტუჩების ტკბარუნით უსვამს ხვანჭკარა.

ჰადიშში ასულა ქალდანებთან.

საღლიანებისას ოჯახში კუპდარი და ზესხორა უგემია.

ანწლის არყით გამობრუჟულა. უშგულში სვანური კოშკების ჩრდილში გაწოლილა და მონისლული თვალებით გაუხედავს დედულეთისაკენ მისოუსსტივით.

მზერა გაუსწორებია თეთნულდის ქათქათა მწვერვალისათვის.

ვეზდენების დატყვევებული დათვი აუშვია. რომელიც ხუნდში გაბმულიყო და გოლიათი მონადირე დღეში სამჯერ აშინებდა დამიზნებული თოფით. ის დაკოდილი ტყიური კაცივით აღიმართებოდა უკანა ფეხებზე, სახეზე თათებს აიფარებდა და ჭირში ჩავარდნილი ადამიანის ხმას გაიღებდა. არ შემდრკალა როკი, გატრუნული ნადირისთვის ხუნდი მოუშორებია და სიყვარულით გაუდევნებია თვალი მისი კოჭლობით ძუნძულისთვის აკოკრილი სიმინდის ყანის მიმართულებით.

უძილო გაუთენებია ღამე ბარისახოში არაბულების ასულთან ერთ ტახტზე მოკალათებულს. წაწლობის ადათი იოტისოდენაც არ დაურღვევია, თუმცა

კი ის ქალიშვილი ჯიშტის თოვლივით დნებოდა. გახსენებია ძაკა ბაბუას მონაყოლი ჯიგიტის თითზე.

ხელს თუ არ გადაგაბანინებ, ხომ დაგბალთავენ ჩემებიო, გახუმრებია ჭვავისფერთმიანი ხვარამზე. კაფიაც შეუთხზავს მისთვის საჯარო პურობისას:

ეს ჩემი ლაზი წაწალი,
ნაზია, განა როკია,
წავა და ფუჭად შემრჩება,
რაც მიმღერ და მიროკნია.

კინაღამ ჩაუსიძებიათ გოლიაძეების ოჯახში.

ხიდისთავში ჯვებე დუმბავათი გამოცნაურებია ,,მე, ბებიას...'' ავტორი.

წვერმაღალაში ჩხუბში გამოუწვევია მეშტას, და ნახევარი ძალის დარტყმით წყლით მოსაბრუნებელი გახდომილა ის ამპარტავანი ყოჩი.

აცანაში, ჩხაიძეების ოჯახში, ჭურისთავზე უქეიფია ქაფქაფა ადესათი.

სარფისკენ გატეულა მერე, გული აჩვილებია ლაზებთან მოსაუბრეს. მემიშიშებთან და ბექირიშებთან შემოთენებამდე უმღერია ,,ჰოუ ნანას'' სევდიანი იდილიით შეფერილი საგალობლები. ახლაც ყურში უზუზუნებს ჰევა ჰევაიაშის ზღაპრები:

— მა თრანგი-ჲა ოკვანდინდუ ვა მემოჭარატუ. თის ვა მემისთატუ-ჲა ოკვანდინუ ოროსფობა. ეკულე ემ სერის იზმოჯე ძიელენ. ,,ვით წანას-ჲა ოროსფობა ვაგინონ-ია. ვით წანას დილენჩობა, ვით წანას ჩქვა კაი სქიდაგინონ-ჲა''. ე შო იზმოჯე ძიელეენ ემ სერისᲜ.

სამურზაყანოდან ძიძიშვილ ავიძბებთან აძიუბჟაში გადასულს, გაფაციცებით უთვალთვალია ლაცუზბაიების ბოტების ჭიდილისთვის. თბილი წყლით დაუბანია მორდუს მისი ფეხები. ,,შიშნანი'' უმღერია ვაჟიშვილების გვერდით მოთავსებული ოდიშელიასთვის.

წვეთ-წვეთობით დაგროვილი ფერები და სახეები, რაღაც ერთ. უსახელო განზომილებად იქცა მოტორიან ნავში ფიქრით-მიტაცებული როკისთვის. მეორე სუნთქვის გახსნას ეძახიან ხოლმე მარათონული სირბილით ქანცგაწყვეტილობის ჟამს ამგვარ სიმსუბუქეს. საკმარისია გადალახო პირველი მოთენთილობა და გულ-გვამის შებოჭილობანი, რომ განახლებული ენერგიით ეკვეთები ხოლმე მოლიპულ აღმართებს, გნებავთ სიზიფესავით გამუდმებით ლოდები გქონდეს მთის მწვერთალზე ასაგორებელი. ჰოდა, ოდიშელიამაც აშკარად იგრძნო რომელიღაც კაპილარის გახსნა გულის კუნჭულსა თუ თავის ნახევარსფეროში. მართალია, ვერ დაგიზუსტებდათ კონკრეტულად რომელში, მარჯვენასა თუ მარცხენაში, მაგრამ სრულიად აშკარად, სრულიად თვალსაჩინოდ მიუხვდა სხეულის უცაბედ გარდასახვას და ამ საწიერიდან რომ მოხედა განვლილ გზას, ენითუთქმელი სიამაყით აღივსო.

ახლა მეტი დაუნჯებით აცნობიერებდა ბარდავეიტესთან და ვაიტკაუტეს-თან გამართული საუბრის შინაარსს მთელი სიგრძე-სიგანით.

ჩუბინიძის, მამარდაშვილის, გეგეჭკორის, გიორგი ნუნისელისა თუ მამა იო-ნას კამათის დეტალებიც კალეიდსკოპურად აილინთა ერთმანეთში. იმ გორგალს წვერი ვერ უპოვა, რათა ხელახლა დაეხვია, ხელახლა განეცადა ოდესღაც თვალწინ გაელვებული სინამდვილე, ზერელედ აღბეჭდილი მის ცნობიერებაში. სწორედ ისე იყო, როგორც ბაბილინა ბებიას კალთაში მითვლემილი, ზღაპრის მოსაყოლადაც აქეზებს დედაბერს, მაგრამ მოსმენის ძალ-ღონე წართმევია, ბაყბაყდევს კი მხრებით აუტაცნია მოწკუპული ნაცარქექია, ცისთვისა აქვს ხელი ჩაჭიდებული თუ რაღაც ჯანდაბისთვის ვერ გაურკვევია, თან უსადგისებს აქა-იქ. ამის იქით კი ყველაფერი ბურუსითაა მოცული, ნისლი გადაეფარება, წაიშლება სახეები, გახუნდება ფერე-ბი, ჟღერადობა წაერთმევა ხმას და დიდედას ხელებში ატატებული ჩითის საბნე-ბისკენ მიირწევა.

დაახლოებით მსგავსი სიძლიერით აღბეჭდილა როკის მეხსიერებაში ის საუბრები, ის ჯიუტი გამოდევნება საკუთარ სიმართლეს.

მამული. სამშობლო... ლარდა, ოდაბადე-ობადიში, დობადონა და მემლექეთი, დროთა ვითარებაში, ნელ-ნელა, თანდათან ღვივდებოდა ოდიშე-ლიაში ვერბალურ ამ სინონიმთა უზუსტესი შინაარსი. რასაც აქამდე ქვეშეცნ-ეულად აღიქვამდა, აგერ, ორიოდე კვირის წინ მთელი სიცხადით გაცნობიერ-და მისთვის, სხოდკასა და ილონასთან შეხვედრის შუა, თეიმურაზ დარასელის თანდასწრებით, გული ზაქარაიას კაბინეტში გამართულ საუბარში.

ამას ზედ ჭურიის სანახებიც დაერთო, თოკივით დაგრეხილი მურყანებისა და დაქონდრისკაცებული გვიმრების საუფლოთი და დედულეთის ბუნება-ხასიათი ცხოვრებაში პირველად აივსო ათასი ჟენიათი და ვალერიანით, გივით და გენადით, მარინათი და ნიკათი; აივსო ნაჯაფარი ხელების ლაშქარით, უძი-ლო ღამეების ქარავნებით და შვილების ზრუნვაში გათეთრებული მილიარდ-ჯერ მილიარდი თმის ღერით დამბადებლისა; ჩვილის ტიტინითა და ჟღურტუ-ლით, შავ დღისთვის მხარში მდგომელი ძმების დაძაგრული სხეულებით. სამ-შობლოს კრებითობამ ხელები შემოჰხვია სრულიად საქართველოს აწყმოს, წარ-სულსა და მყოფადს, გადააწნა, გადაანასკვა გაცრეცილი სახეები აღაჟღაჟებულ რეალურს თუ აწმოსავლენ იისფერს და სულის თვალშეუდგამ კვარცხლბეკზე ასწია უკიდეგანო სამყაროს დასანახად.

— კვირა დღეს მაინც არ დაგეხსნებიან, შვილო? — ეუბნება გალეულმა დედა აივანზე გამოსულ როკის.

— ვის გავახსენდი კიდევ? — იკითხავს ოდიშელია და ონკანს კისერს შეუშ-ვერს.

— ზაქარაიამ შემოგითვალა, აუცილებლად მნახოსო.

დილის თერთმეტი საათი ძლივს იქნება, რაიონული მილიციის ეზოს შე-სასვლელში მანქანით რომ შევა როკი და ძერჟინსკის ბიუსტის სიახლოვეს შეა-

ჩერებს. წაგრძელებულ, ორსართულიან შენობაში შეაბიჯებენ ოდიშელია და თეიმურაზ დარასელი. სუკ-ის უფროსი ადგილზე დაუხვდათ. შეიხედავს თუ არა კაბინეტში როკი, ფეხზე წამოდგება საშუალო ტანის კაცი. ჩამოსმული სახით, ოდნავ შემელოტებული და უშურველი ღიმილით შემოგებებული. სტეპანცევი, დიხამინჯია და ზაქარაია გვერდიგვერდ რომ დაგეყენოთ, სიმაღლეში სანტიმეტრის განსხვავებას ვერ უპოვით. დიხამინჯია შავტუხა თუა და სტეპანცევი ბოლნისის მარმარილოსავით ქათქათა, ზაქარაია ზომიერი შეფერილობის გახლავთ და ამ უკიდურეს კოლორს შორის. ხოლო რამდენად სპორტული აღნაგობისაა სტეპანცევი და ზაქარაია, იმდენად კუბში ახარისხებულს ჰგავს დიხამინჯიას ფიზიონომია. ფიცხი მანერებით ერთი დედ-მამის შვილებად ჩააგდებთ სამივეს, მაგრამ არის კიდევ არსებითი, თვალისთვის უხილავი განსხვავებანი. დიხამინჯიას წიაღში კუჭი თუ გაბატონებულა სავსებით და უტიფრად მიესაკუთრებინა სხვა ორგანოსთვის აუცილებელი სასიცოცხლო სივრცე, სტეპანცევთან ამ მისიას ნაღველა ასრულებს, მწარე ნიაღვრებით წამლეკავი ინდივიდუუმის მთელ იმპერიისა, ზაქარაიასთან კი გული, შეუსვენებლად მოქოთქოთე გულს დაუპყრია პიროვნების არსებობის ინტერიერი — ფოიე, დარბაზი, კულისები. დაახლოებით ასეთია წარმოდგენილი ტიპაჟების მსგავსება თუ განსხვავებანი.

კაბინეტს სამი მხრიდან ექვსი უშველებელი ფანჯარა აჩახჩახებს. მარჯვენა კედელზე პროლეტარიატის ბელადების სურათები ჩამოუმწკრივებია მასპინძელს, მარცხენაზე — ეროვნულ მწერლობის კორიფეთა პორტრეტები. მისი მაგიდისა და სავარძლის ზურგს უკანიდან ძერჟინსკის გადიდებული ფოტო გითვალთვალებს ძვირფას ჩარჩოში ჩამსული, შემინული. მრგვალ, დაბალ მაგიდისთვის სამი სავარძელი რომ შემოუწყვია, ტილოს სუფრა აფარია და ზედ წყლით სავსე გრაფინი დგას ლამბაქიანი ჭიქით.

ზაქარაია სავარძლებს მიუჩოჩებს სტუმრებს. კედელში დატანებული განჯინის კარს გამოაღებს. გაუხსნელ ,,გრემს'' და ,,მაისის ვარდის'' სახელწოდებით ცნობილი შუქ-წითელ ვაშლებს გამოიტანს. დანას, თეფშებს და სირჩებს მოხდენილად დაალაგებს კონიაკის სიახლოვეს.

— ვალერიანოვიჩ, ორჯერ მოგიგზავნე მძღოლი. რატომ გესირცხვილება აქ მოსვლა?! თან მოწმეებით დადიხარ. ეჰ, ეს უნდობლობა! — ზაქარაია კონიაკს დასწვდება გასახსნელად.

— ამ დილით გავიგე პირველად, გული, ბატონო. რაც შეეხება მოწმეებს, თქვენს სამსახურში მე უმეგობროდ არსად და არასდროს შევსულვარ. რას იზამ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, თქმულა.

— მადლობელი ვარ დაფასებისათვის. როკი, შენ უკვე დაღვინდი სერიოზული საუბრისათვის. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის წინანდელი ოდიშელია ურევდა ცოტას. ყველას და ყველასფერს ეჭვის თვალით უმზერდა. ჩემი დარიგება ყურად რომ გეღო მაშინ, ამდენ ჯოჯოხეთს არ გამოივლიდი. ვინ იცის, რამხელა მეცნიერი თუ ხელოვანი დაჰკარგა საზოგადოებამ შენი სახით. მეხსიერება თუ არ

მღალატობს: საბჭოთა არმიაში არ ვიმსახურებო, გაიძახოდი. შექმენით ბატონო ქართული ჯარი და ჩემი თავი გენაცვალოთო, აცხადებდი. გულზე ხელი დაიდოს და თქვას, — მიუბრუნდება თეიმურაზ დარასელს, — ხომ ცრუობდა მაშინ? ქართულ ჯარშიც არ წავიდოდა ეგ, თუნდაც გვყოლოდა იმ ჩვიდმეტთვრამეტი წლის წინ.

— სწორი ბრძანებაა, არ წავიდოდა, — კვერს დაუკრავს თეიმურაზი.

— არ წახვიდოდი ვალერიანოვიჩ, იმიტომ, რომ კანონიერ ქურდებს აიდეალებდი, ხოლო ქურდული წესით სამხედროში სამსახური ცოდვადაა მიჩნეული. ეს ფსიქოლოგია არ არის განსაკუთრებული, სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების ახალგაზრდობის საერთო სენია, მაგრამ საუბრისთვის რომ მოგიხმე, დაგროვდა მიზეზები და ვალდებულად ჩავთვალე საქმის კურსში ჩამეყენებინე.

უნდობლობა ჩემი პროფესიის კაცის მიმართ სრულიად ბუნებრივი მომენტია. ვიცი, იმიტომაც გაჩუმებულხარ, მაგნიტაფონია სადღაც ჩართულიო, ფრთხილობ და რამდენიც უნდა ვამტკიცო ჩემი გულწრფელობა, გულღია საუბარი მაინც არ გამოგვივა, მაგრამ ვალდებული ვიყავი დამეძახნა შენთვის და მოგიწვიე კიდეც სასაუბროდ. იმაში მაინც დამეთანხმები, ალბათ, ცოტათი რომ განვსხვავდები ცაქვა შედანიასაგან. სალაპარაკო ბევრი მაქვს და ვიდრე გულს ბოლომდე ამოვიბერტყავდე, დაუფარავად გეტყვი, ვალერიანოვიჩ, ამდენი ხნის პატიმრობის შემდეგ სატუსაღოდან შენსავით სუფთად ჯერ ოდიშელი კაცი არ გამოსულა. გეცოტავება?! კარგი, ბატონო, ქართველი ზოგადად, მაგრამ, ვალერიანოვიჩ, ეს როდი ნიშნავს ყველა ხიფათი უკან მიოიტოვე. შენი ნატურის კაცი უფათერაკოდ ვერ იცხოვრებს. მარინა ჩემი მეგობრის ქალიშვილია. ქორწილში ვერ მოვხვდი. ვაჟიშვილი მაინც მოგილოცო.

ზაქარაია სირჩებს შეავსებს. ვაშლს ოთხად გაჭრის, მიუჭახუნებს როკის, მერე — თეიმურაზს და თვალის დაუხამხამებლად გადაჰკრავს.

— გუშინწინდელმა აფეთქებამ მთელი ზუგდიდი ააფორიაქა. მოვიკვლიე მასალები. ჩვენ ფაქტებს ვაგროვებთ სათანადო დროისთვის, დამნაშავეებს მილიცია იჭერს. ჩვენი მიზანი ქვეყნის უშიშროების შენარჩუნებაა, სახელმწიფოს საზღვრების დაცვა, გლობალური მაშტაბები. ხომ ხედავ, როგორ იცვლება დრო?! იმ დღესაც მოვესწარით ზუგდიდში, ბომბები ფეთქდება, თან ვის ოჯახში, ცეკას ინსტრუქტორი ვახტანგ კაკაჩიას სახლში. აფეთქება საღამოს ცხრა საათზე მოხდა, დიდი და პატარა ,,ვრემიას'' რომ მისჩერებია, ისეთ დროს. მაშასადამე უნდა ვივარაუდოთ აფეთქება დაშინების მიზნითაა ჩადენილი. ბოროტმოქმედი მსხვერპლს გაურბოდა, ყველაზე ოპტიმალური დრო გამოძებნა და უკაცრიელ ეზოში ორი ,,ლიმონკა'' შეაგდო. რვა ოჯახის ფანჯრებს მინის ნასახი არ შერჩათ. უნომრო თეთრი ,,ჟიგულით'' ყოფილან. მანქანაში ორი მჯდარა. ინსტრუქტორი კაკაჩია ქალაქკომის მდივნობის კანდიდატურა იყო ზუგდიდში შენს მოგვარესთან ერთად. აქ მარტივი სამკუთხედი შეიკრა უცებ: კაკაჩია-ოდიშელია-დიხამინჯია. აფეთქება ვიღაცის დასაშინებლად რომ განხორციელდა, ამას მტკი-

ცება არც სჭირდება. ვთქვათ, კაკაჩიას საკუთარ ეზოში ლიმონკები რომ აეფეთქებინა, ამით რა სიკეთეს მოიმკიდა?! მტრებით ყოფილა სავსეო, დაასკვნიდნენ ცეკაში და მისი კანდიდატურა მყისვე მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან. ან ოდიშელიას რისთვის უნდა დასჭირვებოდა კაკაჩიას ეზოში ბომბის შეგდება? ვთქვათ, დაა შინებდა კონკურენტს, მოახსნევინებდა კანდიდატურას, მაგრამ შეუცვლელი არავინაა. თანაც რა გარანტიები ჰქონდა მდივნის ადგილი უმტკივნეულოდ გამოუნთავის უფლდებოდა? დიხამინჯია ჯერ ხომ მკვიდრად ზის თავის სავარძელში? დარჩა ვინ? — ცნობისწადილდით შეხედავს ზაქარაია სტუმრებს.

— დიხამინჯია, — იტყვის თეიმურაზ დარასელი.

— აგაშენა ღმერთმა! სწორედ დიხამინჯიას გათვლილია ყველაფერი. ნახავ ხვალ და ზეგ შენს მოგვარეს დაუწყებენ კირკიტს: კაკაჩიას დაშინება უნდოდაო. ორი გასროლით ორი კაცია ჩამოშორებული. მაგრამ საქმე აქ არ შეჩერდება ჩემი ღრმა რწმენით, რადგანაც მდივნობის მაძიებელ ოთარ ოდიშელიას ტერაქტის შემსრულებელი სჭირდებოდა და თუ ლოგიკურად დავასკვნით, ყველა გზა შენკენ მოდის. ასეთნაირი ვარაუდის საფუძვლები დიახაც გამაჩნია. დიხამინჯიაზე ჩვენ უამრავი მამხილებელი მასალა მოგვეპოვება. მილიციის უფროსი ადელუა მისი ახლო ნათესავია. სხვანაირად არ გამოდის ფულის შოვნა. დიხამინჯია ლამპის უკანასკნელი ნათებით იწვის, მოსწრებაზეა. ცოტნეს ძეგლის განხორციელების ჩაფუშვამ წყლები აუმღვრია. უმაღლეს ინსტანციამდე მიაღწია ამ ამბავმა. ის ბიჭები, კარზე რომ მოგადგნენ ხუთშაბათ ნაშუადღევს, ნაღდი პატრიოტები არიან. მე სახელმწიფო მოხელე ვარ, მაგრამ მამულიშვილობის გრძნობა წუთითაც არ დამიკარგავს. ეს ბელადები ფლეშებია ჩემთვის პატარა საქართველოს გადასარჩენად. უმცირეს ბოროტებასთან ვკარგავ კავშირს უდიდესის თავიდან აცილების მიზნით. კარგად დააკვირდით ჩემი კაბინეტის სურათების განლაგებას. რომელია ჩემი სავარძლის ხელმარჯვნივ და რომელი — ხელმარცხნივ. მარჯვენა — სამშობლოა, მარცხენა — სამსახური. ღმერთის მარჯვნივ ვინ იჯდა და მარცხნივ რომელი, ალბათ არ გესწავლებათ. ჩვენ უფალს და სატანას შორის გვიხდებოდა არსებობა, დიახ, არსებობა ათასწლეულების მანძილზე და ნაცარქექიას გამჭრიახობა რომ არა, გავისრისებოდით დიდი ხნის წინ. რა პასუხი მოვსთხოვო მე ახლა თვრამეტი წლის ბიჭებს, ჭურიაში რომანს მიმჯდარ ანთარიას, რატომ გიყვართ სამშობლო-მეთქი და დავაბეზღო, ცხრაკლიტულში გამოვამწყდევდიო?! ეს ხომ არაკაცის საქციელია?! შენს მიერ თავმოკვეთილი ვარდების ამბავი კარგა ხანია გასცდა ზუგდიდის საზღვრებს, ჩემი ხაზით კი არა, სხვა არხებით, ამიტომაც, როგორც არასდროს, ვალერიანოვიჩ, ახლა გმართებს თავდაჭერილობა და სიფხიზლე.

ქურდული გაგება მოკვდა. ამჟამად სხვა ძალები მეფობენ. მუშტი-კრივის მზე ჩაესვენა. ხომ ხედავ, იარაღმა როგორ ამოდგა ენა?! ეს უკვე მრავალი გაუთვალისწინებელი უბედურების სიგნალია. სამხედროები ბოთლ არაყზე ჰყიდიან ავტომატებს. უახლოეს ხანში დიდი ანარქიაა მოსალოდნელი. თქვენ ბირჟაზე მუშტებს რომ უხათქუნებდით ერთმანეთს არაქათის გამოცლამდე, ახალგაზრ-

დობის გარკვეული ჯგუფი იატაკქვეშ ფუსფუსებდა, ძირს უთხრიდა საბჭოეთის რეჟიმს. არ წამიყრუებია-მეთქი მათ საქმიანობაზე, ტყუილს ვიტყვი, რადგანაც სამშობლოსთვის ნებისმიერი თავგადადებული იგივე ცოტნე დადიანად შემირაცხავს. ხმამაღლა ვერ ვექომაგები საუბედუროდ. სამსახურეობრივი მოვალეობა მზღუდავს საამისოდ, მაგრამ სადღაც სულის კუნჭულში რომ თანავუგრძნობ, იესო მაცხოვარია მოწმე.

შენ როგორ ფიქრობ, უცნობია ჩემთვის მოუხელთებელი იანები?! ანტისაბჭოური პროკლამაციები ქალაქში რომ ვრცელდებოდა ეს წლები, საათნახევარში უკვე ჩემს მაგიდაზე ელაგა უკლებლივ. ინფორმატორი უთვალავი გვყავს ეროვნულ მოძრაობაშიც, ქურდულ სამყაროშიც, პარტიულ სტრუქტურებშიც.

პაპანწყვილთან თქვენი თავყრილობა დაწყებულიც არ იყო და უკვე ყველაფერს ვუწყოდი. შემეძლო შემოვლით ადელუასთვის მეცნობებინა და ოცდათორმეტ კანონიერ ქურდს თხუთმეტ-თხუთმეტ წელიწადს ავკიდებდი, მაგრამ ვიმეორებ, ჩვენი მისია მასალების მოკვლევაა და არა — დაპატიმრებები.

ახლა შევაჯამოთ ყოველივე. ცოტნეს ძეგლის ჩაფუშვით საკმაოდ ზორბა ლუკმა პირიდან გამოაცალე დიხამინჯიას. აცვენილი ბიჭები დაგეშა შენზე, იმათ ქურდებით შემოგიტიეს საპირფარეშოში საათნახევრით გამომწყვდევის გამო. აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა დიხამინჯიას. მომწიფდა თუ არა აფეთქება? მომწიფდა და მერე როგორ?! საითკენ მივყავართ ლოგიკურად ამ კონფლიქტს? შენ იზოლაციისაკენ, ვალერიანოვიჩ. ჩამოგიშორებენ თავიდან, კომისიას დაქრთამავენ, კოსმეტიკას გაუკეთებენ ძეგლს და დიხამინჯიაც პოზიციებს გაიმაგრებს. დავლიოთ კიდევ თითო, მშობლები ვადღეგრძელოთ.

ზაქარაია ისევ შეავსებს სირჩებს, მიუჭახუნებს სტუმრებს ადრინდელი თანამიმდევრობით. კვლავ თვალის დაუხამხამებლად გადაპკრავს. ოთხად გაჭრილ ვაშლს ერთს გამოაკლებს, ჩაკბეჩს და პირში ლუკმაგაჩხერილი განაგრძო:

— გაორებულს ეძახიან ჩემი ბუნების ადამიანს. სამშობლოს იდეალებსაც ვეთაყვანები და ამავდროულად სახელმწიფო სამსახურსაც ვერ ველევი, მაგრამ მიგდე ყური, კარგად! მეოთხედი საუკუნეა, რომ ამ სკამზე ვზივარ, თუმცა აქედან რომ ავბარგებულიყავი, უკეთესი მოვიდოდა ვითომ? მამულისთვის გულანთებული ჩვენი ბიჭების დოსიებით გამოიტენებოდა უშიშროების არქივები. მერედა, ვინ იცის, როდის ამოტივტივდებოდნენ ისინი, როდის ამოიდგამდნენ ენას. კედელივით ვდგავარ მე სახელმწიფო ინტერესებსა და ეროვნულ სულისკვეთებას შორის. მოვა, ალბათ, ოდესმე თვითგამორკვევის ჟამი. დღეს კი რუსეთს იქით გზა აღარ გვაქვს. ჩემი თვალებით მინახავს მე თურქული, ირანული რუკები. რომ გითხრათ, არც დაიჯერებთ. თურქების რუკაზე მთელი კავკასია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველოს ჩათვლით, მათია და ეს გამართლებულია ისტორიული წიაღსვლებით. იგივეს მოიმოქმედებენ ირანელი თუ სხვა კარტოგრაფები. მაშ, როგორ მოვიქცეთ, გავეყაროთ ვაის და

უისთან ვდურთოთ თავი?! აი, ეს მომენტი მაშინებს მე გულფიცხელი ბიჭების შემხედვარეს, თორემ საკუთარი ბუდე ჩიტსაც გააჩნია და ამაზე მეტი ბედნიერება იქნება კი ბიბლიური წარმომავლობის ერისთვის?! შორს გამექცა სიტყვა. შენი ბედი მადარდებს, ვალერიანოვიჩ. ფეხი ვერსად მოგიკიდებია. ვასია ბრილიანტი შენ არ ხარ ბოლომდე დაგინდონ; არც კომუნისტი ჯემალ გეგეჭკორი, გაჭირვების ჟამს ვინმე ფუნქციონერმა დახმარების ხელი გამოგიწოდოს; არც ეროვნული მოღვაწე, დისიდენტი — მერაბ კოსტავა, მამულისთვის მოწამის გვირგვინი დაიდგა თავზე და ერის ფარული თუ აშკარა თანადგომით ისულდგმულო; არც — ფილოსოფოსი მამარდაშვილი — ლექციების წასაკითხად უცხოეთის უნივერსიტეტებში მოგიწვიონ; არც ჩუბინიძე — ღვთიური წარმომავლობის ადამიანზე იოცნებო და უცხოპლანეტელების იმედი იქონიო. არც სიტყვამაღლიანი ანთარია — საკუთარ ნაჭუჭში რომ ჩაიკეტო და გულიდან ნაფლეთებად ამოტანილი შემოქმედებითი მადლით დასტკბე; არც ძველმართლმადიდებელი მამა იონა — ანაფორა რომ მოისხა ტანზე, ბერის კაბაში შეძვრე და იესო მაცხოვრის ჭვრეტაში დაიფერფლო; არც გიორგი იბერიონელი — დედამიწის ხელმეორე შეჩერებაზე იფიქრო, წაშლილი, ოდინდელი ცოდნის რედუქციისთვის.

კუნძულს გავხარ, ვალერიანოვიჩ, ათასი დინება და ტალღა რომ გიტევს და ბარაქალა შენს გამძლეობას!

რუსთავის მესამე ზონაში კვეკვესკირს თავი რომ მოაჭერით და ჭიშკარზე წამოაგეთ, იმღამინდელი საუბრების სტენოგრამა უჯრაში მიდევს. იქ უფრო მამარდაშვილის გამო იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ გულთმისანმა კაცმა დროულად დაიდუმა ენა და როდესაც ბოლომდე ჩავიკითხე იქაური დიალოგი, შემძრა ქართველი ინტელიგენციის აზროვნების დაქსაქსულობამ:

გიორგი ნუნისელმა და ალაზნისპირელმა უკვე დაიწყეს პრესაში თავიანთი შეხედულებების გამოქვეყნება.

ჩუბინიძის წიგნს დღე-დღეზე ელოდებიან.

მამა იონა გაემიჯნა მართლმადიდებლურ ეკლესიას, ანათემას გადასცეს, მაგრამ კვლავინდებურად ძველმართლმადიდებლობის გზას ადგას და თავის სიმართლეს გამუდმებით ბეჭდავს ,,ღვთიურ გზაში''.

მამარდაშვილი რუსეთში გადაიხვეწა, უნივერსიტეტ-უნივერსიტეტ კითხულობს ლექციებს.

ანთარია, ჭურიაშია და დაუსრულებელ რომანს ურაკუნებს საშაეგუტიას საბეჭდ მანქანაზე.

ჯემალ გეგეჭკორი ძველებურად მარქსის თეორიას ავითარებს და უკლასო საზოგადოების გარდაუვალობას ასაბუთებს.

ყველა დისიდენტი სუფთა ჰაერზეა უკვე, მარტო საქართველოში კი არა, მთელს კავშირში.

ადამიანთა უფლებების დაცვის მისიით უცხოეთი ციხე-ციხე დაიარება და

სახელმწიფოც იძულებულია ყოველი პოლიტპატიმარი გარეთ გამოუშვას. არ დაჰყვები და შეგიწყვეტენ სუბსიდიებს, ინვესტიციებს, კრედიტებს, საკუთარი ხალხი მოგაშთობს.

საზღვარგარეთი მაგრად გვიტევს.

ბერლინის კედელს უროებს ურახუნებენ ორივე მხრიდან.

სულს ღაფავს საბჭოეთი.

აიხადა რკინის ფარდა და მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდა ჩვენი პროლეტარული უბადრუკობა.

ბალტიისპირული ემიგრაცია პიკეტებს მართავს ვაშინგტონის თეთრ სახლთან, სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნით.

აზია ყრუდ გუგუნებს, კავკასია დაჭიმული სიმივითაა. არავინ უწყის როდის წაიქცევა თიხის ფეხებზე შემდგარი იმპერია.

რა უნდა ვიღონოთ ამისთანა დროს ჩვენ, ექვსმილიონიანმა რესპუბლიკამ, სადაც ყოველი მესამე უცხოტომელია?! გავიწელოთ ჭიაყელასავით, დინების საწინააღმდეგოდ ვიწყოთ ცურვა, თუ მივყვეთ საერთო სიტუაციას?!

ათასწლეულობით შეგვინახავს ჩვენი ჯიში, ჯილაგი და რაღა ამ კატაკლიზმების ჟამს ჩავუძვრეთ ხახაში გონებაწართმეულ ურჩხულს?!

ცხონებული სიყრმის მეგობრის ასული მოგიყვანია ცოლად, ბიჭი შეგძენიათ და მამა-შვილურად გირჩევ: მოერიდე კონფლიქტებში შესვლას, განსაკუთრებით დიხამინჯიას უფრთხილდი, თუ დასჭირდა ყველაფერზე წავა, ჩემი სიტყვიერი გულშემატკივრობა აღარაფერში გამოგადგება, რადგანაც ოფიციალურად უფლება არა მაქვს გამოგესარჩლო.

საძმო რომ მიგაჩნია, იქაც უამრავი ძირგამომთხრელი გირევიათ. გაივლის დრო და დამიმადლი ამ სიტყვებისათვის. შენი ასაკის კაცისთვის ძნელია აწი ახალი ცხოვრების დაწყება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დადგე ერთხელ სადმე, გნებავს — ეშმაკთან, გნებავს — ღმერთთან. გაორებას ყველაფერი სჯობია. ჩემი ცხოვრებიდან ვიცი. ვფიქრობდი, აი, ახლა მივაფურთხებ ყველაფერს, აი, ახლა-მეთქი, მაგრამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე საკუთარ პოზიციას გამართლებაც კი მოვუძებნე: თითქოს უკეთესი პიროვნება ვერ მოვა ჩემს სკამზე; თითქოს სხვა გაქნილი ოთხ კედელს შუა განამწესებს ჩვენს ახალგაზრდობას. თავის მოტყუებაა, სხვა არაფერი.

ვზივარ სავარძელში, თავზე ფელიქს ედმონდოვიჩის პორტრეტი დამნათის. მარცხნივ მივიხედავ და მარქსიდან მოყოლებული, ენგელსი, ლენინი, სტალინი შემომჩერებიან. მათ გვერდით მონაცვლეობენ ხრუშოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო. აგერ, ახლა გორბაჩოვიც ამობრწყინდა.

მივიხედავ მარჯვნივ და ჩვენი სულიერების მთელი გალერეაა: შოთა, აკაკი, ილია, ვაჟა, გალაკტიონი. ეს ხუთეული უმთავრესია, მაგრამ მათ რიცხვს კიდევ ვრზდით ბარათაშვილებითა და ერისთავებით, გურამიშვილებითა და ორბელიანებით.

მე გავიხლართე ამ გამოხედვათა შორის. მეწევიან აქეთ-იქით. ზოგს ჰგონია კაბინეტში ვზივარ, სინამდვილეში აურაცხელი მზერა თავისკენ მექაჩება. ვგრძნობ დღითი დღე როგორ ვიხლიჩები სავარძლიანად, მაგიდიანად, ტანსაცმლიანად, ვიხლიჩები და ვერაფრით ვერევი ამ გაწელვებს. მკერდი, შუბლი, ისე გამხევია, ისე დაუღია პირი ნაპრალს მთელი ოდიში გაეტევა შიგნით.

იძინებ თითქოს ღამე, მაგრამ სიზმრებიც წყვილ-წყვილ გესტუმრება: მზე როცა დაგნათის, მთვარე გსუსხავს; ღმერთი რომ გმოძღვრავს, ეშმაკი გაქვეშქვეშება. მიაბიჯებ ცალ-ცალკე. ყავარჯნები მაინც მოგცეს, ვაი-ვაგლახით გააღწევდი სამშვიდობოს, მაგრამ სკუპ-სკუპით გიწევს გაყოფილ გზებზე სიარული. არ არსებობს ქვეყანაზე წებო, რომელსაც შენი გახეული სხეულის შეკავშირება შეეძლოს, და არც შენთვის საყვარელი ნემსი და ძაფი, გაკერო მიუნჰაუზენის ცხენივით. ცალი თვალით იცინი და მეორეთი გეტირება.

მგონია რაღაცა გითხარი. გაჭრილი საუბარი რომ არ გამომსვლოდა, თავს ძალა დავატანე. ვფიქრობ რაღაც გამომივიდა და აწი შენზეა, ვალერიანოვიჩ. წახვალ აქედან და დამლოცავ ღვთის მადლმა! ერთიც დავლიოთ ჩვენი მთლიანობისა. უკეთესი საჩუქარი ღმერთს არ უბოძებია ადამიანისთვის, — ხელს წაიღებს კონიაკისკენ ზაქარია, მაგრამ როკიმ დაასწრებს და სასმისებს აუღელვებლად შეავსებს.

კვეკვე ანთარიამ მოტორიანი ნავი ფიცარნაგს მიაყენა, სანახევროდ დამპალს და მოფამფალებულს. თოკით ძელზე მიაბა ორჩხომელი. გაუდაბურებულიყო სატანჯოს კუნძული. ანწლი, ეკალბარდი და ჭინჭარი მოსდებოდა ოდესღაც გაბაღნარებულ ალაგს.

ჩაქცეული ჭის მახლობლად ქალ-ვაჟის საფლავების მოძებნა არ გასჭირვებიათ. გასწორებული ბორცვი ხშირ ბალახს წაელეკა. გადაყირავებულიყო ხის ჯვარი. გამაყრუებლად ყიყინებდნენ ბაყაყები და ზიმზიმებდნენ კალიები. სადღაც მოშორებით განწირულის ხმით მოსთქვამდა უხსენებლის მიერ მოხელთებული ვასაკა.

ილონამ და დადუმ ყვავილების შეგროვება მოინდომეს, მაგრამ ორივე გააფრთხილა ანთარიამ:

— შამბნარს ნუ გაეკარებით, ჩხრიალებითაა სავსე!

ასკილს აყვავებული ღეროები ჩამოაწყვიტეს და გოგო-ბიჭის საფლავს ტკბილ-მწარედ მობიბინე შტოები დაადეს უკანასკნელ ნუგეშად. მერე გულმა ვეღარ მოუთმინა ქალებს, მიუჩოჩდნენ სამარხს და პირწმინდად გაასუფთავეს სარეველებისგან. გაასწორეს წაყირავებული ჯვარი. ამოუმაღლეს მომცრო ბორცვი. კაცებიც წაეშველნენ. მუშაობის პროცესში შიგადაშიგ საუბ-

რობდნენ კიდეც და ცხადია, ყოველი სიტყვა ხან ჟინი ანთარიას უცნაურ აღსასრულს დასტრიალებდა, ხანაც — ხანტურისა და ბონდოს უიღბლო სიყვარულს:

ცამეტწლიანი მოწაფეობის შემდეგ როკი როგორღაც ეღირსება ეღირსა სიმწიფის ატესტატს. შოთა ოდიშელიასთან წვერმოპარსული კინოთეატრისკენ მიეშურება. ხალხის სიმრავლეა. ორშაბათია. რეპერტუარი შეცვლილია, მაგრამ ახალი აფიშები ჯერ არ გამოუკრავთ. ტერენტი ხუბულავას პეტიკო თოდუას ონავარი ბიჭი გამოუჭერია, აწეული ყურით თითისწვერებზე შეუყენებია. ერთ-ერთი გამომჯავრებელთაგანია, რომლის ამფსონები ახლაც აგრძელებენ შეწყობილი ხმით ძახილს:

— ტერე, ტერე, ბიწკის გერე!* — და ამის ფონზე სოლოს ბღავილით ასრულებს ოდიშის იუმორის მეფის უფლისწული. კინოთეატრის წოწოლა დირექტორი კი ხითხითებს და უვნებელ მეორე ყურში ჩასძახის:

— ვინ დგას ახლა ცერებზე?

ტერენტი ხუბულავა უნიკალური პიროვნებაა, პეტიკო თოდუას ცინცხალი ანეგდოტების ცოცხალი პერსონაჟი.

კინოთეატრის დირექტორის რეკლამა ტრაფარეტული შინაარსისაა, მაგრამ შთამბეჭდავზე შთამბეჭდავი:

— როგორი ფილმია? — თუ შეეკითხებიან ზუგდიდელები, ეგრევე ქალაქის პირველ ავტორიტეტს, ალექსანდრე ეგუტიას მოიშველიებს:

— საშამ ორჯერ ნახა! — და რადგან ეგუტია ასე დაუინტერესებია კინოფილმს, ეტყობა მართლაც ჩინებული ყოფილაო, გაივლებენ გულში ოდიშელები და ზედახორა იმართება კინოთეატრის ერთადერთ სალაროსთან.

რაიკომის მდივნის ცოლს დაურეკავს ერთხელ ტერენტისთვის რეპერტუარის ავანჩავანის გასარკვევად. ,,ქორ-ოღლის'' უჩვენებდნენ თურმე. ნაბახუსევი ხუბულავა ვერ გამოთქვამს წესიერად კინოსურათის სახელს და ქალბატონს მთელი ხმით უყიჟინებს ყურმილში:

— საშამ ორჯერ ნახა. დილით — ქორღოლი, შუადღეს — ,,ავარა'' და საღამოთი — ისევ ქორღოლი.

მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, პატარა კომენტარი არ გვაწყენს:

საქმე ის გახლავთ, რომ ქორ-ოღლი კი არის კაცის გვარი, მაგრამ ,,ქორღოლი'' მეგრულში ,,გიქენის'' ნიშნავს სიტყვასიტყვით და ადვილი გასაგებია რანაირ გუნებაზე დადგება ოდიშის პირველი ლედი, როცა აყლაყუდა ტერენტი დილითაც უზამს და ,,ავარას'' ჩვენების შემდეგ, ვახშმისპირზე კვლავაც საუზმის მენიუთი გაუმასპინძლდება? დაიბარებენ ამის თაობაზე საშა ეგუტიას, სადაც ჯერ არს. მოფამფალებულ ტერენტის თავს როგორ გაუყადრებს ზუგდიდის უწინარესი დამა. სადადიანოს გამორჩეულ დენდს ბრალდება მისი ორგზის დაგრილების ხალხში გამოჭენება. კიდევკარგი, კინოთეატრის დირექტორთან კონსულტაციების შემდეგ რაიკომის მდივანს გული საგულეში ჩაუდგება.

ელიან რეპერტუარის გამოცხადებას. უცებ ხალხი აჩოჩქოლდება, რომელიც მალე ყვირილში გადაიზრდება.

— გვიშველეთ, დაგვიხოცეს ბიჭები! — წივიან ქალები.

თავქუდმოგლეჯილი გარბიან კბილებალესილი ჯეელები აურზაურის მიმართულებით. იქითკენ მიისწრაფვიან პრესოვკელებიც, სადგურელებიც, მაცხოვრისკარელებიც, ცენტრისტებიც კაკა ქვანიასა და გვანჯი ჩიქვანის ფარასჩამორჩენილი ძუნძულით.

მივლენ, მაგრამ სად? თხუთმეტამდე საჯვაროს ბირჟის წარმომადგენელი ალუმინის მავთულივითაა დაგრეხილი და ტრიფოლიატას მიჯრით მიწყობილ ძირებში შეკვეხებული. არის ბღავილი, ყვირილი, ყმუილი, გინება.

ჟინი ანთარი გულხელდაკრეფილი დგას მორიგი თავდასხმის მოლოდინში. ლომის ფაფარივით ეწეწება ჭაღარა თმა-წვერი. ოქროსკულულებიან ყმაწვილს მკლავზე გადაუკიდებია მამის ფრაკი, მარჯვენათი დაჭყლეტილი ცილინდრი უჭირავს.

როკი დარცხვენილი უახლოვდება მასწავლებელს. ქალაქელი ბიჭების უხამს საქციელს აუყირმაზებია. ტრიფოლიატაში გაჩხერილებს აბუჩად აუგდიათ თურმე მოხუცი და ყრმა. ფრაკის ბოლოებში წატანებიან, თითქოს სახურიას ეტლს შებმული ცხენები ყოფილიყნენ. ცილინდრი წაერთმიათ და რომელიღაცას ღამის ქოთნის მაგივრობა შეუსრულებინებია სიმბოლურად; სხვას სახეზე ხელი ჩამოსვამს ბონდოსთვის და აქ, რაც მშობელმა ითმინა, შვილმა — ნურას უკაცრავად და ცხვირით ასფალტი უხვნევინებია ორი აყლაყუდასთვის. მერე დასხმიან თავს კოლექტიურად და მემკვიდრის უსაფრთხოებისთვის გაჯიქებული მამა, ბეტონზე დავარდნით თავები რომ არ დახეთქოდათ, ტრიფოლიატის რბილობისკენ მოისროდა თურმე სათითაოდ.

განთესილ ბონდოს ეს-ეს არის ოთხწლედის გამოცდები ჩაუბარებია პირველ საშუალო სკოლაში კომისიისთვის, შოთა ხუბულავას თავმჯდომარეობით. ბიჭის ცოდნით აღფრთოვანებულ მასწავლებლებს აპლოდისმენტებით გამოუცილებიათ სატანჯოელები. გახარებულნი მოუყვებოდნენ ტროტუარს და ბედზეც საქმის გასარჩევად აყრილი საჯვაროს ხალხი არ შემოეყარათ?

— დავაჟკაცებულხარ, — ეუბნება როკის აუმღვრევლად ჟინი ანთარი, — როგორ გაქვს საქმე, სანამდე მიხვედი? — დაამატებს, რაც კაცის სიმაღლიდან დაშვებულ ფოთოლს ხელს რამდენჯერ გაუტარებ დავარდნამდეო, ნიშნავს.

— ხუთამდე, — ეტყვის შეგირდი თავაწეულად.

— ოოო, სწრაფად წასულხარ წინ, — ბეჭზე უტყაპუნებს ხელს. მერე ჭადრის ჩამოწეული ტოტიდან ფოთოლს ჩამოწყვეტს, აღმართავს როკის თავს ზემოთ, გამოუშვებს და ოდიშელიაც ოთხჯერ ასწრებს მის ქვეშ ხელის გატარებას. მიწაზე დავარდნამდე ყუნწზე წვდება და წარბების თამაშით თითებში ატრიალებს.

— მოქნეული ხელის ჰაერმა არ უნდა უბიძგოს ფოთოლს. მეტი სისწრაფე და

უკეთესად გამოგივა! — ჟინი ანთარი ღიმილით იცვამს ფრაკს, იხურავს ცილინდრს, — ამ ახალგაზრდებს რატომ არ ასწავლე აღმოსავლური ორთაბრძოლების უმთავრესი პრინციპი? — საყვედურობს წამოჭარხლებულ ჭაბუკს, — ღონე, ძალა, მოხერხება, განა სხვის დასაჩაგრავად უბოძებია ჩვენთვის განგებას?!

ამასობაში კაკა ქვანია და გვანჯი ჩიქვანიც მოვლენ. გადაკოცნიან ერთმანეთს. ხელკავს გამოსდებს მას მეცხრამეტე საუკუნის არისტოკრატის განსახიერება ჟინი ანთარი და ყველას, დაზარალებულს თუ ცნობისმოყვარეს ჩომახიების სასადილოსკენ ეპატიჟება.

— ღმერთმა აცხონოთ, — თქვა ოდიშელიამ და დაცალა ჭიქა. ანთარიამ, ქალებმა უხმოდ დალიეს გოგო-ბიჭის ხსოვნისა. საუბარი კარგა ხანს გასტანს. სამლიტრიანი ქილა ბოლომდე ამოწრუპეს კაცებმა. კახათელების ფარეხისაკენ რომ მიბრუნდნენ, მზე დასალიერისკენ ჩაქანებულიყო. აქოჩრილ ტალღებს სისხლისფრად აფერადებდა მანათობელი. ტყის ორკესტრი ზურგს უკან დარჩა. შორს, ჭერიის წყლების ზღვისგან გამყოფ ნაპირთან, ახასხასებული, გადახრილი მუხისკენ დაუმიზნა კვეკვე ანთარიამ. საფლავების მონახულების შემდეგ დაძმარებულ გუნებას მზის ჩასვენების დიდებული სურათით გაიქარვებდნენ. შესაძლოა ებანავათ კიდეც, მაგრამ მოტორიანი ნავი რატომღაც გაჯორდა.

ძრავას აღმუვლებს მესაჭე, სანამ თავისით არ გამოირთვება. თურმე ბრაკონიერებს ჭურიაზე სიგრძივ ბადე გაუშლიათ და სწორედ მასზე არ გახლართულან?! ამოათრიეს ნავში „ვიხრ-65“, აბრეშუმის ძაფები რის ვაივაგლახით შემოაჭრეს პროპელერს, მაგრამ ძრავა არაფრით იქოქებოდა და ანთარიამაც შუბლზე იტკიცა ხელი.

ბედზე ნავში ალიუმინის ხოფიანი ერთი ნიჩაბი გდებულიყო. დაიწყეს კაცებმა რიგ-რიგობით მოსმა. წაჩოჩიალდებიან ათიოდე მეტრს, ნავის ცხვირი ისლიანებისკენ გაექცევათ. ახლა ხელმარჯვნივ შეაბრუნებენ და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევიან წინ. ამასობაში მზეს სრულებით ჩაყლაპავს ახმაურებული ზღვა, მაგრამ ჯერ არხის შესასვლელამდე ვერ მიღწეულან.

სტუმრების დაგვიანებით შეშინებოდათ კახათელ მწყემსებს და ნიჩბის ნავებით გამოშურებულიყვნენ მათ შესახვედრად. ალბათ, ძრავა გაუფუჭდათო, ასკვნიდნენ და სიმწრით აქნევდნენ თავს. არ უმტყუნათ ვარაუდმა. ფარნებს სწევდნენ მაღლა, „კვეკვე, კვეკვეს“ ძახილით. ნახეს ცოცხლები და დამშვიდნენ. გადაინაწილეს ნავებში არაქათგამოცლილები. ძრავაგაჭიხნული გამოიბეს თოკით და ცხვირჩამოშვებულნი მიუბრუნდნენ ნავთსაყუდელს.

— არა უშავს, ხვალვე წავიღებთ ზუგდიდში და შევაკეთებთ, ჯოტო ვერაფერს გაიგებსო, — ამშვიდებდნენ ანთარიას კახათელი მწყემსები, მაგრამ საპატიო სტუმარ მწერალს დანა პირს არ უხსნიდა. სუფრაც გაეშალათ ოდაში, თუმცა საქეიფო განწყობილება გაქრობოდათ. ზეზეურად დალოცა როკიმ მასპინძლები. მადლობა მოუხადა ესოდენი ყურადღებისათვის, მერე გვიანიაო მოიბოდიშა და დარახტული მერნებით უტიეს შაშმანის ფარეხისკენ.

თირქია და სოსელიას ბიჭი კახათელებზე მეტად დამაშვრალიყნენ. პურმარილი ჩინებული გაეწყოთ, ოღონდ სტუმრების მობრძანებამდე პირი არაფრისთვის დაეკარებინათ. გამოჩდნენ და გაიხარეს უცებ.

საძინებელი ოთახი გაელამაზებინა მზრუნველობას. ფანჯრებზე ფარდები ჩამოეკიდათ. იატაკი გამოერეცხათ. ზამბარებიანი რკინის საწოლები დაეცალკავებინათ. გაენიავებინათ თამბაქოს კვამლისგან დახუთული ბინა. მაგიდებისთვის ადგილი შეეცვალათ. წაგრძელებული მიწატკეპნილისკენ გადმოეტანათ, მომცრო საძინებელში, რომელზეც გეორგინებით დამშვენებული ყურჩამომტვრეული დოქი იდგა. მთელი ჭურიის ავლადიდება სუფრაზე დაეხვავებინათ. ოცლიტრიან ბოცაში „რქაწითელი" კამკამებდა ტახტაზე, სამლიტრიანში — ჯოჯუების მსხლის არაყი. მოშუშული ღომი და მოხარშული ციკნის ხორცი ხელახლა შედგეს თუჯის ღუმელზე. ხელწყალი ანებებინებს სტუმრებს და მიუსხდნენ ვახშმისკენ გადაზრდილ სადილს.

სუფრა ნელ-ნელა მხიარულობდა. ამჩნევდა როკი როგორი მონური სიყვარულით უმზერდა შაშმან თირქია სოსელიას ბიჭს. არც მალავდა ამ მამაშვილურ განცდას ცხოვრებადამსხვრეული კაცი. რამდენადაც იგი ამტკიცებდა, ამ ზამთარსაც რამენაირად გადაიტანდნენ, გაისად ჩააბარებდა სასაკლაოში ას სულს გადაცილებულ ნახირს. შვილი მას არ ჰყავდა და ძირი მშობლები რა ხანია სამარემ შეიმყუდროვა. ზუგდიდში იყიდდა სადმე სამოსახლოს და ნამდვილ მემკვიდრესავით უმეგზურებდა ლადოს. სწავლისკენ თუ წაუწედა გული, არც ამას შეუშინდებოდა.

ნამუსიანმა ღვინომ თავისი ქნა და სტუმარ-მასპინძელს სიმღერის საღერღელი აუშალა, მაგრამ ვერ აეწყო კვარტეტი.

ილონამ დაღლილობა მოიმიზეზა და მოსვენებს ნებართვა ითხოვა. ერთი ლამპა გაატანეს ფერიას, თავად კი ლამის შუაღამემდე შეჰყენენ ქეიფს. ბევრი რამ გაიხსენეს ზუგდიდის კაპეზეს, ლაითურის ზოლნის რეალობებიდან.

სასჯელმოხდილ შაშმანს მოკლული მეგობრის ოჯახის მონახულება ჩაეგდო გულში, მაგრამ დედა-შვილი ვერც ჭაქვინჯში ეპოვა და ვეღარც — ყულიშკარსა თუ ზუგდიდში. თბილისში გადასულიყვნენ ბიჭუნას სასკოლო ასაკის პერიოდში. ეძებე ახლა ზვინში ნემსი.

შაშმანი ცრემლიანი თვალებით აცოცხლებდა ლუდხანასთან გამართულ შეტაკებას:

— რამ შემახვედრა ის უბედური შვილი? — მაჯით იწმენდდა თვალებს, — ჭუჭყიანი დედაკაცის გულისთვის სასიკვდილოდ როგორ გავიმეტებდი ძმაკაცს, აუტანელი სიტყვა რომ არ ეკადრებინა?! საიდან მოიტანა ჩემი ჩუთუობა, საიდან შემატყო, ან რაში დასჭირდა, ცოლს ვართმევდი თუ რა?! მარტოდმარტო ვყოფილიყავით, კიდევ ჰო, გადავყლაპავი მათი ოჯახის ბედნიერების ხათრით, მაგრამ მილეთ ხალხში რომ იღრიალა და გადაყენებული ბავშვით მობრუნებულ ქვარაიხეს ოცდ ექცა, ბრაზი ვეღარ დავიოკე. ღირსებისთვის ვცხოვრობთ ყველა, სინდის-ნამუსისთვის გვაცვია ტანზე. რა, ვითომ მაგაზე ნაკლებად მიყვარ-

და ესმა ქვარაია? — უკბილომ ეს სახელი „ეშმად“ წარმოთქვა, — რომ ვჯაბნიდი სწორედ იმიტომ, სიბრალულის გამო დაუახლოვდა ბურდღუს. თვითონ ხომ გაუბედურდა, მაგრამ მე მთლად დამაქცია და იარე აწი ნახევარმა კაცმა სადაც გენებოს, — ამბობდა გულაჩვილებული შაშმანი.

ლოგინში ჩაწოლა და ხვრინვის ამოშვება ერთი იყო როკისთვის. ილონას არ ეძინა. ლამპის მკრფთალ შუქზე უთვალთვალებდა სიყრმის მეგობარს. ოდიშელია შფოთავდა, ბორგავდა. ამოუცნობ ფრაზებს წამოისროდა. ქალმა ვეღარ გაუძლო მის წვალებას, პირსახოცი წყლით დაასველა, თავი დაუდაბლა, შუბლზე დაადო ცივი ტილო. ოდნავ დაამშვიდა ნაღვინევი კაცი. სიზმარი კი მართლაც უსაზარლესი ესტუმრა ძაკას შვილიშვილს:

ხედავს, ჩამოგლეჯილ ჭიშკარში შედის. დანამდვილებით იცის ერგეტაშია, პაპისეულ ოჯახს მიესწრაფვის, მაგრამ ეზოს ადგილმდებარეობა შეცვლილა. ოდა ბოკონების მაგივრად წრიულად დაგრაგნილ ურჩხულის სხეულზე შემდგარა. უფრო სწორად, როცა ქვეშ შემძვრალა, გველეშაპის სიმაღლეს საყრდენები ლაფარზე გადმოუყრია. ქერცლიანი კანი ჯავშანივით უელვარებს ჩრდილოეთიდან ამოცურებული მზის შუქზე. ურჩხულის სუნთქვას დამორჩილებია ოდა-სახლი და ისიც ნავივით ირწევა. გადაყირავებულია ხეები, თითქოს მრისხანე გრიგალს გადაუვლიაო მათ ეზოში. ოდის მოღიავებულ კარში შესვლა სწადია როკის, მაგრამ კიბის მაგივრად ურჩხულის ხუთბრჭყალიანი ფეხია გადმოშვერილი და არ გინდა საშინელებას დააბიჯო?! ეს წუთია და ოდა ძალუმად ატორტმანდება. ურჩხული ჯერ სახლის აღმოსავლეთი კუთხიდან გამოჰყოფს მუშტისსისხო ჩაწითლებულ თვალებს. ორთქმავალივით სამი აქვს ერთდროულად, ორ — ნიჩაბივით ცხვირის გარდიგარდმო და ერთიც — შუბლთან. კბილები ჩელტის გაპრიალებულ კბილანებს მიუგავს. დაისისინებს, მეტრონახევარზე გაალავლავებს ალისფერ ენას. ახლა დასავლეთ კუთხიდან, ზედ იატაკიდან გამოაცურებს ორთავიან საზიზღრობას ურჩხული. კარგად თუ დააკვირდები სტეპანცევის და დიხამინჯიას დეფორმირებული სიფათებია, ჰორიზონტალურად გაწელილი შუბლით და თვალებით ხერხდება მათი ამოცნობა. ყბები კი მომძლავრებია, ცხვირებიც გაუტაცნია ამ მეტამორფოზას.

— ჰოოოო, ჰოოოო, — იძახის ერთი თავი.

— პაპაპაპა, — ბანს აძლევს მეორე. ახალმოსულისკენ გაურბით მზერა, იმის შიშით ვაითუ წელზე მახვილი ჰკიდია და თავები უცებ არ წაგვსხიპოსო, მაგრამ ოდიშელიას ჯაყვაც რომ ჯაყვაა, ისიც არ მოეძევება ჯიბეში. მთლად ცარიელ-ტარიელია. ჯოტოს საღარა რატომღაც გათეთრებულა და მონგრეულ ჭიშკართან ტორს სცემს მიწას. ჭიხვინებს, აშკარად გრძნობს პატრონის განსაცდელს, მაგრამ საბელითაა ბოძზე მიბმული და ვერ აუწყვეტია რამე რომ უშველოს მხედარს. ამასობაში სახურავიდან ჩამოეშვება იატაკიდან ამოცურებული ორი თავის საპირისპიროდ ქერეჭიანი ცხრა კინკრიხო. მხრებს სათითაო კისრით უერთდება ისინი. სხვადასხვა სიმაღლისაა თითოეული, თან ვერ დააზუსტებ მათ უფროს-უმცროსობას, ვინაიდან გამუდმებულად ხვანცალე-

ბენ; დასაჩინჩლავი იხვებივით ყუნცავენ ხშირხშირად. ერთის თვალები იისფერს რომ ასხივებს, მეორე — შავ ნაკადს გამოსცემს, მესამე — სისხლივით წითელ ზოლს, მეოთხე — მწვანეს, მეხუთე — წითელს და ყვითელს ერთდროულად, თან ეს გამოშუქებანი მიმოხტუნავენ, მიმოიცვლებიან თვალთა ბუდეებში, წზზზ-წზზზ, ასეთი ბგერების თანხლებით; მეექვსე გამოშიგნულია, ფიტულის მსგავსად, გამოხურული; ჭიაღუები დაცოცავენ იქ, მორიელები ღვანცალებენ; მეშვიდე მთლად საძაგლობაა, რადგანაც უამრავი პაწაწკინტელა თავის თაიგულია. ყურადღებით რომ დააკვირდები, მათში უთუოდ შეიცნობ როკის ცხოვრებაში დაპირისპირებულ თუ აწ შესაჯახებელ მეტოქეებს. წვრილი ენები ათას ბაწრად გამოუსვრიათ, გვარლივით შეუკონავთ და გაერთიანებული ძალით სუროსავით შემოხვევიან ოდის სვეტს. მერვე ბუხრის ალიბჭედან ამოხეთქავს უეცრად, როგორც ალადინის ზღაპარშია ისე, საცობმოძრობილ ბოთლს რომ გაუხახუნებენ და ჯინი ამოეშვება, უფრო სწორად რაღაც გაურკვეველი მასა მიიწევა და მიიწევა ცისკენ; დაახლოებით იმგვარად, მაგრამ ამ უგამჭვირვალეს და უთვალსაჩინოეს სვეტში აშკარად შეინიშნება დედაკაცების თუ გრებენების სიმრავლე. უმეტეს მათგანს სარეცელი გაუზიარებია როკისთან, სხვებთან ჟინი ჰკლავდა, თუმცა საწადელი ვერ აუსრულებია მიზეზთა გამო. კიდევ მრავალი, აქეთ რომ ეკურკურებოდნენ. ოღონდაც ამაზრზენია მათი სიფათები. ამ დახშულ სვეტში, თითქოს უწონადობაში შეუგდიათო, ბუმბულივით დაფრინავენ აღმა-დაღმა, ტიტლიკანები, სხვადასხვა პოზით. საუნჯეები გარეთ გადმოუყრიათ და გულმხურვალედ ეპატიჟებიან სანატრელ სტუმარს. სხვები გავას ათიმთიმებენ, თეძოებს ახტუნავებენ ინდური და არაბული კინოფილმების მოცეკვავე ქალებივით. მთლად ზემორე — ნიკაპთან წაჭრილია კისერი. ძარღვები შლანგებივით მოჩანს ბელტებად შედედებული სისხლით. გრძნობს როკი რომ თავი სადღაც აქ არის, რადგან ხელები გამალებით ეძებენ სიბნელეში უმთავრეს აღკაზმულობას. მერე მოფარებულიდან გამოჩნდება დურუ ჰალიძონიას ენაგადმოგდებული სიფათი. უცებ გაგლეჯილი კატა აკნავლდება. მაგნიტივით იზიდავენ ერთმანეთს თავი და ტანი. ხელები უძალიანდება ამ სწრაფვას და არის ასე, დაჭინთულ მდგომარეობაში. მეცხრე თავი კი არ ჩანს, მისი გამოტყვრომის მოლოდინი განსაკუთრებით ზარავს როკის, რადგანაც ყველა ჯადოქრობა გამოვლენილია უკვე. ის ერთადერთი კი კვლავაც ინიღბება, გამომზეურება არ სწადია, მომენტს უცდის, ხელსაყრელ დროს ელოდება. არავინ უწყის საიდან ამოისვეტება. შეიძლება მიწიდანაც კი ამოხეთქოს, სადაც ფეხი დაუბიჯებია ოდიშელიას. ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, ამიტომაც მიხედავს აჭიხვინებულ, თეთრონად გადაქცეულ ჯოტოს რაშს. ლამის მოცოცხოს როკიმ, ლამის დაუტოვოს ურჩხულს ძაკა ბაბუას ნაჯაფარი წაბლის ხის კოპწია ოდა, მისი სახსენებელი, ქონგურები თუ ჩარუხებული აივანი, ბოკონიან-ბუხრიანად, კარფანჯრებიანად.

ლამის არის გაეცალოს აქაურობას, მაგრამ ატყობს, გაქცევაც მის ნებაზე არ ჰკიდია, რაღაც ძაფებით გამობმულა ამ უშემზარავეს გამოცხადებას —

მეცხრე კინკრიხოს გამოვლინების მოლოდინს. თავს ზემოთ ძალა არ არის. ურჩხულის ენების ლავლავში ოდა-სახლი ცეცხლწაკიდებულს დამსგავსებია, ოღონდ მხურვალება აკლია და კიდევ — დაგრეხილი შავ-შავი კვამლი.

ახლა მეცხრე კეფას გამობრწყინება მოთხოვნილებად გაექცევა. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაირკვეს სად ჩასფრებია უკანასკნელი მტერი?! თავს დახრის დაბლა, თითქოს ურჩხულის უკანასკნელი მძვინვარება იატაქვეშ ემალებოდეს.

ამასობაში თვალნათლივ ხედავს, რომ საძინებელი ოთახიდან საღამურისამარა ილონა გამოდის, მკერდზე ლადი ჭანიას ყაბალახი მიუხუტებია. ასული ვერ ამჩნევს მის გარშემო დაგრაგნილ ურჩხულს, მაგრამ როკის შეხედვისთანავე მიაწივლებს ერთს და კვლავ ოთახში შევარდება. უკვირს ოდიშელიას ისეთი რა მოიხილა ილონამ გული გადაქანებოდა, მან ხომ გველეშაპის არსებობისა არა უწყის რა. მაშ, სად არის ბოშა გოგონას დაფეთების ობიექტი? თმა ყალყზე უდგება, ვინაიდან ყურისძირას იქედნეს სისინი ესმის:

— როქი, როქი.

მიიხედავს მარჯვნივ და თვალებს ჰკიდებს მიწიდან ამოზრდილი უნასის ორკაპა ენის ლივლივს, თუმცა მყისვე მარცხნივ მოექცევა იგი, მიტრიალდება იქითკენ და ზურგს უკან ამოუცურდება.

დაბზრიალდება როკი, უხსენებელი კი თავს მიწაში ჩარგავს, მაჩვივით ამობურცავს მინდორს მთელს თვალსაწიერზე, ჭიშკარს იქით ამოხეთქავს ბოძზე მიბმულ თეთრონთან, შთანთქავს უმალ აჭიხვინებულ რაშს, ისე რომ, პალოს საბელის ნაწყვეტიღა შერჩება. ხვდება, ხვდება ოდიშელია, ყველა ძალა და ჯადოქრობა ამ მეცხრე თავში მომწყდეულა. დაყოვნების დრო არ არის, უნდა წვდეს სადმე, მთელი სხეულიც რომ დაუგესლოს. დარწმუნებულია, თუკი იოტისოდენადაც მოიხელთა მისი ქერეჭიანი ტანი, ვერსად გაექცევა, ვერსად წაუვა მერე, ადგილზევე მოაშთობს. არადა, დაღუპულია ილონა, დაღუპულია ძაგა ოდიშელიას ოდა-სახლიც გადახასხასებულ ეზოიანად, მის მიღმა გასხლტომილი შუკებიც აბოლებულ ბუხრებთან ერთად, და კიდევ უფრო შორს — გაკლაკნილი, ასფალტდაკერებული თუ დამსხვრეული გზებიც.

უნასი მისრიალებს მიწის ქვეშ, მძლავრი ფესვებივით ბურცავს და ბზარავს, ზეამოყრის ქვა-ქვიშას. უკვე ვერტიკალურ ზუგდიდს უწვდენს შავჩოხიანი. არც ამას ჯერდება, წამში შემოერკალება გურია-აჭარას, გასრიალდება იმერეთით, გორაკებს ააყირავა, ქართლს შუაგულში გაუძვრება, კახეთისკენ გაცურდება, აქა-იქ ამოჰყოფს თავს როკის გასაღიზიანებლად. გადაჯიჯგნის ალაზნის ველს, ფვარლის მთებს რგოლებად შემოევლება, თითქოს ლაოკოონს და მის მემკვიდრეთ შემოხვეული ჰიდრაა, მობოჭავს მთიანეთს, მუცოს, ჟინვალს, ანატორებს, დედათბილისს სამმაგად შემოენასკვება, სამაჩაბლოსკენ გაჯირითდება, სვანეთს შეუცურდება იღლიაში, კოშკებს ყელზე შემოეჭდობა, გაწივლდება აფხაზეთისკენ, მობოჭავს მიწას და ავადჰარას, სამწუთში კვლავ როკის ზურგს უკან ამო-

ყეყლავდება. ფაკირების სალამურზე რომ უყვართ ცეკვა, იმგვარად ანანავდება, თან სისინებს ყურთასმენის სამართლებლით გადამბასვრელად.

— ვასლი, ვასლი.

დარწმუნებულია როკი, რომ საქართველოს ფირუზ ცასა და ზურმუხტ ხმელეთს არ იკმარებს სულწაწყმედილი. მეორე გზობაზე, მეორე წრებრუნვისას მთელს კავკასიას გადაძოვს ვაინახებიანად, იჩქერიასაც, ყაბარდობალყარეთსაც, ქართლოსიანთა უმრწემეს საძმოს, ჩრილოეთის ყინულეთის ფენილებსაც გამოუყვანს წირვას, აღარც ამით დაკმაყოფილდება მისი უძღები ბუნება; მესამე ფერხულზე უფრორე შერეული ტრაექტორით, ოღონდ ნაკლები სისწრაფით მოზუზუნე ჰამანდის მსგავსად, უმძლავრეს რგოლებში მოიქცევს სრულიად დედამიწას; დახლართავს, დაამარწუხებს გრძნეული ჯადოთილისმით. წეღან ჭიშკართან მოჭიხვინე თეთრონსავით გადაუძახებს ამაზრზენ ხახაში და რადგანაც მოცდის დრო განქარებულა, ებრდღვნება ხელებითა და ფეხებით მის ზურგს უკან მესამედ აღმომსკდარს. უსაზიზღრესია შეგრძნება იმისა, რომ მახრჩობელა უნდა გაკვნიტოს, მაგრამ მოვალეობის განცდა მოჭარბებით აღმოაჩნდება ოდიშელიას, ხერხემალს გადაუღრღნის, ცისკრის არენაზე ათამაშებული ლენტივით, ღვანკალებს, იტალღება მისი დაუსაბამო სხეული მონგრეული ჭიშკრიდან მოყოლებული, დადიანების ფრთებშეკრეჭილი სამკვიდრობლის გასწვრივ. წითელსახურავებიანი თილისის არე-კიდეში, თვით დედამიწის გრძედებს და განედებს შემოსალტული აფასფრად და უფრო მეტადაც, ირღვევა, ი ზლბა მთელს ცასა და ხმელეთზე იქიდნეს რგოლები; იხსნება ნასკვები ტალღათა უკუქცევასავით, სიმჭახეს ჰკარგავენ კვანძები ნება-ნება. დაშორიშორებულია თავი ტანს. ბუხარში ჩაძვრება მერვე განშტოება, ჩასრიალდება, იწივლებს აივნიდან ცხრა ხმაზე ცხრა თავიანთი სახსარი, სათითაოდ ეგრიხება კისრები თითოეულს. იატაკიდან ამოზეითებული ორთავაც გასაქცევს ეძებს, კედლებს ეხლება, იჩუტება, იკუმშება, იკეცება აბრეშუმის ნაჭერივით. სულს ღაფავს ყოველი ნაკვთი და კიდური. ურჩხულის უმთავრეს სასისხარ ადგილს მიაგნებს როკი. ვერანაირი ძალა გაამთელებს აწი მის სისასტიკეს, რადგანაც დაუცალცალკავებია ერთხელ და სამუდამოდ, გამოცლია ჰაერი რეზინის სათამაშოსავით დაბერილს. არც სარტყლით შეკვრა დასჭირვებია, და აღარც პირჯვარის გარდასახვით მონუსხვა ისე, საკუთარი ძალებით გაუცამტვერებია ოდიშელიას დრაკონი. მართალია, თეთრონად გარდასახული ჯოტო ბიძიას შავი რაში კი შეწირვია ამ ორთაბრძოლას, მაგრამ სიკეთე უმსხვერპლოდ სადმე თქმულა?!*

ლიმა მერვე

ვეზირი
615384

ჩვიდმეტი წლის იყო აიეტის ასული მედეა, როცა კუპიდონის ისრით დაჭრილმა კოლხეთის ძლევამოსილების სიმბოლო — ოქროს საწმისი ბებერი მუხის კენწეროდან ჩამოახსნევინა არგონავტ იაზონს. ამის თაობაზე გამოწვლილვით უწერიათ როდოსელებს თუ ევრიპიდეებს. ჩვენ, ჩვენი გმირი ვძერწოთ.

ჩვიდმეტი წლის იყო ოდიშელი ნონა გაფრინდაშვილი, როდესაც მსოფლიოს ოქროს საგანძურს თვალი დაადგა და ცბიერებით მიტაცებულ საწმისის მზისფერ სხეულს გვარიანად შეუმსუბუქა მითიური ელვარება.

ქართველი ქალის ფენომენზე უცილობლად დაიწერება ოდესმე საკადრისი წიგნი, ჯერ კი თამარ მეფეზე, ქეთევან დედოფალზე, მაყაშვილების ქედუხრელ ქალიშვილზე (პატრიოტ ასულს ვაჟკაცების მხარდამხარ კედელთან რომ მიაყენებს ორჯონიკიძეების გამოხმობილი მეთერთმეტე არმია ქაშუეთის არე-მიდამოში), აქა-იქ დამღერებულ ბალადებს ვჯერდებით, მაგრამ ქართველი დედის ბუნება სამგზის სერიოზული კვლევის ღირსია და ადრე თუ გვიან იგი უთუოდ იპოვის თავის მეხოტბეს. ჩვენ კი, ხელმოცარულთ, ვინ გვიბოძა უნარი უსუსური მხრებით ავწიოთ გრანდიოზული ტვირთი ესე, თუმცა ფაქტების კონსტატაციას თუ ვკმარობთ, მხოლოდ და მხოლოდ იმ მოსაზრებით — გენიოსი შთამომავალი ჩემი, გულისყურს და მეცადინეობას არ მოაკლებს ამ უნიკალურ თემას-მეთქი და სადიდებლად ესეც გვეყოფა.

მეოცე საუკუნემ სცადა ქალის გამოთავისუფლება მამაკაცის ეგოისტური უღლისგან. შუმერულიდან გადმოღებულმა ბიბლიამ ადამის ნეკნისგან გამოაქანდაკა იგი, გველთან შეაკვრევინა კავშირი, აკრძალული ხილი აგემა, რათა ერთხელ და სამუდამოდ სამოთხის ბაღიდან გამოძევებულიყვნენ; რათა მომავალში დედაკაცს ქუსლით გაეჩეჩქვა თავი უნასისთვის, შვილები სიმწრით ეშობა, მამრს ემძლავრა მასზე (გამოდის, რომ საკუთარ ძვალს ვამხობთ), მაგრამ კოლხეთ-იბერია ყურსაც არ იბერტყავდა მდედრის სემიტური დაკნინების გამო, რადგან საპირისპიროდ ქალი ღვთაებრივ საწყისს დაუწყვილა იმთავითვე და ვინაიდან ეგრეთწოდებული სუსტი სქესის წარმომადგენელი გეორგიანელებში მამაკაცის თანაბრად ეწეოდა წუთისოფლის ჭაპანს დასაბამიდანვე, ვულკანივით ამოხეთქა ორიათასის მიწურულს მისმა გენიამ — გაფრინდა შვილი და ხუთგზის ააწაპნა ყვითელი მონეტა წუწურაქ მსოფ-

ლიოს; თუმცა ჩვენთვის ქართველი ქალის სიდიადე ამჯერად სულ სხვა კუთხითაა საინტერესო: იგი ლაკმუსივით გამოავლენს ხოლმე ჭეშმარიტ მამაკაცს, გმირს.

„თუთარჩელას“ მესამე სართულიდან ოდიშელიას ნახტომმა ლამის გადაფარა გიჟუას ოცდაოთხ მეტრზე რეკორდული გადაფრენა ქუთაისის ციხის სახურავიდან. იმ წუთიდან მოყოლებული მოსვენება დაჰკარგეს ტელეფონებმა. ქალწულები თუ ბანოვანები დილიდან საღამომდე და შებინდებიდან ალიონამდე დაუსრულებლად მუსაიფობდნენ როკის საარაკო მამაკაცურ უნარებზე, რეალურ თუ არარსებულ ღირსებებზე. ილონას მოტაცების ამბავმა ხომ მთლად ცეცხლზე ნავთი დაასხა. გაიხსენეს რუხის ციხესთან მათი უსულგულო დაშორიშორების საცოდაობა; მოიგონეს ოდიშელიების ზღაპრული ქორწილი და მზეთუნახავი ბოშა ქალი ომახიანი გიტარების გარემოცვაში; ააფერადოვნეს წისქვილარას უშველებელ ლოდზე ჩანჩქერის კოჭებთან როკისთვის ამას წინათ აცეკვებული ჯადოქარი.

— ბავშვობიდან ჰყვარებიათ ერთმანეთი, — ამბობდა ზოგი.

უფრო ხანდაზმულებმა ბაზრის სცენა ამოქექეს მეხსიერების დროგამძლე სკივრიდან.

— სიყვარულმა არ იცის მეგრელი და ბოშა, — გულს იფხანდნენ შინაბერანი, — სიყვარული მარადიულიაო, — ამ სიტყვებით იბასრავდნენ გადაკუხებულ ბუნებას. თავისიანისთვის არ ეთმობოდათ იგი. ამიტომაც მიუბოძებდნენ უცხოს.

ბევრს ებრალებოდა კიდეც თურმანიძეების მწყაზარი ასული, რომელიც რესტორანის მესამე სართულიდან როკის ავაზისებური ნახტომის მეოთხე დღეს ავადმყოფ დედასთან გადაბარგდა პატარა ნიკათურთ.

— გარიგებით შერთული ცოლი ვერასდროს დაეტოლება ყმაწვილობისდროინდელ შეყვარებულს, გნებავთ ანგელოზი იყოსო, — ამტკიცებდნენ სხვები.

ქალები უნიათო ქმრებს წკირზე წამოაგებდნენ.

— ცოტათი მაინც ხომ უნდა გაგაჩნდეს როკის სითამამე? — გაჯორავდნენ და ლუკმას ყელში გაუჩხერდნენ.

დედები შვილებს ოდიშელიას გემოვნებით მოსავდნენ.

— გასწორდი წელში, როკივით ლაღად გაივლი ოდესმე? — აგულიანებდნენ ამგვარად.

კავშირგაბმულობის გოგონები ოფლში იწურებოდნენ; თბილისთან, ლენინგრადთან, მოსკოვთან თუ ვლადივოსტოკთან გამართულ საუბრებში ყველა აბონენტი ოდიშელიას ერთხელ მაინც უსათუოდ ახსენებდა. აქამდე ხუთწუთიანი შეკვეთები გაორმაგდა. დიხამინჯიას ტექნიკურ მდივანს ხომ ისედაც გაუწყალა გული ტელეფონების გაუთავებელმა წკრიალმა.

— როდის წაეთრევა ეგ გომბეშო, — გაუბამდნენ მუსაიფს ოდიშელი მანდილოსნები.

— დაადგა ყელზე ცოტნეს ჩაყუნცული ძეგლი ნაძირალას?! — ენამწარობდა მავანი.

— ბანდიტად უნდა გადააქციოს სანთელივით ბიჭი, რას გვიკეთებს ზუგდიდლებს ეგ წისქვილის ვირთხა, — წიწმატობდნენ სხვები, — სარკეში ჩაიხედოს და მერე დაეტოლოს ოდიშელიას. სავარძლის გულისთვის მთელ ქალაქს თვალის დაუხამხამებლად ააფეთქებს დედაბუდიანად.

— კაბინეტში რომ ჩაკეტილა მაჩვივით, გამოვიდეს ხალხში, ნახოს რითი ვსუნთქავთ, რითი ვსულდგმულობთ, მაგრამ ოდიშელიას ვაქკაცობა ვინ მიაშავა მაგ უბედურს, — დაცეცხლავდნენ ზოგნი და ძარღვებაშლილმა შინაბერამაც ოდიშელი ქალების შემოტევას ველარ გაუძლო. სიცოცხლეში პირველად ისარგებლა უფასო შვებულებით და დიხამინჯიას აყმუვლებული ტელეფონები შეატოვა მთელი თვით.

ქალაქკომის მდივანი ხედავდა, რომ ვერ იყო მისი საქმე დაწყობილად. თუკი ოდიშელია ხელიდან დაუსხლტებოდა და გამოგონილ ბრალდებას ვერ მიაკერებდა, მისი კარიერის მზე სამუდამოდ ჩაესვენებოდა. ქალაქის ტელეფონები გამორთო, სამსახურეობრივს დასჯერდა, მაგრამ ზუგდიდელმა ქალებმა აქაც მიაგნეს, ვინ ქმრის თანამდებობით სარგებლობდა, ვინ — ძმის მდგომარეობით და შეუტიეს დიხამინჯიას ჩვეული სიფიცხით. ბევრი ვინაობასაც არ უმალავდა.

— დროზე გაასწარი, თორემ ნახავ ნამდვილი აფეთქება როგორ უნდა! — მიახლიდნენ.

მთელი სადადიანო აახარხარა ჭურიიდან ზუგდიდს „შესანიშნავი ოცეულის“ განიარაღებულმა მოწრიალებამ ტოლიკ მინჯორაიას ხელმძღვანელობით. საბედნიეროდ ის ოპერაცია უმსხვერპლოდ ჩამთავრდა. მილიციელებისთვის წართმეული სატაბელო იარაღი ზაქარაიას გამოუგზავნა როკიმ, თან უშიშროების უფროსს შეუთვალა:

— ვლადიმეროვიჩ, თავი დამანებონ, თორემ მთელს საქალაქო მილიციას ჰაერში ავიტან დიხამინჯიას კაბინეტიანადო, — და ამ მომენტმა მოთმინებიდან გამოიყვანა ნამუსიანი სახელმწიფო მოხელე:

— მთლად თავს ნუ გადახვედი, — შეუტია დიხამინჯიას, — ბანდიტი ყოფილიყო, შენი დოყლაპია ოფიცრების იარაღს არ გამომიგზავნიდა როკი ოდიშელია. ჩაუვარდი მუხლებში და დროზე შემოირიგე, თორემ იცოდე, ჰაერში მოგიწევს ნავარდი შენს დამქაშებიანად და უყარე მერე კაკალი! — უთხრა და ყურმილი დაუკიდა.

აქეთ აბაშის რაიონიდან ახლადგადმოყვანილმა კოლეგამ მენტორული საუბარი გაუმართა:

— ამხანაგო, დიხამინჯია, რა უფლებით იჭრები ჩემს ტერიტორიაზე? — ზურაბ გუგუნავას ჩვევად ჰქონდა მკვეთრი მოძრაობები. მუდამ კოსტუმით

დადიოდა, პაპანაქებაშიც კი, მამია გვათუასავით და ქალაქში ცხრაჯერ რომ შეხვედროდი, ხელს ცხრამეტჯერ ჩამოგართმევდა. ფუნქციონერების უპიროვნო მასაში კიდევ მისთანებიღა ქმნიდნენ ინდივიდუალობის კლიმატს, — მანქანა რომ წამოგიყვანიათ ჯოტო ოდიშელიას სახლიდან, ლატარიაში ხომ არ გერგოთ? ორი დღეა დაგიყენებიათ მილიციის ეზოში და უკვე ჭანჭიკიც არ შერჩენია. რატომ არ უფრთხილდებით კომუნისტის სახელს? — დაამუნათა. ეს იყო და დიხამინჯიამ ტელეფონის აპარატი მეხუთე სართულიდან მოისროლა. ბედზე ძირს არავინ იყო, ღორები იჩიჩქნებოდნენ გაზონზე და ციდან ჩამოვარდნილმა რისხვამ თავქუდმოგლეჯით მოაცოცხვინა სამივეს რაიონული საავადმყოფოსკენ.

ყავას ზოსი სონგულია უდუღებდა.

არაყი ქურსუას დაჰქონდა. შეჭამადი — სხვა განყოფილების ხალხს რიგრიგობით. ბინაში რა ხანია გამოაცვლევინა მუხის მძიმე კარები და სანაცვლოდ რკინისა ჩაასმევინა.

სადარბაზოს შესასვლელს სელექტორი დაუმონტაჟეს და თითოეული ბინადრის გვარი მიაკრეს ღილაკებთან.

ორი მილიციელი დილიდან საღამომდე იცავდა მისი უკაცრიელი ოჯახის უსაფრთხოებას. ერთადერთი, მთავრობის ოთხციფრიანი ტელეფონიღა შერჩა, მაგრამ იმასაც გველნაკბენივით უმზერდა.

საუბრის დასაწყისში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის, ნონა გაფრინდაშვილი შემთხვევით არ გვიხსენებია. ზუგდიდლებს უყვართ ღირსეული შვილის დაფასება. აკი, წამოცდა ერთგან მწარე სიმართლე პეტიკო თოდუას:

— ოდიშელები კაცს მუხლებში უყურებენო, — ჰოდა, სამოციან წლებში მთელი ქვეყნიერება რომ აალაპარაკა კოლხი გოგონას მიღწევებმა, ზუგდიდლებიც დაფაცურდნენ.

ნონას სახელობის კლუბი თვალის დახამხამებაში აშენდა, ისე რომ სახელმწიფოს კაპიკიც არ გაუხარჯავს. სათანადო სახსრები სადადიანოს ცენტრმა გაიღო. მაგრამ ყურადღება არც მეზობელი რაიონებისგანაც კლებიათ. მაგალითისათვის, ბლოკი ტყვარჩელის რაიკომის პირველმა მდივანმა, ქართული ორიენტაციის კაცმა, შოთა შაკაიამ უსახსოვრა ენთუზიასტებს.

მურმან დემურიას თაოსნობამ ფრთები მალე შეისხა.

ალეგრობის ზეიმებისას საჭადრაკო წარმატებანი, მეუნარგიას გუნდის წევრების თრევით ზურგატყავებულ მოწინააღმდეგეთა დაშამათება სწრაფად მობეზრდა მედეას შთამომავალს, დაუჯერა დეიდას — ტატიანა გრიგოლიას და თბილისს წაჰყვა, სადაც სატყეოს მინისტრმა ბიძამ, გიორგი ჯაბუამ, გარკვეულწილად შეუწყო ხელი ცოლის დისშვილის ნიჭის ყოველმხრივ გაფურჩქვნას.

ნონას პირველ პაექრობას უბერებელ ბიკოვასთან მთელი ზუგდიდი გულშემატკივრობდა.

დემურიას ინიციატივით ქუჩაში გამოეფინათ ჭადრაკის უშველებელი დაფა და დიდძალი მაყურებელი აღტკინებული მისჩერებოდა თითოეულ სვლას. ელსმენით უკავშირდებოდნენ მოსკოვიდან თბილისს. დედაქალაქიდან ზუგდიდლებს ეხმიანებოდნენ, ეს უკანასკნელნი კი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად წალენჯიხელებსაც ატყობინებდნენ მატჩის პერიპეტიებს. წენდიხელებს კი რაიონის მთავარი ექიმი კვარაცხელია მოძღვრავდა.

— ჩაიწერეთ სვლები, — ჩასძახოდა ყურმილში დემურია — E2 — E4, D2 — D4, D7— D6.

— არ ისმს კარგად, — ხრიალებდა ელსმენში კვარაცხელია.

— დიმიტრი შვიდი, დიმიტრი ექვსი, — უკიჟინებდა აქედან ჭადრაკის ენთუზიასტი.

— კაცო, დიმიტრიც ეთამაშება ბიკოვას? — ეკითხებოდა ჩახრინწებული ხმით კვარაცხელია. აი, მისი შვილიშვილი გაბო მიქავა სულ მალე გამოჩნდება ჩვენს თვალსაწიერზე.

მოკლედ, ნონას სახელობის საჭადრაკო კლუბი თანდათან შეუდგა უწყინარ ცხოვრებას. თავიდან მოყვარულები შემოივლიდნენ ხოლმე, რომელთაც ერთდროულ სეანსებს უმართავდნენ დემურიები და ტყბუჩავები, კიკიანები და თორიები, ჭურღულიები და მზარელუები, შოგირაძეები და გვათუები, სორდიები და ბაძაღუები, ჩიხლაძეები და ქაქუთიები. ერთი სიტყვით, ჭადრაკი ნელ-ნელა მკვეთრად იკიდებდა ფეხს ზუგდიდ-ქალაქში.

ისტორიული ფაზისის მემკვიდრე ფოთი ფეხბურთის პირველ მერცხლად თუ შერაცხულია საქართველოში სამართლიანად, ზუგდიდის ჭადრაკის აკვნად დასახელება გადაჭარბებულად არ უნდა ჟღერდეს.

ანდრია დადიანის უნიკალური ფენომენი ასაზრდოებდა ამ გონიერი თამაშის ამორძალის დაუჯერებელ წარმატებებს და მომავლის იმედიანი გადასახედიც აქედან ილანდებოდა.

მერე და მერე კლუბს წუთითაც არ მოკლებია ჭადრაკის კორიფეების ვიზიტები. ვინ არ მობრძანებულა აქ: მაქს ეივე თუ სალო ფლორი, ანდრე ლილიენტალი თუ ანატოლი კარპოვი, მარკ დვორეცკი თუ დავით ბრონშტეინი.

ოთხმოციანმა წლებმა საქვეყნოდ გამოაბრწყინა მურმან დემურიას უნიკალური ნიჭი, რომლის ნათამაშებმა სამმა პარტიამ საერთაშორისო აღიარება ჰპოვა და კომენტარებით დაისტამბა კიდეც სხვადასხვა გამოცემაში.

იუმორის თემაა: ფრანგულ კრებულში გვარი დემურია დე მურიედ მოიხსენიება, მაგრამ შეცდომების გასწორება არასდროსაა გვიან.

გავლენიან პირებს სამსახურის მანქანებით დაჰყავდათ კლუბში თავიანთი ფუნჩულა ასულები, იქნებ ნონას წყალი გადაესხათო;

გონებაცინცხალნი — არახამიები და წურწუმიები, ტორუები და ცირამუები გაცრეცილპალტოიანები დადიოდნენ დედების თანხლებით ყიამეთ ამინდში.

თავიდან მეცენატების ყურადღება არ აკლდა კლუბს, ვიდრე მათი გო-

გონები საჩემპიონოდ ისწორებდნენ ფრთებს, მაგრამ მეათე კლასიდან მოიტაცეს უმეტესი უზრუნველ ცხოვრებას დადარაჯებულმა სასიძოებმა, ისე რომ, საჭადრაკო ხელოვნებაში მესამე თანრიგის მაჩვენებლებს ვერაფრით გაცდნენ და ქველმოქმედებაც თანდათან მინავლდა. ჩამოცვივდა ბათქაში, ჩაიმსხვრა მინები, დაილეწა სკამები, მოემტვრათ ფლოქვები ცხენებს.

ასეთ ვითარებაში მოვიდა კლუბის პრეზიდენტად დაზი ჩიქოვანი. სასჯელის პირწმინდად მოსტუმრების შემდეგ ცოლს შეურიგდა და უკვე არც სამი ასულის ალიმენტის გადახდა უწევდა.

ფანატიკოსი გახლდათ თავისი ნატურით. ოთხმოცდაერთუჯრიანი ჭადრაკის საქვეყნოდ აღიარება როცა ჩაუფლავდა და ნობელის პრემიაზე წარდგინების იმედი გადაეწურა, კომპოზიტორობას მიჰყო ხელი, ოღონდ თავისთვის ელოლიავებოდა ეტიუდებს.

გახუნებული კოსტუმი ეცვა თვითტკბობას მიცემულ თეორეტიკოსს.

სკოლა-სკოლა დადიოდა, ბაგა-ბაღებში შეიხედავდა. ჭადრაკის ჯადოქრული სამყაროთი აინტერესებდა მოზარდებს. ლექციებს უკითხავდა ბავშვებს გადმოსაბირებლად, მაგრამ საჭადრაკო ბუმი მიმცხრალიყო ოდიშში, მინავლებულიყო დროებით, რათა ისევ ამოეფეთქა მთელის ჟინით. ერთხელ ხომ მდინარეც იძინებს?!

ცოტნეს სამარცხვინო ძეგლის გადაშენების შემდეგ საჭადრაკო კლუბს ერთბაშად მოაწყდა ზუგდიდელი ახალგაზრდების წყება. ესენი ჩვენთვის ცნობილი ბიჭები გახლდნენ. ქუჩაში ყიალის მოყირჭებამ შემოხიზნა ისინი გაუკაცრიელებულ შენობაში.

აახმაურებდნენ ჭადრაკის კოლოფებს. ჩამწკრივდებოდნენ პაიკები მეწინავე ფლანგზე, შეუტევდნენ თეთრები შავებს და ამ უღიმღამო თამაშებში მამულის სატკივრები უსათუოდ ამოტივტივდებოდნენ.

დაზი ჩიქოვანს როკის მოქნილობა თავისი თვალით უხილავს ტოლიკ მინჯორაიასთან თუ ჯიბო საღორიელთან დატაკებისას. იმ არაკაცების საკნიდან გასვენებამ თუ გაღმუვლებამ ისეთი ნეტარება მიანიჭა, თითქოს საკუთარი გამოგონების ჭადრაკს მთელი მსოფლიო მისხდომოდა. წინამძღოლს ეძებდნენ ჯეელები და ამნაირად ერთადერთს — როკი ოდიშელიას სახავდნენ.

— ჩვენ ვალდებულნი ვართ ვაიძულოთ დიხამინჯია აქაურობას გაეცალოს, — მსჯელობდნენ, — ჯოჯოხეთგამოვლილი კაცი ჭირში ჩავაგდეთ. ახალშექმნილ ოჯახთან სიამტკბილობა არ დავაცალეთ. ყველა ჯოხი მაგაზე გადატყდა. მომავლის ღირსნი არ ვიქნებით, თუკი დიხამინჯიას ბოროტებას წინ არ აღვუდგებით. როდემდე უნდა იწანწალოს ტყე-ღრე ტყვიების წვიმაში? უნდა შევიკრათ სამარადისო ფიცით, რომ სამშობლოს არ დავუკარგავთ გულანთებულ პატრიოტს. სხვანაირ საქციელს შთამომავლობა არ გვაპატიებს, — ისე დაასკვნიდნენ ყმაწვილები დაზი ჩიქოვანის თანდასწრებით, თითქოს ბიბლიის საკრალურ წიგნზე ხელდადებულნი ფიცავენო.

ვეღარ გაუძლო კლუბის პრეზიდენტმა კითხვით მოჩერებულ სამ ათეულზე მეტ მზერას და გვარიანი ყოყმანის შემდეგ მისი მოჩიავებული მტევანიც იმ გორგალს შეუერთდა.

დღე როგორ გავიდოდა სამჯერ მაინც არ შემოევლოთ ახალგაზრდებს. ზოგი ძეხვს მოიტანდა, ზოგი — პურს, ზოგიც კიდევ — ლუდს თუ არაყს და ერთად დანაყრდებოდნენ, ერთად განიხილავდნენ მამულის სამერმისო გზებს.

დაზი ჩიქოვანი უსმენდა ამ გულანთებული მამულიშვილების დაუნჯებულ საუბრებს. კეთილი შურით შეიყვარა თითოეული და როცა მიზეზთა გამო აგვიანებდნენ ხოლმე, მოუსვენრობა ეუფლებოდა. გაშლიდა მაგიდაზე ჭადრაკის ყუთებს, დააწყობდა ფიგურებს და ერთდროულ სეანსს უმართავდა საკუთარ თავს. ფანატიკოსი იყო დიახაც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. უყვარდა კიდეც გამოთქმა:

— ქვეყანა ფანატიკოსები ანგრევენ და აღაშენებენო.

კლუბიდან გაკრეფილი ძმაკაცები ოდიშელიებთან მუსაიფს შეჰ ყვებოდნენ. ყოველნაირად ცდილობდნენ დევნილი შვილით აკანკალებული გულები ოჯახისთვის შეემსუბუქებინათ.

ვალერიანი უკვე საავადმყოფოდან გამოეწერათ. ხელჯოხზე დაბჯენილი კუთხიდან კუთხემდე სიარულს ახერხებდა. თითქოს ხელახლა იდგამდა ფეხს, ხელახლა იწყებდა ცხოვრებას.

ახალგაზრდებს მახლობელ წისქვილში დაჰქონდათ ოდიშელიების საფქვავი, თუმცა ოჯახში იყვნენ ძმები — გივი და გენადი.

სატყეოს უფროს ბაბუას ,,კამაზით'' სავსე შეშა მოატანინა თათა აფაქიძემ.

კახა ფაცაცია ელექტრო-ხერხს დაენათხოვრა მექაღალდე მამას და საათნახევარში დაქლიბეს უშველებელი მორები.

ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორის მემკვიდრე გიგი შენგელმა ორმოცდაათი კილოგრამი სულგუნი მოართვა ოდიშელიებს, თითქოს უფროსი შვილის საქორწილოდ ემზადებიანო.

აფთიაქარის ნაშიერმა ზაზა შამათავამ იმპორტული წამლები მოაყარა დამბლაგამოვლილ ვალერიანს.

რუხის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტრის ვაჟმა, რობერტ ხაზალიამ ნახევარი ტონა დაფშვნილი, რჩეული თეთრი სიმინდით სავსე ტომრები ჩაუყარა ნალიაში, საიდანაც ,,ლიმონკები'' ამოუძვრინეს როკის ამასწინებზე დიხამინჯიას დამქაშებმა.

ოდიშელიას საძმომ ფული ჩამოკრიბა და თეიმურაზ დარასელსა და უჩა ხეციას მიატანინეს ჟენიასთვის, რათა ხელსაყრელ დროს დევნილი შვილისთვის მიეწოდებინა. ქირხემ დედამთლური წინდახედულება გამოიჩინა და გაბუსხულ მარინას ჩააბარა უკლებლივ.

უკვე კვირაზე მეტი სრულდებოდა, რაც ოდიშელიებისგან წავიდა რძალი. თურმანიძეებისას ათევდა ღამეს. ნიკას იქით აკითხავდნენ ყოველდღე ძვალკანა

ბებია და მოამაგე ბიძები. მარინას დიახაც ჰქონდა გაბუტვის საფუძველი. ზარავდა მეუღლის ღალატზე ფიქრი. ვერაფრით დაეჯერებინა მისი ორგულობა, მაგრამ ავმოენენი ოდიშსაც ბლომად მოეძევებოდნენ.

— მუსიკალურ სკოლაში კვლავაც კარლოს დაჰყავს ბიჭებიო, — წამლავდნენ.

ვეღარაფრით აეხსნა მარინას, თუ სიყვარული არ აკავშირებდა ილონასთან როკის, თუკი განგების მოწყობილი იყო ბოშა ქალთან ერთად გაქცევა, ამდენ ხანს რატომ დუმდა, ან ის ჯადოქარი ოჯახს რისთვის გაურბოდა?! ყველაფერს გაუძლებდა თურმანიძეების ასული, მაგრამ ქმრის სიჩუმე ღადრავდა.

ფარატინა წერილის გამოგზავნა როგორ ვერ მოახერხა ლევთერის, ან კიდევ იმ ტიბუა ბიჭის ხელით? თუკი ინდომებს, სამარიდანაც მოაწვდენდა ხმას, მაგრამ რა ქნას, მომიჯადოვა კუდიანმა, გამითვალა გრძნეულმაო, იკვნეტდა ბაგეს.

დაქალებიც სტუმრობდნენ ხშირად თურმანიძეებს. მოადუღებდნენ ყავას და იწყებოდა მერმე მარჩიელობა. მისი გულის მალამოს აფრქვევდნენ პირიდან. მარინაც გარინდული უგდებდა ყურს. მომშვილდული წარბები მაღლა აეზიდა. ლოყა ხელისგულისთვის დაეყრდნო, კიდეც უსმენდა მჩხიბავებს და ფიქრებში როკის გვერდით ტრიალებდა. წარმოიდგენდა თავს რომ აბანინებდა, ან ბუმბულივით როგორ აიტაცებდა გიჟმაჟი კაცი. ცრემლიც წასკდებოდა ხშირად.

ბავში იყო ჯერეთ თურმანიძეების ასული. სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდა. ქალიშვილობა არ დასცალდა. ავადმყოფმა დედამ იფიქრა: მამაგარდაცვლილი გოგო არ დამეჩაგროსო, ვინმე გარეწარმა ხელიდან არ წამგლიჯოს ჩემი თვალხატულა ქალიშვილო; დაოჯახდება, პატრონი ეყოლება, მეც გული საგულეში ჩამიდგებაო.

ჟენია მისი თანასოფლელი იყო, კახათელი, გვარიანადაც უფროსი. მოკლედ, ოდიშელიების ოჯახზე წვრილად იცოდა ყველაფერი: მშრომელები იყვნენ, ალალმართლები. ცოტათი თავზეხელაღებული ბიჭები ჰყავდათ, მაგრამ სულელს და ბოთეს, ისევ დაუდგრომელი ერჩივნა. საიმედო ქმარი ეყოლებოდა ასულს. მერედა, როგორც ოდიშელიების შუათანა ბიჭზე ამბობდნენ, გამორჩეული გახლდათ თურმე მთელს ოდიშში ჩაცმულობით, სიკოხტავით, მუშტი-კრივით და პატიოსნებით.

უჩვენეს როკის სიყმაწვილისდროინდელი სურათი აფუჩეჩებული თმით, ოთხკუთხა ნიკაპით, კეთილი თვალებით მომზირალი და გულში ჩაუვარდა.

მარინა მამაილა გახლდათ. ნიკოლოზის ოჯახს მთელს საქართველოში გავარდნოდა სახელი აქიმობით. აკადემიკოსი ღუდუშაურიც კი სწვევიათ ერთხელ საქვეყნოდ სახელგანთქმული მალამოს სახელმწიფო პრემიაზე წარსადგენად, მაგრამ დასტაქარმა არაფრით ინება პრეპარატის რეცეპტის გამჟღავნება.

— ჩემს ერთადერთ ქალიშვილს ვუტოვებ მზითვად. მომცემენ პრემიას და მერე რა, ის ფული შეიჭმება, ჩემს მარინას კი ღმერთმა ნუ ქნას და გაჭირვების ჟამს ხელების ფშვნეტა არ მოუწევსო.

ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ ერთ ლოგინში იძინებდნენ ხოლმე ასული და დედა. მიუხედავად ავადმყოფობისა, საყიდლებზე ყოველთვის ცეცე დადიოდა, ქალიშვილს როგორ აკადრებდა პურსა თუ შაქარზე წასვლას. ახლა უფრორე შემოუტიეს მარილებმა, მაგრამ მაინც თავად წაფრუტუნდებოდა საჭირო პროდუქტებისთვის. ისედაც გაჩეჩეტებულ მარინას ამიერიდან ხომ ოთახიდან ვერ გამოახედებდი.

— გაიყვანე გოგო, ბავშვი სუფთა ჰაერზე, თორემ რაქიტიანი გაგეზრდება, — ეტყოდა მშობელი, თუმცა მარინას გაგონება არ უნდოდა ქუჩაში გასეირნებაა ეს თუ მეზობლებში გადასვლა.

ტელევიზორსაც ათასში ერთხელ თუ მიუჩოჩდებოდა. თავის ნიკალას ეთამაშებოდა, თავის ნიკუშას, ბანდა, ვარცხნიდა.

ერთხელ მარინას დაქალებმა როცა ჰკითხეს: კი მაგრამ არ გეშინია დიხამინჯიას ხალხი რომ დაგესხას თავზე?! მაზლებთან დაცული მაინც იქნებოდიო, უშურველად გაიცინა, ხალათის ჯიბიდან მოლაპლაპე ,,ტეტე'' დააძრო და როკივით მოჭრილად თქვა:

— ტყვიით გავუხვრეტ შუბლს! — და მეორე დღეს მთელმა ზუგდიდმა იცოდა ოდიშელიას ახალგაზრდა ცოლის შემართულობის ამბავი.

— თვითონ ხომ თავზეხელაღებულია და მეუღლე უარესი გამოუძებნიაო, — იტყოდნენ ნახევარხუმრობით ოდიშელები.

ერთი სიტყვით, მარინას მყარად გადაეწყვიტა, სანამ ქმარი არ შემოეხმიანებოდა, შინიდან ფეხს არ მოიცვლიდა. გამოესაუბრებოდა როკი, გნებავთ — სიტყვიერად, გნებავთ — წერილობით და ქმრისიანების სამკვიდრობელსაც მხოლოდ მერე მიუბრუნდებოდა.

ოდიშელიას ცოლის თადარიგის თაობაზე ,,შილიასის'' მარკის მომცრო, ფერად ტელევიზორთან ერთად მოუტანეს დიხამინჯიას ,,ზუგდიდვაჭრობიდან''. ანტენები დაუმონტაჟეს და დილიდან საღამომდე ცისფერ ეკრანს არ სცილდებოდა. მთელი გულისყური კრემლისკენ ჰქონდა. რაც ჩრდილოური პარლამენტის მუშაობის პირდაპირი ტრანსლაციები დაიწყეს, ჩართო და არ გამოუთიშავს.

თითქოს გუშინწინ იყო.

კრემლის სვეტებიან დარბაზში სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ ჩერნენკოს. ბრეჟნევის აჩრდილი გახლდათ, რბილი ხასიათისა, ანდროპოვივით კლანჭები როდი გამოაჩინა სიბერეში. ამ უკანასკნელის გენსეკობის8 დროს სამუშაო საათებში რესტორანში რომ მოეხელთებინეთ თანამდებობის პირი, იმ სკამზე საკუთარ თავს უსარკოდ ვერ იხილავდი. როგორც ამბობდნენ, კუ-

ლუარების კულინარიას გადაჰყვა. ჰოდა, წევს მდიდრულ სასახლეში მოფამფალებული მესაჭე. ლამის იგივე მდგომარეობაში, თბილისში ჩამოყვანილ ბრეჟნევს ღამის ქოთნებით რომ დასდევდნენ ტელოხრანიტელები. გოგებაშვილის გიგოს მიმსგავსებით წაიკითხა მაშინ რეფერენტების გარიწკინებული წერილი ლეონიდმა:

— საქართველო ულამაზესი კუთხეა მიწისა, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, რომლებიც კაცობრიობის დასაბამიდან აფასებენ ადამიანის კეთილშობილებას, დაუღალავ შრომას და ვაჟკაცის გმირობას, — თქვა ეს მიკროფონში მარაზმული შეჭირვებულობით და იქვე გადაულაპარაკა მასპინძლებს, — ჩინებულია თქვენი ქალაქი დუშანბე!

ჰოდა, რაღა გასაკვირია ამისთანა მესვეურების საზოგადოება მთქნარებას და უძრაობას მოენელებინა?!

ახლა, კი, აგერ, წევს მეფურ სასახლეში ბერიკაცების უკანასკნელი მოჰიკანი.

უცხოეთის დელეგაციები მოწიწებით ართმევენ ხელს ერთადერთ ჭირისუფალს — გორბაჩოვს, კვერცხივით შეკრულ პიროვნებას, აქამდე არენაზე არავის რომ უხილავს, სულ კულისებში ტრიალებდა, პირველთა ფონზე ხომ რწყილივით მიკარგულია ნებისმიერი სათადარიგო, გნებავთ — სპილო, გნებავთ — ლომი.

იერი სამგლოვიაროა. გენსეკაყოფილის თალხებში გამოწყობილი ოჯახის წევრები სკამებზე ჩამომსხდარან. ყვავილების გვირგვინებს წაულეკავს უშველებელი დარბაზი. ერთადერთი გორბაჩოვი დგას კუბოს თავთით, ქვეყნის ხელისუფლების უმეტოქო ტახტისმტე. შემელოტებულია დია, შუბლს ზემოთ მარჯვენა მხარეს წითელი ხალი დატყეპებია, სამხრეთ თუ გნებავთ ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის მსგავსი, ოღონდ ორივე ერთად არა, ცალ-ცალკე, ან — ერთი, ან — მეორე.

მოდიან მეპანაშვიდენი. ლეონიდის გასვენებას მსგავსი პატივდება არც ახსოვს. მოდიან ცხედრის თითქოსდა უკანასკნელი გამომშვიდობებისათვის, სინამდვილეში გორბაჩოვის ჩასაზდრასტებლად ჩამობრძანებულან. იერი დაღვრემილია, მაგრამ ხელის ჩამორთმევისთანავე ცნობენ საბჭოეთელ ჭირისუფალში ქვეყნიერების მომავლის ოსტატს დენ სიაო პინები, რეიგანები და მიტერანები.

სრულიად დედამიწის კანცელარული ელიტა აქ შეყრილა, აქ, გორბაჩოვის მაჯასთან, რადგანაც სწორედ მასზეა დამოკიდებული, თუ რარიგად ივლის ცივილიზაცია. რანაირ ორიენტაციას დაიჭერს მიხეილი, ისე იტრიალებს დედამიწა, როგორც თავისი ღერძის, ისე კაცობრიობის იდეალების გარშემო.

სუვოროველების წითელი ჰალსტუხი უკეთია. მონაცრისფრო, ზოლებიანი კოსტუმი აცვია. ხმა არ დაუძრავს ჯერეთ, მაგრამ ერთხელ ამოიდგამს ენას და მერმე ჭრელ ხარზე ამხედრებული კოლხური ზღაპრის პერსონაჟი-

ვით დაიქოქება: ილაპარაკებს, ირატრატებს, ილაყბებს და გულწასულ ხალხს გაეცლება. დაახლოებით ასე წაუვა საქმე გორბაჩოვს და მის სამწყსოს, მაგრამ ჯერ ჩერნენკოს პანაშვიდია. რამდენიმე საათში კრემატორიუმში უკრავენ თავს, როგორც კრემლის უმეტეს მოღვაწეს, დაფერფლავენ, ქილაში მოამწყვდევენ ჯინივით და კედელ-აკლდამას მიაბარებენ აწ და მარადის.

გამონაკლისი ლენინია მხოლოდ. ეტალონი ერთადერთი უნდა იყოს, დუბლიკატს ვერ ითმენს იგი, აუბრალოებს უმთავრესის თავისთავადობას, ამიტომაც ვერ უშველა ფოლადის სახელმა ჯუღაშვილს. მისი სხეულიც ჩინებულად დაემორჩილა კრემაციის ზემცხუნვარე კანონს. მაგრამ ესეც — იქით. დასასრული არ უჩანს ხუთივე კონტინენტიდან დაძრულ დესპანებს.

ერთმანეთის მიდევნებით მოაბიჯებენ არაბი თუ ებრაელი, ავღანელი თუ ვიეტნამელი; ფიდელი განთქმული წვერით, მშობლიური მთის ერთმოსახელე არაფატი, ფუნდამენტალიზმის მამა ჰომეინი, სადამ ჰუსეინი, იაპონია და მონღოლეთი ძილმოკიდებულის მაგვარი ქუთუთოებით; დანაწევრებული გერმანია და კორეა, კენია და სამხრეთ აფრიკა... თითქოს პუშკინის ლექსი გაცოცხლებულიყოს, ძეგლს რომ აიგებს ხელთუქმნელს, ცოტათი ჰორაციუსს დასესხებულს, მაგრამ რუსულ სამაგონში გამოტარებულს, რომელსაც დროის მსახვრალი ხელი ვერარას დააკლებს ალექსანდრიის შუქურაზე მაღალს.

კავკასიელები და ტუნგუზები კალმუხებთან ერთად ჩრდილში დგანან, თუმცა მისამართი შეშლიათ ფინელებს და პეტრეს არაბის ნაშიერის მონუმენტის თაყვანისცემის ნაცვლად გორბაჩოვის მაჯასთან მობრძანებულან. იგულთმისნა პოეტმა რუსული გენიის მასშტაბურობა.

ნაციონალური და კოსმოპოლიტური აღკაზმულობით მოედინებიან რიგისობისდა მიხედვით, ჩალმითა და შლაპებით, სმოკინგითა და ტოგათი; თამარ მეფის დობილი, რკინის ლედი — მარგარეტ ტეტჩერი. მთელი მსოფლიო თავს უდრეკს ჩერნენკოს ხსოვნას, დროულად რომ ჩამოეცალა პოლიტიკურ არენას და ენერგიით აღსავსე კაცს დაუთმო სარბიელი; თანაც აქ საეჭვო არაფერია, გენსეკას მარაზმი კვადრატშია ახარისხებული.

მსოფლიო გაითიშა ტრუმენული ცივი ომისგან.

აბსტრაქტულმა გამყინვარებამ ეკვატორის მზეს ყინულის ლოლუები ჩამოჰკიდა ლაშებზე, როგორც ფორანს შებმულ ჯაგლაგს ემართება ზამთრობით სტეპანცევის ექსპერიმენტული ზონის არეალში.

მიწის წიაღი ვეღარ უძლებს ნევადისა და სემიპალატინსკის ატომურ აფეთქებათა მშობიარობებს. დინოზავრების კვერცხებივით ალაგია სარკოფაგებში წყალბადის ბომბები და საკმარისია მარცხიანად შეახო ხელი, ენას ამოიდგამენ სოკოსმაგვარი აფეთქებებით.

მსოფლიო გადაქანცულა ბაგირის გაუთავებელი დაჭიმვებისგან აქეთ-

იქიდან. სოციალისტურმა ბანაკმა ვერ გადმოითრია თავისკენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი და ვერც საბაზრო ეკონომიკის მხარემ მოაჩაქჩაქა თავისთან რობესპიერის ლოზუნგის სისტემა.

მობრძანდებიან პოლიტიკური ამინდების სოლოები თუ ქორონი; მობრძანდებიან გორბაჩოვის მაჯასთან და ამ უკანასკნელის ფანტაზიორობას საზღვარი არ გააჩნია, რადგანაც თითოეული ქვეყნის წარმომადგენელი საკუთარი თავისებურებითა და შესაძლებლობით სწვევია.

ჩერნენკოს ერთადერთი ჭირისუფალი უსწრებს მოვლენებს. გენსეკაყოფილი ჯერაც თვინიერად წევს ძვირადღირებულ სასახლეში, ჯერაც ფეხზე არ წამომდგარა კრემატორიუმის ენითუთქმელი სიმხურვალისგან, მიხეილ მჭერმეტყველს კი თვალნათლივ წარმოუდგენია აფრიკული ბანანებისა და მანგოების ცვენა კრემლის კოჭებთან. ინდური და ცეილონური ჩაის სურნელი უთრთოლებს ცხვირის ნესტოებს ცნობილ ტიტესტერსავით. შვეიცარიული ყველის ბორბლებით მორახრახებენ ეტლები ნევის პროსპექტიდან წითელ მოედნამდე. ავსტრალიურ კენგურუებს შვილების მაგივრად ხვლიკისფერი ბანკნოტებით გამოუტენიათ ჩანთები. ბრაზილიური ყავის მარცვლები ბიბლიურ მანანასავით ცვივა ციდან კუბური შაქრის მეზობლად და მუხლებამდე შავთეთრად დათოვლილა საბჭოეთის უკიდეგანო სივრცე და რიგიანად ვერც გაარკვევ რანაირი შინაარსისაა ჭირისუფლის ხელისგაწვდენა, ოდიშური ბაზრის შესასვლელთან ატუზული ჭოღოს მიდრეკილებისა თუ ოთხმოციან წლებში ოლიმპიურ თამაშებში დამკვიდრებული მკლავჭიდისა.

აღლუმებითა და შენელებული სვლებით მიასამარებენ კრემლის კედელს ჩერნენკოს ხსენებას მოხუფული ქილით. კიდევ ერთი აგური გამოეცლება ათასწლოვანი გალავნის ძლევამოსილებას და გამჭვირვალე ჭურჭლის ჰერმეტიული სიცარიელე შეენაცვლება ტვირთმზიდ კოჭებს.

ყურდაცქვეტილია რეიტერის სააგენტო, ,,ასოშეიტედპრესი'', ,,ფრანცპრესი'' — ვისკენ, საითკენ გაუწევს გული გორბაჩოვს. უკვე გენსეკას თანამდებობამ მოგჭამა ჭირი ჭოფია ანთარიას ბორანივით ენგურზე — სახე იცვალა, პრეზიდენტის ვერბალური მნიშვნელობით დაიმუხტა.

მსოფლიოს გული უკანკალებს — პირველი ნაბიჯი გადადგმულია კომუნისტური მორალის მონუსხული წრიდან, გარღვეულია ჯადოსნური რკალი.

სამამულო თუ უცხოური წარმოების ტელევიზორები აასიათასებენ კრემლის ყრილობათა დარბაზებს, ჯერ კიდევ გვარიანად ადრე, ვინემ დიხამინჯია ,,შილიასის'' დასახელების მომცრო, ფერად ტელევიზორს შეიტანდეს კაბინეტში და მაღალი მგრძნობელობის ანტენებს დაამონტაჟებინებდეს შუტუ აგაბაძის ხალხს.

მოსახლეობა თვალებდაჭყლეტილი მიუჩოჩდება ეკრანს. ამოიდგამს საბჭოეთის პირველი პრეზიდენტი ენას და დიდ-პატარაც გაისუსება. ჩვილებ-

მა ძუძუსწოვას თავს ანებებენ. მოხუცებ ღამის ქოთნებს მიიმხობენ ყურებზე; თვით ყრუ-მუნჯებიც არ არიან ზარალში, ერთი ფრაზაც არ ეკარგებათ, ხელებით ისე მიმზიდველად საუბრობენ დიქტორები, სხოდკაზე გასულ ჩიტა ბეზუხასაც კი შეშურდება „ალიურას“ დაძახებამდე.

ხარატებისა და ყასბების დანებს ჟანგი შემოჯერჯვია.

დაზი ჩიქოვანის აღსაზრდელ, ჭკუით დატენილ გოგონებს ძარღვის აუტოკებლად დაუხოცავთ ერთმანეთისათვის მეფეები და სმენადქცეულნი აგრძელებენ თამაშს.

კარცერში გამწესებული კატუკია ამაოდ არახუნებს მუშტს რკინის კარებზე, ზედამხედველები გაკრეფილან და ვადამოხდილს ეგება მომდევნო ცვლაზე ჩამოაკითხონ ტრანსლაციის შესვენების შუალედში.

მეძავები როზა გრეჩანკას დედოფლობით სექსუალურ სიცივეში გადავარდნილან და მზესუმზირის კნატუნში ვერც კი შეუნიშნავთ მეხუთე პარტნიორის შემოჯდომა ახალბედათა მწკრივიდან.

მესაზღვრეებს ზურგი შეუქცევიათ ორმხრივი მავთულხლართიანი ზოლისთვის, მაგრამ უცნაურობა უფრო ის არის, დივერსანტებიც ქვიშის ნიშნულის გადაკვეთის მაგივრად სიგრძივ მიუყვებიან ნეიტრალურ ზონას ტრანზისტორის ქაქანში.

მეცხოველეობის კომპლექსის მომვლელ ჯიშიან დედაკაცებს ცურის ნაცვლად რქებზე მოურგიათ საწველი აპარატები ფურებისთვის და რეზინის ზედმეტი ორი მაწოვარა ჰაერიდან ისრუტავს რძეს.

მწერლები დანომრავენ ფარატინა ფურცლებს, ანგარიშმიუცემლად ალაგებენ ერთმანეთზე, ხოლო რომანს მიღმა დარჩენილი პერსონაჟები საწერ მაგიდაზე წამოპლაკულან და თავიანთ შემომქმედთან ერთად არხეინად მისჩერებიან ეკრანის საოცრებებს.

ერთადერთი ზუგდიდის ბაზრის გიჟობა დაფაცურებულა: სირმა კვლავინდებურად ქაღალდებს აგროვებს თამარა ჯორბენაძის მხარდამხარ, გულმოდგინედ ტენის ტომრებში. ხოთომ დროულად აუღებს ალღოს მარათონულ საუბარს, იცხონებს სულს, გაერიდება გაეკრანებულ წუთისოფელს. ჯოჯო ფუნქციაწართმეულ ხელჯოხს სპირდოს ძაღლთა შეჯიბრებაში ვაჟკაცურად დამარცხებული ფინიას ასამღერებლად თუ გამოიყენებს ათასში ერთხელ, ეგ არის და ეგ. ჭოღო ჩვეულებისამებრ მარჯვენაგაშვერილია ბაზრის პორტალთან და მარცხენათი ყელგამოწეული გეტყვის:

— ცოტა ფული მომეცი, ბერია და გორბაჩოვი თუ გწამს.

მოკლედ, კოლხური ზღაპრის ჭრელ ხარზე ამხედრებული გმირის კვალობაზე საუბრობს პრეზიდენტი. სიტყვას ხელებს მიმოადევნებს დირიჟორივით. აღაშენებს და აღამშვენებს ცამცუმის ბროლის სრასახლეებს. ცხვრის ფარას ცოხნა მიუტოვებია მილიარდის მესამედი საბჭოთა მოქალაქის მსგავ-

სად, ოღონდ განსხვავება ის არის წინას და ბოლოს შორის, რომ ამ უკანასკნელს ჯერ ბეწვი არ დახუჭუჭებია ტანზე და აღარც სამამულე რქები ამოსვლია შუბლის არეში ყვერების წინამძღოლ მოსესავით.

დაზი ჩიქოვანის კლუბში ამიერიდან გასამმაგებული სიმრავლეა: შუტუ აგაბაძის ხალხმა აქაც იმარჯვა, ქალაქის პროკურორის ვაჟის, ბასა წყაროზიას მოტანილ ტელევიზორს მისჩერებია ჭადრაკის გულშემატკივარი ბოლშევიკობაც, იატაკქვეშეთიდან ამოსული არაფორმალობა, დიხამინჯიას გამოქცეული ფუნქციონრობა თუ დევნილი როკის მოქურუხებული ჯეელი საძმო.

— არაფერი გამოვა მაგ პერესტროიკიდან და გლასტნოსტიდან,8 — ამბობს თორი ფიფია, როცა ტრანსლაცია ჩამთავრდება და ორსაათიანი შესვენება გამოცხადდება კრემლის ყრილობათა სვეტებიანი დარბაზიდან. ბულათიას ნაშიერია, ბაგრატის ჩამომავალი, განუყრელი მაჯისსისხო მარგილით რომ სწყალობდა გაუმაძღარ ბატონებს, — საუბარს ვიწყებ საფრანგეთში გორბაჩოვის ვიზიტით. რა დამავიწყებს პრეზიდენტის მაშინდელ თავგამოდებულ მტკიცებებს იმის თაობაზე, რომ თითქოს შეუდარებელი საზოგადოების ლიდერია, საზოგადოებისა, რომელსაც უფასოდ ატიალია სწავლა-განათლება, სამედიცინო მომსახურება. ის კი ოსტატურად მიიჩქმალა მაშინ, რომ ეს სიკეთენი თითქმის ფალსია ჩვენეული სინამდვილიდან გამომდინარე, მაგრამ მე უფრო გლობალური საკითხი მაღელვებს, ბატონებო: ნუთუ მართლაც სერიოზულად მიგაჩნიათ დებულება: უფასო მომსახურება?! — ახოვანმა ფიფიამ კვირის მოუპარსავი ჯაგარა წვერი მოიქექა და განგრძო, — საკითხავია, საიდან აჩალიჩებს სახელმწიფო სათანადო სახსრებს ამ საქმეთათვის?! მამა ღმერთისგან ხომ არა ციურ მანანას მიმსგავსებით?! ცხადია, მარცხენა შემოსავალი ერთადერთს, სახელმწიფოს, არ უნდა გააჩნდეს წესით, თუ იგი ავადსახსენებელი იარაღით არ ითბობს ხელებს, ვთქვათ, ისეთი პროფაშისტური ქვეყნისგან, როგორიც სადამ ჰუსეინის ერაყია. ჰოდა, იმას ვამბობდი, რომელმა გონებამ შეთითნხა სახელმწიფოსგან თავისი ხალხის უფასო მომსახურება?! განა საბჭოეთის მოქალაქეს სრულყოფილად უნაზღაურდება ხელფასი რეალური შრომიდან?! ეს ხომ თემაა, ბატონებო, კომედიისა „ვაი ჭკუისგან“?! ასე რომ, უმჯობესია ვაღიაროთ: ჩვენ საწყლები, ჩვენი ნამუშევრის ერთ მეხუთედსღა ძლივს ვიმკით, როცა იმ ფულის ოთხი მეხუთედი იმპერიალისტური მიზნებისკენაა მიმართული და ხშირად ხერხდება კიდეც მისი რეალიზაცია ავღანური გენოციდის სახით.

— რატომ, ხომ გაგვყავს ჯარი ქაბულიდან? — ჩაერთო საუბარში დორო ჯიქია. ოთხმოცს მიტანებული, ღაჟღაჟა სახის მოხუცია. ისააკ ჟვანიას და მიხა ბერულავას ძმაკაცობით მოაქვს თავი, ცხრაასოცდაოთხში ყაზბეგისკენ დაძრულ რაზმს რომ ახლდნენ და კონტრევოლუციონერმა ჯუღელმა ჩაასამარა უსულგულოდ, — გასაოცარი გარდაქმნების გზაზე ვდგავართ. გორბაჩოვი ჭკვიანი კაცი ჩანს. ტყუილად როდი ამბობენ: ბერიას შვილიაო? დაკვირდით, სახითაც არ ჩამოჰგავს?! მერედა, ცეცხლი ხალხნო, ხმა, ჟინი!

— მადლობა უფალს, კრახი განიცადა რუსული ჩექმითა და ხიშტით ქვეყნიერების საყოველთაო გაწითლების გეგმამ, — შეიჭრა საუბარში რენო ალშიბაია. მოგრძო სახის ქერა ყმაწვილი დადიანების უკანასკნელი მოურავის შთამომავალია, — მსოფლიო ჩალით არ არის დახურული.

— ნუ ცხარობთ, შვილებო, ახლებმა რა იცით ცხოვრების აზრისა. აბა, ის არის უკეთესი შენს საცოლეს დადიანი რომ ეუფლებოდა პირველ ღამეს? — უტევდა ჯეელებს დორო ჯიქია, — კაპიტალისტური სამყარო გვავიწროვებს მარჯვნიდან და მარცხნიდან. გორბაჩოვმა სტალინის რეაბილიტაცია თუ მოახდინა, მაშინ საქმე დამთავრებულად ჩათვალეთ. მთელი მსოფლიო იძულებული შეიქმნება ჩვენს წინაშე მოიყაროს მუხლი, მაგრამ ნიკიტას გზას თუ მიჰყვა, უნდა ვივარაუდოთ, რომ გადაბირებულია, მოსყიდული და სიკეთეს ამაოდ უნდა ველოდეთ. პროლეტარიატის სისხლით და ოფლით მონაპოვარი ფასეულობანი მიწასთან გასწორდება წამში. ამაზე ითქმის: ციხე შიგნიდან გატყდაო.

— ცალმხრივად ნუ ვაფასებთ მოვლენებს, — გამყივანი ხმითა და ხელების ფიცხელი მოძრაობით შემოუერთდა კამათს გაბო მიქავა. ეს იმ წალენჯიხელი მთავარი ექიმის შვილიშვილი გახლავთ, ნონას შეპაექრებულ ბიკოვას დიმიტრიც რომ დააჭიდა, — გორბაჩოვის როლი განუსაზღვრელია ავღანეთიდან თუ ევროპის ქვეყნებიდან საბჭოეთის კუდამოძუებულ უკანდახევაში, მაგრამ ამიხსენით ღვთის გულისთვის, რატომ იწვევენ რესპუბლიკებიდან კიდევ ათასობით წვევამდელს, როცა ზოგი ტვინნაღრძობი პარლამენტარის თქმით, ათჯერ მეტი უსახლკარო ოფიცრობისთვის ვეღარაფერი მოუხერხებიათ? ბარემ აქვე გაგანდობთ სამხედრო სამსახური როგორია ჩვენში. თითქმის უმეტეს შენაერთში უფუნქციო არსებობაა წლების მანძილზე. ჩვენი ყაზარმული ცხოვრება შუაზიაში, — ნაწილის ნომერს არ ასახელებდა სახელმწიფოებრივი უშიშროების მიზნით ნაადრევად გამელოტებული უტუ მიქავას ნაშიერი, ბალისტიკური რაკეტების ძილს მწყემსავდა ორი წელიწადი, რომლის ერთი ღილაკის დაჭერა მთელს კავკასიას ჩაახუტებდა ზეცას, — იმით ამოიწურებოდა, რომ ქვიშის გორაკი, იგივე საფარი, ერთი პოზიციიდან მოგვეხსნა და მეორეგან ნიჩბებით გადაგვეტანა. ასე რომ, ასეულის მეთაურის წამოწყებულ საქმეს გენერალი აგვირგვინებდა: მათი გემოვნებისა და სტრატეგიული შეხედულების შესაბამისად ხეტიალობდა ეს გორაკი სამხრეთიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთიდან — დასავლეთით.

— ჰომეროსის მოხეტიალე კლდეებივით, არა?! — ჩაიხიხინა კვეკვე ანთარიამ, რომელსაც ბონდოსა და ხანტურის გაურკვეველი აღსასრულის შემდეგ შამგონაში ფეხი ერთხელაც არ დაუბიჯებია. საამისო საფუძველიც გააჩნდა — ნახევარძმამ ფრიად სოლიდური თანხა უანდერძა.

კოლხეთის ისტორიას აღვადგენო, ამბობდა და ყოფით სიუჟეტებს ყიდულობდა რესპოდენტებისგან. კუჩხობონუსთან ჩალის ფასად შეიძინა მო-

ხუცი რუსი ცოლ-ქმრის კოხტად მოვლილი ეზო-კარი, მეურვედ შეეკედლა და გასვენებისას გვარიანი ფულიც შემოუვიდა. წლისთავზე მეზობელ დედა-შვილს, გალოთებულებს და გაღლეტილებს ერთოთახიანი ბინა დაუგირავა კომბინატის დასახლებაში სამი წლით და მათი მამულიც უმტკივნეულოდ შემოიერთა. სახლიც წელიწად-ნახევარში ააშენა, მაგრამ კახა ანთარიას ენგურჰესური რკინა-ბეტონით ჯერაც ვერ დაეკოპწიავებინა ოჯახი და ბერბიჭობა მობეზრებული, კვლავინდებურად სასტუმრო „ოდიშში“ ცხოვრობდა სახეცქრიალა ახალგაზრდა მეუღლითურთ.

— რაც შეეხება ავღანეთიდან დემობილიზებულ, სისხლში ხელებგასვრილ ხალხს, — აგრძელებდა მიქავა, — დასახიჩრებულებმა, როგორც ფიზიკურად, ისე — სულიერად, კეთილი ინებონ და კალაშნიკოვის „აკეემის“ ნაცვლად ბარს და თოხს მოჰკიდონ ხელი! რა, ვითომ ნაოფიცრალს არ ეკადრება პროფესიის გამოცვლა?! შტატების შემცირების გამო ხომ ინერგება ჩვენში ინჟინრის გაექიმება და ექიმის გავეტექიმება.

— ვეტექიმი ბეითალია ქართულში, — შეუსწორა კვეკვე ანთარიამ.

— საპოჟნიკის გაპარიკმახერება და პარიკმახერის გაყასბება, — განაგრძო პწკენისთვის წაყრუებულმა, მაგრამ კვეკვე ანთარიამ ისევ შეიტანა ცვლილებანი მის ბარბარიზმულ საუბარში.

— საპოჟნიკს ხარაზი ჰქვია ქართულად, ჯიჯი და პარიკმახერს — დალაქი.

— ნუ შემიკალი, კაცო, ხელში, შენი გრამატიკოსობით, — გაწიწმატდა ბოლოს და ბოლოს გაბო მიქავა, — სპიდის საშიშროებამ პარიკმახერებსაც დააჩნია თავისი კვალი. აგერ, ხომ აიკრძალა წვერის მოპარსვა?! — მიაჩერდა სანიმუშოდ თორი ფიფიას, — მალე შესაძლოა პეტრე დიდის ნაჯახები დაგვჭირდეს ქოსათა გამოკლებით. ერთი სიტყვით, არაფერი დაშავდება, დემობილიზებული თუ დემონტაჟებული ამ-ხანაგები, პროფესიას დროულად შეიცვლიდნენ.

— ღუპავ ბიჭო, ბესონოვს და დაჩი კეზუას? — ახიხინდა კვლავ ანთარია, მაგრამ ჭადრაკის მოყვარული ბაბუას შვილიშვილმა ამჯერად მისი რეპლიკა სათვალავშიც არ ჩააგდო.

— ხომ ამდენს ვთათხავთ და მაინც ფუჭია ყოველივე, თუნდაც იმიტომ, ეს უკანასკნელნი არაფრისდიდებით დათმობენ ღვთიურ პრივილეგიებს. პრივილეგიებს-მეთქი რომ ვამბობ, ამასაც გაგიმხელთ და თავად განსაჯეთ: როგორია ოცდაორი წლის ასაკში მხრებზე მოციმციმე ორი ვარსკვლავი, სამას მანეთამდე ხელფასი, უფასო კვება, უფასო ბინა, უფასო ჩაცმა-დახურვა. დავუმატოთ ყოველივეს ნებიერი ცოლი, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც უთუოდ იკაჟებს ჯიგრებს ბი-ჭვინ-თა-სა თუ გაგრაში, კვეკვე, ბატონო. ორი მიბნედილი ასული გეტიტინება და დანაზოგი ფულით შეძენილ „ჟიგულ“, საკომისიო ფასებში გცინცლავენ კუკლებით, ესე იგი გადაყიდვის მოსურნეს ხასიები და ჯგერენაიები გადაგაგდებენ, ჩვენ კი, მეგობრებო, კლი-

მატი გვიფუჭდება ჭარბი გამონაბოლქვისაგან, ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე ვდგავართ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სულ რაღაც ორმოცს მიკაკუნებული სამხედრო მოხელე სიკვდილის ბოლომდე გარანტირებულია საკმაოდ სოლიდური პენსიით და მეყოლე ვარდივით, რამდენიც ასეთნაირი ცხოვრებით გაზულუქებულმა რუსაკოვმა უკან დაიხიოს, ნებაყოფლობით უარი განაცხადოს ციდან ჩამოცვენილ განცხრომაზე.

— აი, ჯულბასია ძაღლის თავიც სად მარხია, — გააგრძელა მივიწყებული საუბარი თორი ფიფიამ, — აი, სად ამოტივტივდა საფრანგეთში ხსენებული გორბაჩოვისეული უფასო მომსახურების კუდი და ეშვები! როცა ჩვენ საბოლოოდ გავარკვიეთ, რომ ჩვენი ნამუშევრის ოთხი მეხუთედით შენახული მუნდიროსნები თავზე დავისვით, როგორც აღმოსავლური მოლოქი, ბუნებრივია, დემოკრატიის განხორციელებაზე ფიქრი ინფანტელიზმია, სხვა არაფერი. მიუხედავად ამისა, ბატონებო, გორბაჩოვი უთუოდ შევა მსოფლიო ისტორიაში, როგორც სოციალიზმ-კომუნიზმის მაცდური იდეოლოგიის ბალავრის მომშლელი; როგორც უტოპიური, თეორიული ახლომხედველობის მამხილებელი, თუმცა შიგადაშიგ, საბჭოურ მონაპოვრებსაც ვერ ელევა, მოკლედ, გაორებული ყოფნა არგუნა ბედმა.

— ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, — გაწყრა პილა გეთია, — ახლა ქვეყანა თქვენია და რატომ არა?! ვინც წინაპრის ამაგს და დამსახურებას წყალში ჩაყრის, იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის, განწირულია დასაღუპავად.

— შესაძლოა, მაგრამ სიმართლე ბოლომდე ხომ უნდა ითქვას? რა დიდებული იდეალები დასახა ცხრაასჩვიდმეტის სოციალისტურმა რევოლუციამ?! რა მაცდურია პუშკინისეული ამ ანჩარის თანასწორუფლებიანობა, ერთობა, ძმობა, მაგრამ მე უფრო ტოლსტოის „აღდგომის“ პათოსი მხიბლავს და ის ბუნებრიობა, რაც ცხოვრებას ახასიათებს საერთოდ, ყოველგვარი შელამაზებისა და ტენდენციურობის გარეშე, მთავრობის რუპორი მაიაკოვსკისა და ძალადპარტიელი გორკისგან განსხვავებით. ამდენად, მგონი ნათელი მოვფინეთ თუ რაოდენ ძვირად გვიღირს ეს უფასო მომსახურებანი, სწავლა-განათლება, ჯანდაცვა; ჩვენი უმთავრესი ნაოფლარი კი ისევ ჩვენს სამტროდ კონცენტრირდება სახელმწიფოს ხელში უთვალავი შენაერთის შესანახავად. ჩვენი ნაამაგარი ჩვენვე გვიჭერს ხელებს ყელში. ჩვენი ნაჭირნახულევით ლამის მონებად ვიქცეთ. ასეთია რეალობა, პილა ბიძია, ბაბუა დორო და რატომ გწყინთ ეგ?! თავად-აზნაურობა თუ გჩაგრავდათ, თქვენს საცოლეებს დადიანი თუ ეუფლებოდა პირველ ღამეს, ფიზიკურად მაინც არ გისწორდებოდნენ. თქვენ კი აიღეთ ხელში მაუზერები და მაშინვე ეკლესიათა სამრეკლოებს ზარები აართვით; ნიკოლოზ მეორეს ოჯახი ამოჟუჟეთ მცირეწლოვან შვილებთან ერთად, ვინძლო რუსეთის ტახტს რეალური მემკვიდრე არ ჰყოლოდა. დაჟღილინობდით ჟვანიებთან და ბერულავებთან ერთად. წარჩინებულთა ცოლებს და ქალიშვილებს ერთბაშად აანაზღაურებინეთ დადიანების ცოდვა. არ დაინდეთ ბიძები და მამიდები, ზოგჯერ მამებსაც გამოუსვით ყელში დანა განსხვავებული

შეხედულებისათვის. მოსპეთ საუკუნოვანი ტრადიციები, ახალი კი ვერაფერი მიაწოდეთ საზოგადოებას, რადგანაც წვეთ-წვეთობით, ისტორიულად ჩამოყალიბებულის სამაგიეროს გამოგონების თავი სად გქონდათ ხელმოცარულებს?! ტაშისცემით შეჰქმენით მონსტრი ქვეყანა, ღორის შაშხს შემოუმწკრივეთ თათარი, ებრაელი და ქართველი რუსის თამადობით, — მართალია, აქაიქ უკმაყოფილების ხმები გაისმა უფროსი თაობის ხალხისგან, მაგრამ თორი ფიფია ორივე ხელით აჩუმებდა დამსწრე საზოგადოებას და კათედრის დათმობას ასე იოლად არ აპირებდა, — მოხერხებულა როდესმე ზეთის და წყლის ერთმანეთში არევა?! ხოლო, რაც შეეხება ბრძენ რუსეთს, პუშკინის, ტოლსტოისა და დოსტოევსკის რუსეთს, ის თვითონ გამოუტანს განაჩენს თქვენსა და ჩვენს მამაშვილურ კამათს, პილა ბიძია, ბაბუა დორო. ეს სიბრძნე კი შემდეგნაირად ჩამოუყალიბებია აღმოსავლურ ფილოსოფიას:

გამორიცხულია თავისუფალი იყოს ერი, რომელიც სხვას იმონებს;

გამორიცხულია ამაღლებული იყოს ერი, რომელიც სხვას ამდაბლებს;

გამორიცხულია მომავალი ჰქონდეს ერს, რომელიც სხვას ართმევს დღევანდელობას.

ავტონომიებად დაგვშალეს, რათა თვითგამორკვევის მცდელობის შემთხვევაში, ხელი ალთას გაგვექცეს და ფეხი — ბალთას; თვალი მთისკენ გარბოდეს და ყური — ზღვისკენ, მაგრამ იულიუს კეისრის დავიდე ეტ იმპერა, ანუ გათიშე და იბატონეს მაგიურ ძალას ყავლი გასვლია ძვირფასებო, რადგანაც მშვენივრად მოგვეხსენება ყველას: რასაც დაყოფ და დაანაწევრებ, მეტოქედ არ გამოგადგება შინაგან წინააღმდეგობათა გამო; თუმცა მე ოპტიმისტი ვარ, რომელიც ნებისმიერ ერს აფასებს, როგორც ბუნების ჯილდოს და მათი მმართველი ძალების ეგოისტური მიდრეკილებების გულისთვის, მთლიანად მისი ხელაღებით განქიქება, არანაირად გამართლდება.

თავად განსაჯეთ, ძვირი ითქმის განა გერმანელ ერზე შიკლ გრიუბერების ოსვენციმებისა და ბუხენვალდების დანაშაულებრივი აბოლებისათვის? ან დადანაშაულდება განა რუსობა თავისი ამბიციური ტახტისმტეების ორსაუკუნოვანი მონღოლური ჩვევების გამო? დარწმუნებული ვარ, პილა ბიძია, ბაბუა დორო, ნებისმიერ მოძალადე ერში ადრე თუ გვიან უეჭველად გაიღვიძებს ღვთიური ნიჭი: ჯერ თავის უმეცრებას დაგმობს საჯაროდ; შემდგომში სრულფასოვნად აღიარებს სუვერენიტეტს, განუმეორებლობას დამონებულისას. სხვანაირად თვითონაა დასაღუპავად განწირული. ასეთია ცხოვრების დიალექტიკა.

— აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას, — ვეღარ გაუძლო მეტს დორო ჯიქიამ, — აი, თურმე ვისი იმედით ვაპირებდი სამარეში ჩასვლას. არ იფიქროთ რამეს გამადლიდეთ. მშვიდობაში მოგახმაროთ ღმერთმა ეს ქვეყანა, მაგრამ მოსპეთ საუკუნოვანი ტრადიციები, სანაცვლო კი ვერაფერი მიეცით ხალხსო, რომ დაგიღიათ პირი, ბაბაგე, ეს ჩვენ გავაყოლეთ ბავშვები ნაბან წყალს, თუ თქვენმა მამებმა და თქვენ შეგიქცევიათ ზურგი ათასწლეულობით გამობრძ-

მედილ ადათებისათვის?! უმაღლესებში ჩვენც გვისწავლია, მაგრამ თქვენსავით ლამაზ-ლამაზი სიტყვებით როდი ვხიბლავდით ყურს. გულითაც უფრო სუფთანი და ალალ-მართლები ვიყავით. ბოროტებას ყელში ვწვდით სადადიანოს ჭაკისგან რომ მოდიოდა უწინარესად. ქმრის სიცოცხლეშივე არ ჰ ყოფნიდა მთელი სამეგრელოს საჯინიბო. სალხინოში ყიფიანი ჰყავდა თავლაში დაბმული, ზუგდიდში — ჩიქოვანების რემა და ბოროზდინი, პეტერბურგსა და პარიზში — პრანწა-პრუნწა ფრანტობა. მოკრძალებული პენსია რას ეყოფოდა მის აღმოსავლურ მადას?! ჩვენი კუთხე კი სისხლისგან იცლებოდა. ღომიც რომ ღომია, იმასაც სისხლის სუნი ასდიოდა.

შენი მოგვარე ბულათია, ბაბაგე, თორი, მართალკოჩი თოდუა და უტუ მიქავა რომ აუჯანყდნენ სამეგრელოს დედოფალს, ამ გაუგონარი გაუმაძღრობისა და აღვირახსნილობის გამო იყო სწორედ. ერთხელ თუ გაგიწყდა შუბლის ძარღვი, მერე უზნეობამ საზღვარი არ იცის.

ტრადიციები მოსპეთო, რომ გვადანაშაულებ, ისეთი რა დაგვიტოვეს ადამიანური, სალაპარაკოდ ღირდეს? დანდობა?! გატანა?! მამულიშვილობა?! ერთგულება?!

— დამსახურებას რატომ ვუკარგავთ? ვინ წარუძღვა ლაშქარს ნალიმასთან ომერ ფაშას წინააღმდეგ? — თქვა რენო ალშიბაიამ.

— ჰმ! წარუძღვა! თურქებს რომ დაეპყროთ სამეგრელო, მერე რუსის ხელმწიფე დაუნიშნავდა პენსიას?! დაგრილებული დედებისგან და გაცვეთილებული მამებისგან მოვდიოდით ჩვენ, ბაბაგე, თორი, და რადგანაც უმწიკვლო შთამომავლობისათვის ვანთხევდით სისხლს, საკუთარ ცხოვრებაზე უარი ვთქვით, თუმცა გამოჩნდა, აგერ, ტოტოშას დისშვილი და იქნება გვეშველოს, — ტოტოშას დისშვილში დორო ჯიქია ჟორჟი ჯიჭონაიას გაზრდილ ობოლ ბიჭს გულისხმობდა, რომელიც განაგებდა ახლა საქართველოს ბედიღბალს, — რომელ ერთ ჯანსაღ ტრადიციას ვკარით ხელი, ღვთის მადლმა? — თვალი მიმოავლო მოსაუბრემ თავდახრილ ახალგაზრდებში, თუმცა ტონი არ შეურბილებია, — პირიქით, ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ მინავლული კერიებიდან ამოქექილი ადათ-წესები საჯაროდ გვექცია, დაბეჩავებული ხალხისთვის რწმენა და სიხარული მიგვენიჭებინა. ეს თქვენმა მამებმა და თქვენ გადააგდეთ ჩოხა-ახალუხი, თორემ ჩვენ გვეამაყებოდა მისით წელგამართული სიარული და გვეამაყება კვლავაც, მაგრამ ახლა ისე მოხალვათდით თქვენცა და თქვენი მამებიც, ცხარეს მაგივრად ისე მიუჩოჩდით ტორტსა და გოგლიმოგლს, ფილუ ძაძამიას ორი ქამარი ძლივს შემოგწვდებათ წელზე. ანგარიშსწორებისთვის როდი ვამბობ ამას, თქვენ ჩვენი გავერანებული სულის მედროშეებად წარმომესახებით კვლავაც ზოგიერთისგან განსხვავებით და იმიტომაც არ ვაფერადებ სიტყვას.

დიახ, კერიებიდან ამოვქექეთ მართლაცდა მივიწყებული წეს-ჩვეულებანი. მარტო ალეგრობა რად ღირს?!

დააბინავებდა გლეხკაცი ჭირნახულს თუ არა, ენკენისთვის უკანასკნელ

შაბათ-კვირას მთელი სამეგრელო დაიძრებოდა ჭადრების ხეივნისკენ. განა ოდიშური ტრადიციების აღდგენის გამო არ გადაიხვეწა აფხაზეთში ჩვენი ტოტოშას უფროსი ძმა ჟორჟი ჯიჭონაია?! აღმასკომი კი იყო, მაგრამ ვეღარაფრით გაუმკლავდა ჩაჩიბაიას ახირებებს.

აი, ვის ეკუთვნის შენი საყვედურები, ბაბაგე, თორი. მაგისთანებმა დააკნინეს ჩვენი წარსული. მარჯვნიდან და მარცხნიდან რომ შეუტია დადიანების ბაღს, მუსრი გაავლო ჰექტრობით. ვეღარაფერს გახდა ჟორჟი ჯიჭონაია და კიდეც გადასახლდა ოდიშიდან.

ჩაჩიბაიები და დიხამინჯიები ყველა თაობას ჰყვანან, თქვენც — სხვათა შორის, მაგრამ ერთეულების გამო უმრავლესობის მიწაში დამარხვა გაგონილა?!

ალეგრობა სულაც არ იყო ტრადიციული ზეიმი. იგი იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტისგან მოდიოდა.

ნაღვინევს, აქაურ მოსახლეობაზე წამოცდენია ერთხელ: ალეგრო ხალხიაო და შერჩა კუთხის მეხსიერებას მხიარულობის სიმბოლოდ. ჟორჟ ჯიჭონაიამ კი ახალი დროების სულისკვეთება ჩააქსოვა მასში.

სექტემბრის მიწურულს სრული სამეგრელო გამოეშურებოდა ზუგდიდქალაქისკენ. ჭადრების ხეივნის ორივე მხარეს დაბანაკდებოდნენ აბაშელები და სენაკელები, მარტვილელები და ხობელები, ჩხოროწყუელები და წალენჯიხელები, ფოთელები და სამურზაყანოელები. თუკი ტაროსი ხელს გამოიღებდა, უბატონო სვანეთიდანაც დაეშვებოდნენ შავჩოხიანი ლომგულები. ორი დღე და ღამე ბოლო არ უჩანდა ურთიერთსიფვარულს, ურთიერთპატივისცემას.

ალეგრობის პერიოდში ზუგდიდში ქისების ჩხრიალი წყდებოდა. ებრაელები ჯიხურებს კეტავდნენ. ბაზრის ჭიშკარს ბოქლომი დაედებოდა და იქაური გიჟები ხოთო, ჯოჯო, სპირდო, სირმა თუ თამარა ჯორბენაძე ხეივანს მოაშურებდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობა ხელცარიელი როდი ხვდებოდა ჟორჟ ჯიჭონაიას დამკვიდრებულ სახალხო ზეიმს. ბარის თუ მთიანეთის მკვიდრი გულღიად მასპინძლობდა მეზობელ დებსა და ძმებს.

ფილუ ძაძამიძეს ვერცხლის მოსადავებული ქამარ-ხანჯალი გამოჰქონდა თვალშესავლებად. საერთოდ, აქ გამოფენილი ნაკეთობანი ალეგრობის მეორე დღეს გამართულ თამაშობებში გამარჯვებულთათვის იყო განკუთვნილი.

კაპიტონ შანავა, ლადი ჭანია ყელმოხატულ ჩონგურებს და ფანდურებს გამოაშუქებდნენ.

ქურსუები და ხულორდავები მოკამკამე ნარდებს გაშლიდნენ სპილოს ძვლის კამათლებით.

ქარდავები იშვიათი ოსტატობით მოწნულ კალათებს, კარაჩხებსა და გიდელებს ააკოკოლავებდნენ, რომელთაგან ზოგი გოგრათი იყო სავსე, ზოგიც — წაბლით თუ გიშრისფერი იზაბელათი.

სოსელიები ზაფრანისფერ დოქებს და ორკოლებს ჩამოამწკრივებდნენ, დერგების, კეცების და გვიმების გვერდით.

პაშუ ჩანგელიას ქუდებს, ყაბალახებს და ჩოხა-ახალუხს ხომ აღტაცებაში მოჰყავდა ზეიმის მონაწილენი.

თურმანიძეები და პაჭკორიები სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს გამოამზეურებდნენ, უშვილობის წამლები იყო ეს, ავზნიანობის, შაკიკის თუ სიდამწვრისა. დიდი დასტაქრები, კალისტრატე ალშიბაია, ბავშვების მეხვაშიადე პეტია უბერი შემდეგნაირად დამოძღვრავდნენ მათ:

— ჩემო ფაცია, ჩემო ნიკოლოზ, ვიდრე ავადმყოფობას საფუძვლიანად არ გამოიკვლევთ, წამლის მიცემას ნუ იჩქარებთ, თორემ თაფლიც რომ თაფლია, ისიც მაწყინარია უადგილოდ, — იტყოდნენ და ჩაივლიდნენ. კალისტრატე კი ტაბაკზე სიგრძივ ჩამომწკრივებულ ბოთლებს და ქილებს ხელხჯოხს მიურაკუნებდა სათითაოდ.

მორთმეული იყო რჩეული ხილი გოდრებით, ურმებით.

თავის მოსაწონად გამოშლიდნენ ფუჩეჩით გადანასკვულ, ორმტკაველიან სიმინდის ტაროებს, ბურვაკისხელა ნესვებს და ფუთიან საზამთროებს.

შემოდგომის სურნელებას აფრქვევდა მსხალი და ატამი, ვაშლი და ყურძენი.

უქებდნენ ერთმანეთს მოსავალს, გამოფვანილ ჯიშებს ხეხილისას, ხელგარჯილობას, უჭაშნიკებდნენ ღვინოს. ზეიმი თუ იყო, ეს გახლდათ სწორედ, არა — მოსაჩვენებლად, როგორც ამას თბილისქალაქობაზე აკოწიწებენ ხოლმე და ჟორჟის დისშვილს ვერანაირი სიახლე შეემატებინა ბიძისგან დასწავლილისთვის; შემოდგომის ზეიმს ეძახდნენ, თუმცა ხელის ჭუჭყზე ცვლიდნენ ნაოფლარს. ალეგრობაზე კი ფულის ხსენებას ვინ გაბედავდა?!

ჩამოივლიდნენ მამაპაპური სიზვიადით დღესასწაულზე ანრი პატარაია, ამბაკო ოდიშელია, ვალიკო მეუნარგია, (ჭადრაკის თამაშში სვლას რომ არავის აპატიებდა, მაგრამ თვითონ — ნურას უკაცრავად, უფათურებდა ხელებს ჭაკებს თუ დედოფლებს), ჩამოივლიდნენ კოსტა ნაროუშვილი, სიყრმის მეგობრები — კაკა ქვანია და გვანჯი ჩიქვანი, ქალაქის მეტრი საშა ეგუტია, (ვისი ავტორიტეტით იათკეცებდა მრევლს ტერენტი ხუბულავა), ქალების ექიმი თომა შენგელაია, გინეკოლოგს რომ ეძახიან დღეს მისი ხელობის კაცს და რომელიც შვილს არაფრისდიდებით მოაშორებდა დედას ზოგიერთი დღევანდელი აბორტმახერისგან განსხვავებით;

ჩამოივლიდნენ გალაქტიონ ჭელიძე, ქიონია და ბეგლარ აკობიები, სახელგანთქმული ლოტბარები კიწი გეგეჭკორი, პოეტი ძმების წინაპარი იროდი კალანდია, ნოკო ხურცია საქვეყნოდ აღიარებული ანსამბლის წევრების თანხლებით.

ქალების ჩურჩული და თვალების ეშმაკური ჟუჟუნი მატულობდა განუყრელი სამეულის — პალადი ოდიშელიას, ჩაცმულობით შეუდარებელი ხუტა ხუციას და დღენიადაგ სვანურქუდიანი ბოჩია ანთარიას გამოჩენისას.

ამბობდნენ რომ პალადის ცხენიდან ჩამოუსვლელად შეეძლო ქალისთ-

ვის თავბრუს დახვევა; ხუტა ხეცია ქვეითად ახერხებდა ამას და ბოჩია ანთარია ჰორიზონტალურ მდგომარეობას ამჯობინებდა, მაგრამ ეს სამეული ალექსანდრე დიუმას რომ გადაყროდა კავკასიაში მოგზაურობის დროს, მის ცნობილ მუშკეტერებს გარკვეულწილად დაეტყობოდა მათი ხასიათების ზეგავლენა.

ალეგრობას სისტემატურად სტუმრობდა აკადემიკოსი ილია ვეკუა ეგნატე ფიფიასა და ზუგდიდლების სიძის, ალბერტ თავხელიძის თანხლებით.

თვითონ დიდი მათემატიკოსი ახუთელი გახლდათ, მართალია თოდუას შვილიშვილი დედით. ბავშვობაში პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა შეშელეთელი ბიჭუნა და სპირიდონ კედიას დასთან, კატო მასწავლებელთან, მეგობრობდა.

ჩამომწკრივდებოდნენ ჭადრების ხეივნის ორივე მხარეს გარიწკინებულ-გაკრიალებული ურმები.

ჯაკონიების თვალწარმტაცი უნაგირები და მოსართავები აჭიხვინებდნენ სახურიების ეტლებს შებმულ რაშებს.

იმ საღამოს თეთრად ათენებდა ყველა სიგრძივდაპობილ შეშისგან დანთებულ კოცონებთან.

მომდევნო დღეს კი შეუდარებელი შეჯიბრებანი იმართებოდა რაფიელ ერისთავის ბიუსტის სიახლოვეს.

ორმოს ამოთხრიდნენ კაცის სიმაღლისას. რიგ-რიგობით ძვრებოდნენ შიგნით ახლები თუ ჭარმაგნი. ფიცრებს გადააფარებდნენ, ზედ მიწას მიაყრიდნენ და გამძლეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

აქ გამარჯვებას არავის უთმობდა ვალოდია ანჯაფარიძე.

სცადა ერთხელ მისი დამარცხება აშორდიას კვიმატმა ბიჭმა. ორმოში შლანგით ჩასულიყო, მაგრამ მიწაყრილიდან თავი რომ ამოაჩიკინა რეზინის მილმა, სიცილ-ხარხარით და გამაყრუებელი სტვენით გააძევეს არენიდან.

მოშორებით ულვაშებაპრეხილი ჯეელები და ჩიხტიკოპიანი ასულები ცეკვა-თამაშში ეტოქებოდნენ ერთურთს ხაზალიების დოლ-გარმონის ხმაზე.

სარებზე სოსელიების ქოთნებს წამოაცვამდნენ. ათი-თორმეტი მეტრის მოშორებით ჩამწკრივებულებს, თვალებს აუხვევდნენ შავი ქსოვილით, ხელში ნახევარი მეტრის კეტს მიაჩეჩებდნენ, დაატრიალებდნენ სამგზის და ვინც იმ ჭურჭელს დაამტვრევდა, უცოლო თუ იყო, გასათხოვარი მზეთუნახავიც არ დაიწუნებდა.

გამარჯვებულებს საჭიროებისამებრ ასაჩუქრებდა ჟიური ჟორჟ ჯიჭონაიას თავმჯდომარეობით. ვისაც ქამარი აკლდა ფილუ ძაძამიძის ნახელავს მიართმევდნენ; ვინც თავშიშველი იყო, პაშუ ჩანგელია დაახურებდა ქუდს თუ ყაბალახს. ვისაც ფეხსაცმელი გაცვეთოდა, საბახტარაშვილების აზიურებს ააჭრაჭუნებდა.

მნახველებს თვალს სტაცებდა ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი გერმანელი წარმოშობის ზუგდიდელი მოქალაქეები — ბიბი ზამბერგის მრავალრიცხოვანი ჯალაბი და თითივით გალოკილი ლუდუკ გაბანი.

ზამბერგები მებაღეები იყვნენ. მათი ჯადოქრული მაკრატლიანი ხელი ლა-

პარაკს აწყობინებდა ოდიშის სკვერებს და ბულვარებს, ხოლო ინჟინერი გაბანის ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ სასტუმრო „ოდიში“, კინოთეატრი, ცირკი დღევანდელ „თუთარჩელას“ ტერიტორიაზე, რაიონული საავადმყოფო და კიდევ ვინ მოსთვლის.

ჭადრაკის დაფების სიმცირის გამო იმართებოდა კოლექტიური შეჯიბრებანი. გამარჯვებულნი გედებით სავსე ტბამდე უნდა მიეყვანა დამარცხებულებს. ამიტომაც კიკინებიან ნონას არავის უთმობდნენ მოკავშირედ ვალიკო მეუნარგიას გუნდის წევრები და რაღა გასაკვირია, მათი თრევისგან ზურგი ჰქონდა გადატყაული ხალხს.

იმართებოდა ცხენების ცეკვა-თამაში მიწაზე ერთმანეთისგან მოშორებით დაგებულ სამ ნაბადზე, სადაც ბადალი არ ჰყავდა საშა დარასელიას.

ორმოცდაათი ახალი ოჯახი მაინც შეიქმნებოდა ალეგრობაზე. მერედა, ღვინო იყო მოსაძიებელი, პურ-მარილი თუ თამადები?! ჭადრების ხეივნის ერთ ბოლოს მამია გვათუა თუ ხელმძღვანელობდა, მეორეგან გვანჯი ჩიქვანი ბუბუნებდა. მთავარი სუფრა სტალინის ძეგლის აღმართვამდე რაფიელ ერისთავის ბიუსტთან იყო. ვინც უკეთესად გაუძღვებოდა პურობას, მომავალ ალეგრობაზეც ის ასწევდა პირველ ჭიქას. გამარჯვებულ ტოლუმბაშს ადგილმდებარეობის მონაცვლეობასთან ერთად, ბაღათურიების დამზადებულ არშინიანი ყანწით დაასაჩუქრებდნენ.

გვანჯი ჩიქვანის პიროვნებაზე გვითქვამს ორიოდე სიტყვა ზემორე, მაგრამ აი, მამია გვათუას შესახებ აქამდე ხმის დაძვრის საშუალება არაფრით მოგვეცა და ბარემ აქვე გამოვასწორებთ უნებლიე დანაშაულს.

ახოვნებით, სწორედ გვანჯი ჩიქვანის მეტი ვერავინ დაეტოლებოდა ოდიშში მამია გვათუას, მაგრამ განსხვავებით თხელი გახლდათ და ყველას აკვირვებდა სუფრიდან გაუსვლელად სად იტევს ამდენ ღვინოს.

პაპანაქება ზაფხულშიც ჰალსტუხითა და კოსტუმით დადიოდა. თუ მზე მთლად უსაშველოდ აცხუნებდა, კოსტუმს მარცხენა ხელზე გადაიკიდებდა და ტაატით წასეირნდებოდა ქუჩა-ქუჩა. ძველი გიმნაზისტი უაქცენტო რუსულით ელაპარაკებოდა ჩრდილოეთელ სტუმრებს; ზამბერგებს და გაბანს დახვეწილი გერმანულით გაუბამდა საუბარს. ზუგდიდში ჩამობრძანებული „დიდოსტატის“ ავტორი მხოლოდ მამია გვათუასთან ჩერდებოდა და როგორც წესი, სუფრაზე თუ იგი არ თამადობდა, ღვინოს პირს არ დააკარებდა. ამის გამო გარკვეულწილად ემდუროდნენ ბატონ კონსტანტინეს გვანჯი ჩიქვანი და კაკა ჟვანია.

სტალინის კულტთან ბრძოლით განაწყენებულ საქართველოში კულტურული ურთიერთობის განახლების სიო რომ დაირხა ჩრდლოეთიდან, ჭადრების ხეივანს და ბოტანიკურ ბაღსაც შეეხო მისი ქროლვა რამდენიმე საათით.

ქუთაისიდან დარეკეს რაიკომში, სადაც არის გამოგივლიან მწერალთა ჯგუფი ტვარდოვსკის ხელმძღვანელობით. გაუმასპინძლდით, მაგრამ

ზუგდიდურს ნუ იზამთ, ხუთ საათზე სოხუმში იყვნენ! იქ დიდი ღონისძიებაა დანიშნული და თავი არ მოგვჭრათო.

დატრიალდნენ ცაიტნოტში ჩავარდნილი მასპინძლები ვახტანგ კაკაჩიას მესვეურობით. ცეკაში ინსტრუქტორად გადაყვანამდე მესამე მდივანი გახლდათ. გააჩალიჩეს თეთრი და შავი ნაბდები, ფილუ ძაძამიძის ვერცხლის ქამარ-ხანჯლები; კაპიტონ შანავას ჩონგურებს დაესესხნენ, პაშუ ჩანგელიას — კოლხურ ქუდებს.

სუფრა ბოტანიკური ბაღის ტბისპირას გაშალეს.

კინაღამ ჩაიშალა სოხუმის ღონისძიება. აფორიაქებული გღაჟბა ტელეფონოგრამაზე ტელეფონოგრამას აგზავნიდა:

ნუ გვღუპავთ, ზუგდიდურს ნუ გვიშვებითო.

საქმე ის გახლდათ, რომ თამადად მოწვეულ მამია გვათუას ზეპირად ცოდნოდა დელეგაციის თითოეული წარმომადგენლის საქვეყნოდ აღიარებული ლექსი თუ პოემა. და როცა პერსონალურ სადღეგრძელოებზე მიდგა ჯერი, საკუთარი შემოქმედების ფონზე ადღეგრძელა თითოეული. ის კი არა, სრულიად უცნობი ინგა მარიცას ლექსიც რომ წარმოთქვა ზეპირად, ოთარ ოდიშელიასთან მოტიტინე ქალიშვილი გაოგნდა, ბავშვივით ატირდა სიხარულისგან. ეს სნეულება მალე სხვებსაც გადაედო. იცრემლებოდა დაჩოქილი, თეთრნაბადმოხურებული ტვარდოვსკი, ძაძამიას ქამარ-ხანჯლით წელდამშვენებული დალმატოვსკი, სხვანი და სხვანი.

ახალბედა პოეტესა მარიცას ხომ საერთაშორისო აღიარება მოუტანა პროვინციულ ქალაქში, სრულიად შეუმზადებელ გარემოში, მამია გვათუას ზეპირად წარმოთქმულმა ერთადერთმა ლექსმა.

აი, რანაირი ტრადიციების აღდგენაზე მსჯელობდა დორო ჯიქია, ბრგე აღნაგობის მოხუცი, გალიფე შარვლითა და კიტელით შემოსილი, გარეგნულად გულის მოსვლას რომ არ იმჩნევდა, მაგრამ შინაგანად ილონას ხალხის ქურაში შეგდებულ რკინის ნაჭერივით გავარვარებოდა სული.

დაზი ჩიქოვანის ჭადრაკის კლუბის მოპაექრეებს გადაავიწყდათ ტელევიზორის ჩართვა დიხამინჯიასგან განსხვავებით. ამ უკანასკნელს ხომ პარლამენტის მუშაობის თვალთვალს არაფერი ერჩივნა. აბა, რა, მისი თაობის ადამიანები დედამიწის ბედ-იღბალს განაგებდნენ და ნუ აღივსებოდი სიამაყისგან!

გორბაჩოვი ცეკას რიგითი მდივანი ყოფილა საქართველოს რომ სწვევია სტუმრად. მოუნახულებია ისტორიული ფაზისი. სენაკის სამხატვრო გალერეაში შთაბეჭდილებათა წიგნში მრავლისმეტყველი ჩანაწერი დაუტოვებია. ამ ფაქსიმილესთვის ფოტო გადააღებინა მერე დირექტორმა ცომაიამ, გაადიდებინა და ზედ შემოსასვლელთან დაკიდა თავის გამოჩენის ნიშნად.

საქართველოს სიყვარული სხვა რამითაც დაამტკიცა მიხეილ სერგის ძემ. მოწშენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ედუარდ შევარდნაძის საგარეო საქმეთა მინისტრად დასახელება. ექსპერიმენტული საქართველო ვერ ელეოდა თავის მესვეურს, მაგრამ წინ თვალუწვდენელი ასპარეზი გადაშლი-

ლიყო. ესეც რომ არა, კრემლის ნომენკლატურული სავარძლისადმი სამი ათეული წლის ნოსტალგია ენითუთქმელი სიხარულით აჟრუანტელებდნენ დიხამინჯიებს. ზოგს თვალები ცრემლით ევსებოდა თავიანთი წინამძღოლის ცენტრალური ტელევიზიის ეკრანზე გამოჩენისას.

ამბობდნენ, სამ თვეს სამსახურიდან არ გამოსულა მამათის შვილიო.

პირველი მივლინებიდან დაბრუნებულმა აეროპორტის მებაჟეებს თავად გადაუხსნა ხელბარგი და ხელქვეითნი რას გააწყობდნენ, აქამდე დიპლომატის ხელშეუხებლობით გაყოყოჩებულნი, აღვირახსნილი პორნოგრაფიისა და ნარკოტიკის კონტრაბანდით. მინისტრს, მარტოეულს მოუწია მისვლა სამსახურში თურმე, ვინაიდან ორი ათეული თანამგზავრი პირდაპირ მურის გზას გაუყენეს გამოცარიელებულ ჩემოდნებთან ერთად, სადაც პეტიკო თოდუას თქმისა არ იყოს, კაცებს კლამენ.

იქიდან მოყოლებული საქართველოს დესპანმა კრემლში ვიშეგრადელი დიდი ვეზირის, სოკოლის, მსგავსად ხიდის აშენებას მიჰყო ხელი უნდობლობით გათიშულ მსოფლიოში.

ვინ იცის, რამდენგზის გადაუფრენია სამშობლოს მარადთოვლიანი მწვერვალებისთვის, მაგრამ ისე გაქაჩა საქმემ, ერთხელ ვერ მოიცალა მამულში ჩამოსასვლელად.

ეს იყო ფარული ომი სცილას და ქარიბდას შორის მოქცეული დობადონა-ხომალდის მშვიდობიანი ნავთსაყუდლისთვის.

ყოველ შემთხვევაში დაზი ჩიქოვანის საჰადრაკო კლუბის ბიჭებისგან განსხვავებით ასე აღიქვამდა დიხამინჯია კრემლში წარგზავნილი თანამემამულის მოღვაწეობას.

კაბინეტში საიმედოდ გამაგრებულ ქალაქკომის პირველ მდივანს თანამშრომლებთან საუბარში პირზე ეკერა ამბროსოვიჩის რეიგანისთვის მირთმეული ხმალი.

ირლანდიური წამომავლობის ეს კომედიოგრაფი პოლიტიკოსი მართლაც მოხიბლა ქართველი დიპლომატის გამჭრიახობამ. უსახსოვრებია მამაპაპური მახვილი და უთქვამს:

— აჰა, ბატონო როლანდ, განიარაღებულნი ვართ უკვეო.

შვილიშვილი შესძენოდა თურმე იმ დღეებში პრეზიდენტს და საბჭოეთელმა მინისტრმაც ღიმილით ჰკითხა:

— როგორ მოგილოცოთ, თქვენებურად თუ ჩვენი წესითო.

— თქვენითო, — შეპასუხებია რეიგანი.

მაშინ მიახლოვებია ჭიქაშემართული მამათელი და ზომიერად აუწევია ყური ბიჭუნას ბაბუასთვის.

ეს ყველაფერი „ნიუ იორკ თაიმსის“ სვეტებში როდი ამოუკითხავს როლანდ დიხამინჯიას. ოთხციფრიანი ტელეფონით შეუტყვია მსოფლიო ხმაურს

უკეთესად მიჩერებული ხალხისგან და მუშტი მუხლისთავზე უბაგუნებია სიხარულისგან.

გამალებულმა ორმხრივმა შეიარაღებამ ყოჩებს დამსგავსებული მსოფლიო სოციალური კატასტროფის ჩიხში რომ შეიყვანა, შეუიარაღებელი თვალითაც აღიქმებოდა:

მილიარდობით დოლარს გაიღებდა შეერთებული შტატების ხაზინა სამხედრო კომპლექსის უძღები ბუნების დასაკმაყოფილებლად. უაზროდ გახარჯული ეს თანხა სამას საქართველოს ფეხზე ფეხგადადებულს აცხოვრებდა მთელს წელიწადს.

უფასო გარანტიების ქვეყნად ცხადდებოდა საბჭოეთი და დროთა ვითარებაში მილიტარისტების ანკესებზე წამოგებამ მისი შემოქმედებითი პოტენციალი სავსებით გამოფიტა.

ადამიანებმა იქით და აქეთ დაჰკარგეს უმთავრესი ღირსება, რითაც გამორჩეულია ცხოველთა სამყაროსგან — ადამიანურობა; ურთიერთგანადგურების შიშის თავსასთუმალზე მისვენებული კოშმარული სიზმრების ტყვეობაში აღმოჩნდნენ და თუ საშველი არსაიდან გამოჩნდებოდა, ატომური ბომბის აუფეთქებლადაც განწირული იყვნენ სულიერი გახლეჩვისათვის, შიზოფრენიას რომ ეძახიან ფსიქიატრები.

ყველა მარცვალი კი ამ უსასტიკესი ორმხრივი უნდობლობისა, ბერლინის კედელს ეჯახებოდა და უკუიქცეოდა შეყრილი ცერცვივით. განგებამ ისე მოაწყო, ქართველის აღმართული ზღუდე ქართველსვე უნდა დაელეწა, მაგრამ დიხამინჯიასგან განსხვავებით, ყოველივე დაზი ჩიქოვანის კლუბის ბიჭებისგან საწინააღმდეგო შინაარსით იშიფრებოდა.

— ექსპერიმენტული საქართველო ტრამპლინი იყო მისთვის საერთაშორისო ასპარეზის მოსაპოვებლადო, — ასეთნაირი ასოთხმოცი გრადუსით შემოატრიალებდნენ დიხამინჯიას ვარაუდებს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ფასდაუდებელ ღვაწლზე მსოფლიო განიარაღების საქმეში.

— ნიკიტას ათიმთიმებულ ლოყაზე კოცნას არ მორიდებია იგი გვირგვინისკენ მიმავალი ბილიკების გასაკაფავად, — დუღდნენ მაჭრები, — ნახევარ საქართველოს ცხრაკლიტულებში უკრა თავი კორუფციასთან ბრძოლის საბაბით, რათა მისი პიროვნება უკეთ დანახულიყო, თორემ რა აზრი აქვს ფრჩხილისოდენა რესპუბლიკიდან ებრძოლო საბჭოეთის გიგანტი სხეულის მომწამლავ მექრთამეობას? ეს ხომ ავანტურასთან ერთად აბსურდია, ნონსენსიო, — ასეც იტყოდნენ.

თვითმფრინავის გამტაცებლების დახვრეტას ხომ დღეში ხუთგზის მაინც დაატრიალებდნენ. განსაკუთრებით ჩიხლაძე მღვდლის გაწირვის გამო წიწმატობდნენ, რომელსაც დანაშაულში ფიზიკური მონაწილეობა არც მიუღია,

კვეკვესკირის თავის გაგორებაში პეკეტეში გამომწყდეული როკის დადანაშაულებისა არ იყოს.

ეროვნული მოძრაობის შეუდარებელ მესაფლავეს ეძახდნენ და დიახაც იმსახურებდნენ უფროსი თაობის საყვედურებს დორო ჯიქიას თამადობით.

— თქვენ, შვილებო, ყველაფერს ვარდისფერი სათვალეებით უმზერთ, — ასრულებდა საუბარს ძაღვას შთამომავალი, — ამერიკის და ევროპის მონურ ტყვეობაში მოქცეულხართ. აღმერთებთ იქაურ საეჭვო ფასეულებებს და გმობთ ჩვენს ჭეშმარიტს. ჩვენ ის თაობა ვართ, მჭადით და ლობიოთი რომ გავდიოდით ფონს, თქვენსავით გოგლიმოგლით არ გვიცხონებია სტომაქი, მაგრამ ჰიტლერის გერმანიას ხომ დავამხეთ რაიხსტაგი თავზე?! რომ არა ჩვენი თავდადება და ძალისხმევა დღეს პორცერების და ზამბერგების მონები იქნებოდით.

— რუსის მონობას ყველაფერი ჯობია, — თქვა რენო ალ'შიბაიამ.

— მონობას არ ახასიათებს მეტნაკლებობა. მისი ზნედაცემულობის პიკი საკუთარი ძალების შეეჭვებასთან გადის. რა მნიშვნელობა აქვს რომელს ემონები: თათარს, რუსს, გერმანელს თუ ამერიკელს, როცა ყველა შემთხვევაში შენი სული, შენი მეობა გაჩანაგებულია, გასწორებულია მიწასთან? — ალაპარაკდა აქამდე გაჩუმებული პილა გეთია, — საკუთარი თავის მონობა უსაზიზღრესია ამათ შორის, რადგანაც ვერასდროს გადაგიდგამს გაბედული ნაბიჯი სამშობლოს სასარგებლოდ.

განა საკუთარი თავის მონობა არ არის ჯილაძე თავადის მიერ თორმეტი მღვდლის მიყიდვა თურქებისთვის საუკუნეების წინანდელ ოდიშში?!

მისიონერის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, იქამდე გადაგვარებულიყო ჩვენი საზოგადოება, ცოლსაც კი იმეტებდა ზოგი ქმარი სტამბოლის ბაზარში გასაყიდად. რამე მაღალი იდეალებისთვის კი არა, ვთქვათ და ზურაბის სურამის ციხეში ჩაშენება რომაა. გეკადრებათ?! უბრალოდ, კუჭის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

გასამრჯელოს სამად ჰყოფდა თურმე გულისხმიერი მეუღლე. ერთ წილს თავადს მიართმევდა, მეორეს — ქალის მშობლებს და მესამეს თვითონ იტოვებდა. ახლა ავხსნათ რამდენი უნდა ყოფილიყო ის თანხა, როცა თურქეთის ბაზარზე ტყვეების სიჭარბის გამო ქართველი ჭაბუკი ათი-თორმეტი მანეთი ღირდა და ულამაზესი ასული — თვრამეტი-ოცი. ისეთი რა საზრდო უნდა ეშოვა ერთბაშად იმ გარეწარს, საკუთარი ცხოვრება უზრუნველეყო მთელი სიცოცხლის მანძილზე უმდაბლესი ზნედაცემულობის ფასად?! შეიძლება კი ამისთანა ქვეყანა თავისუფალი იყოს, გნებავთ გარშემო არათუ იარაღის მოჟღარუნე, წყლის მიმწოდებელი ერთი მეზობელიც არ ჭაჭანებდეს?!

უწინარესი მონობა საკუთარი ბუნებიდან მოდის. როგორც კი სხვის ჭინჭებს გაადროშებ და მამაპაპურს, ათასწლეულობით გამობრძმედილს თვალს დაუხუჭავ, ყურს დაუხშობ, უკვე განწირული ხარ მონობის უღლისთვის, მაგრამ დღედაღამ ეროვნული, ჯანსაღი ტრადიციებით თუ იკვებები; ჩახრინწებული

ჯაზებისა და როკების მაგივრად, „ოდოიათი“, „ლილეოთი“ თუ „მრავალჟამიერით“ იმწყურვალებ სულს, ვერანაირი ხაჯალურიᲘ დაგიმონებს, დადიანურია ეს თუ რუსულ-ამერიკული, — დამოძღვრა ჯეელები პილა გეთიამ.

ჯანჯასებური ქათქათა ულვაშები გოროზ შესახედაობას ანიჭებდა ტანად მომცროს, და დღენიადაგ გაცისკროვნებული თაფლისფერი თვალებით, წყლისა და ზეთის იშვიათ ნაზავს ჰგავდა.

ასეთი კამათი პირველი და უკანასკნელი არ გახლდათ დაზი ჩიქოვანის საუფლოში. როდესაც ჯერი სამშობლოს რეალური განთავისუფლების გზებსა და მეთოდებზე მიდგებოდა, პაექრობის მოსმენა შეუძლებელი ხდებოდა, რადგანაც ცხოვრებაში ახალფეხშედგმულს თუ ჭიპმოჭრილს, ერთდროულად ეწადა თავისი ერთადერთი სიმართლის წარმოჩენა.

ამ დროს კლუბი ზუგდიდის სადღესასწაულო ბაზარს ემსგავსებოდა. აქ კი მართლაც მოთმინების ფიალა აევსებოდა ოცდამეერთე საუკუნის ჭადრაკის ჯადოქარს. მუშტებს დაუშენდა მაგიდას და ყალყზე დგებოდნენ ფიცხელი მერნები თუ თვინიერი პაიკები, თუმცა დღეს იქით დაასწრო მოვლენებს. ისარგებლა ქარიშხლის ამოვარდნის წინ გამეფებული დროებითი სიჩუმით და სიტუაციის სადავეები ხელთ იგდო.

— არც დამატებებს და შესწორებებს ვარქმევ ჩემ საუბარს, — დაზი ჩიქოვანი ლათინურ ფრაზებსაც იშველიებდა ფურორის მოსახდენად, —Შვუტვფ უე სწკᲨპუტვფ-ს, არც სრული სახით აღდგენას — integrum restatutio-ს და არც კიდევ მარადიული ცხოვრებისათვის —Ad vitam aeternam-ს, უბრალოა ჩემი გადაწყვეტილება, უმარტივესი და უკეთილშობილესი — ვეზირი! დიახ, ამ თემით შემოვიფარგლები არსებითად და გთხოვთ, პოლიტიკური ბატალიები ცოტა ხნით განზე გადავდოთ.

სწორედ ვეზირის ნაკლებობაა საკაცობრიო თამაშის რესტავრაციის მიზეზთა მიზეზი, ამხ... ბატონებო, ამ ათას ხუთასი წლის შემდეგ.

ვეზირის სარბიელი მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის გაძღოლით როდი ამოიწურებოდა. ერის მამანი იყვნენ ისინი ყველგან, ინდოეთსა თუ ეგვიპტეში, ჩინეთსა თუ იაპონიაში, რომსა თუ ნიდერლანდებში.

ვეზირის სამკურნალოა ყოველივე, რაც წამომუხლებას მოითხოვს: ჩამომტვრეული ტოტია ეს თუ ნაშალი ციხე-სიმაგრე, ობლის კვერი თუ დროშებწართმეული სამშობლო!

ტახტი უმეტეს შემთხვევაში მემკვიდრეობით გადადიოდა ნიჭიერი და გულადი მეფიდან ბატისტვინა, უნიათო უფლისწულში. მშობლის მოხნულს მემკვიდრე ტკეპნიდა, სახელმწიფო ამიტომაც ვერ მიიწეოდა წინ.

ვეზირი კი პიროვნული ღირსებების და უნარების შედეგია ყველგან და ყოველთვის, და აი, ერთ მშვენიერ დღეს ჩემს სიხარულს საზღვარი წაეშალა.

— ჯიბო საღორიელმა რომ გთეთქვა მანამდე თუ მერე? — ახიხინდა კვეკვე ანთარია, მაგრამ ფიფია და მიქავა აჯუჯღუნდნენ და ენამასწრამაც იყუჩა.

— სუფთა ქაღალდზე უნებლიეთ საკმაოდ პროპორციული კვადრატი ავაგე და ნელ-ნელა შევუდექი მის ცხრა ტოლ ნაწილად დაყოფას.

ჩემს წინაშე აღმოჩნდა ცხრა განზომილებიანი ცხრილი. თვალის ერთი შევლებითაც მყისვე მივაგენი მე ამ გეომეტრიული სხეულის ჭიპს, რომელიც, უკვე ჭადრაკის ენაზე თუ ვიტყვით, უ 5-ის ეკვივალენტურია.

მთელი არსებით მივაჩერდი ამ მდგრად და უძრავ წერტილს, როგორც სამყაროს, იდეათა საშოს, ყოველგვარი სიდიდის საყრდენს და სამკვიდრობელს. მერე თანდათან დავიწყე უჯრების შეფერადება ჰორიზონტალ-ვერტიკალის მიმართულებით.

ჩემდა საკვირველად აწ უ 5-მა უჯრამ კოორდინატთა სისტემის ღერძის თვისება აიტვირთა და მის გარშემო რვა-რვა უჯრა დაჯდა უნებლიეთ.

მე არ გამძნელებია მისი ამოცნობა. ეს გახლდათ ტიპიური ჯვარი, სტატიკურ მდგომარეობაში, სწორედ ისეთი, როგორზედაც ეცვა ჩვენი უფალი იესო ქრისტე.

რატომღაც დიდხანს შევრჩი თეოლოგიურ ჭვრეტას და მოულოდნელად მონუმენტური ჯვარი ადგილიდან იძრა. დიახ, აშკარად, თვალნათლივ ამოძრავდა საათის ისრების სვლის საწინააღმდეგოდ.

მე გული შემეკუმშა უნებურად, რადგანაც ოდესღაც, ძილ-ბურანსა თუ ნახევრადცხადში, გნებავთ, ჰალუცინაციებით პყრობილს, უკვე აშკარად რეალურში მეხმიანებოდა ოდინდელი მოლანდება, ხორცს ისხამდა სულ სხვა ბუნებით, მუნჯის ენაზე მელაპარაკებოდა ძეობილს და იძრა იგი, ტლანქი, მოუხეშავი ჯვარი, და ერთიანად დაძაგრული, კინკრიხოსა თუ თხემზე თმაჯაგრული გაფაციცებით მივადევნებდი თვალს ამ უცნაურ მეტამორფოზას ფარატინა ქაღალდზე.

გაოცებათა მწკრივს ახლა უპირატესი გულისძგერის გამხშირებელი განცდაც მოეძალა, ვინაიდან კოორდინატთა სისტემა თითქოს ერთბაშად გამომეცალა ხელიდან, თითქოს წამერთვა თვალწინმდებარე გასაგნებული ჯვრის სიმეტრია. იგი მთელი ორმოცდახუთი გრადუსით გადაიხარა ნ ღერძის უარყოფით სივრცეში, წაერთვა წეღანდელი სიზვიადე, სიმდგრადე, აუმღვრევლობა; წავიწროვდა, წაგრძელდა თითქოს და აქამდე კვადრატის ცენტრიდან რომ მიმზერდა მომნუსხველი აკადემიზმით თუ თავისთავში დაუნჯებული სიმშვიდით, საკვირველი სიბასრით აღიჭურვა, აი, ხორცსაკეპის მანქანის ენას რომ ახასიათებს, იმგვარად. თანაც შავ-თეთრი უჯრების კანონზომიერი მონაცვლეობა განქარდა უმალესად. უკვე სრულიად აშკარად, სრულიად ხელშესახებად საჩინოვდებოდა ჩემთვის კვადრატის დიაგონალებზე დამკვიდრებული ჯვრის ჩარუხებული სილუეტი და მაშინ უნებლიეთ ნიკაპი ამითრთოლდა: თვალნათლივ ვიგრძენ როგორ შემეხო უფლის ხელი და სული, აბრეშუმის ქსოვილზე სანდომიანი და სათნო.

— საწყალი! — ჩაილაპარაკა კვეკე ანთარიამ, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი ქარავნის კვალობაზე მაინც განაგრძობდა:

— მე უკვე აშკარაზე აშკარად ვამჩნევდი მარადიული მოძრაობის კანონს, რომელიც არც კი ვიცი რა ძალამ აამოქმედა ჩემს თვალწინ, ჩემს არსებაში, ზენაარმა თუ ყმაწვილობის კოშმარულ სიზმარში გამოცხადებულმა.

არ ვჩქარობდი აბსტრაქტულად გამოსახული ჯვრის მეზობელი უჯრედების შეფერადებას. არა, ნამდვილად არ ვსულსწრაფობდი და მოგვიანებით ჩემს ნაღვაწ უჯრედებიან სივრცეს რომ დავხედე:

ჭადრაკი! ჭადრაკი! მიკივლა გონებამ. დიახ, ცხრაგანზომილებიანი ჭადრაკი გაცოცხლებულიყო ჩემს წინაშე და უკვე წინასწარმეტყველის ტკბობით ვესათუთებოდი. აწ არ გამჭირვებია წარმოსახვითვე ტრადიციულთან მისი დატოლება. არაფრად ვაგდებდი მორჩენილ კვადრატებს, რადგანაც ვიცოდი, ადრე თუ გვიან ისინი ჭადრაკის ფუნქციით დაიტვირთებოდნენ. დიაგონალური ჯვარი კი თავისთვის ბრუნავდა და ბრუნავდა.

ჯვარი ქრისტიანული როდია ამს... ქს-ქს... ბატონებო. მისი ძირები უხსოვრობაში იკარგება. მხოლოდ ჯვრის ტრიალით წარმოიქმნება ბორჯღალი ფეიერვერკებზე რომ გვიხილავს მექსიკურ ფილმებში მოოქროვილი კუდებით კოშკების თავზე. ჯვარი იგივე ადამიანია თავისი ანითა და ჰოეთი.

აქ მოყოლილის მთელი არსებით განცდისას „ყურანი“ ამიყმუვლდა ყურებში აზიური დოგმატიზმით:

„ჯოჯოხეთში ჩააგდეთ ყოველი ინდიანი ურჯულო, რომელიც კეთილის წინააღმდეგი იყო, სჯულთა არღვევდა და იჭვნეულობდა, რომელიც ღვთის თანაბრად სხვა ღმერთებს ამკვიდრებდა, საშინელ ტანჯვაში ჩააგდეთ ეგეო“, მაგრამ როგორ, რანაირად შევჩერებულიყავი, როცა ჯვარი ჯორდანოსებურად ბრუნავდა?!

ისე კი ჩაგდებულია და მერე როგორ, მუსულმანურ თუ ქრისტიანულ ჯოჯოხეთში კაცობრიობა სრული, ჯვრის პრინციპებიდან გადახვევის გამო, ანუ სიმეტრიული ცხოვრების უარყოფის წყალობით.

დისჰარმონიული გახდა ჩვენი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი, დასცილდნენ ერთმანეთს.

სინქრონულობა წაერთვა სულიერს და მატერიალურს.

საკუთარი ხელით შექმნილმა ურჩხულმა ყელში წაუჭირა შემოქმედს თვისას. ლამის არის სული ამოხადოს და კუვეიტის ნავთობი, რომელიც კუვეიტში ამოიქაჩება, სავალალოდ მხოლოდ კუვეიტის აყვავებას ხმარდება, თითქოს და დედამიწის დანარჩენი მოსახლეობის საკუთრება არ იყოს.

ასიმეტრიულია ჩვენი ცხოვრება მრავალი ასპექტით, მაგრამ როცა სნეულება დადგენილია, დიაგნოზი — დასმული და წამლის რეცეპტიც ხელთა გვაქვს, ვფიქრობ, იმ უებარი საშუალებათა დამზადება საერთო ძალისხმევით არ გაძნელდება.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ თავისუფლება? საით წავიდეს, რა იღონოს ჩვენმა ქვეყანამ ვეშაპების გარემოცვაში? — იკითხა გაბო მიქავამ.

— მაცალეთ და მაგაზეც მოგახსენებთ, — დაზი ჩიქოვანი ჭადრაკის დაფანტულ ფიგურებს დაფაზე განალაგებდა, თან სიცილ-სიცილით საუბარსაც არ წყვეტდა, — მე ჩინებულად მესმის როგორ ამიხირდებიან ჭადრაკის მწარმოებელი ფირმები და მაგნატები, რომელთაც უკვე ათასობით ყუთი დაუმზადებიათ, მართალია, შეფერადება ვერ მოუსწრიათ.

— ისინი რამდენადმე მოგებულნი დარჩებიან, — თქვა კვეკვე ანთარიამ.

— აბა?! — დაუმოწმა დაზი ჩიქოვანმაც, — გამოთვლილია ჭადრაკის ყუთის სივრცისა და ფიგურების პროპორციული შეთანაწყობა, რომელსაც ჩემი თეორია ხელის ერთი მოსმით აცამტვერებს. ნიავ-ქარს ატანს მათ ბიზნესური ზრახვებს: ძველი, სამოცდაოთხ უჯრიანი დაფის თუნდაც ოთხმოცდაერთ მონაკვეთად დაყოფის შემთხვევაში ოთხი ფიგურის წამატების გამო წინდებული გაბარიტებით თამაში მოუხერხებელი ხდება. საჭირო შეიქმნება ახალი კოლოფის დამზადება, ან თავად ამ ფიგურათა პარამეტრების შემცირება, მოკლედ, ერთ-ერთს უსათუოდ უნდა შეელიონ ისინი, მთლად რომ არ გაკოტრდნენ.

უფრო რთულად წაგვივა საქმე უშუალოდ გროსმაისტერებთან, ოსტატებთან, კომპოზიტორებთან, თვით ლიფსიტებთანაც კი; ერთი სიტყვით, თუკი ბიზნესმენები ვითარებიდან გამომინარე, სწრაფად აუღებენ სიტუაციას ალღოს, სხვებთან გაგვიჭირდება შეჩვეული ჭირის გადათქმევინება, რომლებიც ათას ხუთასი წელიწადია შეეთვისნენ თავიანთი იდეების სამოცდაოთხ უჯრაში დემონსტრირებას.

აბა, როგორ, ლამის აბსოლუტურ ჭეშმარიტებად შერაცხული კომპოზიციები, თვალწარმტაცი ამოცანები და ეტიუდები თითქოს პატივაყრილი წარმოჩინდება და ცხადია, ჩვენც მეტი სიფრთხილე გვმართებს, მათი არც თუ უსაფუძვლო თავდასხმებისას, მაგრამ ჭეშმარიტების დადგენის ჟამს არასოდეს მიუგდებენ ყურს სავარაუდო შედეგებს, ვინაიდან ჭეშმარიტება არ ცნობს გარემომცველი სამყაროს სიმპათია-ანტიპათიას; ჭეშმარიტება დატვირთული ქარავანის მსგავსად ჯიუტად მიაბოტებს არჩეული გზით და ქოფაკების გულისგამწვრილებელ ღავღავს აინუნშიაც არ აგდებს, თუმცა გენიოსები ხელად იყნოსავენ არსებითის ყოვლისმომცველობას; გნებავს თუ არა, შენი თანამგზავრები ხდებიან. რომელი ბორკილით აპირებ მერე მათ დაოკებას, უჩინარით თუ ხილულით?! უმაქნისია ორივე. მით უფრო მორფები, ტალები, ფიშერები და კასპაროვები და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი, ამ ცხელ გულზე რომ არ მახსენდება, ირეალურის თუ ცხადის საწიერიდან გაფაციცებით შემოჯარვიან ახლა საბრძოლო არენას და მოუთმენლად ელიან წამოჭრილი საკითხის გადაწყვეტას.

მე ვგრძნობ უკიდურეს მოვალეობას წარსულისა და მომავლის წინაშე და თვალსაც არ ვახამხამებ ისე, სიყვარულითა და პატივისცემით მიმოვსწევ ტრადიციული ჭადრაკის ჩარჩოებს, ორ-ორ ფიგურას წავუმატებ საომარ ლელოს და ვქმნი სამყაროისეულ მოდუსს, რომელიც ყველაფრის მომცველია, ანგრევს დედამიწის მიზიდულობის კანონს და კოსმოსური ხომალდივით იჭრება სივრცეში, რამეთუ თავად სამყაროს კანონზომიერებათა გათვალისწინებითაა იგი ნაკარნახევ-ნაბრძანები და არა ვინმე საერთაშორისო ოსტატის — დაზი ჩიქოვანის ახირებულობით.

ბიჭებმა და ხანდაზმულებმა მხოლოდ ახლა შენიშნეს თვითნაკეთი დაფა, ორი უჩვეულო ფიგურათი მეფეთა ხელმარჯვნივ, მიავიწყდათ დროებით საქართველოს თავისუფლების პრობლემები და გაფაციცებით მიაჩერდნენ ოცდამეერთე საუკუნის ჭადრაკს.

— მაშ, ასე, მივყვეთ მსჯელობათა ჯაჭვს, — დაზი ჩიქოვანს მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი, სანამ სათქმელს ბოლომდე არ მოილევდა, ტრიბუნას არაფრით დათმობდა, საამისოდ თუნდაც საზოგადოების ქუჩაში გაყრა დასჭირვებოდა და ცარიელი კედლებისთვის ეხათქუნებინა სიტყვები, — ჭადრაკი ცხოვრების მიკრომოდელი რომ არის, დიახაც მოეხსენებოდა მის კონგენიალურ შემქმნელს, რომელმაც ყოველ უჯრაში გაორმაგებული ხორბლის მარცვალი მოითხოვა ყეყჩი რაჯასგან და რა დღეშიც ჩავარდა სამეფო კარი იმ ერთი მარცვლის გამო, მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილია. არა, ამ... ჰმ, ჰმ, ბატონებო, დანარჩენი ჩვიდმეტი უჯრისათვის მე მანეთს ვინებებდი თითოეულში, ოღონდ — გასამმაგებით, ანუ ასოთხმოცდაშვიდ მილიონ და რაღაც კაპიკებს, რადგანაც ასჩვიდმეტ მანეთხელფასიანი კაცისთვის არანაკლები საზღაური იქნება ფვ რწტწკშთ8 ესე. ამისთანა თანხა იგივეა, რაც კოსმოსური ხომალდი ააწაპნო საბჭოეთს, გნებავთ — შტატებს. ნუთუ ჭკუადაუნჯებული მსოფლიო ისე გაწუწკდება, რომ დაზი ჩიქოვანისთვის ეს მიზერული თანხა შეინანოს?! პირიქით თუ მოხდა ვიტყვი, არა, ა... ბატონებო-მეთქი, ერთობ გაღარიბებულა ჩვენი პლანეტა და მეც გეგმებს ოცდამეერთე საუკუნესთვის გადავებ. მოკლედ, ხუმრობა იქით და დავსძენ იმას, რომ ტრადიციულ ჭადრაკის მეფეს გააჩნია ორი მხარე: იღბლიანი და უიღბლო, მარჯვე და მოხერხებული, როგორც ნებისმიერ ადამიანს საერთოდ. ამისთანა მხარე ჩვენს შეიხსაც მოეძევება მოკლე როქის მიმართულებით, — ამბობდა დაზი ჩიქოვანი და თვალსაჩინოებისთვის კედელზე მიკრულ დაფაზე ფიგურებს დაასრიალებდა, — მხედრის ბარიერებს გადავლება, კუს გაჩოჩიალება და მოკლე როქით იგი სამშვიდობოსაა საომარი ბატალიებიდან.

მეფის კარზე დედოფალზე პრივილეგირებული პიროვნება გამორიცხულია. ყოველ კუთხე-კუნჭულს წვდება მისი გამჭოლი მზერა. დედოფლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული მინისტრების დანიშვნები თუ მოძრობანი, იოანე ნათლისმცემლის თავის გაგორება და ვინ მოსთვლის, მაგრამ ლაზიერი

უსუსურია მხედრის მიმართებაში. იგი ჭირივით ვერ ჰგუობს ამ ჯიშიან ულაყს, რადგან ერთი ჰორიზონტალიდან მეორეზე გადახტომა არ ემარჯვება, აღარ შეუძლია. მისთვის კუნძისხელა წინაღობაც კი კავკასიონის მთაგრეხილია. ლაზიერი ხომ კუსა და ეტლის კომპოზიტია?! მაშ, რატომ დარჩა მხედრის სვლები უფუნქციოდ? რატომ არ გაითვალისწინა ეს ჩემმა გენიოსმა წინამორბედმა? — დაზი ჩიქოვანმა მსმენელებს თვალი მოავლო და როცა დარწმუნდა, დამსწრე საზოგადოება თვით პროფესორ როინ ბერულავას ჩათვლით, მოსათმენ დონეზე უგდებდა ყურს, მეტი სითამამით განაგრძო, — როგორც ჩანს, ათას ხუთასი წლის წინათ მან ჩინებულად გათვალა დაზი ჩიქოვანის ერთობ შეჭირვებული მდგომარეობა, სამი ქალიშვილი გასამზითვი რომ მყავს და მცირედი საზრდო დამიტოვა, თორემ განა თავად გაუჭირდებოდა საქმის დამში მოყვანა?!

მართალია, იტალიელმა პიეტრომ დამასწრო სამასი წლის მიღმა და ეტლს პლუს მხედარს კამპიონი უწოდა, თუმცა იგი არ არის იმ ლოგიკით გახედნილი, რომელი ლოგიკითაც დაზი ჩიქოვანი აღაშენებს იპოდრომებს მომავლის ჭადრაკისათვის.

ლაზიერი ერთადერთი ფიგურაა, აინშტაინისებური ფარდობითი განუსაზღვრელობით რომ დაქრის ჭადრაკის უკიდეგანო სივრცეში, და რახან დავუშვით გამონაკლისი მხედრისთვის, რაღა მაინცდამაინც სუსტის გამონაკლისი?!

მაშ, ვინ უნდა დაუპირისპირდეს ლამაზკოჭება დედოფლის კაპრიზებს? ეტლის წყვილეული?! არაფერიც, ბატონებო! სიბრძნით და გონიერებით დამძიმებული ვეზირი, რომელიც მაჯაზე იხვევს სახელმწიფოს წარმართვის ყველა ძირითად აღვირს.

ხანდახან მას თავისდახრაც მოუწევს მეფის წინაშე დედოფლის ანჩხლობათა გამო, მაგრამ მხოლოდ წამიერად, ვინაიდან საქვეყნო საქმენი დიახაც მოითხოვენ მისგან საზრიან ქმედებებს, გნებავთ საკუთარი თავის გადახტომა რომ ჰქვია სახელად, და აი, იშვიათი ფხიანობის წყალობით ვეზირი მართკუთხოვანი მალაყებით ახერხებდა და ახერხებს, როგორც საკუთარი, ისე — ქვეყნის თავ-კისრის ერთიანობას.

მაშ, ასე, მომავლის ჭადრაკის დაფაზე ფიგურებმა მიმოიხედეს და იცოტავეს არენა, — დაზი ჩიქოვანს სამოცდაოთხუჯრიანის გვერდით მომავლის ჭადრაკიც გამოემზეურებინა. ფიგურებიც ისე განელაგებინა, როგორც ჩვეულებრივ ჭადრაკზეა, — თანდათან ჩაჩოჩდნენ მეფის მაგნიტური არედან. ან რა შეუსაბამობაა, როგორი ანაქრონიზმი? დედოფალი მეფის გვერდით კანონზომიერია, მაგრამ ვინ არის კუ, თანაც ხელმარჯვნივ, ღვთიურ ადგილას?! აი, ვეზირი კი სულ სხვა ამბავია. მოკლედ, როცა ფიგურებმა ძალდაუტანებლად იწყეს ადგილმონაცვლეობა, მეფეთა ხელმარჯვნივ დინჯის ნაბიჯებით დამკვიდრდნენ ქვეყნის გონივრულად წარმმართველი ვეზირები და

უკვე მომავლის ჭადრაკმა აბსოლუტური წონასწორობით გაიზმორა, — გაცრეცილი კოსტუმის ჯიბიდან თვითნაკეთი ვეზირების შავი და თეთრი ფიგურები ამოიღო, ცარიელ უჯრებზე მიამაგრა, — როგორც შენიშნეთ, მეფე სასწორის ღერძის პირველი და მეცხრე ჰორიზონტალების ცენტრში მოექცა და სრულიად სამართლიანად აღადგინა ჭადრაკზე მსაჯულის წლობით მივიწყებული უფლებამოსილებანი.

ახლა განვსაზღვროთ ხელმწიფესთვის რომელი ფრთაა უფრო მთავარი?

სამეფო კარზე უკვე დედოფალი არ არის აბსოლუტური ფიგურა. მას აქამდეც აკლდა მხედრის მოხერხებულობა, მაგრამ მობრძანდა გამჭოლითობას მოკლებული ვეზირი, სამაგიეროდ უსაფრთხოების წრეწირის შემომხაზველი საკუთარი ხელისუფალის გარშემო, და ლაზიერის თავნებობაც რამდენადმე აილაგმა.

აბსოლუტური არც ვეზირია საჭადრაკო სივრცეში: მხედრის გადახტომებით აღჭურვილს აკლია კუს სიბასრე, თუმცა მართკუთხოვნული აზროვნებით ცხებულ ვეზირს სასწაულების დატრიალება ძალუძს, როგორც ჭადრაკის დაფაზე, ისე — რეალურ ცხოვრებაშიც.

ამასობაში მომავლის ჭადრაკის ბუნებიდან გამომდინარე დედოფლის გვერდით ადგილები გაცვალეს მხედარმა და ოფიცერმა და დაჭიმული მშვილდ-ისრის მოლოდინით გაირინდა ჩაყურსული საომარი ლელო. მხედრის თვისებით აღკაზმულ ვეზირს ეიოლება თავისი მეფისთვის სივრცის უმალესი გამონთავისუფლება, ასე რომ, მოკლე როქი აქაც ძალაში რჩება შინაარსობრივად. ასევე ჰორიზონტალგამოტოვებით მხედრის მეტს რომელს შეეძლება მკერდზე აეფაროს მეუფეს თვისას?! — კითხვიანი მზერა მოავლო და გაბრუებული მსმენელებით გულმოცემულმა თვითვე უპასუხა, — არავის, ვეზირის მეტს, ბატონებო! მოჭრილად რომ ვთქვათ, ჭადრაკის დაფაზე დამყარდა აბსოლუტური წონასწორობა. ორ- ფრთად, მეფის და ლაზიერისად დაყოფილი ტრადიციული ჭადრაკი სიმეტრიულ ღერძზე, მეფის იდეალზე დამყარებულ მომავლის ჭადრაკად მოგვევლინა, — როცა ამას ამბობდა აღელვებული მიმოდიოდა დაფებს შორის და მოკლე, პრიალა ჯოხით სინათლე შეჰქონდა გადამღლელ საუბარში, — მეფეები პირველი და მეცხრე ჰორიზონტალების ცენტრშია, დედოფლების ინტრიგებსა და ვეზირთა გონიერებას შუა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, მაცხოვარს საერთოდ მარჯვენა მხარე გაცილებით ეიღბლიანება და აქაც ვეზირი უკეთესი საყრდენი ძალაა.

თითო პაიკის შემომატება მომავლის ჭადრაკის დაფაზე ლამის შეუმჩნევლად მოხდა, მაგრამ ორი ვეზირის დამკვიდრებამ სულ სხვა ტალღებით წააქანა დღევანდელი ჭადრაკი.

გამოჩნდებიან ჩარლზ ჩაპლინის მსგავსი გენიოსები, რომლებიც ხელა-

ღებით დაგმობენ აქამდე მუნჯი, ტრადიციული ჭადრაკის ახმოვანებას, მაგრამ ამეტყველებულ კინემატოგრაფს ენა რომ ვერავინ დააძრო?! — დაზი ჩიქოვანმა ჯოხიანი ხელით ოფლი მოიწმინდა გათარანებული შუბლიდან, — ოცდამეერთე საუკუნე ხომ ინფორმაციათა დაწნეხის, კომპიუტერიზაციის ეპოქაა, რომლის შესაძლებლობანი, ცხადია, სასიკეთოდ, ატომივით იფეთქებს კაცობრიობის თავზე ხვალ-ზეგ, — მიმართავდა პროფესორ ბერულავას, თითქოს მისგან დასტურს ელისო, — ამისთანა შემთხვევაში ტრადიციული ჭადრაკის კოჭლობა თვალში საცემი შეიქმნება.

ახლავს ამ საქმეს ერთობ საჭოჭმანო თეზა: ღვთაებრივის დარღვევის ბრალდებები, მაგრამ განა ისევ ჭადრაკის სიფვარულმა, მისი მომავლის მასშტაბურობის მოხილვის სურვილმა არ გვიბიძგა მსგავსი ნაბიჯისკენ?! დაბოლოს, ცივილიზაცია თავად განსჯის მიიღებს თუ არა ლაზარესავით აღდგინებულ ჭადრაკს.

რაც შეეხება ვეზირის ხმოვანებას, ჟღერადობას, იგი აკუსტიკით რამდენადმე შეესაბამება თავის ალტერნატიულ მეტოქე ლაზიერს. ხოლო ასონიშანი ზენის გაბმულობით მინიშნებულია მისი კავშირი უსასრულობის სიმბოლოსთან, რვიანთან და რაც მთავარია, დაცულია ტოლძალოვნება მეფის მარჯვენა და მარცხენა მხარეთა შორის: შინაგან ძვრებსა და სახელმწიფო ინტერესებს, სიფვარულსა და მოვალეობას შუა. აქ უკვე ჭადრაკი დატვირთულია არა მარტო სოციალური, არამედ — ფსიქოლოგიური მომენტებითაც. ფაქტი ერთია, მომავლის ჭადრაკზე ლაზიერის შესაძლებლობანი გაცილებით გაიზრდება, მას უკვე ოცდაშვიდის მაგივრად ოცდათორმეტი სვლის გაკეთება შეეძლება და კვლავაც დარჩება ერთ-ერთ უძლიერეს ფიგურად, თუმცა არა — აბსოლუტურად, უალტერნატივოდ.

ლაზიერს დაუპირისპირდება რვა სვლით ნაკლები ვეზირი, ქვეყნის ინტერესების ქომაგი, ოცდაოთხ სვლიანი მხცოვანი კენტავრი ქურუმი. თუ დედოფალი ეტლს პლუს კუ გახლავთ, ვეზირი — ეტლს პლუს მხედარია! თანაც მომავლის ჭადრაკში რამდენადმე წონასწორდება ეტლისა და კუს სიმძლავრეები. თუკი ტრადიციულში მათი შესაძლებლობანი თოთხმეტი და ცამეტი სვლაა, მომავლის ჭადრაკში ორივეს ძალმოსილება თექვსმეტს გაუთანაბრდება.

ახლა მივუბრუნდეთ ტრადიციული და მომავლის ჭადრაკის პრპორციებს. როგორც აღვნიშნეთ, სამოცდაოთხუჯრიანი ჭადრაკი პოლიცენტრულია. ცენტრის ფუნქციას აქ ასრულებს ოთხი უჯრა: Ვ§ბ Ვ:ბ Უ§ და Უ:ყ ოთხი უჯრის ერთდროული ცენტრობა დასაშვებია, ვინაიდან ასეთნაირად მიიღო იგი წლების მანძილზე ჩვენმა გონებამ. სხვათა შორის მსგავსი სიტუაციაა პიეტროს ასუჯრიან ჭადრაკშიც, მაგრამ სამომავლოს მიხედვით ასეთი საყრდენი ნაპოვნია და ეს გახლავთ Უ:, ბატონებო: ადამიანის სიმბოლო საერთოდ; ადამიანისა, რომელიც როგორც აქამდე გაგვიმხელია, ხუთგანზომილებია-

ნია და მამრისა და მდედრის ერთობლიობითღა აღწევს სრულყოფილებას. — დაზი ჩიქოვანმა აზარტული საუბრით ჩახრინწიანებული ხმა რამდენიმე ჩახველებით ჩაიწმინდა, — კაცობრიობა წინ მიჰყავდათ რაციონალიზატორებს, რეფორმატორებს: დონ კიხოტებს, მაგელანებს და ვესპუჩებს, გაგარინებს და აინშტაინებს, ბორბლისა და ჭადრაკის გამომგონებლებს და თუკი მისი სრულყოფილებისთვის რაიმე სიტყვის დაძვრა გავბედე, იმ ერთადერთი უფლებით, რომლითაც ეს ზიარებულნი სარგებლობდნენ.

მაშ, ასე, თქვენს წინაშეა მომავლის ოთხმოცდაერთ უჯრიანი ჭადრაკი ორი რვა-რვა სვლიანი მეფით, ორი ოცდათორმეტ სვლიანი ლაზიერით, ორი ოცდაოთხ სვლიანი ვეზირით, ოთხი თექვსმეტ-თექვსმეტ სვლიანი ეტლით, ორი თექვსმეტ-თექვსმეტი და ამდენივე თოთხმეტ-თოთხმეტ სვლიანი კუთი, ოთხი რვა-რვა სვლიანი მხედრითა და თვრამეტი ცნობილი შესაძლებლობის პაიკით. აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მომავლის ჭადრაკში ლაზიერს ხელმარცხნივ ედგომება მისი ბუნების უკმარისობა — მხედარი, როგორც ვეზირს საკუთარი უძლურობის შემავსებელი ძალა — კუ და ჭადრაკის გარეგნული სიმეტრიულობა შეიცვლება შინაგანი სრულყოფილი აკუსტიკურობით. გონიერი თამაში ჭადრაკი დაემორჩილება ბუნების უზოგადეს კანონებს, ლამის მიუახლოვდება არქიტექტონიკით უკვდავ ,,ილიადას''. და კიდევ ერთიც, შავ და თეთრ კუთა მოძრაობანი ვერტიკალებზე: Ш5 უჯრიდან თეთრ კუს თექვსმეტი სვლის განხორციელება შეეძლება, როცა З:ბ Ш,ბ ა: და Ш§ პოზიციებიდან შავ კუს მაქსიმუმ თოთხმეტი სვლის გაკეთება ძალუძს. ეს ორი ზედმეტი სვლა აქტივში ჩავუთვალოთ ვეზირს. მის ფრთაზე უკვე ორი ერთეულით ნაკლები ძალაა ლაზიერის ფრთასთან შედარებით და მათი საერთო სხვაობა რამდენადმე შემცირდა. ასევე საინტერესოა თეთრი კუს შეუღწევადობა დიაგონალში, როცა კუ შავის მარშრუტი რ№ბ Ш,,ბ Ი? და Ф; ჯადოსნურ წრედს კრავს.

შეხედეთ, შეხედეთ, — ჯოხის მოძრაობით უხსნიდა თავდამძიმებულ აუდიტორიას დაზი ჩიქოვანი, — ძირითადი თავისებურებანი მომავლის ჭადრაკისა დახატულია. შეგვეკამათებიან კუ-მხედრის ტრადიციული განლაგების დარღვევის გამო, მაგრამ მომავლის ჭადრაკის ბუნებიდან გამომდინარე ეს ბრალდებანი უსაფუძვლოა, ბატონებო.

მეფის ძლიერი, ქუდბედიანი მარჯვენა ვეზირია, დედოფალი კი რჩება ტრადიციულ ადგილას, მხოლოდ მის გვერდით მოხდება მხედრისა და კუს ადგილმონაცვლეობა, რათა გაირკვეს შემდეგი მიზანდასახულობა: მხედარი და ლაზიერი მაქსიმალური ზესრულყოფილებაა სამეფო კარზე, რომელიც უტოპიურია დორო ბაბუას კომუნიზმივით. ასევე ზეჰარმონიულობაა ვეზირი და კუ, მაგრამ რადგანაც არც ლაზიერს მოეთხოვება აპოლონობა და არც ვეზირს — მილოსელობა, ერთი სრულფასოვანი მდედრია, მეორე —

სწორუპოვარი მოაზროვნე, გამოკვეთილია მათი იდეალური არსებობის განუხორციელებლობა.

ერთი სიტყვით, მხედარი S1-ითა და ლაზიერი З1-ით შექმნილია ილუზია კომპოზიციური სრულყოფილებისა. ასევე ირაციონალურია ვეზირი А1-ისა და კუ П1-ის მოჩვენებითი ტანდემურობა. მართალია, ვეზირი ლაზიერზე რამდენადმე ნაკლებძალიანია, მაგრამ მისი სახით საჭადრაკო აზროვნებაში შემოიჭრება უორიგინალურესი ფიგურა ეტლს პლუს მხედარის სახით და ვნახოთ, სამერმისოდ როგორ ქარტეხილებსაც დაგვატეხს თავზე.

მომავლის ჭადრაკის დაფაზე, ბატონებო, არ გვეყოლება ერთადერთი უნიკუმი: ეტლს პლუს კუ და პლუს მხედარი, მაგრამ ასეთი სრულქმნილება ჩვენი უფალია თავად, ანუ ერთმანეთს ათასი ძაფით გადაკვანძული ჭადრაკის თამაშის პროცესი. და რომც შექმნილიყო მსგავსი საჭადრაკო სიდიდე, დაირღვეოდა წონასწორობა მეფის მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს შორის ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით.

სულ ცოტაც და უფრო საინტერესო საუბარზე გადავალთ, — თქვა დაზი ჩიქოვანმა, როცა მსმენელების ნაწილს მოუსვენრობა შეატყო, — მომავლის ჭადრაკში მეფის მარცხენა მხარეს გროვდება უჯრათაპყრობის შემდეგი პოტენცია: ლაზიერ ოცდათორმეტს პლუს ეტლი თექვსმეტი, პლუს კუ თოთხმეტი და მხედარი რვა, სულ საჭადრაკო სივრცის სამოცდაათი უჯრით პყრობის შესაძლებლობა, ხოლო მარჯვენა მხარეს თავს იყრის — ვეზირ ოცდაოთხს პლუს ეტლი თექვსმეტი, პლუს კუ თექვსმეტი და პლუს მხედარი რვა, ანუ სამოცდაოთხი წერტილის მოხელთების უნარი. სხვაობა ამ ძალთა შორის ექვსი პირობითი სვლაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ როქის გერგილიანობას, თამაშში ვეზირის მხედრისეული ნახტომებით ჩართვის წყალობით, ვფიქრობთ, კომპესირებულია ნაკლული ექვსი სვლა. არა და ტრადიციულ ჭადრაკში ლაზიერის უპირატესობა მთელი ჩვიდმეტი უჯრით განისაზღვრება მოკლე როქის საპირისპიროდ.

ასეთი და ამგვარია, ბატონებო, მომავლის ჭადრაკის ხასიათი, ბუნება, სივრცე და არქიტექტონიკა. აქ წარმოდგენილ ჭადრაკს ჩვენ ვტვირთავთ მამულიშვილური მისიით, იავარქმნილი სამშობლოს აღორძინების თვალსაწიერიდან, რომელიც სრულ ჰარმონიაშია ზოგადკაცობრიულ იდეალებთან.

ხომ ხედავთ, ბატონებო, როგორ წერილებს აქვეყნებენ პრესაში მამა იონა, გიორგი ნუნისელი, ალექსანდრე ჩუბინიძე, მერაბ მამარდაშვილი, სხვანი და სხვანი.

როცა სამების ძალმოსილებით შეიკვრება ქართლურ-მეგრულ-ლაზურ-სვანური მეტყველება, მისი გრაფიკული გამომსახველობა ლექსიკის სახით, ათ მილიონს გადააჭარბებსო, ამტკიცებენ. ეს განცხადება მანიაკის ფანატიკური აზროვნების პირმშო როდია; გვექნება დრო ამის დასასაბუთებლადაც. ასევე, როცა დადგენილია გენეტიკური კავშირი ნოე-იოანესა და ქრისტეს შორის, ევრიკას წამოძახილამდე ბევრი არ დარჩა.

ან კიდევ რაჟამს გადაშენებულია დაჩოქილი ცოტნეს ავადსახსენებელი მონუმენტი როკი ოდიშელიასა და თქვენი მეშვეობით ბიჭებო, — გაიშვირა ხელი დაზი ჩიქოვანმა კუთხეში მოკალათებული ახალგაზრდებისაკენ, — და ზუგდიდის ჭადრების ხეივნის თავსა თუ სხვაგან, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, საბურველი აეხდება კოხტაგორას გმირის ომახიან ძეგლს, დამზრალი ხეებიც კი წამიერად თითისწვერებზე შედგებიან მოახლოებული გაზაფხულის იმედ-ნუგეშით; დაბოლოს, ნონა გაფრინდაშვილის სულიერი მემკვიდრე თაობის აღსაზევებლად უკუნეთს გამორიდებული მომავლის ჭადრაკის მგოსანს, ვინმე დაზი ჩიქოვანს, ბატონებო, ალბათ, მაქვს პატივი, მთელის პასუხისმგებლობით განვაცხადო: ლაზარე აღდგინებულია-მეთქი!

— ერიჰა! — შესძახა კვეკვე ანთარიამ, — დეარია.8 ვერბალური ონანიზმი ვეზირის ჩალმაში, — პალტოს კარაკულიანი საჟლო აიწია, — კი, მაგრამ მეფეები?! მეფეებს რას უშვრები?! თეთრიც შავ უჯრაზე დაგისკუპებია და შავიც.

— გიპოვნია თვალში ბეწვი, — გაიღიმა შეცბუნებულმა დაზი ჩიქოვანმა, — ქვეყნის წინამძღოლი თერგვერემანია თუ შავგვრემანი, მისი ტვირთი, მისი საწუთრო სოფელივით ბინდისფერია, რომელიც უფრო და უფრო ბინდდება. არ გამიკვირდება მოჟარულებს ცოტათი გაგიძნელდეთ მომავლის ჭადრაკის არსში ძირისძირამდე ჩაწვდომა, მაგრამ ახლა მოდით, სხვა თემაზე გადავიდეთ და საერთო ძალისხმევით ვცადოთ ჩვენი ქვეყნის ბედის თუ უბედობის ჭადრაკის ენაზე ამეტყველება.

— ეგ როგორ? — გამხიარულდა კვეკვე ანთარია.

— სრულიად ჩვეულებრივად, ჭადრაკი ხომ ცხოვრების ანარეკლია, მისი სიმბოლო. დავუშვათ, რომ თეთრი ფიგურებით ქართველები ვიბრძვით, შავით? ამოირჩიეთ მოწინააღმდეგე.

— თურქები, — თქვა დორო ჯიქიამ.

— ირანელები, — სიტყვა ჩამოართვა რენო ალშიბაიამ.

— არა, არა, უფრო მიზანშეწონილი რუსებია, — თავი გამოიდო გაბო მიქავამ.

— ნუ დავობთ, სამივე დაკმაყოფილდებით! — დააშოშმინა დამსწრე საზოგადოება დაზი ჩიქოვანმა, — ძალთა თანაფარდობას თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ მეტოქე-მეზობლებთან, აღმოჩნდება, რომ პროპორციები ისეთ მიმართებაშია, როგორც ერთი ოცდაათთან, ერთი — ოცთან, ერთი — ათთან. ბატონებო, თქვენი შეხედულებით, რა არის უმთავრესი ომში?

— იარაღი! — წამოიძახა გეგე თოდუამ.

— ჯარისკაცის მხედრული სულისკვეთება, — დააკონკრეტა გაბო მიქავამ.

— სტრატეგია, — მოსჭრა თორი ფიფიამ.

— ინფორმაცია, — ბრძანა საშუალოზე ოდნავ მაღალმა, პირმრგვალმა როინ ბერულავამ.

— ფული! — ჩაიხიხინა კვეკვე ანთარიამ.

— სრული ჭეშმარიტებაა, — დინჯად დაეთანხმა გამოცოცხლებულ დარბაზს დაზი ჩიქოვანი, — ამ კომპონენტების გარეშე ჭირს ბრძოლის მოგება საერთოდ, მაგრამ უამრავი ფაქტი მოგვეპოვება ჩვენ კაცობრიობის შორეული თუ ახლო წარსულიდან, როცა კბილებამდე შეიარაღებული ჯვაროსნები ვერაფერს გახდნენ ალექსანდრე ნეველთან.

მამლუქების ხუთჯერ მეტი ლაშქარი ათასხუთასი ჯარისკაცით დაამარცხა ნაპოლეონმა, სამაგიეროდ ზედიზედ კრახი განიცადა ბოროდინოსთან და ვატერლოოსთან.

ორი სამურაი ნებისმიერი ეროვნების ოცეულს გაუმკლავდება, მაგრამ სამასი სპარტელი თვალისდახამხამებაში გაავლებს მუსრს ათას იაპონელს.

მაკეოდნელები და კეისრები ომის თეორიებს ფილოსოფიასავით სწავლობდნენ. თქვენს მიერ დასახელებული ნიშან-თვისებანი საომარი ხელოვნებისა ძირითადის მერმინდელი საშუალებებია. იქნებ ამიხსნათ რატომ მარცხდება აგრესორი უმეტეს შემთხვევაში?!

მონღოლებმა ფორსირებულად დაიპყრეს მთელი აზია და ევროპის ნაწილი, მაგრამ ოქროს ურდოს შენარჩუნება მაინც ვერ შეძლეს ცოტნესნაირთა გონებამახვილური წინააღმდეგობის გამო.

ალექსანდრე მაკედონელმა ინდოეთამდე ილაშქრა და თაფლში ჩასვენებული მისი ნეშტის სამშობლოში წამოსვენების უმალ, დაპყრობილი ტერიტორია აურაცხელ სახელმწიფოდ დაიშალა.

ათჯერ მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა ცხრა წელიწადს ვერ დალეწა ილიონის კედლები.

ჰიტლერის ჭურვები კრემლის კოჭებთან ფეთქდებოდა, მაგრამ დორო ბაბუას თქმისა არ იყოს, რაიხსტაგი თავზე დაემხო.

იულიუს კეისარმა ზღვიდან ზღვამდე განავრცო რომის იმპერია, თუმცა ბოლოს ჰანიბალი ლამის სენატში შემოუვარდა.

ერთადერთი დაუმარცხებელი მეფე დავით აღმაშენებელი გალობანი სინანულისანის მოტივებით წუხს თავისი ძლევამოსილების პიკზე.

ომში მთავარზე მთავარი, ბატონებო, პოზიციაა, როგორც ჭადრაკში, ცხოვრებასა თუ გნებავთ, სამყაროში საერთოდ.

ჩვენს პლანეტას ყველაზე მოხერხებული, ყველაზე ოპტიმალური პოზიცია რომ უკავია მზის სისტემაში, იმიტომაც ხასხასებს მწვანედ, თორემ ჩვენი მეზობელი ციური სხეულები ან კოსმოსური ყინვისგან იშაშრებიან, ან კიდევ მზის მოჭარბებული მცხუნვარებისგან იხრუკებიან, — დაზი ჩიქოვანის საუბრის ლოზუნგური სტილი და პათეტიკა კი აღიზიანებდა კვეკვე ანთარიასთან ერთად ბარე ორ წიგნიერს, მაგრამ სამშობლოს გადარჩენის ოპტიმალური გზების ჭადრაკის ენაზე ამეტყველების მოლოდინმა უფროსიცა და უმცროსიც ცნობისწადილით აღავსო, — სწორედ ყველაზე ზომიერი ადგილმდებარეობის წყალობით მიეცა დედამიწაზე დასაბამი სიცოცხლეს და ღვთის შეწევნით კიდევ მრავალზე მრავალ ათასწლეულს არ ჩაქრება იგი,

თუკი თვითონ ჩვენ არ მოვსპობთ საკუთარი უგუნურობით.

თქვენ როგორ ფიქრობთ, რამ მოიტანა საქართველო აქამდე?! ქალის კულტმა?! მამაკაცის უდრეკლობამ? ქრისტიანობამ?! შრომისმოყვარეობამ?! არამც და არამც, ბატონებო!

— არ თქვა ახლა ადგილ-მდებარეობამო, — წამოისროლა კვეკვ ანთარიამ.

— რატომ გიკვირს?!

— იმიტომ დაზის ჭირიმე, რომ სწორედ მაგ ადგილ-მდებარეობის გამო ვეცვით ჯვარს. ყოფილიყო საქართველო ინგლისივით, ან იაპონიასავით განმარტოებული, დღეს ათჯერ და მეტად მრავალრიცხოვანი ვიქნებოდით, ჯერ ერთი და მერე — ვინ იცის, კიდევ რამდენ მწვერვალს დავიპყრობდით სულიერების გზაზე, მაგრამ აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე ყოფნამ გასაქანი არ მისცა ჩვენს წინსვლას.

— ბატონო, კვეკვე, თქვენი შეხედულება ორიგინალური არ გახლავთ. ასეთ მოსაზრებას ბევრი ავითარებს დღეს, თუმცა სხვა კუთხით შევხედოთ საგნებს და მოვლენებს.

მაშ, როგორ, რა მანქანებით გადავურჩით ამდენ დაწოლას?! გთხოვ, ნუ მაწყვეტინებ! როცა მომავლის ჭადრაკს წარმოგიდგენდით, მე იქ ხაზგასმით აღვნიშნე: ჯვრის, ანუ მარადიული მოძრაობის პრინციპისგან განდგომამ არათუ საქართველო, მთელი კაცობრიობა კატასტროფამდე მიიყვანა-მეთქი.

ჰარმონიული თანაარსებობა საგნებისა და მოვლენებისა წესია სამყაროსი. მხოლოდ ადამიანს შეაქვს კორექტივები შიგ მისდა საზიანოდ. ბუნებამ არ იცის რევოლუციები, ნახტომები. ეს ყოველივე ადამიანის მოგონილია, რადგანაც დროით შეზღუდულია იგი და ყველაფერს თავის არსებობის ხანგრძლივობას უქვემდებარებს: თვითონ უნდა მოესწროს შვილიშვილების საკეთებელს, ამიტომაც აჩქარებს მოვლენებს, ხელოვნურად ამწიფებს ნაყოფს.

ქალს ასი მამაკაციც რომ გადაატარო, ბავშვის გაჩენას სულ ცოტა შვიდი თვე მაინც უნდა, ესენი კი მესამე თვეზე მზად არიან საშოდან გამოსტაცონ დედას ჩვილი.

დაახლოებით ასეა ჩვენი საქმე. ხოლო რაც შეეხება ადგილ-მდებარეობას, საქართველო მართლაც არის აზია-ევროპის გზაჯვარედინზე, მაგრამ დღემდე არსებული ყველა სიკეთე მისგან მოდის და აი, რატომ, — კვეკვე ანთარიამ პალტოს კარაკულიანი საყელო ჩამოიწია და დაზი ჩიქოვანს გულში გაეღიმა, — ჯვარი ორი განსხვავებული ელემენტის ერთიანობაა; ვულგარულად თუ ვიტყვით, კაცის და ქალის კავშირი, დადებითი და უარყოფითი მუხტების შერწყმა, რომლის შედეგია მასულდგმულებელი შუქი; კეთილისა და ბოროტების დაზავება. არა დაპირისპირება ურთიერთგანადგურების ჟინით, არამედ ზავი, ბატონებო, ანუ თანამშრომლობა.

ჩუბინიძეს გარკვევით უწერია ერთგან: ჯვარი ყველა საიდუმლოების მატარებელი სიდიდეაო. მართალიცაა, რადგანაც განსხვავებული პოზიციების შეერთების დილემა მოხსნილია ორი ძელის ერთმანეთთან შეკავშირებით. შე-

საძლოა ინტერპრეტაციებში არ ვეთანხმებოდე, მაგრამ არსი ძირითადად მისაღებია. მხოლოდ ვეზირის წყალობით გადაიჭრება ეს პრობლემა, ვინაიდან ზიარებულია იგი, ქართველი კი შინაგანი წყობით ზედმიწევნით აირეკლავს თავის სამშობლოს.

აბა, დამისახელეთ მეორე ერი, უკეთესი პოლიფონური საგალობლები გააჩნდეს? ჩვენი მრავალხმიანი სიმღერების სათავეები ათასწლეულებს მიღმა იკარგება. ესე იგი ყოველივე იმის მაუწყებელია, რომ ჯერ კიდევ ჩვენი მეზობელი ერების ფორმირების პროცესამდე, საკმაოდ დიდი ხნით ადრე, ქართველს აღმოჩენილი ჰქონდა ოპტიმალური სამკვიდრობელი დედამიწაზე. მარტივად რომ ვთქვათ, ქართველი გაწონასწორებული პიროვნებაა, იგივე პლუსისა და მინუსის ერთიანობაა, ცხოველმყოფელ შუქს რომ გამოსცემს და ბატონებო, ამისთანა ერს დასასრული არ უწერია.

— შენს პირს შაქარი, მაგრამ მიმოიხედეთ გარშემო, გაწონასწორებულებს ვგავართ ჩვენ? აქეთ დორო ჯიქია მაუზერს გვიღერებს: რატომ ეუფლებიან ჩვენს საცოლეებს დადიანებიო;

იქით დიხამინჯია ბომბებს ისვრის: არიქა, სავარძელი არავინ წამართვას, გემრიელ ლუკმას, ხალხის ნაოფლარს ვგულისხმობ, არავინ გამომაცალოს პირიდანო.

აგერ, ჩვენი საამაყო ბიჭები, მზად არიან ნიჩაბი გამოსდონ დორო ჯიქიასაც, დიხამინჯიასაც, შენცა და მეც: რატომ ამერიკელებივით და ევროპელებივით არ ვცხოვრობთო.

ჩამოიკონწიალე ყელზე აწი ეგ ჯვარი რამდენიც გინდა, რამდენიც გენებოს: გიშრის, ვერცხლის, ოქროსი, მომცრო თუ ზორბა! საკუთარ ასულებს თუ ძეებს თურქებზე ვყიდით, წინწაწეულ კაცს, მწერლისა არ იყოს, თვალებს ამოვჩიჩქნით: რატომ არის ჩემზე უკეთესიო. ადამიანს გულში კი არა მუხლებში ვუყურებთ პეტიკო თოდუას მწარე ოხუნჯობისამებრ: სანამ ფეხზე მაგრად დგას, სათაყვანებელია, მაგრამ საკმარისია წაიბორძიკოს, ეგრევე ზურგს შევაქცევთ.

კიდევ ვთქვა რამე?! რომელი სიმეტრია და ჰარმონია გააწონასწორებს ახლა ჩვენს გაბითურებულ ბუნებას?! თეორიულად, ლამაზსიტყვაობით ყველაფრის გამართლება შეიძლება, მაგრამ ეს ხომ თვალის ახვევაა, გებელსი საწამლავს რომ აძლევდა შვილებს, თან: ძილი ნებისაო, ეუბნებოდა, იმგვარი?!

განა მე, კვეკვე ანთარია, ჟინი ანთარის უფროსი შვილი, წინააღმდეგი ვარ პროგრესისა?! თვალს ვუხუჭავ ქვეყნის მომავალს?! მაგრამ ფერადი სათვალეები დიდი ხანია გადავაგდე და ადამიანში არ ვეძებ იმაზე მეტს, ვინემ არის, ან უნდა იყოს.

ადამიანი ბიოლოგიური არსება რომაა, ვიცით, დროსა და სივრცეში მოძრავი მატერიის ნაყოფი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ დაუბრუნდება თავის პირვანდელ ფორმას, დაიშლება მარტივ

მამრავლებად. სამყაროს იმანენტური თვისებაც ხომ ეგ არის: აშენოს ჩვენი სხეულები და ანგრიოს.

მაღალფარდოვანი აფორიზმებით თავს ვიმშვიდებთ. მატერიალურთან დაკავშირებულ ნებისმიერ სიდიდეს შეიძლება მარადიული ვუწოდოთ?! ეს ხომ სიბეცეა.

ბოლო დროს მოდაში შემოვიდა გამოთქმა: აბსოლუტური ჭეშმარიტება! ზოგიერთი მისი ფლობის პრეტენზიასაც აცხადებს. ხომ უნდა აუჭრელო ასეთს გვერდები იფნის წკნელით?

ჯერ კიდევ როდის, სამყაროს მარადიული ცეცხლი უწოდეს, რომელიც კანონზომიერად ინთება და ქრება. აჰა, შენი მარადიულისა და ჭეშმარიტის ალფა-ომეგა. არც ეს ნიჰილიზმია ორიგინალური. აპოკალიფსი მილიონჯერ წაშლილის ხელახალი ყმუილია.

მე მაშინებს სამყაროს აგებულება, რომელსაც გარედან ვერ შეხედავ და ისიც მზარავს, შეიძლება ჩემი ჭირვეული სხეული მილიონჯერ ყარდა ამ უთვალავი ანთებისა და ჩაქრობის ფაზას შორის.

რითმავენ ათასჯერ გარითმულ სტრიქონებს;

აშენებენ ათასჯერ ამოყვანილ კედლებს;

ეტრფიან ათასჯერ ნაფერებ გულ-მკერდს;

ძერწავენ ათასჯერ ნაძერწ მილოსელებს და შემოქმედებითი წვით გაბრუებულნი უტიფრად იძახიან: ღმერთო, რა ძლიერი ხარ ჩემშიო.

რით დამანუგეშებს ამების სპირალური აღმასვლა ჰომო საპიენსისკენ, თუ კი სამყაროს წრებრუნვაში მომწყვდეულა, კანონზომიერ ანთებასა და ჩაქრობას შუა და მეც, კვეკვე ანთარიას ვარსკვლავიანი ცის ქვეშ გამომაქვს ჩემი ყურთბალიში და მეათასედ ვიცინი ამ დაუსრულებელი მასკარადის უბადრუკობაზე. ასე რომ, დაზის ჭირიმე, არც ჩვენ დაგვრჩენია უყურადღებოდ ჩუბინიძეების თუ მამარდაშვილების პუბლიკაციები; აღარც ნუნისელებისა და იონათა ნააზრევის მიმართ ვართ მწყრალად მაინცდამაინც. საფუძვლიანად თუ ვერა, თეზისების სახით ხომ გავცნობივართ მათი ცნობიერების პროდუქტს?! სამყაროს სურათი, ჭეშმარიტების კრიტერიუმები კი განზე გვრჩება სავალალოდ. ადამიანის საცოდაობა მერე ნახე, როცა მართლაც შეიცნობს სამყაროს აგებულებას და შინაარს; როცა ცეცხლის რკალში შეგდებულ მორიელს დაემსგავსება და აღარაფერი დარჩება თვითდაგესვლის გარდა. ჰოდა, დაზის ჭირიმე, ამისთანა ვითარებაში თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ ქართველები მათმა ადგილ-სამყოფელმა არათუ გადაარჩინეს, შექმნეს კიდეც?!

— ცოდვა გამხელილი სჯობია, — თავი დაუხარა მოსაუბრეს შეცბუნებულმა დაზი ჩიქოვანმა, — მომიტევეთ ჩემი ცთომილებისთვის თქვენი პიროვნების თაობაზე, თუმცა ირონია და სარკაზმი უცხო არც ვოლტერისთვის. ვხედავ პროფესიონალთან მქონია საქმე და უკეთეს მომენტს ვერც ვინატ-

რებდი. რატომ არ ვუშვებთ ჩვენ გარემომცველი სამყაროს ზეგავლენებს ადამიანის, როგორც ბიოლოგიურ-სოციალური ფენომენის მიმართ?

— გაღმა შემოდავების პრინციპია?! ეტყობა არ მისმენდი კარგად, ან თუ მიგდებდი ყურს, დედააზრს ველარ ჩაწვდენიხარ, — თქვა შეუბრალებლად კვეკვე ანთარიამ.

— წეღან არ მიმტკიცებდი ადგილ-მდებარეობის გამო ჯვარზე გავეკარითო?!

— მე კონკრეტულ ერზე მოგახსენებდი, ადამიანი კი უფრო გლობალური ცნებაა. მხოლოდ ქართველით ძნელიცაა და უმართებულოც ზოგადად ადამიანის, როგორც სამყაროს შვილის პორტრეტის დახატვა. შესაძლოა ესა თუ ის ერი, თავისთავში მეტნაკლებად აერთიანებდეს მთელი კაცობრიობის უმთავრეს შტრიხებს, მაგრამ მაინც ღარიბი, მჭლე მასალაა ტიპიურის დასადგენად. კი, ბატონო, მე მესმის საიდან მოდის მონგოლოიდის თვალთა ვიწრო ჭრილი, ან რა უმართავს ხელს ნეგროიდის პიგმენტაციას, და დასაშვებია, ქართველის გაწონასწორებაში მის საცხოვრებელ არეალს უდიდესი წვლილი მიუძღოდეს, თუმცა ამისი გაიდეალება იქნება?! ბატონო, დაზი, როგორც ვხედავ, არც თქვენ გაწყენდათ ჟინი ანთარის მონოგრაფიაში ჩახედვა. ის მეცნიერი კაცი იყო და მართალია, დედუქციის ტყვეობიდან ველარ განთავისუფლდა, მაგრამ ბევრგან ისეთი მიგნებები ჰქონდა, თვით არისტოტელესაც შეშურდებოდა. ვთქვათ და დედამიწაზე წნევა ასი პროცენტით რომ გაიზარდოს, ვინმე იტყვის რა ფორმას შეიძენენ ჩვენი სხეულები, აქედან გამომდინარე, თვით აზროვნებაც. მეთანხმებით ამაში?!

— სავსებით, — ხელების ფშვნეტას მოჰყვა დაზი ჩიქოვანი, — დამერწმუნეთ, დამერწმუნეთ, ჩვენ ერთად ვართ, ღია კარებს ვამტვრევთ უბრალოდ.

— მაგრამ შენს ადრინდელ დებულებას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენი ადგილ-მდებარეობა, იგივე საცხოვრისი, კუვეიტის ნავთობისა არ იყოს, წესით მარტო ქართველებს არ უნდა გვეკუთვნოდეთ. მაშ, რანაირად გინდა დაატიო ხელისგულისოდენა მიწა-წყალზე ექვსი მილიარდი მსოფლიო?! არადა, ეგოისტურ ბუნებასაც ვერსაით გავქცევივართ. გამოდის, რომ ჩვენი ღვთისმშობლის წილხვდომილი ტერიტორიით მხოლოდ ჩვენი შთამომავლობა ეზიარება სრულყოფილებას, დანარჩენი კი იჩანჩალებს განვითარების გზაზე. სად არის აქ დაცული სამართლიანობის პრინციპი?! — იკითხა პალტოს საყელოს ხელებით ჩაჭიდებულმა კვეკვე ანთარიამ.

— ძალიან შორს შეიჭერით ამხანაგებო, ცოტა მიწაზე დაეშვით დაბლა, — ხმა ამოიღო დორო ჯიქიამ, — თუ მაღირსებთ ჭადრაკის ენაზე ამოხსნილ ჩვენს უდღეურ ცხოვრებას, დავრჩები, არადა, მომშივდა, ბაბაგე.

— კარგით, კარგით, ბატონი კვეკვე და მე ასე უცებ მაინც ვერ გავარკვევთ მტყუან-მართალს. უმჯობესია წამოწყებულ საუბარს დავუბრუნდეთ. ჩვენს გარშემო შექმნილი ვითარება ჭადრაკის ენაზე რომ ავამეტყველოთ, ერთ დაფაზე არსებული ფიგურები არ გვეყოფა.

— მერედა, ისესხე შენც, ფიგურების მეტი რა გაქვს, — დაარიგა დორო ჯიქიამ.

— მასეც ვიზამ. ქართველს ოდითგანვე ორ უსასტიკეს ძალასთან უხდებოდა და უწევს ჭიდილი დღემდე. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს ზურგს უკანაც ისეთივე საომარი ლელოა, როგორც წინ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ერი ორი მიმართულებით იბრძოდა ოდითგანვე ერთდროულად. აგერ, ბატონებო, გადმოვიტან ფიგურებს ტრადიციული ჭადრაკიდან, — დაზი ჩიქოვანმა თეთრი ფიგურები მომავლის ჭადრაკის ცენტრში შეაქუჩა, — ვნახოთ, გავუძლებთ თუ არა.

— ამისთანა თამაშს პირველად ვესწრები, — გაიოცა პილა გეთიამ.

— გასაკვირი რაა, ჩვენ იდეალურ სიტუაციას ვქმნით.

დაზი ჩიქოვანმა მეექვსე ჰორიზონტალზე თეთრების ექვსი პაიკი განალაგა. მეფის გაყოლებაზე ტრადიციულად ჩაამწკრივა ფიგურები, ოღონდ მხედრებს ზურგისკენ უქნა პირი. მეოთხე ჰორიზონტალზე ნასესხებპაიკიანი ოთხეული ორი ეტლით ჩაკეტა. თეთრების ვეზირს ხელში ატრიალებს, ადგილი ვერ მოუძებნია მისთვის. წინ დაბანაკებულ შავების პოზიციებში მცირეოდენი ცვლილება შეიტანა, შავების ვეზირი მოხსნა კუთვნილი ადგილიდან და განზე გადადო. გადმოსვა შავი კუ 39-ზე და თეთრების ვეზირს იქ მიუჩინა ბინა. ზურგს უკან ტრადიციული ჭადრაკის შავი ფიგურები ჩვეულებრივი განლაგებითაა გადმოტანილი.

უფროს-უმცროსობა გაფაციცებით უმზერს დაზი ჩიქოვანის ხელების მოძრაობას. აინტერესებთ, რას იტყვის ბოლოს და ბოლოს.

— დაახლოებით ასეთი ვითარებაა ახლა ჩვენს გარშემო ჭადრაკის ენაზე, — თქვა და ფალავანივით წელზე დოინჯი შემოირტყა.

— რატომ გადადე შავების ვეზირი? — ეკითხება თორი ფიფია.

— მეორე ფრონტს საერთოდ არც ჰყოლია, — შენიშნა ტრადიციული ჭადრაკის ნაკლი გეგე თოდუამ.

— ან ჩვენს ვეზირს რა ესაქმება შავების გარემოცვაში? — ცნობისმოყვარეობას ვერ მალავს დორო ჯიქია.

— თუ დამაცლით ყველაფერს გაიგებთ, — იღიმის დაზი ჩიქოვანი, — ჩვენი კოზირი ის არის, ბატონებო, რომ როგორც წინა, ისე უკანა მოწინააღმდეგეს ვეზირები არა ჰყავთ, ფიგურად რომ ღირდეს იმისთანა ვეზირზეა საუბარი. ჩვენ ზურგის გაძლიერება უფრო გვმართებს, ვიდრე მოწინავე ფლანგებისა. შენიშნავდით, ძირითადი ძალებიც აქეთკენაა მობილიზებული: ეტლები, მხედრები. აფიცრები ორმხრივ დაძაბულობაში არიან, როგორც — მეფე და მისი ლაზიერი. ოთხი პაიკი ზურგს გვიმაგრებს. მართალია, ერთი ნასესხებია, მაგრამ წმინდა გიორგის, ცოტნეს მადლი განივთებულია მასში რწმენის, საბრძოლო სულისკვეთების სიმბოლოდ. ამისთანა შემთხვევაში, ვფიქრობ, დაშვებები

მისაღებია. ექვსი კარიბჭეს იცავს. რაც შეეხება ვეზირს, სწორედ შავების მეფის სიახლოვესაა მისი ადგილი. მიმიხვდით თუ გავშიფრო?

— ვის უმალავ, კაცო, ჯაშუში ხომ არ გვირევია? — გაიცინა კვეკვე ანთარიამ.

— ჯაშუშების მეტი რა გვყოლია და გვყავს, კვეკვე, ბატონო, მაგრამ მოვეშვათ ბრალდებებს და ჩვენს საქმეს მივხედოთ. სანამ მოწინავე ფრონტის შავების მეფე თეთრი ვეზირის მაგნიტურ არეშია მოქცეული, იქიდან ჩვენ საფრთხე არ გვემუქრება. ხოლო სამხრეთით ძალები თითქმის თანაბარია და თუ ჯვრის პრინციპით მოარული ქართველის ბუნებასაც გავითვალისწინებთ, საშიშროება ზურგიდანაც მოხსნილია. ესაა იდეალური, ოპტიმალური პოზიცია ქართველისთვის, რაც გამორიცხავს იარაღის ჩხაკუნს.

— თამაში? თამაში არ შესდგება? ან ზედმეტი პაიკების ლაშქარს რას უხერხებ სამ ვერტიკალზე? — იკითხა კვეკვე ანთარიამ ისევ.

— თამაში შექმნილი პოზიციით დამთავრდა. ამთავითვე ყაიმია მიღწეული ორივე საომარ ლელოსთან. მაგრამ რომც ამოძრავდნენ შავი პაიკები, ერთმანეთს ამოხერგავენ. ეს გამჭოლი ზოლია თითოეულ მხარეს, რომლებიც წყლებივით მოძრაობენ ჩვენს გარშემო, მაგრამ ნაპირზე ვერ გადმოდიან. გასაგებია?!

— გამოდის, რომ ასეთი ვეზირი მივლინებული გვყოლია უკვე ჩრდილოეთის ფრონტზე, თავმჯდომარეზე თქმული ანეგდოტისა არ იყოს.

— დიახაც, კვეკვე ბატონო, დარწმუნებული ვარ ნებისმიერი მისი ქმედება მომავლის ჭადრაკის შესაბამისობაშია, — თავაწეულად თქვა დაზი ჩიქოვანმა, — ეგეც რომ არა, ფილოსოფოსს თუ დავესესხებით: ჩვენ გმირი უნდა ვძერწოთ არა ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, არამედ — როგორიც უნდა იყოს.

— დაგრიმასებული, ხომ?! — მწარედ ჩაიცინა კვეკვე ანთარიამ, საყელო აიწია და წვიმიან ზუგდიდში შეაბიჯა.

ლიმა მეცხრე

ილიონა
692307

ხავერდოვანი დილა ბარჩხალებდა ჭურიაში.

მწყემსები ბაკში გაკრეფილიყნენ ძროხებისა და კამეჩების ჩამოსაწველად. ლოგინში მონებივრე როკის ხელები თავქვეშ ამოედო და ფართოდ გახელილი თვალებით მისჩერებოდა ჭერზე აკრულ ფირფიცრის კვადრატებს, რომლებიც

ჩამონაწვიმს ალაგ-ალაგ დაეფორაჯებინა ჟანგისფერ ლაქებს. რაც მეტად მიაცივდებოდა, ისინი განსხვავებულ ფორმა-შინაარსს იძენდნენ, ამეტყველდებოდნენ გარდახდილი რეალობებით, თითქოს შენი გონება საპროექციო აპარატი იყო, რომელიც შეუსვენებლად მოანაკადებს გარდასულ სინამდვილეს.

ილონა სარკის ნატეხის წინ ლამაზდებოდა. თმას ივარცხნიდა. ლამის იატაკს შეხებოდა ყორნისფერი ბოლო. კოპლებიანი, ფლანელის პერანგის მხრები ჩამოშვებოდა. სახელოები წაეკაპიწებინა. საკმაოზე მეტად გახეხილი ჯინსის ტოტები აეკეცა. ჩინებულად ადგა ტანზე ლევთერის უმცროსი ბიჭის შარვალი. შიშველი ფეხები ქუსლებშემოჭრილ კედებში წაედგა. სარკის კუთხიდან ამჩნევს ნაბახუსევის გამოთაყვანებულ იერს. მადლიერი იყო, რომ წუხელ ახლოსაც არ გაეკარა. საუბრის წამოწყება სწადდა, მაგრამ არ იცოდა ნაპირს საიდან მიდგომოდა.

ისევ ოდიშელიამ დაარღვია სიჩუმე.

— ილონა, ღვინო დარჩა?!

— ისევ ცუდად ხარ? — ჰკითხა ქალმა, — ვნახავ რა დატოვეთ.

— დამძიმებული მაქვს თავი. გულიც მიფანცქალებს.

ილონამ ღია კარიდან გახედა ბოცას.

— დედა, თითქმის დაუცლიათ!

— წყალში სანახევროდ გაზავებული მომიტანე. სოდიანი ჯობია ჩემთვის, მაგრამ ეგეც გამოდგება. ჩემი კუჭი გამოფხეკილია ბალანდებისგან. ეჰ, ილონა, სად არის ის ბიჭი, ხუჭუჭა, პატარა?!

— აქ, — თქვა ქალმა და გულთან მიიდო ხელი. ალუმინის ტოლჩათი მიართვა წყალგარეული ღვინო. თავი აუწია და წვეთის გადმოუღვრელად დაცლევინა.

— ნუ წახვალ, იყავი ჩემთან, — სთხოვა როკიმ და ილონაც დაჰყვა მის ნებას. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ყურმოჭეჭყილ ტოლჩას ხელებში აწვალებდა.

— მთელი ღამე ბორგავდი. რიგიანად არც კი მიძინია.

— ყველაფერი ჩემი ბრალია, ილონა. ვატყობ ოჯახს გინგრევ. ცხოვრება აქამდეც გვარიანად მოგიწამლე, მაგრამ ახლა მთლად მორევში ჩაგაგდე. არ ვიცი რა მოვიმოქმედო, როცა მოვლენები ჩემს უნებურად ვითარდება. საკუთარი თავის მტერი რომ ვარ, თანდათან ვხვდები. მინდა თვალი ავარიდო უმსგავსოებებს, ყოველ ნაბიჯზე ფეხებში რომ მებლანდება.

აჰა, გავუსწორდები, კიდევ ერთი ნაბიჯიც და უსიამოვნებანი ზურგს უკანაა. ჯანდაბამდის ჰქონია გზა ორივეს, დაუხოციათ, გაუყლეფიათ ერთმანეთი-მეთქი, გავივლო გულში ლამის, მაგრამ რაღაც მიმაჯაჭვავს ზედვე იმ ინცინდენტს, იმ უბედურებას. ვიცი რაცაა ეს „რაღაც“: შუბლის ძარღვი, ილონა, რომელიც ჯიუტად მიგიძღვის დაჩაგრულის დასახმარებლად. გვერდში დაუდგები მართალ კაცს, რქებს ჩამოამტვრევ მოძალადეს, ღმერთის და

სინდისის წინაშე წელგამართული ხარ, თუმცა ერთის მომადლიერებით ათს გადაიმტერებ და ვხეტიალობთ კიდეც ტყე-ღრეში. მშობლები ცოცხალია, ილონა?

— მამა შენი პატიმრობის წლებში გარდამეცვალა. დედა ძმებთანაა კიშინიოვში. ბოშათა ბედის ხარ შენ. ხავსს არ მოიკიდებ დაგორებულ ქვასავით, მაგრამ ბოლო დროს ჩვენებიც შეიცვალნენ. ბოშათა ცხოვრება ფორნების ხანაში იყო ლაღი, ხალისიანი, ფათერაკებით სავსე. ახალმა დროებამ მუსრი გაავლო ჩვენს კარვებს. მჭედლობით, მეწვრილმანეობით, მარჩიელობითა და ქურდ-ბაცაცობით ძნელია უკვე ოჯახის შენახვა. დიდ ქალაქებში საზიდრებით ვერ იჯაჯაყებ. ჩემი ტომის ხალხს ნელ-ნელა უცრუვდება გული მომთაბარე ცხოვრებაზე. განსაკუთრებით ახლები გარბიან კარვებიდან. დახარბდნენ რუსის ქალებს, შერეულ ქორწინებებს. მათი შთამომავალი კი ჯარშიც მსახურობს, ბიზნესსაც მისდევს და ბოშური ცეცხლიც განელებია. არიან ტრადიციის მიმდევარნიც, ყველა წესსა და ადათს პირნათლად რომ აღასრულებენ, მაგრამ ასეთები თითზე ჩამოსათვლელი დარჩა. რაღა შორს მივდივარ, აგერ, მეც ზუგდიდში დავფუძნდი მრავალ თვისტომთან ერთად. შვილები თქვენებური სახელებით მოვნათლე. თქვენს ყაიდაზე ვიმოსებით. თქვენებურად ვკმაზავთ საჭმელებს. არ ვაკლდებით ქელეხებს და ქორწილებს. საკუთარი სასაფლაოც გავიჩინეთ ოთუთუმეს ტერიტორიაზე. ამ პროცესის შეჩერება აწი, ალბათ, არაფერს შეუძლია. გაგიარა თავის ტკივილმა? კიდევ ხომ არ დაგალევინო?

— მგონია მიშველა. სანამ მარტო ვართ, ვისაუბროთ ცოტა ხანს. აგერ, ბალიშზე თავი ჩამოასვენე.

ილონამ ალუმინის ტოლჩა იატაკზე ჩამოდგა, ქუსლშემოჭრილი კედები გაიძრო და ჩაჩოჩებულ ოდიშელიას მიუწვა.

— მეუბნებოდი, გეძებდი ცხრა წლის წინო, — თქვა ყრუდ როკიმ.

—ეგრე იყო, მაგრამ შენ ჩრდილოეთში წაეყვანეთ და მაშინ გამტეხა წელში ბიცოლაჩემის ნამარჩიელებმა: გაივლის კარებს და უკან არასოდეს მობრუნდებაო. იცი შენც, აკვანშივე ვიყავი დანიშნული კარლოზე. მეუღლე იშვიათი კეთილი ბუნების გამომადგა, მაგრამ ამ სამიწე გულს რომ ვეღარაფერს ვუხერხებ?! ერთი სიცოცხლე გავათავე, როცა შენი ქორწინების ამბავი შევიტყვე. გამოვიკითხე წვრილად. მარინა შენი ტომის ქალია, ტანწვრილი, ხორბლისფერი, ქალური ეშხით დაჯილდოებული, მდიდარიც ამ დროს. ერთი ბიძა ლიმონათის ქარხნის დირექტორი ჰყავს, მეორე სამშენებლო ტრესტის მმართველია. ვიცი, მოგაყრიდნენ კარგს და ლამაზს სასურველ სიძეს. იმდენი სიკეთე ჩემს შვილებს, რამდენი ცრემლიც მიღვრია ის დღეები. მაინც რისი იმედი მქონდა, რითი მემართლებინა თავი შენს წინაშე?! სხვა მამაკაცთან ვკოტრიალებდი ლოგინში და შენ წარმოგიდგენდი-მეთქი?! ქორწილში რომ მივედი ჩემი ხალხით, მონანიების მაგვარი გრძნობისგან იყო.

ეჰ, იოტისოდენადაც არ გყვარებია ილონა, თორემ ასე არ გაირთულებდი საქმეს. მეტად მოუფრთხილდებოდი ჩვენს გრძნობას. კუზიანი ვის გაუსწორებია სამარის გარდა?! მაინც დამნაშავედ მიმაჩნია თავი. დედის და ძმების შემოტევას გავუმკლავდებოდი რამდენადმე, თქვენი კაცების უჟმური შემოხედვა რომ არა და დავყარე ფარ-ხმალი საბრალომ.

— მითხარი, ხომ არავინ გაწყენინა? — წამოიწია როკი.

— ბოშა გოგონა შენ მეგრელი ხომ არ გგონია?! ჩემს ზურგს უკან ყოველთვის დგას ორმოცი-ორმოცდაათი მამაცი ფინური დანით. ერთი დაძახება და ასად იქცევა იგი და ორზე — ათასად. სხვა რამეზეა საუბარი: ჩემივე ნებით შევაქციე ზურგი ჩვენს უბედურ სიყვარულს.

ჩვენს უნებურად მეორე მამაკაცი არ იქნება, როკი, სისხლში გაგვჯდომია ეს დიდს და პატარას. ბოშამ შეიძლება იღლაბუცოს, ღვინოც დალიოს, ცეკვისგან კიდურები წაერთვას, მაგრამ ისე არასდროს დაკარგავს გონებას, თავის ოჯახს ზურგში ლახვარი ჩასცეს. არ სჭირდება ამის სწავლება კარლოს და შინ რომ მივბრუნდე ამწუთასვე, დარწმუნებული ვარ, არ მაკადრებს გამომკითხოს: სად იყავი, ვისთანო, მაგრამ მე ბიცოლაჩემის ღვარძლიან სიტყვებს ვებრძვი ლამის საუკუნეა. მინდა ბოლომდე დავრწმუნდე, მართლაც, მონაჩმახი იყო თუ საბედისწერო. დღეს დღეობით თითქოს ახდომია იმ კუდიანს ნამარჩიელები — მე ორი ვაჟის დედა ვარ, შენ — ბიჭუნას მამა. შენ შენი სანათესავო გყავს, მე — ჩემი. შენ მთავრობა გდევნის, მე — სიყვარული. ხედავ, რამდენად დაგვიკარგავს ერთმანეთი?! მაინც არ მეთმობი წლების წინანდელი, კაბის კალთაზე რომ მებღაუჭებოდი ის როკი. თქვენების რა მოგახსენო, მაგრამ ბოშას არ ძალუძს ორ მამაკაცს ეკუთვნოდეს ერთდროულად. იქით შვილებს ეფეროს და აქეთ — საყვარელს. ისე ნუ გამიგებ, თითქოს ყველა ბოშა ქალს წმინდანად წარმოვსახავდე, ცაში რომ აიტაცებს უფალი სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ძირითადში ჩვენებურის ბუნება მთლიანია, გაუბზარავი.

— ილაპარაკე თუ გიყვარდე, — უთხრა იდაყვზე თავდაყრდნობილმა და მისი გულწრფელი საუბრით გაბრუებულმა ოდიშელიამ.

— ჩემმა სიყვარულმა ცოტათი უკან დაიხია, როკი. პატარებმა, დედობრივმა მოვალეობამ თანდათან შეავიწროვა იგი. ოჯახის საზრუნავმაც თავისი წილი წაიღო. წლებმაც ჩამოაცინცლეს გვარიანად იმ ცეცხლს, მაგრამ მაინც ღვივის ჩვენი ბანაკის მინავლული კოცონივით. რამდენჯერ გვითენებია ღამე ჩხოუშიას ნაპირზე დანთებულ ცეცხლთან?! ხომ გინახავს დილით მისი ნაშთი? დანახშირებული მუგუზლები ქოლგასავით გაშლილა. საკმარისია ერთად მოუყარო თავი, შეუჩიჩხინო, სული შეუბერო და ცეცხლი ისევ აბრიალდება. მთლად ასე როდია საქმე. შენდამი სიყვარულის კოცონი კვლავაც ანთია ამ კაკალ გულში, მაგრამ მხურვალება მოაკლდა. ადრე ახლოსაც რომ ვერ ეკარებოდი მის გიზგიზს, შორიდან მიუფიცხებდი ხელებს და სახეზე ნაირფერი ალები დაგთამაშებდა, უკვე მიჩოჩებაა საჭირო, გამუდმებული ყურადღება, რათა სულ არ დაგეშრიტოს და ზამთრიან ღამით ყინვაში ტიტლიკანა დაგდებულს

არ დაემსგავსო. შევძლებთ კი ჩვენ ამის განახლებას?! — ჭერს მიჩერებულმა ილონამ როკისკენ მოაბრუნა თავი, — ტყუილს ვიტყვი, არ მინდოდა შენთან წამოსვლა-მეთქი. ეგრე ყოფილიყო, არც მანქანაში ჩაგიჯდებოდი და გზაში თუ ვერ გავბედავდი ჩამოხტომას, ბოლოს და ბოლოს ლევთერი წამიყვანდა შინ. მაგრამ გითხარი ერთხელ: ბიცოლაჩემის კუდიან სიტყვებს ვებრძვი-მეთქი და ვნახოთ, მომავალი რას მოგვიტანს. მე მეგრელი ქალი როდი ვარ, ბოშა! არც ტყვიის მეშინია და აღარც — ქუჩის ჭორებისა, რადგანაც საკუთარ თავთან მართალი თუ ვარ, ეშმაკი რას დამაკლებს ღმერთის მოწილეს?! მხოლოდ ერთი მტანჯავს აქამდე: შენს გულში ვერ ჩამიხედია, თითქოს დახურულია იგი ჩემთვის. შენთან ტიტინი მწყურია. შენ კი წყალში მოსროლილი კენჭივით ფიქრების ფსკერზე რომ დაეშვები, მყვინთავებიც ვერ ამოგიყვანენ იქიდან. ფანჯარა გამოვაღო! ფუჰ, ყარს აქაურობა ღვინისგან.

ილონა წამოდგა და თავის საწოლთან შუშამოყანყალე ჩარჩოებს ხელისგულებით მიაწვა.

ოთახში დილის გრილი ზღვაური შემოიჭრა. ოდიშელია გატრუნული უცდიდა: თუკი ისევ ჩემს ბალიშზე მიასვენებს თავს, დიხამინჯიას ხალხს დედას ვუტირებო. გაახსენდა ვასია ზატონჩიკის სიტყვები: ყველაზე საუკეთესო თავდაცვა — შეტევაა.

ილონა ალუმინის ტოლჩას დაწვდა, იასამნის სურნელი მიწატკეპნილ ოთახში გაიყოლია. ათიოდე წუთს იქაურობას გვიდა, ალაგებდა, ჯამჭურჭელს აჩხარუნებდა. მობრუნდა საძინებელში, კვლავ სარკეს მიუჯდა ერთხანს, სუნამო იპკურა და ბოლოს ღიმილით დაადგა თავზე ნაბახუსევს:

— საღამომდე აპირებ ლოგინში კოტრიალს? მიჩოჩდი კედლისკენ! ცოლქმარი როდი ვართ, თოხის ტარზე დავეტიოთ!

,,დიხამინჯიას ხალხს კი მივამწყდევ თხებივით კუთხეში, მაგრამ ეს ქალი უეჭველად მომინელებს'', — გაიფიქრა როკიმ.

აგონდებოდა ოდიშელიას გუშინწინდელი მხიარულება წისქვილარაში აგიზგიზებულ კოცონთან. თითებში უდნებოდა ილონას მოწვართული მტევანი, მაგრამ იქიდან სიყვარულის ნიშან-წყალი არ ჩამიჩუმობდა. ხელში ატატების დროსაც ფიცრის მოყუდებას არაფრით სჯობდა დროდადრო მხარზე მისი მოყრდნობა.

აგერ, ახლაც გვერდით ეწვა გათქვირული ქალი, ატმის რტოსავით აყვავებული და გავაზივით მოქნილი. მარცხენა მკლავზე მისვენებულიყო სახით მისკენ მოტრიალებული. ტუჩებზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა.

,,ეს ყველაფერი იქნებ ქალური ეშმაკობებია. ქალი ხომ ცაქვა შედანიაზეც კი რამდენიმე საათით ადრე გაჩენილა?! როგორ აჯობებს, ვიყო ენაბლუსავით, ხელფეხშეკრული ილონას სითამამით, თუ ინიციატივა გამოვიჩინო? არა, ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს, დაამსხვრიოს სიყრმისდროინდელი ხალასი გრძნობა. ვერანაირი ჯადოქარი შეაკოწიწებს მერე იმ

ნამცეცებს. ილონა სტეპანცევის საფორნე ცხენი ხომ არ არის, დააოთხო და ისე მოიკლა ცხოველური ჟინი?! ერთხელ ხომ მაინც უნდა წავიდე მსუნაგი სურვილების წინააღმდეგ?! დავუმტკიცებ მე მაგას როგორია როკის მოთმინება! ოთხმა კარცერმა ვეღარაფერი დამაკლო და ლოგინი გამაბითურებს ჩიტივით თავისუფალს?! მართლაც, სტეპანცევს ცოლ-შვილი თუ ჰყავდა ნეტავ?"

ძაკა ოდიშელია: ,,არ გეგონოს, ბაბაგე, თურქის ომში, ნალიმასთან დამეკარგოს ეგ თითი. სოლის ამოგდებისას დამიჩეჩქვა დასაპობი მორის ბზარმა. ზუგდიდელმა დასტაქარმა, კალისტრატე ალშიბაიამ მომაშორა მერე. ჩვენი საგვარეულოს ამბავს მოგიყვები ოდესმე, ახლა კი ამ წითელი ტალახის ტყლაპა-ტყლუპში იკმარე რაც მოგითხრო. ჭაბუკობის წლებში დარახტული რაშებისთვის ყაბარდო-ბალყარეთში გადასულს, გამიგონია დაუვიწყარი ამბავი ვინმე ვაინახელ ჯიგიტზე, რომელიც ძმადნაფიცი ყოფილა ცხენების სახელგანთქმული ქურდისა, მაგრამ ამ უკანასკნელს შეყვარებული იმ პიროსბით გამოჰყოლია, სათაკილო ხელობას თავს თუ დაანებებდა.

ლოგინი ერთი აქვთ მიწურში. წაიყოლიებს სტუმარს და გამოაშკარავდება სიტყვის გატეხვა ცოლთან, რასაც არაფრისდიდებით აპატიებს გოროზი ასული; არადა; ვერც მეგობრის თხოვნასაც შეაქცევს ზურგს. ამიტომაც ურჩია, ჩაწოლილიყო ლოგინში მის მაგივრად, ისე რომ ქალს ვერაფერი შეეტყო. დაუჯერა ვაინახელმა. კედელს მიეწება. რა დააძინებს. ანთებული კვარი შორეულ კუთხეში ბჟუტავს. ცოლი საქმიანობს ერთ ხანს. შიგადაშიგ შეეხმიანება მეუღლეს, მაგრამ ხმას რომ არ გასცემენ, მიუწვება საღამურისამარა. თაფლობის თვის მიწურულს მონატრებია ჯეირანს თავისი მამაკაცი, გათქვირული ძუძუებით მოიწევა ჟინმოძალებული და აი, მაშინ უხერხული წოლისგან მობუჟული მარჯვენას გამოინთავისუფლებს სტუმარი, ხოლო მარცხენა ხელის სალოკებს მკერდზე მიაბჯენს ქალს და მოიშორებს. დიასახლისს ვერც კი შეუტყია ვაინახელის აპარვა. ცხენების ფრუტუნისკენ გაურბის სმენა ჯიგიტს, თან ამას ეტყვის მასპინძელს დაწეული ხმით:

ალერსი უნდოდა ჩემთან, მაგრამ ამ თითით მოვიცილე შენი ქალი და აჰა, ესეც სამახსოვროდო, იშიშვლებს ყამას, დაჰკრავს აივნის მოაჯირზე დადებულს და ეწევა თავის გზას. სადაც საჭიროა, იქ თავდაჭერილობა მამაკაცის უმთავრესი ღირსებაა, ბაბაგე".

მოუყვა ყოველივე ილონას როკიმ, როგორც სჩვეოდა დეტალების სიმახვილით და თან დასძინა:

— ისე ნუ იზამ, თითის მაგივრად ხელი გამიხდეს მოსაჭრელი.

ბოშა ქალმა გულიანად გაიცინა.

— ჩემთან ძუნწობ მაინცდამაინც?! ხელს იმეტებ და თავს — ვერა?

ოდიშელიამ ყასიდად წაუჯიკავა, თითქოს ლოგინიდან ჩამოგდებას უპირებსო. ილონამ შეჰკივლა სუსტად და მის სახესთან ბრჭყალები აანთო დედალ ავაზასავით.

— ამ ცხელ გულზე მოწევდა კაცი სიგარეტს.

— შემიკლავს!

დედაკაცი ისევ წამოდგა, გაიარა მიწატკეპნილისკენ. თაროდან გაუხსნელი „პრიმის“ ალისფერი კოლოფი აიღო. მოავლო თვალი იქაურობას, მაგრამ ასანთი ველარსად იპოვა. თუჯის ღუმელის კარი გამოაღო. მიადო მუგუზალს, მაგრამ პაპიროსი ხელადვე ჩაქრა. სანამ ნაფაზი არ დაარტყა, არაფერი გამოუვიდა.

— ფუფ, რითაა თავს იწამლავენ?! — თქვა ხველებ-ხველებით და საფერფლეს მაგიერი კონსერვის ქილა გამოიძღოლია. —აჰა, გამომართვი, ცხონდი!

როკიმ ხარბად გააბოლა. ორი დღის მოუპარსავი წვერი ნემსებივით აყრია სახეზე.

ოდიშელიამ ბალიშით თავი აიმაღლა.

— რა ნეფეწართმეული პატარძალივით წრიალებ. ჩამოჯექი საფერხულთან. კვამლი არ შეგაწუხებს. ჩემსკენ უბერავს, თან სიკვდილსაც ავიცდენ ცოტა ხნით.

— მე რა, მეხამრიდი ვარ?!

— აა, თქვენებმა არ იციან ეგ ზღაპარი, სიკვდილი რომ გამოეცხადა ბოგანოს?!

— ნწუ! — უარის ნიშნად თავი გააქნია ილონამ, ფეხები მოიკეცა, წვივებზე ხელები შემოიჭდო და მუხლისთავებს ნიკაპს დააყრდნო.

— გაამწარა წუთისოფელმა ერთი ბედოვლათი, თავის მოკვლა განუზრახავს, ხან ყელთან მიიბჯენს ალესილ დანას, ხან — გულთან და მუცელთან. გამოიარა სიკვდილმა და ეკითხება:

ისეთი რა გაგჭირვებია, უბედურო, საჩემოდ გამზადებულხარო.

ჩამოუთვალა ღატაკმა მიზეზები: ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება, იმათი საცოდაობის ყურება აღარ შემიძლიაო.

მე გამოგიყვან მაგ მდგომარეობიდან, ოღონდ იმ პირობით, რასაც იშოვი, ნახევარს ჩემთვის გადადებო.

მაინც რანაირადო, გამოცოცხლდა ბოგანო.

მე სიკვდილი ვარ. მიხვალ ავადმყოფთან. თავთან თუ ვედგომები, განწირულია, ხოლო საფერხულთან რომ მიხილო — გადარჩენილი. გაგივარდება სახელი და დანარჩენი შენ იციო.

გამდიდრდა გაღლეტილი გლახაკი, მაგრამ სიკვდილისთვის მიცემული პირობა ვის ახსოვს, და აი, ერთ მშვენიერ დღეს დაადგა თავზე მიქელგაბრიელი ჩვენს გაუმაძღარ დასტაქარს. შეატრიალა საფერხულისკენ თავსასთუმალი.

სულელო, ეუბნება სიკვდილი, პირველი გამოცხადებაა მთავარი, თორემ აწი წისქვილის დოლაბივითაც რომ იტრიალო, გიშველის რამესო და დასტოვა პირღიად.

— თუ ეგრეა, წამოვედი და ეგ არის. ხუმრობა იქით იყოს, მინდა ყველაფერი ვიცოდე შენზე.

— მაინც რა?

— თავისუფლებაში ყოფნისას ქალების მუსუსი ყოფილხარ. თოთხმეტი წელიწადი რანაირად გასძელი მათ გარეშე?

— ააა, მიგიხვდი, გინდა გამომტეხო, ვმარხულობდი თუ არა შენი სიფვარულით? უქალებოდ საპატიმროები ვინ თქვა, ჩრდილოეთში?!

ისინი ჩვენი ზონიდან ოცდაათხი კილომეტრის მოშორებით იხდიდნენ სასჯელს. ის პერიოდი რკინიგზაზე დავყავდით სამუშაოდ. შპალებს ვუცვლიდით ლიანდაგებს. სინამდვილეში ხმელს ვაძრობდით ცეცხლის დასანთებად. ზამთრობით იქ ორმოცდაათ გრადუსამდე ადის ყინვა. ფიჭვის ტოტები გამომშრალია წყლისგან და ბენზინივით ეკიდება. ქუჩის გაყოლებაზე არ ჩამიჩუმობს დილაადრიან თავმომრგვალებული, გაშალაშინებული ორმხრივი მესერი, მაგრამ შუადღის უღიმღამო მზე რომ გაალღობს ოდნავად, საღამოსპირზე ზონაში მობრუნებულს გესმის, როგორ ტკაცუნებს ყოველ ნაბიჯზე შემოჭერილი ყინვისგან, თითქოს რაღაც ჯადოსნური ინსტრუმენტიაო. ხოდა, ამისთანა ამინდში ჩაკვეხებულხარ სადღაც, შორეულ ტაიგაში.

ჯარისკაცებს მოველაპარაკებოდით, გრევებით შევაბამდით, იგივე საჩუქრებით. თორმეტ კილომეტრს ჩვენ წამოგვიყვანდნენ, თორმეტს — იმათ და ნანატრი პაემანიც შედგებოდა. ქალის შოვნა შეძლებაზეა საერთოდ, განსაკუთრებით — კოლონიაში. თუ გაქვს დათრიმლული ხელთათმანები, მოკლესახელოიანი დაბამბულები, სამოქალაქო უშანკები, ჩაი, ტკბილეული, თექის ჩექმები, მთელი ზონის საქალეთი შენია. შნოიანები იმათშიც გამოერეოდა. ისინი თავის მხრივ გვჩუქნიდნენ ათი ნომერი შავი ძაფისგან მოქსოვილ მოკლესახელოიან პერანგებს, რომელზეც ოსტატურად ამოექარგათ დათვები, ლოსები და ირმები.

— მერე?

— დავღეჭო?!

— გეხვეწები!

— ფიჭვის ტოტების კოცონის ალი ცას წვდება. სამუშაოზე სულ ორმოცამდე ქალი და კაცი იყრის თავს. ბუნებრივია, ეშხიანს დაუტრიალდები, შეაბამ, თვინიერად მოგყვება უკან. ფეხქვეშ თოვლი ჭრაჭუნებს. ცეცხლის მიღმა ბუშლატიას დააგებ. ქალი საჭიროებისამებრ ტიტვლდება. ისეთი სიმხურვალეა ათ მეტრში ალმური გეკიდება. უმზერ მშვენიერ სხეულს, ძალადმონაზვნად რომ გადაუქცევია საპატიმროს უკუღმართ კანონს და ლამის აყმუვლდე: ადამიანი ცხოველად ქცეულხარ. ყველას როდი შეხვდება პარტნიორი. ზოგჯერ მამაკაცია უხასიათოდ, ზოგჯერ რაოდენობაშია სხვაობა. ვინც მორიგდება — დანაწილდებიან ტყეში. კენტად დარჩენილი კაცები ზურგს შეგაქცევენ, მაგრამ აი, ქალები — ნურას უკაცრავად. ვითომ საქმიანობენ და მაინც გაფაციცებით გითვალთვალებენ, თითქოს რაღაც ამაღლებული სპექტაკლი თამაშდებოდეს სცენაზე ცეცხლის ფარდებს მიღმა. სადღაა სირცხვილის გრძნობა, შეახვიე ცხვირსახოცში. არსად მიგეჩქარება, შეათამაშებ, ეფერები. არ არსებობს შენთვის მოშორებით ჩასაფრებული პუბლიკა. რამდენიმე წუთიც და იმ ტანკენარს მკლავები უღონოდ ჩამოუცვივდება შენი მხრე-

ბიდან. არის შემთხვევა, როცა სხვა ქალსაც მოუნდები. მაინცდამაინც შენთან სურს. გაგრძნობინებს ამას მხარზეგადმოკიდებული პერანგით. თუ გამასპინძლებულ ფერიას გამოჰყვები ცეცხლის ენების საფარიდან, პერანგს ჯიბეში შეინახავს, მაგრამ გვარიანად რომ დაყოვნდები, ნელ-ნელა წამოაბიჯებს შენსკენ. არ ჩქარობს, სულის მოთქმას გაცლის. შემოუვლის კოცონს, ტოტებს უმატებს. დროს ჭიმავს, ნახევარ საათს მაინც გაიყვანს, ვიდრე მოგიჩოჩდებოდეს და დაინაცრება ისიც.

მატაოზი თუ გამოჩნდება, ლიანდაგებს ჯალამბრებით ასწევენ ჰაერში და სანამ სიგარეტებს, არაყს და მისთანებს არ ჩამოყაჭავენ, აყურყუტებენ ას-ას მეტროზე ჩარჭობილ დროშებს იქით.

— დანარჩენი? სხვები?

— ხომ ვთქვი, დაწყვილდებიან და გაიფანტებიან ტყეში-მეთქი. გულშემატკივარი ბევრი თუ გყავს, რაც ზონაში იშვიათობაა, მომდევნო დღემდე დაგიცდიან.

— და ასეა ყოველთვის?

— სადღაა ამდენი საჩუქრები!

— კი, მაგრამ ვისაც მამაკაცი არ შეხვდება? ხომ არიან ასეთებიც?

— თავზესაყრელად. ვარავაიკა თუა, ამნაირი კი ათი-თხუთმეტია მთელს ქალთა ზონაში, ახალგაზრდა, ნორჩ გოგონას დაითრევს. კავერიალკები, ჟუჩკები თავს არ იზარალებენ.

ბევრი ულაზათო კაცივით ხელცთუნებით ერთობა, ან კიდევ პეტრუხა ლემეშივით ზოოფილიას* მისდევს.

— ეგ კიდევ რა ოხრობაა?!

— ერთხელ შპალების გამოცვლას მოვრჩით. კოცონთან ვისვენებთ. შუადღე გადასულია. ყინვა ორმოცამდე უკაკუნებს. უშველებელი ნაძვის ხეები ჭრიალებენ. ბაწარივით გრიხავს მათ გიგანტ სხეულს თეთრი ციება. უყურებ ხეს და შენს გაოცებას საზღვარი არა აქვს: სამხრეთისკენ რომ იმზირებოდა ტოტი, ნელ-ნელა მოიწევს შენსკენ. ხე მთელი ორმოცდახუთი გრადუსით შემობრუნდება. ხოდა, ამისთანა ამინდში გამოჩნდა ცხენშებმული მარხილი. ცხვირი ისე დაბანდვია ყინულის გარსისგან, ვერანაირი ხელი მოქსოვს უკეთესად. მარხილზე ათასნაირად შეფუთნილი უბადრაგო პატიმარი ზის.

შევაჩერეთ. ტვირთზე ბრეზენტი გადაუფარებია.

რა მიგაქვს-თქო, ვეკითხებით.

ლუსიაო, გვპასუხობს.

ზონის წყალმზიდი ცხენი მომკვდარა, თვრამეტი თუ ოცი წლის ჭაკი. გამოაცალეს გულ-ფილტვი. ვედროში თოვლი ჩაყარეს და დიდხანს მოხარშულით დანაყრდნენ გემოზე.

— შენც?

— ძაღლის ხორცი მიჭამია, მაგრამ ცხენისას რანაირად დავაკარებდი კბილს?! თქვენებთან სიახლოვემ ისე შემაყვარა ეგენი, თხუთმეტი, ოცი წლის შემდეგ ძილშიც მათი ფრუტუნი ჩამესმოდა.

— ნაღდი ბოშა ხარ. უმიზეზოდ გამიწევდა გული შენსკენ?

— ეს დროა და პეტრუხა ლემეშმა, ჩემი ბანოვანი იყო ცხონებულიო, ჩაიხვიხვინა.

რატომ თავიდან არ თქვი-მეთქი, გავცოფდი და ვრეკე შუბლში ნაჯახის ყუა. დავადინე სისხლი თქრიალით. რის ვაივაგლახით შეუჩერეს სისხლდენა. აშკარა კარცერს გადავრჩი, რადგან ჩაჟინებულ ზედამხედველს დაუმალა საქმის ნამდვილი არსი.

დავეცი, სულ ამას გაიძახოდა. სხვანაირად იტყოდა და იცოდა, უარესად წაუვიდოდა საქმე.

მოგვიანებით ყველაფერი გაირკვა. ლემეში ლუსიას გულშემატკივარი ასეულის უკანასკნელი წევრი ყოფილიყო. თქვენ თვალისჩინივით უფრთხილდებით ცხენებს, შვილივით გიყვართ, იქ კი ზონაა, ჯუნგლების კანონი. ჩრდილოეთში, გნებავთ, მომაკვდავ ბეხრეკს, რომელი ჭკუათმყოფელი გაიმეტებს დასამარხავად?! თოკს გამოაბამენ კისერზე. მიწაში ჩარჭობილ ძალყინზე წამოაცვამენ დამარყუჟებულ მეორე ბოლოს და ქანცის გაწყვეტამდე არბენინებენ, ვიდრე ერთიანად არ გაიქაფება. ოფლს ზედმეტი მარილი გამოაქვს.

ხორცი უგემრიელდებაო, ამტკიცებენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცივი წყლით განბანენ დაკლულსო.

— რამხელა ბარბაროსობაა, მაგრამ ყოველთვის ზამთარი ხომ არ არის იქ?

— რა თქმა უნდა, გამოზაფხულდება ადრე თუ გვიან და თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ ისე ჩამოყინულდება; თუმცა რანაირი ხანმოკლეც უნდა იყოს ტაიგაში გაზაფხულ-ზაფხული, იქაური გარემო წარუშლელია, ილონა.

ჭირივით მძულს კაცი, რომელიც სამშობლოს ბუნების სილამაზით მთვრალი, ვერ ხედავს, ან არ უნდა შენიშნოს სხვა ქვეყნის განუმეორებელი მშვენება. თვალისმიმტაცებელი სანახები ყველა ერს გააჩნია, სამხრეთელია იგი თუ ჩრდილოელი. ხოდა, გუშინდელ ყინულოვან ზოდებს ახასხასებულ ბალახებად გადააქცევს წამში ციმბირული ტაროზი.

ციყვები გირჩებს ეპოტინებიან პაწაწკინტელა წინა კიდურებით.

ლოსები, იგივე ცხენ-ირმები, ათ-თხუთმეტ ნაბიჯზე გიახლოვდებიან გიგანტური რქებით. ხშირად თუ გხედავენ შეიძლება მიწოდებული პურის ყუა აგაწაპნონ ხელიდან.

ყოველ ათ წუთში ელვისებურად გაირბენს წითური მელია.

დათვლილი ტყვიებით მოდის ბადრაგი თორემ სროლის უფლება ჰქონდეთ, მილიონრები გახდებიან ერთ სეზონში იქაური ტყავეულით და ბეწვეულით.

საკმარისია ნახევარი საათით წამოწვიმოს ტაიგაში, რომ იმხელა სოკოები ამოიბურცებიან შენს თვალწინ, გითხრა — არც კი დამიჯერებ. ჯერ ერთი, ისეთი დაბურულია ციმბირის ტყე, თავსხმა ხშირი ტოტებიდან ვერ აღწევს, სხეულ-სხეულ ჩამოედინება წვიმა. მერედა, იმოდენა ქუდიანი სოკო შემოგეფეთება ზოგან, თავი ზღაპარში გეგონება. რამე რომ იყოს, შეეყუჟები და აბოლე შენთვის რამდენიც გენებოს. ღერო ჯოტო ოდიშელიას მაჯისსისხო აქვს. დაჭრიან. ორ-სამ დღეში თუ არ დაამარილე, ჩაიფშუტება, დამატლიანდება.

დაბოლოს, ტაიგის მშვენება ტბები. თეფშისხელად მოგეჩვენება შორიდან, სინამდვილეში გაცილებით დიდია, ოღონდ წყლისკენ წაწეული ნაპირები ბალახს დაუფარავს, ხშირს, თუშური ჯეჯიმების მსგავსად ერთმანეთში ჩაწნულ-ჩახლართულს. მტრები თუ გყავს გამოუცდელს, დაგიმალავენ ყოველივეს. ფიქრობ, მინდორზე მირბიხარ, ამ დროს ქვემოთ თვალუწვდენელი ფსკერია, და აი, როცა სარივით ჩასრიალდები უეცრად გარღვეულ ხალიჩაში, თმა ჯაგარივით დაგადგება კინკრიხოზე. ჩაძირვამდე ჰაერი თუ არ მოიმარაგე, ვეღარ გააღწევ იმ ხასხასა ნოხს და არშინიანი ქარიყლაპიები ისე გაგძვალავენ ხორცისგან, ანატომიის მასწავლებელსღა თუ გამოადგები ნაპირზეგამორიყული ათასში ერთხელ. როცა შენიშნავენ, პირველი წინაღობა დაძლიე, შიშობენ, ვაითუ დაუხმარებლად გამოაღწიოსო და ათი-თორმეტი მეტრის ჭოლოკს გამოგიწოდებენ, ნაწილობრივ გამოისყიდიან დანაშაულს და გამოგათრევენ სამშვიდობოს არაქათგამოცლილს.

ზაფხულობით დედაკაცი იშვიათობაა იქითკენ და არცაა სასურველი, ცნობილი კამელიების გამო, მაგრამ სამ-ოთხ თვეს უქალობას აიტან რამენაირად, მით უფრო, როცა წინ ზამთარი ვერსობით გიძევს.

ჭკვიანია თქვენი ხალხი, ილონა, ჩრდილოეთს რომ არ ეკარება. თქვენ სისხლით ხორცამდე სამხრეთის შვილები ხართ ჩვენსავით.

— საქართველოში?

— საქართველოში! საქართველოში!

— დაგხოცეთ შიმშილით, — მოიბოდიშა ფარეხში შემოსულმა შაშმანმა, — ორი-სამი კინთის მეტს არ ვწველი და ორმოცამდე ლიტრი მაინც გროვდება ყოველდილა. რა ამბავში იყავი, როკი, წუხელ? არა, ძმაო, კახელების ღვინო თოფივითაა. ჯერაც ფხიზელი ვარ, გგონია?! ავადუღებ რძეს და იცურავე მერე!

— თქვენ იკითხეთ თორემ, ვაუბატონი გამოვიდა პახმელიიდან.

— კარგი უქნია დალევის თავი თუ ჰქონდა. ძაღლის ნაკბენს ძაღლის ბალანი კურნავსო, იტყვის ჩარნაზ გაბისონია. მეზობელი მწყემსია, სამოცდაათს გადაცილებული. ჭურიის გაყოლებაზე ოცდაათამდე ფარეხია ჩამომწკრივებული. რაიმე საინტერესო გადაცემა თუა ტელევიზორში, გადმოგვძახებენ კახათელები და იქ ვიკრიბებით უკლებლივ. უამისოდაც მოვიკითხავთ

ურთიერთს საუბრით გულის მოსაფხანად. ლადიკას გამოჩენის შემდეგ მარტოობა შემიმსუბუქდა. ცხენებისთვის თითო კალათი ბალახი დაუყარა და ანაკლიისკენ გასწია.

შევრცხვით ქალბატონთან, ხელის საპონი ჩვენ არ გაგვაჩნია და თეთრეულიო.

დაუზარელი ვინმეა, უშიშარიც ამ დროს. დაჰკრავს ფეხს და შუაღამეც რომ იყოს, უღრანების გავლას არ მოერიდება.

მტაცებელი ცხოველები ჯერაც ბლომადაა ჭურიაში. ვინ იცის, სად დაგაფრინდება თავზე ფოცხვერი ან მგლების შეთხელებული ხროვა. ტურები ხომ მშობიარე ქალივით ჩხავიან შებინდებიდანვე. ახლა გაიკაფა აქაურობა ზომაზე მეტად, მაგრამ ადრე სხვა ყოფილა. მოვიპატიჟებ სადილზე ჩარნაზ გაბისონიას, კოლი ჭანიას და ჭაჭია ქობალიას, კახათელებს და თავიანთი პირით ვათქმევინებ, რეები უნახავთ.

ჩარნაზი წარმოშობით ცვანედანაა, ერგეტელია შენსავით, მაგრამ აქ დაბერებულა უშვილძიროდ და მგონია მეც მის გზას ვადგევარ. ჩვენგან ათიოდე კილომეტრში სამხედროები დაბანაკებულან. პროდუქტებისთვის შემოგვივლიან ხოლმე. ბოლო დროს ისე უყურადღებოდ ჰყავთ მიგდებულები უფროსობას, მხედრული წეს-რიგი ფეხებზე ჰკიდიათ, ბოთლ არაყში ტაოტიან ავტომატს იძლევიან. მეც მომიტანეს ერთი, ნახევარი ფუთი ტყვიით.

— ალბათ, ვაზნებით. — ჩაერთო როკი.

— ჯანდაბას მაგისი თავი, ჰო, ვაზნებით. გერმანიის ომში წასვლა გვიანია ჩემთვის. არც ავღანისტანში მიმიწევს გული მაინცდამაინც და ეგდოს ეგერ, შენი ლოგინის ქვეშ.

ცოტა ხანს გვაპატიე, ქალბატონო. ტყიურები ტყიურების კვალობაზე ვცხოვრობთ. სადაც არის მოვა ჩვენი ლადიკიაც. ფული გქონდეს და ანაკლიის მაღაზიაში რას არ იშოვი კაცი. ისე, ის ფაცაცია, მართლაც მაგარი ვინმეა. ბევრი კოლმეურნეობა და ორგანიზაცია-დაწესებულება ჩხირკედელაობს ჭურიაში, მაგრამ ხალხი მაგის მეტს არავის უმადლის. ხელისგულივით ასფალტი მიიყვანა ზღვამდე. კოტეჯები ჩამომწკრივა პანსიონატში, ავ თვალს რომ არ დაენახვება. ლიმონარიუმებითა და მეღორეობის კომპლექსებით გაავსო იქაურობა. ადგილობრივი მოსახლეობაც კმაყოფილი ჰყავს და თავისი მუშახელიც. ხალხის ზრუნვაში რომ უთენდებოდა და უღამდებოდა, ამისთანა ერთადერთი — შამგონელი ბაგი ანთარია ვნახე. ამბაკოვიჩიც, ჯოტო გუგუჩიაც. ცხადია, სარგებელში არიან, მაგრამ მეფუტკრეს ხელზე თაფლი თუ არ წაეცხო, საქმე არ გამოვა. ამათ გამოკლებით, ყველა სახლში ეზიდება ჭურიის სიკეთეს. ბაგი განუმეორებელი იყო მართლაც, არ დაუთმო ივლიანე თოდუას და ახლა არდაშელ ჰალიძონია პარპაშებს შამგონაში.

— ეგ რომელი, საკუთარი რძალი რომ გააბახა? — ჰკითხა როკიმ.

— საიდან ასწრებ ამდენს?

— საქართველოში პატიმრობის ბოლო წელს დურუ იჯდა ჩემთან.

— დურუს სიკვდილით დასჯამ წელში გამართა არდაშელი. აქამდე შინ გამოკეტილი კვლავ გაერია საზოგადოებაში. ის მაწაკი დედაკაცი აკითხავს ხოლმე ქალ-ვაჟის საფლავებს, მაგრამ არდაშელი ჭურიაში ერთხელაც არ გამოჩენილა. არ ადგები? ხბო ჩამოვკიდე. ჩავყრი ახლა ხორცს და ჯანდაბას მაგათი ნიაბაგი!

— გოგო-ბიჭის სიყვარული მრავალნაირი გამიგონია, მრავალნაირი წამიკითხავს, მაგრამ მათ გრძნობასთან თვით რომეო და ჯულიეტას ტრაგიკული მიჯნურობაც ვერ მივა. ხელწამოსაკრავი არც ჩემი და ილონას უნუგეშო ტრფიალებაა, თუმცა იმათ რომ უბედურება დაატყდათ თავზე, ენით აღუწერელია.

შაშმან, წადი შენ, მეც ახლავე მოგყვები. თავის ბრუალმა გამიარა საბოლოოდ. ისეთ მადაზე ვარ, შეიძლება მეორე ხბო გაგიხდეს დასაკლავი.

ილონა, მომაწოდე ერთი, ჩემი ჯვალოები. გადამრევს ეს ქალი! სარკეში უნდა იყურებოდე გამუდმებით? გავიგეთ, ბატონო, მშვენიერი ბრძანდებით, მაგრამ მაგ სილამაზისთვის სულაც არ ვაპირებ საწამლავის დალევას და არც ზღვაში შევცურდები იმის ფიქრით: მორჩენილია შენი ამბავი, ეს ნეგრივით ბოშა ქალი არაფრისდიდებით დაგეხსნება, გნებავს დიხამინჯიამ მთელი საძაღლეთი დაგადევნოს მინჯორაიას თამადობით და უმჯობესია წუთისოფელს გაეცალო-თქო.

არა, შვილოსა, გაუმარჯოს სიცოცხლეს! სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთო, პოეტმა და მე, თვრამეტი დედალი ავაზის რისხვამ, ასე უაზროდ ავიღო ხელი ღვთიურ სიკეთეზე?! — ამბობდა როკი და სიცილ-სიცილით იმოსებოდა.

,,ილონა, უბედურო, რისი იმედი გაქვს? შენ რომ გიყვარდა იმ ბიჭუნას ხომ ხედავ, რამდენი ეკალი ასხია ტანზე?! სხვისთვის კი არა, საშენოდ. ხელის ჩასაჭიდებელს ეძებ, მაგრამ მიუკარებელი ნაპირივითაა. ათასი მისასვლელი ჰქონდეს, ყველგან ფრიალო კლდეებია შენთვის. დაბერდი ქალი და მაინც ქერქეტა გოგოდ დარჩი, შაქარივით თეთრი ბიჭის ელვარება რომ გნუსხავს. ფარხმალი მაშინვე უნდა დაგეყარა, როცა თურმანიძეების შიშით ერთი ნაბიჯიც ვერ გადმოადგა შენსკენ. საქორწილო მაგიდას ვეღარაფრით მოშორდა, თითქოს დამაგნიტებული იყო. შენ კი არ ცხრებოდი. შემოთავაზებული ღვინით ცეცხლმოკიდებული იქით მიეახლე ამალით ნეფე-დედოფალს. მერედა, ერთხელ თუ ორგზის?! დაჭმუჭნილ თუმნიანების ისროდნენ მარჯვნიდან და მარცხნიდან, თითქოს მართლაც სარგებელისთვის მისულიყავი მათსას. შენი გოგონები არ თაკილობდნენ მათ აკრეფვას, ბეჩავო. შენი ბავშვობის უძილო, ანკარა ღამეებს ყიდულობდნენ თურმანიძეები დაურიდლად, რომ ილონას სახსენებელი ერთხელ და სამუდამოდ გადაშენებულიყო ოდიშელიას გულიდან. რამდენი მთვრალი მამაკაცი წაგეპოტინა იქ, შენ კი განურჩევლად ყველა სურვილს აღასრულებდი, ცირკის ტაკი-მასხარასავით კუნტრუშებდი როკის წინაშე. რა გრჯიდა, ვინ გეძახდა, რომელს გაახსენდი?! დაუპატიჟებელ სტუმრად მიხვედი

და დაქირავებულ მომღერალივით გეპყრობოდნენ. სიმწრის ცრემლებით ტიროდა კარლო და მაინც აგრძელებდა გიტარის ჟღარუნს. იმღამინდელი ფულით შენი ასულები მართლაც დედოფლებივით შეიმოსნენ, შენი გაქურდული სიყვარულის საფასურით შეიმოსნენ, ილონა. ვერაფერმა დაგაოკა, იქით უვარდებოდი ხახაში შენს დამაქცევარს. მისთვის იწვოდი მთელი ღამე, ის კი განგებ წაგიყრუებდა, თვალს გარიდებდა, თურმანიძეების ასულს წამოჭარხლებული სახით ეჩურჩულებოდა, ალბათ, იმისი შიშით, ჩვენი სიყვარულის ამბავი ხმამაღლა არ წამომცდენოდა. ან რაში ენდომებოდა ჭუჭყიანი კარვების ქალი, როცა თურმანიძეების მილიონერი გოგოს სურნელი აბრუებდა?!

ილონა, უბედურო, შენი ყისმათი არაფრით განსხვავდება კარმენის ბედისგან, არც — ესმერალდას და ესენიას წუთისოფლისგან. თავიანთი გაფურჩქვნის წელში დაიღუპა სამივე და შენი ბოლოც ეგ არის. თეთრ მამაკაცს არ შეუძლია გრძნობის ბოლომდე შენახვა. აისრულებს თუ არა საწადელს, ეგრევე ხელს გკრავს, როგორც უსარგებლო ნივთს. ამას გიკიჟინებდნენ ბიცოლები, დეიდები, მამიდები, დედა. განგების შეცვლა გწადდა, საწყალო! ბედისწერას აუმხედრდი. მისი თვალუწვდენელი ტალღების გადაცურვას ლამობ. გონს მოეგე სანამ დროა, სანამ შენი ბიჭებისთვის მთლად არ გამოგისვია ყელში დანა. გაყიდე შენი უძრავ-მოძრავი ქონება. შენი ონავრები ვიოლინოსა და ფორტეპიანოს გარეშეც ჩინებულად გავლენ ფონს ცეცხლოვანი გიტარებით. ფართე ქამრები შეუკერე ვაჟებს! მამა-პაპური დანები აუღესე და მოეშვი მათ კუდში დევნას! დაე, იბღოტიალონ ტყე-ღრე; დაიკაწრონ, გადაიფლიფონ მუხლისთავები. მამლაყინწებივით ეძგერნონ მეტოქეებს, გამოსაშვები სისხლი გამოუშვან. ფორანს ცხენები შეუბი, ილონა! აიკიდე ზურგზე შენი ავლა-დიდება და დაუბრუნდი საკუთარ კალაპოტს. იღბალი რაღა შენთვის დაუშვებს გამონაკლისს?! ამ ხალხს დაკარგული აქვს დროის შეგრძნება. დამდოვრებულ ტბასავითაა მათი ცხოვრება. სადაც შარდავენ, ჭიდან წყალი იქიდან ამოაქვთ. შენ კი სინდიყვით უნდა იმოძრაო, ხავსი რომ არ მოგედოს, საკუთარ ოფლსა და ხვითქში არ ამოიგუდო. კი, ხეტიალისაა შენი როკი, მაგრამ გულის კარნახით როდია ეგ. მთავრობა სდევნის, იმიტომაც არ დაედგომება ერთადგილას. საკმარისია მტრები ჩამოიშოროს გზიდან და ასიათასიდან ის ერთადერთიც ტბასავით დაგუბდება. დროის შეგრძნება შენს ხალხსაც დაუკარგავს, მაგრამ სხვანაირია საფუძველი, დროსთან ერთად რომ მივირწევით ჩვენი ჭუჭყიანი ფორნებით, რათა დამნაცრავი ერთფეროვნება უმადურ ლუკმასავით ყელში არ გაგვეჩხიროს. კიდევ გააჩენ შვილებს. შენი სხეული კუზმას ქურასავითაა. ასულსაც გაჩუქებს ღმერთი, ალბათ. ჩაისვი კალთაში და მოუყვი შენი სულის ისტორია, თეთრ მამაკაცს რისთვის არ უნდა გაეკაროს“.

— ილონა! ილონა! — გამოსძახა ოდიშელიამ ეზოდან და ბოშა-ქალიც გველნაკბენივით შეკრთა. ქუსლებწაჭრილი კედებით გამოფლატუნდა ფიცრულიდან.

ბაკის ღობეს გადმოყრდნობილი როკი ხელს გამალებით უქნევდა.

ილონა გულამოვარდნილი მოაწვა ზღუდეს ოდიშელიას სიახლოვეს, ზედ მარჯვენა მხართან. როკი ზურგით ეყრდნობოდა ღობეს, ილონა — მკერდით, მათ თვალწინ კი მუქწაბლისფერი ფაშატი წაგრძელებულ ფეხებზე დაბანცალებდა, ამაოდ ეძებდა ძუძუს. ჭაკი დაგებულ თივაზე იწვა ჯერაც.

მოულოდნელი სურათით ერთიანად ათრთოლებულმა ჯეირანმა თავი აიღირა და ყურისძირას აკოცა მამაკაცს. წყალში ჩაეყარა წეღანდელი ფიქრების რემა.

ოდიშელია არ გამოკიდებია მცხუნვარე ტუჩებს, დარჩა ასე გასაგნებული, მდინარეში გადაგდებული კენჭივით.

დედა-ცხენმა ითმინა ერთხანს ფაშატის უთავბოლო ბოდიალი ღობის გასწვრივ, წაიხიხვინა, მერე ახალდაგდებულის მოსაბრუნებლად წამოიმუხლა, წელში გასწორდა, სხეული შეიბერტყა, ძუა-ფაფარი ააქანავა და თავჩახრილმა ლაჯებში შემოიკედლა მემკვიდრე.

ოციოდე მეტრის მოშორებით სამფეხზე შედგმულ ქვაბში ხბოს აქნილ ხორცს ყრიდა შაშმანი.

— კვიმატი წელიწადი იქნება გაისად, — თქვა თირქიამ, ისე რომ საქმიანობა არ შეუწყვეტია, — დაკვირვებული ვარ, არამარტო ჩვენს ფარეხში, შამგონელებთანაც, კახათელებთანაც და ორულელებთანაც, რაც კი იშვა, ყველა დედალია. უცნაურია, არა?! არც კნუტებში გამოერია ხვადი. სულ ნეზვებს ყრიან ღორებიც. ბუნება რაღაც დიდი განსაცდლისათვის გვამზადებს.

მდედრის მომრავლება უბედურების მომასწავებელიაო, იტყვის ხოლმე ჩარნაზ გაბისონია.

— გშველებია და ეგ არის, — გაიცინა როკიმ, — ამდენი მდედრის სიმრავლებში გამოერევა, ალბათ, საშენოც. რახან ლოგინიდან წამომაგდე, ბარემ ნუღარ მომერიდები, დამავალე რაც გენებოს, თორემ უსაქმურობისგან ხავსი მომეკიდა.

— შენ ილონა არ მოაწყინო და დანარჩენზე ნუ სწუხხარ.

— არ მოაწყინო! იპოვა პატარა საქმე. ორი საათია ჟუჩკებზე მალაპარაკებს. ახლა გრებენების ამბებს მომთხოვს. წახდა ქვეყანა, კაცის სიტყვას ვერ ენდობი. წამომაგდო ლოგინიდან და თავიდან მიშორებს ისევ: ილონა არ მოაწყინოო, თითქოს სიმინდს ვამოროდებდი იქ. მირჩევნია დიხამინჯიას ხალხს ჩავბარდე, — თქვა მოჩვენებითი სერიოზულობით როკიმ და თავისქნევით მიჰყვა მწყემსების სადგომისკენ გვარიანად დაწინაურებულ ქალს.

დიასახლისს ლოგინები დაელაგებინა, ოთახი გამოეხვეტა, გაენიავებინა.

ოდიშელიამ ზამბარებიან საწოლს გაუპირდაპირა, ჩაიმუხლა და ხაკისფრად შეღებილი ხის გრძელი ყუთი გამოათრია. მაგიდასთან მიაჩოჩიალა სახელურით. გახსნა საკეტურები, სახურავი ახადა და კალაშნიკოვის გამართულმა ავტომატმა თვალი მოსწყვიტა.

გრაფინი და ჭიქა იატაკზე ჩამოდგა. ლაქებიანი სუფრა გააცურა ნახევარს იქით. თვალის დახამხამებაში დაშალა იარაღი. დანის წვერით კონდახი მოაშორა ავტომატის ლითონის კორპუსს. გაწმინდა ნაწილები ზეთწასმუ-

ლი ჩვრით. კონდახი ყუთში ჩააბრუნა. ისევ ააწყო. ახლა მჭიდეებს დაუტრიალდა. ვაზნები ამოყარა. ხელახლა დამუხტა ექვსივე. ორ-ორად შეკრა იზოლაციის მწვანე ლენტით.

საწოლზე ჩამომჯდარი ქალი დაჟინებით უმზერდა როკის ჩხირკედელაობას.

ათის დათვლამდე თუ შემომხედა, ბიცოლაჩემის მარჩიელობას ყავლი გაუვაო, ფიქრობდა ბავშვურად და რაც შეიძლება წელავდა. ერთი, ორი, სამის რიგითობას ცხრამდე, მეათე შავი დღისთვის შემოინახა კიდეც, მაგრამ ოდიშელია ისე გაეტაცა იარაღის ჩხაკუნს, სატრფო კი არა, სიგარეტიც გადაავიწყდა.

— ილონა, მომხედე! — თქვა ბოლოს მარცხენა მხარს ზემოთ მიწატკეპნილის მიმართულებით და ქალმა საპირისპირო ალაგიდან რომ გაიღო ხმა, გაუკვირდა.

— იქით მეგონე და აგერ არ ყოფილხარ?!

— ნახევარი საათია გითვალთვალებ, ერთხელ არ გაგახსენდი. ნეტავ მაგ იარაღში ისეთი რა ყრია? ალბათ, სიგარეტის მოწევა მოგინდა. ზანგის გოგო არ მოიშხამავს მეტჯერ პირს. ჩვენში დარჩეს და არც შენი ცოლია მაინცდამაინც ნეფერტიტი.

— სულელი! ყველაფერში მაგრები ხართ ბოშები, მაგრამ, აი, იუმორში გაბროველებსაც უჯოკრავთ. კარგი, ბატონო, აწი არასდროს გაგეხუმრები. ილონა, ამაზე უკეთესი საბრძოლო იარაღი არავის მოეპოვება დედამიწის ზურგზე. თვით მაფია და კოზანოსტრა ხელიდან არ აგდებს კალაშნიკოვის ავტომატს. აბა, ლიანდაგს ხვრეტს. მუხლები გეკეცება მის მჭახე ხმაზე.

ერთხელ ბადრაგის ბრძანებას არ დავემორჩილე და ცეცხლი კაცის სიმაღლეზეო, რომ სჭექა მაიორმა, ასი პატიმრიდან ორად-ორი დავრჩით ფეხზე, მე და ვასია ზატოჩნიკი. არ შევმკრთალვარ-მეთქი ვამტკიცო, ტყუილი იქნება, მაგრამ მთლად შიშამდე არ გადაზრდილა ის გრძნობა. კრთომა გულის ქვემოთ ვერ მიდის, შიში კი მუხლებს ჩაირბენს და ვიდრე ტერფებამდე ჩააღწევდეს, მიწაზე ვარდები. გასწავლო როგორ ისვრის?!

— რა ჭირად მინდა, თანამებრძოლად მაინც არ გამოგადგები, — ილონა საწოლიდან წამოიმართა, მაგიდიდან ტაბურეტი გამოაჩოჩა და გვერდით მიუჯდა.

— კუბაში, ისრაელში ქალების სავალდებულო სამხედრო სამსახურია, მამაკაცებს ტოლს არ უდებენ სროლაში. ვინ იცის, იღბალი საითკენ გადაგისვრის დიხამინჯიას გადამკიდეს?! პროფესიონალს ყველგან პატივით მიგიღებენ.

— ჯარში შენ არ ყოფილხარ და საპატიმროებში როგორ დახელოვნდი მის ოსტატურად დაშლა-აწყობაში?

— ჰო, სულ ჩემი მხედრული სრულყოფისთვის ირჯებოდნენ აშბა, კვეკვესკირი და სტეპანცევი. ავტომატიდან ყუბანში ვისროლე პირველად. ჩემი მასპინძლის უფროსი ვაჟიშვილი ზემდეგი იყო. ცოლის დასაშინებლად ოჯახში

დაათრევდა იარაღს, მაგრამ მისი საზიდრის ცხენივით ზონზროხა დედაკაცი ისეთი მუდო გახლდათ, ავტომატით კი არა ზარბაზნით ვერ შეახრევინებდი წარბს. მათი სოფელი რადნიაკოვსკაია მდინარე ლაბას პირას მდებარეობს, იშვიათი სილამაზისაა. წამიყვანა ერთხელ ტყეში და ოცდაათი-ორმოცი მეტროდან ორი გასროლით მოცელა მაჯისსისხო არყისხე. მერე მომაწოდა იარაღი და მეუბნება:

აბა, მანახე რა ვაქკაციც ხარო.

დავუმიზნე და პირველივეთი რომ მივაწვინე აშოლტილი, ხმა დაიდუმა. შენი მაძებარი ათიოდე დღეს დავყოვნდი რადნიაკოვსკაიაში.

კოტიოლნიკოვებთან სამი ღამეც არ გამითენებია. მამამთილს რომ უღრიალა, იმ დევქალმა: როდის გააგდებთ აქედან მუქთამჭამელსოო, ამოვიკვეთე ფეხი მათ ხატაში.

ოჯახის უფროსი მამაჩემის ამხანაგი იყო, ჩინებული ხურო. მაგისთანა კარ-ფანჯარას კაციშვილი ვერ ამზადებდა. დედამთილი მარილებისგან მოღუნული თითებით დილიდან საღამომდე წნავდა სახელურებიან კალათებს ფანქრისსისხო ლერწისგან. მეურნეობას აბარებდა ჩალის ფასად.

მეორე შვილი აგურის ქარხანაში საქმიანობდა. ქოფაკის მეუღლე სამხედრო ნაწილში საომარ ხელოვნებას ასწავლიდა ახალწვეულებს. ფულს დუნიჩკას აბარებდა ყველა.

მაშასთვის ვერავინ იცლიდა რძლის მეტი. მაშა ველის წითელი ჯიშის ძროხა გახლდათ, ოცდაოთხ ლიტრ რძეს იწველიდა დღე-ღამეში. ხუთი ტომარა ბალახი არ ჰყოფნიდა და სულ დუნიჩკას საზრუნავი იყო. რაიმე ხეირი ჰქონდათ გგონია, იმ რძისგან?! ანადუღარ რძეს დაუმატებდნენ მაჭიკის მაგივრად, მაწონი თუ მოყირჭდებოდათ დოლბანდით გაწურავდნენ, დაადებდნენ უშველებელ ქვას და ნაჯახით ჭრიდნენ მერე იმ ყველს. სხვა შემთხვევაში ყველა ჭურჭელში მაწონი ყანტალებდა. მოხდიდნენ ერბოს, წაგრძელებულ ხუთლიტრიან ბოთლში ჩაასხამდნენ და ხევსურების მსგავსად კარაქად დღვებდნენ გამუდმებული ნჯღრევით. საქმეს მორჩენილი ქალი თუ კაცი იმ ბოთლს არწევდა დღენიადაგ. მეც მომაჩეჩა ერთხელ, მაგრამ ჯიქურ რომ მივუბრუნე, თვალში ამომიღო.

იქაურ გოგონებში დავსეირნობდი, ხან ერთთან ვრჩებოდი ღამით, ხანაც — მეორესთან. როგორც მერე შევიტყვე, სწორედ ეგ უშხამავდა გუნებას.

მუქთამჭამელის სახელი მომაკერა. სინამდვილეში მათთან სამჯერ არ მისადილია.

შეუჩნდა მამამთილს: ბალახის მოტანაში მაინც შემეშველოსო. აბა, იმ ჭკუაზე ვიყავი, ოჩანი დედაკაცის ტომრები მეთრია. ჩვენებური ჭაჭა ბოცით მქონდა ჩამოტანილი. ფულს ყოველდღე ვჩუქნიდი პატარა ლენას, ვიდრე რადნიაკოვსკაიაში გავძელ. მალე მეორე ძროხამაც მოიგო. ახლა კი მთლად პერი მოიყენა თავზე დუნიამ. გოგო-ბიჭებში მომაკითხა გაჯორილმა მამამთილმა, განზე გამიხმო და ლამის მუდარით მითხრა:

ხომ ხედავ რა დღეშია?! გაჰყვი სათიბში. მუშაობას არავინ გთხოვს, გამოესაუბრები უბრალოდ.

წავიდა და აქირქილდნენ უბნელები.

რა იყო-მეთქი, შუბლი შევიჭმუხნე.

ვინც კი ჩვიდმეტს გადაცილებულია ჩვენს სოფელში, ყველა ყმაწვილს შეუშველებია ხელი დუნიჩკასთვის შენს მეტს. ალბათ, ეს აწიწმატებსო, თქვა საშა ბუჰაიოვმა. ხუთი ტომრის გავსებას საათნახევარიც ეყოფა, მაგრამ ვინ გიშვებს საღამომდე დილით წაყვანილს. დატენი ბალახით იმ ტომრებს. თავს ამოუბანდავ სპილენძის მავთულით, გამოათრევ გზისპირზე, ჩამოჯდები სადმე. ეს ველური დედაკაცი კი ზედ გაიშხლართება. უმადურად გადმოგიგდებს აგურა პურის ნახევარს. წარბების აზიდვით მიგანიშნებს გაქუცული ჩანთისკენ, რომელშიც საგზლად წამომძღვარებული მოხარშული კვერცხები, კარტოფილი თუ კიტრი და პომიდორია.

ილოღნები ლუკმას. ყელში თუ გაგეჩხირა, მიაყოლებ მაწონს. ამანაც თუ ვერ გიშველა, ისეთს მოგიბაგუნებს ზურგში, ნეკნებს ჩაგიმტვრევსო. ტალახიან ფეხს ერთადგილას გიყოფს. მოკლედ, შეგაბამს ეჟვანს. ერთი ჯერობა რას ეყოფა მის უძღებ ვნებას. გასწავლის სად უნდა მოჰკიდო ხელი, როგორ უნდა დაუსრისო მარჯვენა ძუძუს კერტი, ყურის ბიბილო, მარცხენა თეძო.

წევხარ ტომრებზე მისავათებული. გარშემო ჯუჯა სიმინდებია. ისმის მწყრის ქვითქვითი, ზემოდან უკიდეგანო ცა დაგნათის და ასე გგონია, ყველა უჩინარი ვარსკვლავი მოწმეა შენი უნებლიე ცოდვისაო.

პირველად ვიგრძენი ქალი რომ ვაროო, გაბრუებს მაცდური ჩურჩულით. რა ქნას აბა, ჩვარივით კაცის მოიმედემ? ჭიქა არაყს რომ დალევს, გამოლენჩდება. ეზოში მოთამაშე ოთხი-ხუთი წლის ლენაჩკაზე: მალე იმ საქმისთვის გამოდგებაო, იტყვის უტიფრად.

რატომ ხარ ასეთი უმადურიო, ამბობს დუნიას მიბაძვით საშა ბუჰაიოვი და გოგო-ბიჭებიც სიცილისგან ჩაბჟირდებიან.

რა ხანია ხეთქავს ჩვენს პურ-მარილს და ერთხელ არ გამყვა სათიბში. აქეთ ქმარი გამილოთა თავისი დურბელათი! მუქთამჭამელი! სცინებს კოტიოლნიკოვების ატროკებულ დედაკაცს ბუჰაიოვი ჩხიკვივით.

თანატოლები იჭაჭებიან, თვითონ კი არის მუმიასავით. ტყუილად როდი დაუნათლიათ მეტსახელად სოიკა.

ამას სასხლეტი ჰქვია, ილონა. ოცდაათი ვაზნა მიდის მჭდეში. ავტომატურზე თუ დააყენებ, წამში დაიცლება. აი, აქედან კი სათითაოდ ისვრის. ერთბაშად კი ნუ გამოსწევ სასხლეტს, ნელ-ნელა.

— მეშინია.

— აკი, ქვეყანას აქცევდი აქამდე.

— რომ გავარდეს?

ილონა შიშნეული შეახებს მოკაუჭებულ ენას სალოკს. როკის მარცხენათი ჩაბღუჯული ლულა აღმოსავლეთ ფანჯრისკენ მიუშვერია. ციებიანივით

გამოსდებს თითს ქალი და დაიქუხებს ავტომატიც დაძაბული სმენის გამაყრუებლად. იარაღის უკუმქცევ ძალას ილონას დატაკებაც რომ დაემატება, ოდიშელია იატაკზე მოადენს ბრაგვანს. ქალი ზემოდან გადამხობია. მოსჩანს მათ შორის გაკვეხებული ავტომატი. როკი არ სარგებლოს ხელსაყრელი მდგომარეობით, თუმცა ილონას ალისფერი ტუჩები, გამალებული სუნთქვა ზედ ცხვირის ნესტოებთან უღიტინებს. ძუძუებით აწვება მკერდზე, ბარძაყებით შეძვრომია ფეხებში, ოდიშელია კი გახვრეტილ ჭერს მისჩერებია.

— დავიღუპე? — შემოვარდა დაფეთებული შაშმანი.

— ბეწვზე გადავრჩით, — ეუბნება სიცილით აფორიაქებულ მასპინძელს როკი. — რომ არ მემარჯვა, გამიტანდა ფანჯრიდან და დიხამინჯიაც მოისვენებდა.

— მატყუარა! ცრუობს, — ამბობს იატაკზე წამომჯდარი ილონა, — თვითონ გამომაკვრევინა თითი. რას ვიფიქრებდი დატენილი თუ იქნებოდა?!

ჩეროში გამოტანილ სადილს რვანი უსხედან. შაშმანის გულღიად მორთმეულ ავლა-დიდებას მიმატებია მეზობელი მწყემსების მოსაკითხიც. ჯერ ჯოჯუების ქალის მსხლის არაყს ჩამოასხამენ. ახსენებენ ღვთის სახელს. სტუმარი მეჯოგეები თითქმის ერთი თაობისანი არიან.

კახათელი იპო ფაჟავა საშუალოზე ოდნავ მაღალია, დაღარული შუბლით და მუდამ მოღიმარი სახით.

შამგონელი ჭაჭია და კოლი — მოციცქნულები, პირისახე სუფთად მოუპარსავთ. ხოლო ჩარნაზ გაბისონიას ქათქათა წვერს ალბათ ნახევარი საუკუნეა მაკრატელი არ შეხებია. იცის როკიმ უკვე კვეკვე ანთარიას ახალშერთული მეუღლითურთ ზუგდიდში გადაბარგება. ძრავის შეკეთებას რას მოასწრებდნენ, როცა დაქალებით დასდგომია თავზე დილაუთენია ჯოტო გუგუჩია?! უძებნიათ ნავსადგურის გასაღები, მაგრამ რას აღმოაჩენდნენ იპო ფაჟას ჯიბეში საიმედოდ შენახულს?!

— არ ყოფილა ჩემი საშველი! — გამწყრალა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მიუტრიალებია მანქანა.

აი, სწორედ მაშინ აუკრავს გუდა-ნაბადი ანთარიას. ანაკლიის ტრასამდე მიუცილებიათ ცხენებით. იქ გამვლელი „ჟიგული“ გაუჩერებიათ. გადაუკოცნია ჟინის მემკვიდრეს ყველა.

გინახულებთო, შეპირებია კახათელ მწყემსებს. ზუგდიდში თუ შემოივლით, სასტუმრო „ოდიშში“ მიპოვითო, უთქვამს. მომიკითხეთ ოდიშელია, მაგის ამბავს ისე არ დავტოვებ, ან — მე, ან — დიხამინჯიაო, დაუქადნია და მობოდიშებით ჩამსხდარან აპიპინებულ მანქანაში.

— კარგი ბაბუა გყავდა, ბაბაგე, — ეუბნებოდა როკის ჩარნაზ გაბისონია, — ცხონებული ძაკა ერთ სოფლად ღირდა. პირველი შემრიგებელი იყო ერგეტაში.

უშნოდ ქვაც რომ დავარდეს, იმასაც ეტკინება რაღაცო, იტყოდა.

წვრილმანი კინკლაობა უდევს საფუძვლად ყველა უბედურებასო, დაასკვნიდა მენცარკოჩი.*

ნებისმიერი ადამიანი პატარა სახელმწიფოა. იმასაც გააჩნია თავისი საზღვრები და როდესაც სიტყვიერი თუ ფიზიკური შემოტევით შენი სიმშვიდის დარღვევას ლამობენ, თითოეული ისე აღუდგება წინ ბოროტებას, როგორც სამშობლოს შემოწყობილ მტერსო, უყვარდა თქმა.

გამზრდელი ბიძაჩემი ფარნა და კიდევ სამი-ოთხი ერგეტელი, ძაკას განუყრელი მეგობრები იყვნენ. საკმარისია სადმე თავი წამოეყო უთანხმოებას, გაჩენილ ცეცხლს მაშინვე ჩააქრობდნენ.

სოფელში ერთი ოჯახიც კი ქათმის კუჭივით თუ ჩამოიღუშა, იქ ლხინისთვის არ უნდა გეცალოს, ან რა გეზეიმება, როცა უბედურია თუნდაც ერთი, რადგან შესაძლოა ხვალ-ზეგ ის ერთი ორად იქცეს, ორი — ოთხად და ნახევარ წელიწადში მთელი სოფელი გადაიბუგოსო, ბრძანებდა.

საერთო ენის გამონახვაზე უკეთესი არაფერია, ბაბაგე. გავიგე: ტყვიით მოსდევენო. დარწმუნებული ვარ უკადრის საქციელს არ ჩაიდენდი ძაკას შვილიშვილი, მაგრამ შენი ბაბუის პატრონი სხვა წაკიდებულებს უნდა აშველებდე, და მიკვირს თვითონ რომ ხარ შესარიგებელი.

— შუაკაცს მეტი მოხვდაო, ბაბუას სიტყვებია ესეც, ბატონო, ჩარნაზ, — ოდიშელია გრაფინს წაეტანა სასმისების შესავსებად.

— როგორც ვატყობ, მამაშენის კვალს მიჰყვები. რამდენად ოქროს ხელები ჰქონდა ვალერიანს, იმდენად — მწარე. სიტყვას არავის შეარჩენდა, ოდნავ გადაკრულსაც კი. დროზე შენიშნა ეს ძაკამ, ამიტომაც ურჩია ქალაქში გადასვლა.

სხვათა შემრიგებელი, მე ვერ დავუშვებ ჩემი შვილის ბობოქრობის გამო, კარს შუამავალნი მიტალახიანებდნენო. ზედმეტი სიამაყე ღუპავს ადამიანს. მოდი და გულახდილად ვთქვათ, რომელია უკეთესი, ქედმაღალი მუხა თუ სიფრიფანა ლერწამი?! მოვარდება ზენა ქარი შუაღამით, არის ერთი ჯახაჯუხი, ტოტების ლაწალუწი, სხეულის ზანზარი და ფესვების რყევა. მოგვიანებით, სხვა დროს, ზღვაური ამოქშინდება, მარცხნივ გადაფერდილს მარჯვნივ წააყირავებს, მორეჯგვავს და შეიძლება მიწასთან გაასწოროს კიდეც. შევხედოთ აქეთ ლერწამს: გადაურბენია გრიგალს გამეხებით, ხან აღმოსავლეთით გადაუწვენია იგი, ხანაც — დასავლეთით, მიწყნარდება ბოლოს ყველაფერი, გოროზი მუხის სახსენებელი აღარსადაა, მიწას შეუჭამია მისი უდრეკლობა და სიზვიადე, ხოლო თითქოს უსუსური ლერწამი კვლავაც ფეხზე დგას. ვფიქრობ, საგულისხმო მაგალითია.

— ჩარნაზ, ბატონო, ეგ ასე არის ნამდვილად, ბრძენკაცს რა შეგეშლებათ, მაგრამ მეხი ლერწამს არასდროს ეცემა, მუხას კი — რამდენიც გნებავთ. საკუ-

თარ თავს როცა პირველი მიაგებებ განსაცდელს, განა სხვები არ თავისუფლდებიან იმ დარტყმებისგან და ამაზე მეტი სიკეთე რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა?! — თქვა როკიმ.

— ბაბაგე, მე ერთი უძირო კაცი ვარ, თქვენისთანების იმედით მიდგას სული და ისე ნუ ჩამომართმევ, თითქოს გინერგავდე: არიქა, ლერწმის მერყეობა გაიხადე ცხოვრების მეგზურად-თქო, მაგრამ ამ შემთხვევაში მუხაზე ძლიერი ლერწამი გამოდის.

— სხვადასხვა იღბლისანი არიან ეგენი, — ჩაერია საუბარში იპო ფაჟავა, — მუხა თუ არ ეყოლება ქვეყანას და ლერწმის იმედით ისულდგმულებს, ჩასვენებულა მომავლის რწმენა და ეგ არის. აბა, ჰკითხეთ ერთი იმ ლერწამს, რომელ ერთს არ უნდა ჭყონდიდობა, მაგრამ გულითაც რომ სწადდეს, ხაიას მუხად გადაქცევა, ვინ აღირსებს რომელი?! მუხა კი, როგორი მწარეც უნდა იყოს მისი ხვედრი, ერთი დღით ვაჟკაცურ სიცოცხლეს ამჯობინებს ჭაობზე გართხმული ლერწმის უკვდავებას.

— ღია კარებს ამტვრევთ ერთიც, მეორეცა და მესამეც, — იხელთა დრო აქამდე გაჩუმებულმა კოლი ჭანიამ, — ჟინი ანთარი ვის არ გსმენიათ და იმ გულთმისანს თუ დავესესხები: მუხა პიროვნების განსახიერებაა, ლელიანი კი — ხალხისა. მუხის ცაში ატყორცნილ ძლევამოსილებას ლელიანის დანახშირებული სხეული კვებავს. მუხა ერთში თავმოყრილი მილიონი ლერწმის ოცნებაა და აქ მეტნაკლებობაზე, მით უფრო — პირველობაზე საუბარი, უაზრობაა.

— ამდენ ფილოსოფოსობაში გაცივდა ყველაფერი, — თავი გამოიდო შაშმან თირქიამ, — დედლისა და ლამაზსიტყვაობის მომრავლებას ცუდი წელიწადი მოსდევსო, გამიგონია თქვენგან, ჩარნაზ ბატონო. ილონა, გადაიღეთ რამე!

— აბა, უშვილძირო ხალხმა ლაპარაკიც თუ მოვიშალეთ, ბარემ გავყოთ ბაწარში თავი კოჩიასავით და საზრუნავიც არაფერი გვექნება, — თქვა ღიმილით ჩარნაზ გაბისონიამ, — ცვანეში ვცხოვრობდით მაშინ გაბისონიები, ერგეტის ცენტრში მერე გადმოვსახლდით. თავზე უღრანი ტყეები გვადგნენ. მის ძირში წყაროსავით მიკამკამებდა თემშარა. ახლა გაიკაფა ყველაფერი ბაგი ანთარიას თაოსნობით. ზამთრის შუშა ჭურიის გადაღმიდან მოგვაქვს, თორემ მაშინ დაბურულ ტყეში ნემსს ვერ შეიტანდი ფოთლის შეურხევლად. ყოველ ნაბიჯზე გხვდებოდა გარეული ტახი თუ შველი. ელამი თვალებით გზვერავდნენ წითური მელიები. მგლების ყმუილი შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას. ამძუვნებული ფოცხვერების ჩხავილი ფხრეწდა სოფლის მკვიდრის ფხიზელ ძილს. ჰოდა, ამისთანა მივარდნილ ალაგას, ლამშიამოვლებული, ერთიანად აძაგძაგებულ-აწკავწკავებული ცოქური რომ შეუძვრა ფეხებში კერიასთან მოკალათებულ ფარნა ბიძიას, თამბაქოს წვრილ-წვრილად დაჭრას თავი ანება კაცმა.

მუთარე, ასე მიმართავდა ხოლმე ბიცოლაჩემს, ვერ უნდა იყოს საქმე კარგადო. ცოქური ისეთი დაშინებულია, ისე ცახცახებს საწყალი, რაღაც ფათერაკსაა გადაყრილი ჩემი ძმა. თოფი და ჩექმები გამომიტანე. ბინდისპირზე ცვანედან ფეხისგადგმა იქნებაო. თავისნათქვამმაა დანე. პირველ მშობიაროობას კინაღამ გადაჰყვა ძაბული, მის ცოდვაში ფეხს ვერ ჩავყოფო, რომ აიჩემა, დამთავრდა მერე.

ბიდა! ერა! ძოკო! ეპია! ეძახდა გაბისონიებს. მგონია დავიღუპეთ, მიშველეთ, ძმებოო! როხროხებდა და გამალებით კაზმავდა ცხენს.

ნავთში დასველებული სიმინდის ნაქურჩალები მოიმარაგეს. წალდები ქამრებში გაირჭვეს ზურგს უკან. თოფები მხარზე მოეგდოთ მიწისკენ დაშვებული ლულით. ნაბდები მოესხა ყველას, ვინაიდან ნოემბრის თვე მიწურულიყო და ღამღამობით გვარიანად ციოდა. უშვილო ბიცოლაჩემი მკერდში მიხუტებდა ხატის წინ დაჩოქილი და ღმერთო შენ უშველე ჩემს დანეს და ძაბულისო, ჩურჩულებდა სულ.

თეთრ ფინიას ჯერაც არ განელებოდა ცახცახი. მუხლებზე ეხუტებოდა ქალს საცოდავი წკმუტუნით. მამლების მოხშირებულ ყივილში მოგვწვდა მამაკაცების ზარი სოფლის ბოლოდან. რამდენიმე წუთში ჩვენი ეზო წივილ-კივილმა და მოთქმამ დაიპყრო. მაშხალების შუქზე გამოჩნდა ჭიშკართან ხარების ნაცვლად უღელს შედგომილი ოთხი მამაკაცი და მიუხედავად ასაკის სიმცირისა მთელი სხეული ამეჭინჭრა.

დედა-მეთქი, მივაკივლე, მაგრამ ვინ მიმიშვა ურმამდე?!

გაბისონიების ზლუქუნი თავგზას მიბნევდა. ვიკლაკნებოდი, განთავისუფლებას ვლამობდი, თუმცა ცეროდენა ბავშვის დაურვებას რაღა უნდოდა.

ბოდიში მომიხდია უადგილოდ წამოწყებული საუბრის გამო. ფიჩხივით ეყარა ურემზე ჩემი მშობლების ძვლები. ნათესავის მხრებიდან ვამჩნევდი ამას, და ისე შემზარა, ისე დამგესლა დანახულმა, აგერ, უფესვოდ გადავგებულვარ, მგლების ჯავრი კი ჯერაც გულიდან ვერ ამომიღია.

სამოცი წელიწადია გამეხებული დავსდევ მათ ჯიშს და ჯილაგს. ბუნაგში ამომიბუგავს ლეკვებიანი ძუ. ხვადისთვის კბილბასრი ყბები გამიხლეჩია. იქამდე გამიტაცა შურისძიების გრძნობამ, იქამდე ვსდიე მათ ნაკვალევს, მგონია, გადავაშენე ჭურიიდან, მაგრამ ამასობაში საკუთარი წავშალე. ამიტომაც წუთისოფლის დედააზრს როცა მივუჩოჩდები სიცოცხლის მიწურულს, უკეთეს გამოსავალს ვერ ვპოულობ, ვინემ დათმენაა. თვით მგელსაც კი არ უნდა მიუდგე თურმე ზედმეტი სიძულვილით. დავთრგუნეთ თითქოს ხილული მტერი, მაგრამ მის ადგილას სხვა აღმოცენდა: უჩინარი და ხუთჯერ ძლიერი, რომელიც მეტი სიშმაგით ანადგურებს ათასებს. ასეთია ჩემი გაგება.

ეგ იყო და მერე სუფრას ლხინის იერი მიეცა. კიდეც იხუმრეს, ილაღობეს. გაიხსენეს ცხოვრებისეული ცინცხალი ეპიზოდები შორეული თუ ახლო

წარსულიდან. გვარიანად შეზარხოშებულნი აიშალნენ ჩრდილოვანიდან. ჭიშკრამდე მიაცილეს სტუმრები. მხიარულად გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

— ჩარნაზი განუმეორებელი მთხრობელია, — ამბობდა შაშმანი, თან თემშარისკენ გაურბოდა თვალი მალიმალ, — ვპურმარილობდით და იმიტომაც მოჰყვა მგლებზე მოზომილად, თორემ ისე დაგიხატავს იმ სურათს, ძარღვებში სისხლი გაგეყინება.

დანე გაბისონიას უბრძოლველად არ დაუთმია ფეხმძიმე ცოლი და თავისი სიცოცხლე. ახლა თითმერიები რომ ცხოვრობენ, იქ დასხმიათ თავზე მგლების ხროვა. სანამ ტყვიები ეყო მიუწვენია ერთმანეთზე გაშმაგებული ნადირი. მერე ცულით დარევია. სისხლის გამოჩენაზე ჯერ თავიანთი ამხანაგები დაუგლეჯიათ, შემდეგ — ცოლ-ქმარიცა და ურემს შებმული ხარებიც. გამოხრული ძვლებით ადასტურებდნენ ამას თურმე. უღელს, კოფოს, მრავლად აჩნდა მათი ნაკბილარი. ეტყობა მსხვერპლის მოხელთების ჟინით ხესაც არაფრად დაგიდევდნენ. მოვა და ხელახლა ვათქმევინოთ. ოცჯერ მაინც მომისმენია ის ამბავი და ყოველთვის — განსხვავებულად. ამდენს რომ იგვიანებს, ჩანს, ანაკლიაში მაღაზია დაკეტილი იყო და ალბათ, გულმა დარჩელისკენ გაუწია. თქვენ მოისვენეთ, მე საქონელს დავხედავ, ვიბოდიალებ ცოტახანს ჩემთვის, — დაასრულა თირქიამ და ბაკისკენ უკანმოუხედავად წაჩანჩურდა.

თქარათქურით მოსწრაფებულ მხედარს როკი ჭიშკართან გაეგება. მიხვდა რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი მოჰქონდა ლადოს, თორემ ამისთანა პაპანაქებაში შაშმანის იორღას უმიზეზოდ ოფლში არ გახვითქავდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა თვითონაც. გადმოიღო ხურჯინი, მოხსნა უნაგირი, ტაიჭს ზურგზე უქსოვადი გადააფარა და ლაგამიანად მიუშვა ეზოში.

— ისეთი აფორიაქებული ხარ, ნაღდად ჩარნაზის მგლებს გადაეყარე, — უთხრა ოდიშელიამ ღიმილით.

— უარესს, — შეხედა კრთომით ჭაბუკმა, — მაღაზია დაკეტილი რომ დამხვდა, კუჭიკოს რესტორანში შევიარე. ნუგზარ გაბელია ჩეხურ ლუდს შეექცეოდა თანასოფლელებთან. დახლში ჩამდგარ კუჭიკოს ქაფმოდებული კათხები ელაგა წინ.

მიმიპატიჟეს.

კუჭიკო თვითნასწავლი მხატვარია. ისე ოსტატურად გადაუტანია კედლებზე ფიროსმანის ჟირაფები, ირმები, ბელიანი დათვები, მეთევზე, თუ ქეიფის სცენები, ორიგინალისგან გარჩევა გაგიძნელდება.

მაგ ორს კახათელების ფარეხში ყოფნისას დავუახლოვდით. ჭურია გარეული იხვებით შეუდარებელია. სამჯერ ვინადირეთ ერთად შარშან. მერე და შაშმანთან გადმოსვლის შემდეგ საყიდლებზეც შევივლი ხოლმე მათსას. ოქრო ბიჭები არიან.

ნუგზარი პახმელიაზე იყო და სანამ თვალში არ გამოიხედა, ადგილიდან ვერ დავძარი. კუჭიკომ გარეთ გამოგვაცილა.

ფრთხილად იყოსო, მეუბნება.

შაშმანს სიფრთხილე არ აკლია, კაცშემოკვდომილს ასი თვალი და ყური აქვს-მეთქი.

თავს ნუ ისულელებო. გუშინ ჯოტო ოდიშელიასგან როკის „ვოლგა“ წაუყვანია ადელუას ხალხსო.

გავიტრუნე. ხოლო ნუგზარმა, ილონას ხალათს რომ მიხვევდა ქაღალდში, ღიმილით მითხრა:

შაშმანი ცოლს ხომ არ ირთავსო.

მგონი-მეთქი.

როკის გამყიდველის დედაცო, შეიგინა უცებ, მაგრამ შუბლის ძარღვგაწყვეტილი ყველგან ურევიაო. ეგეც რომ არა, ისინი სულელები ხომ არ გგონია?! იციან ერთად ნაჯდომები არიან, ამიტომაც გეუბნებოდა კუჭიკო, მოფრთხილდესოო. რაიმე გაუთვალისწინებელი რომ მოხდეს, თავი მოგვეჭრება ყველასო.

გამოვედი მაღაზიიდან, გადავკიდე ცხენს ხურჯინი და კუჭიკოს რესტორანსაც ცისფერი „რაფი“ მოადგა. ათი მილიციელი ჩამობარგდა იქიდან, თეთრფორმიანები;

მობრძანდით ტოლიკ ბატონოო, ეუბნება კუჭიკო ჩემს გასაგონად აყლაყუდა მაიორს. მოსართავებს ვუჭერ, დრო განგებ გამყავს.

მინჯორაიების საკადრისი ლუდი მაქვს სწორედო, ამბობს ჩვეული სიცილით. შენ ოღონდ შეპირებულისამებრ ძმისშვილი სამსახურში მომიწყვე და ციკანს ჩამოვკიდებ დღესვეო, ფართოდ შლის ხელებს.

შაშმანისგან გაგონილი მაქვს თქვენი კონფლიქტის შესახებ, ამიტომაც ცხენი კურორტისკენ მივაბრუნე.

საქეიფოდ არ გვცალიაო, ტოლიკმა, ვისადილებთ და მერე ზღვაზე გავიყვან სტუმრებსო.

რესტორანში მძღოლიანად შევიდნენ. კუჭიკო უკან მიჰყვა, თან ხელის მოძრაობით მანიშნებს, აქაურობას ჩქარა მოშორდიო. ცენტრს გავცდი თუ არა, ვუცხუნე მათრახი ლაფშას.

— ქალს პანიკაში ნუ ჩავაგდებთ, — დაუწია ხმას ილონას გამოჩენაზე როკიმ, — ისე თადარიგის დაჭერა რომ გვმართებს, ცხადია. დროზე ავიბარგებოდი, მაგრამ გამორიცხული არ არის ეგენი ენგურზე ჩამისაფრდნენ. აქ კი დღისით, მზისით მინჯორაია ვერ მობედავს. იცის მაგან ჩემი ამბავი. ახლა საქმე მუშტიდან ტყვიაზეა მისული და სახუმროდ არც იმას სცხელა და აღარც — მე.

ანაკლიიდან სოსელიას ბიჭის მოტანილმა საჩუქრებმა ილონას ფრთები შეასხა. მწვანე ხალათმა და ფოჩებიანმა ფლოსტებმა ბოშა ქალს დედოფლური იერი დაუბრუნა. ფარდებს ხელად მიუჩინა ადგილი. მაგიდას თეთრი სუფრა გადააფარა. ლოგინს თეთრეული გამოუცვალა. მზეზე გამთბარი წყლით თავგადაბანილი ლურსმანზე ჩამოკიდებული სარკის წინ რაღაც ნაცნობი მელოდიის ღიღინით ივარცხნის დალალებს.

— შენს ქორწილში გადამეხადოს, — უთხრა ოდიშელიამ სარაქონელ ახალგაზრდას და ხუჭუჭა თავზე ხელი გადაუსვა.

— არც მეოცე საუკუნის აბრაგია დავიწყებული, მაგრამ ვიდრე გამოიცვლიდეს, იქნებ ტანზე წყალი გადაევლო?!

— ზოგჯერ ჭკვიანურსაც იტყვის ეს დედაკაცი. აბა, გამიძეხი არხისკენ სარაქონელო!

გვერდიგვერდ მიაბიჯებენ.

— სხვა ჩემს ადგილას ტყავზე უფრო იზრუნებდა, ვინემ — ჭუჭყზე, — ეუბნება როკი არხის კიდეზე ზურგშექცევით მჯდარ ყმაწვილს, — მაგრამ სადაც წვრილია, იქ გაწყდეს! ბარემ შენც გებანავა, მინჯორაიას განწმენდილები შევხვდებოდით.

— მე ზღვაზე დავდივარ ყოველდილით. მარილიან წყალს ბოღაზში ჩამოვიშორებ საპნით. არხი გაჭირვებისაა. კამეჩები აბინძურებენ.

— ხოხ, წისქვილარას და ხობისწყალს თუ არ შეედრება, სხოლას* მოვაკვლევინოთ თავი?! სარაქონში თუ გყავს ვინმე?!

— სარაქონში — არავინ. ბებია დიდი ხნის გარდაცვლილია. ისე მოკვდა, კბილი არ დაკლებია მარი სოსელხეს.

— თქვენც ჭკადუები ხომ არა ხართ? ბებია დედის მხრიდან იყო თუ მამის?!

— დედის მხრიდან.

— გამოდის, რომ მამაშენს ნახევრად სოსელია ესვა ცოლად.

— ძლივს მარტო დავრჩით, ყველაფერი უნდა გაგიმხილო, როკი, ძია.

— რისი გერიდება, თქვი. მე სამარე ვარ.

— მერიდება რომელია, ერთიანად მაკანკალებს სირცხვილისგან, მაგრამ მგონია გამიგებ. სოსელია ბებიაჩემის გვარია ნამდვილად, დედის მხრიდან, ოღონდ ტიბუა ვარ მამით.

— შაშმანის მეგობრის ბიჭი, ხომ? — ოდიშელია ჭყუმპალაობას შეეშვა. პირსახოცი შემოიხვია წელზე. თავჩაქინდრულ ლადოს მიაჩერდა. სწრაფად შეიმშრალა, სწრაფადვე ჩაიცვა. გამონაცვალი პოლიეთილენის პარკში ჩაყარა საპონთან და ლუფასთან ერთად.

— ლანდივით მახსოვს მამაჩემის სანთლისფერი სახე, — ამბობდა დარცხვენილი ვაჟი, — სამ დღეს იცოცხლა უბედურმა. სისხლი არ მოუკლიათ მისთვის მეგობრებს, მაგრამ მუცელი ისე გამოშიგვნოდა, მოწამვლას ვერაფერი მოუხერხეს. ამჟამად ჩვენ რუსთავში ვცხოვრობთ. დედაჩემი აზოტის ქარხანაში მუშაობს. ოროთახიანი ბინა მოგვცეს მეგობრობის გამზირზე. როგორც ყველა მშობელს, მზე და მთვარე ჩემზე ამოსდის. სულ იმის შიშში იყო: არიქა, შურისძიება არ მოიწადინოსო, მაგრამ ეს გრძნობა აუტანელი ყოფილა. ბევრი ვეძებე შაშმანი და მივაგენი ბოლოს და ბოლოს, თუმცა პირდაპირ მას როდი მივადექი კარზე. ჯერ კახათელ მწყემსებს დავუძმაკაცდი,

კონკრეტულად კი — ნუგო ბიჭიას. ეჭვმიუტანლად, ნელ-ნელა შემოვაღწიე მის ჭერქვეშ.

ვფიქრობდი, მოხერხებულ დროს გამოვუძებნი და შვილის მოვალეობას პირნათლად აღვასრულებ-მეთქი, მაგრამ უბედურება ის არის, როკი, ძია, რომ თავისი გულკეთილობით შემბოჭა, ხელ-ფეხი შემიკრა.

რა გზას დავადგე არ ვიცი. დანა ხელში ვერ ამიღია პურის საჭრელად. ყანაში გავდივართ და ალესილ თოხს თვალს ვერ ვუსწორებ. შეშას ვჩეხ და ნაჯახის შეხედვა მზარავს. სანადიროდ მივდივარ და სასხლეტისთვის თითი ვერ გამომიკრავს. ის კი მუშაობისგან დაქანცული კუთხეში ანთებულ სანთელთან ილოცებს ბუტბუტით, მერე დაეგდება ლოგინზე და ყელი ისე მოუშიშვლებია, საკუთარ ხელებს კბილებით ვიგლეჯ. მრავლად მსმენია შენზე შაშმანისგან. კაცობის ეტალონად მიაჩნიხარ. მთლად ბრმა და ყრუ აღარც მე ვარ. ჩემი გულის ხვაშიადს უკეთესს ვის გავანდობდი?!

— დააა, — გააბა როკიმ, მარჯვენა მკლავი მხარზე დაადო აღმსარებელს, — დიდ გასაჭირში ჩაგიგდია, თავი, შვილო... — გაფითრებულ სახეზე მიაცივდა ახალგაზრდას.

— ლადო. ეგ ნამდვილია. ისე ვლადიმერი მიწერია პასპორტში.

— ხოდა, იმას ვამბობდი, პირდაპირ შებმოდი და ისე მოგეთავებინა, მამაკაცობაში ჩაგეთვლებოდა, ძვირს ვერავინ შეგკადრებდა მშობლის სისხლის ამღებს, მაგრამ თვეობით პურს რომ გატეხ კაცთან, ჭიქას ჭიქაზე მიუჭახუნებ, მეგობრობას ეფიცები და უცებ ყელში დანის გამოსასმელად გაიმეტებ, ჯეელი კი არა მიხრწნილი ბერიკაციც რომ იყო, გამწარდები სიკვდილამდე. ძირითადში შენ ხარ ცოდვა, შენ უნდა ზიდო ეგ უმძიმესი ტვირთი კუბოს კარამდე. რასკოლნიკოვი გაგონილი გექნება. არა?! დოსტოევსკის რომანის გმირია, შენხელა ყმაწვილი, ხელმოკლე; უფულობის გამო მისი ანგელოზი დაია ვიღაც ნაძირალას უნდა მისთხოვდეს. ამ დროს ეშმაკი შეუჩნდება და ბებრუხანა მევახშე ქალის მოკვლას გადაწყვეტს. ალესილი ნაჯახით გაუპობს თავს იმას, მის ნათესავსაც, და აი, იმ წუთიდან იწყება როდიონის ტრაგედიაც. გამომძიებელი ეჭვის თვალით უმზერს, მაგრამ რასკოლნიკოვი ოსტატურად ინიღბება და ბოლოს იქამდე დაამძიმებს სინდისის ქენჯნა, იმნაირად დააჩაჩანაკებს, როგორც მორალურად, ისე — ფიზიკურად, თავისი ფეხით მიდის ციხეში.

მართალია, მთლად შენს სიტუაციაში არ ვყოფილვარ, მაგრამ ავხორცის მეტი რა ყრია წუთისოფლის ოღროჩოღრო გზაზე, დღეში სამჯერ რომ იმსახურებს სიკვდილს?! ხოდა, მადლობელი ვარ მაღალი ღმერთის, ამ საშინელებისგან რომ დამიფარა ყველგან და ყოველთვის.

ადამიანისგან ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა დაგმობილია უფლისგან. პირველმა ცოდვამ, აკრძალული ხილის გასინჯვას ვგულისხმობ, ადამი

და ევა სამოთხის ბაღიდან გამოაძევა, უზრუნველი ცხოვრება ტანჯვით შეუცვალა. თავად უნდა მოეპოვებინათ პური ჩვენი არსობისა და ოდესღაც უკვდავნი, ბუნების კანონს დაემორჩილნენ: დაბადებას, გაზრდას, ყოფნას და აღსასრულს.

პირველი ცოდვისგან კაცობრიობა ქრისტემ დაიხსნა, როცა საკუთარი სხეულით ადამისა და ევას დანაშაული გამოისყიდა, ჯვარს ეცვა ქვეყნიერებისთვის და თითქოს არ უნდა არსებულიყო სხვა შემაფერხებელი ბარიერი ედემის წალკოტისკენ, მაგრამ შურიანობის ნიადაგზე ძმისგან მოკლული აბელის სისხლი კვლავაც შესჩუხჩუხებს ზეცას და დასასრული არ უჩანს კაცთა შორის მტრობა-სიძულვილს. ზღაპარია ხომ ყოველივე, თუმცა სისხლის დაღვრა ყველაზე ამაზრზენი დანაშაული რომ არის, აქედანაც ჩანს.

შენ ახლა ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე დგახარ, ლადო, შვილო და იესოს ხელიც ურევია, ალბათ, წეღანდელ გულგახსნილობას. მოფრის ნიღბით შენი შემოსვლა შაშმანის ჭერქვეშ, იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, გასარკვევი, დასაზუსტებელი გქონოდა რამე, რომ მერე ხინჯად არ ჩაგყოლოდა სამარეში. მაგრამ ეგეც ყალბია. შურისმაძიებელს არაფერში ეპიტნავება კონფლიქტის მიზეზები, ვის მხარესაა მეტი სიმართლე, მშობლის თუ მკვლელისა. მან ერთი იცის გარკვევით: ამა და ამ კაცს მამამისის სისხლი მართებს და აღასრულებს კიდეც შვილის წმიდათა წმიდა მოვალეობას. ვენდეტა ახლა იშვიათია ჩვენში. შურისმაძიებელმა სახელმწიფოს, კანონს გადააბარა დამნაშავის დასჯა. მთიანეთში ცხვარ-ძროხით აუნაზღაურებდნენ დაზარებულებს ნათესავის სისხლს, ან საშველი თუ არ დაადგებოდა ორმხრივ კაცისკვლას, თავზე შემოივლებდნენ ერთ ვაჟიშვილს, გასწირავდნენ მეტოქის მუხლებზე ჩამოსაჯდომად და წერტილი დაესმებოდა გაუთავებელ შუღლს. ჩემთვის გაუგებარია მაინც, რისთვის დაგჭირდა შაშმანთან დაახლოება?!

— მიძნელდება ავხსნა, — თქვა ლადომ და გორახიდან წამოდგა.

— პირდაპირ შებმის თუ გეშინოდა, ჩაუსაფრდებოდი ბოლოს და ბოლოს. არც მიპარვით მოკვლის გამო ჩამოგართმევდნენ ჩინ-მედლებს.

— არ მინდოდა მესროლა უცნობისთვის, ვიდრე არ გავარკვევდი განიცდიდა თუ არა თავის დანაშაულს; სანამ არ დავაზუსტებდი სიცოცხლის ღირსი იყო თუ სასიკვდილო. ცხადია, არამზადას მოსპობა ერთიათად გამიადვილდებოდა.

— ხოოო, და დროთა ვითარებაში შენც შეეთვისე, სინანულმა აჯობა შურისგებას. მე შენს ადგილას, უცერემონიოდ, იქვე, კახათელების ფარეხში პირველ შესაძლებლობისთანავე მივაწვენდი, როგორც მომიხერხდებოდა, დანით თუ თოფით, და არ დაირღვეოდა ღირსების პრინციპი, მართალი ვიქნებოდი, მამის საფლავთანაც, შაშმანთანაც, საკუთარ თავთანაც და გნებავს — მაღალ ღმერთთანაც, მაგრამ ამიერიდან, ასეთი განცხადების შემდეგ, ჩემი აქ ყოფნის პერიოდში თუ წასვლის მერე, თმის ღეროც რომ გავარდეს შაშმანს,

მოღალატე გამოვდივარ ამხანაგის წინაშე, რადგანაც არ გაგამხილე შურისმაძიებელი, არ გაგთქვი და ამით ხელი შევუწყე შენი ზრახვების სისრულეში მოყვანას.

მოკლედ, უნებლიეთ მეგობრის მკვლელობის თანამონაწილე გავხდი. რავარია, ა? ახლა შენთვის ყველაზე უკეთესია აქაურობას რაც შეიძლება სწრაფად გაეცალო. მე ვერ გიკარნახებ როგორ და რანაირად მოიქცე მომავალში, ვთქვათ და როცა ყველაფერი გამჟღავნდება, ვინაიდან ვიცი მისი გულის ამბავი, ან ყულფში გაჰყოფს თავს, ან სხვა საშუალებით მოისწრაფებს სიცოცხლეს. ესეც შურისძიების ერთგვარი ფორმაა: ჯერ სულში შეუძვერი, მამობრივი სიყვარული მოიმკე. გაისად ქალაქში გადასვლას აპირებს შენი გულისთვის: ჯოგს გავყიდი და ხელს გავუმართავო, აწყობს გეგმებს და უცებ მოკლულის ძედ წარმოუდგე, რომელმაც სულგრძელად მიუტევე აფექტის დანაშაული, ხომ გათავდება მორალურად, გაჩანაგდება.

რჩება ერთადერთი გამოსავალი: დედას მიუბრუნდე, თანაც ისე, შაშმანმა ვერაფერი იყნოსოს. კი იდარდებს თირქია, მაგრამ ეგ უკვე მისი პრობლემაა. მოკლედ, უკვე სამგზის დავალებული ვარ შენგან: ჯერ საჩუქრებისთვის და ანაკლიიდან მოტანილი ამბის გამო; მერე, რაც უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, მოულოდნელი, ვაჟკაცური გულგახსნილობისთვის. დიხამინჯიები ყოველთვის ვერ იბოგინებენ. საშუალება მომეცემა და იქით გიპოვი. ჩათვალე რომ ამიერიდან მეგობრები ვართ.

იფნის ჩრდილში, გრძელ სკამერხზე მოკალათებული შაშმანი აფხიანებული წალდუნათი თუთუნს ჭრიდა. აქვე საბანაოდ წასულების მომლოდინეს, ლაითურის ზონის ამბები უტრიალებდა თვალწინ.

ნარუჯადან ლაითურში რომ გადმოიყვანენ როკის, თირქიას ორი წელი მოხდილი აქვს. აქ ოდიშელია ქურდის მდგომარეობაშია, იგივე ზონას უყურებს და ამისთანა პიროვნების ყურადღებას ვინ, რომელი არ ინატრებს?! დაწვრილებით იცის შაშმანმა, რომ როკის ბევრჯერ შესთავაზეს ,,გვირგვინი'': დროა სახელი გქონდესო, მაგრამ ოდიშელია ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობს:

— ბუნებით, ხასიათით მე ქურდი არა ვარ. არასდროს მომიპარავს და არც ვაპირებ. ჩემი საძმო პურ-მარილის, სუფრის ხალხია, სტუმრის დამხვედრი და გამცილებელი. ქურდად იბადებიან. ბავშვობიდან მაგისი მისწრაფება უნდა ჰქონდეს: იპარავდეს და ამით ირჩენდეს თავს. ,,ზაპასნოი'' პროფესია გამორიცხულია. მე — პირიქით, აქედან გასული მუშაობის დაწყებას ვაპირებ. თუ მოვახერხე იქნებ უმაღლესშიც გავაგრძელო სწავლა. ასეთნაირად ვფიქრობ მე და ჩემი აზრი ურყევია. რაც შეეხება თქვენს გვერდით ყოფნას, ეს ყოველივე განაპირობა ჩემმა ხასიათმა და აქაურმა ატმოსფერომ. აქ ორი გზაა: ერთი — ბოზური, არაკაცური, მეორე — ქურდული კანონებით ცხოვრება, რაც მისაღებია ჩემთვის და ძალიან ვაჟკაცურადაც მეჩვენება. მე

შემეძლო დროზე ადრე გავსულიყავი, მეხვეწებოდა ადმინისტრაცია, ან თბილ ადგილებს მთავაზობდნენ, მაგრამ არც დავფიქრებულვარ ისე, პირდაპირ შემიგინებია: როგორ მაკადრეთ-მეთქი.

არ მინდა აქედან გასულმა უზურგოდ ვიარო. შიში მე საერთოდ არ ვიცი რა ხილია, ხოლო გრეხიანი კაცი ყოველთვის დამფრთხალია, წელშია გაწყვეტილი. მართალია, ბევრ ზონაში ვარ ქურდის პალაჟენიაში ნამყოფი. ამას მე დიდი სიხარულით ვთანხმდები, რადგანაც ჭირივით მძულს თვალთმაქცი ხალხი, თაღლითები თავიანთი დიშოვი პასტუპკებით.8 აბა, რას მივაწეროთ, ხუთჯერ ნამჯდარი არესტანტი, ყოველთვის პირველ ხუთეულში ნაგულავები, უცებ ერთ დღეში რომ მოკვდა, მკლავზე პავიასკა გაიკეთა და შენ მიგითითებს: პაპიროსი უადგილო ადგილას არ მოსწიო, ატბოიზე თავის დროზე დაწექიო.

რას ფიქრობთ, ეს ორმოცდაათი წლის კაცი ერთ დღეში მოჭკვიანდა ხალხს რომ აბეზღებს და სხვის უბედურებაზე აგებს თავის ბედნიერებას? მთელი თავისი სიცოცხლე რომ მძარცველია, მკვლელი, მოთამაშე და რა ვიცი, რეები გაუკეთებია?! არა, აქ სულ სხვა არითმეტიკაა. ასეთი პიროვნება ზედმეტად დალპა, მაგარი ცბიერია, ყველაფერი ხუთ ბალზე ესმის და შეგნებული ნაბიჯია. ტყუილია ნებისყოფა არ ეყოო ან ნერვებმა უმტყუნესო, თქვა. პირველ სუდიმოსტში8 წითელ პომიდორს არ ჭამენ, წითელკოლოფიან „პრიმას“ არ ეწევიან. ბავშვური გაგებით სჩადიან ამას. ზაპოდლოდ მიაჩნიათ ეს. რატომ არის თუ იცით?! ამაზე მე ჩემი ფილოსოფია მაქვს. ეს ახალგაზრდა გულუბრყვილოა. ყველაფერს ადამიანური შეგნებითა და თვალით უყურებს. ჯერ ვერ მოასწრო სიდამპლე, არ არის გარანდული. სიტყვას გეუბნება, ერთი მიმართულება აქვს და კაცური. რომ შემობრუნდება მეორეჯერ, მესამედ, რომ გახედავს ამ აშმორებულ ხალხს და თავისი სისუფთავით მშიერი და საცოდავი დარჩება, მაშინ იწყებს ფიქრს. ცოტაც მიუშვას აღვირი, კისრამდე თუ არა კოჭებამდე მაინც შეტოპოს ტალახში, ცხოვრება რომ გაიადვილოს, მაგრამ ავიწყდება, დღეს ტყლაპოში კოჭებამდე შესული, ხვალ წელამდე აღმოჩნდება, ზეგ და მასზეგ „სურამის ციხის“ ზურაბივით ყელამდე ჩაეფლობა. ადრე ერთი მიმართულება რომ ჰქონდა მაგის სიტყვას და ნამოქმედარს, უკვე ათასი განშტოება და ასაქცევი გასჩენია: ასე არ მითქვამს, ასე არ მოვქცეულვარო, სულ სხვაგვარად დაგიხატავს სურათს და იმნაირად დაგიმტკიცებს, იმნაირად დაგისაბუთებს, თითქოს წყალი არ გასდიოდეს. ეს ჩვენში დარჩეს და ხელოვნებაა. მხედველობაში მაქვს ვისაც ენა უჭრის, გონებამახვილია და ცოტა არაკაცურ გზაზე დამდგარა, თავი ბედისწერის სასწორზე დაუდვია, ამათი ცხოვრების ფინალი ცუდად მთავრდება ყოველთვის. ხოლო მეორე კატეგორია ხალხისა სულ სხვა ბილიკს მიუყვება. ყველაფერი ესმის და გაეგება იმ თაღლითობისა, მაგრამ პრაქტიკაში როდი იყენებს. სუფთად და ადამიანურად მიიკვლევს ჯოჯოხეთურ და ეკლიან გზას და აზრადაც არ მოსდის თავში ცხოვრების გაიოლების სხვა საშუალება თუ არსებობს.

შეიძლება ასეთი კატეგორიის ხალხის თვისება შეადარო ნიანგის ჩვეულებას. წყლიდან ნაპირზე ამოსული ნიანგი ღრმად შედის ტყეში და უკან დაბრუნებისას იმავე გზას დაადგება. სანტიმეტრს არ გადაუხვევს. ნიანგზე მონადირეებმა იციან ეს, ყოველ მეტრზე ორივე მხრიდან მჭრელ დანებს ასობენ. მდინარისკენ დაძრული ქვეწარმავალი გუმანით გრძნობს მოკვდება, მაგრამ არაფრით გადაუხვევს იმ გზას, რომელზედაც გამოიარა და სანამ წყლამდე მიაღწევდეს, სისხლისგან იცლება, უძლური ხდება და კვდება.

იცის შაშმან თირქიამ, რომ ასეთი თავისებური გაგებისაა როკი. რასაც იტყვის — დამაჯერებლად, მტკიცედ, ისე რომ თავის სიტყვასა და ნამოქმედარში ეჭვი არ ეპარებოდეს. მართალი კაცის გვერდში დგომისას მოწინააღმდეგე ათიც იყოს, უკან არ დაიხევს. ისე უჭრის ენა და გონება წყლიდან მშრალს ამოგიყვანს თუ იმსახურებ. სადაც შეხვედრია, გარეთ თუ პატიმრობაში, ყველგან უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემითაა გარემოსილი. მტყუანს, ღვიძლ ძმას თუნდაც არაფრით გაამართლებს. ყველა კეთილი ადამიანის უბედურებას საკუთარივით განიცდის, ამიტომაც ანდობენ ათასების ბედ-იღბალს, ანდობენ და სრულიად სამართლიანადაც, ვინაიდან მის სამფლობელოში კაცური ღირსება არავის შეელახა.

თვალის დასანახად ვერ იტანს სვეპელებს. თაღლითებს ეძახის მათ. სადაც როკია, იქ ისინი ვერ გაიჭაჭანებენ. თუ გაწითლებულ ზონაში მოიყვანენ და გალოკილი თითივით მარტოკაცია, პირდაპირ იზოლატორში მიდის. ერთადერთი კრისტალი რას გააწყობს ათას გაფუჭებულთან. იტყვის, აქ საჩემო ადგილი არ არის, მე ამ ხალხთან ერთ ჭერქვეშ ვერ ვიცხოვრებო და თვეობით ზის იზოლატორში, ვიდრე სხვა ზონაში არ გადაისვრიან. აი, ასეთი, საათივით აწყობილი კოლონია დასავლეთ საქართველოში ლაითური გახლავთ ოდიშელიას დიდი მონდომებისა და მიწოლის წყალობით. როკის ნარუჯიდან გადმოიყვანენ ლაითურში. ორივე ზონა გურიის კუთხეში მდებარეობს. ნარუჯა ერთ-ერთ ქურდულ კოლონიადაა მიჩნეული საქართველოში. გახსნის პირველივე დღიდან აზო გოგიტიშვილსა და როკის დიდი შეხლა-შემოხლა მოუხდებათ სვეპელებთან, მაგრამ ერთობლივი ძალისხმევით ზაპრეტკა გაახევინებენ, ერთ დღეში გააშავებენ და საათივით ააწყობენ. ნარუჯა მოცულობით პატარაა, სულ ათას ხუთასამდე პატიმარს ითვლის, მაგრამ ერთი ოჯახის წევრებივით ცხოვრობენ. სამტრედიელი აზო განაბია, ოდიშელიას ნომერ პირველი ძმაკაცი. ქორწილის დღეს როკის გვერდში რომ ედგა ხელისმომკიდედ, ამის თაობაზე ვიცით, მაგრამ იმ დათქმას ნარუჯაში რომ დაესმება ბეჭედი, აგერ გიმჟღავნებთ. ჰოდა, ლაითურში გადაყვანილ როკის პარადს ჩააბარებენ.

შაშმანის სიხარულს საზღვარი არა აქვს, უფრორე იმიტომ ოდიშელიასაც ზონაში გული არ უჩერდება, ტრასაზე* სიარული უყვარს. ბადრაგის უფროსი იუდა ისკარიოტელი ჰყავდეთ, მაინც შეაბამს. ბევრი რამეს ისწავლის თირქია როკისგან. მათი ორმოცდახუთ კაციანი ბრიგადა მთელი დღე განცხრომაში იყო. პურმარილობენ, ათასი გასართობით იქცევენ თავს. ჩაის

სავალდებულო ნორმას ბრიგადა ყიდულობს სამოქალაქო აგრონომისგან. ზონის უფროსს ოღონდ ჩაის დაკისრებული გეგმის პროცენტი შეუსრულო და მეტს არაფერს დაგიდევდათ.

ერთ მშვენიერ დღეს ტრასიდან დაბრუნებული ბრიგადები ზონაში ვახშამის მოსტუმრების შემდეგ ფრენბურთის მოედნისკენ გაემართებიან. შეჯიბრია კუთხეებს შორის. იმერლები და აჭარლები პაექრობენ. ორივეს ისეთი კარგი ბიჭები ჰყავს, საქართველოს ნაკრებს დაამშვენებს. თამაში მაზიანზე* გახლავთ. გამარჯვებული გუნდი სამ ყუთ ღვინოს დაითრევს თავის ლარიოკიანად.

სპორტულ შეჯახებას მთელი ზონა და ადმინისტრაცია გულშემატკივრობს. უფროსობამ არ იცის, რომ თამაში ინტერესზეა. ამხანაგური შეჯიბრი ჰგონიათ. მოედანი გასუფთავებულია. განახლებულია თეთრი კონტურები. რკინის ბოძებზე ახალთახალი ბადე დაუჭიმავთ. ბურთიც სტანდარტების დონისაა.

ჩაჰბერავს სასტვენს კოშკურაზე, განკუთვნილ ადგილას მოკალათებულმა მსაჯი და ბიჭებიც ეკვეთებიან ერთმანეთს. უპირატესობა აჭარლების მხარესაა. პროფესიონალებს არაფრით ჩამოუვარდებიან. გავა თხუთმეტი წუთი. იმერლები ბევრად ჩამორებიან. უცებ საიდან არის და გამოტყვრება საკამათო მომენტი. მსაჯი კი გადაწყვეტს სწორად, მაგრამ ვინ უჯერებს. ანეგდოტის სიტუაციაა, როცა: დაარტყი ხოჭოლავა პენალტიო, ეუბნებიან გულშემატკივრები. ის კი მხრებს იჩეჩავს, მსაჯი არ მაძლევსო და აქედან: სუდიას ვინ კითხავსო, რომ აქეზებენ. მოთამაშეები ერთადგილას მოიყრიან თავს. წავა კამათი, ჯიკავი, გინება. მალე მუშტიც ამოქმედდება. აქ კი მოაწყდებიან გულშემატკივრები ორივე მხრიდან. იმერეთი და აჭარა სრული შემადგენლობით უხათქუნებს ერთმანეთს, ორასი ორასზე. ბრძოლის ჟინი სხვა კუთხის ხალხსაც ჩაითრევს. აჭარლებს აფხაზები ამოუდგებიან მხარში. იმერლებს — ქართლელები და თბილისელები. გურულები, მეგრელები და კახელები სტარტზე დგანან. ჯერ-ჯერობით ნეიტრალიტეტს იცავენ. უკვე სამასი სამასზე ულაწუნებს ერთურთს. საზარელი საყურებელია ხელჩართული ბრძოლა. მუშტებით, თავურით, ფეხით დაუნდობლად უსწორდებიან ურთიერთს. ადმინისტრაცია შეეცდება ოროომტრიალის შეჩერებას, მაგრამ კოლონიის უფროსს, ეიიფ თოდუას, ისეთს დაულავანდებენ, ჰაერში ორჯერ შეტრიალებას მოასწრებს სუხიშვილის შესაშურად და პირაღმა უგონოდ დავარდება. აათრევენ თავიანთ შეფს და მთელი ამალით ადმინისტრაციულ ტერიტორიას მიაშურებენ, იქიდან უთვალთვალებენ პატიმრების დაკადუკს. ზონის ოთხივე კუთხის საგუშაგო კოშკიდან ჯარისკაცები რაციით დამხმარე ძალის მოშველიებას სთხოვენ უფროსებს. კოლონიას ალყა შემოარტყამენ სამხედროები. საბელიანი ნაგაზები აწყვეტაზე არიან. თითოეულ კოშკურაზე ტყვიამფრქვევითა და ავტომატებით შეიარაღებული ათ-ათი სალდათი ავარდება. ჯერ მეგაფონებით იბაბანებენ გაცოფებული ტუსაღების და-

საშოშმინებლად, მაგრამ როცა სიტყვიერი გაფრთხილება თუ მუქარა ვერ გასჭრის, დასცხებენ ჰაერში ოთხივე საგუშაგოდან. ზონაში შემოსვლის და პირდაპირ სროლის უფლება არა აქვთ თუ ზაპრეტკას არ შეეხები. ყურს არავინ შეიბერტყავს. ჩხუბის აზარტში შესულებს ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების კაკანი მუსიკად ჩაესმით. დალეწენ მაყურებლების მერხებს. გამეტებით უხათქუნებენ ერთურთს, სისხლში ცურავენ. ერთმანეთშია არეული გინება, ყვირილი, კვნესა. უეცრად რომელიღაცა წამოიძახებს, დანებიო და აქამდე თავშეკავებული როკი ავაზასავით დაერევა ორივე მხარეს. თან ყველა კუთხე-ქალაქის რჩეული ბიჭებისგან შემდგარ თავის ოცკაციან ჯგუფს ეუბნება:

— თქვენებურები, ვინც ჩხუბში არ მონაწილეობს, ერთ მხარეს შეაგროვეთ სწრაფად!

ამასობაში ოდიშელია ავარდება აბანოს შენობის სახურავზე. მე დავაწყნარებო, ანიშნებს სამხედროებს ხელების მოძრაობით და რადგანაც ყველა ჯარისკაცმა იცის მისი ხასიათი, სროლაც ერთდროულად შეწყდება. აბანოს ირგვლივ შეგროვილ მასას როკი მქუხარედ ჩამოსძახის:

— ხედავთ, დანებამდე მივიდა საქმე. ხუთ წუთში აქაურობა სასაკლაოდ გადაიქცევა. ზონა მკვდრებით აივსება. უკვე ათამდე კაცი აგდია მიწაზე, დაჭრილი თუ გულშეღონებული. გაიქეცით, თქვენი საწოლების ზედა თავები ააგლიჯეთ. მისვლა და მოსვლა ერთი იყოს! აქ შეგროვდით ყველა. სამ მწკრივად დავლაგდეთ და მიჯრით შევუტიოთ. დაუზოგავად ურტყით ხელებში, ფეხებში, განურჩევლად, განსაკუთრებით — დანიანებს.

თვალის დახამხამებაში ხუთასკაციანი წრე შემოერტყმება შფოთისთავებს. წავა დაუნდობელი ლაწალუწი. ზოგი ეცემა, ზოგი უთავბოლოდ გარბის.

— დანა დააგდე შე ბოზო! — ისმის ოდიშელიას ყვირილი, გაუქანავებს რკინის მეტროიან დრუჩოკს* და აურზაურის მონაწილეც ძაღლივით აყმუვლდება.

მოქიშპეთა ათასეული ხუთიოდე წუთში დაიშლება. ზონა ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდება, მაგრამ როკი ჯერ არ ცხრება. თავის ხალხს არიგებს:

— საღამომდე დრუჩოკებით ეზოში იყავით. ნახავთ გარეთ გამოსულ ვინმე ჩხუბის მონაწილეს?! დასცხეთ!

თავად ოცკაციანი რაზმით ბარაკ-ბარაკ* დაიარება. ეძებენ ინცინდენტის მოთავეებს, დანიანებს, მიდის ქოთი.

— თქვე, ახვრებო, — ყვირის ოდიშელია, — ამოგივიდათ ყელში ხაჭაპური და შემწვარი გოჭი? თეთრ დათვებთან ჩახუტება მოგინდათ? სად გაქვთ თქვენ მაგისი ჟილკა? ანდა ზონაში დანის ტარებას როგორ ბედავთ? ვის იმეტებთ სასიკვდილოდ? ესენი ხომ კარგი ბიჭებია ყველა, სუჩი ზონა ხომ არ არის, დანებს რომ ინახავთ? რომელ ხელში გეჭირა? მოამტვრიეთ ის ხელი! — გასცემდა განკარგულებას როკი და ერთ საათში ისეთი სიწყნარე, ისეთი სიჩუმე ჩამოწვება კოლონიაში, გეგონებათ უკაცრიელი ალაგიაო.

მეორე დილით ოდიშელია კოლონიის უფროსი იიიფ თოდუა გამოიძახებს და ეუბნება:

— პანტერა, საქმე უნდა აღვძრა. ერთი ხუთი კაცი მაინც უნდა გავასამართლო, გავასამართლო. ძალიანაც რომ მინდოდეს დამალვა, ეს ამბავი მაინც გაჟონავს. იცი, დაცვის უფროსთან კონფლიქტში ვარ, თხასავით გამყიდის, გამყიდის. სამსახურიდან ტყუილუბრალოდ მომხსნიან.

ჩვენ ადრე ვახსენეთ, ჰორაციუსის გაკვეთილებს ზოგჯერ არ ვემორჩილებით-თქო, ამიტომაც იმედია, იიიფ თოდუაზე ლირიკულ გადახვევას მოგვიტევებთ:

იიიფ თოდუა ოცდაშვიდი წელია მუშაობს კოლონიის უფროსად. წულუკიძიდან მოყოლებული ლაითურით დამთავრებული სად არ ყოფილა. ყველგან დიდი სიყვარული დაიმსახურა პატიმრებისადმი ჰუმანური დამოკიდებულებით.

ბინას ზონის სიახლოვეს იქირავებს ხოლმე. იქ გადმოიყვანს საცხოვრებლად მეუღლეს და ულამაზეს ქალიშვილს, გათქვირულ ეთერს.

ჩვევად აქვს გადაქცეული: წინადადებაში ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვას ორჯერ იმეორებს. წოდებით პოლკოვნიკია, თითოეულ პატიმართან შეხუმრებული და დედის გინებით იქითაც არ ერიდებიან, მაგრამ ასულის აუგად ხსენებას არავის აპატიებს.

თუ ვინმეს იზოლატორში ჩასვამს თხუთმეტი სუტკით, ღამის სამ საათზე მიაკითხავს, გააღებს საკნის კარს, ერთს შეუკურთხებს და ბარაკებისკენ გაიგდებს წინ.

მისი გინება სტანდარტული გახლდათ — მოგიტ..ნი დედის ძუძუ, მარცხენა და მარჯვენა.

ამის გაგონებაზე პატიმრები სიცილისგან იხოცებიან, ოღონდ მთავარია რამენაირად ააღელვონ იგი და იიიფ თოდუაც გულისწყრომას უცილობლად აჩემებული ფრაზით დააგვირგვინებს.

— გამოდი კამერიდან შე ჩათლახო! აქ სიცივეში რომ წვალობ, ვერ დავიძინე, ცოდვა ხარ, წადი ზონაში, ზონაში, მეც მოვისვენებ და ჩემი ცოლშვილიცო.

თავისი კუთხის ხალხზე უზომოდაა შეყვარებული იიიფ თოდუა და როცა იზოლატორებიდან ამნისტიას აკეთებს, უწინარესად თვისტომს გაყრის გარეთ, სხვებს შედარებით უჭიანურებს განთავისუფლებას, მაგრამ ბოლოს გული ვეღარ მოუთმენს და იმათაც გამოლალავს.

არავინ უწყის კოლონიის უფროსს, ,,იიიფ თოდუას'' დაძახება რატომ აცოფებს.

დილით პატიმრები სამუშაოზე რომ მიდიან და რაზვოდზეგ ათასხუთას კაციანი კოლონა ბრიგადებად დაეწყობა ზონის უფროსის წინაშე, საკმარისია ვინმეს შემთხვევით წამოცდება ,,იიიფ'', ხელად იზოლატორში ჩაახეთქებს,

მაგრამ ბრიგადები გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს: ერთი, ორი, სამი, ი-ი-ი-ფ თოდუა, ი-ი-ი-ფ თოდუაო, სჭექავენ ერთხმად და პოლკოვნიკიც გველნაკ-ბენივით წამოვარდება, მომუჭულ მარცხენაზე ყოველი სიტყვის შემდეგ გაშ-ლილ მარჯვენა ხელისგულს ატყლაპუნებს:

— მოგიტ..ნით დედის ძუძუ, მარცხენა და მარჯვენა!

ამისი თქმა და მთელი კოლონა ახარხარდება. მხიარული გუნება-განწყობილებით მიდიან სამუშაოზე.

რომელ ზონაში არ ყოფილა ი-ი-ი-ფ თოდუა, ყველგან დაცვის უფროსებ-თან აქვს კონფლიქტი, რადგანაც ისინი ტუსაღებს არაადამიანურად ექცევ-ვიან. ამის გამო დორბლს ჰყრის ხოლმე.

ზონიდან პატიმარი თუ გაიქცევა, გადარეული დადის მთელი თვე:

— დამღუპეთ, თქვე ჩათლახებო?! წოდებას წამართმევენ. პენსიამდე ცო-ტაღა დამრჩა, მომხსნიან, მომხსნიან!

ხოლო პლანტაციიდან, იგივე ტრასადან თუ იმარჯვებენ ტუსაღები, სი-ხარულით ცას ეწევა, ვინაიდან თვითონ პასუხისმგებელი არ არის და პლუს, დაცვის უფროსს ან გაანთავისუფლებენ სამსახურიდან, ან კიდევ უკეთეს შემ-თხვევაში სხვაგან გადაიყვანენ.

ასეთნაირიც ხდება: შვიდი კაცი შეტყდება პლანტაციიდან. ი-ი-ი-ფ თო-დუა ხელისგულებს ერთმანეთზე აშირშინებს. ყველა ბარაკი რადიოფიცირე-ბულია. მიუჯდება მიკროფონს და მთელი ხმით ყვირის:

— რაც ციგნებია ზონაში, თავისი გიტარებითა და აკორდიონებით, ად-მინისტრაციაში, ადმინისტრაციაში გამოცხადდეს.

ჩამოამწკრივებს მერმე კაბინეტში თვითნასწავლ მუსიკოსებს და იქა-ურობას ტაშ-ფანდურათი გადააყრუებს.

— ავშენდი, ავშენდი, ახრანას შვიდი კაცი გაექცა. ახლა მაინც არ მოხსნიან, იმ ჩათლახს?! თქვე, ციგნებო, ერთი კვირა სამუშაოდ არ გახვი-დეთ, იბაირამეთ, ოღონდ ეს სპექტაკლი საიდუმლოდ, საიდუმლოდ დარ-ჩეს. ზონაში არ გააცხადოთ, თუ გავიგე რამე წამოგცდათ, მოგიტ..ავთ დე-დის ძუძუს, მარცხენას და მარჯვენას, — თან იქვე დაამატებს, — გამიგეთ ზუსტად, იმ საცოდავ, გაქცეულ ხალხს თბილად, თბილად თუ ეცვათ, არ გაცივდნენო.

პატიმრების მნახველები გვიან ღამით თუ ჩამოვლენ, ყველას შინ ეპატი-ჟება. ებრალება, ქუჩაში გაიყინებიანო. თვითონ ამდენი ადგილი სად გააჩნიათ და აივანზე იწვა ხოლმე.

ერთხელ რაზვოდისას ი-ი-ი-ფ თოდუა არესტანტებს გამოუცხადებს:

— მამულოვი და მთელი სამმართველო ჩამოდის, ჩამოდის. შუტკა სამი დღით შევწყვიტოთ. ვინც ი-ი-ი-ფ თოდუას დამიძახებს, ორ წელ დაკეტილს, დაკეტილს გავუფორმებო.

— როგორც გვეტყვი უფროსო ისე იქნებაო, — შეჰპირდებიან.

მთელი კოლონა გავა სამუშაოდ, ხოლო თვრამეტ საათზე ბრიგადები რომ მობრუნდებიან ზონაში, შესასვლელთან მამულოვი და ქურდიანი დახვდებიან თავიანთი ამალით, რომელთაც ზურგს უმაგრებს ییییფ თოდუა და ადმინისტრაცია სრული შემადგენლობით.

სტუმრებმა იციან კოლონიის უფროსის გასაჭირი, ,,ییییფს'' რომ ეძახიან. უკვირთ ამდენ ხანს რატომ ხმას არავინ იღებს.

პოლკოვნიკი ზურგს შეაქცევს ტუსაღებს, ვითომ ქურდიანს ელაპარაკება, თან ტექნიკურად მარჯვენა ხელისგულს მომუჭულ მარცხენას პერიოდულად ურტყამს, ისე რომ უფროსობამ ვერ შენიშნოს.

არ დამიძახოთ ,,ییییფ თოდუა'', თორემ დედას გიტირებთო, ემუქრება პატიმრებს უსიტყვოდ.

ეს წუთია და გვარიანად ჩაპუტკუნებული ზონის უფროსის ჟესტებით გინება დაარღვევს დილინდელ აღთქმას, ფილტვებში ქავილი დაეწყება ათას ხუთას კაცს:

— ییییფ თოდუა, ییییფ თოდუა! — დასცხებენ მარცხნიდან და მარჯვნიდან.

ვერცხლისწყალივით მოძრავი კაცი ელვის სისწრაფით მოტრიალდება კოლონიისკენ, დამაგრილებელი ხელები ჯერაც კულმინაციურ პოზაში აქვს, მაგრამ მსწრაფლ ასწევს თავს ზემოთ, რაც არესტანტებს მიანიშნებს, თუ შუტკაა, აბაროტკაგ მომაცემინეთო.

მთელი კოლონა გარინდულია.

ییییფ თოდუა ორივე ხელისგულს პირზე მეგაფონივით მიიდებს და მთელი ძალით დაიჭექავს:

— მოგიტ..ნით დედის ძუძუ, მარჯვენა და მარცხენა!

დაწყდება სამმართველოს ხალხი სიცილით. ამის მნახველი პატიმრები მთლად მიწაზე დაცვივდებიან.

— თქვე ჩათლახებო, იცინეთ, თქვენთან რომ არ მიხუმრია, მთელი დღე მოწყენილი, მოწყენილი ვიყავი. სამ სუტკას ნამდვილად ვერ გადავიტანდი, ავად, ავად გავხდებოდი.

ერთხელ ییییფ თოდუა ზონის სტომატოლოგთან შემოიყვანს ტანშხვართ ეთერის. ტუსაღები კისერწაგრძელებული მიაჩერდებიან ხეჭეჭურივით ქვაზედასახლელ გოგოს. მამა აქედან აეფარება შვილს, იქიდან, მაგრამ ჯეირანს ათასი თვალისგან როგორ დამალავ?!

— გაიწიე, თოდუა უფროსო, გვანახე ქალიშვილი, ییییფ რა ტან-ფეხი ჰქონია? — ყვირიან ტუსაღები.

— რა გინდათ თქვე ჩათლახებო? ჩათლახებო. ეს ჯერ ბავშვია, თან კბილი სტკივა. სტკივა. მთელი ღამე არ უძინია, მეც მასთან ერთად, — დაფეთებულივით იყურება ზონის უფროსი მარცხნივ და მარჯვნივ.

— ოოო, კბილი რომ ტკივა ეგ ცუდია თოდუა უფროსო. მეც ვიზიარებ ამ მწუხარებას, მაგრამ რაც შეეხება წლოვანებას, ბავშვი კი არა სუფთა მორფინია ორპროცენტიანი, — ძვალტყავად ქცეულ ამის მთქმელს იბრიდია ჰ

ქვია, მაგრადაა შეხუმრებული თოდუასთან, თუმცა მშობლის გამომეტყველებიდან ხვდება, ვერ არის საქმე კარგად.

— შე ჩათლახო, ჩემი მარწყვივით ბავშვი მორფს შეადარე? ჭიპმოჭრილი მორფინისტი ხარ და სულ ეს გელანდება, ნოქსირონი თუ კოდეინი, მაგრამ შვიდი რიცხვი ყველაფერს, ყველაფერს დაგავიწყებს, რადგან შენი გათქვირული ცოლი ჩამოდის სვიდანიაზე. ცხრამდე გადავუტან შეხვედრას და შენთან მოწველილ ძროხასავით, ძროხასავით შემოვუშვებ, ისე რომ ფეხზე ვერ დგებოდეს. რაც ექვსი თვე შენთან ალერსისთვის ემზადა, ყველაფერს მე და მაგი გავიყოფთ. მოკლედ, პერვიაკი, პერვიაკი მე, ვტარიაკი ან ტრეტიაკი8 — შენ.

იბრიდიას ფერი წაუვა, რადგანაც თოდუას ზონაში დიდი მექალთანეს სახელი გავარდნია, ენა — ვასაკას ნაღველაზე მწარე, იმწუთში მოგწამლავს.

არის შემთხვევა, როცა ییییფ თოდუას კვიმატურ შეკითხვაზე ცხელ-ცხელი პასუხი ვერ გაუცია, მაგრამ შუაღამით გაგაღვიძებს და ისეთს დაგაჯახებს, ტკბილი ძილი მთელი კვირით დაგიფრთხება. მარტივად რომ ვთქვათ, ზამასკაში არ დარჩება.

და აჰა, დადგება ییییფ თოდუას პენსიაზე გადასვლის დროც. ოდიშელია უკვე თბილისის დაკეტილშია გადასროლილი.

ზონის უფროსი ყველა პატიმარს სასადილოს უშველებელ დარბაზში შეყრის.

— შვილებო, გემშვიდობებით, — ამბობს დაღვრემილი იერით, — კარგად იყავით. მალე თავისუფლებას გისურვებთ. მე წავედი პენსიაზე, პენსიაზე. ვუბრუნდები ჩემს რაიონს, სადაც დავიბადე და გავიზარდე, დრანდას, დრანდას.

დუმილით უგდებენ ყურს. სწყინთ ასეთ ოქრო კაცთან განშორება. ვინ იცის სანაცვლოდ რანაირს მოუგზავნიან, მანიაკს თუ სადისტს?!

ییییფ თოდუა ვიდრე მორიგ წინადადებას ჩაამთავრებს ხმა ჩაუწყდება, ცრემლი მოერევა. თავჩაქინდრული მიდის კარებისკენ. უცებ ჩვეული გამოხედვით შემოტრიალდება.

— თქვე ჩათლახებო, ჩათლახებო, რა უნდა მითხრათ?! — მისჩერებია ტუსაღებს სახეგაბადრული.

— ییییფ თოდუა, ییییფ თოდუა! — აგუგუნდება დარბაზი.

ზონის ნაუფროსალი ხელს ასწევს და ყველა იყუჩებს.

— ასე, მხიარულად გამაცილეთ?! მოგიტ..ნით დედის ძუძუ, მარცხენა და მარჯვენა, — იტყვის და გაშლილი ხელისგულის დასარტყმელად მომზადებულ მომუჭულ მარცხენას პირთან იტაკა წამსკდარი სიცილის შესაკავებლად.

აი, როგორი პიროვნება უხმობს როკის დილაუთენია. იცის კაცის გამფუჭებელი ეგ არ არის და თვითონაც მსგავსი სერიოზულობით აცხადებს:

— არაფერია. საშიშროებამ უკვე გადაიარა. დაჭრილები უკეთ გრძნობენ თავს. დღესვე სამუშაოზე გავლენ სათითაოდ. სიტყვას გაძლევ, ასეთი რამ მეტჯერ არ განმეორდება და თუ ბევრს მიაწვები, მაშინ იმ ათას ხუთას კაცს აქეთ მოგიბრუნებ, ხუთ წუთში თქვენი ადმინისტრაციის შენობისგან ფიცა-

რიც არ დარჩება. ია ნი ნერჟავეიუ, ნი ნერჟავეიუ,* — ییიფ თოდუასებუ-
რად დაასრულებს საუბარს ოდიშელია თავისი საყვარელი ფრაზით.

წეკოს მაგიდაზე შლიდა შაშმანი და უკბილებო ღრძილებზე ენას შემო-
ატარებდა ლაითურის ზონის ორომტრიალის ხსოვნის დასტურად.

ამასობაში გამოჩნდნენ არხიდან მობრუნებული როკი და ლადო.

— მობრძანდებიან ამქვეყნიური ცოდვისგან განწმენდილები. განწმენდი-
ლები, — გასძახა ილონას თირქიამ.

ოდიშელიამ ხელით უხმო ამხანაგს და ისიც წამში წამოჩურჩუნტდა.

კაცები ბაკთან შეჯგუფდნენ და გაუმხილეს თუ არა მასპინძელს დიხა-
მინჯიას ხალხის ანაკლიაში გამოჩენა, თირქია ღობესთან ჩაცუცქდა.

— ჩემი ღრმა რწმენით, წასვლას ისევ დარჩენა სჯობია, — ამბობდა შაშ-
მანი და მიწატკეპნილზე ნაფოტით ხაზავდა ფარეხის რუკას, — ამაღამ ენ-
გურზე გადასვლა წინდაუხედავობა იქნება, ვინაიდან მინჯორაიას შესაძლოა
ხაფანგი სწორედ იქ ჰქონდეს დაგებული. არხის მხრიდან თავდასხმა თითქმის
გამორიცხულია, რადგანაც მდევრებმა სულ ცოტა სამი-ოთხი კილომეტრი
მაინც უნდა იბოდიალონ ჭაობიან უღრანში, სანამ ჩვენამდე მოაღწევენ. ჩვენი
შუკაც ნაკლებად გამოსადეგია მათთვის, აქედან ხელისგულივით მოჩანს და
მიზანში ამოღებული გვეყოლება. ყანებიდანაც შემოგვეპარებოდნენ, მაგრამ
მეზობლების ძაღლები იქ მაჩვს არ აჭაჭანებენ და არც მაგათ დაადგებათ კარგი
დღე. მომსვლელები თუ არიან, ისევ — თხრილებით, რომელიც შუკას ორივე
მხარეს გასდევს მთელს სიგრძეზე და ახლა სრულიად ამომშრალია. მოკლედ,
თუ გასულელდებიან და მაინცდამაინც მოგვიხტებიან, კაი ტურას დაიჭერენ,
ზურგზე ბოლს ავადენთ.

— შაშმან, რასაც ამბობ ჭკუასთან ახლოსაა, წყალი არ გაუვა, მაგრამ
გასათვალისწინებელია აგრეთვე მინჯორაიას ბუნებაც, — ოდიშელიას დაბ-
ლიდან უმზერდა გეგმილთან კვლავაც ჩაყუნცული თირქია, — გამოცდილე-
ბიდან ვიცი: ტოლიკი პედანტია, სწორხაზოვანი აზროვნების. მისთვის უც-
ხოა ნაცარქექიას გამჭრიახობა. სადიზმი ძვალ-რბილში გასჯდომია. გამსრესავ,
ტლანქს, ,,კატოკს'' ჰგავს, რომელიც მგელივით კისერს ვერ აბრუნებს. მო-
ხერხება ჰქონოდა, უფრო ორგანიზებულად მოაწყობდა ოპერაციას, ავტომა-
ტებით შეაიარაღებდა რაზმს, მაძებარ ძაღლებს შემოიშველიებდა; ანაკლიაში
შუადღისით არ გამოჭენდებოდა, ივარაუდებდა, რომ მისი გამოჩენის ამბავს
ვინმე მომიტანდა. კუდში რომ მომსდევს, ამასაც ეძებნება გამართლება, ვი-
ნაიდან იცის, სანამ ილონა მახლავს, ხელფეხშეკრული ვარ და ჩემი დაკავება
გაცილებით იოლია, — ძაკასებური სიფრთხილით ცხოვრებაში პირველად
მოქმედებდა როკი.

მართალია, ზატოჩნიკის განუყრელი სიბრძნეც ამოუტივტივდა წამით

გონებიდან: საუკეთესო თავდაცვა შეტევაა, მაგრამ რატომღაც დაღეჭილ, აწონილ-დაწონილ გეგმას ჩააცივდა, — მე შემოსასვლელთან დავიმალები, — აგრძელებდა ოდიშელია, — ყანით წამოვლენ, თხრილებით თუ შუკით, ზურგიდან გავუხსნი ცეცხლს ავტომატით. თქვენ ფარეხიდან ერთდროულად დასცხებთ ორლულიანითა და კარაბინით და ვფიქრობ, უმტკივნეულოდ დავაყრევინებთ იარაღს.

ასეც დათქვეს.

მთვარიანი ღამე ჩამოწვა.

ბებერი თუთა ხან ქათქათებს, ხანაც კუპრისფერ ღრუბლებს ამოეფარება. ფუნქციები დანაწილებულია, ძაღლები — აშვებული.

ოდიშელია თავიდან აკოკრილ სიმინდებში მოყუჩდება, მაგრამ მტვერს, დანამული ფოთლების გლასუნი გააღიზიანებს და სამალავს გამოიცვლის. შუკის თავთან კუზივით ამობურცულ, რუსული პესმაგვარი კონსტრუქციის ბეტონის ხიდქვეშ მოკალათდება არხეინად. ბოლოები ხშირი ბალახით ამობანდღვია. წყალი ძლივს მოვალალებს. მუხლებჩაკეცვით ჩამჯდარი ზურგით გრილ კედელს ეყრდნობა, იდაყვები ავტომატისთვის დაუბჯენია. ზურგს უკან ქამარში გაურჭვია „ტეტე“. ესეც სტეპანცევის კარცერის ნაირსახეობაა, ძიუმპეის ქვიშის ორმოს ტყუპისცალი. დრო უსაშველოდ იწელება. იჭაჭებიან ბაყაყები. კუტკალიების კრუალია. ზღვაური აშრიალებს აქოჩრილ თხმელებს. ნახევარ კოლოფ „პრიმას“ მოსწევს როკი, ვიდრე საბურავები ხრეშს ააჩხრიალებს. ქარსაცავი ზოლის კუთხესთან შეაჩერებენ ფარეგგამორთულ “რაფს“.

— სანამ იქამდე ფეხით მივაღწევდეთ, ძაღლები ახმაურდებიან, — მინჯორაიას ხმა ჩინებულად ესმის ოდიშელიას, — ამასობაში ხელიდან დაგვისხლტება. უმჯობესია მანქანას უკნიდან მივაწვეთ და ხიდზე გადავაგოროთ. ღამის ორ საათზე ადამიანს მკვდარივით სძინავს. ცოტა ხანს ხალასტოით ვიაროთ. მერე დავქოქავთ, ვუმატებთ სიჩქარეს, გავანგრევთ ჭიშკარს და ხელად ალყაში მოვიმწყდევთ.

— რომ დაიმტვრევა?!

„ეს უკვე მძღოლია“, ასკვნის როკი.

— ხომ შეგპირდი, სამმაგად აგინაზღაურებ-მეთქი?! ხაჭაპურის ჭამით ფულის შოვნა არ გამიგონია. მოფამფალებული ხის ჭიშკარის განგრევას რაღა უნდა?! დიდი-დიდი ფარები ჩაემსხვრეს და გაიკაწროს აქა-იქ.

საუბარი შეწყდება. მილიციელები უკლებლივ ჩამოლაგდებიან ახმახი მინჯორაიას თამადობით. აწვებიან „რაფს“ და უხმაუროდ მოაგორებენ. ამაღლებულ ხიდისთავთან გვარიანად იჯახირებენ. ახლა გატკიცინებულ შუკაში მიასრიალებენ მანქანას. როკის გუნებაში ეღიმება. იცხონებს ძაკა ბაბუას სულს. ვიღაც შეპრენტილების საფლავები მოუნახულებია, საკუთარი სისხლხორცისთვის კი აქამდე ვერ მოიცალა. ასეა ყოველთვის. დედამაც ხომ წამოაყვედრა ერთხელ: შენ ჩვენთან კაკანებ და კვერცხს სხვაგან დებო.

— არ გაინძრეთ თორემ დაგხოცავთ! — სჭექა მდევრის ზურგს უკან ამომძვრალმა როკიმ და ავტომატის ჯერი ჰაერში მიუშვა.

მილიციელები ინსტიქტურად მიწაზე დაეყრებიან. „რაფი“ განაგრძობს ინერციით სიარულს. ფარეხიდან ჭახანებს ორლულიანი და კარაბინი.

— არ დამეხსენი ხომ, შენი თუქსუსი დედა! იარაღი ბუდიანად მოიძვრეთ. ერთი ზედმეტი მოძრაობა და დაგცხრილავთ განურჩევლად! ჰო, ეგრე, ეგრე.

ტყაპანით ცვივა ოდიშელიას შორიახლოს ქამრებიდან წვალებით ახსნილი „მაკაროვები“.

— ზოგიერთი ჩემს ადგილას ცურვას დაგაწყებინებდათ და აქა-იქ ჩაყვინთვასაც მოგთხოვდათ, მაგრამ ვიდრე მხიარულ გუნებაზე ვარ ამოშაქრეთ გვარ-სახელები!

— დუნდუა ბენო კაპიტონის ძე, აბაშიდან, — დაიწყებს უკანმომწოლთაგან ერთ-ერთი და ამ სტილში რომ ჩაამთავრებს ტოლიკი, აბაშელი განმარტებასაც დააყოლებს, — რეიდზე შეგვკრიბეს ზუგდიდში სხვადასხვა რაიონიდან. მინჯორაია შემოგვიჩნდა და ხუთას-ხუთას მანეთად დაგვითანხმა ოპერაციაზე წამოვყოლოდით: ადგილობრივია და ოდიშელებს ფეხის დაუსველებლად უნდათ თევზის დაჭერაო. თქვენ აქ არავინ გცნობთ და იოტისოდენა გამბედაობაც თუ გაგაჩნიათ, ხუთასი მანეთი ქუჩაში არ ყრიაო.

— კი, მაგრამ არ გითხრათ, ვისთან მოჰყავდით, ფარეხის მურგვა ძაღლთან თუ პანტერასთან?

— აქაც მოგვატყუა. მართალია, დევნაში კი არის, მაგრამ ერთს რომ დავაქუხებთ, მაშინვე ჩაისვრისო.

— მინჯორაია, ნახიშტარო, — როკი ავტომატის საკეტს აჩხაკუნებს ყასიდად, თან საჭეს დამხობილ მძღოლსაც ჰკიდებს თვალს მერამდენედ. — სანამ არ გადავრეულვარ, მოუყვი ამ პატიოსან ხალხს, თუ ვისი ბრძანებით შემომიცურე იარაღი პირველად?!

— ამოიღე ხმა, შენი მატყუარა დედა! — ჯგვლიმავენ წიხლებს წინამძღოლს აბაშელები და გეგეჭკორლები.

— კიკორიას დავალებას ვასრულებდი. ჯერ ერთი, მოხერხებულად ჩამოგიშორებდნენ შფოთისთავს. მერედა, გაუხსნელ მკვლელობასაც ჩამოწერდნენ.

— ესმის, პატიოსან საზოგადოებას?! ჩამოწერდნენო. სანაცვლოდ რა მოგცა მაშინ კიკორიამ?!

— ერთი ვარსკვლავი მომიმატა.

— კაკაჩიას ეზოში ვინ ააფეთქა „ლიმონკები“ და რატომ? — ჩაეძება როკი.

— ბებთო კონტუაძემ და კოჭოჭა კულესკირმა. დიხამინჯიას შეკვეთით და რუბენ ადელუას დავალებით.

— რაო, რა გვინდაო?

— ამ ხერხით დიხამინჯია სპილოს ჩამოიცილებდა გზიდან, თან კაკაჩიასაც აშინებდა: აქეთკენ ნუ გამოიხედავ, თორემ ჰაერში აფრინდებიო. მაგრამ ჯერ შენთან უნდა აღმოგვეჩინა ის ლიმონკები, რათა საქვეყნოდ დადასტურებულიყო შენი და სპილოს დანაშაულებრივი კავშირი.

— რამდენს შეგპირდა დიხამინჯია ჩემს აყვანაში?!

— ოცდაათიათასს. ათიათასი გამინაღდა და დანარჩენს ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ მომცემდა.

ფარეხიდან ძაღლების გნიასია. ჭიშკართან გამოჩნდნენ შაშმანი და ლადო.

— იყავით მანდ! — გასძახებს ოდიშელია მასპინძლებს, — ამათ უთქვენოდაც მოვუვლი! ადგილ-სამყოფელი ვინ მოგასწავლათ?

— დამსმენის ვინაობა არ ვიცი. ისე ყველაფერი უზუსტესად ჩაუკენჭავს ადელუასთვის, რამდენი კაცი იყავით ფარეხში, რამდენი კარ-ფანჯარა აქვს ნაგებობას, რანაირად მიედგომება, რითი იყავით შეიარაღებული. მხოლოდ ავტომატის ამბავი არ იყო ნახსენები.

— ესე იგი არ იცი, ხომ? — ისევ ააჩხაკუნა საკეტი ოდიშელიამ და შიშისგან სულგამძვრალი მდევრები მიწას დაეწებნენ. — კეთილი, ველარასდროს გაიგებ! ამისთანა ოპერაციაზე ცხრა კაცით მოდიან ჭკუის კოლოფო, ისიც პისტოლეტებით? ეტყობა ზუგდიდის ციხეში რომ დაგაფინთიხე, სკინტლისხელა ის ჭკუაც მთლად გამოგებერტყა თავიდან.

ახლა მიგდეთ ყური სერიოზულად. სანამ გამოვეწყობოდე, ცხენს შევკაზმავდე და გამოგენთებოდეთ, გაქვთ გვარიანი დრო, ბითურებო! ბედი თქვენი, მანქანამ თუ არ გიმტყუნათ. სადაც წამოგეწევით, იქვე მიგაბრიდავთ!

შენ, ეი, კუნოსავითზ რომ დამხობილხარ საჭეზე, — უყვირის მძღოლს როკიმ, — მანქანა ჭიშკართან მოატრიალე! თქვენ კი ბიჭებო, — გასძახებს თანამებრძოლებს, — კარგად გაშმონეთ. წავიდა ის ხანა, ნაჩუქარ იარაღზე უარს რომ ვამბობდი.

— აქ ყველაფერი წესრიგშია, — ეხმიანებიან ძაღლების ალიაქოთში მასპინძლები ოდიშელიას.

ფარებანთებული „რაფი“ ნელი სვლით უახლოვდება მიწაზე დაყრილებს. ზედ მიამუხრუჭებს.

— აბა, სანამ გადამიფიქრებია შელაგდით სათითაოდ! — გასცემს განკარგულებას როკი და ნირწამხდარი მდევრებიც თვინიერად ასრულებენ ბრძანებას.

— არც აწი მოხსნიან? — ჩაილაპარაკებს თავისთვის ოდიშელია, როდესაც მანქანა მიმოყრილ იარაღს გადაუვლის და თემშარაზე რალის მონაწილესავით გაღმუვლდება.

პისტოლეტები ნანადირევივით მოუგდია მხარზე როკის. მეგობრები კოცნიან. ძაღლები ელაქუცებიან. აქვითინებული ილონა კედელს თავით მიყრდნობია.

— უკვე ჩვენი აქ დარჩენა არაფრით შეიძლება, — ეუბნება შაშმანს ოდიშელია, — საინტერესოა, ვინ დაგვასმინა? ხათაბალაში გაგხვიე, მაგრამ ძმა ძმისთვისო, თქმულა. შენ კი ერთი თხოვნა უნდა შემისრულო, — მიუბრუნდება ტიბუას ბიჭს, — ეს „მაკაროვები" გენადის უნდა მიუტანო ზაქარაიასთვის ჩასაბარებლად. ასე გადასცეს: თავი დამანებონ, თორემ დიხამინჯიას და ადელუას ჰაერში ავიტან თავიანთ კაბინეტებიანად.

ჩვენებთან ტელმანის ქუჩით მიდი, ჩიქობავების ეზოდან. ყოველ შემთხვევისათვის სიფრთხილეს თავი არ სტკივა. დანარჩენი — როგორც შევთანხმდით.

ვიდრე იარაღს სათითაოდ გასინჯავდეს ოდიშელია, რუკზაკში ჩაალაგებდეს, ვინემ ტანისამოსს გამოიცვლიდნენ, თირქია ცხენებს უნაგირს დაადგამს, მოსართავებს მოუჭერს. საღარაზე ხურჯინს გადაკიდებს. დამოკლებული ლაგამით მოჰყავს აფრუტუნებული მერნები შუაში ჩამდგარს.

— ჩვენზე ნუ იდარდებ, — ამშვიდებს ოდიშელია აღელვებულ ამხანაგს, — არხს გავუყვებით, მერე ზღვის ნაპირ-ნაპირ ვივლით. ანაკლიასთან ფონებით გადავალთ.

შენც მზად ხარ უკვე, სოსელიას ბიჭო?

— მაშ, — ამბობს ყმაწვილი მკვირცხლად, — აქაურობას ხუთი თითივით ვიცნობ. ყანებით გავუპირდაპირებ. მინდორ-მინდორ ჩავაღწევ დარჩელამდე და იქიდან რამეს ვიღონებ.

გადაეხვივიან ერთმანეთს.

— ოთხგზის დავალებული ვარ შენგან. გამარჯვებით იარე!

არხის კიდეს მიუყვებიან შაშმანი, ილონა და როკი. სიმინდების დასასრულს ოდიშელია შეჩერდება.

— ამას იქით ჩვენითაც გავიგნებთ გზას, — ეუბნება როკი ცხოვრებაგამწარებულ კაცს. თან ილონასაც მიაშველებს ხელს ცხენზე შეჯდომისას.

— ხომ არაფერი გაუმხელია იმ ბიჭს? — ჰკითხავს ხმაპარვით შაშმანი.

— რას გულისხმობ, რა უნდა ეთქვა? — თავს მოისულელებს ოდიშელია.

— ორ თვეზე მეტია მიხვედრილი ვარ ყველაფერს. ბედს შევურიგდი, როკი. დანები აფხიანებული მაქვს სულ. ორლულიანი თოფი და კარაბინი კედელზე დატენილი ჰკიდია. თუ დამარტყამს ან მესვრის, ქე მაინც უცებ გამათავებს, მაგრამ იმასაც რაღაც უბორკავს ხელ-ფეხს. ისე, ჩვენში დარჩეს და არ ყოფილა ადვილი, გულგრილად უყურებდე საკუთარ აღსასრულს. იძინებდე იმის რწმენით, რომ არასდროს გაგეღვიძება. ჩემი მზე ისედაც ჩასვენებულია, ყმაწვილი

როგორ გავაუბედურო? გამობრუნდება და კიდევ თუ გაუძნელდება ეგ საქმე, მე თვითონ გავუიოლებ.

— აღარ დაბრუნდება ლადო, ჩემო შაშმან! სჯობია შენს თავს მიხედო! გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი ქალი, მარტოობას შეგიმსუბუქებს. ავტომატი, მჭდეები და ვაზნები უკლებლივ მიმაქვს უნებართვოდ. ყუთი დაამტვრიე და ღუმელს შეუკეთე კონდახთან ერთად. ამ დღეებში შეიძლება გაგჩხრიკონ, სანადირო თოფისთვის მწყემსს ვერაფერს გეტყვიან, მაგრამ ავტომატის გულისთვის, ხომ იცი რამხელა სროკია?! კარაბინიც გადამალე. ზონაში მიბრუნებაღა გაკლია შენ. წავედი ახლა, — იტყვის, მკერდში ჩაიკრავს ამხანაგს, მოახტება ცხენს და კვალში მიჰყვება დაწინაურებულ ბოშა ქალს.

— ხურჯინის მარჯვენა თვალში ღვინოა დოქით, ავჟანდი არ მიარტყა, — ამბობს თირქია და აცრემლებულ თვალებს მალულად იწმენდს ხელისგულით.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ენგურზე ფონებით გაინაპირეს. ხაბოსთავზე წამით შეყოყმანდა ოდიშელია. ორნაირმა აზრმა გაუელვა გონებაში: ზატოჩნიკის მცნებას მიჰ-ყოლოდა, თავდაცვის ნაცვლად შეტევაზე გადასულიყო და დიხამინჯიასთვის ცხვირით მიწა ეხვნევინებინა თუ კვლავაც მორიდებოდა საფრთხეს.

ზუგდიდში ჩასვლა უწინარესად მისიანებს ააწიოკებდა. განმუხურში, მელორ ქვარაიასთან, უზრუნველი ღამისთევა ელოდა, მაგრამ ეს ფიქრიც განზე მოიტოვა.

ისევ ნაკარღალით ამჯობინა წასვლა. იქ ხაზარიებს შეეფარებოდნენ, ან ცოტა ქვემოთ, როდონაიას ფეშენებლურ კოტეჯში მოისვენებდნენ.

ფრანკო ნერო, როგორც მეტსახელით ეძახდნენ ლუსის, მოხუც მამასთან ერთად იხდიდა სასჯელს რუსთავის მესამე ზონაში ძმის სისხლის აღებისთვის. უბედურება კი ამპარტავნობის გამო აწეწილიყო. ცოლისდის მსხვერპლი შეიქმნა ორი ოჯახი. ამაყმა ხაზარიებმა იუკადრისეს გაღლეტილი დუდარიძის დამოყრება. ოთხ ვაჟიშვილს უმაღლესი განათლება მისცა სოფლელმა კაცმა და უკეთესს სიმდიდრეს რას მოიხვეჭდა, რას დააგროვებდა, მაგრამ ხაზარიები აინუნშიაც არ აგდებდნენ ქვისლადმოკიდებულის წითელ დიპლომს თუ ფუნჯსა და მოლბერტს. განსაკუთრებით ფრანკო ნეროს უმცროსი ძმა ბობოქრობდა:

— ქორწილი იქნება თუ ქელეხი, სადაც მე ვარ იქ ნუ გამოჩნდები, თორემ ცხვირ-პირს უკანალის სიმსხოს გაგიხდი! — შეემუქრა და შეუსრულა კიდეც ქადილი ერთ წვეულებაზე შემოფეთებულს.

აპატიეს პირველად დუდარიძეებმა, მაგრამ რამდენიმე თვეში კვლავ რომ საჯდომის სიმსხოდ გადაუქციეს სიფათი, მილიციაში უჩივლეს.

ფრანკო ნეროს ძმა დააპატიმრეს და წულუკიძის კოლონიის ცხოვრებამ ისე წარმართა მისი საქმე, სულ ზონის კარებთან ტრიალებდა უფროსი ძმა. ნაბოლარას ყომარში წაგებული ნთქავდა ოჯახის ძირითად შემოსავალს: თხილს და მანდარინს, ხარ-კამეჩებს თუ ძროხებს. ფრანკო ნეროს მარცხენა

შემოსავალი ბუღალტერიიდან, ძმის გაუთავებელი ვალების გასტუმრებას ვერ აუდიოდა.

ერთხელ ბევრი ირბინა ფრანკო ნერომ, მევახშისგან პროცენტზეც კი ისესხა ფული, მაგრამ რამდენიმე დღით მაინც დააგვიანდა და ფუფულოში გადავარდნილ უმცროს ხაზარიას, უღირსი რამე რომ არ ეკადრებინათ, თავი დასაბრედი გაუხდა.

ნაკარღალში ძაკა ოდიშელიას ბადალი პიროვნება საუბედუროდ არ ჰ ყოლიათ. ესეც გვარიანი ხნის გარდაცვლილი იყო და ახლები, რადგანაც საქციელს ჭკუას ნაკლებად ატანდნენ, ორი ოჯახი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერთმანეთს.

ეზოდან არ გადიოდა უბედური მხატვარი დუდარიძე, მაგრამ ტილოს მიჩერებულზე უკეთესი სამიზნე რაა და ოდიშელიაც სწორედ იმ მამაშვილისკენ მიემართებოდა.

გაიარეს მურყანების ხშირი კორომი. გათოხარიკდნენ მინდორზე. მერე საურმე გზა კვლავ უსიერში ჩაიკარგა.

გარშემო მოსახლეობა არ ჭაჭანებდა. სოფლის ნათურები ექვსი-შვიდი კილომეტრიდან ციმციმებდნენ. უბრად მიდიოდნენ ილონა და როკი, მაგრამ ფიქრებში ერთურთს ეხმიანებოდნენ.

კაცს სინდისი ქენჯნიდა ასე უპრაგონოდ რომ დააბოდიალებდა ბოშაქალს ტყე-ღრე. ილონას კი უფრო საზარელი განცდა სტუმრებოდა: ჯოტო ოდიშელიასთანაც, შაშმანთანაც იმიტომ მისჩერებოდა კალენდარს გაფაციცებით ხშირხშირად, თავისი ქალური მდგომარეობა ვერ გაერკვია, მაგრამ მდინარის გადმოლახვამდე და მერმეც ბრუალი რომ მოუხშირდა, დაბეჯითებით დაასკვნა — ფეხმძიმედ იყო. მჟავეს დახარბებული მადაც ამას ადასტურებდა და ირიბი მთვარის შუქზე გამოჩნდა თუ არა უკაცრიელი ფარდული, ქალმა ლამის მუდარით უთხრა თანამგზავრს:

— როკიი, შევყოვნდეთ, თორემ სადაც არის გული შემიღონდება.

მხედარი სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან, ხელი შეაშველა და ქვასავით დამძიმებული ილონა მიწაზე ჩამოსვა. თხრილს გადააბიჯეს, ბაყაყებს წამით გააკმენდინეს ხმა. ტოლით გადახურულ ფარდულს, რომლის მესამედი ეტყობა სათავსის მოვალეობას ასრულებდა ოდესღაც, ორი კედელი ჯერაც საღი ჰ ქონდა — ჩრდილოეთ-დასავლეთით, ხოლო დანარჩენი, ჩანს, ნაგვიანევ მგზავრებს დაერღვიათ და შეშად შეეკეთებინათ კოცონისთვის.

რამოდენიმე ნაბიჯი დარჩათ ფარდულამდე, რომ დედაკაცს მუხლები მოეკეცა, გრძნობა დაჰკარგა. ოდიშელია აშკარად დაიბნა. ქალის უნუგეშო მდგომარეობამ გული შეუკუმშა. ლოყაზე უტყაპუნებდა ხელისგულს. წყალი ჰქონოდა, აპკურებდა და უცბად მოაბრუნებდა ბებია ბაბილინას კვალობაზე. ცალი ხელით გონმიხდილს ბღუჯავდა, მეორით შაშმანის გამოტნეულ ხურჯინში თითები მოაფათურა. რაღაც ბოთლისმაგვარს წააწყდა. ღვინით სავსე დოქი ჩაედგა საგზლად თირქიას. მუხლებში მოიმწყვდია, ხელისგული ღვი-

ნით დაისველა და ქალს ლოყები, შუბლი, ყელი და კისერი დაუსველა მისით.

ილონა თანაბრად სუნთქავდა, მაგრამ ამქვეყნიურის არარა ეტყობოდა.

როკის ჭურჭელი ჩაუცურდა ფეხებიდან და ბალახებში არაკრაკდა. მიხედა დოქს და უმალვე შურა დეიდას ნათქვამი ამოუტივტივდა გონებაში:

შურა: „ვხედავ წაყირავებულ ბოცას, საიდანაც სისხლისფერი ღვინო იღვრება.

ჭურჭელი შეეშალა მხოლოდ და კიდევ — ფერი. მართლაც მენცარია ეს ხალხი?“

უნაგირის კეხიდან დაგრაგნილი ნაბადი ჩამოიღო, ხელს კბილიც მიაშველა და ისე გახსნა ყურუმული კვანძი. ფარდულში შეაბიჯა ქალთან ერთად. ფეხით მიხვეტ-მოხვეტა სიმინდის ჩალის ღერები, თხის კინკორა თუ გამხმარი ნეხვი. გაშალა ნაბადი და ილონა ფრთხილად დააწვინა ზედ. ჯიბეებში ასანთი მოიძია. გაჰკრა. თვალდახუჭულ მანდილოსანს სახე სანთლისფერი გახდომოდა. ზედა ტუჩი ოფლს დაეწინწკლა. მეორე აანთო, მოავლო თვალი იქაურობას. ცენტრში, ორ ლოდს შუა ჩამწვარი მუგუზლები რომ იხილა, შვება იგრძნო. სიმინდის ღერები მობღუჯა. მალე აბრიალდა ცეცხლი. მოძიებული ფიჩხები და მისთანანი წააყარა. მერე ჩრდილოეთის კედელს ფიცარი ააძრო, ჩამოდო დირეზე, დააბიჯა და გადამტვრია შუაზე. ისიც კოცონს შეუკეთა. ცხენები თვინიერად ფრუტუნებდნენ.

ახლა წაყირავებული დოქი გაახსენდა როკის. დაწვდა. სანახევროდღა დაცლილიყო და ამ აღმოჩენით ერთიორად გაიხარა. მოყლუპა პირდაპირ. შემდეგ ჩაიმუხლა გულწასულთან, თავი წამოუწია, იმასაც მიუტანა ტუჩებთან. ილონამ ინსტინქტურად დააღო პირი და როგორც კი ღვინო იგემა, უაზრო თვალები დაახილა.

— სადა ვართ? — იკითხა გაუბედავად.

— დაწყნარდი, ნურაფრის გეშინია. ამდენმა წოწიალმა გადაგქანცა, ჩემო. მოისვენე, ხვალ უკვე ჩიტივით იქნები.

— წყეული ბიცოლაჩემი! უკანასკნელი იმედიც ხელიდან გამომაცალა! — ქალმა გულსაკლავი ქვითინი ამოუშვა.

ოდიშელიას ცუდად ენიშნა დედაკაცისთვის აქამდე უჩვეულო სისუსტე. ისევ აუწია თავი და ტუჩებთან დოქი მიუახლოვდა, მაგრამ ილონამ კედლისკენ იბრუნა პირისახე.

— ვიცი, რომ გაგამწარე, მაგრამ მთლად ჩემი ბრალი ხომ არ არის?! დარჩენილიყავი ჯოტოსთან, ახლა შენს ბიჭებთან იქნებოდი.

შვილების გაგონებაზე დედა მთლად აზმუკუნდა.

— ყველამ დაჰკრა თითო ქვა პატარა გოგო-ბიჭს. ვხედავ, როგორ ქრება კოცონი ჩემს გულში. მერე რანაირად გინდა მთელი ცხოვრება წყვდიადში იარო?

— ილონა, ნუ მაშინებ. მითხარი რა გჭირს? როცა საფრთხე გვემუქრებოდა, კაჟივით იყავი. სამშვიდობოზე გამოვაღწიეთ და ხელით სატარებელი გახდი.

— ეჰ, რა მიუხვედრელი ხართ კაცები?! როგორ ფიქრობ, დაღლილობისგან დამესხა თავბრუ თუ უძილობისგან შემიღონდა გული?! ილონა არ არის იმ ჯიშის, უძილობამ და დაღლილობამ გატეხოს. ხავსს ვეჭიდებოდი და ისიც ხელიდან გამომეცალა. ჩემი სული ანკარაა კვლავაც. მას შენს მეტი ვერცერთი მამაკაცი დაეუფლებოდა, მაგრამ იმხელა კედელი ამოიზარდა ჩვენს შორის ამ ნახევარ საათში, მირჩევნია მკვდარი ვიყო.

— რატომ საყვარელო? რისთვის იმწარებ საწუთროს? განა ვინმემ წაგვართვა ჩვენი ბავშვობა?! განა ჩვენში არ სულდგმულობს იგი?! მერე რა, რომ ოჯახის უღელს შევდგომივართ ორივე. ის პატარა გოგო-ბიჭი კვლავაც ჩვენში ფაჩუნობს, კვლავაც დარბიან მდინარის პირას ხელიხელ ჩაჭიდებულნი. ერთად აბანავებენ წვრილფეხებიან ცხენებს. ერთად აკანტუნებენ მზესუმზირას. ფეხებში ებლანდებიან კარვის ხალხს. გაოცებულნი უმზერენ როგორ ამზადებენ ალისფერ, დეზებიან მამლებს შაქარ-წყლისგან. კუზმას სამჭედლოსკენ გარბიან და განცვიფრებულნი მისჩერებიან გავარვარებული ნალების, თოხების, ცულების თუ ნამგლების უშველებელ გობში შიშინს. როგორ ფიქრობ, რა, რანაირი ჯადო-თილისმა მოერევა ამ უბოროტო არსებათა სიახლოვეს?!

რიგ-რიგობით იკბიჩებიან პასექის ნაჭრებს. ხელები საღებავისგან დასწითლებია იმ ახტაჯანას. წითელი კვერცხი ამოაქვს ბარაქიანი ჯიბიდან. ბიჭი უბიდან ფრთხილად იღებს შედარებით ღია შეფერილობისას. უნდათ შეაჯიბრონ ერთმანეთს. ვაჟი მზად არის დასარტყმელად, მაგრამ ასული შუბლს შეიჭმუხნის:

ქალი უნდა ურტყამდეს კაცს და არა პირიქითო.

დაემტვრევა ილონას კვერცხი. რა იცის იმან ფისით რომ არის გავსებული მეგობრისა. უშურველად გაუწვდის გულისსწორს. ეს უკანასკნელი კი გაფცქვნის, გაყოფს შუაზე და ნახევარს დამარცხებულს შეაჭმევს. კარვიდან ეძახიან პატარა პრინცესას. მართლაც დედოფალივით შემოსილა. ამხანაგივით ჩამოღლეტილი როდია. გოგონამ რა იცის, ორი თვე რომ არ უვლია სკოლაში ბიჭუნას ფორმის უქონლობის გამო?! ფეხს ვერ გაადგმევინებენ შინიდან, სანამ ახალთახალს არ უყიდიან. თანაც უინტერესოა იქ სიარული, რადგანაც ერგეტის სკოლაშიც იგივე უსწავლია.

აქ ქალაქია, სხვა დონეო და უკან ჩააჩოჩეს. წამებაა მისთვის გაკვეთილებზე ჯდომა. სულ იმის მოლოდინშია, როდის დარეკავენ ზარს. არც ოჯახისკენ მიუწევს გული, რადგანაც ყელში ამოსვლია პილპილითა და მარილით შეკმაზული ეკალას ფხალი. კარვებისკენ წამოსწრაფებულს კი უთუოდ დაასაჩუქრებენ ფოჩიანი კანფეტითა და ქიშმიშიანი ფუნთუშათი.

რატომ გგონია, რომ ხელის ერთი მოსმით აღიგვება ჩვენი სულიდან ეს

ზღაპრული ფერები?! იქნებ პირიქით მოხდეს და ჩვენგან დამოუკიდებლად განაგრძო სიცოცხლე ჩვენში? განა ვინმეს ან რაიმეს შეუძლია კი ამისი შეფერხება? განა არსებობს დედამიწის ზურგზე ძალა, რომელსაც ერთმანეთში ჩახლართული მათი თითების დაშორიშორება ძალუძდეს?!

მაშ, რაღასთვის ჩამოგიშვია ცხვირი? რამდენი ქალი მყოლია ცხოვრებაში, მაგრამ სად არის ახლა მათი სახსენებელი, მათი ჭაჭანება?! პატარა პრინცესა კი სიყვარულის ტახტრევანზე დაბრძანებულა თავის უფლისწულთან ერთად და გაკვირვებულნი უმზერენ ჩვენს გადასხვაფერებებს: როგორ გვითხელდება ქოჩორი; რაფერ გვეპარება ჭაღარა თმაში; რანაირად გვერყევა ყბებზე კბილები; რარიგად შეგვბოჭავს წელკავი ზოგჯერ. ისინი კი არ ექვემდებარებიან ცვალებადობის კანონს, მარად უხრწნელები იქნებიან უკუნითი უკუნისამდე და ასედაც ამაღლდებიან ზეცად, თუ ახლაც არ მკვიდრობენ იქ.

რომელია, აბა, უფრო ნაღდი, უფრო ჭეშმარიტი: ჩვენი ჭკნობაშეპარული სხეულები თუ მათი უხრწნელი არსება?!

— მინდა გისმინო, დაუსრულებლად გისმინო.

— უნაგირს მოვხდი ცხენებს. ისიც მოვიძიოთ შაშმანმა რა გვიწყალობა.

წარბიას უნაგირი თავსასთუმლად დაუდო ილონას როკიმ. საღარას აღკაზმულობაზე თვითონ მოკალათდა. ამოალაგა ხურჯინიდან ხბოს ხორცი, ხელსახოცში გახვეული ღომი, ყველი, მწვანილი, კიტრი და პომიდორი. მარილიც არ დავიწყნოდა თირქიას.

ქალს ხელები ღვინით გადააბანინა. ისევ წამოდგა, ჩრდილოეთის კედელს ამჯერად სამი ფიცარი მოაგლიჯა, სიგრძივ შთაუგზნო ცეცხლს. გამხმარი პური ლაშებიდან ლაგამგამოცლილ ცხენებს დაუთმო.

ერთხანობას იფიქრა: ბედაურებს საბალახოდ მივუშვებო, მაგრამ შეიძლება შეჰყვნენ და საჭიროების შემთხვევაში პრობლემა გამიჩინონო, ამიტომაც მიენასკვა ორივე რაში აღვირებით ფარდულის ბოძებზე.

მარჯვენა იდაყვზე დაყრდნობილი ქალი მარცხენათი იციცქნებოდა. ნაყრდებოდნენ და ცეცხლის მოთამაშე ენებს ირეკლავდნენ მათი თვალები. დოქში ჩარჩენილ ღვინოს რიგრიგობით მოყლუპავდნენ. მორჩენილი საგზალი ხურჯინში ჩააბრუნა ოდიშელიამ. დასავლეთ კედლიდან გამოშვერილ ლურსმანზე ჩამოჰკიდა.

— წამოწექი შენც, — სევდიანი ღიმილით უთხრა ილონამ და უნაგირიანად ჩაიჩოჩა.

როკი დაჰყვა დედაკაცის ნებას.

გვერდიგვერდ მოკალათებულან, პირაღმა, უნაგირებზე თავმიდებულნი. ქალს მის მარცხენა მტევანზე დაუსვენებია გაოფლილი ხელისგული. ოდიშელიას აცვიფრებს საკუთარი სხეულის ჩუმი მდინარება. თითქოს საყვარელ არსებას კი არა, არნაყოლ დას ჩახუტებიაო. კრთომაც ეუფლება ამის გაც-

ნობიერებაზე. ილონამ მონუსხა მისი ბობოქრობა, ფორნების დედოფლის ნება-სურვილმა სძლია ბოლოს და ბოლოს კოლხური სისხლის ველურ მჩქეფარებას.

სად არის ოდინდელი კანკალი, მდედრის სურნელი და ატმის ბუსუსებისმაგვარი კანის შეხება რომ ანიჭებდა?! სად არის მუხლების ცახცახი ან ხელების თრთოლვა, დიაცის სიახლოვე რომ გვრიდა ხოლმე?! თითქოს შუაზე გაწყვეტილა მისი სხეული: ქამარსქვევითა ნაწილი არ ემორჩილება ზემოურ ბრძანებებს და მითითებებს.

— აქამდეც ვეჭვიანობდი ჭირვეული ორგანიზმის პატრონი, მაგრამ მდინარის გადმოლახვისას თავბრუ რომ დამესხა, საბოლოოდ დავრწმუნდი: ფეხმძიმედ ვარ. ამიტომაც ვქვითინებდი და ვქვითინებ ახლაც უჩინარი ცრემლით.

ბიცოლაჩემის მარჩიელობამ ქვეყნის კიდემდე მომსდია. ამას იქით სიკვდილია, რადგანაც ჩვენს შორის უცოდველი ნაყოფი ჩადგა. ვეღარსად გაექცევი ამ სინამდვილეს. აუმხედრდი რამდენიც გინდა საკუთარ მდგომარეობას: სიცხადეს ვერსად წაუხვალ. ოხ, ჩემო, არ იცი, როგორი უბედური ვარ. მე მზარავს და ვწყევლი თოვლის გუნდასავით მუცელში გატოკებულ არსებას, რომელმაც შენი თავი საბოლოოდ წამართვა. გთხოვ, ბოლომდე წრფელი იყავი. შენი სიმართლე ახლა ჩემთვის ერთადერთი გადარჩენაა. აქაც თუ ჩავიქოლები, ჩემზე საწყალი დედამიწის ზურგზე ვერ იბოგინებს.

საკუთარს გეტყვი გასათამამებლად, და შენი მერე მითხარი. ბოშა ქალი არ უნდა ამბობდეს ამას, მაგრამ სარკეში ჩახედვისა ხომ არ გვრცხვენია, თუნდაც სახე მურიანი გვქონდეს?! ჰოდა, როცა ერთმანეთში აირეკლები, აქ ბეწვისოდენა საიდუმლოც კი წაშლილია. თითქოს ორეულთან ხარ, რომლისთვისაც მზესავით ნათელია შენი ყოველი დაფარული. თამამად შედიხარ მის საუფლოში, რადგანაც იცი, გულთამხილავი ძალა შენს უნებურადაც ჩინებულად ახერხებს ამას. ყურის ბიბილოები გიხურს სინდისის ქენჯნისგან. გულის ნადების დამალვაც უაზრო ხდება.

ნამდვილი ბოშა ქალის ცხოვრებაში, მის უნებურად, მეორე მამაკაცი არ იქნება-მეთქი რომ ვამბობდი, ეგ სრული სიმართლეა, თუნდაც ჩემი გრძნობებიდან გამომდინარე. ჯვარი დავიწერე ქმარზე, მაგრამ იმ წუთას თვალდახუჭულს შენი სახე მედგა წინ, რუხის ციხესთან რომ დამამახსოვრდი, მამის იღლიიდან სასოწარკვეთით მომზირალი. მე მივეჩვიე თამაშს. მე შემოვიტყუე იგი ჩემს ლოგინში, რომელიც ცხრა წელიწადია ალმურით ითანგება. იმ ყმაწვილისგან მე აღვზარდე ჩემი ხატება, ჩემი მბრძანებელი. უშურველად მივართვი ყველა განძი ჩემი ხორცისა და სულისა, რომლის კედლები ალისფერი ხავერდითაა დაფარული და გარეშეთათვის მისი კარები სამუდამოდ დახშულა.

ვნება არ აკლდა ჩემსა და კარლოს ცოლ-ქმრულ ცხოვრებას, მაგრამ მერე და მერე დარწმუნდა იგი, რომ მე სხვისი მხევალი ვიყავი პირველივე შე-

კივლებიდან. ქალის ბუნება ახერხებს ამას თუკი ნამდვილი დედაკაცია და რადგანაც განგებას არ ვემდური საგანძურების მონიჭების მხრივ, ენგურის ხიდთან წართმეული ყმაწვილი სამარადისოდ დაბინავდა ჩემში. ალბათ, ეს ნათელიც გმფარველობდა მრავალი განსაცდლის ჟამს, შენი ილონას სიყვარული გმფარველობდა, ჩემო, რომელიც შესაძლოა სრულებით არ გახსოვდა იმ წუთს, მაგრამ დიდია უფლის ძალა და რადგანაც დავუშვი ასეთი მკრეხელობა, ქმარი შეყვარებულთან ალერსის საშუალებად გადავაქციე. არ ვიცი, ვამართლებ თუ არა სიტყვას: ჩვენს უნებურად მეორე მამაკაცი რომ არ იქნება-მეთქი, მაგრამ ხომ შეიძლება ასეც მოხდეს: ცხრა ულაყი მძლავრობდეს შენზე, თავად კი მიჯნურის ტრფიალს ეწაფებოდე?!

როგორია საქმის ვითარება, ვის ერგო შენი სულის წყარო, იმ მოძალადე ცხრას თუ ერთადერთს?! გძინავს?!

— გისმენ, ადამიანო, რა ჯანდაბა დამაძინებს სანეხვეში ნადირივით დაგდებულს?! ეტყობა ქალები წარმოსახვის მეტი უნარით დაგაჯილდოვათ ღმერთმა.

— ღმერთი აქ არაფერ შუაშია. თუკი თავად არ ინდომებ ველური განცდებისგან გამოღწევას, რომელიც ცხოველური ჟინის მოკვლისთანავე ქრება ხოლმე და ეკლის ნაჩხვლეტი თითივით ზერელეა მისი ხსოვნა, ნამდვილ სიყვარულამდე ვერასდროს ამაღლდები.

შენ საარაკოდ მიიჩნევ რომეოსა და ჯულიეტას, ბონდოსა და ხანტურის თავგანწირულ გრძნობებს და შუალედურს იქით ვერ წარმოგიდგენია საკუთარი სულის ქარტეხილები, როცა უფლისგან გზახსნილია თვითონ იყო ორჯერ მცხუნვარეცა და შეძრწუნებულიც ამავდროულად.

მე თვალნათლივ ვამჩნევ სამდღიან გარდასახვას შენში. წისქვილარასა და ამ ფარღალალა ფარდულის კოცონთა შორის ჩემდამი ნაპერწკლისხელა სიყვარული შენი ცისკარივით გაღვივდა. წარმოგიდგენია, თავად თურმანიძეების ამაყი ასულის სახსენებელიც კი ნიავ-ქარს გააყოლე: ისე დაემშვიდობე ლევთერს და ლადოს, ცოლისთვის ფარატინა ბარათიც არ მიგიწერია. თვალის დახამხამებაში ზურგი შეგიქცევია წუთიერი გატაცებებისთვის, მაგრამ შენი დამსახურებით როდია ეგ, ჩემით, ჩემით და მხოლოდ ჩემით.

მოვა დრო, როცა გვერდით არ გეყოლები და ნეტარების მწვერვალზე ამოტყორცნილი შენი სული ფრთამომსხვრეულ არწივს დაემსგავსება, რომლისთვის ყოველი ზედმეტი მოძრაობა მიწაზე შურდულივით დანარცხებაა და თუ აქედანვე არ გასწავლე როგორ ახერხებენ იმ სიმაღლეზე უმტკივნეულო ასვლას და დაშვებას, მეუღლესაც დატანჯავ და საკუთარ თავსაც, რადგანაც შენი სურვილი და შესაძლებლობა ერთმანეთს დაშორდება. ვერავის ჰპოვებ მერე იმ ორი მასულდგმულებელი წყაროს ერთ ჭურჭელში შემგროვებელს. უბადრუკ სინამდვილეში ჩარჩები, სადაც პურს პური ჰქვია, ღვი-

ნოს — ღვინო, ფორანს — ფორანი, კოცონს — კოცონი და ხვევნას — ხვევნა. ხოლო უხილავი ფერებისა და ბგერების ზღაპრული სიმფონია ყოველთვის მიუწვდომელი იქნება შენთვის, როგორც შენივე ნებით დაყრუებულ-დაბრმავებულისთვის.

რამდენადაც გამიგონია, ქალი მრავალი გინახავს ცხოვრებაში, ლამაზიც, უშნოც, ქალწულიცა და მზესუმზირას მოკნატუნე როზა გრეჩანკაც სასიყვარულო თამაშებისას, მაგრამ მათში განსხვავების პოვნა შენ არ გიცდია, ვინაიდან შენი მიზანი სრულიად მარტივი იყო: ცხოველური ჟინის მოკვლა, თვითკმაყოფილება.

თვალებში შემომხედე და ისე მითხარი, რა დაგრჩა იმ ქალებისგან დაუვიწყარი, მოყოლად რომ ღირდეს?!

— მგონი აქამდეც გამიმხელია, იმ წუთამდე მოსათმენი დედაკაცი, მოგვიანებით სრულიად აუტანელი ხდება და მეც თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ მისი აოხშივრებული სხეულიდან-მეთქი.

— დიახ, ყველა მამაკაცი ეგრეა, შეყვარებულის გარდა, ჩემო, რადგანაც ჭეშმარიტი სიყვარული ისეთი გრძნობაა, რომელიც თვალებზე აფარებული სურათივით მხოლოდ ფერთა სიჭრელედ ქცეულა და სახეების გარჩევა ერთობ ძნელია; მაგრამ არც ასეთი სიყვარულია ღვთაებრივი, ვინაიდან ბრმაა იგი გარკვეულ დრომდე, მონური თვისების, გონჯს მზეთუნახავად რომ გადაგიქცევს.

უკიდეგანო თაკარა ინდოეთიდან გამოღწეული ჩემი წინაპარი მდედრი ზედმიწევნით ფლობდა სიყვარულის ყველა საიდუმლოებას და მის შთამომავალს ზოგი რამ თუ შემომრჩენია, ესეც ოდინდელი გულთმისნობის ნამცეცების წყალობაა.

იწვნენ საზიარო ნაბადზე უნაგირებს თავმოდებული როკი და ილონა და რამდენადაც მკრთალდებოდა კოცონი ხელისგაწვდენაზე, ბოშა-ქალის აქამდე მწვანე თვალები ოდიშელიას დამბურძგლავად და დამჟრუანტებლად გამოასხივებდნენ დედალი ავაზის მიმსგავსებით.

ღამე მართლაც კუნაპეტი ჩამოწვა, რადგანაც ისედაც ნამლევი მთვარე ღრუბლის გარსმა შებურა და ახლა ერთადერთი ეს ორი მანათობელი კიანთებდა დუნიაზე, რომელიც შიშისმომგვრელიცაა და ალერსიანიც ამავდროულად შხამში ამოვლებული პატიოსანი თვალივით.

ცხენების ფრუტუნითა და ბაყაყების გამაყრუებელი ყიყინით აღიქვამდა როკი გარესამყაროს, სხვამხრივ, ილონას თვალების მომნუსხველმა ნათებამ შეიწოვა, შეისრუტა მთელი ცისქვეშეთი.

— სად შევჩერდით ჩვენ? — ჰკითხა უეცრად ქალმა.

— ინდოეთის...

— არა, როდის შეჩერდა ჩვენი სიყვარულის დროის საათი-თქო, უნდა მეთქვა. რუხის ციხესთან, ხომ კი?!

— ნამდვილად.

— მაშინ მომყვი ფეხდაფეხ. შენი ილონა ცამეტი წლისაა. გიძნელდება მისი წარმოსახვა?

— სულაც არა. აგერ, თვალწინ მიდგას. მოკლესახელოებიანი დანაოჭებული ჭრელი კაბა აცვია. კოფოზე ზის ტაძრის შესასვლელისმაგვარ ფორანში. შეძრწუნებული მწვანე თვალებით მიმზერს ხელებგამოწვდილი და როკიო, წივის, წივის დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე, თვეობით, წლობით.

— სწორედ, რომ ასეა, — ნიკაპი აუკანკალდა ილონას, — მაგრამ ჩვენი ნება არ არის საითკენ გავამგზავრებთ იმ ფორანს, ჩრდილოეთისკენ თუ სამხრეთისკენ? რატომ უნდა აკლდეს შესაკავშირებლად ციდისხელა ერთმანეთისკენ გაწვდილ ხელებს, შურა დეიდას თუ სხვათა ჯინაზე? დედოფალს მოვუსვათ გვერდით თავისი უფლისწული და მერე რამდენიც ნებავთ იქოთქოთონ ჟენიებმა და ვალერიანებმა. ქვეყნიერება რომ გადავაბრუნოთ, ახალგაზრდების დასაბანაკებლად წისქვილარზე უკეთეს ადგილს ვერ ვიპოვით. შენ რა აზრის ხარ, მარცხენა ნაპირი უფრო უკაცრიელია, უდაბურიც, ალბათ, იქითკენ აჯობებს კარვის გაშლა.

— ხო.

— მზე დასალიერზეა. გამოხსნილი ცხენები მშვიდად წიწკნიან ბალახს. ფიჩხს ერთადგილას ახვავებს გოგო-ბიჭი. ქოჩორა ტალღები ელამუნებიან ნაპირს. ქვიშა ნელთბილია, მაგრამ მალე კოცონი აგიზგიზდება და უკუდგებიან ცნობისმოყვარე ხეები. სულს გაკმენდს კბილებაკაწკაწებული მასქური. წავიდა მზე და ბნელ ღამეში კოცონიღა აერთებს ცასა და მიწას, მდინარეს და ტყეს. ნელ-ნელა ხდიან ერთმანეთს სამოსელს.

ასული ნიკაპამდე წვდება ვაჟს. თოვლის გუნდასავით ამობურცვია მკერდი. ბიჭს ზედა ტუჩი დაბუსუსებია. არავითარი ხელის აფარება. ხეებს არ რცხვენიათ თავიანთი სიშიშვლის. სამოსელი სატანისგან მოდის და ჭეშმარიტი სიყვარულიც კუთხეში მოისვრის ყოველგვარ აბრეშუმს, დიბაფარჩას. გესმის, ქარი როგორ ეჩურჩულება ფოთლებს?! ზედ ტუჩებთან ეჩურჩულება.

— ბიჭს მაინც გაურბის თვალები აფრუტუნებული ცხენებისკენ.

— ეგ იმიტომ, ვინმემ მყუდროება ხომ არ დაგვირღვიაო, მაგრამ მალე მიხვდებიან, რომ მათი სამყოფელი უკაცრიელია, ქარით გადახრილ ხეებს, ფორნის მოშორებით მოფრუტუნე ცხენებს, აჩურჩულებულ ნიავს, სილიანი ნაპირის მოალერსე ტალღებს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში და კიდევ — მაღალ ღმერთს ცაში, რომელმაც საკუთარი სულიდან ამოიგლიჯა ხორცი, შუაზე გაჰყო, გამოძერწა და ერთმანეთის ნდომა დაანათლა. როცა ისინი ერთიანდებიან, უფალიც უზენაეს ნეტარებაშია. არაფერია აქ განსაკუთრებუ-

ლი, არც — ბუნების კანონებისგან განდგომა, ოღონდ ყოველივე გააზრებულია, ცხოველურ ჟინს არ ემორჩილება ამიერიდან.

აგერ, დატალღულ სილაზე ჩამუხლულა ორივე. კოცონი შორს გასტყორცნის მათ ლანდებს, მაგრამ აქ ძნელია საზღვრის დადგენა: სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე.

ზოგიერთისგან განსხვავებით იმ ბიჭმა ჩინებულად იცის სად არის ქალის სული გადანახული. ტყუილად ეპოტინებიან ყურის ბიბილოს, ძუძუს კერტს თუ მარცხენა თეძოს, ესენი წვრილმანი რუებია დედაკაცის გრძნობათა ნამდვილ ოკეანესთან შედარებით. კეფასთან, კულულებში შეუცურა თითები ბიჭმა და გოგონამაც თვალები განაბა, რადგანაც ახლა იმასაც მოსურვებია ისედაც ზღაპრული გარემოს მეტი ბრჭყვიალებით გაცისკროვნება. ამჩნევ თუ არა ასულის სხეულს, შველივით კენარ ფეხებს, ავაზას დრეკად წელს, ერთმანეთში მჭიდროდ ჩახლართულ თითებს?!

— ხელისგულები ხორკლიანია ქვიშისგან.

— არამარტო ხელისგულები, მთელი სხეული გახეხეშებიათ ქვიშისგან. ახლა უფრო ხელშესახებია ყოველი ნაკვთი. გაქონილი ბაწარივით როდი გაგისხლტება თითებიდან. ხომ ჩაგძირე უფსკრო მორევში?! ხომ გადაგაფარე წამიერად თვალებზე ბინდი?! მაშ, რატომ არ დაეხსნები პატარა გოგოს სხეულს? ისიც ხომ იმ დედაკაცების ჯიშისაა, ციებიანივით რომ გაურბოდი ალმურების მერე?! გაცამტვერდა თუ არა ბიცოლაჩემის ნაჩხიბი? შენი როკი ილონა, გაივლის ერთ კარს, გაივლის მეორეს, გაივლის მესამეს და არასდროს მოიხედავს უკან, არასდროს დაუბრუნდება გარდასულს, განცდილსო. დაბრუნდა იგი, სამუდამოდ დაბრუნდა თავის ილონასთან და აწი მდედრის ახურვებულმა რემამაც რომ შეუტიოს, პატარა გოგოს ნათელს ვერსად წაუვა. დახუჭავს თვალებს და სულის დარბაზები უმალ მისი უმანკო შუქით გაჩირაღნდება. არასოდეს უწერია ამ კაშკაშს ჩაქრობა, რადგანაც ღმერთის შეერთებულების მთლიანობას ადამიანი ვერ დაარღვევს, გნებავთ ასი მახვილით კუწავდნენ.

ვხედავ კენჭებს, ნაფოტებივით რომ ამოტივტივდნენ წყლის ზედაპირზე. ჩამოგეცლება ხვალ-ზეგ ილონა შენი, მაგრამ პატარა გოგონას დაგიტოვებს სულის ლამპრად და წუთისოფლისგან ათასგზის გამწარებულს ყველა იარას მოგიშუშებს ღვთაებრივი შეხებით. მარტოკას მიძნელდებოდა ორივეს ტვირთის ზიდვა, მაგრამ ტალახში ჩაძირულ ფორანში შებმულს, ფიცხელი კვიცი შემომაშველე და უსასრულო გზამაც კუდი მოიქნია. დავტოვოთ უკაცრიელ ნაპირზე ქალ-ვაჟი?

— დავტოვოთ! — თქვა ყრუდ როკიმ.

— მაშინ ცოტათი მოიწიე, ჩემო! იქნებ ძილში გათოშილი ძვლები გამილღვეს, — დაიჩურჩულა და თავი მხარზე მიახუტა.

ლიმა მეათე

მაადშიდ*
769230

მისჯილი საწუთროს მჩორკნელი კვეკვე ანთარია მხოლოდ ახლა, ამ ერგასსაათიანი ძილქუშის მერმე ერწმუნა სავსებით მწუხარე სახის მხედრის ჭმუნვა-გასაჭირს. რაინდული რომანების პათეტიკურ ფეხისხმას აყოლილი დონ კიხანო გვარიანად რომ აჭანჭყარა ომახიანი გმირების ზღაპრულ ბილიკებზე როსინანტით ჩაქჩაქმა, დიახაც უწყის ბარე ორმა წიგნიერმა, მაგრამ ბოშა ქალის ფანტასმაგორიებს გულუბრყვილოდ მინდობილი მერომანე ჩვენი, როგორ ავაგლახა კარავთა დედოფლის ამურული გაკვეთილების საკუთარ თავზე გამოცდამ, ღირს მოსათხრობად.

იმ გრიგალიან ღამით მესიტყვე კაცის თაფლობის თვეგამოვლილ მეუღლეს შაკიკიანი შუბლი კაშნეთი წაეკრა, მაგრამ უგუნებო ბანოვანის ბასტიონები ოთხივ კუთხით რომ დაჰყრიდნენ ფარ-ხმალს კვეკვე ანთარიას ექსცენტრიული იერიშების წინაშე, ენაგაბაშლაყბული საბჭოთა პრეზიდენტის საუბრის შუაზე გაწყვეტიდანაც ჩინებულად ჩანდა.

მიყოლებით გამორთო ტელევიზორი, მაცივარი, მაშუქი. ფანჯრებზე ხავერდის მწვანე ფარდები ჩარჩოებამდე მიჭიმა. მერმე დურთა თავი ვნების მორევში და საკმაოდ ზორბა წარსულიდან საკუთარი სიყმაწვილის გამოხმობა რამდენადაც გაუიოლდა ცდისპირს, იმდენად ეძნელა ქურქში გახვეული შკვითინხეს ოდაბადედან ნევის პროსპექტზე გაყვანა გაწანწალებულ ზამთარში. ვერც პეტრე დიდის ჩამოქვეითება მოუხერხდა ყალყზე შემდგარი მერნიდან, რათა ბრინჯაოს ტაიჭისთვის დამოკლებული სადავე მიეშვა, უნაგირზე შემოეგდო დედალი ავაზა თვისი და არყის ხეთა შორეული კორომებისკენ გაექროლებინა ოცნების ასული, თუმცა ჯინაზე ახალგაზრდა წყვილი ერთმანეთის თვალებში ციცინს კმარობდა. ასე რომ, ილონას წარმოსახულ ჰიმენეთი გაწბილებულს, იმნაირად მიეთვლიმა, იმგვარად მიიტაცა ღვთაებრივმა ჰიპნოსმა, მხოლოდ ორმოცდაათი საათის შემდეგ დაახილა თვალები სასტუმრო „ოდიშის“ აფორიაქებულ პერსონალში.

დაბნევით მიმოიხედა გარშემო ჩვენმა მერომანემ და შავ-თეთრი რეალობა ძირისძირამდე გააცნობიერა თუ არა, ისეთნაირად იტკიცა შუბლზე ხელი, ელექტრონის მავთულებზე ჩამომწკრივებული მერცხლები კინაღამ ნაადრევად აიბარგნენ თბილი ქვეყნებისკენ.

ამისთანა გაცხარების საფუძველი ნამდვილად გააჩნდა ახალგამოღვიძებულს: ზვინში ჩავარდნილი ნემსივით დაკარგვოდა რომანის გმირი და ლამის ბიბლიური ნოეს აღკაზმულობით გავარდა საწერი მაგიდისკენ. ფიცხ-

ლად მიეჭრა ფურცლებიდან გამოჩრილ კედლებშემოღლეტილ თუთუნის საშრობ ფარდულს, მაგრამ იქ დასიცხული ძროხებიღა შეფარებოდნენ, რომლებიც კუდების ტყლაშუნით იგერიებდნენ აბეზარ, მომწვანო ბუზებს და დროის დასადგენად ნაცრის მოქექვას აზრი არ ჰქონდა.

ოდიშელიას სამურზაყანოელ საძმოს ხუთი თითივით იცნობდა მერომანე ჩვენი და გმირის მოძრაობას ჩამორჩენილს, ისღა დარჩენოდა, კარდაკარ წოწიალში მისი ადგილსამყოფელი ბოლოს და ბოლოს რამენაირად დაედგინა.

— გმირი დავკარგე, გმირი დავკარგე! — ღმუოდა და თან ბაბაჯანას ქოშებივით მიჰქროდა ხაზარიების სამოსახლოსკენ, მაგრამ აივანზე გამოფენილმა ტრაურმა თვალნათლივ აუწყა ანთარიას, რომ ოჯახს მეორე უბედურება დასტყდომოდა თავზე: ფრანკო ნერო მხატვარ დუდარიძის ნაბოლარა ძმას მიპარვით განეგმირა.

სწრაფად მოსცილდა იქაურობას.

როდონაიებისკენ გადაეშვა ჯინისებურად, მაგრამ ფეშენებლური კოტეჯი დაკეტილი დაუხვდა. გაახსენდა სოხუმელი ოსტაპ ბენდერი კვლავაც სასჯელს რომ იხდიდა ჩალიგავას წყალობით.

იქნებ დეიდაშვილებთან იყოსო, ფიქრობდა ერთხანობას, თუმცა ქობალიებისკენ წაკლაკნილ შუკაზე ცხენების ნაფლოქვარი გამადიდებელი შუშითაც რომ ვერ დალანდა, მთლად წამოჭარხლდა ბრაზისგან.

— გმირი დავკარგე! — ღმუოდა ამას და კუთხიდან კუთხეში დაბორიალებდა.

იგივე დღეში ჰყავდა სასტუმროს პერსონალი თუ თანამეცხედრე. აყრიდნენ ქვეშაგებს, გამოსწევდნენ კარადებს, ტახტს, იჭვრიტებოდნენ ნოხქვეშ. აბაზანის სანაგვე ყუთიც ამოქექეს, გულმოდგინედ ეძებდნენ ჩაწიკწიკებულ ფურცლებს, როცა ანთარიას რეალური გმირი გამოცლოდა ხელიდან.

სხვები გამოწრუპული ბოთლების წყალობად მიიჩნევდნენ მერომანეს კუთხიდან კუთხეში უთავბოლო ბოდიალს. დაახვიეს თავზე პეტია უბერის ბიჭები: მურთაზ, ნუგზარ, ზურაბ და თემურ. ზოგი ყელ-ყურს ეცა, ზოგიც — მაჯას, ჩამოუზიდეს ქუთუთოები, გამოაყოფინეს მიტკალივით გათეთრებული ენა. ააქშუტუნეს წნევის აპარატი. კარდიოგრამამ კავკასიონის მწვერვალების კონტურები ჩამოაზიგზაგა ხელად. ურაკუნეს მუხლზე რკინის ჩაქუჩი. რომელიღაცამ ცერი და შუათითი გაუწკლაპუნა ორგზის მარჯვნივ და მარცხნივ. დაჯდა კონსილიუმად უბერების სახელგანთქმული კვარტეტისა, იშვიათი კოლეგიალობით დაუსვეს ერთობლივი დიაგნოზი, შეუშხაპუნეს რბილსა და ვენაში ეფექტური დამამშვიდებელი საშუალებანი, მაგრამ ანთარიას გასაჭირს არაფერი შველოდა:

— გმირი დავკარგე! — დაეღო პირი და ხან გოგოხიების ეზო-კარს გადააქოთებდა, ხანაც — აბაშიების მამულს. იქით ნარდაიების კუტიკარში შეიჭვრიტებოდა, აქეთ — ადამიების შუშაბანდში, თუმცა ოდიშელია თითქოს მიწას ჩაუყლაპიაო, აორთქლებულიყო თვალსა და ხელს შუა.

ბოლო იმედად შთენილი აძიუბჟელი ავიძბები, სტუმართმოყვრული თვინიერებით მიუგდებდნენ ყურს საქართველოს საზღვრების რეკონსტრუქციის პროექტებით წვეულ დესპანებს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციიდან და ანთარიაც ძლეული ლაშქრის ჯარისკაცივით მილასლასდა აწიოკებულ საწერ მაგიდასთან.

საღათას ძილიდან ახლახან გამოღწეულს საიდან ეცოდინებოდა ბუკა ქავთარაძე ცინცხალი „ჟიგულით“ თუ გააქროლებდა დრანდის აეროდრომისკენ მორდუსთან ილონას თანხლებით ორიოდე საათით ჩამოხდომილ ოდიშელიას, საიდან გაიგებდა როგორ ჩაუკაკლავდნენ ძუძუმტეები ვასია ზატოჩნიკისა და ვალერი გლატკოვის ტრაგიკული აღსასრულის ამბავს? ან ვინ, რომელი აუხსნიდა, პანტერა ყოველთვის თან რომ დაატარებდა პასპორტს მანქანის მართვის მოწმობასთან ერთად, რათა საჭიროების შემთხვევაში შეუფერხებლად დანთქმულიყო ჩრდილოეთის უკიდეგანო ოკეანეში მდინარის ანკარა სათავეებიდან დაშვებული კალმახის მსგავსად?!

ამწუთას ვერა, მაგრამ მოგვიანებით კვეკვე ანთარია წვრილად შეიტყობდა, რომ იარაღი, ოჯახისთვის გაკრული ხელით მოწერილი ბარათი, ქავთარაძეებისთვის დაეტოვებინა როკის. მათივე წყალობით ჯოტო ოდიშელიას ვრცეულ ეზოში ბალახს წიწკნიდნენ უკვე საკმაოზე მეტად დამაშვრალი საღარა და წარბია. გათელილი ნაბადი გაებერტყა ანთელახეს შინდის ჯოხით და აივნის მოაჯირზე გადაეფინა გასამზევებლად.

ყოველივე ამას ზედმიწევნით გამოიძიებდა კვეკვე ანთარია დროთა ვითარებაში, ამჯერად კი ილონას სამოსახლოს უტრიალებდა საკონსერვო ქარხნის უბანში, რომელიც ფეხმძიმე მეუღლის დაჟინებით ჩალის ფასად გაეყიდა კარლოს და ვაჟიშვილებთან ერთად კიშინიოვში მომლოდინე ცოლთან გადაბარგებულიყო. ასეთ გაწამაწიაში ჩავარდნილ ჩვენს მერომანეს ბოლოს და ბოლოს წამოუსწრეს პეტია უბერის ბიჭების ინიექციებმა და ყანწებით ომმოხდილ თამადასავით მიასვენა მაგიდაზე თავი.

თურმანიძეების ასული უკვე სასთუმლიდან არ სცილდებოდა მამამთილს. ძირხვენების ნაყენს ასმევდა. ევკალიპტის ზეთით უზელდა კიდურებს აცამზევებული. როკის ფარატინა წერილმა უფსკრულში გადაუძახა სულისმომწურავ ეჭვებს. მის მიამიტ, ბავშვურ ბუნებაში ისევ მომრავლდა ხალასი ფერები. მთავარ მეტოქეს კარვები დაეკეცა და ფორნის ხავსმოკიდებული ბორბლების ხრიალით გამონთებოდა დაწინაურებულ თვისტომს.

ჟენიამ ზურგი შეაქცია დაზი ჩიქოვანის კლუბის ბიჭების მიერ მონურ კულტურად შერაცხულ ჩაის პლანტაციებს, რომელმაც მათი თქმით, ქარ-

თველ ქალს საშვილოსნო გაუბერწა, ფეხები მოუღრიცა, მოკაკვა წელში, ბალანი მოუმრავლა სახეზე და როდესაც მოცალეობის ჟამს, შიფონერის უშველებელ სარკეში საკუთარ იერს შეავლო მზერა, ორდენოსან დედაკაცს ელდა ეცა: ახალგაზრდების ჩამონათვალ თითქმის ყველა სნეულებას მის სხეულში დაესადგურა.

ჯეელები იმპერიული ძალების შემოცურებულ სამსალად მიიჩნევდნენ გიგანტურ მშენებლობებს: თაღოვან კაშხალს, ,,ვექტორს'', თუ აღვირახსნილ კომპლექსომანიას. პროლეტარიატის ბელადის მონუმენტს ჯერ კიდევ თავდახრილნი ჩაუვლიდნენ, მაგრამ ფელიქს ედმონდოვიჩის ბიუსტს კი მიახალეს ერთი აღდგომის სამყოფი კვერცხი. შოთა შამათავას ნაშიერმა რკინის კომისარს კოლხური ოოგონიუმი არ აკმარა და ვალერიანას წვეთებში რომ განბანა, ზაქარაიას ხალხმაც დროულად იზრუნა მისი უსაფრთხოებისთვის, თორემ ოდიშის საკატეთი არმატურამდე დაიყვანდა ოცდაოთხ საათში მის აღმატებულებას.

სანაცვლოდ მეუნარგიებისას ცაიშში ჩამოქვეითებული ილიას ხატებამ სანახევროდ შემოანათა ჭადრების ხეივანში. მართალია, არწივივით აპრეხილი თაბაშირის მხრები ღიმილს ჰგვრიდა ზუგდიდის მკვიდრს თავიდან, მაგრამ ბულვარზე ერის უგვირგვინო მეფის დამკვიდრება საშვილიშვილო საქმედ მიაჩნდათ ახლებს და სკულპტორის უმწიფრობას თვალს უხუჭავდნენ ბიბღიაშვილის დაჩოქილი ცოტნესგან განსხვავებით.

ახალგაზრდების სათავყრილობოდ დღისით დაზი ჩიქოვანის კლუბი თუ გახლდათ, ღამით კვეკვე ანთარიას ნომერში გადაინაცვლებდნენ ოდიშელი მოყმენი და პოლიტიკაზე დილით დაწყებული საუბარი პოლიტიკითვე მთავრდებოდა სასტუმროში მამლების შეხმიანებისას.

მიეჩვივნენ კვეკვე ანთარიას იპოქონდრიებს. იცოდნენ ხელოვნებით სულდგმულობდა და ღიმილით მიუტევებდნენ ,,კაცის შემოკვდომას'', ,,თვითმფრინავის მოტაცებას'', ,,პერპენტუმ მობილეს — მუდმივი ძრავის აღმოჩენას'', ,,პროლეტარიატის ბელადის ყველა ძეგლის თავმოყრას ერთ ღამეში მავზოლიუმის წინ □რაც, ალბათ, თვით წმინდა გიორგისაც კი გაუძნელდებოდა) და თუჯის ნაბიჯებით გამართულ აღლუმს სარკოფაგიდან წამომდგარი მუმიის წინაშე''.

საშა ეგუტიას ნაჩუქარ ,,ერიკას'' ალიონამდე ურაკუნებდა, მობინადრეთა რიდით ხმაურის შესამცირებლად ოთხად გაკეცილ პირსახოცს ამოუდებდა საბეჭდ მანქანას, მაშუქს მოიჩოჩებდა და გაქროლდებოდა პერსონაჟების მხარდამხარ.

პირველი რომანის გმირებს კარგა ხანია ჩამოსცილდა, მაგრამ ზოგიერთი მეორეში გადმოჰყა თემშარიდან ტროტუარზე შემობიჯებულს, და სოფლისა და ქალაქის საზღვრების მოშლის მანიაკური იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ, მიუკერძოებლად უნარჩუნებდა თითოეულს საკუთარ ფსიქოლოგიას თუ კოლორიტს.

— იპოვე გმირი? — ეხუმრებოდნენ ამხანაგები, — ახლახან ჩამოიტანეს

ამბავი, ტაშკენტში ყოფილა როკი, დიხამინჯიასთვის ცინკის კუბო შეუკვეთია და დღე დღეზე ელიანო.

ქალაქკომის პირველი მდივნის ხსენება უკვე რამდენადმე მივიწყებულ შემთხვევას წამოატივტივებდა საუბარში.

კვეკვე ანთარიას ჭურიიდან სასტუმრო „ოდიშში“ ჩამობრუნების კვირისთავზე დიხამინჯიას კაბინეტის ფუმფულა კარის ჩარჩოებზე ატყდა ჩაქუჩების ბაგა-ბუგი. დაცვა ფერად ტელევიზორს მიჩოჩებოდა შეფთან ერთად. ყველას ფერი წაუვიდა. ეგონათ ლიმონკებით მოგვივარდა ოდიშელია და აი, ახლა, აი, ახლა ავცურდებით ჰაერშიო. როცა გუგუნი მიწყნარდა და სიმწრის ოფლით შუბლდაცვარულმა ხალხმა თვალებში გვარიანად გამოიხედა, ფეხაკრეფით მიაყურადეს კარებს.

მისაღებიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, მაგრამ გარეთ გასვლას ვერავინ ბედავდა, ვინაიდან ფიქრობდნენ: ასაფეთქებელი ბომბებია ჩალაგებულიო.

საქალაქო და შიდასამსახურებრივი ტელეფონების ამბავი მოყოლილი გვაქვს და სანამ თბილისიდან ადელუას დაუკავშირდებოდნენ, ეს უკანასკნელი კი ბრიგადის ბიჭებით მოფრინდებოდა ქალაქის ბატონ-პატრონთან, ჭამეს კილოგრამობით შიში კაბინეტში გამომწყდეულებმა და როგორც კი მისაღები მუნდირიანების ფეხის ხმამ გამოაცოცხლა, ადელუამ სიცილი ვერ შეიკავა. რა ბომბი, რის ბომბი?! ტყავგადაკრული შავი კარები ოთხი ჯიშიანი ფიცრით აეჭედათ, ისე მკვიდრად და საღიერად, მათი ატყრზიალებისას ძალაყინის მოშველიება გახდა საჭირო. შლემები და ხელსაწყოები სანაგვეში გადაყარა ხუთეულმა. ნიღაბი ორჯერ მეტი იყო კვალის ასაბნევად. სათადარიგო შესასვლელით აიპარნენ სასტუმროში. ალიბისთვის კვეკვე ანთარიას კნეინა საბეჭდ მანქანაზე ურაკუნებდა გახელებით და მთელი ორმოცი წუთი კორექტურული შეცდომებით გაჭედილი წინადადებები გარბოდა თაბახის ფურცელზე. გვიანობამდე დარჩნენ ბიჭები ნომერში, მაგრამ მათი მყუდროება არავის დაურღვევია. კარების აჭედვის ამბავი კი ელვისებურად გავარდა ქალაქში. ატყდა გადაძახილები ფანჯრებიდან. ტელეფონის აპარატებს ისევ მიეცა მორიგი საზრდო.

მომდევნო დღეს კვეკვე ანთარიამ საგანგებოდ მოინახულა ის ფიცრები და ლურსმნები. ანახეს შლემებიც, ჩაქუჩებიც, ხელთათმანებიც. მართალია, თავად დიხამინჯიას არ გასაუბრებია, მაგრამ მომხდარი ფაქტი ზედმიწევნით დააფიქსირა:

— ოდიშის მატიანეს ერთი ბეწოც არ უნდა დააკლდეს, — ბრძანა და უტია თავის გზას. ხოლო როდესაც სკვერში თავმოყრილ ხალხს გაუსწორდა, მისალმება ძლივს დაემთავრებინა, რომ შეჭმუხნული შუბლით განაცხადა:

— ვინმე სანდო ქირურგი ხომ არ გეგულებათ?

— ქირურგის მეტი რაა ზუგდიდში, — უთხრეს აქეთ-იქიდან, — მაგრამ ვისთვის გინდა, სარკოფაგიდან წამომდგარი მუმიისათვის ხომ არა, თუჯის ნაბიჯებით რომ ღებულობს საკუთარი ძეგლების პარადს?

— თქვენ ხუმრობთ და შეიძლება თითი მოსაჭრელი გამიხდეს, — ამბობდა მთელი სერიოზულობით, თან სალოკ, საღ-სალამათ მარცხენა თითს აციკინებდა თვალსაჩინოებისთვის, — დიხამინჯიას კაბინეტის აჭედვისას ისე ვიდღლიზე სიბნელეში ჩაქუჩი, ოპერაცია გარდუვალია, — განაცხადა და ჩაწვა ხალხი სიცილისგან. კვეკვე ანთარიამ კი თავი მწარედ გააქნია, აქაოდა, სიტყვებს თუ არ ენდობით, დაჩეჩქვილ თითს მაინც ეცით პატივიო და გადაკვეთა ქუჩა დაზი ჩიქოვანის კლუბის მიმართულებით.

ასეთი გაუბედავი ნაბიჯებით იწყებდა ბრძოლას იმპერიის ორთავიანი არწივის წინააღმდეგ მოუხელთებელი იანების თაობა. მაგრამ ქართლოსიანთა ღვიძლს შეჩვეული ზევსის ფრინველი არც ისე დაუძლურებული გახლდათ, აღმოსავლეთ-დასავლეთს მიჩერებულს, სამხრეთის პრობლემები გამორჩენოდა □ჩრდილოეთისა ხომ დაკრიალებული ჰქონდა აკვნიდანვე), იმდენი მახე, კაკანათი, ხაფანგი თუ ხუნდი დაეგო კავკასიელი ხალხისთვის თავისუფლების გზაზე ორსაუკუნოვანი ყაშყაშის ჟამს, რომ ბარე ორი უფრთხილესი შთამომავლობა გაიხლართებოდა შიგნით სიმწრის ცრემლის საღვრელად, თუმცა როდესაც ამირანის ბორკილები გვარიანი შეთხელებულია ერთგული ყურშას გამოისობით, დანაღმულ წავარნებზე სიარულს არაფრად დაგიდევდნენ ცოტნეს მემკვიდრენი და ყველაფერი ისე კოწიწდებოდა წვეთწვეთობით, სისხლის ხვრეპაში გაწაფული ნისკარტი სწორედ კავკასიაში დაეწყვილებინა ორთავიან არწივს.

შამილის დროინდელი მართვე როდი გახლდათ იგი. წლების სიმრავლისგან გვარიანად დამძიმებოდა ფრთები და ამ ხნის მანძილზე გამოცდილებაც იმდენი დაგროვებოდა, მძლავრი ჭანგები უკიდურეს წუთამდე არ აემოქმედებინა. ბრჭყალები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიძაბებოდა, როცა მსხვერპლის სამშვიდობოზე გაღწევა უთუო შეიქმნებოდა. მანამდე კი ნელ-ნელა გამოსწევდა კიდურებზე გამობმულ, აბრეშუმის ძაფებისგან დაგრეხილ ბაწრებს და თოკებს.

აი, გული გიფანცქალებს სიხარულისგან რუბიკონის კიდემდე მიღწეულს. კიდევ ერთი ძალისხმევა, კიდევ ერთი ნახტომი და თვითმყოფადობის მარადიულ ოაზისში შეცურდები. დაიძაბები დიახაც სალტომორტალესთვის, მაგრამ ვაგლახ, მარჯვენა უკანა ფეხით ჰაერში გამოეკიდები. ფოლადი გული წინ მიგაქანებს ხის აბჯრიანს, თუმცა საკუთარი სხეული მტრად მოგსდგომია: არც მოსაწყდომად გემეტება, რადგანაც ჰეფესტოს ხვანხვალი სანატრელი გაგიხდება ოლიმპოს მთაზე აღწეულ კიდურმოწყვეტილ ღმერთკაცს.

გული კი ხმაურობს, ბორგავს, ეხეთქება იმ დაგრეხილ თოკებს თუ ბაწრებს და ახლა მეორე კიდურით გასაგნდები ჰაერში, თითქოს მიწაგამოც-

ლილი ანთეოსი ხარ, რომლის დათრგუნვა ორთავიან არწივს კი არა ლეშისთვის დამიზნებულ ყვავსაც არ გაუძნელდება და თუ კიდევ გეყო ჟინი ავბედითი საზღვრისკენ წაწევისა, მარჯვენას მოგასხეპს არსაკიძესავით და მერმეც უდრეკელმა სულმა უკანასკნელადაც თუ იყივლა აზატობის ფასდაუდებელი სახელით, მარცხენასაც წაგგლეჯს მწუხარე სახის რაინდის მეხოტბე საავადრასავით და ვინაიდან ძლევამოსილ ტანზე ტოტები სავსებით შემოგსხეპვია, ლამის ტორსად ქცეული, ოდესღაც სწორუპოვარი შენი ქანდაკება საკუთარ სისხლსა და ცრემლში ამოიხრჩობა.

დაახლოებით ასეთი იყო ორთავიანი არწივის ხრიკები სიმბოლოების ენით თავისუფლებისათვის შობილი კავკასიელი ხალხის მებაირაღე საქართველოში, ხოლო იმ მარჯვენა უკანა კიდურს პროზაულად აფხაზეთი ერქვა.

ენათმეცნიერებისა და ანთროპოლოგიის თაობაზე კვეკვე ანთარიას პროფესიის კაცს ოდიშელიაზე მეტი ცოდნოდა, გასაკვირი არაფერია, ესეც რომ არა, ჩვენი მერომანე ხომ სამურზაყანოელი გახლდათ დედით, ვისი ალიბჭეც აფხაზების ბუხრების გვერდით აფუტებდა სიყრმიდანვე. აფხაზის წალკოტის ტყემლის მტვერს სამურზაყანოელის ბაღის ალუჩისკენ მოაქროლებდა ზენა ქარი. სამურზაყანოელი ღრუბლები აფხაზის ყანებსაც უმწყურვალებდნენ დაშაშრულ ბაგეებს. ღალიძგაც პირობითად საზღვრავდა კვეკვე ანთარიას ორთავიანი არწივის ჰომუნკულუსი ეთნოსისგან, თორემ მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე კი ერთი აფხაზიც არ ცხოვრობდა სოხუმ-ქალაქში დღევანდელი გაგებით და საკუთარი თავისგან გასამიჯნად კედელი რომელ ჭკუათმყოფელს აუგია?!

აფხაზის გაგიჟება თუ გინდა, ნამდვილი სახელი, აფსუა დაუძახე და თავში ხმლის ნაცვლად კეტი თუ მოგხვდა, მადლობა შესწირე უფალს.

მიაგნო თუ არა ამ ჭეშმარიტებას კვეკვე ანთარიამ, დაილაგა წინ ვორონოვების, ტურჩანინოვების, ტატიშევების, დუბროვინების თუ სხვათა ნაშრომები და სიღრმისეულად რომ გააანალიზა მათი შორსმიმავალი მიზნები, თმა ყალყზე დაუდგა.

აფხაზი, რომელიც ისეთივე ქართველია, როგორც — ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული თუ მეგრელი, აფსუათა ჩამოთესვლის შემდეგ, გუგულის კვერცხის მჩეკავი გამხდარიყო ჭინჭის და ბროლის ელვარებას გამოდევნებული უნიათობით, მაგრამ ყოველივე ამას ისეთი ფსევდო-მეცნიერული ფონი შექმნოდა, საკითხში გაუთვითცნობიერებელი, შეიძლება ჩაეფიქრებინე კიდეც.

ორთავიანი არწივის დაგეშილი დოქტორატურა არაფრად დაგიდევდა მეცნიერულ პატიოსნებას და იბერიულ-კავკასიური ენის ოჯახიდან ამოგდებული აფხაზი, სინოტიბეტურ, ენეისეიურ, სუბამერიკულ და აფროაზიურ ეთნოსს გადაამყნო ნახურ-დაღესტნურთან ერთად, რათა მსოფლიოს ხალხთა სათავედ ეგ მხოლოდშობილი ეთნიკური სუბტრატი გაბატონებულიყო. და პლინიუსის რუკაზე ამჟამინდელ ასტრახანსა და დაღესტანს შორის მოქცეული აფსუას ხიზნად იქცა ძირძველი კოლხი მოსახლეობა.

ორთავიან არწივს ერთი თვალი სიხარულისგან რომ უბრწყინავდა, მეორეთი ცრემლს აღვარღვარებდა; მესამეს ოსტატურად კიჟავდა და მეოთხეთი ახალ სივრცეებზე კრავდა ირაოს. და სულ მალე, როსტოკაკა აფსუას აბაზინური ენა, დოგმად მოევლინა აფხაზეთის ბიბლიურ მკვიდრს: უსამშობლო აბაზინელების განაყარი აფსუების აფხაზეთში ჩამოთესლვას ყუბანური მიგრაციის სახელით ნიღბავდნენ ოსტატურად. და მოგვიანებით ბოლშევიკური ფორსირებული მეთოდებით ქართული ტოპონიმი „აფხაზი“ ზღვისა და ქალაქის ტერმინის უქონელი აფსუას სინონიმად დამკვიდრდა.

ასე და ამგვარად, ორთავიანი არწივის ფრთებით მონავარდე აფსუამ ძირისძირამდე შეისრუტა საქართველოს აფხას — მხარის მატერიალური თუ სულიერი განძეულობანი, თვალიც რომ არ შეუხამხამებია, ნიანგის ცრემლს დაუღვრელად.

აბორიგენი აფხაზის აფსუას ჩიჩაყვში გადაშვება უნებურად ეგზიუპერის ნახატს გაგახსენებდათ „პატარა უფლისწულიდან“, ყველა მნახველს ცილინდრი რომ ეგონა, ცეროდენა ხელოვანს კი სპილოგადაყლაპული პითონი წარმოეჩინა თურმე. ჰოდა, სწორედ ამისთანა სახსარში გამობმული ნაცადი თოკი დაუმოკლა ორთავიანმა არწივმა თავისუფლებისკენ წაწეულ საქართველოს.

ოდიშელიასი არ იყოს, ანთარიასაც უამრავი მეგობარი ჰყავდა აბშილეთში, რომელთაგან უმეტესი ქართული წარმოშობისა გახლდათ, მაგრამ იმდენად პარადოქსული — შესაძლოა მკითხველი არც ერწმუნოს: ერთი ძმა მეგრული „ჩელათი“ მიერეკებოდა ნახირს წალენჯიხაში და მეორე — აფსუური „შინანით“ კვიტოულში; მამას „ბიბლიაზე“ ეთვლიმებოდა და შვილს — „ყურანზე“.

მოჭრილად თუ ვიტყვით, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება ორი მუხლმაგარი აფხაზური ოჯახის: აგუმააებისა და ავიძბების ჯალაბის მიმართ მახვილდება, რომელთაგან პირველს კვეკვე ანთარია ძმადნაფიცობდა და მეორეს როკი ოდიშელია ძუძუმტეობდა.

ორთავიანი არწივის უკუღმართი ლაბორატორიული კინტურმანტური ისე დააჩნდა მთელი სიგრძე-სიგანით ამ ორი კომლეულის სულს, განსაზოგადოებლად უკეთესი მაგალითის მოხმობა შეუძლებელიცაა.

სიჭაბუკის წლებიდან იღებდა სათავეს ჯუმა აგუმაასთან მაჯიდან წამოდენილი სისხლითა და გულიდან ამოღებული ფიცით შეკრული ანთარიას გრძნობები. მისი მეგობრის სახელი ხომ ძმას ნიშნავდა მეგრულად, გვარი კი მევენახეობის მფარველი ღვთაების ფორმა-შინაარსს თანხვდებოდა. ესეც რომ არა, ვის მიყრდნობოდა უკეთესს, თუ არა რჩეულთა შორის ურჩეულეს აფხაზს, ავტორს „აბზუსი“ — თავისუფლებისთვის და სამართლიანობისთვის დარახტული მერნისა?!

ორიოდე კვირას დაყოვნდა დიდებულ აფხაზეთში.

აქამდისაც გვითქვამს, ანთარია დედით სამურზაყანოელი რომ გახლდათ, იმ ძირძველი მიწის შვილი, მარადჟამს ქომაგად რომ ედგა აფხაზი და ქართველი კა-

ცის უკულმართ ბედისტრიალს.

მოიკითხა შინ, მეგობრებში, მაგრამ ჩამოქუფრულ ქალაქში რას იპოვიდა?! გუდაუთელი უფროსი ძმისთვის ფეხი მოეკვეთათ. წრფელად შეწუხდა ანთარია. ესტუმრა ოჯახში გულდამძიმებულ მასპინძლებს, დაუნჯებული სახით, ალალმართლად ჰყვებოდნენ მთისას და ბარისას. ხვალინდელი დღის გადარჩენაზე საუბრობდნენ. თავიანთი ბედკრული ხალხების მერმისზე მუსაიფობდნენ. უფრო დიდი უბედურებანი კი კარზე მოსდგომოდათ თურმე, ვინემ „ლიხნის წერილია“ — ვოვა ვეკუას სოხუმი, ძუძუმტეების ღალიძგა, თუ მომავალში მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის სისხლიანი კალო გაგრაში.

პატარაობიდანვე მოწიწებით ზრდიდნენ კვეკვე ანთარიას აფხაზი კაცის მიმართ. პაპისგან თუ დიდედისგან, ვინ იცის, რამდენი ზღაპარი, რამდენი სიბრძნე გაუგონია ამ სისხლით და ხორცით ნათესავ ხალხზე.

ჩვენი მერომანეს ცნობიერებას აკვნიდანვე აპოხიერებდნენ აბრსკილები, სათანხე გვაშანი, ინი ჭკვეტერიები, ჰაკი აძბები, ჰაჯი უსუბები და კაც ზვამბაიები.

— შენი ნუ გაცოდინა და აღარც სხვისთვის მოგესმინოსოო, ასე იწყევლებიან აფხაზები, ბაბაგე, — ეტყოდა ანთარიას ძაკა ოდიშელიას ბადალი შუაკაცი ბაბუა, — ზრდილობის, თავდადების, სამართლიანობის განსახიერებაა აფხაზი, — შთაუნერგავდა იმთავითვე.

განსაკუთრებით კი ერთი ზღაპარი დაახსომდა ეშმაკსა და ახალგაზრდა რძალზე თქმული:

ერთხელ ჯალაბითა და არვე-ნახირით სავსე ოჯახის უფროსს, მაცილი აუჩნდა თვალწინ თურმე დილაუთენია ბაკში გამოსულს.

— ხრონცო, ბერიკაცო, — აგდებით შეესიტყვა მოხუცს ღობეზე ჩამოპლაკული და სარებს ბანჯგვლიანი მკლავებით ჩაფრენილი ავსული, — ამოირჩიე ერთი რამე გულის საწადელი, ქონება იქნება ეს თუ სხვა. დანარჩენს შეელიე, ნაცარტუტად გიქცევ ყველაფერს! — დაექადნა და მრავლისმომსწრე მხცოვანმაც უმცროსების ჩაუკითხავად არჩევანი ვეღარ გაბედა.

— მადროვე, ჩემიანებს დავეთათბირები, — ამ სიტყვით გასცილდა ეშმაკს.

— ჩქარა, ჩქარა, ხრონცო ბერიკაცო! ფეხს ნუ ითრევ, მარტო შენს ასაოხრებლად როდი მოვსულვარ! — მისძახოდა შავ-ბნელი ძალა.

შეფიქრიანებულმა მოხუცმა უკლებლივ შემოიკრიბა შინაურები და დაუფარავად გაუმხილა თავსდატეხილი უბედურება.

იმსჯელეს აფორიაქებულებმა. იდავეს, იკამათეს.

— საქონლის იღბალი დაგვიბედოს, — ბრძანა ზოგმა.

— არა, ჯანის მრთლიანობა სჯობია, ხანგრძლივი სიცოცხლეო, — დაასკვნეს სხვებმა.

რას არ მიედვ-მოედვნენ, ტაროსიან ამინდებს, ფულის მადლს, ყაირათიანობას და ვინ მოსთვლის. ბოლოს, აქამდე კუთხეში ატუზულმა ახალგაზრდა რძალმა, მამაპაპური ადათის მიხედვით ხმის ამოღება რომ ეკრძალე-

ბოდა, ჩაახველა და როცა გაოცებით შემოხედა ყველამ, ერთიანად აყირმიზებულმა ძლივძლივობით წამოიწყო:

— მამავ, ბატონო, თუ შეიძლება მეც ვიტყვი ერთს.

ასეთი საბედისწერო წუთი რომ არა, ისროდნენ კარში კინწისკვრით, როგორც თავკერძას, გაუზრდელს, წმიდათა წმიდა ტრადიციის შემბღალავს, მაგრამ მამამთილმა ლმობიერად დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად.

— ერთმანეთის დაყოლის ნიჭი გვიბოძოს, მამავ, ბატონო, იმ წყეულმა! — დაიჩურჩულა რძალმა და კვლავ გასაგნდა.

— ხრონცო, ბერიკაცო, — მოჰყვა ხელების ფშვნეტას მოხუცის გამოჩენით შეფუცხუნებული ეშმაკი, — მოიფიქრეთ ბოლოს და ბოლოს?! აბა, ჩქარა ამოშაქრე! მარტო შენს ასაოხრებლად როდი მოვსულვარ!

— ბევრს არაფერს ვითხოვთ ჩვენ, — ქისა და ყალიონი დააძრო ოჯახის უფროსმა, — ერთმანეთის დაყოლის ნიჭი გვიბოძე მხოლოდ.

შეტოკდა თხისჩლიქებიანი ბელზებელი. თვალები გადმოეკარკლა. ღრანჭი მოექცა. დორბლმა დაუფარა მყრალი ლაშები.

— ჰაიტ, ხრონცო, ბერიკაცო, ერთმანეთის დაყოლის ნიჭს თუ მოგაშავებთ, მერე მე რისი დამკლები ვარ? — გამოსცრა გამოხრულ კბილებში და კოჭლობ-კოჭლობით დაუყვა ორღობეებს მორიგი საკბილოს საძებრად.

ვერავინ იტყვის რატომ გაახსენდა მაინცდამაინც ყმაწვილობის ჟამს მოსმენილი ეს მომხიბვლელი ზღაპარი კვეკვე ანთარიას, ან რატომ მოჰყვა იგი დაღვრემილ ჯალაბში.

— ეს ყველაფერი უთუოდ გვენიშნება, ჯიმაგე, — განაგრძო საუბარი კვეკვე ანთარიამ ძმადნაფიცის მისამართით, — რადგანაც ურთიერთდაყოლაზე უკეთესი ჯილდო ჯერეთ ვერაფერი მოუსაზრებია განგებას, არათუ სისხლით და ტომით ახლობელი, არამედ სრულიად განსხვავებული ზნე-ჩვეულებისა და სარწმუნოების ადამიანების შესაკავშირებლად. თუმცა როგორც ჩანს, ის გონებანათელი რძალი ვერანაირად შემოვიყვანეთ ოდესღაც ბელელსავსე ჩვენს ძმურ ოჯახში და მესამე ძალა, ცხრაასჯერ ბასრი ჭანგი და ნისკარტი რომ მოუმადლებია უკუღმართ ყისმათს იმ ბერიკაცს შემოჩენილ ეშმაკთან შედარებით, მუსრი გაგვავლო თვალსა და ხელს შუა.

ცამეტი წლის უკან ბაკურიანში გამართული ახალგაზრდა შემოქმედთა სიმპოზიუმი გაახსენდა კვეკვე ანთარიას.

ჯუმა იქ გაიცნო პირველად. თვითონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დაუსწრებელი ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი „ბაბუა“ გახლდათ, აგუმაა კი — უკვე საკმაოდ აღიარებული მწერალი, მაგრამ ორივე ერთი მიწა-წყლის შვილი, მზიური აფხაზეთის მოდგმა.

ძმადნაფიცობას მათსას სანოტარო კანტორების დასტურ-ლამალი არ დასჭირვებია, აღარც ეგზოტიკური ფიცვერცხლის ჭამა. თავისთავად, ძალდაუტანებლად მოხდა ყოველივე. კვეკვე ანთარიას ეს თვითნაბადი დაძმობილება ყოველთვის ნათლის სვეტივით მიუძღოდა აფხაზეთისკენ დაძრულს, მაგ-

რამ ახლა, ერთი დიალოგი მოაგონდა, რომელიც სხვანაირ ელფერს სძენდა დღევანდელ ვითარებას.

საქმე ის გახლდათ, რომ იმ სიმპოზიუმს ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მაშინ კვეკვე ანთარიასთვის ზოგადად — ლეკები და დაღესტნელები, თუმცა მერე და მერე შეიტყო, ხალხური ხალასი ინდივიდუალიზმითა და სიბრძნით ცხებული უამრავი თვითმყოფადი ტომი ცხოვრობდა თურმე იქ. მერომანე ჩვენი მაშინ აგუმაას პოლიგოტობამ გააოცა ფრიად. უკვირდა მისიანი აფხაზი როგორ გაესაუბრა სათითაოდ გადამთიელებს და უფროსი ძმადნაფიცის განცვიფრება რომ გაეფანტა, ჯუმამ ღიმილით მიუგო:

— ჩვენ ხომ ერთნი ვართ!

მართალი ითქვას, რაღაცნაირად სული მოეწიწკნა კვეკვე ანთარიას, რადგანც იოტისოდენად არ ემეტებოდა სხვისთვის, ვინაიდან თანშეზრდილივით მიაჩნდა ათადან და ბაბადან, დედულეთი სამურზაყანოს, საკუთარი საქართველოს უშფოთველი ძილის ყურისმიმგდებელი, მისი ჯუმა აგუმაა.

მას აქეთ მრავალი ხანი გამოხდა. ისინი არაერთგზის შეხვედრიან ერთმანეთს სოხუმსა თუ რუხში, რედაქციებსა თუ მარულაზე. შეიყრებოდნენ ოდიშის კურთხეულ მიწაზე, წამორეკავდნენ დარახტულ აბზუებს და ყურდაცქვეტილ სინიბებს; მეგობრობის ყბადაღებული ტრანსპარატნებით ააჭრელებდნენ იქაურობას; ციცერონისებურ ცეცხლს შეუნთებდნენ მიკროფონებს; შემუსრავდნენ ხონჩით და ბარქაშით მორთმეულს, მკერდში მჯიღისცემითა და კოცნა-პროშნით დასცილდებოდნენ ერთურთს და წლისთავამდე ძლის ჰ ყოფნიდათ გაბუქებული ფიცის მადლი და სითბო.

შარშან შემოდგომაზე იყო. კახათელების ფარეხში, მამა-პაპურ ოდასახლში საკუთარ თავთან განმარტოებულ კვეკვე ანთარიას, აფხაზების ნაღები საზოგადოება ეწვია. განუმეორებელი ჯოტო გუგუჩია წამოძღოლოდა მათ სტუმარი მწერლისკენ. რა დაავიწყებდა იმ საღამოს. მღეროდნენ შეწყობილად ერთი ჩანგივით მომართულები. კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ და თარჯიმანი არ სჭირდებოდათ.

— მორჩები თუ არა რომანს, აფხაზურად ავაჟღერებო, — ჰპირდებოდა ძმადნაფიცი.

დრო კი რბოდა. ის მესამე ძალა, მხცოვან აფხაზს ეშმაკის სახით რომ გამოეცხადა გამთენიისას, არ ცხრებოდა, ახალ-ახალ კაკანათს უხვანჯავდა ორივეს, ბალღამს აწვეთებდა სულებში, უხსენებელივით დასისინებდა გამუდმებით.

მიზეზს რა გამოულევს ჩასაფრებულ კაცს.

„ლიხნის წერილის“ საპასუხოდ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრები მთავრობათა სასახლის კიბეებზე დასხდნენ პროტესტის ნიშნად, რათა ერთხელ მაინც გამოქომაგებოდა ხელისუფლება უმრავლესობა ქართული მოსახლეობის აფხაზთაგან ფეხით გათელილ უფლებებს — აფხაზურ უნი-

ვერსიტეტში, აფხაზურ თეატრში, აფხაზურ მწერალთა კავშირში კოლხნი თუ ივერნი ჯორაკიდებულ აქლემებს დაემსგავსნენ. ნაღდაფხაზები, ქართლოსიანები ჯიშ-ჯილაგით იქამდე შევიწროვებულიყვნენ თვითმარქვია აფხაზთაგან — აფსუებისგან, ხსენებულ დაწესებულებებსა თუ სხვაგან, არ დაედგომებოდათ უკვე, ერთადერთი საბაბის — ქართველობის გამო. ქართი, იგივე თბილისი მათებურად, ქართველი ზოგადად, რაღაც უსაშველოდ აუტანელს გაუიგივეს მათს წარმოდგენაში ორთავიანი არწივის განუწყვეტელი წასისინებისა და მოშხამვების წყალობით.

აკი, ამბობდა კიდეც დაუფარავად სტალინის დაუძინებელი ოპონენტი ნიკიტა:

— აბხაზოვ ნატრავლიუ ნა გრუზინოვ!*

მოწამლეს და მერე როგორ, სრულიად დედამიწის რეანიმაციათა წვეთოვანები ვერ გაფილტრავდა მათ სისხლს ამ სამსალისგან.

— მეშინია ეს კინკლაობანი წყეულ ომში არ გადაიზარდოს, ჯიმაგე, — ეუბნებოდა ანთარია ჯუმა აგუმაას, — ომი კი ომია თავისი უმკაცრესი კანონებით. გულზე ხელებს დაუკრეფს იგი მრავალ თოფიანს თუ უთოფოს აქეთაც და იქითაც. სისხლი მეყინება ძარღვებში ორთავიანი არწივის ანკესებზე წამოგებული ჩვენი მრევლის პერსპექტივების შემხედვარეს. ლამის თავისქალა ამეხადოს ჩვენი დოყლაპიობით. ნუთუ ვერ გაგვიცნობიერებია ის საშინელებანი, რომელიც კარზე მოგვსდგომია?

გაოცებული ვარ, ჯიმაგე, როგორ ეთანაწყობა ალტრუისტი ქრისტიანი აფხაზის სული კაცთმოძულე ისლამის კლანჭებს?!

რელიგია ყველა პატივსაცემია თუ იგი ჰუმანურია თავისი არსით. აქ ჰ ეგელის აპოლოგია არ უპირისპირდება მუჰამედის სჯულს, მაგრამ როგორი ადამიანური განზომილებით გინდა გაამართლო შუასაუკუნეობრივი სიბნელე და სიბეცე გონებისა, როცა ქრისტიანის მოკვდინებისთვის სამოთხის კარიბჭეებს გპირდება მის ზედმიწევნით აღმსრულებელს ,,ყურანის'' სურა?!

ტაშტზე დასხმული ცხელი წყალი ცივით განაზავა ხმელ-ხმელმა მანდილოსანმა. დაუდგა წინ სკამზე მოკალათებულს. კვეკვე ანთარიამ ჩინებულად უწყის, უკადრისობა აქ არ გამოვა, ძმადნაფიცობის მადლს ჩრდილი წაეპარება. მთელმა ქვეყნიერებამ რომ ამოხოცოს ერთმანეთი და მარტო ჰექტორი და აქილევსი შერიგდნენ, სამყარო გადარჩენილია.

რძალმა შარვლის ტოტები აუკეცა სტუმარს. ჯორკოთი მიუჯდა მის ფეხებს და აღვარწკალებს ზომიერად განელებული წყლით. ტუჩები უთრთის მერომანეს. შეიძლება კი სამზეოში არსებობდეს მეორე ერი, რომელიც ასე აფასებდეს სტუმარ-მასპინძლობის ადათს?! ამ დროს კი ორთავიანი არწივი მოკიჟული თვალებით ყაშყაშებს ჩრდილოეთიდან, თითქოს უფრო საშინელება მოუსაზრებია მის შუაზე გახლეჩილ გონებასო.

— კონფედერაცია არაფერს დაერიდება, ჯიმაგე, თავისი მიზნების განსახორციელებლად. მისი ნებისმიერი საქმიანობა სანქცირებულია ახლა ორ-

თავიანი არწივისაგან, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ბრჭყალებით გადაფატრავს მთიელთა ილუზიურ ზრახვებს ზღვისპირეთისკენ გასასვლელი დერეფნის ძიების გზაზე. შამილისა და შეიხ-მანსურის საუკუნოვანი ოცნებანი ორთავიან არწივს იოტისოდენადაც არ ეპიტნავება. მეტი სადარდებელი არ აქვს კონფედერატორთა კეთილდღეობისთვის ზრუნავდეს. შეგვაკლავს ერთმანეთს აფხაზ-ქართველობას და ისე მოგვიმწყდევს ჭანგებში, ძველი დრო გვენატრებოდეს. ახლა კონფედერაცია დაბრმავებულია შავ ზღვაზე გასავლელით მონათლული სახრავი ძვლისგან, ამიტომ არაფერს დაერიდება აღთქმულ სივრცეში ფანჯრის გასაჭრელად. მათი დაქირავებული ჯარისკაცები თვალს დაუხუჭავენ ყოველგვარ ადამიანურ გრძნობას. თავებს გადაბალთავენ ჩვენს დებსა და დედებს. პეშვით შეხვრეპენ ჩვენს სისხლს და ეს ცოდვა საშვილიშვილოდ თქვენს სინდისზე დარჩება, ჯიმაგე.

ჩრდილოეთკავკასიის ხალხთა კონფედერაცია მთების ალყაში მომწყდეულ მდინარესავით ბორგავს ახლა. სამაჩაბლოს გავლით კასპიის ზღვისკენ შარების გამოგნება რადგანაც ჩაეფუშა, ისევ აფხაზეთის მეურვეობას ჩაებღაუჭა. აფხაზი ხალხის ინტერესების დაცვას ამოფარებული აფხაზური პასპორტებითა და ბოხოხებით მოხოხავს ჯერ ჩვენი, ქართველების იავარსაქნელად, მერე — თავად თქვენი, აფხაზების დასანთქავად. აფხაზი ერის მისიაც იქნებ ეგ იყოს, ჯიმაგე, იმ შორეული წლებიდან, იმ ჩამოვაკებიდან მოყოლებული სალამანდრასავით საკუთარი მეობა ანაცვალოს პანისლამიზმის ლავასავით გასრიალებას კავკასიონის გასწვრივ. ჩვენ უნდა მივყვეთ დიდ ილიას, რომელიც კავკასიის მთელ მოსახლეობას ერთ ცივილიზაციად აღიქვამდა და არა ტურჩანინოვ-ვორონოვების შოვინისტურ ჩმახებს; თითქოს ძველი წელთააღრიცხვის მეორე ათასწლეულში აფხაზთა იმპერია მოიცავდა აზოვის ზღვიდან ანატოლიამდე გაჭიმულ სივრცეს, რომ ანბანური დამწერლობა ფინიკიელების კი არა, აფხაზი ტყვეების წყალობაა. გურჯიევებისა და მისთანათა მიერ ამგვარი თეორიებით აღჭურვილ ჰიტლერს რა ბედიც ეწია, უცხო არ არის შენთვის. კავკასიის პრობლემების მოგვარება ქართველების იგნორირების გზით არ გამოვა. ჩვენ ზვიადაურის სადისტური წამებისთვის თუ ვჭირდებით მხოლოდ, ბარაქალა მათ ქაჯურ ღრეობას. ნუთუ მსოფლიო რელიგიური ანგარიშსწორების უფსკრულამდეა მისული?

— ჩიტსაც აქვს თავისი ბუდე, — თქვა უცებ ჯუმა აგუმაამ, — ბაიაზე დამთავრებული ყოველი ქართული გვარი: ეზუგბაია, ყოლბაია, ქეცბაია, ლაკერბაია და კიდევ ვინ იცის, რამდენი, აფხაზური წარმოშობისაა ძალად გაქართველების შემწეობით. ამიტომაც გამართლებულად მიმაჩნია დებულება: უმჯობესია დაიხრჩო ოკეანეში, ვინემ — მდინარეში. გაიგე?! გასაგებია?!

— მაშინ წერეთლების აფხაზობა ვინა სთქვა, ,,გამზრდელი'' რომ დაწერა მისმა დიდმა წინაპარმა და ჰაჯი უსუბის დიდსულოვნებას ხოტბა შეასხა, იმიტომ? მეგრელების მასობრივ გააფხაზებას გააფსუებული შარაშია-

ანჩბეიების მიერ თურქეთში გაყიდვამ და ფიზიკურად განადგურებამაც შეუწყო ხელი. მოგვიანებით აფსუათათვის მოგონილმა გაუგონარმა პრივილეგიებმაც უფრო დააჩქარა ეს პროცესი. აფხაზი მეფის რუსეთის ჯარში რომ არ მიჰყავდათ, დღეს ერთი ძმა ქართველია და მეორე — აფსუა, მაგრამ მთავარზე მთავარი ისაა, ჯიმაგე, წყალნი წავლენ — წამოვლენ და ქართველები და აფხაზები კვლავაც გვერდიგვერდ იცხოვრებენ, როგორც სიკეთისა და მშვიდობის დამამკვიდრებლები; და ვერც იმას ვირწმუნებ, ძმადშეფიცულო, ჩემო, ჯუმა, რომ ღმერთმა ნუ ქნას და ოდესმე თუ მოხდა, ქართველი ქალვაჟების ანგარიშსწორებას თვალს დაუხუჭავ; რომ მწერლის მოვალეობისამებრ ადამიანობის სადარაჯოზე არ დადგები ჩვეულებისამებრ.

არა, იარაღით არ მოვალ შენსას. არა, არ აგესვეტები ყინჩად, ჯიმაგე, კითხვიან მზერას მოგაპყრობ მხოლოდ და თუ მოიძებნა სადმე დანა ჩემს ყელში გასაყრელად, მიუხედავად დიდი ხათრისა, ვეღარაფრით შევეწირები დარლას. წუთისოფლით ისედაც ნაგვემი ჩემი სული ვერაფრით უზიდავს შეშას და წყალს მის პერსონას საიქიოში!

ისეთი განწყობილებით დაბრუნდა კვეკვე ანთარია აფხაზეთიდან, დანა პირს არ უხსნიდა. კვირაზე მეტი დაჰყო დედულეთში და რომანის გმირებს ჩამორჩენილი მთელი ექვსი დღე არ გამოჩენილა ჭადრების ხეივანში, დაზი ჩიქოვანის კლუბში. თან ჭირვეული მარტიც კუდს იქნევდა. ხან თოვლგარეული ჟგლეთი წამოვიდოდა ციდან, ხანაც სუსხიანი ზღვაური დაუბერავდა; წვრილად წამოწვიმდა მაშინ, სულიერს თუ უსულოს კერიისკენ მიასწრაფებდა, მაგრამ გადავიდა თუ არა ესხირი და თებერვალმა როგორც კი დაიბრუნა თავქარიან შულერს ჩასესხებული დღეები, მზემ თვალში გამოიხედა. ჭადრების ხეივანს ისევ მოუმრავლდა მრევლი. კვეკვე ანთარიას მობეზრდა საშა ეგუტიას ნაჩუქარი „ერიკას“ რაკუნი და ჩვეული იუმორით გაერია ხალხში.

— გმირი ვიპოვე, ხალხო, — ამბობდა შთაგონებულის იერით, — ორი ორმოცდათორმეტი ორმოცდასამია? ელაპარაკე მოსკოვსო, მეუბნება ლილი მორიგე. კი გამიკვირდა ცოტათი, რადგანაც დიხამინჯიასი არ იყოს, საქალაქთაშორისო ზარით აქამდე არავის შევეწუხებინე; თანაც ხუმრობ, მოსკოვიდან, მაგრამ ყურმილში დაბოხებული ხმა მომესმა თუ არა, სიხარულისგან ვიყვირე: პანტერა, შენა ხარ დაკარგულო? საიდან მელაპარაკები-მეთქი.

მოსკოვიდანო, მითხრა იმან. ჩემები როგორ არიანო: მამა, ბიჭი, დედა, მარინა, ძმები.

ხმას აუწიე, მშვიდობით-მეთქი.

მადლობა უფალსო. მე არა მიშავს, დღე-დღეზე ჩამოსვლას ვაპირებო. გამოზაფხულებას ვუცდი, ახალი „ოცდაოთხით“ მოვდივარ და იმიტომო. ძმაკაცების ჯავრი ამოვიყარე, ისე რომ არენაზე არც კი გამოვჩენილვარო.

მივხვდი ვასია ზატოჩნიკსა და ვალერი გლატკოვზე მელაპარაკებოდა.

აქაური გაზეთები მოწამლულია ანტიქართული სულისკვეთებითო, —

კვეკვე ანთარიამ სიგარეტი ითხოვა და რამდენიმე ახალგაზრდამ ერთდროულად მიაწოდა კოლოფი. პირველად ხდებოდა რომანის ფურცლებიდან გადმოსულ მის განწყობილებას ქოქოლას რომ არ აყრიდნენ, — დიდი და პატარა, წვრილფეხობა თუ მთლად ვეშაპნი პატარა იმპერიისგან, ესე იგი ჩვენგან, ქართველებისგან, დაჩაგრული აფხაზების ქომაგობაშიაო. ნუ აურევთ იქ ჩემს მოსვლამდე, ახლა თქვენიც მითხარიო. დიხამინჯია კიდევ კაბინეტშია ჩაკეტილი თუ ბოგინობს კვლავაცო.

კაბინეტის კარები ავუჭედე, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხს, ფანჯრიდან აწვდიან საჭმელს სახანძრო მანქანით, გარშოკს კი იქიდან ცლის პირდაპირ, როცა შუაღამე გადავა და ძაღლების ღრიანცელი მოხშირდება მოედანზე-მეთქი.

აქამდე სულგანაბულმა მსმენელებმა სიცილი ვერ შეიკავეს. ბოლოს სტაცეს ხელი და ოდიშელიებისკენ გააქანეს მონჯღრეული „ჟიგულით“. კი ითრევდა ფეხს გვარიანად კვეკვე ანთარია, მაგრამ ოდიშელი ოთხი ჯეელი რომ დაგეჯაჯგურება, მერომანე კი არა, პროლეტარიატის ბელადის ძეგლიც რომ იყო, იმასაც დაგძრავენ ადგილიდან.

შვილის ამბის გაგონებამ ლოგინზე წამოაჯინა ნემსებით ძლივს მობრუნებული ვალერიანი.

გუგუნებდა ბუხარი. სახელდახელო სუფრა მიაჩოჩეს ავადმყოფთან. გააკვირვა შინაურები დამბლაჩაქროლილი კალატოზის დაუჯერებელმა გარდასახვამ. ორი სასწრაფო გამოეძახებინათ. ორასამდე ავარდნილი წნევა უცებ ჩადგა კალაპოტში. მარინამ ღიმილით მოაშორა სამკლავური, დახურა აპარატი და თავისქნევით განაცხადა:

— როგორც ჩანს ჩვენი წნევის მიზეზი სხვა რაღაცა ყოფილა.

რა გახლდათ ეს „სხვა რაღაცა“, არ დაუკონკრეტებია და არც ვინმე გამოდევნებია, რადგანაც მიმხვედრისთვის ისედაც ნათელი იყო ყველაფერი.

წვრილად გამოკითხა ვალერიანმა შვილის ამბავი მერომანეს ჩვენსას.

ტყუილის მთქმელს დიდი მახსოვრობა უნდა ჰქონდესოო, იტყვიან და კომპიუტერისთვის შესაშური ხსომიერებით გამორჩეული კვეკვე ანთარიაც სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ჭადრების ხეივანში ბიჭებისთვის გამხელილს. ხორცსავსედ მონაყოლმა იქამდე გაახარა და გაათამამა ოჯახის უფროსი, ერთი ჭიქა წუწელე ადესაც კი დალია. შვილიშვილი გვერდით ეჯდა ბაბუას. პირველად იმას მოაყლუპვინა სასმისიდან.

— შენ გაიხარე, — ლოცავდა კვეკვე ანთარიას, — არ გამოვიხედე კაცო, თვალებში?! ქალო, მომიტანე ტანსაცმელი! — გასძახა ჟენიას, მაგრამ ცოლმა ისე დატუქსა ქმარი, „გაფიფინებულმა ყაზაყმაც“ იკადრა ლოგინში შეძვრომა. ბალიშებით თავამომაღლებული ხარობდა ახლების დაუსრულებელი კამათით, განსაკუთრებით კი ის აღავსებდა სიამაყით, რომ საუბრის ღერძი მისი შუალა ბიჭი იყო დაუსწრებლად.

— აფხაზი რისი მაქნისია რუსი რომ არ ედგეს ზურგს უკან, — თქვა

ერთ-ერთი პაუზის დროს ვალერიანმა, — გადარეულები არიან ახლა. ადრე მსოფლიოს რომ აზანზარებდნენ, სად არის ის ჯანი და ღონე? წინათ ერთი დარტყმით ხარ-კამეჩს ვაქცევდი მეც, მაგრამ დღეს ნიკაც გადმომაგდებს ლოგინიდან, — მტკივანი ხელი ცახცახით წაიღო შვილიშვილის შავი, სრიალა თმისკენ, — გამწარებული ნადირის უნდა გეშინოდეთ შვილებო! დიდი სიფრთხილეა საჭირო. ნეტავ მალე დაბრუნდებოდეს და არაფერს ვჩივი მერე. ახლა დიხამინჯიებს მაგის სადევრად სად სცალიათ, საკუთარი ტყავის გადარჩენისთვის ზრუნავენ. ასეა, ჩასაძირი ხომალდიდან პირველად ვირთხები გარბიან. დიდი ჭკუის გამო როდი მოსდით ეგ. თავდაპირველად მათი სამყოფელი ივსება წყლით და იმიტომ. ვერავინ დავემსგავსეთ ცხონებულ მამაჩემს, ვერც ჩემი ძმები, ვერც მე, ვერც ჩემი შვილები. იქნებ ამ პატარამ გამოასწოროს კოლექტიური შეცდომა, დანაშაული თუ ცოდვა. ნასწავლი არც ის იყო, მაგრამ აგურზე დადებული აგურივით ჭედდა სიტყვას. ამაყი კაცი მხოლოდ ერთი კუთხით აფასებს ცხოვრებას.

არიქა, არავინ შემეხოს, არავინ დამჩაგროსო და ყოველთვის ზედმეტად მუშტშემართულია, მაგრამ უფრო დიდი ტვირთი თავმდაბლობა ყოფილა. რაც მაგას მუხლი მოუყრია ერთმანეთს სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკიდებული ხალხის შესარიგებლად, მთელს ოდიშს ეყოფა საბოდიშოდ ორი საუკუნე, — გაიცინეს რითმასავით რომ გამოუვიდა ვალერიანს, — როგორი საქმეა, ოჯახს ოჯახის ხელი მართებს. მართალია, მსხვერპლი არ ყოფილა აქეთ-იქით, მაგრამ რომელიღაცა ამ ორში განსაკუთრებითაა დაზარალებული. მომენტს უცდის როდის ამოიყრის ჯავრს. ჰოდა, ამისთანა შემთხვევაში, ცხრამეტ ასაკმოყრილ შემრიგებელს წინ მოუძღვის ძაკა ოდიშელია, ფიცარივით თხელი, ქათქათა წვერით. დინჯად მიემართებიან მოვალეობის გულისთვის შემოგებებული მასპინძლებისკენ. ოცი დადგომილი ადამიანის მომდურებაც როგორ იქნება. არადა, იცის, სიჯიუტე წყალშია ჩაყრილი, შერჩა ვიღაცას ოჯახის ხელი, თუმცა იხტიბარს არ იტეხს, ეს წუთია და უცებ, გეკიპუროსკეს, ოცივე მუხლზე დაეშვება, მერედა ვის წინაშე?! ძაკა ოდიშელიას ფეხის ნაბან წყალზე რომ არ ღირს, მაგრამ სოფელში სიმშვიდე რომ სუფევდეს, ამისთანებს არად დაგიდევთ.

დამჩოქებელი ვიყავი მე, გინდა მთელს ზუგდიდს დაეხოცა ერთმანეთი?! შენ გაიხარე, შვილო! მოვლა-პატრონობა აქამდეც არ მაკლდა საფიცარი რძლისგან, მაგრამ სასიხარულო ამბავმა ხომ ხედავთ, რა მალე გამართა წელში თურმანიძეების ასული?!

ამის თქმა და მარინაც შემოვიდა ლანგრით ხელში, რომელზეც ქმრის წვერსაპარსი მოწყობილობა დაეწყო, შემოვიდა და გაეცინა ყველას.

მაგიდა თავის ადგილს დაუბრუნეს. სუფრას ამრგვალებდნენ, მაგრამ იქამდე მაინც არ წასულან, გვარიანი ხნით მოუპარსავი წვერიდან სანამ მთვა-

რესავით არ გამოანათა ვალერიან ოდიშელიამ.

იმ დღიდან მოყოლებული კვეკვე ანთარიას კვირაში ერთხელ უთუოდ დაურეკავდა როკი და დედაქალაქში დატრიალებული უბედურება რომ არა, ვარდ-ქუჩუჩებით მობრძანებულ აპრილს ძაკას მეშვიდე შვილი შესაძლოა ფეხზეწამომდგარიც შეხვედროდა, მაგრამ მთავრობის სასახლესთან მომხდარმა ტრაგედიამ ავადმყოფს დამბლა გაუმეორა და აკანკალებული მარჯვენა ხელფეხი მთლად წაართვა.

ოდიშელიებმა სასტუმროში მიაკითხეს კვეკვე ანთარიას: იქნებ როკის მამის გართულებული მდგომარეობა რამენაირად მიაწვდინოსო, მაგრამ ჩვენი მერომანე დედაქალაქში გადაბარგებულიყო; ან ვის მოუთმენდა გული შორიდან ეთვალთვალა საბედისწერო მოვლენებისთვის?!

აფხაზების „ლიხნის წერილის“ საწინააღმდეგოდ ჯერ თავად სოხუმში იმართებოდა მიტინგები. ადგილზე გმობდნენ აფსუა სეპარატისტების დამღუპველ პოლიტიკას. გუდაუთის ექსტრემისტული ფრთა აფხაზეთისა „აიდგილარას“ შოვინისტური ლოზუნგებით საჯაროდ შიშვლდებოდა მრავალათასიან საპროტესტო აქციებზე. ეს სულისკვეთება ოდიშის ახალგაზრდობასაც გადმოედო და ფაიფურის ქარხნის ეზოსა თუ ქალაქის ცენტრში, ილია ჭავჭავაძის ბიუსტის სიახლოვეს იწყო დაგუბებულმა სიტყვამ გულიდან ამონთხევა.

აპრილის დამდეგს მთელი საქართველო მოიცვა აფხაზეთიდან მოსალოდნელმა საშიშროებამ. ოფიციალურ მთავრობას ულტიმატუმს წარუყენებდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები. საქმე ის გახლდათ, რომ უსაფრთხოების მიზნით აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას ჯაფაც კი არ შეარჩინეს ჯიბეში სამართალდამცავმა ორგანოებმა მსხლის გასათლელად, როცა აფსუა სეპარატისტების განიარაღებისთვის არავის უზრუნვია.

ოფიციალური ხელისუფლება ადრინდელივით მშვიდობიანად აპირებდა კარზემომდგარი კონფლიქტის მოგვარებას, მაგრამ დაუსრულებელი დათმობებით გათამამებული აფხაზების ჭირვეულობას საზღვარი არ ჰქონდა. მათი ლიდერები საკავშირო პრესითა და ტელევიზიით დაურიდლად ამჟღავნებდნენ თავიანთ ზრახვებს: რომ აფხაზ ხალხს არ სურდა საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა და გადაჭრით მოითხოვდნენ რუსეთთან შეერთებას. „ოკუპანტ ქართველებს“ ურჩევდნენ დროზე გასულიყვნენ საუკუნობით დაპყრობილი ტერიტორიიდან. ამისთანა ვითარებაში გულზე ხელების დაკრეფვა სირაქლემას პოზაზე უარესი იყო ეროვნული მოძრაობის ლიდერებისთვის და ზუსტად ხუთ აპრილს, გასული წლის ნოემბრის აქციებით გულმოცემულმა ქალ-ვაჟებმა მთავრობათა სასახლის კიბეებზე რომ მოიკალათეს, რაღაც ავის მოლოდინში მთელი საქართველო გაირინდა.

კვეკვე ანთარიაც სწორედ იმ დღეს გაემგზავრა დედაქალაქში ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად.

ჩვენი მერომანეს ცხოვრების პირველ ნახევარზე აქამდეც გვარიანად

გვითქვამს. სკოლაში საერთოდ არ უვლია. სიჭაბუკისას სისხლი ერთხელ არ გამოუდენია ცხვირიდან. უნივერსიტეტის წლებში აკრძალული ლიტერატურა სანთლის შუქზე უკითხავს. მისი პოლიტიკური პლატფორმა ზოგადი მცნებით — სიკეთით ამოიწურებოდა, ამიტომაც გასაკვირი არ არის, კვეკვე ანთარიას მრავლად ჰყოლოდა მეგობარი, როგორც ოფიციალურ ხელისუფლები, ისე — ათას პარტიად დაშლილ ეროვნულ მოძრაობაშიც.

ყველას ქრისტეს საზომით მიუზღავდა. ვასაკას და უხსენებელს თანაბარ პატივს მიაგებდა, როგორც სამყაროს შემადგენელ ნაწილებს. უარყოფითს და დადებითს არსებობის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა და, ალბათ, ესეც გახლდათ მთავარი მიზეზი მისი ორჭოფული სიჭარმაგისა.

თითოეული პარტიის პროგრამისთვის ჰქონდა თვალი გადანავლები. აღიმილებდა მათი მოუნელებელი მსგავსებანი. ნაწვიმარ ტყეში სოკოებივით აღმოცენებულ დაჯგუფებათა ლიდერებს ზოგს ხელის ჩამორთმევით იცნობდა, ზოგსაც — პირზე კოცნით, მაგრამ თავად ყოველთვის გაურბოდა შემოთავაზებულ წინადადებებს: მწერლისთვის ამა თუ იმ პლატფორმაზე დადგომას მომაკვდინებლად მიიჩნევდა და დელიკატურად ჩამოიცილებდა ახალგამომცხვარი პარტიის თავფშუტა მესვეურს.

მოვლენებში ჩაურევლად ასახულ ტოლსტოისეულ სინამდვილეს იზიარებდა, რუსული რევოლუციის სარკეს რომ უწოდებდნენ და ქვეტექსტით კილავდნენ კიდეც მიუმხრობლობის გამო სოციალიზმის ცეცხლფარეშნი.

მეუღლე ჩინებული გამოადგა კვეკვე ანთარიას. ჯერაც სტუდენტი დადუ ქობალია, ორსულობის მიუხედავად ყველაფერს ასწრებდა: ნაქირავები ბინის დალაგებასაც, საჭმლის გამზადებასაც, გარეცხვა-გაუთავებასაც, მეცადინეობასაც, მერომანეს ჯოჯოხეთური ხელნაწერების კარნახსაც, ილონას გაკვეთილებისგან მოზღუდვასაც.

ოდაბადელი ქალიშვილი სამი წლის წინ სწორედ კვეკვე ანთარიას რეკომენდაციით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მშობლები ყურადღებას არ აკლებდნენ თავიანთი გულჩათხრობილი ასულის მეურვეს, მაგრამ მალე დედა გარდაეცვალა და კვეკვე ანთარიასაც დიდხანს არ უყოყმანია; წლისთავამდე გვარიანად ადრე ხელი მოაწერეს მმაჩის უკაცრიელ განყოფილებაში და ნათესავები უშნოდ აალაპარაკეს აქეთიქით, თუმცა მთავარი ის გახლდათ, ნაოდაბადელი დადუს ღმერთად შეერაცხა თანამეცხედრე და მისი შემოქმედებითი გარემოსთვის თავზე წისქვილის ბორბალს იტრიალებდა.

ყოველდღიურად დადიოდნენ მოშიმშილეებთან, რომელიც თანდათან მასშტაბურ ხასიათს იძენდა. ლიდერები მეგაფონებით მოუწოდებდნენ ხალხს ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ. ტრანსპარანტები მოუსავლეთში აქვესკნელებდნენ ორთავიანი არწივის სახსენებელს. უნდობლობას უცხადებდნენ

მარიონეტულ მთავრობას, რომელიც ჯიუტად ადგა ქედმაღლურ გზას და მომიტინგეებთან ჩამობრძანებას უკადრისობდა.

რუსთაველის პროსპექტზე ხალხი ზღვასავით მღელვარებდა დილიდან საღამომდე. ორმხრივად უტევდნენ არაფორმალების უკიდურეს პროტესტს, როგორც გარედან, ისე — შიგნიდან.

საკავშირო ტელევიზია დაუფარავად ილაშქრებდა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, აღვირახსნილი ექსტრემიზმის წაყრუებაში ადანაშაულებდა და ამ უკანასკნელსაც ცეცხლს შეუნთებდა გადამჭრელი ღონისძიებისკენ.

ძირითადი მორალური ზეწოლა ინტელიგენციის ფრთიდან წამოვიდა, რომელიც ყველაფერში მოზომილი და ანგარიშიანია. ნაცარქექიას მოხერხებულობას იშველიებდნენ.

— რაღა მაინცდამაინც ჩვენ შევასკდეთ ისედაც წაქცევის პირას მისულ ურჩხულს?! — არიგებდნენ ისინი მენტორული ტონით.

ამგვარი ისტერიკული შემოტევის წყალობით მოიხსნა შარშანდელი ნოემბრის აქციაც. მაშინ მთავრობამ უამრავ მოთხოვნაზე დაუკრა თავი ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, მაგრამ, აჰა, ხუთი თვე თვალსა და ხელს შუა ისე იწურებოდა, მათ შესასრულებლად თითიც არ გატოკებულა. პირიქით, უფრო გაფუჭდა სიტუაცია შინ თუ გარეთ.

ხელისუფლება თვინიერად ითმენდა გაჯორვებს კრემლიდან. ყრილობაზე წარგზავნილი დეპუტაცია გამოწმენდილიყო ეროვნული თავმოყვარეობისგან, და თუ რაიმე გულისმოსაფხანს გაიგონებდით, იმასაც პიროვნული ღირსებით შემკული ადამიანებისგან, ჯერაც რომ არ გაწყვეტოდათ შუბლის ძარღვი, თუმცა თანამდებობრივ მდგომარეობას გვარიანად დაემოკლებინა აღვირი მათი სითამამისათვის.

ნოემბრის აქცია რომ ვახსენეთ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით, პირველი პროტესტი იყო ქართულ, და ალბათ, მთელ საბჭოურ სინამდვილეში. ამისი მსგავსი არაფერი ენახა კვეკვე ანთარიას. ვერც კი წარმოიდგენდა სამოცდახუთი მოშიმშილე, რომელთა შორის მისი კალმისმიერი სამი მეგობარიც ერია, სამოცდახუთიათას გულშემატკივარს თუ მოიზიდავდა ზესიმძლავრის მაგნიტივით.

იმ დღეებით აღტკინებულმა ჩვენმა მერომანემ მუხლი მოუხარა მაშინ ძაკა ოდიშელიასებურად მოუხელთებელი იანების შემართებას, მაგრამ ამაზე იქნება უფრო დაწვრილებითი საუბარი ოდესმე, ახლა კი თავად აქციის დაშლის მიზეზებს დავსჯერდეთ.

შემოქმედებითი კავშირები, სახალხო ფრონტი, ორდენოსნებისა და ომის ვეტერანების ლაშქარი გაერთიანებული ძალით კრიჭაში ჩაუდგნენ მიტინგის ორგანიზატორებს. დაიწყო შუამავლობა მთავრობასა და ექსტრემისტებს შორის. იმდენი იღვაწეს, იმდენი იმუშაკეს, ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ლოზუნგების მოუხსნელად აქცია დახურულად გამოაცხადეს და მას გენერალური რეპეტიცია უწოდეს მომავალი ბრძოლების თვალსაწიერიდან.

მაგრამ ახლა, ხუთი თვით პირში ჩალაგამოვლებული მამულიშვილური სულისკვეთება პოზიციებს არაფრისდიდებით თმობდა. უკვე ზეექსტრემისტული ეთქმოდა მეამბოხეთა განწყობილებას.

არაფერს ჭრიდა აქციის კულისებში მთავრობის წვრილფეხობის ჩამოცუნცულება. სახელმოხვეჭილი მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები და კომპოზიტორები, მსახიობები, მეცნიერნი კვლავაც ჩვეული ტონით გონიერებისკენ მოუწოდებდნენ მომიტინგეთ და მათთან ერთად აგორებული მღელვარების სულისჩამდგმელებს:

მეგაფონები დილიდან საღამომდე შეუსვენებლივ აშიშვლებდნენ და ასამარებდნენ ორთავიანი არწივის მორჭმულობას;

მარიონეტი ხელისუფლებისგან დაჟინებით მოითხოვდნენ მისი კლანჭების საქართველოდან გადაშენებას.

მიაბიჯებდნენ ანთარიები რუსთაველზე და სვანური პოეზიის შედევრის, „თამბის“ წერედიანისეულ თარგმანს აუწყობდნენ ფეხს:

ამბავი არის გასაკვირი,
დიდი ხეები უვლიან ფერხულს,
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ჭიანჭველები აგებენ ციხეს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ზურგზე უნაგირს ადგამენ ძროხებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მაღალ ხეებზე შემსხდარან მწყერები.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ყარაულობენ კატები ერბოს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მეცხვარეებად დამდგარან მგლები.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
თხას მისდგომია მატყლისთვის ცხვარი.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ეჭიდებიან თაგვები დათვებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ჩიტი-ჩიორა იტაცებს ორბებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ერთი ნიბლია ამარცხებს ლაშქარს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მზე დასავლეთით ამოდის ცაზე,
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მდინარე აღმა მიედინება.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
უსიტყვოდ სხედან დედაკაცები.

ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ, — შეყოვნდებოდა მერომანე ჩვენი და ყურთასმენაში შემოიჭრებოდა აგუგუნებული ქალაქი.

კვეკვე ანთარია მეუღლის ხელკავიდან გრძნობდა მდედრის წიაღიდან ჩვილის კიდურების დაუსრულებელ ხვანცალს. ისიც ამ ორომტრიალის უტყუარი მოწმე იყო. დიახ, ყველაფერი საკვირველი გახლდათ, ვინაიდან ჩრდილოეთიდან ამოსული მზეების სუსხის ბინადრებს საკვირველსა და განსაცვიფრებელს რა გამოულევდათ.

მომიტინგენი კი ძველებური შემართებით ახალ-ახალ ძალებს იკრებდნენ. მთავრობათა სასახლის თუჯის მონუმენტები, შრომის გაფეტიშებული წყვილეულებით ჯერაც ზეაღმართავდნენ მასონურ უროებს და ნამგლებს.

რუსთაველზე ტრიალებდა სრულიად საქართველო.

უცხოელი ტურისტებიც ზერელე ცნობისმოყვარეობით მიადებდნენ ყურს მის ქვევრისმიერ გუგუნს, მაგრამ ასეთი მღელვარებანი მათთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო ქართველთაგან განსხვავებით და გეორგიანელთა თითოეული კუნთის გატოკება ექსპერიმენტის დონეზე უნდა განგვეხილა, ვინაიდან ორთავიანი არწივი მიკროში გამოცდილს, უმტკივნეულოდ დანერგავდა მერმე მაკრო განზომილებაში.

აქ ორი კუთხით განიჭვრიტებოდა არსებული რეალობა: რა ძალისხმევის ლიდერები წინამძღოლობდნენ საზოგადოების ფენებს და როგორი გამძლეობისა გახლდათ მათი ამტანობა პერესტროიკისა და გლასტნოსტის ფონზე.

უკიდეგანო საუფლოში მსგავსი ჭინჭყლობანი ვინძლო მომრავლებოდა ორთავიან არწივს ოთხივ კუთხით, ბარემ აქედანვე ეცოდინებოდა სად რა ხერხისთვის მიემართა, ვისთვის ჩამოეფხოჭნა ქვევით, ან სანამდის ჩაესო ჭანგები ზედმეტად აპოპორებულისთვის და ვიდრემდის ეკორტნა აფხიანებული ნისკარტით ჯიუტის ღვიძლი.

საბჭოეთის თუ თავად საქართველოს ნებისმიერი კუთხის გულისყური მთავრობის სასახლესთან მაჭარივით ადუღებულ ახალგაზრდობას მიპყროობოდა. მამადავითიდან ათვალიერებდი შინაურობაში ვარდისფრად აფითქინებულ ქუჩებს თუ მეტროპოლიტენის ფილტვებიდან აყურადებდი ადამიანებს, მათში ზედმიწევნით აირეკლებოდა მოედნისეული განწყობილებანი. ქართული ყოფიერების არენისკენ კი შეუსვენებლივ მოედინებოდა სრულიად საქართველო საუკეთესო შვილების წინამძღოლობით.

„თქვენთან არის მთელი კახეთი", გამოჩნდებოდა პროლეტარიატის ბელადის კოჭებთან აღმართული ტრანსპარანტების ქვეშ დარაზმული დელეგაცია და მომიტინგეთა ერთ სხეულად გადაქცეული ნაწილები დასცხებდნენ სანატრელ გუგუნს:

— სა-ქარ-თვე-ლო!

„სრულიად ქართლი თქვენს გვერდითაა", მოჰყვებოდა პირველ ნაკადს ახალი ტალღა და ისევ დასცხებდნენ:

— სა-ქარ-თვე-ლო!

მომიტინგეთა სხეული შეიკუმშებოდა, შემოიმყუდროვებდა წეღანდელ ზვირთს და მორიგი მდინარება წამოყელყვდებოდა თუ არა ტრანსპარანტების ჯარის მეთაური ლოზუნგით: ,,იმერეთი თქვენს გვერდითაა ძმებო!'' ისევ დაიბერავდა ფილტვებს ერთი პირით აბაბანებული მოედანი:

— სა-ქარ-თვე-ლო!

გაივლიდა რამდენიმე წამი, ტრიბუნაზე თანადგომის გამომხატველი სიტყვათა დასრულება არ დასცალდებოდათ ბალტიისპირულ თუ ვაინახურ დელეგაციებს და გაკრიალებული მონუმენტის წიაღიდან მორიგი ნიაღვარი წამოთქლაშუნდებოდა:

,,თქვენთან არის მთელი გურია!'' დაურიდლად ამჟღავნებდა საკუთარ ნება-სურვილს დიდი ვეზირის სამშობლო და საპასუხოდ მოედანიც თვითნასწავლი დირიჟორის ხელების მოძრაობის ფონზე მეტის სიცხოვლით დასჭექებდა ორთავიანი არწივის საბუდარის მომშლელ სახელს:

— სა-ქარ-თვე-ლო!

დასასრული არ უჩანდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხე-კუნჭულიდან წამოსწრაფებულ დეპეშებს. ჯორჯ გორდონ ბაირონის სულისკვეთებით გაფიცხებული უწყებანი მოქროდნენ სამეზობლოდან, მახლობელი ევროპიდან და აზიიდან თუ შორეული აფრიკა-ამერიკიდან, ავსტრალია-ანტრაქტიდი- დან. მეტი წილი მათი ავტორებისა რიგითი ხალხი იყო, ალალ-მართალი ხალხი მიწასთან და ცასთან, მაგრამ თანამდგომელთა გადმოძახილს ხშირად აედევნებოდა ხელისუფლებისთვის მებრძოლი პარტიების თუ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის დანაცრული ფუნქციონრების ხმებიც, და ამ დროს ამდენი პროტესტისგან ლამის გასაქცევად გამზადებული ბელადის საუფლოდან ფაზისის ღვართქაფივით წამოგლურჯუნდებოდა ცოტნეს თავაწეული შთამომავლობა:

,,თქვენთან არის სრულიად სამეგრელო!'' და მოედანიც მეათასედ აიტაცებდა ნებისმიერი ზღუდის დამანგრეველ სიტყვას:

— სა-ქარ-თვე-ლო!

მომიტინგეთა ნაწილს დიდი ვეზირის იმედიც ასულდგმულებდა:

,,ბერლინის კედელის დამნგრევს, ავღანეთის ომის ამლაგმავსა და საერთაშორისო განიარაღების შემოქმედს'' უსაზღვრო რწმენით მისჩერებოდნენ. ალალმართლად სწამდათ, რომ მის სამშობლოს ორთავიანი არწივი კლანჭების გაკვრას ვერ გაუბედავდა, მაგრამ ნათქვამია, ხალხი ბჭობდა, ღმერთი — იცინოდაო და ზევსის წყვილნისკარტა ფრინველის მოკიჟული თვალები უფალმა უწყის, რა ფანდებს ჩხიბავდა რუბიკონისკენ დაძრული საქართველოს შესანარჩუნებლად.

გარდაქმნის სატყუარა, რომელიც ფარეხის ჭერზე ჩამოკიდებულ, კატაჩასმულ გუდას ჰგავდა მოსახლეობის შემაქცევრად, ჯერაც ფერადი ილუზიებით კვებავდა კონსერვატორული აზროვნების ადამიანებს, ამიტომაც ყოველგვარ ექსცესს გამორიცხავდნენ ისინი.

— მართალია, უსანქციო, მაგრამ მშვიდობიანი აქციის დასათრგუნად ოფიციალური მთავრობა ძალადობას თუ მიმართავს, ბოლო წლების მონაპოვართა ყლორტების ზურგში ლახვრის ჩაცემა იქნებაო, — მსჯელობდნენ ხანდაზმულნი, ჭარმაგნი, მაგრამ ახლებს ამ ,,ყლორტების'' არა თუ დანახვა, გაგონებაც არ უნდოდათ. ვითარება კი დღითი დღე რთულდებოდა. უბედურების წინადღეს ქართველი ინტელიგენციის ნაწილის თხოვნით მთავრობა გარკვეულ დათმობაზე წავიდა — დიალოგი გაემართა მანიფესტაციის ორგანიზატორებთან, მაგრამ შარშანდელი ნოემბრის აღთქმებით ჩალაგამოვლებული პირი ჯერაც ეშუშხებოდათ ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელებს და კონფრონტაციამ დაძაბულობის პიკს მიაღწია.

რადიო-ტელევიზიის საეთერო დრო, პერიოდიკათა მეწინავე თუ პერიფერიული სივრცენი მთლიანად, სავსებით მანიფესტანტების ფსიქოლოგიურ შეტევას დაეთმო. მენტორული ტონი, თითის ქნევა, ჭკუის დარიგება თუ მუდარა განუწყვეტლივ ცვლიდა ერთმანეთს. ძველი ბოლშევიკები, სოციალისტური შრომისა და სამამულო ომის გმირები, კულტურისა და ხელოვნების უმაღლეს ჯილდოთა ლაურეატები ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდნენ ამხედრებულებს, რათა დროზე მოგებულიყვნენ გონს, ქაოსითა და ანარქიით მოცული ქვეყანა უფსკრულში არ გადაეჩეხათ.

თოთხმეტ აპრილამდე ექვსად ექვსი დღე რჩებოდა და ხელისუფლებას სწორედ ეს აშინებდა, ვინაიდან ათი წლის წინ თავგანწირვით მოპოვებულ ენობრივ თვითმყოფადობას, შესაძლოა ლოკალური პროტესტისთვის წარმოუდგენელი მასშტაბურობა მიენიჭებინა, და შემდგომ, სიტუაცია აბსოლუტურად უმართავი გამხდარიყო. ამიტომაც ჩქარობდნენ, ამიტომაც სულსწრაფობდნენ. არაფრით უნდა შეხებოდა თოთხმეტი აპრილის თავაღერილ ხსოვნას უსანქციო მანიფესტაციის სულისკვეთება. არადა, ამგვარ სიტუაციაში მოქმედების გამოცდილება ფაქტობრივად აღარც ხელისუფლებას გააჩნდა. ადრე, ცხრაასოცდაერთიდან მოყოლებული, ორთავიანი არწივის ჯარისკაცები აღასრულებდნენ შავ სამუშაოებს: ცხრაასოცდაოთხის მეამბოხეთა ჩონჩხის კარკასზე აღიმართა მოგვიანებით პრერიას ლომისფერი მთავრობათა სასახლე და კიდევ ოცდაჩვიდმეტში სათითაოდ თუ ჯგუფ-ჯგუფად დამხობილი უჟლაგებსა და ვეტლაგებში, და კიდევ ორმოცდათექვსმეტში მტკვარში გადაყრილი სტუდენტობა, პატივაყრილ ბელადს რომ გამოესარჩლნენ, სწორედ მათი გასალეწი კალო იყო განუკითხავად.

დიდი ვეზირის გამოცდილება და გამბედაობაც დიახაც აკლდა ჯიჭონაიების დისშვილს, თორემ საქმეს აქამდე არ გაართულებდა, პირადად ჩამოვიდოდა მოშიმშილეებთან, მაგრამ როგორც მოგვიანებით გამოითქვა აზრი, ამისთანა შემთხვევაში მას კეფაში ტყვია ელოდა.

ყველაფერი ისე იყო გათვლილი, რომ მიტინგის მაჯისცემა მაინცდამაინც ძალადობის ფაქტორს უნდა გაეზომა, რათა შემდგომში ორ-

თავიან არწივს ჰქონოდა მცირესთან მოსინჯული გამოცდილების განზოგადოების საშუალება.

თვით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, წმინდა ილია მეორეს მობრძანებაც და ლამის მუდარაგარეული ხმით მოწოდება თვინიერებისკენ, ხუთი თვის წინ დასილაქებული მარცხენა ფრიმალის სანაცვლოდ მარცხენას მიგებება უფრო ლაზათიანი ალიყურისთვის, კედელზე ცერცვის შეყრას დაემსგავსა. მიკროფონი ააცალეს ხელიდან და ახლა წერეთლის ბიჭი აღასრულებდა „მამაო ჩვენოს“. ერთ რეგისტრში მოქცეული ეს ხმა აცახცახებდა ტროლეიბუსის პარალელურ მავთულებს, ჭადრის ბურთულებს, რამდენიმე დღეში ცვენას რომ დაიწყებდა და თბილისის ქუჩებს ცხინკებითა და თვალების ქავილით აავსებდა.

ოდშელიას საგაში არ არის მოცალეობა აპნისის რექვიემის სრულყოფილი ფსიქოლოგიური ტილოს შესაქმნელად, ჩვენ ზედაპირზე მოელვარე აისბერგის კონცხს ვესათუთებით, მაგრამ ატმოსფერო, რომელიც შინაგანი თუ გარეგანი ძალების ურთიერთჭიდილში ჩამოყალიბდა სახნისის აფხიანებისთვის ცერზე შემდგარი თვის პირველ მესამედში, დიახაც ხასიათდებოდა მათეს სახარების მეთექვსმეტე თავის მეთვრამეტე მუხლის პათოსით.*

გავა წლები და კვეკვე ანთარიასთან ერთად მთელი საქართველო ათასნაირი ინტერპრეტაციით გააშუქებს საკრალური ცხრიანის სიმბოლიკას, როგორც ტრამპლინს რიცხვთა უსასრულობის სიმფონიისკენ, მაგრამ როდესაც ყველაფერი სასწორზეა შეგდებული ერის საბოლოოდ გამოფხიზლებისათვის, დიდგორთა მონაპოვრების ფონზე ჭრილობათა წკავწკავი ნამეხარი ტოტების კვნესაა მარტოოდენ, ხვალ-ზეგ ასჯერ და ათასწილ უკეთესი გაფურჩქნა რომ ელის. ჰოდა, ამ აღტკინებით ცეკვავდნენ ქალ-ვაჟები ბრმა გოგონათა ფანდურების ჟღრიალში. ვიღაც სალამურს არაკრაკებდა. შეწყობილი ტაში ჭრელ შალითებში გახვეული ფერმიხდილი მოშიმშილეების ქუთუთოებს აღახელდა.

— დაუკარით, რომ ამ ხანჯალს ელდა ეცეს, — კვნესოდა სასოწარკვეთილებისა და აღმაფრენის ზღვარზე შეგდებული უსინათლო ასულის სული. მას არასდროს ეხილა ქართული ცის მშვენება. სახითღა გრძნობდა სამხრეთული მზის ლამუნს. ვერც ამ უვარსკვლავობას აღიქვამდა. მთიები გადაკარგულიყვნენ შორს, შორს, რათა მოსალოდნელი ხიფათისთვის თვალი აერიდებინათ, ან უმწეო ადამიანების დასახსნელს რას მოიმოქმედებდნენ სინათლის წელიწადებით დაშორებულნი?!

— ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში, — მოთქმასავით იყო საგალობელი ესე.

მომიტინგეთა დასარბევად გამოგზავნილი ქალაქის მილიციის სპეცდანიშნულების ჯგუფის წევრებიც ნიკაპათროთოლებულნი შეჰყურებდნენ ამ გულისამაჩუყებელ სურათებს. გარკვეული მიზნით მოსულიყვნენ ისინი — მოედ-

ნიდან გაეყარათ აქციის მონაწილენი, მაგრამ როგორც კი არსებული ვითარების შუაგულში მოექცნენ, სისხლის ყივილმა აჯობა სამსახურებრივ მოვალეობას და ის სამასი მილიციელიც ამიერიდან ერის შვილთა სიცოცხლის მოდარაჯეებად ჩაითვლება და როდესაც ხელისუფლება დარწმუნდა, საკუთარი ძალებით ექსტრემისტებისგან მთავრობათა სასახლის მისადგომების გაწმენდა შეუძლებელი იყო, ორთავიანი არწივის მოკიჟულ მზერას მიაჩერდა და აქამდე მძინარე რომ ეგონათ, მოყვითალო ქუთუთოებიდან სისხლიანი შუქი გამოსხლტა, სამართებელზე ბასრი და ჯიშტის თოვლზე ცივ-ყინულიანი.

თითქოს სარკის ანარეკლიაო, თავებმა გაზომეს ერთმანეთის იერი. ნისკარტზე მომდგარი ნერწყვი გადასცდა ორივე სასას, ხოლო ვარდისფერი, მომცრო ენები დაიგრიხნენ სისხლს მოწყურებული ნეტარებით და თვალებმა გაკვესეს ბელადის ხელის მიმართულებით. გაოცმაგდა, გაასმაგდა მათი ბრჭყვიალება.

ანთარიების ბინა ნახევარი საათის სავალზე იყო. გახუნებულ პალტოში გახვეულ დადუს ძვალ-რბილში რომ გაატანა შუაღამის სუსხმა, ელბაქიძის ქვაფენილიან დაღმართზე დაეშვნენ, იმ მოსაზრებით, რომ ცოლი შინ დარჩებოდა, ხოლო მერომანე ჩვენი გათენებამდე უთანაგრძნობდა შესამჩნევად შეთხელებულ მამულიშვილურ თავყრილობას.

აენთო შუქი ფანჯრებში და კვეკვე ანთარიამაც ფეხს აუჩქარა, მაგრამ მას, როგორც ოდიშელიას, ბედად არ ეწერა ორთავიან არწივთან უთანასწორო შერკინების პერსონაჟობა. მოედნის გუგუნმა და გაურკვეველი შინაარსის ხმიანებამ მთელი სხეული დაუსუსხა.

თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა ორმოციოდე წუთით მიტოვებული თვისტომისკენ, მაგრამ მისი ბრწყინვალება ვერასდროს იგემებდა ორმხრივად ალესილი ნიჩბების ცელისმაგვარ სივილს, და ვერც ჯვაროსნებისდროინდელი ფარებით ჭყლეტაში წაუსწრაფდებოდა ყანყრატოდან სული, და ვეღარც „ჩერიომუხისა“ და „სიესის“ სამსალათი დაეზაფრებოდა სამამულე ფილტვები.

აღმამჭროლი კვეკვე ანთარია ფოთოლივით გამოიტაცა უკან ფეხშიშველმა, ტანსაცმელშემოფლეთილმა და თავპირჩამოსისხლიანებულმა ბრბომ, ისე რომ, საქმის ვითარებაში გარკვევაც ვეღარ მოასწრო, თუმცა თანამემამულეთა შეჭირვებული გარემოცვა გუმანით აღაქმევინებდა საერთო უბედურებას.

სიტყვით აღუწერელი განცდა ჯიშ-ჯილაგის სხეულით გადმოეცემოდა მის ცნობიერებას. მწუხარებასთან და ამოუყრელ ჯავრთან გადაწნული შინაგანი თრთოლვა უხილავი არტერიებით აუხმაურდა გულში. ჩვენი მერომანე ოტებული მრევლის გვარგვასმა წააფოფინა მტკვრის მარჯვენა სანაპიროსკენ, დაოთხილი ცხენების რემას თქარათქურით რომ გაურბოდა ჯერაც გაუცნობიერებელ განსაცდელს.

მხოლოდ დილით, კომენდანტის საათის ჭანგებში მოქცეული ქუჩების

ლაბირინთებში გაიკვლევდა გზას იგი ნიჩბებით აკუწული მოედნისკენ და ქაშუეთის ეკლესიის წინ გორაკებად დახვავებული ფეხსაცმლების მნახველს, გულამოსკვნით ააქვითინებდა ელიოტის ლექსის ნაცრის გარემო.

ცხრა აპრილის ამბებმა როკის ტბიდან მობრუნებულს მოუსწრო სვეტლანას ბინაში. ლუდოედს და სკარპიონს პოდპოიასნების ადათისამებრ აუგეს წესი.

აძიუბჟელ ძუძუმტეებთანღა მიხვდა ოდიშელია რისთვის გაურბოდა თურმე დიხამინჯიას მდევრებს. მიმალვას იგი ზუგდიდშიც ჩინებულად მოახერხებდა, მაგრამ შინაგანი ხმა კომპასის მაგნიტური ისარივით სულ ჩრდილოეთით და ჩრდილოეთით მიასწრაფებდა. რა იცოდა, თურმე ვასია ზატოჩნიკისა და ვალერი გლატკოვის სულები მოსძახოდნენ ძმაკაცს შეუბრალებელი შურისგებისათვის?!

გაყინულ ტბაზე სწრაფი ქარი თოვლის თხელ საფარს მიაბორიაყებდა. ბურღებით გადასულმა ბიჭებმა ჭა გაამზადეს. საფრთხე მოახლოებული სკარპიონი ნამდვილი მორიელივით ღვანკალებდა, მაგრამ ლუდოედი წარბშეუხრელად იჯდა მანქანის უკანა სალონში ორ ახმახს შორის, და სრულებით არ ჰგავდა პიროვნებას, რომელიც მუხლებში ჩაუვარდებოდა მტერს ნაჩუქარი სიცოცხლისათვის. დარლასაც რომ არ შეეწირებოდა ეს დაძარღვული კაცი, იმთავითვე ნათელი იყო. არ უმზერდა როკი შურისძიების აღსრულების დეტალებს. თავიდან სკარპიონის გლატკოვისებურად მოკვდინებას ლამობდნენ, მაგრამ მწვალებლობა მის ბუნებას არ ესადაგებოდა.

მტერია?! დაჯაბნე, მაგრამ ნუ დაამცირებ!

ამ პრინციპისთვის არასდროს უღალატნია ოდიშელიას. მთელი ექვსი თვე სხვისი პასპორტითა და სახით დადიოდა როკი. როგორც იქნა, მიუწვდინა ხელი ბოროტებას. დასრულდა სკარპიონის ამაო ორთაბრძოლა. დადგა ლუდოედის ჯერი. ღირსეულად მოაბიჯებდა ტანბრგე ბიჭებს შუა და როდესაც ოდიშელიას „მერსედესს“ გაუსწორდნენ, სალონის უკანა სავარძელში მოკალათებულმა როკიმ მოიძრო ნიღაბი თავ-კისრიდან.

— პანტერა! — ამოიგმინა ლუდოედმა და ბრასლეტიანი ხელებისკენ თავი დახარა, მოკაკვულ სალოკ მარჯვენა თითს კბილებით ჩააფრინდა.

ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა არ იყო ოდიშელიას სულიერი ტკბობის საგანი; გნებავთ ზღვა სისხლი მართებოდა, დალეწავდა მუშტებით დამნაშავეს, ხერხემლის ამართვა რომ გაძნელებოდა იქობამდე და მიატოვებდა ასე, მეთევზეთა ჩვეულებისამებრ შხამწართმეულ ზღვის მორიელსავით, მაგრამ ლუდოედის სადიზმის დაუსჯელად დატოვება სატანას შემწყნარებლობას ნიშნავდა მომავალ თაობათა საზიანოდ; ამიტომაც ძარღვის აუტოკებლად გაადევნა ბოლომდე თვალი, თუ რანაირად ჩასრიალდა ყინულის ჭაში, ფეხებზე ჰანტელებგამობმული კაციჭამია. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ტიპაჟისა — ერთი ყინულზე ქამარში ძალყინგარჭობილი.

ამგვარი მასტები როკის და ტრამალის მგელის ტოლფარდები არიან.

სანამდის ძალუძთ ძალაყინით დაუჩეჩქვავენ თავებს მოშურნეთ, და თუ სიცოცხლის შენარჩუნებისა ყველა იმედი გადაეწურათ, დაჰკრავენ იმ ძალაყინს ფეხქვეშ დრეკად ყინულს, და მასთან ერთად ჩაიტანენ ფსკერში მეტოქეთა ლაშქარს.

სვეტლანას მშობელი ქალიც გარდაცვლოდა. ძმას დიდძალი თანხა წაეგო და წელიწადნახევარია თურმე მისი ჩამიჩუმი არ ისმოდა. მარტოხელა დედის მძიმე ჭაპანს შებმოდა და ამ ნახევარ წელიწადში იმდენი მოახერხა ანდრონიკოვების ასულმა, მატროშკიდან ამოყვანილ ძამიას მიართმევდა საჩუქრად დაუდგრომელ კონსტანტინეს.

ცხრა აპრილის ამბებმა მოკაკვული სალოკი თითი ლამის კბილებით გადააკვნეტინა ოდიშელიას. შუბლზე მუშტს ირაკუნებდა ფანჯარასთან მიმდგარი და ისე დასცილდა ბავშვატატებულ ქალს, სიტყვა არ დასცდენია. ორმოცდაათიანების დასტა სათამაშოებისკენ გააქანა პატარამ, მაგრამ ილაჯგაწყვეტილ სვეტლანას შვილის გამოდევნების ღონე წართმეოდა, რათა უსაზღვრო ერთგულებისთვის გადმოგდებული სახრავი ძვალი მაინც შეენახა საიმედოდ.

კილომეტრთა ათასეულები ზურგს უკან იყო. თეთრი „ოცდაოთხით“ შემოსრიალდა ყინულეთიდან ედემის ბაღში.

თბილისში უკვე კომენდანტის საათი მოეხსნათ. აფხაზური ხვიშტირიკებიც რამდენადმე მიწყნარებულიყო, ოკეანეში ზეთგადაღვრილ ტალღებივით.

ოჯახის ნოსტალგია, ღვიძლი ადამიანების ცხრა თვიანი უნახაობით დაგროვილი ბოღმა და ნაღველი როკის ჩაჩრილი ბურთივით აწვებოდა ყელში. მანქანაში ორდღიანი ყურყუტისგან სხეული კუნძივით გახდომოდა. საბურავმა მხოლოდ ერთხელ უმტყუნა გზაში, ასე რომ, აძიუბჟელი ავიძბების ჭიშკართან მიმდგარს ერთი სული ჰქონდა მისთვის უჩვეულო მოთენთილობას როდს ჩამოიშორებდა.

მოსკოვიდან ჩამოფრენისას დრანდაში შემოგებებულ დამხდურებში ავიძბები სრული შემადგენლობით იყვნენ. ამის თაობაზე ადრე გვითქვამს გაკვრით. მაშინ ვერაფერი უსახსოვრა ოდიშელიამ მორდუს, მარცხენა მხარზე ამბორის მეტი, ახლა კი სვეტლანას წყალობით, თითოეულისთვის მოსაკითხი ცალ-ცალკე შეეფუთნა პოლიეთილენის პარკით ჯერ კიდევ როდის.

არეულობებით ძარღვებაშლილმა ოჯახმა ორმაგად გაიხარა.

მორდუშვილებმა ჯინსები დაინაწილეს;

რძლებმა საკაბეები შემოიხვიეს ტანზე სარკის წინ;

ბავშვები თოჯინებსა და სათამაშოებს დახარბდნენ მოსკოვურ სატკბარუნებლებთან ერთად;

ისარივით ხერხემალსწორმა, ჭროღათვალება მოხუცმა, ინალ ავიძბამ,

ფერფლისფერი კარაკულის ბოხოხი შეიშნოვა ყალიონისა და ქისის თანხლებით.

— რა ხდება, ნანაგე, შენებისთვისაც დაიტოვე რამე, — თავზე ხელს შემოავლებდა შვილობილს ალერსად დაღვრილი მარშანიების ტანსრული ქალი.

— არც მაგენია დავიწყებული, მორდუ. ზედმიწევნით ავუწერე შენი აღნაგობა და თუ ყველაფერი წესიერად მოგერგო, ბარაქალა მას! თქვენ, უბედურებას რა გამოგილევთ აფხაზ და ქართველ დედებს, ამიტომ დროა, შავებს ერთხელ და სამუდამოდ შეაქციოთ ზურგი. რუსეთის არ გეგონოს, ფრანგულია, — ღიმილით მიაწოდა ქვიშისფერი კოსტუმი და ქვედა ტანი, სადა, მაგრამ ამავდროულად მიმზიდველი. კოპლებიანი პერანგიც იქვე მოჰ ყვებოდა. ამას ზედ ლაკის დაბალქუსლიანი ფეხსაცმელიც დაადო და სიხარულისგან სახეგაბრწყინებულმა მანდილოსანმა ოდიშელიას თავი მკერდზე მიიკრა.

— სქან სანთელო, ნანაგე,* რა მაკლია მე ჩემი ბიჭების პატრონს, მაგრამ შენს მორდუს ამით გაამგზავრებენ შორეულ ქვეყანას, იცოდე. აბა, გოგონებო, დავტრიალდეთ, თორემ რესტორანისკენ გაიტაცებენ როკის. დღეს უცხო კაცი არ დამანახოთ ოჯახში, თუ გიყვარდეთ, — უთხრა ბიჭებს, — ერთხელ მაინც მაღირსეთ მონატრებულთან ადამიანური დასაუბრება, — მარშანიების ქალი მკერდთან მიხუტებული საჩუქრებით აივანზე გამოშლილ რძლებს მხარზე ხელის თათუნით სამზარეულოსკენ გაუძღვა.

ჟენია ქირხემ და მარშანიების ქალმა, ვერამ, ლიძავაში გაიცნეს ერთმანეთი. ქმარ-შვილებით ჩამოსულიყვნენ დასასვენებლად კურორტში. ორივე დედაკაცი ორდენოსანი მეჩაიე იყო და უფასო საგზურებს გამოჰყოლოდნენ. კაცებმა დააბინავეს ცოლები გვერდიგვერდ ოთახებში თუ არა, თავთავიანთ ოჯახებს მოუბრუნდნენ, ქალები კი ხელად გადაენასკვნენ ერთურთს. ანატოლი და გივი ხუთ-ხუთი წლისანი იყვნენ, ხოლო როკი და დაური ჯერაც ძუძუს აღლაჭუნებდნენ. კოლხმა მანდილოსნებმა მალე აუღეს ალღო საკურორტო პირობებს: როცა ჟენია საჭმელს ამზადებდა, ღომს ათუხთუხებდა საერთო სამზარეულოში და ბაჟას კმაზავდა სუნელებით, ვერა ოთხეულს დაფოფინებდა თავზე, უცაცხანებდა ჩიტირეკია მოზრდილებს და აპურებდა მეძუძურეებს; ან როდესაც საბაზანოდ მიდიოდა მარშანხე თავხოტორა ბიჭებით, გაუმაძღარ ჩვილებს ქირხე იტოვებდა და შეხმატკილებულებს თვალსა და ხელს შუა შემოადნათ ოცდაოთხი დღე. მიატირეს კიდეც ერთმანეთს აძიუბჟასთან განშორებისას. იქიდან მოყოლებული წელი როგორ გავიდოდა ავიძბები და ოდიშელიები ერთად არ შეყრილიყვნენ ჭირსა თუ ლხინში?! მართალია, მესამე ვაჟიშვილების შეძენამ ორივე ოჯახს საზრუნავი მოუმატა და ძველებური მიმოსვლები რამდენადმე შენელდა, მაგრამ ძაკა ოდიშელიას გასვენებაზე მთელი ავტობუსი ხალხით ჩამოვიდნენ ავიძბები, გვირგვინითა

და ყვავილებით მიაგეს პატივი ვალერიანის მამის ხსოვნას. ასევე წრფელი ცრემლი დააპკურა ოდიშელიების სანათესაო-სამეზობლომ ჰაკი ავიძბას. ქორწილებში ოჯახებით პატიჟობდნენ ერთურთს ხოლმე. ფული — ფულად, ძღვენი — ძღვენად. ერთ ზაფხულს ზუგდიდში რომ ჩამოვიდოდნენ ანატოლი და დაური, მომდევნო აგვისტოს აძიუჟბაში მიემგზავრებოდნენ გივი და როკი. დაური და ანატოლი თავიანთი დროის შვილები იყვნენ როკი და გივივით, ამიტომაც იქცა ციხე მათთვის მეორე ოჯახად. პირველი პატიმრობისას ანატოლი ერგეტაში თუ იმალებოდა წელიწადზე მეტ ხანს, სამხედრო სამსახურს თავარიდებული როკი აძიუჟბელ ძუძუმტეებთან შეიტკბობდა თვეობით მორდუობის მადლს. ასე გადაწვნოდა ოდიშელიების საწუთრო ავიძბების ყისმათს. მაგრამ მაცილიც ხომ ხვანჯავს ბილიკებს ქვეყანაზე მაცხოვრის კეთილმოსაქმეობის მხარდამხარ და ორი ოჯახის უზადო მეგობრობა და სიყვარული რას გაწვდებოდა ჭრელი ბრბოს მოშხამულ გულს?! ფართე აივანზე ისხდნენ კაცები. უყვარდა როკის ჩამავალი მზის აქედან თვალთვალი. სულგანაბული უმზერდა ხოლმე წითელ ამრას, ხეების ლანდებს რომ გაიყოლებდა ახმაურებული ზღვისკენ. მანათობელი დასალიერისკენ გადაქანებულიყო ახლაც. ბალანასლექილ ხბოებს ბომბორა ძაღლი დააკუნტრუშებდა ეზოს კიდითკიდემდე.

ოჯახის უფროსს ნაჩუქარი ყალიონი გაემართა და თამბაქოს კვამლში გახვეული, პლაკუნით ელაპარაკებოდა მორდილს:

— დიდი უბედურებაა მომწიფებული ჩვენს თავს, როკი, შვილო. ჩვენმა ოჯახმა ალალმართლად აუნთო სანთლები ორი კვირის წინ ქართველ ქალვაჟთა ზეცაში ასულ წმინდა სულებს, მაგრამ ჭირის დამალვას რაღა აზრი აქვს. როგორც შევიტყვე, ზოგან ღობის ჩხირად მიუჩნევიათ ეს ტრაგედია. ჩემი წინაპრები კავკასიის ქედებიდან ჩამოსულან საუკუნეების მიღმა, რამდენადაც პეპერასაგან ვიცი, მაგრამ აქ ავიდგით ფეხი, ენა. ჩვენი ქალები თქვენ გყავთ რძლებად, თქვენი — ჩვენი ჭირის მკურნალები არიან და როგორია უცებ აფსუა-სეპარატისტის ბრალდებით გარეკვა მოგინდომონ ნაჯაფარი ეზო-კარიდან? ცხრა აპრილის უბედურებას ჩვენ გვაბრალებენ. აფხაზებს და ქართველებს გასაყოფი არაფერი გვაქვს ამ ცის ქვეშ, სხვები რომ არ გვიმღვრევდნენ წყალს.

— საქმეც ეგ არის ინალ, ბიძია, — თქვა ოდიშელიამ, — ვიცით ჩვენც, ვინ, რომელი ამღვრევს მდინარის სათავეს. მღვრიე წყალში კი თევზის დაჭერა ადვილია. მე, ანატოლს და დაურს ეგ პრობლემა ნაკლებად გვაღელვებდა ხუთი, ათი, თხუთმეტი წლის წინ, მაგრამ დღეს სიტუაცია გაცილებით გართულებულია და მეტი წინდახედულება გვმართებს დიდსაც და პატარასაც.

— რომელ ერს ულხინს ამ ქვეყანაზე, მაგრამ ჩვენსავით ნატანჯი ხალხი მეორე არ იქნება მსოფლიოში, როკი, შვილო. დაახლოებით ასათი წლის წინ, სოხუმიდან კელასურამდე დახოცილი საქონელი ეყარა თურმე ყოველ ფეხის

გადადგმაზე. მძორისგან ყარდა ჩვენი ცა და მიწა. აქა-იქ დაინახავდით ბორკილდადებული, განგმირული აფხაზი ვაჟკაცების გვამებს. თურქებმა ვერ მოახერხეს თურმე დიდძალი პირუტყვის გაყვანა და ისევ აფხაზებს დაახოცვინეს. რუსებს მაინც დარჩენიათ ორმოცდაათი ათასი სული, რომელიც წებელდას გზით გაურეკიათ თავიანთკენ.

ცხონებული მამაჩემი ყველაფრის მომსწრე ყოფილა. ათი წლის ბიჭს რა უნდა დავიწყნოდა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს აფხაზს არავინ ექომაგებოდა ამ დუნიაზე. მედიკამენტებს ვინ ჩივის, თუჯის ქვაბებიც კი არ ემეტებოდათ მათთვის, ვინძლო ზღვის წყლისგან მარილი არ მოეხადათ. ერთი კილოგრამი მარილის მოპოვებას მთელი დღე უნდებოდნენ თურმე ჩვენი დედაკაცები. კვამლისგან და მზისგან ზანგებს ემსგავსებოდნენ. გსმენია შენ მუჰაჯირების8 გულსაკლავი სიმღერა „შიშნანი“. იქ ყველაფერია ნათქვამი ჩვენს უკუღმართ ისტორიაზე. როგორც მამა მიყვებოდა, თორმეტ აგვისტოს ბათუმს მისდგომია საბერძნეთის გემი, რომელზეც ათასორასი ქრისტიანი მუჰაჯირი აფხაზი იმყოფებოდა. მათ სარწმუნოებამაც ვერ უშველა, მიუხედავად თხოვნა-მუდარისა არ შეიწყნარეს. მეფის სტრაპეტის ბრძანებით სამხედრო ბუქსირით კვლავ თურქეთის ნაპირებს მიაყენეს, მაგრამ ახლა თავად თურქებმა დაიფრინა ქრისტეს რჯულისთვის თავდადებული ხალხი, სროლა აუტეხა და რვა სექტემბერს ღამით მალულად, ბათუმისგან ოცი მილის მოშორებით გადმოსვეს თურმე ფლატეებზე.

სად არის სასმელი წყალი, სანოვაგე. დედებს ძუძუთა ბავშვები აქამდეც ეხოცებოდათ გემზე, მაგრამ ზღვაში ვერ ყრიდნენ თავიანთ ანგელოზებს, ჭინჭებში გახვეულებს უმალავდნენ მეზღვაურებს, სანამ დიდ-პატარას აყროლებული გვამის სუნი არ შეაწუხებდა. ასე დაწანწალებდნენ მუჰაჯირები თურქეთსა და სამშობლოს შუა. იმ ათასორასიდან ასსამოცდათვრამეტი გზაში დაღუპულა, ორს გაქცევით უშველია თავისთვის და რვაასიოდე გაწამებული ადამიანიღა შეუწყალებია მეფის რუსეთს.

უარესი ხვედრი ერგოთ საძებს და უბიხებს.8 ისინი მთლად აღიგავნენ მიწის პირისგან. ასე დაეხეტებოდნენ კარდაკარ ჩემი ქრისტიანი მუჰაჯირები. ლუკმა-პურს უყოფდნენ მათ თურმე თვითონ ნახევრადმშიერი გურულები და მეგრელები. გვარად ბაბილუა დედაკაცის გლოვა სიკვდილის კარამდე დაახსომდა ცხონებულ მამაჩემს:

ო, საწყალო, მუჰაჯირო, რა დაგემართა, რატომ გაიჭირვე, შენი ქვეყნიდან ვინ გამოგაძევა, სხვის ქვეყანაში რისთვის იტანჯებიო, მოსთქვამდა თურმე ის ღვთისნიერი.

ნუ გეშინია შვილო, ჰაკი, მიხვალ შენს ბუდეში, განაახლებ კერიას, რუსს არაყს დავალევინებ, ისე გამოვბრუჟავ, მთელი კავკასია რომ მოპარო, ვერ გაიგოს. ღმერთო, დიდებულო, თუკი სადმე მკვიდრობ, თვალებს რატომ უხუჭავ ამ უსამართლობას? გულს ნუ გაიტეხ, შვილო, ჰაკი, ხომ ხედავ შენი საცოდაობით კიდეც ვტირი და კიდეც ვქვითინებ. თავზე ლაფი გადასხმოდეს

რუსის რიჟა8 ხელმწიფეს, ლახვარი და ბორზალი მის უძღებ გულსო, იტყოდა ამას და ოთხმოცდაათს მიტანებული ქალივით ატირდებოდა.

რიგითი ადამიანებისა და მთავრობის გაიგივება არ შეიძლება, როკი, შვილო. რამდენად კეთილია გლეხიკაცი, იმდენად ბოროტია მეფე და მისი გარემომცველი წრე. ასე იყო ოდითგან და ასე არის ახლაც. აფხაზებს რუსის ჯარში რომ არ იწვევდნენ, რაიმე შეღავათებისთვის კი არა, უნდობლობის გამო. ქართველებს კი რამდენიც გნებავს და ზოგი ჩემი წინაპარი, ქრისტიანი აფხაზების დედაბუდიანად აყრას იმათ მიაწერს, მაგრამ რამდენად მართალია ეგ, უფალმაღა უწყის.

— ნაძირალები ყველგან ურევია ინალ, ბიძია, მაგრამ ქართველი კაცის ბუნებაში არ ზის სხვისი დაჩაგვრის, სხვისი დამონების მიდრეკილება. იქნებ პირიქით იყოს საქმე. გაგონილა ასეთ პატარა ქვეყანაში ასამდე ეროვნების ადამიანია თავმოყრილი. ებრაელები ოცდაექვსი საუკუნეა საქართველოში ცხოვრობენ, მაგრამ ვინმეს სმენია მათი შევიწროვების ამბავი?! ზედმეტად დამთმობი ბუნება ჩვენი, ქრისტიანული ტრადიციების ნაყოფია. მაინტერესებს ცხოვრობდნენ თუ არა ზანგები აძიუბჟაში ოდესმე?!

— ოცდაათიან წლებში რამდენიმე ოჯახი დამკვიდრდა. ლტოლვილები გახლდნენ, ბუნებრივი სტიქიით დაზარალებულნი, მაგრამ მალე დაბრუნდნენ სამშობლოში. საიდან მოგაგონდა? — ჰკითხა როკის გაოცებულმა ინალ ავიძბამ.

— საიდან, ინალ ბიძია და თქვენს მწერალს, აზიზ დიოსკურს აქვს მოხსენიებული მოთხრობაში, რომლის სახელწოდებაა „რასსკაზ მოეგო ზემლიაკა“.*

ერთი ახლობელი ქალი სვეტლანა კორექტორად მუშაობს „ოგონიოკში“. მასალებს შინ კითხულობდა ხოლმე და იმისგან ვიცი. იმ შედეგრის მიხედვით აფხაზები თურმე ეთიოპელი ზანგების შთამომავლები არიან. აფხაზს ოღონდ ქართველთან ნუ ექნება საერთო და მზად არის აფრიკის კონტინენტიდან მოადგეს ჩვენს ქვეყანას. ეს იუმორი მოსათმენია სადღაც იმ საშინელებასთან შედარებით, რომელიც წესით ჰუმანიზმისთვის მოვლინებულ შემოქმედს უწერია შავით თეთრზე: შურისძიების ნიადაგზე აფხაზი სვამს ქართველი შალიკოს სისხლს, და წარმოიდგინეთ, ზეფაშისტური სულისკვეთების ნაჯღაბნნი ხელმოწერილია რედაქტორის მიერ მეხუთე ნომერში დასაბეჭდად.

დიოსკური, რომელმაც აფხაზურის ინჩიბინჩი არ იცის, სისხლიან ნადიმზე იწვევს მომავალ თაობებს, აქედან კი კანიბალიზმამდე ერთი ნაბიჯია. ვამპირობას, კაციჭამიობას მწერალი რომ ქადაგებდეს, მართლაც იშვიათობაა. რატომ ვერ ხედავთ, თქვენ, ინალ, ბიძია, კავშირს „აფხაზურ წერილსა“ და ცხრა აპრილს შორის?! რომ არა მისი შეურაცხმყოფელი ტონი, ჩვენი ისტორიული წარსულის ხელოვნური დამახინჯებანი, ხომ არავინ დაჯდებოდა მთავრობის სასახლის კიბეებზე საშიმშილოდ და ბუნებრივია, არც შემზარავი ტრაგედია დატრიალდებოდა.

თქვენი მოსკოვური დიასპორა ქუჩა-ქუჩა დააფრიალებს ქართველების დამამცირებელ ჩმახს. ასეულათასი ტირაჟით იბეჭდება. პარლამენტარით დაწყებული, მუშითა და ყარაულით დამთავრებული, უკვდავების წყაროსავით დაეწაფნენ მის გაყალბებულ სიბრძნეს.

თვრამეტი მარტის ლიხნის დეკლარაცია, რომელსაც თურმე ოცდათორმეტ ათასმა კაცმა მოაწერა ხელი, ფაქტობრივად აფხაზების მიერ ქართველებისთვის ომის გამოცხადების ბადალია. მაინტერესებს იმ ოცდათორმეტიათას ქვას ჩემი ძუძუმტეების ოჯახიდანაც ხომ არ გვიღერებს ვინმე?

— ქართველების მადას ხუთი აფხაზეთი არ ეყოფა, — ხმა ამოიღო ნაბოლარა ავიძბამ, — ვისზე არ დაყიდეს ჩვენი მიწები. რამდენჯერ მოგვიწყვეს გენოციდი ჟორდანიას მენშევიკური მთავრობიდან მოყოლებული. სტალინმა მუსრი გაგვავლო, ბერიამ მთლად მიწასთან გაგვასწორა. ამისთანა ვითარებაში, მოგილხენია, — წალენჯიხიდან, ჩხოროწყუდან, გეგეჭკორიდან, ხობიდან, რაჭიდან, სვანეთიდან, იმერეთიდან აყარეს მოსახლეობა და სისხლგამოწოვილ აფხაზეთში დაასახლეს. ასეთნაირად, ერთის განადგურებით და მეორეს აყვავებით მივიღეთ ხელოვნური დემოგრაფიული სურათი, სადაც აფხაზი ძლივს ჩვიდმეტი პროცენტია, ხოლო ქართველი — ორმოცდაოთხი. ვერ გამიგია, მაინცდამაინც ქართველი უნდა გვაჯდეს თავზე ობკომის8 მდივნიდან დაწყებული დირექტორით დამთავრებული?!

— თანამდებობებს არ უნდა უჩიოდეთ თქვენ, წესით, ალვერ, ძმაო! — შეუსწორა ოდიშელიამ.

— ეგ ახლა, ამდენი დავიდარაბის შემდეგ. ვერ ამოვედით ქართველების საყვედურებისგან: ტელევიზია მოგეცით, რადიომაუწყებლობაო; თეატრი გაგიხსენით, სკოლებიო. უნივერსიტეტით ხომ მთლად თავი გადაგვჭამეს. აფხაზ ხალხს სამადლო ლუკმა არ სჭირდება. თვითონაც ჩინებულად მოეხსენება სად რა გახსნას და როდის. ამოკეტავენ ლესელიძის გასასვლელს და საკუთარი მანდარინი ვერ გაგვიტანია რუსეთში. მოვა დრო და თვითონაც მშვენივრად მივხედავთ ჩვენს პრობლემებს. რაც შეეხება ხელმოწერას, მოვაწერე, აბა, არ მოვაწერდი?! გვიკამათია ამის თაობაზე ოჯახში, მაგრამ როდესაც ძმები არ წამომყვნენ, ავდექი და თვითონ მოვისტუმრე ეგ საქმე. ვერავის ვათქმევინებ მე, რომ ოჯახში მტერი მიზის, საერთო საქმის მავნე და ძირგამომთხრელი.

— გამოდის, რომ შენს ჭკუაზე უნდა იაროს მთელმა ოჯახმა, თუნდაც მცდარი იყოს იგი, დამღუპველი?! ნებით თუ უნებლიეთ ქართველების პირისპირ დაგიყენებია ახლობლები, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ. თუკი ამნაირი ხელმოწერებია თქვენს წერილზე, ალვერ ძმაო, გასაგებია საიდან გამოგივიდათ ესოდენ ჩაპუტკუნებული რაოდენობა, ციფრი — ოცდათორმეტი ათასი. ყველაფერს ისე წარმართავთ, თითქოს განსხვავებული პრობლემები გვქონდეს აფხაზებს და ქართველებს. კი მაფრთხილებდნენ გზადაგზა, გუდაუთის ტერიტორიაზე ან რუსი დასვი საჭეზე ან სომეხიო, მაგრამ მე ჩემს

სამშობლოში ქურდულად ვერ შემოვალ. გამაჩერებდნენ და შეურაცხმყოფდნენ?! ერთ ოცდაათს მაინც გავიყოლიებდი უკან. დაურმა და ანატოლმა უფრო იციან ჩემი ამბავი. ბედზე მთავრობის მანქანების კოლონას მივედევნე და მშვიდობიანად ჩამოვაღწიე თქვენამდი.

— მადლობა ღმერთს! — თქვა ინალ ავიძბამ.

— რატომ უნდა გიკვირდეს, როკი, ძმაო? თქვენ რუსობა გჩაგრავთ მარტო, ჩვენ კი ორ ბატონს უნდა ვუხაროთ ქედი. შეხედე, რა დღეში არიან ჩვენი ბავშვები! აქეთ აფხაზური ხომ უნდა ისწავლონ, იქით — რუსული, დაამატე ახლა ამას ზედ ქართულ-ინგლისური და მიხვდები რანაირად ვკლავთ მოზარდში ცოდნის სიფარულს. შვილები მე თარჯიმნებად, გიდებად კი არ მჭირდება, არამედ — მეცნიერებად, ხელოვნების მუშაკებად, ტექნიკური პროფესიის ხალხად ბოლოს და ბოლოს.

მერედა, ეს ქართული სრულიად უსარგებლოა ჩვენთვის. ოქროს რომ არიგებდნენ ქართში უფასოდ, იქ ჩამსვლელ ხუთ აფხაზს ვერ მოძებნი მთელს ავტონომიაში. მეგრელებს თუ არ მოგბეზრდათ მათ დაკრულზე ცეკვა, მშვიდობაში მოგახმაროთ ღმერთმა, ჩვენ კი დაგვეხსნან. გამოაქვეყნეს ქართული ენის პროგრამა და იგი საყოველთაოდ აქციეს საქართველოს ნებისმიერი ეროვნების მოქალაქისათვის. სამოცდათვრამეტში, როდესაც რუსეთი იგივეს უპირებდა მთელი კავშირის ხალხებს, მაშინ ქართული ჯანყი ამ ვანდალური ფაქტის მიმართ პატრიოტული იყო, პროგრესული. ახლა, როცა მსგავსი სიტუაციაა, ოღონდ შემცირებულ მასშტაბში, აფხაზების ხმის ამაღლება აფსუა-სეპარატისტულია.

მოდის ინფორმაცია ჩვენამდე, რომ ავტონომიის გაუქმება უნდათო, მაგრამ ისედაც უცხონდეთ მამის სული, რაც ეგენი ღალიძგას გამოცდნენ. თქვა ლერმონტოვმა ჩინებულად:

ბეჟალი რობკიე გრუზინიოზ და ირბინონ რამდენიც მოეპრიანებათ. კიდევ კარგი, ახლა მაინც არ ჰყავთ სტალინები და ბერიები, თორემ გაგვრეკავდნენ ზღვას იქით.

ოდიშელიას წარბი აუთამაშდა. ცუდად ენიშნა ეს ანატოლს და საუბრის სხვა თემაზე გადატანა სცადა.

— „აიდგილარას“ ხალხმა აგირია შენ გონება, ალვერ! სტუმრის მაინც გრცხვენოდეს!

— როკი სტუმარი კი არა, ჩვენი ძმაა.

— ჰო და მიმოიხედე გარშემო, ასეთი ქართველია აფხაზეთის ყოველი მეორე მოქალაქე.

— ოცდაათიან-ორმოციან წლებში რომ გაჟუჟეს მშვიდობიანი მოსახლეობა და მათ ადგილებზე ქართველების ჩამოსახლებით გაბერეს საკუთარი რაოდენობა, იმიტომ, არა?! სტალინისათვის რა იყო ათი, ოცი, ოცდაათი ათასი კაცის ბედ-იღბალი?! ეგერ, მათ მიერ გადასახლებული ნახევარი მილიონი თურქი მესხი კარზე რომ მისდგომიათ, რას ფიქრობენ ნეტავი? არაფორმალებმა ისტერიკები დაიწყეს: არა, არ მოგიშვებთ საქართველო-

შიო, ყოველ შემთხვევაში იმათ მაინც, ვისაც ქართული ცნობიერება არ გექ-ნებათო. შენ, როკი და დაური, ანატოლ ჩემო, ქურდულ სამყაროში ტრი-ალებთ, ქურდებს კი სამშობლო არ გააჩნიათ. ციხემ არ იცის აფხაზი და ქართველი, გაგაუსი თუ თურქი მესხი, მაგრამ ცხოვრება სხვა რამეა, ძმებო! სამშობლოსთვის სიცოცხლის შემნანებელი ამ წამშივე მიწაში ჩამემარხოს ორივე ვაჟიშვილი! სანამ ჩვენ ჩვენი სახელმწიფო არ გვექნება, ყოველთვის ასეთი დაჩაჩანაკებული ვიქნებით.

ავტონომიას გაგიუქმებთო?! აი, დარდი! რა თავში ვიხლი მე სახრავი ძვა-ლივით მოჩვენებითად მოგდებულ ავტონომიას, ყველაფრიანად ქართზე რომ არის დამოკიდებული?! სამინისტროებში სანამ ფულს არ ჩაიტან, ხელის გან-ძრევის საშუალებას არ მოგცემენ. ცხრაას თვრამეტში თქვენმა მენშევიკურ-მა მთავრობამ სისხლში ჩაახშო აფხაზეთის ბოლშევიკური კომუნა. მერე ოც-დაოთხი წლის ოთხ მარტს აღდგენილი რესპუბლიკა მთელი ათი წელიწადი უმკლავდებოდა ქართველთა ფარულ თუ აშკარა შემოტევებს, ვიდრე ავტო-ნომიამდე არ შეგვიზღუდეს სამართლებრივი უფლებები. გვექნება ჩვენი სა-ხელმწიფო და მერე ვნახოთ!

— კი, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას რას უპირებ? — გამოექომა-გა ანატოლს დაური. ძმებივით მაღალი იყო ისიც, ოღონდ რკინისფერი, ფარ-თე სახითა და ჩაჩვრეტილი ნიკაპით.

— იყვნენ ბატონო, ჩვენ არავის ვსდევნით და ვავიწროვებთ ქართველე-ბივით, ვინც აფხაზეთის კონსტიტუციას აღიარებს.

— რატომ ვარდები წინააღმდეგობაში, ალვერ? — უფროსმა ძმამ მკლავ-ზე დაადო ხელი უმცროსს. ორივეს თანაბრად გაბანჯგვლული მაჯები ჰქონდა, ოღონდ ზედას ვერცხლისფერი შეპარვოდა, — ამბობ შევიწროვებას არ ვაპი-რებო და უკვე ავიწროვებ. ამაზე იტყვიან: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. უმრავლესობას უმცირესობამ გინდა კანონები გამოუჭედო? მერედა, პირველად არ მოგსდის, ერთხელაც ძმურად გირჩევ, ქურდული სამყაროს უადგილოდ წამოძახილს თავი დაანებე! შენ რა იცი იქაური წესების და კანონებისა, კამე-ჩის მაწონზე გაზრდილმა? კომკავშირის რაიკომიდან პირდაპირ ტრესტის მმართველად დაგსვეს. ჰკითხე, აბა, როკის, დავჩაგრულვართ საქართველოს რო-მელიმე ზონაში ჩვენი აფხაზობის გამო? გახსოვს ფეხბურთი, პანტერ?

— რა დამავიწყებდა, — თქვა ოდიშელიამ. ერთი სული ჰქონდა როდის მო-უჭრიდა სიტყვას თავგასულ ალვერს, მაგრამ ადროვა ანატოლს.

— წულუკიძის ზონაში ყოფნისას ქურდებისა და არიფების გუნდები შე-ვეჯიბრეთ ერთმანეთს. ასეთი ტურნირი იშვიათად იმართებოდა და ორივე მხა-რე საქმეს სერიოზულად მივუდექით. იმათ თავიანთი მასტის ხალხი გამოიყვა-ნეს მინდორზე, ჩვენ — ჩვენი რჩეული ბიჭები. ფოსტა გამაზულია. პანტერა, რო-გორც ყოველთვის, თავისთვისაა, მაყურებლის როლში. დაური მარცხენა ფრთა-ზეა გარემარბად, მე მარჯვენაზე. თამაში ჩინებულად აეწყო. სამი ბურთის სხვა-ობით ვიგებთ და დაიწყეს კიდეც უხეშობა ქურდებმა. ხელებით გვიჭერდნენ, გვაქ-

ცევდნენ, ფეხები დაგვამტვრიეს. მერე მთლად მუშტი-კრივზე გადავიდნენ. არადა, თავიდან დათქმული გვქონდა: სუფთად, ჯენტლმენურად გვეთამაშა. მოკლედ, როცა აიშვეს, ისეთი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, დედა შვილს ხელში ვერ აიყვანდა. ჰოდა, გაგვაზავეს როგორც იქნა. პანტერა ჩაგვიდგა შუაში და აი, რას ამბობს, ბიჭებო:

ფეხბურთში კი არა, ყველა აზარტულ თამაშში მოდის დათქმა. ხომ შეთანხმდით ერთხელ, რომ თამაში თანასწორუფლებიანი იქნებოდა? თქვენი მხრიდან კი ქურდებო, ეს მატჩი ფეხბურთი კი არა, რეგბი უფრო იყო.

— ბაიბუთშიც* ასე მოსდით ხოლმე, — დააკონკრეტა როკიმ, — ქურდს არ ეპიტნავება შულერი. იცის ეს უკანასკნელი პროფესიონალია და უეჭველზე უგებს, მაგრამ თავს მაინც არ უტყდება. კი, მართალია, შულერი ქურდს მაგნიტზე ვერ დასვამს, ამისი დუხი მაგას არა აქვს, არც ჩაქიმული ზარით გაუმართავს ყომარს, მაგრამ მოხერხებულ დროს, საუბრით გაბრუებულს, კრუტილკას შეაპარებს და დაბზრიალებით ათი გასროლიდან ოთხს მაინც დაუსვამს პირდაპირია ფოსტა გამოსული თუ ვარით.* ასე დაემართათ ფეხბურთელებთანაც. არიფების მხრიდან ხომ ფეხბურთს ოცდამეთხუთმეტე სპორტსკოლა გამოვლილი ოთხი პიროვნება თამაშობდა. ეს სკოლა კი სინამდვილეში თბილისის ,,დინამოს'' ბაზაა. სად მოყვარული და სად პროფესიონალი?! ეს იგივეა, რაც ინალ ბიძია და მამაჩემი ვალერიანი სირბილში გაგვეჯიბრონ ახლებს.

— მერედა ფინალი? — გადაივიწყა წამით უსიამო თემა ალვერ ავიძბამ.

— ჩაერივნენ პასტარონი ქურდები, ივანა ცალხელა, სხვები და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, რადგან დათქმისამებრ თანაბარი უფლებით უნდა გვეთამაშა. ძმის გულს მეტი მოფრთხილება სჭირდება ხოლმე!

— ძმის პატივისცემას და დაფასებას მე ვერავინ მასწავლის. ძმა რომ ვარ იმიტომ წამოვიწყე ეს არასახარბიელო საუბარი, თორემ რა მრჯიდა?! თქვენსავით ფეხბურთსა და მარულაზე დავიწყებდი ლაპარაკს, სირაქლემის მსგავსად ქვიშაში ჩავრგავდი თავს, ცეცხლმოკიდებულ სახლში გამოვკითხავდი მოსკოვურ ამბებს. დევნილ კაცს სათქმელის მეტი რა ექნებოდა, მაგრამ ამ ოჯახში მხოლოდ მამა ბატონმა და მე ვიცით ოთხივ კუთხით ხანძარი რომ გვიტევს, ჩვენ კი რატომღაც არ გვინდა ამისი დანახვა. როგორ ფიქრობ, ჩემმა ხალხმა რომ მომთხოვოს: იარაღს მოჰკიდე ხელიო, თავი ჩავღუნო?

არიქა, ბატონო, ენგურს გაღმა ჩვენი ძუძუმტე როკი ოდიშელიას ხათრით ბრძოლის ველზე ვერ გამოვალ. დაე, ქართველებმა ჩვენი ბავშვების მომავალი უმოწყალოდ გათელონ ფეხით-მეთქი, განვაცხადო, ვიქნები ჰაკის ღირსეული შვილიშვილი?

— შენ უკან დასაბრუნებელ ხიდს არ იტოვებ, ძმაო. კიდევ კარგი ყველა

შენს ჭკუაზე არა ვართ, თორემ როკისთან ერთად მიგვაყენებდით, ალბათ, კედელზე, — ჩააჩერდა ანატოლი გამომცდელად.

— თუკი ქვეყანამ მოითხოვა?! — თვალები დაუვიწროვდა ალვერს, — თუკი აფხაზი ხალხის მომავალმა ინება?! მთელს ოჯახს, ჩემო ანატოლი, მამა ბატონისა და შვილების მეთაურობით. საკუთარ თავსაც და ჰაკი ბაბუას ძვლებსაც კი მივაყენებ იმ კედელთან, უბედური სამშობლოს განსაცდელი ნუ დამაჭირვებს თორემ!

— დამიწყევლია ასეთი სამშობლო! — გაცხარდა დაურ ავიძბა.

— ხედავ, როკი, შვილო, სანამდეა საქმე მისული?! — ჩაილაპარაკა ყრუდ ოჯახის უფროსმა.

— ალვერი როცა ამას ამბობს, ოზგანებს, ხიჟბებს, ბარციცებს და არძინ-ბებს რა უნდა მოვსთხოვო?! — სიგარეტი ნერვიულად მოქაჩა ანატოლმა.

— ამ უბედურიშვილს ბრმა სიყვარულისგან მოსდის ყოველი. ჰგონია, თითქოს ჩვენი სასოწარკვეთილი ისტერიკის მიზეზი მართლაც ქართველო-ბაა, — დაური გაფითრებულ ძუძუმტეს მისჩერებოდა, იცოდა როკის ხასი-ათი, თუკი ძმის მომწამვლელ სიტყვებს რაღაცნაირად არ გააბათილებდა, ინ-ცინდენტი გარდუვალი იყო, ოდიშელია არაფრისდიდებით შეარჩენდა ნაბო-ლარას შეურაცხყოფას, — ის კი ვერ შეუგნია, გუდაუთის იდეოლოგია საშ-ვილიშვილოდ რომ შხამავს ახალგაზრდობას. დაძვრებიან მოსკოვში, შემწვა-რი გოჭებითა და კონიაკებით. შანიბოვებს კონფედერაციის დედაქალაქად სო-ხუმს სთავაზობენ.

შონე მაძირაფუქ ეჭოფუა,8 გამიგონია ვერა მაკსიმოვნასგან. გაგინთა-ვისუფლებენ ისინი ქართველებისგან სამშობლოს და ალვერის, ანატოლისა და დაურის ბავშვებს შეარჩენენ მერე ედემის ბაღნარ აფხაზეთს! შენს ქრის-ტე ღმერთს, ილორის წმინდა გიორგის და ფუძის ანგელოზს, ისეთ ადგი-ლას შეაძვრენენ, აქლემს უფრო გაუადვილდება იმ ყუნწიდან გაღწევა, ვინემ მაგათ.

ბოლოს, რომ მომიწანწალდები კარზე გარუსებული უსამშობლო მუჰ აჯირი, ასევე პირში ჩალაგამოვლებულ, გაივანებულ, უარაფრო მუჰაჯირს, კი, მოგიხუტებ მკერდზე ცთომილ ძმას, ჩემი სამშობლო ხომ თქვენი და თქვე-ნი ოჯახების ჯამია, ცხადია, წინაპართა ძვლებთან ერთად, სხვა არაფერი; ცრემ-ლიც მომერიოს იქნება, მიწის პირისგან აღგვილი მამულის გამო, მაგრამ ათ-ჯერ რომ მოჰკლან აბელი, კაენს არასდროს გაიმეტებს სადანედ. ამიტომაც არის უძლეველი ქრისტიანული სიკეთე. დღეს კი მართლმადიდებელი აფხა-ზეთი პატივაყრილია მაჰმადიანურის მიერ.

— ასეთი ანგელოზი დედ-მამისა და ძმების პატრონს, მიკვირს დაურ, ჩემო, ამდენი ბოღმა გულში საიდან მოუგროვებია? ძმას მეძახის და ამ დროს

ავადმყოფი ვალერიანი და თქვენი გიგასხელა ნიკა კედელთან მიმიყენა საკუთარ თავთან თუ ჰაკი ბაბუას ძვლებთან ერთად.

მქონია მე საუბარი მოსკოვში შენისთანების დამქოქავ ხალხთან, — მიუბრუნდა ახლა ალვერს, — ერთი ბოთლი კონიაკის შემდეგ სხვანაირად რომ აჭიკჭიკდებიან ხოლმე. კინოებიდან მაინც გაიხსენე ჰიტლერის ფანატიზმმა გერმანელ ერს წირვა როგორ გამოუყვანა. არც ლენინ-სტალინის უტოპიურმა კომუნიზმმა დააყენა კარგი დღე ჩვენს ხალხებს. გლასტნოსტი და პერესტროიკა დაარქვეს ვითომ ჩვენი საზოგადოების ძირეულ გარდაქმნას. სინამდვილეში შინაარსი იგივე დარჩა. ჭურჭელს რა მნიშვნელობა აქვს თუ ღვინოს მაგივრად ისევ შხამს მომაწვდი?! ვაჟა-ფშაველას სტუმარ-მასპინძელი ხომ წაგიკითხავს?

— კი, ბავშვობაში გვასწავლეს ძალით! — თქვა რამდენადმე შემდრკალმა ალვერ ავიძბამ.

— შეძლიებული ოქრო სპილენძად გადაიქცაო, უყვარდა თქმა ცხონებულ ძაკა ბაბუას. ახლა წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავარდება ის ბაჯაღლო დაძალებულიც თუ არის?! ჯოყოლა ალხასტაიძე გახსოვს იქიდან?

— არა.

— ასეც ვიცოდი. თქვენი ჯიშისაა, ღირსებით აღსავსე პიროვნება. არ გესწავლებათ, მუსულმანურ სამყაროში სტუმრის კულტია საერთოდ და აი, თურმე ძმისმკვლელი ზვიადაური მოუპატიჟნია შინ ქისტ მონადირეს და როდესაც გამჟღავნდება ხევსურის ამბავი, თემმა აჯობა კონკრეტულ ადამიანს, თუმცა სიმართლე მის მხარეზეც იყო — სტუმარი ხელშეუხებელია იმავე ადათ-წესით. მოკლედ, აჯობა ალხასტაიძეს უმრავლესობამ და შეურაცხყოფილი მასპინძლის სტუმარი საზვარაკო ხარივით დააკლა დარლას საფლავს. იმ ალხასტაიძემ ძმისმკვლელი თუ შეიფარა, ბოლომდე თუ უერთგულა და თავიც კი დასდო მისთვის, შენი სიტყვებიდან გამომდინარე, ძმასავით საყვარელს კედელთან მისაყენებლად მიმეტებ, თუკი ქვეყნის ინტერესებმა მოითხოვა, თუნდაც იგი ანტიადამიანური იყოს?! ააა? სიტყვა უფრო მემწარა, ვიდრე მოსალოდნელი ის ტყვია. ცხონება პაპაშენ ჰაკის, მაგრამ აგერ, ინალ ბიძიაც დამემოწმება, ორი საუკუნეც არ არის გასული, რაც თქვენი ჯიშჯილაგი აფხაზეთში დასახლებულა. მშვენივრად ვიცით ამის თაობაზე, მაგრამ იმპერია პირში ქვას ჩრიდა ჩვენს მეცნიერებს ჩვენი მარიონეტული მთავრობების მეშვეობით. გამოდის, რომ იმ მიწისთვის უნდა მიმაყენო კედელს, ოთხიათას წელიწადზე მეტი ჩემია და შენი მხოლოდ ორი საუკუნე?!

— ეს ყველაფერი ქართველი ისტორიკოსების მოჩმახულია, — გაცხარდა ალვერი, — წაიკითხონ ვორონოვი და ყველაფერს მიხვდებიან.

— ვისი დამქაშები არიან შენი აზრით ვორონოვები, აფხაზების, ქართველების თუ რუსებისა? ჩვენზე ზრუნვით ძილი გაუკრთეთ ბედოვლათებს იქნება?! ათას რვაას სამოცდა ექვს წელს აფხაზეთში იფეთქა ანტიფეოდა-

ლურმა და ანტიკოლონიალურმა აჯანყებამ. ასეთი რამ სამეგრელოშიც მოხდა უტუ მიქავას ხელმძღვანელობით, ხოდა, მაშინ იყო ათეულათასობით აფხაზი ოსმანთა იმპერიის ფარგლებში რომ გარეკა, განურჩევლად ქრისტიანისა თუ მაჰმადიანისა, მათი მიწები კი გულუხვად დაურიგა თავიანთ ჩინოსნებს. რომ ამბობ რესპუბლიკა დავაარსეთო, ვინ მოგანიჭებდათ თქვენ რესპუბლიკის სტატუსს, მილიონზე მეტი თუ არ იქნებოდით, საბჭოური პრაქტიკიდან გამომდინარე?! მოსახლეობის მიგრაციაც ამიტომ დასჭირდათ, რათა მერე გაეაფხაზებინათ და სართანია აფხაზი ძმა სართანია ქართველის წინააღმდეგ გამოეყვანათ. მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოს არ ახსოვს. თქვენი ინგლისელი სიძე, ჯორჯ ჰიუტი, გვარით კიუტებს რომ ენათესავება და ფიზიონომიით ღვთაებრივ ბაირონს, ის გენია ფეხით კოჭლობდა, ეგ ბედოვლათი კი — ტვინით, გისისინებთ ბუჩქებიდან:

აბა, დადგეს თქვენს გვერდით ჰაროლდის ავტორივით თუ ბიჭია, მერე არც მე შემეშინდება კედელთან მიყენების ბაბუა ჰაკის წმინდა ძვლებს ჩახუტებულს. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მე გადავეფარები საიმისო ტყვიას. როცა კაცი ძირფესვიანად გიყვარს, მაშინ სიკვდილი იოლია ჩემო, ალვერ, და ჩემი სათქმელი ბოლომდე რომ გითხრა, ძიძიშვილო, ბრძანე ერთი, ვისი იყო საუკუნის წინ სოჭი?!

— ვისი და ჩვენი!

— კონკრეტულად მიპასუხე.

— ჰეი, ვარა, აფხაზების!

— კარგი, არ ჩაგიჟინინადები. ჯერ ერთი, საქართველოსი იყო ტერიტორიები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, მაგრამ ორჯონიკიძეების წყალობით გავასაჩუქრეთ მამაპაპური მიწები. რა ენაზე საუბრობენ ახლა იქ თითზე ჩამოსათვლელი აფხაზები და ქართველები?

— რუსულად.

— აგაშენა ღმერთმა! ამისთანა მაგალითი როცა წინ გიდევს და რატომ ggონია, შენს სააფხაზოს ხვალ და ზეგ სხვა ბედი ელის?! ახლავე ჩამოგითვლი რამდენიმე სიტყვას: აპორიადოკ, ანაუკა, აოჩერკ, ასტეპენ, აიაშჩიკ, ვინ შემოგიცურათ ესენი, ქართველებმა თუ რუსებმა? ბრძოლის ფორმები იმპერიას უკიდურესად აქვს დახვეწილი, ძიძიშვილო. გათიშვის მეთოდი რომაელებისგან გადმოიღეს, ხოლო წასისინებისა — ინგლისელებისგან. ჰიუტებმა ჯერ თავიანთ პრობლემებს მოუარონ დიდ ბრიტანეთში, ირლანდიელების და შოტლანდიელების პრობლემებს და საჩვენო დრო თუ დარჩათ, ბარაქალა მათ მოცალეობას.

ინგლისელები პატარა ერების განადგურების სპეციალისტები არიან. აპაჩების ტომის ხალხს კამანჩების ისრებით ხოცავდნენ და ასე შეაკლეს ერთმანეთს გულუბრყვილო ინდიელები. ნუთუ ეს გაკვეთილად არ კმარა?! შენ რომ გეთქვა, მორდუშვილო: ასე და ამგვარად ფიქრობს ჩემი თაობა, მაგრამ ვინც ჩვენი ოჯახებისა და ტრადიციების ერთგულთა კედელთან მიყენებას გა-

ბედავს, პირველი მტერი მე ვიქნებიო, მაშინ ნაღდ აფხაზად ჩაგთვლიდი და დავრჩებოდი კიდეც სუტკანახევარი პირში ხეირიანი ლუკმაჩაუსვლელი სტუმარი გულღიად მორთმეულ სუფრასთან, მაგრამ სამუდამოდ რომ დაგამახსოვრდეს დღევანდელი საუბარი და ჩემმა სიტყვებმა იმ კედელთან მიყენებული ხალხის მისამართით თოფმომარჯვებულს სასხლეტის გამოკვრამდე ხელი რომ აგიკანკალოს, იმიტომაც გემშვიდობებით. ჩვენს უღელტეხილს აფხაზეთში მარტოკა სახელი შერჩა — ჯუბგა, შინაარსი და ხასიათი კი აბსოლუტურად შეეცვალა. იმპერია თქვენი ხელით აპირებს ნაკვერჩხლის აღებას, და ეს რომ ვერ დაინახო, მართლაც ბრმა უნდა იყო, ან გულქვა ეგოისტი, რომლისთვისაც ყველაფერი სულ ერთია: საიდან ჰყავს დედა, მეუღლე, რძლები. იცოდე, ფანატიზმი ორივე ერს უფსკრულის ფსკერზე ამოგვაყოფინებს თავს და იძახე მერე რამდენიც გინდა, მდინარეში დახრჩობას ზღვაში დაქვესკნელება მიჯობსო.

მტრობის დანგრეული სიყვარულს უშენებიაო, ბრძანეს ჩვენებმა და მიუგდე ყური ამ ხმას, მორდუშვილო.

წავედი ახლა, — თქვა მოჭრილად, წამოიმართა და ატყდა კაცების შელაპარაკებით აივანზე გამოშლილი ქალების წიაქი, ინალ ავიძბას ბურტყუნი, უფროს ძმებს კი კრინტი არ დასცდენიათ, მხოლოდ ეგ იყო შეწუხებულნი მოსდევდნენ გუდანაბადაკრეფილ სტუმარს, თან დრო და დრო ნიშნის მოგებით მოხედავდნენ ხოლმე თავჩაქინდრულ ნაბოლარას, უსიტყოდ კილავდნენ მოუზომავი რატრატისთვის: ესეც შენი სანაქებო მასპინძლობის მადლიო, თვალებით გმირავდნენ სისხლხორცს.

— დარჩით, დარჩითო, — ეხვეწებოდნენ ეზოში ჩამოშლილი რძლები, ბავშვები, მაგრამ „მალე გინახულებთ, მოვესწრებით, შინ ავადმყოფი მამა მელოდებაო“, პოულობდა უტყუარ საბუთს როკი.

დაძაბულობის განსამუხტავად ოდიშელიამ ჭიშკართან მოგროვილ პატარებს ხუჭუჭ თმაზე მიეფერა სათითაოდ. ჩაჯდა მანქანაში, დაქოქა და ნელი სვლით დაუყვა თემშარას.

ათიოდე წუთში როკი უკვე ცენტრალურ გზატკეცილზე მიქროდა მტრედისფერი „ოცდაოთხით“. სინდისიც ქენჯნიდა სადღაც, ასე გამეტებით რომ აუკრა სუფრაზე ხელი სათაყვანებელ ხალხს, გული რომ დაუკოდა აქვითინებულ მორდუს, რომელმაც ფეხშიშველად მისდია შუკის ბოლომდე.

— ალვერის გამო ხაზი უნდა გადაგვისვათ, ნანაგე, ყველას?! — ქვითინებდა ვერა მარშანია, ორივე ხელით ჩაფრენოდა მინაჩამოწეული კარის ჩარჩოს და ასე აპირებდა ოდიშელიას დაოკებას.

— მორდუ, არ მითქვამს იქ თორემ ალვერის ნაკლები ნაწყენი ვარ, ვინემ — ანატოლის და დაურის. დიდი შეღავათი თვითონ თუ არ მოაწერეს წერილზე ხელი! რატომ წაუყრუეს ამისთანა საშინელებას?! მთელი თვეა ხმა არ ამოუღიათ და არც აპირებენ ამას. რატომ, რატომ არ იყვირეს სახალხოდ: არიქა, ხალხნო, აძიუბჟელი ავიძბების ოჯახიდან მხოლოდ უმცროსი

შვილი ალვერი აწერს იმ წერილზე ხელს, თორემ დანარჩენი შვიდი ყალბიაო?! რატომ არ იყვირეს საქვეყნოდ: წაშალეთ, ბატონებო, იქიდან მამა — ინალ ავიძბას, დედა — ვერა მარშანია-ავიძბას, შვილების — ანატოლ და დაურ ავიძბების, რძლების — ქეთი ანჩაბაძე-ავიძბას, ციური აბაშია-ავიძბას, დალი ლაკობა-ავიძბას ხელმოწერებიო?! რატომ გამომისვით ყველამ ყელში დანა, მორდუ?! — ცხარე კურცხლებს ყრიდა როკი.

— ჩვენ არავის მოგვიწერია ხელი, ნანაგე. ეს ყველაფერი უხანეგ ალვერის ნამოქმედარია. აპატიე შენს მორდუს! ოღონდ ახლა დარჩი, ოღონდ ახლა მობრუნდი და დედაშვილურად გპირდები, მე თვითონ გამოვასწორებ იმ შეცდომას. ხვალვე ჩემივე ფეხით ჩავალ სოხუმში, ყველაფერს განვაცხადებ ჩვენი ოჯახის სახელით, ოღონდ დაბრუნდი!

— იცი შენ ჩემი ხასიათი, მორდუ! იცი, როგორ მიყვარხართ ყველა. სწორედ ეგ მაიძულებს დაგტოვოთ ახლა. დაღუპვის გზაზეა შემდგარი მთელი აფხაზეთი, მთელი საქართველო. შენი მორდილი აქამდეც მდგარა ავიძბების ღირსების სადარაჯოზე: დანიანი კაცის შინებია და აღარც — თავზეხელაღებული ბრბოსი. იციან ამის შესახებ ბიჭებმა. გულიც ამიტომ მეთუთქება. შენ არ გვასწავლიდი განა; შვილებო, სამშობლო არის მთავარიო?! შენ არ გვასწავლიდი განა: ყელში სული რომ გიხანტალებთ, ისიც მამულისააო? რანაირად დავბრუნდე ახლა ნებით თუ უნებლიეთ ჩემი ქვეყნის დამამხობლებთან? ღმერთმა ნუ ქნას და ათასებიც რომ წამოვიდეს ავიძბების ოჯახის დასაქცევად, ყველას გადაეღობება როკი ოდიშელია, მაგრამ ამჯერად უკან მობრუნებას ამაოდ მთხოვ. მე მანქანა არა ვარ, მორდუ, უკან დასაბრუნებელი სიჩქარე მქონდეს! — ამბობდა როკი და თანდათან უმატებდა სისწრაფეს. ქალი კვლავაც ორივე ხელით ებღაუჭებოდა მინაჩამოწეული კარის ჩარჩოს. ოდშელიამ აკოცა იმ ნაჯაფარ და სისხლმოწოლილ თითებს, რომელთაგან ჯერ მარცხენა ჩამოშორდა ნიკელის ზოლს, მერე — მარჯვენა და საყრდენწართმეული ხელებიც მყისვე თვალებს ეძგერნენ ბრალეული შვილების გამომზრდელთა ცრემლში განსაბანად.

ავიძბების შუკიდან ცენტრალურ გზატკეცილზე გამოღწეულ როკის არანაკლები წუხილი გამოჰყვა ძუძუმტეებისგან, ვინემ ცხრა აპრილის თბილისურმა ტრაგედიამ აგემა. უკვე კბილების ღრჭიალით მიეჩქაროდა აქამდე აღუსრულებელ საქმეს — არდაშელ ჰალიძონიას მიწასთან გასწორებას მორალურად თუ ფიზიკურად.

ქუთაისის ციხეში ასეთი სურათი დახვდა ოდიშელიას. ციხის უფროსი კაპანაძე და მისი მოადგილე რეჟიმის დარგში პაიჭაძე ახალი გადმოყვანილ-დანიშნულები არიან, რათა მსოფლიოში გაუგონარი, პრაქტიკულად განუხორციელებელი გიჟუას გაქცევის შემდეგ, წესრიგმოშლილი ციხე თავიანთ ჭკუაზე მოიყვანონ.

იმ გაქცევის თაობაზე დიდხანს იქაქანებს მსოფლიოს რადიოსადგურები სხვადასხვა ტალღაზე. მათ შორის ფლაგმანობას არავის უთმობ

„თავისუფალი ხმა ამერიკიდან“. ეს უკანასკნელი, თითქოს აქაურ პატიმართა თანასაკნელიაო, გასაოცარი სიზუსტით გადმოსცემს საბჭოთა ტუსაღის ყოვლადაუტანელ საცხოვრებელ პირობებზე, ენითაღუწერელ ანტისანიტარიაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ პოლიტპატიმრების ფსიქოლოგიურ დაწოლაზე, თუ რა ბარბაროსული მეთოდებით ახერხებენ მათ მოთვინიერებას, როგორ დაუნდობლად ებრძვიან ეროვნული გმირების ავტორიტეტის შელახვას, კომპრომეტირებას.

მათ შორის აღნიშვნის ღირსია ორი: ზვიად გამსახურდიას მონანიების ჩანაწერის მთელს ჯურღმულებში უთვალავჯერ დატრიალება და მერაბ კოსტავას ჯერარსმენილი ამტანობის გასაცამტვერებლად მის მეუღლეზე დაყრილი უხამსი ჭორები, რომლის გამო თავიც კი ჩამოიხრჩო ზრდასრულმა მემკვიდრემ.

ყვებოდნენ საშინელებებს, თუ მამათმავლების საკნებით როგორ არჯულებდნენ ურჩებს. გადმოსცემდნენ ამაზრზენ რეალობებს, თუ ერთმა პოლიტპატიმარმა როგორ მოითხვარა სხეული საკუთარი განავლით და რანაირად შეინარჩუნა თვეობით სულის უმწიკვლოება, მაგრამ ჩვენ უმჯობესია გიჟუას საარაკო გაქცევას მოვუბრუნდეთ.

ქუთაისის ციხის შიგაგანაწესის მიხედვით პატიმრები ყოველდღე გაჰყავთ სუფთა ჰაერზე სასეირნოდ ორმოცდახუთი წუთით. საკნებიდან გამოლალავენ ტუსაღებს, ჩამოიყვანენ ბაქანზე და იქიდან სასეირნო ეზოში უკრავენ თავს. ვიდრე ლოგინების შმონი მიდიოდა, გიჟუა გაექცევა ზედამხედველებს, აირბენს სახანძრო კიბით ციხის სახურავზე და ტრუსის ამარა მზეს მიეფიცხება. რეჟიმი სუსტია ქუთაისის ციხეში. ფულით ხელებგაქონილი ზედამხედველობა ადგილობრივ გიჟუასთან კონფლიქტს ერიდება. შეუდარებელი შემართებისა და რეაქციის პატრონი გახლავთ. ჯანიც საარაკო მოსდგამს განგებით. ბუნებრივ მონაცემებს ყოველდღიური ვარჯიშით უფრო და უფრო ივითარებს, ასე რომ, ყოველ გასეირნების დროს გიჟუა შეაჩვევს ზედამხედველობას სახურავზე ასვლას.

— ვინ არის მანდ რომ ზის? — იკითხავს უფროსობა და ხელად უპასუხებენ:

— გიჟუაა. დამთავრდება ორმოცდახუთი წუთი და ჩამოვა.

ყველა შეეთვისება ამ სიტუაციას, ლამის დაკანონდება. ამ დროს გიჟუა გულხელდაკრეფილი არ ზის ციხის სახურავზე მზის კბენია სხივების ხათრით. გულდასმით სწავლობს ცხრაკლიტულის რელიეფს, შენობის სიმაღლეს, მანძილს სახურავიდან ქუჩამდე, დაცვის სიფხიზლის ხარისხს გასეირნების პერიოდში. მერე შეხვედრაზე დაიბარებს გამზრდელ უფროს და ნათელას და როგორც ბავშვობაში სჩვეოდათ, ტუჩების მოძრაობით ეტყვის: ამ და ამ დღეს, ამ და ამ საათზე, ზუსტად ამ და ამ ადგილას ქვი-

შით დატვირთულ რვაცილინდრიან მანქანას მოაყენებ ზაპრეტკასთან, სწრაფი გაწევისაა. შენ კაბინაში დარჩები, მძღოლს კი ვითომ ძრავა გაუფუჭდა, დანარჩენი მე ვიცი.

მოვა მორიგი გასეირნების დროც. აჰა, გიჟუაც ჩვეულებისამებრ სახანძრო კიბით მიემართება სახურავისკენ. მერე აკეთებს გარბენს, გადააფრინდება თვრამეტმეტროიან ზაპრეტკას, პირდაპირ ქვიშით დატვირთულ მანქანაზე ეშვება. აქამდე ყელში ძვალგაჩხერილი ძაღლივით ახრიალებულ რვაცილინდრიანს წამში დაქოქავს მძღოლი და გაღმუვლდება ქალაქის ქუჩებში.

ეს გაქცევა გიჟუას ლეგენდარულ ავტორიტეტს შესძენს. მოგვიანებით იგი კანონიერი ქურდიც გახდება. როკი ფიზიკურად არასდროს შეხვედრია გიჟუას, დაუსწრებლად იცნობენ ერთმანეთს მისი თანამოსაქმისგან, მთელს კავშირში სახელგანთქმული ქურდული მუჟიკისგან, ჯაჯუ ჯანელიძისგან, რომელსაც კალენდრულად მოუხდია ოცდაოთხი წელიწადი. ზალატაუსის დაკეტილს ისე სუფთად გაივლის, ბარე ორი ქართველი ვერ დაიკვეხნის. ნაცნობობა თავიდან არც ჯაჯუსა და ოდიშელიას აქვთ. იგი როკის უფროს ძმასთან, გივისთან ერთად იხდის სასჯელს წულუკიძედ მონათლული ხონის პირველ ზონაში, წიაგოს, თაგუნას, ჭიპიასა და სხვების მხარდამხარ. ოდიშელია ამავე რაიონის მეორე ზონაში ქუხს ცალხელა ივანას, გივია ხონელის, გრიშა დარბაისელის, ძმები ავიძბების თუ ანზორ აღაიანის თანამოსაქმე ქურდული მუჟიკის, დულიკო დონდუას გვერდით. ხოლო როკი ჯაჯუ ჯანელიძეს მოგვიანებით გაიცნობს ზუგდიდ-ქალაქში. ერთი სადავო საქმის გამო ჩამოიყვანენ და ავტორიტეტიან ხალხს მოსკოვიდან ადგილობრივი ქურდები, ჩამოიყვანენ ასსებს, რომლებიც ფაქტობრივად მთელს კავშირში დამნაშავეთა სამყაროს იდეის კლიმატს ქმნიან.

ათი სული ქურდი შეიკრიბება ჭითაწყარის რესტორანში. ხოლო ჯაჯუს და ერთ ხონელ ქურდს დათქმულ ადგილას გამოგზავნიან. საუბარია დიდძალ თანხაზე, რომელსაც შანტაჟით აწერენ როკის განუყრელ ძმაკაცს. ოდიშელია ყოველმხრივ მომზადებულია, ოღონდ არ იცის განეცი, იგივე შიკრიკი ვინ იქნება. კონტრდარტყმა უმაღლეს დონეზე მოუფიქრებია. მოკლედ, დახვდებიან ჯაჯუ ჯანელიძეს როკის მეგობრები. წამოიყვანენ ფულის მისაღებად ოდიშელიებთან. ჭიშკარზე მიადგებიან ოცდაოთხით. მგზავრები ერთმანეთს ასხედან. ბიჭები საკმაოდ დამანდრაჟებულან, მაგრამ გამოჩნდება თუ არა ჯინსებსა და ფართეფარფლიან შავ ცილინდრში გამოწყობილი როკი, შვებით ამოისუნთავენ. ეს უცაბედი გარდასახვა სტუმრებსაც არ გამოეპარებათ. ორი ,,ტეტე'' ქამარში გაურჭვია ოდიშელიას ზურგს უკან. იციან კურტაკის ჯიბეები ლიმონკებით გამოუტენია. რუსული ფულით სავსე დიპლომატი არსად ჩანს. უკიდურესობამდე შემჭიდროვდებიან.

— ახალსოფლის ჩაის პლანტაციაში, თამარა ყუფუნიას ბრიგადაში, —

მიუთითებს სვლა-გეზს როკი. მეჩაიე ქალების დედაბოძი გარდაცვლილია უკვე, მაგრამ უბანს მისი სახელი შემორჩენია კვლავაც. ჟენია ქირხეს წლების მანძილზე აქ უბრდღვნია ჩაი და უკრეფია ეკალა მშიერი ბიჭების დასანაყრებელი ფხალისთვის. ერთობ მივარდნილი ადგილია. გაივლიან სამი კილომეტრს. ირგვლივ ტყეა, შუაში ჩაის მწკრივები.

ოდიშელია მანქანაში ჩაჯდომისთანავე მიუბრუნდება ჯაჯუს და ეტყვის:

— არ შეგეკითხები ვისი გამოგზავნილი ხართ, რადგან ჩვენი ხალხიც კარგად მუშაობს. დაწვრილებით ვიცით როდის შემოხვედით ზუგდიდში, რა მანქანებითა და რანაირი ნომრებით. ახლა რომელ რესტორანში გელოდებათ რვა კაცი. იქ ორი ჩვენი ძმაკაციც ურევია. — ეტყვის ამას და მერე სანამ პლანტაციას არ მიადგებიან კრინტი არავის დასცდება. აქ კი ოდიშელიამ ისევ განაახლებს საუბარი:

— დარწმუნებული ვარ თქვენ და თქვენმა ხალხმა არ იცით სად მოდიხართ შესაწერად, რა კაცთან, თორემ არ იკადრებდით სახელის გატეხვას. იმ ადგილობრივ ახალგაზრდა ქურდს, ვინაც თქვენ შეცდომაში შეგიყვანათ და ამ სიშორიდან შეგაწუხათ, მე თვითონ მოვუვლი. იმან და მისი კუტოკის ბიჭებმა ჩემი მეგობრის წარმოების ბუღალტერია გატეხეს ღამით. საბუთებით გატენილი ექვსი საქაღალდე წაიღეს. რომელ წარმოებას ჰქონია დალაგებულად საქმე, ჩემი ძმაკაცისას რომ ჰქონოდა და დაუწყეს ტელეფონით დაშინება: ობეხეს გადავცემთო. დამეთანხმებით, რომ ეს ყოველივე ტიპიური შანტაჟია. ქურდებგარეულ ამისთანა საქმეს განხორციელება არ უწერია, რადგანაც ამგვარ ბოზურ საქციელს ნივრედნი მუჟიკიც არ იკადრებს. ამას მხოლოდ ისეთი ხალხი იკისრებს, როგორც რუსები იტყვიან: ნიჩევო სვეტოვი ნე იმეიუტ.8 და ბოლოს და ბოლოს რომც იკისრონ, რაღა მაგათთან გადაყაროს ასი ათასი მანეთი? ათიათასს დახარჯავს ობეხეში და პირზე კოცნითაც დაშორდებიან.

— ჯაჯუ ვარ მე, ჯანელიძე, — ამბობს განეცი.

— მე კიდევ ჩორნაია პანტერა. სად არის ზუგდიდში შესაწერი ფული? ჩვენი ხალხი კავშირის სხვადასხვა ქალაქებში დადის საშოვრად. ისღა გვაკლია მალალეტკური შანტაჟებით აქედან ფული გავიდეს, — და იქვე დაამატებს, — გადაეცით იმას, ვინც ეს დრამა კარგად ვერ დადგა, სადაც თავისი დაიკვეხნოს, იქ ჩემიც თქვას!

დამშვიდობების წინ ჯაჯუ და როკი გადაკოცნიან ერთმანეთს და თავთავიანთ გზას ეწივნენ.

ქუთაისის ციხეში კაპანაძისა და პაიჭაძის გადმოყვანის შემდეგ იქაურ პატიმარს ტუსაღს ვერ უწოდებ, უფრო გერმანელების საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეებს ჰგვანან. განსაკუთრებით პაიჭაძემ გაითქვამს სახელს მთელს სამმართველოში, როგორც ნომერ პირველი ჩეკისტი. ხალხს ეტაპში მოყვანის დღეს, განურჩევლად ეროვნებისა და ასაკისა, გისოსების სასინჯი ხის

ურეოების ცემით ამახინჯებს. თვალწინ ჩაამწკრივებულ პატიმრებს ციხის შენობის პირველი სართულის დერეფანში მარტო თვალის დახამხამების უფლება ჰქონდათ.

ოპერი საბუთების დასტას დაილაგებს პატარა მაგიდაზე. ამოიკითხავს გვარს. გაეპასუხები. გეკითხება დატუსაღების მიზეზს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ყველაფერი ჩინებულად წერია. ზურგს უკან ხელებდაწყობილი პაიჭაძე ბოლთას ცემს ენაგადაყლაპული რიგის წინ. დააკმაყოფილებ ოპერის შეკითხვას და რეჟიმის გამგებელიც მკვეთრად შემოტრიალდება შენსკენ.

— მაშ მოიპარე, არა? — ისე დააგრძელებს ბოლო სიტყვას პაიჭაძე, თითქოს ხაზალიების გარმონი გაჩრია ყელში. პირველი დარტყმის უფლებით, დადიანებისა არ იყოს, პაიჭაძე სარგებლობს. თუ არ წაიქცევი, მაშინვე დაესევიან, დაამტვრევენ ურეოებით, ააყმუვლებენ, მიასიკვდილებენ, თუმცა უკეთესი დღე არც წაყირავებულს ადგას.

— შენ რაზე ზიხარ? — ჩაეძიება ოპერი მომდევნოს.

— ქურდობის მცდელობისთვის, — თავს მოისაწყლებს პატიმარი. ოპერის დასმულ შეკითხვაზე ტუსაღი ანგარიშს პაიჭაძეს აბარებს.

— კი, მაგრამ ბაითში შეხვედი, უნაკოლოდ ხომ არ ხდება ეგ? დაგაბრმავა ძვირფასეულობამ და ოქროულობამ, არა?! რა ქონება დაუკარგავს ახვარს?! — გამოსცრის კბილებში და რომ გაუქანებს მარჯვენას მკვდარივით დააგდებს ძირს. მერე შედგებიან ფეხებით დანარჩენნი და თინთუშას ლავაშივით დააბრტყელებენ.

— შენ რა გმირობისთვის გვესტუმრე? — დავიწროვებული თვალებით მიისაკუთრებს ოპერის მოვალეობას აზარტში შესული პაიჭაძე.

— გაუპატიურებაზე, უფროსო! — ამოიკნავლებს მოძალადე, — ცოლად მინდოდა, მაგრამ მშობლებმა წამართვეს, — მდგომარეობას იუმჯობესებს ტუსაღი.

— კი, მაგრამ დედამ თვრამეტი წელიწადი გამოზარდა ანგელოზივით გოგო. შენისთანა ქეციანი პეტუხისთვის უნდოდა? — დაარტყამს, გაასწორებს მიწასთან და დააყოლებს, — ქოთი მაგას! — ციხის ადმინისტრაციისთვის ეს მითითება სრულიად ზედმეტია, მათ უკვე ჩინებულად აუღიათ ალღო თავიანთი მოვალეობისთვის.

— თქვენ რისთვის დაგვდეთ პატივი? — მიაპყრობს პატიმარს ლურსმანივით თვალებს.

— მცდელობისთვის, — საწყალი ღიმილით ლამობს ჯალათის გულის მოლმობიერებას მხრებში ჩამძვრალი დამნაშავე.

— რისი მცდელობისთვის შე ახვარო? — მიაყვირებს არაბუნებრივი ხმით პაიჭაძე და კბილებიდან ოფლგამოჟონილი ტუსაღიც სწრაფად მიაძახებს:

— გაუპატიურების, უფროსო!

— მერე ანგელოზივით გოგო გეწვა ქვემოთ, ვერ წაართვი ქალიშვილობა? აბა, რა მამაკაცი ხარ შე პეტუხო? უყურეთ, რა მომენტი გაუშვია ხელი-

დან?! — გადახედავს ესესელებივით გულხელდაკრეფილ თავისიანებს. ხევს, დაადგებს და გადათქერავს სხვები.

— შენ, ყველის ვაჭარივით რომ იღმინჭები? — შარს მოსდებს მამა აბრამის ბატკანივით გაბუნჩულებულ პატიმარს.

— მე ავარიაზე, ბატონო, — იტყვის ამდენი წაქცეულისგან სულგამძვრალი შოფერი.

— ბატონო! მნახა აქ სოლომენ მეფე. ამას ჰგონია ავტოკატასტროფის გამო თავზე ხელს გადავუსვამ. გაილეშებოდი სადმე და სიცოცხლეს წაართმევდი უმწიკვლო ადამიანს. ვინც შენ მართვის მოწმობა მოგცა იმისი დედა... — ამბობს ამას პაიჭაძე და დინჯი ნაბიჯებით მოიწევა მწკრივის კიდესთან მდგომი, ოთხ კედელს შორის გაჭინთულისმაგვარ მძღოლისკენ, — შენი გაკეთებული იყო შენი დედა... — ამოჰკრავს ბადექონში ხელებით სახედაფარულს და მოისვრის ორ ნაბიჯზე.

აი, ამისთანა გულისხმიერი მასპინძლების წინ ჩამოამწკრივებენ ერთხელ როკის ეტაპს.

ახალმოსულებმა დაწვრილებით იციან პაიჭაძის სადიზმის თაობაზე. იგივეა სცენა, დეკორაცია, განათება, კოსტუმები. უცვლელია სპექტაკლის მთავარი გმირები. მალე მუსიკალური გაფორმებაც ამოიდგამს ენას. განსხვავება მხოლოდ მწკრივშია და ბუნებრივია, წარმოდგენაც შესაბამისი ნიუანსებით წარიმართება. აჰა, დაიწყებს სეირნობას რიგის წინ პაიჭაძე, ჯერ ოპერმა უნდა შეიყვანოს როლში. თითებს აწკლაპუნებს. ერთი ტუსაღი მოვლენებს დაასწრო და უკან მობრუნებულ რეჟიმისუხუცესს გაბადრული სახით ჰკითხავს:

— ვერ მიცანით, ავთო, ბატონო, კოლეგები ვიყავით, — ის გაჯგიმული მილიციის მაიორი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის იხდის სასჯელს, გამუდმებით აპროტესტებს სასამართლოს განაჩენს და ზონებსა და ციხეებს შორის დააპროწიალებენ აღმა-დაღმა.

— კოლეგაო? — იფეთქებს თავისით ოპერის შეუმზადებლად პაიჭაძე, — ვის შეჰკადრე ნაცნობობა? დაგახრჩობ შენი დედა... — კიტელს გაიხდის და კუთხეში მოისვრის. ნავარჯიშევი ბიჭები ჰაერშივე დაიჭირენ აკრობატული ნახტომით, — შენც მაიორი და მეც?! მთავრობა გენდო, შენ კი დანა გამოუსვი ყელში, — ყანყრატოში წვდება. აახროტინებს თვალებგადმოკარკლულს, დააგდებს და წამოაჯდება ზედ. იმხელა შინაგან წვას და გარდასახვებს ჩააქსოვს ამ მინიატურულ როლს, წუთშესვენება აუცილებელია. მწკრივში სამოცამდე პატიმარია ჯერ, ხომ უნდა აღიდგინოს ერთბაშად გახარჯული აქტიორული ენერგია?! ხოდა, იკრებს ძალ-ღონეს მომავალი შტურმისთვის. თან სამოქმედო არენის — რიგის თვალთვალით ტკბება. თავების სიმაღლეზე უმზერს ტუსაღებს, ვის როგორი აქვს ნიკაპი, ყრიმალი, ცხვირი მუშტის მოსადებად. პატიმარსა და პატიმარს შორის მეტრონახევრის სიცარიელეა.

შემჭიდროვდითო, უნდა ამოთქვას, მაგრამ თვალები გაოცებისგან უფართოვდება. ამჩნევს ოთხი არესტანტი როგორ არხეინად მოკალათებულა ზურგჩანთაზე, თითქოს რომელიღაც უსახელო მწვერვალი დაულაშქრავთ და უკვე ჩამოვაკებულნი სხეულებს ასვენებენო. ოთხეულიდან ერთს ჩინებულად იცნობს პაიჭაძე. ორმოცდაათიოდე წლის ჭიჭინაძეს თმა მხრებამდე სცემს ოცეოლასავით. უდრეკლობითაა განთქმული მთელს ქუთაისში. დაატაკებდა თავის „პობედას“ გასტრონომის ვიტრინას. მანქანიდან ჩამოუსვლელად ტკიცინა ოცდახუთმანეთიანს მიაწოდებდა გაფითრებულ გამყიდველს, ბოთლ ლუდს ან არაყს გამოართმევდა, ხურდას იქვე უტოვებდა მინის საფასურად. კოლეგის დამუშავებით გართული პაიჭაძე რას გაიგებდა იაშა ჭიჭინაძის ბიჭებში გადალაპარაკებას:

— თუ რამე, ბოლომდე ვიჩხუბოთ, ძმებო! — ამოთქვა და ჩამოჯდა რუკზაკზე. სამოცი კაციდან მხოლოდ სამი მიჰბაძავს ქუთათურს — ოდიშელიამ ძუძუმტე ავიძბებით.

— რატომ შეჩერდი, დაიღალე ახვარო? — ეუბნება უცერემონიოდ კოლეგაზე წამოსკუპებულს იაშა ჭიჭინაძე, მაგრამ ვინ არის ხმის გამცემი? ამ თავზეხელაღებულს პაიჭაძეცა და კაპანაძეც საკმარისზე მეტად ცნობენ. საშარო თავი ვისა აქვს?!

— იაშა, ხომ ხედავ რა პატივში მყავს ზოგიერთი პატიმარი? — იკრიჭება ოქროთი გამოტენილი პირით პაიჭაძე.

— წადი შენი შაკალი დედაც... — კბილებში გამოსცრის ჭიჭინაძე, — ვინმეში ხომ არ გეშლები, შენი აკრობატისტი დედა... საცოდავ ხალხს რომ იბრიყვებ, შენისთანა ქაჯუნიებს, არაფერი შეგეშალოს, თორემ ცემით კიბოს გაგიჩენ. შენს სისხლს ერთ სუტკაში ურნაში გაუშვებენ.

უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო: ჩაგიგდია უპატრონო ციხეში ვლასტი8 და გულაობ. იმ ქურდების დედა... — კვლავ შეიკურთხება იაშა ჭიჭინაძე, — ვინც აქამდე მიგიშვათ და პალაჟენია გაგაფუჭებინათ! სამ დღეში ჩემს ჭკუაზე მოვიყვან ციხეს.

— კარგი, მორჩი, რას ბუინობ, შენ ხომ არ გეხებიან? შემიძლია გადაკეტილში, ერთკაციანში ჩაგსვა, მაგრამ ამას ხომ არ ვაკეთებ?

— რაო, რაო? — ფეხზე წამოდგება იაშა ჭიჭინაძე და მაშინვე სამეული მწკრივის ნაკლულ სივრცეს შეავსებს, — დედიშენისა... გაბედე?! ვის ჩასვამ შე გლახაკო, გაიმეორე?!

— კარგი, მოვრჩეთ, კაბინეტში წამომყვით შენ და შენი ძმაკაცები.

ოთხეული თავიანთი ზურგჩანთებით მიედევნება პაიჭაძეს და ჩამწკრივებული პატიმრებიც შვებით ამოისუნთქავენ.

— კამერა რომელი გინდათ, ამოირჩიეთ, — მთლად დაშარბათდება რეჟიმთუხუცესი, — პრაგულკას ორსაათიანს მოგცემთ. ყველაფერი წესრიგში

იქნება, დასვენება, პერედაჩები.

— დამთავრდა თქვენებური წესრიგის ვადა, — მიახლის როკი, — არც თქვენი ზედმეტი პერედაჩები უნდა ვინმეს. კუჭის ჭკუაზე ჩვენ არ დავდივართ. უბრალოდ მიკვირს ეს ათასხუთასი კაცი ისე როგორ დააძაბუნეთ, ერთიც არ გამოერია ისეთი კბილები ჩამოგიღონ?

— მთლად იოლი არ არის, — უპასუხებს პაიჭაძე, — სიმაღლით მეტროოთხმოცდათხუთმეტი ვარ, წონით — ასათი კილოგრამი, აკრობატიკაში პირველთანრიგოსანი. შეხედე, როგორ ვაკეთებ შპაკატს?!8 — იტყვის და ჩასრიალდება იატაკზე.

— კამეჩსაც აქვს ღონე, მაგრამ ურემსშებმულს პატარა ბავშვი მიერეკება წკნელით, — ამბობს ოდიშელია, თუმცა ბაწარზე დაჭიმული აკრობატისტის გამოთაყვანებული იერის მნახველი დაასკვნის, რომ ყოველივე წყლის ნაყვაა, მგლის თავზე სახარების კითხვა. მოკლედ, შეუშვებენ ოთხეულს ორმოცდამეთორმეტე საკანში და ოთხიოდე თვეს იქ დაყოვნდება როკი, ვიდრე სხვაგან არ განამწესენ.

მზე ჯერაც ჭიოტობდა ტყეების ფაფარის გასწვრივ ჩაფერადოვნებულ ჰორიზონტზე. მთელს დასალიერზე ლავასავით გაწოლილიყო ღრუბლების ზოლი და აფორიაქებული გუნება-განწყობილება რომ არა, უკეთეს სურათს ვერც ინატრებდი სულის დასამწყალობნებელს, მაგრამ ტრასაზე გამოღწეულმა მიხედა ერთხელაც ავიძბების შუკას და შებინდებით დაჩიავებულმა მორდუს სხეულმა გული შეუკუმშა; მოეჩვენა თითქოს დედობილის საუფლოს დრაკონის აჩრდილი გადაფარებოდა. არავინ უწყის როგორ მოინათლებოდა მომავალში მისი მკვეთრი ნაბიჯები, ცეცხლზე ნავთის დასხმად თუ ციებ-ცხელებიანისთვის დალევინებულ ქინაქინად. თვითონაც ვერ უპასუხებდა ამ შეკითხვაზე ჯეროვნად, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული იყო — ალღოს ჯერეთ არასდროს უმტყუნია მისთვის. უცდომელი არავინაა. თავად ბაბუამისი ძაკაც, მთელი სიცოცხლე აფთიაქარის სასწორით რომ წონიდა სიტყვას, ცხოვრებაში ერთადერთხელ გამოვიდა წონასწორობიდან, წამოცდა საბედისწერო საყვედური და ემსხვერპლა კიდეც ნათქვამს. ხოლო როკი შინაგანი ბუნების ძახილს მიჰყვებოდა ყოველთვის და ამის გამო თითზე არასდროს უკბენია. რატომღაც სტეპანცევის ქალივით ლამაზი ოფიცერი გაახსენდა ახლა, საცერი ბეჭედი რომ გააწკარუნა ბეტონის იატაკზე.

როცა გათხოვებას დააპირებ, მაგ ბეჭდით დაგნიშნავო, უთხრა მაშინ. კი, ბევრი ტანჯვა იწვნია ამ სიტყვის გამო, მაგრამ ,,მოდი, ახლა ბატონო, და ძაკასებური ასჯერ გაზომვით მოვუძებნოთ უკეთესი პასუხიო", ფიქრობდა ლამის უკაცრიელ გზატკეცილზე ოთხმოცდაათსა და ასს შუა მტოკავი ისრის სისწრაფით მქროლი.

რა ეღონა, რა ეთქვა? დაიხრები ასაღებად და მორჩენილია საქმე. ყურადღებას არ მიაქცევ?! სხვა მიზეზს გამოგიჩხრეკენ, უარესს გამოგიგორე-

ბენ. შეეძლო შუალედური ტონი აერჩია, დავუშვათ ამგვარი — გმადლობთ მეჯვარეობას რომ მთავაზობთ, მაგრამ ქორწილამდე სულ რაღაც შვიდიოდე წელიწადს მოგვიწევს ლოდინი. რა უნდა გამოეძებნა უმჯობესი ტვინისჭყლეტით? მე ნალბანდი ვარ, კუზმას შეგირდი. იუველირები უკან მომყვებიანო?! ხომ მოაძრობდა ფეხსაცმლის მოღრეცილ ქუსლს სალიკას მაჯაზე დასკუპებული მთვარისხელა ნალს? მერე? გინდა ნალისთვის დახრილხარ და გინდა — ბეჭდისთვის. არა, ბატონებო, გუმანია როკის მფარველი ღვთაება. ბაბილინა ბებიას ანდაზა მისთვის ცხოვრების დევიზად ივარგებს — პირველიან ბედია დო უკულიან გვერდია.8 „დიახაც პირველად მოფრენილი აზრია შენთვის შველა, დანარჩენი — სანახევრო“.

გამორბიან გზის ორივე მხარეს ჩამორიგებული ნაძვის ხეები. საფიქრალის მეტი რა აქვს როკის. ერთ ქვაბშია გადაშვებული ავადმყოფი მამა, სანთელივით დალეული დედა, ცხრა თვის უნახავი ნიკა, მუდამ თვალებში მაცქერალი მეუღლე, გულჩათხრობილი ძმები. იქით ორლესული ნიჩბებით აჩეხილი რუსთაველის პროსპექტი; აქეთ დრანდის აეროპორტი, ზედ ტრაპთან მიჩერებული ქავთარაძის ცინცხალი „ჟიგული“ და ავიძბების ჯალაბი „ოცდაოთხით“. სამჯერ ჩამოეკიდა კისერზე ბოშა ქალი. სამჯერ დაუსველა სახე ცრემლით. ანატოლის ავტორიტეტიც არ ჭრის უკვე. ეკიპაჟს მოთმინების ფიალა აევსო. სულისშემგუბველი უკანასკნელი კოცნა და ტელეტაიპის ლენტივით თავში გაელვებული შურა დეიდას სიტყვები:

„ვხედავ წაყირავებულ ბოცას, საიდანაც სისხლისფერი ღვინო იღვრება; ვხედავ გზას, მოლიპულს და დაუსრულებელს; ვხედავ ერთმანეთისკენ გაწვდილ ხელებს, რომელთაც სულ ციდისხელა უკლიათ შეკავშირებამდე, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით წასწრაფებული ფორნების გათანასწორების მომენტშია ეს სიახლოვე. გასაგებია?

დიახ, გასაგებია, გასაგები“.

მერე კიდევ სვეტლანა, მატ ადინოჩკა,8 ქერათმიანი კონსტანტინე, ანდრონიკოვის გვარით რომ წავა გაისად სკოლაში, და კიდევ მთლად უსახელო, ტლინკისმყრელი დედის წიაღიდან.

ამწუთას არსებითად ეს სახეები ტრიალებენ ოდიშელიას ცნობიერებაში, ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბს რომ შევადარეთ, მაგრამ მათ კუზმას ხელი აკლიათ. ჯაჭვად ასხმული როდია, თავში წაავლო და ბოლოც ამოგყვეს. არ არსებობს მათთვის რაიმე კანონზომიერება, თანამიმდევრობა, წესრიგი, ბრუნავენ საკუთარი ღერძის გარშემო ცალ-ცალკე და მერმე ერთად, სპორტლოტოს სფეროში ჩაყრილი მომცრო ბურთულების მსგავსად.

გაჩახჩახებული რესტორანის გამოჩენამ კუჭი აუწვა. შიმშილზე მეტად წყურვილმა შეახსენა თავი. ზედ შესასვლელთან მიამუხრუჭა. საოცარია, „არადუმ“ მოკაკვულ სალოკს კბილებით ჩაფრენილი ლუდოედის სახე ამოუტივტივა უცებ. როგორი სინანულით წამოისროლა ერთადერთი სიტყვა „პანტერა!“ ბიჭებს ამ წამოძახილისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, რო-

კისთვის კი ხელად გაიშიფრა მასში ჩაქსოვილი სასოწარკვეთილება, სიმწარე მიუზღვეველი სამაგიეროს გამო:

რატომ გამომრჩა, რატომ არ გავითვალისწინე? რატომ არ დავაბრედინე აბაზიანისხელა ზუგდიდში?! დაახლოებით ამ შინაარსს მოიცავდა ლუდოედის ამოგმინული.

უკაცრიელი რესტორანიდან მაგიდა გამოეტანათ ოფიციანტებს ღია ცის ქვეშ და ყავას შეექცეოდნენ. როკის გამოჩენაზე კარტოფილის სანთლის მაგვარ ფეხებზე წამოიშალნენ მიმტანები. მიესალმა გოგონებს ოდიშელია და გაიკვირვა მათი მოცალეობა.

— ახლა დიდი და პატარა პოლიტიკაზეა გადასული, მგზნებარე სიტყვით ნაყრდებიან და თვრებიან კიდეც, — თქვა შედარებით ასაკოვანმა, რომლის სახე ნაცნობადაც კი მოეჩვენა როკის, — ადრე სხვა იყო, ხალხი ბუზივით გვეხვეოდა, — მანქანას გახედა, — მარტო ყოფილხართ. ყველაფერი გვაქვს თუ ივახშმებთ, შავი კატის გარდა და კიდევ ერთიც, ნიღაბი არ იყოს.

— აჰა, თქვენ ემსახურებოდით იმ სუფრას?

— მქონდა ბედნიერება.

— მაშინ ხილი და ორი შამპანური გამოაყოლე ხელს. ყუათიანი ბუტერბროდები და ჩაცივებული ორი „ბორჯომი“ გზისთვის.

ოფიციანტმა შეკვეთილი სამ წუთში დაალაგა მაგიდაზე. ხიზილალიანი ათიოდე ბუტერბროდი პოლიეთილენის პარკში ჩაედო.

ოდიშელიამ შამპანური გახსნა. ოთხივე ფუჟერი შეავსო.

— ძველ ნაცნობობას გაუმარჯოს! — თქვა და ტუჩმიუკარებლად დადგა.

მიმტანმა ხელით ანიშნა, რა ხდება, რაშია საქმეო. როკიმ მარჯვენა სალოკი თითი ყელთან მიიტკლაპუნა, გაშლილი ხელისგულები გადააჯვარედინა და გაშალა მერე. თავის დადრეკით დაემშვიდობა უკლიენტო ოფიციანტებს. გამოცნაურებული მიმტანი ფეხდაფეხ მიჰყვა.

— მშვიდობაში! — მიულოცა ქალმა მანქანა, გამოაღო მარჯვენა კარი და პარკი ბოთლებითურთ სავარძელზე დადო, — გაგიხსნა?

— იყოს, მე თვითონ, — ამბობდა საჭესთან მოკალათებული ოდიშელია.

ოფიციანტმა შემოუარა „ოცდაოთხს“, დაუცადა საფულეში თითების მოძრაობას.

— მაგრად გამოგიღწევია.

— ჰო, გამიმართლა, — როკიმ ტკიცინა ოცდახუთმანეთიანი წინსაფრის მარჯვენა ჯიბეში ჩაუცურა, თან თეძოზე მოჭერით აგრძნობინა, ხურდა საჭირო არ არის, შევხვდებით ოდესმეო.

ოდიშელიამ მოკლეზე ჩაჭრა გზა ქავთარაძეებისკენ. გაიარა ხუმუშქური, ზემო ბარღები, ნაბაკევი, ოტობაია, ფიჩორი. ნაკარღალელმა მასპინძლებმა გაიხარეს სტუმრის უვნებელი გამოჩენით. ავახშმეს. მიართვეს საგულდა-

გულოდ შენახული იარაღი. არ დაუმალავთ ვალერიანის გართულებული მდგომარეობა.

— დამბლამ გაუმეორა და მარჯვენა ხელ-ფეხი მთლად წაერთვაო, — გაუმხილეს მორიდებით.

ამ ფრაზამ როკის დურუს თხოვნაც დაავიწყა და არდაშელ ჰალიძონიას სახსენებელიც. ავტოინსპექციამ მხოლოდ ერთხელ გააჩერა, ინგირის აეროდრომთან. რეიდი ყოფილიყო დედაქალაქიდან. კაპიტანმა თოდუამ თავისთავზე აიღო ოდიშელიას უსაფრთხოება.

ჩემი მეგობარიაო, აუხსნა კოლეგებს და მშვიდობიანად გამოატარა.

ავტოინსპექტორი თოდუა გულკეთილობითაა ცნობილი მთელს ოდიშში. ტრასაზე ყურყუტით რასაც შოულობს, სულ ამხანაგებში ხარჯავს. იცის ეს დაჩი კეზუამ და ერთ წვიმიან შებინდებულზე დაქირავებული ტაქსით მიადგება. თბილისში მიდის მატარებლით. გამომცემლობაში ჩაბარებული ლექსების კრებულსაც მოიკითხავს. ცოტასაც იმკურნალებს ტუბდისპანსერში. შაბათი დღე გახლავთ, ჭინჭყლიანი. მძღოლს ორ საათს აპროწიალებს კეზუა აღმა-დაღმა ნათესავ-მეგობრებში, მაგრამ ყველგან ხელი მოეცრება. აქეთ უკვე ტაქსომეტრი ოცდაათ მანეთს ურაკუნებს. ჰოდა, მიესნატება კიდეც თოდუას პოსტს.

— სამკურნალოდ მივდივარ თბილისში, — მოისაწყლებს თავს საჭიროზე მეტად, — უკვე სისხლსაც მახველებს. ორასი მანეთი მჭირდება მატარებლის გასვლამდე, დაგიბრუნებ მერე წიგნის ფულიდან.

— რანაირ დროს მომადგები ხოლმე. ერთი საათია რაც სამუშაოზე გამოვედი. ოციოდე მანეთი ძლივს შემიკოწიწებია, — ეუბნება ალალმართლად თოდუა.

— ეგ ჩემი პრობლემა არ არის. გიშოვნია ორასი მანეთი?! ხომ კარგი, არადა, ჩავუვარდები რომელიმე გამვლელ მანქანას. ფილტვებიც მოისვენებს, წიგნიც, შენი ჯიბეც, მაგრამ ვნახოთ მერე რანაირი სასახელო იქნება შენთვის გენიოსი პოეტის მოკვლა!

შეწუხდება თოდუა. პირიდან სასტვენს არ იშორებს. უპრაგონოდ აჩერებს მსუბუქ თუ სატვირთო მანქანას. ნახევარი საათი ერთ გაწამაწიაშია. მოდის მერე ერთმანეთზე დალაგებული, დანოტიოებული ფულით.

— აჰა, გამომართვი, ასსამოცდაათია! — უწვდის შემოჩენილ კეზუას.

— რატომ მევაჭრები, კაცო?! ხომ გითხარი ორასს წყალი არ დააკლდება-მეთქი?

თოდუამ თავზე შემოირტყამს ხელს. მანქანა არსაიდან ჭაჭანებს. გზის გამყოფ ხაზამდე მიღწეული უცებ შემოტრიალდება.

— შენი საბუთები, — ეუბნება ტაქსის არანაკლებ გაწამებულ მძღოლს.

— საბუთები? — ისე შეიცხადებს შოფერი თითქოს ცა ჩამოქცეულა.

— იყოს. მოიტა ოცდაათი მანეთი! ნუ აჯანჯლებ, ჩქარა! — გამოართმევს გვარიანად გაცვეთილ თუმნიანებს, — წადი ახლა შენ, ამას მე სხვა მანქანითაც

გავაგზავნი, — შეუბღვერს. ტაქსისტი ისეთნაირად მოატრიალებს მანქანას, ოცდაათი მანეთის ჯარიმად კი ღირს ნამდვილად.

ასეთმა პიროვნებამ გამოარიდა როკი რეიდს. დამშვიდობების წინ ნახევარხმაზე ეუბნება:

— ვალერიანოვიჩ, ხომ ვიცი ოთხივე კალბაკი იარაღით გამოგიტენია. ნიღაბს გაფიცებ, ერთი დურა* დამითმე!

— გამომიარე ოჯახში ხვალ.

— კოჩანიერი* კაცი ხარ ვალერიანოვიჩ. შენი მტრები გარეთ გამოსვლას ვერ ბედავენ, სოროებში შემძვრალან.

საინფორმაციო პროგრამა „ვრემია“ გვარიანი ხნის დამთავრებული იყო, როცა მშობლიურ კერას მიადგა ოდიშელია. თვალებში მსუბუქი ნისლი მოაწვა. ჭიშკარში შესულს გერმანული ნაგაზი კუდის ქიცინით, ლაქუცითა და ნეტარი წკმუტუნით მიეგება.

პატარა ლეკვობიდან გაეზარდა. ფეხებზე ეგლასუნებოდა. წინა კიდურები ორივე მხარზე დააწყო პატრონს და უსაზღვრო სიხარულისგან ლოკავდა ალერსად დაღვრილ კაცს. როკიმ იჯერა გული თვალის ჩინივით მოვლილი ძაღლის მოფერებით. მერე ამოიღო პისტოლეტი, დერჟიო,8 უთხრა, და კბილებში გაუჩარა ტარით. ქოფაკი იმწუთასვე ჩამოხტა და გავარდა ოდიშელიებისკენ. უსიტყვოდ ხვდებოდა პატრონის სურვილებს. ორი წელიწადი წვრთნიდა როკი და რაც ძაღლს მოეთხოვებოდა, ყველაფერს ჩინებულად აკეთებდა. მედიდური ბუნების გამო სახელიც შესაფერისი შეურჩია — ბარონი.

სახლეულები ქვედა სართულზე მისხდომოდნენ გაჩაღებულ ბუხარს. აპრილი იწურებოდა, მაგრამ ცეცხლს ჯერაც არ დაკარგვოდა ძალა. ვალერიანის საწოლიც აქ ჩამოეტანათ. ცეცხლი დილიდან საღამომდე ენთო მარინას წყალობით. ისხდნენ და პატარა ნიკას ტიტინს უგდებდნენ ყურს, ჟენია, გივი და გენადი, რძლები. ნაბოლარას ქალ-ვაჟი გაკვეთილებს ამზადებდნენ. ვალერიანი თვლემდა.

ბარონმა კარები რომ შემოანგრია და ოჯახის უფროსის ლოგინთან კუდი ააფათქუნა, როკი მოსულაო, შეჰყვირეს სიხარულისგან და წამოცვივდნენ ადგილიდან. ხვევნა-ალერსი რამდენიმე წუთს არ დამცხრალა. ბოლოს გაძღნენ თუ არა გადაკარგული კაცის მოსიყვარულებით აცრემლებული დედა, გაბადრული ძმები, გაცისკროვნებული რძლები, წამოყირმიზებული მეუღლე, ვახშმის თადარიგს შეუდგნენ.

ოდიშელია მუხლზე ჩამოსკუპებული ნიკათი ვალერიანს ჩამოუჯდა საწოლზე. მამას სისუსტე მორეოდა. გაყვითლებოდა სახე. ლოყები ჩაცვენოდა. საღი მარცხენა ხელით ხან შვილიშვილის თავს ეფერებოდა, ხან კიდევ — შუათანა ბიჭის მუხლს. ტუჩები უთრთოდა ზედმეტი ხალისისგან.

ძმებმა მანქანა ეზოში შემოიყვანეს. საბარგულიდან ამოჰქონდათ საჩუქრებით გამოტენილი პარკები. ავტომატების, ბურთების თუ სამთვლიანი ვე-

ლოსიპედის მნახველმა ნიკამ ცთუნებას ვეღარ გაუძლო და გავარდა ბიძე-ბისკენ.

სუფრას აქვე შლიდნენ, ბუხრის სიახლოვეს. ყოველ შეფუთულს ფლომასტერით ეწერა ადრესატის სახელი. პირველი ნობათი ვალერიანს მიართვეს, შავი წვრილზოლებიანი ინგლისური კოსტუმი, დათბუნებული პლაშჩი, ბათინკები, სალამანდრები საშემოდგომოდ, ფლანელის პერანგები. ახლა კი ვეღარ გაუძლო ძაკაევიჩმა შვილის ყურადღებას, ქალივით აქვითინდა. იქით ჟენია ააქოთქოთა, აქეთ ბიჭები ააჯუჯღუნა. როკი მხარსა და ლოყაზე ხელით ეალერსებოდა.

— ნუღარაფრის გეშინია, მამა, თბილისში წაგიყვან, პროფესორებს დაგახვევ თავზე. ნახავ, მალე წამოდგები ფეხზე, — სულ ამას ეუბნებოდა.

ვალერიანი ოჯახის წევრებიდან ყველაზე მეტად უყვარდა როკის. იმასაც გამორჩეული ჰყავდა შვილებისგან შუალა მემკვიდრე. დამტირებელ ძეს ეძახდა, მტრის ჯავრის ამომყრელს.

— კოსტუმში რომ წვდი შენ ტერნუს ჭარგავას, იქ მოისყიდე ჩემი გული სამუდამოდ, — უთქვამს ათასგზის. ახლაც იგივეს უმეორებდა.

ბევრი ცრემლი ღვარა იმ ღამეს ვალერიანმა, მერე დაწყნარდა როგორც იქნა, მაგრამ დიდხანს სიტყვა არ ამოუღია, თითქოს რცხვენოდა შვილისა თავისი უმწეობის გამო — ენაწართმეული ძლივს რომ ლუღლუღებდა. ბოლოს ამოღერღა რანაირადაც ეხერხებოდა ისე:

— შვილო, როკი, რასაც მე გასწავლიდი ბავშვობიდან, რასაც გინერგავდი, არავის დაუთმო, უკან არ დაიხიო-მეთქი, მაგარი მუშტი და საღი გონება ამ გადმოსახედიდან ნაწილობრივ არის თურმე მართალი. მაშინ სხვა დრო იყო, სხვანაირი გაგება და გაუნათლებელ კაცს, შვილი რომ არ დამჩაგვროდა, სხვა რა ცოდნა უნდა მიმეცა შენთვის?! რაღაცნაირი გამართლება კი ჰქონდა ჩემს დარიგებას, უშეღავათო საქციელისკენ რომ მოგიწოდებდი, მაგრამ ახლა დრო იცვალა და ქმედებაც სათანადო უნდა შეურჩიო. მეტი მოქნილობაა საჭირო. ზოგჯერ დამყოლიც უნდა გახდე, დამთმობიც. გეყოფა, შენს ასაკში რაც სახელი მოიხვეჭე, მთელი სამეგრელოსთვის იკმარებს. გახსოვს დედაჩემმა სასამართლოს წინ როგორ გითხრა: თითო აგური თავისი წილი ყველას ურევია ციხის მშენებლობაში, მაგრამ საძირკვლიდან დაწყებული სახურავამდე ჩემი შვილიშვილები თუ ამოიყვანდნენ მის კედლებს, არ მეგონაო.

ბავშვი დაგიჭირეს, შუახნის კაცი დაბრუნდი. ეს წუთისოფელი სულ წამებაში ხომ არ უნდა გალიო? გაიხედე შენი გავლილი გზიდან თუ რამე ჩანს? სიზმარივით გაგონდება. რა მალე გაიარა ბალღობამ, სიყმაწვილემ. იცი რაზე გეუბნებოდი და რატომ გიკეთებდი ეგეთ ნუშენიას?!* ერთი და, კლასიკური განათლება არ მქონდა, მერე და სოფელში გაზრდილი ვიყავი და პლიუს ამას — შენზე ოცდაორი წლით უფროსი, ყმაწვილკაცი, გამოუსვლელი. მართალია, თქვენ, ძმებს, არასდროს მოგიპარიათ დაჟე* ხილიც კი მეზობლის ბაღიდან. ნარკოტიკს არ გაკარებიხართ. სხვის ცუდ საქმეში არ

გარეულხართ. გაჭირვებულს ხელს უმართავთ... ეს ადამიანის ყველაზე დადებითი თვისებებია. გაიხსენე ძაკა ბაბუას სიტყვები:

ერთს ესარჩლები, კარგს უკეთებ?! ათს იმდურებო. ასეა ქვეყანა მოწყობილი. მე არ გეუბნები, თავზე დაისვი დღეიდან ვინმე-მეთქი, უბრალოდ ცოტა მოერიდე სხვის ამბავში ჩარევას. ანგელოზი ცოლ-შვილი გყავს, — ვალერიანის სვენებ-სვენებით ნათქვამს თვინიერად მიუგდებდნენ ყურს სახლეულები. თითქოს სიტყვებს ეძებსო, წინადადებებს შორის ხანგამოშვებით ჩერდებოდა, პირს უხმოდ აპლაკუნებდა და მხოლოდ რამდენიმე ცდის შემდეგ ამოქაჩავდა სასურველ ფრაზას, — ამათ ვის უტოვებ?! ცოდვები არიან ერთიცა და მეორეც. ბავშვს შენი სურათები დააქვს უბით. ბაბაიას ეძახის. იმისი აზრი ხომ უნდა გქონდეს ესენი უშენოდ რომ დაიჩაგრებიან?! მე უკვე ვკვდები. ჩემი დღეები დათვლილია. შენი უფროსი ძმის ამბავი ხომ იცი, შენზე მეტია ნამჯდარი, თექვსმეტი წელიწადი. ამ ხნის მანძილზე არცერთი დღესასწაული თქვენ ოჯახში ერთად არ გიზეიმიათ. ბავშვები დაშორდით ერთმანეთს და შუახნის ხალხი შეიყარენით. შენ სევერში* იჯექი, ის — იუგში,* შენ აქტიუბინსკში იხდიდი სასჯელს, ის — ნოვოტროიცკში. მე თქვენ გნახულობდით ჩემი ფიზიკური შრომით მოპოვებული ფულით. არცერთი სვიდანია* არ გამიცდენია. თვითმფრინავზე რომ არ დამგვიანებოდა, ორი ჩემოდანი ხელით მიმქონდა, მესამე კბილებით მეჭირა. ამხელა გზაგამოვლილს შენი თავი არ მანახეს. მითხრეს, ბურშიაო, კრიტში, პერედაჩი, სვიდანია არ ეკუთვნის, ნარუშენიები* აქვსო. პერედაჩი ვახტაზე დავყარე. ბეზკანვოიკები* რქმევიათ თურმე, ისინი დაესივნენ. მე კი ცრემლით სავსე თვალებში ვერ ვიხედებოდი. ქალივით მოვთქვამდი ჩუმად გულში. გამვლელ-გამომვლელს ვეტაკებოდი. აქ დედაშენს ვატყუებდი:

კარგადაა, ორი სუტკა ერთად ვიყავით-მეთქი. ის სიხარულით ტიროდა:

ამდენი ნაშიმშილარი თუ გაძღაო? ეს შვილო, ძაღლური ცხოვრებაა.

აქ ჟენიამ მოჰკრა თუ არა ყური ვალერიანის ნათქვამს, შეიცხადა, მუშტივით შეკუმშული დაადგა თავზე:

— აბა, შენ მართლა არ გინახია? მე მატყუებდი?! ბავშვს პერედაჩი არ უჭამია? უსინდისო კაცი, მატყუარა!

— კარგი, გაჩერდი! — ამოხედა ცოლს ლმობიერად ქმარმა, — ეს წარსული დროა. აწი მომავალზე ვიფიქროთ. სჯობს გვიან, ვიდრე — არასდროსო, ჰოდა, ერთი მაგალითი მინდა მოგიყვანო, მარტივი. აი, შენი გაზრდილი ბარონი, ჯაჭვზეა. ღამით ავუშვებთ. სამი წლისაა და ბალანი გაუთეთრდა. იცი რატომ? მაგარი ძაღლი ყველა ჯაჭვითაა დაბმული. მთელი დღე ამას ექაჩება, მიზანს ვერ აღწევს, გული გასკდომაზე აქვს. ბალანი უთეთრდება, ადრე ბერდება, ოთხ-ხუთ წელიწადში კვდება. მაგარი ავი ძაღლი, ყველა მაღალწნევიანია და გული უსკდება. ამიტომ არის, რომ მე ყოველ ღამე ვყვირი, აუშ-

ვით-მეთქი. მეცოდება, შენი მოყვანილია, ერთი თვის მერე შვილივით გაზრდილი, ხოლო ეგერ, ბასილაიების, თხუთმეტი წლისაა. ერთი თეთრი არ ურევია. მთელი დღე სძინავს. ზედ ფეხებით რომ გადაუარო, ვერ გააღვიძებ. ის კიდევ ოც წელს იცოცხლებს. იცი შენ რაზე მოგიყვი ყოველივე. შენ ყველაფერი გულთან ახლოს მიგაქვს. ნერვიულობა კლავს ადამიანს. ხომ გაგიგონია დედამიწა ღერძის გარშემო ბრუნავსო. აი, ეს ოჯახიც შენს გარშემო ბრუნავს. შენ ხარ ღერძი. შენი იმედით ვტოვებ ამათ. შენ შუათანა ძმა ხარ, მაგრამ განგებამ ისე ინება, შენი მისახედია ყველა — უფროსიცა და უმცროსიც. ახლა გნახე, სახლში ხარ, აწი სიკვდილი არ მენაღვლება, მიუხედავად იმისა, რომ ხანი არა მაქვს, სამოცდაოთხი წელი დავამთავრე სამი დღის უკან. ბევრი ნამუშევარი ვარ, წამომეწია ყველაფერი. მე ვიცი შენ მაგრად გაგიმართლებს ცხოვრება, მაგრად გაიქაჩები და ყველას უპატრონებ. კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს, თუმცა ეს რჩევა უფროა. ნიკას, შენს შვილს, ნუ ასწავლი იმას, რასაც მე გეჩიჩინებოდი. კი, კარგია ნავარჯიშები ბიჭი. გახსოვს ამ ფერდობზე გირებით გარბენინებდი, ოფლში იღვრებოდი, არ მეცოდებოდი, პირიქით — მიხაროდა. ამაში არაფერია ცუდი, მაგრამ მომავალში სხვანაირად თუ ჩაუნერგავ ბავშვს, კაცს ნუ დაჩაგრავ-თქო, ადამიანზე ხელი არ აღმართო, სიტყვიერად აუხსენი-თქო, ერთი-ორად მოგებული დარჩება.

ფიქრობდნენ ოდიშელიები ერთ ღამეს მაინც ივახშმებდნენ ოჯახურ იდილიაში, მაგრამ მეზობლებს როკის ჩამოსვლა შეეტყოთ და მოსაკითხებით შემოლაგდა დიდ-პატარა. ჯერ ერთი მაგიდა მიადგეს სუფრას. არ იკმარა. მერე — მეორე, არც — იმან და შინაურული ვახშამი მალე გვარიან პურობაში გადაიზარდა. იმხიარულეს ზომიერად, როგორც ორპირა, ალესილი ნიჩბებით აჩეხილი შვილების მშობლებს შეშვენოდათ.

— ისეთი სასწაული მოიგონა კვეკვე ანთარიამ, ჩაქუჩი და ლურსმანი არსად იშოვება, — ნაღვლიანად იცინოდნენ როკის მედაჩხირე მეზობლები, — მას შემდეგ, რაც დიხამინჯიას შენი ჯავრი არ შეაჭამა, კაბინეტის კარების აჭედვა მოდაში შემოვიდა ერთობ. იქიდან მოყოლებული თანამდებობის პირები უბატონოდ ხმას ვერ სცემენ ხელქვეითებს, მაგრამ აჭედვები ისე მომრავლდა, რკინეულობის მაღაზიიდან გაქრა ძალაყინი თუ მარწუხი. ერთი გადაბრუნებული სიტყვა და მაშინვე მისდგებიან კარებს. ამოუქოლავენ შესასვლელს და რაიკომის ახალ მდივანს, შენი ძმაკაცი ხეციას სიძეს, ყურში თუ ჩაეწვეთა, კარი აუჭედესო, ამა თუ იმ ხელმძღვანელ მუშაკს, მიახსნის ეგრეევე განურჩევლად.

— ახლა შვილს აწეული ტონით ვეღარ დაელაპარაკები, — სიტყვა ჩამოართვა პირველ მეზობელს მეორემ, — აგიჭედავს ტუალეტის კარებს და უყარე მერე კაკალი. თუ შიგნით არ ხარ, კიდევ არა უშავს, გავარდები მეზობელთან, მაგრამ ისიც თურმე შენს დღეშია და სანამ ფარღალალა ჩეჩმას იპოვიდე, გათავებულია საქმე.

— არა, ზუგდიდელი ახალგაზრდების ამაგს ვერასდროს გადავიხდით, — თქვა ჟენიამ, — წამითაც არ მოგვცილებიან. წამლები, სასმელ-საჭმელი, შეშა, სულ იმათ მოჰქონდათ, შვილო. ყურადღება არც შენი ძმაკაცებისგან გვაკლდა, უჩას და თეიმურაზის ჭირი შემყროდეს, მაგრამ ის ბიჭები სულ თავზე დაგვტრიალებდნენ, ნანა. უშენობა იმათ გადაგვატანინეს. განსაკუთრებით კვეკვე ანთარიას მოტანილი ამბებით გვედგა სული. სიკეთით თუ გადაუხდი თითოეულს, ნამდვილი როკი იქნები, ნამდვილი ოდიშელია.

— ოდიშელიებმა იციან ამაგის დაფასება, — სიტყვა ჩამოართვა ცოლს ვალერიანმა, — ჩვენ კაცები კი არა, ქალებიც განუმეორებელნი გვყვანან. მარტო ჯათუ მამიდის ამბავი რად ღირს?! ის სულცხონებული უფროსი შვილი იყო ოჯახში, მაგრამ ობლად დარჩენილი და-ძმანი სანამ სათითაოდ არ დააოჯახა, გათხოვებაზე რომელი ჭკუათმყოფელი ჩამოუგდებდა სიტყვას?! ორმოცს მიტანებული გაჰყვა ლეხაინდრაოელ მეცხენეს. იმ დროს ცხენის ქურდობა დიდ ცოდვად არ მიაჩნდათ, არც — ძარცვა-გლეჯა, მაინცდამაინც, ჰოდა, ჯათუს მაზლები ქმართან ერთად ამ ხელობით ირჩენდნენ თურმე თავს. რომელიღაც მთვარიან ღამით გზაზე ჩასაფრებული ხაინდრავები ვიღაც შეზარხოშებულ მხედარს ასვეტებიან წინ. ერთ ძმას აღვირში უტაცნია ხელი, მეორეს იარაღი მიუშვერია მგზავრისთვის, მესამე ნესტოში წვდენია იორღას, რათა მოხერხებულად წაექცია. მიმხვდარა ცხენოსანი თავის გასაჭირს, მაგრამ არ დაბნეულა, ერთი ხელით დამბაჩა უშიშვლებია და იარაღიანისთვის დაუხლია, მეორეთი — ყამა, რომლის წამახული წვერი გაუკრავს ყურს ქვემოთ ცხენის ნესტოებს ჩაფრენილი ყაჩაღისთვის, მესამესთვის წიხლი ჩაუფარებია სახეში და გაუქუსლებია რაში. ბერდანკების ჭახანით გამოდევნებიან დაჭრილი თუ საღ-სალამათი ძმები ხაინდრავები. მგზავრი დაწინაურებულა, მაგრამ ნებაზე მიშვებული ტაიჭი ვიღაცის ჭიშკარს მისდგომია, არც დაფიქრებულა ისე გადავლებია და აივანზე გამოსული ფეხმძიმე ქალისთვის თავშესაფარი უთხოვია. იმასაც წაგრძელებულ ყაზარმაში შეუშვია სტუმარი, გარედან ბოქლომი დაუდვია და დალოდებია თავისიანებს. დამბაჩადახლილი მაზლისთვის ჭრილობა შეუხვევია ჯათუ მამიდას, მაგრამ ამასობაში საძილე არტერიაგადაჭრილი ქმარი მოთავებულა და ჩამოსულა დაბლა ოდიშელხე, გაუღია თავლის კარი, თან მგზავრს, აი, რას ეუბნება თურმე:

ხომ ხედავ, ქმარი მომიკალი, მაზლი დამიჭერი, გაუჩენელი შვილი დამიობლე, მაგრამ მაინც გიშვებ გვარსაც არ გეკითხები ისე, ვინაიდან სიმართლე შენს მხარეს არის. სანამ შეგიძლია თავს უშველეო, უთქვამს. აცალა სტუმარს ჭიშკარს გადავლებოდა და მაშინვე წივილ-კივილი აუტეხია.

ეგერ, თქვენი ძმის მკვლელი, ხაინდრავებო, იყოჩაღეთ შურის მაძიებლები თუ ხართო.

გამოვარდნილან მაზლები, ამხედრებულან მერნებზე, გამოდევნებიან ბერდანკების ჭახაჭუხით, მაგრამ ბუზივით გაუჩინარებულ მოსისხლეს რას მიეწეოდნენ? ჰოდა, ქმრის წლისთავის შემდეგ ჩვილი ბავშვით ჩამობრუნებულა ერგეტაში ამაყი ჯათუ მამიდა. მე მაშინ გაჩენილიც არ ვყოფილვარ.

ვალერიანის მონაყოლის მერე როკი სუფრაზე დიდხანს არ დარჩენილა. პატარა ნიკას ბაბუას ლოგინში ჩასძინებოდა. შვილის მდგომარეობით ისარგებლა ოდიშელიამ, თანამეინახეებს მობოდიშებით დაემშვიდობა და ატატებული მემკვიდრითურთ საძინებლისკენ გაემართა.

ლიმა მეთერთმეტე

AD VERITAS
846153

სამი-ოთხი დღე ქალაქში მიიხედ-მოიხედა როკი ოდიშელიამ. მოისვამდა გვერდით ვაჟიშვილს, ჩაიჯენდა კარის მეზობელ რინო ბასილაიას და იერშეცვლილ ზუგდიდში აღმა-დაღმა ხეტიალობდნენ. სულ ერთად იყვნენ, სახელდახელო სუფრასა თუ ბირჟაზე, ძმაკაცების საფლავებთან თუ სასტუმრო „ოდიშში“, ენგურჰესის კაშხალთან თუ ჯვარზენში.

ვალერიანს რინო შვილებისგან არ ჰყავდა გამორჩეული. მართლაც ჩინებული ბიჭი იყო. სამოხიოს ტალ-კვესს ეძახდნენ დაუზარებლობის გამო მუდამ თმააჩეჩილს. ნიადაგ ხელმოკლეობას უჩიოდა. რასაც იშოვიდა, მყისვე ძმაკაცებში დახარჯავდა. ფანტიაშვილობას წააყვედრიდნენ მშობლები აქა-იქ, მაგრამ მამობილი გამოესარჩლებოდა:

— ნუ შეიკალით ხელში, დაოჯახდება და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება! — იტყოდა და მსწრაფლ განაიარაღებდა დაქოქილ ბასილაიებს.

აგერ, მოჰკრა თუ არა ყური, ვალერიანი სამკურნალოდ მიჰყავს თბილისში როკისო, დატრიალდა ჩვეულებისამებრ. მანქანა ხელად გააფორმებინა ამხანაგებს ავტოინსპექციაში. იღბლიანი ნომრები დაითრია. მინდობილობაც თვითონ მოაგვარა ნოტარიუსთან. მერე ყოველ შემთხვევისათვის ბოქსზე შეაყენებინა ცინცხალი „ოცდაოთხი“, ყელა ქანჩს და ჭანჭიკს მიუწვდინა მზერა, თითქოს ჭიპმოჭრილი ტექნიკოსი ყოფილიყო.

აჰა, დილის ექვსი საათია, გამართულ-გაკრიალებული მანქანა ცამიცუმობს. საბარგულში ჩატვირთულია პოლიეთილენის პარკებში შეფუთნილი თეთრეული, შალითები, საცვლები და მისთანანი ვალერიანისთვის; აუცილებელი წვრილმანი დედაქალაქისკენ გაურკვეველი ვადით აბარგებული როკის ჯალაბობისთვის — სიმინდის ფქვილი, მთვარისხელა სულუგუნები, თხილი, ჩაი და ლიმონი; სანთლის არაყი მუხურიდან ცირდავებმა მოართვეს შემოწნული სამ-

ლიტრიანი ბოთლებით. ჯერ კიდევ ბნელა, მაგრამ მთელი სამეზობლო აქ შეყრილა. გაუგიათ ვალერიანი მიჰყავთ თბილისში სამკურნალოდო და თავზე ეხვევიან წინა სალონში მოკალათებულს. მალე გამოჯანმრთელებულ დაბრუნებას უსურვებენ, თან შუათანა შვილის დასანახად კოსტუმის გარეთა მარჯვენა ჯიბეში ფულს ჩაუცურებენ.

,,ესღა აკლდა ნერვებდასუსტებულ კაცს. სულ ნიკაპი უკანკალებს. პატარა რაღაცაზე გული უჩვილდება. რინოს ათმაგად უნდა ვუმადლოდე. ჯერ ერთი, თბილისისკენ პირველად მივდივარ საკუთარი მანქანით. რიკოთის უღელტეხილის მიხვეულ-მოხვეულებში მშვიდობიანად გაღწევას ეხუმრები? არც აფხაზეთის კლაკნილი გზები იყო მაინცდამაინც იოლი გამოსაღწევი, მაგრამ რიკოთი მეტ პროფესიონალიზმს მოითხოვს. მერე, თუკი დაეჯერება, დედაქალაქის ქუჩებში ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი — წყალში.''

ესეც რომ არა ჭურიაში კვეკვე ანთარიასთან საუბრის შემდეგ როკი ოდიშელიას უჩვეულობა დასჩემდა. ჩამოჯდება სადმე ორიოდე წუთით და ისე გაიტაცებს ოცნება, ისე ჩაითრევს მისდა უნებურად, მანქანას ინსტინქტურად მართავს. რამდენჯერ ავარიული სიტუაცია შეექმნა მოსკოვიდან მომავალს. კვეკვე ანთარია ვახსენეთ, და აჰა, მეათე თვე იწურება, რაც მაგას დაშორდა, მაგრამ რამდენიმე საათის ქაქანმა ,,ცნობიერების ნაკადზე'' უწყვეტი ფიქრის ზვირთებში მოისროლა. არა, განსჯის მეტი რა უკეთებია მთელი თოთხმეტი წელიწადი, თუმცა კვეკვე ანთარიას თეორიამ სულ სხვანაირი გეზი მიანიჭა მისი სულის მდინარებას. ადრე სწორხაზოვნად აზროვნებდა გარკვეული მიმართულებითა და კონკრეტული მიზანდასახულობით. ვთქვათ და ილონაზე ოცნებობდა. ამისთანა შემთხვევაში, გათქვირული იასამნის სურნელებაში გახვეული, სულ მას დაჰფოფინებდა, მაგრამ კვეკვე ანთარიასთან მუსაიფმა როკი ოდიშელიას წარმოსახვა კუზმას რგოლებად ასხმულ ჯაჭვს დაამსგავსა. სტეპანცევი მოინელა მისმა უდრეკლობამ, ილონასთან განშორებასაც გაუმკლავდა, დიხამინჯიასა და ადელუას ხალხის დევნამ ვერაფერი დააკლო, თვით კვეკვესკირის თავიცა და დურუ ჰალიძონიას გაგლეჯილი კატაც დავიწყებას მიეცა თითქოს, მაგრამ, აი, კვეკვე ანთარიას თეორიამ ლამის არის სიცოცხლე გაუმწაროს.

აჰა, გაცდნენ უკვე ზუგდიდის კარიბჭეს; ზურგს უკან დარჩა ფერდინანდი აწეული ხელით. ჭითაწყარის უკაცრიელ, ლარივით გაჭიმულ გზატკეცილზე მიქრიან. ვალერიანი გადმოშუებულ საზურგეზე მოხერხებულად მისვენებულა. როკის ხელმარცხნივ მარინას კალთაში უწევს მძინარე ნიკა. მისრიალებენ ოდნავ დანამულ ასფალტზე და ოდიშელიას გონებაც მარათონული ფიქრისთვის ემზადება.

,,რატომ არ უკვირდება ეს ხალხი ბუნებას? რა უბრალოდ ხდება ყველაფერი. არავითარი ზედმეტი, არავითარი ნაძალადევი. ისე უმტკივნეულოდ, ისე ხალასად გადადის ერთი ფორმა მეორეში, ზღვარს ვერ უპოვი. დავიწყოთ გამთენიიდან. ამოვა მზე. კავკასიონის მთაგრეხილი დათოვლილია, სის-

ხლისფერი გადაეღვრება მთელს არემარეს. ფოთლებიდან დილის ცვარ-ნამი წვეთავს. ძლიერდება მანათობელი და ნისლიც თანდათან თხელდება. რამდენი ძალა ემატება პირველს, იმდენი აკლდება მეორეს. გადაივლის ჰორიზონტს, წითელი ფერით ჩაეშვება დასალიერზე, სადაც შორს უხმაურო ზღვა იგულისხმება. საათის კბილანებივითაა მორგებული თითოეული მოვლენა ერთმანეთს. ვაჟამ იცოდა ეგ ხუთ ბალზე, მაგრამ დღევანდელ მწერლებს და ფილოსოფოსებს არაფერი შველით, ისე გააბუქებენ, სიტყვის ისეთ კორიანტელს დააყენებენ, თავ-ბედს გაწყვლინებენ.

შენზე ვაპირებ რომანის დაწერასო. არა, ძმაო, ასეთი ტვინის ჭყლეტით თუ განუზრახავს ჩემი ცხოვრების ასახვა, იქიდან მკითხველი ვერ იხეირებს.

ვეუბნები, კაცო, არ გებრალება ადამიანები-მეთქი. იმას კი აუჩემებია:

ოცდამეერთე საუკუნისთვის ვწერო. ჯღაბნოს და იკითხოს. სანამ გავიცნობდი, ვიყავი ჩემთვის, ფიქრი ფიქრს ჰგავდა და ოცნება — ოცნებას. ახლა კი მისდა უნებურად, ვთქვათ, ამოვიღებ სავარცხელს და ეგრევე ილონა ამესვეტება თვალწინ. დალალებს ივარცხნის, ფაშფაშა ბიცოლა კი შეიჭერი თმა თორემო და ჩაწეული ხმით რაღაცას ეჩურჩულება. ეს უკანასკნელი მე მომაჩერდება. მადიანად ვილუკმები პურსა და ყველს. ამეებისთვის ნაკლებად მცხელა. არც კი მაინტერესებს რა ჩაუპუტუნა ისეთი ფაშფაშა ბიცოლამ, უეცრად რომ წამოაწითლა ეს ზანგის ქალიშვილი. ახლაღა ვხვდები, ალბათ, მკბენარები დაგესევაო, უთხრა. ო, მკბენარები აქტიუბინსკში რომ იყო ეგაა თუ არის, ჯიშიანები. ა, ხომ ხედავ, კინაღამ საითკენ გადამისროლა კვეკვე ანთარიას ნაბჟუტურალმა? სანამ გავაცნობიერებდი, ვიყავი ჩინებულად. მთელი დღე ერთი მიმართულებით შემეძლო მეოცნება და ხელსაც ვერავინ მიშლიდა, მაგრამ ამოტივტივდა სიტყვა „მკბენარები“ და კინაღამ აქტიუბინსკის ჯურღმულებში გადავეშვი. არ იცნობდნენ ცნობიერების ნაკადის მეთოდს სერვანტესები და ტოლსტოები, მაგრამ ვინმეს წამოუყვედრებია, ძველმოდურნი არიანო?! აუჩემებია ჯოისი და ფოლკნერი. ცოტა სულს მოვითქვამ და მაგათთვისაც მოვიცლი. სად სიუჟეტის თანამიმდევრობა და სად — ქაოსურ ამბებში ბოდიალი?! ასეთნაირად თუ აპირებს ჩემი ცხოვრების გადმოცემას, ჯობია ნურც გაირჯება! დაბეჭდვის უფლებას არ მივცემ. ან როგორი თავისნათქვამაა?! გგონია დაგითმობს რამეს?! ხანდახან ისე დაგჩხავლებს ყვავივით, მეშინია ხელი არ დამსტყუოს. ისე კი გული არ უნდა დამეწყვიტა.

სახელი არ გიწყობს ხელს, თორემ ნაღდი გენიოსი ხარ-მეთქი, რომ ვეხუმრე. კატუკიასავით ხელებით არ დამიწყო საუბარი?!

რატომ მაგალითად, კვეკვე რითი არის ცუდიო. მე დიდი ჟინი ანთარის შთამომავალი გახლავარ, ბატონო, ნამდვილი კოლხი, ვინაც სალტესავით შემოეჭდობია დაქუცმაცებული საქართველოს ერთიანობასო. მამულის გადარჩენა დიახაც ანთარიების მისიაა უფლის განგებითო. მეც ენა გამექცა. რა მრჯიდა?!

კვეკვე კი არა კეკელა არ გინდა-მეთქი. აი, გიორგი ანთარია მესმის, მდიდრულია, ტევადი.

გვარიანი ხანი სათოფეზე არ მეკარებოდა, მაგრამ ალალ-მართალი ბუნებისაა და წყენის გულში ჩახვევა არ უყვარს. ჯანდაბას ყოველივე! ისე კი ხედავ, როგორი პრინციპულია, ფსევდონიმით აპირებს რომანის გამოქვეყნებას, თუმცა მეეჭვება იმ აბდაუბდას დიდი აღიარება მოჰყვეს. დაბეჭდოს, მე რა მენაღვლება, ხათაბალაში რომ არ გავეხვიე. წარმოიდგინეთ ასეთი სცენა, მიდიხარ შენთვის რუსთაველის ქუჩით, უცებ კატამ გადაგირბინა და შენც მყისვე რეზბალნიცაში გადაქანდები. ამჩნევ, როგორ იწელება დურუს ხელებით საწყალი ცხოველი გიზო ხაზალიას გარმონივით. გგონია უცებ დააღწევ თავს ამ ჩვენებას. რამდენ ნაცნობს ჩაუარე უსალმოდ.

ფუჰ, ცხვირის აწევა დაუწყიაო, მოგადევნებენ ზურგში. შენ კი კვლავაც იმ საზარელ სურათს მისჩერებიხარ, ღომი და ყველივით რომ შეექცევა აკნავლებული კატის ტანსა და თავს. იქით კომისიის წევრებს გული მისდით. გოგია ახალციხელი და შაურა შარვაშიძე წყლითაა მოსაბრუნებელი. განა მე უკეთეს დღეში ვარ?! გადაჭრი ქუჩას და მოგამუხრუჭებენ მანქანები. ინსპექტორი ხათა თოდუა ყურის დასკდომამდე ჩაჰბერავს სასტვენს. ებოდიშები მძღოლებს, მაგრამ მანქანების ქარავანი ჯერ ფერდინანდის პანაშვიდს ამოგიტივტივებს გონებიდან, რომელსაც გწადია თუ არა „თუთარჩელადან“ შენი გაქცევის სცენები გადაებმება. გინდა დააღწიო თავი ამ კოშმარებს, გაერთო ადამიანურად, დარჩენილი ორიოდე ღერი დღე უშფოთველად გალიო, თუმცა ისეთი მოუნელებელი დურბელა ჩაგასხა სულში საძაგელმა კვეკვემ, ფუჰ, სულ კვეკვესკირის თავს მახსენებს, ანთარიამ, ეღირსები ნორმალურ დაბერებას?! ჩაუვლი ლენინის ძეგლს და როდინდელ სურათებს დაეჯახები: ჭადრის ხეზე ამძვრალხარ უბნელ ბიჭებთან ერთად. ხედავ როგორ გამოაბამენ ტროსებს სტალინის მონუმენტს. ცრემლი გახრჩობს ბოღმისგან, რომ ვერაფრით ექომაგები შეურაცხყოფილ ბელადს, თითქოს სულს გიჯიჯგნიან. რამხელა წრფელი ხარ ამ დროს. ლანდივით გახსოვს უფროსების ზლუქუნი რადიოს ქვეშ სოფლის ცენტრში. ასეა, დიდი სიმაღლიდან დანარცხებაც ზორბაა. მე კი ვინა ვარ? ჰამლეტივით არ დამიწყო ახლა წუთისოფლის განქიქება. წრუწუნას არ გადაეწყეტინეს კაცო, ყოფნა-არყოფნის პრობლემა?! თან რანაირი დამაჯერებლობით უმტკიცებს მეგობარი ფიცხელი:

ყოფნა, წრუწუნჯან, ყოფნაო. კინაღამ საფლავში არ შევატრიალეთ შესპირი?! ისე, პრინციპში რომ ვთქვათ, სამყაროში ადამიანზე საცოდავი ვინმე თუა?! გამოვიგონეთ ღმერთი, რომელსაც ტალახისგან მოვათითხინეთ თავი. მერე კინწისკვრით გამოვაძევებინეთ საკუთარი მეობა ნამდვილ ჯოჯოხეთში, სიცოცხლე რომ ჰქვია და იხტუნავე ახლა რამდენიც გინდა. გარშემო სიკვდილის კედლებია, რომელიც ნელ-ნელა ვიწროვდება შენს გარშემო სტეპანცევის კარცერივით.

აგერ, საწყალი მამაჩემი. რაც ამას ბლოკი ბლოკზე დაუდვია, ჩინეთის სანაქებო კედელს გადაუჯოკრავდა, მაგრამ ასი წლის შემდეგ და სამარეში ისე ჩავა, ორი თაობის იქით არავინ მოიგონებს. არსაკიძეს კი ძმაო, მისი მესამედიც არ უჯაფია და სამუდამოდ დამკვიდრდა ქართველი კაცის ცნობიერებაში. ვის ახსოვს ახლა ძაკა ბაბუა?! რაც იმან ქურახანაში აგურები აცხო ორ ზუგდიდს ააშენებდა, მაგრამ წავიდა ამ ქვეყნიდან და ნიკასთვისაც კი უცნობია მისი ანიაგანი. როგორი იქნება შენი ბედ-იღბალი როკი ოდიშელია?! შენც უსახელოდ აპირებ სამარეში ჩასვენებას?! მხოლოდ ერთი სიტყვა იყო საკმარისი პეკეტელების საკანში:

კვეკვესკირის თავის მოკვეთის გამო კი არ დამილურსმნია ფეხები და ამომიკერია პირი ათი ნომერი ძაფგაყრილი ნემსით, არამედ ენას რომ გვართმევთ ქართველებს ძაღლიშვილებოო და შენი განდიდების საქმეც მოთავებული იყო. ეგრევე წმინდანად შეგრაცხავდნენ, მაგრამ არ ინდომე ეგ. დიდების საორჭოფო ნამცეცებს დასჯერდი. არა ვარ შიპლეტიას და მისი შანტრაპის დამქოქავიო, აიჩემე. მაინც მოგაკერეს შვიდი წელიწადი გაუსამართლებლად. ვინ ხარ შენ ბოლოს და ბოლოს როკი ოდიშელია და რა ადგილი გიკავია ცხოვრებაში?! ვის ემტერები და ექომაგები?! ძალაუფლება კი გინდა, მაგრამ პოლიტიკური ხაზით არა. ათკაციან მწკრივში მეორედ რომ დაგიძახონ ჯავრისგან თვალები დაგიბნელდება. რამდენჯერ შემოგთავაზეს ქურდებმა:

დროა სახელიანი გახდეო, მაგრამ ყოველ წინადადებას ტაქტიანად გაეცალე. მაშ, ისეთი რა ბედის ვარსკვლავზე გაჩენილხარ, ფეხი რომ ვერსად მოიკიდე?! როგორ დაგჩხავლა იმ ზონზროხამ?! გაივლის ერთ კარს, მეორეს, მესამეს და უკან არასდროს მობრუნდებაო?! პოლიტიკურებისკენ გახედვაც არ გინდა. გული გაგისკდება შენს გამოჩენაზე ვინმემ მხარზე დაიდოს ხელი და ზურგი შეგაქციონ. იცი, ისინი ხვალ და ზეგ მთავრობის ხალხია. დღეს კომუნისტები ამწყდევენ, მაგრამ მომავალში შესაძლოა როლები შეიცვალოს. შენ ჭირივით გძულს ნებისმიერი მთავრობა, ვინაიდან ბოლომდე დარწმუნებული ხარ, რომ მშრომელი, მართალი კაცის ქომაგი ხელისუფლება ჯერ არ უქნია უფალს და ვერც როდესმე მოესწრება. დაიწყებენ მკერდში მუშტების ბაგუნს, ცათამბჯენებს აუშენებენ ვიდრე სავარძელში მოკალათდებოდნენ. გაინაღდებენ თავიანთს და მოგჭამა ჭირი ხალხის სატკივარმა. ჩასაფრებული არის სად, როდის, როგორ მოსდოს ბრჭყალი დიდ ულუფას, რათა საშვილიშვილოდ გაინაღდოს საარსებო დრო და სივრცე, როგორც ტყის საძმოს ხალხი იტყვის ხოლმე. სახელმწიფო კაცი შენგან ვერ გამოიჩეკება. ჯობდა კი, უკეთესი სამართლიანი ვინ მოვიდოდა, რომელი?! ხამის პერანგით გალევდი საწუთროს, ცოლ-შვილს პირიდან გამოაცლიდი ლუკმას და გაჭირვებულს მიართმევდი, მაგრამ ჯერ ერთი, თავად სავარძლიანები მოგიღებდნენ ბოლოს, როგორც თეთრ ყორანს. მერედა, ამისთანა საქმეს შინაგანად სათოფეზე არ ეკარები, იმის შიშით, არიქა, ჩემს გამოჩენისას ვინმემ მხარზე

არ დაიდოს ხელი, აქაოდა მთავრობის მომავალი კაციაო. მერე მოხროვდებიან შემთხვევითები, იღლიაში ანგარება რომ ამოუჩრიათ, გოგლიმოგლის ამაზრზენი სუნი სდით და დაიწყებენ კანონების ჭედვას:

ფაბრიკა-ქარხნები მუშებსო, გადმოუგდებენ ბრბოს სატყუარას, მიწა გლეხებსო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, თვალებში ნაცარს შეაყრიან და ორი გაძვალტყავებული ძროხის გულისთვის, ადვილმოსალოდნელია სტეპანცევის ექსპერიმენტულ ზონაში უკრან თავი, კულაკი ხარ ან კომბინატორიო და დაიწყებ თითზე კბენას. მაგრამ ხელისუფლება ძალიან მაღლაა, შენი კბილების ღრჭიალი მის ყურთასმენამდე ვერ მიაღწევს, ან რომც მიაღწიოს, მოგიხათრებენ ხომ იცი, ბრასლეტებით მოგადგებიან კარზე და ხუთი თითივით ნაცნობ მხარეში გაგისტუმრებენ.

სტეპანცევი. *ასე რომ, მენდე, ოდიშელია, საშენო კოიკა უკვე ჭრაჭუნებს რომელიღაცა ზონაში, ჩვენს მეზობლად თუ ზემორე.*

აქეთ სახელიანად ყოფნაც არ გინდა, ნამდვილი პოდპოიასნი ხარ, ძალაყინი და ქამარი გაკლია თორემ. გულით გწადია უბრალო ადამიანების სადარაჯოზე ყოფნა. კი ახერხებ ამას სადაც ხელი მიგიწვდება, მაგრამ ეგენი ხომ ერთეულები არიან, ათასები კი უარეს საცოდაობაში ჩაცვენილან კანონების მარწუხებისგან და მათი აღმასრულებელი უსულგულო ხალხისგან. რამდენს აართმევდი ნეტავ ცხრა აპრილის დილაბნელზე ორლესულ ნიჩაბს?! ათს? თხუთმეტს? როცა ისინი უთვალავნი არიან. რამდენ შენიანს გადაეფარებოდი, რამდენ დარტყმას მიიღებდი საკუთარ თავზე?! არა, ძმაო, შენ კონკრეტულს იქით ვერ იხედები. ეკალ-ბარდი იმდენია გასაჯაგავი, ერთი კი არა ასი-ათასი როკი ოდიშელია ვერ აუვა. ან სტეპანცევთან შიმშილობა რომ გამოაცხადე, ხომ შეგეძლო გეთქვა...

მიმიფურთხებია თქვენი საბჭოური რეჟიმისთვისო, მაგრამ ესეც არ გააკეთე, ვინაიდან მერე გაგიჭირდებოდა ზონაში პირველ კაცად გახდომა, გზა მოგეჭრებოდა აქეთკენ, შლანდორიკიც და კაზბეკაც არ დაილეწებოდნენ გავარვარებული კაჩერკით, არც სალიკას მოეჭუტებოდა სამუდამოდ მარცხენა თვალი. პირველობა გინდა, ხოდა, რადგანაც იცი ზონაში პოლიტიკურები ამას ვერასდროს მიაღწევენ, შენთვის შესაფერის ადგილს ირჩევ, ნამდვილი პოდპოიასნი ხარ. სანტიმეტრით ძვრას ვერაფერი გაგაკეთებინებს. მაშინ ფესვებიანად უნდა ამოგიღონ, სხვა მხრივ დგახარ კლდესავით კუშტი, ფოთლები არ შეგრჩენია თაკარა მზეში კოჭები რომ განიგრილო, ტოტები შემოგლეწვია გრიგალებთან ბრძოლისას, მაგრამ ათას წელიწადს ლერწმად ყოფნას, ერთი დღე ამნაირი ცხოვრება გირჩევნია".

— როკი, საცვალი მომაწოდე, ბავშვს გაეპარა. ჩემი ბრალია, რატომ არ გადავაყენე? — მარინა კალთას იბერტყავს ღიმილით. გამოუცვალეს ბიჭს. იცინის გაციღვინებულის გამო ოთხივე.

— შეგაწუხეთ, შვილებო, ყველა, — თქვა ყრუდ ვალერიანმა, — სამარიდან მობრუნებული კაცი გინახავთ ვინმეს?! ამხელა გზაზე ნიკას წამოყვანა იქნებოდა?! ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს. ქალიშვილი არ გვაღირსა ზეციერმა, მაგრამ სანაცვლოდ ისეთი რძალი მაჩუქა, ხუთს არ მირჩევნია?! ძინავს პატარა კაცს. რა ქნას, ძალას იკრებს, იმდენს დარბის, დახარჯულ ენერგიას აღდგენა ხომ უნდა?! ზედგამოჭრილი მამამისია. ამას ძალით დავარბენინებდი გირებით ხელში. ნიკა კი ისეთი გვეზრდება, მგონია როკის აჯობოს, თუმცა ჩვენი სიხარულიც ეგ არ არის, მამებს შვილები გვჯობნიდეს?! წიგნი არ გააგდებინოთ ხელიდან!

„ნიკას რა უჭირს, ჩაასველებს და გამოუცვლიან, — აგრძელებს ფიქრს როკი ოდიშელია, — სანამ მე ვდგავარ ფეხზე თავადურად იცხოვრებს. ამასობაში თვითონაც გაანძრევს თავს, ხელს გამოიღებს. ჩემგან თანადგომა არ მოაკლდება. რამდენი იტირა მარინამ მეორე შვილი რომ მოვაშორებინე?!

ერთადერთზე ვიყოთ მინასკვულიო. კოსტიასთვის კი გვარიც არ გავიმეტე. ვნახოთ ცხოვრება როგორ აეწყობა. ჰა, დიდი-დიდი წელიწადი ეყოთ ორმოცდაათი ათასი მანეთი, მეორეც რომ გაუჩნდება შემდეგ მთლად შეეკვრება ხელ-ფეხი. კორექტორობასაც ვერ მოახერხებს. ასათი მანეთით აპირებ შვილების გამოზრდას?!

სვეტლანა. ალო, ალო, კიშინიოვია? ილონას სთხოვეთ. — როკის სიახლოვეს ჩამომჯდარი ქალი ყურმილს ხელს აფარებს, — რა ვუთხრა?

როკი. რაც გინდა ის. ოღონდ მე აქ არა ვარ.

სვეტლანა. ვინ ხარო რომ მკითხოს?

როკი. უთხარი ვინცა ხარ. სალაპარაკოს მეტი რა გაქვს?!

ილონა. გისმენთ. რომელი ბრძანდებით?

სვეტლანა. მე სვეტლანა ვარ მოსკოვიდან. როკის... მეგობარი. მისი თხოვნით გირეკავ. თქვენი მდგომარეობა აინტერესებდა.

პატარა კოსტია დედისკენ მოეშურება ლოგინზე ფეხსაცმლიანად ამოსული. ტერფებში მოიმწყვდევს კაცი, თითებს უღუტუნებს იღლიაში, ხმამაღლა აცინებს.

ილონა. თვითონ სად არის? კიდევ იმალება? ოჯახს არ მიბრუნებია? — სხაპასხუპით ამბობს ქალი.

სვეტლანა. ახალი წლის შემდეგ აპირებს წასვლას, — ხელს აფარებს ისევ ყურმილს, — შეეშვი თორემ წამოიძახებს შენს სახელს და ჩემი ბრალი არ იყოს.

კოსტია. გამიშვი, ლოკი!

ილონა. ღმერთო ჩემო! — ქვითინებს, — გადაეცი რომ ზუგდიდიდან გადმოვსახლდით. ეზო-კარი ჩალის ფასად გავყიდეთ. სამოთახიანი ბინა შევიძინეთ აქ, მაგრამ ჯერ რემონტი ვერ მოგვითავე-

ბია და კვლავინდებურად ძმასთან ვართ. მარტისთვის ველოდები. თავიდან ცოტა შეუძლოდ ვიყავი, ახლა არა მიშავს რა. შენ გყავს შვილები?

სვეტლანა. ერთი ბიჭი, ხუთი წლის. ფეხმძიმედ ვარ მეორეზე.

ილონა. როკისგან ხომ? გადით, დამალაბარაკეთ ერთწამს! გვარი მისცა ბავშვს?

სვეტლანა მიხედავს კოსტიას. გაჩუმდიო, ანიშნებს ტუჩზე თითის მიდებით.

სვეტლანა. ჰო, მისგან. ეგ რომ გამიჩნდა როკი სხვაგან იყო. ჯერჯერობით ანდრონიკოვის გვარისაა.

ილონა. ერთი არ გეყოფოდა ჭირად, მეორეც რომ მიგიმატებია. ვერ მოიშორე?

სვეტლანა. თვითონ არ ინება, — კვლავ თვალებს უბრიალებს კოსტიას ყურმილზე ხელდაფარებული, — აწი გვიანია. უკვე მეოთხე თვეში ვარ.

ილონა. უბედურ ვარსკვლავზეა გაჩენილი ეგ საბრალო. ყველაფერი შებრუნებით გამოსდის. უყვარს და სიძულვილს იმკის. ულაბარაკნია რამე ჩემზე?

სვეტლანა. ძალიან ბევრი. ცოტა რომ შეთვრება სულ შენს ხსენებაშია.

ილონა. მაგისთვის დალევა არ შეიძლება. კუჭი სტკივა უბედურს. მისამართი მცოდნიყო წამალს გამოვუგზავნიდი. არის ჩვენში ერთი ექიმბაში ქალი. რაც ბიცოლაჩემმა, ძაღლი მიაკვდეს სულში, და დეიდა შურამ გვიმარჩიელა, ყველაფერი ცამდე მართალი აღმოჩნდა. გაივლის კარებს ერთს, მეორეს, მესამეს და უკან არასდროს მობრუნდებაო. ჩვენ ხომ უბედური ქალები ვართ ორივე. მაინც რა გითხრა ჩემზე? ნურაფერს დამიმალავ, არ მეწყინება.

სვეტლანას მტევანი დაუფარებია ყურმილისთვის. მიხედავს როკის ერთს, ისიც ხელს აუქნევს, ილაბარაკეო.

სვეტლანა. სულ იმ განშორების ამბავს იხსენებს, რომელიღაც ციხესთან წამოსწევია მამა, მგონი რუხი ჰქვია თუ რა.

ილონა. ჰო, რუხი, ბომბადაცემული! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვიღაც გვისმენდეს კიდევ.

სვეტლანა. ჩემი ბიჭია მხოლოდ, — ისევ უვნებელყოფს ყურმილს.

კოსტია. დედი, ლატომ მალავ ლოკი ძიას?

ილონა. თვითონ რატომ არ დარეკავს?

სვეტლანა. ჰმ, თვითონ! ხუთ თვეში ხუთი სიტყვა არ ექნება ნათქვამი. ფხიზელს ვგულისხმობ. სიმთვრალეში მოგეცა ლხენა, სულ

შენზე საუბარშია. ისეთი რა ჯადო გაუკეთეთ?! თქვენს მეტი მაგას ქალი არ უყვარს და არც ეყვარება.

ილონა. რა ჯადო, რის ჯადო, პირველი სიყვარული წარუშლელია, სვეტა. სად ჯანდაბაში გავიქცე?! რომ შემეძლოს, ამოვიღებდი ამ სამიწე გულს და ვანაცვალებდი, მაგრამ ეგეც რომ არ ხერხდება?! გადით-მეთქი, ბებიასთან გადით! ბავშვებს ვუცაცხანებ. მოვა აგერ მარტის თვე და იქნებ ყველაფერი დასრულდეს! სვეტა, მიგდე ყური, ძვირფასო. შენ ახალგაზრდა ქალიშვილი ჩანხარ, ხმაზე გეტყობა — ლამაზი. გეხვეწები, არ მოაკლო ზრუნვა. მას განსაკუთრებით ახლა სჭირდება თანადგომა. კაცის წამალი მოფერებაა და ნურც იმის გამო გაასამართლებ შენი ბიჭი ანდრონიკოვი რომაა. ჩვენს შორის კოცნის მეტი არაფერი ყოფილა, თუმცა ბევრჯერ შეგვეძლო შეგვეტოპა. უბიწო სიყვარული არ დავამსხვრიეთ და ამისთვის მიმაჩნია ნამდვილ ქმრად. შენ ხომ ორმაგად ბედნიერი ხარ, საალერსოდაც გყავს, შვილების მამადაც, გემუდარები, თვალის ჩინივით გაუფრთხილდი. მაგას რომ ბედნიერად დავიგულვებ, მეც გავათრევ ამ წუთისოფელს რამენაირად.

სამშაბათია. როკი დილაუთენია ამდგარა. კიბის საფეხურზე ზის. ჩაის პლანტაციაში წამსვლელ ავტობუსს ჯერ არ მოუპიპინებია.

ჟენია. როკი, შვილო, საჭმელი კარადაშია. გენადი რომ გაიღვიძებს, დააბურე, შენ გტოვებ ოჯახის უფროსად.

როკი. მამა და გივი სადღა არიან?

ჟენია. მიაკვდა იმ დასაწვავ ბაზარს. რამედ მაინც ღირდეს. სარტყელს ასხამენ დღეს და შემომეშველეო სთხოვა გივის. გათენებულიც არ იყო რომ წავიდნენ.

როკი. დედი, ავტობუსია.

ჟენია. ახლავე, ახლავე, — ჭილოფის ქუდს და კარაჩხას დაწვდება. ჭიშკრისკენ გარბის.

როკი ბოლთას სცემს ოთახიდან ოთახში. სამჯერ დახედავს მძინარე ძმას. გახუნებულ რუკზაკში ტანსაცმელს ალაგებს. წიგნების თაროზე იქექება ერთხანს. იპოვის „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურულ გამოცემას, იმასაც ჩადებს. დაფიქრებული იმზირება ჭიშკრისკენ. მერე რაღაც გაახსენდება. აიღებს ტახტაზე დადებულ ჰანტელებს. მათაც რუკზაკში ჩაუშვებს. მოუკრავს თავს. კვლავ შეიხედავს ძმის ოთახში. ფეხისგულზე შეუღიტინებს ნაბოლარას.

როკი. გაიღვიძე ძილისგუდავ! ნახევარი საათია გიტრიალებ და ყურსაც არ იბერტყავ. დედამ საჭმელი კარადაშიაო.

გენადი. შენ სად მიდიხარ, როკი, ან ეგ ზურგჩანთა რაში დაგჭირდა?

როკი. ბევრს გაიგებ — ადრე დაბერდები. თუ მოიწყინო, რინოსთან გადადი. ქალაქში არ დაიწყო ყიალი. ოჯახის უფროსად შენ გტოვებ. მოდი, გაკოცო.

გენადი. როკი, გეხვეწები, მეც წამიყვანე!

როკი. სად წაგიყვანო, ბიჭო, ექსკურსიაზე კი არ მივდივარ. თუ შემაგვიანდა ნურაფრის შეგეშინდებათ.

გენადი. ერგეტაში მიდიხარ?

როკი. ჩაიცვი დროზე. მეერგეტება ახლა მე?!

გენადი. როკი, იცი, რა თქვა მამამ შენზე ბასილაიებთან?! ჩემი დამტირებელი ბიჭი როკი არისო. ხომ იცი მოფერება არ უყვარს მამას, ხანდახან რომ გიჯავრდება, შენ მართალი არ გეგონოს. ჩემი ყურით გავიგონე, რაღაც ამბავია მაგ ბიჭის თავსო. ხმა ეცვლება, ვარჯიშსაც გულს ვერ უდებსო. თუ ყურადღება მოაკელი, შეიძლება ხელიდან გადასხლტესო. გივის და გენადის იმდენად არ მეშინია, რამდენადაც მაგისიო. ვენია ბიძიამ არაყი მოატანინა ქსენია დეიდას. საუბარს შეჰყვნენ. მეშინია იმ ციგანკამ არ წამართვასო, თქვა ბოლოს.

როკი. ციგანკამაო?!

გენადი. კი, ასე თქვა. ამ დღეებში აპირებენ წასვლას, აიბარგებიან და მეც დავმშვიდდებიო. ილონას ხომ არ მიჰყვები მართლა?!

როკი. ხომ ხარ ჩემი ნამდვილი ძმა?!

გენადი ნეკა თითებს გადააჯვარედინებს.

გენადი. დედა მომკვდომოდეს თუ გაგოქვა.

როკი. ჰო, მივდივარ, მაგრამ იქ კი არ დავრჩები სულ. სიტყვა მაქვს მიცემული. ხომ გვასწავლის მამა, სიტყვის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობიაო.

გენადი. მაშინ მოკლეზე გადაჭერი, ჩიქობავების მხრიდან. დაგინახავენ ქუჩაში ბასილაიები, სხვები ვეშმეშოკით* და ეგრევე მამას მიურბენინებენ ამბავს. შენ სახლზე ნუ იდარდებ, კი არ მივატოვებ, რინოს აქეთ დავუძახებ. მოიცა, ყულაბა გავხსნა. ამ ზაფხულს სანდლების გარეშეც იოლას გავალ. სასკოლოდ მიყიდიან ალბათ. ჯობია მთლიანად წაიღო, არ დაგეფანტება. რამე რომ იყოს, მამას არ უთხრა, რომ ყველაფერი ვიცოდი, თორემ მისი ხასიათი ხომ იცი, ჭინჭრით გვერდების აჭრელებას არ მაკმარებს, სიმინდის მარცვლებზე დამაჩოქებს მთელი ქუჩის სამასხროდ“.

— როკი, ჩანთა მომაწოდე, გაიღვიძა ბავშვმა, ხაჭაპური მაინც შეჭამოს.

— ო, ნიკალას ვახლავარ, — თავზე მიუალერსა მამამ შვილს.

— ბაბაია, შენი ზღაპრის შემდეგ იცი რამდენ სიზმრებს ვხედავ მე?!

— მაინც? — ეკითხება როკი მემკვიდრეს და ყველით სავსე ხაჭაპურის ნაჭერს უწვდის, ჯერაც თბილს.

— ფრთები არ მაქვს და მაინც დავფრინავ, ბაბაია. ზოგჯერ ცეცხლს ვაქრობ კუტუტიათი.

— უყურე შენ, იქით ცეცხლი ჩააქრო და აქეთ ჩვენ დაგვტბორა. მამა, შენ არ შეჭამ ხაჭაპურს?

— ახლა არ მინდა, შვილო.

— მარინა, რინო, შეჭამეთ სანამ გაცივებულა. რიკოთამდე გაჩერება არ იქნება. იქ ოდა-სახლში ვისადილოთ მერე. ძაკაევიჩ, მოხერხებულად წევხარ?

— მე კი, მაგრამ თქვენ გაგაწვალეთ, შვილო.

— შეხედე რა რძალი გყავს, ფიგურას როგორ უფრთხილდება. კი აცხობს ჩინებულ ხაჭაპურს, მაგრამ თვითონ პირს არ აკარებს. ხოდა, წაგვადგა კიდეც.

ჩხოუშიას მარჯვენა სანაპიროზე ფორნები ჩამწკრივებულა. უკვე ცხენებს უბამენ. ილონა შორიდან შენიშნავს როკის. ხელს უქნევს. ბიჭმა ზურგჩანთა ფორანში შეაგდო და თვითონაც სწრაფად ახტა. გოგონამ ბრეზენტი ჩამოუშვა. წინიდან ღიაა. რკინის ჭალებზე წამოცმული არმატურის ნახევარრგოლები ყვავილებით მოურთავს ასულს. ღამით დაკრეფილი ვარდები საგრძნობლად შემჭკნარა. ბრეზენტქვეშ ცხელა, თუმცა დილის ცხრა საათი ძლივს იქნება. ჯვარედნულად შეკრული ფუთების ზედახორაა.

ილონა. ჩემი სიტყვის კაცი! გული საგულეში ჩამიდგა.

ტუჩები მცხუნვარეა. ოფლის და ნაფტალინის სუნი ერთმანეთში აღრეულა. ჩამუხლებულნი ეწებებიან ერთურთს. როკი გრძნობს ასულის წამოჩიტულ მკერდს და ილონაც — მამაკაცის ძალოვნებას. წამოიღებს სატრფოს ხელისგულს და საკინძეში შეატანინებს.

ილონა. ახლა ეგ იკმარე, მერე ქრისტიანულად ჯვარს რომ დავიწერთ, მთლიანად შენი ვიქნები, შენი.

უცნაურია კაცი. ისედაც როგორ გავივლე გულში გენადის გამცემლობა? ალბათ რინოსთან დააყრანტალა, ან ვენია ბიძიასთან-მეთქი, ვიკვნეტდი ბაგეს. სანამ თვითონ მამამ არ გაამხილა გელოდისთან საუბარში. ილონას ფაშფაშა ბიცოლას ჭოღო მიეგზავნა ვალერიანისთვის თურმე. ბაზრის შესასვლელთან ატუზული გიჟი ხელით მოუხმია ქალს.

სტალინ დო ბერია ქორწანსდა ჭიჭე ფარა ქომუჩია, დაღრეჯია ჭოღო.

მოგცემ, ოღონდ ერთი პირობით, კალატოზ ვალერიანს ხომ იცნობო, ჩაძიებია დედაკაცი.

ზაბორს8 რომ აკეთებსოო, უკითხავს ჭოღოს.

ჰო, მაგიო. ასე გადაეცი, შენი ბიჭი ფორანზე ზის რუსეთში წამსვლელად-თქოო. ა, გამომართვი მანეთიანი. მეორე მანეთს ისიც მოგცემს, მეტი რაღა გინდა. მიწის გულშიც რომ იყოს მოძებნე, ხომ იცი როგორი თავზეხელაღებულია?! თუ დაგავიწყდა, შენს ბურდღას ვერავინ დაინახავს აქოო.

ჭოღო მაშინვე დატრიალებულა, ბევრი უძებნია, მაგრამ ამაოდ. მამა და

გივი სასადილოში საუზმობდნენ თურმე. ვალერიანი ბასილაიების არყისგან პახმელიაზე ყოფილა, ლუდს შეექცეოდა. მისულა ჭოღო, გამასპინძლებიან ლუდით, სასისკით. მერე განშორების წინ დაჯღანულა ჩვეულებისამებრ:

სტალინ დო ბერია ქორწანსდა ჭიჭე ფარა ქომუჩი დო მუდგანრენს ქოიწინქიაზ. ვალერიანს არ ჰქონია ჯიბეზე ფული. გამოურთმევია დახლიდარისთვის მანეთიანი. საიმედოდ შეუნახავს ფული ჭოღოს და მხოლოდ მერე მოუხსნია გუდასთვის თავი. შუბლზე უტკეცია ხელი მამას. ვინ იცის როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება რუხთან რომ არ წამომწეოდა? გელოდი ჩიქოვანის „ზიმს“ თვალი რომ მოვკარი, ყველაფერს მივხვდი და მაშინვე ბოღმა მომაწვა ყელზე გენადის მიმართ. მიწა გამსკდომოდა მერჩივნა. რა აზრი ჰქონდა ფუთებში დამალვას, აქეთ ილონასი მრცხვენოდა, იქით მთელი ბანაკის — თავის სასაცილოდ აგდების გამო. ჩემი უსუსურობა მამწარებდა. პირველად მაშინ ვუკბინე მოკაკვულ სალოკ თითს. ო, რა ჯოჯოხეთი ჩაუხვევია თურმე გულში ლუდოედს?! ვაჰ, სამტრედიას გამოვმცდარვართ, აზოსთან შეივლიდა კაცი, მაგრამ ვიცი მაგისი ამბავი, არ დაგვეხსნება, რესტორანისკენ გაიქაჩება, უმჯობესია ჩვენს საქმეს მივხედოთ.

სვეტლანა. რატომ არ დაელაპარაკე, გულზე მოგეხსნებოდა.

როკი. მერედა, მემორჩილება ხმა?!

სვეტლანა. თურმე ტირილიც შეგძლებია. დაწყნარდი ეხლა. კინაღამ წამომცდა, მარჩიელობა არაფერ შუაშია-მეთქი. ყველაფერი წყეული ბიცოლაშენის ბრალია. რომ არ დაესმინეთ, ასეთ დღეში არ ჩავარდებოდით-მეთქი.

არა, როკი, ბატონო, შენ და რიგითობა ერთ ჭურჭელში ვერ თავსდებით. ზონაში უცებ მოიხვეჭ პირველობას, მაგრამ თავისუფლებაში როგორ, რითი გინდა მისაბაძი იყო?

ზაქარაია. შენი ბედი მადარდებს ვალერიანოვიჩ. ფეხი ვერსად მოგიკიდებია. ვასია ბრილიანტი შენ არ ხარ ბოლომდე დაგინდონ; არც კომუნისტი ჯუმალ გეგეჭკორი, გაჭირვების ჟამს ვინმე ფუნქციონერმა დახმარების ხელი გამოგიწოდოს; არც ეროვნული მოღვაწე, დისიდენტი — მერაბ კოსტავა, მამულისთვის მოწამის გვირგვინი დაიდგა თავზე და ერის ფარული თუ აშკარა თანაგრძნობით ისულდგმულო; ზვიად გამსახურდია საერთოდ არ ახსენა, არადა, რა სწრაფად ამოტივტივდა?! ეტყობა ამას დიდი კონსტანტინეს ავტორიტეტიც უწყობს ხელს გარკვეულწილად. **არც ფილოსოფოსი მამარდაშვილი, ლექციების წასაკითხად უცხოეთის უნივერსიტეტებში მიგიწვიონ; არც ჩუბინიძე, ღვთიური წარმომავლობის ადამიანზე იოცნებო და უცხოპლანეტელების იმედი იქონიო; არც სიტყვამადლიანი ანთარია, საკუთარ ნაჭუჭში რომ ჩაიკეტო და გულიდან ნაფლეთებად ამოტანილი შემოქმედებითი მადლით დასტკბე;** ერთი მე მკითხეთ მაგ მადლისა. **არც ძველმართლმადიდებელი მამა იონა, ანაფორა რომ მოისხა ტანზე,**

ბერის კაბაში შეძვრე და იესო მაცხოვრის ჭვრეტაში დაიფერფლო; არც გიორგი იბერიონელი, დედამიწის ხელმეორედ შეჩერებაზე იფიქრო წაშლილი ოდინდელი ცოდნის რედუქციისთვის. კუნძულს ჰგავხარ ვალერიანოვიჩ, ათასი დინება და ტალღა რომ გიტევს და ბარაქალა შენს გამძლეობას! ხედავ, რა ზუსტად გაშიფრა ჩემი ცხოვრება. ნამდვილი პროფესიონალია. კუნძულს ჰგავხარო. განა როკიც იგივე არ არის, მარტოხე, პოდპოიასნი, ტრამალის მგელი, გამუდმებით სიკეთეს რომ იქმს, ერთს ესარჩელება და ათს იმდურებს?! ეგერ, ვალერიანს ჯიბეში რომ უდებდნენ თუმნიანებს და ოცდახუთმანეთიანებს, ხომ შეეძლოთ მეზობლებს ჩემი თვალისთვის დაფარულად მოემოქმედნათ ყოველივე, მაგრამ მანამდე აყოვნებდნენ ხელში, სანამ რიგიანად არ შევნიშნე. ახლა ჩემი თვალებისგან ნაყიდია ეს სიკეთე და ამდენად, ნაკლები ღირებულებისაა, ვინაიდან თითოეული მოძრაობისგან დავალებული ვარ — ხომ უნდა მიაგო სანაცვლო პატივი საჭიროების შემთხვევაში?! დიდზე დიდი პიროვნება უნდა იყო ყველასგან მალულად მოახერხო ქველმოქმედება, კარგი ქნა, ქვაზე დადო და გაიარო. არა იმის შეგნებით, როდესმე წინ დაგხვდება, შენთვის, შენი სულიერი ამაღლებისთვის დადო ქვაზე და გაიარო. ასეთი გმირობა მე უფრო ძვირფასი მგონია, ვინემ თუნდაც სამშობლოსთვის სააშკარაოდ გაღებული სიცოცხლე. ისიც ნაყიდია არდავიწყების თამასუქებით, მაგრამ ფარული თავდადება ხალხს არაფერში არგია. ქვეყანას თუ არ ეცოდინება ვინ არის მისთვის წამებული, მისი მხსნელი, ქომაგი, ჭირში მოზარე და ლხინში მოზეიმე, ვინ გადაარჩინა განსაცდლისგან, მაშინ თავად საფრთხეც არ შეფასდება მართებულად და არც მომავალში აღენთებიან ათასები პატროფილური ქმედებისთვის. აშკარა გმირობა უწინარესად ერის ინტერესების სამსახურშია და ამდენად — გამართლებული უმრავლესობის პოზიციიდან. აბა, ვნახოთ თუკი ჩაგიდენია მსგავსი რამ ოთხი ათეული წლის მანძილზე?! ბავშვობისას არაფრით გამოირჩეოდი შენი კბილა თანასოფლელებისგან. ფეხშიშველა დარბოდი ტყე-ღრე. თივით დატენილ ბურთს დასდევდი. დრახობაიას, იგივე ომობანას თამაშობდი, ან ბაბუა ძაკას შეგონებებს უგდებდი ყურს. პირველი რაც დაგახსომდა, ქურახანაა. სიგრძივდაპობილ ურემ შეშას ჩააწყობდნენ შიგნით. აგუგუნდება ქურა, აქეთ ყალიბით გამოჭრილი აგურების ლაშქარია, ჩიტებს, ქათმებს გადაურბენიათ და დარჩენილა ზედ მათი ნაკვალევი. ზოგი კაცის ცხოვრებაც იმ ნაფეხურებს ჰგავს. ჩატვირთავენ მერე პურივით ჩამომწკრივებულ კუბიკებს. რბილი, მორუხო მიწა ზაფრანასავით წითელი ხდება. მიურაკუნებს ჩაქუჩს ბაბუა და ზარის ხმას გამოსცემს.

რკინასავით აგურიაო, იტყვის თეთრწვერიანი მოხუცი, ქვა შეიძლება დაიშალოს და ეს კი — ნურას უკაცრავადო.

ურმების ქარავანი გახსოვს, ოცი, ორმოცდაათი, ასი, შუკაში გაჭიმული; მათი თვლებისგან ღრმად გაკვალული ბილიკები, ერთმანეთს რომ გადასერავენ. გაწვიმების შემდეგ ბრწყინავენ კლაკნილი ხაზები. სამი წლის ძლივს იქნები. წითელ ვაშლს გჩუქნის ბაბილინა ბებია. ძაკა ბაბუა სანამყენე ფარ-

თეწვერიანი დანით გაგითლის, ისე ჩამოხუჭუჭდება ის კანი, არსად გაწყდება და ბალახში ჩავარდნილს მაშინვე ყვინჩილები ეძგერებიან. სამზადი გახსოვს, ისლისგან გადახურული, მუდამ კვამლში გახვეული, უშველებელი ქვაბი ნაჭაზე, ბებია ბაბილინა ლეღვის მოღუნული ტოტით ჯვარს რომ გამოსახავს მის ზედაპირზე. თითქოს ოთხ ნაწილად ყოფს იმ რძეს. დაიწრუწუნებს ორგზის, კვალი კი არ ჩანს. ჩამოდებს იმ ჯოხს მწვანე ლიტრიანის გვერდით. მერე იმ ბოთლიდან ნაქურჩალის საცობს მოაძრობს, მომცრო ჭიქაში ჩამოისხამს, ამოიღებს წინსაფრის ჯიბიდან ნივრის თავს, ერთ კბილს გაფცქვნის, დაღეჭავს და მიაყოლებს ,,მუცლის ტკივილის წამალს''. შენც გაუსინჯავ ერთხელ გემოს იმ დურბელას. ჩამოცვენილი მსხლებით დანაყრდები უზმოზე, გრილი ნიავი გიბერავს ტრუსის ამარას და დაგიწყებს კიდეც მუცელი ტრიალს. იჭინთები. მშველელს უხმობ, მაგრამ ჯალაბობა გაკრეფილა. გახსენდება ბებიას წამალი. ტაბურეტით შეაბობღდები იმ თაროს. წვალებით აივსებ ჭიქას და დაცლი. ოდამდე ძლივს მიიტან დაზაფრულ სხეულს, აივანზე ამოაღწევ და მოცელილივით დავარდები იატაკზე. ნაშუადღევს გეღვიძება. თავზე დაგსტრიალებენ. ბაბუა შორიდან იმზირება.

კარგ დროს დაიწყო ჩვენმა როკიმ, რა გვიჭირს აწიო, იღიმის. ვერ ხვდები რა დაიწყე, ან რითი არის ყოველივე კარგი. შენ ხომ ბაბილინა ბებიას ,,მუცლის ტკივილის წამალი'' დაგილევია?! მართლაც რა მალე გიშველა?! იმ დროს ნიკასხელა თუ ხარ. ეგ პროფესორია შენთან შედარებით. სად არის რადიო, ტელევიზორი, მაგნიტოფონი, ვიდეო?! ერთადერთი დაუზარელი გამრთობი ბაბუაღა მოგეძევება, ჩითისპერანგიანი კაცი, თეთრი წვერით, ქვედა ქუთუთოები რომ ჩამოზიდვია და ხშირად ცხვირსახოცით იმშრალებს იქ ჩამდგარ ცრემლს. პირველი შელაპარაკება ჩაგებეჭდება გონებაში.

კიდევ იჩხუბე ბიჭოო, ეუბნება ძაკა ბაბუა მამას. მთელი ერგეტა გინდა ამიმხედროო, ხელს უტრიალებს ცხვირწინ. ვალერიანი კი ტახტაზე ზის, გაზეთის ნაგლეჯში გახვეულ თუთუნს ეწევა. შენ ნელ-ნელა იფართოვებ მოქმედების საზღვრებს. ურმის თვლებით დალიანდაგებულ შუკაში გადიხარ ზოგჯერ დამოუკიდებლადაც. ჩაყურუმებულ ღელეში იცქირები. იცი ღორჯოებითაა სავსე, მაგრამ მათი დაჭერის მოხერხება ჯერეთ არა გაქვს. შაშვების ბუდეებს ეძებ. აგურხანიდან ახოებისკენ ჩაუხვევ აქა-იქ.

ერმინე გაბისონიას ბიჭს დაჭყლეტილი ვედროთი ლეკვები წამოუყვანია მამის დავალებით, თვალგაუხელელები. ერთმანეთში ირევიან. ცხრა თუ ათი დაუყრია ძუკნას. სამი დედას შეარჩინა თურმე დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ. თითო-თითო ჯოჯუებისთვის და ადელუებისთვის მიუცია. ახლა თითმერიებთან გადავა.

თქვენთვის ხვადი მყავს მოტოვებულიო, გეუბნება დიდის ამბით.

სასა თუ აქვს შავიო, ეკითხები შენ.

ოხ, ნახშირივითო, გპასუხობს იგი. აბა, ღელეში ხომ არ გადავყრიდი მართლაც?! გინდა ლეკვი მოგიკლავს და გინდა — ადამიანიო, ბრძენივით მსჯელობს

ერმინეს ბიჭი ნაპო. ხვადი უკვე იცი რაც არის. წაქით აპურებ. კვირაც არ გაივლის და სულ კუდში დაგსდევს. ამოიღებს მთვარისხელა ყველს ბებია. მოგიმტვრევს მუშტისსისხოს. ნახევარს ლეკვს უწილადებ, დანარჩენს მადიანად შეექცევი. ან კამეჩის უმ რძეს ტოლჩათი მოგაწვდის. იმასაც შენს პატარა მეგობარს გაუზიარებ. მოგვიანებით სკოლაში რომ წახვალ გივის ფეხდაფეხ, ის ტანაყრილი ლეკვიც გამოგედევნება მოხრეშილ თემშარამდე. იქ უფროსი ძმა ქვას მოუღერებს ძაღლს. ბოთურია თავს ჩაღუნავს, უკმაყოფილოდ შეტრიალდება, ათიოდე ნაბიჯს გაივლის და ჩაცუცქდება. დაბრუნდები სკოლიდან და ლაქუცით შემოგეგებება შუკის თავთან. ახლა გივი არ უწყრება. სამნი მოაბიჯებთ. კვლავ უწილადებ შენს ლუკმას და ასე გრძელდება ვიდრე მამა აივნიდან თოფს დაახლის ყარყატების გუნდს და ეზოში ჩამოაბათქუნებს თოვლივით თეთრ ფრინველს. აქედან მოყოლებული ორი მეგობარი გყავს. ამიერიდან მეტ დროს დაჭრილ გედს უთმობ. ამის გამო მოწყენილია ბოთურია. ზის კიბეებთან და თვინიერად გიმზერს როგორ ელოლიავები თავზე ფრთოსანს. ათასში ერთხელ თუ მიუფერებ, სიხარულისგან აწკმუტუნდება, ხელებს დაგილოკავს. მერე მოდის უსაშველო სევდა — გედი გაგეპარება და კიდევ უფრო საშინელი რეალობა — ტაუ ადელუას კაკალ გულში მოურტყამს თურმე ჟაკანი. ბუმბული საბალიშედ გადაუნახავთ. ხორცი ჩაუსაცივებიათ. ვალერიანს ძლივს გამოგლეჯენ ხელიდან შეცბუნებულ მონადირეს. შელაპარაკდებიან ამის გამო ბაბუა და მამა. რაღაც ბზარი ჩნდება სულში. სამი დღეც არ გაივლის და ურემზე შეგსვამენ, რომელიც თხილის წკნელებზე გადაჭიმული ბრეზენტითაა გადახურული. იმ წკნელებს ცეცხლში გამორუჯავს ვალერიანი, მერე ჭალებზე ლაფანის კანით მიანასკვავს, ერთმანეთზეც იგივე ლაფანით გადააბამს. გენადის მთელი გზა სძინავს. ლეიბზე წევს. შუაღამით გადმოდიხართ შინიდან. სამი ურემი ერთიმეორეს მისდევს. მეწინავეს კოფოზე დედა მოკალათებულა, შუათანას გივი მართავს და ბოლოს — მამა. თითოეულ ურემს ფურ-კამეჩები და ძროხებია გამობმული. ხბოები და ზაქები თავიანთ დედებს ფეხდაფეხ მოჰყვებიან. ცხენიც არის ერთი ფაშატითურთ, მამის ურემს გამოკვანძული და კიდევ — ბოთურია. გადაკეტილ რკინიგზასთან შემოგათენდებათ. სატვირთო მატარებელი სანამ ჩაივლიდეს დგახართ და ელით. შენ ჯერ არ იცი შლაგბაუმი რაა, მატარებელიც მხოლოდ წიგნში გინახავს, ჩაიხრიგინებს და თვალებს აფახულებ. მამა ნერვიანობს, სიგარეტზე სიგარეტს ექაჩება.

ნუ გეშინია ვალოო, აწყნარებს დედა, აგერ არ გყავარ, ყველაფერი წესრიგში იქნებაო.

მამა კი თავს აქნევს მწარედ.

რა იქნებოდა გამომშვიდობების წინ ხელი მაინც ჩამომერთმია, არასდროს დამავიწყდება მისი აქვითინება, აცახცახებული მხრებიო. ვიცი, ვერ გადაიტანს ამ დარტყმასო.

ვალერიანი არაფერში ცდება. მესამე კლასში ხარ გადასული და ბაბუას სიკვდილის ამბავსაც ჩამოგიტანენ. დედა დაიხოკავს ღაწვებს. ამინდიც არ გაუმართლებს საწყალს. შენ და გივი აძიუჟბელ ძუძუმტეებს უმასპინძლდე-

ბით. ეგენი ხელმწიფის შვილებივით გამოიყურებიან. ჩვენ სამგლოვიარო გვაცვია. ქელეხის ხარჯებს მამა კისრულობს. უნდა ამით მაინც გამოისყიდოს მშობლის წინაშე უნებლიე დანაშაული. ასაშენებელი ორი სახლის ფულს წინასწარ აიღებს. დიდებულ სუფრას გაუწყობს. მოიტანენ ღვინოს კასრებით ჯიხაშკარიდან, მაღალი ფუმფულა პურებს ინგირიდან. თავზესაყრელადაა ლობიო, კომბოსტოს მწნილი, მოშუშულხახვიანი მაკარონი. აძიუჟბელ სტუმრებს ცალკე მხარეს დასხამენ. იქ მეტია ხორაგი — თევზის კონსერვები, ლიმონათი, ჰალვა. ჩვენ წინ მოვუძღვებით პროცესიას. ავიძბებს ისევ ის გვირგვინი მიაქვთ, რომლითაც შემოვიდნენ და მთელი ერგეტა აავიშვიშეს. მორდუც ორ ქალს გაუკავებია, ლოყები იმასაც დაუკაწრავს, ხოლო ინალი ბიძია, როგორც კი შეუდგება მის მიერ ჩამოტანილ სასახლეს, მერე არავის დაანებებს, სანამ მოხრეშილ თემშარაზე არ გავლენ. შავები აცვიათ იმათაც და ძაკა ბაბუას სურათი მკერდზე მიუბნევიათ. ამ სურათებს მამა დაამზადებს. ვალერიანი აძიუბჟელების კუბოთი და გვირგვინით მოსვლამდე წვეთი ცრემლი არ გადმოუგორდება, აქ კი ვეღარ გაუძლებს და ხარივით აბღავლდება. როგორ გინდა შეხვდე ახლა ამ ხალხს? თავქარიან ალვერს რანაირად აჰყვი საუბარში?! ბოლოს და ბოლოს მართლაც ხომ არ მოუწერიათ ხელი იმ წყეული წერილისთვის? სულ ნაბოლარა ძმას წიხლავდნენ შენს სასარგებლოდ. რა იქნებოდა მათთვის ეს დღეები?! გამოჯანმრთელდება მამა და მთელი ოჯახით ვინახულებ. ნიკამაც იცოდეს ვინ ჰყავს მოყვარე ენგურს გაღმა. ძმას ძმის ხელი თუ არ ეტკინება, არც წალაპარაკება უნდა ჩაიხვიოს გულში. ახლა ეს ყველაფერი ვალერიანის სინანულს ჰგავს, შლაგბაუმთან რომ ქაჩავდა სიგარეტს და თავს იმართლებდა ბაბუასთან გამოუმშვიდობებლად განშორების გამო. დედაც წყევლის თავის შვილს ზოგჯერ, მაგრამ ნამდვილი კი არ არის ის წყევლა. ერთი წყენინების გამო წყალში უნდა ჩაუყარო ადამიანს ამოდენა ამაგი?! არა, შენ და ვალერიანი, გივიც, გენადიც, არაფრით ჰგავხართ ბაბუა ძაკას. ეგ სხვანაირად იზამდა, გაგულისებამდე არ მიიყვანდა საქმეს. ეგეთები ბლომად რომ იყვნენ ქვეყანაზე, საერთოდ არ შეიკვრებოდა ხელი მუშტად. სულგრძელობის განსახიერება იყო. წავიდა ბაბუა და ქურახანაც მოიშალა. ზედ ბალახი ამოვიდა. შუკამაც მოისვენა ურმის თვლებისგან, დაიტკეპნა, ასფალტივით გახდა. დათიკო ბიძიას სიზარმაცეს ვერ დასწამებ, მაგრამ სად სამი მამაკაცის შეძლება და სად — ერთისა?! სამი სამოსახლოს მოვლას ეხუმრები?! თანაც სულ მუქთაზე უნდა იშრომო. მოვლენ რედიკულებით მამიდები და გატენილი ჩანთებით დატვირთულები ბრუნდებიან. თქვენს ოჯახსაც იქაური მოწეული შველის არსებითად. წლიდან წლამდე საყიდელი არ გაქვთ სიმინდი, ლობიო, ყველი, ხილი. ბაბილინა ბებია მაინც ვერაფრით შეეჩვევა ზუგდიდს. ოთხი-ხუთი დღე უდარდელია, მაგრამ კვირის მიწურულს კაეშანი მოერევა. თვალისჩინი წართმევია, არც მუხლები ერჩის ძველებურად, მაინც ერგეტისკენ მიუწევს გული.

კაცების საფლავები უყურადღებოდ დამრჩაო, წუწუნებს. მრავლობითში ამბობს. სინამდვილეში მხოლოდ ძაკა ბაბუა მარხია იქ. ომშიდაღუპულ შენს ბიძებს იქიდან გლოვობს.

ბაბილინა გასაოცრად მღეროდაო, გსმენია ხანდაზმული ერგეტელებისგან, მაგრამ ისე გარდაიცვლება შენი პატიმრობის წლებში, იმის დაკვნესებულის მოსმენას ვერ ეღირსები. ეს ჭანიები მართლაც ჭიანურები არიან. ერმინე გაბისონიას ცოლიც ერთ სოფლად ღირდა წვეულების დროს. ჩონგურზე ხინტურ-ხანტური ემარჯვებოდა. მიცვალებული გინდა მიხრწნილი ყოფილიყო, მისი ხმით ნატირალი მდუღარე ცრემლს აღვრევინებდა დიდპატარას. ბოროტებას ვითომ ერევა სიმღერა და სიყვარული?! არც ისე ხელწამოსაკრავი ყოფილა, როგორც ამას უსინათლო მეჩონგურე ამტკიცებდა. აჰა, დამთავრდა შენი ბავშვობის წლები. რა შემოგრჩენია?! ორად ორი სიკეთე, ორად ორი ნათელი. ერმინეს ბიჭს, ნაპოს, ბრმა ლეკვი რომ გამოართვი, რომელიც შესაძლოა ღელეში გადაეგდოთ და დაჭრილი გედი. ორივეს უმეგობრე, ორივეს დახმარების ხელი გაუწოდე, მაგრამ პირველს ტაუ ადელუამ დაახალა ჟაკანი და სიცოცხლე მოუსწრაფა, ხოლო მეორე, მოგვიანებით, რაც ხოთოს ამძუვნებულმა ძაღლებმა წაიტყუეს, მერე შინისკენ პირი არ უქნია და როგორც ჩანს, სანეპიდსადგურის ხალხის თოფის წერა გახდა. ვინ დაინახა შენი სიკეთე, ან თავად იმათ წაადგა რამეში?! ლუკმას უყოფდი, სულს უზიარებდი, ძილი გაგიკრთა, ცხოვრებამ კი თავისი ულმობელი ხელებით ერთსაც და მეორესაც კისერი მოუგრიხა, ისე ოსტატურად, უკეთესად ძაკა ბაბუაც ვერ დაგრეხდა ლაფანის კანისგან თოკებს. და კიდევ ქსენია ბიცოლამ იცოდა ასე ქათმებისთვის თავის წაწყვეტა. მარჯვენა ხელში ნისკარტდაღებული თავი შერჩენია, ტანი კი ბათქუნობს, ხტება ერთი ადგილიდან მეორეზე, მავთულ-ბადეს აწყდება, დაწყნარდება ბოლოს. დურუმ ხომ მთლად გიზო ხაზალიას გარმონივით გაწელა და გაგლიჯა კატა. იმ პირმგვალ ცეკვის მასწავლებელს წვერწაწვეტებული ტუფლები ეცვა გამუდმებით, ციდის სიმაღლის ქუსლებით. დაბაკუნობდა სცენაზე თორმეტიოდე მტკაველის ვერცხლისწყალივით მოძრავი კაცი. შენმა მოგვარე გურიელმაც ხომ მისგან ისწავლა გარმონის წრიპინი?! თათულის დაჰყვები მეცადინეობაზე. გიზო მოურიდებელია. წამოჩიტულ გოგონებს ისე თამამად ჰკიდებს ხელებს წელზე, მკლავზე, მკერდზე, ზურგში, ვითომცდა არაფერი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ითვლის ხაზალია დოლის ბაგუნში, ან გარმონის წრიპინში, მერე დაადგებს ინსტრუმენტს, იღლიებში შეაფრინდება გოგონას.

უფრო მოქნილად, რამეფრად წელში არ გადატყდეო, ეუბნება და წკნელივით ღუნავს წინ და უკან. ქალიშვილებს სახეზე ალმური გადასდით. მასწავლებლის ხელების ფათურს აინუნშიაც არ აგდებენ. ის კი არა სიამოვნებთ კიდეც. ასი ასული გყავდეს, ცეკვაზე არასდროს შეიყვანო. თითქოს ილეთებს ასწავლიან და პწკენა-პწკენაში ქალწულობის ბეჭდები უმისამართოდ

ეკარგებათ. გელოდი ჩიქოვანის „ზიმით“ არქეოლოგების ორმოში რომ გადაეშვები, თათულის ხელები არ უძალიანდება შენი თითების ალერსს. ათიოდე წუთში ქარტეხილი რომ გადაივლის, მოგუდული ხმით ეკითხები:

კი, მაგრამ პირველი ვინ იყო-თქო.

რომელი პირველიო, თავს იკატუნებს აცრემლებული, თითქოს ვერ ხვდებოდეს რასაც გულისხმობ. ეტყობა იმედიანობს ვერაფერს შენიშნავ და რძლად მიგვრი ოჯახში ვალერიანს, მაგრამ თვალებს რომ დააბრიალებ, მოიკუნტება.

ცეკვის მასწავლებელიო, ამოიკნავლებს.

შენ ხომ მაშინ თხუთმეტი წლისაც არ იყავი-მეთქი.

ჰო, არ ვიყავი, მაგრამ გვიანობამდე მტოვებდა და ერთხელ მეც ვერ გავუძელი მის შემოტევასო.

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ტუხა ფარფალიასთვის ცარცი რისთვის შემაჭმევინე მაშინ ტყუილ-უბრალოდ? ცეკვას ხომ უფრო ადრე დაანებე თავი-მეთქი.

ხმას არ იღებს.

მითხარი-თქო და წაუჭერ მკლავში. ხომ ხედავ რამხელა ორმოა, საფლავიც გასათხრელი არ მექნება-თქო, უბღვერ.

ვერაფერს გპასუხობს.

ახლა ყელისკენ წაიღებ ხელებს. დაფეთებული თვალებს შემოგანათებს.

მინდოდა შენთვის დამემტკიცებინა, რომ ვითომ უკარება ვარ, მიყვარდი და იმიტომო.

გიყვარდი კი არა ის არ გინდა, ხაზალიას ალერსს თუ ითმენდი, ფარფალიას მოფერებაც აგეტანა-თქო, თვალებით ანადგურებ.

ოჰ, ეგ ცეკვის დროს შემომიჩნდებოდა, როცა აზრზე ვერ მოვდიოდი, ხოლო გოდორა ტუხა მეცადინეობისას დამადგებოდა თავზე, გვერდით მომიჯდებოდა და ლაჯებში მიყოფდა ხელსო.

სხვაობას ვერ ვხედავ-თქო, არბილებ ხმას.

სხვაობა როგორ არ არისო.

აწი რანაირად აპირებ გათხოვებას? ეკითხები ცნობისმოყვარედ.

შენი იმედი მქონდა, მაგრამ ვხედავ წყალში ჩამიცვივდა თეთრად გათენებული ღამეები. ვიღონებ რამეს, გამოჩნდება საჩემოცო.

გოგო, ჯერ ერთი, მე შენ დაძმურად მიყვარდი, მეორე ჩემზე წელიწადნახევრით უფროსს ცოლად როგორ მოგიყვანდი?! მესამე ხაზალიას გაბრედილს ვალერიანს მივგვრიდი ოჯახში?! ასე რამ გამოგატვინა. ახლა კიდევ რომ წაგიჭირო ყელში ორი-სამი კაცის სახელსაც ამოაპრანტალებ, ვინაც ჩემამდე დაგაზონარა-თქო, თვალს თვალში გაუყრი.

სარკმლიდან მიწის კედელს მიაჩერდება. ტირის.

ცრემლით გულს ვერ ამიჩვილებ, უწყრები კვლავ. მერე ისევ გებრალება, სველ უპეებს ხელისგულით ამოუმშრალებ.

ესე იგი მაინც გყვარებივარ სადღაცო.

აკი, გითხარი დაძმურად, გაიგე, ჩასძახი ყურში.

მაშ, ამსიშორეზე რისთვის მოგყავდი? დებს როდის იყო ტყე-ღრეში ახეტიალებდნენ? როზა გრეჩანკას მაინც არ ვჯობივარო.

ეგეთებს მოეშვი-თქო, ბურდღუნებ. გრძნობ უცებ როგორ წამოგაწითლა. როზაზე ხომ მთელმა ზუგდიდმა გაიარა პრაქტიკა მამაკაცურ საქმეებში. შენც მათ ამქარში არ გაგრია ხელად?!

ქალების მეტი რა მყოლია? ტყუილად დავდივარ ყოველ ზაფხულს აძიუბჟაში მორდუშვილებთან. დამსვენებლების მეტი რა ყრია პლაჟზე-თქო, მიაჩერდები ჯიქურ.

კარგი, მოვეშვათ კინკლაობას, ცოლობას არ გთხოვ, ოღონდ ჩემთან იარე. შვილსაც არ გაგიჩენ, ბატონო, დედას დიდი ხათრი აქვს შენი, ხელს არ შეგვიშლის. ხომ არ მიმატოვებ მთლადო.

ვნახოთო, პასუხობ ორჭოფულად.

ის კი იერიშზე გადმოდის. ვის ახსოვს შენი ილონა. სინდისის ქენჯნა გამქრალა. ხვალ ისაკ ქარდავას აბანოში ტონა წყალი რომ გადაივლო თავზე, სულიდან მოციცქნულ ნათელს ვერაფრით აღიდგენ. შორს არის იგი და ვერასდროს გაიგებს ამ ამბავს, მაგრამ მაღალმა ღმერთმა ხომ უწყის ყოველივე, რომელიც გამუდმებით ჩაგყიჟინებს ყურში: არ იმრუშო, არ იმრუშო, არ იმრუშო!

აისრულებს საწადელს თათულიდა. მისავათდება. წევხართ გულაღმა გადაკეცილ საზურგეებზე. გრეჩანკასთან პირველი და უკანასკნელი მისვლა გახსენდება. უფულოდ არავის გაიკარებს როზა. ხუთ მანეთზეც ყაბულსაა, ოღონდ მთლად ხელცარიელი ნუ მიხვალ. ტურნუს ჭარგავა გაქცეულია ბაზრიდან. მოსულიერებულია წყალნაპკურები ლადი ჭანია. მისი რძალი ბევრს წყევლის და აქვესკნელებს ყაჩაღს, მერე იღლიაში შეუდგება. ჩონგურები და ჩანთა შენ მიგაქვს. ილონა არსად ჩანს. არეულობაში გამქრალა. ავტოსადგურამდე მიაცილებ. ჩომახიების სასადილოსკენ გადმოჭრი. ფეხებს თავისით მიჰყავხარ. გრეჩანკას ფანჯარა ზედ ბირჟის თავზეა, ბელადის ძეგლჩამოგდებული პოსტამენტის პირდაპირ. მისი ბარაქიანი საცვლები დროშებივით ფრიალებს აივანზე დღემოსწრება. ბაბუა უკვე გვარიანი ხნის დაკრძალულია. კიბეებზე მიაბიჯებ და გული ბაგაბუგით გიცემს. ფულის იმედი გაქვს. დიდი ამბავი ხელცარიელი თუ მიბრუნდები შინ. საბაბი ჩინებული გაქვს — ტურნუსთან შეფეთება, ლადი ჭანიას გამოქომაგება, იქაური დავიდარაბა და წეწვა-გლეჯა. დაკარგავდი, აბა, არა?! ვინ ჩაგეძიება, მით უფრო — საღ-სალამათს?! უკაკუნებ.

ღიააო, გეძახიან შიგნიდან.

შეაღებ კარს. რაღაც მძაფრი სუნი გეცემა, რომელსაც ვერაფერი გააქრობს შენი ნესტოებიდან. რამდენ ზონას შემოივლი აქტიუბინსკის ჯურღ-

მულების ჩათვლით, მაგრამ გრეჩანკას ბინის სიმყრალის გადაფარვა აღარაფერს ძალუძს. თმააწეწილია. ფეხები სკამზე შეუწყვია. ჭრელი ხალათის ღილი აწყდომია წელთან და ვარდისფერი საცვალი მოუჩანს ჭიპთან ერთად. წყვეტერიაᲐ სუპს ხვრეპს და ბარაქიანად ატანს თინთუშას ლავაშს. ჭამის დროს ლუკმას ხან ერთ ლოყას გადმოაბერვინებს, ხან — მეორეს. კარს ზურგით მიაწვები. უხმაუროდ ჩარაზავ.

შენ რა გინდაო, გეკითხება.

ხმას არ იღებ. ასაკით მეტი ხარ, ვიდრე გამოიყურები. გეუბნებიან უფროსი მეგობრები:

სიმძიმეების აწევას შეეშვი, თორემ სიმაღლეში ვერ წახვალო. უკვე კარგა ხანია გრძნობ საკუთარი ბალნის ფაჩუნს ქილვაშებთან, ზედა ტუჩზე, ნიკაპთან, სხვაგანაც. ძუძუებში ორი ჟაკანი ჩაგჯდომია. შოთა ხუბულავას სიტყვები ყურში გიგუგუნებს. ა, როგორ გითხრა?

გადმოგიყვანდი ისევ ჩვენსას, მაგრამ დაერევი კერუციასავით ამ ჩემს შინაბერა ქალებს და თავს საციხედ გაიხდიო. ისე, გარეთ მოძებნიდე, დროა, დიდხანს თუ გინდა ნამდვილი მამაკაცი იყო, მოშარდვის დროსაც კი ნუ მოჰკიდებ ხელს იმ ერთ ადგილსო.

დამუნჯდი კაცო, რა გინდაო, გეკითხება ლუკმით პირგამოტენილი ქალი.

შენ კვლავაც დუმილს ამჯობინებ. რაც შენ ახლა გინდა იმას ტყვიაც რომ დაგახალონ, ხმამაღლა ვერ გათქმევინებენ.

ფული გაქვსო, მოგაჩერდება ირონიული ღიმილით.

შენ ბღუჯად იღებ საყიდლებისთვის გამოტანებულს და მაგიდაზე ყრი. ის გულმოდგინედ მიქექ-მოქექავს პურიანი ხელით, ქაღალდის კუპიურებს ხურდისგან განაცალკევებს. თვალებს ბრიცავს, ტუჩებს იბზუებს. ლამის არის შიშისგან გული გაგისკდეს. ვაითუ იცოტავოსო, კრთი. ბევრი კი არ აკლია იმ თანხას, ოთხი ბულკის და გაზიანი წყლის ღირებულება.

შედიო, გეუბნება, თან ხელით მიგითითებს საძინებელი ოთახისკენ. ოდნავგამოღებული კარის მინიდან ამჩნევ მის საქმიანობას, თუ როგორ წამოკრეფს ტან-ფეხს. ტუალეტში შეუჩინარდება. რადიატორზე დადებულ პირსახოცს ხალათქვეშ შეიყოფს. წევხართ. შენ გეჩქარება, ის კი აუღელვებლად გისინჯავს ავლა-დიდებას. საქებარ სიტყვებს არ შეინანებს.

შენი ასაკის კვალობაზე შესაშურიაო, გაქებებს და რამდენადაც წყნარია თავიდან, იმდენად გიჟს ემსგავსება ხუთიოდე წუთში. ბორგავს, კვნესის, მოჭიდავის ილეთებით გთანგავს. კედელზე მუშტს უბრაგუნებენ, მაგრამ ვისა აქვს ამეების თავი.

ხვალაც გამოიარეო, გეფერება. კარი ჩაკეტილი იქნებაო, გიხსნის. სამჯერ დაუკაკუნეო, გაჩვენებს ლოგინის თავზე მირაკუნებით რანაირად შეეხმიანო: ტუკ, ტუკ-ტუკ, ტუკ. ზანტად ჩადიხარ კიბეებზე. მთელი სამყარო შენი გგონია, მაგრამ ხვალ არ შეივლი შენ როზა გრეჩანკასთან და არც ზეგ. ის კი არა მოგვიანებით ბირჟაზე მოხეტებულ თათულისაც უდიერად მოიცილებ თავიდან. ილონას ბიცოლას მართლაც გულთმისნურად უმარჩიელებია შენთვის:

გაივლის ერთ კარს, მეორეს, მესამეს და უკან არასდროს მობრუნდებაო. მართალია, ილონა უკვე წასულია, ვალერიანმა ჩამოგაგლიჯა ყელზე ჩამოკიდებული, მაგრამ ქალი უმთავრეს ადგილს იკავებს შენს ცხოვრებაში. საამისოდ არაფერს იშურებ. შენი კარჩაკეტილობა დავიწყებას მიეცემა. სალომეშვილის ლექსიც რა ხანია მეხსიერებიდან გამქრალა. ა, როგორ თქვა?!

ვეღარ გაიგებ მართლა, მუშტები აქვს თუ ტოკი, ოხრავს, გაექცა რადგან, ერთი ციგანი ძოკი. ციგანი ძოკი ილონაა, იგივე ზაქი. არა ზაქი ბატია, ძოკი უკვე საკმაოდ წამოზრდილს ჰქვია. სად არის ანთარია, თორემ იმას ეცოდინება სახელი. კი არ გაგექცა, გაგხლიჩეს. ერთხანობას გეგონა ქალებისკენ საერთოდ არ გაიხედავდი, მაგრამ დრო დიდი მკურნალია თურმე. ქართველი ქალი იმ ამბავში არ უქნია ღმერთს. სხვა ეროვნებისანი უფრო თამამები არიან. ამას, ალბათ, თავისი საფუძველიც აქვს. ოჯახში რძალს თხელი კედლები ჰყოფს დედამთილ-მამამთილისგან, მაზლებისგან. შეიძლება უნდოდეს ვნებიანი კვნესა, წამოკივლება, მაგრამ ლოგინის გაჭრაჭუნებისაც კი რცხვენია. როზა გრეჩანკას ფეხებზე არ ჰკიდია იკვნესებს თუ ყვირილით გადააყრუებს მთელს ქალაქს?! უბაგუნონ მერე კედლებზე მუშტები რამდენიც უნდათ. ჭერზე უბრახუნონ ფეხები, ქვემოდან ჯგვლიმონ იატაკის საწმენდი ჯოხით, რაში ენაღვლება, ნათესავი მაგას არა ჰყავს და მოყვარე. პირიქით, სხვების გასაღიზიანებლად სჩადის ამას. ზოგჯერ მამაკაცის ჭაჭანებაც არ არის და მაინც ბორგავს ჩვეული ხმით, მეზობლებს აგიჟებს, ბავშვები გადარია. რა არის შენი სიყმაწვილე?! მუშტი და ქალი. გრეჩანკას რა თანადგომა სჭირდება, მაგრამ ილონას ხომ ნამდვილად ვერ უპატრონე?! დაგჯაბნეს. მამას წინ ვერ აღუდექი, თვალები ვერ დაუბრიალე, თოთხმეტი წელი კი შეგსრულებია, მაგრამ მერე რა, სხვისი სატარებელი ხარ ჯერაც და ახლაც გიწივის ყურებში ილონას გაბმული წივილი: როკიიი, როკიიი. ბევრს ეძებ, ბევრს ივაგლახებ ყუბანსა თუ უკრაინაში, რუსეთის ქალაქებში, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერაფრით პოულობ და ფარ-ხმალს დაყრი. წუთისოფელზე გული აგიცრუვდება. თათულისაც ხელს ჰკრავ. ბირჟაზე რომ გაკითხავს გამუდმებით, აჩურჩულდებიან მეზობლები. ჟენიას ყურს ჩაეწვეთება, მიუვარდება ბერეშიებს, ბენზინით და ასანთით შეემუქრება და მერე ისიც წავა და წავა ხელიდან. რომელ ერთს გამოესარჩლე ბოლომდე? რომელ ერთს შეუმსუბუქე ცხოვრების ტვირთი?! ცამდე მართალი თქვა ილონამ:

ყველაფერი შებრუნებით გამოსდის, უყვარს და სიძულვილს იმკისო. შუაზე ვერ გაიჭრები. შენი გული ზანგის გოგონამ დაისაკუთრა. რა ქნას ახლა ამისთანა ქმართან მარინამ?! ეგ ხომ მთლად უცოდველია, ბანტიანი მოიყვანე და ამ ხუთი წლის მანძილზე ხუთჯერ გამოსულა ქალაქში, ისიც ნათესავების თანხლებით. ალბათ, შიშობდა, როკიმ რაიმე საბაბი არ იშოვის და ჯადოქარ ბოშა ქალთან არ გამექცესო. ყველა თავისებურად გიტევს: თათულისთვის ალერსიც საკმარისია; სვეტლანა შვილებს გიჩენს, ბავშვებით ცდილობს შენს დაოკებას; მარინა კერიასთან ფუსფუსით გიმტკიცებს ერთგულებას; ერ-

თადერთი ვინც არ გეტენება, ილონაა. სად არის შენი სიმართლე?! ყველას თავს მოაწონებ, გრძნობას ჩაუსახავ და ეგრევე დაუსხლტები. კინაღამ გრეჩანკამაც ამოგიიღლიავა. ხვალ გამომიარეო, გითხრა, თან კარებში მოგაწია სიტყვა, ფული იყოსო. რაღაცას პოულობენ შენში და მაინც მოლიპული ნაპირი ხარ თითოეულისთვის. რომ დალაპარაკებოდი, დაიქცეოდა ქვეყანა?! ან საერთოდ რისთვის დაარეკვინე, უფრო არ ატკინე გული?! ფარდულის ამაღლებული წუთების შემდეგ ვიღაც გადამთიელს ხელმეორედ აორსულებ. მხოლოდ მან შეძლო წუთიერი აღტკინებისგან განეიარაღებინე და იმასაც ნაბიჭვრებით თავს აწონებ. ვითომ რას უმტკიცებდი ამით, მაგარი ვარო, ხომ?! ერთადერთი დასაყრდენი ცოლისთვისღა აღმოჩნდი, ისიც ტრადიციის წყალობით".

— სარკმელს აუწიე, რინო, — გამოარკვია როკი მარინას ხმამ.

უკვე რიკოთის მომქანცველ ხვეულ აღმართებს მიუყვებიან. ძინავთ ბაბუას და შვილიშვილს.

— ვენიამინოვიჩ, ოდა-სახლთან გაჩერება არ დაგავიწყდეს, უკეთეს ადგილას ვერსად ვისადილებთ.

ჯერ თერთმეტიც არ არის, მაგრამ უღელტეხილზე ცივა. რესტორანს მიადგებიან. მალაყზე მწვადები შიშხინებენ. ვალერიანს აქეთ როკი შეუძვრება იღლიაში, იქით — რინო და მიუხედავად ავადმყოფის წუწუნისა, სუფრის თავში დასვამენ. საათიც არ გაგრძელდება მათი დანაყრება. ისევ აღმართია, ისევ გზა. ნიკამ უკვე საფუძვლიანად გამოიბერტყა სხეულიდან ძილი და ფიქრისთვის მოიცლა სწორედ. სამი სრულდება. თბილისში ჩასვლა არ ღირს. უმჯობესია რურუებს გაუარონ. მარინა და რომანი ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან. ქორწილის შემდეგ არ უნახავთ. ჯერ ერთი, ცოლსაც გაახარებს ამით. მერედა, ყველაფერს რომ მოვეშვათ, როკისაც აქვს ბევრი სალაპარაკო ზემელელ ძმაკაცთან. ღირსია თურმანიძეების ასული სიურპრიზი მოუმზადოს, ჯვარს დაიწერენ სვეტიცხოველში.

როკიმ ცოლს ხელი გადახვია, მარცხენა ლოყაზე მიეფერა თითებით. ქალმა მხრებსა და ყვრიმალს შუა მოიმწყვდია მისი კორძიანი მტევანი. ასე მისრიალებენ ერთხანს, სანამ ნიკა არ აიწყვეტს. ტიტინებს და ტიტინებს. აგერ, გამოჩნდება საქართველოს გვირგვინი — ჯვრის მონასტერი. მცხეთისკენ გადაუხვევენ. რომანი ნამდვილი ლორდივით ცხოვრობს. სამსართულიანი სახლი წამოუჭიმავს შუაგულ ქართლში. ოლიმპიადებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონია ჭიდაობაში. ბუნებით ნაღდი მეურნე კაცია. საკუთარი სტადიონი გააშენა. მიწა თვითმფრინავებით ჩამოიტანა იტალიიდან. ცხვრის ფარა დაუდის ადგილობრივი სარქლების მეურვეობით. იშვიათი ჯიშის იხვებისა და ქათმების სიმრავლეა. ხეხილის ბაღი კირითაა შეთეთრებული. ვენახი გასხლულია. ხასხასებს კოინდარი, მარწყვი. ვარჯიშისთვის ჯერაც არ დაუნებებია თავი. მცხეთაში ცალკე გუნდს ამზადებს სპარტაკიადისათვის, თბილისში ოლიმპიური ნაკრებისთვის ამეცადინებს ბიჭებს.

„სპორტსმენებს ადრე უმძიმდებათ სხეული, — ფიქრობს როკი, — ტანწვრილი ფეხბურთელები, მოკრივეები, მოჭიდავეები და მძლეოსნები სპორტს ჩამოშორდებიან თუ არა, ხელად მოეშვებიან, მოხალვათდებიან. მასპინძელიც ასეა. შემელოტებულა. ჭაღარა მომატებია“.

რომანის სიხარულს საზღვარი არა აქვს, ნანატრი ბიძაშვილი სტუმრებია. ცოლ-შვილი თბილისში ჰყავს, მაგრამ მეზობლიან კაცს რა გაუჭირდება. გაცემულია განკარგულებები ციკნისთვის, ჩაქაფულისთვის, ტაბაკა ვარიებისთვის. ვალერიანს სარწეველა სავარძელში გადაიყვანენ უხვჩრდილიან ტალავერში. ნიკა გადარეულია ნასახსოვრები სამბორბლიანი ველოსიპედით. ნამდვილი ჯადოქრობაა, იტალიელებმა იციან ბავშვის ფსიქოლოგია. ჩაჩქანიც თან მოჰყვება, ავტოინსპექტორის აღკაზმულობაც — ჭრელი ჯოხი, ხელთათმანები, ტელეფონი. შეაჯდება ნიკა თავის მერანს და მამის ზღაპრებიც დაავიწყდება ავადმყოფ ბაბუასთან და მზრუნველ დედასთან ერთად. მარინა, როკი და რინო ფეხდაფეხ დაჰყვებიან მასპინძელს. ყველა ოთახს სათითაოდ შემოივლიან. მომაჯადოებელია უცხოური ავეჯი, ფაქიზად მოვლილი კედლები და ძვირფასი ხალიჩები ფეხქვეშ. ჩადიან დაბლა სარდაფში, რომელიც სულ კაფელითაა გაკრიალებული. თაროებზე ჩამომწკრივებულია ოცლიტრიანი ბოცები. ზედ ეტიკეტია მიკრული, რომელიც ღვინის ჩამოსხმის თარიღს, სადაურობას და ჯიშს იუწყება. ყოველგვარი სასუსნავსატკბარუნებელი იმდენადაა დახვავებული, იფიქრებ, რაღაც განსაცდელის მოლოდინში თადარიგი დაუჭერიაო. იმ ღამეს გვარიანად მოულხენენ. დილაადრიან კი თბილისისკენ უტევენ. წინ რომანი და ნიკა მიუძღვით. შეეხმიანნენ მცხეთიდან პროფესორ ჯემალ ონიანს და მის კოლეგა მეუღლეს, ციალა ხიჭვანს. დარეკილია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებთან, ძმებ ჯვებენავებთან. უკვე პალატაც მომზადებულია რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მეორე ღამეს ჯვებენავები არავის დაუთმობენ სტუმრებს, მიუხედავად იმისა, „საქართველოში“ დაჯავშნულია ლუქსები ცალკე რინოსთვის და ცალკე — ოდიშელიებისთვის. ცერზეა დაყენებული სახელგანთქმული ნევროლოგები და ვალერიანის ანალიზების გამოკვლევის უმალ კონსილიუმიც მოეწყობა; მაგრამ ეს ყველაფერი მომავლის საქმეა, ჯერ კი მიჰქრიან ტრასაზე. როკი ისევ წუხანდელი ფიქრების ტყვეობაშია. მარინას მხარზე მოუყრდნობია თავი და თვლემს. ვალერიანი გარინდულა, ნეტარებად ეღვრება სულში შუათანა ვაჟიშვილის ამაგი, რძლის ნათესაური წრე, რომელიც თითისწვერებზე მდგარა დაინვალიდებული კაცის სამარიდან მოსაბრუნებლად.

„შენ რა იღონე ისეთი, ცხრა აპრილი რომ აღკვეთილიყო?! კი, ბატონო, აარიდე თავი სამხედრო სამსახურს, თუმცა მთლად იმისთვის არა, არიქა, შენი წაუსვლელობით წითელი არმია დაუძლურდება და ეგერ, ორლესულ ნიჩბებს ვერ შემოიქნევსო. სულ სხვა ფსიქოლოგიის თაყვანისცემის გამო იხეტიალე შენ სამ წელიწადს; ხან ჯოტო ოდიშელიას შეაფარე თავი, ხან — ავიძბებს და ზემელელ ძმა-ბიჭებს. მთელი საქართველო მოიარე მეროჭიკე ბერი-

ვით. ზოგი ჭირი მარგებელი რომ ყოფილა, საკუთარ თავზე გამოსცადე. შარშანდლამდე ჭურია არ გენახა, ჩხოროწყუში ჯერაც ნამყოფი არ ხარ. დევნილი კაცის პროფილს შეიფერებდი და არავინ გამადლიდა პურ-ღვინოს, ხელითნაქსოვ ჯემპრს თუ ჯინსებს. გველის პერანგივით იცვლიდი სამოსელს. სიკეთის მეტი არაფერი გითესია და სადაც კი ფეხი დააბიჯე, ყველგან უბრალო ადამიანების სიყვარული უხვად მოიმკე. შრომისთვის თავი არ მოგირიდებია. ეს ოჯახში გეზარებოდა მკლავის წაკაპიწება. გივის როცა ქანცი ჰქონდა გაწყვეტილი ვალერიანის ბლოკების თრევით, შენ არხეინად ვარჯიშობდი ჰანტელებით, ,,ვეფხისტყაოსანს'' იზუთხავდი ან ბირჟაზე ყურყუტში აღამებდი, მაგრამ საკმარისი იყო ვინმეს ბეტონის ჩასხმა მოეფიქრებინა, პირველი ეძგერებოდი ნიჩაბს და არაქათის გამოცლამდე ხელიდან არ გააგდებდი. გისაყვედურა ამის თაობაზე ერთხელ ქენიამ:

ჩვენთან კაკანებს და კვერცხს სხვასთან დებსო. სწორი იყო დიახაც. სხვისთვის სამარეშიც ჩახვიდოდი, მაგრამ ოჯახში ფიჩხს არ გადააბრუნებდი. ყველაფერში პირველობა გეწადა. ამას რუსთველიც გკარნახობდა, როცა სახელის მოხვეჭაზე გამოთქვამს აფორიზმს. იქ არსებითად ომში შესასვლელად კაცის დაქოქვაა — ჯაბანი კაცი ქსლის მბეჭველ დიაცთანაა გაიგივებული, მაგრამ მშვიდობიან პირობებში რანაირად უნდა მოიპოვო დიდება, ამეებზე შოთას გამოკვეთილად არ უწერია, მთლიანობაში უნდა გაიაზრო გმირების ქმდებანი, ცხოვრების შინაარსი რომ გამოიტანო. ვაჭრები სძულს ლაჩრული ბუნების გამო. ორპირობას და ორგულობას გმობს. მისი გმირები მუშტისისხო ცრემლს ღვრიან, რაც უმთავრეს ღირსებადაა მიჩნეული მიჯნურთათვის. ცხონებული კაკა ჟვანია ამოიჩრიდა იღლიაში წიგნადაკინძულ თარგმანს და ჩომახიების სასადილოში, სიჭინავების ლუდხანასა თუ გივის სალობიეში, როცა გიკითხავდათ ხოლმე უკვდავ სტრიქონებს, მაშინ ჩაიჩნიე გულში, ცოცხალ წიგნად იქეცი-თქო და კიდეც მოახერხე. არ დასჯერდი ამას და ილონასთან განშორებამ მართალია, სკოლის დამთავრება კიდევ ერთი წლით გაგიხანგრძლივა, მაგრამ სანაცვლოდ უკვე ოთხნაირად შეგეძლო მკითხველისთვის ერთი და იმავე ამბის მოთხრობა. განგებას ნამდვილად ვერ დაემდურები ბოძებული მეხსიერების გამო, მაგრამ საკითხავია, რაში გამოიყენე იგი?! კი, განაცხადე ლაითურის ზონაში: სწავლა უნდა გავაგრძელოო, თუმცა ეს ყველაფერი ჟინულზე მიწერილ ოცნებად დარჩა. მკლავზე პავიაზკა გაგეკეთებინა და შენს კანში დატეულიყავი, შვიდის ნაცვლად სამ წელიწადში გამოაღწევდი, მაგრამ ყველაფერში პირველობა გწადდა. გული გაგისკდებოდა სხვის დაკრულზე გეცეკვა. დიდებას ეძებდი და პოულობდი კიდეც, ოღონდ იყო კი ჭეშმარიტი?! ამის გასარკვევადაც მიემგზავრები თბილისს. უკაცრიელ კუნძულს მოსწრებულად შეგადარა ზაქარაიამ. მართლაც, თუ კი შენს ნაპირს არავინ მოადგა, არავინ დაეწაფა შენი სულის წყაროს, რა ბედენაა აურაცხელი საუნჯე?! კიდევ გვარიან დროს გამოფხიზლდი შენ, როკი ოდიშელია. ბედისწერის სადავეები მთლად ვერ წაგართვეს გადარეულმა ცხენებმა. ჯერაც არ არის გვიან მათი დაურვება.

ერთადერთი ფინიში სამშობლოს გულისკენაა და მოატრიალე მერნები მისკენ! არა მკერდში მუშტის ბაგუნი, როგორც ზოგს სჩვევია, არამედ დადექი მამულის ტკივილის სადარაჯოზე! საამისოდ გამოცდილებაც გაგაჩნია. უწიგნური არ გეთქმის. სწავლა სიბერემდეაო, თქმულა. შენ მემკვიდრეობით მოგსდგამს ადამიანებს შორის შუამავლობა. ამისი დიდოსტატი ძაკა ბაბუა იყო ერგეტაში და ვალდებულიც ხარ გააფართოვო გულთმისანი წინაპრის ასპარეზის საზღვრები. საქომაგოდ და საყრდენად გლეხკაცი ამოგირჩევია. მიაყურადე მის მაჯისცემას. ნურც საზღაურს მოითხოვ საამისოდ, ნურც — ჯილდოებს და ჯინჯილებს. შენ ჩინებულად იცი ოთხასი გრამი პურის ფასი. მშვენივრად უწყი, როცა ისიც სანატრელია, რანაირი ფრენები მოსდევს ცარიელი კუჭის ყმუილს და ადრე გოლეულივით სავსე თავი უცებ როგორ იჩუტება, როგორ ემორჩილება ცხოველის ბუნებას. დადევი ფიცი საკუთარი სულის წინაშე, რომ ამ გამონათებას არ გადახვალ, შენი ნიკას ბედნიერებისთვის არ გადახვალ. შეჰფიცე უზენაესს, ღვიძლი ძმების განსაცდელიც რომ გთხოვდეს, უკან არ დაიხევ, მყარად იდგომები შენს არჩევანზე. აბა, კარგად გაიხსენე ზემელი, ჯემალ გეგეჭკორის ბინა, ბავშვობის მეგობრები გუჯა თათარიშვილი, სამედიცინოს სტაჟიანი სტუდენტი, განუმეორებელი კაული ქობალია. განუყრელი სამი ძმა მირცხულავა, რომან ოშხერელი. სამაიას ბაღში ეცნობი თბილისელ ყოჩებს, წვრილებს და მხარბეჭიანებს — გენო სარჩიმელიას, დათო ხოშტარიას, თავადური მანერების სიომა ბარამიძეს და ნუგზარ მახარაძეს. მათაც ბევრი სმენიათ როკი ოდიშელიაზე. შენს ნაცნობთაგან ყველაზე ტანმაღალი გოგია ახალციხელიც აქ არის. რუსთაველის ძეგლთან უძმაკაცდები ნამდვილ დენდებს, ანზორა მესხსა და მერაბ გიგინეიშვილს. აქ გაიჩენ ერთადერთ დობილს მთელი ცხოვრების მანძილზე, მედიკო მებურიშვილს, რომელიც ობოლი მარგალიტივით ტრიალებს გოროზ ძმებში და შენი დაპატიმრების დღეებში ტრაგიკულად დაიღუპება. იქ, იმ შუაგულ დედაქალაქში, შეყრილან თბილისის კოლორიტული პიროვნებები: არსენა მიქელაძე და თამაზ ჯარიაშვილი. კიდევ რამდენს დაუძმობილდები, რამდენ მჩქეფარე სიცოცხლეს დაეწაფები, რამდენ აუხდენელ და დამსხვრეულ ოცნებას დაიტევს შენი მეხსიერება?! იმათი უკვდავებისა და არდავიწყების სახელით ვალდებული ხარ გადაახტე საკუთარ თავს, საკუთარ სულს, შენ ხომ ამისთანები გასაოცრად გემარჯვება?! იქნებ ესეც მოახერხო?! გაიხსენე ძმურად გატეხილი პურის გემო, ზელემხანის ჩიჟიბიჟი, მოლხენა მწირ სუფრასთან. გაიხსენე შოთა აბულაძის ბიჭი ჯემალი სამ რაზმელს რომ მიაწვენს ზემელის დედოფლის უდიერი შეპასუხებისთვის. როგორი დაკადუკი ატყდება ოციოდე წუთში?! „ჩორნი ვორონები“ ყმუიან. არის დუბინკების ბათქაბუთქი. ლომგულებს წრეში მოუქცევიათ თავიანთი ფერია, ის კი დედალ ავაზასავით მიიწევს ფარაონებისკენ ძმადნაფიცების საშველად. შემოფხრეწილია ტანზე მოდური პერანგები. უკვე საქმე იარაღსა და ბრასლეტებზე რომ მიდგება, თავგანწირული ნახტომით გადააფრინდები დუბინკების ტყეს. პირდაპირ

გადაეშვები ელბაქიძის ფრიალო ფერდობზე ქვის ზორბა გალავნიდან. გესმის როგორ მიაკივლებს აივანზე გამოშლილ ხალხს და მყისვე დიდ-პატარა მოაჯირს მოაწყდება, შენ კი ცარიელი კასრივით მიკოტრიალებ დაბლა და დაბლა. ხან ნაძვის ტოტს ჩაეჭიდები, ხანაც უმწიფარი გარგარი გრჩება ხელში. დაგორებულ ქვასავითა ხარ, ხავსს რომ არ მოიკიდებს. შეგაყოვნებს წამით რომელიმე ხე და შენგანვე წამოშლილი მორუხო ღორღი საყელოში გიცვივა, თვალები მისით გეფსობა, ცხვირის ნესტოებში გრძნობ გოგირდის მძაფრ სუნს. ისევ მიკოტრიალებ, ისევ მიქანაობ ქვევით და ქვევით. აქა-იქ შენი მზერა დაიჭერს ელბაქიძის გალავან-მოაჯირს, რომელიც ე, სად აზიდულა. მილიციელების თავები შაურიანისხელა გამხდარა. თოჯინებად ქცეულან აივანზე გამოფენილი კაზარიანის სახლის მობინადრენი. სახე დაგკაწვრია. მუხლისთავები და იდაყვები გადაგყლეფია. ზოგჯერ თვალსაწიერზე გამოკრთება თბოელექტროსადგურის მილები. თუკი უვნებლად გადარჩი, მტკვრის გადაცურვა და ჯათუ პაპიდის ვაჟისთვის თავის შეფარება განგიზრახავს. აჰა, აღმაშენებლის ხეივანიც დაიწყო.“

ნანიჩბარი თბილისი გულსაკლავი შესახედავი იყო. დაუყვებოდნენ რუსთაველის პროსპექტს მამა-შვილი ოდიშელიები, ჯერ მარჯვენა ტროტუარით. ოპერის თეატრიდან მოყოლებული ასწლოვანი ჭადრების ტანი ფარატინა ფურცლების წყებათაწყებას შეეფოთლა. დედაქალაქელები ლექსებით გამოხატავდნენ უსაზღვრო გულისწყრომას ორთავიანი არწივის ულმობლობის გამო. ვინმეს რომ ეცადა მათი წიგნად შეკონვა, ქართველი კაცის პოეზიის ენით გამოთქმულ მწუხარებას, ასტომეულიც ვერ დაიტევდა. ეს ფურცლები უფრო და უფრო მრავლდებოდა მთავრობათა სასახლისაკენ. უკვე მესამე კვირა იწურებოდა ტრაგედიის დატრიალებიდან, მაგრამ სიკვდილის არენაზე ხალხის ნაკადი არაფრით წყდებოდა. როდიონოვის ბრძანების ოცდაერთი მსხვერპლის წინაშე მუხლს იყრიდა სრულიად საქართველო. ორლესული ნიჩბებით აჩეხილების სურათებთან უწყვეტად ენთო სანთლები. ყვავილების მდინარეს წაელეკა გამზირის მარჯვენა მხარე. დაღუპულთაგან მამაკაცი ოთხიღა გახლდათ, დანარჩენი ჩვიდმეტი — ჩვიდმეტი წლის თამრიკო ჭოველიძიდან მოყოლებული ორმოცდაჩვიდმეტის ზაირა კიკვიძეთი დამთავრებული ასული თუ მანდილოსანი.

სხვა მამებივით ზურგზე შეესვა ნიკა როკი ოდიშელიას, ცრემლები ახრჩობდა და ერთიანად გულშეძრული ვაჟიშვილის გაუთავებელ შეკითხვებს ვეღარაფერს პასუხობდა.

უკან მარცხენა ტროტუარით ბრუნდებოდნენ. უმანკო სისხლი უკვე გადაერეცხა გაზაფხულის პირველ წვიმას, მაგრამ მიმოთელილ გაზონებში მახვილი თვალი ახლაც შენიშნავდა უპატრონო ფეხსაცმლის ცალებს. ოცდაერთი ქართველი შეიწირა ორთავიანი არწივის ორლესული ნიჩბებით ნადიმმა. უცხოეთის სააგენტოები ასეთი მაჩვენებლით შემოატარებდნენ მთელს მსოფლიოს ოცდაერთი ციფრის საბედისწერო შინაარსს კონტინენტიდან

კონტინენტამდე, მაგრამ ეს მონაცემები დღითი დღე გაიზრდებოდა. „ჩერიომუხასგან“ და „სიესიგან“ მოწამლული ასობით ადამიანი ზოგი საკუთარ ჭერქვეშ გარდაიცვლებოდა, ზოგიც — საავადმყოფოს პალატაში ვალერიანის სიახლოვეს თუ სხვაგან, სიმართლე კი ვეღარაფრით დადგინდებოდა.

დიდმა ვეზირმა ჭირისუფლის საკადრისი სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის კომპარტიის აქტივის კრებაზე. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ჯიჭონაიების დისშვილს არავინ დაანებებდა თვითნებურ გადადგომას, მაგრამ ტრაგედიის მთავარი ვილანდი ჯერაც მიუკვლეველი იყო. მართალია, ჯიჭონაიების ფესვი კი იძახდა, მოვა დრო და ყველაფერს ვიტყვიო, მაგრამ ისე ჩაივლიდა თვეები და წელიწადნი, რომ ქადილი ქადილად დარჩებოდა, ორთავიან არწივს კი ხელს ვერავინ მიუწვდენდა.

ვალერიანს მომჯობინება აშკარად დაეტყო. პროფესიონალმა მედპერსონალმა მის სნებოვნებას ალღო მალე აუღო. მართებულმა დიაგნოსტიკამ, ეფექტურმა მედიკამენტებმა ნერვებდასუსტებული კაცი თანდათან თვალებში გამოახედეს. ფერზეც მოვიდა, მადაზეც. ხილი, საჭმელ-სასმელი თავზესაყრელად ჰქონდა ძაკაევიჩს. ავადმყოფობაც თითქოს დაჯაბნა, მოსარიდებელი მხოლოდ რძლის უზომო შეწუხება გახლდათ. მართალია, მარინა ღამით სასტუმროში მიჰყავდა როკი ოდიშელიას, მაგრამ დილაუთენია თავზე დაადგებოდა მამამთილს და გვიან საღამომდე ავადმყოფის მოკრძალებულ ნებასურვილს აღასრულებდა.

ამ დღეებში როკი ოდიშელიამ თბილისელი ძმაკაცების შეხმიანებისთვისაც მოიცალა. უჩა ხეცია ხომ წამითაც არ მოსცილებია მეგობარს. კვეკვე ანთარიაც ხშირ-ხშირად შემოუვლიდა მამამისს ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად. ნახულობდნენ რომან რურუა, ჯემალ ონიანი და ციალა ხიჭვანი, სხვები, მაგრამ ბურების რეკორდსმენს მოურჩენელ იარასავით ჩარჩენოდა სულში რუსთავის მესამე ზონაში, პეკეტეს საკანში, მეტრებს შორის წლების წინანდელი დიალოგის ბუნდოვანება. მისი გონება ხომ სხვაგან ჰქროდა იმ წუთებში. მოგვიანებით ზაქარაიასაც ვერ შებედა სტენოგრამა მანახეო, არადა, რატომღაც სჯეროდა, რომ სწორედ იმღამინდელ ბაასში გაპარვოდა ყველაზე მთავარი, რაც მის ცხოვრებას მეტი ცხოველმყოფელი შინაარსით დატვირთავდა.

თანასაკნელების მოძიება როკი ოდიშელიამ ჯემალ გეგეჭკორით დაიწყო.

კაზარიანის სასახლის ნაწილი „ივერიის“ წინა მოედნის რეკონსტრუქციას შეწირვოდა. ორი თუ სამი სადარბაზოს ხალხისთვის მიცკევიჩზე გამოეყოთ ბინები. ზურა და ზეინაბ ჯაშები, გვათუები, ნიაზ დიასამიძის ოჯახი იქ ბინადრობდნენ თურმე. რესტორან „ყაზბეგში“ ჩასულს აუხსნა ყოველივე უბერებელმა მზარეულმა ზელემხანამ.

დაოჯახებას გეგეჭკორი დაეწყნარებინა. ადრინდელივით როდი აურდაურევდა უკვე სუფრაზე.

ერთხელ ნათესავი ესტუმრა ჯემალს, სატყო მეურნეობის მთავარი ბუღალტერი. წაასხეს „ივერიის“ რესტორანში ზემელის მშიერ-მწყურვალი ოცამდე ბიჭი. გულუხვად მოაყარა მასპინძელმა სტუმარმა პურ-მარილი სუფრას. იმღერეს შეწყობილად ძმებმა სორდიებმა, კოლკა მალაზონიამ, ფითული ზარქუამ, თემო და მოხო თოდუებმა, ბურდღუ და ჭკოლა ტიბუებმა, გადი ლომაიამ, მაგრამ შუაქეიფი როგორც კი სიმთვრალისკენ გადაიზნიქა, გეგეჭკორმა რაღაც სიტყვაზე გამოიჭირა „მამულის ტყეების მომშთობი“ ნათესავი.

— რომ იჭიმები, რას იჭიმებიო, — მიახალა, — ნაქურდალი ფულით რას თავმომწონეობო, — და სუფრასაც ცივი წყალი გადაესხა.

ტყაჩუმ* არ შეიმჩნია წყენა, თითქოს გამრთელდა ბზარი. მოგვიანებით ხელის გადასაბანად სველ წერტილს მიაშურა და ხუთასმანეთიანი პურ-მარილი პირდაფჩენილი შეატოვა ჯემალს. აქეთ ეცნენ, იქით, მაგრამ მეტყვევ მიწას ჩაეყლაპა და დიდი ჯაფა დაადგათ ბიჭებს ის თანხა კარდაკარ შეეკოწიწებინათ.

ცოლად თავისი ასპირანტი გოგონა ეთხოვა. ანთარიებისა არ იყოს დიდი გახლდათ ასაკობრივი სხვაობა, მაგრამ სადაც სიყვარულია, იქ წლები კრონოსის ძალმოსილებას აღარ ემორჩილება, ჰოდა, მიაკვლია კიდეც მიცკევიჩის თვრამეტში გეგეჭკორებს ოთხმეტრიან კედელზე გადახტომითა და თერძობა-ნალბანდობით სახელმოხვეჭილმა კაცმა.

მასპინძელმა გაიხარა როკი ოდიშელიას გამოჩენით. კოლეგებს გახურებული ნარდი დაუთმო და ნახევარ საათში მწირი ინფორმაციებით სული მოიმწყურვალეს. აქვე შეიტყო სტუმარმა, რომ კვეკვე ანთარიას დიდი მეგობრობა ჰქონიყო ჯემალთან. ფაქტობრივად მისი დაპატიმრების მერმე გამოჩენილიყო ზემელის არენაზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ უმუშევარს და თავის დადრეკის უუნაროს, წელიწადნახევარი უყოფდა თურმე ლუკმა-პურს ერთოთახიან ბინაში.

ამის გაგებამ გული სიამით აუვსო როკი ოდიშელიას. ხედავდა მისი სული როგორ ემსგავსებოდა ოკეანეს, საითკენაც თავგამოდებით მოექანებოდა ყველა რუ, ნაკადული თუ მდინარე.

გეგეჭკორისგანვე შეიტყო ისიც, რომ პეკეტეს საკნისეული დიალოგის პერსონაჟთაგან თბილისში მხოლოდ სამნი ყოფილიყვნენ — ვლადიმირ ჩუბინიძე, მამა იონა და თავად. გიორგი ნუნისელი ბერთაკლდეს მიბრუნებოდა მწირად. რაც შეეხება მერაბ მამარდაშვილს, სორბონის უნივერსიტეტში მიეწვიათ ეგზისტენციალიზმის პრობლემებზე ლექციების კურსის წასაკითხად.

— რადგანაც ძალიან მოგწადინებია ჩვენი შეკრება, — ეუბნებოდა როკის ჯემალ გეგეჭკორი, — ვცადოთ, იქნებ გამოგვივიდეს. გიორგი ნუნისელის შევსება ადვილია. აქვე, თბილისში, ცხოვრობს მისი თანამოაზრე გივი ალაზნისპირელი, რომელიც პროფესიით მუსიკოსია, მაგრამ ამავდროულად ჩინებული ჟურნალისტიც. რამდენადაც ჩემს ყურებამდე აღწევს, მგონი მონოგრაფია მზადა აქვს უკვე გამოსაქვეყნებლად ნუნისის ქვათა კომპლექსზე.

ჩვენი მამაო იოანე-იონად იწოდება ახლა. ძველმართლმადიდებელი

ეპისკოპოსის კვალობაზე ანათემასაა გადაცემული ქართული ეკლესიისაგან, თუმცა არც მისი მოძებნა გაძნელდება მაინცდამაინც. უმცროსი ძმა მწერალთა კავშირის თანამშრომელია და მისამართის დადგენა, ვფიქრობ, მოგვიხერხდება.

ვლადიმირ ჩუბინიძე პროფესიონალურ ცხოვრებას ეწევა, მიწერია ტელეფონი სადღაც, ასე რომ, მოვიყვანთ მგონია. აი, მამარდაშვილის პრობლემა კი არის უნუგეშო ერთი შეხედვით, თუმცა მისი ასპირანტი ლევან ნადირაძე თუ დავიყოლიეთ, ჩინებული საუბარი აეწყობა.

მომდევნო დღეს მამის მომჯობინებით დამშვიდებულმა როკი ოდიშელიამ სასტუმრო „საქართველოს" რესტორანში სუფრა შეუკვეთა სახვალიოდ. დაადგინეს ტელეფონები, მისამართები, შეხვედრის დრო და ადგილი. მისი მხრიდან იმ სადილს ესწრებოდნენ მარინა, უჩა ხეცია, კვეკვე ანთარია ორსული მეუღლითურთ.

რინო ბასილაიამ თავი მოიკლა და ვალერიანთან დარჩენა ამჯობინა.

სტუმრებიც დროულად მობრძანდნენ.

ვლადიმირ ჩუბინიძეს მეორე ნახევარი მოჰყვებოდა, მიბნედილი სახის ქერა მანდილოსანი.

იოანე-იონას თმა-წვერი გასთეთრებოდა, მაგრამ ეპისკოპოსის რეგალიებით შემოსილი, ახოვნობითა და სათნოებით უცებ ატყვევებდა მნახველს.

ალაზნისპირელი ქოჩორშეთხელებული ჯმუხი აღნაგობის შუახნის კაცი გახლდათ, შავგვრემანი, ჯინსის შარვლით, წითელი ჰალსტუხით და შავი კოსტუმით. ეტყობა ყოველდღიურობას ოსტატურად აჯვარებდა არისტოკრატიზმთან.

ძველებურად კვერცხივით შეკრული ჯემალ გეგეჭკორი ახალგაზრდა თანამეცხედრესთან ეწვია სუფრას. მამარდაშვილის ასპირანტი ლევან ნადირაძე კი თბილისელი ინტელიგენტის სრული განსახიერება იყო, ანზორისებური დახვეწილი მანერებისა, მასავით თხელი, მოკლედ შეკრეჭილი წაბლისფერი თმით და საომარ ლელოზე წარტანილი მშვილდივით მოჭიმული.

მარინამ, დადუმ, ლიკამ და ქალბატონმა მარიამმა უცებ გამონახეს საერთო ენა. როგორც კი ერთმანეთს მიუჩოჩდნენ, კაცების სახსენებელი სულ გადაივიწყეს. მოუსვენარი ნიკა კი გიჟივით დააქროლებდა სამბორბლიან ველოსიპედს ვესტიბიულსა და დარბაზს შორის.

ოფიციანტმა წასახემსებელი ჩამოატარა. ყავა მიართვა სუფრის წევრებს ჩუბინიძისა და როკი ოდიშელიას გამოკლებით. ვახსენეთ, სამზარეულოში წინადღითვე შეეკვეთათ პურ-მარილი და ვიდრე მოზომილი ნაბიჯებით მიჰყვებოდნენ სუფრის მსვლელობას, ფეხზეწამოშლილებმა აცხონეს ცხრა აპრილის ზვარაკეულთა ნეტარი სულები.

— იმღამინდელი საუბრების რესტავრაცია არ არის იოლი საქმე, — დაიწყო ვლადიმირ ჩუბინიძემ, თან იოანე-იონას უმშვიდეს, სპეტაკ გამოხედვას მისჩერებოდა მონუსხული, — მეხსიერება რომც არ გვღალატობდეს, ათ წელიწადში

გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადეს ჩვენმა შეხედულებებმაც, მაგრამ სალაპარაკო, იცოცხლეთ, მოგვიგროვდა. ერთობ საინტერესო ეპოქაში გვიხდება ცხოვრება. ამისთანა წინააღმდეგობანი ამოატივტივებს ხოლმე ზედაპირზე ფარულ დინებაში მოქცეულ მოვლენებს და პრობლემებს. ანალიზისთვის მარტო ჩვენი სადღეისო სიტუაცია რად ღირს?! მაგრამ ვიდრე საკითხთა წრეს ჩავუწვრილმანდებოდეთ, იქნებ დაგვეფიქსირებინა, დაგვეზუსტებინა ჩვენი პოზიციები?!

— მე, ბატონებო, სამყაროს კვლავაც აღვიქვამ როგორც დროსა და სივრცეში მოძრავ მატერიას, რომელიც გეგმაზომიერად ინთება და ქრება, — თქვა ჯემალ გეგეჭკორმა.

— არც ჩვენთან შეცვლილა რამე, — დინჯად ბრძანა იოანე-იონამ, — სამყაროს ყოველი ფორმა და წესი უფლის ნების გამოვლინებად მიგვიჩნევია, რომელიც ადამიანებში შემოდის ძე ღმრთისა და სულიწმინდის მეშვეობით. სამების ეს პრინციპი დახურული აღმოჩნდა კურაშაიტების გვარის წარმომადგენელი მუ-ჰამედისთვის. როგორც ჩანს, მას უსარგებლია მართლმადიდებლური მოძღვრების რომელიღაცა გამრუდებული ვერსიით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველა რელიგია ხომ სრულ თანხმობაშია საერთო უფლის აღიარებასთან. აქ უკვე უმნიშვნელოა კონკრეტულად რანაირი სახელით მოინათლება უზენაესი შემოქმედი, იეჰოვათი, კრიშნათი თუ ალაჰით. ერთიანი ღმერთის ცნება ნიშანდობლივია თეოლოგიის ნებისმიერი სკოლისთვის. გამონაკლისია მართლმადიდებლობა, რომელიც აკონკრეტებს უფლის განსხეულებას ადამიანში და ზნეობრივი ჩარჩოებით მიზნობრიობას ანიჭებს თავის მრევლს.

— ამ საკითხებზე ჩვენ მრავლად გვიმსჯელია საქართველოსა თუ შორეულ ჩრდლოეთში, — ჩაერთო საუბარში როკი ოდიშელია, — სხვათა შორის უკეთესი ბიბლიოთეკა, როგორიც საპატიმროებშია, დედამიწის ზურგზე ძნელად მოიძევება ალბათ, რადგანაც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები პირველ რიგში სწორედ ბიბლიოთეკებიდან იწყებენ ციხეებისა და ზონების შესწავლას: რა კატეგორიის ლიტერატურაა იქ თავმოყრილი; აქვს თუ არა პატიმარს საშუალება მარქსისტული მოძღვრებების გვერდით შეუფერხებლად გაეცნოს თეოლოგიის საკითხებს, სულის პრობლემებს საერთოდ. გამიგონია, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ყველას როდი მიუწვდება ხელი ნიცშესთვის, ჰაიდეგერისათვის, შტაინერისთვისო... გარკვეული პერიოდი კაფკასაც ტაბუ ჰქონია დადებული. პერესტროიკამ და გლასტნოსტმა გარკვეულწილად შეარბილა ცენზურა. იქ კი ნურას უკაცრავად — პატიმარი შეუზღუდავია ამ მხრივ. პარადოქსულია თითქოს, ფიზიკურად გბოჭავს კანონი და სამაგიეროდ არ გაფერხებს სულიერად. იქნებ ესეც არის უმთავრესი მიზეზი საპატიმროებში წიგნის კულტისა. ამას წინათ ფეხის ალაგში, საკმაოდ განათლებულად რომ მიმაჩნდა ისეთ ოჯახში, საჭიროებისთვის გარედან მოჭედებულ საკაკუტე ლურსმანზე გოეთეს ,,ფაუსტი'' წამოეგოთ. იმის შემდეგ, ფულსაც რომ მჩუქნიდნენ, რანაირად შე-

ვიხედავ მათსას?! ასი, ორმოცდაათი წლის წიგნი, ათი ათასი ტუსაღის ხელი რომ გამოუვლია, წარმოუდგენელი სიფაქიზითაა შენახული. ფურცლები გაყვითლებია, ყდა გახუნებია, მაგრამ ნაკაწრი არ ეტყობა. წიგნის უპატივცემლობა თავისუფლებაზე მყოფი ადამიანების მოგონილია, რამეთუ არა უწყიან მამაო, ერთადერთი ჭეშმარიტი თავისუფლება სწორედ რომ წიგნი არს იგი. ჩემი ადრეული მიმალვის ჟამს სტუდენტ ძმაკაცებს ვაფარებდი თავს, აქ, დედაქალაქში, ქობულეთის აღმართზე. იცის ამის თაობაზე ბატონმა ჯემალმა. ხოდა, იმას ვამბობდი, რამდენი დანჯღრეული წიგნი მინახავს, გახაზულები, ველებზე წარწერებით აჭრელებულნი, დაძენძილები გადაფურცვლისგან, გაბითურებულნი. მათ მსგავსს კოლონიებში ერთსაც ვერ იპოვიდით სანთლითაც რომ გევლოთ. წიგნი კი გადადის ხელიდან ხელში, მაგრამ რანაირი მოკრძალებით, რანაირი სასოებით. შიგნით ზონარია ჩადებული. აბა, გაბედე და ჩაკეცე ან დანერწყვილი თითი შეახე, თვალს ამოგიღებენ. სატუსაღოები იმითაც არის თავისებური, რომ იქ მეტი მოვალეობაა ამა თუ იმ ნაწარმოების კოლექტიური განხილვისათვის. ვთქვათ, მაგალითისთვის, წეღანხსენებულმა გოეთეს „ფაუსტმა“ შემოიარა მთელი საკანი. ოცი-ოცდაორი კაციდან ნაწილმა ჩაიკითხა ბოლომდე, ნაწილი, წიგნთან მწყრალად ვინც არის, დათვალიერებას დასჯერდა, სხვებმა ხელისმოწერას ძლივს რომ ახერხებენ, შორიდან თვალის შევლება იკმარეს, ხოდა, სწორედ ამ ბოლო ორი კატეგორიისთვის იწყება თხზულების საჯარო განხილვა. აქ გამოჩნდება ვის მეტი შეუთვისებია ნაწარმოებისგან, რომელი დაუჯილდოებია ბუნებას გადმოცემის უკეთესი უნარით. თავის ქება კიტრად ღირსო, მაგრამ არიან ცოცხალი მოწმეები და იქ ჩემი მონაყოლის შემდეგ, იშვიათად ვინმეს ხმა ამოეღო. თუკი ამ მიმართულებით მოხერხდება ქართველი კაცის, ზოგადად ჩვენი ქვეყნის, გნებავთ — მთელი ცივილიზაციის ანალიზი დროსა და სივრცეში, მზად ვარ კონსტრუქციული პოლემიკისთვის.

— ჩვენი ანთროპოლოგიური ბიოგრაფია, ახალგაზრდა ერებთან შედარებით საკმაოზე მეტად უახლოვდება წარღვნისმერმინდელი მსოფლიოს ნამუსრევს, — წამოიწყო გივი ალაზნისპირელმა, — ბერთა კლდის საძმოს მიერ, გიორგი იბერიონელის, იგივე ნუნისელის საერთო ხელმძღვანელობით, ბატონებო, სამყაროს დასაბამისეული აღმოჩენაა გაკეთებული. პათეტიკურად ჟღერს, არა?! თორმეტი წელიწადია თავს ვიმტვრევთ. ავუტალახიანეთ კარები ევროპის წამყვან აკადემიებს, მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდან ისმის. საქმე ისაა, რომ წარღვნისშემდგომი ცივილიზაციების მემკვიდრე ერებს ხელს არ აძლევთ აღიარონ თავიანთი გუშინდელი ჩამოყალიბება, როცა არიან ხალხები, რომელთა თვალწინ გაიარა კაცობრიობის ისტორიაში დატრიალებულმა ყველა კატასტროფამ და კატაკლიზმმა. ერთ-ერთი ასეთი ერი ქართველია ეჭვმიუტანლად, მაგრამ ამისი დასაბუთება მრავალ უხერხულებას იწვევს, უწინარესად — ჩვენდა საზიანოდ: გვაბრალებენ ყოყლოჩინობას, წარსულით

თავმომწონეობას, უმეცრებასაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ვორონოვების დაქოქილი აფსუას ამბიცია.

— მოიცა, მოიცა, — შეაწყვეტინა ვლადიმირ ჩუბინიძემ, — ვის შეუძლია უარყოს, რომ კავკასიის მთებმა არ შემოგვინახეს წარღვნის წინარე ცივილიზაციის ნაშთები?! ანთროპოლოგიურად ადეღეელები, აფხაზები, ვაინახები, დაღესტნელები თუ ქართველები ერთ ეთნიკურ ოჯახში ერთიანდებიან, თუმცა რამდენიმე ათეულ ენობრივ ფორმირებად დაქუცმაცებულან. კავკასიელებს თითქმის ერთნაირი აქვთ სიმაღლე — ასსამოცდაოთხ-ასსამოცდარვა სანტიმეტრი, თავის ქალის აგებულება. ხოლო ქართველებისა და ავარიელების მაჩვენებლები ლამის იდენტურია. ცისფერთვალიანობა მათში აკიმოვისა და ბუნაკის მონაცემების შეჯერებით თერთმეტი-რვა პროცენტია. ხომ არის ყოველივე, ბატონებო, საკმარისი საბუთი იმისათვის, რომ კავკასიის აურაცხელი ერი ერთ რასად გამოვაცხადოთ?!

— თქვენეული თეორია მისაღებია, რომ არა პოლიგენეზის საკითხი, რომელიც წინააღმდეგობაშია მონოგენეზთან. მთების სისტემა ბევრია დედამიწაზე, კავკასიონზე მძლავრიც, ბადალიც, სუსტიც — ჰიმალაი, ტიანშანი, კორდილერიები, ანდები, ალპები და თუკი წარღვნის დროს ღვთიურ საზოგადოებაში მცხოვრებმა ღვთიურმა ადამიანმა თავი შეაფარა ამ მწვერვალებს, გამოდის, რომ რასებად ჩამოყალიბებაც მერე მომხდარა. შვიდი, გნებავთ ათიათასი წელიწადი საკმარისი არ არის ტიპების, სახეების ფორმირებისთვის, — ალაზნისპირელი გამომცდელად მიაჩერდა ჩუბინიძეს.

— რებიატა, დავაიტე ჟიტ დრუჟნო.* ჯერ ანთროპოლოგიურ საკითხებში გავერკვეთ, თანაც ნურც როკის ინტერესებს დავივიწყებთ. გაიხსენეთ, ქართველი კაციო, ზოგადად ჩვენი ქვეყანაო.

— არაფერიც, მან გარკვევით მიგვანიშნა: გნებავთ მთელი ცივილიზაცია დროსა და სივრცეშიო, — ვექილად დაუდგა ანთარია როკი ოდიშელიას.

— მით უკეთესი, — თვალები გაუცისკროვნდა ვლადიმირ ჩუბინიძეს, — თქვენ დღეს სანამ აბსოლუტური ჭეშმარიტების საიდუმლოებით განინათლებოდეთ ჩემგან, ნება მიბოძეთ ანთროპოლოგიის საკითხებს დავუბრუნდე. ანთროპოლოგია დიდი ხანია იკვლევს ადამიანის წარმოშობას, მის ბიოლოგიურ პარამეტრებს: სიმაღლეს, წონას, პროპორციებს, კანის შეფერილობას, თავის ქალას აგებულებას და ასე შემდეგ, რომელიც დამახასიათებელია კაცობრიობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისთვის. ბევრი მეცნიერი იმტვრევდა თავს ამ მიმართებით და არც თუ ისე უშუდეგოდ. მე ჩამოგითვლით ძირითად მომენტებს ქრონოლოგიურობის დაცვით, მაგრამ მერწმუნეთ, ამ განყენებული საუბრის ყველა მარცვალი ცხრა აპრილის მიმართებაშია. ვაგრძელებ მსჯელობას.

კიუვეს კაცობრიობა დაყოფილი ჰყავს სამი ნიშნით: მელანოდერმი, კსანტოდერმი, ლეიკოდერმი. რაიმე საშინელება არ გეგონოთ. ჩვენებურად იქნება შავკანიანები, ყვითელკანიანები და თეთრკანიანები. ფერის პრიმატი საკ-

მარისი არ აღმოჩნდა რასებს შორის არსებული განსხვავების დასადგენად.

ტოპინარმა ახალი შტრიხი შეჰმატა ზემოთქმულს, რომ შავკანიანებს ცხვირის ფართე ნესტო აქვთ, ყვითლებს — საშუალო და თეთრებს — წვრილი.

ფლოუერმა მეტი სინათლე შეიტანა ამ დაყოფაში: ნეგროიდები, მონგოლოიდები და კავკასიური ტიპები.

გედონმა თმას, ბალნიანობას მიაქცია ყურადღება და კაცობრიობა წარმოგვიჩინა: ულოტრიხებად, კომოტრიხებად და ლეიკოტრიხებად.

გრდლიჩკიმ განავითარა ფლოუერის ორიგინალური მიგნება და ადამიანები ჩატია სამ ტერმინში: ნეგროიდები, მონგოლოიდები, კავკასოიდები. კლასიფიკაცია ამ მიმარებით უფრო დააკონკრეტეს და დახვეწეს იარხომ და დებეცმა: ნეგროიდები, მონგოლოიდები, ევროპოიდები.

ორმოცდაათიან წლებში ჩებაკსაროვმა ანთროპოლოგიაში შემოიტანა ახალი მცნება. აქამდე ადამიანებს შედეგის მიხედვით თუ ახარისხებდნენ, მან გამომწვევი მიზეზები წამოსწია წინა პლანზე: ეკვატორული, რომელიც აერთიანებს ნეგრო-ავსტრალიურს; აზიური, იგივე მონგოლოიდური და ევროაზიური, ანუ ევროპოიდული. ეკვატორული მართებულია აქ, მაგრამ დანარჩენი ორი კვლავ დაზუსტებას მოითხოვს.

ადრინდელი ანთროპოლოგები, ვთქვათ, იზიდორ ჟოფრუა სენტ-ილერი კავკასიურ, მონგოლურ და ეთიოპურს უმატებდა ჰოტენტოტურს.

ლამარკმა კაცობრიობა დაჰყო ექვს რასად: კავკასიურად, მონგოლურად, ეთიოპურად, მალაიურად, ამერიკულად და ჰიპერბორეიულად.

გაცილებით მასშტაბურია ჯიუფრიდა როჯერის კლასიფიკაცია. მან კოლექტიური არსება ჰომო საპიენსი დაანაწევრა რვა სახეობად: ჰომო საპიენს ავსტრალიკუს — აქ შემოდიან ავსტრალიელები, ვედები, ტასმანიელები, მელანეზიელები; მეორე სახეობაა ჰომო საპიენს პიგმეუს — იგივე ნეგრიტოსები, ნეგრილები, ბუშმენები და ჰოტენტოტები; მესამე სახეობად დასახელებულია ჰომო საპიენს ინდო-აფრიკანუს — ინდუსები და ეთიოპელები; მეოთხედ მოდის ჰომო საპიენს ნიგერ — ნეგრები, ბატონებო; მეხუთე ჩამონათვალშია ჰომო საპიენს ამერიკანუს — იგივე ინდიელები; მეექვსედ შემოთავაზებულია ჰომო საპიენს ავსტრალიკუს — მონგოლოიდური ტიპის ჯგუფები; მეშვიდეა ჰომო საპიენს ოკეანიკუს — აინები და პოლინეზიელები; დასასრულ, მერვე, დააკვირდით ღვთიურობის, უსასრულობის სიმბოლო რვიანს — ჰომო საპიენს ინდო-ევროპეაეუს — ევროპული ტიპის ჯგუფები. კავკასიელებიც აქ არიან თავმოყრილნი, ბატონებო, რომლებიც ჰეგელმა ევროპოიდული რასის წინამორბედებად დაასახელა „გონის ფილოსოფიაში“. კი გამომივიდა ყურის გვარიანად მომღლელი ჩამონათვალი, მაგრამ ცოდნა მანანასავით არ ცვივა ციდან. ცოტა ქალებსაც მივბაძოთ, თორემ დაგვტოვებენ ცარიელტარიელზე, — თავდაჯერებულად გაიცინა ვლადიმირ ჩუბინიძემ და ჯანსაღი კბილები გამოანათა.

ერთხანს წკარუნებდა დანა-ჩანგალი, ფუჟერები, ჭიქები, მაგრამ ჩუბინიძეს შეწყვეტილ საუბარში არავინ ჩაჩრია, ადროვეს სიტყვის დასრულება. ვლადიმირმა ხუთიოდე წუთში ისევ გააგრძელა:

— ანთროპოლოგებს შორის დიდი პრინციპული დავა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს კვლავაც: რას მიაქციონ მეტი ყურადღება, სარტყელს, ზონებს, თუ მათ მიერ გამოწვეულ შედეგებს.

რეციუსი მაგალითად, ოთხ ტიპს განარჩევს — ორთოგნათულ-დოლიქოკეფალურს, პროგნათულ-დოლიქოკეფალურს, ორთოგნათულ-ბრაქკოკეფალურს და პროგნათულ-ბრაქკოკეფალურს. ჩვენებურად ასეა — ყბების შეწეულობა-გამოშვერილობა გრძელთავიანებსა და მოკლეთავიანებს შორის.

იყო დენიკერის სისტემა , რომელიც კაცობრიობას ოცდაცხრა რასად ჰყოფდა, მაგრამ ჩემთვის, ბატონებო, ეს ყველაფერი სუფთა წყლის ნაყვაა, ვინაიდან ადამიანი დედამიწაზე დაბმამდე ღვთიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, და აქედან გამომდინარე, სხეულით მშვენიერი სულით უბადლო, მონოტიპური, ერთსახოვანი გახლდათ, თუმცა დედამიწაზე დაბმის შემდეგ, გაიხსენეთ დასაბამი, რომლის მითოლოგიური, პოეტური გამოძახილია პრო მეთეს, პრო მითის — ძველი, წინარე ამბის, იგივე ამირანის კავკასიონის მთებზე მიჯაჭვა, ადამიანები განიბნენ მატერიკებზე. მათზე ზემოქმედებდა მზე, ატმოსფერო, წნევა, საკვები, შეჯვარების ფორმები და მივიღეთ დღევანდელი კაცობრიობა. მაგრამ დავსვათ საკითხი შემდეგნაირად: ნუთუ არავინ დარჩა იმ ღვთიური არსების პირდაპირი შთამომავალი?! სამყაროში ნებისმიერი პროცესი ხომ ორმხრივი მოძარობისაა — პროგრესულისკენ და რეგრესულისკენ. ამ შემთხვევაში ღვთიურ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა გაიარა დაღმავალი გზით: ღმერთი— ნახევარ-ღმერთი — ადამიანი — ცხოველი, სანამდე ბევრიც არ გვიკლია. კავკასიონის მთებზე ამირანის მიჯაჭვის მითის მნიშვნელობას ავიწროვებენ და იგი ზოგჯერ დაჰყავთ ინდო-ევროპულის მიერ პროტოიბერიულის დაურვების დონემდე. ესეც დასაშვებია, მაგრამ ჩვენ უფრო გლობალურ საკითხებზე ვმსჯელობთ. სად გუშინდელი დღე და სად, ეჰე, ათასწლეულებს მიღმინდელი?! ქართველურზე, იბერიულ-კავკასიურზე, პროტოიბერიულზე, იგივე კავკასიურ რასაზე უფრო ძველი, პირდაპირი შთამომავალი ღვთიური მდგომარეობის ადამიანს არა ჰყავს. უფრო სწორად კი ჰყავს, ყველა რასა მისი მემკვიდრეა, ოღონდ გარემოს ზეგავლენების გამო მათ ვერ შეინარჩუნეს თავდაპირველი იერსახე, და თუ კავკასიურმა რასამ მოახერხა ეს, მაინცდამაინც განსაკუთრებული უნარების წყალობით როდი, არამედ — გარემო პირობების მეოხებით, სადაც ნუნისთან პროექციერდება კოსმოსური ნათება. საქართველო ხომ ორმოცდასამ-ორმოცდაორ კვადრატშია მოქცეული, იგივე შვიდსა და ექვსში, რომლით იწყება საერთოდ ციფრთა სიმფონია ცამეტზე გაყოფისას.

კავკასიური რასა ის უცთომელი კიბეა, ბატონებო, რომლითაც უმტკივნეულოდ აისვლება ღვთიური მდგომარეობის ადამიანამდე, სხვებითაც

ცხადია, მაგრამ მაშინ გაჭირდება, დიდხანს გაძნელდება თავდაპირველი წინაპრის რეკონსტრუქცია, რედუქცია.

ბატონ როკის აინტერესებს ჩვენი ათი წლის წინანდელი საუბრის გაცოცხლება, რაც თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ჯერ ერთი, შეცვლილია შემადგენლობა. მერედა, ამ ხნის მანძილზე უამრავი მეტამორფოზა განიცადა, როგორც სუბიექტურმა, ისე ობიექტურმა სინამდვილემ. წინ წავიწიეთ თითქოს, გავიზარდეთ შემეცნების თვალსაზრისით. საზოგადოებაც ათასნაირად ტრანსფორმირდა. ფაქტის წინაშე დავდექით ყველა, ორლესული ნიჩბებით აჩეხილია თავისუფლებისკენ მსწრაფველი ჩვენი სული. მე კი ვამბობ, ბატონებო, რომ სამყაროში ისეთი საქონელი, როგორიც დამოუკიდებლობაა, საერთოდ არ არსებობს, რადგანაც მთელი სამყარო — ჩვენი, სხვა ცივილიზაციები, ურთიერთდამოკიდებულებით სულდგმულობენ. ამიტომ ყველა ის, ვინც დამოუკიდებლობისკენ ილტვის, ანუ სინამდვილეში არარსებულისკენ ისწრაფვის, ან უვიცია, ან — გიჟი, ან კიდევ — თვითმკვლელი.

— კი, მაგრამ ურთიერთდამოკიდებულება, ბატონო ვლადიმირ, დამონებას როდი ნიშნავს? მიკვირს თქვენგან, გონებადაუნჯებული კაცისგან, როგორ აძლევთ თავს უფლებას ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ამისთანა ბრალდებები წარუყენოთ?! განა ისინი თვითიზოლაციას ქადაგებდნენ?! განა ისინი ნორმალური, თანაბარუფლებიანი ურთიერთობის მოსაპოვებლად არ იბრძოდნენ, რათა დამოკიდებულნი არ ყოფილიყნენ სამადლოდ გადმოგდებულ ლუკმაზე?! — ლევან ნადირაძემ მღელვარების დასაფარავად ჭიქაში „ბორჯომი“ ჩამოისხა და მოყლუპა.

— ბატონო, ვლადიმირ, იქნებ უმჯობესია გვეთქვა კოლხსო, — სცადა დაძაბულობის განმუხტვა ალაზნისპირელმა, — ვგულისხმობ ღვთიური მდგომარეობის ადამიანების მემკვიდრეებად კავკასიური ცივილიზაციის დასახლებას.

— მეგობრებო, — შამპანურის ბოთლს წაავლო ხელი როკი ოდიშელიამ და ფუჟერების შევსებას მიჰყვა, — უფრო მართებული იქნება, თუკი ჯერ ბატონი ლევანის შეკითხვას დავაკმაყოფილებთ. თქვენი წამოწეული საკითხი ბატონო, გივი, დროებით დავაყოვნოთ, ამ მიმართულებით მოგვიანებით გავაგრძელოთ კამათი.

— ბატონო, როკი, — ვლადიმირ ჩუბინიძე თავაღერილი მიაწვა სკამის საზურგეს, — კამათით ჭეშმარიტება რომ ვერ დადგინდება, მით უმეტეს აბსოლუტური ჭეშმარიტება, ათი წლის წინანდელმა საუბრებმაც დაამტკიცა და დღევანდლითაც დადასტურდება თქვენს თვალწინ. აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ჯერჯერობით მე ვფლობ, არა მარტო საქართველოში, არამედ — მთელს დედამიწაზე. აქედან გამომდინარე აჯობებდა მეტი მე მესაუბრა. ამბიციურობა როდი მალაპარაკებს — საქმის ინტერესები. თქვენ შეკითხვებით შეეცდებოდით ჩემი არგუმენტების გაბათილებას. სხვანაირად კრილოვის „ლებედ, შუკა ი რაკ“* გამოგვივა.

მოდით, ჯერ ბატონი ლევანის გაფიცხება დავაპუროთ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების შეუმეცნებლად დღემდე არსებული ნებისმიერი ესთეტიკური თუ მატერიალური ფასეულობა ყალბია, მცდარი, მოჩვენებითი, გამოუსადეგარი, მავნე, ესე იგი — უვარგისი, რადგანაც დროს გაკარგვინებს, არასწორი გზით გატარებს და იმიტომ. აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან არათუ დიამეტრალურად დაცილებული რეალობა, თვით ზედმიწევნით მიახლოებულიც კი მცდარია, ვინაიდან ჭეშმარიტ სინამდვილეს მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნა შეესაბამება, თუმცა ეს საკითხიც დროებით გადავდოთ და ვუპასუხოთ ახალგაზრდა კაცს. ვფიქრობ სადავო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხალხების ერთიანობა არ არის დამყარებული ცოდნაზე, ნებაყოფლობით ფაქტორზე და ბუნებრივია, შინაგანი წინააღმდეგობა მძვინვარების ფაზაშია. შეკოწიწებულნი უფრო ვართ, რომელიც ჩანასახშივე გულისხმობს დაპირისპირებას და აქედან გამომდინარე აუცილებლად უნდა დაიშალოს. მაგრამ ეს არ არის საგანგაშო, პირიქით, ლოგიკურია. ის, რაც უცოდინრობით, ხელოვნურად კოწიწდება, უეჭველად დაიშლება ადრე თუ გვიან. სამაგიეროდ ამ მომენტს ახასიათებს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, — ჩუბინიძემ შამპანურს წიწმატის ფოთლით მოურია და ნება-ნება დაუწყო წრუპვა, — კერძოდ ის, რომ ხელოვნური ურთიერთობის დაშლამ გაგვაცნობიერებინოს ერთობის ჭეშმარიტი ძალა და დასაბამი მიეცეს ნებაყოფლობითი, ჰარმონიული ერთობის ჩამოყალიბებას. მაგრამ ესეც ფუჭი ოცნება იქნება, სანამ არ შევიმეცნებთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ურომლისოდ ფუჭია აისრულო ნებისმიერი სურვილი. სანამ ბოლომდე, სრულფასოვნად არ შეიცნობ მთელს სამყაროს, სანამ ძირფესვიანად არ გაითვითცნობიერებ, თუ რა არსებობს საერთოდ სამყაროში და რა — არა, რისი არსებობაა შეუძლებელი და რისი — არა, ყოველთვის მეტნაკლები, მაგრამ მაინც ცთომილებით ვივლით. თუკი დაგვცალდა, გარკვევით დაგისაბუთებთ შემდგომში, რომ სამყაროში საერთოდ არ არსებობს უძრაობა, სიცარიელე, დამოუკიდებლობა. ჩვენ რასაც სიცარიელეს ვეძახით ჩვენივე უმეცრების წყალობით ათასი მატერიალური სხეულითაა გაძეძგილი: რადიოაქტიურობით, ველებით, ტალღებით, ულტრასხივებით, ზებგერებით, და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი უცნობი მოვლენითა და სიდიდით. ჩვენ კი მაინცდამაინც ვაშლი უნდა დაგვეცეს თავზე, რომ ტვინი გავანძრიოთ. მოკლედ, სამყაროში ყველაფერი დაუსრულებელ მოძრაობაშია. რომ გგონია უსარგებლო ლოდი აგდია ყორეზე, იმდენი პროცესი თუხთუხებს მასში, მთელი ეშმაკეულობის დასს მოაშთობს. დიახ, სამყაროში ყველაფერი მოძრავია. უძრაობა კი არარაობაა — სიცარიელე და ამდენად, სადაც მოძრაობა გაბატონებულა იქ სიცარიელე გამორიცხულია, რამეთუ მისი ადგილი მოძრაობით ანუ მატერიითაა შევსებული და ყველაფერი ტრილიონჯერ ტრილიონი ურთიერთდამოკიდებულებითაა პირობადებული. აქედან გამომდინარე სამყაროში გაფართოების საშუალება არ არსებობს, ვინაიდან მასში ბუნებრივად

არ არსებობს სიცარიელე, ანუ ვაკუუმი და თუ მეცნიერული დაკვირვებების ფონზე სამყაროს გაფაროთოება მაინც აღინიშნება, ეს სინამდვილეში არის არა სამყაროს გაფართოება, არამედ სიცოცხლის ანუ მოძრაობის სფერულ ტალღებში გავრცელების აღქმა. ესე იგი სამყაროში შეუძლებელია დამოუკიდებლობის არსებობაც კი და ამდენად, ვინც ფიქრობს დამოუკიდებლობის მიღწევაზე, უნდა იცოდეს, რომ ის თვითლიკვიდაციის მიღწევაზე ფიქრობს და ამიტომ მასზე მეოცნებეს თამამად შეიძლება ეწოდოს თვითმკვლელი, ან გიჟი და ამის გათვალისწინებით არაპატრიოტი, ვინაიდან პატრიოტობა მხოლოდ ცოდნაა, ანუ სრული შემეცნება სამყაროში რა არსებობს სინამდვილეში და რა — არა, რისი არსებობის დაშვებაა შესაძლებელი და რისი — არა. ვეჭვობ ჩემზე უკეთესი სახელი ვინმეს ერქვას დედამიწის ზურგზე — ვლადიმირი, არა დაიპყარ მსოფლიო, როგორც ამას ვულგალურად შიფრავენ, არამედ ეუფლე სამყაროს. დიახ, მე ვეუფლები სამყაროს, ბატონებო!

— მაშინ რა ვუყოთ ამ სიტყვებს? — ამბობდა ირონიული ღიმილით ლევან ნადირაძე, — ყოვლადბრძენი უმოქმედოა და იქმს. ვინც აღივსო სიცარიელით აღივსო უდიდესი სიმშვიდით. ვინც ფიქრობს, ყოველივე ვუწყიო, არა უწყის რა. ვინც განდიდებას მიელტვის: ვერ გაწინამძღვრდება. ან კიდევ: ყოვლადბრძენი სრულქმნილია და ხატია ცისქვეშეთის. იგი არ კმარობს მხოლოდ თავის მხილველობას: ამიტომ ნათობს კაცთა შორის. მხოლოდ თავის თავს არ მიიჩნევს სამართლიანად: ამიტომ ფლობს ჭეშმარიტებას. არ დიდკაცობს: ამიტომ ადიდებენ. განდიდებას არ მიელტვის: ამიტომ მოძღვრობს კაცთა შორის. არ მძლავრობს და უძლეველია ცისქვეშეთში. ყველა სიმდიდრით ავსილა: მე ერთი ვფლობ სიცარიელეს. ყველა საითკენმე მიიჩქარის: მე ერთი ვგავარ ყოვლის უარმყოფელს. ყველა ბრწყინავს და გამოჩინებულია: მე ერთი ვარ ტანი სულელისა. ო, რა ცარიელია იგი! ყველა სინათლით ავსილია: მე ერთი ვგავარ გაწყდიადებულს. ყველა სიხარულით ავსილა: მხოლოდ მე ვარ მოშიში. ყველას ცნობისწადილი კლავს: ჩემთვის სულ ერთია ყველაფერი. მე ზღვას ვგავარ: უწიაღოს და ჩაჟამებულს. მე ვსრბი სოფლურ სივრცეში: უსასთუმლო და უნავსაყუდლო. ყველა თავის სარგებელს ეძებს: მე ერთი ვგავარ ბრიყვსა და უგვანს. მხოლოდ მე ვარ: ყველასგან განსხვავებული. მე ვმორჩილობ დაოს დასაბამს.

— როდის გამოვიდა ლაო ძი ქართულად? — იკითხა ვლადიმირ ჩუბინიძემ.

— ლერი ალიმონაკი მეგობარია ჩემი. ხელნაწერებში წამიკითხავს, — თქვა ლევან ნადირაძემ.

— ო, ლაო ძი დიდზე დიდია, მაგრამ იგი სულაც არ არის ჩვენთან წინააღმდეგობაში. მივალთ იქამდეც. ახლა კვლავ ცხრა აპრილის ამბებს დავუბრუნდეთ. ბოლოს და ბოლოს დროა ჩვენ თვითონაც შევიგნოთ და ხალხსაც განვუმარტოთ ის, რომ თამაშითა და შემთხვევით, ანუ შეუგნებლად და წინასწარშემუშავებული სცენარის გარეშე აღარაფერიც ხდება ისევე, რო-

გორც შემთხვევითი და სტიქიური არ იყო ცხრა აპრილი და მისი მსგავსი ამბები, რომელიც ჯაჭვური რეაქციით შემოივლის მთელი სოციალისტური სისტემის ქვეყნებს ხვალ-ზეგ. ეს იყო წინასწარ მოფიქრებული და გათვლილ-გაანგარიშებული პოლიტიკური აქტი, გამიზნული იმისთვის, რომ ხელოვნურად შექმნილიყო ოფიციალურ „კომუნისტურ" მთავრობასა და უბრალო მშვიდობიან მოსახლეობას შორის კონფლიქტური სიტუაცია და დაღვრილიყო უდანაშაულო მოსახლეობის სისხლი. რათა ამ უსამართლობის ფაქტით, კომუნიზმის მოწინააღმდეგეებს მიეღოთ მოტყუებული და გაბრიყვებული ხალხის მხარდაჭერა და ოფიციალურად გაელაშქრათ სოციალიზმის წინააღმდეგ. აკი, მართლაც აღიარეს, თანაც ამაყად, ტელევიზორის ეკრანიდან, ის, რომ სახალხო მოძრაობის ლიდერებმა ძალიან კარგად იცოდნენ რა შედეგიც უნდა მოჰყოლოდა ცხრა აპრილისწინა სიტუაციას. მაგრამ არჩიეს მცირე სისხლის ფასად უდიდესი გამარჯვება მოეპოვებინათო. რა თქმა უნდა, მათ სწორად მოიფიქრეს და შეუცდომლადაც გაითამაშეს თავიანთთვის დასახული მიზნის შესაბამისი პოლიტიკური აქტი ცხრა აპრილის სახით, თუმცა საკითხავია, განა ეს შეესაბამებოდა ხალხის საერთო ნებას?! ხალხს ხომ თავიდანვე საყოველთაო თანასწორობა და კეთილდღეობა უნდოდა?! წინასწარ-მოფიქრებული ცხრა აპრილის აქტიც ხომ ხალხის მოსატყუებლად და საზიანოდ ჩატარებული ღონისძიება გახლდათ?! ამიტომაც გაიმეტეს სამშობლოსთვის პატრიოტულად აღტკინებული, მაგრამ მათივე ბელადების მიერ გაბრიყვებული გულუბრყვილო ხალხი უცილობელი, წინასწარ დაგეგმილი სიკვდილისათვის და მათი შეგნებული გამმეტებელი სწორედ რომ ხალხის მტერი იყო, თორემ მოკეთე მოკეთეს შეგნებულად არავითარ შემთხვევაში გასწირავს, იმისთვის რომ მთლიანად უბედურ მდგომარეობაში ჩაყაროს მთელი მისი შთამომავობა.

— ბატონებო, ვლადიმირის ცხრა აპრილის შეფასება პოლიტიკური თვალსაზრისით ცამდე მართალია, ვინაიდან იგი სიგნალია უფრო დიდი შტურმისა სოციალიზმის და აქედან კომუნისტური იდეის წინააღმდეგ. რაც შეეხება ათიოდე წლის წინანდელ საუბრებს, ზოგი რამ დამამახსოვრდა. კერძოდ, გიორგი ნუნისელი, იგივე კაბადოკიელი ლაზი, მაზიაშვილი დედამიწის შეჩერებაზე რომ ამახვილებდა ყურადღებას; რომ იგი დასაშვებად მიიჩნევდა ადამიანის ცხოვრებას მიწისქვეშა სიცარიელეში, სადაც გონიოს პრინციპით ჩაჰყავდათ თურმე ჩვენს წინაპრებს ჩრდილოეთის ცის კოსმოსური ნათება; რომ ის ენერგია თავიდან დადებითი მუხტის მატარებელი იყო, მაგრამ მიწისქვეშა სიცარიელის წყლით ამოვსების შემდეგ უარყოფითად გარდაიქმნა, ადამიანებიც შესაბამისად ლუციფერული ბუნებისანი გახდნენ და კაცობრიობის ცნობიერებიდან ეშმაკეული ცოდნის წასაშლელად ბიბლიურმა ნოემ მოახდინა დედამიწის შეჩერება ნუნისის ჭაზე დაშენებული ქვის კიდობნით.

მიძნელდება ახლა აღვადგინო რანაირად ვუპასუხე მაშინ ამისთანა ჩმახებს, მაგრამ ფანტაზიას საზღვარი რომ არა აქვს ჩვენამდეც გარკვეულია.

იგივე დამოკიდებულებაში ვარ ბატონი ვლადიმირის ზოგი პოსტულატის მიმართაც, — ჯემალ გეგეჭკორმა ჩახლეჩილი ხმით მუჭში ჩაახველა. ქალბატონ მარიამს მოუბოდიშა უნებლიე მდგომარეობის გამო, — გლანდები მაქვს ამოსაჭრელი და აქამდე ვერ მომიცილებია. ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზია კაცობრიობის ყველაზე დიდ თავს — არისტოტელესაც კი არ განუცხადებია; არც — ჰეგელს და მარქსს. მახსოვს საუბრები ციფრების სიმბოლიკაზე, რომ მარადიულ თორმეტ ექვსნიშნა პერიოდს ვლებულობთ ნატურალური რიცხვების ცამეტზე გაყოფით; რომ მარადიული მოძრაობის სიმბოლო — ჯვარი ქრისტეს სხეულით დაიფარა, რათა ხალხი არ ჩამწვდარიყო ჭეშმარიტებას. პარადოქსულია, მაგრამ, ბატონო, ჰ ქონდეს არსებობის უფლება, არავის უშავებს რამეს. აი, ადამიანის ღვთიური ჩამომავლობის საკითხის უპასუხოდ დატოვება კი დანაშაული იქნებოდა ჩემს მხრიდან.

დავხატოთ ასეთი სურათი: ვთქვათ, დედამიწაზე საფრენოსნო აპარატით ჩამოსახლდა ღმერთობის, ანუ ყოვლისმცოდნეობის დონის ადამიანი. პლანეტა, რომელიც მნათობის მიმართებაში ცელსიუსის პლუს-მინუს სამოცი გრადუსის ორბიტაზეა, ანუ მოიპოვება ჰუმუსი ცილის არსებობისთვის, სასიცოცხლოდ ყველგან ვარგისია ბიოლოგიურ დონეზე. ჰოდა, ამ ემიგრანტი უცხოპლანეტელებისთვის დედამიწაც იდეალურია საცხოვრებელი პირობების თვალსაზრისით, მაგრამ გადის ხანი, ფიზიკური პროცესები გრძელდება კოლოსალური მასშტაბებით და ღვთიურმა ადამიანმა ერთბაშად დაჰკარგა მის ხელთ არსებული ყოველგვარი აპარატურა: გამოთვლითი მანქანები, საფრენოსნო საშუალებანი, მიკროსკოპები, ტელესკოპები, კოსმოსური გონება — კომპიუტერული მეხსიერება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, თუმცა ცოდნა ხომ დარჩა მათ შესახებ, თუ ისიც წაშალა წარღვნამ?! ასორმოცდაათ დღეში ხომ ვერ იზამდა ამას?! მაგრამ იმ ასორმოცდაათ დღე-ღამეში ასორმოცდაათიათას წელიწადს თუ ვიგულისხმებთ წინააღმდეგობაში ჩავვარდებით, ვინაიდან ასეთ ვითარებაში ჰომო საპიენსი, როგორც ბიოლოგიური სახეობა საერთოდ ამოწყდებოდა. მოკლედ, მივყვეთ ვერსიას, რომლის მიხედვით კატასტროფა დაახლოებით ხუთ თვეს გრძელდებოდა. დროის ამ ვიწრო მონაკვეთში ღვთიური წარმომავლობის ადამიანს კოლოსალური ცოდნა ხელუხლებლად გააჩნია. იბადება კითხვა, რატომ ვერ მოახდინა მან თავისი თავის რეალიზაცია?! რატომ ვერ შექმნა ის აპარატები ხელმეორედ. სამყაროში არსებული ნებისმიერი მატერია ხომ დედამიწის იგივური შემადგენლობისაა?! რატომ უნდა გადაქცეულიყო გრანდიოზული ცოდნა კასტურ, ზიარებულთა საკუთრებად, მითუმეტეს რისთვის უნდა შეენახათ ენის მეშვეობით, როცა მათ არსებული ცოდნით თავისუფლად შეეძლოთ ძველი ცივილიზაციის რეანიმაცია?! აი, სად იჩინა თავი ბატონი ვლადიმირის ჰიპოთეზის აქილევსის ქუსლებმა. ეს ყველაფერი, ანტიმეცნიერულია, ბატონებო, ალოგიკური. რომელი გადაქტიკიდან, რომელი პლანეტიდანაც მოსულიყო ღვთიური

მდგომარეობის ადამიანი, მას, როგორც ბიოლოგიურ არსებას, იქ, სამშობლოში უნდა გაეარა ჰომო საპიენსის გზა, ანუ ჩვენი ცივილიზაციის გზა, პრიმიტიულიდან, უმარტივესიდან — ურთულესისკენ. უკუმოქცევა არ ახასიათებს ბუნებაში მიმდინარე პროცესებს. ის უმდაბლესი მდგომარეობიდან მიაღწევს განვითარების უმაღლეს წერტილს და თუ მოხდა მის სასიცოცხლო არეალში დამანგრეველი კატასტროფა, შეიძლება მოისპოს საერთოდ, როგორც სახეობა, მაგრამ უკან მობრუნება გამორიცხულია. დიახ, ინფანტილურია ჩვენი კაცობრიობის ხანგრძლივი ცხოვრების სურათის დახატვა სქემით: ღვთიური მდგომარეობა — ნახევრად ღვთიური ანუ ღმერთკაცური მდგომარეობა — ადამიანური მდგომარეობა და ბოლოს — მაიმუნური, ცხოველური. შუალედური რგოლის არარსებობა ადამიანსა და მაიმუნს შორის ზუსტად ადასტურებს მატერიალისტური წარმოდგენების სისწორეს ადამიანის გენეზისზე, რომ ადამიან-მაიმუნის მსგავსი არსებები ამოწყდნენ, გაქრნენ. მათ შორის დრო ჩადგა, როგორც ზღვარი და ადამიანურისა და მაიმუნურის ნაპირების შეერთება ის გახლავთ, რისი არსებობის შესაძლებლობას არ ცნობს სამყაროს კანონზომიერებანი, თქვენეული აბსოლუტური ჭეშმარიტება, ბატონო ვლადიმირ. ეს იგივეა, რაც ჩვენი ათი წლის წინანდელი სიტუაციის აღდგენა ვცადოთ, როცა თმაში ნაკლები ჭაღარა გვქონდა, გლანდებიც იშვიათად გვიტევდა, ენერგიაც მეტი მოგვსდგამდა, მაგრამ გონებაც შედარებით მყიფე გაგვაჩნდა.

მოდით, ვიყოთ უფრო ხელშესახებნი. მაინც რამ წარმოშვა უკლასო საზოგადოების იდეა?! მივყვეთ მოვლენებს თანამიმდევრულად. ადამიანს, როგორც სოციუმს მრავალი მეცნიერება სწავლობს. ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებათა სისტემაში პოლიტიკურ ეკონომიას უთუოდ უნდა მიეკუთვნოს გამორჩეული ადგილი, უკეთუ მისი და მხოლოდ მისი შესწავლის სპეციფიკური საგანია ადამიანური ურთიერთობანი, ანუ როგორ, რა ვითარებაში არის შეუძლებელი ადამიანი მშრომელი გადაიქცეს ადამიან მიზნად, ადამიან შემოქმედად. შრომა თავისთავში შემოქმედებით მომენტს გულისხმობს. დღეს კი ადამიანის საქმიანობა ჯაფაა, ოფლისღვრა, უგემოვნო მადლი, იძულებითი, აუცილებლობით ნაკარნახევი ქმედება, რათა მოახდინოს თავისი თავის კვლავწარმოება, მაგრამ ადამიანმა შემოქმედებითად რომ იშრომოს ამისთვის მრავალი წინაპირობაა მოსაგვარებელი; კერძოდ, გასარკვევია საკუთრების ფორმა, თუ ვინ ფლობს წარმოების საშუალებებს. იმის ნაცვლად, რომ ეგრეთწოდებული სოციალიზმის პოლიტეკონომია იყოს კაპიტალიზმის პოლიტეკონომიის მეცნიერული მემკვიდრე და მისი უდავოდ გამგრძელებელი, ის არსებითად კაპიტალიზმის შიშველი ლანძღვა-გინების ფონზე სოციალიზმის მეხოტბედ ქცეულა, რამაც სინამდვილე არათუ გააფერმკრთალა იდეალის წინაშე, არამედ უკიდურესად დამახინჯებულ კარიკატურად აქცია. დიალექტიკის უცოდინრად, ბატონებო, პოლიტიკაზე მსჯელობა, მართლაც მსჯელობის დონეზე რჩება. რატომღაც დავიწყებას მიეცა ის გარემოება, რომ

საზოგადოების შესახებ ისტორიულ-ლიტერატურული განსწავლულობაც კი ნამდვილი ცოდნის დასაწყისია მხოლოდ და აქ შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ ბატონ ვლადიმირს იმ თვალსაზრისით, რომ აბსოლუტურად ჭეშმარიტი ვერ იქნება არათუ სანახევროდ, არამედ მასთან თვით ზედმიწევნით მიახლოებულიც კი. ხოლო თავად აბსოლუტური ჭეშმარიტების შესახებ გამაჩნია საკუთარი მოსაზრება, რომ იგი იმდენად გრანდიოზულია, როგორც ვთქვათ, ადამიანის სხეულის უჯრედისა და მისი მასაზრდოებელი გონების შეფარდება. ცალკე აღებული უჯრედი არარაობაა, მათი ლაშქარი აღაშენებს ადამიანის ორგანიზმს და უამრავი ფუნქციის ურთიერთკავშირით მიიღწევა უმაღლესი ორგანო — ტვინი, ასე რომ, მასშტაბებს თუ გავზრდით, სწორედ ადამიანები წარმოჩინდებიან მარტივი უჯრედების როლში, რომლებიც აღაშენებენ ცივილიზაციებს, სამყაროს მასულდგმულებელ ორგანოებს და მათი ერთობლივი ძალისხმევით იქმნება ახალი უნიკალური რეალობა, რასაც აბსოლუტურ გონს, თქვენებურად აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ბატონო, ვლადიმირ, იოანე-იონას ენაზე ღმერთს რომ ვუწოდებთ. ვფიქრობ ერთი კაცის მხრებისთვის ცოტათი მძიმე ტვირთია ეს ყოველივე. ნებისმიერმა განათლებულმა ადამიანმა იცის ტალეირანის შეგონება, რომ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომა დანაშაულზე მეტია. ეს თუნდაც იმიტომ, პოლიტიკური შეცდომა მილიონთა ბედს ეხება, ხოლო ექიმისა — მხოლოდ ცალკეულ ადამიანს, ავადმყოფს თუ ავადმყოფთა გარკვეულ ნაწილს. პოლიტიკაში დაშვებული შეცდომის შედეგებს თაობები საუკუნოობით იმკიან ხოლმე. თუ რამე გასაგებად ვერ ვთქვი, ბრძანეთ და მზად ვარ უფრო დაწვრილებით გიპასუხოთ.

— ქალბატონების წინაშე მე ვიხდი ბოდიშს ყველას მაგივრად ასეთი ტირადებით რომ ვუმასპინძლდებით სათაყვანებლებს, ლექციას რომ დაემსგავსა ჩვენი სუფრა, მაგრამ იმედია, მოგვიტევებენ ჩვიდმეტი მანდილოსნისა და ოთხი ვაჟკაცის ჭირისუფლებს. ქართველი ქალის გამძლეობისა შევსვათ, ბატონებო, მისი უკვდავებისა, და მჯერა, კიდევ ორიოდე წუთით ბჟუტურის გამო მთლად არ ამოგვირეცხავენ გულიდან, — მამაკაცები ფეხზე წამოიშალნენ და უსიტყვოდ შესვეს ქალების სადღეგრძელო.

მალე სუფრა ძველებურ ამპლუას დაუბრუნდა. მანდილოსნებმა თავიანთი სეპარატისტული საუბრები გააგრძელეს. ნიკა კვლავინდებურად ველოსიპედს დააქროლებდა ვესტიბიულსა და დარბაზს შორის. როკი ოდიშელიამ ისევ განაახლა შეწყვეტილი დიალოგი:

— ჩვენ ცოტა ადრე კოლხეთზე საუბარი განგებ დავაყოვნეთ, რათა ჯერ ბატონი ლევანის შეკითხვა დაგვეკმაყოფილებინა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, მომწიფდა ნიადაგი ერთი მეტად სათუთი პრობლემის გასარკვევად; მაინც რა საბუთები გიკავიათ ხელთ გივი, ბატონო, კოლხეთს რომ წარმოსახავთ დედამიწაზე არსებულ ცივილიზაციათა სათავედ?

— თუ აკვირდებით, ბატონებო, როკი ჩინებულად წარმართავს ჩვენს საუბარს, — ალაზნისპირელმა სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა, — სწორედ

რომ თანადროულია პრობლემის წამოწევა. წარმართული კოლხეთის სამეფო სრულიად საქართველოს, მთელს ამიერკავკასიას რომ მოიცავდა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სანიმუშოდ გამოდგება წყნეთის ტოპონიმიკური ანალიზი. დღევანდელი გაგებით ეს საკუთარი სახელი აბსოლუტურად დაცლილია შინაარსისაგან, თუ კოლხურს არ შემოვიშველიებთ, ან მის სამართალმემკვიდრე მეგრულს. თავად წყნეთის ჩამოყალიბების ლინგვისტიკური სურათი დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: ჭყონიეთი — ჭყანიეთი — წყანიეთი — წყნეთი ანუ მუხნარი. ტოპონიმიკა თვალსაჩინოს ხდის ამა თუ იმ ერის ზემოქმედების არეალს. შეხედეთ იმერეთსა და გურიაში არსებულ ტოპონიმიკებს: წყალტუბო, ჭყვიში, ჯიხაიში, ონტოფო, ჯიხანჯირი, ჯუმათი, ოჩხამური, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დიდმა ივანემ მართებულად მიუთითა კოლხიზმების არსებობის თაობაზე ამ რეგიონებში, რომ ქართის ტომების შემოჭრის შემდეგ ორად გაიხლიჩა კოლხეთის სხეული, ხელმარცხნივ დარჩა ლაზიკა-ჭანეთი, ხოლო ხელმარჯვნივ — ოდიშ-სამურზაყანო-აბშილეთი. ეს მიგრაცია სოლივით ჩაესო კოლხეთის სახელმწიფოს, გათიშა მისი ერთიანი სულისკვეთება და უკვე დროისა და ტერიტორიული განსხვავებულობის წყალობით საუკუნეების წინ ერთსახოვანი კოლხური ლამის ორ ენად ჩამოყალიბდა — მეგრულ-ლაზურად.

— კი, მაგრამ მიზანს ვერ ვხედავ, — ჩაერია ისევ როკი ოდიშელია, — ქუჯისა და ფარნავაზის დროინდელ საქართველოში ენობრივი ბარიერი არ უნდა არსებულიყო წესით, ან თუ არსებობდა უმნიშვნელო ოდენობით, როგორც ხევსურულსა და ფშავურშია დღეს.

— კოლხეთის ქართიზაცია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნაბიჯია, — გააგრძელა ალაზნისპირელმა, — დღევანდელი აფხაზეთი, იგივე აბშილეთი კოლხურად საუბრობდა, მაგრამ აფსუებმა ისარგებლეს კოლხეთის ეროვნული თვითშეგნების უქონლობით და მერე იმპერიის გეგმაზომიერი პოლიტიკითაც აბაზგური გაბატონდა დროთა ვითარებაში. აქ, თითქოს ერთი შეხედვით რაიმე კატასტროფა არ მომხდარა, სხვა ერებსაც განუცდიათ მსგავსი ტრანსფორმაცია, მაგალითად ლათინებს, როდესაც იტალიურმა დიალექტმა დანტეს წყალობით შეავიწროვა ლათინურის საზღვრები და სამეცნიერო ასპარეზამდე დაიყვანა მისი სარბიელი. იგივე სურათია ჩვენთანაც. ერთი მშობლიური პრიმატი შეიცვალა მეორეთი, მაგრამ საკითხავია, იყო თუ არა პროგრესული ეს პროცესი? აგერ, ბატონი გიორგიც დამემოწმება.

— ბოლოდროინდელი ენათმეცნიერული მონაპოვრებიდან ირკვევა, რომ სალიტერატურო ქართულს, რომელიც ძირითადად ქართლურის მიმართულებისაა, თოთხმეტი ზმნისწინი გააჩნია, — ჩაერთო საუბარში კვეკვე ანთარია, — მათი მეშვეობით წიგნიერი კაცი დაახლოებით ხუთასიათას სიტყვას აწარმოებს. აქედან მეოთხედი დაფიქსირებულია ჩიქობავასეულ რვატომეულში, როცა კოლხურს ოთხმოცამდე ზმნისწინი აღმოაჩნდა მამანტი ძა-

ძამიას მიხედვით და მსგავსი ხერხებით თუ მივყვებით მის გრამატიზაციას, კოლხურის ლექსიკა ცხრა მილიონს გადააჭარბებს.

— ამისთანა განცხადებას მეგრელ კაცს ეგრევე სეპარატიზმში ჩამოგართმევენ ვაიპატრიოტები, — თქვა ღიმილით ალაზნისპირელმა, — ჩემისთანა კახელისგან, ვლადიმირისა და ლევანისნაირი იმერლებისგან, მამარდაშვილისმაგვარი ქართლელისგან უფრო დამაჯერებლად ჟღერს სრულიად საქართველოსთვის; ამიტომაც უწინარესად ჩვენგან უნდა მოდიოდეს ეს ყოველივე ჩვენი ქვეყნის არნახული წინსვლა და გამარჯვება თუ გვწადია. ქართიზაციის პროცესში მხოლოდ ენობრივ დანაკარგებთან როდი გვაქვს საქმე. ჩვენ ვიწრო პარტიკულარული ქმედებით უამრავი საუნჯე გადავულოცეთ დავიწყების ქარტეხილებს. კოლხურია ოქროს მოპოვების წესი და რიგი; კოლხურია რკინის, ფოლადის გამოდნობის მეთოდები, თანამედროვე მეტალურგია დიახაც რომ კოლხურიდან იღებს სათავეს; კოლხურია, ბატონებო, მედიცინა. ვავილოვმა დღევანდელი ხორბლის ჯიშს შემთხვევით კი არ უწოდა ზანდური; კოლხურია მეღვინეობა, გაიხსენეთ ბიბლიური ნოე; კოლხურია პოლიფონური საგალობლები. დაბოლოს, ბატონებო, კოლხურია დამწერლობა, ალფაბეტი, რომლითაც დღეს ჩვენ ვსარგებლობთ.

— ამის გამგონეს ბუნებრივია თმა ყალყზე დაუდგება, — განაცხადა მთელი სერიოზულობით როკი ოდიშელიამ.

— მაგრამ რეალობას რომ ვერსად გაექცევი? — გამომცდელად მიაჩერდა ალაზნისპირელი მასპინძელს, — ქართის ტომი აშკარად ვერ აცხადებს პრეტენზიებს ამდენ საგანძურზე, ვინაიდან გუშინდელი ღლაპია. ხოლო კოლხეთის საუნჯეთა იგნორირებით გამოჩნდნენ ერები, უპატრონო ეკლესიის დაუფლებას რომ ლამობენ. პროტოიბერიულის რღვევა წარღვნისმერმინდელი სინამდვილეა. ჰომეროსმა ჩინებულად დაგვისურათხატა ეს პროცესი. „ილიადა“ ფაქტობრივად პანორამული სურათია ორი უზარმაზარი ცივილიზაციის — პროტოიბერიულისა და ინდოევროპულის სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლისა. ხომალდების კატალოგი თვალნათლივ წარმოაჩენს ძალთა თანაფარდობას მათ შორის. ტროელების ერთიანობას, მათ ცხრაწლიან შეუპოვრობას, შინაგანად მფარველობს აქილევსის ფეხისათრევა ამ ოდიოზურ, მარათონულ ომში. პელევსის ძემ ჩინებულად უწყის თავისი წარმომავლობისა, რომ დღევანდელი ქართველის წინაპართა ნათესავია ტომით და მისი რისხვის უმთავრესი მოტივებიც სწორედ ამ რეალობითაა ნასაზრდოები. ბრისეიდის წაგვრის გამო აქილევსის ორომტრიალს ჩამოშორება პოეტური ხერხი როდი იყო მხოლოდ მისი სულიერი წონასწორობის დასარღვევად. შემთხვევით არ შეუღლდებიან საიქიოში ნებით თუ უნებლიეთ სამშობლოს დამაქცევარი ორი პიროვნება — აქილევსი და მედეა. ან მივმართოთ უფრო ადრინდელ რეალობებს: კოლხეთიდან ოქროს საწმისის გასატაცებლად წამოსულ არგონავტების რაზმს მითებმა ორიგინალურად ჩამოაშორა ჰერაკლე, ვინაიდან ისიც ქართველური წარ-

მოშობისაა. ჰერაკლე ზევსის მიერ კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ პრომეთეს, იგივე ამირანს, ინდო-ევროპელთა ძლიერების სიმბოლოს — არწივს ჩამოაცილებს; ამით ერთგვარად გამოისყიდის აქილევსისა და მედეას დანაშაულს. ხელოვანმა იცოდა ამის თაობაზე და შემოქმედის სინდისმა ვერ მიაჩქმალვინა ჭეშმარიტება, მაგრამ რადგანაც აშკარად ვერ გაამხელდა სინამდვილეს, ყველგან და ყოველთვის არსებული ცენზურის წყალობით, მეტაფორულ საბურველში გაახვია იგი.

— ეს ეჭვები მეც აღმძვრია „ილიადას“ კითხვისას, — შეეპასუხა კვეკვე ანთარია, — ხომალდების კატალოგში მოხსენიებული ჰალიძონების მეთაური ოდიოსი მთლად უსაფუძვლოდ როდი გავუიგივე ოდოიას. ქრისტიანობის მიერ სიტყვებწართმეული წარმართული საგალობელი „ოდოია“ დარწმუნებული ვარ ტროაში განგმირული ოდიოსის, იგივე ოდოიას უკვდავსაყოფი სიმღერა იყო, და არავითარ შემთხვევაში შრომის ჰიმნი, როგორც ქართიზაციის შემდეგ გააფორმეს მომდევნო თაობებმა.

— უფრო მეტს გეტყვით, — ამბობდა საუბრის მუღამში შესული ალაზნისპირელი, — კოლხური კირბები აპოლონიოს როდოსელს რომ აქვს მოხსენიებული თავის „არგონავტიკაში“, სხვა არაფერია თუ არა ოქროს საწმისი, იგივე ორე-ქოს — სარწმუნისის ეჭვმიუტანელი საბუთი. კოლხებს ჰქონიათ მამათა და პაპათაგან ნაწერი წიგნები, წერილსვეტები, სამანძილო კირბების სახით, სამკუთხა დაფები, რომელზეც მოცემული იყო გზათა და ხმელთა მაჩვენებელი ნიშნები, ინფორმაცია. აქ ყველაფერი ნათელია. კირბი იგივე კირიბია, ცხვრის შვილი. კრავი, კირბები-კირიბები, ცხვრის ტყავი მრავლობითში. ოქროს საწმისი დიახაც სიბრძნის წიგნი გახლავთ, რომელიც კოლხეთის წიაღში დაგროვილ კოლოსალურ ცოდნას აერთიანებდა. შესაძლოა მე ავტორიტეტი არ ვიყო, მაგრამ ბატონო, როკი, ძველი წელთა აღრიცხვის მეშვიდე საუკუნის ისტორიკოსს იოანე ანტიოქელს მაინც ხომ დაეჯერება?! აი, რას წერს იგი თავის „მსოფლიო ქრონიკაში“: იასონმა და მისმა მხლებლებმა, პონტოს ზღვით კოლხეთს მიღწეულებმა, მოიპოვეს მედეა და ეგრეთ წოდებული ოქროს საწმისიო. ეს ის კი არ იყო, როგორც პოეტურად გადმოგვცემენ, არამედ წიგნი ტყავებზე ნაწერი, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებითო. ამიტომაც დახარბდნენ ბერძნები ოქროს საწმისს, როგორც თავიანთი ერის აღორძინებისა და განდიდების გარანტს. ოქროს საწმისის მნიშვნელობა მეტი თვალსაჩინოებით რომ აღვიქვათ, ეს იგივეა, რაც დღევანდელ ამერიკის შეერთებულ შტატებს ბირთვული იარაღი წაართვას საბჭოეთმა. წარმოვიდგენთ ყოველივეს და ვირწმუნებთ თუ რანაირად შეიცვლებოდა ბალანსი ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით პროტოიბერიულ სამყაროსა და ინდოევროპულს შორის.

— დავუშვათ რომ ყველაფერი ეგრეა, — დაინტერესდა როკი ოდიშელია, — მაგრამ რაში დასჭირდა ფარნავაზ მეფეს ანბანის გამოგონება?

— საქმეც ეგ არის, — ღიმილს არ იცილებდა პირისახიდან ალაზნისპი-

რელი, — თავდაპირველად მთელი საქართველო კოლხური ანბანით ახორციელებდა თავის პოლიტიკას. ახალგაზრდა ქართის ტომს პრიორიტეტი რომ ჩაეგდო ხელში ძველი, გამოჯანდაკებული კოლხის წინაშე, საჭირო იყო მისი დაუყოვნებლივ შეცვლა. ამიტომაც გამოიგონეს კიდეც ასომთავრული, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ვერ დაჯაბნა კოლხური. რამდენიმე საუკუნე კი გადმოჩხაბეს კოლხურიდან ქართის ენაზე არსებული წიგნები თუ მეცნიერული შრომები და როცა ეროვნული თვითშეგნება მოწყდა საკუთარ ფესვებს, გადაქართულებული წიგნები ხელმეორედ გადაიწერა კოლხური ანბანით, მრგვლოვანით, მაგრამ ამის თაობაზე უპრიანია ბატონმა ვლადიმირმა ბრძანოს.

— ეს აღმოჩენა ჩემი არ გახლავთ, ბატონებო, მრგვლოვანი ანბანის გაშიფრვას ვგულისხმობ, — ხელები ფართოდ გაშალა ჩუბინიძემ, თან ოფიციანტის ურიკელასაც ჰკიდა წამიერი მზერა. შებრაწული, ფეხზედგომელა ციკანი წინ მოუძღოდა ქერათმიან არტემიდას, — ერთადერთი პიროვნების, შალვა კაჭარავას კუთვნილებაა. როკისთან შეუთანხმებლად მომეხათრა მისი მოპატიჟება, თორემ დღევანდელი საუბარი სულ სხვანაირ ელფერს შეიძენდა.

— იქნებ გამოგვესწრებინა შეცდომა? — თქვა როკი ოდიშელიამ.

— ამწუთში, — დაფაცურდა ვლადიმირ ჩუბინიძე. კოსტუმის გულისჯიბიდან ბურთულიანი კალმისტარი ამოიღო, ხელსახოცზე წააწერა ექვსი ციფრი, გვარ-სახელი და გულუხვ მასპინძელს გაუწოდა. იმან ხეციას გადასცა, — კოლხური ანბანის გენიალურობას ისიც ამტკიცებს, რომ ლოგიკური აზროვნების პროდუქტია, რაც ასომთავრულში არ შეინიშნება. მრგვლოვანში საწყის ერთეულად მიღებულია შეკრული წრეწირი, როგორც დახურული, დახშული სამყაროს სიმბოლო, ახლა ბერძნულს რომ ვუწოდებთ ის ო-მიკრონი. აქ შეკრული წრეწირი წარმოდგენილია თავისთავში განსულიერებულ ობადიშად, ოდაბადედ, სამყაროდ. ჯერ ადამიანი არ შექმნილა, პირველი ცოდვაც სადღაც შორეთში იგულისხმება, ჰოდა, ამისთანა ვითარებაში, როგორც კი გაიხსნება კვერცხი, დედის საშო, ო-მიკრონი, ჩნდება სიცოცხლე, ჩნდება შვილი, ჩნდება ანბანიც. კოლხური ალფაბეტის ამოსავალი წერტილი შობის პროცესია, რაც ყველაზე უზუსტესი მომენტია მეთოდის თვალსაზრისით. გაიხსნა ო-მიკრონი და მივიღეთ ანი. აქედან მოყოლებული იწყება მისი ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო და წარმოიქმნება ე-ნი, ი-ნი და ლ-ასი.

უჩა ხეცია ადმინისტრატორისკენ გაემართა. სტუმრებმა და მასპინძლებმა დანა-ჩანგალი ააწკარუნეს. საუბარმა დროებით კერძო ხასიათი შეიძინა. ნიკას ქათმის ბარკალს აჩეჩებდნენ, წითელ ვაშლს უწვდიდნენ, მაგრამ ონავარი ველოსიპედს ვერ ელეოდა.

— აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე საუბარი ბოლოსთვის რომ შემოვიტოვე, ბატონებო, ჩემდა საზიანოდ შემომიტრიალდა, — ოპონენტებისგან მისი

ყოვლისმცოდნეობის ირონიულ-მენტორული ტონით გაქარწყლების მცდელობა ყელში მოსწოლიყო ვლადიმირ ჩუბინიძეს, — თითქოს ამბიციურობა მალაპარაკებდა, ან ვინმეს ნიშნს ვუგებდი. მე აღმოვაჩინე ციფრი ცამეტის საიდუმლოება, მაგრამ ამისთვის არც გინესის წიგნში შეტანა მომითხოვია და არც — ნობელის პრემიის მონიჭება. მე იგი კაცობრიობისთვის აღმოვაჩინე, უფრო სწორად დიდი ხნის წინ ცნობილი, შემდგომ მიძინებული, ხელახლა გავაღვიძე. ასეთივეა ჩემი დამოკიდებულება აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთანაც. იქნებ ჩემი ცნობიერება ერთი ნერვია იმ დიადი გონიერებისა, რასაც ბატონი ჯემალი ბრძანებს, მაგრამ მაინც ხომ იმ ნერვით შემოვიდა იგი ჯერ ჩემში და შეაღწევს თქვენშიც გნებავთ თუ არა ეს. ახლა საუბარს ვაგრძელებ იესო ქრისტეს მიმართებაში, ანუ აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან გაიგივებულ პიროვნებაზე. ქრისტე არამეულად, ანუ იმ ენაზე, რომელიც პროტოიბერიულის დაშლამდე მისი შემადგენელი ნაწილი იყო, ან ძალიან ახლო მდგომი, უფალს ნიშნავს, მეუფეს. მაგრამ რა არის იესო?! იეს ინგლისურში, როგორც თანამედროვეში, ისე — ძველში თანხმობის, დასტურის მაჩვენებელია. ასევეა რუსული ესტ, გერმანული ისტ. ესენი ვარიაციებია ყველგან: დიახ, კი, ჰოს მნიშვნელობით. მაგრამ რა უნდა იყოს ო?! ჰ ოდა, ბატონებო, აქ არის სწორედ მოხსნილი ის დილემა, რომელიც ხელს უშლიდა ადამიანს აღექვა და გაეგო ის, თუ როგორ შეიძლება ერთი რომელიმე არსება, თუნდაც ყოვლისშემძლე ღმერთიც კი ფლობდეს აბსოლუტურ, ანუ ყოვლისმომცველ ცოდნას, იგივე აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ვატყობ ვერ ვლაპარაკობ მთლად გარკვევით, მაგრამ განა წიგნით გადმოსაცემი ამბის რამდენიმე წინადადებაში ჩატევა იოლია?! იმისთვის, რომ ყველაფერი იცოდე, საჭირო ყოფილა არა ერთმა თავმა დაიტიო მთლიანად სამყაროისეული ცოდნა, არამედ საკმარისია თვით თავი იმყოფებოდეს სამყაროში, ანუ სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდეს, რაც უდავოდ ასეც არის.

ჩვენ, დღევანდელი ადამიანები, პირდაპირი შთამომავლები ვართ იმ ღმერთებისა, რომლებიც ხსენებული აბსოლუტური ჭეშმარიტების გონებრივი შემეცნებით და ამ ცოდნის შესაბამისი უნივერსალური ტექნიკური საშუალებების ფიზიკური ფლობითაც თავისუფლად გადაადგილდებოდნენ უსასრულო სამყაროს ნებისმიერ წერტილში დროით და სივრცით შეუზღუდველნი. დღესაც მრავლად არიან კოსმოსის უკიდეგანობაში ასეთი უნიკუმები, რომლებიც კვლავაც განაგრძობენ ღვთიურ ცხოვრებას ღვთიურ საზოგადოებაში. სახელდობრ იმ ორი აუცილებელი ატრიბუტის ფლობით, რომელიც უკლებლივაა საჭირო ღმერთობისათვის, ესე იგი აბსოლუტური ჭეშმარიტების გონებრივი ფლობით და უნივერსალური ცოდნის შესაბამისი უნივერსალური ტექნიკური საშუალებების ფიზიკური ფლობითაც.

ვუბრუნდები იესო ქრისტეს, კონკრეტულად კი ო-ს განმარტებას. ჩვენ აქამდეც მრავალჯერ ვახსენეთ, ო-მიკრონი იგივე სამყაროს სიმბოლოა-თქო,

მისი გრაფიკული შესატყვისობა. შალვა კაჭარავას გენიალური მიხვედრილობით, ბატონებო, სწორედ ქართული ენა და დამწერლობა აღმოჩნდა ის საშუალო არითმეტიკული, რომელიც დედამიწაზე არსებული ყველა ენისა და დამწერლობის გაგების თუ ათვისების საშუალებას იძლევა. ამ მეთოდს მე ენის, სიტყვის არქეოლოგიას ვეძახი, რომელიც განგვანათლებს შეუმცდარი მასწავლებელივით. მივუგდოთ ყური ქრისტეს: ,,და სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლოს თქვენ''. ღმერთს ანუ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას უნდა ახასიათებდეს ადამიანისთვის ნიშანდობლივი ყველა თვისება განუსაზღვრელ მასშტაბებში: მხედველობაა ეს, გემოვნება, ყნოსვა, სმენა თუ შეგრძნება და ამათი ერთობლიობით აზროვნება, ანუ ახალი რეალობის შექმნა. ო პირველწყაროა ყველა ცნობილი თუ უცნობი ასო-ბგერა-ნიშანთა სიმრავლისა. 0-მიკრონი ისეთი ნულია, რომელიც ყველაფერს ამრავლებს, რამეთუ საკუთარ თავში მოიცავს ყველა სიმრავლეს. მაშ, სიტყვები: იესო ქრისტე — იმთავითვე მოიცავდა და გულისხმობდა იმ არსებათა სიმრავლეს, რომლებმაც იეს — ო, ანუ ირწმუნეს ო, შეიმეცნეს ო, შეიმეცნეს სამყარო, შეიმეცნეს აბსოლუტური ჭეშმარიტება და ამით სრულყოფილი მეუფენი ანუ ღმერთები გახდნენ.

— იეს ვლადი მირ, — თქვა ღიმილით ჯემალ გეგეჭკორმა.

— ირონიზებას მოვეშვათ. სხვათა ტომეულების დაზუთხვაც არ არის იოლი საქმე, მაგრამ, აბა, ვსცადოთ საკუთარის, თუნდაც ერთი წინადადების შექმნა და კბილებიდან ოფლისდენაც მერე ნახე.

— კი, მაგრამ ბატონო, ვლადიმერ, საიდან იცით, რომ ათას ცხრაას ოთხმოცდა ცხრა წლის წინ ქრისტეს სახელი იესოდ გამოითქმებოდა?! სამშობლოში მას იეშუას ეძახდნენ და არა იესოს. ხოლო სახარების ძველთუძველეს ტექსტებში ყველგან იესუ სწერია. თქვენი სწავლებით ო კი არა უ შეგვიმეცნებია თურმე. როგორ მოვექცეთ ამ რეალობას?! — ცივი წყალი გადაასხა ვლადიმირის თეორიას კვეკვე ანთარიამ.

— ჯერ ერთი ამას საბუთი სჭირდება, მერედა, მე ვლადიმერი კი არა, ვლადიმირი მქვია.

— გასაგებია, მაგრამ თქვენი სახელი ქართული შესატყვისით თუ წარმოვთქვი, ერთადერთი ჭეშმარიტების გათვალისწინებით, ბატონო, ვლადიმერ, ვინაიდან ვლადი მერ ჩინებულად გამოხატავს ნებისმიერი ადამიანის ქმედების მიმართულებას, ანუ იქონიე ზომიერებაო. რა არის ამაში ცუდი?

— გიორგი! გიორგი! — ხმას აუწია როკი ოდიშელიამ, — ნუ დავივიწყებთ, რომ დღეს ყველანი საერთო ტკივილმა შეგვყარა, ცხრა აპრილის ტრაგედიამ და ვიყოთ ერთმანეთის მიმართ ლმობიერნი. ნებას თუ მომცემთ აჯობებდა ერთგვარად დაგვეჯამებინა აქამდე ჩვენი საუბარი:

მატერიალისტური კონცეფციით ადამიანი უმარტივესის გამუდმებული გართულების შედეგია, რომელიც გავლილ გზას უკან არასდროს უბრუნდება. მეთანხმებით, ბატონო, ჯემალ?

— თითქმის, — თქვა გეგეჭკორმა, — აღმასვლა სწორხაზოვანი კი არა

სპირალურია. სქემა ასეთია: არწივი — კვერცხი — არწივი, სადაც მეორე არწივი თვისებრივად განსხვავებულია პირველისგან სრულყოფილების თვალსაზრისით, თუნდაც მემილიარდედი პროცენტით. ამას სხვანაირად უარყოფის უარყოფის კანონსაც ეძახიან ფილოსოფიაში. ყველაზე ვულგარულად თუ ვიტყვით: ორი ნაბიჯი წინ, ერთი ნაბიჯი უკან და ასე უსასრულოდ.

— გასაგებია. არის მეორე შეხედულება, რომელიც ადამიანს წარმოაჩენს ღმერთის შექმნილად, ეშმაკმა რომ აცდუნა ხე ცნობადის დაგემოვნებით და სამოთხიდან კინწისკვრით გამოისროლეს. ჯვარზე გასვლით ძე უფლისამ იტვირთა კაცობრიობის ცოდვები, მომნანიებელს მისცა შანსი ედემის ბაღში მიბრუნებისა, მაგრამ ცაბაოთი არ ჩქარობს, ვინაიდან ეშინია უკვდავების ნაყოფიც იგემოს მისმა შემოქმედებამ და მთლად ცარიელზე არ დატოვოს. ეს ბოლო წინადადება ხუმრობით, ცხადია. სწორად ვმსჯელობ, მამაო, იოანე-იონა?

— ჭეშმარიტად, როკი, შვილო ჩემო.

— მოგვეძევება კიდევ მესამენაირი მიდგომა საკითხთან, რომლის მიხედვით დედამიწის დღევანდელი კაცობრიობა გახლავთ ღვთიურ საზოგაოებაში მცხოვრები ღვთიური ადამიანის უბადრუკზე უბადრუკი შთამომავლობა, რომელმაც გლობალური კატასტროფის შედეგად დაჰკარგა აბსოლუტური ჭეშმარიტების ცოდნა, დედამიწას მიეჯაჭვა, ჯერ ღმერთ-კაცად იქცა, მერე, ადამიანად და თუ ჭკუას არ მოვუხმობთ, შესაძლოა მომავალში ცხოველურ დონემდე დავეშვათ. გამიგია თუ არა თქვენი ფილოსოფიის არსი, ბატონო ვლადიმირ?

— და მერე როგორ? — ცერი შემართა ჩუბინიძემ.

— ბატონი გივის მოსაზრებით წარღვნის მერმინდელი ცივილიზაცია საქართველოდან განბნეულა, იმერეთიდან, იგივე კოლხეთიდან. მანამდე კი ნუნისის ჭით მიწისქვეშა სიცარიელეში ჩადიოდა თურმე, სადაც კოსმოსური ნათება გროვდება და იმ სხივების ზეგავლენით ღვთიურ მდგომარეობას ინარჩუნებდა, ვიდრე წყლით არ ამოივსო იგი და შესაბამისად ადამიანიც უარყოფითი ენერგიით არ დაიმუხტა. ქვის კიდობანიც იმიტომ დააშენა ნოემ ამ ჭას, დედამიწა უკუღმა დაეტრიალებინა და დამღუპველი ცოდნა წაეშალა კაცობრიობის გონებიდან. მესმის თუ არა საკითხი სწორად?

— ნამდვილად, — მიუგო ალაზნისპირელმა.

— მაშინ მოვძებნოთ ახლა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, ამ ურთიერთ გამომრიცხავ თეორიებს ერთ მთელში რომ მოაქცევს. არის კი ამისი შესაძლებლობა?

— არის, ნამდვილად არის, — თქვა ვლადიმირ ჩუბინიძემ, — სამყარო შეუთავსებლის შეთავსებაა. ამას იესო ქრისტეს ჭეშმარიტი სიტყვებიც გვიდასტურებენ: მე მამაჩემში ვარ, ხოლო მამაჩემი ჩემშიო, ბრძანებდა იგი, რაც შემდეგნაირად გაიაზრება: მე სამყაროში ვარ, ხოლო სამყარო — ჩემში.

— კი, მაგრამ ვინ გამოდის ბოლოს და ბოლოს ქრისტე, სამყარო — სამყაროში? — გაიკვირვა როკი ოდიშელიამ.

— იგივე ღვთიური წარმოშობის ადამიანის წინაპარი.

— მაინც ადამიანი, ხომ?

— არა, ადამიანი მისი დაკნინებულზე დაკნინებული ფორმაა. ადამიანს აქვს შანსი გახდეს ქრისტე, თუკი იეს-ო-ს განახორციელებს, ანუ შეიმეცნებს გარესამყაროს, მამაღმერთს და თავის ბუნებასაც.

— მდა�ა. ბატონო, ვლადიმირ, სანამ თქვენ საბოლოო სიტყვა წარმოგითქვამთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე, რომელსაც აქ ირონიით მოეკიდა ზოგი მეგობარი, მე კი სიამოვნებით მოვისმენდი მას, იქნებ ჩვენი რეალური ყოფისთვის შეგვეხედა უფრო ახლოდან, უკეთ, განგვესაზღვრა სად ვიმყოფებით, რა ვითარებაში, რა მოგველის მომავალში და როგორ უნდა ავაცდინოთ რიფეებს ჩვენი ხომალდი — პატარა საქართველო. აქ სურათი შემდეგნაირად იკვეთება: თითქოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ხალხი შეგნებულად წაიყვანეს სასაკლაოსკენ. მცირედი მსხვერპლით აპირებდნენ დიდი ბოროტების გადაგდებას. ხომ არაფერს ვამუქებ?! კომუნისტური რეჟიმის ჯურღმულებში ისე ღრმად ჩავშვებულვარ, იმის იქით ჯოჯოხეთია და ამ კუთხით ჩემი სიტყვების მართებულება საეჭვო არ გახდება. ადამიანი საპატიმროების იღლიებიდან გადმოვარცხნილი ტილია, რომელსაც ტკაპანს გაადენინებენ რა დროსაც მოისურვებენ. საზოგადოების უმრავლესობა ცხრა აპრილს ეროვნულ ტრაგედიად კი მიიჩნევს, მაგრამ ამავდროულად — ერის გამოღვიძების, პირველი ზარის ჩამოკვრის დღედაც. აქვე თავად აცხადებთ, რომ ძალადობით დამყარებული ერთობა ფუჭიაო, უმაქნისი, აუცილებლად დაემხობა, რათა მომავალში იგივე ერთობა განხორციელდეს, ოღონდ ნებაყოფლობითო. ჩავწვდომივარ თქვენს ნააზრევს?

— სავსებით, — დაეთანხმა ვლადიმირ ჩუბინიძე.

— მაშინ ისიც ვთქვათ ბარემ, თუ რატომ უნდა ვუწოდოთ ცხრა აპრილის აქციაზე მოსულ ხალხს მოტყუებულნი? განა ისინი ძალადობით შეყრილები არ გახლავან საბჭოეთის ერთობაში? მე მჩვევია ამისთანა წინააღმდეგობების გამოჭერა, ბატონო, ვლადიმირ. თქვენ ცხრა აპრილის აღმსრულებლებს ფაქტობრივად ასამარებთ, როცა პირიქით, თაყვანისცემა გმართებთ, ვინაიდან მათი ქმედება ნაბიჯი უკან არის ბატონი ჯემალის სპირალის კვალობაზე, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი, რათა მერე ორით წავიწიოთ წინ. ვიღაცას ხომ უნდა ეთავა ამხელა ვეშაპი ქვეყნის დაშლის უმადური ტვირთი და ასეთიც სწორედ საქართველო, მისი ინტელიგენცია, მისი ასულები და ჭაბუკები რომ აღმოჩნდნენ, განა საამაყო არ უნდა იყოს თითოეული ჩვენგანისთვის?! თურმე მათი ნებისმიერი საქციელი დიალექტიკურადაც ცამდე მართალი ყოფილა და მადლობის მაგიერია?!

არა მგონია საქართველოს დამოუკიდებლობა თვითიზოლაციის გზით წარიმართოს. ჩემზე უკეთ ვინ იცის იმ ხალხს რა შავ-ბნელი დღეები გამო-

უვლიათ?! ჩვენ ბურებითა და კარცერებით თუ გვიმასპინძლდებოდნენ, იმათზე სულ სხვანაირი ზემოქმედებანი არ წყდებოდა თვეობით, წლობით, ერთი და იმავე ხმის ეფექტია ეს, მარქსის ტომებით მომარაგება, სახელის გატეხვა ნათესავების, მეგობრებისა და სამშობლოს თვალში, ბიოქიმიური ზეგავლენები, თუ მამათმავალთა საკნებით დაშინება და ხშირ შემთხვევაში ზოგის გრეგენად გადაქცევაც. მაგრამ უმრავლესობამ ვაჟკაცურად გადაიტანა ყველა პრესი და საკირეთი. მარტო მერაბ კოსტავას დასახელება რად ღირს?! ან კიდევ რუსთაველის პროსპექტზე გაზრდილი სრულიად ნორჩი თამარ ჩხეიძე. ქალიშვილი ცხრაკლიტულში გამოუმწყდიეს და მამა საკუთარი ტყავის გადასარჩენად ისევ რაიკომის მდივნებს უკმევდა გუნდრუკს. მთელი ნახევარი წელიწადი გამსახურდიას მონანიებით გვქონდა ყურები გამოჭედილი. მთავრობა ამისთანა უხამსობაზე როცა მიდის, ხომ უნდა აამოძრაო თავი, რომ საქმე სხვანაირადაა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ძლიერებს, უდრეკელებს ებრძვიან ყველა მეთოდით?! ამისთანა სატყუარაზე ზოგი შეიძლება წამოეგოს კიდეც, მაგრამ როკი ოდიშელია — არაფრისდიდებით. მოკლედ, თანადროულია დავასკვნათ, რომ ცხრა აპრილით ფაქტობრივად ახალი ერა იწყება მსოფლიოში — კაპიტალისტური ცივილიზაციის რესტავრაცია. სულ სხვა საკითხია რამდენად სამართლებრივია იგი, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას ყველაფერი სჯობია. ადამიანი კვლავაც იცხოვრებს გაძაღლებულად, ჯუნგლების კანონით, სადაც მხოლოდ ძლიერები გააღწევენ ფონს, — როკი ოდიშელიამ ისევ შეავსო ჭიქები. ახლაღა შენიშნა მასპინძელმა, რომ სტუმრები ღვინოს კი სვამდნენ ნება-ნება, მაგრამ სადღეგრძელოს არავინ ამბობდა და ამ მომენტმა გაახარა სადღაც. რამდენჯერ უნატრია იმისთანა სუფრაზე მოხვედრა, სადაც გატყლარჭული და დაზეპირებული სადღეგრძელოები არ გაიჭაჭანებდა. აგერ ესეც, — ნაბიჯი უკან გადადგმულია, ბატონო ჯემალ, აწი თქვენზეა წინისკენ ფეხის ორჯერ მონაცვლება. ხომ არაფერს დასძენდით? თქვენ იქ თავში, დელიკატურად შეწყვიტეთ საუბარი.

— თქვენის ნებართვით, ბატონო როკი, ცოტა შორიდან დავიწყებ თეზისების სახით და დასკვნასაც იქიდან გამოვიყვან. დედამიწის თვალსაზრისით სამყარო ცნობიერდება როგორც ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ერთიანობა. ეს ყველაფერი კი კანტის ცნობილი გამოთქმით, მრავალერთიანობაა — ფილაინქაინთ. სამყაროში მიმდინარე მოვლენები და პროცესები პირობითად ხუთ რიგად იყოფა. ყველაზე მარტივია მექანიკური მოძრაობის ფორმა, რაც თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე მთელი აუცილებლობით ფიზიკურ მოვლენებს და პროცესებს იწვევს, ფიზიკური კი სათანადო პირობებში აუცილებლად გადადის ქიმიურში. სამყაროს მთელი ისტორია ცხადყოფს, რომ ქიმიური მოვლენების გარეშე ბიოლოგიურ პროცესებზე საუბარი ზედმეტია. დღემდე მიკვლეულ ცივილიზაციის საუფლოში ჯერ გაჩნდა სიცოცხლე და მხოლოდ რამდენიმე ასეულ ათასი წლის შემდეგ წარმოიშვა ბუნების გვირგვინი ადამიანი. ადამიანი და ადამიანთა საზოგადოება — ეს უკვე ისეთი

ფენომენია, რომელიც აღიმართება წინარე ოთხი მოვლენის საფუძველზე, მაგრამ სწორედ საფუძველშივე უპირისპირდება მას.

— რატომ? რატომ უპირისპირდება საზოგადოებრივი ფორმაცია საბუნებისმეტყველო ფაზებს?

— რადგანაც ბატონო, როკი, პოლიტიკა არის ადამიანთა ურთიერთობისა და საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობის უმდიდრესი და ურთულესი სამყარო, სადაც მხოლოდ ერთადერთი დეფიციტი არსებობს — გაგების დეფიციტი. ადამიანის რაც უფრო მეტი ნაწილი გამოიჩენს პოლიტიკისადმი ინტერესს, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გაჩნდება მის კანონზომიერებათა შესაცნობად, მაგრამ რაც უფრო მეტი ნაწილი წაეპოტინება ან დაეპატრონება პოლიტიკას, ამ ურთულესი მეცნიერების სიღრმისეული ფენების დაუფლების გარეშე, მით უფრო დამღუპველია შედეგები. მექანიკოსებს, მათემატიკოსებს, ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს, ბიოლოგებს შესაძლოა მჭევრმეტყველურადაც ხელეწიფებოდეთ პოლიტიკაზე მსჯელობა, მაგრამ ერთხელ ხომ უნდა დავფიქრდეთ შემდეგ გარემოზე: მოხერხდება კი სერიოზულად, მეცნიერების დონეზე ილაპარაკოს, ვთქვათ, ეკონომისტმა; ფიზიკის ან ბიოლოგიის საკითხებზე, ეს უკანასკნელნი ხომ თვისებრივი გაგებით გაცილებით მარტივნი არიან ვიდრე საზოგადოებრივი მოვლენები?! მაშ, თუ ეს ასეა, ჩვენი კამათიდან გამომდინარე, ფიზიკოსები თუ მათემატიკოსები პოლიტიკაზე რომ ბჭობენ, გნებავთ არასპეციალისტებიც, ცოტას ხომ არ თავხედობენ?

— გარდა ფილოსოფოსებისა, — თქვა ჩუბინიძემ.

— გააჩნია. რაც შეეხება საქართველოს დაწინაურებას, თუკი მას მართლაც განუზრახავს წინ გაჭრა, მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გაიაზროს თანამედროვე მსოფლიოს მეგა-ტენდენციების ფონზე ეროვნული ეკონომიკისა და პოლიტიკის პრობლემები. ზოგადად კი მთელი კაცობრიობის ხვალინდელი დღის, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი სხვა არც ერთ დარგზე ისე არ არის დამოკიდებული სადღეისოდ, როგორც პოლიტიკაზე.

მსოფლიოში არსებული მთავარი პოლიტიკური ძალები თუ გაითვალისწინებენ განვითარების ძირითად მიმართულებებს და სწორ, მართებულ ორიენტაციას აიღებენ, მაშინ აყვავდება დედამიწა და ადამიანთა ნამდვილი ცხოვრება დაიწყებს ზეიმს; არადა, კატასტროფა გარდაუვალია. ჩვენი ცივილიზაციის არსებობის მანძილზე პირველად დგება მომენტი, როცა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა მექანიკის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, საერთოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევები, არამედ — მათი გამოყენების პოლიტიკური ხასიათი.

— მაინც ვერ ვამბობთ ნათლად სად ვიმყოფებით, განვითარების რომელ სტადიაში; რას წარმოვადგენთ, ან როგორი იქნება ჩვენი მომავალი? — განაცხადა შეწუხებული სახით როკი ოდიშელიამ, — სად დაიკარგე, ბიჭო, ამდენ ხანს? — ჰკითხა ღიმილით უკან მობრუნებულ მეგობარს.

— ბატონი შალვა ქალაქგარეთ წასულა.

— მოიცა, ვნახო მედიკო და გაჩვენებს ქალაქგარეთს. ბატონ შალვას შევ-

ხვდებით როდესმე, ახლა კი იქნებ ამ საკითხებით შეგვეჯამებინა ჩვენი საინტერესო საუბარი?!

— ნება მიბოძეთ მეც მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა, — ჩაერთო მასლაათში ლევან ნადირაძე, — ყველაფრის თავი და თავი იყო, არის და იქნება საქართველოს გეო-პოლიტიკური მდებარეობა: რელიგიათა, ტერიტორიათა, სავაჭრო საშუალებათა გზაჯვარედინზე ყოფნა, რაც ცხადია, ზედმიწევნით განაპირობებდა და უნდა განაპირობებდეს წესით მისი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს.

ჯერ ერთი, გუბაზ მეფის ხანაში, ფარტაზისა და აეტის ცნობილი რიტორიკიდან მოყოლებული, საქართველო დროსა და სივრცეში გახლდათ ორ ზღვას შუა საომარი ლელო. საქართველოს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვგულისხმობ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქებს, არასდროს ჰქონდა საშუალება დამოუკიდებლად ემართა თავისი სახელმწიფო. ის ან რომის ვასალობას ამჯობინებდა, ან მუსულმანურ სამყაროსთან კონტაქტებს.

ეს დილემა უფრო გამოკვეთილად მეთვრამეტე საუკუნეში ამოტივტივდა ერეკლე მეორის ზეობის ჟამს. ცნობილ პოემაში ბარათაშვილმა თვალსაჩინოდ დაგვიხატა ქართული სულის მდგომარეობა: თავისუფლებასაც ვერ ველევით სოფიოსა და ლიონიძის დიალოგისამებრ, მაგრამ არ არსებობს ამ თავისუფლების რეალური შენარჩუნების გარანტიები ერის შიგნით. საჭიროა ქვეყნის დამცავი მექანიზმის პოვნა ფიზიკური განადგურებისგან. კვლავ დილემის წინაშეა ქართველი კაცი.

ვისთან? რომელთან?

მუსულმანურ სამყაროსთან, შენს თვითმყოფადობას იავარქმნით რომ ემუქრება, თუ ერთმორწმუნე რუსეთთან, რომელიც ყოველნაირად შეეცდება შენს ასიმილაციას, მაგრამ არსებობს შანსი, მაამებლობის, ფრთხილი პოლიტიკის წყალობით გადაარჩინო შენი თავისთავადობა?!

აჰა, ჩვენი არსებობის მანძილზე მერამდენედ წამოიჭრა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

ვისთან? ისევ რუსეთთან თუ მუსულმანურ ქვეყნებთან?! სხვანაირი გადაწყვეტა წინდებულ ალტერნატივას არ უწერია.

— გამოდის, რომ თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს დამოუკიდებლობის განხორციელებისთვის ეროვნული ენერგია არ ჰყოფნიდა? — თქვა როკი ოდიშელიამ.

— ცხრაასჩვიდმეტი წლის რუსეთის წაბორძიკებით მოპოვებული ჟორდანიასეული თავისუფლება თუ საბოჭეთის წაბარბაცებით სავარაუდო თავისთავადობა ჩვენი, ტყუპისცალივით დაემგვანება ერთმანეთს, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ჩვენს თავისუფლებას გარეგნული ფაქტორები კვებავდა და კვებავდეს იქნება, და არა შინაგანი კანონზომიერება.

დამოუკიდებლობა ჩვენ რევოლუციის გზით, სახალხო აჯანყებით არ მოგვიპოვებია ცხრაას ჩვიდმეტში და არც ახლა ძალგვიძს იარაღით მისი მოხ-

ვეჭა. ჩვენ დადარაჯებული ვართ სხვის წაქცევას, ჰოდა, ისტორიული გამოცდილებით ადვილად მოპოვებულს ადვილადვე თმობენ. მარტივად თუ ვიტყვით, საქართველოსთვის თავისუფლების მცნება ფუფუნების მსგავსი აბია, ან უკეთეს შემთხვევაში შორეული ოცნება, რომელიც თურმე სხვათა გუნებაგანწყობილებაზე ჰკიდია სავალალოდ. საქართველოს საკუთარი ძალებით აღარ შეუძლია ფეშქაშად ბოძებული დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ვინაიდან მუსულმანურ სამყაროსა და ნიჩბებიანი რუსეთის წნეხქვეშ მომწყდეულებს დრო არ გვრჩება პატროფილური ხაზის გასატარებლად.

აქ მაგალითისთვის გამოგვადგებოდა რობაქიძე-მიწიშვილის ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები საქართველოს, როგორც მისიის თაობაზე, ან მოვუხმოთ დამატებით ჰეგელი-ვახუშტი ბატონიშვილის ანალიზს, ვიტყოდი, ჩინებულს, ქართულ ფენომენზე. ჩვენ რომ საკუთარი პოლიტიკის წარმოებისთვის მზად არა ვართ ჩვენივე გაორების წყალობით, უეჭველია. აქედან გამომდინარე ჩვენი პოლიტიკური კურსის წარმართვა ექვემდებარება გადაუულახავ წინააღმდეგობებს, რომელიც ასჯერ და მეტჯერაც აღემატება ჩვენს ხელთ არსებულ რესურსებს. მაშასადამე, გასარკვევია, ვინ უფრო ნაღდია, ჭეშმარიტი; ის, რომელიც „შერეკილების“ მოფამფალებული ურმით მთვარეზე აფრენას გვპირდება, თუ იგი, ვინც იმავე ურმით ტალახიან და აშმორებულ გზიდან გაღწევისთვის გვიყიჟინებს?!

ჩვენ არ ვივიწყებთ დონ კიხოტის პასაჟებს, როცა დროებით თავისუფლებამოპოვებულ ყმაწვილს ორმაგად გააძრობენ ტყავს მწუხარე სახის რაინდის წასვლის შემდეგ. რეალიზმი და არა ფერადი სათვალეები, ბატონებო! ჩვენ ხომ სცილას და ქარიბდას შორის ვიყავით და ვიქნებით კვლავაც ბარე რამდენიმე ათეულ წელიწადს, სანამ თავად რუსეთსა თუ მუსულმანურ სამყაროში არ დამკვიდრდება ჰუმანიზმის კეთილშობილური იდეალები. მანამდე კი თავის შენახვა, დიახ, თავის შენახვა, — თქვა დამარცვლით ლევან ნადირაძემ, — გვმართებს: ფრთხილი საგარეო და აქტიური საშინაო პოლიტიკის გატარება, როგორც ამას ახერხებდა ჰომეროსის რჩეული გმირი ოდისევსი, ვინაიდან მხოლოდ მან შეძლო ულევი ჭკუის, გნებავთ ცბიერების წყალობით სიცოცხლის შენარჩუნება და შინ უვნებლად მისვლა სახიფათო მრავალწლიანი ხეტიალის შემდეგ.

ილიას გზა — მამული, ენა, სარწმუნოება — ფორმულაა ჩვენი არსებობისა, მაგრამ ბარემ გადავავლოთ თვალი და ვთქვათ გულახდილად, როგორია ჩვენი ეროვნული კუთრი წონა ამ დებულების შესაბამისობაში?! ტერიტორიული მთლიანობა ჩვენი თავის დროზე მრავლად დაინაღმა ნელი მოქმედების დენთით, უკეთ ავტონომიური ფორმირებების ხელოვნური შექმნით იმპერიის მიერ, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, აჭარის სახით და პოტენციაში სავარაუდო სამეგრელოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ავტონომიების შესაძლებლობებით დასავლეთ საქართველოში, მესხეთსა თუ ქვემო ქართლში. გამოდის, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა წყალშეჯნებულია.

ოდნავი წაბორძიკება და საქმე ასწილად გაგვირთულდება ვიდრე სისხლიან ცხრა აპრილს, — საუბრობდა ლევან ნადირაძე სალოკი თითის განუწყვეტელი მოძრაობით.

— ესე იგი ჩათრევას ჩაყოლა უნდა ვამჯობინოთ? — აღმოხდა როკი ოდიშელიას.

— თავს ზემოთ ძალა არ არის. მოვა სანატრელი დრო ადრე თუ გვიან, მანამდე კი ჩვენი შინაგანი რეორგანიზაციით, დემოგრაფიული ბალანსის აშკარა გაუმჯობესებით, ქართული სულის გამრთელებით, მსხვილი ქალაქების დეურბანიზაციით და მამაპაპური ტრადიციების აღორძინებით სოფლებში, მივაღწევთ სანატრელ თვითმყოფადობას, ჯერ — შინაგანს და მერე — პოლიტიკურ თავისუფლებას.

ახლა, ბატონო, როკი, შევხედოთ რა ვითარებაა ენობრივი თვალსაზრისით. საქართველო დიახაც გახლავთ ქართის ტომის ენაზე მოსაუბრე ქვეყანა საუკუნეების მანძილზე, მაგრამ ჩვენი უგუნური პოლიტიკის წყალობით ვერ მოვახერხეთ მეგრულ-სვანური ელემენტების შერწყმა დედაქართულთან. ზოგი დილეტანტი იქამდე გათავხედდა, თავისი უმეცრების გამომზეურებას არც კი ერიდება. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გარშემო მსჯელობისას ისეთ კურიოზულ ფაქტებს წააწყდებით, თმა ყალყზე დაგიდგებათ:

ჩვენ არ უნდა დაგვშვა მეგრულ-სვანურის განვითარება ენობრივ ფორმებადო, წავიკითხე ამასწინათ ერთ ურაპატრიოტულ გაზეთში, და ახლა, როცა ერთიან ქართულზეა მსჯელობა, ეს პატუა ენები პრეტენზიას აცხადებენ დამოუკიდებელი არსებობისთვისო, წერია შავით თეთრზე.

კოლხურს, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს ქართველურ ენათა სათავე, პატუა ენობასაც კი ჰკადრებს ზოგი ახალგამოჩეკილი მეცნიერი. დაღუპულია საქმე, როცა ლინგვისტიკა პოლიტიკურ დროშებს ააფრიალებს. მართლაც საქმე დაწკრიალებულად რომ არ არის იმთავითვე ნათელია. დიახ, დარღვეულია მონოლითურობის პრინციპი და თუ არ შევეცდებით ჭკვიანური მეთოდებით მეგრულ-სვანურის შემოკავშირებას დედაქართულში, მაშინ მოსალოდნელია მეგრულის გადანასკვა ლაზურთან. მეგრულმა შესაძლოა გენეტიკურად უფრო ახლომდგომ ენასთან ამჯობინოს მომავალში კონტაქტი და მართლაც ათასი ხათაბალა გაგვიჩინოს ამ მხრივ. ამიტომაც აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ გიორგის ამასწინანდელი წერილის პათოსს, როცა საკითხს წამოჭრის ქართველურ ენათა სინთეზური ლექსიკონის შექმნის თაობაზე, სადაც მეგრული, ლაზური და სვანური დაფიქსირდება, როგორც ძირძველი ქართულის სინონიმები.

მშვენიერია მოსაზრება სალიტერატურო „გოგოს“ პარალელურად მეგრული „ცირას“, ლაზური „კულანის“ და სვანური „დინას“ დამკვიდრების თაობაზე. ეს ენობრივი რეფორმა ჩანასახშივე ჩაახშობს ლაზურ-მეგრულის შეერთების ხარჯზე ქართულისგან გამოცალკევების საშიშროებას. ამასთანავე ათასწილად გაამდიდრებს ჩვენს დედაენას და რაც მთავარია, მოგვევლინება ქვეყნის თვით ეკონომიკური თუ პოლიტიკური აღმავლობის საწინდრად.

რაც შეეხება სარწმუნოებას, აქაც იგივე სურათია, იგივე დაქსაქსულობა, იგივე დანაწევრება: ვიყავით წარმართები. ციურ სხეულებს ვეთაყვანებოდით. მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, გაბადრული ვარსკვავები და და ძმაა ჩემიო, ვიძახოდით ოციოდე საუკუნის წინ.

ათას შვიდასი წელიწადია ქრისტეს მოძღვრებას გულში ვიხუტებთ, ისლამურ კოცონზედაც გავდივართ არც თუ ისე იშვიათად ქეთევან დედოფალსავით, რისი წყალობითაც ვინარჩუნებდით კიდეც თვითმყოფადობას ჩვენსას;

მოგვიანებით ას ოთხმოცი გრადუსით შემოვტრიალდით მატერიალისტური მსოფლმხედველობისკენ და აგერ, კვლავ ვლეწავთ ჩვენს კერპებს. ასეთია ქართველი კაცის შინაგანი ზიგზაგიანი ცხოვრება თეოლოგიისა თუ ათეიზმის გზაზე. ესე იგი ქართველი თავისი გენეტიკური ნატურით წარმართიცაა, ქრისტიანიც, მატერიალისტიც და ისლამის მიმდევარიც, ამდენად, მისი გამოცხადება მხოლოდ ქრისტეს მრევლად წინდაუხედავი პოლიტიკაა. აქ სამაგალითოდ გამოგვადგება დავით აღმაშენებლის შორსმჭვრეტელური გენია, როცა მან ყველა მეზობელ რელიგიას შემწყნარებლობა გამოუცხადა და იხსნა საქართველო სარწმუნოებრივი წარღვნისგან. დასკვნისათვის შემიძლია დავსძინო, რომ საქართველო სამივე განზომილებაში: მამული, ენა, სარწმუნოება‘‘, რამდენადმე დანაწევრებულია, დაქუცმაცებული ურთიერთგამომრიცხავ ელემენტად და თუ არ განხორციელდება მიზანდასახული, შორსმჭვრეტელური რეფორმები თითოეული მიმართულებით, მართლაც დასაღუპავად გავიწირებით, ბუნებით ნიჭიერი, მაგრამ ელემენტარულ სიბრძნეს მოკლებული ერი.

მოკლედ, ოცდამეერთე საუკუნეში ერთობ გაგვიჭირდება სახელმწიფოებრივი არსებობა თუ საშვილიშვილო წინდახედულებას არ გამოვიჩენთ.

— ეკუმენიზმი უმთავრესი მტერია მართლმადიდებლობისა, — ხელი აუცახცახდა ეპისკოპოს იოანე-იონას, — თქვენი შეხედულებაც ამისი ნათელი დასტურია, ლევან, შვილო ჩემო. საქართველოს ერთადერთი — ქრისტესმიერი გზა გადაარჩენს, ზნეობრივი გზა. მართლმადიდებლობას გააფთრებით ებრძოდნენ წარსულში და ებრძვიან დღესაც. მისი ყველაზე საშიში მტერი ჯერ-ჯერობით ეკუმენიზმია, რომელიც ყველანაირად ცდილობს ქრისტიანული დოგმების ისლამთან თუ ზოროასტრიზმთან შერწყმას. ეს ყოველივე მასონური ლაშქრობაა ნიკონიდან მოყოლებული. ისინი ერთ ჭერქვეშ ალოცებენ ქრისტეანსა და ქრისტეს მტერს, წმინდანსა და უწმინდურს, რათა სანაგვეში ჩაახრჩონ მართალი ეკლესია, რამეთუ კარგად იციან, რჯულის კანონის მიხედვით, ერეტიკოსთან მლოცველი ერეტიკოსი ხდება. გაერთიანების შემთხვევაში მათ ეყოლებათ ერთი ლიდერი, რომელზედაც წმინდა მამები ამბობენ, რომ იგი იქნება ცრუ ბელადი, ანუ ანტიქრისტე.

გაიხსენეთ, შვილნო ჩემნო, იოვანეს გამოცხადება — თუ როგორ გამოუდგა მარიამ ღვთისმშობელს გველეშაპი, რათა დედა და შვილი შთაენთქა, მაგრამ

ღვთისმშობელმა მოისხა დიდი ფრთები და მაღალ მთაზე აფრინდა. შემდეგ კი ქრისტე ცეცხლში უკრავს თავს იმ ურჩხულს, იგივე სატანას და მის მოკავშირეებს. ეს არის ანტიქრისტეს ფინალი და თვით საუკუნის დასასრულიც. ამგვარი ბედი ეწევა ქრისტეს წმიდა და სამოციქულო ეკლესიის მოქიშპე-მიმდევარს.

თქვენი მსჯელობანი, გვნებავს, გაცნობიერებულია თუ არა, თეოლოგიური ომის საშიშროებით შემწყნარებლობა ყოველი სარწმუნოებისა, მასონიზმიდან იღებს სათავეს, რომლის მიზანი მსოფლიოში ებრაელთა გაბატონებაა. მაშ, რომელი ეკლესიაა ჭეშმარიტი?! ხომ ყველას თავისი მრწამსი მიაჩნია ერთადერთ მართებულად?! მე კი გეუბნებით შვილებო, რომ სადაც არ ხდება ნათლისღება წყალში სამჯერ შთაფლვით?! რომელსაც არ ამშვენებს ქრისტეს რვა დაბოლოებიანი ჯვარი?! სადაც ასვენია ყალბი ხატები არასწორად გამოხატული თითებით?! სადაც წვერშეკრეჭილი და შელამაზებული მღვდლები სწირავენ; სადაც ფულს იღებენ მღვდელთმსახურებისთვის; სადაც კაცებს არ აცვიათ შარვალზე გადმოშვებული ხალათი, სარცხვენლებს რომ უფარავთ, ხოლო ქალებს თავსაფრით არ წაუკრავთ შუბლი და წელზე ქამარი არ შემოურტყამთ; სადაც არ სრულდება შვიდივე საიდუმლოება, ერეტიკულია, ანუ მასონური.

მასონობას ტოლერანტობა უდევს საფუძვლად. იგი თანაბრად მიაგებს პატივს ათეიზმს თუ ნებისმიერი სარწმუნოების წარმომადგენელს. არ მინდა სიტყვა გამიგრძელდეს, დავსძენდი მხოლოდ, ებრაული წარმოშობის ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის ადოლფ ისააკ კრემეს ნათქვამს. ეს კრემე საფრანგეთის დიდი ლოჟის დიდი ოსტატი იყო:

მოვა დროო, ამბობს იგი, როდესაც დედამიწის მთელი მიწიერი სიმდიდრე ისრაელის შვილების საკუთრებაში გადავა. და კიდევ იქვე დაამატებს: ახალგაზრდა ებრაელი მოდის მსოფლიოში და ხმამაღლა აცხადებს, მე მოვითხოვ ჩემს კუთვნილ ადგილს და ჩემი ადგილი არის მეფობა მსოფლიოში. და თუ არ მივიღებ მე მას, მაშინ დე ცეცხლს შთაუნთქავს მთელი სამყაროო.

მასონები პოლიტიკურ მოღვაწეებს მოისყიდიან ხოლმე, მათი ზეგავლენით ლამობენ ქვეყნიერების ზემოდან მართვას. მათ საცეცებს ვერ გაექცნენ გიგანტი მოაზროვნენი, მარქსი და ენგელსი, დეკაბრისტები; ლენინმა მასონური ნიშანი პენტაგრამა მიაწება პროლეტარიატის დროშაზე და აგრძნობინა კოლეგებს, რომ მათი ჯიშისაა.

ცხრა აპრილის მოედანზე თუჯის ურჩხულებს ნამგალი და ურო რომ აღუმართავთ, მასონური სიმბოლოებია. სტალინიცა და ჰიტლერიც გარკვეული პერიოდი მასონები იყვნენ სანამ ძალა-უფლებას ჩაიგდებდნენ ხელში, მერე სასტიკად გაუსწორდნენ მათ. ზედსიძეებად მოკიდებულმა დეკაბრისტებმა მასონური ლოჟები გაგვიხსნეს თბილისში. ასე რომ, მართლმადიდებლობა გაუგონარი განსაცდლის წინაშეა. შვილებო, ერეტიზმი ებრძვის მას, მაგრამ დიდია უფლის ნება და ადრე თუ გვიან, ბოროტი გადიყრება ცეცხლის გარსში და ატყდება კბილთა ღრჭიალი.

— თქვენმა სიტყვებმა, მამაო იოანე-იონა, ისეთ გუნებაზე დამაყენა, ლამის ამ გვირგვინოსანი სავარძლით სარკისკენ გავქანდე, არიქა, რაიმე მასონური ხომ არ მომაცხო-თქო. გვიჯობს მოვეშვათ ამ ჯვარცმული ერის განქიქებას. დამისახელეთ სხვა რომელი აღმსდგარა ფენიქსივით ფერფლიდან?! მსოფლიოს ფული და გონება მათ ხელშია. ებრაელების მომდურება იქნება?! ჩვენ ჩვენი ვიტიროთ, მამაო. — მიაჩერდა სახეზე ეპისკოპოსს სევდიანი ღიმილით როკი ოდიშელია, — ჩემთვის ბევრჯერ მოუნიჭებია ძალა წმინდა გიორგის ხატებას. სიზმრად მიხილავს მე ის გველეშაპი, მარიამს და ჩვილ ქრისტეს რომ დასდევნებია თურმე, და წარმიწყვეტია თავი ტანისგან, მაგრამ საპყრობილეში მუსულმანსა და ქრისტიანს მხარდამხარ უბრძოლიათ უსამართლობის წინააღმდეგ, ისე რომ თავიანთი რწმენისგან ნაბიჯიც არ მოუცვლიათ. როგორ მოვიქცეთ ახლა, მუსულმანმა თუ დაამარცხა ბოროტება, არ ჩავუთვალოთ საკაცობრიო საქმედ?! თქვენი საუბრიდან გამომდინარე ასეთი რამე თუ დავუშვი, მეც მასონი გამოვდივარ, ლევანიც, ვლადიმირიც, ჯემალიც, გივიც, ანთარიაც, თვით მერაბ მამარდაშვილიც სორბონის უნივერსიტეტში რომ კითხულობს ლექციებს ეგზისტენციალიზმის პრობლემებზე. მართლმადიდებლობის პოზიციიდან მსოფლიოს ორ მესამედს კუპრში მოელის თურმე ქშენანი. კიდევ მეტს, ალბათ, ვინაიდან თავად ქრისტიანული სამყაროც უთვალავ სექტად და განშტოებად დანაწევრებულა. კუპრში ქშენანი მოელით ბაბტისტებს, კათოლიკებს, იეღოველებს, პროტესტანტებს, ბუდისტებს, მუსულმანებს ხომ ისედაც განაღდებული აქვთ ეს ნეტარება. ზედმეტი კატეგორიულობიდან ფანატიზმამდე ერთი ნაბიჯია.

ამას წინათ სამშობლოს გულისათვის კედელთან მიმაყენა მორდუშვილმა ავიძბამ; საკუთარი ოჯახის წევრებიც იქ მიამწკრივა გარდაცვლილი ბაბუის ძვლებთან ერთად. ვგონებ ასეთი უკიდურესობანი კაცობრიობას წინ ვერაფრით წაიყვანს. რელიგია, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობით აპირებს მრევლის გამრავლებას, სუსტია და, ალბათ, ბუნებრივია მისი დაქსაქსვა. ჩემი ცოდნა ამ სფეროშიც ზერელეა, მაგრამ ღმერთიც რომ ღმერთია იმის კერპად გადაქცევას ჩემი გონება ვერ უშვებს ახალმონათლულის კვალობაზე. ვნახოთ რას გვეტყვიან ამის თაობაზე ბატონები.

— ოოო, რელიგია დიდი ოპიუმია, — დაიწყო შეუნიღბავი შეტევით ჩუბინიძემ — ზიარებულთა კასტები წარმართავენ მსოფლიოს. ქრისტე ღმერთიც მათი გონების წყალობაა, რათა წინაპართა კოლოსალური ცოდნა დაფარულიყო მისი ჯვარზე გასვლით, მაგრამ სასიკვდილო სულაც არ ყოფილა ის სამსჭვალები. აღდგომის სასწაულების მერე იესო გზიდან ჩამოიშორეს როგორც ზედმეტი ტვირთი. ქრისტე უეჭველად იყო რეალური პიროვნება, კოლოსალური ენერგიის და ცოდნის პატრონი, აბსოლუტური ჭეშმარიტების მფლობელი, ვთქვათ, როგორიც — მე და რადგანაც მან ხალხს ასწავლა საჭიროზე მეტი: ჯვრის სიმბოლიკა, მარადიული მოძრაობის საიდუმლოება, რიცხვი ცამეტის სიბრძნე, დიახაც, ჩამოიშორეს გზიდან, დასაჯეს.

ღმერთი კი, ბატონებო, ადამიანის გონებაში მოცემული აბსოლუტური ჭეშმარიტების ეკვივალენტურია.

— თქვენთან ლაპარაკი შეუძლებელია ცოდვილთა ნაშიერნო, სატანა ღაღადებს ახლა თქვენი პირით. მაგისი შედეგი ვიწვნიეთ ეგერ მთავრობათა სასახლის წინ ორლესული ნიჩბებისაგან.

— დემაგოგობთ, მამაო, — გაცხარდა ლევან ნადირაძე, — მიეცით საწყალ ადამიანებს განსჯის საშუალება. თქვენ ბრმად მიმყოლის მეტს არავის ცნობთ, მაგრამ ადრე თუ გვიან ადამიანი თვითონვე ჩამოიშორებს ყოველგვარ თეოლოგიურ ზეგავლენას, როდესაც ღვთიურ მდგომარეობას მიაღწევს იგი. თქვენ ადამიანებს გზას უხშობთ ამ მიმართულებით, ამიტომაც გამოიგონეთ იეჰოვაც, იუდაც, კრიშნაც, ქრისტეც, ალაჰიც, რათა საკუთარი თავი, საკუთარი მეობა წაართვათ და თქვენს ეგოისტურ ზრახვებს ანაცვალოთ მისი სრულფასოვანი ბედნიერების პერსპექტივა.

სუფრაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ქალებმაც კი შეწყვიტეს კერძო მასლაათი. მხოლოდ ნიკა დააქროლებდა სამბორბლიან ველოსიპედს გამოცარიელებულ დარბაზსა თუ ვესტიბიულში.

ეპისკოპოსმა იოანე-იონამ რამდენიმე წამს აწვალა ხელში ჩანგალი, მერმე მკვეთრი მოძრაობით თანამეინახეთა თავს ზემოთ აღიმართა.

— ვილოცებ მე თქვენი ცოდვილი სულებისთვის შვილნო, ჩემნო, — თქვა და ამაყი მხრები წასასვლელად შეამზადა.

— დაბრძანდით, მამაო, — უთხრა აუღელვებლად როკი ოდიშელიამ, — მოსვლა თქვენი ნება იყო, მაგრამ აი, წასვლა, — ნურას უკაცრავად. თქვენ თქვენს თავს არ ეკუთვნით უკვე სანამ ამ სუფრაზე ხართ; ამიტომაც იქონიეთ ქრისტესმიერი გამძლეობა, გნებავთ ერეტიკოსების გარემოცვაში გიხდებოდეთ ლოცვის აღვლენა, ჩაავლეთ ხელი თქვენს რვაბოლოიან ჯვარს და ჩამამთავრებინეთ სიტყვა, ვინაიდან ჩავუთქვი: თუკი ერთი კაციც სუფრიდან უპასუხოდ გამექცა, საფიცარი საქართველო დამენგრევა-მეთქი.

— ასეთი საუბრების შემდეგ როკი, შვილო, არ არსებობს ძალა, რომელსაც ჩემი გაჩერება შეეძლოს.

— დაბრძანდით, მამაო, ძალა აღმართს ხნავს, — ხელის მოძრაობაც მიაშველა როკი ოდიშელიამ.

— აღმართს კი, მაგრამ ადამიანის სულს — ვერა, შვილო, როკი.

— ამაზე არ გედავებით, თუმცა დარწმუნებული ვარ ჩემი სიტყვების შემდეგ არათუ დარჩებით, შემეხვეწებით კიდეც მამაო, ცოტა ხანს მამყოფეთო.

— ეგ როგორ? — გაიკვირვა ეპისკოპოსმა.

— ნიკა, შვილო, — გასძახა როკიმ მემკვიდრეს და ბიჭმაც ხელად მოატრიალა ველოსიპედი მამისკენ, — ბაბაია, ავაფეთქოთ კიდევ ერთი შამპანური?

— დედა რომ გაგვიწყრეს?

— გამომართვი, კაცო ეს! — როკიმ შამპანურის გაუხსნელი ბოთლი მიაწოდა შვილს, მიუთითა ყრუ კედლისკენ, ქამარზე ხელი გაიკრა და „ტეტე“ ამოაბზრიალა.

ისედაც დაძაბული სუფრა აზეითებულის ჩათვლით იმ მოზიმზიმე რევოლვერს მიაჩერდა.

— ძალადობა მრავალნაირია, მამაო. ყველაზე მარტივია, როცა მოწინააღმდეგეს იარაღით ემუქრები, რადგანაც კაცს უხვად მოეძევება სიკვდილის შიშის დამთრგუნავი უნარი. — არის ადამიანზე ირიბი მოქმედების ძალადობაც, მინი ფეხბურთის მსგავსად, კედელს რომ ურტყამენ ბურთს და იქიდან გააქვთ კარში გოლი. რიკოშეტი დავარქვათ ამისთანას.

არსებობს კიდევ ძალადობის იაპონური მეთოდი, ხარაკირს ეძახიან. როდესაც ვინმეს სულიერი დასჯა სწადიათ, ნაწლავებს გამოიშიგნავენ, წრეს შემოავლებენ არასასურველი პიროვნების სახლ-კარს და მერე ტრადიციისამებრ იმ სისხლიანი რკალის გარღვევა აღარ ძალუძს მარადიული პატიმრობისთვის განწირულს.

აქ ჩამოთვლილი მეთოდებისგან მამაო, შენს შესაჩერებლად შევარჩევთ ყველაზე ზომიერს, რიკოშეტს.

ეგერ, ხომ ხედავ ჩვენს ანგელოზს, უცოდველს, კაცობრიობის სულის ნაწილს და მომავლის რწმენას. მე ვეტყვი, თავს ზემოთ კი არ ასწიოს ბოთლი, არამედ მხართან მიიხუტოს, ყურისგან ხელისგულის მოშორებით. ხო, ბატონო, ჩემო და აქვე წინადადებას შემოგთავაზებთ, მამაო იოანე-იონა, რჩებით თუ დავუმიზნო და ვესროლო-მეთქი. ვინაიდან თქვენს შესაყოვნებლად ზემოქმედების უკეთესი საშუალება არ გამაჩნია. ვთქვათ და მაინც გადაწყვიტეთ წასვლა, თქვენი ყოველი ნაბიჯი მომაკვდავის ფეხის გადადგმას დაემსგავსება. სანამ დარბაზიდან გააღწევდეთ შეიძლება მღელვარების გამო ნიშანი გამიცუდდეს და უცოდველი კრავი სანთელივით ჩაქრეს. ვინ უფრო მეტი დამნაშავე იქნება აქ, მე თუ თქვენ?! ერეტიკოსი მამა თუ ქრისტეს რჯულის ზედმიწევნით დამცველი ეპისკოპოსი?! ამიტომაც ვფიქრობ, ეგ შამპანური ჩვენ იარაღით თავმოსახსნელი არ გაგვიხდება. ჩემი მეთოდი არ გეგონოთ. ანთარიას ნასწავლია.

მთვრალია ერთხელ თურმე, გალეწილი. ფეხზე ძლივს დგას და მირბის სადღაც სახეტიალოდ. გაშლილია ძმაკაცთან ლოგინი, დიდი და პატარა გაჩერდიო ეხვეწება, მაგრამ არაფერი შველის. არ იცის ასევე ნაღვინევმა ჭკოლა ტიბუამ რა მოიმოქმედოს. წაეხეტება და ათობით ოჯახს ააწიოკებს გზადაგზა. მერე დილით მეგობართან ერთად ექნება სიმწრის ოფლის მოსაწური. ხოდა, ბატონებო, მიადგება ფერად ტელევიზორს ჩვენი ჭკოლა და გაცხარებული ეუბნება გიორგის:

თუ წახვალ იცოდე დავაფშვნი იატაკზე, სულ ნამცეცებად ვაქცევო. მაგრამ ჩვენი მთვარეული ყურსაც არ იბერტყავს. სხვა რა იღონოს ჭკოლამ,

უცებ თვალს ჰკიდებს მთვრალ მუმაშსქუა ტიბუას, ტახტაზე გაუხდელად მიწოლილს. მივარდება მსწრაფლ, წაუჭერს ყელში და ისედაც მისავათებული ლამის არის გაგუდოს.

წახვალ და დავახრჩობო, ეუბნება. ხომ იცით, გაჭრა. გიორგი ანთარია ხელად გამოფხიზლდება.

ოღონდ მაგას ნუ იზამ და ახლავე ვიძინებო. მეც იგივეს ვაკეთებ მამაო.

ეპისკოპოსი მოწყეტით დაეშვა სკამზე შეცბუნებული ღიმილით, წარბები უთამაშებს. ყველამ შვებით ამოისუნთქა.

— არ ავაფეთქოთ, ბაბაია? — იძახის ნიკა, — აგერ, მთლად თავზე შევიდგამ. დაუმიზნე, მე თვალსაც არ დავახამხამებ.

— მოიტა აქ, ამჯერად საჭირო არ არის.

გაუსწორდა ბავშვი მარინას თუ არა, გულგადაქანებულმა ქალმა ხელი სტაცა შვილს და მკერდზე მიიკრა.

— ქალბატონებო და ბატონებო, ვიდრე ჩუბინიძე თავის აბსოლუტურ ჭეშმარიტებას გვაღირსებდეს, ჩემსას მოგახსენებთ. ჭეშმარიტება აქ არის, ჩვენს სუფრაზე, თუმცა სახელი ვერ დაგვირქმევია. სხვანაირად გამორიცხულია. სიკვდილის წამალიც ხომ ლაფაროსთან ხარობს ვერ შეგვიმჩნევია თორემ?! ცაში ამაოდ ვიყურებით, საქართველოც ამ სუფრაზე არის მეგობრებო, გნებავთ მთელი სამყარო, გივის ნუნისის ჭასთან ერთად თუ ჯემალის კომუნიზმიანად. მე ახლა დიდი მოწიწებით ვეამბორები მას, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტების ფორმულას, — როკიმ შოთის პური აიღო და აკოცა, — აგერ, ქალბატონებო და ბატონებო, ჩემი ღმერთი და რწმენა, პური ჩვენი არსობისა, რომელსაც უფალი საკუთარ სხეულს უწოდებს და კიდევ — ღვინო, სისხლად რომ ნათლავს იესო მაცხოვარი. დიახ, ნამდვილი ჭეშმარიტების მჭედელი მშრომელი კაცია ჩემებურად. მოდით, ახლა და ამ სიდიდის ფონზე შევხედოთ თქვენს თეორიებს.

ლევანი, განსაკუთრებით კი ჯემალი, მშრომელი კაცის პოზიციაზე დგანან, რომლის კისერზე ვსხედვართ ყველა, ნიკათი დაწყებული და იოანე-იონათი დამთავრებული. როდესაც ნამუსიანი პურ-ღვინო ულევად დახვავდება, მაშინ გიორგი ანთარიაც ნორმალურად დაგვიწერს წიგნებს, უფრო სწორად, იძულებული იქნება ისე გამოხატოს აზრები, როგორც ჭეშმარიტი ფასეულობის შემქმნელს ეკადრება, სადად და კონკრეტულად.

ვლადიმირის შეხედულებებიც ამ ხალხს წამოსწევს წინა პლანზე და ალაზნისპირელისაც. აღვნიშნე უკვე, ჯემალთან და ლევანთან სადავო ნაკლები მაქვს-მეთქი. ახლა დავიწყოთ გულგახსნილად, რას აძლევს ქრისტიანობა აბსოლუტური ჭეშმარიტების შემოქმედ მშრომელს? მამაო, ხომ მეთანხმებით, რომ მართლმადიდებლობის ძირითადი პრინციპები ათ მცნებაშია მოცემული?!

— ნამდვილად! ათი მცნება ქრისტეანობის ფარი და მახვილია.

— ამას არავინ უარყოფს.

პატივი ეცი შენს მშობლებსო, ჩინებულია.

არა კაცს ჰკლაო, უკეთესს ვერ ინატრებ.

არ იმრუშოო, კეთილი და პატიოსანი. არ იპაროო, ათიანშია მორტყმული.

ცილი არ დასწამო ადამიანსო, ნაღდია ესეც.

ნუ გაგექცევა თვალები სხვისი ცოლისკენო, ნურც მისი სახლისკენო, ნურც ყანისკენ და მონისკენო, ნურც მისი მხევალისკენ და ხარისკენო, გიორგი, როგორ იქნება მხევალი?!

— მოახლე, ხელზე მოსამსახურე ქალი, — უპასუხა ანთარიამ.

— კარგი. ნურც მისი კარაულისკენო. ეგ?

— კარაული ვირია ახალი ქართულით, — თქვა ისევ ანთარიამ.

— მოკლედ, ნურაფერს დახარბდები მოყვასისასო, შურიანი ნუ იქნებიო. ამაზე უკეთეს რჩევას ადამიანი ინატრებდა? მაგრამ ახლა შევხედოთ ათი მცნების სხვა მოთხოვნებსაც:

მე ვარ შენი ერთადერთი უფალი ღმერთი და არავინ გაიკარო ახლოს ჩემს გარდაო. მორჩა. არჩევანი, განსჯის უფლება წართმეულია. წამში დაგიმონა, იმხელა ჯაჭვით დაგაბა, ასი გმირთაგმირი ამირანიც იყო, ვერ აიწყვეტ.

მომდევნო ორი მცნებაც ამ პირველს აძლიერებს:

კერპი არ შეიქმნაო, როცა უკვე კერპად შემოგთავაზა საკუთარი თავი; ნუ ეთაყვანები თუნდაც შენს მსგავსსო, ნურც მიწაზე, ნურც ცაში და წყალში თუ ქვეყნის წიაღში, არ მოუდრიკო თავი მათ, ვინაიდან ჩემი თაყვანისცემა სრულიად საკმარისიაო. ადამიანის სულის სწრაფვის დასაოკებლად უკეთესი მუხრუჭის გამოგონება შეიძლებოდა?! ნურას უკაცრავად. ხოლო რაც შეეხება მეშვიდე დღეს გულზე ხელების დაკრეფვას, ნაკლებ საშიშია ადამიანისთვის, რადგანაც ამისთანა დოგმებს მომავალში იგი ადვილად უკუაგდებს.

ადამიანი ბუნების შვილია, მისი ნაყოფია და მისივე კანონებით უნდა ცხოვრობდეს. ბუნებას არ გააჩნია უქმე დღეები, წითელი პარასკევები და პირველი მაისები, აღდგომები და რვა მარტები, შობები და შვიდი ნოემბრები. ბუნების პრინციპიდან გამომდინარე ესენი სასაცილო თარიღებია. ადამიანი პროფესიონალი სპორტსმენივით ყოველდღე უნდა შრომობდეს და ისვენებდეს კიდეც, მაგრამ ჯაფისთვის კი არა, სიამოვნებისთვის; ოფლისღვრისთვის კი არა, ნეტარებისთვის. მხოლოდ ამისთანა ვითარებაში აქვს მოწეულ პურს და დაწურულ ღვინოს სამყაროისეული გაგება.

ღმერთმა თითქოს ადამიანს ზნეობრივ-მორალური კანონები კი შეუქმნა, მაგრამ ამავდროულად თავის ინტერესებში მოაქცია მისი საქმიანობა, მისი სწრაფვა. გამოადგება ამისთანა განზომილება აბსოლუტური ჭეშმარიტების მფლობელ მშრომელ კაცს?! მეეჭვება, ბატონებო. დამონებული კაცი, თუნდაც აბსოლუტური ჭეშმარიტებისგან იყოს იგი, უმაქნისია. ადამიანი თავისუფლებისთვის გაჩენილა და როცა უფალი ჩაგძახის, ვითომცდა მის შექმნილს: მხოლოდ მე ერთადერთს მომაპყარი მზერა და სმენაო, დამთავრე-

ბულია სიმღერა. აქედან გამომდინარე, ყალბია საიქიოს სამოთხე და ჯოჯოხეთი, რადგანაც ორივე დედამიწაზეა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი თვისებებით.

ჭიაყელას არ გააჩნია თავისუფლება, ეს ადამიანის უმთავრესი ჯილდოა, დიახ, მის ხელთაა თავისუფალი შრომის და აზროვნების მოთხოვნილება ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე და როგორც უნდა გავწელოთ იგი, გნებავთ მათუსალას გადავუსწროთ წლების სიმრავლით, მაინც სიკვდილის შვილები ვართ.

მაშ, რა ფასეულობებს უნდა ესწრაფვოდეს კაცობრიობა თუ არა თავისუფალ შრომას და ფიქრს?! თქვენებური მსჯელობით უფრო მდიდრულად შეიკაზმებოდა ჩემი სათქმელი, მაგრამ მე გლეხური მირჩევნია, ზიზილ-პიპილებისაგან გამოხშირული. მაღალფარდოვნებისა და ფერ-უმარილების დიდოსტატი ჩვენი ანთარიაა, მაგრამ სახეყირმიზ ქალიშვილს რაში სჭირდება საღებავები?! მისი სინორჩისთვის ხომ სრულიად შეუფერებელია ყოველი კოლორი. არც ასაკოვან მანდილოსანს შეეფერება პატარძალივით გამოპრანჭვა, რადგანაც მისი ასაკი, მისი ქალური უნარები შეუსაბამოა გარეგნულ მონაცემებთან. ასეთივე მოთხოვნებს ვუყენებ მწერლობასაც, ფილოსოფიასაც.

ერთ ჩემს მეგობარ მანდილოსანს დავესესხები, რომელსაც ტანსაცმელი ეშმაკის მოგონილად მიაჩნია. რომ დავუკვირდეთ სწორედ ტანსაცმელმა მიაჩვია ადამიანი ქვეშქვეშობას, შენიღბვას, აფერისტობას.

ესე იგი სიყალბეს. ხელის გამოჩენის არ გვრცხვენია, არც — ყურებისა და ცხვირ-პირისა. მაშ, რა დააშავა სხეულის სხვა ნაწილმა, რატომ უნდა დაიფაროს ისინი ეკლესიაში შესულმა მლოცველმა მამაკაცმა გადმოშვებული ქსოვილით?! ეს ხომ აბსურდია, ბატონებო. ისე არ ჩამომართვათ თითქოს პორნოგრაფიას ვქადაგებდე. ვილაპარაკოთ მთავარზე, წვრილმანებზე ხომ უჩვენოდაც ყბედობს მთელი მსოფლიო?!

ადამიანს რკინის ჭიშკარი, ყრუ კედლები კი არა, კარებში გაკეთებული საჭვრეტი აგრძნობინებს ყველაზე მეტად, რომ საპატიმროშია. განა სხეულის გამონათების შეჩერება შეუძლია ქსოვილს, რომელიც თვალისთვის უხილავ მილიარდ სხივს და სპექტრს გამოსცემს სინამდვილეში?! თქვენ კი, ბატონო ვლადიმირ, აფანტაზიორებთ ადამიანის ბიოგრაფიას. მისი ღვთიური წარმომავლობის დასამტკიცებლად არანაირი საბუთი მოგეპოვებათ, ბუზს აქლემად წარმოაჩენთ. აქ სავსებით ვიზიარებ ჯემალის შენიშვნებს თქვენს თეორიაზე. თქვენებური ღმერთი ჩემთვის იგივე სრულყოფილი ადამიანია. ამას კი მილიარდი თაობაც ვერ მიაღწევს ალბათ, მაგრამ სრულქმნის პროცესში დარწმუნებული ვარ ჩვენი მოდგმა თანდათან ჩამოიშორებს ყოველგვარ ზედმეტ ბარგს, რაც განვითარების გზაზე ეღობება. ამიტომაც დაილეწება ყველა რელიგია, ბუდიზმია იგი, ზოროასტრიზმი, მართლმადიდებლობა თუ ისლამი. აქედან მოყოლებული არც ნუნისის ხვრელში ჩაძვრომა დაგვჭირ-

დება და აღარც ნოეს ქვის კიდობნები დედამიწის მოძრაობის შესაჩერებლად. დიახ, მე ვჯერდები მაიმუნის ჯოგიდან გამოღწევის თეორიას, იმ მაიმუნისას, ფუღუროში რომ შეჰყო ხელი, კაკალი მომუჭა, მაგრამ გამსხვილებული მუშტი უკან ვერ გამოაქვს, არც ნუგბარი ეთმობა, ხოდა, დაიჭერენ მონადირენი ან ტყიური შეჭამს, თუმცა ჩემი წინაპარი ის არის, რომელმაც საფრთხის მოახლოებისთანავე ხელი შეუშვა იმ სატკბარუნებელს და უფრო მთავარი, ტყავი გადაირჩინა.

სასაცილოა, საკუთარი კუჭის გვრემისთვის ვერ მოგვივლია და კოსმოსისკენ გავრბივართ. რაღა ბევრი გავაგრძელო, აგერ, თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ლამის კოლხეთის წარსული სამარიდან ამოვთხაროთ და ჩვენი დღევანდელობა ჩავაწვინოთ შიგნით მის სანაცვლოდ. აქამდისაც მითქვამს, უკიდურესობა, ფანატიზმი ღუპავს მაიმუნსაც და ადამიანსაც. ბატონი ჯემალის სწავლებით დიალექტიკა არ ცნობს უკან დაბრუნებას, გარდასულის სიტყვასიტყვით გამეორებას და თუ არის დროებითი უკანდახევა, ესეც ტრამპლინია პროგრესისკენ, ახალი ფორმა-შინაარსისკენ.

დავუშვათ, ბატონებო, რომ კოლხურია ოქროს მოპოვების წესი, ფოლადის გამოდნობის საიდუმლოება, მედიცინა, ანბანი, პური და ღვინო, მრავალხმიანი სიმღერები, კარგად გესმით თქვენ რასაც ნიშნავს ეს ყოველივე?! ხომ გავარკვიეთ ერთხელ გარდასული არასდროს მეორდებაო?! მაშინ რატომ ვერ ვიცილებთ თავიდან გაორებებს?

— ეს უკვე კამათი არ არის, მონოლოგია, — თქვა ვლადიმირ ჩუბინიძემ.

— კამათით ჭეშმარიტების დადგენას თქვენც რომ უარყოფთ?! აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ჯერ-ჯერობით მე ვფლობ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს დედამიწაზეო. მოვრჩები ორიოდე წუთში და იმონოლოგეთ რამდენიც გნებავთ, ამისი სურვილი თუ გაგიჩნდათ. გეთანხმებით, მართლაც ყყჩობაა მეგრული და სვანური მარგალიტები მეწყერს გავატანოთ. ჩვენ ეს ენები დიახაც უნდა შემოვიშველიოთ ჩვენი მწერლობის, ჩვენი აზროვნების აშენების პროცესში, მაგრამ წარსულის გაფეტიშება, იგივე ფანატიზმია. დავუშვათ, რომ მთელი კაცობრიობა აქედან წარმოსდგა. მერე?! ვინ ხარ დღეს?! ვინც შენგან წასულა, გენიოსია, ვარსკვლავებს წყვეტს, შენ კი ტალახში მუცლით ღოღავ. ან რომელი ერი გატეხავს შენთან პურს ამისთანა განცხადებების შემდეგ?! აფხაზეთში იარაღის ჟღარუნს თუ ოსეთში ხმააწეულ ლაპარაკს ამნაირი საუბრები უდევს საფუძვლად.

მაინც როგორ მიმართებაში უნდა განვიხილოთ კოლხეთი და საქართველო?! ვთქვათ, დედამ შობა შვილი, ულამაზესმა ქალმა გააჩინა ულამაზესი ასული თუ ძე, ხოდა, გარკვეული წლების შემდეგ მიიცვალა კიდეც ბუნებრივი სიკვდილით, შვილი კი აგრძელებს სიცოცხლეს, მაგრამ მთლად ალი-კვალი

ისიც ვერ იქნება თავისი წინაპრისა, რაღაცით ნაკლები, რაღაცით მეტი, მოკლედ, საფლავიდანაც ვერ ავაყენებთ ზუსტად ისეთს, როგორიც ოდესღაც იყო.

კოლხეთისა და იბერიის ერთიანობამ შექმნა საქართველო. ვისი მეტი აქვს ამ შვილს ნუ გამოვედევნებით, რადგანაც ორივე მშობლისგან მოსდგამს საუკეთესო. გავა ათასწლეულები და საქართველო კვლავ შობს ახალ მემკვიდრეს, მაგრამ შესაძლოა მაშინ უკვე მას სულ სხვა ერქვას სახელად, არც კოლხეთი და იბერია, აღარც — საქართველო, არამედ დავუშვათ, და — გურია, ამ სახელის გარშემო თუ დაირაზმება საქართველოში არსებული ყველა ეთნიკური ჯგუფი, მათი დაქსაქსული ენერგია, სახელმწიფოებრიობაც გურულისთვის დამახასიათებელი ნიშნით წარიმართება უმეტესწილად, ხოლო თავად ქართული დრომოჭმული აღმოჩნდება და უფრო ახალს, ენერგიულს დაუთმობს ასპარეზს. ამაზე თავის მტვრევა არ ღირს. უმჯობესია მშრომელ კაცს დავუბრუნდეთ, რომელსაც კისერზე ვასხედვართ ეპისკოპოსიც, მეცნიერიც, მწერალიც, პოლიტიკოსიც, ქურდიც, პოდპოიასნიც, მაგრამ ერთხელ ყელში თუ ამოუვიდა სრულყოფილებისკენ მიმავალ ადამიანს და გვითხრას:

მე ნაღდ პურ-ღვინოს გაჭმევ-გასმევდით, სამაგიეროდ რა მომაწოდეთ სულის საზრდოდოო, ხომ გავასავსავებთ ხელებს უმეტესი?! ბატონებო, თქვენს შესახებ დედაქალაქში კი არა პერიფერიებშიც მოეხსენებათ ზოგი რამ. თქვენ ქმნით საზოგადოებრივ აზრს, მაგრამ ამისთანა ზღაპრებისგან მე ნიკა უძილობით დამისახიჩრდება, ვინაიდან მსგავსი ფანტაზიებით თუ ინტერპრეტაციებით ამ ღლაპის მოტყუებაც ძნელია უკვე.

მოკლედ, არ არსებობს კოლხური ოქროს ზოდი, რომელიც ქართულ სპილენძის შაურიანში გაიცვლებოდეს, რადგანაც პირველი წარსულია, მიჩაჟი და როგორც უნდა ვატრიალოთ ჯვარი, ქრისტეს სხეულით დაფარული თუ შიშველი, ბზარის მეტს ვერაფერს გავაჩენთ ჩვენი მამულის სულში.

მშრომელი ადამიანის გარშემო, მისი ინტერესების სადარაჯოზე უნდა დავდგეთ ყველა. ქვეყანას ნუ დამიქუცმაცებთო, გვეუბნება ის კაცი. გასაგები ენით აღმიწერეთ გენიალური ამბებიო, გვეჩიჩინება. საზოგადოების მართვის სწორი კანონები და მეთოდები შეიმუშავეთო, გვავალდებულებს. აგერ, მამაო იოანე-იონა, მე განვმუხტე ჩემი ,,ტეტე'', და ყველას გაძლევთ თითო ვაზნას სამახსოვროდ და ვიდრე თქვენი ნააზრევის გამოქვეყნებას დააპირებდეთ, ერთხელაც დაფიქრდით, საზიანო იქნება თუ სასიკეთო ჩვენი სამშობლოს ერთიანობისთვის ის წიგნი, ის მონოგრაფია. ხოლო მაინც თუ არ დაიშლით და მოჰყვებით ქვეყნის მაოხრებელი აზრების პროპაგანდას, ჩათვალეთ რომ თქვენ დატენეთ ჩემი ,,ტეტე'', მაგრამ უკვე არა თავზე შედგმული ბოთლის დასამსხვრევად, არამედ — უშუალოდ ნიკას სასიკვდილოდ. ვესესხები ბატონ ჯემალს და ჩემებურად ვიმეორებ, რომ ტალანტი ქმნის იმას, რაც შე-

უძლია, ხოლო გენიოსი — აუცილებელს. თქვენ ნაღდი ტალანტები ბრძანდებით, ბატონებო, და მოდით, ამიერიდან აუცილებლისათვის ვიფიქროთ ერთობლივად.

დადუმდა ყველა. როკის სიტყვამ პოლემიკურ საზოგადოებას წყალი გადაასხა. ვერც საუბარი აეწყო, წასვლასაც ვერავინ ბედავდა. სადღეგრძელოებიც ნაძალადევი გამოსდიოდათ. აქა-იქ გამოკრთებოდა ფრაგმენტულად სადღეისო ჭირ-ვარამი, მაგრამ როკი ოდიშელიას მენტორული ტონის შემდეგ ადრინდელი დიალოგის ბუნებრიობა ჩაქრა და ცხადია, ღვინომაც ნელ-ნელა აიწყვიტა.

მოუსვენარი ნიკა სულ მამის გვერდით იწვა, ზუგდიდშიც, აქაც. დაადებდა თავს მკერდზე მშობელს და სანამ ზღაპარს არ მოისმენდა, არაფრით დაიძინებდა. უკვე მესამე კვირა სრულდებოდა, რაც მძიმე ჭაპანს შეება როკი ოდიშელია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შემოელია არაკები. ცეროდენა კი არ ცხრებოდა, თან ერთხელ განაგონს როგორ იკადრებდა პატარა უფლისწული?! ნათქვამია, გაჭირვება მანახე და გაქცევას გიჩვენებო, ჰოდა, კაცსაც ისღა დარჩენოდა, ახალ-ახალი ზღაპარი შეეთხზა შვილის უძღები ბუნებისთვის, რომლის მთავარი პერსონაჟიც ძირითადად თვითონ გახლდათ და რადგანაც თავგადასავლებისთვის ხელი ჯიბეში არ ჰქონდა ჩასაყოფი, როკი ოდიშელიას დაჭიმული ცხოვრება ჰიპერბოლური ფერებით მკვიდრდებოდა მოზარდის ხალას ცნობიერებაში.

ნიკას ჩვევად ჰქონდა გადაქცეული, როცა ყურს უგდებდა ზღაპარს, ცერა თითს პირში იდებდა ხოლმე და ,,კოლი-კოლის'' იძახდა. თუ ბაბაიას მონათხრობი მაგრად მოეწონებოდა, ხმიანების ტემპს მოუმატებედა — ,,კოლი-კოლი-კოლი-კოლი''. ხოლო სახელდახელო არაკი უღიმღამო თუ გამოუვიდოდა მოიგავეს, მაშინ ძლივს გასაგონად ერთხელ იტყოდა ,,კოლის''. ეს კი ნიშნავდა, რომ საქმე ვერ იყო კარგად. ამისთანა შემთხვევაში ბავშვი მიზეზიანობდა, ჭინჭყლობდა, ფეხებით საბანს აყრიდა, მატყუებო, ბორგავდა.

— მოსკოველ ბიძას გეფიცები სრულ სიმართლეს მოგახსენებო, — თავს იმართლებდა მეზღაპრე, მაგრამ არაკი სანამ მიმზიდველი ელფერით არ აციაგდებოდა პატარასთვის, იჯდა ლოგინზე თვალებდაჭყეტილი, გნებავთ დილამდე გელოღნა უინტერესო ამბავი და გააწამებდა ჰიმენეს დანატრებულ ცოლქმარს. ასე აეწყო როკი ოდიშელიას საქმე: მოვლენებს წახნაგები უნდა წაუბასროს, ფათერაკები მოამრავლოს გზებზე, ურჩხულები ამოსტყორცნოს ჯურღმულებიდან, ხმალამოშიშვლებული გამოენთოს ქარ და ქარ მათ პირსისხლიან თავებს და რადგანაც საპატიმროთა რეალობებს ბევრი არ აკლდა დრაკონულ თვისებამდე, ოდნავი კოსმეტიკის წყალობით ჩინებული ზღაპრები გამოსდიოდა. ყოველ შემთხვევისათვის ნიკას მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებდა და ონავარიც ათიოდე წუთში ნაკადულივით მითვლემდა. და,

აჰა, ერთხელ თბილისის ცამაც კოკისპირული წვიმა დაუშვა. სასტუმროს სახურავს უთხლაშუნებს. ფანჯრის მინებს აზანზარებს ელვა-ჭექა-ქუხილი და ნიკამაც ნახა ზედგამოჭრილი დრო.

— ჩქარა დავწვეთ, ბაბაია, ზღაპარი მომიყვი! — შეუჩნდა მშობელს.

მიტყუპებულ საწოლებში დედ-მამის შუაში მოკალათებულა შავთვალწარბა ანგელოზი და მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. სულ იმის მოლოდინშია როდის აუბნდება მამა ჯადოსნური ზღაპრებით.

კაცი ღიმილით გადახედავს ქალს. ქვეტექსტურად კითხულობს მის განწყობილებას, რანაირი ზღაპარი სჯობია, მძაფრსიუჟეტიანი თუ დუნე. გარინდული ნიკა მომზადებულია სასმენად. სტარტზე შეუყენებია ცერი. თვალებში მისჩერებია მშობელს. დააღებს ბაბაია პირს სალაპარაკოდ თუ არა, მალხაზიც იტაკებს თითს საინფორმაციო ნაპრალში და გაინაბება. ჯერ ხმას არ იღებს, გატრუნულია, არ იცის რანაირი ფაბულისას შემოსთავაზებენ, საით გაქროლდება, როგორ.

— ბაბაია, მოგიყვები ჭურიაში რაც გადამხდა, მხეცებითა და ნადირებით სავსე უღრანში.

— კოლი, კოლი, — ორჯერ დაიძახა ნიკამ. გამოდის რომ მოსწონს, ბავშვის ცნობისმოყვარეობა გაღიზიანებულია.

— ერთ ღამეს შევკაზმე ჩემი შავი რაში, მაღალი, წვრილ ფეხებზე მდგარი, მიწაზე ფლოქვებს რომ დაარტყამს, ნაპერწკლები ცვივა. ლონდონისა და პარიზის ცხენთა შეჯიბრების ორგზის ჩემპიონია. ჩორთით, თოხარიკულად თუ გალოპით მავალს კისერი მშვილდს მიუგავს, ხოლო სირბილში ისარიც ვერ დაეწევა. სადავეს ოდნავ მოქაჩავ და ეგრევე ყალყზე დგება.

ნიკამ ვერ მოითმინა და დასცხო: — კოლი, კოლი, კოლი, კოლი!

— დავადგი ვერცხლის უნაგირი, — აგრძელებს როკი ოდიშელია, — მოვუჭირე ვერცხლის მოსართავები. ლაგამის ხრამუნის ხმაზე ბაყაყები წყალში იმალებიან. მხრებზე შავი ნაბადი მოვიგდე, შავი ყაბალახი მოვიხვიე თავზე. მაუზერი და „ტეტე“ ქამარში გავირჭვე.

ნიკას სულმა წასძლია, თითი მოაშიშვლა.

— ტყვიები რამდენი გაქვს? — იკითხა და ისევ იტაცა პირში ცერი.

— ტყვიები? ხუთი ააათასი.

— კოლი-კოლი-კოლი-კოლი — დასცხო ნიკამ.

— ხოდა, ავტომატიც მხრებზე მოვიგდე.

ბავშვმა ცერი სწრაფად გამოიღო პირიდან;

— ტყვიები რამდენი გაქვს? — ჩაეძია მშობელს და ისევ აღიდგინა ძველებური პოზა.

— ტყვიები, ათი ააათასი.

— კოლი-კოლი-კოლი-კოლი, — დასჭექა კვლავ ნიკამ.

— ხო, ბაბაია და ღამეა. თითს თვალთან ვერ მიიტან. ლაგამით ვერ ვაკავებ რაშს. ტორებით მიწას ანაპერწკლებს. ფაფარი ეწეწება. თვალებს გიჟივით აბრიალებს, გაბრაზებულ ჯოჯოს რომ სჩვევია, ისე. გარეთ გრიგალი მძვინვარებს. ეჯახუნება ხეები ხეებს, ილეწება ტოტები. ფხრიწავს ზეცას ელვა-ჭექა-ქუხილი. ცასაწვდენილ მუხების კენწეროებზე მეხისგან აქა-იქ ცეცხლი ჩნდება. ქვეყანა კოკისპირული წვიმისთვის ემზადება. რაში ყალყზე დგება. მარჯვენათი დავსცხებ მათრახს გავაზე, აღვირს მივუშვებ და მოწყდება ადგილიდან. ფლოქვებისგან წამოყრილი ბელტები ბათქაბუთქით ცვივა ზურგს უკან. მარცხენა ხელით სადავესთან ერთად უნაგირის კეხს ჩავეჭიდები. ისარივით მიქრის მერანი. სირბილით მივსდევ გვერდიგვერდ. მეშინია არ გამისხლტეს. ამასობაში ავიწევი და ზედ მოვევლები. ფეხებს უზანგში შევყავი. კისერთან ზონარით შეკრული ნაბადი ფრთებივით გაიშლება, ფრიალებს. ჰაერის მოწოლისგან თვალებს ვერ ვახელ. დავსცხებ კიდევ, მოვიხედავ და ფლოქვებისგან წამოჭრილი ბელტები ყორნების გუნდივით არ მომსდევს უკან?!

აქ ნიკამ ისევ წააყარა კოლი-კოლი-კოლი-კოლი, მაგრამ უცებ შეწყვიტა, პირიდან თითი გამოიღო და იკითხა:

— სად მირბიხარ, ელ-ჭექია, ქუხილი. ისეთი რა გაგჭირვებია, სახლში ვერ დაეტიე?!

— ოოო, — უცებ მოიფიქრა როკიმ, — სად მივდივარ და საჭმელის საშოვრად, სანადიროდ.

— დღისით გენადირა.

— დღისით ვიმალებოდი, მილიცია დამიჭერდა.

— კარგი მაშინ, — დაყაბულდა ნიკა და ისევ ჩაიდო ცერი პირში.

— ხოდა, მივქრივარ მდინარე ჭურიის ნაპირას. მერანის ქროლვისგან ხასხასა ლერწამი მიწაზე ეფინება. ორივე ხელით მოვწევ ლაგამს. ცხენი ყალყზე შედგება. შორს მრუმე ტყე მოჩანს, ისეთი ხშირი, ისეთი უღრანი, ჟენია ბებიას სავარცხლის კბილები რომაა, ნემსს ვერ შეიტან გაუკაწრავად. ჩამოვიხსნი ავტომატს, ერთ ჯერს კენწეროების სიმაღლეზე მივუშვებ.

— ეგ რატომ? — იკითხა ნიკამ.

— რატომ, ბაბაია და ვეფხვები, ლომები, ირმები, ტახები დავაფრთხე. ტყიურები გარბიან წინ, ზედახორაა, გასწრებაზე არიან. აჰაჰაჰაჰა, მივყივი ნადირებს. ზოგს გავუსწრებ კიდეც, მაგრამ იმათ არ მოვკლავ, სუსტები არიან. ხოდა, სამ კილომეტრში უშველებელი მინდორია. იქამდე უნდა გავრეკო. უმოკლესი გზით დავუვლი და მერე დავხოცავ. ერთიანად დამფრთხალი ცხოველები თავზარდაცემულები გარბიან. მიწას გაკრულია სრბოლაში დიდი და პატარა. მე კი უმოკლესი გზით ჩავჭერი, ჩავუხვევ, მაგრამ ბედი არ გინდა?! უცებ საშიშროებას შევეფეთები.

ნიკა განაბულია, არაფერს იძახის.

— ხოდა, წინ ენგურ-მდინარე გადამეღობება, ერთი კილომეტრის სიფართის.

— ძალიან დიდია? — იკითხა, „კოლი-კოლი“ გადავიწყებულმა ნიკამ.

— აი, ჩვენი სახლიდან მანცხვარკარის ეკლესიამდე რომ მანძილია, იმხელა.

— აუჰ! — სიხარულისგან ტაში შემოჰკრა ნიკამ და ჩვეულ პოზიციას დაუბრუნდა.

— სიღრმით ათი ფიჭვი რომ დაადგა ერთმანეთზე იმოდენა. ჩემს ნაბადზე უფრო შავი, მღვრიე. ხეებს ნაფოტივით მოაქანებს. უშველებელი ბორბალივით ტრიალებს მორევი. სახლისხელა ძაბრი წარმოგიდგენია? ხოდა, ეს არის ერთიანად რომ ნთქავს ყველაფერს, ნავებსაც, ხეებსაც. მოცდის დრო ამოწურულა, მაგრამ მერანი შედრკება, ყალყზე შედგება. ჭიხვინებს და ჭიხვინებს ფაფარაშლილი. მეც შევშინდები თითქოს, ვფიქრობ, ვაითუ დავიხრჩო, ნიკას რა ეშველება, ზღაპარს ვინ მოუყვება, ჯობია უკან დავბრუნდე-მეთქი და მოვატრიალებ ოფლში გახვითქულ რაშს.

ცეროდენამ თითი ელვის სისწრაფით გამოიღო და იყვირა:

— გადახტი, ბაბაია!

— არ შემიძლია, დავიხრჩობი, ზღაპარს ვინ მოგიყვება? — ჯიუტობს მშობელი.

— გადახტი რომ გეუბნები.

— იარაღი დამისველდება.

— არა უშავს, გაწმენდ, — არ თმობს თავისას ნიკა.

— ცხენს გადამიყლაპავს იმხელა მართუ.8

— მეორე ხომ გყვს?! — ჩაერია კამათში ცოლი.

კულისებიდან მოჭიხვინე სათადარიგო ცხენი ისეთ დროს შეახსენა მეუღლემ, შეიძლება ზღაპრის ფაბულა სულ სხვა მიმართულებით გაიშალოს, ახალი პერსონაჟიც შემოიჭრას სცენაზე, სრულიად უადგილო და სახათაბალო, მაგრამ მარინას ჩარევა ტაქტიანიცაა, თითქოს გულუბრყვილოც და ამავე დროს თანამეცხედრეს გამომცდელიც. მეორე სინიბი ხომ უმხედროდაა ნახსენები. თუ შემოიშველია იგი მონადირემ, მაშინ ნაპირსგაღმა დარჩა თურმანიძეების ასულის გულის მაკანკალებელი რეალობა. ასეთია სათადარიგო შავრას ქვეტექსტი. კაცისთვისაც გაცნობიერებულია ეს მოზომილი ნიუანსები.

— კარგი აწი, რას ჯიუტობ, ადამიანს სინამდვილე ეგონება, გადახტი, რა იქნება? — შეუჩნდა ვარდისფერ საღამურიანი ქალი.

— შენ რა გენაღვლება, ჭირიმე. აქ თბილად წევხარ, ფუმფულა ლოგინში, მე კი ქვასავით ცივ წყალში გავიყინები, შეიძლება ფილტვების ანთებაც ავიკიდო. მოუყვები მერე ზღაპრებს ნიკას?!

— გადახტი, ბაბაია, თორემ ნადირები შორს წავლენ, ვეღარ დაეწევი, — ყველაზე უზუსტესი არგუმენტი მოიშველია ცუგრუმელამ.

— ესღა მაკლია ცეცხლის ფლოქვებიანი მერნის პატრონს! სად გამექცევიან, ვუცხუნებ მათრახს რააააშს და გადავეშვები გადარეულ მდინარეში.

— კოლი-კოლი-კოლი-კოლი, — დასცხო აქედან ნიკამაც.

— ცხენიანად წკვერემიაში ჩავექანები. მთავარია ფსკერამდე მივაღწიო, თორემ იქ დაჰკრავს მერანი ტორს და ისევ ზემოთ ამომტყორცნის.

უშველებელ მორებს ხელებით იცილებს როკი ოდიშელია. სუნთქვაშეგუბებული ტყვიასავით ეშვება ძირს. ღლავების ქარავანს ისეთი სისწრაფით ჩაუქროლებს, ულვაშების აცმაცუნებასაც ვერ მოასწრებენ, და როდესაც ტაიჭი იგრძნობს ფეხქვეშ მიწას, აძგერებს ფლოქვებს მძლავრად და საკობივით ამოისვრის ლოქოების მუცლით განათებული მდინარის ზედაპირისკენ, თანაც მთელი ეს დრო ნიკას ,,კოლი-კოლი'' წამითაც არ მოშორებია მის ყურთასმენას.

— გავაღწევ თუ არა ნაპირს, რაში ისე შეიბერტყავს სხეულს, ბალახებს კოკისპირულ წვიმად მოეჩვენათ ტანიდან მოშორებული წყალი. მოკლეზე მივქრივართ და მივქრივართ. სრბოლაში სველი ტანსაცმელი შემაშრება, — ,,კოლი-კოლით'' დაკავებული ნიკა რატომღაც არ კითხულობს მინდორში ნადირები საიდან გაჩნდნენ, ან მდინარე როდის გადმოლახეს, — ხოდა, დავუმიზნებ შველს.

ნიკამ უსწრაფესად გამოიღო თითი.

— შველს არ ესროლო! — თქვა და ისევ იტაკა ცერი პირში.

— კარგი, ახლა დავუმიზნე ირემს.

ბიჭუნამ კვლავ გამოინთავისუფლა პირი სალაპარაკოდ.

— ირემს არ ესროლო!

— აბა, რა ვქნა, ბაბაია? არაფერს მაკვლევინებ. ისინი მელოდებიან მშივრები. ნანადირევი არ წავიღო?

— მგელს ესროლე, ტურას, მელას. ვეფხვს და ლომს არ ესროლო!

— კი, მაგრამ მგელი და ტურა რომ არ იჭმევა?!

— არა, იმათ არ მოგაკვლევინებ, ლამაზი ცხოველებია.

— დაწექით, თორემ დაგხოცავთ-მეთქი, მივაყვირებ მხეცებს, ავტომატის ერთი ჯერი ჰაერში დავცლი. ყველა მიწაზე დაცვივდება, მარტო შველი და ირემი მიყურებენ თვალებში. ცრემლი მოსდით, ტირიან.

— არ ესროლო! — წამოვარდა ნიკა, ყვირის, ღრიალებს.

ბაბაიას შველისთვის დამიზნებული ავტომატი ჰაერში გაშეშებია.

— არ ესროლო! — წიწმატობს ცოლი, — ნუთუ სიბრალულის გრძნობა წაგერთვა? რას ატირებ ბაღანას, ამაზე მეტი ჭკუა არა გაქვს?!

— შენ ბიძია, გამაძღარი ხარ, ისინი კი მშივრები მიცდიან, რა მივუტანო?

— მაინც ვინ, ისინი?!

— ღორს ესროლე, ბაბაია! — იპოვა გამოსავალი ნიკამ.

— ადექით ახლა და დამეკარგეთ თვალთაგან-მეთქი, ვუყვირე ცხოველებს, სადმე არ გადამეყაროთ, თორემ სისხლს დავღვრი, ცოცხალი თავით ვერ გამასწრებთ. ლომებს და ვეფხვებს რცხვენიათ, თვალს ვერ მისწორებენ. თავჩაქინდრულნი მიემართებიან ტყისკენ. შველი და ირემი მადლობის ნიშნად კუნტრუშ-კუნტრუშით გავარდებიან.

— კოლი-კოლი-კოლი-კოლი, — მოზარდის გულისძგერა ცას წვდება სიხარულისგან.

— თქვენ, ეი, ღორებო, ღრუტუნებო, დარჩით ადგილზე, არ გაინძრეთ, თორემ ამოგხოცავთ ერთიანად. მარტო გოჭები და მოხუცები გამოდით! ვესვრი და ერთ მტკაველეშვიან ტახს გავაგორებ. ისეთი ჯაგარი აქვს კილომეტრნახევარი თოკი და ბაწარი დაიგრიხება წყალში ჩავარდნილი ჭიანჭველას გადასარჩენად. დავწვდები ჯაგარში ცხენიდან ჩამოუსვლელად, ავათრევ ძლივსძლივობით, უნაგირის კეხზე გადმოვიდებ, ეს წუთია და წამოვა კოკისპირული წვიმა. თქლაშუნებს და თქლაშუნებს თავსხმა. რა უნდა ვქნა?! ამოვიღებ ზონდიკს,* დავაძვრენ ფარანს, გავინათებ გზას და ჩორთით, თრახათრუხით მოვდივარ უკან.

ნიკამ ,,კოლი-კოლის'' ტემპი დააგდო, გადმოიღო თითი და ნახევრად მძინარემ წარმოთქვა:

— დააგდე ზონდიკი, ფარანი ჩააქრე და შეინახე!

ატყდა ჩხუბი.

— ავტომატიან კაცს ზონდიკი რად უნდა? — იბღვირება ნიკა.

— შენ ეს მთლად პატარა ნუ გგონია, ოთხის გახდება სადაც არის, — ჩაერია ისევ ცოლი, — ვის უნახავს ავტომატიანი კაცი ცხენზე ზონდიკით ამხედრებული?! ან ეს ფარანი საიდან მოიტანე, თავიდან რომ არ გქონდა?

— ენგურში ვიპოვე, გადარეული მდინარე ხეებთან ერთად იმასაც მოაცურებდა, მაგრამ დამაცალეს თქმა?!

— კარგი ახლა, ეძინება, ნუ გააგიჟე, გადააგდე წყეული ზონდიკი!

— რატომ არა, თქვენ აქ თბილად წევხართ, მე კი წვიმაში მეორედ დავსველდები, — როკი ოდიშელიას დაავიწყდა უკან მობრუნებისას მეორედ უკვე დასველებულია. უნდა ეთქვა მესამედო, — გამიჭირდება უსინათლოდ გზის გაგნება, მაგრამ აგერ არა მყავს ცეცხლისფლოქვებიანი რაში? დავსცხებ და დავსცხებ მათრახს, მოსწყდება ისარივით ადგილს.

გაისმა ნიკას ,,კოლი-კოლი-კო...'', თითი პირში აქვს გაჩრილი. ნებიერ ძილს მიუტაცნია ჯადოსნური ნადირობით დაქანცული ონავარი.

ლიმა მეთოდრმეტე

მორდუ
923076

ოთხმოციანი წლების კლასიკური ქართული წყევლა პოლიტიკური ხასიათისაა, რომელშიც ზედმიწევნით აისახა საბჭოეთის ათაშანგიანი სხეულის რღვევის ტიპიური სურათი. სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიები ხომ გაჭრილი ყველივით ჰგვანან ერთმანეთს. ისინი ყმაწვილობისას პოეზიაში სინჯავენ ხოლმე კალამს და როდესაც ამ გზაზე სრული ხელმოცარულობა გადაეღობებათ დიდების მწვერვალებისკენ, ეგრეევ პოლიტიკას შეეფარებიან, რათა თავიანთი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მინორული აკორდები მემუარების ღავღავით ჩაასრულონ.

ლექსების წერით შეუდგნენ გაორებულ აღმართებს მარქსები და ენგელსები, ულიანოვები და ჯუღაშვილები, სხვანი და სხვანი უცხოური თუ ეროვნული სინამდვილიდან. რომელ ქართლოსიანს არ აძგერებია გული ბალღი სოსელოს ,,აფვავდი ტურფა ქვეყანათი", მაგრამ ამისთანა პიროვნებათა შემოქმედებითი პალიტრა, როგორც აღინიშნა, ,,გალობანი სინანულისანით" მთავრდება, ან უარეს შემთხვევაში სწორუპოვარი მასალაა ლეონიდის ბელეტრისტულ მოტივებზე შექმნილი გურული დედაკაცის წყევლა-ჩაქვესკნელებისა:

— ყამირზე დამარხულს, მცირე მიწა დაგაყარე და აღორძინება არ გღირსებოდესო.

ჰოდა, რომ დაიწყო კაბინეტის კარების აგმანვები ოდიშში, ამ ფაქტმა კოლხურ კრულვალოგიაში ჰპოვა ყველაზე სრულფასოვანი არენა:

— კარებაჭედილი მენახე! — დაისასტიკებდა ზუგდიდელი მანდილოსანი და წირვას გამოუყვანდა ხელად არასასურველი გვამის ყისმათიანობას.

ბევრი უამისოდაც გარბოდა ვირთხის ალღოიანობით ამერიკული რიფების წყალობით საბჭოეთის ფერდებშელეწილი ხომალდიდან. როკი ოდიშელიას კბილის ჯაგრისების თუ დიოგენის ფარნის დარად აბრიალდა ზოგიერთის პარტბილეთი დღისით, მზისით, მილეთ ხალხში, იმ განსხვავებით, რომ აღარც ,,აივენჰოებს" კითხულობდნენ ისინი ჭიოტა შუქზე და აღარც ადამიანებს ეძიებდნენ ოკრობოკრო წუთისოფელში.

დიხამინჯია შხამწართმეულ ზღვის მორიელს დაემსგავსა. ზევითკენ არავინ უხმობდა, როცა მთისხელა მუგუზლებს შეუნთებდა ქვემოდან კვირაში ჩვიდმეტჯერ მომიტინგე ახალგაზრდობა. ადრე, უსანქციო დემონსტრაციის დასარბევად მილიციის სრული შემადგენლობა რომ ირაზმებოდა ჩაჩქნებითა და ხელჯოხებით, ახლა თავად პერანგგამოცვლილი უხსენებელივით ქაქა-

ნებდნენ იქ. სიტყვა „არაფორმალმა“ ოქროს წონა შეიძინა. წინათ ქურდის პროფესია რომ გამოარჩევდა ადამიანს საზოგადოებაში და ქორწილსა თუ ქელეხში ქალები ხელად აჩურჩულდებოდნენ ამისთანა პიროვნების გამოჩენისას, ახლა „ჩემი შვილი არაფორმალიაო“, სიამაყით ამბობდა ლერწმის თვისებით ათასჯერ მხარნაცვალი მამა. გაჩნდა თვალსაწიერზე ახალი ჰორიზონტი ეროვნული საქმეების სახით და ეს ფერნაბრუნები ფარა კოჭლი თხების კვანჭალს უკან მოექცა. ჭეშმარიტი სარქლები კომბლების ტრიალითა და გადაძახილ-გადმოძახილებით მოერეკებოდნენ თავიანთ სამწყსოს აღთქმული ქვეყნისკენ, მაგრამ სანამ ხვეხვია ბოტების გაორმაგებულ სწრაფვას ჩამოიტოვებდა ცხვრების ქარავანი, ქანანამდე ჯერ კიდევ გვარიანი გზა იყო.

დიხამინჯიას ბინიდან დიდი ხანია გუშაგი მოეხსნათ, რადგანაც რკინის კარების ლურსმნებითა და ფიცრებით აჭედვა რომ ვერ მოხერხდა, გულდასმით ამორჩილეს ჭუჭრუტანის დაუტოვებლად, და ერთხელ წყალჩამოსულ მეზობელს მეხანძრეების გამოძახება მოუხდა მოშვებული ონკანის დასაკეტად.

კაბინეტში საუზმობდა და ვახშმობდა დიხამინჯია. სასადილო ოთახში გადაიტანა ღრუბელგადაკრული ტახტი. შინაბერა მდივანმა შალითები, თეთრეული და მისთანანი მოუსადაგა. ჯამ-ჭურჭლეულობაც მოუთადარიგიანა. ძაღლური ერთგულებისთვის უხდიდნენ მას გასამრჯელოს და მოზღვავებულ ვნებათაღელვასაც ამეებში ფერფლავდა.

სატელეფონო კავშირების გაბედითებაზე მოგვიხსენებია და პლაგიატობა რომ არ დაგვბრალდეს, დიხამინჯია მარკესის შემოდგომურ პატრიარქს დაემსგავსა თავისი გაფუებული ნატურით, როგორც ოდიშური ხვლიკი კოლუმბიურ ნიანგს. ხავსს ჩაჭიდებული გულწყვილი ქვეშევრდომები კვლავაც ექვეშვეშებოდნენ მის ტოტებჩამომსხვრეულ და რქებდალეწილ მორჭმულობას.

ქალაქში ჭორი დახარხარებდა:

— უკვე ნიჩაბია გამოდებული, მაგრამ რადგანაც იქიდან ტელეფონით ვერ ეხმიანებიან, ხოლო წარმომადგენლობა თავს არიდებს პერიფერიებში ზედმეტ მოძრაობებს, იბოგინოს ცხენისგასაჭენებელ კაბინეტში ყელში ძვალგაჩხერილ ძაღლივითო.

ეს კაბინეტები კი მართლაც დასახელებული ცხოველის ჭირთათმენით ხრიალებდნენ და ხრიალებდნენ. არც წერო ჩანდა მგლის ნაშიერის ხახაში ნისკარტის ჩამყოფი და კაბინეტების ქრონიკული ხველებით ძილი გაკრთომოდა ქალაქს.

თბილისიდან მობრუნებულ როკი ოდიშელიას მილიციის უფროსმა ადელუამ ხელქვეითები აახლა შინ ნიანგის ცრემლებით:

— უშიშრობაში იარაღის გამოგზავნით როკიმ თვალი ამიხილა, მივხვდი ტერაქტი მისი მოწყობილი რომ არ იყო, მაგრამ თავიდან ისეთნაირად წარმომიდგინა საქმე დიხამინჯია არაკაცმა, მოვტყუვდი, ავყევი დამპალის ფეხის ხმას და კინაღამ გამოუსყიდველი ცოდვა დამადებინა კისერზეო. მაპატი-

ოს კაცურად, ბოლოს და ბოლოს თანასოფლელები ვართ, ერგეტის მიწის შვილები. რაც შეეხება ,,ოცდაოთხს'', ნებავს გავურემონტებთ და ისე მივუყვანთ, ნებავს ახალს ვუყიდით, ურჩევნია ფულს მივცემთ იმის საფასურს, მოკლედ, როგორც თვითონ იტყვის ისე იქნებაო.

მგზავრობით შელახული ვალერიანის ხათრით, მერედა შუამავლებთან ნორმალური ურთიერთობის წყალობითაც ვერ აკადრა სტუმრებს გადაბრუნებული სიტყვა, მაგრამ განშორებისას ასეთნაირად დააბარა მსტოვრებს თავიანთ მესვეურთან:

— გადაეცით ტაუს უმცროს ძმას, ერგეტიდან გაბისონიებმა რომ გაგასახლეს, ეგ ნაკმაზი იქნება-თქო. როკი ოდიშელია გედი არ არის ნიშანში ამოიღონ. ჩემთან შეხვედრას ურჩევნია ეგრევე რეანიმაციულ განყოფილებაში წვებოდეს. ხოლო ჩემი ,,ოცდაოთხი'' ოცდაოთხ საათში ჭიშკართან ეყენოს ისეთივე ცინცხალი, როგორიც ჯოტო ოდიშელიასგან წამოიყვანესო, — და გაშვლიპინდნენ უჯარისკაცო გენერალთან ყამა რიგითები.

დიხამინჯიას პატარა ნიკას ჭირვეულობა დასჩემდა, იმ განსხვავებით, რომ ბიჭუნა მხოლოდ ცინცხალი ზღაპრებით თუ იძინებდა ,,კოლი-კოლის'' ძახილით, ეს უკანასკნელი მკერდზე ხუთკეცად გადმოფენილ ღაბაბს ხუთივე თითით ჩაფრენოდა ახალი ანეგდოტის მოსმენის მოლოდინში და სანამ ხითხითით გულს არ იჯერებდა, თვლემა არც მას მოერეოდა. მეხსიერება ჩინებული ჰქონდა ოხუნჯობების დამახსოვრებაში და როდესაც თანამშრომლების სიტყვის საგანძურში ამოიწურა ანეგდოტების მარაგი, დააბრიალა ჩაწითლებული თვალები ქალაქკომის მდივანმა:

— ანეგდოტი, ანეგდოტი-მეთქი, — ღრიალებდა დაჭრილი ნადირივით და ისეთნაირად უბაგუნებდა მუშტს მოყანყალებულ მაგიდაზე, ბელადის მოჭუტულთვალებიანი პორტრეტი შიშისგან ძაგძაგებდა.

სიმწრის ოფლით შუბლდაცვარულმა აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგემ, ზოსი სონგულიამ, ამოიღო უჯრიდან გვარიანად გაცრეცილი თაბახების შეკვრა, რომელიც ქვესათაურებად იყო დაყოფილი, მაგრამ საერთო ნუმერაციით იუწყებოდა სხარტულათა დასახელებებს.

ვის არ შეხვდებოდით აქ, მოლა ნასრედინს ფაფასთვის გავარდნილი ჯამით, ბარონ მიუნჰაუზენს შამფურზე წამოცმული იხვებით, ხვინგიაძეს ფრთამომტვრეული თვითმფრინავიდან გაყოფილი მარჯვენათი, შალიკიას და ჭიჭიკიას, მიხოს თავის ჩაპუტკუნებულ მაროსთან ერთად გოდრითურთ, სარას და აბრაამს მოშეს მიმართებაში, სამშობლოს დასაცავად პანღურით მდინარეში გადაგდებულ ძუკუს, სეროჟას და რაფიკას, გაბროველებს, მამფორიზმებს, ლობიოს ჭამისგან თავმოძულებულ მამანტი კვრიტიას, ბოძს რომ შემოეხვეოდა ხოლმე ნასვამობის ჟამს, აქაოდა, ვამართლებ ჩემი შეჭამადის ბოტანიკურ ჩვეულებასო, ახლახან გარდაცვლილი დაჩი კეზუას ოინბაზობებს, კოკორნას ქილიკობებს თუ ფრთიანი სიტყვის უგვირგვინო მეფის — პეტიკო თოდუას ლაღოსნობებს. ორმოცგვერდიანი ანეგდოტების ჩამონათვალი

სათითაოდ დანომრილი იყო ერთიდან ხუთის ჩათვლით, რაც იმისი მაუწყებელი გახლდათ, თუ თითოეულმა ანეგდოტმა დიხამინჯიას რამდენი თითი დაასაქმა ღაბაბის ალერსისას.

ზოსი სონგულიას მთელი ღამე არ უძინია, არც თავისი განყოფილების ხალხი მოასვენა, სულ ტელეფონზე იყვნენ ჩამოკიდებულნი. ვის არ შეეხმიანნენ, რომელს, მაგრამ ახალი ანეგდოტი ვერსაიდან მოიხელთეს. იფშვნიტეს ხელები ინსტრუქტორებმა, მაგრამ სადაც არის დიხამინჯიას სოლოტრაპეზიც დამთავრდებოდა და ვიდრე ღაბაბზე დაიწყობდა თითებს, ცხელ-ცხელ ანეგდოტებს თუ არ მიართმევდი, ისედაც მონჯღრეულ მაგიდას მთლად დაანაფოტებდა მოთიმთიმე მუშტის ბრაგუნით.

აქეთ ეცნენ, იქით, იჭყლიტეს თავი, გადარეკეს რაიკომელების შესაბამის განყოფილებაში. ახლა ისინი დატრიალდნენ თავის მხრივ, ხან ერთი გვარი შეახსენეს, ხან — მეორე, თუმცა საუბედუროდ ეგენი დიდი ხნის წინ აეთვისებინათ აგიტატორებს და ამისთანა შეჭირვებულობის ჟამს, უცებ კირილე გოგოხიაო, გაისმა ყურმილში და ზოსი სონგულიასაც სიხარულის ცქმუტვები შეუჩნდა. გავარდნენ გოგოხიებთან ბლოკნოტითა და კალმისტრით. ნახევარ საათში სავარძელში ჩაშვავებულ დიხამინჯიას შემოსხდომოდა აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება სრული შემადგენლობით.

ზოსი სონგულიასთვის იუმორის გადმოცემის ნიჭი არ ებოძებინა ზეციერს და ამ წმიდათა წმიდა მოვალეობას მისი მოადგილე, თავმოტვლეპილი და ცხვირმოღუნული მატუას ბიჭი ასრულებდა.

მოიფხანა ხუთივე თითით ღაბაბი დიხამინჯიამ და მატუამაც დააღებს პირს საანეკდოტოდ. დანარჩენი ექვსეული გასუსულია. მდივანს არ უყვარს როცა თავზე ადგანან. საერთოდ ვერ იტანს ფეხზე დგომელა კაცს თუ ქალს, როგორც კორსიკელი ბონაპარტი — წოწლოლა გენერლებს. ამიტომაც არლეკინო-შვიდკაცა რბილსაზურგეებიან სავარძლებში მოკალათებულა.

— კირილე გოგოხია გეცნობათ, ალბათ, — წამოიწყო მატუამ, ღრანჭი მოიქცია დიხამინჯიას ღაბაბის დასაშოშმინებლად. სახელდახელოდ ჩაწერილი ანეკდოტებისგან შედარებით ლიფსიტა წამოსწია წინა პლანზე, — პანაშვიდია ჭურღულიების ოჯახში, ხალხმრავლობაა. მიმანგარაფალი8 ლატარია ერთ გაწამაწიაშია. რიგიანობას იცავს, თან სიტყვიერადაც აკვალიანებს დამტირებლებს, ქალები ოთხ-ოთხად დადექითოო. კირილემ სტაცა ხელი მეუღლეს, არიქა, გამოდი დედაკაცო, ოთხზე სხვა ქალები დადგნენო.

დიხამინჯიამ ოთხი თითი აძგერა ღაბაბს, მხოლოდ ნიკას საყვარელი ცერი გაშეშებია ჰაერში, ათახთახდა, ბოშების საბერველივით აუქშინდა ფილტვები, თვალებიდან კურცხლები გადმოუცვივდა.

— ოთხზე სხვა ქალებიო, არა? — წყვეტილ-წყვეტილად ხაფხაფებს დიხამინჯია. ზოსი სონგულიამ ანეგდოტის გასწვრივ ოთხიანი ჩაწერა.

— კირილე ერთ თავის ნაცნობს ეუბნება, — აგრძელებს უარესად დაღ-

მენჭილი მატუა, — შენი ცოლი ძალიან ლამაზია, ჩემს ცოლში გაგიცვლი და ჩემი ნათესავის ცოლსაც ზედ დაგიმატებ ხურდადო, — უმზერენ ჩაფუჯბულს. სახეზე სიწითლე მოსწოლია. ნაკეც-ნაკეც ჩამოშლილი ღაბაბი ხაზალიების გარმონივით იწელება, ფრუტუნიც ემატება.

— გაგიცვლი და თან დაგიმატებ ხურდადო?! ხი-ხი-ხი-ხი, — ჩაბჟირებულა დიხამინჯია.

— კირილე და მისი კარის მეზობელი ემზარ ანთია ნარდის თამაშის დროს წაკინკლავდნენ. კირილემ უთხრა მეზობელს:

არ გნახო ჩემს სახლში შე ციგანო, კამათლის დასმას როგორ მიბედავ მამის ტოლა კაცსო და გააგდო კარიდან. გავიდა ორი დღე. კირილე ჯვარში მიდის ამხანაგის გასვენებაზე. ჯაბახანა „მოსკვიჩი“ მწყობრიდან გამოსვლია. ამ დროს ანთიას ბიჭმა ჩამოისრიალა ცინცხალი „ჟიგულით“. კირილემ ხელი დაუქნია და გააჩერა. მეზობელი ეუბნება:

წეღან სახლიდან გამაგდე, თვალით არ დამენახვოო და ახლა რატომ ჯდები ჩემს მანქანაშიო. კირილემ უპასუხა, შე ბოთევ, მე მაშინისტს8 რომ ვემდუროდე, მატარებელში არ უნდა ჩავჯდე? წადი შენ ჯვარში და ერთმანეთს ნუ დაველაპარაკებითო.

დიხამინჯია ხუთივე თითით ებრდღვნა ღაბაბს, მოსრისა და მოიჟღვლიმა. ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდის სახეზე.

— ნუ დაველაპარაკებითო, არა?!

— კირილე გოგოხია და დურუ მაქაცარია ოცდაცხრა წლის განმავლობაში მუშაობდნენ მუშათა მომარაგების განყოფილებაში, დურუ — უფროსად და კირილე — მოადგილედ. რაიკომის მდივანმა გამოგზავნა კუკური გეთია მეორე მოადგილედ. გავიდა რამოდენიმე ხანი. კუკური ხედავს, რომ დურუ და კირილე არიან განცხრომით, თვითონ კი ზის გაქუცულ ხელფასზე. ერთ მშვენიერ დღეს მივიდა კირილესთან და ეუბნება: მე ქეციანი ხელფასის მეტი არაფერი მაბადია, შენ და დურუს კი ფულებზე ძაღლები გიწვანანო. კირილემ მოჰკიდა ხელი, ჩაიყვანა კანტორის შემოსასვლელ კიბეებზე და აჩვენა აბრა, სადაც რუსული ასოებით აწერია „ᲬᲖᲡ“,8 თან ასეთნაირად განუმარტა კოლეგას:

წადი რაიკომის მდივანთან, მიაწერინოს „სამს“ და მერე მოგცემთ წილს. ჯერ კი ეს დაწესებულება ორის არის, ჩემი და დურუ მაქაცარიასიო.

დიხამინჯია მთელი სხეულით ათახთახდა, თითქოს მართლაც კირილეს „მოსკვიჩი“ ყოფილიყო. სავარძლის საზურგეთი კედელს მიენარცხა.

— ეს ვინ ყოფილა, კაცო! — ჩაუბღუჯავს ღაბაბი, თითებიდან ცომივით გამომსხლტარა სლიპინა კანი, — სამს მიაწერინოსოო? მანამდე კი ორის იქნებაო, ხომ? — თვალები ცოფიან ძაღლს მიუგავს როლანდს.

— კირილე ბოლო დროს მუშაობდა შემნახველი სალაროს უფროსად, — მთელი სულსწრაფობით გააგრძელა მატუამ, თან კოტიტა თითების ღვანკალს თვალს არ აცილებს, — სამსახურში დენიკინის დროინდელი „მოსკვიჩი“

ჰყავდა, ძლივს რომ დაღოღავდა. ქალაქკომის კიბეებზე შეხვდა გონელი თითმერია, რომელმაც დაწვრილებით იცოდა მანქანის სანიმუშო მდგომარეობა და წაეხუმრა:

კირილე, ბიძია, შენთან გრამტო კვარაცხელიამ გამომგზავნა, თბილისში მიდის სასწრაფო საქმეზე და მანქანა მათხოვოსოო.

კირილემ უცბად უპასუხა:

ერთი საათის წინ ივლიანე თოდუას ვათხოვე, გაგრაშია წასული ლეონიდის შესახვედრად და როგორც კი დაბრუნდება, ეგრევე მივაგებებო.

ღაბაბი და თითები ცურავენ ერთმანეთში.

— სპილო მივიდა კირილესთან და სთხოვა, საწყობში მიმიწერე წერილი, — აგრძელებს მატუა, — ფეხსაცმელი უნდა ვიყიდოო.

კირილემ ჰკითხა, რა ნომერი გინდაო.

ორმოცდარვა, უპასუხა პალადიევიჩმა.

კირილემ ამოხედა ქვემოდან, მოჭუტული თვალებით და უთხრა, ბიძიკო, ორმოცდარვა ნომერი ტრამვაი მინახავს, მაგრამ ფეხი — არაო.

სპილოს ხსენებაზე დიხამინჯიამ ყურები ცქვიტა, თუმცა ხითხითი ისეთი ინერციით გასჯდომია ფილტვებში, ამისი დაოკება არც ისე იოლი საქმეა. ხოლო რაც შეეხება თითებს, ღაბაბს მოშორებია, მაგიდაზე არაკუნებს ვირტუოზი პიანისტივით. ხან მუშტად შეიკვრება, მაგრამ სწრაფადვე გაიხსნება და ციებ-ცხელება შენთებია შვიდეულს. გაღვანღვალებული ღაბაბი თიმთიმებს ალერსის მოლოდინში. გაიფარჩხება თითები, გაიბადრება შვიდეული აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებიდან. შეიკუმშება და სხვადასხვა მიმიკით დაიმანჭება თითოეული. მოცდის დრო არ არის. მატუამ სხაპასხუპით მიაყარა დიხამინჯიას კირილე გოგოხიას მორიგი ენამოსწრებულობა, მაგრამ შუა გზაზე აწყვეტინებს გადაჯვარედინებული მაჯებით მდივანი მოანეგდოტეს.

— ეგ რომელი სპილოა? — იკითხა ყრუდ დიხამინჯიამ.

მიხვდა მატუა თუ რა მდუღარეში ტუცა ფეხი, მაგრამ რას გააწყობს, გაფრენილ სიტყვას უკან რანაირად დააბრუნებს, არადა, პასუხიც აუცილებელია:

— დედით ქირიაა, — ამბობს აწეული ხმით მატუა, მერე მთელი ოქტავით დაადაბლებს, — მამით — ოდიშელია.

— ვის იგდებთ, თქვენ? გამოჩნდა ოდიშელია და გახვედით თავს! მათხოვრები! — აქამდე ხელჭიდისთვის რომ ამზადებდა თითებს, მომუშტა უცებ და ისეთი სიძლიერით დაჰკრა მაგიდას, შვიდეული დაზი ჩიქოვანის პაიკებივით აახტუნა ჰაერში. ბელადის მოწკურულთვალებიანი პორტრეტიც ჩამოსხლტა ლურსმნის საყრდენიდან და ჩამოკონწიალდა ძაფით მხართეძოზე.

— სპილოს ორმოცდარვა ნომერი ფეხსაცმელი მინდა ახლა მე?! მოსისხლე მტრებზე მაცინებთ ხომ?! უქიცინეთ კუდი ოდიშელიებს, უქიცინეთ. გაეთრიეთ სანამ სრულ ჭკუაზე ვარ! უდღეურები! მონები!

— ბატონო, როლანდ, — ტუჩები აუთრთოლდა ზოსი სონგულიას.

— თავიდან, მომწყდი-მეთქი! ბოთეებით რომ აივსო აქაურობა, იმიტომაც გვენგრევა ქვეყანა თავზე! სად არის შენი კომუნისტური სიამაყე?! თუ მიაყოლე ღომს ლობიოს მაგივრად?! ეს არის სამსახურეობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულება?! წადით, წადით ოდიშელიებთან და ხურუბიანებით აგივსებენ კალთას!

— ბატონო, როლანდ, ერთი ანეგდოტი კიდევ დაგვრჩა, — წამოიძახა ნაძალადევი სიმკვირცხლით ზოსი სონგულიამ და დიხამინჯიაც ხელად გადააწვა სავარძლის საზურგეს. ღაბაბი მკერდზე ჩამოეკეცა, თითები ნებიერად გაიშალა გულიანი სიცილის მოლოდინში.

ზოსი სონგულიამ კოსტუმის გულისჯიბე მოიჩხრიკა, ჯერ — მარჯვენა, მერე — მარცხენა, როგორღაც იპოვა, საბუთებში იქექებოდა ერთხანს, მერე გვარიანი გაბედული ნაბიჯებით წამოადგა ფეხი დიხამინჯიასკენ.

ვარდისფერი ღაბაბი ტალღისებური ნაკეცებით ჩამოშლია მკერდზე მდივანს. ზედ ყურისძირას მიეახლა განყოფილების გამგე შეფს. დიხამინჯიამ თვალები მინაბა ნეტარი ანეგდოტის მოლოდინში, ის კი არა თითებიც კი წაიღო ნებიერი გოფრეს მოსავარცხნად, მაგრამ მოულოდნელად ისეთნაირად გალაწუნდა თონთლო კანზე პარტიის მანდატი, სარგადაყლაპულ ექვსეულს თავზარი დაეცა.

— ამაზე უკეთეს ანეგდოტს სანთლით რომ ეძებდე ვერ იპოვი დღევანდელ ზუგდიდში! იტყლაპუნე და იტყლაპუნე აწი, სანამდისაც არ დაიღლებოდე, — მიახალა პეტიკო თოდუას მიმსგავსებით და კაბინეტიდან გამოვარდნილის მოჯახუნებულ კარს დაფეთებული ტყიურივით მიაწყდა ექვსეული აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებიდან.

— ადელუას დამიძახე, ჩქარა! ადელუა-მეთქი! — ყმუოდა ტექნიკური მდივნის მისამართით, — ციხეში ჩავალპობ! ხედავთ, ნომენკლატურულ პირზე ხელის აღმართვასაც ბედავენ უკვე! დამიძახე ადელუას! — ყვიროდა, მაგრამ ვინ იყო ხმის გამცემი?! დიხამინჯიას დავიწყნოდა კვიკვინხე ადრე რომ დაეთხოვა, ხოლო უბელადო პოსტამენტთან დემურ ანთიას მეგაფონით ამიტინგებულ მოედნიდან, ვინ, რომელი ჭკუათმყოფელი მოიცლიდა მხეცივით აზრახებული ფუნქციონერის პატივაყრილ ბრძანებათა დასაკმაყოფილებლად?!

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის წინ მჯდომარე აქციას აწყობს „აფხაზური წერილის“ ტონით აღშფოთებული ქართველი ახალგაზრდობა, საზოგადოების ნაწილი;

ქართველი სტუდენტები უნდობლობას უცხადებენ ლიხნში შემუშავებული პეტიციის ხელისმომწერ ადმინისტრაციას, რომლის მიხედვით აფხაზი მოსახლეობა საქართველოდან გამოყოფას და ცალკე რესპუბლიკად დაარსებას მოითხოვს;

ამას მოჰყვება ლესელიძიდან ავტობუსებით მობრუნებული აქციის

მონაწილეთა დარბევა. ეროვნულ დროშებს წაართმევენ და ფეხით გაუთელავენ;

ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები ბოიკოტს უცხადებენ აფხაზური უნივერსიტეტის რექტორატს, მარიონეტულ ხელისუფლებას. მომიტინგენი თავიანთი აღმზრდელი პედაგოგების თანხლებით მაისის დამდეგს აფხაზეთის მთავრობათა სასახლის წინ დასხდებიან. აქცია მაგნიტივით მიიზიდავს დიდძალ მასას. ოთხ მაისს ისინი გადაინაცვლებენ ქართული თეატრის შენობისკენ. იქმნება ეროვნული სამართლიანობის კომიტეტი, რომლის ოცდაოთხმუხლიან მოთხოვნას ხელმოწერებისთვის დააგზავნიან ხალხში;

მანიფესტანტების პროტესტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ დროა დათმოს სირაქლემას პოზა, მოეშვას „აფხაზური წერილის" მამალივით დამალვას და იგი გადააქციოს ქართველი ერის ფართო მსჯელობის საგნად; მოითხოვენ: დადგინდეს იმ ქართველების რაოდენობა, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ აფხაზურ ეთნოსის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ ლორთქიფანიძის ტყემალივით; მოითხოვენ გამოქვეყნდეს ცენტრალური პრესის ფურცლებზე ოციან-ოცდაათიან წლებში რეპრესირებულ აფხაზთა და ქართველთა გვარები ამ ვანდალური აქტის ორგანიზატორებთან ერთად; მოითხოვენ ცხრა აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა უკვდავსაყოფად აფხაზეთშიც აღიმართოს ობელისკი; მოითხოვენ ქართველმა წვევამდელებმა სამხედრო სამსახურო მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოიხადონ, ვინაიდან სტალინ-ბერიას სიძულვილის გამო, ან თუთიის კუბოებით ჩამოსვენება უწევთ მშობლებს გაურკვეველ ვითარებაში დაღუპული შვილებისა, ან კიდევ სამუდამოდ თავჩაქინდრული სიარულისთვისაა განწირული მათი მემკვიდრენი.

საპასუხოდ „აფსნი ყაფშის" ცნობით კრემლში გაგზავნილია „მამხილებელი" წერილი, რომელიც ჭავჭავაძისა და რუსთაველის საზოგადოებებს აბრალებს ქალაქ-სოხუმის პარალიზებას. სინამდვილეში ასეთი განცხადება პროვოკაციულია, გაღმა შედავების პოლიტიკა. ქართველი მოსახლეობა ჩაშვებულია უფროსი ძმის წინაშე ანტიკომუნისტური, ანტირუსული გამოხდომებით: დარაზმულან მენშევიკური დროშის ქვეშ და „ქართველთა ფიცის" შოვინისტური იდეებით წამლავენ ჰაერსო.

14 მაისს გაფიცულების რაოდენობა ასოცდაათათასს გადააჭარბებს. „აფხაზური წერილის" პათოსი გაბათილებულია ერთის ოთხთან შეფარდებით. ქართულმა მოსახლეობამ ერთსულოვნად გამოხატა თავისი ნება, რომ საკუთარი იურიდიული თუ მორალური უფლებების დათმობას ცოცხალი თავით არ აპირებს. მიტინგიც ამ სულისკვეთებით დაიშლება მომდევნო დღეს.

აქედან მოყოლებული მოვლენები ელვისებურად გადაებმება ერთმანეთს — ვილანდის ცელი ტრიალებს საქართველოში:

უბატონო სვანეთს დიდთოვლობა მუსრავს, უტევს წყალდიდობა კოლ-

ხეთს, საინგილოს, მაგრამ ყველაფერი მონაგონია თხუთმეტი ივლისის რეალობასთან.

„აკადემიელების“ პროცესორის რწმუნებით, ქვებით, ჯოხებით, რკინის კეტებითა და ნაჯახებით შეიარაღებული ათასამდე აფხაზი თავზე დაესხმის მშვიდობიანი აქციის დაახლოებით ხუთასამდე მონაწილეს. მათ გულს აძლევთ ქართველთა სიმცირე. ინფორმატორია შემთხვევის თვითმხილველი, „არადუს“ დირექტორი გადელია. ეგზალტირებული ბრბო გაარღვევს უიარაღო მილიციელების ცოცხალ კედელს და მომიტინგეთ დაერევიან.

უკვე მოღწეულია ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ გუდაუთიდან სოხუმში კატარღებით გადმოსროლილია სათანადოდ შეიარაღებული რამდენიმე ასეული კაცი.

ხელისუფლებას ყურთბალიშზე ძინავს. უფრო სწორად, კვლავინდებურად უფრთხის სიტუაციის გამწვავებას, თმობს და თმობს პოზიციებს, ვინემ საქმე ადამიანების სიცოცხლის ხელყოფამდე მივა, მაგრამ დიხამინჯიების პათოსის მთავრობა თითსაც ვერ ატოკებს ქართველების დასაცავად. შეტაკებაში თოთხმეტი ადამიანი იღუპება, აქედან რვა ქართველია და ექვსი — აფხაზი.

ოდიშელი სართანია აფხაზურად გლოვობს მოკლულ ორ ვაჟიშვილს. ბედმა გაუღიმა ჩხოტუების, კობახიძებისა და ავიძბების ოჯახებს — სისხლი ქართველებმა გაიღეს — როლანდ მილორავამ, ვლადიმერ მიქავამ და მალხაზ ჯღამაიამ. უნებლიე დონორები ახლობლების სანახავად ყოფილიყვნენ მისულნი. მალხაზის ძმა ბოტანიკურ ბაღთან ეცემათ ექსტრემისტებს, რომ არა აფხაზი მილიციელების თანადგომა, სულს ამოართმევდნენ ჯოხზე ლურსმანწამოცმული სამსჭვალებით.

მოსახლეობა პანიკას მოუცავს. ოფიციალური ცნობებით გატაცებულია ხუთიათასზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი მონკავშირეებიდან, მილიციის ქვე-განყოფილებებიდან, თვით სამხედრო შენაერთებიდანაც კი. ახალ ათონში რკინიგზის ლიანდაგებს აყრიან დეპოელები. მსხვერპლი ორ ათეულს კარგა ხანია გადასცილებულა. რეანიმაციულ განყოფილებაში ასობით მოქალაქეა განთავსებული. ვინმე ტყბუჩავას ქალი, „ბრუია, ბონდოთი“ რომ აძინებდა თურმე შვილებს გუშინწინ, ნაღდი ქართველობით თავმომწონეობდა და ცხრა აპრილის კირთების ჟამს თბილისს წვეული რუსულად ჭუკჭუკებდა გუშინ, დღეს — აფხაზურად ბობოქრობს.

„რატომ? რატომ? — ეკითხებოდა თავისთავს კვეკვე ანთარია და პასუხსაც იქვე პოულობდა, — აფხაზეთის სამეფო დასავლეთ საქართველოს ნიშნავდა ისტორიულად, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ სულმოკლეობის ბაცილა ვერაფრით მოგვიშორებია. დღესაც ბოგინებენ ქვეყნად ქართველები, შეცივდეთ, ეროვნული დროშისგან პერანგს შეიკერავენ. მათთვის პატრიოტული სულისკვეთება ზედმეტი ბარგია. ინტერნაციონალიზმის, სინამდვილეში იმპერიის ბაირაღის ქვეშ დარაზმულებს, მამულიშვილობისა

არარა სცხიათ. მანქურთებით გამოტენილ აფხაზეთში კომუნისტურმა რეჟიმმა თავისებურად გაიმეორა ცარიზმის ხრიკი — აფხაზს პრივილეგიები შეუქმნა, განსაკუთრებული უფლებები მიანიჭა, მცირერიცხოვანი ერიაო, ჯარში არ იწვევს, და ცდუნდა სულმოკლე ქართველი: შვილი აფხაზად ჩაწერა, მწვანე ალმები აუფრიალა ცხოვრების გზაზე იოლი მსვლელობისთვის.

მოკლედ, ასიმილაციის უკეთეს მეთოდს ვერ მოიფიქრებ. ჟინი ანთარის მონოგრაფიაში აღწერილია ასეთი ექსპერიმენტი: ორგანყოფილებიან სათავსის ერთ მხარეს ვირთხებია მოთავსებული, მეორეგან — კატა. ნახვრეტში მხოლოდ ვირთხები ეტევიან. საკვების გამგებელი კი ფისუნიაა. შიმშილობენ ვირთხები, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გაწყდება მოთმინების ძაფიც და ყველაზე გაბედული წააბიჯებს იმ ერთადერთი ხვრელისკენ, საიდანაც გამუდმებით ისმის თავზარდამცემი ჩხავილი. ჰოდა, გააღწევს მეზობელ საკანში ვირთხა და ხელადვე შეიჭმება, თუმცა უბრძოლველად როდი დათმობს სიცოცხლეს. გვერდით ხუთი-ექვსი მისნაირი მამაციც ჰყოლოდა, კატის დასამალი ვეღარსად მოიძებნებოდა და საკვებსაც ადვილად დაეპატრონებოდნენ, თუმცა შიმშილით მისავათებულნი სათითაოდ გავლენ ხვრელში და ექსპერიმენტატორის უკუღმართი გონებაც დაასკვნის: შეძენილი შიში გაცილებით მეტია თანდაყოლილზე".

— ჯერ მე მომკალით და მერე ქართველს ესროლეთ! — ნიანგის ცრემლებს ღვრის გუდაუთური იდეოლოგიის მამამთავარი კონსტანტინე ოზგანი.

— თქვენ კიდევ გაგაჩნიათ პრეტენზია ზუგდიდლებისადმი?! — პირში შეაფრინდებიან ვანდალიზმით აღშფოთებული ქართველები „აიდგილარას" სულისჩამდგმელს.

სიმართლე რომ ითქვას, ოდიშელებს დიახაც მოეძევებათ შეშფოთების საბაბი. ამ ორი დღის მანძილზე ისეთ გაუგონარ უბედურებას დაატრიალებენ აფსუები, მიდი და ნუ აბობოქრდები: მოკლულია კურსანტები, ოფიცრები, მშვიდობიანი ადამიანები. რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგი ფიფიას რწმუნებით რეანიმაციულ განყოფილებაში სამოცი მოქალაქეა განთავსებული. მერედა, ვინ არიან ესენი, თუ არა ოდიშელების და-ძმანი, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, სისხლით ნათესავები, მეგობრები?!

ქრისტიანული აფხაზეთი პატივაყრილია მაჰმადიანურის მიერ.

ეს დაურ ავიძბას სიტყვებია, ჯერ კიდევ როდის თქმული, მაგრამ ობიექტური სინამდვილე სხვებსაც ამნაირადვე აალაპარაკებს და რამდენადმე შეირყევა ვლადიმირ ჩუბინიძის წარმოდგენები აბსოლუტური ჭეშმარიტების ერთმფლობელობაზე. ეს იგივეა, რაც ათასი კაცი აღმოსავლეთს უმზერდეს და როდესაც მზე აღმოხდება, ჰკითხო თითოეულს, რა იხილეს, და მათაც განსხვავებულად აღგიწერონ მნათობის ამობრძანების დიდებული სურათი. შინაარსი იდენტურია, თუმცა სინამდვილეში მისი ამოსვლა პირობითი მცნებაა, ეს დედამიწის ტრიალის შედეგია ჰელიოსის მიმართებაში.

რეალობა ასეთია: აფხაზური განხეთქილების ვაშლი რამდენადმე გან-

სხვავდება მითოლოგიურისაგან, ვინაიდან, ჯერ ერთი, ეს უკანასკნელი მშვენიერების გასარკვევად როდი შემოგორებულა იმპერიის მიერ, არამედ სრულიად გეგმაზომიერად, გათვლილად, ხომ ვახსენეთ ზემორე ორთავიანი არწივის საცეცებზე, ჰოდა, ქართველობა ჯიუტად არ იშლის თვითგამორკვევას, გაქცევას უპერსპექტივო ყოველდღიურობისაგან. ჯოჯოხეთს მიესწრაფვის, თუმცა საცდელი ვირთხების მსგავსად გასასვლელს მიღმა თავგასიებული კატა ჩასაფრებულა; ამიტომაც ქართველებს არ სურთ ცალ-ცალკე ჩაუვარდნენ ხახაში ნამარხულევ ციბას — გადიან ერთად, ქუდზე კაცი, დიდი და პატარა. ამ შემთხვევაში აფხაზეთი დიახაც ჩინებული სატყუარაა. ორმოცდაათჯერ ზორბა ჩრდილოეთისთვის აფსუა გათამამებულ ბიჭს ჰგავს. მსგავსი სიტუაცია მრავლად ჰქო-ნიათ ზუგდიდელ ბირჟავიკებს. მიუგზავნიდნენ არხეინად მიმავალ ზრდასრულს აბეზარ ცეროდენას. ეს უკანასკნელი გააპამპულებდა დაღვინებულ, აუმღვრეველ ადამიანს და თუ წონასწორობიდან გამოსული კაციც ონავარს ერთ-ორს წაუთაქებდა, აღნავლებული „დაჩაგრულის“ ქომაგად ხელად გამოჩნდებოდნენ აცვენილი ჯეელები თავიანთი ნავარჯიშები კუნთებით. სწორედ ამისთანები ეჯავრებოდა როკი ოდიშელიას ჭირივით, მაგრამ როგორ გადაეფარები ქალაქის რამდენიმე ათეულ სათავყრილობოს, ვიდრე სრულ ძალაუფლებას არ ჩაიგდებდე ხელში; სანამ საკუთარ კანონებს არ გამოჭედავდე; ვინემ თითოეულ ავყიას ჭკუას არ დაასწავლი; სანამ ერთის გამოქომაგებით ათს არ მოიმდურებ?!

მოქროდნენ ბაწარაღებით აფხაზური ამბები კვეკვე ანთარიას ვინჩესტერისკენ, მაგრამ „აკადემიელები“ დროებით ადგილობრივ პრობლემებში გადაერთვნენ, ვინაიდან თხუთმეტი ივლისიდან მოყოლებული, შუაგულ ოდიშში უფრო მეტი საშინელება იწეწებოდა, ვინემ ექსტრემისტების გადათელილ სოხუმში.

— როკის, როკი ოდიშელიას უხმეთო, — გაიძახოდა აბობოქრებული ხალხი. უთავბოლოდ დარბოდნენ. ეროვნული მოძრაობის ლიდერები ჯერაც არ ჩამოჯარულიყვნენ დედაქალაქიდან. ადგილობრივნი — ანთიები და ფიფიები, ტუღუშები და შურღაიები, ჟორჟოლიანები და ქობალიები პირველი დაძახებისთანავე გაკრეფილიყვნენ ღალიძგასკენ. ბურთი და მოედანი ქურსუებს და სონგულიებს დარჩენოდათ. სწორედ მათი მითითებით განიარაღდა მილიცია, დაილეწა მონკავშირი, „დოსააფი“. გაიტაცეს ავტოპარკებიდან „კამაზები“. მოსახლეობამ იარაღი აისხა.

— როკის, როკის უხმეთო, — გუგუნებდა მაინც ოდიშელიას მისამართით უმართავი მასა.

კვლავ კვეკვე ანთარიამ იმარჯვა.

— როკი ოდიშელიას საირმეში ჰყავს წაყვანილი ავადმყოფი მამა. ახლახან დამირეკა, ორ საათში მანდ ვიქნებიო, — თქვა ეს და ინფორმაციამ შარბათივით დაურბინა ძარღვებში მთელს ქალაქს.

— მშობლის მოამაგე შვილი! კურორტზე ასვენებს თურმე მომჯობინებულ ვალერიანს. ამწამსვე გვეახლებაო, კვეკვე ანთარიამ, — გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს.

ცხოვრებაში ისე არაფერი აუცხადდება ჩვენს მერომანეს, როგორც ყასიდად თქმული ეგ სიტყვა.

თბილისური პაპანაქებით დაზაფრული ოდიშელიები მართლაც საირმეში გაკრეფილიყვნენ. დაბადების დღეც იქ გადაიხადა როკიმ, ოჯახური იდილიაში. უკვე თვე მიწურულიყო, რაც ზუგდიდიდან აიბარგნენ.

თვალში გამოიხედა ყველამ, აცაბაცათი მოსიარულე ძაკაევიჩმაც, მამამთილის მოვლა-პატრონობით მისავათებულმა მარინამაც, მოუსვენრობით ჩამომდნარმა ნიკამაც, მოლოდინით გაწამებულმა ჟენიამ თუ ჯურღმულების სალაფავებისგან კუჭგამოფხეკილმა. მაგრამ მოჰკრა თუ არა ყური: აფხაზი ექსტრემისტები დაერევიან ქართველებს და დიდს თუ პატარას განურჩევლად ხოცავენო, ცხოვრებაში მესამედ ჩააფრინდა კბილებით მოკაკვულ სალოკ თითს.

ოდიშისკენ მარტოდმარტო წამოსულსწრაფებულ როკის გადაავიწყდა ყველა და ყველაფერი: მშვიდობიანად მოლოგინებული მწვანეთვალება ილონაც; ანდრონიკოვის გვარის კოსტიაც ფეხმძიმე დედითურთ. თავად მორდუსთვის მიცემული სიტყვაც მეწყერმა წარსტაცა, თითქოს საჭიროების შემთხვევაში ავიძბების ოჯახს ავგაროზად გადაეფარებოდა; სწორედ ალვერისნაირების აგორებულად მიიჩნევდა ყოველივეს უნებისყოფო ძუძუმტეების — დაურისა და ანატოლის გულგრილობის წყალობით. ინალ ავიძბა ხომ ყურებდაცქვეტილი იჯდა ტახტაზე თავიდანვე და ნაბოლარაც მამას უმიზეზოდ როდი იშველიებდა კუდივით დასტურ-ლამალად. თითქოს მათ ჯალაბობაში მხოლოდ ჰაკის ძეს ესმოდა აბურდული საქმის ვითარებისა მთელი სიგრძე-სიგანით.

მოიჩქაროდა როკი ოდიშელია ზუგდიდისკენ. ენგურსგაღმელი თვისტომის გასაჭირით შეძრულ მის გონებას წარხოცვოდა დურუ ჰალიძოლნიას ხანდაზმული თხოვნის შეუსრულებლობა; არც ქურსუას აცვენილი ბიჭებისთვის იცლიდა მისი ფიქრი, რომლებიც სულ იმის ცდაში იყვნენ, ტურებივით როდის სცემოდნენ ყელში დაკოდილ ავაზას.

საავდრო ღრუბლებმა შებურეს კაკუსის მრევლი. არც ნიკას ზღაპრებისთვის დააღებდა პირს ამიერიდან ბაბაია, ვინაიდან ჩინებულად უწყოდა გათამამებული ონავრის ზურგს უკან თუ როგორ ჩასაფრებულიყო ორთავიანი არწივი: მოუღერებდი ხელს გაყოყოჩებულ ცეტს და დრაკონიც ხელად ამოიზრდებოდა „დაბეჩავებული“ ყრმის მფარველად. შენ კი ამისთანა ქომაგი არავინ გყავდა ცისქვეშეთში საკუთარი მოხერხებისა და შიშველი ხელების გარდა.

დაჭრილი ქართველი ჭაბუკის ნათესავები შველას სთხოვენ საავადმყოფოს მთავარ ექიმს არსენ თარბას, ის კი ირონიული მჭევრმეტყველებით იცილებს თავიდან პაციენტის მშობლებს:

— ვერაფერს დაგეხმარებით, მე მილიცია როდი ვარ!

გაკვირვებულნი უმზერენ ერთმანეთს ქართველები, თითქოს არკვევენ, მილიციამ როდის აქეთ ჩააბარა ჰიპოკრატეს თავისი პროფესიული სინდისიერებაო.

ზოგი ინფორმატორის ცნობით, როცა ვოვა ვეკუას ჯალათურად უსწორდებოდნენ, ვიღაც ავი ფერია ცოფიანივით გაჰკიოდა თურმე:

— მოჰკალით, ეგ ხომ ქართველთა ლიდერია!

მოქროდა პროცესორისკენ სხვა ეროვნების ადამიანთა გულისტკივილიც. ერთმა რუსმა ლექტორმა ქალბატონმა ლამის გაიმეორა დაურის სიტყვები:

— არა, ეს არ იყო შეტაკება ეროვნულ ნიადაგზე, არამედ — მუსულმანური ანგარიშსწორება ქრისტიანებზეო.

ინფორმაციულ ნიაღვარს ზღვარი არ უჩანს.

სულისშემძვრელია წულაიების მოტანილი ამბავი:

მექორწილენი სოხუმიდან ქუთაისში ბრუნდებიან. კინდღში აფხაზებმა გზას გადაუჭრიან. უკან მიატრიალებენ იარაღის მუქარით. ტამიშის ავტოინსპექციის პოსტთან ოთხი შეიარაღებული აფსუა სროლას აუტეხენ. კვლავ კინდღისკენ გამოაბუნძურებენ. ახლა იქიდან დასცხებენ ცოცხალ სამიზნეებს და როდესაც ვერტმფრენის გამოჩენამაც ვერანაირ სიკეთეს არგუნებთ საშველად ხელების ქნევით გარეთ გამოშლილებს, თორმეტი წლის ლაშა გავარდება თოფიანი კაცებისკენ, მიეჭრა ერთ-ერთს, მაჯაზე წვდება, უკოცნის და სასოწარკვეთილი ხმით ემუდარება:

— ძია, ძია, ნე უბივაი!*

დიახ, ეს ქედისმოხრა, სულში გადატეხვა გამოასყიდვინებს მალხაზს მშობლების თუ საკუთარ სიცოცხლეს, მაგრამ რანაირი ეთქმის აწინდელ ცხოვრებას?! ეს ხომ იგივე მთიანეთის მივიწყებულ ტრადიციას ჰგავს, როცა სისხლის აღების შეჩერების მიზნით მუხლებზე დაუსვამენ დაზარალებულის ოჯახის წარმომადგენელ მამაკაცს მემკვიდრეს და მთელი საწუთრო თავჩაღუნული ჩინდრიკით უნდა ჩააძაღლოს მერმე?!

ადელუასგან დროულად მოგზავნილი გარიწკინებული შავი „ოცდაოთხით“ მოიჩქარის როკი ოდიშელია ჭითაწყარის ტრასაზე. უსალმოდ ჩაუქროლებს ფერდინანდის აწეულ მარჯვენას; არც დიხამინჯიას კბილებაკაწკაწებული კაბინეტი მოსტაცებს მზერას მეხუთე სართულზე. მთელი ქალაქკომი იქ შეყრილა. ციხის გატეხვის მერმე ფანჯრის ყურეს აწებებულ ხალხს, გამოდითო, ეხვეწება, არიქა, აქეთ არ დაგვიმიზნონო, თუმცა ამეებისთვის სად სცალია როკი ოდიშელიას?!

ცენტრისტების ბირჟისკენ მიისწრაფვის. კვეკვე ანთარიას ნათქვამს ნახევარი საათით გადააცილებს მერამდენედ ნაპოვნი გმირი. როდინდელი ფართოფარფლიანი ცილინდრი ახურავს. გაფაციცებით მისჩერებიან ცოტნეს ავადსახსენებელი ძეგლის გადაშენების მოთავეები — გუძა სოსელია, რენო ალშიბაია, გეგე თოდუა, გაბო მიქავა, ზაქარაიას მიერ მოუხელთებელ იანად

წოდებული, დორო ჯიქიას შვილიშვილი, შუკოჩი, სხვანი და სხვანი. სხაპასხუპით მიაყრიან ღალიძგას ამბებს. აქვე არიან დაზი ჩიქოვანი გასათხოვარი ქალიშვილებით, კვეკვე ანთარია ჩვილატატებული მეუღლითა და ოფისის ფერიებითურთ სანიტარული დღის გამოუცხადებლად „აკადემიელების“ ფანჯრებზე ფარდების გადაწევა ცის გახსნას ჰგავს). ახლა როკის გონებას ძაკა ბაბუასებური განსჯისთვის არ სცხელა, ვინაიდან ბუდუ ხურცილავა ეს ეს არის დაბრუნებულა ღალიძგადან, სადაც მისი კომბინატელი ამხანაგი შენგელია ბრმა თუ დამიზნებულ ტყვიას განუგმირავს და ყველა იმ ცხედრის ჯავრის ამოსაყრელად ბობოქრობს შუაგულ ოდიშში.

ხალხის სტიქიურ მღელვარებას წინამძღოლობა რომ სჭირდება, როკი ოდიშელიასთვის ცხადზე უცხადესია, მაგრამ ამისთანა საპატიო საქმის პოლიტიკური პასუხისმგებლობის ტვირთს რისთვისაც გაურბის ჩვენთვის ნათელია; ამიტომაც მიატრიალებს ავტომანქანას აფხაზეთისკენ. უხმობს სიყრმისეულ ძმაკაცებს — უჩა ხეციას, თეიმურაზ დარასელს, ემზარ ჭურღულიას, ვალტერ ჯიქიას.

ემირ პაჭკორია უკვე ღალიძგასკენ გავარდნილა ათასებივით წელს ზემოთ შიშველი.

კვეკვე ანთარია და გენადი დაუპატიჟებლად მოძვრებიან „ოცდაოთხში“.

— მორდუს წერილი ჩამოგივიდა სოხუმიდან, — ამბობს ყურადღების გასაფანტავად ძმის იარაღასხმული ნაბოლარა.

— წერილს განახებ მე შენ. ჟილეტი რა ჭირად გინდოდა?! ანთარიას მიეცი! სამშობლოსთვის, ბიჭებო! — წამოიძახებს ომახიანად და ჯიშ-ჯილაგის დასაცავად გამსხლტართა ზურგს უკან „სა-ქარ-თვე-ლო-“-თი აგუგუნდება თოფებიანი ხელების ტყე.

გზატკეცილი „კამაზების“ კოლონებითაა გადაჭედილი, რომლებზეც წელსზემოთ ტიტველი, შავი ნაჭრებით შუბლწაკრული ჯეელები მრისხანებენ. თარხვანტიებით მიიჩქარიან კბილებამდე შეიარაღებული ორთავიანი არწივის ფრთებს შეყუჟული აფსუა-სეპარატისტების წინააღმდეგ, მაგრამ ქართველის კრედო დონკიხოტურია: ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი — თუნდაც ხისაო.

ტრასის ორივე მხარეს აცრემლებული ქალები გამოშლილან. მოლაშქრეებს ხელსახოცში გახვეულ საგზალს უწვდიან. ჯოხს დაყრდნობილი ბერიკაცები ცეცხლს შეუნთებენ ჭაბუკებს:

— სამშობლოს მტლად, შვილებო! გამარჯვებით დაგვიბრუნდით!

საომრად აღკაზმულ ახალგაზრდებს ხელებს გაუწვდიან ძარაზე მყოფნი და ბუმბულივით აიტაცებენ.

მოძრაობის წესებს არად დაგიდევენ. ყველა გასწრებაზეა. პირველობას არავის უთმობენ, მაგრამ ლამის მთელი საქართველო ღალიძგასკენ დაძრულა და ქაოსურ სწრაფვაში მოჩქარეთ უგვიანდებათ.

სასაუბროს მეტი რა აქვთ როკი ოდიშელიას თანამგზავრებს, თუმცა უხმოდ სხედან. დანა პირს ვერ უხსნით. მხოლოდ გენადი მუხტავს ავტომატის მჭდეებს ვაზნებით. მამულმა უხმო შვილებს და ქუდზე კაციც აიყარა ოდიშიდან, იმერეთიდან, გურიიდან, უბატონო სვანეთიდან. მიუხედავად კარზე მომდგარი უბედურებისა, როკი ოდიშელიას ცნობიერება ფიქრის ბურუსში გახვეულა. ეს ერთგვარი განტვირთვაა, ნერვების მოთოკვის უებარი საშუალება.

,,ძაკა ბაბუასა და ჩუბინიძის ლოგიკით ქართველებს პირში სული არ შეგვრჩება. ვლადიმირის მოძღვრება აშკარად ექომაგება აფხაზებს, როგორც სამყაროს შემადგენელ აუცილებელ ნაწილს. უსამართლოდ დაჩაგრულისთვის ზურგი არასდროს შემიქცევია, მაგრამ როცა შენიანია სულში ჩაფურთხებული, ჭოჭმანის დროა?!

ალაზნისპირელი: გვაბრალებენ ყოყლოჩინობას, წარსულით თავმომწონეობას, უმეცრებასაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ვორონოვების დაქოქილი აფსუას ამბიცია.

ჩუბინიძე: მოიცა, მოიცა, ვის შეუძლია უარყოს, რომ კავკასიის მთებმა არ შემოგვინახეს წარღვნის წინარე ცივილიზაციის ნაშთები? ანთროპოლოგიურად ადეღეელები, აფხაზები, ვაინახები, დაღესტნელები თუ ქართველები ერთ ეთნიკურ ოჯახში ერთიანდებიან.

ამით ყველაფერია ნათქვამი. თითოეული ერი ტოლფასოვან სიდიდეა მიჩნეული და ამტკიცებს კიდეც ამას ფილოსოფიური წიაღსვლებით. ამისთანა ცხელ გულზე ეთქვა, ხომ გაბრდღვნიდნენ წამში?

ჩუბინიძე: ბატონებო, ენერგია მხოლოდდამხოლოდ მოძრაობაა. ენერგომატარებელია სამყაროში არსებული ნებისმიერი სხეული, რასაც მოძრაობა ახასიათებს. ეს ის ძალაა, რომელიც თვით მოძრავ სხეულს, მატერიას გააჩნია. დიახ, ბატონებო, ენერგია მოძრაობაა, რამეთუ მოძრაობა ჭეშმარიტებაა, ხოლო ჭეშმარიტება — ყველაფერი, ანუ ყველაფერი მოძრაობაა.

ღვინო არაფერ შუაში იყო. იმთავითვე ღმერთის სიმაღლიდან დაგვიწყო ლაპარაკი ბიოლოგიურ არსებებს, თუმცა ბოლოს გამოასწორა რამდენადმე.

ჭეშმარიტებაა სამყარო — პლანეტები, სიყვარული, დრო, სივრცე, სიკვდილი, ბოროტება, სიკეთე, მიზიდულობა, მატერია, სული, ფერი, სუნი, სითბო, სიცივე, სიცოცხლე, ადამიანი, რწმენა, მოკლედ, ნებისმიერი ცნობილი თუ ჯერ კიდევ უცნობი მცნება, და თუკი შევუდგებით მათემატიკური სახით მის ჩაწერას — მოძრაობა! ჭეშმარიტებას, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი სიდიდეები ჭეშმარიტების ტოლნი ანუ იგივე მოძრაობას წარმოადგენენ.

დიახ, ბატონებო, სამყაროში ყველაფერი ერთია, რადგან სამყაროც ერთია, ღმერთიც თვით სამყაროა, რადგან ღმერთიც ერთია, ანუ ღმერთიც იგივე მოძარობაა. თქვენ გამოამჟღავნეთ ფილოსოფიური ცოდნის სათანადო დონე, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმდენად ბავშვები ხართ სამყაროს შემეცნებაში, რომ თქვენზე თამამად შეიძლება გავრცელდეს ძველებური გამონათქვამი: ჯერ მიწას არ აცილებიხართო.

უბედურება ის გახლავთ ბატონებო, რომ დღემდე ვერ მოვახერხეთ ამ უდიდესი სიბრძნის საშვილიშვილო შეფასება და შესაბამისად გამოყენებაც. დღევანდელი ჩემი მისიაც სწორედ ის გახლავთ, რომ შევძლო ამ კოლოსალური სიბრძნის თქვენთვის მისაღები ფორმით გადმოცემა, რათა ერთობლივი ძალისხმევით მისი სათანადო გამოყენებაც მოხერხდეს. რაკი სივრცეში სამყაროს ადგილი არსებობს, მისი უსასრულობის გამო სხვებისთვის ალაგი აღარ რჩება, ანუ სამყაროს გარეთ აღარაფერი მოიძევება, ანუ სამყარო ყველაფერია და ყველაფერს თავისთავშივე მოიცავს ანუ სწორედ ის არის ერთადერთი ღმერთი, ყოვლის მომქმედი და შემოქმედი.

იმ ალტერნატიულ შესაძლებლობათა უამრავი სიმრავლიდან, რა სიმრავლესაც მოიცავს ჩვენი აწმყოთი განსაზღვრული სამყაროს სივრცის ის წერტილი, რომლიდანაც შეიძლება გამოვიდეს სხივთა სიმრავლე სამყაროს ყოველი მიმართულებით ანუ სფერული ტალღით გავრცელების სახით და რა მომენტიც მომენტალურად ცვალებადია მოძრაობის უწყვეტობის ანუ მუდმივობის გამო და შესაბამისად ცვალებადიც, მომავლის ალტერნატიულ შესაძლებლობათა არჩევანის სიმრავლეც უსასრულობის ტოლია, მაგრამ თუკი დინებას ანუ უწყვეტად მუდმივი მოძრაობის მიმართულებას ბრმად ანუ ინერტულად მივყვებით ის აუცილებლად მიგვიყვანს მისგან უკვე განპირობებულ მომავლამდე, თუმცა რაჟამს სიბეცეს თავიდან გადავიგდებთ და ნათელი გონებით გავაანალიზებთ აწმყომდე განვლილ მანძილს, ანუ წარსულს, თავისუფლად შევძლებთ წინასწარ განვჭვრიტოთ მომავალი, შევაფასოთ მისი ავკარგიანობა და ამის მიხედვით კორექტივები შევიტანოთ მასში ანუ დროულად შევიცვალოთ და ავიღოთ ჩვენთვის საჭირო მომავალი სურვილისმიერი მოძრაობის მიმართულება.

შესაძლებელია თუნდაც წარსულის დაბრუნებაც, ანუ წარსულის გამოდევნებაც, რამეთუ წარსულიც ხომ მომენტალურადვე იქცევა ხოლმე აწმყოს გავლის შემდეგ ალტერნატიულ შესაძლებელ მომავლად? ამიტომაცაა რომ სამყაროში აწმყოც, წარსულიც და მომავალიც ერთდროულად და თანაც მუდმივად თანაარსებობენ. ასე

რომ, დრო მუდმივია და არა წარმავალი, ანუ დასრულებადი, ანუ საერთოდ არარსებადი. რაც არსებობს, ის ყოველთვის არსებობდა, არსებობს და იარსებებს, რამეთუ ყოველი არსებულიც მთელი უსასრულო სამყაროს ერთიანი განუყოფელი ნაწილია და მისი უმცირესი ნაწილაკის მუდმივად არსებობა აუცილებელია სამყაროს საერთო არსებობისათვის.

დიახ, სამყაროში უმნიშვნელო არაფერია, ისევე როგორც არ არსებობს მთავარი და მეორეხარისხოვანი. ყველა და ყველაფერი სამყაროს უმნიშვნელოვანესი განუყოფელი ნაწილები ვართ, ვინაიდან ერთის არსება უზრუნველყოფს სხვა დანარჩენის არსებობას. ჭეშმარიტად, სამყარო ისეა მოწყობილი, რომ თავისთავად არსებობს ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, სხვანაირად ყოფნა შეუძლებელიცაა. არაფრისგან არაფერი წარმოიქმნება, ამიტომაც ნებისმიერი სიმრავლე იწყება კიდეც ერთიდან და არა ნულიდან. სამყარო არის ერთეული და ერთიანი მასიური სფერული მოცულობის დრეკადი, იგივ კუმშვადი მასა, მატერია, ანუ ნულის ფორმის მქონე სხეული ანუ არსება და არა — არარაობა, არარსებული. ანუ ისეთი ნული, რომელიც ყველაფერს ამრავლებს, რადგან თვითონ წარმოადგენს მამრავლებს ანუ თავისნაირთა უსასრულო სიმრავლეს სამყაროს სახით, მაგრამ ისიც, როგორც წესი, მხოლოდდამხოლოდ მოძრაობაში არსებობს.

სიკვდილი არის ერთი ინდივიდუალური სუბსტანციის, სულის, ანუ სულის მიერ მისი სიცოცხლის პერიოდით განსაზღვრული გარემოდან მოკვლა, მოკლება, ანუ გამოკლება და სხვაში, ადრინდელისგან განსხვავებულ გარემოში, ანუ საიქიოში გადანაცვლება, გაჩენა, დაბადება და მასში ცხოვრების ანუ იგივე მოძრაობის გაგრძელება. აქედან გამომდინარე, სიცოცხლე ანუ არსებობა, იგივ სიკვდილი ანუ გარემომცველობა ანუ მხოლოდდამხოლოდ მოძრაობაა და ამიტომაც თითოეული პიროვნება პირადად ისევე ვერ მოესწრება თავის სიკვდილს, მიუხედავად იმისა, რომ სხვებისას ყოველთვის იხილავს, როგორც ვერ შეძლებს თავისი საკუთარი მეს, ანუ სულის თანსწრების გარეშე იმოგზაუროს რომელიმე სხვა ადგილას ანუ საკუთარ თავს გაექცეს, რამეთუ სწორედ ესაა შეუძლებელი. პირადული სიცოცხლე სინამდვილეში პირად სიკვდილზე უსასრულო დაკვირვებაა“.

— აქედან ახლოს ყოფილა შენი დედულეთი, — უთხრა კვეკვეს ემზარ ჭურღულიამ.

როკის თანაკლასელი გახლდათ საღამოს სკოლაში, შავგვრემანი სახის, თხელი აგებულებისა, სტეპანცევის ექსპერიმენტული ზონიდან ახალგამოსული.

— ფირნიშზე კი აწერია ოცდაორი, მაგრამ სინამდვილეში მეტია, ხოლო გალის ცენტრიდან ოცდათხუთმეტი კილომეტრია. ყველაზე მოსახერხებელი მისასვლელი ზუგდიდიდანაა, კოკის გავლით. ზღაპრული ხიდის აგების შემდეგ ჩვენებურებმა საერთოდ ზურგი შეაქციეს აფხაზეთს.

— იქ ვინ გყავს ახლა? — ჰკითხა უჩა ხეციამ.

— ნათესავები ქალაქში ტრიალებენ. შევხვდებით, ალბათ, ღალიძგასთან.

— ისინიც შენსავით უიარაღოდ თუ წამოსულან, კარგად გვქონია საქმე, — თქვა სიცილ-სიცილით თეიმურაზ დარასელმა.

— უიარაღო მამლუქი, — ჩაიფხუკუნა უჩა ხეციამ.

— რატომ?! თარხვანტიების შოვნა არც მათ გაუჭირდებოდათ, მაგრამ სისულელეა ეგ ყველაფერი. ქაჯობაა კაცს მიწის გულისთვის ესროლო, რომლადაც ხვალ-ზეგ თავად გადაიქცევი. მე ვერ დავუმიზნებ აფხაზს, ადამიანს ზოგადად, თუნდაც ჩემს გასანადგურებლად მოეშურებოდეს. აფექტში შესაძლოა კაცი შემოგაკვდეს, მაგრამ ამას მოფიქრებულად თუ გავაკეთებ, მერე კალამი უნდა გადავდო, მორალური უფლება არ მექნება ჯალათს, ამაღლებულ გრძნობებზე ველაპარაკო ქვეყნიერებას.

— თუნდაც აქეთ გკლავდნენ, დედის მანდილს გირცხვენდნენ, დებს გიბახებდნენ, მაშინაც?! — გაოცებით ჩაიცქერდა კვეკვე ანთარიას ემზარ ჭურღულია.

— მე იქ ძმადნაფიცი მყავს, ჯუმა აგუმაა. თუკი ერთ მისიანს ტყვიას დავახლი, ეს იმას ნიშნავს, რომ ძმადნაფიცს მოვარტყი კაკალ გულში.

— ჩვენ არა ვართ შენი ძმაკაცები, თუ ძმადნაფიცობა რამე განსაკუთრებული დოზანაა? — გაცხარდა თეიმურაზ დარასელი, — მასე თუ არის, როკის და გენადის ფეხი არ უნდა მოეცვალათ ზუგდიდიდან აძიუბჟელი მორდუშვილების ხათრით. ამ მილეთ ხალხში იშვიათად იპოვი კაცს, რომელსაც თითო ნათესავი აფხაზი მაინც არ ჰყავდეს. მაშ, დავიკრიფოთ ყველამ გულზე ხელები მათი რიდით და ვუცქიროთ არხეინად ჭკუადათესლილი სეპარატისტები თუ როგორ აწიოკებენ ჩვენს და-ძმებს?!

— ეგ ხალხი გაბრიყვებულია ჩემო, თემურ...

— დიდი შეღავათი, — სიტყვა გააწყვეტინა მერომანეს თეიმურაზ დარასელმა, — გაბრიყვებული უძახე შენ, გნებავს გამოთაყვანებული, ჩემთვის აქვს მნიშვნელობა თუკი დამაქცია, დამამხო?! დავუდოთ თავები წინ და ყურებზე ხახვი დავაჭრევინოთ?! არა, შვილოსა, აფხაზია, ოსია, სომეხი თუ თათარი, ყველა თავის კანში დაეტიოს. ხოლო, როცა გხოცავენ, გესვრიან, შენც უნდა ესროლო, თორემ კახური ანეგდოტისა არ იყოს, უ...კო ეგონებით.

ვაჟაზე დიდი ჰუმანისტი არ დაბადებულა, მაგრამ უგდე ყური: სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინებაო. რა, ვაჟას უხაროდა კაცის მიერ კაცის კვლა, ჭიანჭველას ფეხს რომ არ აბიჯებდა ისეთ გენიოსს?! მაგრამ როდესაც საქმე ერის ბედ-ილბალს ეხება, უკვე საკუთარ თავს არ ეკუთვნი. შენ მთე-

ლის ნაწილი ხარ, მის ინტერესებს უნდა დაექვემდებარო. ცოფიან ძაღლს თავზე ხელის გადასმით არ აწყნარებენ. ტყვიაა საჭირო, ტყვია!

— ერიჰა, დაიწყო ისევ ფილოსოფია. ორი თვეა ჩუბინიძის ტირუტარუ ყურიდან ვერ მომიშორებია. გვაცალეთ, ბატონებო, ადამიანური სიკვდილი! — მოუქცია ვლადიმირისებურად უჩა ხეციამ.

— კვეკვეს რა უჭირს, ხომ დაუთმო ტყვიაგაუმტარი ჟილეტი როკიმ?! დაჯდება სადმე მოფარებულში, ამოიღებს ბლოკნოტს, კალმისტარს და ზედმიწევნით აღწერს თუ როგორ ამოგვჟუჟავენ სათითაოდ! — მწარედ იხუმრა გენადმა.

— გენად! — ხმის აწევით აგრძნობინა ოდიშელიამ უმცროს ძმას მოუკრეფავში გადასვლა. მერამდენედ გეუბნებით, ამ წყეულ სახელს ნუ გამაგონებთ-მეთქი. გიორგი იგი, პასპორტით, გიორგი ანთარია!

— ჩემი ტყვიაგაუმტარი ჟილეტი სიტყვაა; სხვათაშორის თქვენი გადარჩენის გარანტიც, ბრატვა!

— მთლად ნუ გავმეცნიერდით გლეხები, — ისევ გამოესარჩლა მერომანეს როკი, — ხელოვანია იგი და კაცი მოაზრებულად თუ მოკლა, მერე მისი სისხლიანი სტრიქონების ფასი კაპიკია მომავლის თვალსაწიერიდან. ესაა შემოქმედის უნებლიე გაორება, ლამის ტრაგიკული ხვედრი: ერთის მხრივ ვალდებული ხარ დაიცვა შენი ჯიშ-ჯილაგი და ამავდროულად ზოგადსაკაცობრიო იდეალების სადარაჯოზეც იდგე მყარად. მოკლედ, შეუთავსებელი შეათავსო.

ბიჭები გაჩუმდნენ. უხმოდ მისდევდნენ მანქანების კოლონას.

,,ანთარია ჯიგარი ვინმეა. რა ტექნიკურად მოგვიხაზა ხუთივეს?

ილონა: უკან არ მოიხედო თუ გიყვარდე. დაცდილი მაქვს, მგზავრობის წინ ბაზრისკენ გამექცევა თვალი და მერე ჩათქმული არასდროს მისრულდება. ჩემთან წამოსვლის თაობაზე ხომ არავისთან დაგცდენია რამე?!

როკი: თქმით არა, მაგრამ გენადი მიხვდა საითკენაც მოვიპარებოდი. გენადი სანდო ბიჭია. აი, ფულიც მომცა, დავითვალოთ?

ილონა: იყოს. ლამაზი ჩიტია, ნუ დავამტვრევთ. როცა დიდი ხალხი ვიქნებით ერთი ასად დავუბრუნოთ ჩვენს გენადის. მე შენიანები ყველა მიყვარს, მაგათაა თვალში რომ არ მოვსდივართ თორემ. ჩვენი ფორანი მეწინავედ ივლის, მტვერი არ შეგვაწუხებს და ყაყანი. შენ გიტარებია ფორანი ოდესმე?!

როკი: მე — არა. ერგეტიდან რომ გადმოვსახლდით, ურმით წამოვედით. კოფოზე გივი იჯდა. მე და გენადი ლეიბზე ვნებივრობდით. ურემი ზოზინაა, ფორანი კი სწრაფი.

ილონა. კუზმას გუშინ დააჭედვინა ცხენები მამამ. რვა-რვა ლურსმნით ამოაკრეს ორივეს ნალები. ჩხოუშიას ნაპირას ჩავიყვანე უშენოდ, გავატარ-გამოვატარე. მამამ მითხრა: კარგია, მგზავრობის წინ ნალებს მიეჩვევიანო. შენი აზრით რომელი გზით ჯობია წასვლა?

როკი: ლიანდაგს გავყვეთ. იქითკენ მოძრაობა ნაკლებია. საჯვა-როსთან ავუხვევთ და მერე პირდაპირ გადავალთ ენგურის ხიდზე.

ილონა: გახსოვს ჩხოუშიაზე რომ ჩავიყვანეთ ცხენები საბანა-ოდ?!

როკი: გუშინდელ დღესავით.

ილონა: აჩუ! დავიძარით! — გასძახებს თავისიანებს, — შენ რო-მელს გულისხმობ?

როკი: წაბლა რომ დაფრთხა და ღრმაში გვაყურყუმელავა.

ილონა: დაგავიწყდა ტანსაცმელს რომ ვიწურავდი, არ მომხე-დო-მეთქი და მაინც გამოაპარე მზერა. მე სულ ტიტლიკანა ვიყავი. მრცხვენოდა შენი, მაგრამ სიშიშვლის გამო კი არა, ქალის ფორმა რომ არ მქონდა ჯერ კიდევ.

როკი: მოხედვით მოგხედე, თუმცა შენი თმების მეტი არაფერი დამინახავს.

ილონა: აღვირი გამომართვი! ენგურის ხიდამდე რამენაირად ნუ მოიხედავ, მერე სამშვიდობოს ვართ. გენადი ხომ არაფერს დააყ-რანტალებს?

როკი: ნეკა თითები გადააჯვარედინა, დედა მომიკვდესო, დაი-ფიცა.

ილონა: მაშინ საშიში არაფერია. ჩვენებს მამაშენის დიდი რიდი აქვთ. განსაკუთრებით ყაჩაღი რომ დაიფრინა იმის შემდეგ. გცემდა ხოლმე?

როკი: ერთხელ. ფიზკულტურის მასწავლებელმა თვალი რომ დამილურჯა, მაშინ.

ილონა: რამდენადაც ვიცი, არც შენ დაგიყრია მაგისთვის კარგი დღე. მეტი რაღა უნდოდა?!

როკი: საკუთარ თავზე ვბრაზობდი, თვალი რანაირად დამილი-ლავა-მეთქი. თავის მართლება არც მიცდია და მომსცხო ქამარი.

ილონა: ეგ იმიტომ, ქვეყანაზე შენი მჯობნი არავინ უნდა ჰ ყავდეს. დედაჩემსაც უყვარს გაჯორვები. დამსვამს სარკესთან და მეტყვის!

შეხედე, ხომ ლამაზი დედიკო გყავს, მაგრამ შენ ასწილად მზე-თუნახავი იქნებიო. ბიჭებისგან თავი შორს დაიჭირე, თორემ ჩემივე ხელით მოგკლავო, სულ ამას მეჩიჩინება. როკი კეთილი, ალალ-მართალი ყმაწვილია, მაგრამ ნუ ენდობი, იცოდეო. თანაც შარშან ბიცოლაჩემმა ცუდი ამბავი მოიტანა შენზე. ბაზრის წინ გამოჩენილ-ხარ თუ არა, გრეჩანკას ქირქილი დაუწყია ქალებში.

რატომ იცინიო, ჩაჟინებია ბიცოლა.

რისთვის?! მამლაყინწას კი ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ულა-

ყიაო.

იცის ახლა ჩემს ფორანში რომ ზიხარ და ბოღმისგან სკდება. სულ შენს კბენაში იყო ეს წლები.

უბედურებას მოგვიტანსო, გაუწყალა მშობლებს გული. რა იყო, ერთიანად წამოჭარხლდი. თვალებს რისთვის მარიდებ? მართლაც ხომ არ ასულხარ გრეჩანკასთან?

როკი: ერთხელ.

ილონა: შემომხედე-მეთქი. როდის იყო ეგ?!

როკი: ბაზრის რიარიაში რომ დამეკარგე. ბევრი გეძებე, მაგრამ ამაოდ.

ილონა: თვითონ დაგიძახა?!

როკი: არა, ჩემით ავედი.

ბოშა გოგონა სახრეს ზედიზედ გადაუჭერს ცხენებს. ფორანი მოხრეშილ გზაზე წარახრახდება.

ილონა: ყველაფერი ჩემი ბრალია. შენ ქალი გინდოდა, მე კი დედის შიშით ახლოსაც არ გიკარებდი. თვალებს ნუ მარიდებ. თითქოს არაფერი მომხდარა. მომეცი ხელი. აი, შეხედე, აწი სარბენალი არსად გექნება. როგორ გამიწვალებიხარ თურმე ეს წლები! არაფერია. აგერ გყავს შენი ილონა. არც ჯვარისწერას დავუცდი. შენი სიტყვა ჩემთვის ღმერთზე მეტია. უკან ხომ არ მოგიხედავს?!

როკი: არა.

ილონა: ჰოდა, დიდებული! ახლოს მოიწი, მოსარიდებელი არაფერი გჭირს!

ჩუბინიძე: თვით აზროვნებაც ისეთივე მატერიალურია, როგორც ყველაფერი მთელს უზარმაზარ სამყაროში და მასაც ისევე შეიძლება ხელით შევეხოთ, როგორც მაგალითად მაგიდას. დღეისათვის ადამიანთა შორის გონებასუსტებისა და თუნდაც გენიოსების გამოვლინების ფაქტებიც არანორმალურ მოვლენადაა მიჩნეული და ესეც თვით ადამიანის მიერ არასწორი აზროვნების გამო გაფუჭებული ეკოლოგიის შედეგია და ამ ანომალიის გაქრობის შესაძლებლობაც რეალურად არსებობს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი გონება ნამდვილად ფლობს და თავიდანვეც ფლობდა ჭეშმარიტების ცოდნას, მაგრამ რადგანაც ის დაბადებისთანავე მოხვდა ისეთ არანორმალურ ეკოლოგიურ გარემოში, როგორც ჩვენს გაჩენამდე მოღვაწე ადამიანების არასწორი ანუ უცოდინარი ქმედებების შედეგად ჩამოყალიბდა, მოხდა ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელი გონების დანაგვიანება ანუ გონების ნათელის დახშობა მასზე არასწორი ინფორმაციების, იგივე გარკვეული სხვადასხვა სიჩქარეებისა და სიხშირეების მოძრავ მატერიალურ მასათა ანუ იგივ მოძრაობათა უამრავი რაო-

დენობით დაყრა-დაფარვის შედეგად, რომლის სისქეც რაღა თქმა უნდა ნებისმიერი ინდივიდუუმის გონებისათვის მეტნაკლებად არათანაბარია, იმისდა მიხედვით თუ როგორ მიკროგარემოში მოხვდა თითოეული. მაგრამ დღეს, როცა ჩემი თავდაუზოგავი მცდელობით ვახდენ არასწორი ინფორმაციებით სქლად დანაგვიანებულ-დახშული თქვენი გონებიდან ნაგვის ფენების გარედან გასუფთავებას, ამასთანავე თქვენი გონების ნათელიც თავის მხრივ შიგნიდანაც აგრძელებს გამოღწევის მცდელობას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, უკლებლივ ყოველი თქვენგანიც საბოლოოდ აუცილებლად შეძლებს ჭეშმარიტების შემეცნებას, ანუ საკუთარი გონების გათავისუფლებაგაწმენდას ზედმეტი ნაგვისაგან და შედეგად რეალური სამყაროს ფხიზელი გონებით თავისუფალ აღქმას, შეგრძნებას. მეოცე საუკუნის ჰერაკლე. რა ჩქარა დაასუფთავა ავგიას თავლები?! სამყარო ერთი და ერთიანია. მასში მოქმედებს მხოლოდდამხოლოდ ერთადერთი კანონი, რომლის ზეგავლენის შესაბამისადაც წონასწორდება ანუ გამოვლინდება ყოველი და რომელსაც თამამად შეიძლება მსოფლიო წონასწორობის ანუ ჭეშმარიტების კანონი ვუწოდოთ. სამყაროს სივრცის ნებისმიერ ლოკალურ გარემოში არსებული ყოველი სხეული მუდმივად განიცდის უშუალო გარემო დაწოლას იმ მატერიალური მასისაგან, რომლისგანაც შედგება ხსენებული გარემო და რომელიც ცდილობს გააძევოს ეს სხეული და მისი ადგილი დაიკავოს ამ მასითვე, რომლითაც ერთნაირადაა გაჟღენთილი მთელი უსასრულო სამყარო და რომელსაც ეთერი ეწოდება. ხოლო ეთერი კი იმ უმცირეს მატერიალურ ნაწილაკთა ერთობლიობაა, რომელთაგან თითოეული ერთეული და ერთიანი მასიური სფერული მოცულობის დრეკადი, იგივე კუმშვადი მასა, მატერია ანუ არსებაა და რომელიც თავისთავად თავისსავე მსგავსი სხეულების ერთობლიობისაგან შემდგარ მასაში მოხვედრილ სხეულს წარმოადგენს და რომელიც ისეა შეკუმშულ-დეფორმირებული, სხვა მისივე მსგავსი სხეულებით გარემოდაწოლისაგან, რომ მათ შორის ცარიელი ადგილის დაშვებაც კი შეუძლებელია და სწორედ ამ ერთმანეთზე ნიადაგ გარედაწოლისაგან გამოწვეული მუდმივი შეკუმშულობა გვევლინება იმ შინაგან ძალად, რომელიც ნიადაგ ცდილობს გაფართოებას და თავისი ეგრეთწოდებული საწყისი პოტენციური ფორმის აღდგენას, რითაც ახდენს დაწოლას მასთან შეხებაში მყოფ ყველა მსგავს სხეულზე, რომლებიც თავისდა წილად მასზევე ახდენენ დაწოლას. აი, სწორედ ამ მდგომარეობის ანუ სამყაროს შემადგენელი უმცირესი ელემენტარული ნაწილაკების მუდმივი ურთიერთზეწოლის შედეგადაა ჩამოყალიბებული ენერგიით ანუ მოძრაობით წინასწარ გაჯერებული გარემო, რომელიც ყოველთვის საწყისი მიზეზია ნებისმიერი

მოვლენისა და იგივ მოძრაობაა ანუ სივრცეში მატერიის ადგილმონაცვლეობა. თვით სივრცეც მატერიალურ ნაწილაკთა მოძრაობითი ერთობაა, რამეთუ ზემოთ ჩამოყალიბებული კანონი ავტომატურად გამორიცხავს სამყაროში სიცარიელის ბუნებრივად არსებობას და ამდენად, თვით მოძრაობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სამყარო არის მოძრაობა მოძრაობაში, მობილე ინ მობილე, ანუ უსასრულო მობილე ანუ პერპეტუმ მობილე ანუ მუდმივი ძრავა, რომლის მოძრაობასაც არა აქვს დასასრული ანუ არაარსებობა ანუ ნული. ადამიანმა სწორედ განზიდულობის ძალების მოქმედების წყალობით მოახერხა დედამიწის ზედაპირიდან მოწყვეტა და ღია კოსმოსში გასვლა, სადაც გამოაშკარავდა ისიც, რომ ნიუტონის მიერ აღმოჩენილი მსოფლიო მიზიდულობის კანონი სინამდვილეში დედამიწის ზედაპირის იქით არ ვრცელდება და ამდენად მსოფლიო კანონს არ წარმოადგენს. განზიდულობა ქმედება-უკუქმედების კანონში ვლინდება. დიახ, სწორედ განზიდულობის ძალებით წონასწორდება სამყაროში ყოველი, ანუ სწორედ ამით ეძლევა ყველაფერს ღია კოსმოსში უწონადობა, რამეთუ თანაბრად გაწონასწორებულია ყოველი სხეული ირგვლივი გარემოდაწოლით და ამის გამო ყველას და ყველაფერს მიჩნეული აქვს თავისი საკუთარი ადგილი, რაც თავისთავად განსაზღვრავს სხვათა შესაბამის ადგილმდებარეობას და ამდენად, არაფერი მიიქაჩება ერთმანეთისაკენ საკუთარი შინაგანი ძალების მეშვეობით, თორემ ეს ასე რომ იყოს, მაშინ ყველა პლანეტა უკვე დიდიხნის შეეროებულიც იქნებოდა ერთმანეთთან და აღარც იარსებებდა, მაგრამ სამყაროს არსებობის გარანტი ყოველთვის უსასრულობაში დევს, ანუ მისი სივრცითი უსასრულობის გამო სწორედ რომ ყველაფერი გაწონასწორებულია და ყველაფერს თავისი განსაკუთრებული საკუთარი ადგილი უჭირავს. მოძრაობა არასდროს მთავრდება, რამეთუ სწორედ მისი უსასრულობა ანუ არასრულყოფილება იწვევს მიმდინარე აუცილებელ პერიოდულ კატაკლიზმებს, რომლებიც ქანქარასავით სამყაროს მოძრაობისათვის დაუსრულებელი ბიძგის მიმცემნი არიან და ამდენად, მათი არსებობაც კანონზომიერია, წინასწარგანპირობებულია, რის გამოც ყველაფერი წონასწორობისაკენ ანუ არარაობისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ რის გამოცვე ვერასდროს აღწევს მას ანუ მუდმივ დაძაბულობას ინარჩუნებს. რახან განზიდულობა მოძრაობაში არსებული სხეულების ურთიერთშეხებით ხდება, იქმნება სხვადასხვა სიჩქარითა და მიმართულებით მოძრავ უმცირეს ნაწილაკთა სხვადასხვა სიდიდით დაჯგუფებითი, მოცულობითი სხეულები, რომლებიც განიცდიან გარემოდაწოლას სხვა მოძრავი სხეულებისაგან შემდგარი ერთგვაროვანი

მატერიისაგან, ეთერისაგან და სამყაროს თითოეული სხეულიც სწორედ ამ ეთერით წონასწორდება ანუ მუდმივი ტრაექტორიით მოძრაობს სამყაროში ანუ დაცურავს თვით ეთერში.

ჭეშმარიტებაშემეცნებულისათვის არ არსებობს „ალბათ და შეფარდებითი“, რადგან მან ზუსტად და კონკრეტულად იცის ყველაფერი და ათვლის წერტილი აზროვნების პუნქტი თითოეული ინდივიდუუმისათვის არის საკუთრივ პირადული და ინდივიდუალური, განუმეორებელი და ერთადერთი, თვით ნებისმიერი სუბიექტის მე, რამეთუ ყოველი ინდივიდუუმისათვის სამყაროს აღქმა და ათვლა უშუალოდ პირადული მედან იწყება. თითოეული ინდივიდუუმისათვის სწორედ ის არის მხოლოდ სამყაროს აბსოლუტური ცენტრი და უშუალოდ შეხების წერტილი, მაგრამ სწორედ ამ წერტილის საშუალებითაა ისე ორგანულად და განუყოფლად დაკავშირებული მთელი სამყაროს ნებისმიერ წერტილთან, როგორც ჩვენი საკუთარი სხეულის ნებისმიერი უჯრედია შეერთებული ჩვენი აღქმის ცენტრთან და რითაც მომენტალურად შევიგრძნობთ და ვფლობთ საერთოდ მთელს საკუთარ სხეულს. სწორედ ამის გამოვე გაგვაჩნია თითოეულ ინდივიდუუმს პოტენციური შესაძლებლობა ამავე წერტილიდან, ანუ საკუთარი ინდივიდუალური, პირადული სუბსტანციიდან, ანუ სულიდან აღვიქვამდეთ და ვფლობდეთ მთელს სამყაროს, რადგან ეს საყოველთაობა ხომ თითოეული ამ სუბსტანციისათვის საკუთარ განუყოფელ სხეულს წარმოადგენს, რათა ადგილიდან დაუძვრელად ვგრძნობდეთ მთელს სამყაროს ანუ ვიცოდეთ თუ რა ხდება მთელი სამყაროს ნებისმიერ წერტილში. ბატონებო, სამყაროს სივრცის ნებისმიერ ლოკალურ გარემოში არსებული ყოველი სხეული მუდმივად განიცდის უშუალო გარემოდაწოლას იმ მატერიალური მასისაგან, რომლისგანაც შედგება ხსენებული გარემო და რომელიც ცდილობს გააძევოს ეს სხეული და მისი ადგილი დაიკავოს! ვერ მიმხვდარა ადამიანი იმას, რომ სამყაროს უკიდეგანო სივრცის ნებისმიერ ერთეულ მოცულობაში ერთდროულად თანაცხოვრობენ განუსაზღვრელი რაოდენობის სხვადასხვა სახისა და განვითარების დონისა თუ სიცოცხლის გამოვლინების ფორმის არსებანი, ისე რომ ერთმანეთს ვერ ხედავენ, ვერ გრძნობენ ურთიერთშეხებას თუ ერთმანეთში გავლა-გამოვლას და ამიტომ არაფერიც იციან ერთმანეთის შესახებ, რადგან ყოველგვარი მოვლენა ნებისმიერ დამკვირვებელს გამოეცხადება ანუ შეიგრძნობს მოძრაობის სიჩქარის მხოლოდ იმ დიაპაზონში, რა დიაპაზონშიც ამ დამკვირვებლის მოძრაობის სიჩქარის აზრობრივ მგრძნობელობას ახასიათებს, ხოლო მოძრავი მატერიის სხვა სიჩქარეები ანუ მოძრავი მატერიის სხვა გამოვლინებები, მის მიერ ვერ აღიქმება მანამ, სანამ ის თვითონვე არ შეიცვლის დაკ-

ვირვების ანუ თავისივე მოძრაობის სიჩქარეს, რის შედეგადაც იგი დაჰ კარგავს იმ ხილული სამყაროს აღქმას, რომელსაც ადრინდელი სიჩ-ქარის დროს აღიქვამდა, სანაცვლოდ შეიგრძნობს სულ სხვა მოვლე-ნებს და თვითონაც წარუდგება იმ არსებებს, რომლის აღქმაც ამ ახალ, შეცვლილი სიჩქარის დიაპაზონს შეესაბამება. როგორც დავინახეთ, მი-ზიდულობა სინამდვილეში განზიდულობაა და საერთოდ ყველაფერი ერთია, რამეთუ ყველაფერი მოძრაობაა და მოძრაობაშივე ვლინდება, მოძრაობა კი ჭეშმარიტებაა, ჭეშმარიტება — ღმერთია, ესე იგი ღმერთი ვარ მეც, მაგრამ ამავე დროს შენც ღმერთი ხარ, რადგან მე და შენ, ანუ ჩვენ, ერთნი ვართ, ჩვენ მთელი სამყარო ვართ. სამყარო ერთი და ერთიანია, რადგან ჩვენითვე ერთიანდება. ამიტომაც ძალა ერთობაშია, მაგრამ ძალაც — მოძრაობაა. ოოო, აი, თურმე რა ძალა ჰქონია ერთობას ანუ „ერთოფა“-ს ანუ „ერთი ო-ს ფა-ს“ ანუ „ერთიანი 0-ს ფრენას“ ანუ 0-მცნებას, ჭეშმარიტებას და მასში, ოცნებაში ჭეშმარიტად ყოფნას!“

კოხორასთან არიან. გზისპირებზე უწყვეტი ჯაჭვივითაა გამოშლილი მო-სახლეობა — ქალები, ბავშვები, მოხუცები.

მზე კვლავინდებურად აცხუნებს, თუმცა გვარიანი ხნის გადასულია ჰ ორიზონტიდან. სიტუაცია ერთნაირია ყველგან. განწყობილება, ერთსულოვ-ნება იდენტურია, მხოლოდ სახეები იცვლება და რეკვიზიტები — ფლორა, რელიეფი, ჭიშკრები, ოდა-სახლები. იგივე შეძახილებია,

იგივე გამხნევებანი, იგივე დალოცვანი და საგზლით მომარაგება.

ერთი დაფერდებული ეზოს შუაგულში დევკაცი გამოსულა, ჯოტო ოდი-შელიასავით გოლიათი. წელსზემოთ შიშველია. ჯაგარა თმა მოჰერის ჯემპრი-ვით ადგას ტანზე. ცალ მხარზე ორფუთიანი ტყვიამფრქვევი გაუდვია, მეორე-ზე — მანდიკურად ვაზნებით დამუხტული ლენტი, რომელიც მუხლებამდე დასთრევია. სპეცოვკა შარვლის უთვალავი ჯიბე საჭურვლისგან გამობერვია. ცოკოლზე შეჯენებული სახლის აივნიდან ქოქოლას აყრის გაწლიკული ცო-ლი. ეგ კი ჯიუტად ითმენს დედაკაცის წიწმატობას. ეტყობა ოჯახის მეთაური მუყაითობით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის და მათ ცოლქმრულ სიამტკბი-ლობას შუა მცონარობას და უშვილობას შავ კატასავით გაურბენია.

— წავედი ახლა. ვანახებ მე მაგათ!

— წადი, წადი, აქეთ არ მობრუნებულიყავი!

— თუ დავბრუნდი, მოგივლი! — ბუბუნებს ჯანჯას ულვაშიანი მელო-ტი დევკაცი. არშინიანი ფეხისკვრით კუტიკარს გამოაღირწკინებს, ფისში ამოვლებული ტანით მოემართება. იშვიათი სცენით გამხიარულებული ბი-ჭები ხელებს გაუწვდიან და ბუმბულივით აიტაცებენ ტყემზიდის ძარაზე.

ამასობაში განახლდება გზაზე დროებით შეფერხებული მოძრაობა.

,,ჭეშმარიტებაა, რომ სამყარო დროსა და სივრცეში მოძრავი მატერიაა, მაგ-რამ გაუგებარია ჩემთვის, ჩუბინიძეს რისთვის დაჰყავს ყველაფერი მოძრაობამ-

დე?! რაიმეს აკვიატებამ, აჩემებამ ბევრ მეცნიერს მოატეხინა კისერი. ჰეგელმა დაიჟინა აბსოლუტური გონი. მერედა მოიგო ამით?! დაადგინა ვითომ ჭეშმარიტების ნამდვილი სახე?! საეჭვოა. ჩვენი ვლადიმირი დუგალისტიცაა ამავდროულად, მატერიასაც აღიარებს და ღმერთსაც, თუმცა მისი უფალი განსხვავებულია, იგი უზენაესს უწოდებს ჭეშმარიტებაშეცნობილ ადამიანს.

ილონა: ჩემდა საკვირველად ის ნათელი დაგწვდა, წამოგწია, მივხვდი მართმევდნენ შენს თავს, მთელი სხეულით წაგებღაუჭე, მაგრამ სავალალოდ ფორანზე დაგდებულ თოკში გავიხლართე და ვწიოდი, ვკიოდი, ცრემლად ვიღვრებოდი და ისე გაუჩინარდი წამში მდინარის თეთრი ქვებით მოფენილი ფსკერივით გამჭვირვალეს ერთხელაც არ მოგიხედავს.

მატერიის მოძრაობის ფორმებზე ჩინებულად ბრძანა ჯემალმა, თუ როგორ გადადის მექანიკური ფიზიკურში, ფიზიკური — ქიმიურში, ქიმიური — ბიოლოგიურში და ეს უკანასკნელი — საზოგადოებრივში. მატერია სპირალური ბუნებით უმარტივესიდან ურთულესისკენ მიემართება და უკეთესს რა მიზანს დაისახავ, თუ არა ჭეშმარიტების შემეცნებას?! აგერ, ალვერ ავიძბა მოითხოვს თავისი ერისთვის საარსებო სივრცეს ქართველების შევიწროვების ხარჯზე. ახლა შევაფასოთ, ვინ უფრო მართალია ჭეშმარიტების პოზიციიდან? სამყაროსთვის ქართველი და აფხაზი თანაბარია, ორივე მისი შვილია, მათი ანთროპოლოგიური მონაცემების თუ რაოდენობრივი მაჩვენებლების მიუხედავად. სამყაროს გადასახედიდან უმნიშვნელოა აფხაზი მნათობს ამრას დაუძახებს, მზეს, სოლნცეს თუ ჰელიოსს და აქედან გამომდინარე, კაცობრიობის პროგრესის დამამუხრუჭებელი ენობრივი ბარიერია. ასევე მართლაც დაბმულია ჩუბინიძისეულად დედამიწაზე ადამიანი რელიგიური წარმოდგენებითაც. სამყაროს წარმართველ ძალად ღმერთის, აბსოლუტური გონის, გნებავთ მოძრაობის დასახელება უკვე მიუღებელია ჩემთვის. ბორკილებია ცივილიზაციისთვის საზღვრები, რომელიც ბაღდადში აბაზად ღირებულ ვირს კახეთამდე თუმნად გადააქცევს. ცნობიერება, რომელმაც ხუთი საფეხური გამოიარა, ვიდრე ადამიანამდე მოაღწევდა, დედამიწის მექანიკურ მდგომარეობაშივე იგულისხმებოდა, მაგრამ ახლა რომელი დავაყენოთ წინ, ის, რაც მოიცავს ნაგულისხმევ აზრს და მხოლოდ ხუთი ფორმაციის შემდეგ გამოვლინდება თუ ამ იდეის მატარებელი მატერია?! სამყაროში არაფერი იკარგება, მაგრამ ერთი ფორმაციიდან მეორეში გადასვლისას მატერია იცვითება და არასდროს აღსდგება პირვანდელი სახით. ეს გახლავთ მისი გენიალური კანონი. რანაირად შეიძლება ერთ მწკრივში დავაყენოთ წარსული, აწმყო და მომავალი?! როგორ გინდა აღადგინო დანაცრული საზოგადოებანი თავიანთი ომებით, ზეიმებით?! ერიჰა, ეს ხომ აბსურდია?! აწმყოს ექსპორტი წარსულსა თუ მომავალში ფანტაზიორობაა და თავის ტყუილუბრალო ატკივება.

ილონა: შენ იოტისოდენადაც არ გყვარებია ილონა, თორემ საქმეს

ასე არ გაირთულებდი. სამყაროში რომ უმნიშვნელო არაფერია, უდავოა. აფხაზიც, ქართველიც, რუსიც, ჩინელიც, ამერიკელიც აუცილებელი ფენომენია კაცობრიობის მერმისის თვალსაზრისით, მაგრამ მილიარდი ბიოლოგიური არსებიდან მხოლოდდამხოლოდ ადამიანის შტო გამოდგა მართებულზე მართებული. თავდაპირველად ყველას ჰქონდა შანსი ჰომო საპიენსის სტადიამდე მიეღწია, თუმცა უზარმაზარი ზეგავლენა იქონია გარემო პირობებმა, საკვებმა, მოკლედ, ეკოსისტემამ. ის წინაპარი ჭკვიანი ადამიანისა გონიერი იმიტომაც აღმოჩნდა, რომ ჯიუტად კი არ ჩაებღაუჭა თავის ბიოლოგიურ თავისებურებებს, არამედ, გამუდმებით იცვლიდა ბუნება-ხასიათს, სხეულის მდგომარეობას, იძენდა ახალ, საჭირო ნიშან-თვისებებს, უარყოფდა ძველს, გამოუსადეგარს და სწორედ მომავლის თვალსაწიერიდან იმ ერს არ უწერია გადაშენება, რომელიც ნაკლებად ჩაფრენია საკუთარს. იაპონელები შერეული ქორწინებებით სწრაფად გაიჭრნენ წინ სიმაღლეში, დაეხვეწათ სახე, ტრადიციას გადაამჯნეს სრულიად დედამიწის მონაპოვრები და შედეგმაც არ დააყოვნა. ევროპოიდის ჩამოყალიბებასაც განა დაუსრულებელმა მიგრაციებმა არ შეუწყვეს ხელი?! ადამიანი წინ მსწრაფველი ცხოველია, მან უკანდახევაც იცის წინსვლის სასარგებლოდ. თვით სინათლის სხივიც მიილტვის წინ კოლოსალური სიჩქარით, მაგრამ რაღაც მიკრონებით უკუდგება ეთერის წინაღობით ამ სწრაფვაში. ნებისმიერი მოძრაობა წინსწრაფვაა გარკვეული უკანდახევის წყალობით. **ბოშა ქალი: გაივლის ერთ კარს, გაივლის მეორეს, გაივლის მესამეს და არასდროს მოიხედავს უკან, არასდროს დაუბრუნდება გარდასულს, განცდილს**. ის, რაც ნიშანდობლივია ატომისთვის, ორგანიზმისთვის, ოჯახისთვის, წესით უნდა ახასიათებდეს პლანეტებს, გალაქტიკებს, სამყაროს. მიკროს თვისებები გაბევრებულ-განვითარებულია მაკროში. ადამიანი კრებს სამყაროს ყველა ნიშან-თვისებას და ახდენს მისი მოძრაობის ფორმებისა თუ შემეცნების სახეების სინთეზს. რატომ უნდა გამოვედევნოთ განუსაზღვრელს, აბსტრაქტულს, როცა კონკრეტული ადამიანი სასრულია, საზოგადოება კი — დაუსაბამო?! ბუნებრივია, სამყაროში არაერთხელ მოხდება გლობალური დაჯახებები, როცა ესა თუ ის პლანეტა ამოვარდება ორბიტიდან და ცეცხლი შთანთქავს, სრული განადგურების საფრთხე შეექმნება გონიერ არსებას, მაგრამ მეეჭვება კაცობრიობამ გულხელდაკრეფილი დაუცადოს თავის აღსასრულს. **ილონა: შენ ჩვენი ფორნების ბორბლებივით არასდროს მოიკიდებ ხავსს, რადგანაც ჩვენი ფორნებით შემოივლი მთელს ქვეყნიერებას**. შევხვდები კაჭარავას ოდესმე. მისმა მიგნებებმა თავგზა აუბნია ათეულებს. დამწერლობის შექმნა O-მიკრონის გახსნას დაუქვემდებარა. O-მიკრონი ხომ იგივე ნულია თავისი გრაფიკული აღნაგობით და დავასახელეთ კიდეც სამყაროს მოდუსად უდასასრულო სფერო, მაგრამ გაორებაც ხომ თვალსაჩინოა?! სფერო რანაირი მოცულობისაც უნდა იყოს, სასრულია თავისი ფორმა-შინაარსით, რადგანაც გააჩნია ცენტრი, დიამეტრი და აუთვისებელი სივრცე გარშემო-

წერილობის მიღმა. ჭეშმარიტებას მე დავარქმევდი საზოგადოებრივ, საყოველთაო ცოდნას საგნებსა და მოვლენებზე. მას არ სჭირდება საზღვრები, შეფარდებითია ეს თუ აბსოლუტური, ვინაიდან ჭეშმარიტი ნიშნავს ადეკვატურს, არც — მეტი, არც — ნაკლები, ასი პროცენტით აღქმას ობიექტური სინამდვილისას. ცეცხლთან მიტანილი დენთივით უნდა ვუფრთხოდეთ მის წარამარა ხსენებას. შეუძლებელია ჭეშმარიტი გვეწოდებინა გეოცენტრული მოძღვრებისათვის, როცა ყველა პლანეტა დედამიწის ჩათვლით მზის გარშემო ბრუნავს ჩვენს გალაქტიკაში, ხოლო რაც შეეხება სიკვდილ-სიცოცხლის იგივეობას, ლეთას ხელში გადასული პიროვნება არავის უნახავს უკან მობრუნებული. კლინიკური სიკვდილის მოშველიება, შავი გვირაბის გავლა სრულებით არ ნიშნავს სუბიექტის დამოუკიდებელ არსებობას, ინდივიდის დაშლის, გარდაცვალების შემდეგ. ეტყობა ბუნებრივი სიკვდილის პროცესი სულიერი ნეტარების უმაღლესი ფორმაა. დროის იმ უმოკლეს მონაკვეთში ადამიანი, ალბათ, მთელი სისავსით აჯამებს თავის ცხოვრებას და აქედან გამომდინარე თვითონვე მიუჩენს ადგილს საკუთარ მეს ჭეშმარიტების მიმართებაში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს სხეულწართმეული ცნობიერება ოდესმე განმეორდება: იშვა, იცხოვრა, იღვაწა, მიიცვალა და ეს არის სწორედ ინდივიდუუმის არსებობის გამართლების კონგენიალური კრიტერიუმი. დავუშვათ და ეგერ, ღალიძგასთან აფსუა-სეპარატისტის ტყვიამ გამაგორა. ჩემი გონება ერთხელაც დაატრიალებს აწ გავლილ საწუთროს, თანდათან ჩამოიშორებს მუქ ფერებს და ყველაზე ნათელი ამ შემთხვევაში შინაგანი ტკბობის პროცესი დაჩქარებულია არაბუნებრივი სიკვდილით. ამიტომაც ამბობს უეჭველად ქრისტე: არა კაც ჰკლაო, რამეთუ სრულფასოვნად ვერ შეიგრძნობს სამყაროს, უკეთ ვერ მოასწრებს მის შეცნობას, გაანალიზებას ძირფესვიანად, მოგონებებით წააბიჯებს იმ კლინიკური მკვდრების გვირაბისაკენ. რა წამყვება იქით, ვინ, ილონას მეტი?! დანარჩენი ყველა ანგარებითია. ეგ დამრჩა ერთადერთი, რომელსაც ყელზე ავგაროზივით ჰკიდია ჩემი ხატება და ამითღა სულდგმულობს. **ილონა: შენ ზანგი გოგოს თეთრი სიკვდილი ხარ. შენ მთავრობა გდევნის, მე — სიყვარული. ყველამ დაჭკრა თითო ქვა პატარა გოგო-ბიჭს. მწვანე თვალებიანს უფლება აქვს საქმრო თვითონ ამოირჩიოს. მე მაგნიტივით ვარ.** ადამიანის გონებას არაფერი სჭირს ვლადიმირის გამოსახვეტი, რადგანაც რეალურად არსებულზე მეტი ინფორმაცია ნამდვილად არ მოეპოვება. კი, ცხოვრების დაგროვილ გამოცდილებათაგან შესაძლოა ბევრი საჭიროებდეს სანიტარულ ჩარევას, მაგრამ სხვანაირი ჩხირკედელაობა წყლის ნაყვაა. მერედა, ზედმეტი სითამამე ხომ არ არის მოძრაობის გაფეტიშება?! **ჩუბინიძე: ფარდობითობის ზოგადმა თეორიამ დაასაბუთა, რომ დროის მიმდინარეობა და სხეულთა განფენილობა დამოკიდებულია ამ სხეულთა მოძრაობის სიჩქარეზე და რომ ოთხ განზომილებიანი კონტინუუმის* სტრუქტურა ან თვისებები, იცვლება ნივთიერებათა მასების თავმოყრისა და მათ მიერ წარ-**

მოქმნილი მიზიდულობის ველის გავლენით. ჯობდა აქვე განზიდულობაც დასახელებულიყო. ფანატიზმი ყველაფრის გამანადგურებელია, მომსპობი, ფილოსოფიაშიც, საზოგადოებაშიც, ინდივიდშიც. მხოლოდ განზიდულობით შეუძლებელია სამყაროში სხეულები მოძრაობდნენ. ჩვენს პლანეტაზე მეტეორების ცვენა იმიტომაც შეიმჩნევა, რომ მათი მასა, მაგნიტური ველი უსუსურია დედამიწასთან მიმართებაში, ამიტომაც მიიტაცებს ეს უკანასკნელი მასზე ათასჯერ და ათიათასჯერ მცირეს გვერდზე ჩავლისას, მაგრამ ამისი განზოგადება გაუმართლებელია ტოლფარდი, იდენტური სხეულებისათვის. არიან მეგა სიდიდეები, რომელთათვისაც დედამიწის მსგავსი სხეულები ისეთივე ულუფაა, როგორც ამ შემთხვევაში მეტეორები. სამყარო ცოცხალი ორგანიზმივით სუნთქავს, პერიოდულად ფართოვდება და იკუმშება. აკი, უწოდეს კიდეც მარადიული ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და ქრება და რადგანაც ბუნებაში არაფერი იკარგება, ადვილმოსალოდნელია მატერია ვრცელდებოდეს გარკვეულ დონემდე და უკუმოიქცეოდეს, მაგრამ დასადგენია რაა წინაღობა, რომელიც უკუაგდებს, ჩუბინიძისეულად თუ ვიტყვით, მოქაჩავს მატერიას?! თუკი მას განვითარების სპირალურ წესს დავუქვემდებარებთ, ცხადია, მისი რაფინირება უსაზღვროა. მატერიის მოძრაობის ხუთი ფორმით დედამიწაზე მიღწეულია ცნობიერი არსება. მათმა სიმრავლემ და ერთსულოვნებით სიარულმა ერთიანი მიზნისკენ შეუძლებელია არ წარმოქმნას ახალი რეალობა, რომელსაც ჩვენი ვლადიმირი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ეძახის. ასე რომ, ცალმხრივობად მიმაჩნია მხოლოდ მოძრაობის გამოცხადება სამყაროს უმთავრეს ნიშან-თვისებად მატერია-სივრცისგან მოწყვეტით. ჩუბინიძე ორიგინალურია და მე იგი ათას თეოლოგს და იდეალისტს მირჩევნია, როგორც ჭეშმარიტების მაძიებელი მოაზროვნე, მაგრამ გვარიანად დავალებულა „მგზავრის წერილებისგან" და ერთხელ თუ ჩაგითრია საუბარში, მორჩენილია საქმე: საკმევლის სურნელივით გაგაბრუებს და მერე ალილუიასავით ჩაგესმის ყურში აკვიატებული: ანუ, სწორედ, რამეთუ, ესეიგი, სხვათაშორის, ამდენად. ილია მყინვარწვერს უძრაობასთან აიგივებს უკვდავებასავით ცივს და განცხრომასავით ჩუმს. იგი ხილულ მჩქეფარებას შეჰხარის თერგის სახით და აიდეალებს კიდეც. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი. ჩუბინიძემ აღმოაჩინა საკმარისად მივიწყებული ძველი ნებისმიერი სხეულის, მოვლენის, მცნების, კატეგორიის მოძრაობა და სამყაროდ გამოაცხადა მატერიის ერთ-ერთი თვისება. ასეც არის, რადგან მყინვარიც მოძრავია, თუმცა განსხვავებული სიხშირით — მისი ამოზრდა მიწის წიაღიდან სანტიმეტრია საუკუნეში, მაგრამ ხომ არიან გაცილებით ნელი მოძრაობებიც, რომელთა ფონზე ყაზბეგის მოძრაობა თერგზე ასწილ სწრაფად მოგეჩვენება?! ჯემალი აანალიზებს ადამიანის, საზოგადოების ჩამოყალიბების ეტაპებს ამ უკიდეგანობაში, მე კი განვჭვრეტ კოსმოსის სუნთქვას, ხა-

ზალიას გარმონივით რომ წელავს და კუმშავს უჩინარი ხელი, ან კაუჩუკის ბურთივით რომ ირეკლება უხილავი კედლებისგან. როდემდე, რა დონემდე ივრცობა სამყარო, სანამდე შესწევს გამძლეობა მის დაჭიმვას, დაძაბვის ხარისხს?! აქვს კი ზღვარი ამ მიმოქცევას თუ მართლაც ვლადიმირის მატროშკაა — ერთმანეთში ჩალაგებული ასლები სიმცირისკენ და სიდიდისკენ. ფილოსოფოსადაც იბადებიან. შენ უკეთესია ავტომატს მოუჭირო ხელი და უბედური ადამიანები გამოიხსნა ცეცხლის რკალიდან, ხოლო რაც შეეხება კაცობრიობის პერსპექტივებს, მართლაცდა განუზომელია. მჯერა იგი ყოველგვარი მანკიერისგან განიწმინდება და თავისუფალ საზოგადოებაში ადრე თუ გვიან სრულყოფილად დაეუფლება ჭეშმარიტების პრინციპებს. რა ქნას ახლა ანთარიამ? გმირი კი ჰყავს ნაპოვნი. არც ტყვიაგაუმტარ ჟილეტს არ იცვამს სიტყვის იმედით უიარაღო, მაგრამ საინტერესოა, რანაირად მოახერხებს ამ ფიქრების ქაღალდზე გადატანას?"

— გენად, მორდუს წერილი რა უყავი?

— ჰო, მართლაც სულ გამომრჩა კვე... გიორგი, ცოტა ჩაიჩოჩე, — ეუბნება ანთარიას ნაბოლარა ოდიშელია. ჯინსის უკანა მარჯვენა ჯიბიდან შუაზე გაკეცილი, მარკებით აჭრელებული კონვერტი ამოაქვს, — საირმეში თქვენი გამგზავრების კვირისთავზე მოგვიტანა ლუდა ფოსტალიონმა. ზაკაზნოიაო და სანამ ჟურნალში ხელი არ მომაწერინა, არაფრისდიდებით მაძლევდა. მანეთიანიც შეიტყაპუნა. მინდოდა გამომეგზავნა, მაგრამ იქითკენ წამსვლელი ვერავინ ვნახე.

— რაო, რას იწერება მორდუ?

— როდის იყო შენს წერილს ოჯახში ვინმე კითხულობდა? — გაიკვირვა გენადმა.

— გააჩნია მომენტს. იქნებ რა უჭირთ?! სხვის იარაღებში კი აფათურებთ ხელებს და... — როკი ოდიშელიამ გამოართვა ძმას დაზღვეული წერილი.

კონვერტი საკმაოზე მეტად გაცრეცილა. ადრესატის რეკვიზიტები ლამაზი ასოებითაა გამოყვანილი ქართულად: „ზუგდიდი, მარქსის 56. როკი ოდიშელიას პირადად) მორდუსგან. 10.VI.89 წ. ქ.სოხუმი".

— ყუჰ, რა წვრილად უწერია, ამისი წამკითხავი ვარ ახლა?! — როკის მოაგონდა სტეპანცევის ექსპერიმენტული ზონიდან გამონთავისუფლებულმა როგორი სულმოუთქმელობით გადაავლო თვალი დედის სამკუთხა ბარათს. ერთი ფრაზაღა ახსოვს იქიდან: „ჩვენ ყველანი კარგად ვართ". ისე გახუნდა და დაიძენძა მერმე ის უჯრედიანი რვეულის ფურცელი, ნორმალურად ვერ ჩაიკითხა თავიდან ბოლომდე. აკი, თქვა ჟენიამ: ჩვენთან კაკანებს და კვერცხს სხვებთან დებსო.

— გიორგი, დამდე პატივი შენი რომანის გმირს!

წერილი ცალხაზიანი რვეულიდან ამოღებულ ოთხ ფურცელზეა შესრულებული. პირველი ხუთი გვერდი გაჭედილია მიჯრით მიწყობილი სიტყვებით. მეექვსე და მეშვიდეს სულ სხვა კალიგრაფია ეტყობა. მერვე მთლად ცარიელია.

— ,,მორდუ, წერილს ერთ სტუდენტ გოგონას ვაწერინებ, (კვეკვე ანთარია ხმამაღლა კითხულობს ვერა მარშანია-ავიძბას მეგრულად გადმოცემულ გულისთქმას, მაგრამ სქოლიოში ჩიჩქნა რომ არ დაგვჭირდეს, ავამეტყველეთ აქვე დედაქართულზე — ქართული მე არ ვიცი, ჩვენებურად შენ ჩინებულად გესმის, მაგრამ რატომღაც ბაბუა და ბებია რა ენაზეც მეთამაშებოდნენ, ისეთნაირად ვკარნახობ, მეგრულად. ამ მკერდით გამიზრდიხარ და იმიტომ მაქვს დიდი გული შენთან. იცი, შვილებისგან გამორჩეული არ მყავხარ და მადლობა უფალს, გარჯა შენთან მაინც არ დამკარგვია. კი, გული დამწყვიტე, პამპლვაქივით რომ მიმატოვე იქ, შუკის თავში, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, შენ ყველაფერში ცამდე მართალი ყოფილხარ. მე ტირილი მოვათავე, დავრწმუნდი, დედაშვილობა მარტო გაჩენით არ თქმულა. ღადარივით მეყრებოდა ხელებზე შენი ცრემლი და გამიგებ ალბათ, შინ რანაირი გუნება-განწყობილებით მივბრუნდებოდი. კიბეებამდე სული როგორღაც მივიტანე. საფეხურზე დავეშვი. ბავშვების ტირილი რომ მომესმა, ჩემი გასაჭირი დამავიწყდა. აივნისკენ მივიჩქარი. არის ერთი რიარია. გაუხარელი ალვერი თვალების ბრიალით დაშლიგინობს და შენს მოტანილ საჩუქრებს აგროვებს. რომ ბრაზობენ უფროსი რძლებია. ლაკობას ქალი გაწკვირინებული ზის. ჩემს კაცს დიდრონი ყურები გადმოუყრია □გეუფიშქანს), არაფერს იტყვის, არც — გულამოცლილი დაური და ანატოლი. აფუტებენ სიგარეტს და სხედან თავჩაქინდრულები.

რა ამბავია აქ-მეთქი, ამოვიწმინდე თვალები.

რა დედაჩემო და ჭიაკოკონა უნდა გავმართოო, ალვერმა.

რა დროს ჭიაკოკონობაა შვილო, ოც ივლისამდე ქვეყნის დროა-მეთქი.

ეს თქვენებურადო, ჩემებურად კი ჭიაკოკონა მაშინ უნდა გაიმართოს, როცა ოჯახში შურდინაფილი8 შემოგივაო. გოგირდს უნდა მოუკიდო და მისი სახსენებელი გადააშენოო. თავზე დაგვასვარა ყველას და კიდევ იმას ექომაგებაო. მოყოყმანე ძმების გადმობირებას ლამობს. ჩვენს ძუძუმტეობასთან რა ხელი ჰქონდა პოლიტიკურ კამათსო.

ვინ არის ბიჭო შურდინაფილი?! უყურე შენ, როგორ გავიდა თავს?! აქ მოიტანე ჩემი ტანსაცმელი, თორემ ხალხს შეგიყრი-მეთქი.

უცებ არ შემაშინოო, იმან. იღლია გამოტენილი აქვს საკაბეში მოქუჩებული ჭინჭებით. ბავშვებისთვის ნამცხვრები, თოჯინები და კანფეტებიც კი გამოუდღლეზია. სამბორბლიანი ველოსიპედიც აუღია.

დავეტაკე.

გეუბნები, მომეცი თორემ ხალხს შეგიყრი-მეთქი.

გაგონილა? თავისუფალი ხელით მსუბუქად მიბიძგა და მეც უკადრისი საქციელის დასამძიმებლად კედელს მთელი ძალით მივენარცხები.

მთლად ნუ აიშვიო, მიაყვირა ანატოლმა.

ეს დამთხვეული ჯოჯოხეთს სანატრებლად გაგვიხდისო, კბილებში გამოსცრა დაურმა.

ვაი, თქვე გულამოცლილებო, დედას გიცემენ და რანაირადაა დაგდებულ-ხართ □გელაგვუთ)-მეთქი.

ნურას უკაცრავად. ერთიც არ ინძრევა. უფროსი რძლები კი კაპასობენ, მაგრამ მათ წიწმატობას ვინ უგდებს ყურს?!

ბეჩა, ეს რა მუცლის გვრემა გამიჩენია?! იცოდე, ჩემს დაჩაგვრას როკი არ გაპატიებს-მეთქი.

თვალები დამიბრიალა.

მაგის დაშინებული შენიანებში მოიკითხეო. შეხედეთ, შეხედეთ, შვილობილით არ გვემუქრება ღვიძლ შვილებსო?! როკის გულისთვის სამივეს უფსკრულში გადაგვიძახებსო. თავისიანებით ააავსო სახლი. ქართული წიგნების კითხვას შეგვაკლა. დროზე რომ არ დაეპატიმრებინათ, ადას საქმროდ ჰყავდა გამზადებული, ჩაისიძებდა და ოდიშელიებსაც თავზე დაგვაჯენდაო. ჰაკი ბაბუას ნათქვამი ავიძებზეა ზედგამოჭრილი: ნაჯახი რას დამაკლებდა, ტარად ჩემიანი რომ არ იყოს შიგ გაჩრილიო.

ვაი, ჩემს თავს-მეთქი, ხელები მომსხვრეულივით ჩამომიცვივდა, მუხლებწართმეული იატაკზე ჩამოვჯექი. შვილიშვილები შემომეხვივნენ. მეფერებიან, მაწყნარებენ.

თქრიალით წამოსული ცრემლიდან ბუნდოვნად ვარჩევ როგორი მედიდურობით ჩაიარა კიბეები, ჭიშკრისკენ მიემართება. ღობესთან მიგდებულ გაცვეთილ საბურავს დასწვდა. ჩემი კაციც მიედევნა. ვფიქრობ ცოტათი ჭკუაზე მოიყვანს-მეთქი. საბურავი შუაგზაზე დააგდო. უკან მობრუნდა. გული მომეცა, ეტყობა დაწყნარდა-მეთქი. ხომ გახსოვს რანაირი გულფიცხი იყო □ჯღირკალი), ცივ ქვაზე რომ შედგებოდა, ვერაფრით ჩამოიყვანდი. მანქანის საბარგული ახადა. ბენზინის კალისტრა ჩამოიღო. ახლა ვიცი რაც სწადია. კვლავ ჭიშკრისკენ დაადო თავი. მოასხა საბურავზე ბენზინი, გაჰკრა ასანთს და ააბრიალა. ზემოთ შენი მოტანილები დააყარა. ჩემმა კაცმა მთლად გამოაკეთა (გეიშაკვანწ) საქმე, შენი ნაჩუქარი ქისა და ყალიონი იმ ცეცხლის ალს შეუკეთა და მეც თვალისჩინი წამერთვა. ერთხანობას აივნიდან გადავხტებიმეთქი, გამიელვა გონებაში, მაგრამ ისევ თავი შევიკავე, არ არიან ესენი ჩემი დატირების ღირსნი-მეთქი და მოვრთე კივილი. ცის კამარა დაბლა ჩამომაქვს.

გააჩერეთ, გააჩერეთო, უყვირის ძმებს ალვერი, მაგრამ აწი ჩემი დაოკება ცხრა უღელ ხარ-კამეჩს არ შეუძლია.

მოცვივდნენ მეზობლები.

ალვერი ჩემს გასაწეწად მოიჩქარის, მაგრამ გაქაჩეს და რკინის ბოძს თავს ურახუნებს.

ხედავთ, ხალხნო, გადამთიელზე გვცვლიან სისხლსა და ხორცსო.

აქ ჩემი ხელით დარჩეულმა უფროსმა რძლებმაც ამიბანეს და ჩამოწყვიტეს ვარსკვლავები ციდან, ვაცანძარა ალვერის ძახილით.

ამის გაგონებაზე მთლად დასაბმელი გახდა. სამივეს ყველაფერი ამოგვიტრიალა (გეიშამკარკაზეს).

გადაშენდით აქედან, თქვა ჯუა-გოდირგილეფიან, კი, ასე ამოგვაძახა მეგრულად და მაშინვე ხმა გავიკმინდე. ჩამოვდივარ კიბეზე რანაირადაც მეცვა, იმგვარად. ფეხშიშველი.

ფუი, შენს შვილობას-მეთქი და მივაფურთხე სახეში.

გამომედევნენ უფროსი რძლები.

ახლა მდუღარე გადაესხათ ქმარსაც და ბიჭებსაც, მაგრამ ვინ არის უკან მომხედავი. ბავშვები სხავიან.

ჯანდაბამდის გზაც გქონიათო, მოგვაწყვლის ინალი.

მეზობლები გარს გვეხვევიან □ეკმაგვარგვასუნა).

ვერა, დაწყნარდი, ცხელ გულზე მოუვიდა, აპატიე, შენს სავსე ოჯახს ვის უტოვებო.

ბომბა დაცემოდეს კაცის სიკეთით-მეთქი. ზურგზე ხომ არ მკიდია, დედის წყევლა კარგი თუა, მაგასაც ვნახავ-მეთქი.

პირზე ხელს მაფარებენ.

მთელს ქვეყანაზე გამოვაჭენებ. სახლი მუსულმანების სასტუმროდ და იარაღის საწყობად რომ გადამიქცია. როკის ხომ იცნობთ, ჩემს მორდილს-მეთქი, ვეკითხები მეზობლებს.

როგორ არა, ოქროს ბიჭიაო, მპასუხობენ.

ჰოდა, ორი დღე-ღამე უჭმელი კაცი თავისი შხამიანი ენით გამიქცია, კიდევ აქეთ გვემადლება-მეთქი.

როგორც იქნა წამოვარდნენ უფროსი ბიჭები. დაქოქეს მანქანები და გამოგვეკიდნენ. დარჩნენ უკაცრიელ ეზოში ბატონიშვილი ინალი, გადარეული ალვერი, გაწკვარამებული ლაკობხე და აღნავლებული შვილიშვილები.

არც დაურს ჩავუჯექი მანქანაში და აღარც — ანატოლს. მომსდევენ ნელ-ნელა. აცრემლებული მეზობლები არ მეხსნებიან, სახეზე მკოცნიან, მხარზე, მიჩოქებენ, ოღონდ დავბრუნდე, მაგრამ აწი ჩემი დაოკება სიკვდილის მეტს აღარაფერს შეუძლია. მივდივარ ფეხშიშველი. თანშეზრდილ ხალხს აქვითინებული დავემშვიდობე. მივდივარ წვრილ კენჭებიან გზისპირზე.

მოდი, დედაო, რომ მეტყვიან, თვალებს დავაკვესებ, თავი დამანებეთ, თორემ მანქანას ჩავუვარდები-მეთქი და ერთიანად დაშინებულები ასეთნაირად ჩავიყვანე აგუძარაში. ვინ ყოფილან ეს ბუზანკალები?! მისი ჭირი მამიდას შეჰ ყროდეს, ადამ გულში ჩამიხუტა. დამბანეს, დამვარცხნეს, ჩამაცვეს და დამახურეს და ახლა იმათთან ვარ. ფრჩხილი მომძვრალი მქონდა წვერგაბებღილი მაჰმადიანებისთვის ხაჭაპურების ცხობისგან. ჩემს გამოჩენაზე ხმას გაკმენდნენ. სახლი იარაღის საწყობად გადამიქციეს. ჩემი და ჩემისთანების ბრალია ყველაფერი, ვიცოდი და ვითმენდი‘‘.

როკი ოდიშელიამ ,,ოცდაოთხი‘‘ გვერდზე მიაყენა.

ტრასაზე იგივე ხალხმრავლობაა, მანქანების ზედახორა. ტუჩები უთრთის.

— მორჩა? — ეკითხება აკანკალებული ხმით კვეკვე ანთარიას.

— ერთი აბზაციღა დარჩა.

— ჩაამთავრე თუ კაცი ხარ.

— „დასწყევლოს ღმერთმა ადამიანის უკუღმართი ბუნება! მე საჯაროდ შემიძლია განვაცხადო, რომ ნამდვილი შვილი შენ მყოლიხარ. იქ შენ რომ ყოფილიყავი, დარწმუნებული ვარ ალვერს არ აპატიებდი ჩემს წაჯიკავებას და გათახსირებას. კვირაც არ გასულა და მამიდა შემოევლოს, ადას სიტყვა დავაწერინე. ხომ შეგპირდი ყველაფერს ვიტყვი-მეთქი? ამისთანა დედაშვილობას თავსლაფი! რა არ ვიღონე ამათთვის: ხელისგულზე კვერცხი არ შევიწვი?! ღამეები თეთრად არ მითენებია?! მშობლიური ენა არ დამივიწყნია?! სული და გული დავაკელი?! ჰოდა, კიდევ მე ვარ ჯუა-გოდირგილი?!

ძაღლის კუდის გასწორება არ იქნებაო, უყვარდა თქმა დიანოზ ბაბუას, და რაც გვჭირს, ყველაფერი ჩვენი სისულელის გამოა. ვიცი შენი ამბავი და უცებ ნუ აიფაფრები. მორდუ, მე შვილებს ვერ დავკარგავ, მაგრამ სანამ გონში არ ჩავარდებიან, თვალითაც არ დავინახვებ. წერილთან ერთად მიტინგზე წაკითხულ სიტყვასაც გიგზავნი. ამათ დაავიწყდათ თურმე, რომ მე ვერა მარშანხე ვარ!“

— ეგეც წავიკითხო? — შეხედა ალმაცერად კვეკვემ როკი ოდიშელიას.

სახემორღვეულმა მძღოლმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ცჰ-ცჰ. „აფხაზო, ქალებო, თქვენ მოგმართავთ სამი ვაჟიშვილის დედა, რვა შვილიშვილის ბებია, ვერა მარშანია-ავიძბა, წარმოშობით ისეთივე ქართველი, როგორც მრავალი თქვენგანი, ვისაც აფხაზური წესჩვეულებანი სისხლხორცეულად გაუხდია. ნუ შეგვეშინდება სიმართლის თქმის, ამას გვავალებს სამშობლო ისევ ჩვენი შთამომავლობის საკეთილდღეოდ. ცოდვა გამხელილი ჯობია; ჩვენ, განურჩევლად ქართველებს თუ აფხაზებს, უფსკრულისკენ მიგვაქანებს გუდაუთური ექსტრემისტული იდეოლოგია. „ლიხნის წერილი“, რომელიც ფაქტობრივად ორი მოძმე ერის დაპირისპირების სამარცხვინო დოკუმენტია, ყალბია ხელმოწერების რაოდენობის თვალსაზრისით. ოცდათორმეტი ათასი აფხაზი ნამდვილად ასე რომ არ ფიქრობს, ამას ჩემი ოჯახის მაგალითითაც დავადასტურებ. იმ წერილისთვის ჩემი უმცროსი ვაჟიშვილის, ალვერ ინალის ძე ავიძბას მეტს ხელი არავის მოგვიწერია. სინამდვილეში კი ჩვენი გვარ-სახელებიც გაბრწყინდა იქ. ხელი არ მომიწერია მე, ვერა მარშანია-ავიძბას; ხელი არ მოუწერია ჩემს ქმარს, ინალ ჰაკის ძე ავიძბას, თუმცა კი თანაუგრძნობს იმ წერილის პათოსს; ხელი არ მოუწერია უმცროს რძალს დალი ლაკობა-ავიძბას, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ლერწამივით ირყევა ომსა და მშვიდობას შორის; ხელი არ მოუწერიათ ჩემს უფროს ვაჟიშვილებს ანატოლ და დაურ ავიძბებს; არც მათ მეუღლეებს — ქეთი ანჩაბაძე-ავიძბას და ციურ აბაშია-ავიძბას. გამოდის რომ რვასულიანი ჩვენი ოჯახიდან მხოლოდ ერთი ხელმოწერაა ნამდვილი, დანარჩენი შვიდი — ყალბი.

აფხაზო, დედებო, ასეთი შემთხვევა ერთი და ორი არ იქნება! სანამ დროა დათრგუნეთ შიში თქვენი შვილებისა, ამხილეთ ბოროტება, თორემ მერე თითზე კბენა დაგვიანებული აღმოჩნდება!

ცეცხლწაკიდებულ სახლში ვცხოვრობთ ყველა და დროზე თუ არ დავიკაპიწეთ ხელებს, დროზე თუ არ მივაპკურებთ მდუღარე ცრემლს, ფერფლის მეტი აღარაფერი დაგვრჩება!

სხვანაირად, თავის გაუწირველად, ამ ნიაღვრის შეჩერება არაფერს შეუძლია! მამულიშვილურ საქმეში წმინდა გიორგი და მარიამ ღვთისმშობელი გმფარველობდეთ აფხაზო დედებო!"

როკი ოდიშელიამ მეტს ვერ გაუძლო, გადავიდა „ოცდაოთხიდან". ნაძვის ხეების ქარსაცავ ზოლს შეერია.

ამხანაგები ადგილიდან არ იძვრიან.

მანქანების კოლონები კვლავინდებურად მიიწევიან ღალიძგასკენ. „ჟიგულები" ხვლიკებივით მისხლტებიან ამ გაწამაწიაში. მოსჩანს აქედან ილორის მონასტრის გუმბათი, რომელიც დასავლეთით გადახრილ მზეს ოქროსფრად მოუვარაყებია. მართლმადიდებლური ჯვრის თავზე ჭილყვავები ირევიან.

როკი ოდიშელიამ როგორც იქნა გულჩვილობა ჩამოიშორა. ძირფესვიანად შეცვლილი დაწმენდილი სახით მიუჯდა საჭეს და მანქანების კოლონას აედევნა.

„ჩემი ბეთვერია მორდუ, ჩემი თმასპეტაკი. ჟენიაც ხომ დედაა, მაგრამ ეგეთი ათასში ერთი გამოერევა. სანამ ასეთები გვყვანან, ქვეყნიერებას ვერაფერი წააქცევს.

ვერა: ცოტა გულდაწყვეტილი კი არის ჩემი როკი, ციგანკა გაექცა, მაგრამ მყავს მე მაგისთვის ანგელოზი გოგო.

ინალ: არ უქნია ვალერიანს კარგი საქმე. როკი აწი ბავშვი კი არ არის, თოკი შეაბა და ბოჩოლასავით ატარო.

ვერა: სხვის საქმეში მესიაკონი ხარ. შეიძლება ანგელოზი იყო ილონა, მაგრამ რანაირი რძლობა უნდა გაეწია ოდიშელიებისთვის ქუჩაში გაზრდილს?! მაგისთვის ზედგამოჭრილი ჩემი ადაა.

ინალ: მამამისმა არ გაგიგოს, თორემ ზედგამოჭრილს განახებს.

ვერა: ვითომ რათაო? როკი ვიზე ნაკლებია, კალატოზის შვილი რომ არის და პროფესორებში არ ტრიალებს?! შენ მაინც ხარ მოწმე რა სწრაფად აითვისა აფხაზური. დამისახელე მეორე, მისი ასაკის კი არა ზრდასრული თუნდაც, რომელმაც სამ ენაზე ზეპირად იცოდეს შოთა რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსანი"?! აგერ, აფხაზურადაც ისწავლის და გაეჯიბრონ მერე.

სვეტლანა: იქნებ ჯერ ჩვენ მოგეკითხეთ რიგიანად?! ტირის). რედაქტორმა სამსახურიდან გამაგდო. ვის აკითხებდი დიოსკურის მოთხრობებსო. აფხაზები მომივარდნენ, კინაღამ კაბინეტი თავზე და-

მამხესო. მართალია, კადრების განყოფილების უფროსს მისამართი არ მიუცია, მაგრამ ტელეფონის ნომერი იციან და აწი ჩემი კოორდინატების დადგენას რაღა უნდა. ყოველ ღამე მირეკავენ: სანამ დროა აორთქლდი მოსკოვიდან ქართველების ბოზანდარაო, მემუქრებიან. პურზე ვერ ჩავსულვარ. ბავშვის მეშინია, თორემ მე ჯანდაბას. შეიძლება გავასხვისო.

როკი: სისულელეებს თავი დაანებე. დღესვე გადავურეკავ ჩემებს, იმათ მწერალს ეშმაკებს რომ დაუფეთებენ, თქვენც დაგეხსნებიან. ერთადგილას კი წამომცდა საუბარში ვამპირულ მოთხრობაზე, მაგრამ ვინ იფიქრებდა ამისთანა სიმდაბლეს გამოიჩენდნენ. მომსახურების სახლში რკინის კარები შეუკვეთე ყოველ შემთხვევისათვის, თქვენი ისედაც მორყეული იყო. მაცალე და იმ კანიბალს წერის მადას დავუკარგავ. სამეზობლოში გაიკითხე და კოსტიასთვის ვინმე მომვლელს იშოვი. სამსახურის გამო ნუ დარდობ, ანზორს ვთხოვ ბოლოს და ბოლოს. ყველაფერი მოგვარდება. ფული ხომ გაქვთ?

სვეტლანა: ჯერ კი.

როკი: ჩემი მხარდაჭერის იმედი იქონიე. ილონა როგორ არისმეთქი, რომ გკითხე, სიტყვა ბანზე რისთვის ამიგდე? ხომ არაფერი უჭირს?

სვეტლანა: მოილოგინა, ბატონო, გეტმანმა, ქალიშვილი ეყოლა. რონა დაურქმევია შენს უკვდავსაყოფად. ისე ცამდე მართალი ყოფილა შენი კნეინა. აკი, ბრძანა, უბედურ ვარსკვლავზეა გაჩენილი ეგ საბრალოო, ყველაფერი შებრუნებით გამოსდის, უყვარს და სიძულვილს იმკისო. არ დაელაპარაკები ბიჭს?

როკი: მიხარია ამ დღეში რომ ვართ? კოსტია ძველებურად ურევს?!

სვეტლანა: თმა ნელ-ნელა უმუქდება. უგდე ყური.

კოსტია: ლოკი, ია უჟე პაშლუშნი, პაჩემუ ნე პლიხოდიშ?!*

როკი: დედას მოუფრთხილდი, შენ ხომ ნამდვილი ოდიშელია ხარ?!

კოსტია: მამა ტაკაია აგლომნაია, აგლომნაია, კაკ ბუდტო ალბუზ პლაგლატილა.*

როკი: სვეტლანა, ყურმილი გამოართვი, ტელეფონისტკამ ლამის თავი გადამჭამოს.

სვეტლანა: ორი წუთი გენანება ბავშვისთვის?! იერი ჩემი თუ დაჭყვა, ხასიათით შენი ალი-კვალია. ისე ილონა კვლავინდებურად გენადის ადანაშაულებს თქვენს დაცილებაში, დაგვასმინაო. გულმა ვეღარ მომითმინა და ყველაფერი ბიცოლაშენის დამსახურებაა-მეთქი, ვტკიცე. რატომ არ უნდა ცოდნოდა სიმართლე?! ძაღლი მიაკვდეს

სულშიო, მიაწყევლა. რედაქტორმა ერთი სიკეთე კი მარგუნა. განთავისუფლების შემდეგ ამნაირად დამმოძღვრა: პატარა იმპერია ტყუილად არ უწოდებიათ თქვენი ქვეყნისთვისო. ისეთი რა ხართ ეს ქართველები, რომ ყველა გარბის თქვენგანო. მაშინ სად მეცალა ამ სიტყვების ანალიზისთვის. მოგვიანებით გავაცნობიერე, ჩვენი გვარის გენეოლოგიას ჩავეძიე და აღმოვაჩინე, რომ პაპის პაპა თავადი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი მყოლია, ვახტანგ მეექვსეს ამალას წევრი. მოკლედ, ჩემს კონსტანტინეს სრული უფლება აქვს განაცხადოს: ქართველი ვარ დედით და მამითო.

რონა. რონა. ალვერივითაა. როკის და ილონას კომპოზიტი. ილორთან რა ესაქმებათ?“

მანქანების ჯგროში გაღწევა შეუძლებელია. როკი ოდიშელია და მისი მეგობრები „ოცდაოთხიდან“ გადმოლაგდებიან.

დაფერდებულ მინდორზე უბორტო ტყემზიდს ზღვა ხალხი შემოჯარვია.

აქა-იქ ეროვნული შინდისფერი დროშები ფრიალებენ. ძარაზე ასული გოლიათები, მერაბ კოსტავა და ირაკლი წერეთელი მიტინგს ამთავრებენ. შიგადაშიგ ნაცნობი სახეები გაკრთება როკი ოდიშელიას თვალწინ.

თორი ფიფიას ასზე მეტი რჩეული ვაჟკაცი ჩამოუყვანია ჯვარიდან. კარაბინიან სვანებს ბიჭურად შემოსილი გვაშაყანი მოუძღვის.

მთელი დასავლეთ საქართველო აქ შეყრილა.

სადღაც ენვერ პაჭკორიას და დედით აფხაზ კინტუშა კორტავას შეასწრო მზერა.

ზუგდიდლების საყვარელი ფეხბურთელი ბადრი თუთბერიძეც აქ არის თავის გუნდიანად.

თვალი უმალესად აღიქვამს უბატონო გლეხების შთამომავალს, არამხუტუსმაგვარ არსენა მესხიას; ძმებს, ვოვა და თამაზ აბშილავებს, გერო შეროზიას, ზარქუებს წალენჯიხიდან.

აქ მოსწრაფებულა ძაღლების დათვალიერების უმეტესი მონაწილე.

ამჩნევს ლიმონისა და თხილის გამყიდველ ბიჭებს დანისლული ლაინერიდან.

ხობელებს ჟორა გერგაიას ვაჟი წამოსძღოლია.

ფოთელები შავტუხა გულუას ხელმძღვანელობით მოსულან.

მარტვილიდან კვეკვე ანთარიას მოგვარეები დაძრულან.

სამურზაყანოელების სიმრავლეა, ერთად შეჯგუფებულან კოკი ოყუჯავა, საჯაიები, იზორიები, ტუფურიები და ჩიკვატიები; აქ არიან ვახტანგ სექანია, დასტაქარი გუნჯუა, ხუმბაბასავით ვეშაპკაცი ვახტანგ შონია, მეტსახელად — ჩოხო, ზაურ გოცირიძე, სახედაღარული რუდიკ ცატავა, დათო შენგელია, რუზგენ გოგოხია...

მოზღვავებულან ეკელი ელიავები და დავითაიები.

აბაშელები მობობოქრებულან მთაკაცი ჭანტურიას მეთაურობით. კიდევ რამდენი ნაცნობი სახე მოცურავს როკი ოდიშელიასკენ, გვარ-სახელს რომ ვერ იხსენებს?!

ანაფორა გაუხდია მამა ფრიდონს და ორლულიანს ჩაჭიდებია ჯვრის მაგივრად.

ვაკო ჭკადუა საფანტით დაჭრილა. ღალიძგას ხიდზე გაჩხერილი „კამაზის" გათრევა მოუწადინებია მძლავრი ტყემზიდით. ვასიკო ქვარაიას აღმოუჩენია თურმე პირველადი დახმარება. ყმაწვილ კაცს ტრადიციით მოსდგამს ასეთი რამეები. აფხაზების ავტომატების კაკანზე მდინარის მარცხენა ფერდობს ეფარებოდნენ გუშინწინ, გუშინ როსტოკაკა ოდიშელები. სწორედ იმ ტყვიათაგან ერთ-ერთმა იმსხვერპლა კომბინატელი შენგელია, ბუდუ ხურცილავას ძმაკაცი. მათი ორლულიანების საფანტი ღალიძგაში ცვიოდა. ორხიდიანი მანქანით მოუწადინებიათ მდინარის გადმოლახვა აფსუებს და რომ არა ჯაგარულვაშა დემურ ანთიას კარაბინის ჭახანი, ვინ იცის, იქნებ დაეტყვევნათ კიდეც ხის აბჯრიანი გულფოლადი ოცეული.

მდინარის მარჯვენა ნაპირი წინდაწინვე ბეტონის ფილებით გაუმაგრებიათ აფხაზებს. როგორც ჩანს, ამ წუთისთვის დიდი ხანია ემზადებოდნენ კვეკვე ანთარიას ძმადნაფიცისა და ოდიშელიების ძუძუმტეების ხალხი. მაგრამ ამისთანა აბობოქრებას, არათუ აფხაზები, თვით ქართველებიც ნამდვილად არ მოელოდნენ.

ასიათასი კაცი მაინც მოჯარებულა მამულის დაძახილზე. მზე ნელ-ნელა ეშვება დასალიერისკენ. ჩვიდმეტი ივლისია. ჭიაკოკონობამდე სამი დღე დარჩენილა. თუკი დასცალდა ანახვებს როკი ოდიშელია უმადურ ჩიტირეკიას როგორ უნდა „არული კუდიანებსა".

ვერა მარშანხე კი გუშინ ამ დროს ალვერისკენ მიიჩქაროდა.

დაჭრილიაო, რომ უთხრეს, ტანი ერთიანად მოერღვა, კანკალმა აიტანა, მუხლისთავები უცახცახებდა, ცრემლი თქრიალით ჩამოსდიოდა სახეზე. წამში განქარდა მემკვიდრის გულის დამკოდავი სიტყვები. ძმისშვილთან ერთად მისულსწრაფობდა რესპუბლიკური საავადმყოფოსკენ. ქირურგიული განყოფილება მესამე სართულზე გახლდათ. დასასრული არ უჩანდა საფეხურებს. დერეფანში შეკრებილიყვნენ ანატოლი და დაური, რძლები, უფროსი შვილიშვილები, სოხუმელი მეზობლები. სული ეხუთებოდა ვერა მარშანხეს. პირი გამოშრობოდა, ყურები უხურდა. მისი ფანჯარა დილიდან ამოიჩემა სკვინჩამ.

— როგორ არისო, — უნდა ამოეთქვა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა, სასოწარკვეთილი გამომეტყველებით მიაჩერდა ღვიძლებს.

— გადავრჩით, — მიეგებნენ დედას უფროსი შვილები, — ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული, მაგრამ აწი საშიში არაფერია. ყველაფერს მალხაზ ჯღამაიას უნდა ვუმადლოდეთ, ნახევარი ლიტრი სისხლი გაიღო.

პალატისკენ წარუძღვნენ მუხლებწართმეულ მშობელს ძმები ავიძბები.

მარცხენა მკლავზე წვეთოვანი ეყენა ალვერს. თავი სქლად შეეხვიათ დოლბანდით. მსუსხავი თვალები და ცხვირ-პირი უჩანდა მხოლოდ. დაბინტული გულ-მკერდიდან სისხლს გამოეჟონა. დასუსტებულიყო, თითქოს დამცხრალიყო მისი მბორგავი პირმშო. ვაჟისკენ ნაბიჯი წადგა დედამ.

— ჩემი აღსასრულის სანახავად მოხვედი, ხომ?! შპიონი! შპიკი! აჰა, დასტკბი, არ მინდა შენი დაყვედრებული სისხლი! — აფცირდა უცებ და გაფითრებული მარჯვენით წვეთოვანი მოიგლიჯა. მკერდზე შემოჭერილ სახვევს ებრძოლა, — დასტკბი, ხომ ხედავ გამოვუშვი!

გაოგნებულ ვერა მარშანხეს ლოყაზე ტკაპანით ეცა სისხლის წვეთი, ტყვიასავით ცხელი და მწველი. ეს ყოველივე ელდასავით მოხდა გახევებული ძმების თვალწინ. ექიმი და მედდები გონზე ვერ მოსულიყვნენ, მაგრამ პროფესიულმა ალღომ ისინი უცებ გამოარკვია და მშფოთვარე ავადმყოფს მყისვე ხელები დაუჭირეს. ნათესავები აბობოქრებულ დაჭრილს შემოეხვივნენ.

— ჰაერი, ჰაერი! — ყვიროდა ქირურგი, — გადით პალატიდან, ყველა გადით!

კართან შექუჩდნენ. ძმისშვილი ადაც ალვერის მდგომარეობამ ჩაითრია. ვერა მარშანიასთვის არავის ეცალა.

წელში გაიმართება უცებ. შავი ლეჩაქი მოსძვრომოდა ინსტინქტურად. სპეტაკი თმა ჩამოშლოდა სახეზე. სისხლის წვეთს ლოყა ყბამდე გაეხაზა „კატაკალას“ უარყოფითი პერსონაჟის მსგავსად. მანდილი მისრიალებდა მტვრიან იატაკზე და უსუსურ კვალს სტოვებდა. დასავლეთით წითელი, გარუმბული მზე ალვის ხეთა კენწეროების შუბებზე წამოგებულიყო. ვერა მარშანხეს სხეულს ჯერაც შერჩენოდა უკანასკნელი ამბოხებისთვის სამყოფი ძალა. მოხედა ერთი საკუთარი წიაღის მკვახე ნაყოფს და აუმღვრევლად გადაეშვა ფანჯრიდან.

— მშვიდობით, მორდუ! — ამის თქმაღა მოასწრო უბედურმა დედამ და ასფალტზე შურდულივით დაენარცხა.

როკი ოდიშელიას ტანში გააჟრჟოლებს რატომღაც.

ბურანიდან გამორკვეული ტყემზიდის ძარაზე აღზევებულ ლიდერებს მიაჩერდება. სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ მერაბ კოსტავას მარჯვენა ხელი ზე აღუმართავს. მოლაშქრე ასიათასეულს ხმა გაუკმენდია.

— ხალხნო, წინამძღოლად ვის აირჩევთ?! — ბოხბოხებს ზეზეური ეროვნული გმირი.

ეს წუთია და „როკი ოდიშელიაო“ ერთდროულად წამოიძახებს ასობით ადამიანი, რომელიც თანდათან მონოტონურ გუგუნად გადაიქცევა.

— როკი ოდიშელია! როკი ოდიშელია! — ზანზარებს ილორის ბინდისპირული ცა. თითქოს რუხის ციხესთან ილონას ოდინდელ განწირულ ხმას ტემბრი შეცვლია, გაასიათასებულა სიყმაწვილიდან სიჭარმაგეში ზეაღმტაც ძალად.

გზას უთმობენ, მიმოიწევიან. წელს ზემოთ შიშველი მამაკაცების ტალღა შუაზე იპობა, უფრო სწორად, როკი ოდიშელიას სავალ არეში გაიხლიჩება ერთსულოვნებით შეკრული სხეული, გაივლის, გაატარებენ და ხელად გამრთლიანდება ზურგს უკან.

დაბნეულია როკი ოდიშელია. ცრემლიც სდის თვალებიდან. არ არის ეს სიხარულის მარგალიტები, რომელიც ავანსად გაღებულ პატივდებას მოსდევს ხოლმე. სიტყვას რომ ვერ უსრულებს მორდუს, ეს უთრთოლებს ნიკაპს უწინარესად. დღეის სწორს ძმებთან ერთად მივა იგი აძიუბჟაში მორდუს სპეტაკი ნეშტის წინაშე მუხლის მოსაყრელად, მაგრამ ახლა უკანდახევა იქნება?! როკი ოდიშელია მანქანა როდია უკუსაქცევი სიჩქარე ჰქონდეს. როკი ხომ გრიგალებს ფარ-მუზარადად მიგებებული ძელქვაა?! იქნებ ამისთანა ყისმათი წინასწარ დააბედა გამჩენმა — მთელი სიცოცხლე ჭირთათმენით ესულდგმულა, რათა ბოლოს სასწაულად ამაღლებულიყო?! საკუთარ თავს გადახტომოდა აწმყო-წარსულ-მომავლიანა?! როგორ ეძახის ამას სტეპანცევი?! სალტო-მორტალეს, არა?! ეგებ ასე სჯობდეს თავად მორდუსთვის, ძუძუმტე ავიძბების მომავლისთვის?! ტყვიით კი არ სჯიან ავადმყოფს, არამედ მკურნალობენ. ამნაირად განსჯის. აგერ, ეროვნული მოძრაობის ლიდერები უწვდიან ხელებს.

ხტომები როკი ოდიშელიას მოგონილია, მაგრამ ამჟამად დაუხმარებლად მის მუხლებს ნამდვილად არ ძალუძს კოჭებამდე სიმაღლის დაძლევა. ხელებს ხელები შეეშველება. გოლიათებში ჩამდგარა ფართოფარფლიანი ცილინდრით. წელს ზევით შემოსილი, ალბათ, მხოლოდ ეს სამეულია, სხვაგან თეთრად ქათქათებს მთელი სივრცე. როკი ოდიშელია ილორის წმინდა გიორგის საბრძანებლისკენ შემოტრიალდება. თავს ზემოთ ასწევს წუთისოფლისგან ანაყმუვლებ მაჯებს, მერე მარცხენა მოშორდება მარჯვენას, დარჩება ჰაერში გაყინული. აქამდე აბაბანებული ზღვა ხალხი მსწრაფლ გაილურსება, ისე რომ კაბადოკიელი ლაზის სახელობის ეკლესიის გუმბათის ჯვარიდან აფრენილი, ჯოლოხავების ხარების რჩოლისას ცალი თვალით დაბრმავებული ბუზის გაფრენაც კი არ გამოეპარება დაძაგრულ ყურთასმენას.

შენიშვნები

სონეტი როკის

კლდის წვერზე ვდგავარ, დამეხილი, ვეება როკი,
დაკორძებული, უფოთლებო, ბორჯალებს ვმწყემსავ,
ქარბორიაყებს იანვარში ტოტებით ვგმანავ,
დავტოვე ტყე და ელჭექისკენ წამოვხრიოკდი.

უკუნეთ ღამით გველეშაპის იწყება ზლაზნვა,
შემომეხვევა, გადამბრჭყალავს, ბოძალით ვმსჭვალავ,
ინათებს თვარა ყვავ-ყორნებით ნაბდებს მოვიქსოვ,
აწმეცრემლება — მტერს ყველა გზა გადავუმუსრე.

თაკარა დღეში თავის ოფლი ჩამსდის ტერფამდი,
ვნატრულობ წყაროს, აღარ მსტუმრობს ზღვაური მგზავრი,
მივლულავ თვალებს — წამოზვირთდეს იქნებ სიზმარი.

მაგრამ ძილის ცა ვარსკვლავების ქაცვით ავსილია,
გამაჟრიალებს — ჯერ არვინ ჩანს თვალსაწიერზე,
შეღამებამდე მამულს ქედი რომ მოუგრიხოს.

ლიმა — ომი, ბრძოლა (მეგრ.)
ტალკან — პურის ნამცეცებისგან და შაქრის ფხვნილისგან სატუსაღოში დამზადებული ტკბილეული
ნა ვიხოდ — გამოდით! (რუს.)
კარმუშკა — საკნის კარს დატანებული სარკმელი, საიდანაც საჭმელს აწვდიან პატიმრებს (რუს.)
პრაშაი, ვასია! — მშვიდობით, ვასია (ძმებო), (რუს.)
ვსემ ჟელაიუ სვობოდუ, ბრატვა! — ყველას გისურვებთ თავისუფლებას, ძმებო! (რუს.ჟარგ.)
გრებენ — პასიური მამაკაცი, პედერასტი (რუს.ჟარგ.)
ხატა — საკანი (რუს.ჟარგ.)
ბაითი — აქ პატიმრის საცხოვრებელი ადგილი (რუს. ჟარგ.)
ზვერი — მხეცები, აქ ქართველები (რუს. ჟარგ.)
დიკარი — ტყიურები, აქ შუაზიელები (რუს.ჟარგ.)
ნენცი — ნენცები, აქ რუსები (რუს.ჟარგ.)
ბურავიკ — ზონაში დანაშაულისთვის გაძლიერებული რეჟიმის საკანში მჯდომი პატიმარი (რუს. ჟარგ.)
სტატუს ქვო — არსებული მდგომარეობა (ლათ.)
ეტნა — ვულკანი იტალიაში
კოიკა — საწოლი (რუს.)
პალაჟენიე — მდგომარეობა (რუს.)
ქსივა — წერილი, ბარათი (რუს. ჟარგ.)
არესტანტი — პატიმარი, ტუსაღი (რუს.)

დაბრიდეს, დაბრიდვა — მოკლეს, მოკვლა, წარმოსდგება კინოფილმი „შესანიშნავი შვიდეულის“ ერთ-ერთი გმირის, ბრიდის სახელისგან, რომელიც დანის სროლით განგმირავდა დუელში გამოწვეულ მოწინააღმდეგეთ (ჟარგ.)

სევეპე — პატიმრებისგან შემდგარი შინაგანი წესრიგის საბჭო, ადმინისტრაციის დასაყრდენი ძალა ზონაში (რუს.)

მასტი — მხარდამჭერი (რუს. ჟარგ.)

კაჩერკა — საცეცხლური (რუს.ჟარგ.)

სტუკაჩ — ჩამშვები (რუს.ჟარგ.)

ზავხოზ — მნე, სამეურნეო ნაწილის გამგე (რუს.)

პრესსატა — საკანი, სადაც თავმოყრილია ქურდების მიმართ განაწყენებული ხალხი (რუს.ჟარგ.)

სამაგონ — შინნახადი არაყი (რუს.)

ტარიანი — შეკეთებული, მოსაწევი, პაპიროსი ანაშით (ჟარგ.)

ტრინადცატი, პადგანიტე ბაიან — მეცამეტე, გამოაგზავნეთ შპრიცი (რუს.)

პანტერა პრილეტელ — პანტერა მოფრინდა, ჩამოვიდა (რუს. ჟარგ.)

ჩიხნარ — ჩაის ნაყენი (რუს.)

პადგონიმ განცა — გამოვგზავნით მსტოვარს, შიკრიკს (რუს.)

ჩიფირ — მაგრად დაყენებული ჩაი

სვოიაკ — ქურდი (რუს.ჟარგ.)

ტფუ, ტვარ! — პირუტყვი (რუს.)

ბრასლეტ — სამაჯური, აქ ხელბორკილი (რუს.ჟარგ.)

აბერკოტ — ილეთი კრივში

ჩორნი ვორონა — შავი ყვავი, აქ პატიმრების გადასაყვანი მანქანა (რუს.ჟარგ.)

გრევი — სასიამოვნო ნობათი (რუს.ჟარგ.)

ყაზაყი — მამაკაცი (მეგრ.)

ბაგაჟნია — საბარგული (რუს.)

ვერზილა — მუტრუკი, აყლაყუდა (რუს.)

პარენ — ჭაბუკი (რუს.)

ცეუჭ, მედინაფვე ბაღანა — ეხ, დაღუპულა ბავშვი (მეგრ.)

გესერელი — შემოღამებული, დავსებული (მეგრ.)

ობიშხა ჭითა — წითელი პარასკევი (მეგრ.)

აჭ დო გაჭით — გამალებით, სწრაფი სიარულით (მეგრ.)

ზიმოთი — ბაბანი, გნიასი (მეგრ.)

განაბი — ქურდი (ჟარგ.)

პაბეგ — გაქცევა (რუს.)

პადდერჟკა — მხარდაჭერა, თანადგომა (რუს.)

კრისალოვ — პატიმარი, რომელიც ქურდული კანონით აკრძალულ ადგილას იპარავს (რუს.ჟარგ.)

ბეშანნი — ცოფიანი, აქ უშველებელი თანხის გაგებით (რუს.ჟარგ.)

სხოდკა — ქურდების თავყრილობა, შეკრება (რუს.ჟარგ.)

პრიროდნი — ბუნებრივი (რუს.)

მიღება — სამაგიერო დარტყმა (ჟარგ.)

უპრიოკ —შენიშვნა უხეშ ფორმებში (რუს.ჟარგ.)

პეტუხ — პასიური მამაკაცი, მამათმავალი (რუს.ჟარგ.)

დუდ ტურტურუს — თავკოტორას (მეგრ.)

ეს ჭარგავა ტურუ, სულელია და უმწიფარი.
ფეხი სადაც დადგა — ძაღლმა მიაყმუვლა,
ვინც კი კარი გაუღო, ლაფში შეაცურა,
ზურგი რომ შეაქციეს — ცეცხლი წაუკიდა,
დაშლიგინობს ტყვიით, ქვეყანა წაბილწა,
ნათესავი და მოკეთე, ერთიანად მოიმდურა,
შუბლის ძარღვი გაწყდომია, მიდის, მითავნებობს,
კატა ზედ მიხრჩობოდეს და ძაღლი მიკვდომოდეს სულში (მეგრ.)

ბაბკი — ფული (რუს.ჟარგ.)
სროკ — ვადა (რუს.)
ჭიკორკული — ფრინველის კუჭი (მეგრ.)
შმონი — გაჩხრეკვა (რუს.ჟარგ.)
ანაშა — თრიაქი (რუს.)
ზეკი — პატიმარი (რუს.ჟარგ.)
ქესი დაუადეს — ფული მისცეს (ჟარგ.)
კამანდიროვკა — მივლინება, აქ პატიმრის რუსეთის ზონაში გადაყვანა სამშობლოდან (რუს.ჟარგ.)
პერესილკა — გამანაწილებელი პუნქტი (რუს.)
ჟილკა — ჟინი (რუს.)
დუხ — სული, აქ შეუპოვრობა (რუს. ჟარგ.)
შაკალ — ტურა (რუს.)
გლოტკა — სიტყვა-პასუხი, ლაყაფი (ჟარგ.)
ფენია — ქარაგმა (რუს.ჟარგ.)
პა ვხოდუ დელო — საქმის მსვლელობაში (რუს.)
მუჟიკ — ქურდული გაგების პატიმარი (რუს.)
ბეზ პიტი მინუტ — ახალგაზრდა, რომელიც წუთი-წუთზე ელის კანონიერი ქურდის წოდებას (რუს.)
პრიკოლ — შებმა (რუს.)
ფილკი ესტ? — ფული არის? (რუს.ჟარგ.)
ნიშტიაკ ბიკსა, ვაბშე ბაბა, ტო შტო ნადა — კარგი გოგოა, ნამდვილი ქალია (რუს.)
ნაჩნიე პასტელ — ღამის ლოგინი (რუს.)
ისპოლნიტელ — აღმასრულებელი, აქ სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მომყვანი (რუს.)
ახვარი — გათახსირებული (ჟარგ.)
ობშიაკი — საერთო (რუს.)
ზაიკნიოტ — წამოცდება (რუს.)
სპროს — პასუხის მოთხოვნა, მოკითხვა (რუს.)
ვზროსლი — ზრდასრული (რუს.)
ზალატოი პიტიორკა — ოქროს ხუთეული (რუს.)
სრედი ვოროვ პოპა ნეტუ — ქურდები თანასწორუფლებიანია (რუს.)
რეზბალნიცა — რესპუბლიკური საავადმყოფო (რუს.ჟარგ.)
უტეხენ — აძლევენ (ჟარგ.)
კრიტი — დაკეტილი (რუს.)

ასობნიაკ — განსხვავებული რეჟიმი (რუს.)
პალასატი — პატიმარი, რომელსაც სამზე მეტი ნასამართლობა აქვს ერთსა და იმავე დანაშაულზე (რუს.)
ლიპჩიკ — ბიუსჰალტერი (რუს.)
ანუკა მეშკი ნა პოლ — აბა, ტომრები იატაკზე! (რუს.)
ხატა ვარავსკოი? — საკანი ქურდულია? (რუს.ჟარგ.)
ა ჩეგო ტი კრისა შურუდლივაია, ნოჟომ ბროდიშ, ვ ხატე რაზ-გულივაეშ? — რა იყო შე ძრომელა ვირთხავ, დანით რომ დაბოდიალობ დაიჯგიმები საკანში?! (რუს.)
ბლადსკაია ვაში ხარია, ვსეხ ატ ვას სპროს ბუდეტ — ბოზური თქვენი სიფათი, ყველას მოგეკითხებათ! (რუს.)
კტო ეტი მახნოვშჩინი? — ვინ არიან ეს მახნოველები? (რუს.)
და ნუ იხ, პოსლე აბიასნიუ — ერთი მაგათიც, მერე აგიხსნი (რუს.)
ვაშ ზემლიაკ, ზვერიუგა ტო შტო ნადა — თქვენი თანამემამულეა, მხეცივით ბიჭი (რუს.)
ბრიალიანტა აჟიდაემ ნა დნიახ. ვსე ანი ურკი. პაიდიომ, პაზნა-კომიმსია — ბრილიანტს დღე დღეზე ველით, ისინი ყველა ქურდია, წავიდეთ, გავეცნოთ ერთმანეთს! (რუს.)
კასიაკ — შეკეთებული, ანაშა (რუს.ჟარგ.)
ქსივა დაწვოდა — წერილი წაართვას (ჟარგ.)
კორონაცია — გვირგვინის დადგმა, აქ ქურდად კურთხევა (რუს.ჟარგ.)
სუტკა — დღე-ღამე (რუს.)
რასხოდ — აქ, მიტევება პატიება (რუს.)
მალალეტკების — არასრულწლოვნების (რუს.)
ვარავსკოი მასტ. კლონიტსია კ უბისტვუ, იმეეტ ნე აბიკნავენ-ნოი სილ. ოჩენ მუდრი — ქურდული გაგებისაა, მიდრეკილება აქვს მკვლელობისკენ. არაჩვეულებრივი ძალ-ღონის პატრონია, ძალიან ჭკვიანი (რუს.)
ნი ზამეტნო — არ ეტყობა (რუს.)
პარაშა — საკნის ღამის ქოთანი (რუს.)
ნასეტკა — ადმინისტრაციის მიერ მოსყიდული პატიმარი (რუს.)
ვალჩოკ — საჭვრეტელა საკნის კარზე (რუს.)
ოჩაგა — ვაცი (მეგრ.)
ჰომო სოვიეტიკუს — საბჭოთა ადამიანი (ლათ.)
ვისში სორტ ვრუზინ — უმაღლესი ხარისხის ქართველი (რუს.)
ხერშვინი — სტვენა თითებით, ხელსტვენა (მეგრ.)
ქვეყანა სიცხისგან იწვის. (მეგრ.)
ჯალეფი — ხეები (მეგრ.)

ჰე, ზუგდიდო, შე ბედოვლათო,
რა დღესაა რომ უძლებ,
სხვას ჭვიშტარს (ყველიან მჭადს) უცხობ და
შენ ხმიადს შეგზნებიხარ,
სხვას ღვინოს ასმევ და
შენ ჩხოუშიას წყალს ნთქავ. (მეგრ.)

ძოკი — შიშაგი, ორი-სამი წლის ფურკამეჩი, უშობელი (მეგრ.)
კრიშები — შემწერთაგან მფარველები (რუს.ჟარგ.)

გულიანკა — გრიალი, დროსტარება (რუს.ჟარგ.)
პუტანკი — მეძავები, რომლებიც ფულზე ჰყიდიან სხეულს (რუს.)
შუტკა — ხუმრობა (რუს.)
მალიშ — ყრმა (რუს.)
მახორკა — თუთუნის ღერებისგან დამზადებული თამბაქო (რუს.)
კლეისტერი — პურის გულისგან დამზადებული სითხე (რუს.)
ნე ზაბუდუ ბრატა გივი — არ დავივიწყებ ძმა გივის (რუს.)
კარონა ბეზ ცარაპენკი — (ასოს) გვირგვინი გაუკაწრავი (რუს.)
რედკოსტ, ჩელოვეკ ნე ზანიმაიუშჩი ანანიზმომ — იშვიათობაა. კაცი, რომელიც არ მისდევს ონანიზმს, ხელცთუნებას (რუს.)
ნე ზაბუდუ მატუშკუ როდინუ — არ დავივიწყებ დედიკო სამშობლოს (რუს.)
ნარუჩნიკი — ხელბორკილი (რუს.)
სმერიტელნაია რუბაშკა — თვინიერების პერანგი (რუს.)
ზაგსი — მმაჩის ბიურო (რუს.)
ვადოპილათ, თქვა ღურელეფი — ნუ მომკლავთ, თქვე (მკვდრებო) მკვდარ-ძაღლებო (მეგრ.)
პალადიევიჩ, გინმოსქილიდე, წიე! — პალადიევიჩ, გადამარჩინე, ბიჭო! (მეგრ.)
სოჟიტელნიცა — არაკანონიერი ცოლი (რუს.)
ვარავაიკა — ქურდი ქალი (რუს.)
შოკოლადნოე ატნაშენიე — შოკოლადურ, ტკბილ დამოკიდებულებაში (რუს. ჟარგ.)
ეტო ნე ზაპოდლო — ეს სასირცხვილო არ არის (რუს.)
ზაბეგალოვკა — სასაუზმე (რუს.)
სტალინ დო ბერია ქორწანსდა, ჭიჭე ფარა ქომუჩია — სტალინი და ბერია თუ გწამს, ცოტა ფული მომეციო (მეგრ.)
აღაია — ახტაჯანა ქალი, მოურიდებელი, ურცხვი (მეგრ.)
პერედაჩა — ამანათი საპატიმროში (რუს.)
წურწინს არჩქილენა — დაწრუწუნებას უგდებენ ყურს, თვინიერები ხდებიან (მეგრ.)
ატბოი — დაწოლის დრო (რუს.)
ბეტარი — მამალი თხა, ბოტი (მეგრ.)
ხოზაბსლუგა — სამეურნეო მომსახურება (რუს.)
პადდავკი — თამაში წაგებაზე შაშში (რუს.)
ნაჩალსტვო — უფროსობა (რუს.)
როსტოშ ნასხაპა — როსტოს გადანახტომი (მეგრ.)
ყველა ქურდი თანაბარია, გინდა — ახალგიზრდა, გინდა — მოხუცი (რუს.)
გრეხი — ცოდვა (რუს.)
შნირი — დამლაგებელი (რუს.)
კლიკუხა — მეტსახელი (რუს.)
პეკეტე — საკნის ტიპის შენობა (რუს.)
ნევრედნიე მუჟიკი — ქურდული გაგების პატიმრები (რუს.)
ზაპასნოი — სათადარიგო (რუს.)
კონფესიონალური — ეკლესიასთან დაკავშირებული, (ლათ.)
მაჭამე ძუკუ ერთი სოსისი, შენი დედის უკანალში ბჟოლის სოლი! (მეგრ.)
გალოპი — ძველებური სამეჯლისო ცეკვა სწრაფი ტემპისა (ფრანგ.)

სიმპლეკს კონსკი — იყენებენ, როგორც ნარკოტიკს

სქან ჯგირობუაშო, ნანა — შენს სასიკეთოდ, შვილო (მეგრ.)

საბატონიშ სისმარი, კაკალ გურსუ — ლისმარი! — შაბათისა სიზმარო, კაკალ გულში — ლურსმანი! (მეგრ.)

აქტიროვკა — კომისიის მიერ სიგიჟის დადასტურება პატიმრისათვის (რუს.)

მაცარქალა — ცანცარა, ცერცეტა (მეგრ.)

ამსერ ჩქინი მოჭყუდუსუ, მუშ სისქვამე გოჭყუდუნსუ — ამაღამ ჩვენს პატარძალს თავისი სილამაზე გამზითვავს .(მეგრ.)

წიე, ქიდიბურჯინე, სქანობრათ, თოლეფი გაგვირინე — ბიჭო, აბობოქრდი შენებურად, თვალები დაახილე (მეგრ.)

ტინტილა — ხვლიკი (მეგრ.)

ემვედე — (МВД) მინისტერსტვო ვნუტრენნიხ დელ — შინრაგან საქმეთა სამინისტრო (რუს.)

დამსკი პალეცი — დედოფლისთითა, ყურძნის ჯიში (რუს.)

კუკლა — თოჯინა, ფულის შეკვრა, რომელსაც ზემოდან და ქვემოდან კუპიურებია დადებული, შიგნით კი ქაღალდითაა გამოტენილი (რუს. ჟარგ.)

პაჩკა — შეკვრა (რუს.)

ლისტევოი — ფურცლოვანი (რუს.)

ჟეშტი — თუნუქი (რუს.)

ზაპრეტკა გახია — აკრძალულ ზონაში შევიდა (ჟარგ.)

ზამმინისტრი — ზამესტიტელ მინისტრა, მინისტრის მოადგილე (რუს.)

ტელოხრონიტელ — პირადი დაცვა (რუს.)

რიმ-კრიმი — იგულისხმება მრავალგზის პატიმრობა (რუს.)

რაზბორკა — გარჩევა (რუს.)

კარალევა — დედოფალი (რუს.)

ნი ვიჟუ — თვალის არიდება (რუს.)

პაპაშ დოხორე — მღვდლის სამოსახლო (მეგრ.)

დაჩა — აგარაკი (რუს.)

აბშენიე — ურთიერთობა (რუს.)

ვიპუსკ — გამოშვება (რუს.)

საფეხური მაღლა, საფეხური დაბლა არანაირი მნიშვნელობისაა (რუს.)

ხოზო — ერთგვარი ყველიანი კვერი, მრგვლად მოხარშული (მეგრ.)

ბორჯი — დრო, ჟამი, დანიელ ფიფიას ლექსის სათაური დროვ, ყველაფერი შენ გაბარია, წარსული, აწმყო და მომავალი. დროვ, სადაა რომ შენ არ ყოფილხარ, სად არ ამჩნევია შენი ნავალი. მოსრიალებ განუწყეტლივ, ყოველთვის ერთნაირად მსრბოლი, შენ იცი, სად ვინ შემცდარა, სად ვის მიუძღვის ჯაფა. შენ გახსოვს ის, რაც არ ახსოვს არავის ცასა და მიწას შორის. შენ უცქეროდი მზისგან მიწის საარაკო მოწყეტას. განა შენ არ გიმზერია მიწის პირველი დატრიალებისთვის, შენ გიყურებია პირველი ღამისთვის, პირველი დღის გათენებისთვის. შენ არავის პატივს არ მიაგებ, სამართალი გაქვს სწორი, მხოლოდ ერთი — შენთან შრომა არავის დაეკარგება. კაცი თავის ნათესავს ხესა და ქვას ესვრის, ავის ქება იცის (უფარს), კარგს სდევნის და აძაგებს. ყველა ფიქრობს თვითონ აკეთებს სხვა კაცის უმჯობესს, დრომ არ იცის მოფერება, ყველას აძლევს თავთავისას (მეგრ.)

ნიაბაგი — ასავალ-დასავალი (მეგრ.)

დოგაფილი — ჩამოქნილი, ნაღდი (მეგრ.)

შიშტიგინი — გიჟმაჟი, დაუდგრომელი, ჩხუბისთავი (მეგრ.)

ზნაჩოკი — სამკერდე ნიშანი (რუს.)

აკოპი — სანგარი
ჩუთუ — ცვედანი (მეგრ.)
ატმაროჟენნი — გაყინული (რუს.)
ტრივოგა — განგაში (რუს.)
ატას — საფრთხის მაუწყებელი ტერმინი
ღურუ — სიკვდილის ღვთაება კოლხეთში, სიკვდილი (მეგრ.)
მე ღვთისგან მათხოვრობა არ მიწერიაო, არ უნდა გადამხდესო მათხოვრობა და გარყვნილება. მერე იმ ღამეს სიზმარი უნახავს. „ათ წელიწადს გარყვნილება უნ-და ქნაო, ათ წელიწადს — იმათხოვროო. ათ წელიწადსაც კარგად იცხოვრებო“. ასეთი სიზმარი უნახავს იმ ღამეს (ჭან.)
ბიწკის გერე — თითის წვერებზე დგას (მეგრ.)
ოცე — ბუკი (მეგრ.)
გენსეკა — გენერალნი სეკრეტარ, გენერალური მდივანი (რუს.)
პერესტროიკა — გარდაქმნა (რუს.)
გლასტნოსტ — დემოკრატია (რუს.)
ხაჯალური — ბორკილი (მეგრ.)
ad honoris — ჰონორარისთვის, გასამრჯელოსთვის (ლათ.)
დეარია — პირის ფაღარათი (ლათ.)
ზოოფილია — სექსუალური კავშირის დამყარება ცხოველებთან (ლათ.)
მენცარკოჩი — მეცნიერი კაცი, გულთმისანი (მეგრ.)
სხოლა — ჭუჭყი (მეგრ.)
დიშოვი პასტუპკებით — იაფფასიანი საქციელით (რუს.)
სუდიმოსტ — მისჯილობა (რუს.)
ტრასა — აქ ჩაის პლანტაცია.
მაზიანზე — ფულზე (ჟარგ.)
დრუჩოკი — ხელჯოხი (რუს.)
ბარაკი — პატიმრების საცხოვრებელი ზონაში (რუს.)
რაზვოდ — სამუშაოზე გასვლის დრო (რუს.)
პერვიაკი, ვტარიაკი, ტრეტიაკი — პირველადი, მეორადი, მესამეული (რუს.)
ია ნი ნერჟავეიუ — მე არ ვიჟანგები (რუს.)
კუნო — თევზის საჭერი ფაცერია (მეგრ.)
მაადშიდ — ნიშნავს გარკვეული მოქმედების ან თქმის აკრძალვას, ეს იგივე ევფემიზაციაა, ვაშინერს, არ ეგების, არ სახსენებელ არს (სვან.)
აბხაზოვ ნატრავლიუ ნა გრუზინოვ — აფხაზებს განვაწყობ, მოვშხამავ ქართველების წინააღმდეგ (რუს.)
მეც გეუბნები შენ: შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზედ ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევს ჯოჯოხეთის ბჭენი.
სქან სანთელო, ნანაგე — შენს სანაცვლოდ, შვილო (მეგრ.)
მუჰაჯირი — მეფის რუსეთის მიერ თურქეთში გადასახლებული აფხაზი
საძები, უბიხები — კავკასიური ტომები.
რიჟა — წითური (რუს.)
რასსკაზ მოეგო ზემლიაკა — ჩემი თანამემამულეს მონათხრობი (რუს.)
ობკომი — ობლასტნოის კომიტეტ — საოლქო კომიტეტი (რუს.)
ბეჟალი რობკიე გრუზინი — გარბოდნენ მშიშარა ქართველები (რუს.)
ბაიბუთი — კამათლებით თამაშია ერთგვარი
ვარით — საწინააღმდეგოდ

შონე მაძირაფუქ ეჭოფუა — სვანეთი მნახველებმა დაიპყრესო (მეგრ.)
უხანე — შე არგასაზრდელო (მეგრ.)
ნიჩეგო სვეტოვი ნე იმეიუტ — არანაირი წმინდა არ გააჩნიათ (რუს.)
ვლასტ — ძალაუფლება (რუს.)
შპაკატ — ბაწარი, ილეთი ტანვარჯიშში (რუს.)
პირველიან ბედია დო უკულიან გვერდია — რაც პირველი მოგივა შენი ბედია, შემდგომი — სანახევრო (მეგრ.)
მატ ადინოჩკა — მარტოხელა დედა (რუს.)
უბიცი — მკვლელები (რუს.)
დურა — იარაღი (ჟარგ.)
კოჩანიერი — კაცური (მეგრ.)
დერჟი — დაიკავე, დაიჭირე (რუს.)
ვნუშენიე — ჩაგონება (რუს.)
დაჟე — ისიც კი (რუს.)
სევერ — ჩრდილოეთი (რუს.)
იუგ — სამხრეთი (რუს.)
სვიდანია — პაემანი (რუს.)
ნარუშენია — წესრიგის დარღვევა (რუს.)
ბეზკანვოიკი — ადმინისტრაციის ნდობით აღჭურვილი პატიმარი, რომელიც უბადრაგოდ დადის (რუს.)
ad veritas — ჭეშმარიტებისათვის (ლათ.)
ვეშმეშოკი — ზურგჩანთა (რუს.)
ზაბორ — ღობე (რუს.)
მუდგარენს ქოიწინქია — რაღაცას გეტყვიო (მეგრ.)
წყვეტერია — წყალწყალა (მეგრ.)
ტყაჩუ — მეტყვე, ეგერი (მეგრ.)
რებიატა, დავაიტე ჟიტ დრუჟნო — ბიჭებო, მოდი ვიცხოვროთ მეგობრულად (რუს.)
ლებედ, შუკა ი რაკ — გედი, ქარიყლაპია და კიბორჩხალა (რუს.)
მართუ — მორევი (მეგრ.)
ზონდიკ — ქოლგა (რუს.)
მიმანგარაფალი — მიცვალებულთან დამტირებლების მიმცილებელი პიროვნება (მეგრ.)
მაშინისტ — მემანქანე (რუს.)
ᲡᲠᲐ — ოტდელ რაბოჩეგო სნაბჟენია — მუშათა მომარაგების განყოფილება (რუს.)
პენტოგრამა — ხუთქიმიანი ვარსკვლავი (ბერძნ.)
ნე უბივაი — ნუ მომკლავ (რუს.)
კონტინუუმი — მოვლენების, პროცესების უწყვეტობა (ლათ.)
შურდინაფილი — გველი, უხსენებელი (მეგრ.)
ჯუა-გოდირგილი — ძუკნა-გაბრედილი (მეგრ.)
ლოკი, ია უჟე პაშლუშნი, პაჩემუ ნე ბლიხოდიშ? — ლოკი, მე უკვე გამგონე ვალ, ლატომ ალ მოდიხალ? (რუს.)
მამა ტაკაია აგლომნაია, აგლომნაია, კაკ ბუდტო ალბუზ ბლაგლატილა — დედა ისეთი უშველებელია, უშველებელი, თითქოს საზამთლო გადაუყლაპავსო (რუს.)

სარჩევი

სონეტი როკის	
ლიმა პირველი	005
ტალკანი	
076923	
ბაზარი	
ლიმა მეორე	050
სტალიპინსკი	
153846	
ბირჟა	
ლიმა მესამე	095
კარანტინი	
230769	
ლიმა მეოთხე	140
ლაზარე	
307692	
ლიმა მეხუთე	181
ალერტი	
384615	
ლიმა მეექვსე	226
ცოტნე	
461538	
ლიმა მეშვიდე	288
ილიონა	
538461	
ლიმა მერვე	343
ვეზირი	
615384	
ლიმა მეცხრე	387
შაშმანი	
692307	
ლიმა მეათე	438
მაადშიდ	
769230	
ლიმა მეთერთმეტე	493
AD VERITAS	
846153	
ლიმა მეთორმეტე	563
მორდუ	
923076	
შენიშვნები	**602**
სარჩევი	**612**

GURI OTOBAIA

FIXED TO THE LIFE

Anti thesis

ROCKY

ГУРИ ОТОБАИА

ОБРЕЧЕННЫЕ ЖИТЬ

Anti thesis

РОКИ

გური ოტობაია

სიცოცხლემისჯილები

რომანი-ტრიადა

Anti thesis

როკი

რედაქტორი:

ნანა ხუფენია

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა შპს „აისში“,
პოლიგრაფიული უზრუნველყოფა —
ციფრული ბეჭდვის სტამბა „ბენე“.
ტირაჟი 30 ეგზემპლარი.
ფასი — 30 ლარი

თბილისი
2005